

ოქტომბერი და ქართული მწერლობა

1.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სწორუბოვრად დიადი მოვლენაა, რომელმაც პირველად სინამდვილედ აქცია ადამიანთა მრავალი თაობის უმაღლესი და უკეთილშობილესი ოცნება; დედამიწის ერთ მეექვსედზე მან სამუდამოდ დაამხო შრომელი მასების ძარცვასა და ექსპლოატაციაზე, ეროვნულ ჩაგვრასა და მონობაზე დამყარებული ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და დასაბამი მისცა ჩვენს სამშობლოში ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას თავისი ახალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილებით, ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ახალი ფორმებით, ახალი სულიერი კულტურით.

ოქტომბრის რევოლუციამ მოამზადა ყველა პირობა მსოფლიოში მძლავრი სოციალისტური სისტემის აღმოცენებისა და დამკვიდრებისათვის. სოციალიზმისა და დემოკრატიის სახელმწიფოთა ეს დიდი ბანაკი ამჟამად მსოფლიოს ისტორიული განვითარების განმსაზღვრელ ძალას წარმოადგენს.

ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო ქარხნები და ფაბრიკები, ბანკები და ფინანსები, მიწა და ყოველგვარი საწარმოო საშუალებანი, არამედ საკაცობრიო კულტურის მთელი საუნჯეც ხალხის საყოველთაო კუთვნილებად აქცია და კულტურული შემოქმედების სარბიელზე გამოიყვანა წინათ სილატაკისა და ჟმეცრების წყვილადში მცხოვრები მშრომელი მილიონები. ამაში გამოიხატა დიდი ისტორიული აზრი და მნიშვნელობა იმ უაღრესად ფართო კულტურული რევოლუციისა, რომელიც თანმიმდევრულად და განუწყვეტლივ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე.

საბჭოთა ლიტერატურა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ახალი, სოციალისტური კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია და დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი უძვირფასესი მონაპოვარი ხალხის სულიერი შემოქმედების დარგში. იგი საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების და, მასმასადამე, ჩვენს სამშობლოში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირველხარისხოვანი ფაქტორთაგანია. ამასთანავე,

იგი წარმოადგენს კაცობრიობის მხატვრული განვითარების უმაღლეს საფეხურს, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის პრინციპულად ანაღს, უაღრესად ნოვატორულ მოვლენას, რომელსაც მოწინავე ადგილი უჭირავს თანამედროვე მსოფლიო პროგრესული კულტურის განვითარებაში და უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს მთელი მოწინავე კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

შეითვისა, განაგრძო და განავითარა რა კაცობრიობის მიერ თავისი კულტურული განვითარების მანძილზე გამომუშავებული საუკეთესო ტრადიციები, საბჭოთა ლიტერატურამ უკვე შექმნა საკუთარი ტრადიცია, აღბეჭდილი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თვისებებით. მას აქვს საკუთარი თემატიკური სამყარო, მხატვრული გამოსახულების საკუთარი საგანი — ეს არის, პირველ ყოვლისა, ჩვენი სოციალისტური სინამდვილე, საბჭოთა საზოგადოების ცხოვრება თავისი განუწყვეტელი წინმსვლელობით, თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით, ღრმა წინააღმდეგობებითა და კონფლიქტებით. საბჭოთა მწერლობას ჰყავს თავისი გმირი, რომლის მსგავსი არასოდეს არ ჰყოლია ლიტერატურასა და ხელოვნებას. ეს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი რიგითი ადამიანია, თავისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროთი, თავისი ნათელი მორალური სახით, მაღალი იდეალებით, შემოქმედებითი შრომით, საგმირო საქმეებით. მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა მწერალი შორეული წარსულის პროცესებს თუ თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ცხოვრებას ასახავს, იგი ხედავს და აშუქებს მოვლენებს თავისი ამ მთავარი გმირის — საბჭოთა ადამიანის თვალსაზრისით, საბჭოთა ხალხის საბრძოლო და მასულდგმულელებელი იდეების თვალსაზრისით. რაც ჩვენი ლიტერატურის მსოფლმხედველობრივ თავისებურებას განსაზღვრავს. კომუნისტური იდეურობა და პარტიულობა, ამ ცნებათა საუკეთესო და უფართოესი მნიშვნელობით, შეადგენს საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული ბუნების საფუძველს, რომელზეც აღმოცენდა მისი სპეციფიკური შემოქმედებითი მეთოდი — სოციალისტური რეალიზმი. იგი გულისხმობს სინამდვილის ისეთი სისრულითა და სიმართლით გამოხატვას, როგორც მიუწვდომელი იყო წარსულის ყოველი ხელოვანისათვის, რაგინდ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო იგი და რაგინდ ვაბედულადაც არ უნდა დაეძლია და გადაეღაბა მას თავისი წარმომშობი კლასის ინტერესებისა და მსოფლმხედველობის შემზღვეველი რეალი. მრავალფეროვნულობა, — იდეური მიზანდასახულობისა და შემოქმედებითი მეთოდის ერთიანობასთან ნაციონალურ თავისებურებათა განუსაზღვრელი ნაირსახეობის ორგანული შეთანხმება, — შეადგენს აგრეთვე სოციალისტური ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკურ თვისებას და უპირა-

ტესობას, რომელიც უცხო და უცნობი იყო საკაცობრიო კულტურის მთელი ისტორიისათვის.

ასეთი ნოვატორული თვისებების შემცველი სოციალისტური ლიტერატურის აღმოცენება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა საკაცობრიო კულტურა აუცილებელი დაკნინებისა და გადაგვარებისაგან, იმ გამოუვალი იდეურ-შემოქმედებითი ჩიხისაგან, რომლისკენაც ხელოვნებასა და ლიტერატურას უღმობლად მიაქანებდა საერთაშორისო იმპერიალიზმის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ეპოქა. ამ ეპოქაში განსაკუთრებით ნათელი გახდა სრული ჭეშმარიტება იმ მარქსისტული დებულებისა, რომ კაპიტალისტური წარმოება თავისი ბუნებით მტრულადაა განწყობილი სულიერი კულტურის ისეთი დარგებისადმი, როგორცაა ხელოვნება და პოეზია. თავისი ისტორიის ამ უკანასკნელ სტადიაში კაპიტალისტურმა წყობილებამ არა მარტო უკუაგდო „ბურჟუაზიულ თავისუფლებათა“ ტრადიციები, არამედ ფეხქვეშ გათელა, აგრეთვე, ბურჟუაზიის ახალგაზრდობისა და პროგრესულობის ხანაში შექმნილი კლასიკური რეალისტური მწერლობისა და ხელოვნების ყველა საუკეთესო მონაპოვარი და სულიერი შემოქმედების ეს დარგები დაცემულობისა და დეკადანსის მოლიბულ გზაზე დააქანა. მე-19 საუკუნის მიწურულისათვის დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში გაბატონებული დეკადენტური სამწერლო მიმართულებანი თანმიმდევრულად გამოთიშავდნენ ლიტერატურასა და ხელოვნებას ცხოვრებისაგან, სოციალური სინამდვილის თემებისა და პრობლემების სამყაროსაგან, განუყოფლად ავრცელებდნენ და ნერგავდნენ მასში მისტიციზმის, ავადმყოფური ინდივიდუალიზმის, კაცთმოძულეებისა და ბნელი პესიმიზმის გესლს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ანატოლ ფრანსს, როცა 1890 წელს ამბობდა: „ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა უგზო-უკვლოდ ქანაობს პირუტყვეულად უხეშ ნატურალიზმსა და ეგზალტირებულ მისტიციზმს შორის. ჩვენ ტალახში ვართ ან ღრუბლებში“.

აი, ამ ტალახსა და ღრუბლებში უგზო-უკვლოდ ქანაობისაგან გამოიყვანა ლიტერატურა და ხელოვნება ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, რომლის პირმშოც არის საბჭოთა ლიტერატურა. საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ხალხის სულიერი შემოქმედების ყოველი დარგის იმ ღრმა განახლებამ და გარდაქმნამ, რომელიც დიდმა ოქტომბერმა გამოიწვია, არა მარტო შექმნა ახალი ტიპის ლიტერატურა ჩვენს ქვეყანაში, არამედ ახალი შემოქმედებითი შთაგონებით აღჭურვა ჩვენი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ბარბიუსი და როლანი, შოუ და ჰერბერტ უელსი, ღრაიზერი და ჰაინრიხ მანი და სხვები. ახლა საბჭოთა მწერლობას

მრავალი გამოჩენილი თანამოაზრე და თანამებრძოლი ჰყავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყოველი ცივილიზებული ხალხის ლიტერატურაში. სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითმა მეთოდმა გავრცელება ჰპოვა მთელს მსოფლიოში. უცხოეთის პროგრესული ლიტერატურის ეს ფრონტი ახლა იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა, რომ თვით საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარება უკვე შეუძლებელი ხდება იმ შემოქმედებითი გამოცდილების გაუთვალისწინებლად, რომელსაც შეიცავს ლუი არაგონისა და პოლ ელუარის, იოჰან ბეხერისა და ბერტოლდ ბრეხტის, ჟორჟი ამადუსა და პაბლო ნერუდას, ნაზიმ ჰიქმეთისა და დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის სხვა სახელმწიფოებში მწერალთა წიგნები.

სოციალიზმისათვის მსოფლიოს ხალხების ბრძოლასთან აშკარად და სისხლხორცეულად დაკავშირებულ ამ მწერლობას მხარს უჭერს და თანამოსანგრეობას უწევს კრიტიკული რეალიზმის თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურა. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ორ ურთიერთმოწინააღმდეგე ბანაკად გათიშულ თანამედროვე სამყაროში სოციალური და იდეოლოგიური კონფლიქტების და წინააღმდეგობათა უკიდურესმა გამწვავებამ გაამძაფრა და გააღრმავა ევროპული და ამერიკული თანამედროვე კულტურის მრავალი საუკეთესო ოსტატის კრიტიკულ-მამხილებელი დამოკიდებულება კაპიტალისტური სამყაროს განუკურნებელ მანკიერებათაღმძი, მისი ანტიხალხური წყობილების, კაცთმოძულეობრივი მორალის, ანტიჰუმანისტური ხელოვნებისადმი. ასეთი მგზვნებარე მამხილებელი პათოსით არის გამსჭვალული თომას მანის, ჰემინგუეის, ფოლკნერის, კოლდუელის, სტეინბეკის, ბიოლის, არტურ მილერისა და სხვა მრავალი საქვეყნოდ სახელგანთქმული თანამედროვე პროგრესული მწერლის შემოქმედება.

თანამედროვე კრიტიკული რეალიზმის ეს დიდი მწერლობა, სოციალისტური რეალიზმის მწერლობასთან ერთად, შეადგენს ახლა იმ ჯანსაღ, მოწინავე მძლავრ რეალისტურ მიმდინარეობას, რომელთანაც ორთაბრძოლაში ესოდენ უძლურად და უნიადაგოდ გამოიყურება რეაქციული დეკადენტობის მღვრიე ნაკადი — ყველა ეს ეგზისტენციალიზმები, აბსტრაქციონიზმები და „ავანგარდიზმები“, „ანტირომანის“, „ანტიდრამის“, „აბსურდის თეატრის“ და სხვა მათი მსგავსი მრავალრიცხოვანი „სკოლები“ და „თეორიები“.

ასე ძირფესვიანად შესცვალა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კანონზომიერება, რომლის განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ძალას სოციალისტური მწერლობა წარმოადგენს.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა სოციალისტური ეპოქის, ახალი სამყაროს ლიტერატურაა. მართალია, იგი ჩვენს სამშობლოში ოქტომბრის რე-

ვოლუციის გამარჯვებამდე ბევრად ადრე წარმოიშვა, მაგრამ მისი აღმოცენება-განვითარების ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ჩვენი ხალხის მიერ წარმოებული ბრძოლის ისტორიასთან. სწორედ „ოქტომბრის გენერალური რეპეტიციის“ — რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და ამ რევოლუციის სამზადისის პერიოდში დაიარსა სოციალისტური მწერლობის აკვანი და აღმოცენდა მისი საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციები.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც იწყებოდა ჩვენი ქვეყნის გმირული პროლეტარიატის დარაზმვა მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებაზე იერიშის მისატანად, გენიალურმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის ლიტერატურას — სოციალიზმის გამარჯვებისათვის მშრომელი ხალხის ბრძოლასთან პირდაპირ და აშკარად დაკავშირებულ მწერლობას.

დიდმა ლენინმა რუსეთის პირველი რევოლუციის აღმავლობის პერიოდში დაწერილ თავის ისტორიულ წერილში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალური სიღრმით განსაზღვრა ამ ახალი ლიტერატურის — რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის ბუნება, მისი ისტორიული დანიშნულება, მისი უპირატესობანი თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ლიტერატურასთან შედარებით: „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელთაღმე თანაგრძნობა მიიზიდავს მის რიგებში ახალ და ახალ ძალებს. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი ემსახურება არა მამლარ ჰეროიკას, არა სიმსუქნისაგან მოწყენილსა და შეწუხებულ „ზედა ათიათასებს“, არამედ მშრომელ მილიონებს და ათეულ მილიონებს, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენიერებას, მის ძალას, მის მომავალს“.

თავიდანვე სოციალისტური რეალიზმის მწერლობა მკვეთრად დაუპირისპირდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ლიტერატურულ მიმართულებებს და მათი ზეგავლენით ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილ ანტირეალისტურ სამწერლო სკოლებს. თუ სასიკვდილოდ განწირული ბურჟუაზიის მწერლობა ღრმად იყო გამსჭვალული ნიცშეანური კაცთმოძულეობისა და ანტიპუმანიზმის გესლით, შოპენჰაუერის ბნელი პესიმიზმით, დაცემულობის და უიმედობის გრძნობით, თუ იგი მისტიციზმისა და ავადმყოფური ინდივიდუალიზმის რკალში ემწყვდებოდა და თავისი ანტიხალხური, რეაქციული ბუნების შესაბამისად ქადაგებდა ლოზუნგს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის რევოლუციური აღმავლობის ნიადაგზე წარმოშობილი მწერლობა ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა და მალალი ადამიანური იდეალის აპოლოგიით იწყებ-

და თავის სახელოვან ისტორიას, იგი იმთავითვე ნათელი ოპტიმიზმისა და ქედ-
უხრელი თავისუფლებისმოყვარეობის გრძობით იყო შთაგონებული, ხალხის
ინტერესებისადმი სამსახურის, ხალხის უწმინდესი მისწრაფებების გამოხატვის,
კემპარიტი ხალხურობის ამოცანები განსაზღვრავდა მის სტილს, მხატვრული
მეტყველების საშუალებათა სისტემას.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი, მისი პირველი და უდიდესი კლა-
სიკოსი იყო გენიალური რუსი მწერალი მაქსიმ გორკი. საბჭოთა პოეტური კულ-
ტურის საუკეთესო ტრადიციათა შემოქმედი იყო ჩვენი ეპოქის უდიდესი რუსი
პოეტი — ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც არა მარტო იდეური სიღრმისა და
აქტუალობის მხრივ, არამედ პოეტური ძალის, ნოვატორობის, შემოქმედებითი
ღიაპანონის სიფართოვის მხრივაც დღემდე ბადალი არ მოეპოვება ჩვენი საუ-
კუნის მსოფლიო პოეზიაში.

სოციალისტური რეალიზმის მწერლობის შემოქმედებითი ტრადიციების
ჩამოყალიბება-განმტკიცების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულეს საუკე-
თესო რუსმა საბჭოთა მწერლებმა და პოეტებმა.

მაგრამ მარტო რუსული მწერლობა როდი განსაზღვრავს საბჭოთა ლიტე-
რატურას ზრდასა და განვითარებას.

საბჭოთა კავშირის ყოველ ხალხს, დიდია იგი თუ მცირე მოსახლეობის რა-
ოდენობითა და ტერიტორიის მოცულობით, თავისი ძვირფასი წვლილი შეაქვს
სოციალისტური მწერლობის — საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობა მოძმე საბჭოთა ხალხების რამ-
დენიმე ათეული ეროვნული ლიტერატურისაგან შედგება. ეს ლიტერატურანი
განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი ერთიანი მსოფლმხედვე-
ლობით, ერთიანი შემოქმედებითი მეთოდით, ერთიანი საზოგადოებრივ-პო-
ლიტიკური მისწრაფებებით. ცხადია, ეს ერთიანობა წარმოშობს საბჭოთა ეროვნ-
ულ მწერლობებში თემატურ მსგავსებებსა და მხატვრული გამომსახველო-
ბის ანალოგიურ საშუალებებს. მაგრამ საბჭოთა ლიტერატურის მთელი ნახევარ-
საუკუნოვანი ისტორიის გამოცდილება ამკარად და უდავოდ ადასტურებს იმ
კემპარიტებას, რომ რაც უფრო მეტად უახლოვდებიან და უკავშირდებიან ერთ-
მანეთს საბჭოთა ხალხების ეროვნული მწერლობანი, რაც უფრო მტკიცე ხდება
მათი ურთიერთშემოქმედება და ურთიერთგანაყოფიერება, მით უფრო მდიდრ-
დება და მაღლდება ყველა ეროვნული ლიტერატურა, მით უფრო მკაფიოდ
ვლინდება თითოეული მათგანის ნაციონალური თვითმყოფობა, განუმეორებე-
ლი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებანი.

ოქტომბრის რევოლუციამ გამოიწვია და უზრუნველყო რამდენიმე ათეული
საბჭოთა ეროვნული მწერლობის აღმოცენება. ეს იმ საბჭოთა ხალხების მწერ-

ლობაა, რომელთაც რევოლუციამდე არამც თუ საკუთარი მხატვრული ლიტერატურა, თავისი ეროვნული დამწერლობაც კი არ გააჩნდათ. ახლა ამ ახლად წარმოშობილ მწერლობებში იქმნება მრავალი ისეთი მკვლამხატვრული ნაწარმოები, რომლებიც დამსახურებულად იხვეჭენ საკავშირო, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი მსოფლიო აღიარებას. იმ საბჭოთა ხალხების მწერლობას კი, რომელთაც კულტურული შემოქმედების მდიდარი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები აქვთ, სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა უღრმესი განახლება და ნამდვილი აღორძინება, შეუქმნა მათ თავისუფალი, შეუზღუდველი და დაუბრკოლებელი განვითარების ისეთი ფართო შესაძლებლობანი, როგორც წარმოუდგენელი და მიუღწეველი იყო წარსულში.

სწორედ ასეთ ლიტერატურათა მცირე რიცხვს ეკუთვნის ქართული საბჭოთა მწერლობა, რომელსაც ერთ-ერთი მოწინავე ადგილი აქვს დამკვიდრებული მოძმე საბჭოთა ეროვნული ლიტერატურების ერთიან ოჯახში.

იმ საერთო ფაქტორების გარდა, რომელთაც გამოიწვიეს და უზრუნველყვეს სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ლიტერატურის განუხრელი და უმაგალითოდ სწრაფი აღმავლობა, ქართულ საბჭოთა ლიტერატურას აქვს განვითარების საკუთარი მეტად მნიშვნელოვანი წინაპირობაც. ეს არის ის უმდიდრესი შემოქმედებითი ტრადიციები, რომლებიც უანდერძა თანამედროვე ქართულ მწერლობას ჩვენი ნაციონალური ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ.

მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყოველ ეტაპზე ქართული კლასიკური მწერლობა განუყოფელად იყო დაკავშირებული ხალხის თავდადებულ ბრძოლასთან თავისი ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის, ასახავდა და უმღეროდა ამ ბრძოლას, ხატავდა სამშობლოსათვის, ხალხის თავისუფლებისათვის თავგანწირულ გმირთა სახეებს, დიდების უკცნობი შარავანდედით მოსავედა მათ.

ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის სინამდვილესთან, ეპოქის პროგრესული იდეებთან ასეთი განუყოფელი კავშირი, ხალხურობა, პატრიოტიზმი, გმირობისა და ვაჟაყაცობის სული შეადგენენ იმ საუკეთესო ღირსებებს, რომელთა მეოხებითაც ქართული კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლებმა ნამდვილი უკვდავება მოიპოვეს ხალხის გულში, როგორც ჩვენმა საამაყო წინაპრებმა და დიდმა წინამორბედებმა. სოციალისტური ლიტერატურის აღმოცენების დროისათვის ქართული მწერლობა სავსებით მომზადებული აღმოჩნდა იმისათვის, რომ იმთავითვე შეერთებოდა ამ ახალი ტიპის მწერლობას და ღირსეული ადგილი დაეჭირა მის განვითარებაში. ამისათვის ამზადებდა ჩვენს ეროვნულ ლიტერატურას მისი საუკუნოვანი, ჭეშმარიტად გმირული და რევოლუციური ტრადიციები.

თავისი მგზნებარე და ქედუხრელი მებრძოლი სული, უდრეკი თავისუფლებისმოყვარეობა და დაუცხრომელი მისწრაფება ქვეყნად სიმართლისა და სამართლიანობის გამარჯვებისა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ თავისი გენით შექმნილ, ღმერთებთან შერკინებული ამირანის ტიტანურ სახეში განახორციელა. სწორედ ქართველმა გენიალურმა პოეტმა შოთა რუსთაველმა პირველმა აღმართა ბნელეთით მოცულ შუასაუკუნეობრივ მსოფლიოში ჰუმანიზმისა და თავისუფლებისმოყვარეობის მძლავრი დროშა, პირველმა უმღერა ქვეყნად სიკეთის, სინათლის, სამართლიანობის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ადამიანის უძლეველ გმირობასა და ვაჟკაცობას, პირველმა იწინასწარმეტყველა სიბნელისა და ბოროტების, მონობისა და ტირანიის ციხესიმაგრეთა დამხობის გარდაუვალობა, ცხოველმყოფელი მზის ამობრწყინება და მისი მარადიული განუყოფელი მეუფება.

გასული საუკუნის დამდგეს ჩვენმა დიდმა ეროვნულმა პოეტმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა მსოფლიო რომანტიული პოეზიის ერთ-ერთ უქკნობ შედეგში, დიდებულ ლირიკულ-ფილოსოფიურ ლექსში „მერანში“ განასახიერა ნათელი მომავლისაკენ ადამიანის შეუპოვარი და ქედუხრელი სწრაფვის იდეა.

ილია ჭავჭავაძემ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ თავის „აჩრდილში“ ამცნო ქვეყანას მონობის დაქანგებულ ბორკილთა მსხვრევის, შრომის სუფევის მოახლოება. მან შთაგონებული ლექსი მიუძღვნა პარიზის კომუნის გმირულ ბრძოლას. და ჩვენ არ ვიცით სხვა პოეტური ნაწარმოები, რომელიც ასე ცხოვლად გამოხმაურებოდეს მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ რევოლუციურ ეპოპეას.

აკაკი წერეთელი კი — საქართველოს ეს უკვდავი ბულბული, ხანდაზმულობის მიუხედავად, ნამდვილი ჭაბუკური აღფრთოვანებით გამოვიდა 1905 წლის რევოლუციის ბარიკადებზე და თავისი საბრძოლოდ აღმაგზნებელი სიმღერები შეუერთა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად ამხედრებული ხალხის მრისხანე ყიჟინას. 1905 წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მგზნებარე დღეებში ყუხდა ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის მომწოდებელი სიტყვები: „ძირს მთავრობა, ძირს და ძირსო!“ „ოქტომბრის გენერალური რეპუტაციის“ პერიოდის ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი ძალის შთამაგონებელი და აღმაფრთოვანებელი პოეტური ქმნილება.

უკვე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში აღმოცენდა რევოლუციის ქარიშხალას მძლავრი მხატვრული სახე. ამ პერიოდის გამოჩენილმა ქართველმა რევოლუციონერმა პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა თავისი პოპულარულ ლექსში „სიმღერა“ გამოთქვა განთიადის მოციქული ქა-

რიშხლის მოახლოების წინათგრძნობა და ალტაცებით მიესალმა ამ ქარიშხალს.

ეს რამდენიმე მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი წანამძღვრები და ღრმა ფესვები მოეპოვებოდა ქართულ მწერლობაში ყველაზე თანმიმდევრულად რევოლუციურ და რეალისტურ მწერლობას — სოციალისტური რეალიზმის მწერლობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც კი გამოქვეყნდა ვ. ი. ლენინის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ — ეს მანიფესტი ახალი, სოციალისტური ლიტერატურისა, საქართველოში დაუყოვნებლივ ჰპოვა გამოძახილი ამ ჭეშმარიტად ისტორიულმა დოკუმენტმა. ბოლშევიკურ გაზეთ „ნოვაია ჟიზნი“ ლენინის ამ ნაშრომის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, თბილისის ბოლშევიკურმა პრესამ თავის მკითხველებს ამცნო ამ დოკუმენტის ძირითადი დებულებანი და აქტიურად მხარი დაუჭირა მათ. ესეც ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ძვირფასი რევოლუციური ტრადიციების მომასწავებელი მკაფიო ფაქტი იყო.

მაგრამ ოქტომბრის წინა პერიოდში ქართული კლასიკური ლიტერატურის ეს სახელოვანი, დემოკრატიული, პატრიოტული და რეალისტური ტრადიციები დაკნინებისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1905—07 წწ. რევოლუციის დამარცხების ნიადაგზე ჩვენი ინტელიგენციის გარკვეულ ფენებში გავრცელებულმა უიმედობისა და გულგატეხილობის განწყობილებებმა მწერლობაში წარმოშვეს ცხოვრების სინამდვილიდან, სოციალური თემებისა და პრობლემატიკისაგან გახიზვნის ტენდენცია, რამაც ნიადაგი შეამზადა ქართულ ლიტერატურაში უცხოურ დეკადენტურ სამწერლო მიმდინარეობათა გავლენების გავრცელებისათვის.

ამან დიდად შეანელა ოქტომბრის წინა პერიოდში ქართული პოეზიის ხალხზე ზედმოქმედების ძალა. პოეზია კარგავდა თავის საუკეთესო ღირსებას — ხალხურობას, იგი მიექანებოდა აპოლიტიკურობისა და უიდეობის ჭაობისაკენ. პოეტური მეტყველების სფეროში სულ უფრო ფართოდ ინერგებოდა ბუნდოვანების, მანერულობის, თვითმიზნურობის, ფორმალიზმის ცდუნებანი.

მხატვრული პროზის დარგში ანტირეალისტურმა სამწერლო სკოლებმა პრინციპულად უარყვეს ფართო ეპიური ჟანრების, კერძოდ, რომანის ტრადიციები და ქართულ პროზაში უიდეო მინიატურებისა და ნოველების ფორმა გააბატონეს. დრამატიული მწერლობაც, ცალკეული გამონაკლისების გარდა, ასეთსავე გაღარიბებისა და დაქვეითების გზას დაადგა.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე

შექმნილმა ახალმა ჯანსაღმა სოციალურმა ატმოსფერომ ბუნებრივად მოითხოვა და გამოიწვია კიდევ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში ასეთი ავადმყოფური მოვლენების დაძლევა და ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი ტრადიციების ახლებურად აღორძინება და გაგრძელება. ამიერიდან ქართული მწერლობა მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განუყოფელ ნაწილად იქცა და მან თანმიმდევრულად იწყო აღმავლობა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების გზით.

ახალმა სოციალურმა სინამდვილემ თანდათანობით გარდაქმნა და, განაახლა რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო მწერალთა შემოქმედებითი ცხოვრება. მწერლობაში მოვიდნენ ხალხის წილიდან დაწინაურებული ახალი შემოქმედებითი ძალები. მწერლობა გამდიდრდა სოციალისტური სინამდვილის თემებითა და პრობლემებით, გაფართოვდა ლიტერატურის თემატური დიაპაზონი, გაღრმავდა მისი კავშირთიერთობა ცხოვრებასთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან. თანმიმდევრულად გაძლიერდა ლიტერატურის ხვედრითი წონა ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ამაღლდა მისი იდეური დონე.

ქართული ლიტერატურა გამოვიდა ფართო საკავშირო და, მაშასადამე, საერთაშორისო სარბიელზე. ქართველმა საბჭოთა მწერლებმა აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობა დაამყარეს რუსულ და სხვა მოძმე ხალხთა საბჭოთა ლიტერატურის ოსტატებთან. ქართული მწერლობის ხმა გაისმა მთელ საბჭოეთში და მისი საზღვრების მიღმაც. ქართული კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურის მრავალი საუკეთესო ნაწარმოები ითარგმნა დიდი რუსი ხალხის ენაზე, ჩვენი სამშობლოს და უცხოეთის მრავალი ხალხის ენებზე. ამან უსაზღვროდ გააფართოვა ქართული მწერლობის სარბიელი, რასაც არ შეეძლო კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაზე.

ქართულმა საბჭოთა მწერლობამ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ვრცელი და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო. მისი აღმავლობა მიემართებოდა მრავალი დაბრკოლების, ჩვენთვის უცხო და მიუღებელი ლიტერატურული გავლენების გადალახვის, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან სხვადასხვაგვარი გადახვევების წინააღმდეგ ბრძოლის ვითარებაში.

ამ ბრძოლებში იწრთობოდა და ვაკეაცდებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომლის დღევანდელი ვითარების კონსპექტური სურათის წარმოდგენას ისახავს მიზნად ქვემოთ მოცემული ჟანრობრივი მიმოხილვა.

საუკუნეთა მანძილზე ქართული მწერლობა ვითარდებოდა უცხოელ დამპყრობთა სისხლიანი თავდასხმების, მათ წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლე-

ბის ვითარებაში, ან კოლონიური მონობისა და ეროვნული ჩაგვრის პირობებში. ეს გარემოება ფრთხვს აკვეცდა ჩვენი ერის შემოქმედებით ენერჯიას და, ცხადია, შემაფერხებელ, სულის შემხუთველ ზეგავლენას ახდენდა მწერლობის ბედზე, მის განვითარებაზე. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ე. წ. „ალორძინების პერიოდის“ თითქმის არც ერთ გამოჩენილ ქართველ მწერალს არ ღირსებია სამშობლოში სიკვდილი და განსვენება. ყველა მათგანმა, ბედისაგან დევნილმა და სიცოცხლეგამწარებულმა, უცხოობაში, აუტანელ ტანჯვასა და მწუხარებაში დალია სული.... აკი გულის სიღრმიდან მომდინარე დაუსრულებელი გოდებით, საწუთროსადმი გულმოკლული სამდურავით და უსაზღვრო სევდით არის გამსჭვალული ამ პერიოდის მთელი ქართული პოეზია. ჰემარიტად მოწამებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა ქართული მწერლობა მე-19 საუკუნეშიც, როცა საქართველო თვითმპყრობელობის დამონებულ კოლონიას წარმოადგენდა. ცარიზმის ველური კოლონიზატორული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის ნაძალადეგ გადაგვარებას, ქართული ენისა და ეროვნული კულტურის მოსპობას, ცხადია, პირველ ყოვლისა, ეროვნული მწერლობის დევნასა და ყოველმხრივ შევიწროებაში გამოიხატა. უცხოობაში, აუტანელ სიმარტოვეში, სულიერ თბობასა და ტანჯვა-წამებაში დალია სული ნიკოლოზ ბარათაშვილმა ისე, რომ ოცდაათი წლის ასაკსაც ვერ მიაღწია და თავისი ერთი ლექსის დაბეჭდვასაც ვერ ეღირსა. ილია ჭავჭავაძე, რომელიც გამუდმებულად მეფის უანდარმერიის ბოროტი ზედამხედველობისა და მეფის ცენზურის შემხუთველი მზვერაობის პირობებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რომლის იუბილევ აკრძალეს ცარიზმის სატრაპებმა, ბოლოს ვერაგულად მოკლეს კიდევ საქართველოს უბოროტესმა მტრებმა. აკი პოეტი, უსაზღვრო მწუხარებით შეპყრობილი, მიმართავდა თავის საღმერთებელ სამშობლოს: „მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ, იმდენად უფრო მიკვდება გული“. „არ მშორდება მწუხარება და ჰირი“ — გოდებდა აკაკი წერეთელი და ამ გოდებაში თავისი სამშობლოს დუხჭირ ბედს დასტიროდა, რომლისგანაც განუყოფელი იყო დიდი პოეტის პირადი ცხოვრება და ბედიც. ვაჟა-ფშაველამ თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ღარიბი მთიელი გლეხის მძიმე და გაუხარელი შრომის, ლუკმაპურისათვის დაუსრულებელი ბრძოლის პირობებში გაატარა. ცნობილია, რომ იგი იძულებული იყო ღარიბულ ქონში, ბუხრის ცეცხლის ალის სინათლეზე ეწერა თავისი გენიალური პოემები. ცნობილია, თუ რა აუწერულ სიღარიბეში, ტანჯვასა და მწუხარებაში დაასრულეს სიცოცხლე ალექსანდრე ყაზბეგმა და ეგნატე ნინოშვილმა. ასეთი იყო ბედი ქართველი მწერლობისა — კოლონიზირებული ერის მწერლებისა. დღეს, დიდი ოქტომბრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში ვიგონებთ ყოველივე ამას

იმისათვის, რომ უფრო ნათლად ვიგრძნოთ და განვიცადოთ, თუ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის როგორი წყვილიადისაგან იხსნა ქართველი ხალხი დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ, როგორი სულისშემხუთველი პირობებისაგან გამოიყვანა მან ქართული მწერლობა, მოუტანა და სამუდამოდ დაუმკვიდრა ჩვენს სამშობლოს საუკუნეებით ნანატრი და ნაოცნებარი ეროვნული თავისუფლება. ჭეშმარიტად, ქართველ მწერლობას არასოდეს არ უცხოვრია ისეთი თავისუფალი, შეუზღუდველი და დაუბრკოლებელი ცხოვრებით, როგორც მან საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა.

ქართულ მწერლობაზეც მთლიანად და სავსებით ვრცელდება ის დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ამ ისტორიული მნიშვნელობის ახალ პარტიულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „სოციალიზმმა ფართო გზა გაუხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებას, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება, რომლის განმასხვავებელი ნიშნებია ღრმა ხალხურობა და კომუნისტური პარტიულობა, რევოლუციური ჰუმანიზმი და მოქალაქეობრიობა, სიმართლე და სინამდვილის ღრმად შესწავლა, შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალისადმი. ჩვენი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მაღალი იდეური მომთხვენელობა, შეურიგებლობა ყოველივე იმისადმი, რაც ხელს უშლის წინსვლას, ნოვატორული სულისკვეთება და გაბედული შემოქმედებითი ძიება. საბჭოთა ხელოვნება ასახავს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გზას, საგმირო საქმეებსა და ბრძოლას კომუნიზმის აშენებისათვის. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის ხელოვანი, რომელსაც თავის მოქალაქეობრივ მოწოდებად მიაჩნია ახალი სამყაროს მშენებლობაში მონაწილეობა“.

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართულ მწერლობას არასოდეს ჰქონია შექმნილი ესოდენ შეუფერხებელი განვითარების, ხალხთან, ცხოვრებასთან ესოდენ ფართო და სისხლხორცეული კავშირუროთიერთობის პირობები. ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავითვალისწინოთ წიგნის გამომცემლობისა და მხატვრული პრესის გავრცელების ის მასშტაბი, რომელიც საბჭოთა წყობილებაშია მიღწეული და რომელზეც ოცნებაც კი არ შეეძლოთ ჩვენს უკვდავ წინამორბედებს. არასოდეს, თავისი ისტორიის არც ერთ სხვა ეპოქაში, ქართულ მწერლობას არ მიუღწევია ისეთი თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებისათვის, როგორც ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ახასიათებს, არასოდეს ადგილი არ ჰქონია ქართულ მწერლობაში შემოქმედე-

ბითი ძალების ისეთ სიუხვესა და მრავალნაირობას, მწერალთა ახალი და ახალი თაობების ისეთ გამუდმებულსა და თანმიმდევრულ დაწინაურებას, როგორც საბჭოთა ეპოქაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ უკვე გვაქვს საბჭოთა ეპოქის ლიტერატურული კლასიკის ცალკეული გამოვლინებანი, ისეთი იდეურ-მხატვრული ძალისა და სიმაღლის ქმნილებანი, რომლებიც მკვიდრდებიან ხალხის ცნობიერებაში ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის მიღწევათა გვერდით. არასოდეს არ ჰქონია ქართულ მწერლობას ზემოქმედების ისე ფართო სარბიელი, ისეთი საერთაშორისო რეზონანსი, არასოდეს არ მიუღწევია ქართველი მწერლის ხმას ისეთი შორეული სივრცეებისათვის, როგორც ჩვენს დროში.

ყოველივე ამას ქართველი ხალხი და ქართველი მწერლობა კანონიერად უმადლიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას, რამაც ისევე, როგორც ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სხვა სფეროში, უღრმესი ცვლილებანი, ძვრები და სიახლენი გამოიწვია ლიტერატურული შემოქმედების ყველა ქანრში.

2.

ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი საუკუნის დიდ ლირიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია საუკეთესო გამოხატულებაა იმ დიდი გარდაქმნისა და განახლებისა, რომელიც სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში განიცადა ჩვენი მწერლობისა, კერძოდ, პოეტური კულტურის ოსტატთა რევოლუციამდელმა თაობამ.

რევოლუციამდელ ქართველ მწერალთა შორის გალაკტიონ ტაბიძემ პირველმა გაბედულად და უყოყმანოდ უკუაგდო რევოლუციის წინა პერიოდის ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული დეკადენტური პოზიციები და შთაგონებულად უმღერდა ეპოქის დიად სოციალურ ძვრებს, ოქტომბრის ძლევამოსილ დროშას, ამ დროშის გარშემო დარაზმული რევოლუციური მასების საბრძოლო და შრომით გმირობას.

გალაკტიონ ტაბიძემ უშუალოდ იხილა ოქტომბრის დიადი დღეების ეპოპეა რუსეთში და საკაცობრიო ისტორიის ამ უდიდესი მოვლენის უშუალო განცდამ ცხოველი გამოძახილი და გამოხატულება ჰპოვა მის პოეზიაში. ეს იყო პოეტის ახალი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი, რომელიც პოემით „ჯონ რიდი“ და ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების ამსახველი მრავალი ლირიკული ლექსით აღნიშნა. შემდეგ ახალ პოეტურ ქმნილებებში გალაკტიონ

ტაბიძე ასახავს და უმღერის ოქტომბერს, როგორც ძველი სამყაროს ნგრევას, მსოფლიოს გათიშვას ორ მოპირდაპირე ბანაკად, კაცობრიობის ცხოვრების დიად განახლებას, მისი ნამდვილი ისტორიის დასაწყისს. მის პოემებსა და ვრცელ ლირიკულ ციკლებში: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“ და სხვ. შთამაგონებლად არის განსახიერებული საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა ოქტომბრის დღეებში შობილი ახალი სამყაროს ძლევამოსილებით. მისი მასულდგმულელებელი იდეების გარდაუვალი გამარჯვებისა. პოეტის ყოველი ლექსი უღერს „ახალი გრიგალებისადმი“ თავგანწირული ერთგულების, ეპოქის ქარიშხალთან ურყევი დგომის მგზნებარე მოწოდებად, შემდეგ პოეტი უფრო ორგანულად ეუფლება სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, უფრო კონკრეტულ, გრძობად-სახეობრივ ფორმებში ასახავს ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების მოვლენებს. მისი „რევოლუციური საქართველო“ პოეტური მატიანია ქართველი ხალხის განახლებული და აღორძინებული ცხოვრებისა, მისი ყველა ძირითადი მიღწევისა და წარმატებისა სოციალისტური მშენებლობის დიად გზაზე.

იშვითაიად ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ისეთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თავისი გამოძახილი და გამოხატულება არ ეპოვოს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტთა შორის გალაკტიონ ტაბიძემ ყველაზე მეტი სისავსითა და მრავალმხრივობით ასახა ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანის სულიერ მისწრაფებათა სამყარო.

უფრო გვიან, მაგრამ უაღრესად თანმიმდევრობითა და გულწრფელობით გადმოვიდნენ სოციალისტური. ლიტერატურის პოზიციებზე რევოლუციამდელი ქართული პოეზიის სხვა უმნიშვნელოვანესი ოსტატებიც: იოსებ გრიშაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, სანდრო შანშიაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე და სხვ.

იოსებ გრიშაშვილმა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გამოსათხოვარი საგალობელი უმღერა საკუთარი პოეტური წარსულისათვის დამახასიათებელი ეგზოტიკური, ვიწრო-პირადული, ინტიმურ-ბოჰემური თემებისა და განწყობილებათა სამყაროს და თავისი შემდგომი შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფლად დაუკავშირა ჩვენი ქვეყნის აღორძინებისა და სოციალისტური აღმავლობის დიად ეპოპეას. ჭერ ახალი თბილისის პოეტურ პეიზაჟებში გამოხატა მან მშობელი ქვეყნის განახლებისა და აღორძინების აღფრთოვანებული განცდა. შემდეგ, ქართული საბჭოთა პოეზიის სხვა მოწინავე ოსტატებთან ერთად ი. გრიშაშვილმა წრფელი და შთაგონებული სიმღერებით გამოთქვა საბჭოთა ხალხის განუზომელი ერთგულება და სიყვარული თავისი საბჭო-

თა სამშობლოსადმი. ამ დიად თემაზე დაწერილ ლექსებში ი. გრიშაშვილმა მიაღწია საბჭოთა ადამიანის უწმინდეს გრძნობათა და მისწრაფებათა გამოხატვის ძალას. მის პოეზიაში დამკვიდრებულმა საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობამ განსაკუთრებული მგზნებარება მოიპოვა დიადი სამამულო ომის დღეებში. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, ღრმა შემოქმედებითი ძალის ლექსებით მღეროდა გრიშაშვილი ამ უმაგალითო გმირული ბრძოლის დღეებში ჩვენი სამშობლოს უკვდავებისა და უძლეველობის საგალობელს, აღიღებდა სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცთა მკლავსა და გულს, ხატავდა სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის გმირული ცხოვრების ამსახველ სურათებს. ღრმად თავისებური ოსტატობით, მუსიკალობით, ფერადოვნებით, მგრძნობელობით აღბეჭდილმა მისმა პოეზიამ დიდი მორალაქიოზობრივი აქტუალობა და იდეურობა შეიძინა.

საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატთა რიგში დადგა აგრეთვე რევოლუციამდელი პოეტური თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ალექსანდრე აბაშელი. თუ ძველად მისი პოეზია აბსტრაქტულ პოეტურ სახეებში გამოხატავდა ქვეყნად ნათელისა და ბნელის კიდილს და გამოთქვამდა „შავი აჩრდილის“ მძვინვარებით დამფრთხალი და სასომიხილი ადამიანის სულისკვეთებას, ოქტომბრის ეპოქაში ალექსანდრე აბაშელი გახდა შთაგონებული მებოტბე და მომღერალი ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ და განუყოფლად დამკვიდრებული დიადი ნათელისა და ახალი ცხოვრებისა. „ფოლადური“ იყო ალ. აბაშელის ახალი პოეტური ცხოვრების დასაწყისის მომასწავებელი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები. ჩვენი დიადი დროების სადიდებლად ამღერებულ ლექსებით შემოვიდა პოეტი ჩვენი თანამედროვეობის თემებისა და იდეების განუსაზღვრელად მდიდარ სამყაროში და იქ იპოვა ჭეშმარიტი პოეტური შთაგონების დაუშრეტელი წყარო. მისი პოეზია ცხოვრების, ცოცხალი სინამდვილის გრძნობით განაყოფიერდა. მას ჩვენი გმირული სინამდვილის მღელვარე პათოსი დაეუფლა.

მიუხედავად იმისა, რომ სანდრო შანშიაშვილმა საბჭოთა წყობილების წლებში თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ სარბიელად დრამატურგია აირჩია, მან მაინც ფრიად თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. მისი ბალადები „დედისერთა ლენინთან“ „სნაიპერი“ და სხვა საბჭოთა პოეზიის ჭეშმარიტი ხალხურობის განმამტკიცებელი შესანიშნავი ნაწარმოებებია.

სანდრო შანშიაშვილისათვის ოდესღაც დამახასიათებელი მითიურ-ლეგენდარული სიუჟეტებით, მისტიკური მოტივებით, ჭარბი ინდივიდუალიზმით გატაცებანი ხალხის ყოფაცხოვრების კოლორიტულმა სურათებმა, მშობლიუ-

რი ბუნების მეტყველმა პეიზაჟებმა, ხალხის უწმინდესი იდეალების ამსახველ-
მა სიმღერებმა შესცვალეს.

ჩვენი თანამედროვეობის იდეებისა და თემების პოეტური განსახიერე-
ბისათვის გიორგი ქუჩიშვილმა გასული საუკუნის ქართული რეალისტური
ლირიკის ტრადიციებს მიმართა. ამ გზით მიაღწია მან პოეტური შემოქმედების
სისადავისა და ხალხურობის იმ ძალას, რომლის მეოხებითაც მისი ყოველი
ლექსი ადვილად აღწევს ხალხის გულამდე და გამოძახილს პოულობს მკითხვე-
ლთა ფართო ფენებში.

სოციალისტური სინამდვილის ზემოქმედებით ჩვენი პოეტური კულტუ-
რის ღრმად გარდაქმნისა და განახლების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ვა-
ლერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება. რევოლუციის წინა პე-
რიოდში ის ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტი თანმიმდევრობით განასახიერე-
ბდა სიმბოლისტურ-დეკადენტური მიმდინარეობის შემოქმედებით მრწამსს და
თავისი პოეტური შთაგონების სარბიელს მისტიკური წარმოდგენების, მირა-
ჟებისა და ფანტომების სამყაროთი განსაზღვრავდა. საბჭოთა ეპოქაში მისი
პოეზია დაეუფლა არა მარტო რეალური ცხოვრების თემატიკას, არამედ მეტ-
ყველების რეალისტურ ხერხებსა და საშუალებებსაც. დიდი ლენინის ხსოვ-
ნისადმი მიძღვნილი მისი ლექსი, მისი „ოქტომბრის სტრიქონები“, „ჩემო ქვე-
ყანავ“, „ისეთი ლექსი დავწერო მინდა“ და სხვ. — საბჭოთა ეპოქის ქართული
პოეზიის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

სწორედ საბჭოთა წყობილების წლებში შექმნილ ნაწარმოებთა მეოხებით
მოიპოვა თვალსაჩინო ადგილი უახლოეს ქართულ პოეზიაში კონსტანტინე ჭი-
ჭინაძემ. იგი თავისებური მსოფლშეგარდნებისა და პოეტური კონცეფციის ხე-
ლოვანი იყო. მას უფრო მშვიდი პოეტური ხილვა ახასიათებდა, უფრო გან-
ყენებული, ზოგად-ადამიანური თემები და პრობლემები იტაცებდა, თუმცა
სოციალისტური თანამედროვეობის მოვლენებსაც მან არა ერთი ჭეშმარიტი
ოსტატობით აღბეჭდილი პოეტური ნაწარმოები მიუძღვნა, ასეთია, მაგალი-
თად „საქართველოში ციხეა ორი“, „ჭიქას ასწევს ვარციხე“.. „გმირი“ და მრავალი
სხვა. მისი „რიონის აპოლოგია“ საბჭოთა პერიოდის ქართული პოეზიის
ერთ-ერთი საანთოლოგო ნაწარმოებია.

დიდი ადამიანური უშუალობა, წრფელი განცდა, დახვეწილი გემოვნება
ახასიათებს რაჟდენ გვეტაძის პოეტურ შემოქმედებას. მისი ლექსი ნათელი
სახეების მეშვეობით გადმოგვცემს პოეტის მიერ ღრმად განცდილსა და ნაგრ-
ძნობს. მასში ყოველთვის ცოცხალი სინამდვილის სუნთქვაა განსახიერებული.
მრავალი მისი ნაწარმოები: „მერკვილაძის დები“, „ვინც მზესავით ანათებს“,
„ომში დაღუპულ შალამბერიძეს“ და სხვ. ფართო პოპულარობით სარგებლო-

ბენ, როგორც ხალხის უწრფელეს მისწრაფებათა გამომხატველი ქმნილებანი საბჭოთა პოეზიისა. ლირიკული მღელვარებითა და ემოციური დაძაბულობით ხასიათდებიან შალვა აფხაიძის ლექსები, რომლებშიც ცხოვლად მოისმის საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისძგერა. ხან ნაზი მგრძნობელობით, ხან ხალხის საბრძოლო-პატრიოტული აღფრთოვანების გადმომცემი პათოსითა და სამშობლოს მტრებისადმი მრისხანებით გამსჭვალული მისი პოეზია ფხიზელი აზრისა და წრფელი განცდის ორგანულ მთლიანობაზეა დამყარებული.

თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთი მაღალნიჭიერი ოსტატი კოლაუ ნადირაძე, რომელიც წლების განმავლობაში დეკადენტურ-სიმბოლისტური სკოლის ტყვეობაში იმყოფებოდა, ახლა თავის შემოქმედებით პოეტენციას უფრო ადამიანის პირად ინტიმურ განცდათა და განწყობილებათა განსახიერებაში ავლენს, ვიდრე დიდი სოციალური იდეებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა ასახვაში. მაგრამ მანაც ჭეშმარიტი შთაგონებით აღბეჭდილი არა ერთი ნაწარმოები შესძინა ქართულ საბჭოთა პოეზიას; მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალი კოლხიდის პოეტური პეიზაჟები, საქართველოს დედაქალაქის, თბილისის, განახლებული ცხოვრების ამსახველი ლირიკული ქმნილებანი.

ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის განვითარებაში დიდად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს იმ პოეტებმა, რომლებიც თავის დროზე „ცისფერყანწელთა“ დეკადენტური პოეტური სკოლის ინიციატორებად და მესვეურებად გვევლინებოდნენ. პაოლო იაშვილი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეებში აღფრთოვანებული ლექსით მიესალმა თავისი სამშობლოს ამ დიად განახლებას. მისი ლექსი „ახალ საქართველოს“ ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ნიმუში იყო ქართული საბჭოთა პოეზიის აღმოცენებისა, რევოლუციამდელი ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატთა გულწრფელი გადმოსვლისა გამარჯვებული პროლეტარიატის პოზიციებზე. და თუმცა ოციანი წლების მანძილზე მის შემოქმედებაში მაინც საგრძნობი იყო სიმბოლისტური პოეტიკის ინერცია, ოცდაათიანი წლების დამდგენიდან მისი ცხოველი ტემპერამენტით აღბეჭდილი, მგზნებარე, ნათელი საღებავებით შესრულებული ლექსი წრფელად და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ძალით უმღეროდა ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ზრდა-აღმავლობის ეპოპეას. მისი ლექსები ახალ თბილისზე, სამგორზე, ჩვენი აღორძინებული ქვეყნის პოეტური პეიზაჟები, სატრფიალო ლირიკის მომხიბვლელი ნიმუშები და, ბოლოს, დაუმთავრებელი პოემის „გზა მშვიდობისას“ ფრაგმენტები, — ყოველივე ეს ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს ეკუთვნის. თავისი პოეტური ნიჭიერების სრული სიმწიფისა და რეალისტური ხელოვნების პო-

ზიციებზე მტკიცედ დამკვიდრების ხანაში წავიდა იგი ჩვენგან. მაგრამ მან მაინც შეძლო დაეტოვებია ისეთი მნიშვნელოვანი პოეტური მემკვიდრეობა, რომელსაც ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ისტორია.

იგივე უნდა ითქვას თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიით და ცხოვრების გზით პაოლო იაშვილთან განუყრელი, მაგრამ სრულიად განსხვავებული, ღრმად თავისებური ინდივიდუალობის პოეტის ტიციან ტაბიძის შესახებ. უკვე ოციანი წლების მეორე ნახევრიდან იგი თავს აღწევს დეკადენტურ გავლენებს და მტკიცედ შემოდის საბჭოთა პოეზიაში, როგორც მისი ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი. მისი ლექსების დიდი ციკლი, კერძოდ, საბჭოთა სომხეთისადმი მიძღვნილი, ქართული საბჭოთა პოეზიის დიდი შენაძენი იყო ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და მიეგობრობის თემაზე. ამას მოჰყვა მისი ლირიკული პოემა „სამშობლო“, რომელიც საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის წმინდა გრძნობის პირველი მაღალპოეტური განსახიერება იყო ჩვენს ახალ პოეზიაში. ღრმად ემოციური განწყობილებებით, უშუალოდ და თანაც მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი მისი ლექსები გულითადად უმღეროდნენ მშობელ ქვეყანას, მის დიდებულ ბუნებას, მის გმირულ წარსულსა და მისი ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს. ვ. მაიაკოვსკისადმი, ერნსტ ტელმანისადმი, დოლორეს იბარურისადმი მიძღვნილი ლექსებით ტიციან ტაბიძემ დიდად გააფართოვა ქართული პოეზიის თემატიკური დიაპაზონი და მას უნივერსალური ქლერა შესძინა. ტიციან ტაბიძის პოემა „რიონი-პორტი“ ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები იყო ქართული საბჭოთა პოეზიისა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული სოციალისტური აღმშენებლობის კონკრეტულ თემაზე.

სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში დაიწყო პოეტური მოღვაწეობა გიორგი ლეონიძემ, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში ჰპოვა მან თავისი იშვიათად მდიდარი და ღრმად თავისებური შემოქმედებითი ინდივიდუალობის სრული გამოვლინების შესაძლებლობა. გიორგი ლეონიძე არა მარტო ქართული პოეზიის, არამედ მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეტური კულტურის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატი გახდა. იგი დიდი შინაგანი ლირიკული პათოსის, მგზნებარე ტემპერამენტის, დაუცხრომელი პოტენციის ხელოვანი იყო. ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობის მდიდარი საგანძური, ჩვენი კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციები და თანამედროვე მოწინავე საკაცობრიო პოეტური კულტურის უმაღლესი მიღწევები შეადგენენ საფუძველს, რომლის ნიადაგზეც გიორგი ლეონიძემ გამოიმუშავა საკუთარი პოეტური ხმა, თანაბარი ძალით გამომხატველი თანამედროვეობის დიდი სოცია-

ლური მოვლენებისაც და საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრების უაღრესად ინტიმური მხარეებისაც. ღრმად ნაციონალური ქღერის მისი ფრთაასხმული პოეტური სიტყვა სწვდება ჩვენი ხალხის დღევანდელი თუ წარსული გმირული ცხოვრების უსაზღვრო მრავალფეროვნებას.

გიორგი ლეონიძემ სრული უფლებით უწოდა თავის თავს სამშობლოს ჩუქურთმის მტრელი და ახალი ქართლის თანამედროვე. მართლაც, პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობით დახატული პეიზაჟებით, ჩვენი ქვეყნის აღორძინების, ჩვენს სამშობლოში ახალი ცხოვრების ნათელის დამკვიდრების წარმომსახველი კოლორიტული სურათებით გ. ლეონიძემ პოეზიის უშრეტი შარავანდდით შემოსა ჩვენი დიადი დროება და მისი შემოქმედი ახალი გმირი. მაგრამ თანამედროვეობის სუნთქვით ღრმად გამსჭვალულ მის პოეზიას ისტორიზმის იშვიათად გამახვილებული გრძნობაც ახასიათებდა. მრავალ უტკნობ პოეტურ ქმნილებაში აღბეჭდა გ. ლეონიძემ ჩვენი სამშობლოს გმირული და სუსხიანი წარსულის ამღელვებელი ეპიზოდები, ჩვენი საამაყო წინაპრებისა და წინამორბედების ნათელი სახეები. გიორგი ლეონიძემ ძვირფასი წვლილი შეიტანა საბჭოთა პოეტური ეპოსის განვითარებაშიც. მისი ისტორიული პოემა — „სამგორი“ და ლირიკული პოემები „ბერშოულა“ და „ფორთოხალა“ თანამედროვე ქართული ეპიკური პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. „ფორთოხალაში“ დიდი შთაგონებით დახატული სახე ქართველი დედისა, მშრომელი გლეხის ქალისა, რომელსაც რაინდულად გადაუტანია მრავალი მძიმე განსაცდელი და ვაი-ვაგლახი, უმწიკვლოდ უმსახურნია სამშობლოსა და ერის მომავლისათვის, ხოლო ახლა გულწრფელად შეჰხარის კოლხეთის აღორძინებას და ახალი საქართველოს მშენებელ ადამიანებს, დღევანდელი ქართული პოეზიის დიდი მიღწევაა. ეპოპეაში „ბავშვობა და ყრმობა“ პოეტმა წარმოსახა ქართლის ბუნების გამომსახველი სურათები, ჩვენი ისტორიისა და ხალხის ყოფაცხოვრების კოლორიტული სცენები.

საბჭოთა წყობილების წლებში, განსაკუთრებით კი დიადი ხუთწლეულები-სათვის ბრძოლის წლებში, დაიმკვიდრა ილო მოსაშვილმა საბჭოთა პოეზიის მოწინავე ოსტატის რეპუტაცია. საბჭოთა პატრიოტიზმის თემა განსაზღვრავს მისი პოეტური შთაგონებისა და შემოქმედებითი ცხოვრების ძირითად შინაარსს. მის ლექსებში ცხოვლად სახიერდება საბჭოთა ხალხის ვაჟკაციური სულისკვეთება, მისი ნათელი ოპტიმისტური რწმენა, ურყევი ნებისყოფა. აქედან წარმოადგება ილო მოსაშვილის პოეტური პალიტრის ნათელი უჩრდილო საღებავები, მისი ლექსის მუსიკის განმსაზღვრელი ვაჟკაციური, მაჟორული აღმადრთოვანებელი ჰანგი.

ასეთი ახალი შემოქმედებითი ცხოვრება შთაბერა სოციალისტური რევო-

ლუციის ეპოქამ რევოლუციის წინა პერიოდის პოეტურ თაობათა საუკეთესო წარმომადგენლებს.

საყურადღებოა, რომ ქართული საბჭოთა პოეზიის სათავეებთან სწორედ ის პოეტები აღმოჩნდნენ, რომლებიც რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდნენ, როგორც გარკვეული შემოქმედებითი ინდივიდუალობისა და იდეურ-ესთეტიკური მრწამსის ხელოვანები. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეებში არც ერთი ქართველი მწერალი არ გაქცევია თავის განახლებულ სამშობლოს, არ გაჰყოლია უცხოეთში განიზნულ ემიგრაციას. პირიქით, ქართველ მწერალთა რევოლუციამდელი თაობა არა მარტო მთლიანად მხარში ამოუდგა ახალი ცხოვრების მშენებელ ხალხს და სავსებით გაიზიარა მისი ბედი, მისი ყველა სიხარულიც და სიძნელეებიც მშენებლობასა და ბრძოლაში, არამედ ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს ფუძემდებლური როლიც დაეკისრათ საბჭოთა ეპოქის ჩვენი მწერლობის აღმოცენებასა და განვითარებაში, კერძოდ კი, ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების გამომუშავებაში.

მაგრამ ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარების გზების გაკაფვისათვის, ჩვენი პოეტური კულტურის ახალი, სოციალისტური თვისებების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრებისათვის შემოქმედებითი ბრძოლის დიდი სიმძიმე მაინც პოეტების იმ ახალ პლეადას დაეკისრა, რომელიც თავისი წარმოშობით და მთელი შემოქმედებითი ცხოვრებით მთლიანად და უშუალოდაა დაკავშირებული ჩვენს სოციალისტურ თანამედროვეობასთან. საბჭოთა ეპოქაში წარმოშობილი და აღზრდილი პოეტური პლეადის საუკეთესო წარმომადგენლებიც ერთნაირი შემოქმედებითი ბიოგრაფიით როდი ხასიათდებიან. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო პოეტური ხმის, მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებით, პოეტური ნიჭიერებისა და პოტენციის სხვადასხვაობის თვალსაზრისით, არამედ შემოქმედებითი ფორმირების გზების მხრივაც.

თავისებური გზით მივიდა, მაგალითად, სოციალისტური ლირიკის შემოქმედებით პოზიციებამდე საბჭოთა პოეზიის ისეთი გამოჩენილი ოსტატი, როგორიც იყო სიმონ ჩიქოვანი. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებთან არის დაკავშირებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი. მაგრამ თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იგი ფუტურისტულ-ფორმალისტური „ნოვატორობის“, ე. წ. „სიტყვათქმედობის“ მისწრაფებებით უფრო იყო გატაცებული, ვიდრე რევოლუციური თანამედროვეობის იდეებისა და თემების პოეტური განსახიერებისათვის აუცილებელ ახალ რეალისტურ საშუალებათა ძიების ამოცანით. შემდეგ მისი პოე-

ტური ზრდა და დავაჟაკება სწორედ სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან შემოქმედებითი დაკავშირების გზით წარმართა და სწორედ ამ გზაზე მიიღწია მან დიდი დიაპაზონის შემოქმედებით წარმატებებს. უკვე ოცდაათიანი წლების დამდევისათვის სიმონ ჩიქოვანი ავტორი იყო მთელი რიგი შესანიშნავი ლექსებისა, რომლებშიც ასახულია ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ხალხთა დიადი მეგობრობის იდეა („კავკასიიდან ტაგანროგამდე“), ჩვენს ქვეყანაში ძველი პატრიარქალური ცხოვრების ჯებირების შეუჩერებელი რღვევა („უშგულის კომკავშირი“), ჩვენი სინამდვილის გარემოცვაში ადამიანის სულიერი სამყაროს ძირფესვიანი გარდაქმნა და განახლება („შემოდამება ხანმატში“).

თანამედროვეობის კონკრეტული თემების განსახიერებისას იჩინა თავი სიმონ ჩიქოვანის პოეტური ბუნების საუკეთესო თვისებებმა: სიახლის გრძნობამ, პოეტური აზრის სიმძაფრემ და აქტუალობამ, პოეტური ჩანაფიქრის ღრმა იდეურობამ, მოვლენათა პლასტიკური გამოხატვის ძალამ, პოეტური ფერწერის სიმკვეთრემ და კოლორიტულობამ, მხატვრული მეტყველების ახალ საშუალებათა ძიებაში იშვიათმა გაბედულებამ და გონებამახვილობამ.

ჩვენი სინამდვილის ყოველი მოვლენა სიმონ ჩიქოვანის პოეზიაში განსახიერებულია საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ახალ თვისებათა მკაფიოდ გადმომცემი საშუალებებით. სწორედ საბჭოთა ადამიანის ღრმად სადღეისო მისწრაფებათა ნათელით მოსავს პოეტი ჩვენს სახელოვან წარსულსაც, რომლის მრავალი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი და ისტორიული პერსონაჟიც გაცოცხლებულია მის მთელ რიგ საუკეთესო ნაწარმოებებში. ამ მხრივ პოეტის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს — „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა ფართო გამოხმაურება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში.

ს. ჩიქოვანის პოეტური ციკლები „პოლონეთის გზაზე“ და „გოეთეს ცაცხეები“ ომის შემდგომი პერიოდის ქართული პოეზიის ვყელაზე დამახასიათებელ მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. შემოქმედებითი ბიოგრაფიის დასასრულს ს. ჩიქოვანმა კიდევ ერთი ბრწყინვალე, მისი ნიჭიერებისა და ოსტატობის შესაფერისი ფურცელი ჩაწერა თანამედროვე ქართული პოეზიის მატიაწეში. ეს არის ორი დიდი ლირიკული ციკლი — „განჯის დღიური“ და „შემოდგომის საღამოები აჭარაში“, რომლებიც ნათლად გვიჩვენებენ, თუ თავისი ნიჭიერების როგორი ღმერთისა და მხატვრული აზროვნების როგორი გაღრმავების ასაკში წავიდა ჩვენგან პოეტური ხელოვნების ეს შესანიშნავი ოსტატი.

სხვაგვარი შემოქმედებითი გზა განვლო სოციალისტური რევოლუციის

ეპოქაში აღზრდილი პოეტური თაობის ისეთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, როგორცაა ალიო მირცხულავა (მაშაშვილი). იგი საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე იწყებს პოეტურ მოღვაწეობას და თავიდანვე თავის შემოქმედებით ცხოვრებას გამარჯვებული პროლეტარიატის საბრძოლო მიზნებსა და მისწრაფებებთან აკავშირებს. მართალია, თავისი ვრცელი და მდიდარი შემოქმედებითი გზის მანძილზე მას არაერთხელ განუცდია სხვადასხვა უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობათა ზეგავლენა, მაგრამ ეს ყოველთვის მოასწავებდა ხოლმე პოეტის დროებით გადახვევას იმ ძირითადი შემოქმედებითი პოზიციიდან, რომელიც სოციალისტური პოეზიის ჯანსაღი რეალისტური გზით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან უშუალოდ დაკავშირებული მიმდინარეობა ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ჩაისახა და წარმოიშვა. მაშინ ეს მიმდინარეობა სანდრო ეულის, ნოე ზომლეთელის, იონა ვაკელის, იაკინთე ლისაშვილის, პეტრე სამსონიძის და სხვათა შემოქმედებაში გამოიხატა. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე პერიოდში პროლეტარულ მწერალთა ამ თაობამ უკუნაღ „ქურას“ გარშემო თავი მოუყარა პროლეტარული მწერლობის ძალებს. მაგრამ პროლეტარული პოეზიის ამ პირველი თაობის შემოქმედებითი ბუნებისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტული თემატიკა, ე. წ. „კოსმიზმი“ და ახალი პოეტური ფორმის პრობლემისადმი უზრუნველი დამოკიდებულება შეუძლებელს ხდიდა ამ მიმდინარეობის მიერ ლიტერატურულ ფრონტზე ავანგარდული როლის მოპოვებასა და დამკვიდრებას. პროლეტარული პოეზიის მიერ ქართულ ლიტერატურაში წამყვანი და მოწინავე მდგომარეობის მოპოვება შესაძლებელი გახდა მწერლობის სარბიელზე იმ ახალი პლედის გამოსვლის მეორებით, რომლის ერთ-ერთი უძლიერესი და საუკეთესო წარმომადგენელია ალიო მირცხულავა.

თავიდანვე ალიო მირცხულავა გარკვევითა და მძაფრად დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლების ინერციას. მის ლექსებში პირველად პოვა მკვეთრი პოეტური გამოხატულება კომკავშირული ახალგაზრდობის სულიერმა ზრახვებმა და მისწრაფებებმა. დიდი ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილი ლექსებით და ისეთი ნაწარმოებებით, როგორც იყო მისი „ლაითურის კომკავშირი“, „ძველი მაზარა“, „რიქშა“ და სხვ., ახალგაზრდა პოეტმა ერთბაშად მოიხვეჭა პოლიტიკური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის რეპუტაცია. ამასთანავე იგი წერს საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაში ჩარჩენილი წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ მიმართულ მძაფრ სატირულ ნაწარმოებებს; შემდეგ მუშაობას იწყებს

საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ფართო პლანის ეპიკური ჟანრის ნაწარმოებებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „ენგური“.

ამავე პოეტურ თაობას ეკუთვნის თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ფრიად თავისებური და საინტერესო ოსტატი, კარლო კალაძე. იგი თავიდანვე პოეტური მეტყველების ახალი და ორიგინალური საშუალებების ძიებით იყო გატაცებული და მისი ლექსი მართლაც ორიგინალურ პოეტურ მონაფიქრსა და სიტყვის ხელოვნების უაღრესად ინდივიდუალურ თვისებებს შეიცავს. მის ლექსებს სიუჟეტური კომპოზიცია ახასიათებს. იგი აფართოებს საკუთარი ლირიკული შემოქმედების ფარგლებს და ხშირად მიმართავს ეპიკური ჟანრის, პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის ფორმებს. მას ეხერხება მშობლიური ბუნებისა და განახლებული ყოფა-ცხოვრების ცხოველი სურათების ხატვა. მისი ვრცელი ლირიკული ციკლები და ბალადებო „ხერთვისის განთიადები“, „მთების ეპოსი“, „ზღვის პირად“ მკაფიოდ გამოავლენენ პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის დასახელებულ თვისებებს.

სულ ახლახან კარლო კალაძემ გამოაქვეყნა ლირიკული პოემა „მამა“, რომელიც მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მასში საბჭოთა საზოგადოების სხვადასხვა თაობათა ურთიერთობის პრობლემა აღძრული და პოეტურად გადაწყვეტილი იმ ახალ სოციალურ-მორალურ ატმოსფეროსთან დაკავშირებით, რომელიც დამკვიდრდა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, ჩვენი პარტიის XX ყრილობის შემდეგ. პოემის გმირი, ძველი ბოლშევიკი, რომელიც უსამართლოდ და დაუმსახურებლად იყო დასჯილი, ახლა პოეტის ფანტაზიით გაცოცხლებული, სიყვარულით შესცქერის თავისი შთამომავლობის — შვილისა და შვილიშვილის წარმატებებს, რომლებშიც განზოგადებულად ნაგულისხმევი და გააზრებულია ჩვენი სამშობლოს განუხრელი მძლავრი აღმავლობა. პოემა ღრმა სიწრფელით, ნათელი აზრისა და მღელვარე გრძნობის ერთიანობით ხასიათდება; მასში მომხიბვლელი მხატვრული სიმართლეა მიღწეული, რასაც დიდად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ნაწარმოების სიუჟეტი ერთგვარად ავტობიოგრაფიულ მასალაზეა აგებული.

ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში მოვიდა პოეტების ახალი თაობა, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობით საგრძნობლად გააღრმავა და გააფართოვა ჩვენი პოეზიის კავშირი სოციალისტური სინამდვილის მოვლენებთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის ყოველდღიურობასთან, საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროსთან.

თავისი პირველივე ლექსებით ირაკლი აბაშიძემ გამოიჩინა იშვიათი ნიჭი-ერება და ძალა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური პრობლემების პოეტურად გააზრებისა, მათი ორგანულად დაკავშირებისა ადამიანის უპარესად ინტიმურ განცდათა სამყაროსთან, მათი ნამდვილად ლირიკული განსახიერებისა. მან შეძლო ესთეტიკურ ხარისხში აეყვანა და პოეტური ამღერების საგნად ექცია სოციალისტური ცხოვრების ყოველდღიურობის მოვლენები („ჩემს ობლივაციებს“). ირაკლი აბაშიძის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებში მართალი და წრფელი განსახიერება ჰპოვა საბჭოთა ახალგაზრდობის სულიერმა ბიოგრაფიამ („გადარჩენის ბაღადა“), ოქტომბრის პირმშო თაობის ხალისიანმა და ნათელმა განწყობილებებმა, მისმა ლაღმა, უჩრდილო, აღფრთოვანებულმა განცდებმა („პირველი თოვლის სიმღერა“, „ყვავილები ქალაქში“, „მბარადი გაზაფხული“).

ამ ლექსებში ირაკლი აბაშიძე გამოჩნდა მახვილი პოეტური სმენის, მძაფრი მგრძნობელობის, გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ლირიკული ხმის პოეტად-თანამედროვე ქართული პოეზიის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის ირაკლი აბაშიძის პოემა „წულუკიძის სიკვდილი“. მასში ცხოვლადაა განსახიერებული გმირულ-რომანიტიკული განცდა იმ დიადი რევოლუციური ბრძოლისა, რომელიც გაიშალა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩვენი საუკუნის დამდეგს.

ირაკლი აბაშიძის პოეტური ინდივიდუალობის თავისებურებამ განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი სამამულო ომის პერიოდში. ომის წლებში დაწერილმა მისმა არა ერთმა ნაწარმოებმა ღრმა გამოძახილი ჰპოვა ხალხის გულში, ხოლო ლექსმა „კაპიტანი ბუხაიძე“ ისეთი ხალხურობა და პოპულარობა მოიპოვა, როგორც მხოლოდ ჩვენი კლასიკური რეალისტური ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს ხვდომიანთ წილად.

ომისშემდგომი წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული გმირული შრომის მაღალ-პოეტურ გამოხატულებას შეიცავს ირაკლი აბაშიძის ლექსების ორი ციკლი: „სიმღერა მკის დროს“ და „ჰყვავის გურია“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა პოეზიაში არ გვქონია ხალხის შემოქმედებითი შრომის, შრომითი გმირობის ისეთი პოეტიზირებული განსახიერება, როგორც მოცემულია ირ. აბაშიძის ამ ორ ლირიკულ ციკლში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ციკლებში დახატული ცოცხალი, სისხლ-ხორციით სავსე ადამიანთა პორტრეტები, რომლებშიც ღრმა განზოგადებითი ძალით არის განსახიერებული ჩვენი ხალხის, კერძოდ, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანთა ხასიათის საუკეთესო თვისებანი, ჩვენი სამშობლოს რევოლუციური წარსულის გმირული რომანტიკა.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდისათვის დამახასიათებელი სიახლენი, რომლებიც აღმოცენდა და სულ უფრო მეტი ძალით მკვიდრდება ჩვენს მწერლობაში და, კერძოდ, პოეზიაში, ყველაზე მკაფიოდ და ღრმად გამომჟღავნდა ირაკლი აბაშიძის უკანასკნელ ლირიკულ ციკლებში: „მიახლოება ნახევარ საუკუნესთან“, „რუსთაველის ნაკვალევზე“ და განსაკუთრებით კი „პალესტინა, პალესტინა“.

ამ თავის ახალ პოეტურ ქმნილებებში ირაკლი აბაშიძემ პოეტური აზროვნების ისეთ სიღრმეს მიაღწია, მხატვრული მეტყველების საშუალებათა ისეთ ორიგინალობას და სრულფასოვნებას, იდეურ-თემატიკური ჩანაფიქრისა და პოეტური ფორმის ისეთ ჰარმონიულ ერთიანობას, რომ ეს ნაწარმოებნი არა მარტო ირაკლი აბაშიძის პოეტური ბიოგრაფიის საუკეთესო მიღწევებს, არამედ უკანასკნელი ათწლეულის მთელი ქართული პოეზიის ყველაზე ძვირფას შენაძენს წარმოადგენს. ლექსების წიგნი „პალესტინა, პალესტინა“ უკვე დამსახურებულ აღიარებას პოულობს მთელს საბჭოეთში და ღირსეულ ადგილს იჭერს მრავალეროვნული სოციალისტური ლირიკის პირველხარისხოვან ფასეულობათა საგანძურში.

პოეტმა ალექსანდრე გომიაშვილმა ლიტერატურულ სარბიელზე გამოსვლისთანავე ყურადღება მიიპყრო როგორც თავისებური თემატიკით, ისე სპეციფიკური პოეტური ხმით. თავდაპირველად მან განახლებული მთის ყოფაცხოვრების ამსახველი სურათები შემოიტანა პოეზიაში და, ამასთანავე, მთის პოეტური ფოლკლორსა და, განსაკუთრებით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ტრადიციებში ჰპოვა სათავე თავისი მხატვრული ინდივიდუალობისა. ყოველივე ამან თავისებური ელფერი მისცა მისი პოეზიის როგორც ლექსიკას, ისე მუსიკალურ ქღერას. უფრო გვიან მან თავისი დიაპაზონი გაათართოვა სამხედრო-თავდაცვითი თემატიკის, საბჭოთა არმიის საბრძოლო წვრთნისა და ყოფის ასახვით. პოეტის შემოქმედებითი დავაჟკაცება გამოიხატა მისი ბალადების ვრცელი ციკლით, რომელიც მრავალფეროვანი თემატიკით ხასიათდება და პოეტური მომთხრობელობის განვითარებულ ოსტატობაზეა დამყარებული. მისი პოეტური ნიჭიერების ყველაზე მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს ლექსი — „ადგილის დედა“, რომელიც ომისშემდგომი ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება.

ლექსის მიმზიდველი სისადავით ხასიათდება გიორგი კაჭახიძის შემოქმედება, რომელიც საბჭოთა ხალხის ახალი, სოციალისტური ყოფაცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებს, ხოლო უპირატესად, სოფლად სოციალისტური სამეურნეო და ყოფითი ურთიერთობის დამკვიდრების განმასახიერებელ სურათებს ხატავს. იგი პოეტური ნახატიის დაკვირვებული და გულმოდგინე ოსტატია. მისი

ლექსები ყოველთვის განცდის სიწრფელითა და მხატვრული სიმართლით იზიდავს მკითხველის ყურადღებას.

თანამედროვე ქართული პოეზიის მოწინავე ოსტატების რიცხვს ეკუთვნიან დავით გაჩეჩილაძე და ვიქტორ გაბესკირია. დავით გაჩეჩილაძე მდიდარი ფანტაზიისა და ფაქიზი გემოვნების ხელოვანია. იგი ლექსს აშენებს რთული ასოციაციებისა და ახალი, მოულოდნელი პოეტური სახეების ნიადაგზე. დავით გაჩეჩილაძის კალამს ეკუთვნის სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ძახილი უკვდავებისა“, რომელშიც მაღალი პოეტური განსახიერება ჰპოვა საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა გრძნობამ, გმირი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცურმა სულისკვეთებამ, ოპტიმისტურმა რწმენამ.

ვიქტორ გაბესკირია თანამედროვე ცხოვრებისა თუ ისტორიული წარსულის სურათებს პოეტური მინიატურების ფორმით განასახიერებდა. მან გამოიმუშავა მხატვრული მეტყველების საკუთარ საშუალებათა სისტემა, რომელიც მის ლექსს მკვეთრად გამოყოფს და განასხვავებს თანამედროვე პოეზიის მთელ მრავალფეროვნებაში. მის ლექსებში ღრმა შთაგონებითაა დახატული დასავლეთ საქართველოს ბუნების, კერძოდ; კოლხეთის ველის პეიზაჟები.

30-იანი წლების დასაწყისში შემოემატა ქართულ საბჭოთა პოეზიას ისეთი მრავალმხრივად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ძალა, როგორცაა გრიგოლ აბაშიძე. თანამედროვეობის გრძნობითა და მახვილი პოეტური აზრით აღბეჭდილი მრავალი ლირიკული ლექსის გარდა გრიგოლ აბაშიძემ დაწერა რამდენიმე პოემა, რომლებიც ლიტერატურაში ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციების აღორძინებას მოასწავებენ.

ჯერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების პირველ წლებში დაწერა მან პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“. მასში დიდი მხატვრული ძალითაა ასახული ერთ-ერთი მკაფიო ეპიზოდი იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოსა და ამიერკავკასიის მუსათა კლასი ბოლშევიზმის პოზიციების გარშემო ირანებოდა. პოემა „გიორგი მეექვსე“ ისტორიულ სიუჟეტზე აგებული ეპიკური ქმნილებაა, რომელიც მაღალი პოეტური ოსტატობით არის შესრულებული. ამ პოემას ავტორი სამამულო ომის დღეებში წერდა და ამიტომაც ნაწარმოები გამსჭვალულია იმ გმირული პატრიოტული აღფრთოვანების სულით, რომლითაც მოცული იყო მთელი საბჭოთა ხალხი იმ დიადი ბრძოლების ვითარებაში. სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ნაწარმოებია პოემა „ძღვევის ქედი“, რომელშიც დიდი შთაგონებითაა ასახული კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეა.

სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საუკეთესო ადამიანთა ტიპური სახეებია დახატული პოემაში „ზარზმის ზმანება“.

ამ პოემაში გრ. აბაშიძე პოეტური აღწერილობისა და მომთხრობელობის იშვიათ ოსტატად გვევლინება. მას ეხერხება სიუჟეტის მწყობრად ჩამოყალიბება და მისი კომპოზიციურად შეკვრა, გარემოცვის სურათების ცხოვლად წარმოსახვა, პოეტური დიალოგის ბუნებრივი განვითარება.

ქართული საბჭოთა პოეზიის აქტიურ შემოქმედებით ძალებად გვევლინებიან აგრეთვე გიორგი შატბერაშვილი, მაყვალა მრეველიშვილი, კალე ბობოხიძე, ვარლამ ყურული, მარია ბარათაშვილი.

სამამულო ომის წლებში თვალსაჩინო ხვედრითი წონა მოიპოვეს ქართულ საბჭოთა პოეზიაში იოსებ ნონეშვილმა, რევაზ მარგიანმა, ხუტა ბერულავამ, ალექო შენგელიამ, თ. ჯანგულაშვილმა, ვახტანგ გორგანელმა, ანდრო თევზაძემ.

ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მაღალნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტებმა: ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულმა მირზა გელოვანმა და სევერიან ისიანმა და ჩვენგან ნადრეკად წასულმა ლადო ასათიანმა და ალექსანდრე საჯიამ.

რაც დრო გადის, უფრო მეტად იზრდება ლადო ასათიანის ადგილი და მნიშვნელობა ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში. მის მღელვარე, მძაფრი შინაგანი დრამატიზმით აღბეჭდილ, ემოციურად დაძაბულ ლექსებში ხან სამშობლოს, მისი გმირული წარსულისა და ნათელი დღევანდლობის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობაა ფამოხატული, ხან მშობლიური ბუნების სილამაზით აღტაცების განცდა, ხან უაღრესად ინტიმური ადამიანური განწყობილებანი და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემებზე დაფიქრება. ამ ლექსებს აქვთ რაღაც თავისებური, განუმეორებელი მიმზიდველობის ძალა, რომელიც ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის, კერძოდ, ჩვენი ახალგაზრდობის გულში და თანმიმდევრულად ზრდის პოეტის პოპულარობას.

ცხოველ გამოძახილს პოულობს მკითხველთა ფართო ფენებში იოსებ ნონეშვილის ლექსები, რომლებიც უეჭველი ნიჭიერებითა და ნამდვილი შთაგონებით არიან აღბეჭდილნი. თავისი პოემით „ამბავი ერთი ქალიშვილისა“ და ღრმად აქტუალური ლირიკული ციკლებით, რომელთა შორისაც გამოირჩევა ლექსების წიგნი „ყაზახეთის ველზე“ და „სომხეთში“... პოეტმა დამსახურებულად მოიხვეჭა ფართო პოპულარობა და საპატიო ადგილი მოიპოვა საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ოსტატთა შორის.

უკანასკნელ წლებში ი. ნონეშვილმა ბევრი იმოგზაურა უცხოეთის ქვეყნებში. მსოფლიო თითქმის ყველა კონტინენტზე ყოფნისას მიღებული შთაბეჭ-

დილებანი მან განასახიერა ლექსებში, რომლებშიც საბჭოთა პატრიოტის მგზნებარე გულისძეგრა ისმის, მისი კანონიერი ნაციონალური სიამაყის გრძნობაა გამოხატული. თანამედროვეობის უმწვევესი სოციალური კონფლიქტების ასპექტში პოეტი წარმოსახავს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ყოფის კოლორიტულ სურათებს, რომლებშიც ღრმა აზრობრივი განზოგადებაა მიღწეული. მომხიბვლელი სისადავე და ბუნებრიობა ი. ნონეშვილის პოეტური მეტყველებისა ბედნიერად არის შერწყმული ლექსის იდეურ აქტუალობა-სთან.

რევაზ მარგიანის წიგნი „მუმლი მუხასა“ სამამულო ომის მონაწილე საბჭოთა მებრძოლის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს გამომხატველი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია თანამედროვე პოეზიაში. მისი ლირიკული ლექსების ციკლები ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის თემებზე დიდად ამდიდრებენ და ამრავალფეროვნებენ თანამედროვე ქართულ პოეზიას. მშობლიური სვანეთისადმი მიძღვნილ ლექსებში რ. მარგიანმა პოეტური პეიზაჟებისა და, კერძოდ, მთის ბუნების მხატვრობის საუცხოო ოსტატობა გამოავლინა. ხოლო ლექსების ახალ წიგნში „გამოღვიძება“ პოეტმა ლირიკული გმირის სულიერ სამყაროში ღრმა წვდომის, გრძნობათა სიწრფელის, აზრის სიმძაფრის, პოეტური მეტყველების მაღალი ბუნებრიობისა და უშუალობის იშვიათ ხელოვნებას მიაღწია. ამ წიგნით რევაზ მარგიანმა მტკიცედ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ქართული ლექსის პირველხარისხოვან ოსტატთა რიგში.

სამამულო ომის ფრონტებზე განცდილ შთაბეჭდილებათა უშუალო და წრფელი პოეტური განსახიერების ძალა შეადგენს შალვა ამისულაშვილის ლექსების მთავარ ღირსებას.

ხუტა ბერულავას ლექსები და პოემები დიდი მოქალაქეობრივი უღერიათ ხასიათდება. მათში პოეტი აღმაგზნებლად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების, თანამედროვეობის მღელვარე მოვლენებს. ხ. ბერულავას უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილი ლექსი ბელადის უკვდავების იდეით შთაგონებული შესანიშნავი პოეტური ქმნილებაა, იგი თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. პოემაში „რუსული გული“ პოეტმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული აღმავლობის სურათის ფონზე შთამაგონებლად გამოხატა საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის უწყმიდესი იდეა, რომელმაც ახალი წრთობა მიიღო დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ოთარ ჭელიძე უპირატესად სიუჟეტური ლირიკისა და პოეტური ეპოსის დარგში მოღვაწეობს. მისი ბალადები და პოემები, თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილნი, ამრავალფეროვნებენ და აფარ-

თოებენ ქართული პოეზიის ჟანრობრივ დიაპაზონს. მურმან ლებანიძეს უპირატესად ჟანრული ჩანახატები, ჩვენი ხალხის განახლებული ყოფის კოლორიტული სურათები ემარჯვება. მისი ლექსები ხალხის ცოცხალი, სასაუბრო ენის ინტონაციებით არის გამდიდრებული. მისი ახალი პოემა „ციმბირის პაპა“ ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ნაწარმოებია ქართულ პოეზიაში. სრულიად განსხვავებული მსოფლშეგრძნების პოეტია ალექო შენგელია. იგი უფრო თანამედროვეობის გმირის სულიერი ცხოვრების წიაღში, მისი პირადული განცდებისა და განწყობილების სფეროში პოულობს შთაგონების წყაროს. ამასთანავე პოეტი წრფელად უმღერის და ხატავს ჩვენი ქვეყნის ზრდისა და აღმავლობის დამახასიათებელ სურათებს. მაგალითად, მან ერთმა პირველთაგანმა მოგვცა ქართულ პოეზიაში ენგურჰეისის ნშენებელ ადამიანთა ცოცხალი პორტრეტების გაღერა და ამ პორტრეტებში თანამედროვეობის გმირის ხასიათის ტიპური თვისებანი განასახიერა.

პოეზიის სარბიულზე ფეხისშემოდგმისთანავე საყოველთაო მოწონება და აღიარება მოიხევეა პოეტმა ქალმა ანა კალანდაძემ. მის ლექსებში მკითხველს ხიბლავს გრძობათა სისპეტაკე და კეთილშობილება, ქალური სინაზე და კდემამოსილება, მოვლენათა ხედვისა და წარმოსახვის ღრმა ორიგინალობა, პოეტური გამომსახველობის საშუალებათა განუმეორებელი თვითმყოფადობა.

ომისშემდგომ წლებში ქართულ პოეზიაში მოსულ ახალგაზრდა ნიჭიერ ოსტატთა პლედრიდან მკითხველთა ფართო ფენებისა და ლიტერატურული კრიტიკის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს მუხრან მაჭავარიანმა, ოთარ ჭილაძემ, შოთა ნიშნიანიძემ, თამაზ ჭილაძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა, მორის ფოცხიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, გივი გეგეჭკორმა, ნოდარ გურეშიძემ, მედეა კახიძემ, ნაზი კილასონიამ, ლადო სულაბერიძემ, ვახტანგ ჯავახიძემ, ოთარ შალამბერიძემ. ესენი ერთმანეთისაგან ღრმად განსხვავებული ხელწერის პოეტებია, ყოველი მათგანი თანმიმდევრულად იმკვიდრებს საკუთარ ადგილს მშობლიური პოეზიის განვითარებაში, ყოველ მათგანს თემებისა და სახეების საკუთარი სამყარო ახასიათებს, ჰანგებისა და საღებავების საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხელოვნება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალმა პოეტურმა თაობამ უკვე საგრძნობი, განმაახლებელი გავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, როგორც იდეურ-თემატიური შინაარსის თვალსაზრისით, ისევე პოეტური გამომსახველობის საშუალებათა მხრივ. თუ მოვინდომებთ ამ ახალი პოეტური თაობის მთელი მრავალმხრივობა და მრავალნაირობა გავაერთიანოთ და განვაზოგადოთ რამდენიმე მთავარ ტენდენციაში, ჩვენ შეგვიძლია ამ თვალსაზრისით გამოვყოთ ერთმანეთისაგან მრავალმხრივად განსხვავებული, მაგრამ თანაბრად ნიჭიერი,

საინტერესო და მნიშვნელოვანი სამი პოეტი — მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე და შოთა ნიშნიანიძე. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში ცოცხლობს და მძლავრად ფეთქავს დიდი ცხოვრებისმოყვარეობის სულისკვეთება. იგი სიცოცხლის დამამკვიდრებელი, ხალისიანი შემართების განწყობილებით არის გამსჭვალული; ნათელი, უღრუბლო, ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება ასაზრდოებს მის ლაღად ამღერებულ ლექსს, რომელიც თითქოს არღვევს პოეტური მეტყველების ყოველგვარ შემზღუდველ ნორმებს და არტახებს, ამკვიდრებს საკუთარ ლექსალურ კანონზომიერებას. მისი ლექსის სასაუბრო ინტონაცია, ხშირად ჩვეულებრივ, ყოფით დიალოგამდე დაყვანილი ენობრივი ქსოვილი დიდი უშუალობის შთაბეჭდილებას ქმნის და წარმოშობს ბუნებრივ კონტაქტს მკითხველის სულიერ სამყაროსთან. მის ლექსს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული კოლორიტი ახასიათებს.

შოთა ნიშნიანიძე რთული ასოციაციებით გატაცებული, მეტაფორული აზრავნების პოეტია. მას აქვს საგნების და მოვლენების ორიგინალური ხედვის და მოულოდნელ პოეტურ სახეებში განსხეულების ნიჭიერება, მაგრამ ყოველივე ამას პოეტი ბედნიერად ათავსებს დიდ მხატვრულ სიმართლესთან, პოეტური ნახატის სიცხადესა და რეალისტურობასთან. ცოცხალი სინამდვილის სუნთქვა, თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, აქტუალური და ღრმად მნიშვნელოვანი აზრის უპირატესობა შეადგენს მისი ლექსის უდავო ღირსებებს.

ოთარ ჭილაძის პოეტური სამყარო კი გამძაფრებული გრძნობებით და განწყობილებებით, ღრმა შინაგანი დრამატიზმით ხასიათდება. მასში მთავარია ის განცდა, ის რეფლექსი, რომელთაც გარე სამყაროს მოვლენები აღძრავს პოეტის სულიერ ცხოვრებაში. ო. ჭილაძე ინტენსიურად მაძიებელი გონების ხელოვანია, იშვიათად თვითმყოფი პოეტური ხილვის შემოქმედი. ხშირად ძნელია მისი მხატვრული სახეების კომპლექსში ჩაქსოვილი აზრის გაშიფრვა და ლოგიკურ ენაზე გადათარგმნა. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც მის ლექსებს განწყობილებათა გადამღები მიმზიდველობის ძალა ახასიათებს. ფართოა ო. ჭილაძის სულიერი ინტერესების სფერო — იგი მოიცავს მშობლიურსა და უცხოურ მოვლენებს, თანამედროვეობისა და შორეული წარსულის, მითიურისა და რეალურის განცდებს. ო. ჭილაძემ დაამკვიდრა დღევანდელ ქართულ პოეზიაში თავისებური, ახლებურად გააზრებული ლირიკული პოემის უანრი, რომელსაც სხვადასხვაგვარად ანვითარებენ მისი თანატოლი თუ უმცროსი ასაკის სხვა ნიჭიერი პოეტები.

ჩვენს დღევანდელ პოეზიაში უკვე გამოჩნდნენ ახალი შემოქმედებითი ძალები. შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად მდიდრდება და მრავალფე-

როვნდება თაობათა ანსამბლი თანამედროვე პოეტური სიტყვის ოსტატებისა. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ეროვნული პოეტური პოტენციის ამოუწურაობის, ქართული პოეზიის ნერვის მარად უქცნობი სინედლისა და სემწვანის საწინდარი.

3

სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობს სინამდვილესთან მწერლობის ისეთ ორგანულსა და განუყოფელ ურთიერთობას, როგორც მიუწვდომელი და მიუღწეველი იყო ანტაგონისტურ კლასებად დაქსაქსული საზოგადოების წიაღში აღმოცენებული ლიტერატურისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრება, სინამდვილე თავისი უსაზღვრო მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით, თავისი განვითარებითა და ღრმა წინააღმდეგობებით, ადამიანის აზრთა და გრძნობათა რთული სამყარო, — აი სოციალისტური ლიტერატურის შთაგონების ერთადერთი წყარო და გამოხატულების ერთადერთი საგანი.

ჩვენი ლიტერატურის ამგვარი უაღრესად რენლისტური ხასიათი განსაზღვრავს მხატვრული პროზის ხვედრით წონას საბჭოთა მწერლობაში. ბუნებრივია, რომ ცხოვრების სრულად და მრავალმხრივად ასახვის მისწრაფებამ გამოიწვია საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ, თანამედროვე ქართულ მწერლობაში ნამდვილი აღორძინება მხატვრული პროზისა, რომელსაც განსაკუთრებით ფართო შესაძლებლობანი მოეპოვება სინამდვილის ტიპიურ მოვლენათა სიმართლით გადმოცემის, ტიპიურ ადამიანთა სახეების, მათი სულიერი სამყაროს სრულად დახატვის სფეროში.

მხატვრული პროზისა და კერძოდ, მისი უმთავრესი ჟანრის — რომანის განვითარება ყოველთვის და ყოველ ქვეყანაში მწერლობის რეალისტურ მიმართულებათა განმტკიცებასათან იყო დაკავშირებული და არაფერია გასაკვირი, რომ ყველაზე მეტად რეალისტური მწერლობა — სოციალისტური ლიტერატურა მხატვრული პროზის შემოქმედებითი აღმავლობის ნიშნის ქვეშ ვითარდება, რაც, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ამცირებს პოეტური თუ დრამატურული შემოქმედების ფასსა და მნიშვნელობას სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში.

საიდანდაც წარმოიშვა ყოვლად უაზრო და უსაფუძვლო „თეორია“, თითქოს ქართულ კლასიკურ მწერლობაში მხატვრულ პროზას ღარიბი შემოქმედებითი ტრადიციები ჰქონდეს, თითქოს მეცხრამეტე საუკუნეში დაქვეითებულიყოს ქართული მხატვრული პროზა და ქართველ საბჭოთა ბელეტრისტებს დასჭირვებოდეთ მემკვიდრეობრივი კანონზომიერების აღსადგენად უშუალოდ მიემართათ უძველესი ლიტერატურული ძეგლებისათვის — მერჩულედან საბა-სულხან ორბელიანამდე.

ეს თვალსაზრისი, რომელიც არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენს სალიტერატურო პრესაში, ქართული ლიტერატურის ნამდვილი ისტორიის უცოდინარობის ან განზრახ უგულვებელყოფის შედეგია.

სწორედ გასული საუკუნის მეორე ნახევარში იწყო თანმიმდევრული შემოქმედებითი აღმავლობა რეალისტური მიმართულების ქართულმა მხატვრულმა პროზამ. რომ არაფერი ვთქვათ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას ბელეტრისტულ ქმნილებებზე, საკმარისია დავასახელოთ ალექსანდრე ყაზბეგი და გიორგი წერეთელი. ხოლო 90-იანი წლებში ქართული კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურამ სწორედ ბელეტრისტულ ჟანრებში კპოვა თავისი განსაკუთრებით მეტყველი და მრავალფეროვანი გამოხატულება: ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, ვ. ბარნოვის, შ. არაგვისპირელის, ლალიონის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სხვათა რომანებისა და მოთხრობების სახით.

იყო ერთი პერიოდი უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ქართულმა მხატვრულმა პროზამ მართლაც ერთგვარი დაქვეითება განიცადა: ეს იყო 1905 წლის რევოლუციის მომდევნო ხანა, თვითმპყრობელური რეაქციისა და მენშევიზმის დიქტატურის წლები, როდესაც ქართულ ლიტერატურაში, სავსებით გარკვეული საზოგადოებრივი პირობების ვითარებაში, უპირატესი მდგომარეობა მოიპოვეს ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მწერლობის ზეგავლენით აღმოცენებულმა ანტირეალისტურმა სკოლებმა.

უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდშიც ქართულ ლიტერატურაში სავსებით როდი ჩამქრალა რეალისტური მხატვრული პროზის ჯანსაღი ტრადიცია. სწორედ ამ წლებში დაწერა თავისი არა ერთი ღრმად რეალისტური ნაწარმოები მე-20 საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთმა საუკეთესო ოსტატმა ნიკო ლორთქიფანიძემ. და ამავე წლებში შექმნა ლეო ქიაჩელმაც თავისი „ტარიელ გოლუა“, ეპოქის მაღალი სოციალური აზრით შთაგონებული ეს საუკეთესო, ჭეშმარიტად რეალისტური ქმნილება რევოლუციის წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურაში.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს რამდენიმე გამოჩენილი ვერ სცვლიდა საერთო მდგომარეობას. დემოკრატიული ცდუნებანი ჩვენს ლიტერატურაში ეპიკური ჟანრების, ფართო მხატვრული ტილოების გადაგვარებითაც გამოიხატა. ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ტრადიციები ამ პერიოდში დემოკრატიული მინიატურებისა და ნოველების პრაქტიკამ შეცვალა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ქართულ სალიტერატურო პრესაში დისკუსიაც კი მიმდინარეობდა იმ საკითხზე — შეიძლება თუ არა დაიწეროს ქართული

რომანისო. ზოგიერთები ეძებდნენ რაღაც სპეციფიკას, ქართველი ხალხის ისტორიული ბედისა თუ ქართული ნაციონალური კულტურის ბუნების რაღაც ისეთ თავისებურებას, რომელიც თითქოს შეუძლებელს ხდიდა რომანის ქანრის განვითარებას ქართულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა ახლა უაზრობა იქნებოდა მსჯელობის საგნად გაგვეხადა ეს უბადრუკი „თეორიები“, მაგრამ თავისთავად საკითხის ამგვარი დაყენებაც სავესებით დამახასიათებელი იყო მხატვრული პროზის მდგომარეობისათვის რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში.

სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში ქართული მწერლობის ნამდვილი აღორძინებისა და განუხრელი აღმავლობის ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელი ისიც არის, რომ დღეს ჩვენთვის უკვე პრობლემას როდი წარმოადგენს ქართული რომანის დაწერის შესაძლებლობა. ჩვენ ახლა გვყავს მხატვრული პროზის შესანიშნავ ოსტატთა მთელი პლეადა, რომელთა რომანებში, მოთხრობებში, ნოველათა წიგნებში მართალსა და მკვეთრ გამოხატულებას პოულობს ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრება და ბრძოლა, ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი გმირული ისტორია. საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი რევოლუციური სინამდვილის, ჩვენი თანამედროვეობის დიდი სოციალური ძვრების ანარეკლს წარმოადგენს, იმ დიადი განმაახლებელი და ამ აღორძინებელი ძალის გამოხატულებას, რომლითაც ოქტომბრის ძღვევამოსილი ქარიშხალი შეიჭრა ჩვენი ხალხის ცხოვრების, მოღვაწეობისა და სულიერი სამყაროს ყოველ სფეროში.

საბჭოთა ქართული მხატვრული პროზის ყველაზე დამახასიათებელ ნაწარმოებთა შინაარსს შეადგენს ახალსა და ძველს შორის ის შეუირიგებელი წინააღმდეგობა და ჭიდილი, რომელიც განუწყვეტლივ სხვადასხვა სახითა და ფორმით მიმდინარეობს ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში და რომელიც ყოველთვის ძველი, რეაქციული სამყაროს გადმონაშთების გარდაუვალი დაღუპვით, ახალი ცხოვრებისა და მისი შემოქმედი ადამიანის გამარჯვებით გვირგვინდება. ამგვარმა შინაარსმა, სოციალიზმის იდეამ, რევოლუციური თანამედროვეობის მაჯისცემასთან სულ უფრო და უფრო მზარდმა შემოქმედებითმა კავშირმა ძირფესვიანად შესცვალა და განაახლა ქართული მხატვრული პროზის არა მარტო თემატიკა და იდეური მიზანსწრაფვა, არამედ მისი პოეტიკაც, მხატვრული მეტყველების საშუალებათა სფეროც. დადებითმა გმირმა, თანამედროვეობის მოწინავე ადამიანმა, დაიჭირა ცენტრალური ადგილი ჩვენს მხატვრულ პროზაში. ამ გმირის ბედს თანამედროვე მწერალი გვისურათებს ჩვენი ხალხის ისტორიულ ბედთან, ეპოქის დიად სოციალურ ძვრებთან განუყოფელ ურთიერთობაში. თუ კლასიკური ქართული მხატვრული პროზის დადებითი გმი-

არი ყოველთვის მწვავე კონფლიქტში იმყოფებოდა მისი თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების მიმართ, თუ კლასიკური ქართული პროზის თითქმის ყველა ნაწარმოები დადებითი გმირის დაღუპვით მთავრდებოდა, საბჭოთა ქართულ მხატვრულ პროზაში მოქმედი მოწინავე ადამიანი ჩვენი დროის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ძლევამოსილებაში პოულობს პირად ბედნიერებასა და გამარჯვებასაც. ეს გარემოება ნათელ ოპტიმისტურ სულისკვეთებას ნერგავს თანამედროვე ბელეტრისტთა შემოქმედებაში და ხალისიანი საღებავებით ამდიდრებს მათ პალიტრას.

საბჭოთა პერიოდის ქართული მხატვრული პროზის განვითარებას თუ დაეუკვირდებით, დავინახავთ, რომ მისი შემოქმედებითი ზრდისა და აღმავლობის გზა სწორედ სოციალისტური თანამედროვეობის ცოცხალ სინამდვილესთან უფრო მეტი ორგანულობით დაკავშირებისაკენ მიემართებოდა. ამ მიმართულენით განვითარების გეზს აძლევდა ჩვენს ლიტერატურას და, კერძოდ, მხატვრულ პროზას, როგორც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სოციალისტური ბუნებისაგან გამომდინარე ამოცანები და მოთხოვნები. ისე ჩვენი ნაციონალური კულტურისა და კერძოდ, ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები.

ამ ტრადიციებისადმი ერთგულებისაკენ მომწოდებელ ანდერძად გაისმა საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში ქართველი საბჭოთა მწერლების პირველ ყრილობაზე მსცოვანი ბელეტრისტის ვასილ ბარნოვის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „დიდმა რევოლუციამ ხალხის გულში შეიტანა დიდი გარდაქმნა და მისცა მას ახალი საფიქრებელი და ახალი გზა ცხოვრებისა, ახალი სახეები მომავლისა. და ყველა ეს ხალხისათვის დიდად საიმედოა. შეუძლებელია მხატვრისათვის შეუგრძნობელი დარჩეს ეს, რადგან მხატვრული სიტყვა ცხოვრებას ახასიათებს, მის სახეებს ჩამოასხამს. როგორ შეიძლება არ შეიგნოს მხატვარმა-მწერალმა როგორი დიდი გარდატეხა შეიტანა ამ ისტორიულმა დიდმა ამბავმა ხალხის გულში, ხალხის სულისკვეთებაში, ხალხის ცხოვრებაში?.. ეს არც იქნება! საქართველოს ლიტერატურა ყოველთვის სასოებით მოელოდა ამ დიდებულ ხანას, ის თვითონ იღვწოდა ამ ხანის დამყარებისათვის“...

აღსანიშნავია, რომ არა მარტო ამ მრავლისმეტყველი დეკლარაციით, არამედ საქმიანაც, შემოქმედებითაც დავით კლდიაშვილმა და ვასილ ბარნოვმა მისცეს ჩვენს სამწერლო ინტელიგენციას გამარჯვებული საბჭოთა ხალხისადმი სამსახურის, საბჭოთა სახელმწიფოსთან გულწრფელი თანამშრომლობის მაგალითი.

ამ დროისათვის მათ უკვე განვლილი ჰქონდათ შემოქმედებითი ცხოვრე-

ბის მთავარი გზა, მაგრამ თავისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერჯის უკანასკნელი მარაგი მათ დაუზარებლად მოახმარეს საბჭოთა საქართველოს კულტურის აღმავლობის საქმეს და დაწერეს არა ერთი ნაწარმოები, რომლებიც ღირსეულად ამდიდრებენ ამ დიდ ხელოვანთა ბიოგრაფიას. იგივე უნდა ითქვას მათი თაობის მწერალი ქალის ანასტასია ერისთავ-ხოშტარის შესახებაც.

თუ ნიკო ლორთქიფანიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში ერთმანეთს ებრძოდა და უპირისპირდებოდა მოდერნისტულ-იმპრესიონისტული ტენდენცია და რეალისტური ხელოვნების პრინციპი, საბჭოთა პერიოდში მისმა შემოქმედებამ მეტი სოციალური სიმძაფრე და აქტუალობა მოიპოვა. თავის ახალ მოთხრობებსა და ნოველებში იგი უკვე გულისტყვილითა და თანაგრძნობით კი აღარ მოგვიტოვებდა „დანგრეული ბუდეების“ შესახებ, არამედ მწვავე და უღმობელი სიმართლით გვიხატავდა ფეოდალური სამყაროს, საერთოდ. ძველი ცხოვრების აღსასრულის მომასწავებელ სურათებს. ვრცელ მოთხრობაში „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ მწერალმა ასახა ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებული ბრძოლა თვითმპყრობელური წყობილების დასამხობად, ხოლო ნოველაში „მოქანდაკე“ გვიჩვენა თუ როგორ აამაღლა და შემოქმედებითი სიზარტულით შემოსა ჩვენმა დროებამ ხალხის უღარიბესი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდა ადამიანი.

„სულის დახატვა სხეულის დახატვაზე უფრო ძნელია“, ამბობს ნიკო ლორთქიფანიძე თავისი ერთ-ერთი მინიატურის პერსონაჟის პირით. და, მართლაც. თვით მწერლის მთელი შემოქმედება ადამიანის სულის მხატვრობის შესანიშნავ ნიმუშთა წყებას წარმოადგენს. ადამიანის სულიერ სამყაროში ჩაწვდომის, ამ სულიერი ცხოვრების მთელი მოძრაობის, მისი ურთულესი ნიუანსების გადმოცემის იშვიათი ხელოვნებით გვხიბლავს ნ. ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცი“, „კერიასათვის“, „ტრაგედია უგმირთ“, რომელთა მძაფრი, უღრმესი ფსიქოლოგიზმი კი არ გამორიცხავს, პირიქით, აუცილებლად გულისხმობს ცხოვრებისეულ მოვლენათა გააზრებისა და წარმოსახვის გამხვილებულ სოციალურ ასპექტს.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში დაწერილი მოთხრობებით „ქედუხრელნი“, „ტყვედყოფილის დაბრუნება“ და სხვ. ნიკო ლორთქიფანიძე ცხოვლად გამოეხმაურა ჩვენი ხალხის უმაგალითო პატრიოტულ აღფრთოვანებას დიდი სამამულო ომის წლებში.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის წარმატებათა შორის პირველხარისხოვანი ადგილი უპირავეს გამოჩენილი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილის რომანებსა და მოთხრობებს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჩვე-

ნი საუკუნის დამდეგს დაიწყო. მაშინ მან, მ. გორჯის შემოქმედებითი იდეებით შთაგონებულმა, „პატარა ადამიანების“ ყოფა-ცხოვრების მასალაზე დახატა იმდროინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მამხილებელი სურათები. თავისი პირველივე მოთხრობებით მან ცხოველი ინტერესი გამოიწვია, როგორც ნიჭიერმა ფაბულისტმა და ყოფითი სცენების საუცხოო მხატვარმა. მაგრამ რეაქციის წლებში შექმნილმა სულის შემსუთველმა ატმოსფერომ ფრთა შეაკვეცა ამ რეალისტი მხატვრის შემოქმედებით გატაცებას. მან შეწყვიტა წერა და მხოლოდ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დაუბრუნდა ლიტერატურის სარბიელს. ქართული საბჭოთა მწერლობის აღმოცენება-ფორმირების პირველ წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა მისი რომანები და მოთხრობები: „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ჯაყოს ხიზნები“, „თეთრი საყელო“, „გვიე შადური“, „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“ და მრავალი სხვა. ამ ნაწარმოებებით მიხეილ ჭავჭავიძე იღებდა ფართო პოპულარობა და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. მისი სათავეად საველო რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი გმირის სახელი გადავიდა ხალხში. როგორც საზოგადო სახელი — თაღლითობის, მატყუარობისა და კომბინატორობის განსახიერება. ასევე ხალხის მეტყველებაში გადავიდა „ჯაყოს ხიზნების“ გმირთა სახელები — „ჯაყო“, „ბრინჯა“ და სხვ. ამ რომანში მიხეილ ჭავჭავიძე იღებდა მწვავე საზოგადოებრივი საკითხები აღძრა და განსახიერა, რის გამოც წიგნმა ცხოველი რეზონანსი გამოიწვია. მიმზიდველი და დამაინტერესებელი თხრობით, აღწერილობათა სიზუსტითა და სიცხადით. ტიპიური სახეების მხატვრობით მ. ჭავჭავიძე იღებდა დამსახურებულად მოიპოვა პირველხარისხოვანი პროზაიკოსის რეპუტაცია.

მიხ. ჭავჭავიძე იღებდა ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიული რომანისტიკის განვითარებაშიც. მისი „არსენა მარაბდელი“ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთადერთი ისტორიული რომანია, რომლის მთავარი გმირი მშრომელი ხალხია თავისი მაღალი და კეთილშობილური მისწრაფებებით, თავისი გმირული და ვაჟკაცური ბრძოლით სოციალური სამართლიანობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის. ქართველი ხალხის საყვარელი გმირის — არსენა ოძელაშვილის სახე მწერალმა აიყვანა დიდი განზოგადების სიმადლემდე და ამ სახეში მკვეთრად განსახიერა მშრომელი გლეხკაცობის მეტროლი სული, მისი შეურიგებლობა ბატონყმური ტირანიისა და მეფის ბარბაროსული კოლონიური რეჟიმისადმი.

თავის უკანასკნელ ნაწარმოებში „ქალის ტვირთი“ მწერალმა ამაღლეველად მოგვითხრო რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ქართველი ხალხის გმირული ბრძოლების შესახებ.

ახალი შემოქმედებითი ცხოვრება მოიპოვა სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში თანამედროვე მხატვრული პროზის დიდმა ხელოვანმა ლეო ქიაჩელმა. რომანში „სისხლი“ და მთელ რიგ ნოველებსა და მოთხრობებში მან განავრცო და განავითარა თავისი რევოლუციამდელი შემოქმედების უმთავრესი თემა — თემა 1905 წლის რევოლუციისა და ამ დიდი სახალხო მოძრაობის დროებით ჩახშობით ჩვენი ხალხის ცხოვრებაში გამოწვეული ძალთა ახალი გადაჯგუფებისა, წინააღმდეგობათა ახალი გამწვავებისა. თავისი ნაწარმოებებით „თავადის ქალი მაია“, „ალმასგირ კიბულან“, „ჰაკი აძბა“ და სხვ. ლეო ქიაჩელმა პირველხარისხოვანი თანამედროვე ნოველისტის რეპუტაცია დაიმკვიდრა. ნოველაში „თავადის ქალი მაია“ ღრმა დამარწმუნებელი ძალით არის ნაჩვენები სოციალისტური რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასების სრული ზნეობრივი და ფიზიკური დეგრადაცია, მათი აუცილებელი სასიკვდილო განწირულება.

„ალმასგირ კიბულანი“ უკვე საბჭოთა ადამიანების შრომითი გმირობის მასალაზე აგებული ნაწარმოებია. აქ მწერალმა მთელი სისრულით გვეჩვენა როგორც ბუნების მკაცრ სტიქიონთან ძლიერი ადამიანის შებრძოლების ექსპრესული გამოხატვის, ასევე განსაკუთრებით დიდი განსაცდელით გულის სიღრმემდე შეძრული ადამიანის სულიერი დრამის გადმოცემის იშვიათი ძალა.

ასე თანმიმდევრულად დაუახლოვდა ლეო ქიაჩელი ჩვენი სოციალისტური სინამდვილის თემატიკას, რომელსაც მიუძღვნა თავისი საუკეთესო ქმნილება — რომანი „გვადი ბიგვა“, — ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მთელ საბჭოთა ლიტერატურაში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების თემაზე. ამ რომანში დიდი სიმართლითა და შთამაგონებელი ძალით არის ნაჩვენები თუ როგორ აღადგენს და აამაღლებს ჩვენი დიადი თანამედროვეობა ძველი ცხოვრების კოშმარით გატეხილსა და დაძაბუნებულ ადამიანს.

სამამულო ომის ეპოქას ლეო ქიაჩელი გამოეხმაურა მეტად საყურადღებო ნოველით „მამა და შვილი“, ხოლო ამ დიად თემაზე დაწერილი მისი რომანი „მთის კაცი“ კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეის ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში ისტორიული რომანის ჟანრის აღორძინება შალვა დადიანის შემოქმედებით მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. ამ მრავალმხრივ ლეწლმოსილმა მწერალმა და დრამატურგმა ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაშიც შეიტანა თავისი ფრიად თვალსაჩინო წვლილი. მის კალამს ეკუთვნის ისტორიული რომანი „გიორგი რუსი“, რომელშიც ისტორიული მასალის ცოდნითა და პოეტური განცდით ასახულია ძველი საქართველოს „ოქროს ხანა“, თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქა.

ეს იყო ერთ-ერთი პირველი ისტორიული რომანი საერთოდ მთელ საბჭოთა ლიტერატურაში. ამიტომ მწერალს დამოუკიდებლად უხდებოდა ძიება იმ შემოქმედებითი პრინციპებისა, რომლებიც შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდა მთელ რიგ საუკეთესო საბჭოთა ისტორიული რომანების, პირველ რიგში, ალექსეი ტოლსტოის „პეტრე პირველის“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

თავისი ცხოვრების მიწურულში შალვა დადიანმა შექმნა მრავალმხრივად საყურადღებო ბელეტრისტული ნაწარმოები „გვირგვინების ოჯახი“, რომელიც მსცავანი მწერლის ვრცელი, მდიდარი შემოქმედებითი გზის ღირსეულ დაგვირგვინებას წარმოადგენს. ამ რომანში ცხოვრებისეული მასალის ღრმა ცოდნით, დიდი სოციალური სიმძაფრით, მკაფიოდ გამოკვეთილი ადამიანური ხასიათებისა და კოლორიტული ჟანრული სურათების მწყობრი სისტემით გაცოცხლებულია ქართული სოფლის ვითარება ორი საუკუნის მიჯნაზე, ნაჩვენებია თავადაზნაურული წოდების სრული ქონებრივი და ზნეობრივი დეგრადაციის, მშრომელი გლეხკაცობის რევოლუციური გამოფხიზლების, სამრეწველო ცენტრებში გაღვივებული პროლეტარულ-რევოლუციური ბრძოლის ქარიშხლის სოფლად გადასვლისა და გამძლავრების მეტყველი სურათები. და ყოველივე ეს რომანში გამოხატულია გონებამახვილურად მოფიქრებული, საოცრად ორიგინალური სიუჟეტური კომპოზიციის ყალიბში.

ოციანი წლების დამდეგს საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში, დიიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩვენი დროის დიდმა ქართველმა ბელეტრისტმა კონსტანტინე გამსახურდიამ. მანამდე დაწერილ მის ლექსებსა და სხვა სახის ნაწარმოებებს მხოლოდ ლიტერატურული ვარჯიშისა და წრთობის, დიდი სამწერლო ცხოვრებისათვის სამზადისის მნიშვნელობა აქვთ.

ოციანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში მან ერთბაშად დაიკავა უაღრესად თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ადგილი. ამ პერიოდის თავის წოველებში („ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუ“, „ჯამუ“, „ტაბუ“ და სხვ.) და რომანში „დიონისეს ღიმილი“ — მწერალი უპირატესად იმ სულიერი და ფიზიკური კატასტროფის მხატვრულ მემატინანედ გვევლინებოდა, რომელიც სოციალისტურმა რევოლუციამ განუშადა რეაქციულ კლასებს. მართალია, ამ ნაწარმოებებში წარსულის ბნელი გადმონაშთებია დაყენებული თხრობის ცენტრში და მათ მიმართ მწერალი გარკვეულ თანაგრძნობასა და სიბრალულს იჩენს, ზოგჯერ დიდების შარავანდედითაც კი მოსავს მათ, მაინც მათი გარდაუვალი დაღუპვისა და განწირულების ეს სურათები ოქტომბრის რევოლუციის იდეების ძლევამოსილებას, ახალი ცხოვრების უძლეველ ენერგიას მოწმობენ. ამ პირველ ბელეტრისტულ ნაწარმოებებში ნათლად გამოჩნდა და ჩამოყალი-

ზდა კ. გამსახურდიას უაღრესად თავისებური მხატვრული სტილი, მხატვრული მეტყველების საშუალებათა უაღრესად ორიგინალური და თავისებური სიტემა, რომელსაც თვით მწერალმა „ლირიკული პროზა“ უწოდა.

ოცდაათიანი წლები კ. გამსახურდიას სამწერლო ბიოგრაფიაში დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობით აღინიშნა. მან შექმნა სამტომიანი რომანი „მთვარის მოტაცება“, რომელიც დიდი მოვლენა იყო ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში და დღემდე რჩება და მუდამაც დარჩება ჩვენი საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. ამ რომანში კ. გამსახურდია ოცდაათიანი წლების ჩვენს სინამდვილეში გაჩაღებულ მწვავე სოციალურ კონფლიქტებს გამოეხმაურა და წარმოსახა აღმავალ ახალსა და მონაკვდავ ძველს შორის გამწვავებულ ოს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლითაც საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი პერიოდი აღინიშნა. მართალია, ამ ნაწარმოებშიც მწერალი უფრო მეტი მხატვრული სისრულითა და სისხლხორციანობით ხატავს სასიკვდილოდ განწირული სამყაროს უკანასკნელ გადმონაშთებს, იმ სამყაროს ადამიანებს, რომელთა ბედიც დამარწმუნებლად განასახიერებს ძველი ცხოვრების აუცილებელ მსხვერვისა და სრულ კატასტროფას, მაგრამ მთლიანად ნაწარმოები გამსჭვალულია ახალი სამყაროს ძლევამოსილების რწმენით. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ ფართო და დიდი ემოციური ძალის მხატვრული ტილოს იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა.

ოცდაათიან წლებში შექმნა კ. გამსახურდიამ თავისი პირველი ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომლითაც ძვირფასი წვლილი შეიტანა საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის განვითარებაში. ამ ჰემშიარიტად წარმტაცი და მომხიბვლელი მხატვრული ქმნილების სახით პირველად გამოიხატა ქართულ მწერლობაში ჩვენი ეროვნული ისტორიის ის დიდად მნიშვნელოვანი ეპოქა — მე-10 და მე-11 საუკუნეთა მიჯნა, როცა არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თავდაღწეული საქართველო იწყებდა თავისი დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღორძინებას, თავისი მიწა-წყლიდან უცხოელ დამპყრობთა განდევნას, ქვეყნის გააოლიანებას. ამ დიდ ბრძოლათა ვითარებაში აღმოცენებას იწყებდა ქართული რენესანსის პირველი ყლორტები, უღრმესი ძვრები მიმდინარეობდა ერის სულიერ ცხოვრებაში. ყოველივე ეს დიდი მხატვრული ძალით და იშვიათი ექსპრესიით არის განსახიერებული „დიდოსტატის მარჯვენის“ გმირთა პირადი ბედის, მათი ურთიერთობის მომთხრობელ სიუჟეტში, რომელიც უკიდურესად დაძაბული, დიდი დრამატული ჟღერის კომპოზიციურ ყალიბში მიმდინარეობს.

„დიდოსტატის მარჯვენის“ ორგანიულ გაგრძელებას წარმოადგენს კ. გამ-

სახურდიას ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელიც მიძღვნილია საქართველოს ისტორიის უდიდესი გმირის, თავისი საუკუნის ყველაზე განათლებული მონარქის და სწორუპოვარი მხედართმთავრის დავით აღმაშენებლისადმი, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქისადმი. ეს უფართოესი მხატვრული ტილოა ქართული მწერლობის ისტორიაში. მასში დიდი პატრიოტული გზნებით და ეროვნული სიამაყის გრძნობით არის ნაჩვენები ქართველი ხალხის, საქართველოს სამეფოს როლი და მნიშვნელობა შუასაუკუნეობრივი მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრებაში, აღწერილია ის ტიტანური ბრძოლები და დიდი გაქანების შემოქმედებითი შრომა, რომლითაც მზადდებოდა ძველი საქართველოს „ოქროს საუკუნის“ — თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის დიადი ეპოქა. კ. გამსახურდიას გამომუშავებული აქვს ისტორიული რომანის თავისებური კონცეფცია. ეს შეეხება როგორც მის თვალსაზრისს ისტორიული ფაქტოლოგიისა და პოეტური ფანტაზიის ურთიერთობის საკითხში, ისე ისტორიული რომანის ენისა და სტილის სფეროში.

განსაკუთრებულ ძალას კ. გამსახურდია მხატვრული აღწერილობის სფეროში იჩენს. ამასთანავე იგი ფართო ისტორიულ ერუდიციას ფლობს და დიდი მხატვრული პოტენცია გააჩნია. მეტად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს ამ გამოჩენილი ბელეტრისტის შემოქმედებაში მისი ახალი რომანი „ვაზის ყვავილობა“. ამ ნაწარმოებში მწერალმა ასახა ის ღრმა ცხოვრებისეული კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვის გზითაც იზრდება და მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში ახალი, სოციალისტური სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი. რომანის დიდ ღირსებას შეადგენს მასში მკაფიოდ დახატული სახეები ჩვენი დროის მოწინავე ადამიანებისა, რომელთა სულიერი სამყაროს მაღალი თვისებანი სწორედ წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ დაუნდობელსა და ძლევამოსილ ბრძოლაში გამოვლინდებიან.

საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დემნა შენგელაიას. მისი „სანავარდო“ იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ერთ-ერთი პირველი ნიშანი მხატვრული პროზისა და კერძოდ, რომანის ჟანრის ახალი აღორძინებისა. „სანავარდოს“ წერის დროს დ. შენგელაია ჯერ არ იყო დაუფლებული რეალისტური ხელოვნების ოსტატობას. მაშინ ახალგაზრდა ბელეტრისტი საგრძნობლად განიცდიდა სიმბოლიზმისა და ფორმალიზმის გავლენას. მაინც „სანავარდოში“ ავტორმა მკვეთრად გამოხატა რწმენა ძველი სამყაროს გადმონაშთების კატასტროფისა, ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისა. უკვე მაშინვე დ. შენგელაია საკუთარი მსოფლშეგრძნებისა და ღრმად ინდივიდუალური სტილის მხატვრად

მოგვევლინა. სიტყვის პოეტური განცდა, ლირიზმით გამსჭვალული, ემოციურად გამძაფრებული თხრობა, მხატვრული ზომიერების გრძნობა და დახვეწილი გემოვნება ახასიათებს მის ბელეტრისტულ შემოქმედებას. მოთხრობების მთელ ციკლში „გურამ ბარამანდია“, „თებერვალი“, „პორტში“ და სხვ. მწერალმა ასახა სამოქალაქო ომის მრისხანე დღეები და ქართველი ხალხის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორც იყო საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. საბჭოთა წყობილების დამყარება.

რომანში „ბათა ქექია“ დემნა შენგელაიამ ყოფაცხოვრებითი მასალისა და ადამიანურ ხასიათთა კოლორიტულად ხატვის ნაცადი ოსტატობით ასახა სამეგრელოს გლეხკაცობის ცხოვრება ბატონყმური ინსტიტუტის „გაუქმების“ დროიდან — ვიდრე 1905 წლის რევოლუციამდე. ამ რომანის უკანასკნელ თავებში ღრმა მგზნებარებით არის გადმოცემული ქართველი გლეხობის თავდადებული ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. დ. შენგელაიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე „ცისკარი“ და „შთაგონება“. პირველში გამოხატულია გასული საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის ხელოსანთა ცხოვრებისა და შრომის ფრიად სპეციფიკური სამყარო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში, ხოლო მეორე რომანი „შთაგონება“ შეიცავს მრავალ დამახასიათებელ ეპიზოდს როგორც ჩვენი ხალხის ახლო რევოლუციური წარსულიდან, აგრეთვე, საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომისა და ახალი ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის სინამდვილიდან. დიდი სამამულო ომის ეპოპეას მიუძღვნა დ. შენგელაიამ ვრცელი მოთხრობა „წითელი ყაყაჩო“. თავის ახალ მოთხრობაში „განძი“ იმწერალმა შთამბეჭდავად გვიჩვენა კერძომესაკუთრული ინსტინქტების დამამახინჯებელი ზემოქმედება თანამედროვე ადამიანის ბუნებაზე და დამარწმუნებლად დაგვანახა წარსულის ამ ბნელი გადმონაშთის სასიკვდილო განწირულება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეში.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხოვან ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის სერგო კლდიაშვილი. მხატვრული სიმართლე, თხრობისა და აღწერილობის მომხიბლავი ბუნებრიობა და ლაკონიზმი ახასიათებს მის საუკეთესო ნოველებსა და მოთხრობებს. სერგო კლდიაშვილის „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებია მთელ ქართულ ლიტერატურაში პირველი იმპერიალისტური ომის თემაზე. განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით არის ასახული ამ რომანში იმერეთის სოფლის, საერთოდ ქართველი გლეხკაცობის დუხჭირი ყოფა იმ საზარელი მტაცებლური ომის წლებში.

სერგო კლდიაშვილის „პროვინციის მთვარე“ გვიხატავს, თუ როგორი გარდამქმნელი ძალით შეიჭრა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით შექ-

მნილი ახალი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, როგორი გამანადგურებელი ძალით დაარტყა ამ ახალი ცხოვრების ძლევამოსილმა ტალღამ რეაქციულ-პარაზიტულ კლასებს. ფართოა და მრავალფეროვანი ს. კლდიაშვილის თემატიკა. „სვანური ნოველების“ ციკლში მწერალმა ღრმა შემოქმედებითი გზებით გადაშალა ჩვენს თვალწინ ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის. სოციალური კონფლიქტების, ადათ-ტრადიციების სრულიად თავისებური სამყარო. აღსანიშნავია, რომ ეს ნოველები თავისუფალია ყოველგვარი ეგზოტურობისაგან და მწერლის მახვილ რეალისტურ ხილვას ემყარებიან.

მთელ რიგ მოთხრობებში „ზეიმი“, „მტრები“, „თქვენი გამარჯვებისა“ და სხვ. მწერალმა მოგვცა ჩვენს ქვეყანაში ახალი სოციალისტური ყოფის დამკვიდრების ამსახველი სურათები, ხოლო უკანასკნელ წლებში მან არა ერთი ნოველა უძღვნა დიდი სამამულო ომის თემას და ჩვენი ხალხის ახლანდელ ომისშემდგომი პერიოდის ცხოვრებასა და შრომას. უკანასკნელ წლებში ს. კლდიაშვილი იჩენს თანმიმდევრულ მისწრაფებას ფართო ეპიკური ტილოებისადმი. ასეთი მისწრაფების მომასწავებელია მისი რომანი „მყუდრო სვანე“, რომელიც „პროვინციის მთვარის“ სიუჟეტზეა აგებული, და „ფერფლის“ მეორე წიგნი.

ჩვენს ლიტერატურაში ახალი ადამიანის სახის გამოხატვისა და, კერძოდ, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის ბრძოლის ასახვის თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი მიიპოვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანმა „კოლხეთის ცისკარმა“. ეს იყო პირველი ნაწარმოები ქართულ საბჭოთა მწერლობაში, რომელშიც მართალი გამოხატულება ჰპოვა სოფლის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ.

ამ რომანის მთავარი გმირი მექი, რომელიც საბჭოთა სოფელში გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ დაბეჩავებული მოჯამაგირის მდგომარეობიდან აამაღლა, თავის დროზე მოასწავებდა ქართულ საბჭოთა მწერლობაში დადებითი გმირის, ახალი ფორმაციის ადამიანის ტიპიური სახის დამკვიდრებას.

სამამულო ომის წლებში კ. ლორთქიფანიძემ რამდენიმე საყურადღებო მოთხრობა დაწერა, ხოლო ამჟამად ნაწილ-ნაწილ ქვეყნდება მისი ახალი რომანი „ნატურის თვალი“, რომელშიც დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით წარმოსახება ომისშემდგომი ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი ახლებური კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით. ამ ნაწარმოებებში კიდევ უფრო მეტად გამახვილებულია მწერლის რეალისტური ხედვა, მისი სოციალური პოზიცია სინამდვილის მიმართ. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში კ. ლორთქიფანიძის წიგნს

„უკვდავება“. იგი ასახავს მოძმე ბელორუსი ხალხის გმირულ ბრძოლას სოციალისტური რევოლუციის საქმისათვის. ეს ნაწარმოები რაჟდენ გვეტაძის ბელორუსული ნოველების ციკლთან ერთად მოასწავებს ქართული მწერლობის შემოქმედებითი სარბიელის გაფართოებას, ჩვენ ლიტერატურაში მოძმე ხალხთა ცხოვრებისა და ბრძოლის თემატიკის შემოსვლას.

რაჟდენ გვეტაძემ, რომელიც პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა მხატვრულ პროზაშიც, თავის რომანებში „თეო“, „ქიაკოკონა“ და „ლაშაური საღამოები“ ცხოვლად ასახა ის მწვავე სოციალური კონფლიქტები, რომელთაც განსაზღვრეს ქართველი ხალხის ცხოვრების მთავარი შინაარსი ჩვენს საუკუნეში და რომელთა ლოგიკამაც სოციალური რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საბოლოო დამკვიდრებამდე მიგვიყვანა.

რ. გვეტაძის „მართალი ნოველები“ წარმოადგენს სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საგმირო საქმეთა წრფელ გამოხატულებას. ეს წიგნი დღემდე რჩება ქართული მწერლობის მიერ ამ დიადი თემისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ მკაფიო ნაწარმოებად, ისევე როგორც გიორგი ნატროშვილის ნოველებისა და მხატვრული ნარკვევების ციკლი, სადაც ცოცხლად, შთამაგონებლად, გულის სიდრმეში ჩამწვდომი სიწრფელით არის მოთხრობილი ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა სწორუპოვარი გმირობისა და კეთილშობილური სულიერი სამყაროს დამახასიათებელი ეპიზოდები.

ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ქართველი მშრომელი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ მენშევიკური დიქტატურის დამხობისა და საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის მეტყველი მხატვრული განსახიერება ჰპოვა ალექსანდრე ქუთათელის მრავალტომიან რომანში „პირისპირ“.

ეს მართლაც ფართო პლანის მხატვრული ტილოა, რომელიც ასახავს ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების ხანმოკლე, მაგრამ ფრიად რთულსა და მძაფრ პერიოდს. პირუთენელი სიმართლით, ისტორიული პერსპექტივის ფხიზელი გრძნობით გვიხატავს მწერალი სოციალურ გარემოს, გვიჩვენებს ქალაქად და სოფლად დაპირისპირებულ სოციალურ ფენათა შეურიგებელ წინააღმდეგობებს, გვიხატავს ამ ფენების ტიპიურ ადამიანთა სახეებს. თანაბარი წარმომსახველობითი ძალით გადაშლის ავტორი ჩვენს თვალწინ ხალხის რევოლუციური ამხედრების, შეიარაღებული აჯანყების ეპიზოდებს, თუ ამ პერიოდის სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ყოფაცხოვრების კოლორიტულ სურათებს.

ნოველებისა და მოთხრობების რამდენიმე წიგნი გამოაქვეყნა ნიჭიერმა

ბელეტრისტმა აკაკი ბელიაშვილმა. იგი ფლობდა დამაინტერესებელი ფაბულის შეთხზვის, სიუჟეტის დინამიკურად გაშლის, მიმზიდველი მომთხრობელობის ძალას. მისი მხატვრული ინდივიდუალობის თავისებურებას ჰუმორის გრძნობა შეადგენს. მრავალფეროვნად არის გამოხატული მის ნოველებსა და მოთხრობებში ახალი ყოფა-ცხოვრების აღმავლობა და დამკვიდრება ჩვენს სამშობლოში. ძველი ყოფის, ოჯახურ და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძველ დრომოკმულ ფორმათა გადანაშთების კვდომა ჩვენს რევოლუციურ ეპოქაში.

აკაკი ბელიაშვილის „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული რომანის ჟანრის დამკვიდრების მომასწავებელი ნაწარმოებებია. ჩვენი თანამედროვეობის ღრმად აქტუალურ მოვლენებს შეეხება უკანასკნელი წლების მისი რომანები „უდელტეხილი“ და „რუსთავი“. თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მწერალი გატაცებით მუშაობდა ახალ რომანზე „შვიდკაცა“, რომლის პირველი წიგნიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი შემოქმედებითი გზებით ეხმაურებოდა ეს მაღალნიჭიერი ხელოვანი ჩვენს სინამდვილეში აღმოცენებულ ახალ მოვლენებს, როგორი ცხოვრებისეული სიმართლით და ფართო განზოგადებითი აზრით წარმოსასვდა მათ.

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნების ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს დავით სულიაშვილის შემოქმედება. მისი ძირითადი ნაწარმოებნი ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებენ. მწერალი მოგვითხრობდა მის მიერ განვლილ მდიდარ და მრავალმხრივად საყურადღებო ცხოვრების გზაზე ნანახისა და განცდილის შესახებ. ამავე დროს მის ნაამბობში ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის ამალეღვებელი ეპიზოდები.

რამდენიმე რომანი და მოთხრობა დაწერა რევოლუციური თანამედროვეობის თემაზე იაკინთე ლისაშვილმა. მაგრამ მის შემოქმედებაში განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ-რევოლუციური რომანი „კეცხოველი“, რომელშიაც ასახულია მგზნებარე რევოლუციონერის ლადო კეცხოველის შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ბორის ჩხეიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირების პირველ პერიოდში მიიპყრო ყურადღება თავისი ნიჭიერი ნაწარმოებით „დღეები“, სამამულო ომის წლებში დაწერა მთელი რიგი მოთხრობები, რომელთა შორის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოთხრობამ „ომგადახდილი“. უკანასკნელად ბ. ჩხეიძემ გამოაქვეყნა რომანი „ლიახვის პირას“, რომელიც გასული საუკუნის მიწურულიდან საქართვე-

ლოში აღმავალი რევოლუციური მოძრაობის სურათებს ხატავს. საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარების სრული სურათის გათვალისწინებინათვის აუცილებელია აღვნიშნოთ, აგრეთვე, პანტელეიმონ ჩხიკვაძის, როდიონ ქორჭიას, ელიზბარ ზედგინიძის, პარმენ ლორიას, მარიაშ გარიყულის, გრიგოლ ჩიქოვანის, არჩილ ჩაჩიბაიას რომანები, მოთხრობები და ნოველები რევოლუციური თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე.

ცალკე მიმოხილვის თემას შეადგენს ბელეტრისტა იმ თაობის შემოქმედება, რომელიც ომისშემდგომ წლებში გამოვიდა ქართული ლიტერატურის სარბიელზე.

რევაზ ჯაფარიძე დიდი ცხოვრებისეული სიმართლის, სამყაროს რეალისტური ხედვისა და ხატვის ხელოვანია. მას გამძაფრებელი შემოქმედებითი აქტივობა და მხატვრული ენერჯია ახასიათებს. მის ყურადღებას ყოველთვის ცხოვრების მწვავე და აქტუალური პრობლემები, თანამედროვე ადამიანის სულიერი ფორმირების ღრმა პროცესები იზიდავს. მრავალი ნოველისა და მოთხრობის გარდა, მან შესძინა ქართულ ლიტერატურას მრავალმხრივად საყურადღებო რომანი „ჯარისკაცის ქვრივი“. ამ რომანის გმირი ხათუნა მინდელი ღირსეულად მიეკუთვნება საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის მიერ შექმნილ საუკეთესო ტიპიურ ადამიანურ სახეთა გალერეას. ამ მხატვრულ სახეში ღრმა განზოგადებითი ძალით არის ხორცშესხმული ის სულიერი მშვენიება და სიმძლავრე, ის მორალური სისპეტაკე და შეუბღალავობა, რომელთა მეოხებით საბჭოთა ხალხი ძლევის და გადალახავს ყველა უმძიმეს სიძნელესა და წინააღმდეგობას.

რ. ჯაფარიძის მრავალრიცხოვანი ნოველებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა „ჩმა იდუმალი“ და „ახლო არს ზაფხული“. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მასალის ღრმა განცდით დაწერილი დოკუმენტური მოთხრობა „მარუხის თეთრი ღამეები“, კავკასიის გმირული დაცვის უკვდავ ეპოპეაზე.

თინა დონჯაშვილს თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, მწვავე ცხოვრებისეულ კონფლიქტებზე, საწინააღმდეგო ხასიათთა შეჯახებაზე აღმოცენებული, დრამატიზირებული სიუჟეტებისადმი მიდრეკილება ახასიათებს. მისი რომანებისა და მოთხრობების სერიიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანი „ალაზანზე“. ეს ქართული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ომისშემდგომი წლების საკოლმეურნეო სოფლის შრომითი ცხოვრების თემაზე.

ოთარ ჩხეიძის შემოქმედებითი ინტერესებისა და ყურადღების სფეროს უპირატესად ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეები, ჩვენი ქვეყნის წინმსვლულობის გზაზე აღმოცენებული სიძნელები და დაბრკოლებანი შეადგენს.

ამიტომაც მის შემოქმედებაში მამხილებელი კრიტიკული პათოსი სჭარბობს. მწერალს მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალური სტილი გააჩნია, საკუთარი თვალსაზრისი და პოზიცია მხატვრული მეტყველების, სამწერლო ენის საკითხებში.

ლადო ავალიანის სამტომიანი რომანი „ახალი ჰორიზონტი“ ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის შრომითი ცხოვრების, ახალი ყოფითი ურთიერთობის თემაზე.

ომისშემდგომი წლების ჩვენი მხატვრული პროზის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ელიზბარ ზედგინიძის რომანი „იღვიძებენ მთები“. გიორგი ნატროშვილის მოთხრობა „ისევ გაზაფხული იდგა იორზე“, გიორგი შატბერაშვილის ნოველა „მკვდრის მზე“, მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობა „ხარატაანთ კერა“ და რომანი „სახიფათო მოსახვევი“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები,“ და, აგრეთვე, ელიზბარ მაისურაძის, ანდრო ლომიძის, ვ. ურჯუმელაშვილის, მამია ასათიანის მოთხრობები. გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობების“ წიგნმა ფართო გამოხმაურება პპოვა მკითხველთა ფართო ფენებში, ასევე ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში და თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა თანამედროვე ქართულ ნოველისტიკაში.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის თანამედროვე ეტაპზე ქართულ მწერლობას ბელეტრისტთა ახალი მძლავრი პლეადა შემოემატა. ნოდარ დუმბაძემ, ოტია იოსელიანმა, არჩილ სულაკაურმა, თამაზ ჭილაძემ, რევაზ ინანაშვილმა, ედიშერ ყიფიანმა, ლადო მრელაშვილმა, ნოდარ წულუისკირმა, აკაკი გეწაძემ, გურამ გეგეშიძემ, რევაზ ჭეიშვილმა, მერაბ ელიოზიშვილმა და სხვა მათმა თანატოლმა ბელეტრისტებმა თანადროულობის სოციალური და ყოფაცხოვრებითი პრობლემებით, ახალი თემებითა და ადამიანური ხასიათებით, გმირის სულიერი ცხოვრების კვლევის ახალი მხატვრული საშუალებებით გაამდიდრეს ქართული ლიტერატურა. ზოგიერთი მათგანის ნაწარმოებნი უკვე გარკვეული პოპულარობით სარგებლობენ საქართველოში, მთელ ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში. ასეთებია, მაგალითად, ნოდარ დუმბაძის რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამე“. ისინი თარგმნილია ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხთა ენებზე და მათ საფუძველზე შექმნილია პოპულარული სპექტაკლები და კინოფილმები. ამ ნაწარმოებთა შექმნისათვის ნოდარ დუმბაძეს საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრემია მიენიჭა.

ნოდარ დუმბაძის ამ ნაწარმოებებში ცხოვლად არის წარმოსახული ის ნათელი ჰუმანისტური ატმოსფერო, რომელიც ჩვენს სამშობლოში ახალი ძალით დამკვიდრდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პე-

რიოდში. დიდი სიკეთე, მორალური სისპეტაკე, ღრმა ადამიანურობა სუფევს ნოდარ დუმბაძის მხატვრულ ქმნილებებში. აქედან წარმოდგება ამ ნაწარმოებთა ღრმა ემოციური ზემოქმედების ძალა, რომელიც მათ გზას უკაფავს ხალხის გულისაკენ. ცხოვრებისეული სიმართლე, ცოცხალი სინამდვილის წიაღიდან შერჩეული და ამოძვრწილი სიტუაციები, საოცრად ცოცხალი, სისხლხორციოთ საფსვე ადამიანური ხასიათები შეადგენს დასახელებულ ნაწარმოებთა უქველღ ღირსებებს. სხვადასხვაგვარია ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა თემატიური საფუძველი, გამონატულების საგანი. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“ სამამულო ომის წლების ქართული საკოლმეურენო სოფლის ცხოვრების ფონზეა გაშლილი. მათში ასახულია ის უაღრესად მძიმე სულიერი განწყობილება, რომლითაც მოცული იყო მთელი ჩვენი ხალხი, კერძოდ, კოლმეურნე გლეხობა ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ იმ მძიმე წლებში. მაგრამ ომის მრისხანე ვითარებამ ვერ გააუხეშა ხალხის სული, ვერ შეანელა, ვერ შებღალა მისი კეთილი გული, მისი მაღალი ზნეობრიობა, სპეტაკი მორალური სახე. — აი ამ პირუთვნელ ისტორიულ სიმართლეს ასაბუთებს ნ. დუმბაძის ხსენებულ ნაწარმოებთა მხატვრული ლოგიკა. „მზიან ღამეში“ ჩვენი დედაქალაქის ახალგაზრდობის, კერძოდ, ჩვენი სტუდენტობის ყოფაცხოვრების, მისი სწავლა-წრთობის, სულიერი დაეაუკაცების პროცესებია მოქცეული მწერლის მხატვრული ინტერესების ცენტრში. აქ უკვე საბჭოთა საზოგადოების ისტორიის გარკვეულ პერიოდში აღმოცენებული მწვავე ფსიქოლოგიური კონფლიქტები იპყრობს მწერლის ყურადღებას.

ნ. დუმბაძის მხატვრული ნიჭიერების თავისებურებას ღრმა დრამატიზმის, მღელვარე ღირიზმისა და ნათელი ჰუმორის ორგანული შეზავება შეადგენს. მის ნაწარმოებებში შეუძლებელიც არის ამ ორი ფსიქოლოგიური და სტილებრივი ნაკადის გამოყოფა. სწორედ ამ თავისებურებით განსხვავდება იგი დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის სხვადასხვა თაობის ოსტატთა პლეადისაგან.

დიდი წარმატებით სარგებლობს აგრეთვე ოტია იოსელიანის რომანი „ვარსკვლავთცვენა“, არჩილ სულაქაურის რომანი „ოქროს თევზი“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, თამაზ ჭილაძის მოთხრობები და რომანები. თამაზ ჭილაძის ზოგიერთი ნაწარმოები უცხოეთშიც ითარგმნა და გამოიცა.

სამწერლო სარბიელზე ფეხის შედგმისთანავე ოტია იოსელიანმა ყურადღება მიიპყრო ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრული კვლევის სიღრმით, მათი ნათელი რეალისტური ხილვით და წარმოსახვის ბუნებრივი მანერით, იგი თანამედროვეობის რთული მორალური პრობლემების მხატვრული გაშუქების მისწრაფებით ხასიათდება. მწერალი სინამდვილის უმძაფრეს კოლიზიებზე ამახ-

ვილებს ყურადღებას და ამ კოლიზიების უკიდურესი გამძაფრების საფუძველზე აგებს თავისი ნაწარმოების სიუჟეტს. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საყურადღებო და საინტერესო მისი რომანი „ვარსკვლავთცვენა“ და ნოველების რამდენიმე წიგნი, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: „ლევანა“, „ჩქარი მატარებელი“, ხოლო კიდევ უფრო მეტად „ჭარისკაცის დაბრუნება“. ამ მოთხრობაში ავტორმა ისეთი მდიდარი და აქტუალური ცხოვრებისეული მასალა მოაქცია, ისეთი მწვავე და რთული მორალურ-ფსიქოლოგიური კოლიზიები წარმოსახა, რაც სავსებით საკმარისი იქნებოდა ფართო პლანის რომანისათვის. მაგრამ მოთხრობის შედარებით ვიწრო პორიზონტს ხელი არ შეუშლია მწერლისათვის, რომ ეს მასალა და პრობლემატიკა დასრულებულ მხატვრულ თხრობაში, პერსონაჟთა მკაფიო ფსიქოლოგიურ პორტრეტებში განესახიერებინა. მხატვრული ლაკონიზმი ოტია იოსელიანის შემოქმედების უეჭველად ბედნიერი თავისებურებაა. ამ ფრიად ნიჭიერი და დაკვირვებული მწერლისაგან უეჭველად ბევრს უნდა მოელოდეს ჩვენი მხატვრული პროზა.

მრავალმხრივად საინტერესო და ნიჭიერმა მწერალმა არჩილ სულაკაურმა ლიტერატურული მოღვაწეობა ლირიკული პოეზიის ქანრში დაიწყო და თავისი პირველივე ჰაბუკური ნაწარმოებებით თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ახალი პოეტური თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა შორის. შემდეგ მან ზედიზედ გამოაქვეყნა უეჭველი მხატვრული გემოვნებით, მძაფრი შემოქმედებითი აზრით, სიახლს გრძნობით აღბეჭდილი ნოველები: „ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფვიან“, „მტრედები“, „აბელის დაბრუნება“ და მრავალი სხვა, რომელთაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს და ავტორს ნიჭიერი ბელეტრისტის რეპუტაცია მოუპოვეს. ამ ნაწარმოებებში ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ საბჭოთა მწერლობის განვითარების ახალი ეტაპისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ნიშნები დაინახა და დააფასა. ამჟამად კი უკვე შემოქმედებითად მომწიფებული და გამოწრთობილი მწერალი ფართო მხატვრული ტილოების გამოძიწევას იწყებს. მისი რომანი „ოქროს თევზი“ ღრმა ინტერესით მიიღო მკითხველმა საზოგადოებრიობამ. ამ ნაწარმოებს მძაფრი მამხილებელი პათოსი ახასიათებს, ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა, მანკიერ მოვლენათა და ბნელი ადამიანების მიმართ მომაკვდინებელი სიძულვილის პათოსი მსჭვალავს. მწერლის დიდი მიღწევა ის არის, რომ ყოველივე ეს რომანში იმგვარად არის გამოხატული, რომ ოდნავადაც არ იჩრდილება საბჭოთა სინამდვილის წამყვანი დადებითი ტენდენციები, ჩვენი ეპოქის ნათელი საწყისები, არ ირღვევა ცხოვრებისეული სიმართლე, კეთილი და ბოროტი ძალების ის რეალური შეთანაბრება, რომლითაც ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ხასიათდება.

ახალი თაობის ბელეტრისტთა შორის თამაზ ჭილაძე განსაკუთრებული თანმიმდევრობით იბრძვის მხატვრული პროზის გამომსახველობით საშუალებათა განახლებისათვის, ჩვენს მწერლობაში იმ ზოგიერთი სიახლის დამკვიდრებისათვის, რაც უცხოეთის პროგრესულ მწერალთა, თანამედროვე მსოფლიოს გამოჩენილ ბელეტრისტთა შემოქმედებას ახასიათებს. და თუ ასეთ პრინციპულად გააზრებულ, გარკვეული მიზანმისწრაფებით წარმოშობილ ნოვატორულ ძიებებში იგი გარკვეულ სიძნელებებსა და დაბრკოლებებს წააწყდება ხოლმე, მაინც ყოველთვის ამ ძიებათა შედეგი საინტერესო და საყურადღებოა. თამაზ ჭილაძის მხატვრული ინტერესის უპირველეს საგანს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი განცდების, გრძნობების, განწყობილებათა სამყარო შეადგენს. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ შთაბეჭდილებათა ამაღლვებლად გადმოცემის ნიჭიერება წარმოადგენს თამაზ ჭილაძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის უპირველეს ღირსებას. სწორედ ამ ღირსებათა მეოხებით გამოიწვია ცხოველი ინტერესი მისმა ნაწარმოებებმა „პირველი დღე“, „აჰა, მიიწურა ზამთარი“ და სხვ.

რევან ინანიშვილის მხატვრული ნიჭიერების ძალა უპირატესად ცოცხალი ტიპიურობის დონეზე ამალღებულ ადამიანური პორტრეტების ხატვის უნარში მდგომარეობს. სწორედ ამ თვალსაზრისით მოიბოვა მაღალი შეფასება მისმა ნოველამ „ვიდაცას ავტობუსზე აგვიანდება“, რომელიც კანონიერად ითვლება ამ ნიჭიერი ბელეტრისტის ყველაზე საინტერესო მიღწევად დღევანდელ ქართულ ნოველისტიკაში.

ქართველ ბელეტრისტთა ამ ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი მომწიფების მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ამ ბოლო დროს ზედიზედ გამოქვეყნდა რევან ჭეიშვილის, ედიშერ ყიფიანის, გურამ გეგეშიძის, გურამ ფანჯიკიძის რომანები, რომლებიც კიდევ მოელიან ჯეროვან ანალიზსა და შეფასებას ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მხრივ.

მხატვრული აზროვნების სიღრმით, ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებით, მკაფიოდ გამოხატული საკუთარი მეტყველებით, უცდომელი გემოვნებით და მიმზიდველი მომთხრობელობის მაღალი ნიჭიერებით გამოირჩეოდა ნაადრევად დაღუპული ახალგაზრდა ბელეტრისტი გურამ რჩეულიშვილი. მან ვერ მოასწრო თავისი დიდი მხატვრული მონაცემებისა და შემოქმედებითი განზრახვების განხორციელება. მაგრამ ახალგაზრდა მწერალმა მშობლიურ ლიტერატურას შესძინა ისეთი ჭეშმარიტად მხატვრული გზნებით აღბეჭდილი ნაწარმოებნი („სიკვდილი მთებში“, „ალავერდობა“ და მრავალი სხვა), რომელთაც ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის თანამედროვე ქართული მწერლობის პირუთვნელი მკვლევარი.

უკანასკნელი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენაა გამოჩენილი პოეტების ნაყოფიერი მოღვაწეობა მხატვრული პროზის ქანრში. ამ მხრივ აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის ნოველების წიგნი „ნატურის ხე“, რომლითაც არსებითად დამთავრდა ამ დიდი პოეტის მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია, და გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი ღამე“. ეს რომანები, რომლებშიც წარსულის მოვლენათა მღელვარე განცდით არის წარმოსახული თამარ მეფისა და რუსთაველის ეპოქის საქართველოს ძლიერების დამხობა და მონღოლთა სისხლიანი თარეშის ბნელი ეპოქა, პრინციპულად ახლებური მოვლენაა საბჭოთა ისტორიულ რომანისტიკაში.

ამ რომანების პრინციპული მნიშვნელობა ჩვენი საუკუნის ქართული ისტორიული რომანის განვითარებაში ის არის, რომ ამ ქანრის სხვა ნაწარმოებთაგან განსხვავებით, გ. აბაშიძის რომანებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ხალხს — ისტორიის ნამდვილ შემოქმედსა და მამოძრავებელ ძალას. ხალხი ამ რომანებში გამოდის არა როგორც ფონი და გარემოცვა მაღალი არისტოკრატიის წრიდან გამოსულ ერთეულ გმირთა მოქმედებისათვის, არამედ როგორც სიუჟეტის მამოძრავებელი, აუცილებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ხალხის წიაღიდან გამოსული პერსონაჟები მნიშვნელოვან, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელ როლს ასრულებენ რომანში მოთხრობილ პირად ურთიერთობათა განვითარებაშიც და იმ ისტორიულ მოვლენათა მდინარებაშიც, რომელთაც ეს რომანები მიეძღვნა. საყურადღებოა, რომ ამ ისტორიულ დილოგიაში საქართველოს „ოქროს ხანის“ მზის ჩასვენება, თამარისა და რუსთაველის ეპოქის საქართველოს დიდებისა და ძლიერების დამხობა ახსნილი და გაპირობებულია არა მარტო მონღოლთა სისხლიანი შემოსევებით, არამედ ჩვენი ქვეყნის შინაგანი ცხოვრების მანკიერი მოვლენებით, იმდროინდელი სოციალური წყობილების განუკურნებელი წყლულებით, და კერძოდ, მაღალი ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში გავრცელებული პარტიკულარიზმისა და ამორალიზმის ძირგამომთხრელი შედეგებით. ჩვენი ეროვნული წარსულის ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენების ასეთი თავისებური გაშუქება მწერლის თამამი და გაბედული ისტორიული აზროვნების მომასწავებელია, რაც ღირსეულ მხატვრულ განხორციელებას პოულობს ხსენებულ რომანებში.

მკითხველთა ფართო ფენებში პოპულარობა მოიხვეჭა ლევან გოთუას მრავალტომიანმა ისტორიულმა რომანმა „გმირთა ვარამმა“. ეს ნიჟიერი და ფრთად ნაყოფიერი მწერალი ავტორია მოთხრობათა და ნოველათა რამდენიმე წიგნისა ისტორიული წარსულისა და ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების თემებზე. ყველაზე მეტი მხატვრული სრულფასოვნებით მთელ ამ სიუხვეში გა-

მოიჩვენა ისტორიულ მასალაზე აგებული შესანიშნავი ნოველები „კრწანისის სევდა“ და „უგზო ქარავანი“.

4

ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არც ერთ ეპოქაში დრამატურგიას არ ჰქონია ისეთი ხვედრითი წონა ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და თეატრის საერთო განვითარებაში, როგორც მოიპოვა და დაიმკვიდრა ქართულმა დრამატულმა მწერლობამ სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში.

თუ კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში დრამატურგია საგრძნობლად ჩამორჩებოდა პოეზიისა და მხატვრული პროზის განვითარების დონეს, თუ რევოლუციამდელი ქართული თეატრი უპირატესად თარგმნილი ან გადმოკეთებული პიესებით საზრდოობდა, ახლა ქართველი საბჭოთა დრამატურგები თავიანთი შემოქმედებითი წარმატებებით საყვებით ლირსეულად გვერდით უდგანან ჩვენი ლიტერატურის სხვა ენარების მოწინავე ოსტატებს და თანამედროვეობისა თუ ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილი ორიგინალური პიესებით ძირითადად განსაზღვრავენ ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს.

მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვიხსენიოთ შალვა დადიანი, რომელმაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველსავე პერიოდში თავისი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება და ნაცადი დრამატურგიული ოსტატობა უყოყმანოდ მიუძღვნა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და თეატრის აღმავლობის საქმეს. მისი „კაკალ გულში“ პირველი სერიოზული და ფრიად საყურადღებო ნაბიჯი იყო ქართული საბჭოთა კომედიის შექმნის სფეროში.

ეს არის მკვეთრი მამხილებელი ძალის ნაწარმოები, რომლის მახვილიც დაუნდობელი სიმწვავეთ არის მიმართული საბჭოთა სინამდვილეში ჩარჩენილი წარსულის რეაქციული ნაშთების წინააღმდეგ-მწერალმა მზის სინათლეზე გამოიყვანა რევოლუციის პირველ წლებში საბჭოთა სახელმწიფოს აპარატში მოკალათებული ბიუროკრატების, მიტმასნილი ელემენტების, მოლაყებების, ფუქსავატი, ყოყლოჩინა ადამიანების წარმომადგენლები. გვიჩვენა ეს ხალხი დაწესებულებაშიც, ოჯახურ ყოფა-ცხოვრებით გარემოცვაშიც და მკაცრად, მომაკვდინებლად დასცინა მათ.

ამ ნაწარმოებში მკაფიოდ თავი იჩინა შალვა დადიანისათვის დამახასიათებელმა ხალისიანმა და მგზნებარე ტემპერამენტმა, სცენური დიალოგის შესანიშნავმა ოსტატობამ და, რაც მთავარია, ტიპაჟის, მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების გამოკვეთის იშვიათმა ძალამ და უნარმა.

ტრაგედიაში „თეთნულდი“ შალვა დადიანმა განასახიერა ძველი, რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულობის იდეა, ასახა ახალი, სოციალისტური ცხოვრების გარდამქმნელი, განმაახლებელი ზეგავლენა ხალხის შეგნებაზე, ყოფა-ცხოვრებაზე. ეს პიესა საყურადღებო ცდაა კლასიკური ტრაგედიის ფორმის გაცოცხლებისა და გამოყენებისა. ჩვენი ეპოქის დიადი სოციალური ძვრების მხატვრულად ასახვის საქმეში.

შალვა დადიანის მნიშვნელოვან მიღწევას დრამატურგიული შემოქმედების დარგში წარმოადგენს ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“.

შალვა დადიანის დრამატურგიული შემოქმედების მრავალმხრიობის სრულად გათვალისწინებისათვის საჭიროა დავასახელოთ პიესები „ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“, რომლებშიც თავისებური სცენური განსახიერება ჰპოვა ეგნატე ნინოშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ.

ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების მთელი ისტორია და, კერძოდ, საუკეთესო თანამედროვე ქართული თეატრის — რუსთაველის თეატრის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია განუყოფლად არის დაკავშირებული სანდრო შანშიაშვილის სახელთან. სოციალური ტირანიის წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ქართველი მშრომელი ხალხის მიერ წარსულში გადახდილ გმირულ ბრძოლათა თემაზე დაწერილი პიესა „ჭერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“) იყო ის პირველი ნაწარმოები, რომლითაც სანდრო შანშიაშვილმა, გადაჭრით უკუთავდო რა საკუთარი რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ანტირეალისტური გზა. მტკიცედ შემოაბიჯა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების სარბიელზე. უკვე ამ პიესაში მკაფიოდ გამოინატა ის გმირულ-რომანტიკული სტილი, რომელიც შემდეგ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ძირითად ნიშნად იქცა.

თავის ხანგრძლივსა და უაღრესად ნაყოფიერ დრამატურგიულ შემოქმედებაში ს. შანშიაშვილი არა ერთხელ შეეხო სოციალისტური თანამედროვეობის აქტუალურ თემებს („სამნი“, „ფოლადაური“ და სხვ.), მაგრამ მისი შემოქმედებითი სტიქია მთელი ძალით სწორედ იმ ნაწარმოებებში გამოვლინდა, რომლებშიც ჩვენი ხალხის გმირული ისტორია, ახლობელ თუ შორეულ წარსულში ხალხის მიერ თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის გადახდილ ბრძოლათა სურათებია ასახული.

ეს. ივანოვის პიესის მიხედვით დაწერილმა მისმა დრამამ „ანზორ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ყველაზე მძლავრად და დასრულებულად სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული

სტილის თავისებურებანი გამოვლინდა პიესაში „არსენა“, რომელშიც, ხალხური ეპოსის ნახევრად ლეგენდარული ამირის აიაამოშაიბის საფუძველზე, მწერალმა დახატა ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ თავგანწირულად ამხედრებული გლეხობის საბრძოლო აღფრთოვანების, გულისწყრომისა და მრისხანების განმსახიერებელი მონუმენტური სახე.

ქართველი ხალხის სახელოვანი ისტორიის უმნიშველოვანეს გმირთა სახეები დახატა ს. შანშიაშვილმა თავის ისტორიულ დრამებში „გიორგი სააკაძე“, „კრწანისის გმირები“ და „ურჩი მფლობელი“. დიდი ქართველი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ერეკლე მეორეს საბრძოლო ცხოვრების ერთ-ერთი უმძაფრესი ეპიზოდის ამსახველი დრამა „კრწანისის გმირები“ დაიწერა და სცენაზე განსახიერდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში. პიესა ღრმადაა გამსჭვალული პატრიოტული თავგანწირვის გრძნობით, გმირობისა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით.

სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული შემოქმედება მგზნებარე პათოსით, ხალხის უძლეველობის რწმენაზე დამყარებული საღი სოციალური ოპტიმიზმით არის აღბეჭდილი. მის დრამებში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ხალხის დიდი საბრძოლო ამოძრავების ამსახველი მასობრივი სურათები. ისტორიული სიუჟეტების დამუშავებისას მწერალი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ასახვითაა გატაცებული. მას ნაკლებად იზიდავს ყოფა-ცხოვრებითი სურათები, აღამიანური ხასიათისა და ყოფითი ვარემოცვის დეტალები და ნიუანსები. იგი ყოველთვის ისწრაფვის შექმნას ხალხის მეტრძოლი სულისა და გმირობის გამომხატველი მონუმენტური სახეები, ხოლო დრამატურგიული კოლიზიის საფუძველს იგი მოწინააღმდეგე სოციალური ძალების ჭიდილსა და შეჯახებაში ეძიებს.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის ფრიად მნიშვნელოვან ქმნილებებს წარმოადგენენ მაღალნიჭიერი კომედიოგრაფის პოლიკარპე კაკაბაძის პიესები: „ყვარყვარე თუთაბერი“, „კოლმეფურნის ქორწინება“, „კახაბერის ხმალი“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ უაღრესად ორიგინალური, ღრმა სოციალური აზრისა და მაღალი ესთეტიკური ღირსების ნაწარმოებია. ქართული ფოლკლორის საგანძურიდან აღებული ნაცარქექიას ნიღაბის შემოქმედებითად გარდაქმნის საფუძველზე მწერალმა შექმნა ცხოვრების ზედაპირზე შემთხვევით წამოტივტივებული წვრილფეხა ავანტიურისტის ტიპიური სახე — ყვარყვარე თუთაბერი. მხოლოდ სულთმობრძავი თვითმპყრობელური რეჟიმისა და უბადრუკი მენშევიკური წყობილების ვითარებაში შეიძლება ასეთი ფართო სარბიელი მისცემოდა თუთაბერის ფუტე პატივმოყვარეობასა და კარიერისტულ მისწრაფებას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით გაჯანსაღებულ სოციალურ გარე-

მოცვაში კი ყოველგვარი ნიადაგი გამოეცალა სახელმწიფო მოღვაწის ნიღაბში გახვეული ამ უბადრუკი ნაცარქექიას თავაშვებულ თარეშს. როგორც კი ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები ხალხის ხელში გადავიდა, ნაცარქექიებმა დაკარგეს ყოველგვარი გავლენა და მნიშვნელობა. ამ აზრის მხატვრულ დასაბუთებას გვაძლევს „ყვარყვარე თუთაბერი“.

პიესა ქართული საბჭოთა დრამატურგიის დიდი შემოქმედებითი ზრდის მომასწავებელ ნაწარმოებად იქნა აღიარებული სცენაზე მისი პირველად განსახიერებისთანავე. მართლაც, ამ პიესაში მიღწეულია მძაფრი კომედიური სიტუაციების, დიალოგის მაღალ მხატვრული ხარისხისა და ხასიათების მკვეთრი, რელიეფური ხატვის ორგანული ერთიანობა მტკიცე კომპოზიციურ ყალობაში.

სწორედ ამ ღირსებათა გამო ეს კომედია არ კარგავს ინტერესსა და მიზიდველობას. ათეული წლების განმავლობაში იგი არ ჩამოდის ქართული თეატრის სცენიდან, ხოლო მისი მთავარი გმირის სახელი გადავიდა ხალხში, როგორც ფუჭი ქედმაღლობის, გაიძვერობის და ფუჭსავე პატივმოყვარეობის გამომხატველი საზოგადო სახელი. ასეთი წარმატება იშვიათად თუ ხვდომია წილად საბჭოთა დრამატურგიის სხვა რომელიმე ნაწარმოებს. პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „კოლმეურნის ქორწინება“ საკოლმეურნეო წყობილების ნიადაგზე სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების ამსახველი საუკეთესო ნაწარმოებია ქართულ დრამატურგიაში. ამ პიესის უმთავრესი ღირსება და მისი წარმატების საფუძველი ის არის, რომ მოქმედების ცენტრში აქ დაყენებულია დადებითი გმირი — ახალგაზრდა გლეხი ქალი გვირისტინე, რომელიც საკოლმეურნეო წყობილებას საბოლოოდ უამოთუყვანია სიღაზიბისა და უმეცრების წყვდიადიდან და ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ადამიანის მდგომარეობამდე აუმაღლებია. ეს გარემოება — კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დადებითი გმირის მოქცევა — ახლებურ გაშუქებას აძლევს საბჭოთა კომედიის პრობლემას და დიდად აფართოებს ამ უანრის შემოქმედებით დიაპაზონს.

მაღალი ლიტერატურული და სცენური ღირსებებით ხასიათდება პ. კაკაბაძის კომედია „კახაბერის ხმალი“, რომელშიც ისტორიული წარსულის მასალაზე მომაკვდინებლად არის გაკიცხული მოღალატეობის, გაიძვერობის, ფლიდობისა და თვალთმაქცობის ბნელი მანკიერებანი. პიესის სიუჟეტი მძაფრ, გონებაშახვილურად მოფიქრებულ სიტუაციებს უმყარება. უკანასკნელ ხანებში პ. კაკაბაძემ ზედიზედ გამოაქვეყნა ორი ისტორიული ტრაგედია „მეფე ვახტანგ პირველი“ და „ბაგრატ მეშვიდე“. ეს პიესები სრულიად ახლებური მოვლენაა ქართულ დრამატულ მწერლობაში.

კომედიის უანრში დაიწყო დრამატურგიული მოღვაწეობა თანამედროვე

ქართული დრამატურგიული მწერლობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო ოსტატმა იონა ვაკელმა. მისი პირველი პიესა „აპრაყუნე ჭიმჭიმელი“ მწვავე სოციალური სატირის პლანში მოფიქრებული ნაწარმოებია. შემდეგ იონა ვაკელმა დაწერა საბჭოთა ხალხური ინტელიგენციის იდეურ-მორალური ზრდისა და რევოლუციური წრთობის ამსახველი პიესა „შური“. ამ დრამაში ავტორმა დახატა ტიპური სახეები თავდადებული საბჭოთა პატრიოტებისა, რომლებიც მრავალი სიძნელისა და წინააღმდეგობის გადალახვით აღწევენ სამაგალითო წარმატებებს ჩვენი ქვეყნის დიდებისა და ძლევამოსილებისათვის ბრძოლასა და შრომაში.

პარალელურად იონა ვაკელი ამუშავებს ისტორიული წარსულის სიუჟეტებსაც. მისი „შამილი“ ერთ-ერთი პირველი ისტორიული დრამა იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. აქ მწერალმა გვიჩვენა მძაფრად დრამატიზირებული სიუჟეტის მწყობრად ჩამოყალიბების უნარი, დიდ ადამიანურ ვნებათა გამოხატვის ნიჭი.

გაცილებით მნიშვნელოვან შემოქმედებით წარმატებას მიაღწია იონა ვაკელმა თავის მეორე ისტორიულ დრამაში „გიორგი სააკაძე“. ისტორიული პროცესების სწორად გაგებასა, ღრმად გააზრებასა და სიმართლით გამოხატვასთან ერთად ამ პიესაში ავტორმა გამოიჩინა ისტორიული ჟანრის მწერლისათვის ერთი მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელი თვისება. იგი მიდის არა იმ ჩვეულებრივი გზით, რომელსაც შეიძლება ისტორიულ მოვლენათა მხატვრული ილუსტრაცია ან ისტორიული ეპიზოდების ინსცენირება ვუწოდოთ, არამედ გარკვეული იდეური თვალსაზრისით, გარკვეული ისტორიული კონცეფციის ნათელით აშუქებს აღებულ ისტორიულ მასალას და ისტორიული პერსონაჟი მას აპყავს განზოგადებითი ძალის თვისებათა განმასახიერებელი მხატვრული სახის ხარისხში. უკანასკნელი წლების თავის დრამატურგიულ შემოქმედებაში იონა ვაკელი აქტიურად მუშაობს საბჭოთა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს თემებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი დრამა „რვალი“ და სატირული კომედია „საქმიანი კაცი“, რომელთაც გარკვეული ადგილი მოიპოვეს ომისშემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარებაში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის პოეტ კარლო კალაძეს.. მისი „როგორ“ პირველი ისტორიულ-რევოლუციური დრამა იყო უახლოეს ქართულ მწერლობაში. ეს პიესა გამსჭვალულია 1905 წლის რევოლუციის რომანტიკული განცდით და მიუხედავად იმისა, რომ პიესას პრეტენზია არა აქვს დიდი რევოლუციური მოძრაობის ღრმად და ყოველმხრივად ასახვისა, მაინც ეს ნაწარმოები მომხიბვლელი სისადავითა და უშუალოდ იქცევს ყურადღებას და მას თავის დროზე დიდი წარმატებაც ხვდა წილად ქართულ სცენაზე. კარლო კალაძის მეორე პიესა „ხატიჯე“ უკვე საბ-

ჭოთა სინამდვილის თემაზეა დაწერილი და მასში ნაჩვენებია ის დიდი გარდაქმნა და განახლება, რომელიც შეიძლება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც კი. კარლო კალაძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, კომედია „სახლი მტკვრის პირას“, რომელიც საბჭოთა ყოფაცხოვრების თემაზეა დაწერილი.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების სხვადასხვა საფეხურებზე გარკვეული როლი შეასრულეს ნატალია აზიანის და ნიკოა შიუკაშვილის კომედიებმა, დემნა შენგელაიას „თეთრებმა“, ალიო მირცხულავას „განგაშმა“, ალ. ქუთათელის „შუალამემ გადაიარა“ და სხვ.

ჩვენს დრამატურგიაში საბჭოთა სინამდვილის თემატიკის დამკვიდრებისა და მოწინავე საბჭოთა ადამიანის, ეპოქის დადებითი გმირის სახის უფრო ღრმად გამოსახვის მომასწავებელ მკაფიო ნაწარმოებად მოგვევლინა თავის დროზე სერგო კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა“. იგი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით შთაგონებული ნაწარმოებია. პიესა ასახავს კოლხეთის ველზე გაჩაღებულ გმირულ შრომას, როგორც საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი ძლევამოსილების ერთ-ერთ მკაფიო გამოხატულებას. ამ პიესამ თავისი მკვეთრი სიუჟეტით, წრფელი დრამატიზმით და იდეური აქტუალობით ცხოველი გამოძახილი ჰპოვა მაყურებელთა ფართო წრეებში და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. შემდეგ სერგო კლდიაშვილმა რამდენიმე გონებამახვილურად მოფიქრებულ სიუჟეტზე აგებული კომედია დაწერა, ხოლო სამამულო ომის წლებში მოგვცა ამიერკავკასიის გმირული დაცვის ეპოპეისაღმი მიძღვნილი დრამა „ირმის ხევი“.

პოეტ ვიქტორ გაბესკირიას დრამატულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პიესა „მათი ამბავი“. რომელიც საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებას ასახავს და გვიჩვენებს იმ მძაფრ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, ძველისა და ახლის იმ შეუირიგებელ კიდილს, რომლის ვითარებაშიც გამომუშავდა მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის ბუნებისათვის დამახასიათებელი საუკეთესო თვისებანი. ვიქტორ გაბესკირიას პიესები ლირიზმით არის გამსჭვალულნი და სიტყვიერი მასალის პოეტური დახვეწილობით ხასიათდებიან. ამ თვისებებით გამოირჩევა მისი ორი პიესა: „უფსკრულთან“ და „ახალწლის დამე“. რომელთა დადგმამ ქართული თეატრის სცენაზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი და აზრთა მწვავე სხვადასხვაობა გამოიწვია.

ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე სხვადასხვა დროს დაიდგა დრამატურგ გიორგი მდივნის რამდენიმე პიესა „ალკაზარ“, „სამშობლო“, „ბატალიონი მიდის დასავლეთით“, „პარტიზანები“, „მოსკოვის ცის ქვეშ“, „ვარდო“.

„კეთილი ნების ადამიანები“. მის შემოქმედებას თემატური აქტუალობა ახასიათებს. იგი იშვიათი სისწრაფით ეხმაურება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ ახალ, უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ქართულ სცენაზე დადგმულ მის პიესებს შორის განსაკუთრებული წარმატება ხვდა დრამას „ალკაზარ“, რომელშიც მგზნებარე გამოხატულება ჰპოვა დემოკრატიული ესპანეთის ბრძოლამ ფაშისტური რეაქციის ბნელი ძალების წინააღმდეგ.

გ. მიღენის პიესათა უმრავლესობა რუსული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა. ზოგი მათგანის რეზონანსი დიდი საბჭოეთის საზღვრებსაც გასცდა.

საბჭოთა ეპოქის ქართული დრამატურგიის მნიშვნელოვან ნაწარმოებთა შორის უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ვ. დარასელის „კიკვიძე“, რომელიც სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილი საუკეთესო პიესაა ქართულ ლიტერატურაში.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც სამამულო ომის სწორუპოვარი ეპოპეისადმი არიან მიძღვნილნი, სიუჟეტის სიმძაფრითა და მთავარ გმირთა ხასიათების მკვეთრად გამოხატვით გამოირჩევიან ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“ და გიორგი შატბერაშვილის „ფიქრის გორა“.

განსაკუთრებით ცხოველი გამოძახილი მოიპოვა მასუბრებელთა შორის ილო მოსაშვილის პიესამ „სადგურის უფროსმა“. პოეტის ეს პირველი დრამატურგიული ნაწარმოები ამალეღვებელი სურათებით გვიხატავს იმ რაინდულ თავგანწირულებასა და უბადლო სულიერ კეთილშობილებას, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა ჩვენს სამშობლოში შემოჭრილი ფაშისტური ურღობის განდევნისა და განადგურებისათვის ბრძოლაში.

„სადგურის უფროსით“ დაიწყო ილო მოსაშვილის ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა დრამატურგიაში. ამ პიესას ზედმიწევნით მოჰყვა მისი სხვა პიესები — „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მომავლისა“, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს ომისშემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში.

რამდენიმე პიესა შესძინა ქართული თეატრის რეპერტუარს გიორგი შატბერაშვილმა. ამ ნიჭიერ პოეტსა და ბელეტრისტს სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ შეუწყვეტია შემოქმედებითი მოღვაწეობა დრამატულ მწერლობაში და მისი ყოველი ნაბიჯი ამ სარბიელზე ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებდა.

როგორც მთელ საბჭოთა დრამატურგიას, ისე ქართული დრამატიული მწერლობის განვითარებასაც ომისშემდგომ პერიოდში სერიოზული ზიანი მია-

ყენა ე. წ. „უკონფლიქტობის თეორიამ“. ამ მანკიერი „თეორიის“ გავლენით დაწერილი მრავალი პიესა სწრაფად ჩამოვიდა სცენიდან და დავიწყებას მიეცა. მაგრამ ომის შემდგომი წლების მანძილზე ქართველმა დრამატურგებმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიც, რომლებმაც საგრძნობლად გაამდიდრეს ჩვენი თეატრის რეპერტუარი და ეროვნული დრამატურგიის განვითარებაშიაც ახალი ეტაპის დასაწყისი განსაზღვრეს. ასეთ პიესათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ: მიხეილ მრევლიშვილის „ხარატანთ კერა“ და „ზვავი“, მარიკა ბარათაშვილის „ჭირჭინა“, ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან“, მიხეილ ჯაფარიძის „ჩვენებულები“, გრიგოლ აბაშიძის „მოგზაურობა სამ დროში“ და „დედა“, იონა ვაკელის „საქმიანი კაცი“, ვალერიან კანდელაკის „მაია წყნეთელი“.

უკანასკნელ ხანებში თეატრისა და დრამატული მწერლობისადმი ცხოველი შემოქმედებითი ინტერესი გამოიჩინეს ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერლებმა ნოდარ ღუმბაძემ, არჩილ სულაკაურმა, აკაკი გეწაძემ, გიორგი ხუხაშვილმა, ოტია იოსელიანმა, მერაბ ელიოზიშვილმა, თამაზ ჭილაძემ. გიორგი ხუხაშვილის პიესებმა „ზღვის შვილებმა“ და „ცხოვრება კაცისა“, აკაკი გეწაძის პიესამ „წმინდანები ჯოჯოხეთში“ და ნოდარ ღუმბაძისა და მერაბ ელიოზიშვილის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა საფუძველზე შექმნილმა პიესებმა თვალსაჩინო ადგილი მოიპოვეს უკანასკნელი დროის ქართული თეატრის რეპერტუარში. შეუძლებელია ჩვენი მწერლობის ახალი თაობის ამ საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედებითა მოღვაწეობამ არ აამაღლოს და გაამდიდროს ჩვენი თეატრი და დრამატურგია.

თითოეულ ამ პიესას თავისი გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებანი ახასიათებს, მაგრამ მთლიანად მათ დადებითი შეფასება დაიმსახურეს და გვიჩვენეს ჩვენს დრამატურგიაში შემოქმედებითი გამოცოცხლების ახალი აღმავლობის დასაწყისი.

ომის შემდგომი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს გ. ნახუცრიშვილისა და გრიგოლ ბერძენიშვილის პიესებმა, ოთარ ჩიჯავაძის, კიტა ბუაჩიძისა და ვასო პატარაიას კომედიებმა.

სამამულო ომის შემდეგი პერიოდის დასაწყისში დაიწერა და დაიდგა ცნობილი ბელეტრისტისა და დრამატურგის მიხეილ მრევლიშვილის პირველი პიესა. ეს იყო ისტორიულ-ბიოგრაფიული დრამა „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, რომელიც ჭეშმარიტი პოეტური გზნებით წარმოსახავს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებას, მის სულიერ ვითარებას გასული საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველოს რუსეთთან შეერთების შედეგად ახალი ხანა დაიწყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. პიესა აღსავსეა ლირიზმით, პოეზიით, ღრმა დრამატიზმით. უფრო გვიან მ. მრევლიშვილმა დაწერა ამავე

ქანრის მეორე დრამა „მგზნებარე მეოცნებე“. მასში მოთხრობილია დიდი რუსი მწერლის გრიბოედოვის ცხოვრების უკანასკნელი წლებისა და ტრაგიკული და-
ლუპვის ამბავი, ამაღლებულად არის ასახული რუსი და ქართველი ხალხების
საუკეთესო შვილთა ის სულიერი ნათესაობა და შემოქმედებითი კონტაქტები,
რომლებიც ახლებურად აღორძინებასა და განვითარებას იწყებდა მეცხრამეტე
საუკუნის დამდეგიდან.

წარმატებით განხორციელდა ქართული თეატრის სცენაზე მ. მრეკლიშვილის
ორი პიესა საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრების თემაზე „ხარა-
ტაანთ კერა“ და „ზვავი“.

„ხარატაანთ კერაში“ მწერალმა დახატა ომის მრისხანე წლებში ჩვენი სა-
კოლმეურნეო გლეხობის თავდადებული შრომითი ცხოვრების სურათები, გამს-
ჭვალულნი საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობით. ამ ფონზე ავტორმა
გაამუშა ახალი, კომუნისტური მორალის, ოჯახის, სიყვარულის მწვავე პრობ-
ლემები.

საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის დამახასიათებელ
უმძაფრეს კონფლიქტებზე ააგო. დრამატურგმა თავისი ფსიქოლოგიური დრა-
მის — „ზვავის“ სიუჟეტი. მან ერთმანეთს დაუპირისპირა და შეაჯახა ახალი
სოფლის მშენებელი მოწინავე ადამიანები და კაპიტალისტური წარსულის
მანკიერი გადმონაშთების მატარებელი ბნელი პიროვნებანი. პიესა მხატვრულად
ასაბუთებს ძველისა და დრომოჭმული სამყაროს უკანასკნელი გადმონაშთების
სასიკვდილო განწირულებას ამ ორთაბრძოლაში. კერძომეცხოვრებული ინსტინ-
ქტებით დაბრმავებული კარიერიზმისა და პატივმოყვარეობის სენით გაცოფე-
ბული გლეხის — თინიბეგის სახე ამ პიესაში ისეთი მძაფრი საღებავებით არის
დახატული, რომ იგი ჭეშმარიტად ამშვენებს და ამდიდრებს ჩვენი მწერლობის
მიერ შექმნილ ტიპურ ადამიანთა პორტრეტების გალერეას.

მგონი, არც ერთ ქართულ დრამატულ ნაწარმოებს არ ხვდომია წილად
ისეთი გავრცელება მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის სცენაზე, როგორც
მოიპოვა მარკა ბარათაშვილის პოპულარულმა კომედია „მარინემ“ („კრიტი-
ნა“). ამ პიესის უპირველესი ღირსება ის არის, რომ ხალხიანი, კომედიური
სიტუაციები მასში ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ნათელი შრომითი ცხოვრე-
ბის ფონზე ვითარდება და მის მთავარ გმირებს კოლმეურნე გლეხობის დადე-
ბითი ტიპები წარმოადგენენ. დადებითი შეფასება დაიმსახურა აგრეთვე მ. ბარა-
თაშვილის პიესამ — „ჩემი ყვავილეთი“.

თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე ქართული თეატრისა და
ტრამატურგიის განვითარებაში გ. ნახუცრიშვილს. მან მრავალი მაღალნიჭიერი
პიესით გაამდიდრა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის რეპერტუარი.
მისმა ზოგიერთმა ნაწარმოებმა საკავშირო აღიარება მოიხვეჭა. საუკეთესო

ქართული საბჭოთა თეატრების სცენაზე წარმატებით დაიდგა გ. ნახუცრიშვილის ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის პიესები „ფიროსმანი“ და „წიწამური“.

ასეთია მოკლედ, კონსპექტურად ქართული საბჭოთა მწერლობის ძირითადი ჟანრების — პოეზიის, პროზის და დრამატურგიის მდგომარეობა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. ამ მიმოხილვის ფარგლებში ჩვენ არ შევხებივართ ჩვენი ლიტერატურის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორცაა საბავშვო მწერლობა, თარგმნილი ლიტერატურა, ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა. ცხადია, ამ დარგებშიაც სოციალისტური რევოლუციის ეპოქაში მიღწეულია ისეთივე ღრმა სიახლენი და შემოქმედებითი წარმატებანი, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას ახასიათებს. მაგრამ თითოეული ამ დარგის მდგომარეობა საგანგებო მიმოხილვას მოითხოვს.

წარმოდგენილ მიმოხილვაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის მოვლენები, მწერლები და ცალკეული ნაწარმოებნი შეფასებულია უპირატესად იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულიყო, თუ რა მოუტანა ახალი, ძვირფასი და გამამდიდრებელი ქართულ ლიტერატურას ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, თუ რა შემოქმედებითი მიღწევებითა და წარმატებებით ეგებება ჩვენი უროვნული მწერლობა დიდ საიუბილეო თარიღს—სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ამ თვალსაზრისმა განსაზღვრა მიმოხილვის თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი მოხსენებულ ნაწარმოებთა ყოველმხრივ კრიტიკულ ანალიზს, მათი ცალკეული იდეურ-მხატვრული ხარვეზებისა და ნაკლოვანებათა ჩვენებას. ცხადია, შეცდომა იქნებოდა ყოველივე შემოთქმულიდან ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ქართული საბჭოთა მწერლობა ამჟამად თავისი დიდი ისტორიული მოწოდების სიმაღლეზე იდგეს. თითქოს იგი სრულად და სავსებით ღირსეულად უპასუხებდეს კომუნისმის მშენებელი ხალხის გაზრდილ სულიერ მოთხოვნებს. არა! როგორც მთელი მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურა, ისე ქართული საბჭოთა მწერლობაც ჯერ კიდევ დიდ ვალშია ხალხის წინაშე, იგი ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება იმ დიდ ამოცანებს, რომლებსაც პარტია და ხალხი კანონიერად უსაზავენ ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას. ქართულ მხატვრულ პროზაში ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა მოგვეპოვება ისეთი ფართო პლანის სრულფასოვანი მხატვრული ტილოები, რომლებშიც ღირსეული სიღრმითა და სიმართლით იყოს ასახული ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და სახალხო ინტელიგენციის ახლანდელი გმირული შრომითი ცხოვრება. ქართულ საბჭოთა პოეზიაში ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ აღორძინდა ჩვენი კლასიკური მწერლობის დიდი ეპიკური ტრადიციები. ჩვენი დრამატურგია

ჭერ კადევ იშვიათად აწვდის ქართულ საბჭოთა თეატრს მაღალმხატვრულ ორიგინალურ პიესებს თანამდეროვე თემებზე.

ჩვენი ლიტერატურის ეს სერიოზული ნაკლოვანებანი განსაკუთრებით თვალსაჩინო და საჭრძნობი ხდება იმ ამოცანების შუქზე, რომლებსაც უსახავს საბჭოთა ხელოვნებასა და ლიტერატურას სახელოვანი კომუნისტური პარტია. პარტიამ მოუწოდა ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას იბრძოლოს იმის მისაღწევად, რომ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას პირველი ადგილი ეჭიროს მსოფლიოში არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, იდეურობით, რევოლუციურობით, არამედ მხატვრული ოსტატობის ხარისხისა და ძალის მხრივაც. პარტიამ მოითხოვა მწერლობისაგან სინამდვილის მართალი გამოხატვა: არც მისი შელამაზება და არც მისი ისე გალარიბებულად და დამახინჯებულად ასახვა, რაც არსებითად აბიაბრუებს ჩვენი ხალხის მიღწევებსა და გამარჯვებებს. ჩვენი პარტია ამოცანად უსახავს საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, რომ მთელი მათი შემოქმედებითი ცხოვრება ღრმად იყოს გამსჭვალული მაღალი იდეურობისა და კომუნისტური პარტიულობის იმ პრინციპებით, რომლებსაც ემყარება სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკა.

ეს ამოცანები განსაზღვრავს ქართული საბჭოთა ლიტერატურის, როგორც მთელი მრავალეროვნული სოციალისტური ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებას, მათი ახალი აღმავლობის ხასიათსა და შინაარსს.

3. ი, ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე პრობლემები

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ფუძემდებლური პრინციპები, რომელთაც ნათელი და ზუსტი გამოხატულება და მეცნიერულად ურყევი დასაბუთება ჰპოვეს დიდი ბელადის თეორიულ შემოქმედებაში, ჩვენთვის წარმოადგენს ძლევამოსილ იარაღს საერთაშორისო სარბიელზე გაჩაღებულ ახლანდელ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლებში და საშუალებას გვაძლევს უცდომელად შევაფასოთ ჩვენი მწერლობის მიერ განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზა და სწორად გავარკვიოთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების აქტუალური იდეურ-შემოქმედებითი პრობლემები.

ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის ბანაკიდან თავგამოდებით ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს ვ. ი. ლენინს არავითარი განსაკუთრებული ყურადღება არ გამოეჩინოს მხატვრული კულტურის საკითხებისადმი, თითქოს მას არაფერი დაეწეროს ამ საკითხების შესახებ, თითქოს მის თეორიულ მემკვიდრეობაში არ მოიპოვებოდეს რაიმე მწყობრი ესთეტიკური სისტემა, რაიმე მთლიანი და თანმიმდევრული თვალსაზრისი მწერლობისა და ხელოვნების არსის, მათი საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის, მათი შემოქმედებითი მეთოდის პრობლემებზე.

როგორც თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლის ყველა სხვა საკვანძო საკითხებში, ამ შემთხვევაშიც რეაქციული ბურჟუაზიის ადვოკატი ცინიკური, შეუნიღბავი ფალსიფიკაციისა და გაშიშვლებული დემაგოგიის გზას ადგანან.

არა მარტო ჭეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის ისეთ წერილებში, რომლებიც საგანგებოდ მიეძღვნება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს („პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“, წერილების სერია ლევ ტოლსტოის შესახებ და სხვ.), არამედ თავის სხვა მრავალ ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ, პუბლიცისტურ ნაშრომებში, მოხსენებებსა და სიტყვებში, მიმოწერაში, სხვადასხვა ხასიათის პარტიულ და სახელმწიფოებრივ დოკუმენტებში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა თავისი ესთეტიკური მოძღვრების პრინციპები, შეხედულებანი მხატვრული აზროვნებისა და შემოქმედების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე, მოგვცა სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობათა, სხვადასხვა დროისა და ქვეყნის მწე-

რალთა და ხელოვანთა ისეთი შეფასებანი, რომლებიც ერთად აღებულნი შე-
ადგენენ იშვიათი მთლიანობით და ლოგიკური თანამიმდევრობით განმტკიცე-
ბულ მწყობრ ესთეტიკურ სისტემას, ერთიან მოძღვრებას, განუყოფელს მარ-
ქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობისაგან მისი ზოგადი ფილოსოფიური
და მეთოდოლოგიური საფუძვლებისაგან.

ვ. ი. ლენინის უპირველესი დამსახურება სოციალისტური ლიტერატური-
სა და ხელოვნების წინაშე ის არის, რომ თავის კლასიკურ ნაშრომში „მატე-
რიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ მან მომაკვდინებლად ამხილა ჩვენი საუკუ-
ნის იდეალისტური ფილოსოფიის ახალი უკიდურესად რეაქციული ნაირსახეობა-
ნი, ჩამოაყალიბა და გენიალურად დაასაბუთა ასახვის მატერიალისტურ-დია-
ლექტიკური თეორია, რომელიც წარმოადგენს რეალისტური ხელოვნებისა და
კერძოდ სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის მტკიცე ფილო-
სოფიურ-გნოსეოლოგიურ საფუძველს. ასახვის ლენინური თეორია ასაბუთებს
ხელოვნების შემეცნებით მნიშვნელობას, სინამდვილის გარდამქმნელ მის და-
ნიშნულებას, მის განუყოფელ კავშირს ობიექტურ რეალობასთან, მატერიალურ
სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან. ამ თე-
ორიას ემყარება სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის ისეთი უმნიშვნელო-
ვანესი დებულებანი, როგორცაა ანალიზისა და სინთეზის ერთიანობა ხელოვნ-
ებაში, მოვლენათა სიმართლით წარმოსახვისა და მხატვრული განზოგადების
დიალექტიკური ერთიანობა, მწერლის იდეური პოზიციის, მსოფლმხედველო-
ბის მნიშვნელობა ტიპიზაციის პროცესში და სხვ.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის სულსა და გულს წარმოადგენს მწერ-
ლობის პარტიულობის, იდეურობისა და ხალხურობის მოძღვრება, რომელიც
ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა და დაასაბუთა თავის კლასიკურ სტატიაში „პარტი-
ული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. 1905 წლის რევოლუციის
მგზნებარე დღეებში, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების თითქმის წინადლით
გამოქვეყნებული ეს სტატია წარმოადგენდა მანიფესტს ახალი, სოციალისტური
მწერლობისა, რომელიც პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ატმოს-
ფეროში იბადებოდა და სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ამ ბრძოლას-
თან, მის მასულდგმულებელ იდეალებთან. ამ წერილში ვ. ი. ლენინმა გააცამ-
ტვერა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ხელოვნების რეაქციული ლოზუნგი „ხე-
ლოვნება ხელოვნებისათვის“, გამოაშკარავა და ამხილა მთელი სიყალბე და
თვალთმაქცობა ბურჟუაზიის იდეოლოგთა დემაგოგიური ლაყბობისა მწერლო-
ბის ზეკლასიურობისა და უპარტიობის შესახებ, ცხოვრებისაგან, სინამდვილისა-
გან, საზოგადოების ინტერესებისაგან მისი დამოუკიდებლობისა და „თავისუფ-
ლების“ შესახებ.

მწერლობა პარტიული უნდა იყოს, ლიტერატურის საქმე საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი უნდა იყოს, — მოითხოვდა ლენინი და ამასთანავე განმარტავდა, რომ იგი არ შეიძლება შაბლონურად იქნას გაიგივებული პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან, რომ ლიტერატურა ყველაზე ნაკლებად ექვემდებარება გათანაბრებას, ნიველირებას, რომ ამ საქმეში აუცილებელია მეტი გასაქანი პირადი ინიციატივისა და ინდივიდუალური მიდრეკილებისა, აზრისა და ფანტაზიისა, ფორმისა და შინაარსისა.

ხელოვნება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, — ამბობდა ლენინი, — იგი ხალხისათვის მისაწვდომი და საყვარელი ენით უნდა გამოხატავდეს ხალხის მისწრაფებებს. იგი თავისი უღრმესი ფესვებით უნდა შეაღწევდეს ხალხის ფართო ფენების წიაღში, უნდა აერთიანებდეს ხალხის აზრებს, გრძნობებს, ნებისყოფას, ამალუბდეს მათ. ხელოვნების მაღალი ხალხურობის ამგვარი პოზიციებიდან გამოდის და კიცხავდა ლენინი ყოველგვარ უაზრო და გაუგებარ მანჭვაგრებს ხელოვნებაში, ყოველგვარ თვითმიზნურ ოინბაზობას, ფსევდონოვატორობას.

ვ. ი. ლენინმა მოგვცა ბრძნული გადაწყვეტა სოციალისტურ მწერლობასა და ხელოვნებაში ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთობის პრობლემაში. მან გამანადგურებლად გააკრიტიკა კულტურული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რასაც ქადაგებდნენ „პროლეტკულტელები“, „რაპპელები“, სხვადასხვა ჯურის ანტირეალისტურ ლიტერატურულ მიმდინარეობათა წარმომადგენლები. მან გვასწავლა, რომ პროლეტარიატის კლასობრივი კულტურის მშენებლობისათვის აუცილებელია დავეუფლოთ კაცობრიობის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ სულიერ ღირებულებათა მთელ მარაგს, გადავამუშაოთ, კრიტიკულად ავითვისოთ და გამოვიყენოთ კლასიკური მემკვიდრეობის მთელი სიმდიდრე. ამასთანავე იგი განმარტავდა, რომ ყოველი ეროვნული კულტურული მემკვიდრეობიდან ჩვენ მივიღებთ და გამოვიყენებთ ამ მემკვიდრეობის პროგრესულ დემოკრატიულ ელემენტებს, რომ ტრადიციების დაცვა სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ განვისაზღვროთ და შევიზღუდოთ ტრადიციებით.

შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასება იმ უაღრესად დადებითი, კეთილმყოფელი ზემოქმედებისა, რომელიც იქონია კლასიკური მემკვიდრეობის ლენინურმა მოძღვრებამ საერთოდ მთელი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურისა და კერძოდ თანამედროვე ქართული მწერლობისა და ხელოვნების განვითარებაზე. განსაკუთრებით ფასდაუდებელი და განუზომელია ლენინის ამ ბრძნულ მითითებათა მნიშვნელობა საქართველოსთვის, სადაც მთელი ოცინი წლების მანძილზე დაუცხრომლად მძვინვარებდა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი დიდებული ეროვნული კლასიკური კულტურის ნიჰილისტური უარმყოფე-

ლობა, როცა შოთა რუსთაველისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დიად მემკვიდრეობას რეაქციული კლასების კუთვნილებად უპირებდნენ გამოცხადებას. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა იქნებოდა ახლა ქართული მწერლობა, ხელოვნება, ქართველი ხალხის მთელი სულიერი ცხოვრება, რომ ლენინის მძლავრსა და უძლეველ გონებას არ გავცამტვერებინა ყოვლად მანკიერი ვულგარიზატორული თვალსაზრისი კულტურული მშენებლობის ესოდენ მნიშვნელოვან სფეროში.

ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილ წერილებში ვ. ი. ლენინმა მოგვცა მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის სწორუბოვარი ნიმუში. ამ წერილებში უღრმესი თვალსაჩინოებით ნაჩვენებია, თუ როგორ აისახა ლევ ტოლსტოის აზროვნებისა და შემოქმედებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებში იმდროინდელი რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების და კერძოდ რუსეთის გლეხური რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგობრივი ხასიათი. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კლასობრივი, სოციალური ანალიზის უბადლო ოსტატობასთან ერთად აქ მიღწეულია მხატვრული აზროვნების ისეთი ფართო პორიზონტი, სადაც აბსოლუტურად გამორიცხულია ყოველგვარი შესაძლებლობა ვულგარულ-სოციალოგიური შეზღუდულობისა. მაღალი ფეოდალური არისტოკრატის წიაღიდან გამოსულ გენიალურ ხელოვანს ვ. ი. ლენინი ახასიათებდა, როგორც პატრიარქალური გლეხობის იდეოლოგს, რომელმაც რუსულ ლიტერატურაში ყველაზე უკეთესად და სრულყოფილად გამოხატა რუსი გლეხის ბუნება. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ცხოვრებაში, მათი ეროვნული ენებისა და კულტურების აღორძინებასა და განვითარებაში, მათ ურთიერთ დაახლოებასა და დამშობილებაში ჩვენს ქვეყანაში ხალხთა მეგობრობის კეთილშობილური იდეის სამუდამოდ გამარჯვებასა და დამკვიდრებაში განუზომელი მნიშვნელობა აქვს ვ. ლენინის გენიალურ მოძღვრებას ნაციონალურ საკითხში. დიდი ბელადის იდეურ მემკვიდრეობაში განუყოფლად და ორგანულად არის ერთმანეთთან შედუღებული სოციალისტური რევოლუციისა და ახალი სამყაროს მშენებლობის ორი ძირითადი იდეა — სოციალური თავისუფლება და თანასწორობა და ეროვნული თავისუფლება. ნაციონალურ საკითხს ვ. ლენინმა მიუძღვნა რამდენიმე საგანგებო ნაშრომი. ამ საკითხს იგი არკვევდა და აშუქებდა თავის მრავალ გამოსვლაში, მოხსენებებსა და სიტყვებში. და ყოველგან და ყოველთვის იგი განუხრელი თანმიმდევრულობით იცავდა და ასაბუთებდა ყველა ხალხის, ყველა მრავალრიცხოვანი თუ მცირერიცხოვანი ერისა და ეროვნების სრული თავისუფლების, მათი სრული თანასწორობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ვ. ლენინი ზიზლით გმობდა და კიცხავდა შოვინიზმისა და ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოვლინებას, ერებისა და ეროვნებისა

ნულ ენათა რაიმე პრივილეგიებსა და უპირატესობებს. იგი გადაჭრით მოითხოვდა ყოველი ხალხის ეროვნული ენისა და კულტურის სრულ თავისუფლებას, მათი დაუბრკოლებელი განვითარებისათვის თანაბარი პირობების შექმნას. იგი მოითხოვდა განსაკუთრებულ მზრუნველობას რუსეთის ყოფილ იმპერიაში რევოლუციამდე ჩაგრული და დამონებული ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღორძინებისათვის, მათი ენებისა და ეროვნული კულტურების აყვავებისათვის. ეს მიაჩნდა ლენინს ერთადერთ სწორ და გონივრულ გზად ხალხთა ინტერნაციონალური დაახლოებისა და დაძმობილებისათვის, მათი გაერთიანებისათვის, კომუნისტური მომავლის ერთიანი ინტერნაციონალურ საკაცობრიო კულტურის შექმნისათვის.

რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ დამონებულ ხალხებს არ ჰყოლიათ ისეთი ქომაგი და მფარველი, მათი თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ისეთი მგზნებარე და დაუცხრომელი მებრძოლი, როგორც იყო ვ. ი. ლენინი. მან შეიმუშავა კომუნისტური პარტიის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკა, შექმნა ჩვენი მრავალეროვნული სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში სწორუპოვარი და უბადლო მავალითია ხალხთა სრული თავისუფლებისა, მათი ურდვევი ძმობისა და მეგობრობისა.

როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა, ქართველმა ხალხმაც ლენინის მოძღვრების, ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების შედეგად მოიპოვა საუკუნეობით ნანატრი და ნაოცნებარი ეროვნული თავისუფლება, აღორძინა თავისი დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრადიციები, განაახლა და განავითარა თავისი უმდიდრესი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურა. მოძმე საბჭოთა ხალხების ერთიან ოჯახში ქართველმა ხალხმა მოიპოვა შესაძლებლობა თავისი ეროვნულ-კულტურული შემოქმედების გატანისა ფართო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ყოველივე ამას ქართველი ხალხი უმადლის, უპირველეს ყოვლისა, დიდ ლენინს, მის მიერ შექმნილსა და გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს.

ამიტომ ვერ პოულობს ჩვენს ქვეყანაში მხარდაჭერას და თანაგრძნობას ეროვნული ნიჰილიზმის ვულგარიზატორული ანტილენინური „კონცეფციები“, რომლებიც პერიოდულად თავს იჩენს ხოლმე აქა-იქ, ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეში, ჩვენი პრესის ზოგიერთ ორგანოში. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ერთხულოვან წინააღმდეგობას წააწყდა ყბადაღებული „აგავეშჩინა“, რომელიც საბჭოთა ხალხების ეროვნულ ენათა და კულტურათა კვდოვის, მათი გათქვეფისა და ნიველირების ქადაგებას წარმოადგენდა. დამახასიათებელია, რომ უაღრესად მცდარსა და ლენინიზმის სულისკვეთებისათვის უცხო ამ თვალსაზრისის მხარი არ დაუჭირა არც ერთმა ცნობილმა რუსმა მწერალმა,

საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურათა არც ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ. 1966 და 1967 წლებში ჩატარებულმა საბჭოთა მწერლების რესპუბლიკურმა ყრილობებმა გადაჭრით დაგმეს და უკუაგდეს „აგაევშიჩნა“, ხოლო საბჭოთა მწერლების IV საკავშირო ყრილობამ, რომელიც 1967 წლის მაისში გაიმართა მოსკოვში, საბოლოოდ ნათელყო, რომ „აგაევშიჩნა“ მიუღებელია და შეუთავსებელი მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის მშენებლობის ამოცანებთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში ამ ყრილობისადმი, კ. ფედინის შესავალ სიტყვაში, რომლითაც ყრილობა გაიხსნა, ყრილობაზე წარმოდგენილ მოხსენებებსა და მრავალი ორატორის გამოსვლაში, ყრილობის სხვა დოკუმენტებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ საბჭოთა ხალხების ეროვნულ კულტურათა, ეროვნულ ენათა თავისუფალი განვითარებისა და სრული აყვავების პირობებში და რაც უფრო მეტად უახლოვდებიან ერთმანეთს ეს კულტურები და ლიტერატურანი, მით უფრო ამდიდრებენ და ამაღლებენ ერთმანეთს, მით უფრო ანვითარებენ და განამტკიცებენ ყოველი მათგანის თვითმყოფობას. ასე დამთავრდა „აგაევშიჩნის“ ხანმოკლე ლაშქრობა საბჭოთა ხალხების ეროვნულ ენათა და ეროვნულ კულტურათა წინააღმდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს თავი იჩინა ახალმა არანაკლებ მცდარმა და მიუღებელმა თვალსაზრისმა ამ საკითხში. გასული წლის სექტემბერში ტაშკენტში გამართულ აზიისა და აფრიკის მწერალთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოჩენილმა ყირგიზმა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა წამოაყენა ორენოვანი მწერლობის კონცეფცია. იგი ამტკიცებდა, რომ ახლა საბჭოთა ხალხების მწერლებმა უნდა წერონ არა მარტო მშობლიურ ენაზე, არამედ რუსულ ენაზეც. ამასთანავე მის მსჯელობაში უპირატესობა აშკარად ეძლეოდა მთელ საბჭოთა მწერლობაში ერთი ენის დამკვიდრებისა და გაბატონების იდეას. როგორც ჩანს, ამ ყალბ თვალსაზრისს უკვე გაუჩნდნენ აქა-იქ მიმდევრები და თანამოაზრენი. უკრნალ „უკრნალისტის“ ამა წლის იანვრის ნომერში დაბეჭდილია სერგეი ნიკიტინის წერილი „რუსეთის ხალხთა ლიტერატურა“, წერილში ლაპარაკია რუსეთის ფედერაციის ხალხთა ეროვნული კულტურების აყვავებაზე, ჩვენი სამშობლოს მოძმე ხალხთა ურდევ მეგობრობაზე, მათი სასიცოცხლო ინტერესების ერთიანობაზე, მათს ინტერნაციონალურ სოლიდარობაზე. მაგრამ წერილის ნამდვილი შინაარსი, მისი ძირითადი პათოსი სრულიად სხვა, საწინააღმდეგო აზრს მიეძღვნება. ს. ნიკიტინის წერილში ვკითხულობთ: „დალესტნის გამოჩენილი მწერალი ეფენდი კაპიევი, რომელმაც რუსული პროზის ბრწყინვალე ნიმუშები დაგვიტოვა, აღიარებდა თავის დღიურში: „მთების შვილი, მე სულით, აზრებით, მთელი ჩემი არსებით რუსი აღამიანი ვარ“. საბჭოთა კავშირის თითოეული ეროვნების კულ-

ტურული საგანძური მდიდრდება ქმნილებებით, რომლებიც ინტერნაციონალურ ხასიათს იძენენ. ეროვნული მწერალი, რომელიც რუსულ ენაზე წერს, — ეს ადამიანურ გრძობათა ახალი ორგანოა, რომელიც აფართოებს გონების დიპაზონს, ამდიდრებს ჩვენს ემოციურსა და სოციალურ წიგნიერებას“.

მე მგონია საჭირო არ არის იმის განმარტება, თუ როგორ ესმის ამ სიტყვების ავტორს საბჭოთა ხალხების ძმობისა და მეგობრობის იდეა, სოციალისტური კულტურის ინტერნაციონალური ხასიათი. როგორც ვხედავთ, ამ სტატიის ავტორი აშკარად და შეუნიღბავად მოგვიწოდებს, რომ საბჭოთა ხალხების მწერლებმა ხელი აიღონ მშობლიურ ენაზე და ყველამ ერთ ენაზე წეროს. განა ეს არ არის ქადაგება ეროვნულ ენათა და კულტურათა კვდომისა და, მაშასადამე, თვით ეროვნებათა ლიკვიდაციისა? ეს კი აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ნაციონალურ პოლიტიკას, ლენინის მოძღვრებას ეროვნულ საკითხში, ლენინიზმის სულისკვეთებას. ჩვენ კარგად ვიცით რომ მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობა არ გააყვება ამგვარ მოწოდებებს და ისევე ერთსულოვნად უკუაგდება მას, როგორც სულ ახლახან იქნა დაგმობილი და უკუგდებული ე. წ. „აგავეშჩინა“. ამგვარი ყალბი ვულგარიზატორული კონცეფციების გასაფანტავად ბრძოლაში ჩვენ მუდამ უნდა ვხელმძღვანელობდეთ ვ. ი. ლენინის ანდერძით: „სანამ არსებობენ ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ქვეყნებს შორის — ხოლო ეს განსხვავებანი კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდგომაც კი — ყველა ქვეყნის კომუნისტური მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური ტაქტიკის ერთიანობა მოითხოვს არა სხვადასხვაობის აღმოფხვრას, არა ეროვნულ განსხვავებათა მოსპობას (ეს სულელური ოცნებაა ახლანდელი მომენტისათვის), არამედ კომუნიზმის ძირითადი პრინციპების (საბჭოთა ხელისუფლება და პროლეტარიატის დიქტატურა) ისეთ გამოყენებას, რომელიც სწორად შეუცვლიდა სახეს ამ პრინციპებს კერძო შემთხვევებში, სწორად შეუხამებდა, შეუფარდებდა მათ ეროვნულსა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ განსხვავებებს“ (ვ. ი. ლენინი. თხზულებათა სრული კრებული. IV გამ., ტ. 31, გვ. 99).

ჩვენ ერთგულად ვიცავთ და მივყვებით ვ. ი. ლენინის ანდერძს, ვიმეორებთ მის სიტყვებს „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო“ (სტატიიდან „ველიკოროსების ეროვნული სიამაყის შესახებ“, ტ. 21, გვ. 85) და ძალღონის დაუზოგავად ვაშენებთ ჩვენს ეროვნულ სოციალისტურ კულტურას, რომელიც ჩვენს მშობლიურ ქართულ ენაზე ვითარდება და რომელსაც ღირსეულად უჭირავს საპატიო ადგილი მოძვე საბჭოთა ხალხების მრავალეროვნული სოციალის-

ტური კულტურის საერთო საგანძურში, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს ამ საგანძურს.

არ არსებობს კულტურული მშენებლობისა და, კერძოდ, მხატვრული შემოქმედების არც ერთი მნიშვნელოვანი თანამედროვე პრობლემა, რომლის გარკვევისა და გაშუქებისათვის ჩვენ არ მოგვეპოვებოდეს ნათელი და ზუსტი სახელმძღვანელო მითითებანი ვ. ი. ლენინის იდეურ მემკვიდრეობაში. ამაოდ ლაყბობენ ჩვენი დასავლეთელი იდეური მოწინააღმდეგენი, რომ თითქოს ლენინის ესთეტიური შეხედულებანი მთლიანად აღმოცენებული ყოფილიყოს მე-19 საუკუნის ლიტერატურისა და ხელოვნების გამოცდილებაზე და ამიტომ თითქოს ამ შეხედულებებს მნიშვნელობა არ ჰქონდეს მე-20 საუკუნის მხატვრული კულტურისათვის. დიახ, ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა მე-19 საუკუნისა და არა მარტო მე-19 საუკუნის — კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი კულტურული შემოქმედების გამოცდილებას და ამ უსაზღვროდ მდიდარი გამოცდილების საფუძველზე აყალიბებდა ახალ ესთეტიკურ მოძღვრებას, რომელიც სწორედ ჩვენი საუკუნის ახალი ვითარების შესაბამისად განავითარებს მარქსის და ენგელსის შეხედულებებს ლიტერატურასა და ხელოვნებაზე და წარმოადგენს მტკიცე თეორიულსა და მეთოდოლოგიურ საფუძველს სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის, ყველაზე მოწინავე, ყველაზე პროგრესული და რევოლუციური ხელოვნებისათვის მე-20 საუკუნის მსოფლიო მხატვრულ კულტურაში.

სწორედ მე-20 საუკუნის დამდეგს, როდესაც მსოფლიო რეაქციული ბურჟუაზიის სულიერი მედროშეები — ნიცშე და ბერგსონი, ფროიდი და კროჩე, შოპენჰაუერი და შპენგლერი და სხვადასხვა ჯურის მათი მიმდევრები და თანამოსაგრეები ფილოსოფიურ-ესთეტიკურ საფუძვლებს უქმნიდნენ მსოფლიო დეკადენტურ, ანტიჰუმანისტურ და ანტიხალხურ ხელოვნებას, ვ. ლენინი აყალიბებდა ახალი ესთეტიკური მოძღვრების ძირითად პრინციპებს, რომლებსაც ეყრდნობა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა და ხელოვნება, რამაც უკვე მოახდინა უდიდესი გამარევოლუციონერებელი ზეგავლენა თანამედროვე მსოფლიო მხატვრული კულტურის განვითარებაზე.

ვ. ლენინის ესთეტიკური პოძღვრება, მისი შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე წარმოადგენს ძლევაშოსილ იარაღს ჩვენს ბრძოლაში თანამედროვე ეგზისტენციალიზმის, აბსტრაქციონიზმის, ანტირომანის და ანტიდრამის, აბსურდის ხელოვნების და სხვა ამგვარი დეკადენტურ-რეაქციული მიმდინარეობების მოციქულთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი სოციალისტური წყობილების, იდეოლოგიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის უსაზღვრო მტრობითა და სიძულვილით, მსოფლიოს უბრალო ადამიანთა მილიონების სულიერად განიარაღების, დათრგუნვისა და დამონების საქმეს ემსახურებიან.

ვ. ი. ლენინის თეორიული შემკვიდრეობა, კერძოდ მისი ესთეტიკური მოძღვრება შეიცავს ნათელსა და ზუსტ კრიტერიუმებს, უტყუარ კომპასს იმისათვის, რომ სწორად გავიზაროთ და გავითვალისწინოთ ქართული მწერლობის მიერ საბჭოთა ეპოქაში განვლილი ნახევარსაუკუნოვანი გზა. მართებულად შევაფასოთ ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი მდგომარეობა, მისი მიღწევები და წარმატებანი, გავარკვიოთ ის აქტუალური შემოქმედებითი პრობლემები, რომელთაც ცხოვრება აყენებს ჩვენი მწერლობის წინაშე კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

თუ თვალს გადავავლებთ მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის განვითარების მაგისტრალურ გზას, ადვილად შევამჩნევთ იმ უდიდეს გარდამქმნელ, განმაახლებელ და გამამდიდრებელ ზეგავლენას, რომელიც მოახდინა ჩვენს პოეზიაზე ლენინის ძლევა მოსილმა იდეებმა, ამ იდეებით ხორცშესხმულმა ახალმა სოციალურმა სინამდვილემ, თვით ლენინის დიადმა სახემ, რომელშიც ქართული პოეზია ყოველთვის ხედავდა და გამოხატავდა ახალი სამყაროს დაბადების, მისი გამარჯვებისათვის ბრძოლის დიდებულ სიმბოლოს.

როდესაც ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების განცდით აღფრთოვანებული და შთაგონებული 1918 წელს სამშობლოში დაბრუნდა „რომ მოეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, მისი იმდროინდელი განწყობილების აზრთა და გრძობათა სამყაროს გამომხატველი ბრწყინვალე ლექსი „გემი დალანდი“ ახალი სამყაროს უდიდესი გენიოსის ნათელი სახით არის გაბრწყინებული.

გემით „დალანდი“ მოვდიოდი
სამშობლოსაკენ
და მთვარისაგან გაღვიძება გულს
დარდად ჰქონდა,
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით
ველარ მოვაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ
მომავონდა?
გახსენებების მეძახოდა მტანჯველი
ლანდი,
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი,
ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მოაპობდა
გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა განშორების
მსუბუქი ცრემლი.

როგორი ღრმა აზრისა და წრფელი გრძნობის შედეგებს ერთ მთლიან პოეტურ სახეში შეიცავს ეს ლირიკული შედეგები! როგორი შთამბეჭდავი მიმანიშნებელი შტრიხებით არის აქ წარმოსახული ოქტომბრის დღეების რუსეთის პანორამა, რომელშიც ასე ორგანულად არის ჩაქსოვილი ლენინის დიადი სახე! ძნელი არ არის იმის გაშიფვრა, თუ რატომ ადგას თვალზე პოეტს ამ ახალ სამყაროსთან განშორების მსუბუქი ცრემლი, თუ რატომ ვერ მიაგნო მან 1918 წლის საქართველოში თავისი ხალხის გმირული რევოლუციური ტრადიციების ძველ გზებს. როგორი ორგანული მთლიანობით არის აქ ერთ პოეტურ მეტაფორაში შეზავებული ლირიკული გმირის უაღრესად ინტიმურ-ადამიანური გრძნობებისა და მისი დიდი სოციალური იდეების სამყარო!

ასე იბადებოდა ქართულ პოეზიაში სოციალისტური ლირიკის ახალი ტრადიცია, რომლის სათავეებიც განათებული და განაყოფიერებული იყო ლენინის სახით. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ტიცთან ტაბიძის ლექსი „პეტერბურგი“, დაწერილი 1917 წელს, სადაც ორი სამყაროს სამკვედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ახალი ქვეყნის გამარჯვების რწმენა სწორედ ლენინის სახელთან არის დავშირებული.

შემდეგ, უკვე საბჭოთა საქართველოს ისტორიის პირველ პერიოდში, ოციანი წლების პირველ ნახევარში, როცა დიდი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების ვითარებაში გზას მიიკვლევდა ახალი ქართული პოეტური კულტურა, ლენინის სახემ, მისი დიადი ცხოვრებისა და რევოლუციური შემოქმედების თემამ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო პოეტთა იდეური გადაიარაღების საქმეში, ლიტერატურის სარბიელზე ახალგამოსული ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებითი დავაუკაცების საქმეში. ამ მხრივ ჭეშმარიტად ისტორიული საეტაპო მნიშვნელობა მოიპოვეს იმ ბრწყინვალე ლექსებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის მძიმე დღეებში შექმნეს გალაკტიონ ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, გიორგი ქუჩიშვილმა და სხვებმა. და იმავე დღეებში გამოქვეყნდა ალიო მაშაშვილის (მირცხულავას) შესანიშნავი ლექსი „ლენინს“, რომელიც არა მარტო ღირსეულად გვერდით ამოუდგა ჩვენი ახალი პოეზიის ამ სახელმძღვანელო პოეტთა ნაწარმოებებს, არამედ მოგვევლინა კიდევ ქართული პოეტური კულტურის ახალი ეტაპის მომასწავებელ ქმნილებად. ამ ლექსში 20—21 წლის ახალგაზრდა პოეტმა პირველად გამოავლინა თავისი იშვიათი ნიჭიერება სამოქალაქო ლირიკის პირველხარისხოვანი ოსტატისა, რომელმაც ერთბაშად მოიხვეჭა საყოველთაო აღიარება საქართველოში. ჩვენს მესხიერებაში დღემდე წარუშლელად ცოცხლობს ამ ლექსის უჭკნობი სტრიქონები:

შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაეთარა ტრაური ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!
შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან

იცხოვრებ,
ვფიცავთ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე!
გაივლის ესეი მტვრევით, ხმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკვდავ სახეს ეამბორობა!

ამ ლექსით დაიწყო ის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, რომლითაც ალიო მირცხულავამ და მისი მეტაურობით გამოსულმა ახალმა თაობამ პროლეტარული პოეტებისა თვალსაჩინო ხვედრითი წონა მოიპოვა ოციანი წლების ქართულ ლიტერატურაში.

მას შემდეგ დაუსრულებლივ მდიდრდება და ღრმავდება ქართული პოეტური ლენინიანა. არც გვეგულება ახლა ისეთი ქართველი პოეტი, რომელსაც თავისი გულის სიღრმიდან მომდინარე მღელვარე სტრიქონები არ მიეძღვნას ლენინისადმი. თუ მოვიხსენიებთ მთელი იმ პოეტური სიმდიდრისა და მრავალფეროვნების სრულ დახასიათებას, ჩვენ დაგვჭირდებოდა არსებითად მთელი თანამედროვე ქართული პოეზიის მიმოხილვა. მაგრამ რაიმე საგანგებო შეიქმნის გარეშე ახლა ჩვენს ცნობიერებაში ცოცხლდება ქართული პოეტური ლენინიანას რამდენიმე მკაფიო ნიმუში. აი, მაგალითად გიორგი ლეონიძის ლექსი „ლენინი საქართველოში“, მასში გამოხატულია დიდი სევდა იმის გამო, რომ ლენინს ქართველ ხალხთან, მის რევოლუციურ ბრძოლებთან, ქართველი ბოლშევიკების პირველ პლედასთან უახლოესი იდეური და სულიერი კავშირ-ურთიერთობის მიუხედავად, შემთხვევა არ მიეცა ჩამოსულიყო საქართველოში, დამტკბარიყო მისი წარმტაცი ბუნების მშვენიერებით, უშუალოდ გასცნობოდა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. და ამასთანავე ლექსში შთამაგონებლად არის გამოთქმული იმისი განცდა, რომ ლენინი განუყოფლად ცხოვრობს და მონაწილეობს ახალი საქართველოს ზრდისა და აღმავლობის ეპოპეაში.

მრავალმხრივად და მრავალფეროვნად განასახიერა იგივე აზრი გრიგოლ აბაშიძემ ვრცელ ლირიკულ ციკლში „ლენინი სამგორში“. განსაკუთრებული ცხოველყოფილებით გამოირჩევა ამ ციკლის ლექსი, რომელშიც გადმოცემუ-

ლია ლირიკული გმირის, ახალგაზრდა ადამიანის განცდა, რომელმაც ჰაზესის ელსადგურისა და მის კაშხალებთან აღმართული ლენინის მონუმენტის პირველი ხილვისას განუყოფელ მთლიანობად აღიქვა და შეიყვარა მშრომელი ხალხის ცხოვრების დიდი განმახლებლისა და ამალორძინებლის სახე და ჩვენს სამშობლოში ჩაუქრობლად ანთებული ახალი ცხოვრების ჩირაღდნები.

პოეტური ჩანაფიქრის ორიგინალობით გამოირჩევა ქართულ ლიტერატურულ ლენინიანაში ირაკლი აბაშიძის ლექსი „მთის არწივი“. მასში პოეტი წარმოსახავს შთაბეჭდილებათა და განცდათა იმ ნაკადს, რომელსაც შეეძლო წარმოეშვა ახალგაზრდა სტალინის ცნობიერებაში აზრი, რომ თავისი უსაყვარლესი მასწავლებლისათვის მთის არწივი ეწოდებინა. კობამ დაინახა კავკასიონის ცადაბჯენილი მთების მწვერვალებიდან ლაღად აფრენილი და ცის უნაპირო ლაქვარდში მდღვარი ფრთებით მონავარდუ არწივი და ამ წარმტაცი სანახაობით შეძრულ მის ჭაბუკურ შეგნებაში აღმოცენდა ღრმააზროვანი ანალოგია —

მთის არწივია — ლაღი, მაღალი,
ლაქვარდ სივრცეიდან

გადმოფრენილი,—

სთქვა და პირისპირ ჭერ უნახავი,
თვალწინ დაუდგა კობას ლენინი.

გონებამახვილური პოეტური ჩანაფიქრის ნიადაგზეა აგებული ხუტა ბერულავას ლექსი „ველადიმერ ლენინს“, რომელშიც ის აზრია განსახიერებელი, რომ სხვა ადამიანთაგან განსხვავებით ვ. ი. ლენინს მხოლოდ დაბადების თარიღი გააჩნია, მას არა აქვს სიკვდილის თარიღი, „რადგან სიკვდილი მის დაბადებას გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს“. თავისი პოეტური სიჭაბუკის ასაკში დაწერა მუხრან მაჭავარიანმა სხვა შესანიშნავ სადებიუტო ლექსებთან ერთად ღრმა რევოლუციური აზრით შთაგონებული ლექსი „ლენინის ქუჩა“, რომელშიც მოუწოდა: „დაარქვით ბროდვეის ლენინის ქუჩა, ძნელია? არ არის შიმშილზე ძნელი!“

შეიძლებოდა კიდევ მრავალი მაგალითის მოტანა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ღრმად დამკვიდრდა და როგორ მრავალმხრივად გამოიხატა ყველა თაობის და ფორმაციის ქართველ პოეტთა შემოქმედებაში ლენინის სახე. მისი დიადი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამოუწურავი თემა, თუ რაოდენ დიდი გამამდიდრებელი და ამამაღლებელი ზეგავლენა მოახდინა ამ თემამ ჩვენი დროის ქართულ პოეტურ ხელოვნებაზე.

თავისი განვითარების ნახევარსაუკუნოვან მანძილზე ქართულმა საბჭოთა პოეზიამ მრავალი ისეთი შემოქმედებითი წარმატება მოიპოვა, რომელთაც საუკუნოვანად აღიარება მოიხვეჭეს ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში და მის

ფარგლებს მიღმაც. სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმატებანი სწორედ იმ შემთხვევაშია მიღწეული, როდესაც პოეტი ახალი სამყაროს ნათელი იდეალებით არის შთაგონებული, ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროს. ამაღლებულ თვისებებს უმღერის და გამოხატავს, თანამედროვეობის გმირის ნათელ იდეურ და მორალურ მისწრაფებებს განასახიერებს. ახლა ქართული საბჭოთა პოეზია, ისე როგორც მთელი ქართული მწერლობა, მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა თავისი ისტორიის ახალ ეტაპზე იმყოფება. მასში თანდათანობით ვრცელდება და მკვიდრდება ის ახალი ნიშანთვისებანი, რომლებიც ჩვენს სამშობლოში სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში შექმნილმა ახალმა საზოგადოებრივმა ვითარებამ და მორალურმა ატმოსფერომ განაპირობა. ცხადია, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ ლიტერატორთა მცდარსა და ყალბ შეხედულებებს, რომელთაც სურთ ჩვენი მწერლობის ისტორიის თანამედროვე ეტაპი გამოთიშონ საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესისაგან და დაუპირისპირონ იგი სოციალისტური ლიტერატურის ისტორიის წინა პერიოდებს. ეს ყოველად უსაფუძვლო და მიუღებელი თვალსაზრისია, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენს მხატვრულ კულტურაში ტრადიციისა და ნოვატორობის ურთიერთობის ლენინურ კონცეპციას. ამასთანავე, არ შეიძლება არ შევნიშნოთ დღევანდელ ჩვენს პოეზიაში აღმოცენებული გარკვეული სიახლენი, აქტიურად მხარი არ დაუჭიროთ ამ სიახლეებს. ახლა ქართული პოეზია წარმატებით თავისუფლდება რიტორიულობისა და მყვირალა პათეტიკის, განუსჯელი პარადულობისა და სახობო ლექსთმთხზველობის ტენდენციებისაგან. ახლა ჩვენი პოეზია გამიზნულად ისწრაფვის, რომ უფრო ღრმად შეაღწიოს ადამიანის სულიერი ცხოვრების წიაღში, უფრო ფართოდ და მრავალმხრივად მოიცვას ლირიკული გმირის აზრების, განცდებისა და განწყობილების სამყარო, გაამახვილოს და გააფართოვოს პოეტური ხილვის ძალა და სიღრმე, გაამდიდროს და გააფართოვოს მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა სისტემა. იზრდება პოეტური მედიტაციის ხვედრითი წონა.

თუ მოვიხილავთ კონკრეტული მაგალითებით ნათელგვყოთ და დავადასტუროთ ასეთი ძვრები და სიახლენი თანამედროვე ქართულ პოეზიაში, პირველ ყოვლისა უნდა დავსახველოთ ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“, გიორგი ლეონიძის უკანასკნელი პოეტური ქმნილებანი, სიმონ ჩიქოვანის „განჯის დღიური“, კარლო კალაძის პოემა-მონოლოგი „მამა“, რევაზ მარგიანის ლირიკული კრებული „გამოღვიძება“, იოსებ ნონეშვილის ახალი ლექსები უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის შედეგად შექმნილი ჯერ დაუმთავრებელი წიგნიდან, ილ. გომიაშვილის „ადგილის დედა“. სწორედ ამ წლებს მანძილზე დაწინაურდნენ ჩვენი ეროვნული პოეზიის ოსტატთა მოწი-

ნავე რიგებში მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი; უფრო მკაფიოდ გამოავლინეს თავიანთი პოეტური ინდივიდუალობის დამახასიათებელი თვისებები მურმან ლებანიძემ, ლადო სულაბერიძემ, მორის ფოცხიშვილმა.

ეს ჩამოთვლა სრული და ამომწურავი არ არის. შეიძლებოდა კიდევ დავვესახელებინა ჩვენი დღეების ქართული პოეზიის რამდენიმე საყურადღებო ნიმუში, მაგრამ ამ შეთხვევაში ჩვენს ამოცანას შეადგენს არა ლიტერატურული მიმოხილვის წარმოდგენა, არამედ ისეთ პოეტურ ნაწარმოებთა გამოყოფა, რომლებიც ახალ სიტყვას წარმოადგენენ მათი ავტორების შემოქმედებით ბიოგრაფიაში და, მათთანადამე, მთელ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. თუ გულდასმით და ყურადღებით განვიხილავთ ზემოთ აღნიშნულ პოეტურ ქმნილებებს, ნათლად დავინახავთ, რომ ქართულ პოეზიაში ამჟამად ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება სუფევს, რომ ჩვენი პოეზია თავისი ევოლუციის ახალ ზღუდეებს იპყრობს. და მაინც არ შეიძლება არ ვილაპარაკოთ დღევანდელი ქართული პოეტური ცხოვრების ზოგიერთი სახიფათო ტენდენციის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ წლებში იშვიათობად იქცა ნამდვილი პოეტური შთაგონებით და წარფელი ძლევაარებით დაწერილი ისეთი ლექსი, რომელიც ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრების მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს მიეძღვნებოდეს და ეხმაურებოდეს.

ჩვენს პოეტებს შორის, განსაკუთრებით ეს შეეხება ჩვენს ნიჭიერ ლიტერატურულ ახალგაზრდობას, ბოლო წლებში გავრცელდა ყალბი და ყოვლად გაუმართლებელი აზრი, თითქოს მაღალი პოეზიის საგანს, ჭეშმარიტი პოეზიის საფუძველს შეადგენდეს მხოლოდ პირადულ-ინტიმური გრძნობებისა და განცდების სფერო ან განყენებული, ე. წ. მარადიულ-ფილოსოფიური პრობლემატიკა და არა ცხოვრების კონკრეტული მოვლენები, სინამდვილის მწვავე სოციალური საკითხები. ამ თვალსაზრისის მიმდევრები იფიწყებენ, რომ მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის ორი უდიდესი შედეგრი „მერანი“ და „განთიადი“ ცოცხალი საზოგადოებრივი სინამდვილის კონკრეტული მოვლენების ნიადაგზე აღმოცენდა. „მერანი“ გამოიწვია ილია ორბელიანის დატყვევებამ შამილის ჯარების მიერ, „განთიადი“ კი დიმიტრი ყიფიანის ვერაგულად მოკვლამ თვითმპყრობელობის სატრაპების მიერ. და ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია, პირიქით განუპირობებია კიდევ, რომ ჩვენი ეროვნული პოეზიის ამ უკვდავ ქმნილებებში ყველაზე ღრმად და სრულყოფილად გამოხატულიყო ეპოქის სული, რომ ამ ლექსებს გარდაუვალი იდეურ-ესთეტიკური ღირებულება შეეძინათ. ჩვენ დღემდე კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ ილია ჭავჭავაძე

შესანიშნავი ლექსებით გამოეხმაურა პარიზის კომუნართა გმირულ ბრძოლას, გარიბალდის მეთაურობით გაჩაღებულ იტალიელი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. და ეს იყო არა მარტო მე-19 საუკუნის სპეციფიური პოეტური ტრადიცია. ცნობილია, რომ თავისი ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობასთან განუყოფელი კავშირ-ურთიერთობა ასაზრდოებდა მე-20 საუკუნის უდიდესი პოეტების — ვლადიმერ მაიაკოვსკისა და ვალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებას. მაშ რატომღა გაურბის ზოგიერთი ჩვენი პოეტი დროების მღელვარე მოვლენების თემატიკას, თანამედროვეობის მწვავე სოციალურ პრობლემატიკას? ეს ხომ ზღუდავს და აქვეითებს მათი შემოქმედების მოქალაქეობრივ ქღერას და ასუსტებს საერთოდ ჩვენი პოეზიის საზოგადოებრივ რეზონანსს. ამ პოეტებს კიდევ ერთხელ უნდა გავახსენოთ ვალაკტიონ ტაბიძის მოწოდება: „დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს, — ეს წელიწადი, დღე და საათი“. დიდი კმაყოფილებით შევხვდით ჩვენ ალექო შენგელიას ლექსების ციკლს, რომელიც ენგურჰესის მშენებლებს, მათ საგმირო საქმეებს მიეძღვნა. სამწუხაროდ, ამ თემას აღარ უპოვია შემდგომი განსახიერება არც იმავე პოეტის, არც სხვა პოეტების შემოქმედებაში.

ქართული პოეზიის დღევანდელი ვითარების ერთი დიდი ხარვეზი ისიც არის, რომ მასში თანდათანობით ნელდება და ფერმკრთალდება ეპიკური აზროვნების ნაკადი. იშვიათად იწერება ფართო პლანის პოემები, რომლებშიც თანამედროვეობის ღრმა კონფლიქტები იყოს წარმოსახული, თანამედროვეობის გმირის დიდი ვნებები და გრძნობები გამოიხატებოდეს.

ცნობილია, რომ ქართული პოეზიის ისტორიის წინა ეტაპებზე ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიკური ტრადიციების ახლებურად აღორძინებისათვის უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა გასწიეს გიორგი ლეონიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ალიო მირცხულავამ, კარლო კალაძემ, იოსებ ნონეშვილმა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გრიგოლ აბაშიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის უეჭველი წარმატებები ამ უანრში.

უკანასკნელ წლებში კი ეს ძვირფასი ტრადიცია, სამწუხაროდ, თანდათან დავიწყებდას ეძლევა. საიდანღაც წარმოიშვა მცდარი თვალსაზრისი, თითქოს თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრების გამოხატვა მხოლოდ ან უპირატესად ლირიკული პოეზიის საშუალებით იყოს შესაძლებელი. ასეთი უცნაური „თეორია“ და პრაქტიკა ზღუდავს და აღარბებს ჩვენს პოეზიას. შეუძლებელია, რომ რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას სამშობლოში ახლებური აღორძინება არ ჰპოვოს პოეტური ეპოსის ტრადიციამ. ამიტომაც ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეეგება ოთარ ჭელიძის პოემის „ჩემი მაგნიტური ველის“ გამოქვეყნებას. ეს პოემა ბოლო წლების ქართული პოე-

ზიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიკური ნაწარმოებია, თუმცა მთავარი გმირის პასიურ-მჭკვრეტელობითი ხასიათი მის საგრძნობ ნაკლოვანებას წარმოადგენს.

უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში გავრცელება ჰპოვა ე. წ. „ლირიკული პოემის“ ჟანრმა, რომლის დამკვიდრებაში უპირველესი ღვაწლი მიუძღვის ოთარ ჭილაძეს და აგრეთვე ჯანსულ ჩარკვიანს, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორს. ამ პოემებში ბევრი რამ არის ნამდვილი პოეტური შთაგონებით და ნიჭიერებით აღბეჭდილი. მაგრამ ბევრ მათგანს აკლია აზრის სიცხადე და აქტუალობა, მათში ხშირია განზრახ გართულებული, ხელოვნურად გაბუნდოვანებული, ძნელად გასაშიფრი პოეტური სახეები და მეტაფორები. ყოველივე ეს აფერხებს ამ ნაწარმოებთა მიღწევას ხალხის გულამდე. ჭეშმარიტი ხელოვნება კი, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, სწორედ მაღალ ხალხურობას უნდა მიესწრაფვოდეს. ჩვენ ვიცით, თუ როგორ ნათელ პოეტურ აზროვნებას მიღწიეს თავიანთი შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და ბორის პასტერნაკმა. სიმონ ჩიქოვანი თავისმა მაძიებელმა პოეტურმა აზრმა ბოლოს იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „შემოქმედებას სირთულე უყვარს, მხოლოდ გასაგებ ენაზე თქმული“.

მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში შექმნილია ლირიკული პოემის ისეთი უქცნობი ნიმუშები, როგორიცაა „ბედი ქართლისა“ და „აჩრდილი“. ამ კლასიკურ პოეტურ ქმნილებებში მაღალმხატვრული განსახიერება ჰპოვა ეპოქის ყველაზე აქტუალურმა პატრიოტულმა და სოციალურმა იდეებმა. ასეთი იდეური აქტუალობა და აზრის სიღრმე აკლია, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართული ლირიკული პოემების უმრავლესობას.

ჩვენს ლიტერატურაში, ბოლო ხანებში, თითქმის სრულიად გაქრა მაღალი რანგის სატირული პოეზია. ოციანი წლების ქართულ მწერლობაში იყო საყუარადღებო ცდები ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სატირული ლექსის ტრადიციების ახლებური აღორძინებისა. ამ მხრივ პირველ ყოვლისა ალიო მირცხულაევას „აი ადამიანი“ და სხვა სატირული ნაწარმოებნი უნდა დავასახელოთ. ახლა კი, ჩვენი საუკეთესო პოეტები რატომღაც გაურბიან ამ ჟანრს, ვერ ითვალისწინებენ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და საჭიროებას სწორედ ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ალარაფერს ვიტყვით ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების იმ განუკუთრნელი ავადმყოფობის შესახებ, რომ ჩვენს მხატვრულ პერიოდისაში უზომოდ და განუკითხავად იბეჭდება და ცალკე წიგნებადაც ხშირად ქვეყნდება მდარე, უაზრო, უფერული ლექსები. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი ზოგიერთი მაღალნიჭიერი პოეტი, — მაგალითად ანა კალანდაძე, ალექსანდრე გომიამვილი, მუხრან მაჭავარიანი, — ბოლო წლებში იშვიათად აქვეყნებენ ახალ

პოეტურ ნაწარმოებებს. ცხადია, პოეზიაში არ არსებობს სავალდებულო რაოდენობრივი ნორმები. რაოდენობრივი მაჩვენებლები არაფერს ნიშნავს მხატვრულ შემოქმედებაში. მაგრამ ჭეშმარიტ პოეტს მაინც მოეთხოვება ინტენსიური, აქტიური კავშირურთიერთობა ხალხთან, მის სულიერ სამყაროსთან, ცხოვრებასთან.

უკანასკნელი წლების ქართული ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ დაძლეული იქნა მხატვრული პროზის ჩამორჩენილობა, გაძლიერდა მისი ხვედრითი წონა ჩვენი მწერლობის საერთო განვითარებაში. ზედიზედ გამოქვეყნდა ახალი რომანები, მოთხრობებისა და ნოველების წიგნები, რომლებშიც ხალხის თანამედროვე შრომითი ცხოვრების პროცესებია წარმოსახული, რომელთა ცენტრში თანამედროვე ადამიანის ტიპური სახეები დგანან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთელი ისტორიის მანძილზე თანამედროვეობის სუნთქვა მასში არასოდეს არ იგრძნობოდა ისე მძლავრად და ყოვლისმომცველად, როგორც ახლა. ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქართულ მწერლობას ხელი აედოს ჩვენი ხალხის გმირული ისტორიის მხატვრულად გაცოცხლებისა და წარმოსახვის ფრიად მნიშვნელოვან ამოცანაზე. არა! სწორედ ამ წლებში დაასრულა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი მონუმენტური ქმნილება — ისტორიული ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რისთვისაც მას დამსახურებულად მიენიჭა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. გრ. აბაშიძემ გამოაქვეყნა რომანები „ლაშარელა“ და „ღიღი და მე“ რომელთაც, შეიძლება ითქვას, პრინციპული საეტაპო მნიშვნელობა აქვთ ქართული ისტორიული რომანისტიკის განვითარებისათვის; ინტენსიურად ამუშავებდა ისტორიული წარსულის თემებს ლევან გოთუა, რომლის რომანები პოპულარობით სარგებლობს ქართველი ხალხის ფართო ფენებში.

მაგრამ მაინც ქართული მხატვრული პროზა ახლა ძირითადად და უმთავრესად თანამედროვეობის თემატიკას ეყრდნობა. მასში ძლიერდება მისწრაფება მწვავე ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობათა გამოხატვისა, სინამდვილის ვრცლად და ყოველმხრივად ათვისებისა. თუ სულ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ სამართლიანად ვსაყვედურობდით, რომ ქართული მხატვრული პროზის მხედველობის სარბიელი სოფლური ცხოვრებით, გლეხობით შემოიფარგლებოდა, ახლა ეს ცალმხრივობა გადალახულია, — დაიწერა რომანები, რომელთა მოქმედება ქალაქური ცხოვრების ფონზეა გაშლილი, რომლებშიც ჩვენი მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ტიპური წარმომადგენლები ცხოვრობენ და მოქმედებენ. ახლა უფრო თანმიმდევრულად და ხაზგასმით ისწრაფვიან მხატვრული პროზის ოსტატები, რომ მეტი სიღრმით დაამუშაონ მო-

რალურ-ეთიკური პრობლემები, გააძლიერონ ადამიანის სულიერი ცხოვრების მხატვრული ანალიზის ოსტატობა, მხატვრული „ადამიანთმცოდნეობის“ ხელოვნება.

მცდარად და უსაფუძვლოდ ფიქრობს ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი, თითქოს ქართული მხატვრული პროზის ასეთი საერთო აღმავლობა და დაწინაურება მხოლოდ ჩვენი მწერლობის ერთი რომელიმე თაობის დამსასურება იყოს არა! აქაც უეჭველი წარმატებანი მოპოვებულია სხვადასხვა თაობისა და ფორმაციის, სხვადასხვაგვარი ნიჭიერებისა და ესთეტიკური მიდრეკილებების მწერალთა ანსამბლის ერთობლივი შემოქმედებითი შრომით. ამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც დასახელება იმ რამდენიმე ნაწარმოებისა, რომლებიც, ჩვენი აზრით, განსაზღვრავენ ქართული მხატვრული პროზის დღევანდელ დონეს. ესენია: კონსტანტინე გამსახურდია „ვაზის ყვავილობა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი ნოველების ციკლი სამამულო ომის თემებზე და მისი რომანის „ნატურის თვალის“ პირველი წიგნი, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“ და „ფერფლის“ მეორე წიგნი, დემნა შენგელიას „განძი“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, გრ. აბაშიძის „ყორნალი“, თინა დონჯაშვილის „ალაზანზე“, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამე“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ოტია იოსელიანის „იყო ერთი ქალი“. ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტის“ მესამე წიგნი, ოთარ ჩხეიძის „ლანდები“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, თამაზ ჭილაძის „აპა მიიწურა ზამთარი“. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის ნაკლოვანება იმაშიც გამოიხატება, რომ დღემდე არ გვაქვს ამ რომანების უმრავლესობის შესაფერი განხილვა, ანალიზი ჯერ უფასება. ჩვენ არც გვაქვს ახლა პრეტენზია ჩვენი კრიტიკული აზრის ამ ხარვეზის შევსებისა.

ახალ ბელეტრისტულ ნაწარმოებთა ეს ჩამოთვლაც კი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმავლობის საუკეთესო წლებშიც კი ჩვენ არ გვაქონია ქართულ პროზაში ასეთი სიუხვე, მრავალფეროვნება, თემატური დიაპაზონის ასეთი სიფართოვე, მხატვრულ-სტილისტურ პოზიციათა ასეთი მრავალსახეობა.

ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, თითქოს დასახელებული ყველა ნაწარმოები თანაბარ იდეურ-ესთეტიკურ დონეზე იდგეს, თითქოს ამ ნაწარმოებებს უკან ჩამოეტოვებინოს ჩვენი საზოგადოების ისტორიის წინა პერიოდებში შექმნილი საუკეთესო ბელეტრისტული ქმნილებების ლიტერატურული ღირებულება. არა, ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნა და დასაბუთება გვინდა, რომ ქართულ მხატვრულ პროზაში ახლა დიდი შემოქმედებითი გამოცოცხლება სუფევს და, რომ მის საუკეთესო ნაწარმოებებში თანმიმდევრულად და სწორად ხორციელ-

დება მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის, სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ფუძემდებლური პრინციპები.

ზემოთ ქართული საბჭოთა რომანიტიკის ახალი, განსაკუთრებით თვალსაჩინო ნაწარმოებნი დავასახელებთ. ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ნაკლებ ყურადღებას იმსახურებდეს ან კიდევ ნაკლები ინტენსიობით ვითარდებოდეს ჩვენი თანამედროვე ნოველა. ამ უანრის შეუქნელბელი განვითარების დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ სერგო კლდიაშვილის „ჭინკა ბიჭები“ და ახალი თაობის დიდად ნიჭიერი პროზაიკოსის რევაზ ინანიშვილის ნოველები, კერძოდ მისი „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“.

როცა თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ასეთ უეჭველ და სასიხარულო წარმატებებზე ვლაპარაკობთ, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ შემთხვევაში საფუძველი გვექონდეს განცხრომისა და თვითკმაყოფილებისათვის, თითქოს ამ უანრის სფეროშიც არ შეიმჩნეოდეს საგრძნობი სიძნელეები და ნაკლოვანებანი, არ არსებობდეს გადაუწყვეტელი პრობლემები. მისაღწევი ამოცანები.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მხატვრულ პროზაში ჟერ კიდევ დიდ იშვიათობას წარმოადგენს ქართველი მუშათა კლასის მოწინავე ადამიანთა ცოცხალი, ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახეები... ცნობილია, რომ ლენინი ყოველთვის განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავდა მუშათა კლასის, პროლეტარიატის ავანგარდულ როლს მშრომელი ხალხის რევოლუციურ ბრძოლაში, ახალი, სოციალისტური სამყაროს მშენებლობის საქმეში. მარქსიზმ-ლენინიზმის ეს დებულება სავსებით ძალაში რჩება ჩვენი დროისათვისაც. სოციალისტური მრეწველობისა და მისი მოწინავე ადამიანების შემოქმედებითი შრომისა და ყოფაცხოვრების თემატიკისადმი უყურადღებობა ზღუდავს და აღარიბებს ქართული მხატვრული პროზის დიაპაზონს. ჩვენი მწერლობისაგან ხალხი სინამდვილის ყოველმხრივი სისრულით და სიმართლით წარმოსახვას მოელის. ლადო ავალიანის „ახალი პორიზონტის“ შესამებ წიგნი ამ მხრივ სწორედ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს.

მკრთალად არის გამოხატული ჩვენს დღევანდელ ბელეტრისტიკაში ეროვნული ინტელიგენციის ცხოვრებაც. იშვიათია ჩვენს მხატვრულ პროზაში ისეთი ადამიანური სახეები და ხასიათები, რომლებიც ღირსეულად განასახიერებდნენ ქართველი ხალხის თანამედროვე ინტელექტუალურ ცხოვრებას, მისი სულიერი შემოქმედების დონეს. საერთოდ, უკანასკნელი წლების ქართულ მხატვრულ პროზაში აღარ გვხვდება ისეთი ადამიანური სახეები, რომლებიც

ახალი კეთილშობილური საქმეებისათვის აღაფრთოვანებდეს ხალხს, მისაბამ მაგალითად, ცხოვრების, შრომის, ზნეობისა და გემოვნების ნიმუშად გამოადგებოდეს ახალგაზრდობას. სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ მიიტანეს და სრულყოფილად ვერ განახორციელეს თავისი კეთილშობილური შემოქმედებითა ჩანაფიქრი ასეთი დიდმნიშვნელოვანი განზრახვით დაწერილ ფრიად საყურადღებო და საინტერესო რომანებში ედიშერ ყიფიანმა („წითელი ღრუბლები“), გურამ გეგეშიძემ („ცოდვილი“) და გურამ ფანჯიკიძემ („მეშვიდე ცა“).

ვერ იქნა და დღემდე ვერ აღმოიფხვრა ბელეტრისტიკაში ე. წ. „წერილმანთემიანობის“, ნატურალისტური ემპირიულობის მანკიერი ტენდენციები. ხშირია შემთხვევა, როცა კითხულობ ნიჭიერად დაწერილ მოთხრობებს. და ნოველებს, ნამდვილად გზიბლავს მათში ცალკეული ყოფითი დეტალების კოლორიტული მხატვრობა, ცალკეულ ადამიანურ ხასიათთა ცოცხლად გამოკვეთილობა. მაგრამ არ არსებობს ამ ნაწარმოებებში რაიმე მნიშვნელოვანი აზრი და მორალი, რაიმე განზოგადებისა და ტიპიზაციის მისწრაფება, მწერლის იდეური პოზიცია, რისიმე განმტკიცების ან უარყოფის სურვილი, რაიმე დიდი ცხოვრებისეული სიმართლის გრძნობა.

ასეთ მცდარ და უნაყოფო ტენდენციებს ზოგჯერ ვხვდებით, სამწუხაროდ. ისეთი უაღრესად ნიჭიერი და საიმედო ახალგაზრდა ბელეტრისტების მოთხრობებსა და ნოველებშიც კი, როგორნიც არიან რევზ ჭეიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, ნოდარ წულუისკირი. ესეც არის ერთ-ერთი გამოხატულება თანამედროვე დასავლეთის მოდერნისტული ხელოვნების უარყოფითი გავლენებისა, რამაც ბოლო ხანებში აქა-იქ თავი იჩინა ჩვენს ლიტერატურაში, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მხატვრული პროზა სათანადოდ ვერ იყენებს და ვერ ასახიერებს ქართველი ხალხის გმირული რევოლუციური წარსულის ძვირფას, უმდიდრეს ცხოვრებისეულ მასალას. ცნობილია, რომ ლენინის უახლოესი მოწაფეებისა და თანამებრძოლების მეთაურობით, ლენინის მიერ გამობრძმედილი კომუნისტური ორგანიზაციის წინამძღოლობით ქართველმა ხალხმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში. ვ. ი. ლენინს არა ერთხელ მიუცია მაღალი შეფასება ქართველი მშრომელი ხალხის სახელოვანი რევოლუციური გმირული საქმეებისათვის. რა უნდა იყოს ქართული მწერლობისათვის იმაზე უფრო საპატიო და აღმაფრთოვანებელი ამოცანა, რომ ფართო მხატვრულ ტილოებზე — რომანებში, პოემებში, დრამებში, ლირიკულ ციკლებში გააცოცხლოს

და წარმოსახოს ეს დიდებული ეპოპეა, ქვეყანას დაანახოს და გააცნოს იგი ქართველი ხალხის სასახელოდ და საამაყოდ!

ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ამ მხრივაც სასარგებლო და ნაყოფიერი ტრადიცია მოეპოვება. ამ ტრადიციას სათავე დაუდეს ჩვენი საუკუნის დიდმა ქართველმა მწერლებმა ლეო ქიაჩელმა, („ტარიელ გოლუა“ და „სისბ-ლი“) და ნიკო ლორთქიფანიძემ („ბილიკებიდან ლიანდაგებზე“). შემდეგ მათ მოჰყვა ალექსანდრე ქუთათელის მონუმენტური ეპოპეა, ოთხტომიანი ისტორიულ-რევოლუციური რომანი „პირისპირ“ და უფრო გვიან იაკინთე ლისაშვილის „კეცხოველი“ და ბორის ჩხეიძის „ლიახვის პირას“. საბჭოთა ეპოქის დიდმა ქართველმა ბელეტრისტმა მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სწორედ ისტორიულ-რევოლუციური რომანით „ქალის ტვირთით“ დაასრულა.

ყველაზე დიდი სიძნელები ამჟამად ქართულ მწერლობას დრამატურგიისა და კინოდრამატურგიის ჟანრებში აქვს. ქართული მწერლობა დიდად არის პასუხისმგებელი იმ მდგომარეობისათვის, რომ ჩვენში დიდ იშვიათობად იქცა თანამედროვე თემატიკის სრულფასოვანი სპექტაკლები და ფილმები. უფროსი თაობის დრამატურგთა ნაწარმოებნი თითქმის სრულიად აღარ იდგმება ქართული თეატრის სცენაზე. საბედნიერო გამოწაკლისს წარმოადგენს ჩვენი სახელოვანი დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე. თუმცა მის შესანიშნავ კომედიებსა და ახალ ისტორიულ დრამებსაც არ უჭირავთ ქართული თეატრის რეპერტუარში ის ადგილი, რომელსაც ისინი იმსახურებენ.

უკანასკნელ ხანებში დრამატურგიის დარგში მუშაობა დაიწყეს ქართული მწერლობის ახალი თაობის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა: აკაკი გეწაძემ, გიორგი ხუხაშვილმა, ოტია იოსელიანმა, არჩილ სულაკაურმა, თამაზ ჭილაძემ, მერაბ ელიოზიშვილმა. მათმა ზოგიერთმა ნაწარმოებმა მოწონება და აღიარება დაიმსახურა არა მარტო საქართველოში. მართალია, ამ ავტორთა პიესების უმრავლესობა ჯერ კიდევ შორსაა იმ მაღალი პროფესიული ოსტატობისაგან, რასაც მწერლობის ეს ურთულესი ჟანრი მოითხოვს, მაინც არ შეიძლება ამდენი ნიჭიერი მწერლის ერთობლივმა მოსვლამ დრამატურგიაში დღეს თუ ხვალ სასიხარულო ნაყოფი არ გამოიღოს, ახალი ძვრები არ გამოიწვიოს ჩვენს დრამატულ მწერლობაში.

მთელი საბჭოთა ლიტერატურული საზოგადოება ერთსულოვანი კმაყოფილებით შეხვდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საბავშვო ლიტერატურის შემოქმედებითი აღმავლობის ახალ ღონისძიებათა შესახებ. ამ საკითხზე სათანადო დადგენილება მიიღო საქართველოს კომ-

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. ჩვენ ვალდებული ვართ ამ პარტიულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებული ამოცანების თვალსაზრისით გულმოდგინედ შევისწავლოთ ქართული საბავშვო ლიტერატურის დღევანდელი ვითარება. ქართული მოზარდი თაობა ჯერ კიდევ ვერ პოულობს თავის მშობლიურ ენაზე ჩვენი ეპოქის ნათელი იდეების შთამბეჭდავად განმასახიერებელ მაღალმხატვრულ წიგნებს. ამ ხარვეზის შესავსებად საჭიროა ჩვენი მწერლობის მთელი სასიცოცხლო ძალების დარაზმვა და ამოქმედება. ქართულმა საბავშვო მწერლობამ ახალი შემოქმედებითი წარმატებებით უნდა უპასუხოს პარტიისა და ხალხის გულისხმიერ მზრუნველობას.

ორიოდე სიტყვა ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის შესახებ. უეჭველია, რომ საქართველოში ჩვენ გვყავს ნიჭიერ და ერუდირებულ კრიტიკოსთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კადრი. ისიც ცხადია, რომ უკანასკნელ წლებში ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში და ლიტერატურულ კრიტიკაში საყურადღებო ძვრები და სიახლენი შეინიშნება. და მაინც გარკვევით უნდა ითქვას, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ჯერ კიდევ ღირსეულად ვერ ანხორციელებს თავის მაღალ დანიშნულებას ჩვენი მწერლობის განვითარებისა და ხალხის იდეურ-ესთეტიკური აღზრდის საქმეში. როგორც არ უნდა იყოს ამ გარემოების გამომწვევი „ობიექტური“ მიზეზები, ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებელი, პირველ ყოვლისა, ჩვენი კრიტიკოსები არიან, რომელთაც ერთობლივი ძალდონით უახლოეს დროში უნდა გამოასწორონ ჩვენი მწერლობის ესოდენ მნიშვნელოვან დარგში შექმნილი ისეთი მდგომარეობა, რომელიც მწერლებისა და მკითხველი საზოგადოებრიობის კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს. რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ზოგიერთი კრიტიკოსის ბოლოდროინდელ გამოსვლებში დაშვებული უხეში შეცდომებისა და დამახინჯებების შესახებ, საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ მხატვრულ ნაწარმოებთა უმრავლესობა დღემდე არ გამხდარა კრიტიკული განსჯისა და ანალიზის საგნად.

ვ. ი. ლენინმა ძვირფას მემკვიდრეობად დაგვიტოვა მწერლის შემოქმედების, მხატვრულ ნაწარმოებთა კრიტიკული განხილვისა და შეფასების სამაგალითო ნიმუშები ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილი წერილების სერიის სახით. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა და ესთეტიკური აზრი უნდა იზრდებოდეს ამ ნიმუშების მაგალითზე.

ქართველმა მწერლებმა უნდა გააძლიერონ შემოქმედებითი მუშაობა ლიტერატურულ ახალგაზრდობასთან. უნდა შთაუენერგოთ დამწყებ მწერლებს მაღალი პროფესიული მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძობა,

და, რაც მთავარია, ხალხის ცხოვრების, ცოცხალი სინამდვილის გაღრმავებულად შესწავლის მისწრაფება.

ასეთია მოკლედ ქართული საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი ვითარების ზოგადი სურათი, მისი უმთავრესი შემოქმედებითი მიღწევები და წარმატებანი, ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ასეთია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც ახლა დგას ჩვენი მწერლობის წინაშე და რომელთა გარკვევა ვ. ი. ლენინის ესთეტიკური მოძღვრების პრინციპთა შუქზე გზას გაუნათებს ჩვენს ლიტერატურას ახალი, დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობისაკენ.

ՀԱՄԱԲԱՆ



თაობათა ერთობლივი კალღონით

ვიღრე თანამედროვე ქართული პროზის მდგომარეობისა და მისი განვითარების აქტუალური პრობლემების განხილვას შევეუდგებოდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ, თუ რას ვგულისხმობთ „თანამედროვე პროზის“ ცნებაში. ზოგიერთ ჩვენს კრიტიკოსს მიაჩნია, რომ თანამედროვე პროზა — ეს მწერალთა იმ თაობის შემოქმედებაა, რომელიც ლიტერატურაში ამ 10—15 წლის წინათ მოვიდა, ხოლო სხვა ყველაფერი — დაძველებული ტრადიციაა, კონსერვატიზმია, არქაიკაა. ეს დიდი შეცდომაა, ერთ-ერთი გამოვლინებაა იმ მანკიერი ტენდენციისა, რომ ერთმანეთისაგან გავთიშოთ და ერთმანეთს დაუშპირისპიროთ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდი, ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატთა სხვადასხვა თაობა. თანამედროვე პროზა, რომელიც ღრმად იკვლევს და სიმართლით წარმოსახავს ჩვენი დროის დამახასიათებელ მოვლენებს, გამოხატავს თანამედროვე ადამიანის სულიერი სამყაროს ტიპიურ ნიშანთვისებებს, მხატვრულად განასახიერებს ხალხის აზრებსა და გრძნობებს, მის ნათელ იდეალებს, — იქმნება სიტყვის ხელოვანთა ყველა თაობის ერთობლივი ძალღონით, თაობებისა, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ საბჭოთა ლიტერატურაში, რომლებიც ქმნიდნენ და ქმნიან მწერლობის საუკეთესო იდეურ-ესთეტიკურ ტრადიციებს. მე ყურადღებით ვადევნებ თვალ-ყურს რუსულ პროზაში უკანასკნელ ათწლეულის განმავლობაში მომხდარ ძვრებსა და ცვლილებებს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში შეიქმნა მრავალი ნიჭიერი, ორიგინალური, მკაფიო და მნიშვნელოვანი რომანი, მოთხრობა, ნოველა, მე ვერ ვხედავ მათში რაიმეს უფრო მეტად თანამედროვეს, ვიდრე შოლოხოვის, ფედინის, ლენოვის ნაწარმოებებში. იგივე ითქმის ქართული ლიტერატურის შესახებაც. როდესაც თანამედროვე ქართული პროზის შესახებ ვლაპარაკობ, მე მხედველობაში მაქვს არა მარტო ბელეტრისტთა ახალგაზრდა თაობის ქმნილებანი, არამედ აგრეთვე, და შეიძლება პირველ რიგშიაც, ჩვენი ეროვნული ლიტერატურის გამოჩენილი ოსტატების — კონსტანტინე გამსახურდიას, სერგო კლდიაშვილის, დემნა შენგელაიას, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვა იმ მწერლების წიგნები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში და რომელთა შემოქმედებითი გამოც-

დილების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ლაპარაკი თანამედროვე მხატვრული პროზის შესახებ.

მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ მწერალთა ერთი რომელიმე თაობისათვის თანამედროვეობაზე მონობოლიური უფლების მიკუთვნებისა. არა, თანამედროვე ლიტერატურა — ეს არის შედეგი სხვადასხვა თაობის სიტყვის ხელოვანთა მთელი ანსამბლის ერთობლივი შემოქმედებითი შრომისა. მწერლებისა, რომლებიც სხვადასხვაგვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიით, სხვადასხვაგვარი ესთეტიკური და სტილობრივი პოზიციებით ხასიათდებიან. მათ შორის მე ვგულისხმობ ჩვენი საუკუნის იმ დიდ მწერლებსაც, რომლებიც წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვეს და ძვირფასი. წვლილი შეიტანეს ქართული, და არა მარტო ქართული, საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში — ნიკო ლორთქიფანიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ლეო ქიაჩელს... თითოეული მათგანი სახეებისა და თემების საკუთარი სამყაროს; უაღრესად თავისებური მსოფლშეგრძნებისა და მხატვრული ხელწერის ხელოვანი იყო. ნიკო ლორთქიფანიძე — ადამიანის სულის შესანიშნავი მხატვარი, გამოიჩინოდა მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა იშვიათი ლაკონიურობით და ტევადობით. მას შეეძლო 5—6 გვერდის მოცულობის ნაწარმოებში წარმოესახა პანორამა, რომელიც მთელი ეპოქის ხასიათს და სახეს წარმოადგენდა („თავსაფრიალი დედაკაცი“). მიხეილ ჯავახიშვილმა კი — იშვიათი ნიჭიერების მომთხრობელმა და ფაბულისტმა ოციანი და ოცდაათიანი წლების მანძილზე გაამდიდრა ქართული ლიტერატურა რომანებისა და ნოველების სერიებით თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემებზე. თავის ისტორიულ რომანებშიც კი — „არსენა მარაბდელსა“ და „ქალის ტვირთში“ მან უაღრესად თანამედროვე ჟღერადობა მიანიჭა შორეული ოუ ახლობელი წარსულის მოვლენებს. ლეო ქიაჩელს გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვუწოდოთ ჩვენი ეპოქის მხატვრული მემკვიდრე. მან უფრო მეტი თანმიმდევრობითა და სისრულით, ვიდრე სხვა რომელიმე ქართველმა მწერალმა, წარმოსახა თავის რომანებსა და მოთხრობებში ჩვენი საუკუნის საქართველოს ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა და ცოცხალ, ტიპურ მხატვრულ სახეთა მეშვეობით გამოხატა ქართველი ხალხის მებრძოლი და შემოქმედებითი ბუნება ჩვენი ეპოქის რევოლუციური ძვრებისა და მწვავე სოციალური კონფლიქტების ვითარებაში. ამ დიდი მწერლების შემოქმედებითი მემკვიდრეობა დღემდე ინარჩუნებს ცხოველმყოფელ თანამედროვე ჟღერადობას.

სულ ახლახან ჩვენში გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც თანამედროვე თემატიკა განისაზღვრებოდა ვიწროდ შემოზღუდული დღევანდელობის მოვლენებით და თანამედროვე ლიტერატურის ფარგლებს მიღმა

რჩებოდა სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის თემებზე დაწერილი ნაწარ-
მოებნიც კი. ლიტერატურის თანამედროვეობის ცნების გაგებაში ბოლო დროს
ჩვენში მრავალი გაუგებრობა და მცდარი თვალსაზრისი დაგროვდა. მაგალი-
თად, ჩვენში ხშირად ამბობენ: „თანამედროვე სტილი“, „თანამედროვე ფსი-
ქოლოგია“. „თანამედროვე ადამიანი“. და ამ მეტისმეტად განუსაზღვრელ ცნე-
ბებში სრულიად სხვადასხვაგვარ და ურთიერთსაწინააღმდეგო კატეგორიებს
ათავსებენ. ჩვენს მძაფრად დიფერენცირებულ სამყაროში, რომელიც ერთმა-
ნეთისადმი შეურიგებლად დაპირისპირებულ ბანაკებად არის გათიშული.
„უეჭოდებელია ლაპარაკი „თანამედროვე სტილზე“ საერთოდ, „თანამედროვე
ესიქოლოგიაზე“ საერთოდ, „თანამედროვე ადამიანზე“ საერთოდ თანამედრო-
ვეობა ჩვენს ლიტერატურაში არის არა ქრონოლოგიური ან გეოგრაფიული და
თუ გუნებავთ, არც თემატიკური კატეგორია. ეს, უპირველეს ყოვლისა. იდეურ-
ესთეტიკური კატეგორიაა. განა დამახასიათებელი არ არის ის გარემოება, რომ
ჩვენში, საქართველოში, უდიდესი ეროვნული პრემია ლიტერატურისა და ხე-
ლოვნების დარგში — შოთა რუსთაველის სახელობის პრემია დღემდე მინიჭე-
ბულა. აქვს მხატვრული პროზის ერთადერთ ნაწარმოებს — კონსტანტინე გამ-
სახურდიას ისტორიულ ტეტრალოგიას „დავით აღმაშენებელს“, რომელშიც
შორეული წარსულის მოვლენებია წარმოსახული? განა შეიძლება ვიმსჯელოთ
თანამედროვე ქართული პროზის მდგომარეობაზე და მისი განვითარების პრობ-
ლემებზე გრიგოლ აბაშიძის პოპულარული ისტორიული რომანების „ლაშარე-
ლასა“ და „დიდი დამის“ გაუთვალისწინებლად, იმ რომანებისა, რომლებშიც
სრულიად ახლებურად არის გაშუქებული საქართველოს მრავალსაუკუნოვანი
ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე და სუსხიანი ეპოქა, როდესაც სა-
ქართველოს მონღოლ-დამპყრობელთა ურდოები შემოესივნენ, გააცამტვერეს
და სისხლში ჩაახშვეს ქართველი ხალხის უდიდესი მატერიალური და სულიერი
მონაპოვარი ძველი საქართველოს „ოქროს ხანაში“, — რუსთაველის ეპოქაში?
დიახ, ეს წიგნები უაღრესად ნოვატორული მოვლენაა თანამედროვე ქართულ
ლიტერატურაში იმის მიუხედავად, რომ მათი თემატიკური შინაარსი ჩვენგან
დიდი მანძილით დაშორებულ ისტორიულ სიტუაციებს ემყარება.

აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის
ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ისტორიული თემებისადმი მიდრეკილება-
ში მდგომარეობს. საბჭოთა ეპოქის თითქმის ყველა საუკეთესო ქართველმა
პროზაიკოსმა — ნიკო ლორთქიფანიძემ, მიხეილ ჯავახიშვილმა, ლეო ქიაჩელ-
მა, შალვა დადიანმა, აკაკი ბელიაშვილმა, გრიგოლ აბაშიძემ, ალექსანდრე ქუ-
თათელმა, ლევან გოთუამ — თავიანთი შემოქმედებითი ენერჯის დიდი ნაწი-
ლი ისტორიული თუ ისტორიულ-რევეოლუციური თემების დამუშავებას მონა-

დომეს და ამ თემებს ჩვენი ხალხის უაღრესად თანამედროვე აზრებისა, გრძობებისა და მისწრაფებების თვალსაზრისით აშუქებდნენ და აშუქებენ. მე აქ აღარაფერს ვამბობ კონსტანტინე გამსახურდიას შესახებ, რომელსაც ძვირფასი წვლილი შეაქვს მრავალეროვნული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის საუკეთესო შემოქმედებითი ტრადიციების შემუშავებასა და დამკვიდრებაში.

დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის ყველაზე დამახასიეთებელ მოვლენებზე თუ ვილაპარაკებთ, არ შეიძლება პირველ რიგში არ დავასახელოთ კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო სავანე“ და „ფერფლის“ მეორე წიგნი, მისივე „ჭინკა ბიჭები“, თანამედროვე ქართული ნოველისტიკის ერთ-ერთი უეჭველი შედეგრი, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანის „ნატვრის თვალის“ პირველი წიგნი და მისი ახალი ნოველების ციკლი დიდი სამამულო ომის თემაზე, რომელიც ამ დიდი და ამოუწურავი თემის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში. მათ გვერდით უნდა იქნას მოხსენებული დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“, რომლის მამხილებელი პათოსი მთელი სიმძაფრით და სიმახვილით არის მიმართული კაპიტალისტური წარსულის ბნელი და მანკიერი გადმონაშთების წინააღმდეგ. და მათ გვერდით და მათს თანაბრად მდიდარ და ნაყოფიერ მასალას გვაძლევს თანამედროვე მხატვრული პროზის შემოქმედებითს პრობლემებზე ფიქრისა და მსჯელობისათვის იმ მწერლების შემოქმედება, რომლებიც უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში გამოვიდნენ ლიტერატურულ სარბიელზე. მათ ნაწარმოებთა შორის თავიანთი იდეურ-ესთეტიკური ღირებულებით გამოირჩევიან: რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და რამდენიმე მოთხრობა, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და „მზიანი ღამე“, თინა დონუაშვილის „ალაზანზე“, არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზი“, ოთარ ჩხეიძის „ღანღები“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“ და „იყო ერთი ქალი“, რევაზ ინანიშვილის ნოველების ციკლები, ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, ედიშერ ყიფიანის „წითელი ღრუბლები“, გრიგოლ ჩიქოვანის „ოდიშური მოთხრობები“, თამაზ ჭილაძის რომანები და მოთხრობები, გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“ და „დევნილი“, ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“, ნოდარ წულეისკირის „თეთრი მთა“, რევაზ ჭეიშვილის „ჩემი მეგობარი ნოდარი“, მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობები, ანდრო ლომიძის ნოველები. თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ყველაზე მნიშვნელოვან და დამახასიათებელ ნაწარმოებთა ეს არასრული დასახელებაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რაოდენ ცხოველი და ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად ჩვენი ლიტერატურის ამ ქანრში, რაოდენ

მდიდარი და მრავალფეროვანია დღეს ქართული პროზა როგორც თემატური და ჟანრობრივი, ასევე სტილობრივი თვალსაზრისითაც. აი, რატომ არ შემიძლია მე დავეთანხმო კრიტიკოს ი. ზოლოტუსკის, რომელსაც ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ წაუკითხავს ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსთა ოთხი ნაწარმოები და მოუხდომებია ამ ნაწარმოებთა მიხედვით მსჯელობა მთელი თანამედროვე ქართული პროზის შესახებ. ბუნებრივია, რომ მის მიერ დახატული სურათი ცალმხრივი და გაღარიბებული აღმოჩნდა, ხოლო კრიტიკოსის დასკვნები — არასწორი და მცდარი. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ რუს მკითხველს დღემდე არ შეუძლია სრული წარმოდგენა იქონიოს ქართული მხატვრული პროზის მდგომარეობაზე. ამ მხრივ ქართულ პოეზიას ბევრად უკეთესი ბედი ეწია, ვიდრე ქართულ პროზას. ქართულ კლასიკურ და თანამედროვე პოეზიას რუსულ ენაზე თარგმნიდნენ და თარგმნიან რუსული ლექსის ისეთი დიდებული, პირველხარისხოვანი ოსტატები, როგორიც არიან ბ. პასტერნაკი, ნ. ტიხონოვი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, მ. ცვეტაევა, ვ. დერჟავინი, ა. კოჩეტკოვი, ა. მეჟიროვი, მ. ლუკონინი, ე. ვეტუშენკო, ბ. ახმადულინა, ს. კუნიაევი და სხვ. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს წრე თანდათანობით ფართოვდება. მას განუწყვეტლივ ემატებიან ახალი და ახალი მაღალნიჭიერი რუსი პოეტი-მთარგმნელები. მათი კეთილშობილური და შთაგონებული შემოქმედებითი ღვაწლის მეოხებით ქართული პოეზია აღწევს არაქართველ მკითხველთა ფართო წრეებამდე მთელი თავისი ბრწყინვალეობითა და დიდებულებით და ღირსეულად გამოდის საკავშირო და, მე ვიტყვოდი, საერთაშორისო სარბიელზე. უცხოეთის მთელი რიგ ქვეყნებში გამოვიდა და გამოდის ქართული პოეზიის ანთოლოგიები, ხოლო ჩვენი ეროვნული პოეტური კულტურის ცალკეული ნიმუშები ითარგმნა და ითარგმნება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მრავალი ხალხის ენებზე. ცხადია, ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ და ვუმადლით კიდევ შესანიშნავ რუს პოეტებს — ქართული მწერლობის, ისე, როგორც ყოველი სხვა საბჭოთა ეროვნული ლიტერატურის, ერთგულ და უანგარო მეგობრებს. სამწუხაროდ, სრულიად სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს მხატვრული პროზის დარგში.

ქართულ პროზას, მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, რუსულად თარგმნიან ქართველი ლიტერატორები, რომლებმაც, მართალია, კარგად იციან ქართული ენაც და რუსულიც, მაგრამ არ არიან მხატვრული სიტყვის ოსტატები. მათი თარგმანის მიხედვით არაქართველ მკითხველს შეუძლია წარმოდგენა იქონიოს ნათარგმნი რომანის თუ მოთხრობის იდეურ-თემატური შინაარსისა და სიტუეტის შესახებ. მაგრამ ამის გარდა მხატვრული პროზის ნაწარმოები წარმოადგენს აგრეთვე სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშსაც და სწორედ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტი მხატვრული ნაწარმოებისა თითქმის საყვე-

ბით იკარგება ქართული პროზის რუსულ თარგმანებში. ამიტომაც ქართველი პროზაიკოსები არაქართველ მკითხველთა წინაშე უმრავლეს შემთხვევაში აშკარად გალარობდნენ, დამდაბლებული სახით არიან წარმოდგენილი.

ერთ დროს, როდესაც თარგმნითი ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკაში“ ვმუშაობდი, ჩვენ ვცადეთ ქართველ მთარგმნელთა და მხატვრული სიტყვის რუს ოსტატთა შემოქმედებითი შრომის გაერთიანება. მაშინ ჩვენ შევძელით ამგვარ მუშაობაში ჩაგვება შესანიშნავი რუსი მწერლები ალექსანდრე კოჩეტკოვი, ნიკოლოზ ჩუკოვსკი, ალექსანდრე დროზდოვი, მათმა თანამშრომლობამ ამ საქმეში დადებითი შედეგები მოგვცა. მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგში ასეთი მუშაობა ველარ გავაგრძელებთ. ამჟამად კი ქართული პროზის ბედ-იღბალი არაქართველ მკითხველთათვის მისი გაცნობის თვალსაზრისით მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება. დღესდღეობით ჩვენ მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია იმ შორეულ პერსპექტივებზე, როცა ქართული პროზის მთელს სიმდიდრეს შეეხება ქართული ენის მცოდნე ნიჭიერი რუსი მწერლის ხელი. მაგრამ ეს ჭერჯერობით, ვიმეორებ, მხოლოდ შორეული ოცნებაა, რომლის განხორციელებისა და მოახლოებისათვის, სამწუხაროდ, ჩვენში დღემდე რეალურად და კონკრეტულად არაფერი კეთდება. ხოლო რუსულ ენაზე სრულფასოვნად რომ ითარგმნებოდეს, ქართული კლასიკური და თანამედროვე პროზა მრავალი ძვირფასი მხატვრული ქმნილებით გაამდიდრებდა არაქართველ მკითხველთა ესთეტიკურ ერთეულებს. ჩვეულებრივ საქართველოს პოეზიის ქვეყნას უწოდებენ. მაგრამ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მთელი მრავალსაუკუნოვანი ისტორია აღსაქმნავად აგრეთვე ბრწყინვალე შემოქმედებითი ტრადიციებით მხატვრული პროზის დარგშიც. ცნობილია, რომ ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლები ქართული მწერლობისა, რომლებიც V—X საუკუნეებით არის დათარიღებული, დაწერილია მხატვრული პროზის ენით და ქართველ პროზაიკოსთა ზოგიერთი უძველესი ქმნილება დღემდე ინარჩუნებს ცოცხალ შემეცნებითსა და ესთეტიკურ მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას, რომ სულ ახლახან მარჯანიშვილის სახელობის ქართულმა დრამატულმა თეატრმა დადგა V საუკუნის მწერლის იაკობ ცურტაველის ნაწარმოების „მუშანის წამების“ ინსცენირება, ხოლო რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე გარკვეული წარმატებით იღვმება პიესა, რომელიც დაწერილია XVIII საუკუნის დიდი კლასიკოსის სულხან-საბა ორბელიანის წიგნის „სიბრძნე სიცრუისას“ მოტივების მიხედვით. ასე ცოცხლდება ჩვენს დღეებში ეროვნული მხატვრული პროზის სახეები, რომლებიც შორეულ საუკუნეებშია შექმნილი. კრიტიკული რეალიზმის აღმოცენება გასული საუკუნის 40-50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში დაკავშირებულია პროზაიკოსების დანიელ ჭონჭაძისა

და ლავრენტი არდაზიანის სახელებთან, ხოლო ჩვენმა დიდმა კლასიკოსებმა ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ პოეტურ შედევრებთან ერთად დაგვიტოვეს მრავალი ბრწყინვალე ბელეტრისტული ქმნილება. დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობენ საქართველოში ჩვენი კლასიკოსი პროზაიკოსების გიორგი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, ეგნატე ნინოშვილის, ვასილ ბარნოვის, შიო არაგვისპირელის, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას უქცნობი ქმნილებანი. ექვს არ იწვევს, რომ როდესაც მათი წიგნები ღირსეულად ითარგმნება და გამოიცემა რუსულ ენაზე. ისინი საპატიო ადგილს დაიკავებენ საბჭოთა ხალხების სულიერ ღირებულებათა საერთო საგანძურში და, მაშასადამე, ცივილიზებული კაცობრიობის ესთეტიურ კულტურაშიც. მე უკვე მოვიხსენიე ჩვენი დროის ქართული მხატვრული პროზის იმ დიდოსტატთა სახელები, რომელთაც განაგრძეს და განავითარეს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ეროვნული კლასიკის ეს დიდებული ტრადიციები, გაამდიდრეს ისინი ჩვენი სოციალისტური სინამდვილის მიერ ნაკარნახევი იდეების, თემებისა და სახეების სამყაროთი. გასაგებია, რომ ჩემს ამ გამოსვლაში მე არ მაქვს საშუალება წარმოვიდგინოთ მხატვრული სიტყვის ამ შესანიშნავი ოსტატების შემოქმედებითი დახასიათება და მათი მრავალრიცხოვანი რომანების, მოთხრობების, ნოველების პროფესიული კრიტიკული ანალიზი. შემიძლია მხოლოდ სრული რწმენით ვთქვა, რომ ჩვენი ეროვნული მხატვრული პროზის ამ ქმნილებებში, თუ მათ ერთობლივად წარმოვიდგენთ, მრავალმხრივად და სრულად არის გამოხატული ქართველი ერის ბუნება, მისი მკაცრი და სუსხიანი, მაგრამ ამასთანავე იშვიათად დიდებული და გმირული ისტორია, მისი თანამედროვე მგზნებარე შემოქმედებითი ცხოვრება. სწორედ ამაში მდგომარეობს, ჩემი აზრით, მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული სპეციფიკა ქართული პროზისა — მისი მთავარი გმირი ქართველი ხალხია თავისი განუყოფელად თავისებური ეროვნული ხასიათით, ტემპერამენტით, მსოფლშეგრძნებით, ყოფა-ცხოვრებით, ტრადიციებით, რომლებიც, მართალია, განუწყვეტლივ მოძრაობს და იცვლება, მაგრამ ამ თავისი მუდმივი მოძრაობითა და ცვალებადობითაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ერის სულიერ ცხოვრებაზე. თუ ამას მივუმატებთ ეროვნული ენის ფაქტორს, კულტურის ეროვნული ფორმის ამ ძირითად ელემენტს, და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქართული პროზის გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ იშვიათად თავისებური ბუნებისა და ყოფითი ადამიანების გარემოცვაში, — ყოველივე ეს შეადგენს ძირითადად ლიტერატურის ეროვნულ სპეციფიკას. სხვა ყველა განმასხვავებელი ნიშანთვისება, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვგულისხმობთ ხოლმე მწერლობის ეროვნული სპეციფიკის განსაზღვრისას, შეიძ-

ლება ამა თუ იმ სახით შეგვხვდეს სხვა ეროვნულ ლიტერატურაშიც. მაგრამ ვერც ერთი სხვა ლიტერატურა, გარდა ქართულისა, ვერ შეძლებს წარმოსახოს ესოდენ სრული და ყოველმხრივი სურათი ქართველი ხალხის თანამედროვე და ისტორიული ცხოვრებისა. ცხადია, რომ ასეთი უაღრესად სპეციფიკური მასალის საფუძველზე ქართული, როგორც ყოველი სხვა ეროვნული ლიტერატურა, აღძრავს და წყვეტს ისეთ მსოფლმხედველობრივ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ფილოსოფიურ-ეთიკურსა და ესთეტიკურ პრობლემებს, რომლებიც შორს სცილდებიან ეროვნული ყოფიერების საზღვრებს და ზოგჯერ ზოგადსაქაოლობრივ მნიშვნელობას იძენენ. ეს უკვე დამოკიდებულია მწერლის ნიჭიერებაზე, მისი მხატვრული აზროვნების ძალასა, სიღრმესა და მასშტაბზე.

რასაკვირველია, ლიტერატურის ეროვნული სპეციფიკურობა უნდა ვეძებოთ აგრეთვე სტილისტიკის, გამოსახულების საშუალებათა სისტემის, წერის მანერის სფეროშიც. ქართული ლიტერატურის ტრადიციები ყალიბდებოდა თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ხან დასავლეთის, ხან აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან ურთიერთკავშირის ვითარებაში და ამ უღრმესი ისტორიული შრეების წიაღში მუშავდებოდა მხატვრული აზროვნებისა და მხატვრული გამომსახველობის თავისებური ფორმები. მხატვრული პროზის დარგში ეს თავისებურებანი გამოიხატება, მაგალითად, თხრობის ერთგვარ რომანტიკულ ზეაწეულ და მღელვარე ხასიათში, ეპიური ჟანრის ქმნილებათა ლირიკული ნაკადით განმსჭვალულობაში, ბუნების განსაკუთრებით გამძაფრებულ შეგრძნებაში, ფერწერულობისა და პეიზაჟურობისაკენ მისწრაფებაში და სხვ. და სხვ.

მე ვგრძნობ, რომ გამიგრძელდა მსჯელობა ქართული პროზის ბუნების, მისი განვითარების, მისი ისტორიული ბედისა და ტრადიციების ზოგად საკითხებზე. სენი „მრგვალი მაგიდის“ მთავარი თემა კი — ეს არის ქართული პროზის დღევანდელი დღე, მისი ახლანდელი ვითარება. თუ მე ვეწინააღმდეგები საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პერიოდისა და საბჭოთა მწერლების სხვადასხვა თაობის ურთიერთდაპირისპირების ტენდენციას, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ უგულვებელყოთ და არ დავინახოთ ის საგრძნობი და ფრიად მნიშვნელოვანი სიახლენი, რაც დამახასიათებელია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის და კერძოდ, ქართველ პროზაიკოსთა ახალი თაობის შემოქმედებისათვის. არა მარტო ჩვენი საზოგადოების ისტორიის ყოველი ახალი პერიოდი, მწერლობის სარბიელზე ყოველი ახალი თაობის გამოსვლა, არამედ ყოველი ახალი მწერლის გამოჩენა, თუ იგი ნამდვილად მწერალია, აუცილებლად ამდიდრებს ლიტერატურას თემებისა და სახეების, გამომსახველობითი საშუალებების ახალი სამყაროთი, ახალი ნიშან-თვისებებით მხატვრული შემოქმედების შინაარსისა

და ფორმის ყველა სფეროში (მე განზრახ ვიშველიებ ჩემს გამოსვლაში ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიციულ ცნებებს: შინაარსი, ფორმა, მხატვრული გამომსახველობის საშუალებანი და სხვ., რათა ამითაც ვეკამათო უკანასკნელი წლების იმ ულტრანოვატორულ გატაცებებს, რომლებიც გულისხმობენ პირწმინდად უარყოფას ყველა და ყოველგვარი იმ ქვეშაირიტებისა, რაც ხანგრძლივად არის დადგენილი ჩვენს ლიტერატურაში და ლიტერატურათმცოდნეობრივ მეცნიერებაში და შეადგენს მათს ძვირფას და მყარ ტრადიციებს).

მაშ, რა მოხდა და რა ხდება ახალი და განსხვავებული ქართული ლიტერატურის და კერძოდ, მხატვრული პროზის განვითარებაში ამ უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე, იმ წლებისა, რომლებიც შეადგენს უახლოეს პერიოდს საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში და, მაშასადამე, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაშიც? პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ წლების განმავლობაში მხატვრულმა პროზამ დასძლია თავისი ხანგრძლივი ჩამორჩენილობა პოეზიის განვითარების დონისაგან და, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, გამოვიდა ლიტერატურული პროცესის მოწინავე ზღუდეებზე. ამასთანავე, საგრძნობლად გაიზარდა თანამედროვეობის თემატიკის ხვედრითი წონა ქართველ პროზაიკოსთა შემოქმედებაში.

ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი პროზასა და დრამატურგიაში, დიდხანს გრძელდებოდა „დისტანციის პათოსის“ თეორიისა და პრაქტიკის გავლენა. და მხოლოდ უკანასკნელი 10—15 წლის განმავლობაში საბოლოოდ იქნა დაძლეული ასეთი თემატური დისპროპორცია ქართულ ლიტერატურაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არასოდეს, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის არცერთ წინა პერიოდში დროების სუნთქვა, თანამედროვეობის გრძნობა ისე ყოვლისმომცველად არ ყოფილა გაბატონებული ქართულ მხატვრულ პროზაში, როგორც ახლა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ქართული პროზა ამჟამად გულგრილად ეპყრობოდეს ჩვენი სამშობლოს სახელოვან ისტორიულ წარსულს. არა! მე უკვე მოგახსენეთ, რომ სწორედ ამ უკანასკნელ წლებში დაამთავრა კონსტანტინე გამსახურდიამ ისტორიული ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, სწორედ ამ წლებში დაწერა გრიგოლ აბაშიძემ ფართოდ განმაურებული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი დამე“. მაგრამ ამჟამად ისტორიული თემატიკა სრულიადაც აღარ ჩრდილავს თანამედროვე თემებსა და პრობლემატიკას და აღარ აქვს გადამწონი ხვედრითი წონა ქართულ პროზაში. უკანასკნელ დრომდე ქართული მხატვრული პროზა უპირველესად სოფლური, გლეხური ცხოვრების თემატიკით შემოიფარგლებოდა. ეს გარემოება, ცხადია, ავიწროებდა ქართული პროზის თემატიკურ ჰორიზონტს და უარყოფით გავლენას ახდენდა მის შეთანაბრებაზე

ცხოვრებასათან, სინამდვილესთან. მხოლოდ სულ უკანასკნელ წლებში ჩვენს ლიტერატურაში გამოჩნდა საინტერესო ნაწარმოებები, რომლებიც არღვევენ ამ ცალმხრივობას, ასახავენ ქალაქურ ცხოვრებას, ხატავენ ჩვენი ინტელიგენციის, სტუდენტი ახალგაზრდობის ტიპიურ სახეებს. დაიწერა წიგნები ჩვენი მუშათა კლასის, სოციალისტური ინდუსტრიის ადამიანთა შრომითს გმირობაზე, (ლადო ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა“).

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში გაბატონებულმა ჰუმანისტურმა ატმოსფერომ ბუნებრივად გამოიწვია მწერლობაში ყურადღების გამახვილება ადამიანის პიროვნებისადმი, მისი სულიერი ცხოვრებისადმი, მისი აზრების, გრძნობების, განწყობილებათა სამყაროსადმი. აქედან წარმოსდგება სულ უფრო და უფრო მზარდი მისწრაფება, რომ მწერალი ჩასწვდეს ინდივიდუუმის სულიერი ცხოვრების მოძრაობის უღრმეს წიაღებს, მის ურთულეს ნიუანსებს, რომ ყოველმხრივად იქნას გაშუქებული ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა ურთიერთობის მორალურ-ეთიკური პრობლემატიკა, სიკეთის, კაცთმოყვარეობის ნათელი ატმოსფერო, ადამიანის პირადი ბედით გამძაფრებული დაინტერესება, ადამიანისადმი თანაგრძნობა ცხოვრების ყოველგვარი სირთულისა და სიძნელის შემთხვევებში მძლავრად მკვიდრდება თანამედროვე ქართულ პროზაში. სწორედ ამგვარი ჰუმანისტური, კაცთმოყვარული მიზანსწრაფვის მეოხებით მოიხვეჭა დამსახურებული პოპულარობა ნოდარ დუმბაძის, — დღევანდელი ქართული პროზის ამ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო და ნიჭიერი ოსტატის, ნაწარმოებებმა.

და ამასთანავე ერთად, ჩვენს მხატვრულ პროზაში თანმიმდევრულად ძლიერდება კრიტიკული პათოსი — დაუზოგავი მხილება სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეებისა, წარსულის მახინჯი გადმონაშთებისა, მანკიერი ადამიანებისა, რომლებიც წინ ეღობებიან და აფერხებენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლას მისი მაღალი საბოლოო მიზნისაკენ. ამ მამხილებელი პათოსითაა გამსჭვალული დემნა შენგელაიას მოთხრობა „განძი“, თინა ღონეაშვილის რომანი „ალაზანზე“ და განსაკუთრებით არჩილ სულაკაურის რომანი „ოქროს თევზი“ და ედიშერ ყიფიანის რომანი „წითელი ღრუბლები“. ა. სულაკაურის „ოქროს თევზში“ მღელვარე სიძულვილის გრძნობით არის გამოსახული მანკიერი, ბოროტი ადამიანების გალერეა და მათი ბნელი საქმეები, რაც განსაკუთრებულად მოუთმენელი ხდება საბჭოთა საზოგადოების ახლანდელი მორალური ამადლები და სულიერი გამდიდრების ვითარებაში. რუსი კრიტიკოსების წერილებში, რომლებიც ამ უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებს მიეძღვნა, სამწუხაროდ, სავსებით გვერდი აქვს ავლილი რომანის ამ მამხილებელ მოტივს და ყურადღების ცენტრში დაყენებულია ძმების დათფსა და მირიანის სახეები,

თუმცა ეს სახეები ჯერ კიდევ არ არის დასრულებულად დახატული „ოქროს თევზის“ პირველ წიგნში. ამ რომანის სიუჟეტური სტრუქტურის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ხსენებული პერსონაჟების ხასიათის თავისებურებათა სრული გამოვლინება მოსალოდნელია რომანის მეორე წიგნში, რომლის გამოქვეყნებასაც ინტერესით მოელის მკითხველთა ფართო წრე.

საგრძობა ძვრებსა და სიახლეებს აქვს ადგილი უკანასკნელი წლების ქართულ პროზაში პოეტიკის, სტილური ხერხების, სამყაროს მხატვრული ხედვის, ადამიანის სულიერი ცხოვრების კვლევის საშუალებათა დარგშიც. ჩვენი პროზაიკოსები სულ უფრო მეტი თანმიმდევრობით მიესწრაფვიან რეალიზმის საზღვრების, ჰორიზონტებისა და შესაძლებლობათა გაფართოებას, გმირის სულიერ სამყაროში შეღწევის საშუალებათა გამდიდრებას, ეპიური მთხრობელობის ტრადიციული კომპოზიციური კანონების გადალახვისას ჩვენი ზოგიერთი პროზაიკოსი ფართოდ იყენებს „შინაგანი მონოლოგის“ ხერხებს, ორგანულად ჩართავს გამოსახატავ მოვლენათა მიმდინარეობაში მოგონებებს, ასოციაციებს, წარმოდგენებს, ინტუიტიურ ხილვებს და სხვა. თუ არ ვცდები, პირველად ქართველ მწერალთა შორის ჩვენმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა თამაზ ჭილაძემ მიმართა ამგვარ ნაყოფიერ ძიებებს, ხოლო შემდეგ არჩილ სულაკაურმა, ედიშერ ყიფიანმა, გურამ გეგეშიძემ. ასეთ ძიებებს სიახლე და მრავალფეროვნება შეაქვს სინამდვილისა და გმირის სულიერი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვის საშუალებათა სისტემაში. თქვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ანალოგიურ ტენდენციებს ამჟამად ვხედავთ რუსულ პროზაშიც და ჩვენი სამშობლოს სხვა ეროვნულ ლიტერატურაში. როგორც ჩანს, რეალიზმის საზღვრების და შესაძლებლობათა გაფართოების ასეთ მისწრაფებათა აღმოცენება შემთხვევითი მოვლენა როდია, მას გარკვეული კანონზომიერება გააჩნია, რაც დროის მოთხოვნით, თანამედროვე ესთეტიკური კულტურის ინტერესებით არის ნაკარნახევი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს პროზაიკოსს არ ყოფნის ოსტატობა ადამიანის სულიერი სამყაროს მოძრაობა გამოხატოს სოციალური სინამდვილის პროცესებთან, საზოგადოების შემოქმედებითს მოღვაწეობასთან ორგანულ კავშირში. ზოგჯერ ისინი კარგავენ რეალობის, ცხოვრებისეული სიმართლის გრძობას, ხოლო ეს კი ზღუდავს და ამცირებს მათი ნაწარმოებების შემეცნებითსა და ესთეტიკურ ღირებულებას. ცნობილია, რომ რეალისტურ ხელოვნებაში ესთეტიკურ კმაყოფილებას მხოლოდ ის გვანიჭებს, რაც დამაჯერებელია; მხატვრული სიმართლე მიუღწეველია დიდი ცხოვრებისეული სიმართლისაგან გამოთიშულად. ჩვენი პროზაიკოსები ზოგჯერ ივიწყებენ რეალისტური ესთეტიკის იმ ფუძემდებლურ მოთ-

ზოგნას, რომ გამოხატონ ადამიანის ცხოვრება ტიპიურად, ცხოვრებისეულად, მართალ და დამახასიათებელ გარემოებათა ვითარებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით ცოდავს ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსი გურამ გეგეშიძე, რომლის რომანში „ცოდვილი“ სრულიად უგულვებელყოფილია ცხოვრებისეული მასალის განზოგადებისა და ტიპიზაციის ყოველგვარი ნორმები და კანონები.

გმირის სულიერი ბიოგრაფიის გაღრმავებულად კვლევას რომ ესწრაფვიან. ჩვენი პროზაიკოსები ხშირად ვერ ახერხებენ არ მოწყვიტონ პიროვნება საზოგადოებისაგან, არ გამოთიშონ ადამიანის სულიერი ცხოვრება მისი სოციალური ყოფიერებისაგან, სახალხო ინტერესების სამყაროსაგან. ბოლო დროს ჩვენს პროზაში გახშირდა ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებათა და ყოფითი დეტალების თვითმიზნური „ჩანახატები“ მასალის გაუაზრებლად და განუზოგადებლად. ცხადია, რომ ამგვარ ნატურალისტურ ცდუნებებს საერთო არაფერი აქვს სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის პრინციპებთან და მათ არ ძალუძთ წარმატება მოუტანოს ხელოვანს, თუნდაც იგი მოკლებული არ იყოს გარკვეულ ნიჭიერებას და პროფესიულ კულტურას. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს რევაზ ჭეიშვილის რომანი „ჩემი მეგობარი ნოდარი“. მხატვრის მანვილმა და დაკვირვებულმა თვალმა, კოლორიტული ყოფა-ცხოვრებითი სურათების ცოცხლად წარმოსახვის ნიჭიერებამ ვერ იხსნა ამ ნაწარმოების ავტორი ემპირიული შეზღუდულობისაგან. მთავარი პრობლემა კი თანამედროვე ქართული პროზისა მაინც გმირის პრობლემაა, ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია საბრძოლო ამოცანა დიდი, ამაღლევებელი ადამიანური სახეების გამოკვეთისა, სახეებისა, რომლებიც შეძლებენ აღაგზნონ და აღაფრთოვანონ ადამიანები კეთილშობილური გმირული საქმეებისათვის საბრძოლველად. ამიტომაც კმაყოფილებით შეხვდა მკითხველთა ფართო წრე ედიშერ ყიფიანის „წითელი ღრუბლების“, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცის“, და გურამ გეგეშიძის „ცოდვილის“ გამოქვეყნებას. ამ წიგნებში მოცემულია საინტერესო ცდები ამ მიმართულებით, თუმცა ეს ცდები, სამწუხაროდ, ბოლომდე დასრულებული და რეალიზებული ვერ აღმოჩნდა. მართალია, დღევანდელ რუსულ პროზაშიც ვერ ვხვდებით ისეთ მკაფიო და ამაღლევებელ ადამიანურ სახეებს, როგორც ცხოვრობენ და მოქმედებენ რუსული საბჭოთა ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილ კლასიკურ ნაწარმოებებში, მაგრამ ეს გარემოება როდი შველის და ამსუბუქებს ქართული მწერლობის მდგომარეობას. როგორც ჩანს „დეპეროიზაციის“, „დესიუჟეტიზაციისა“ და სხვა მსგავს მანკიერ „თეორიათა“ გავლენები ჯერ კიდევ სავსებით დაძლეული და გადალახული არ არის ჩვენს ლიტერატურაში.

დასასრულს, ნება მომეცით ბოდიში მოვიხადო ჩემი ამ გამოსვლის ინფორმაციული სიმშრალისა და ერთგვარი სქემატურობისათვის (დამეთანხმებით, რომ რეგლამენტი საშუალებას არ მაძლევდა ესოდენ უხვი მასალის ღრმა კრიტიკული ანალიზი წარმომედგინა) და წრფელი მადლობა მოვახსენო ჟურნალ „დრუება ნაროდოვის“ რედაქციას და ჩვენს ძვირფას რუს კოლეგებს იმ ცხოველი ინტერესისა და ყურადღებისათვის, რასაც ისინი იჩენენ ქართული მწერლობის განვითარების საკითხებისადმი.

ჩვენი ღვაწლის მაგიანე

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მთელს მანძილზე მხატვრული პროზის ხვედრითი წონა არასოდეს არ ყოფილა ისე დიდი და მნიშვნელოვანი ჩვენს მწერლობაში, როგორც დღეს არის. საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის განვითარების პროცესების შესწავლისას ყოველთვის მართებულად იყო აღნიშნული პოეტური ქანრების განსაკუთრებული სიმძლავრე და ასევე მართებულად გაისმოდა უკმაყოფილება მხატვრული პროზის შედარებითი ჩამორჩენილობის გამო. ამჟამად ასეთ დისპროპორციაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელია და უსაფუძვლო.

ამ დებულების დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის მანძილზე ქართველი ბელეტრისტების მიერ შექმნილი და გამოქვეყნებული რომანების, ნოველებისა და მოთხრობების წიგნები, რომლებმაც დამსახურებულად მოიხვეჭეს მკითხველთა ფართო წრეების მოწონება და აღიარება. ეს წიგნებია: შალვა დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“, კონსტანტინე გამსახურდიას „ვაზის ყვავილობა“, სერგო კლდიაშვილის „მყუდრო საფანე“, დემნა შენგულაიას „განძი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „ნატვრის თვალის“ პირველი წიგნი, ალექსანდრე ქუთათელის „პირისპირის“ ახალი რედაქცია, აკაკი ბელიაშვილის „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“ და „შვიდეკაცა“, თინა დონუაშვილის „ალაზანზე“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“, ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“, იაკინთე ლისაშვილის „ერთგულეობა“, ბორის ჩხეიძის „მწვანე ხოდაბუნი“, ლადო ავალიანის „ახალი პორიზონტი“, ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“, როსტომ ბეჟანიშვილის „სამამულე რქა“.

რომანების ამ სერიას ახლა ემატება ელიზბარ ზედგინიძის „გაზაფხული დაიწყო აღრე“, რომელიც უურნალ „მნათობში“ იბეჭდება და ლადო მრელაშვილის, ნოდარ დუმბაძის, დავით კვიციანიძის, როსტომ ბეჟანიშვილის ახალი რომანები, რომლებიც უკვე დამთავრებულია და უახლოეს დროში გამოქვეყნდება „მნათობისა“ და „ცისკრის“ ფურცლებზე. ფართო ეპიკური ტილოების ასეთ მომრავლებას ოდნავაც არ შეუწინებელია ჩვენს მწერლობაში ინტერესი და ყურადღება მოთხრობისა და ნოველის ქანრებისადმი.

ამ ქანრების მრავალრიცხოვან ახალ ნაწარმოებთაგან მკითხველი საზოგადოებრიობა და ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა განსაკუთრებული სიცხო-

ველით გამოეხმაურნენ გიორგი ნატროშვილის მოთხოვნებსა და ნოველებს, რომლებიც გაერთიანებულია ახალ კრებულში „უღარდელი კაცის სიკვდილის“ სახელწოდებით, გიორგი შატბერაშვილის „მკვდრის მხეს“, გრიგოლ ჩიქოვანის და ანდრო ლომიძის ახალ მოთხოვნებს.

შემოქმედებითად დავაუკაცდნენ ბელეტრისტთა ახალგაზრდა თაობის ისეთი ნიჭიერი წარმომადგენლებიც, როგორც არიან რევაზ ინანიშვილი, თენგიზ გოგოლაძე, ედიშერ ყიფიანი, ელიზბარ მაისურაძე, სოლომონ დემურხანაშვილი. რამდენიმე მკათაო და საყურადღებო მოთხოვნა შესძინა ჩვენს მწერლობას ნაადრევად დაღუპულმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა გურამ რჩეულიშვილმა.

სულ ახლახან მწერლობის სარბიელზე ფეხი შემოდგა პროზაიკოსთა კიდევ ახალმა თაობამ, რომლის წარმომადგენლებმა მერაბ ელიოზიშვილმა და თამაზ ნატროშვილმა უკვე გამოავლინეს უეჭველად საიმედო შემოქმედებითი უნარი. ზოგიერთმა დამწყებმა ბელეტრისტმა თავისი სამწერლო ბიოგრაფიის გარიჟრაჟზევე მოჰკიდა ხელი შედარებით ფართო მხატვრულ ტილოებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სოსო კორინთელის „სანამ ცოცხალი ხარ“ და იორამ ჩადუნელის „ცხოვრების ზღურბლზე“.

ჩვენი ახლანდელი ლიტერატურული ცხოვრების ფრიალ დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა თაობის გამოჩენილ ქართველ პოეტთა მისწრაფება ბელეტრისტული ჟანრებისადმი. ქართული მხატვრული პროზის დღევანდელ მდგომარეობაზე მსჯელობა შეუძლებელია გიორგი ლეონიძისა და გრიგოლ აბაშიძის, არჩილ სულაკაურის, თამაზ ჭილაძის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა გაუთვალისწინებლად.

აქ ჩამოთვლილი ნაწარმოებები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან როგორც თავიანთი თემატიკით და მხატვრული სტილით, ისე იდეურ-ესთეტიკური ღირებულებითაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვაქვს პრეტენზია ამ წერილის ფარგლებში განვიხილოთ და შევაფასოთ ყოველი მათგანი. ამას არც ჩვენი ამ მიმოხილვის მიზანდასახულება ითვალისწინებს და არც წერილის მოცულობა იძლევა ამის შესაძლებლობას. ქართველ ბელეტრისტთა მიერ უკანასკნელ წლებში შექმნილ ნაწარმოებთა ეს თუნდაც არასრული ნუსხა მხოლოდ იმ მიზნით წარმოვუდგინეთ მკითხველს, რომ ნათელი გავხადოთ, თუ რამდენად დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს ამჟამად ჩვენი მხატვრული პროზის დარგში, თუ რამდენად გამოეცალა საფუძველი ლაპარაკს ქართული პროზის ჩამორჩენილობაზე ჩვენი თანამედროვე ეროვნული ლიტერატურის სხვა ჟანრებთან შედარებით.

ბელეტრისტული ჟანრების ასეთი დაწინაურება, რაც არა რაოდენობ-

რვის. არამედ უპირველეს ყოვლისა, ხარისხობრივ კრიტერიუმს გულისხმობს, უექველად მოასწავებს ჩვენი მწერლობის შემოქმედებით ზრდასა და მომწიფებას, მისი რეალისტური ტენდენციების განუხრელ გაღრმავებას, ხალხის ცხოვრებასთან მის უფრო მჭიდროდ და სისხლხორცეულად დაკავშირებას. შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ ზემოთ დასახელებულ ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა მოწმობს პროფესიული ოსტატობის აღმავლობას მხატვრული პროზის დარგში, ჩვენი მდიდარი, უსაზღვროდ მრავალფეროვანი სინამდვილის სულ უფრო და უფრო ფართოდ ათვისებასთან ერთად მწერლობაში მხატვრულ-სტილობრივი მრავალფეროვნებისა და მრავალმხრივობის დამკვიდრებას. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ჩვენს მწერლობას დაეუფლა თანამედროვეობის ცხოველმყოფელი გრძნობა, მასში სულ უფრო ფართოდ შემოდის ცოცხალი სინამდვილის მასალა, თანამედროვე თემატიკა. ჩვენი პროზაიკოსების ახალ ნაწარმოებებში მეტი ძალით იგრძნობა მისწრაფება ცხოვრებისეული სიმართლისაკენ, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების შეუღამაზებლად ასახვისაკენ, ადამიანის სულიერ სამყაროში უფრო ღრმად ჩაწვდომისაკენ, ჩვენი ხალხის ხასიათის მაღალ და კეთილშობილურ თვისებათა უფრო მომხიბვლელად, შთამაგონებლად და აღმაფრთოვანებლად გამოხატვისაკენ.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ჩვენს მწერლობაში ამჟამად ყველაფერი მხოლოდ მოწონებისა და კმაყოფილების ღირსი იყოს. არა, ყველა ამ უექველ მიღწევასა და სასიხარულო წარმატებასთან ერთად, როგორც მთელ ჩვენს მრავალფეროვან საბჭოთა ლიტერატურაში, ისე თანამედროვე ქართულ მწერლობაშიც, კერძოდ, მხატვრული პროზის დარგშიც, იგრძნობა სერიოზული ხარვეზები, შემოქმედებითი შეცდომები და ნაკლოვანებანი.

ისინი, ეს ხარვეზები და ნაკლოვანებანი, განსაკუთრებული სიცხადით მოჩანს იმ დიდი, კვებარითად ისტორიული ამოცანების გათვალისწინებისას, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მწერლობასა და ხელოვნებას დაუსახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულმა ახალმა პროგრამამ. იგი საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებას აკისრებს დიდად საპატიო, თანაც რთულსა და საპასუხისმგებლო მოვალეობას, — ისინი უნდა წარმოადგენდნენ შთაგონებისა და სიხარულის უშრეტ წყაროს კომუნაზმის მშენებელი მილიონებისათვის, აქტიურად იბრძოდნენ ხალხის კომუნისტური ხასიათის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის, ქმედითად მონაწილეობდნენ ადამიანთა იდეურად, ზნეობრივად და ესთეტიკურად აღზრდასა და სრულყოფაში, მაღალმხატვრულ, აღმაფრთოვანებელ სახეებში გამო-

ხატავდნენ ჩვენი ხალხის სულიერ ძალასა და მშვენიერებას, ჩვენი საბრძოლო იდეალებისა და შრომითი გმირობის ძღვევამოსილებას და ამასთანავე დაუნდობლად ამხილებდნენ წარსულის მანკიერ გამონაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენს სინამდვილეში და აფერხებენ ჩვენს წინსვლას კაცობრიობის უმაღლესი მიზნისაკენ.

როგორ იღვწის თანამედროვე ქართული მწერლობა თავისი ამ დიდი ისტორიული მოწოდების განხორციელებისათვის, რა წარმატებები გვაქვს ჩვენი ამ თვალსაზრისით და კონკრეტულად რაში გამოიხატება ჩვენი ლიტერატურის მიერ ჯერ დაუძლეველი სიძნელები, ჯერ გადაუწყვეტელი შემოქმედებითი ამოცანები? აი ამ საკითხების გამორკვევა უნდა შეაღვენდეს ჩვენს უპირველეს მიზანს განვლილი ლიტერატურული წლის შემოქმედებითი შედეგების მიმოხილვისას.

განვიხილო 1961 წელს არაერთი სწორუპოვარი მოვლენა მოხდა ჩვენი სამშობლოსა და მთელი კაცობრიობის ისტორიაში. მსოფლიო განაცვიფრა და აღაფრთოვანა საბჭოთა კოსმონავტების პირველმა გმირულმა გაფრენებმა. განვიხილომა წელმა გაამდიდრა კაცობრიობის გონებრივი ცხოვრება შემოქმედებითი აზრის ისეთი ბრწყინვალე დოკუმენტით, როგორიც არის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა.

როგორ შეიძლებოდა ასეთი დიდი საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებით მდიდარ წელიწადს ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება არ გამოეწვია ჩვენს მწერლობაში, რომელიც სინამდვილის, ხალხის ცხოვრების უტყუარ სარკესა და ანარეკლს, მის პირუთვნელ მხატვრულ მათიანეს წარმოადგენს.

განვიხილო წლის ქართული მხატვრული პროზის ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ და „შვიდკაცა“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივი“ და ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“.

ცნობილია, რომ ფართო პლანის მხატვრული ტილო არ შეიძლება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში კიდევ დაიწეროს, კიდევ გამოქვეყნდეს და მკითხველი საზოგადოების ისეთ კუთვნილებად იქცეს, რომ მის გარეშე მო შესაძლებელი იყოს საზოგადოებრივი აზრის შექმნა, უცდომელი კრიტიკული მსჯავრის გამომუშავება. ამიტომაც ლიტერატურული პროცესების ანალიზისას კალენდარული ფარგლები მხოლოდ პირობითად უნდა იქნას გაგებული და გამოყენებული.

მართლაც, აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაურის“ ცალკეული თავე-

ბი სხვადასხვა დროს ქვეყნდებოდა ჩვენ ლიტერატურულ ჟურნალებში თუ ალმანახებში. მაგრამ დასრულებული სახით, საბოლოოდ დამუშავებული იგი მხოლოდ გასული წლის დამდეგს მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ. მისი „შვიდკაცას“ ბეჭდვაც „მნათობის“ 1960 წლის ორ უკანასკნელ ნომერში დაიწყო. მაგრამ მწერლის ტრაგიკულად დაღუპვის გამო დაუმთავრებლად დარჩენილი ამ თვალსაჩინო ნაწარმოების ძირითადი ნაწილი განვლილი წლის მანძილზე გამოქვეყნდა.

რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივის“ პირველი წიგნი 1958 წელს დაიბეჭდა ქართულად და რუსულად და მან მაღალი შეფასებაც ჰპოვა მოსკოვში გამართული ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის დღეებში. შემდეგ ავტორმა დაწერა ამ ნაწარმოების მეორე წიგნი. საფუძვლიანად დაამუშავა პირველი წიგნის ადრინდელი ვარიანტი და ამრიგად დამუშავებული და დასრულებული წარუდგინა მკითხველს გასული წლის დამდეგს.

„ვარსკვლავთცვენა“ კი, ჩვენი ახალგაზრდა ფრიად ნიჭიერი ბელეტრისტის ეს პირველი რომანი „მნათობის“ გასული წლის პირველ ოთხ ნომერში დაიბეჭდა და მყისვე მიიპყრო ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობისა და მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება.

აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“ და „შვიდკაცა“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ როგორი პატრიოტული სიყვარულით, მასალის ღრმა ცოდნით, მახვილი მხატვრული თვალით და აქტიური შემოქმედებითი აზრით იჭრებოდა ეს შესანიშნავი ხელოვანი ჩვენი სინამდვილის ყველაზე დამახასიათებელი მოვლენების წიაღში და განასახიერებდა ამ მოვლენებს მომწიფებულნი და ნაცადი მხატვრული ოსტატობით.

აკაკი ბელიაშვილის ამ ორ უკანასკნელ ნაწარმოებს განსაკუთრებული პრიორიტული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ცნობილია, რომ ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის ყველაზე თვალსაჩინო ხარვეზსა და ნაკლოვანებას ის წარმოადგენს, რომ მის საუკეთესო ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა უპირატესად სოფლის ცხოვრებას, ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის შრომასა და ყოფას ასახავს. საბჭოთა სოფლის თანამედროვე შრომითი ცხოვრების სიმართლით წარმოსახვა მაღალ-მხატვრულ ტილოებზე ჩვენი მწერლობის ნაკლს კი არა, მის დიდ ღირსებასა და დამსახურებას წარმოადგენს. მაგრამ თუ მწერლობა ცხოვრების სურათია, იგი სრული და ყოვლისმომცველი სურათი უნდა იყოს, იგი არ შეიძლება ცალმხრივად, შეზღუდულად ასახავდეს სინამდვილეს.

ვინმემ რომ მოინდომოს ქართველი საბჭოთა პროზაიკოსების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებთა მიხედვით გამოიმუშაოს წარმოდგენა თანამედ-

როვე საქართველოზე, მას იხეთი მცდარი და არასწორი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს საქართველო ახლაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყოს და თითქოს მას არ გააჩნდეს დიდად განვითარებული სოციალისტური მრეწველობა, არ ჰყავდეს მუშათა კლასი, მდიდარი კულტურული ტრადიციებისა და დიდი შემოქმედებითი პოტენციის ინტელიგენცია.

ჩვენ იმის თქმა კი არ გვინდა, თითქოს ქართველ ბელეტრისტებს საერთოდ არაფერი დაეწროთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული განვითარებისა და გონებრივი შრომის ადამიანთა ცხოვრებაზე. მაგრამ ამ თემაზე ჩვენში შექმნილ ნაწარმოებთა რიცხვი ისე მცირეა და თანაც ეს ნაწარმოებნი ხშირად იმდენად შორს არიან მხატვრული სრულყოფილებისაგან, რომ ვერავითარ შემთხვევაში ღირსეულად ვერ გამოხატავენ იმ დიდ ხვედრით წონას, რომელიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოპოვებული აქვთ სოციალისტური მრეწველობის ადამიანებს, ჩვენს სახალხო ინტელიგენციას.

აი სწორედ ამ ხარვეზის შევსებაც აზრით იყო შთაგონებული აკაკი ბელიაშვილის სამი უკანასკნელი რომანი: „ულელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“, „შვიდკაცა“. სამივე ეს ნაწარმოები ჩვენი დედაქალაქისა და საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრების თანამედროვე ცხოვრების ჩასაღწევა აგებული და არა მარტო თავიანთი თემატიკით, არამედ მათში აღძრული პრობლემატიკის მხრივაც მათ უაღრესი აქტუალობა ახასიათებს.

„ვეფხია ხალიბაური“ წრფელი და მართალი, შთაბეჭდავი და მიმზიდველი თხრობაა იმისა, თუ როგორ წარმოიშვა ქართველ მეფოლადეთა პირველი ქალაქი, საქართველოსა და ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობის პირველი და უდიდესი კერა — რუსთავი.

უამთა უკუღმართობის მეოხებით პირისაგან მიწისა აღგვილი ძველთაძველი, ისტორიული რუსთავის გავრანებულ მიდამოებში ახალი დიდი ინდუსტრიული ქალაქის აღმოცენება იმდენად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ისეთი დიდებული გამოვლინებაა ჩვენი ეპოქის ამლორძინებელი და გარდამქმნელი ძალისა, ჩვენი ხალხის შრომითი გენიისა, რომ არ შეიძლებოდა ამ მოვლენისათვის ღირსეულად არ ემდერა თანამედროვე ქართულ მწერლობას, არ წარმოესახა იგი მკაფიო და წარმტაც მხატვრულ სახეებში.

ჩვენი დროების ამ დიადი შემოქმედებითი გენიისადმი მიძღვნილ საგალობლად უდერს აკაკი ბელიაშვილის „ვეფხია ხალიბაური“. როცა საგალობელზე ვლაპარაკობთ, ამ შემთხვევაში ჩვენ სრულიადაც არ ვგულისხმობთ პოეტურობის პრეტენზიას, ჩვენი მხატვრული პროზის ზოგიერთ ნაწარ-

მოებში განზრახ ხაზგასმული ლექსური რიტმის, სახეობრივად გადატვირთული, განზრახ გართულებული სიტყვიერი მასალის და ნაძალადევი მანერულობის მოჭარბებას. არა, აკაკი ბელიაშვილის როგორც მთელ შემოქმედებაში, ამ ნაწარმოებშიც არაფერია ხელოვნური, ნაძალადევი, მანერული.

რომანის სიუჟეტი ნათლად გააზრებულ და მტკიცედ გაშლილ კომპოზიციურ კალაპოტში მიმდინარეობს. ამბავი იწყება სამამულო ომის უკანასკნელ თვეებში, როცა ჩვენი საბრძოლო საქმის გამარჯვების მოახლოებამ წარმოშვა შესაძლებლობა გაჩაღებულიყო ბრძოლა ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და სახელმწიფოებრივი ძლიერების ახალი აღმავლობისათვის. სამამულო ომის ქარცეცხლში გამარჯვებული საბჭოთა ადამიანები გამოდიოდნენ ამ ბრძოლის შესვეურებად და სულის ჩამდგმელად.

ასეთი რიგითი საბჭოთა ადამიანების ტიპიურ სახეს წარმოადგენს ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი არჩილ სანებლიძე, რომელიც სამშობლოში დაბრუნებისთანავე, მიუხედავად ჯერ კიდევ განუკურნავი მძიმე ჭრილობისა, ერთბაშად და გატაცებით ჩაება ახალი რუსთავის ასაშენებლად გაშლილი შემოქმედებითი შრომის ორომტრიალში. ჯერ კიდევ ომის ქარცეცხლი ბობოქრობდა, როცა ქალაქისა და ქარხნის მშენებლობასთან ერთად იწყებოდა ზრუნვა მომავალი ქარხნის მუშათა, კვალიფიციურ მეფოლადეთა თაობის აღზრდისათვის. რუსთავის ტერიტორია ჯერ კიდევ უკაცრიელ ტრიალ ველს წარმოადგენდა, როცა არჩილის მეთაურობით შეკრებილი ქართველი ახალგაზრდობა რუსეთის მეტალურგიული ქარხნებისაკენ გაემართა ფოლადის ღნობის ოსტატობის დასაუფლებლად.

მწერალი დაუფარავი სიმართლით გვიჩვენებს იმ სიძნელეებსა და დაბრკოლებებს, რომელთა დაძლევისა და გადალახვის პროცესში იწრთობოდა რომანის გმირთა ხასიათი. სუსხიან ჩრდილოეთში პირველად მოხვედრილი ქართველი ახალგაზრდობისათვის ძნელი იყო ერთბაშად შეგუებოდა უჩვეულო ყინვასაც და მეტალურგიულ ქარხნებში მოვარვარე ცეცხლის მწვავე მცხუნვარებასაც. თვით ამ ახალგაზრდობის რიგებშიც ყველა როდი იყო თავისუფალი ბნელი, მანკიერი ჩვევებისაგან. მწერალი მოგვითხრობს მრავალგვარ დიდ თუ მცირე სიძნელეებსა და წინააღმდეგობებზე, რომლებიც წინ ელობებოდა რუსთავის მეფოლადეთა პირველი თაობის ზრდა-ფორმირების პროცესს.

ამ აზრით არის გამსჭვალული რომანის ისეთი პასაჟები, რომლებშიც აღწერილია ვანიკო ლექვიანძის დაღუპვა მისი უკუღმართი ხასიათის წყალობით, ესტატე მეაღბიშვილის მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქციელი და მისი ჯერ სასტიკად დასჯა, შემდეგ გულისხმიერად თავის რიგებში დაბრუნება ამხანაგების მიერ, რუსთავში მომუშავე სახლმმართველის სეფე ბაზაძის გაიძევრობა

და ზოგიერთი სხვა მუშაკის წამგლეჯური განწყობილება, არჩილ სანებლიძის მიმე ავადმყოფობა და ამის შედეგად მისი მშობლების მიერ განცდილი გაჭირვება და მრავალი სხვა.

ამ მხრივ შეიძლება მწერალი ზოგჯერ კიდევ აჭარბებდეს და ზედმეტად ამუქებდეს საღებავებს. დაუჭერებელია, მაგალითად, ყოველ შემთხვევაში ტიპიური და დამახასიათებელი არ არის ისეთი გარემოება, რომ ომიდან დაბრუნებული მოწინავე ინჟინრის არჩილ სანებლიძის მკურნალობისათვის აუცილებელი გამხდარიყოს, რომ მის მშობლებს ბინა გაეყიდათ და საცხოვრებლად ბნელ და ნესტიან სარდაფში გადასახლებულიყვნენ. მაგრამ ასეთი პასაჟების დახატვისას ავტორს ის განზრახვა ამოძრავებს, რომ გვიჩვენოს თუ რა მსხვერპლის ვალებით და სიძნელეების გადალახვით ახორციელებს ჩვენი ხალხი თავის დიად გეგმებს, თავის მაღალ და ნათელ იდეალებს.

„ვეფხია ხალიბაურის“ მთავარ ღირსებას მისი სიუჟეტური სქემა და მასში გამოხატული მასალის სოლიდური ცოდნით აღწერილი საწარმოო პროცესები კი არ წარმოადგენს, არამედ ცოცხლად დახატული ადამიანური ხასიათები და ის ადამიანური ბიოგრაფიები, რომელთა წარმოსახვაში მწერალი ვაბედულად აქსოვს ჩვენი დროის დიდ სოციალურ და ეთიკურ პრობლემებს.

რაოდენ ბუნებრივად არის რომანში მოთხრობილი სიღარიბესა და უმეცრებაში აღზრდილი ახალგაზრდა ხევსურის ვეფხია ხალიბაურის ცხოვრების ისტორია, რა ღრმა ძვრები და გარდაქმნები ხდება მის ხასიათში მკითხველის თვალწინ. შეადარეთ რომანის დასაწყისში მოცემული ვეფხიას სახე, ვეფხიასი, რომლის უმადლეს ოცნებას აპარეკას მიერ გამოჭედილი ხმლის შოვნა შეადგენდა, რათა თავი მოეწონებინა ათანგენობის დღესასწაულზე, იმ ვეფხიას, რომელიც რომანის ფინალში რუსთავის ერთ-ერთ საუკეთესო მუშად, მოწინავე გონებაგახსნილ, საუკეთესო საბჭოთა ადამიანად გვევლინება.

თავისი გმირის ასეთი გარდაქმნის პროცესის გამოხატვით მწერალმა განზოგადებულად, ღრმა ტიპიურობის ძალით გვიჩვენა ჩვენი ეპოქის ძალა ადამიანთა მილიონების ახლებურად აღზრდისა, მათი გონებრივად და ზნეობრივად სრულყოფისა.

არ შეიძლება მკითხველი არ მოხიბლოს რომანის მთელ მსვლელობაში იშვიათი ორგანულობით ჩართულმა და ბუნებრივად განვითარებულმა ხალხთა, კერძოდ რუსი და ქართველი ხალხების ძმობისა და მეგობრობის თემამ. როგორი მხატვრული სიმართლით, ყოველგვარი წინასწარ აკვიატებული და ნაძლადევი ტენდენციურობის გარეშე ხატავს მწერალი რუსი ოსტატების ცოცხალ და მეტყველ სახეებს, რომელთა შორის განსაკუთრებით მკაფიოდ და სისხლ-

ხორციით სავსედ გამოიყურება ქართველი მეფოლადეების მამობრივი მზრუნველობით აღმზრდელი შესანიშნავი ოსტატის ვასილ ივანიჩ ბულატოვის სახე.

განსხვავებით მრავალი ე. წ. „საწარმოო „რომანისგან“, „ვეფხია ხალიბაურში“ დიდი სახალხო იდეალებისათვის ბრძოლის, ადამიანთა საზოგადოებრივი და საწარმოო მოღვაწეობის სურათები გამდიდრებული და განაყოფიერებულია პირად-ინტიმური ურთიერთობის პროცესების მხატვრული გაშუქებით, რასაც დიდი მორალური და აღმზრდელი მნიშვნელობა ენიჭება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა რომანში მოთხრობილი ამბავი არჩილ სანებლიძის და თალიკო გაბაურის სატრფიალო ურთიერთობისა.

არჩილ სანებლიძის სახით მწერალმა მისაბაძი მაგალითი დაუყენა თვალწინ ჩვენს ახალგაზრდობას.

თითქოს „ვეფხია ხალიბაურის“ ორგანულ გაგრძელებას წარმოადგენს აკაკი ბელიაშვილის დაუმთავრებელი რომანი „შვიდკაცა“. ხალხის ცხოვრებასთან მწერლობის განუყოფელი კავშირის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ეს ნაწარმოები, რომლითაც ჩვენს ქვეყანაში წარმოშობილ დიდ სახალხო მოძრაობას — კომუნისტური შრომის ბრიგადების აღმოცენებას გამოეხმაურა. თავის გმირთა მოქმედების სარბიელად აქ მწერალმა უკვე საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სამრეწველო კერა — მარგანეცის ქალაქი ჭიათურა აირჩია, რომანის მთავარ პერსონაჟებად კი ზემო იმერეთის ერთ-ერთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ყმაწვილები, რომლებმაც ერთსულოვნად გადაწყვიტეს სასწავლებლის მერხიდან პირდაპირ წასულიყვნენ მალაროებში, გაეგლოთ, შრომათი ცხოვრების სკოლა და თანაც დაუსწრებლად მიეღოთ უმაღლესი განათლება, ან საწარმოო სტაჟის მეოხებით უფრო ადვილად მოხვედრილიყვნენ ინსტიტუტში.

ამ კეთილშობილური განზრახვით შემჭიდროებული ახალგაზრდობის კოლექტივის „შვიდკაცას“ მეტად საინტერესო თავგადასავალი გვიამბო მწერალმა თავისი ამ უკანასკნელი ნაწარმოების იმ თავებში, რომელთა დაწერა და გამოქვეყნებაც მოასწრო.

ამ რომანშიც დიდ საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემა მწერალმა ისეთი ინტიმური კუთხით გააშუქა, ისეთი ადამიანური სითბო შესძინა თხრობას, იმდენად ბუნებრივად ჩააქსოვა საწარმოო შრომის პროცესების ამსახველ სურათებში პირად-ინტიმური ურთიერთობის მოტივები, რომ ნაწარმოები შეუნიღბელი ინტერესით და დიდი გატაცებით იკითხება. რომანი სწორედ იმ ეპიზოდზეა შეწყვეტილი, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ იმარჯვენს რომანის მთავარი გმირი ნოდარი ახალ განსაცდელსა და დაბრკოლებაზე, როგორ თანდათანობით იწმინდება და სუფთავდება მისი გარემომცველი წრე შურისა და ან-

გარების მძლავრი ნაღველისაგან, როგორ მალღდება ახალგაზრდა მუშაკთა კოლექტივის პროფესიული გამოცდილებისა და ცოდნის, იდეურ გამოზრდილობისა და ზნეობრივი სისპეტაკის დონე.

ყოველივე ამის მოთხოვნისას მწერალმა მრავალი მკაფიო ადამიანური ხასიათი გამოკვეთა, მრავალი კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სურათი დახატა, მეტყველად გადმოგვცა საწარმოო შრომის დაძაბული ატმოსფერო.

რომანის სიუჟეტი, რომელიც ხშირად მძაფრი დრამატიზმით არის აღბეჭდილი, ამავე დროს გამსჭვალულია ლალი ჰუმორით, ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილი უხვად არის განაყოფიერებული ცოცხალი, ხალხური მეტყველების ფორმებით, იდიომებით, გონებაბამხვილური გამოთქმებით.

რა დასანანია, რომ მწერალს არ დასცალდა დაესრულებინა ესოდენ საინტერესოდ მოფიქრებული და ბედნიერად დაწყებული ნაწარმოები. ამ რომანის გამოქვეყნებული თავები. ისევე როგორც მისი ისტორიული რომანის „ოქროს ჩარდახის“ მეორე წიგნის დაწყებითი ნაწილი, რომელიც მწერალს გამოუქვეყნებელი დარჩა, ღირსეულ აპოთეოზს შეადგენს ჩვენი დროის ამ შესანიშნავი ბელეტრისტის სახელოვანი შემოქმედებითი ბიოგრაფიისა.

ქართული საკოლმეურნეო სოფლის ომისშემდგომი წლების ცხოვრებას მიუძღვნა რევაზ ჯაფარიძემ თავისი ორტომიანი რომანი „ჯარისკაცის ქვრივი“. ეს წიგნი არის თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნაწარმოები, ავტორის სწრაფი შემოქმედებითი ზრდისა და დაეჯეკების უტყუარი საბუთი.

მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის დამახასიათებელ თვისებათა შორის უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს სინამდვილის მოვლენათა თავისებურად გამძაფრებული ხედვა და მათი მეტყველი, პლასტიკური წარმოსახვის უნარი. რასაც არ უნდა აღწერდეს რ. ჯაფარიძე — ყოფაცხოვრებითს სცენას, ბუნების სურათს თუ გმირის სულიერი ცხოვრების ვითარებას, ყოველთვის იგი ქმნის საოცრად ცოცხალ შთამბეჭდავ და წარუშლელი ძალის ნახატებს.

ასეთი ნახატების მწყობრ თანმიმდევრობაზეა აგებული „ჯარისკაცის ქვრივის“ სიუჟეტური განვითარება. რომანის პირველი ეპიზოდებიდან, რომელშიც აღწერილია კალოსუბნელი მოხუცი გლეხის სპირიდონ ყანჩაველის ოჯახის გამოღვიძება, იმ ფინალურ სურათამდე, სადაც ქალიშვილთან სტუმრად მისული სპირიდონის უეცარი გარდაცვალება და დაკრძალვაა მოთხოვნილი, ამბავთა მთელი თანმიმდევრობა მოძრავი პანორამისავით ვითარდება. ამ პანორამის ფონზე მოქმედებს ცოცხალ ადამიანურ ხასიათთა მთელი გალერეა.

ფართო განზოგადებითი ძალის მკაფიოდ ინდივიდუალურ ადამიანურ სა-

ხეთა ხატვის ნიჭიერება რ. ჯაფარიძის ტალანტის საუკეთესო თვისებას შეადგენს. ამთავრებთ წიგნის კითხვას და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს მრავალი ახალი ნაცნობი შეიძინეთ, რომელთაც თქვენ ნათლად ხედავთ, ცხადად გრძნობთ მათი სულიერი ცხოვრების მოძრაობას, სავსებით გარკვეული ურთიერთობით უკავშირდებით ყოველ მათგანს.

ავტორი თითქოს არც ზრუნავს იმისათვის, რომ საგანგებოდ აღწეროს თავის გმირთა გარეგანი პორტრეტი იან მათი ზასიათის თვისებანი. მაგრამ სიუჟეტური განვითარების კანონზომიერებაში მოქცეული ყოველი მათგანი თავის მოქმედებასა და მეტყველებაში ისე მკაფიოდ გამოავლენს გარეგნულ გამომეტყველებასაც და სულიერ სამყაროსაც, რომ წარუშლელად აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში თავისი ყველა თვისობრივი ნიშნით.

ძნელია გადაწყვეტით ითქვას, თუ ვინ უფრო ცოცხლად და ხელსახებად არის წარმოსახული ამ ნაწარმოებში: ხათუნა მინდელის მშობლები, სპირიდონი და ეკა თუ საკაურელი ეგნატე სივსივაძე, პეტრე მიროტაძე, კოლმეჟურნობის თავმჯდომარე ბორის ლოლაძე, აგრონომი ელეფთერ ლაშხი, მომხიბლავი გოგონა გვანცა, სოფლის ექიმი სერგო, მისი მეუღლე მაყვალა, პორფილე ჩინჩალაძე, მოხუცი მასწავლებელი კალისტრატე თუ ხათუნას მცირეწლოვანი ბავშვები — ზურიკო, პალიკო, შალვა. თვით ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცი შალვა მინდელიც კი, რომელიც ერთხელაც არ გამოჩნდება რომანის სარბიელზე და ერთ სიტყვას არ ამბობს, მუდმივად იგრძნობა რომანის პერსონაჟთა შორის, იგრძნობა თავისი ვაჟკაცური, მიმზიდველი უბრალოებით.

რომანში მოქმედ ადამიანურ სახეთა მრავალრიცხოვანი გალერეის ცენტრში დგას ჯარისკაცის ქვრივი — მომხიბვლელი ახალგაზრდა ქართველი დედა ხათუნა მინდელი, რომლის გარეგანი და სულიერი მშვენების გამოხატვით მწერალმა არა მარტო თანამედროვე მოწინავე ქართველი ქალის, არამედ მთელი ჩვენი ხალხის ზასიათის საუკეთესო თვისებებიც განასახიერა და გვიჩვენა ძალაც ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისა, რომელიც დასაღუპავად არ გასწირავს ადამიანს და უდიდესი პირადი უბედურების შემთხვევაშიც მხარში ამოუდგება, წამოაყენებს, წელში გამართავს და ცხოვრების ზედაპირზე წამოსწევს.

ასეთი დიდი აზრობრივი ტვირთი დააკისრა მწერალმა ამ მხატვრულ სახეს და ხათუნა მინდელის სახეზეც ღირსეულად აზიდა ეს ტვირთი.

მართლაც — რა დიდი უბედურება დაატყდა თავს ხათუნა მინდელს, მან ბრძოლის ველზე დაკარგა თავისი უსაზღვროდ საყვარელი ქმარი — შალვა. ახალგაზრდა ქვრივს აღსაზრდელი დარჩა სამი მცირეწლოვანი ბავშვი, მოსავლელი და საპატრონო დარჩა შალვას კარმიდამო. კეთილშობილმა და თავმოყვა-

რე ქვრივმა მტკიცედ გადაწყვიტა მთელი თავისი სიცოცხლე დაობლებული ბავშვების აღზრდისათვის შეეწირა, კვამლი არ ჩაეჭრო შალვა მინდელის კერაზე.

დიდი შემოქმედებითი გატაცებით ხატავს მწერალი თავისი მთავარი გმირის ღრმად თავისებურ, მომხიბვლელ ბუნებას. მაგრამ რომანში მოთხრობილ ამბავთა მთელი ლოგიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ რაგინდ ძვირფასი პირადი ღირსებებითაც უნდა ყოფილიყო დაჯილდოებული ხათუნა მინდელი. იგი ვერ გაუძლებდა ცხოვრების მწვავე დარტყმებს, აუცილებლად გატყდებოდა და წაიქცეოდა, რომ მას არ მიშველებოდა საბჭოთა სოფლის, საკოლმეურნეო წყობილების მთელი გარემოცვა, საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების მაღალი ჰუმანური ბუნება.

მწერალი გულმოდგინედ ძერწავს ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ყოფაცხოვრების დამახასიათებელ, ტიპიურ სურათებს. ყველაფერში იგრძნობა ის ღრმა ძვრები და გარდაქმნები, რომლებიც მოუტანა საკოლმეურნეო სოფელს უკანასკნელმა წლებმა, როცა აღიკვეთა კოლმეურნეობებზე საწარმოო გეგმების ზევიდან თავზე მოხვევის ყალბი პრაქტიკა, მოისპო მბრძანებლობისა და რისხვა-მუქარის მეთოდები ხელმძღვანელობაში, ფართო გასაქანი მიეცა კოლმეურნე გლეხობის ინიციატივას, მის პირად დაინტერესებას, მის თაოსნობას საკუთარი კოლექტიური მეურნეობის გაძლოლის საქმეში.

რაიკომის მდივნის უჩა მესხის სახე, რომელიც ზომიერების დაცვის გრძნობით და მხატვრული ტაქტით არის დახატული რომანში, ნათლად განასახიერებს საკოლმეურნეო სოფლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ახალ სტილს, რაც ბოლო წლებში გამოჩეუშავდა და დამკვიდრდა.

ამ რთული და მრავალხაზოვანი კომპოზიციური გეგმით დაწერილ რომანში ბევრი ისეთი ფაბულური მოტივი ვითარდება, რომელიც ცალკე აღებული გამოდგებოდა რომანის სიუჟეტად.

ავტორის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ახერხებს თავი მოუყაროს ყველა ამ ფაბულურ მოტივს და გააერთიანოს ისინი მთლიან სიუჟეტურ ყალიბში. თუმცა მწერალს ჯერ კიდევ არ ყოფნის იმის ძალა და შემოქმედებითი გამოცდილება, რომ თავი გაართვას მდიდარ დაკვირვებებს და შთაბეჭდილებებს, უხვი ცხოვრებისეული მასალიდან გამოარჩიოს მთავარი და საკუთარი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრისათვის აუცილებელი, განტვირთოს თხრობა ისეთი მოტივებისაგან, რომელთაც ორგანული კავშირი არა აქვთ ნაწარმოების ძირითად აზრობრივ-მხატვრულ მიზანდასახულობასთან.

აბა, რისთვის იყო საჭირო და რა იდეურ ან ესთეტიკურ ფუნქციას ასრულებს რომანში ლაშხების ოჯახში გაზრდილი მუნჯი ქალისა და პეტრე მიროტა-

ძის ურთიერთობის ასე დაწვრილებით აღწერა, ანდა ელემენტარ ლაშხის ძაღლის გაცოფების, მისი მოკვლისა და დამარხვის ამბავი. ავტორს ნაწარმოები ამგვარი „მეტხორცებისაგან“ და ზოგიერთი ზედმეტად განვრცობილი პასაჟებისაგან რომ განეტვირთა, მას მეტი დრო და ადგილი დარჩებოდა თავისი მთავარი გმირის ცხოვრების ისტორიის უფრო ორგანულად დასრულებისათვის და არ დასჭირდებოდა ისე მოულოდნელად შეეწყვიტა ამ ისტორიის თხრობა.

მართალია, რომანის ფინალში რამდენიმე სტრიქონით სიმბოლურად არის მინიშნებული ხათუნას ცხოვრების შემდეგი განვითარება, მაგრამ მაინც ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მწერალმა ორგანული დაბოლოება ვერ მოუხანახა თავის ნაწარმოებში დასახულ მთავარ სიუჟეტურ მოტივს.

„ჯარისკაცის ქვრივის“ სუსტი მხარე ისიც არის, რომ მასში საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება წარმოსახულია „კარჩაკეტილად“, გარესამყაროსაგან გამოთიშულად, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისა და განვითარებისაგან მოწყვეტილად. რომანის გმირების ინტერესების სფერო მეტად ვიწროდ არის შემოფარგლული, თითქოს მათს ცნობიერებამდე არც კი აღწევდეს ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ისტორიული მოვლენების გამოძახილი. ცხადია, ასე იზოლირებულად და თავის თავში ჩაკეტილად როდი ცხოვრობს ამჟამად საკოლმეურნეო სოფელი. სამწუხაროა, რომ ეს გარემოება გამოეპარა მწერლის მახვილსა და დაკვირვებულ თვალს.

განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს რომანის ენა, მწერალი ნაცადი ხელოვნებით აზავებს ერთმანეთთან ხალხის ცოცხალ მეტყველებასა და ჩვენი ერთიანი ეროვნული სალიტერატურო ენის მოთხოვნებს, გონებამახვილურად დაჭერილი ნიუანსების საშუალებით აღწევს რომანის პერსონაჟთა ზუსტ ენობრივ დახასიათებას. ეს მწერლის დიდი ღირსება და წარმატებაა.

ახალგაზრდა პროზაიკოსთა თაობის შემოქმედებითი დაწინაურების სასიხარულო მაგალითს წარმოადგენს ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“.

მხატვრული სიტყვის რამდენ გამოჩენილ და ღვაწლმოსილ ოსტატს წარმოუხანავს საკოლმეურნეო სოფლის მძიმე და დაძაბული ცხოვრება სამამულო ომის წლებში. და მით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ თემას სრულიად ახლებური გასაღები უპოვა და ახლებური ყღერა მიანიჭა ახალგაზრდა მწერალმა. კითხულობთ ამ ნაწარმოებს და თქვენს თვალწინ თითქოს სრულიად ახალი სამყარო გადაიშლება, ნიჭიერი მწერლის თვალით მიგნებული თუ აღმოჩენილი, მის მიერ საკუთარი, ღრმად თავისებური მხატვრული ენით წარმოსახული სამყარო.

რომანის (მხოლოდ პირობითად შეიძლება ამ უნარს მივაკუთვნოთ „ვარსკვლავთცვენა“) ეპიგრაფში მინიშნებულია ამ ნაწარმოების ხაზგასმულად პო-

ლემიკური დანიშნულება. ავტორს განუზრახავს ვილაც ურწმუნო ადამიანების^ც ცრუ წარმოდგენათა გასაფანტავად გვიჩვენოს, თუ რა დიდი განსაცდელი დაატება თავს ქართულ საკოლმეურნეო სოფელს ჩვენს სამშობლოზე ფაშისტ დამპყრობთა ვერაგულმა თავდასხმამ, თუ როგორი შემართებით, თავგანწირულობით და შეუპოვრობით იბრძოდნენ ქართველი ხალხის შვილები არა მარტო დიდი სამამულო ომის ფრონტებზე, არამედ ზურგშიც. ჩვენი სამშობლოს ისტორიის ამ მძიმე და მძაფრ, თანაც დიდებულ და დაუვიწყარ დღეებზე მოგვითხრობს ავტორი ერთი პატარა ქართული სოფლის მაგალითზე.

თორმეტი-ცამეტი წლის გოგიტას ფრონტზე მამის გამგზავრებისთანავე ჯერ კიდევ მოუმავრებელ მხრებზე დააწვა უმამაკაცოდ დარჩენილი ოჯახის გაძლოლის მძიმე ტვირთი. გოგიტასა და მისი თანატოლი და თანასოფლელი რამდენიმე ბიჭის ცხოვრების მაგალითზე მწერალმა დიდი ემოციური ძალის სურათებში დამარწმუნებლად გვიჩვენა, თუ როგორი ვაჟკაცური სულისკვეთებით შეეჭიდა ომის მრავალმხრივად ძნელსა და მძიმე ტვირთს მთელი საბჭოთა ხალხი, მისი ყველა ფენა და ყველა თაობა.

როგორც პერსონაჟთა ხასიათებს, ისე ყოფაცხოვრებითს გარემოცვას ოტია იოსელიანი ხატავს ფსიქოლოგიური ნიუანსების, დეტალების, ნახევარტონებისა და ქვეტექსტების საშუალებით და ამ გზით იგი აღწევს სურათისა და თხრობის იშვიათ ექსპრესიულობას და ემოციურ დაძაბულობას, თუმცა ავტორი მთელი ნაწარმოების მანძილზე ინარჩუნებს შინაგან სიმშვიდეს.

ახალგაზრდა მწერლის ამ პირველ ვრცელ ნაწარმოებს მკითხველი და ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობა გამოეხმაურნენ არა როგორც საიმედო შემოქმედებითს განაცხადს, არამედ უეჭველი იდეურ-ესთეტიკური ღირსების მხატვრულ ქმნილებას. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ თავის კეთილშობილურ რეალისტურ მისწრაფებას, ცხოვრებისეული მასალის უკიდურესი სიმართლით გამოხატვის მიდრეკილებას მწერალი ზოგჯერ ნატურალისტურ უხეშობამდე მიჰყავს (ასეთია, მაგალითად, ამბავი მოხუცი ბებიას რძის შესახებ).

მწერლის კიდევ უფრო საგრძნობ შემოქმედებითს შეცდომად ის მიგვაჩნია, რომ იგი თითქოს არ ენდო თავის ნაწარმოებში სოფლის დაძაბული შრომითი და საბრძოლო ცხოვრების დიდი შთამბეჭდავი ძალით აღწერილ სურათებს, საკმარისად არ მიიჩნია ეს სურათები და ნაწარმოებისათვის მეტი დამაინტერესებელი და მიმზიდველი ძალის მისაცემად შეთხზა ისეთი უცნაური ფინალი, რომელიც მოკლებულია ტიპიურობის ძალას და არც ეთანხმოვნება ნაწარმოების ძირითად იდეურ პათოსს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მძუტვი კოლმეურნის ეზიკას მიერ თავისი რძლის ფატის დაუზოგავად მოკვლა, რომელსაც ბავშვი შეეძინა გოგიტასთან რაღაც ბრმა შემთხვევით და ფატალურად დაახლოების შედეგად.

ნაწარმოების ეს სიუჟეტური მოტივი და განსაკუთრებით მისი ის ფინალური სურათი, სადაც დახატულია შემზარავი სურათი საკუთარ სისხლში მცურავი ფატისა და უმწეოდ მტირალი ახალშობილი ბავშვისა, მოკლებულია არა მარტო ესთეტიკურ ღირებულებას და მხატვრული ზომიერების გრძნობას, არამედ ცხოვრებისეულ სიმართლესაც. არა გვგონია ასეთი რამ დამახასიათებელი იყოს ქართული ხალხის, ჩვენი საკოლმეურნეო გლეხობის ზნეობრივი ბუნებისათვის, მაგრამ „ვარსკვლავთცვენა“, ამ ერთი სიუჟეტური მოტივისა და ფინალური სურათის გამოკლებით, შეიცავს ისეთ თვალსაჩინო ღირსებებს, რომელთა გამოც ეს ნაწარმოები ჩვენი მწერლობის მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

გასულ წელს ქართველმა ბელეტრისტებმა მრავალი ახალი მოთხრობა და ნოველა გამოაქვეყნეს. მარტო საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისათვის საიუბილეო დღეებში გამოცემულ მოთხრობათა კრებულში „ახალ ხომლში“ ოცდაათოთხმეტი ავტორი მონაწილეობს. ბევრად უფრო მეტია ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში განვლილი წლის მანძილზე დაბეჭდილი ნოველებისა და მოთხრობების რიცხვი. ცხადია, ამ სამიმოხილვო წერილის ფარგლებში მათი არა მარტო შეფასება და დახასიათება, არამედ სრული აღნუსხვაც კი შეუძლებელია.

ცალკე უნდა გამოვყოთ ჩვენი სახელოვანი პოეტის გიორგი ლეონიძის მიერ შარშან გამოქვეყნებული ფრიად საინტერესო მოთხრობები. გ. ლეონიძის მრავალმხრივად საინტერესო ცდებმა მხატვრული პროზის დარგში გაახარა და განაცვიფრა ქართული მწერლობის ყოველი მოყვარული მკითხველი. თავის მოთხრობებში პოეტი ნაცადი კოლორისტის ფუნჯით ხატავს რევოლუციამდელი ქართული სოფლის დამახასიათებელ ყოფით სურათებს. პირდაპირ გასაოცარია ის დიდი შემოქმედებითი გზნება და ენერჯია, რომლითაც ამ მოთხრობებში წარმოისახება ავტორის მიერ აღრეული სიჭაბუკის წლებში ნახული და განცდილი მოვლენებისა და ადამიანთა სამყარო. ეს მოთხრობები უაღრესად ხატოვანი ენით არის დაწერილი და, შეიძლება ითქვას, ამდიდრებს და აფართოებს ჩვენი თანამედროვე სამწერლო ენის გამომსახველობითს დიაპაზონს.

მარტო „მნათობის“ ფურცლებზე გ. ლეონიძემ გასულ წელს შვიდი მოთხრობა გამოაქვეყნა, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ჩორენი“, „ანარქისტი“, „კონსერვატორი“ და „ჭამპურა“. ამ მოთხრობებით პოეტმა თავისებურად შეავსო ქართული პროზის კლასიკოსების მიერ დახატული სურათი რეფორმის შემდეგი დროის, რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირი და გაუხარელი ცხოვრებისა. ცხადია, უფრო მეტი მნიშვნელობა და აქტუალობა ექნება გ. ლეონიძის მოთხრობებს ჩვენს თანამედროვეობაზე.

გასული წლის ქართული მხატვრული პროზის შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ერთი მკდარი ტენდენცია, რომელიც ფართო გავრცელებას პოულობს განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერალთა შორის. ზოგიერთი ახალგაზრდა ბელეტრისტი ხშირად ხატავს თავისთავად ნიჭიერად შესრულებულ სურათებს, რომლებიც მოკლებული არიან რაიმე საზოგადოებრივ აზრსა და სოციალურ მიზანდასახულებას. ისინი არაფერს არ ამტკიცებენ და არც არაფერს უარყოფენ, მათ არც რისიმე დამამკვიდრებელი და არც რისიმე მამხილებელი დანიშნულება მოეპოვებათ.

ცხადია, ასეთი უიდეო, საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმით აღბეჭდილი მოთხრობები შეუფერებელია საბჭოთა ლიტერატურის ამოცანებისათვის, ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის დიდი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციებისათვის.

საკვირველია, რომ ასეთი ხასიათის მოთხრობები — „მეწისქვილის ქალიშვილი“ და „ნაცრისფერი ღლე“ გამოაქვეყნა „ვარსკვლავთცვენის“ შემდეგ ოტია იოსელიანმა. სამწუხაროდ, ეს მოთხრობები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ ახალგაზრდა ქართველ ბელეტრისტთა შემოქმედებაში.

მოსაწონი ნაყოფიერებით და შემოქმედებით გატაცებით მუშაობს მხატვრული პროზის დარგში ახალგაზრდა პოეტი არჩილ სულაკაური. ზოგიერთმა მისმა მოთხრობამ („ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, „მტრედები“) საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მათში დახვეწილი გემოვნება, ადამიანის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის მისწრაფება, მხატვრული მეტყველებისა და გამოსახულების ახალ საშუალებათა ძიება იგრძნობა.

მაგრამ მისი ასეთი შემოქმედებითი ძიებანი ბევრად უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნებოდა, რომ მწერალი ხშირად გვერდს არ უვლიდეს ჩვენი სინამდვილის მთავარ თემებს და ცხოვრების შედარებით წვრილმანი, უმნიშვნელო მოვლენებით არ იზღუდებოდეს.

აი, მაგალითად, მის ერთ-ერთ ახალ მოთხრობაში („ბიჭი და ძაღლი“) ნიჭიერად, ემოციურად არის მოთხრობილი ამბავი, თუ როგორ მოეხმარა თავისი ერთგული ძაღლი ერთ პატარა კეთილ ბიჭუნას, რატომღაც გადამტერებულ ოთხ ბიჭთან ჩხუბში, მაგრამ მასში არაფრით არ იგრძნობა ჩვენი დროების, თანამედროვე სინამდვილის დამახასიათებელი ნიშნები, თხრობას არ გააჩნია რაიმე სოციალური აქცენტი და გარკვეული საზოგადოებრივი მიზანდასახულება.

ან ავიღოთ ა. სულაკაურის მიერ გასულ წელსვე დაწერილი მეორე მოთხრობა „უკეთუ გაცთუნებდეს“. ეს ნაწარმოები ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენტის ცხოვრების სურათებს შეიცავს. მასში აგრეთვე უეჭველი ნიჭიერებით არის

მოთხრობილი თავისთავად საინტერესო შემთხვევები ნაწარმოების პერსონაჟთა ურთიერთობის ისტორიიდან. მაგრამ ძნელია გაიგო და ამოიკითხო, თუ რა მორალურსა და იდეურ საფუძველზეა აგებული ეს მოთხრობა, რის თქმას უნდოდა ავტორს თავის ამ თხზულებით, რომელსაც მან, უეჭველია, დიდი შემოქმედებითი შრომა და ენერგია მოანდომა. ყოველ შემთხვევაში მოთხრობის არც ერთი გმირი არაფერს არ აკეთებს ისეთს, რომ ნიმუშად და მაგალითად გამოადგეს ჩვენს ახალგაზრდობას.

ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს ეს მოთხრობები დამახასიათებელი იყოს ა. სულაკაურის მთელი შემოქმედებისათვის, მაგრამ ისინი არც იშვიათ გამონაკლისს შეადგენენ ამ მწერლის და საერთოდ ჩვენი ახალგაზრდა ბელეტრისტების შემომქმედებითს პრაქტიკაში. სამწუხარო სწორედ ის არის, რომ ასეთი მცდარი, უნიადაგო და დიდად შემაფერხებელი ტენდენციები ფაქტს იჩენენ ნიჭიერი, ერუდირებული და უეჭველი შემოქმედებითი პოტენციის მქონე ახალგაზრდა ბელეტრისტთა შორის. რაც უფრო მალე იქნება დაძლეული ეს უცხო და უსარგებლო ცთუნებანი, მით უკეთესი ჩვენი ლიტერატურისათვის, ჩვენი ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობის მომავლისათვის.

დასასრულ ორიოდ სიტყვა მხატვრული ნარკვევის ჟანრის მდგომარეობაზე ქართულ მწერლობაში. გარკვევით უნდა ითქვას, რომ დღემდე ჩვენი სამწერლო საზოგადოებრიობა ამ ჟანრის შეუწყნარებელ და გაუმართლებელ შეუფასებლობას იჩენს. მართალია, გასულ წელსაც ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნდა სიმონ წვერავას, მამია ასათიანის, ლადო სულაბერიძის და რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის საინტერესო ნარკვევი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ ჟანრს დღესდღეობით ქართულ მწერლობაში შესაფერი ხვედრითი წონა ჰქონდეს მოპოვებული. ესეც ჩვენი მწერლობის ერთ-ერთი სერიოზული ხარვეზია, რომლის დაძლევისაც დაბეჭდვით მოითხოვს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების ინტერესები.

თანამედროვეობის მოთხოვნათა ღონეზე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ განვლილი წელიწადი ღრმადმნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის მთელს იდეურ ცხოვრებაში და კერძოდ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. პლენუმის მაღალი ტრიბუნლიდან პარტიამ კიდევ ერთხელ შთამაგონებლად და აღმაფრთოვანებლად მოუწოდა მხატვრული კულტურის ოსტატებს კიდევ უფრო ღრმად და სისხლბორცეულად დაუკავშირონ თავიანთი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას, მის სასიცოცხლო ინტერესებს, მისი შრომისა და ბრძოლის ყოველდღიურობას, მეტი სისრულით და მხატვრული სიმართლით ასახონ თანამედროვეობის დიადი მოვლენები, შექმნან ახალი სამყაროს მშენებელთა მაღალმხატვრული ტიპიური სახეები, რომლებიც ახალი საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებენ ხალხს. მისაბამ მაგალითებად გამოადგებიან ჩვენს ახალგაზრდობას.

ასეთია სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარი ხაზი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთელი პერიოდისათვის, — მისი მთავარი მიმართულება, რომელიც ნათლად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში.

ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის XX და XXII ყრილობების მომდევნო წლებში, მას შემდეგ, რაც პარტიამ ამხილა პიროვნების კულტის მავნე შედეგები, დაგმო დოგმატიზმისა და ჩექტანტობის მანკიერებანი და ფართოდ გზა გაუხსნა შემოქმედებითი აზრის თავისუფალ განვითარებას, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური მოძღვრების ნიადაგზე გააფართოვა სამეურნეო და კულტურული ურთიერთობანი კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან, საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის გარკვეულ წრეებში, — იდეურად და მსოფლმხედველობრივად გამოუწრთობ ფენებში თავი იჩინა სოციალისტური რეალიზმის პრინციპებისაგან გადახვევის შემთხვევებმა, თანამედროვე დასავლეთის მოდერნისტული ხელოვნებით გატაცებისა და მისდამი მიმბაძველობის მახინჯმა ტენდენციებმა. ყალბად და ვიწროდ გაგებული ნოვატორობის ცდუნებით შეპყრობილმა ზოგიერთმა მწერალმა და ხელოვნების მოღვაწემ ზურგი აქცია მხატვრული შემოქმედების მაღალი იდეურობისა და ცხოვრებისეული სიმართლის პრინციპებს

და მოინდომა საბჭოთა ხელოვნების მაღალ დანიშნულებასთან ყოველად შეუ-
თავსებელი თვითმიზნური ესთეტიზმის ანტირეალისტური და ანტიხალხური
ტენდენციების მკვდრეთით აღდგენა. აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგე იდეოლოგი-
ათა „თანაარსებობის“ კაპიტულიანტური „თეორიის“ დამცველებიც.

ყოველივე ამას, რასაკვირველია, შეეძლო შემაფერხებელი დაბრკოლება
წარმოეშვა საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების განვითარებისათვის, რომ
პარტიასა და საბჭოთა საზოგადოებრიობას დროულად არ ემხილებინა ამგვარ
ცდუნებათა მანკიერება და გზა არ გადაეღობა მათთვის. მხატვრული ინტელი-
გენციის შემოქმედებითი კავშირების ყრილობებზე, პლენუმებზე, თათბირებზე,
დისკუსიებზე გაიმართა მხატვრული შემოქმედების უმნიშვნელოვანეს პრობლე-
მათა ფართო და მრავალმხრივი განხილვა, გულითადი, კეთილმოსურნე, მაგრამ
უკომპრომისო და პრინციპული მსჯელობა საბჭოთა მხატვრული კულტურის გან-
ვითარების საკითხებზე. ამ მსჯელობათა მსვლელობაში შემდგომი განვითარება
ჰპოვა მარქსისტულ-ლენინურმა მოძღვრებამ ხელოვნებისა და ლიტერატურის
შესახებ, სოციალისტურმა ესთეტიკამ, სოციალისტური რეალიზმის თეორიამ,
რომლებიც მდიდრდებიან რა თანამედროვეობის მიერ წარმოშობილი ახალი
თვისებებით, წარმატებით თავისუფლდებიან დოგმატური შეზღუდულობისა-
გან, მედავიტენობისაგან. უსიცოცხლო და დრომოჭმული სქემებისაგან.

შეუძლებელია გადაჭარბებით იქნას შეფასებული ის კეთილმყოფელი ზე-
მოქმედება, რომელიც ხსენებულმა ღონისძიებებმა იქონიეს მრავალეროვნული
საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების მდგომარეობაზე. ამ მოვლენების შემდეგ
განვლილი პერიოდი, რასაკვირველია, მეტად მცირე დრო იყო იმისათვის რომ,
მთელი სისრულით გამოვლენილიყო პარტიის ბრძნულ მოწოდებათა ცხოველ-
მყოფელი ძალა, რომ მრავლად შექმნილიყო მაღალი იდეური უღერისა და დიდი
ესთეტიკური ღირებულების ფართო მხატვრული ტილოები, რომელთაც კანონი-
ერად მოეღოს და მოითხოვს ხალხი თავისი სახელოვანი მხატვრული ინტელიგენ-
ციისაგან. მაგრამ ეს დრო სავსებით საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ ნათლად
გვეგონო ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაზე პარტიის წარმმარ-
თველი ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენის მნიშვნელობა და
შედეგები, რომ მკვეთრად გაჯანსაღებულყო შემოქმედებითი ატმოსფერო,
მიგვეღწია ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთსულოვანი დარაზმუ-
ლობისათვის კომუნისტური პარტიის სალიტერატურო და სახელოვნო პოლი-
ტიკის პრინციპების გარშემო, სოციალისტური რეალიზმის პოზიციების გარ-
შემო.

თუ ამ პრინციპების თვალსაზრისით განვიხილავთ კერძოდ ქართული
საბჭოთა მწერლობის დღევანდელ მდგომარეობას, შეუძლებელია არ დავინა-

ხოთ მნიშვნელოვანი სიახლენი და ძვრები მის განვითარებაში, თვალსაჩინო შემოქმედებითი წარმატებანი, რომლებიც მოწმობენ, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატთა ყველა თაობის საუკეთესო წარმომადგენლები სულ უფრო მეტი შემოქმედებითი აქტივობით იღწვიან იმისათვის, რომ პარტიის მიერ ნაკარანხევი სწორი და ჯანსაღი მიმართულებით ვითარდებოდეს ჩვენი მწერლობა, რომ იგი უფრო ღრმად იჭრებოდეს ცხოვრებისეულ პროცესებში, უფრო ეფექტურად მონაწილეობდეს ხალხის სულიერ აღზრდასა და იდეურ შეიარაღებაში, კომუნისმის მშენებელი აღამიანის მასივთის ღორმარებაში.

შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ ახლა ძირითადად უკვე დაძლეულია წინა წლებში ქართულ მწერლობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში საკმაოდ გავრცელებული წვრილმანთემატიკის, ბუნებისა და ყოფის უშინაარსო, სოციალურად მნიშვნელოვანი აზრისაგან დაცლილი მხატვრობის ცდუნებანი, ვიწროდ — პირადულ განწყობილებათა ნაჭუქში ჩამწყვდევის, თვითმიზნური ფორმალური ექსპერიმენტებით უნაყოფო გატაცებანი. დაძლეული და გადალახულია აგრეთვე ჩვენს მწერლობაში თაობათა დაპირისპირების ყალბი და უნიადაგო ტენდენციები, ჩვენი კლასიკური მწერლობის სახელოვანი რეალისტური და დემოკრატიული ტრადიციებისადმი, საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის წინა პერიოდებში მოპოვებული მიღწევებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რასაც სულ ახლო წარსულში იჩენდა ზოგიერთი ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორი.

განვლილი ერთი წლის მანძილზე ქართველ მწერალთა მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა განხილვა ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვეობის თემატიკამ და პრობლემატიკამ გაბატონებული მდგომარეობა დაიმკვიდრა ქართულ ლიტერატურაში, ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის არც ერთ წინა პერიოდში სიახლის გრძნობა, თანამედროვეობის სუნთქვა, სინამდვილის პროცესებთან ორგანული კავშირი ისე ღრმა და ყოვლისმომცველი არ ყოფილა ჩვენს მწერლობაში, როგორც ახლა. ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქართულ საბჭოთა მწერლობაში სავსებით ჩახშობილიყოს ისტორიზმის გრძნობა, შემოქმედებითი ყურადღება და ინტერესი ჩვენი სამშობლოს გმირული წარსულისადმი — არა. სწორედ სულ ახლახან დაამთავრა კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი სახელმძღვანელო ისტორიული ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომელზეც მწერალი შეუწინაღებელი გზებით და ცხოველი შთაგონებით მუშაობდა მეოთხედი საუკუნის მანძილზე. უკანასკნელ წლებში გამოაქვეყნა გრიგოლ აბაშიძემ ისტორიული რომანები „ლაშარელა“ და „დიდი დამე“, რომელთაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს და ბევრი რამ ახალი და თავისებური შეიტანეს ქართული

ისტორიული რომანისტიკის განვითარებაში. მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ლევან გოთუას ისტორიულმა რომანმა: „გმირთა ვარამმა“.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა უარს არ ამბობს და ვერც ვერასოდეს იტყვის უარს ჩვენი ხალხის სუსხიანი, მაგრამ ამასთანავე გმირული და საამაყო ისტორიული ცხოვრების მხატვრულად ათვისებისა და წარმოსახვის საპატიო მოვალეობაზე. მაგრამ დღეს ისტორიულ თემატიკას სრულიადაც აღარ უჭირავს განმსაზღვრელი და უპირატესი ხვედრითი წონა ჩვენს მწერლობაში და ამ თემებზე მუშაობა ახლა უკვე სრულიადაც აღარ ემუქრება თანამედროვეობის თემატიკას შეზღუდვითა და გაღარიბებით, სრულიადაც აღარ უქმნის ჩვენს ლიტერატურას მისი მაცოცხლებელი ნიადაგი-საგან და პროცესებისაგან მოწყვეტისა და გამოთიშვის საშიშროებას.

მაგრამ თანამედროვეობა ყოვლისმომცველად მკვიდრდება ჩვენს ლიტერატურაში არა მარტო თემატიკისა და პრობლემატიკის აქტუალობის, არამედ მწერლობის მსოფლმხედველობრივი პოზიციისა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც. იზრდება მწერლის პასუხისმგებლობა ხალხისა და ისტორიის წინაშე, გარკვეულად თანმიმდევრული ხდება მისი იდეური დამოკიდებულება გამოხატულების საგნად შერჩეული ცხოვრებისეული მოვლენებისადმი, ახლა უფრო ფართოდ და მრავალმხრივად მოიცავს მწერლის მხატვრული ხედვა ცხოვრების მრავალმხრივობასაც და ადამიანის სულიერ სამყაროსაც. სულ უფრო იშვიათად ვხვდებით ცხოვრების შელამაზებულად, ან გამაბიაბრუებლად წარმოსახვის შემთხვევებს, ადამიანის ცალმხრივად გამოხატვას, მის ჩვენებას ან მარტო საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობაში, ან მარტო პირად-ოჯახურ, ყოფა-ცხოვრებითს ურთიერთობაში. ჩვენი მწერლობა იძენს გმირის სულიერ სამყაროში წვდომის უფრო მეტ სიღრმესა და ძალას, მხატვრული გამოსახულების საშუალებათა მეტს სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, მეტს სტილებრივსა და ქანობრივს ნაირფერობას.

ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების ეს ძვირფასი თავისებურებანი და სიახლენი, რომლებიც თავის მხრივ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახლანდელი პერიოდის თავისებური ბუნებით და ხასიათით არის ნაკარნახევი, საბჭოთა მწერლობის მთელი ისტორიის მანძილზე შემუშავებულ საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების განუწყვეტელ განვითარებას მოწმობს და ამიტომაც არავითარ საბაბსა და საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან გამოვთიშოთ ან ერთმანეთს დავუპირისპიროთ სოციალისტური რეალიზმის მწერლობის ევოლუციის ცალკეული პერიოდები. ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ჩვენი მწერლობისათვის დამახასიათებელი ეს დადები-

თი ტენდენციები უკანასკნელი დროის ყველა ნაწარმოებებში როდი ვლინდებიან, ისინი მხოლოდ საუკეთესო მხატვრულ ქმნილებებში იჩინენ თავს და ისიც არა ერთობლივად და კონცენტრირებულად, არამედ მეტნაკლები სისავსით და რელიეფურობით თითოეულ მათგანში.

როგორც თვით ცხოვრება, სოციალური სინამდვილის პროცესები, ისე ლიტერატურული ცხოვრებაც უკონფლიქტოდ და იდილიურად როდი ვითარდება, მწერლობაშიც ჭანსალი, დადებითი და პროგრესული იზრდება და ვითარდება უარყოფითი, დრომოკმული ტენდენციების, იდეური თუ მხატვრული ხასიათის ნაკლოვანებათა და დამახინჯებათა დაქლევისა და გადალახვის გზით. შეცდომა იქნებოდა თუ უკანასკნელი დროის პარტიული დოკუმენტების დადებითსა და გამანაყოფიერებელ ზეგავლენას ჩვენი მწერლობის განვითარებაზე იმგვარად გავიგებდით, თითქოს ამჟამად ჩვენს ლიტერატურაში მხოლოდ მიღწევებსა და წარმატებებზე შეიძლებოდეს ლაპარაკი და მის განვითარებაში ადგილი აღარ ჰქონდეს რაიმე სერიოზულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს, შეცდომებსა და ჩრდილოვან მხარეებს.

განვლილი ლიტერატურული წლის შეფასებამ და ანალიზმა არა მარტო ის უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ განახორციელებს ჩვენი მწერლობა პარტიისა და ხალხის მიერ მის წინაშე დასახულ ამოცანებს, არამედ ისიც, თუ რამდენად და რა მხრივ ჩამორჩება ჯერ კიდევ იგი ამ ამოცანებისა და მოთხოვნების დონეს, თუ რა გზით და როგორი სიძნელების გადალახვით უნდა მიიღწიოს ჩვენმა მწერლობამ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქისათვის შესაფერ იდეურ-მხატვრულ სიმაღლეებს.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელი ვითარების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ განუხრელად იზრდება მხატვრული პროზის ხვედრითი წონა ჩვენს მწერლობაში, ლიტერატურის ამ უმნიშვნელოვანეს ქანრში შემოდიან ახალი და ახალი ნიჭიერი შემოქმედებითი ძალები, რომელთაც თან შემოაქვთ თემებისა და სახეების ახალი სამყარო, მხატვრული ხედვის და სინამდვილის წარმოსახვის ახალი თვისებანი. განვლილმა წელიწადმა ამ მხრივ რამოდენიმე მნიშვნელოვანი შემოქმედებითი წარმატება შესძინა ჩვენს მწერლობას. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ ლალო მრელაშვილის რომანის „ყაბახის“ პირველი წიგნი, რომლის გამოქვეყნებაც ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ მოვლენათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს.

ეს წიგნი ქართული საკოლმეურნეო სოფლის დღევანდელი შრომითი ცხოვრების ამსახველი ვრცლად და საინტერესოდ მოთქმებული ფართო მხატვ-

რული ტილოს საექსპოზიციო ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ რომანის ამ პირველ წიგნში უკვე გამოკვეთილია ცოცხალ ადამიანურ სახეთა მდიდარი გალერეა, ჩამოყალიბებულია მრავალწახნაგოვანი რთული კომპოზიციის განმსაზღვრელი მთავარი სიუჟეტური მოტივები, გარკვეულია ნაწარმოების თემატიკური საფუძველი და იდეური მიზანდასახულება, გამოვლენილია მისი მხატვრულ-სტილური და ენობრივი სპეციფიკურობანი. ახალგაზრდა ავტორი ცხოვრებისეული მასალის ღრმა და ზედმიწევნითს ცოდნას, სინამდვილის მოვლენებში გაბედულად შეჭრის, მათი მრავალმხრივი მხატვრული გამოკვლევის და ერთიან მიზანდასახულებრივს ასპექტში გააზრების უნარს იჩენს. მწერლის ბასრი მხატვრული თვალი წვდება პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების რთული მოძრაობის ნიუანსებს, გონივრულად შერჩეულ ყოფა-ცხოვრებითს დეტალებს, რომელთაც ფართო სოციალურ განზოგადების შემცველ მხატვრულ სურათებად წარმოქმნის. ავტორის მხატვრულ ინდივიდუალობაში ბედნიერად გაერთიანებულია საინტერესო, მიზნიდელი თხრობისა და კოლორიტული აღმწერლობის ნიჭიერება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ავტორის მდიდარი ენა, ცოცხალი, ხატოვანი, საოცრად ბუნებრივი და ამავე დროს ღრმად შთამბეჭდავი მეტყველება. მწერალს თითქოს ხელუხლებლად გადმოაქვს ცოცხალი ხალხური სასაუბრო ენა, ადგილობრივი კილოკავი, იდიომები და ხშირად კუთხური ლექსიკური მასალაც კი, მაგრამ ყოველივე ეს ორგანულად ჩაყენებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულის კანონზომიერ კალაპოტში და ყოველგვარი მანერულობისა და ხელოვნური გართულებისაგან თავისუფალი ენობრივი ქსოვილი მეტყველ წარმომსახველობითს ძალას იძენს, ადამიანური ხასიათების თავისებურებათა გადმოცემის ეფექტურ საშუალებად გვევლინება. ახლა ძნელია იმისი წინასწარი განჭვრეტა, თუ რამდენად მოახერხებს ახალგაზრდა ბელეტრისტი მთელი ამ უხვი და მდიდარი ცხოვრებისეული მასალის, ამ მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური ჩანაფიქრის გაერთიანებას მწყობრსა და მთლიან კომპოზიციურ კალაპოტში, რამდენად გაამდიდრებს და გააღრმავებს იგი რომანის მომდევნო წიგნებში თავისი მხატვრული ნიჭიერების იმ თვისებებს, რომელთა შესახებაც ზემოდ გვქონდა ლაპარაკი. მაგრამ ის შემოქმედებითი მონაცემები, რომლებიც ასე მკაფიოდ გამოჩნდა „ყუბანის“ პირველ წიგნში, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლაღო მრელაშვილის სახით ჩვენს მწერლობას დიდად საიმედო შემოქმედებითი ძალა შეემატა.

რომანში კახეთის ერთი საკოლმეურნეო სოფლის დღევანდელი შრომითი ცხოვრების სურათია წარმოსახული. მაგრამ ამ ლოკალური მასალის მეშვეობით ავტორი მხატვრულად იკვლევს და აშუქებს ჩვენი სოციალისტური სოფლის თანამედროვე ცხოვრების ისეთ მწვავე და აქტუალურ პრობლემებს, როგორცაა

აგრო-ტექნიკური მეცნიერების უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვის გზით სოფლის მეურნეობის პროდუქციულობის ამაღლებისათვის ბრძოლა, საკოლმეურნეო გლეხობის შეგნებაში კერძო მესაკუთრულ ტრადიციათა უკანასკნელი გადმონაშთების აღმოფხვრა, კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ზრდა, სოციალისტური სოფლის კულტურული და ყოფა-ცხოვრებითი დაწინაურება და მისი განვითარება თანამედროვე ქალაქური ცხოვრების დონემდე, საკოლმეურნეო სოფელზე პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა.

რომანის ცოცხლად და კოლორიტულად დახატულ პერსონაჟთა შორის გამოირჩევიან კოლმეურნეობის თავმჯდომარის, ძია ნიკოს, ახალგაზრდა აგრონომი ქალის რუსუდანის, ბრიგადირი რევაზის და მოწინავე ახალგაზრდის შავლეგ შამრელაშვილის პორტრეტები, რომლებიც დიდი განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრულ სახეებად გვევლინებიან და თავიანთი ცხოვრების ისტორიით. მოქმედებით, აზრებითა და მისწრაფებებით, სულიერი სახიერებით ამდიდრებენ და აფართოებენ ჩვენს წარმოდგენას თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლის მამოძრავებელ ძალებზე. აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი ნაჩვენებია, როგორც რთული ადამიანური ხასიათი, რომლებიც უაღრესად თვითმყოფი ბუნებით და განუმეორებელი თავგადასავლით ჭანიჩრევიან და არაფრით არ მოგვაგონებს მხატვრულ მწერლობაში ცნობილ სხვა ანალოგიურ პერსონაჟებს. ყოველ მათგანს მწერალი გვიჩვენებს როგორც სახალხო მნიშვნელობის საქმიანობის ვითარებაში, ისე საკუთარ რთულ საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ასპექტში და გმირის ხასიათის გადმოცემის ასეთი მრავალმხრივობა არამც თუ არ არღვევს, არამედ პირიქით, განამტკიცებს ამ მხატვრულ სახეთა მთლიანობას და სისხლხორციანობას.

სოციალისტური სოფლის განუხრელი აღმავლობისა და წინსვლის ამსახველ. მისი მოწინავე ადამიანების საგმირო საქმეებისა და სულიერი მშვენიების გამომხატველ ამ ნაწარმოებში ავტორი როდი გაუბრბის სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა ჩვენებას, მანკიერ ადამიანთა ბნელი საქმეების მხილვას. რომანის დადებითი გმირების გვერდით ცხოვრობენ და მათდამი საწინააღმდეგო ურთიერთობაში მოქმედებენ რაიკომის გადაგვარებული ინსტრუქტორი ვარდენი, სოფლის სასადილოს გამგე — გაქნილი კომბინატორი სიმონი, მისი ვაჟი — უსაქმური და თაღლითი ახალგაზრდა სერგო, მათი დამქაში ვახტანგი, უსინდისო მამუზღარა და ცილისმწამებელი თედო და სხვ. კიდევ მეტიც — ავტორი თავისი ზოგიერთი დადებითი გმირის ხასიათის სიღრმეშიც ამჩნევს და გამოიკვლევს წარსულის ბნელი გადმონაშთების კვალს. მაგრამ ნაწარმოების ასეთი მამხილებელი, კრიტიკული პათოსი არამც თუ არ ეწინააღმდეგება და არ ანე-

ლებს, არამედ უფრო ხაზგასმულად გვაგრძნობინებს რომანის ოპტიმისტურ, ცხოვრების დამამკვიდრებელ ქღერას.

შეიძლებოდა გველაპარაკა რომანის ზოგიერთი ფაბულური მოტივის ერთგვარ ხელოვნურობასა, შეუშაადებლობასა და დაუსაბუთებლობაზე, ცალკეულ პასაჟების შედარებით სიმკრთალებზე და მხატვრულად დაუმუშავებლობაზე, სხვა ცალკეულ პროფესიულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად ეს რომანი დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის, კერძოდ ქართველ ბელეტრისტთა ახალი თაობის შემოქმედების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა იქნას მიჩნეული. მკითხველი დიდი ინტერესით მოელის ამ ნიჭიერი ნაწარმოების მომდევნო წიგნებს.

ქართველ პროზაიკოსთა ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი დავაჟაკების მომასწავებელია აგრეთვე ნოდარ წულუისკირის ვრცელი მოთხრობა „თეთრი მთა“. ეს ნაწარმოებიც ქართული საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრებას მიეძღვნება. მის მთავარ თემას სოფლის ახალგაზრდობის ზრდა, ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცის ხასიათის წრთობა და ფორმირება შეადგენს. მოქმედება დასავლეთ საქართველოში სწარმოებს — სამეგრელოს ერთ პატარა სოფელ საკალანდარიოში, ავტორი მოგვითხრობს ამ სოფელში მცხოვრები ერთი ოჯახის ბათუ კალანდარიას ოჯახის ცხოვრებას სამამულო ომის მრისხანე დღეებში და ომის შემდეგი მშვიდობიანი ცხოვრების პირველ წლებში. მოხუცი ბათუ კალანდარია — კეთილშობილი, მხნე, მშრომელი ადამიანი, თავისებური ხასიათის კაცი, მთელი სოფლის პატივისცემით და ყურადღებით გარემოცული, მისი შვილები თემურაზი, ნესტორი და შალვა, შვილიშვილები გურამი და ზაური გვევლინებიან მოთხრობის მთავარ პერსონაჟებად. მაგრამ ამ ერთი ოჯახის ცხოვრება განუყოფელად არის დაკავშირებული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებასთან. მკითხველის თვალწინ გადაშლილია ცოცხლად და მხატვრული სიმართლით დახატული სურათები საკოლმეურნეო გლეხობის შრომითი ყოველდღიურობისა, საბჭოთა სოფელში დამკვიდრებული ახალი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ურთიერთობებისა, სასოფლო სკოლის, მისი მასწავლებლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ყოველდღიური საქმიანობისა. ყოველივე ეს მოთხრობაში წარმოსახულია ნათელი იდეური გააზრებით, განზოგადებულად; ტიპიზირებულად. თხრობის ცენტრში მოქცეულია ბათუ კალანდარიას შვილიშვილი გურამი — იშვიათი ნიჭიერების, ნათელი გონებისა და მაღალი ზნეობის ყმაწვილი, რომლის ფიზიკური დავაჟაკების, გონებრივი ზრდისა და ზნეობრივი წრთობის პროცესი შეადგენს მოთხრობის სიუჟეტურ მაგისტრალს. ეს მხატვრული სახე ახალგაზრდა ავტორის დიდი შემოქმედებითი

წარმატებაა. იგი ქართული საბჭოთა მწერლობის მიერ დახატულს ჩვენი დროის ახალგაზრდა გმირის ყველაზე მკაფიო სახეთა რიცხვს მიეკუთვნება.

მოთხრობის მთავარ პათოსს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ნათელი მხარეების, დადებითი ტენდენციების გამოხატვა, კარგი ადამიანების, მათი სულიერი ძლიერებისა და მშვენიერების წარმოსახვა შეადგენს. მაგრამ ყოველივე ეს იმდენად წრფელად, ბუნებრივად, დამაჯერებლად არის ნაჩვენები და მოთხრობილი, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია აქ ცხოვრების რაიმე შელამაზებულ და გაზრახ „გაუმჯობესებულ“ გამოხატვაზე. მოთხრობა წრფელი ლირიზმით არის გამსჭვალული. მასში მომხიბვლელად არის გადმოცემული სოფლად ახალი ცხოვრების დამკვიდრების ჯანსაღი, კეთილმყოფელი, ჰუმანიზმის სიკეთით გამსჭვალული ატმოსფერო. ეს მოთხრობა თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ქართული საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობის სულიერი ბიოგრაფიის გამომხატველ ისეთ ნიჭიერ ნაწარმოებთა ანსამბლში, როგორიცაა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ და ოტია იოსელიანის „ვარსკვლავთცვენა“.

განვლილი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ ახალგაზრდა პროზაიკოსთა ნაწარმოებებს შორის იდეურ-თემატური ჩანაფიქრის მნიშვნელოვანებით, ხატვისა და თხრობის ნიჭიერებით, მძაფრი დრამატიზმით აღსავსე სიუჟეტის ჩამოყალიბების უნარით გამოირჩევა თეიმურაზ მალლაფერიძის მოთხრობა „უშბა“. ამ მოთხრობით ახალგაზრდა ავტორი პირველად წარსდგა მკითხველი საზოგადოებრიობის წინაშე და გარკვევით უნდა ითქვას, რომ მისი ეს დებიუტი დიდათ საიმედო და პერსპექტიულია.

მოთხრობის მთავარი გმირი — თბილისის უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული ფილოლოგი ლადო იაშვილი მასწავლებლად იგზავნება სევანეთის ერთ-ერთ შორეულ სოფელში. დანიშნულების ადგილს ჩასული ნიჭიერი პატიოსანი, ენერგიული და უშიშარი ეს ახალგაზრდა ერთბაშად მოექცა სავსებით თავისებურ გარემოცვაში, სადაც მიუხედავად ღრმა სოციალური ცვლილებებისა და გარდაქმნებისა, ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი როდია პატრიარქალურ ცრურწმენათა და გვაროვნული ადათწესების საგრძნობი გამონაშთები. წარსულის ამ ბნელ მემკვიდრეობასთან შეურიგებლობის გრძნობით შთაგონებული ლადო იაშვილი ერთბაშად ჩაებმება მწვავე ბრძოლაში ყოველივე ძველისა და დრომოკმულის წინააღმდეგ. ამ ორთაბრძოლაში ბნელი და რეაქციული საწყისის ხორცშესხმულ განსახიერებად გამოდის ჩოფე ვუზდენი, რომელსაც ენერგიულად მხარს უჭერს მისი ძმა — სკოლის დირექტორი ვანო ვუზდენი და პატრიარქალური ადათ-ჩვევების ტყვეობაში მყოფი სხვა სოფლელებიც. მაგრამ სევანეთის სოფელი მთლიანი როდიღაა ძველი, დახავსებული ტრადიციებისადმი ერთგულებაში, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თეი-

მურაზ ჯაჭვლიანი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ჟორა, სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა წრფელად თანაუგრძობენ ლადო იაშვილის სახით სოფლად შემოსულ ახალ მისწრაფებებს, ახალგაზრდა მასწავლებლის ენერგიულ და ნაყოფიერ შრომას, მის გაბედულ ბრძოლას ყოველივე დრომოკმეული ანაქრონიზმის წინააღმდეგ. ამ მწვავე კონფლიქტის მსვლელობაში უფრო და უფრო მკაფიოდ ვლინდება მოთხრობის დადებითი გმირის ხასიათის თავისებურებანი — მისი უშიშროება და ქედუხარელობა, ვაჟკაცობა და პირდაპირობა, მაღალი შეგნება და ნათელი მორალური სახე.

მწერალი გვიხატავს სვანეთის დიდებული ბუნების მომხიბლავ სურათებს, სვანური სოფლის ყოფაცხოვრების თავისებურებებს. მაგრამ ამ მოთხრობასა და მხატვრობაში ნატამალიც არ არის მასალისადმი ეკზოტიკური მიდგომისა, ადგილობრივი ცხოვრების კარჩაკეტილად, იზოლირებულად, ჩვენი ქვეყნის საერთო მაჯისცემისაგან გამოთიშულად წარმოსახვისა.

მართალია, მოთხრობის ზოგიერთი ეპიზოდი მოკლებულია ეთნოგრაფიულ სიზუსტეს, თავისი მთავარი გმირის ხასიათის განვითარებაშიც მწერალი ყოველთვის ვერ იცავს ლოლიკურობასა და ფსიქოლოგიურ სიმართლეს, მაგრამ ეს ხარვეზები ვერ ანელებენ სწორი იდეური გააზრებით და მხატვრული სიმართლით აღბეჭდილ ამ საინტერესო ნაწარმოებისაგან მიღებულ წარუშლელ შთაბეჭდილებას. უნდა ვიფიქროთ, რომ მოთხრობის მომდევნო ნაწილებში, რომლებზეც ამჟამად მუშაობს ავტორი, კიდევ უფრო მეტის მხატვრული ენერგიით და ღრმა გააზრებით განვითარდება და ლოლიკურ დასრულებას პოვებს ესოდენ საინტერესოდ დასახული მძაფრი სოციალური და საყოფაცხოვრებო კონფლიქტები.

უკანასკნელი წლების ქართულ მწერლობაში თვალნათლივ შეინიშნება ლექსის ოსტატთა მისწრაფება ბელეტრისტული ჟანრებისაკენ. საკმარისია დავასახელოთ გრიგოლ აბაშიძის რომანები, გიორგი ლეონიძის, არჩილ სულაკაურის და თამაზ ჭილაძის მოთხრობები და ნოველები. ამ ნაწარმოებთა რიცხვს ემატება ახლახან გამოქვეყნებული აკაკი გეწაძის მოთხრობა „მხოლოდ ერთი ნაბიჯი“ და ფრიდონ ხალვაშის რომანი „საყვედური“.

ა. გეწაძის მოთხრობა ყურადღებას იპყრობს ავტორის ნიჭიერებით ცოცხალი ადამიანური ხასიათების ხატვისა და ბუნების სურათების მეტყველად წარმოსახვის სფეროში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მოთხრობაში დახატული სურათი აღიდებული რიონის დამანგრეველი სტიქიისა და ამ გააფთრებულ სტიქიონთან ადამიანთა თავგანწირული შებრძოლებისა ნაცადი ბელეტრისტული ოსტატობით და ღრმა ექსპრესიულობით არის შესრულებული. სამწუხაროა, რომ რეალისტური ხატვისა და თხრობის ეს ძვირფასი საშუალებანი ამ შემთხვევაში ხმარდება

არა რაიმე ღრმა და აქტუალური სოციალური აზრის მხატვრულ განსახიერებას, არამედ ავტორის ასე ვთქვათ „ნეიტრალური“ შემოქმედებითი ჩანაფიქრის ხორცშესხმას, თავისთავად საინტერესო ცხოვრებისეული სურათის მკაფიოდ წარმოსახვას, მაგრამ ისეთი სურათისა, რომელიც მოკლებულია რაიმე იდეურ გააზრებას, განზოგადებითს მნიშვნელობას. ხალხი კი მხოლოდ ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს საჭიროებს და აფასებს, რომელშიც სინამდვილის დიდი თუ „წვრილმანი“ მოვლენები დანახული და წარმოსახულია ჩვენი ეპოქის რეეოლუციური შინაარსის, მისი გარდამქმნელი და განმაახლებელი პათოსის თვალსაზრისით.

ამ მხრივ, თემატიური მასალის სიუხვისა და იდეური მიზანდასახულობის აქტუალობის მხრივ ყურადღებას იმსახურებს ფრიდონ ხალვაშის რომანი „საყვედური“. მისი მთავარი გმირი ახალგაზრდა სპეციალისტი მერაბია, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე მშობლიურ აჭარას დაბრუნებია და მამაპაპისეულ პატარა სოფელსაკირეოში დასახლებულა და თავის თანასოფლელებთან ერთად ჩაბმულა სოფლის სამეურნეო და კულტურულ აღმავლობისათვის ბრძოლაში, სარწყავი არხის, კლუბისა და ელექტროსადგურის ასაშენებლად, ფართო გზატკეცილების გასაყვანად გაჩაღებულ შრომაში. მთავარი კი ამ ნაწარმოებში ის ყოფაცხოვრებითი ხასიათის კონფლიქტებია, რომელთა მსვლელობაშიც მწერალი ხალხის შეგნების გარდაქმნისა და ამაღლების, ღრმა ფსიქოლოგიური ძვრების, ახალი ადამიანის ხასიათის ფორმირების შესახებ მოგვითხრობს. ყოველივე ეს მეტად საყურადღებო და საინტერესოა. მაგრამ ნიქიერი პოეტი ჯერ კიდევ ვერ დაუფლებია რეალისტური მხატვრული პროზის ისეთ აუცილებელ თვისებებს, როგორცაა ადამიანურ სახეთა ცოცხლად და შთამბეჭდავად გამოკვეთის, ყოფაცხოვრებითი სურათების მკაფიოდ და კოლორიტულად წარმოსახვის ხელოვნება. რომანში თითქოს შიშველი სიუჟეტური ქარგა მოძრაობს ხორცშეხსმელად, მხატვრული წარმოსახვის გარეშე. ისიც უნდა ითქვას, რომ მწერალი ზოგჯერ ენობრივი ნატურალიზმის ცდუნებას ემორჩილება და უხვად ტვირთავს ნაწარმოების ენობრივ ქსოვილს ლექსიკური და სინტაქსური პროვინციალიზმით.

ზემოთ განხილული ნაწარმოებნი თავიანთი მეტ-ნაკლებად ძლიერი თუ სუსტი მხარეებით საერთოდ იმის მომასწავებელია, რომ ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსები წარმატებით ისწრაფვიან დაეუფლონ რეალისტური ხელოვნების პრინციპებს, მხატვრული სიმართლით წარმოსახონ თანამედროვეობის დამახასიათებელი მოვლენები, შექმნან ჩვენი ღრმის გმირთა ხორცშესხმული მხატვრული სახეები. მაგრამ ჩვენს დღევანდელ ლიტერატურაში სავსებით კანონზომიერად აღმოცენებული მისწრაფებანი გაბედული ნოვატორობისა, სია-

ზღვთა ძიებისა მხატვრული ფორმის და შინაარსის სფეროში სამწუხაროდ ყოველთვის როდი შეესაბამება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების იდეურ მიზანდასახულობას და სოციალურ დანიშნულებას.

ამ მხრივ ყველაზე მკაფიო მაგალითს დღევანდელ ქართულ მხატვრულ პროზაში წარმოადგენს თამაზ ჭილაძის მოთხრობა „პირველი დღე“.

როგორც თავის სხვა მოთხრობებში: „გასეირნება პონის ეტლით“ და „შუადღე,“ ამ ახალ ნაწარმოებშიც თ. ჭილაძე კარგ გემოვნებას, ნაკითხობას, პროფესიულ კულტურას, ცხოველ ფანტაზიას იჩენს, მაგრამ „პირველ დღეში“ ავტორი ერთგულად მისდევს მის ზემოხსენებულ მოთხრობებში გამოვლენილ მცდარ შემოქმედებითს ტენდენციებს. რაში მდგომარეობს ეს მცდარი და ახალგაზრდა ნიჭიერ მწერლისათვის სახიფათო ტენდენციები? ერთი შეხედვით მწერალი თითქოს თანამედროვეობის თემებს ამუშავებს, ჩვენი დროის მოვლენებს წარმოსახავს, თანამედროვე ადამიანთა მხატვრულ სახეებს ქმნის, მაგრამ თანამედროვე სინამდვილის მხატვრულად ათვისებისას იგი არც კი ცდილობს გამოარჩიოს ამ სინამდვილისათვის ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელი მოვლენები, იდეურად გაიზაროს ცხოვრებისეული მასალა და რაიმე განზოგადოებითი მნიშვნელობა, იდეური ყდერა, საზოგადოებრივი ფუნქცია შესძინოს თავის მხატვრულ ჩანაფიქრს. მოთხრობას ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრების წარმოსახვის პრეტენზია აქვს. მასში აღწერილია ოთხი ახალგაზრდის — სამი გოგონა და ერთი ლამაზი გოგონას ცხოვრების ერთი დღე. ავტორს განგებ შეუარჩევია მათი ცხოვრების ისეთი დღე, როცა ერთ მათგანს — გიას, რომელიც თეატრში მუშაობს სცენის გამნათებლად, გამოსასვლელი დღე აქვს, ხოლო დანარჩენებიც — ნოდარი, ჯუმბერი, დოდო — თავისუფალნი არიან. მათ საშუალო სკოლა დაუმთავრებიათ და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები უნდა ჩააბარონ. გამოცდები აგვისტოში იწყება. ახლა კი — ყველა მათგანი თავისუფალია, ავტორს განზრახ შეუარჩევია თავისი „გმირების“ ცხოვრების ასეთი დღე. რათა არ გვიჩვენოს ისინი რაიმე საქმიან ვითარებაში და პროფესიულ ურთიერთობაში. და აი ეს ოთხი ახალგაზრდა მეგობარი დილიდან საღამომდე უაზროდ და უსაქმოდ დაეხეტებიან ქალაქში, ხან ზოოპარკში შედიან და იქ გალიებში დამწყვდეულ ცხოველებს ეთამაშებიან, ხან ქალაქის პარკში შევლენ, ნაყინს შეეჭევიან ან „ჩარლსტონს“ ცეკვავენ, ხან სტადიონის მახლობლად ვიღაც ხულიგნებს წაეჩხუბებიან და ცხვირპირდასისხლიანებული გამოდიან ამ აყალ-მაყალიდან. და ასე მთელი დღის განმავლობაში. ისინი არამც თუ არაფერს აკეთებენ ისეთს, რაც დამახასიათებელი იყოს ჩვენი ახალგაზრდობის შინაარსიანი, სისხლსავსე შრომითი ცხოვრებისათვის, არამედ მათს საუბარშიც, ფიქრებშიც, წარმოდგენებშიც, მოგონებებშიც არაფერია ისეთი, რაც საბჭოთა

ახალგაზრდობის იდეურ ცხოვრებას შეეფერებოდეს. მოთხრობაში ჩართული პოკონებანი, სიზმრები, წარმოდგენები და „შინაგანი მონოლოგები“ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟისა — გია ირემაძისა აღსავსეა უცნაურობებით, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე ერთიანი აზრი და ლოდიკური თანმიმდევრობა და არაფრით არ არიან დაკავშირებულნი თხრობის მთავარ მაგისტრალთან, თუმცა რაიმე მთავარ მაგისტრალზე, რაიმე სიუჟეტურ მთლიანობაზე, კომპოზიციურ პრინციპზე ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეუძლებელია. ეს არის მოთხრობა უსიუეტოდ, უგმიროდ, უკონცეპციოდ, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ესთეტიკური იდეალი, სოციალური აზრი და იდეური მიზანდასახულობა. ერთადერთი, რაც ამ ნაწარმოებში გასაგები და მკითხველის აზრისათვის მისაწვდომი რამ ხდება — ეს ის არის, რომ გია ირემაძეს გაცნობისთანავე ერთად გატარებული რამოდენიმე საათის შემდეგ შეუყვარდება დოდო. მაგრამ ეს სიყვარულიც ეფემერული გამოდგება, რადგან დოდო იმავე საღამოს ორი წლით მიემგზავრება თბილისიდან, თან მიყვება მამას — შორეული ცურვის გემის კაპიტანს. მოთხრობის დასასრულს იმედგაცრუებული გია გადაწყვეტს მიატოვოს თეატრი, ხელი აიღოს აქტიორულ კარიერაზე და სამუდამოდ წავიდეს ენგურჰესის მშენებლობაზე. ეს გონივრული გადაწყვეტილებაა, მაგრამ სამწუხაროდ იგი სრულიადაც არ გამომდინარეობს იმ პერსონაჟის ხასიათიდან, მისი ბიოგრაფიისა და სულიერი ცხოვრების მთელი ლოდიკისაგან.

მოთხრობა თანამედროვე დასავლეთის ბელეტრისტიკაში გავრცელებული „ცნობიერების ნაკადის“ თუ „შეგრძნებათა ნაკადის“ პრინციპზეა აშენებული. ავტორის მიერ ხაზგასმულად აკვიატებული „თქვა მან“, „ვეთქვი მე“, „მოთხრა მან“, „ვეუთხარი მე“ — აგრეთვე ასეთ უნაყოფო გავლენათა შესახებ მეტყველებს.

როგორც ჩანს, მწერალს განუზრახავს გაემიჯნოს კლასიკური და საბჭოთა რეალისტური მხატვრული პროზის საუკეთესო ტრადიციებს და მათ დაუპირისპიროს მოდერნისტული ხელოვნების გავლენით შემუშავებული ისეთი მხატვრული კონცეპცია, რომელსაც არ შეუძლია რაიმე სერიოზული წარმატება მოუტანოს ახალგაზრდა მწერალს მისი უეჭველი ნიჭიერებისა და მოსაწონი ლიტერატურული ერთეულების მიუხედავად. რაც მალე და სავსებით განთავისუფლდება თამაზ ჭილაძე ასეთი სახიფათო ცდუნებისაგან, მით უკეთესი მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის, მისი სამწერლო მომავლისათვის.

თუ ამ მიმოხილვაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებას, ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს ამჟამად ქართული პროზის ბედი მხოლოდ, ან უპირატესად ბელეტრისტთა ახა-

ლვაზრდა თაობის ხელთ იყო. განვლილი წლის მანძილზეც დაძაბული და ნაყოფიერი შემოქმედებითი შრომა გასწიეს მხატვრული სიტყვის ოსტატთა უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც რამოდენიმე ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებით გაამდიდრეს ჩვენი მწერლობა. აქ პირველყოვლისა უნდა დავასახელოთ სერგო კლდიაშვილის რომანის „ფერფლის“ მეორე წიგნი, როგორც დღევანდელი ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხოვანი მონაპოვართაგანი.

ამ ნაწარმოებმა გაახარა მკითხველი, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებისათვის საერთოდ დამახასიათებელი დიდი მხატვრული სიმართლით, სიუჟეტის მწყობრი გამოკვეთილობით და თანმიმდევრული განვითარებით, თხრობის იშვიათი ბუნებრიობით, პერსონაჟთა სულიერ სამყაროში წვდომის სიღრმით, მომხიბვლელად სადა, მაგრამ დიდი გამომსახველობითი ძალის მხატვრული ენით.

როგორც ცნობილია, „ფერფლის“ პირველი წიგნი ს. კლდიაშვილმა ოციან წლებში გამოაქვეყნა და იგი დღემდე რჩება ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებად პირველი მსოფლიო ომის თემაზე. თუ რომანის პირველი ნაწილი გვიხატავდა ქართველი მშრომელი გლეხკაცობის ბედს იმპერიალისტური ომის პერიოდში და რევოლუციის პირველ წლებში, ახლა, რომანის მეორე წიგნით მწერალი მოგვითხრობს ქართული სოფლის ცხოვრებას ოცდაათიანი წლების დამდეგის ვითარებაში, როცა მძაფრი კლასობრივი წინააღმდეგობების ატმოსფეროში ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა საკოლმეურნეო წყობილება.

„ფერფლის“ ამ ახალი ნაწილის დასასრული მიგვანიშნებს, რომ მწერალს ჯერ კიდევ დამთავრებულად არ მიაჩნია მისი ეს მრავალმხრივად საინტერესო ნაწარმოები, რომ მისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი გულისხმობს რომანის მთავარი გმირების გადმოყვანას ჩვენი დღეების ვითარებაში. მკითხველი ინტერესით მოელის რომანში დასახული მძაფრი სიუჟეტური სიტუაციების ამგვარ განვითარებას და გაფართოებას, მის ასეთს მოახლოებას ჩვენი ხალხის ახლანდელი ცხოვრებისა და ბრძოლის სინამდვილესთან. მაშინ ჩვენ მივიღებთ ქართველი გლეხობის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების თავისებურ ეპოპეას, რომელიც უეჭველია, არა მარტო დაამშვენებს და გაამდიდრებს ამ გამოჩენილი ბელეტრისტის შემოქმედებითს ბიოგრაფიას, არამედ ძვირფასი შენაძენიც იქნება თანამედროვე ქართული მწერლობისათვის.

ახლაზან გამოქვეყნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანის „ნატურის-თვალის“ რამდენიმე ახალი თავი. უკანასკნელი წლების მანძილზე მწერალი სისტემატურად ბეჭდავს ამ რომანის ცალკეულ ნაწილებს და ყოველი მათგანის გამოჩენა მკითხველთა ფართო ფენებისა და ლიტერატურული კრიტიკის ცხო-

ველ ინტერესს იწვევს. რომანის ეს ახალი ფრაგმენტებიც ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი თანმიმდევრობით ღრმავდება მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის დამახასიათებელი თავისებურებანი, — შემოქმედებითი ინტერესი და მისწრაფება ცხოვრების ურთულესი და უმძაფრესი კონფლიქტებისადმი, ფართო სოციალური განზოგადების მხატვრული სახეების ძერწვა. თანამედროვეობის ყველაზე მწვავე და აქტუალურ პრობლემებზე გამოხმაურება სინამდვილის ცოცხალ მოვლენათა კვალდაკვალ. მღელვარედ, ღრმა დაინტერესებით, ცხოვრების პროცესებში სულ უფრო აქტიური შექრის დაუოკებელი წყურვილით განავითარებს მწერალი თხრობას იმგვარად, რომ არა მარტო ყოველი მხატვრული სახე, არამედ ყოველი პასაჟი, ყოველი ფრაზაც კი მკაცრად არის დაქვემდებარებული ნაწარმოების მთავარი აზრისადმი, მისი ესთეტიკური იდეალისადმი, მისი დიდი ტენდენციისადმი. ამ რომანის ყოველი ახალი თავის გაცნობა გვარწმუნებს, რომ მწერალი, რომელმაც შექმნა ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამსახველი პირველი დიდი მხატვრული ტილო, ახლა კიდევ უფრო მომწიფებულნი ოსტატობით და გამოწრთობილი კალმით ძერწავს საბჭოთა სოფელში ამჟამად მიმდინარე უღრმესი ძვრებისა და გარდაქმნების წარმომსახველ სურათს.

დიდი მოწონება დაიმსახურა მკითხველთა ფართო წრეებში ჩვეაზ ჯაფარიძის მოთხრობამ „მარუხის თეთრმა ღამეებმა“. ეს ქართული დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნაწარმოებთაგანია. მასში დიდი ემოციური დაძაბულობით, ტემპერამენტით, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ძალით არის მოთხრობილი იმ უმაგალითო და უკვდავი გმირობის შესახებ, რომლითაც ქართველი ხალხის ღირსეულმა შვილებმა გამანადგურებელი დარტყმით უპასუხეს ჭაღარა კავკასიონის კალთებზე შემოჭრილ ჰიტლერელთა ჯოჯოხეთურ საომარ მანქანას და ვაჟკაცურად შესწირეს სიცოცხლე ფაშისტური ბარბაროსობისაგან ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის გადარჩენის დიად საქმეს. დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ეპიზოდი, კავკასიონის ერთ-ერთ უღელტეხილზე მომხდარი სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის სურათი ამ მოთხრობაში იმგვარადაა წარმოსახული, რომ ღრმად გვაგრძობინებს და განგვაცდევინებს ფაშიზმის სისხლიანი ურდოების გასანადგურებლად საბჭოთა ხალხის მიერ გაწეული სწორუპოვარი, თავგანწირული, სამართლიანი და ძლიერამოსილი ბრძოლის მთელს დიდებულ ეპოპეას. კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალის ნიადაგზე მწერალი აღწევს ფართო მხატვრულ განზოგადებებს, ცოცხალ, ტიპიზირებულ, ადამიანურ სახეთა მეშვეობით ხატავს და უმღერის მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის ხასიათის იმ მაღალ თვისე-

ბებს, სულიერ ძალასა და მშვენიებას, რომელთაც განსაკუთრებული სისრულთ იზიზნეს თავი ომის უმძიმესი განსაცდელის ვითარებაში.

რ. ჯაფარიძის ამ მოთხრობის დიდი ღირსება ისიცაა, რომ იგი ნათლად გვიჩვენებს დოკუმენტური პროზის განუსაზღვრელ მხატვრულ შესაძლებლობებს. ამ ჟანრს მიეკუთვნება აგრეთვე გიორგი ქავთარაძის წიგნი „ჯარისკაცის ჩანაწერები“, რომელიც მდიდარ და საინტერესო ცხოვრებისეულ მასალას შეიცავს და აღვივებს მკითხველის გულში მადლიერებისა და აღტაცების გრძობას სამშობლოსათვის თავდადებულ ვაჟკაცთა ნათელი ხსოვნისადმი, მომაკვდინებელი, გარდაუვალი სიძულვილის გრძობას ბურჟუაზიული იმპერიალიზმის მხეცური ბუნებისადმი. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამ თემას ოდნავადაც არ დაუკარგავს სადღეისო აქტუალობა.

სამამულო ომის ქარცეცხლიდან გამოსული ორი მეგობრის გოგისა და გრიგოლის მშობლიურ სოფელში დაბრუნების ეპიზოდის აღწერით იწყება იაკინთე ლისაშვილის ახალი რომანი „ნანგრევებზე“. ამ ორ ვაჟკაცს ერთად უბრძოლიათ, ერთად უღვრიათ სისხლი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის. მაგრამ სხვადასხვაგვარია მათი ხასიათი, მათი აღამიანური ბუნება, მათი თვალსაზრისი ცხოვრებაზე, აღამიანის მოვალეობასა და დანიშნულებაზე, პირადი და სახალხო ინტერესების ურთიერთობაზე. ეს სხვაობა მკვეთრად იჩენს თავს მშობლიურ სოფელში მათი პირველი გამოჩენისთანავე. გოგი აღტაცებული გრძობით შეჰყურებს და ეალერსება თავის მშობელ და აღმზრდელ სოფელს, გრიგოლის აზრი და გრძობა კი მხოლოდ საკუთარ ეზო-გარემოს დატრიალებს თავს, იგი გულგრილია სოფლის, ხალხის საერთო მდგომარეობისა და ინტერესებისადმი. ეს განსხვავება რომანის მსვლელობაში თანდათანობით ღრმავდება და მწვავე კონფლიქტში გადაიზრდება. ყოფილი ფრონტელი მეგობარი გოგი დაუნდობლად ამხილებს გრიგოლის კერძომესაკუთრულ მისწრაფებებს, რაც აფერხებს და წინ ეღობება საკოლმეურნეო სოფლის წინსვლას. მეზობლების ასეთი დაძაბული ურთიერთობა საბედისწერო გავლენას ახდენს მათი შვილების—ნანასა და თენგიზის სატრფიალო ურთიერთკავშირზეც. ამრიგად რომანის სიუჟეტურ კომპოზიციაში ერთმანეთს ერთვის ომისშემდეგი წლების ქართული საკოლმეურნეო სოფლის შრომითი ცხოვრების, მისი ზრდისა და აღმავლობის, ამ გზაზე აღმოცენებულ წინააღმდეგობათა დამახასიათებელი სიტუაციები და ყოფაცხოვრებითი ხასიათის კოლიზიები. მწერლის შემოქმედებითი განზრახვა მრავალმხრივად არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი. მაგრამ, როგორც თავის სხვა ზოგიერთ ნაწარმოებში, ამ რომანშიც ავტორს უფრო თავისთავად საინტერესო და მიზიდველი სიუჟეტური ხლართები იტაცებს, ვიდრე ცხოვრებისეული მოვლენების ტიპიზირებულად გამოხატვის, ფსიქოლოგიური სი-

მართლისა და აღწერილ გარემოებათა მხატვრული დასაბუთების ამოცანები. ამიტომაც რომანში ბევრი რამ არის ხელოვნური, არაბუნებრივი, გამოგონილი და პერსონაჟებისათვის განზრახ და ნაძალადევად თავზე მოხვეული. ყოველივე ეს ზღუდავს და ასუსტებს ამ ნაწარმოების რეალისტურ ჟღერას და მაშასადამე, მკითხველზე მისი ზემოქმედების ძალასაც.

ჩვენი მიმოხილვა განვლილი ერთი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ქართული მხატვრული პროზის მხოლოდ იმ ნაწარმოებებს მოიცავს, რომლებიც ჩვენის აზრით ყველაზე უფრო დამახასიათებელია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების დღევანდელი პროცესებისათვის. როგორც ვხედავთ, ამ მცირე ხნის განმავლობაშიც ჩვენს ბელეტრისტებს ცოტა რამ როდი შეუქმნიათ მნიშვნელოვანი და საყურადღებო. და მაინც არ შეიძლება სინანულით არ აღინიშნოს, რომ ყველა განხილული ნაწარმოები (გარდა ერთი გამოწაკლისისა — თამაზ ჭილაძის „პირველი დღე“) საბჭოთა სოფლის, საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრებას მიეძღვნება, ხოლო ჩვენი ქალაქური ცხოვრება, სოციალისტური მრეწველობის ადამიანთა შემოქმედებითი შრომა, ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის საქმიანობა შათში არავითარ გამოხატულებას არ პოულობს. ეს დიდი ხარვეზი ნაკლებად საგრძნობი იქნებოდა, რომ ასეთი თემატიური ცალმხრივობა და შეზღუდულობა მარტო ერთი, განვლილი ლიტერატურული წლისათვის იყოს დამახასიათებელი. ამ ყოველად აუხსნელი და გაუმართლებელი ნაკლოვანების გადალახვა წარმოადგენს ამჟამად ქართული მწერლობის ერთ-ერთ პირველხარისხოვან საბრძოლო ამოცანას ამ უაღრესად მნიშვნელოვან ჟანრში.

მხავერული თხრობის ღიღებულ ოსკავში

(მიხილ ჯაჯახიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა)

ადრეული სიჭაბუქის ასაკში, როცა მიხეილ ჯაჯახიშვილი წინამძღვრიან-თქარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სწავლობდა, ამ სკოლის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს ილია წინამძღვრი-შვილს ყმაწვილი ილია ჭავჭავაძისათვის წარუდგენია და გაუცვინია. მიხეილი მაშინ უკვე წერდა ლექსებსა და პატარა მოთხრობებს, ალბათ საკმაოდ ნიჭიერადაც. სწორედ ამით დაუმსახურებია მას განსაკუთრებული ყურადღება აღმზრდელი მასწავლებლებისა, რომელთაც განუზრახავთ მომავალი მწერალი იმთავითვე დაეხლოებინათ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებულ ბელადთან. ილია ჭავჭავაძეს მოწონებია და შეუქცია ჭაბუქის სამწერლო მიდრეკილება, გზა დაულოცინა მისთვის, თავდადებული, გულმოდგინე შრომა ურჩევია და უსურვებია.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევას გადამწყვეტი ზეგავლენა მოუხდენია მიხეილ ჯაჯახიშვილის ბედზე, მთელ მის ცხოვრებაზე. ამ შეხვედრას კიდევ უფრო გაუძაფრებია და გაულრმავებია ჭაბუქის მგზნებარე მისწრაფება სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი შემდეგ ეს მისწრაფება ვერავითარ დაბრკოლებასა და წინააღმდეგობას ვეღარ ჩაუქვრია. მამას, ბორჩალოელ გლეხს, უნარიან და მომჭირნე მეურნეს, განზრახული ჰქონია შვილი აგრონომად გამოეზარდა. ამ მიზნით მას მიხეილი წინამძღვრიანთქარის სკოლის დამთავრების შემდეგ ყირიმს გაუგზავნია და მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში შეუყვანია. ამ სასწავლებლის დირექტორს ახალგაზრდისათვის ტელეგრაფის მოხელის სპეციალობა ურჩევია. მიხეილ ჯაჯახიშვილს კი სულ სხვა სარბიელი ეძახდა და იზიდავდა. ეს ის დიადი სარბიელი იყო, რომელსაც მაშინ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათი სახელოვანი თანამოსაგრეები მესვეურობდნენ. თავისი შეგნებული ცხოვრების დასაწყისშივე მიხეილ ჯაჯახიშვილი უკვე საბოლოოდ იყო შთაგონებული და გამსჭვალული ქართული კლასიკური ლიტერატურის დიადი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციით, რაც, უპირველეს ყოვლისა, მშობელი ქვეყნისა და მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავდადებულ ბრძოლას და უა-

ნგარო ღვაწლს გულისხმობდა. მან იმთავითვე ღრმად შეისისხლხორცა ილია ჭავჭავაძის „პოეტში“ გამოხატული მაღალი ესთეტიკური იდეალი, რომლის მიხედვითაც მწერალი ხალხის ჭირისა და ლხინის განუყოფელ მოზიარედ, ერის მოძმედ და წინამძღოლად იყო აღიარებული. პოელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მიხეილ ჭავახიშვილი ერთგულად და განუხრელად ემსახურებოდა ამ იდეალს. მშობლიურ ლიტერატურას იგი მოეველინა ჯერ შემამულურ-კაპიტალისტური, თვითმპყრობელური წყობილების სასტიკ და უღმობელ მამხილებლად, შემდეგ კი ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებული ახალი ცხოვრების მხატვრად და მომღერლად, საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ერთ-ერთ ფუძემდებელ და დაუცხრომელ მოამაგედ. მის დიდ მხატვრულ ნიჭიერებას და ამოუწურავ შემოქმედებითს ენერჯიას მუდამ ასაზრდოებდა და ამშვენებდა მოქალაქეობრივი პათოსი, განუყოფელი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, თანამედროვეობის მოთხოვნილებასთან, ეპოქის მასულდგმულეზელ იდეებთან. მიხეილ ჭავახიშვილმა თავისი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით მარად ჩაუქრობელი შარავანდედი მოიხვეჭა, მარადიული სიცოცხლე მოიპოვა ხალხის გულში, სამუდამოდ და წარუშლელად ჩაწერა თავისი სახელი იმ რჩეულ შემოქმედთა რიცხვში, რომელთა მძღავრი გონების გამონაშუქი ყოველთვის გზას გაუნათებს ხალხს ჩვენი სამშობლოს დიდებისა და უკვდავებისათვის, ჩვენი ეპოქის უმაღლესი საკაცობრიო იდეალის საბოლოოდ გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ქართული მწერლობის სარბიელზე მიხეილ ჭავახიშვილი პირველად ჩვენი საუკუნის დამდეგს — 1903-1904 წლებში გამოჩნდა. 23-24 წლის ახალგაზრდა ბელეტრისტმა თავისი პირველივე მოთხრობებით („ჩანჩურა“, „მეჩექმე გაბო“, „უპატრონო“) საზოგადოების ერთსულოვანი მოწონება და აღიარება მოიპოვა. უკვე ამ სადებიუტო ნაწარმოებებში მთელი თავისი მშვენებით და მომხიბვლელობით გამოვლინდა მიხეილ ჭავახიშვილის მხატვრული ნიჭიერების იშვიათი თავისებურებანი. მაზვილი თვალის მხატვარი, სინამდვილის ტიპიურ შოვლენათა გამძაფრებულად აღქმისა და შთამბეჭდავად წარმოსახვის უნართან ერთად, ამ მცირე მოცულობის ნაწარმოებებში უკვე იჩენდა შესანიშნავი ფაბულისტის ნიჭიერებას, ამბის ცხოველყოფელად თხრობის, მიმზიდველი, დამაინტერესებელი, ღრმა ექსპრესიით აღბეჭდილი სიუჟეტის ჩამოყალიბების ძალას, ცოცხალ ადამიანურ ხასიათთა გამოძერწვის ოსტატობას. უკვე თავის ამდროინდელ ქმნილებებში მწერალი თავისუფლად ფლობდა ქართული ენის სტიქიას. ამ მოთხრობათა ენობრივი ქსოვილი გამოირჩეოდა ლექსიკური სიმდიდრით, ხატოვანი მეტყველებით. ყველა ის ძვირფასი ღრმად ინდივი-

დუალური თვისება მხატვრული სტილისა, რომელიც შემდეგ, მწერლის შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში ასეთი ბრწყინვალეობით გამოვლინდა მის მხატვრულ შედეგებში — ოციანი წლების რომანებსა და ნოველებში, უკვე მკაფიოდ გამოჩნდა მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ პირველ საფეხურზე. სწორედ ამავე ადრინდელ ნაწარმოებებში მიხ. ჯავახიშვილმა ნათლად გამოავლინა თავისი მხატვრული ინდივიდუალობის ისეთი ძვირფასი თვისება, როგორცაა თანამედროვეობის, სიახლის გამახვილებული გრძობა, ეპოქის მოწინავე სოციალური ძალების პროგრესულ მოძრაობასთან უღრმესი სულიერი ნათესაობა.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედებითი ცხოვრება იმ გამძაფრებულ სოციალურ ვითარებაში იწყებოდა, როცა ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართო მასშტაბითა და აღმავალი ძალით ვითარდებოდა მშრომელი ხალხის რევოლუციური მოძრაობა, ახლოვდებოდა რუსეთის პირველი რევოლუციის ფრთამედგარი ქარიშხალი. ამ რევოლუციის თითქმის წინა დღეს გამოვიდა მიხეილ ჯავახიშვილი სამწერლო ასპარეზზე და როგორც იმდროინდელი ქართული მწერლობის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმა, მიხელ ჯავახიშვილმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელი აზრი და შინაარსი ამ დიდი ქარიშხლის ქროლვას დაუკავშირა. მხოლოდ იმ მწვავე კლასობრივ ბრძოლათა ვითარებაში, რომელიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში იყო გაჩაღებული, შეიძლებოდა აღმოცენებულიყო ასეთი მამხილებელი პათოსი, მეზრძოლი ჰუმანისტური ტენდენცია, რითაც ასე ღრმად და მთლიანად არის გამსჭვალული მწერლის იმდროინდელი შემოქმედება.

თავისი პირველივე მოთხრობით „ჩანჩურა“ მწერალმა გაბედული იერიში მიიტანა ყოველგვარი ადამიანობის დამამახინჯებელ და გამანადგურებელ იმ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, რომელიც მაშინ ჩვენს სამშობლოში არსებობდა. ყოველგვარად ფეხქვეშ გათელილი, უზომოდ დამცირებული, შეურაცხყოფილი, უფლებაანდილი და უკიდურესი ტანჯვისა და მწუხარებისათვის განწირული ჩანჩურას სახე, დახატული შემაზრუნენად მძაფრი საღებავებით, მართლაც რომ მომაკვდინებელი საბრალმდებლო აქტი იყო იმ რეაქციული სამყაროს წინააღმდეგ, რომლის ფსკერზეც ასე შეუბრალებლად სულს დაფავდნენ მილიონობით ცხოვრებაგამწარებული ადამიანები. ნაწარმოების ყოველი სტრიქონიდან გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ძალით გამოუსჭვივის იმ ადამიანური გულგრილობის, ურთიერთგაუტანლობის, ველური ეგოიზმისა და მდაბალი ანგარების ატმოსფერო, რასაც ასეთი გულმოდგინებით ნერგავდა ცხოვრებაში თავის ისტორიულ აღსასრულს მიახლო-

ებული მემამულურ-კაპიტალისტური წყობილება. სულ რამდენიმე ფრაზით, მეტად ძუნწად, ლაკონურად, მაგრამ საოცრად მკვეთრად და მეტყველად მონაზული მხატვრული შტრიხით მწერალმა უბნის ბოქაულისა და პოლიციის წვრილი მოხელის სახეთა მეშვეობით წარმოსახა თვითმპყრობელური სახელმწიფო აპარატის უკიდურესი დაკნინება, უბადრუკობა, უგნურობა და უსულგულობა,

ამ მოთხრობის ავტორი შეგნებულად და თანმიმდევრულად აგრძელებდა და ახალი სიმძაფრით აწვითებდა კრიტიკული რეალიზმის იმ ქმედით მამბილებელ ტრადიციას, რომელიც ესოდენ მაღალ საფეხურზე აიყვანა ილია ჭავჭავაძემ და რომელმაც თავისი მძლავრი გამოვლინება ჰპოვა გასული საუკუნის დამლევისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის ქართულ ლიტერატურაში. „ჩანჩუკი“ ჯერ კიდევ მოუმწიფებელი და გაუწვრთნელი მწერლის კალმით იყო დაწერილი, მაგრამ განა ბევრს ვიპოვით ქართულ და არა მარტო ქართულ ლიტერატურაში ისეთ მხატვრულ სახეს, რომელშიც ასეთი შემადრწუნებელი ძალით იყოს გამოხატული ადამიანის მიერ ყოველგვარი ადამიანური უფლების, ღირსებებისა და თავმოყვარეობის დაკარგვის, თვით სახელისა და გვარის დაკარგვის დრამა?

ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, თუ როგორი ცხოველი გამოძახილი უნდა ეპოვნა მწერლის ამ პირველ ნაწარმოებს იმ მკითხველთა წრეებში, რომლებიც მომავდინებელი ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი ანტიხალხური რეაქციული სამყაროს წინააღმდეგ და ირაზმებოდნენ ამ სამყაროს დასამხოზად თავიანთი სიცოცხლისა და სისხლის საფასურად. ადამიანის უკიდურესი ლაცემისა და დამახინჯების სურათი მწერალმა დახატა თავის მეორე შესანიშნავ მოთხრობაშიც „კურკას ქორწილი“. კურკა ჩანჩუკასავით ბურჟუაზიული საზოგადოების ფსკერზე გადასროლილი ადამიანია. ლატაკი, უმეცარი და ცხოვრების მიერ გათელილი ეს საბრალო პიროვნება თითქოს მიადწევს რაღაც სინარულსა და ბედნიერებას. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი ილუზიაა. სოციალურ სინამდვილეში გაბატონებული შუღლი, გაუტანლობა და ვერაგობა დაუნდობლად აცამტვერებს მის ყველა იმედსა და ოცნებას ადამიანურ ცხოვრებაზე, მის მცირედ სინარულს და მყუდროებას. იგი, ბუდეანგრეული, მიუსაფარი, უკიდურესად შეურაცხყოფილი და დამცირებული შველას, დანდობასა და ღაცვას შესთხოვს ქვეყანას, მაგრამ ამაოდ. ისეთ საზოგადოებაში, სადაც ადამიანი ადამიანის მგლად არის ქცეული, ამ უმწეო ადამიანის გულმოკლული ხვეწნა-მუღარა არავის ესმის. ამგვარი შებღალული და უდიერად ფეხქვეშ გათელილი ადამიანობის ქომავად გამოდის მწერალი. იგი წრფელი თანაგრძნობითა და გულისტკივილით ხატავს და აღწერს ამ დუხჭირი ცხოვრებით გაწამებულ „პატარა ადამიანთა“ გაუხარელ ცხოვრებას. ამ ნაწარმოებებში წარ-

მოსახული ყოველი ყოფაცხოვრებითი სურათი თუ ადამიანური სახე იქნეს ფართო სოციალური განზოგადების ძალას, მძაფრად მამხილებელ, არსებულ რეაქციული წყობილების წინააღმდეგ ზიზღითა და სიძულვილით აღმაგზნებელ ქლერას.

ბურჟუაზიულ ქალაქში დაგუბებული უზნეობისა და ამორალიზმის ბინძური წუმპე ასახა მწერალმა მოთხრობაში „მეჩქემე გაბო“. ამ მოთხრობის პერსონაჟებიც სულიერად და ფიზიკურად დამახინჯებული ადამიანებია, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი ჯანსაღი წარმოდგენა ოჯახზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე — ყოველგვარ ზნეობრივ ნორმებსა და კანონებზე და ასეთა ამორალიზმის გესლით მოშხამულ სინამდვილეში მოთხრობის ყველა მოქმედი პირი სხვადასხვაგვარად, მაგრამ ერთნაირი ძალით არიან ჩაძირულნი მღვრიე და ბინძური ყოფის მორევეში, თანაბრად საზიზღარნი თუ საბრალონი არიან ისინიც, ვინც თითქოს გამარჯვებულთა თავისი ვერაგობით და მუხანათობით, ისინიც, ვინც ამ ვერაგობისა და მუხანათობის მსხვერპლი გამხდარა და უნუგეშოდ გოდებენ და ოხრავენ.

მწერლის ბასრი მამხილებელი თვალთახედვა წვდებოდა იმდროინდელი სოფლის ცხოვრებასაც. მას მზის სინათლეზე გამოჰქონდა ბოროტების, უსამართლობის, ცხოველური ეგოიზმის ის კომმარი, რომელიც სუფევდა სოციალური უკულმართობით განპირობებულ ადამიანთა ურთიერთობაში და რომელიც სიცოცხლეს უწამლავდა ყოვლად უდანაშაულო, მაგრამ უძლურ და უპატრონო არსებათა ათასებსა და ათიათასებს. ერთი ასეთი გაუბედურებულის ცხოვრების ამბავი გადმოგვცა მწერალმა მოთხრობაში „უპატრონო“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი გარეგნულად და ზნეობრივად მშვენიერი გლეხის გოგონა ნუცა თავისი წუთიერი გატაცების მსხვერპლად გახდა ბედისაგან განებივრებულმა ახალგაზრდა მებატონემ. ძალადობითა და ცბიერებით ნამუსახდილი ეს ქალიშვილი ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, იმდენად გარიყული და განმარტოებული თავის დიდ მწუხარებასა და უბედურებაში, რომ იძულებული გახდა თავი ჩამოეხრჩო, წყევლა-კრულვით და მწარე სამღურავით გასცლოდა ამდენი უსამართლობითა და ბოროტებით აღსავსე ცხოვრებას.

მართალია, როგორც ქართული კრიტიკული რეალიზმის მწერლობაში, მიხეილ ჯავახიშვილის ამ მოთხრობებშიც ჭერ კიდეც არ მოსჩანდა ის სოციალური ძალა, რომელიც მოწოდებული იყო დაემხრო ეს უკულმართი და საძულველი სამყარო, მაგრამ თავის ამ აღრინდელ ქმნილებებში გამოთქმული სოციალური პროტესტით და დაუზოგავი მამხილებელი პათოსით მწერალი ცხოველად ეხმაურებოდა ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის გაჩაღებულ

ბრძოლას, იმ დიად ჰუმანისტურ ლაშქრობას ადამიანის შელახული ღირსების აღდგენისა და დაცვისათვის, რომლის მეზარაზტრედაც მხატვრულ მწერლობაში მაშინ სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებელი მაქსიმ გორკი გამოდიოდა.

ამრიგად, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე მიხეილ ჯავახიშვილი ჩვენი ეპოქის იდეურად პროგრესულ ლიტერატურულ მოძრაობას დაუკავშირდა, თუმცა საუკუნის დამდეგის მძაფრ კლასობრივ ბრძოლა-თა ეპოპეას უშუალო გამოხატულება მაშინ მის შემოქმედებაში არ უპოვია. იმ წლებში მწერალმა ამ თემას მხოლოდ ერთი მოთხრობა „ჩილდო“ მიუძღვნა, რომელშიც აღბეჭდა ერთი მკაფიოდ დამახასიათებელი ეპიზოდი მეფის ჯარის ნაწილების სისხლიანი თავდასხმისა თავისუფლებისა და ღირსების დასაცავად რევოლუციური ბრძოლისათვის ამხედრებულ მუშათა უბანზე. ამ ეპიზოდის წარმოსახვისას მწერალმა გვიჩვენა ჯარისკაცთა პოლიტიკური შეგნების ზრდა რევოლუციური მოძრაობის ზეგავლენით, მეფის არმიაში ძალით გარეკილი ხალხის შვილთა გადასვლა თავისუფლებისათვის მებრძოლთა ბანაკში. რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის თემა არსებითად მწერალმა თითქოს შემოინახა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელი წლებისათვის, როცა მან შექმნა მრავალმხრივად საყურადღებო ისტორიულ-რევოლუციური ჟანრის რომანი „ქალის ტვირთი“, რომელიც ამ დიდი მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის დამაგვირგვინებელ ნაწარმოებად ითვლება საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის ისტორიაში.

თავისი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველ პერიოდში მიხეილ ჯავახიშვილი მარტო მხატვრული შემოქმედებით როდი იფარგლებოდა. ამასთანავე იგი აქტიურსა და ნაყოფიერ პუბლიცისტურ მუშაობასაც ეწეოდა, მეფის მთავრობის საწინააღმდეგო მგზნებარე წერილებს ათავსებდა მაშინდელ ქართულ პრესაში. მთავრობა დევნიდა და რეპრესიებით უბასუხებდა ახალგაზრდა ლიტერატორის ამგვარ მოღვაწეობას. მწერალი იძულებული გახდა უცხოეთში გახიზნულიყო და ხანგრძლივად ჩამოშორებოდა მშობლიური ლიტერატურის სარბიელს.

ემიგრაციაში გატარებულ წლების განმავლობაში მიხეილ ჯავახიშვილი ერთხანს ლექციებს ისმენდა სორბონის უნივერსიტეტში, შემდეგ იტალიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, ინგლისში და ევროპის სხვა ქვეყნებში იმოგზაურა. სამშობლოში არალეგარულად დაბრუნებულმა ლიტერატურული მოღვაწეობის განახლება სცადა, მაგრამ მალე დააბატიმრეს და მეტეხის ციხეში დაამწყვდიეს, პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ხუთი წლით სამშობლოდან გადაასახლეს. პირველი იმპერიალისტური ომის წლებში მწერალი წითელი

ჯვრის საზოგადოების რწმუნებულად მუშაობდა. ეს წლები მან უპირატესად სპარსეთსა და ოსმალეთში დაჰყო.

ემიგრაციაში, პატიმრობაში, გადასახლებაში, მეფის არმიის საექსპედიციო ნაწილებში გატარებული მშფოთვარე და მოუსვენარი ცხოვრების წლებმა დიდი ხნით შეწყვიტა მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ ყოველივე ამას უნაყოფოდ როდი ჩაუვლია მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. ამ ხნის მანძილზე მწერალმა ბევრი ნახა და განიცადა — დააგროვა ცხოვრებისეულ გამოცდილებათა, დაკვირვებათა, შთაბეჭდილებათა უსაზღვროდ მრავალფეროვანი მარაგი, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა მისი შესანიშნავი რომანებისა და მოთხრობების მთელი სერია, შექმნილი უკვე საბჭოთა ეპოქაში, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი საბოლოოდ დაუბრუნდა პროფესიულ ლიტერატურულ ცხოვრებას და მთელის ძალით გამოავლინა თავისი ბრწყინვალე მხატვრული ნიჭიერება.

1923 წელს გამოქვეყნდა მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „ტყის კაცი“. ეს ნაწარმოები მწერლის „მეორედ დაბადებას“, მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი, გაცილებით უფრო მდიდარი და ნაყოფიერი პერიოდის დაწყებას მოასწავებდა. მკითხველთა ფართო წრეები და ლიტერატურული კრიტიკა ახლაც ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა მწერლის გამოჩენას მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე. დიდი მხატვრული სიმართლით, ფსიქოლოგიური სიღრმით, რთული ადამიანური ჩასიათის ცოცხლად გამოხატვის იშვიათი ნიჭიერებით, ყოფისა და ბუნების კოლორიტული სურათების შთამბეჭდავად წარმოსახვის ძალით ავტორმა ამაღელვებლად მოუთხრო მკითხველს ერთი უძლური ფლების, ტყის მცველი პავლეს ტრაგიკული ცხოვრების ამბავი. საყვარელი ცოლის გარდაცვალებით შეძრწუნებული პავლე მოშორდა სოფელს, განერიდა ადამიანთა გარემოს, უდაბურ ტყეში დასახლდა, რათა მართობაში, ბუნების წიაღში გაექარვებინა თავისი დიდი სევდა და გულისტკივილი. მაგრამ ცხოვრებამ ზედიზედ აწვინა ამ თავისებურ „განდევილს“ ერთმანეთზე უფრო მწვავე და გამანადგურებელი უბედურებანი, რომელთაც საბოლოოდ გატეხეს და დასცეს ტყის კაცის სულიერი და ფიზიკური გამძლეობა, აზრი და შინაარსი გამოაცალეს მის ცხოვრებას. ასე იძია შური ცხოვრებამ მისი ორომტრიალისაგან განდგომისა და განრიდების მოსურნე ადამიანზე. როგორც ზოგიერთ ადრინდელ მოთხრობაში, აქაც მიხეილ ჯავახიშვილმა მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურაში არა ერთხელ დამუშავებული პრობლემა დაუდო საფუძვლად თავის შემოქმედებით შთანაფიქრს. თითქოს განზრახ მიმართა მწერალმა ამ ფართოდ გავრცელებულსა და „მოარულ“

თემას, პიროვნებისა და საზოგადოებრივი გარემოცვის ურთიერთობის ამ მრავალჯერ მხატვრულად ათვისებულ პრობლემას, რათა სწორედ ასეთი იდეურ-თემატიკური შინაარსის საფუძველზე ეჩვენებინა თავისი შემოქმედებითი ბუნების თვითმყოფლობა, თავისი უნარი და ნიჭი.

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შექმნილ პირველ ფართო მხატვრულ სათავე-გადასავლო ტილოს დეტექტიური ჟანრის რომანი „კვაჭი კვაჭანტირაძე“ წარმოადგენდა. ამ ნაწარმოებში მწერალმა ერთბაშად გაათავსო თავისი მხატვრული ხედვისა და წარმოსახვის სარბიელი, მოხაზა რთული, მრავალწახნაგოვანი კომპოზიციური ქარგა, ჩამოაყალიბა დინამიკურად გაშლილი, მძაფრად აღმავალი დამინტერესებელი სიუჟეტი, დახატა მოქმედ პირთა მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი გალერეა. მოქმედების ცენტრში ავტორმა დეგრადირებული ქართველი აზნაურობის წრიდან გამოსული გაქნილი, გაიძვერა და ზნედაცემული ავანტიურისტი კვაჭი კვაჭანტირაძე დააყენა. სოციალური გარემო აწვდიდა კვაჭის ბუნებაში ზოოლოგიურ ეგოიზმს, სიხარბეს, მომხვეჭელობას, ბოროტმოქმედების ბნელ ინსტინქტებს. ყოველგვარი ზნეობრივი ნორმებისაგან, მორალური წარმოდგენებისა და სოციალური იდეალებისაგან დაცლილ ამ ახალგაზრდა კაცს აღმოაჩნდა შემგუებლობის, პროვოკაციის, შანტაჟისა და კომბინატორობის იშვიათი უნარი. საქართველოში და რუსეთის ყოფილი იმპერიის პროვინციულ ქალაქებში დაუსჯელად ჩატარებული ბნელი მაქინაციებით წახალისებული ავანტიურისტი პეტერბურგში შეიჭრა, მეფის სასახლის წრეებს დაუახლოვდა, იქ სავსებით ხელსაყრელი და ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა თავისი მზაკვრული განზრახვების განხორციელებისათვის. შემდეგ კვაჭის ევროპის უდიდეს ქალაქებში ვხედავთ უკვე „საერთაშორისო“ აფერისტისა და ავანტიურისტის როლში. კვაჭი ადვილად შეეგუა თებერვლის რევოლუციის შემდეგ მცირე ხნით ჩვენს ქვეყანაში დამყარებულ ბურჟუაზიულ რეჟიმს. მან სცადა მიტმასნებოდა გამარჯვებულ სოციალისტურ რევოლუციასაც. მაგრამ სწორედ აქ დაესვა წერტილი მის ბოროტმოქმედებათა კალენდოსკოპს, რადგან ახალი სოციალური სინამდვილე უკვე სავსებით უცხო და შეუფერებელი იყო ამ გარეწარი ნაძირალას ბუნებისათვის.

მრავალი გონებაამხვილურად მოფიქრებული სიტუაცია, დაძაბული ეპიზოდი, დამახასიათებელი სცენა და უტყუარი მხატვრული ხედვით დაჭერილი და რეალისტური ხელოვნებით შესრულებული ადამიანური ხასიათთა გაფანტული ამ რომანის სივრცეზე. ამ თვისებათა მეოხებით რომანმა ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია; თუმცა იგი მოკლებული იყო რომანში გამოსახული მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენების ღრმა სოციალურ განზოგადებას, ფართო იდეურ გააზრებას, მაგრამ მაინც რომანის მთავარი „გმირი“

ტიპიურობის დონეზე ამაღლებულ მხატვრულ სახედ მოგვევლინა. სწორედ ამიტომ კვაპი ხალხში გავრცელებულ საზოგადო სახელად, გაიძვერობის ცბიერებისა და ვერაგობის ხორცშესხმულ სიმბოლოდ იქცა.

ბევრად უფრო ღრმა საზოგადოებრივი აქტუალობა და იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა ჰქონდა მიხეილ ჭავჭავაძის მეორე რომანს „ჯაყოს ხიზნებს“. ეს იყო პირველი ფართო პლანის მხატვრული ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საბჭოთა საქართველოს სინამდვილეს შეეხებოდა, ამ სინამდვილის მნიშვნელოვან პროცესებს ასახავდა. არსებითად ამ ნაწარმოებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში ახალი, სოციალისტური ცხოვრების თემატიკა, გააზრებული და განსახიერებული გამარჯვებული რევოლუციის პოზიციაზე მტკიცედ დამდგარი მწერლის თვალთახედვით. სწორედ ამაში მდგომარეობს ამ რომანის ფუძემდებლური როლი და მნიშვნელობა ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებაში.

საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველ წლებში საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში მწვავე კლასობრივი ბრძოლები მიმდინარეობდა. დამარცხებული რეაქციული კლასების ნამსხვრევები უბრძოლველად არ თმობდნენ პოზიციებს, აშკარა თუ ფარული წინააღმდეგობის გზით, საბოტაჟით, ისინი ცდილობდნენ შეეფერხებინათ ახალგაზრდა სახელმწიფოს ზრდა-განვითარება და ოცნებობდნენ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების რესტავრაციაზე. ამასთანავე, სოფლად და ქალაქად შექმნილ დროებით სიძნელეთა ვითარებაში ცხოვრების ზედაპირზე წამოტივტივდნენ ბნელი პარაზიტული ელემენტები. რომლებიც ლამობდნენ მიტმასნებოდნენ გამარჯვებულ სოციალისტურ რევოლუციას, თავისი ეგოისტური მიზნებისათვის გამოეყენებინათ რევოლუციის დიადი მონაპოვარი. დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით სძლედა და ანადგურებდა ამგვარ, ისევე როგორც სხვა ყოველგვარ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, გამარჯვებული საბჭოთა ხალხი, რომელიც განუხრელი აღმაშენებლობით ზრდიდა და განამტკიცებდა თავისი ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებულ ახალ სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ წყობილებას.

აი, საბჭოთა საქართველოს პირველი წლების სოციალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი ეს პროცესები ასახა მიხეილ ჭავჭავაძის რომანში „ჯაყოს ხიზნები“. განზრახ და ხაზგასმულად გამძაფრებული საღებავებით მწერალმა დახატა სურათი, ერთი მხრივ, რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი თავად-აზნაურული ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენლის თეიმურაზ ხევისთავის და მისი ოჯახის კატასტროფიული დაცემისა და დაქვეითებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი სოციალური სინამდვილის ზედაპირზე

შემთხვევით წამოტივტივებული მიმტაცებელი კულაკის ჯაყოს დამარცხებისა და ალაგმვისა ახალი ცხოვრების ძლევამოსილ მშენებელთა მიერ.

ყოფილი თავადი, ვეჟილი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც რევოლუციამდე სიტყვით თითქოს თანაუგრძობდა სოციალისტურ იდეალებს და თითქოს იღვწოდა კიდევ ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე განზე გაუდგა ახალი სამყაროს მშენებლობას. მან ვერაფერი გაიგო ცხოვრებაში მომხდარი დიადი ძვრებისა და გარდატეხისა, იგი საბოლოოდ დამარცხებულ წარსულს ებღაუჭებოდა და შენატროდა. ამიტომაც, ეს უნიათო და უხერხემლო ინტელიგენტი თავბრუდამხვევი სისწრაფით გარიყა ახალი ცხოვრების მდინარებამ. ნიადაგგამოცლილი და უნაყოფო ილუზიათა ცარიელ სივრცეში გამოკიდებული იგი თავის მეუღლესთან მარგოსთან ერთად თავისი ყოფილი მოურავის, უმეცარი, გაიძვერა და უხეში ჯაყოს კლანჭებში მოემწყვდა. ამ ბნელი კულაკური სტიქიის, პირუტყვეული ეგოიზმის, ველური ინსტინქტების ხორცშესხმულმა განსახიერებამ — ჯაყომ უდიერად ფეხქვეშ გათელა, აუწერელი დამცირება, შეურაცხყოფა, ტანჯვა და მწუხარება მიაყენა თავის ნაბატონარ ხიზნებს. მორალურად განადგურებული თეიმურაზი არაერთხელ სასიკვდილო საფრთხის წინაშეც აღმოჩნდა. ბოლოს ცხოვრების ამ მწარე გაკვეთილებმა იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ერთადერთი ხსნა მხოლოდ გამარჯვებულ მშრომელ ხალხთან საერთო ენის გამონახვაში, მასთან თანამშრომლობაში მდგომარეობდა.

მართლაც, ახალი სოფლის მშენებელმა ადამიანებმა გულისხმიერად ხელი გაუწოდეს დასალუპაევად განწირულ ხევისთავს და იგი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ფერხულში ჩააბეს. თეიმურაზის მეუღლე მარგო კი, რომელიც პასიურად დანებდა ჯაყოს მხეცურ ინსტინქტებს, სასტიკად დაისაჯა ცხოვრების მიერ. რომანის ფინალში ჩვენ მას ვხედავთ მორალურად და ფიზიკურად უკიდურესად დაკნინებულსა და დაძაბუნებულ მდგომარეობაში. იგი ნამდვილი მონაა ჯაყოსი, რომლის აღვირახსნილ პარპაშს სამუდამოდ ბოლო მოუღო საბჭოთა სოფელში დამკვიდრებულმა განახლებულმა ცხოვრებამ.

რომანში დიდი მხატვრული ძალით მოთხრობილი და აღწერილი ეს ადამიანური ურთიერთობანი მკაფიოდ განასახიერებდა აღმავალი ახლისა და მომავლადი ძველის იმ შეურიგებელ ჭიდილს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყოველ სფეროში საბჭოთა ეპოქის დასაწყისიდანვე. მართალია, ნაწარმოებში უფრო შთამბეჭდავად, უფრო მკვეთრი და ქმედითი საღებავებით მომაკვდავი წარსულის განმასახიერებელი პერსონაჟები გამოიხატა, ხოლო, ახალი ცხოვრების მშენებელი დადებითი ძალები უფრო მკრთალად

და სქემატურად გამოჩნდნენ, მაინც რომანის სიუჟეტური განვითარება მთელი ლოგიკით, დამარწმუნებლად და შთამაგონებლად გვიჩვენებს ახალი ცხოვრების ზეიმს, მის გარღვევალ და აუცილებელ სრულ გამარჯვებას რეაქციული წარსულის უბადრუკ ნამსხვრევებთან ბრძოლაში.

„ჯაყოს ხიზნებმა“ ერთბაშად მოუხვეჭა მიხეილ ჯავახიშვილს ფართო პოპულარობა, უპირველესი მნიშვნელობის ადგილი დაუმკვიდრა ოციანი წლების ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. ამ საყოველთაო აღიარებით აღფრთოვანებულმა მწერალმა იშვიათად ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა განაგრძო. თავის მომდევნო რომანებშიც „თეთრი საყელო“ და „გივი შადური“ იგი თანამედროვე სინამდვილის აქტუალურ პრობლემებს გამოეხმაურა. მათშიც მწერალმა მომაკვდავი ძველისა და მზარდი ახლის, რეაქციულისა და პროგრესულის, წარმავალისა და აღმავალის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების სურათები წარმოსახა. ამ ცხოვრებისეული კონფლიქტების გამოსახვისას მწერალი შეურიგებელი და შეუფერადებელი სიმართლით ასაბუთებდა წარსულის ბნელი გადმონაშთების გარღვევალ განწირულებას, მომაკვდავ წარსულს უნუგეშოდ ჩაბლაუქებული და ზედმეტ ადამიანებად ქცეული პერსონაჟების შეუჩერებელ დაქანებას ცხოვრების ფსკერისაკენ.

ამ რომანების პარალელურად მწერალი ქმნიდა და აქვეყნებდა მოთხრობების ახალ-ახალ ციკლებს, რომელთა შორის ბრწყინავენ მხატვრული სიტყვის ხელოვნების ისეთი შედეგები, როგორიცაა „ლამბალო და ყაშა“, „მართალი აბდულაჰ“, „ყბაჩამ დაიგვიანა“, „ორი განაჩენი“, „პაპა დიმო“ და სხვ. ნათელი და კეთილშობილური ჰუმანისტური იდეალებით გაბრწყინებული ამ მაღალმხატვრული მოთხრობების გამოჩენა ჩვენს მწერლობაში განუზომელ ესთეტიკურ სიხარულს ჰგვრიდა საბჭოთა მკითხველს.

დღითიდღე იზრდებოდა მწერლის სახელი და დიდება. თავის მხრივ მწერალი ცოცხალი ინტენსიური და ცხოველმყოფელი შემოქმედებითი შრომით უპასუხებდა ხალხის ამგვარ ყურადღებასა და სიყვარულს. ჩვენს თვალწინ თითქოს განმეორდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი მაგალითი ალექსანდრე ყაზბეგის სწორუპოვარი შემოქმედებითი გმირობისა. აკი ყაზბეგმა რაღაც ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში შექმნა ყველა თავისი უკვდავი ნაწარმოები, რომლებიც ამშვენებენ და მარაღაც დაამშვენებენ ჩვენი ეროვნული კულტურის მრავალსაუკუნოვან საგანძურს.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ოციანი წლების ქართულ მწერლობაში მიხეილ ჯავახიშვილს ბადალი არ ჰყოლია შემოქმედებითი ინტენსიობისა და ნაყოფიერების მხრივ, ნაწარმოებთა იდეურ-თემატიკური აქტუალობის, მკითხველთა მასებზე ზემოქმედების ძალის, პოპულარობის მხრივ.

მაგრამ ოციანი წლების მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ძირითად პათოსს უფრო წარსულის ბნელი გაღმონაშთების, საბჭოთა სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა მხილება შეადგენდა, ვიდრე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში სოციალისტური სამეურნეო და ყოფა-ცხოვრებით ურთიერთობათა დამკვიდრების პროცესის გამოხატვა. ამასთანავე, მწერლის მთელი იდეურ-შემოქმედებითი ევოლუცია განუხრელად მიემართებოდა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის დაუფლებისაკენ. ამ მიმართულებით მწერალმა დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვა თავის უკანასკნელ ორ რომანში „არსენა მარაბდელსა“ და „ქალის ტვირთში“, რომლებიც უშუალოდ არ ასახავენ საბჭოთა სინამდვილის მოვლენებს, მაგრამ მძლავრად ეხმაურებიან და ეთანხმოვნებიან ჩვენი ეპოქის დიად რევოლუციურ პათოსს.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც საკმაოდ მდიდარია ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებით, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ ერთადერთი ისტორიული რომანია, უშუალოდ ხალხს რომ შეეხება. იგი ხატავს ქართველი ხალხის, ქართველი მშრომელი გლეხკაცობის რაინდულსა და კეთილშობილურ სახეს, გვიჩვენებს მის გმირულ, თავდადებულ ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ეს ნაწარმოები მიხეილ ჯავახიშვილის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეული გვირგვინია, მისი უდიდესი შემოქმედებითი მიღწევა. იგი მთელი ქართული საბჭოთა მწერლობის მშვენიება და სიამაყეა. ამ რომანში კლასიკურად დასრულებული სახით გამოვლინდა ჩვენი დროის ამ პირველხარისხოვანი ბელეტრისტის ძვირფასი შემოქმედებითი თავისებურებანი: ფართო პლანის მხატვრული თხრობის განვითარება მტკიცე კომპოზიციურ კალაპოტში, წარმტაცი, ექსპრესულად აღმავალი სიუჟეტის ჩამოყალიბება, წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი დიდი ადამიანური ხასიათების, ტიპიურ სახეთა გამოკვეთის ოსტატობა, ყოფაცხოვრებისა და ბუნების მეტყველი, ფერადოვანი სურათების ხატვის ნიჭიერება.

ამ რომანის სახით მწერალმა წარმოგვიდგინა ფართო მხატვრული პანორამა, რომელზეც ღრმა ისტორიული სიმართლით წარმოისახა ქართველი ხალხის მთელი ცხოვრება გასული საუკუნის პირველი ათწლეულების მანძილზე, როცა საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული მმართველობა მკვიდრდებოდა, რღვევას იწყებდა ფეოდალურ-პატრიარქალური წყობილება და ამ მოვლენათა ნიადაგზე უღრმესი ძვრები და ცვლილებები ისახებოდა ჩვენი ქვეყნის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში.

ცარიზმის ველური კოლონიზატორული პოლიტიკისა და ბატონყმური ტირანიის წინააღმდეგ თავგანწირულად აჯანყებული ქართველი გლეხობის ვაჟკაცური ბრძოლის ეპოპეის ამსახველი რომანის მთავარ გმირად ავტორმა არსენა ოძელაშვილი გამოიყვანა.

ხალხის ხსოვნაში და ზეპირსიტყვიერებაში უკვდავყოფილი ამ კეთილი და რაინდული ბუნების ადამიანის — არსენას პიროვნება მწერალმა აამაღლა გლეხობის რევოლუციური მოძრაობის მეთაურისა და ბელადის გამომეტყველებლი მხატვრული სახის დონემდე. ამ იშვიათი ძალისა და მომხიბლაობის მხატვრულ სახეში ბუნებრივად და ღრმად არის გამოხატული ქართველი ხალხის ეროვნული ხასიათის საუკეთესო თვისებანი: ქედუხრელობა, თავისუფლებისმოყვარეობა, უშიშროება და ვაჟკაცობა, უმწიკვლოება და კეთილშობილება, ფიზიკური და სულიერი მშვენიერება და ძლიერება.

ეს მონუმენტური მხატვრული ტილო თავისი ისტორიული შინაარსის სიმდიდრით, კომპოზიციური აღნაგობის თავისებურებით, გამოსახვის საშუალებათა სიმკვეთრით და სიმძლავრით, მხატვრული მეტყველების მაღალი ხელოვნებით საგანგებო მონოგრაფიულ შესწავლას იმსახურებს. საშუალოდ, ქართული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ დიდ ვალშია მიხეილ ჭავჭავიძის ძვირფასი შემოქმედებითი მემკვიდრეობის წინაშე.

„არსენა მარაბდელის“ შემდეგ თავისი შთაგონების წყაროდ მწერალმა ჩვენი საუკუნის დამდეგის უდიდესი ისტორიული მოვლენა — 1905 წლის რევოლუციის უკვდავი ეპოპეა აირჩია. თავის უკანასკნელ რომანში „ქალის ტვირთი“ მწერალმა კიდევ უფრო გამახვილებული სოციალური თვალთახედვით გააშუქა ოქტომბრის „გენერალური რეპეტიციის“ საზოგადოებრივი სინამდვილე, გვიჩვენა იმ წლებში ღრმად დიფერენცირებული და ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებული ანტაგონისტური კლასობრივი ძალები, მათი პოლიტიკური და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი. აქაც მიხეილ ჭავჭავიძელმა, უადრესად დამაინტერესებელი თხრობის ოსტატობასთან ერთად გმირის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის, ადამიანის ურთულეს განცდათა და განწყობილებათა ხელსახეზად გადმოცემის სამაგალითო ნიჭიერება გამოიჩინა.

ამ ორი ისტორიულ-რევოლუციური ეპოპეის შემდეგ მწერალს განზრახული ჰქონდა კვლავ ჩვენი თანამედროვეობის მოვლენათა თემატიკას დაბრუნებოდა, ახალ დიდ მხატვრულ ტილოებზე აღებეჭდა ჩვენი ხალხის საგმირო საქმეები სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის გაჩაღებულ ტიტანურ შრომასა და ბრძოლაში. საუბედუროდ, მწერლის ეს კეთილშობილური შემოქმედებითი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. მიხეილ ჭავჭავიძის ცხოვრება შეწყდა მისი დიდი მხატვრული ნიჭიერების სრული დავაჟკაცებისა

და მომწიფების ასაკში. ახლა წარმოდგენაც კი ძნელია იმისი, თუ როდენ დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ, მთელმა ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ სიტყვის ამ შესანიშნავი ხელოვანის უდროოდ დაღუპვით. რამდენი ახალი ბრწყინვალე ფურცელის ჩაწერა შეეძლო მას საბჭოთა მწერლობის მათიანეში, რამდენ ახალ შემოქმედებით სიხარულს მოჰგვრიდა იგი კიდევ თავის თანამედროვეებს და რამდენად უფრო მდიდარ და ძვირფას ლიტერატურულ მემკვიდრეობას დაუტოვებდა შთამომავლობას.

ლიტერატურულ შემოქმედებასთან ერთად მიხეილ ჯავახიშვილი გამუდმებულად ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. რად ღირს თუნდაც მისი თავგამოდებული ლაშქრობა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დასაცავად. მისი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მისი აქტიური მონაწილეობა ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების, რედაქციების, სხვა კულტურულ-საზოგადოებრივ დაწესებულებათა საქმიანობაში.

თავისი ამ დიდი პატრიოტული ღვაწლით მწერალმა მართლაც რომ ხელთუქმნელი ძეგლი აიგო ჩვენი ხალხის გულში. მისი დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობა ამდიდრებს და ამშვენებს ქართველი ხალხის უძვირფასეს სულიერ ღირებულებათა საგანძურს.

ნიკო ლორთქიფანიძე

ქართველი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს თავისი გამოჩენილი მწერლის, მხატვრული სიტყვის ბრწყინვალე ოსტატის, დიდი პატრიოტისა და ჰუმანისტის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავს. განუზომელად დიდი ნიკო ლორთქიფანიძის ღვაწლი და დამსახურება ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურის, კერძოდ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. მან, მახვილი თვალისა და ფაქიზი გემოვნების, წრფელი გრძნობისა და ნათელი აზრის ხელოვანმა, სიტყვიერი მხატვრობის მრავალი უჭკნობი შედეგით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურის საგანძური, გააფართოვა ჩვენი ეროვნული მწერლობის თემებისა და იდეების სამყარო, გააღრმავა და გაამრავალფეროვნა მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა არსენალი და დიდი წვლილი შეიტანა ხალხის სულიერ ცხოვრებაში ეპოქის ყველაზე ნათელი და კეთილშობილური იდეალების დამკვიდრების საქმეში.

ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვან რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილმა, ამ ტრადიციების ღირსეულმა მემკვიდრემ და გამგრძელებელმა, მან ორგანულად შეათანხმა და დააკავშირა ჩვენი ეროვნული კულტურის მაგისტრალურ გეზთან მეოცე საუკუნის რუსეთისა და ევროპის ესთეტიკური აზრის საუკეთესო მიღწევები და მონაპოვარნი და სწორედ ამ გზით ნოვატორული როლი შეასრულა უახლესი ქართული მწერლობის ისტორიაში. სიტყვიერი ფერწერის მაღალნიჭიერი ხელოვანი, იგი შთაგონებულად ძერწავდა თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი სინამდვილისა თუ ისტორიული წარსულის ცხოველმყოფელ სურათებს, ბუნებისა და ყოფაცხოვრების მეტყველ, კოლორიტულ ნახატებს, ხელშესახებად წარმოსახავდა ადამიანის რთული სულიერი ცხოვრების მთელს მოძრაობას მის მთელს მრავალმხრივობას. სწორედ ადამიანის სულიერი ცხოვრება შეადგენდა მისი შემოქმედებითი დაინტერესების ძირითად საგანს, მისი მხატვრული წვდომისა და კვლევის, წარმოსახვის მთავარ სფეროს. იშვიათად ფართო და ვრცელია ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული თვალთახედვის სარბიელი. იგი მოიცავს ჩვენი ქვეყნის შორეული თუ ახლობელი ისტორიული წარსულის მოვლენებსაც, ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლების პროცესებსაც, ჩვენი საუკუნის ქალაქური თუ სოფლური ცხოვრების მთელს მრავალმხრივობას, სხვადასხვა სოციალური

ძალების ინტერესთა და სულისკვეთების გამომხატველ მკაფიო და ღრმა განზოგადებითი ძალის ეპიზოდებს. ასევე მდიდარი და მრავალფეროვანია-მწერლის შესაძლებლობანი და მიდრეკილებანი სამყაროს მხატვრული ხედვის, ათვისებისა და წარმოსახვის სფეროშიც. უმძაფრესი დრამატული ძაბვის, ტრაგიკულ ჟღერამდე მიღწეულ სიუჟეტთა გვერდით იგი ქმნის მსუბუქი ჰუმორით თუ სატირულობამდე გამახვილებული ირონიით აღბეჭდილ ნაწარმოებებს; ყოფაცხოვრებითი ყოველდღიურობიდან თითქოს ცოცხლად და სახეშეუცვლელად გადმოტანილი სცენებისა და ეპიზოდების გვერდით ქმნის ლეგენდებს, მითოლოგიურ სიუჟეტებზე აგებულ გადმოცემებს, ზოგჯერ ფანტასტიკის საზღვრამდე მიღწეულ პასაჟებსაც. საყურადღებოა, რომ ასეთი ხასიათის მის ნაწარმოებებში ზოგჯერ ძნელი გასარჩევია არის თუ როდის პოულობს მწერალი შთაგონების წყაროს ქართული პოეტური ზეპირსიტყვაობის უშრეტ საგანძურში და როდის ემყარება საკუთარ ფანტაზიას, საკუთარ მხატვრულ გამომგონებლობას.

მისი ბელეტრისტული ქმნილებანი აღსავსეა პოეზიით, ლირიზმით, ცხოვრების ფილოსოფიური აღქმისა და გააზრების მისწრაფებით. მისთვის უცხოა გულდამშვიდებული თბრობა, ინდიფერენტული მჭკრეტელობა, ფართო ეპიკური კომპოზიციები.

ნიკო ლორთქიფანიძის მოქალაქეობრივი სახე, მისი საზოგადოებრივი მრწამსი და იდეალები ორი საუკუნის მიჯნაზე ჩვენს ქვეყანაში აღმოცენებული დიადი კლასობრივი ბრძოლების ქარიშხლიან ვითარებაში ჩამოყალიბდა. როგორც ცნობილია; 1905—1907 წწ. რევოლუციამ განსაკუთრებით ფართო გასაქანი პოვა საქართველოში და ამ დიდ სახალხო მოძრაობას გამოეხმაურა მთელი ქართული მწერლობა. მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის კორიფეებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, ვაჟა ფშაველამ ამ მოძრაობაში თავისი მაღალი პატრიოტული და ჰუმანისტური იდეალების განხორციელება წარმოიდგინეს. ღრმა ზეგავლენა იქონია ხალხის ამ მგზნებარე საბრძოლო აღფრთოვანებამ ჩვენი საუკუნის მთელ ქართულ ლიტერატურაზე. ძნელია დავასახელოთ რომელიმე თვალსაჩინო ქართველი მწერალი ჩვენი საუკუნის დამდეგისა, რომლის შემოქმედებითს ბიოგრაფიაშიც 1905—1907 წწ. რევოლუციას გადამწყვეტი როლი არ შეესრულებინოს. ამ ღრმა და ყოველის მომცველი შემოქმედებით არის აღბეჭდილი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიაც, განსაკუთრებით ამ ისტორიის პირველი პერიოდი, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას.

ცარისტული რეაქციის ხანაში, როდესაც ინტელიგენციის გარკვეულ ფე-

ნებში წარმოშობილი გულგატეხილობისა და სასოწარკვეთილების შედეგად ქართულ მწერლობაში ნოყიერი ნიადაგი შემზადდა დასავლეთის ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლებისა და მიმდინარეობების გავლენათა გავრცელებისათვის, ნიკო ლორთქიფანიძე თავისი საუკეთესო ნაწარმოებებით იცავდა და აგრძელებდა მშობლიური ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს, მის რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებს. მაშინ იგი დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობით და შთამაგონებელი ძალით გამოხატავდა ხალხის მღელვარე პროტესტსა და გულისწყრომას გაბატონებული რეაქციული ძალების მიმართ, ცხოვრების მიხინჯი და მანკიერი მოვლენების, ყოველგვარი ძალმომრეობის, სისასტიკისა და ტირანიის წინააღმდეგ. მის იმდროინდელ მხატვრულ ქმნილებებში გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით გაისმოდა მამხილებელი ყიფინა „იყიდება საქართველო!“ და ხალხის მოწინავე ძალებისადმი მიმართული პატრიოტული მოწოდება „მოუარეთ საქართველოს!“ ამგვარი დაუნდობელი, მამხილებელი თვალით შესცქეროდა მაშინ მწერალი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ისეთ პერიოდებს, რომლებიც მშრომელი ხალხის ჩაგვრით, უუფლებობით, ადამიანობის ფეხქვეშ გათელვით ხასიათდებოდა და ისტორიული წარსულის ასეთი სურათები ცხოვლად ეხმაურებოდა რეაქციის ძალთა სისხლიანი თარეშისა, მათი ანტიხალხური და ანტიჰუმანისტური პოლიტიკისადმი ზიზღისა და გულისწყრომის გაღვივების უაღრესად აქტუალურ ამოცანებს.

ამ პერიოდის თავის საუკეთესო ნოველებში, ესკიზებში, მინიატურებში მწერალი განასახიერებდა ხალხის მოლოდინს და რწმენას ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე, მის მაღალ მისწრაფებებსა და ოცნებებს. მაშინ ცხოვრებაში გაბატონებული უხეში და ტლანქი ძალმომრეობის, მჩაგვრელობის საწინააღმდეგოდ მწერალი უმღეროდა ადამიანობის მაღალ იდეალებს, სპეტაკ ზნეობრივ მისწრაფებებს, სიყვარულის, მეგობრობის, გმირობის, ვაჟკაცობის, სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულების გრძნობებს. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რაოდენ დიდი კეთილმყოფელი მნიშვნელობა ექნებოდა იმ პირქუშსა და სუსხიან საზოგადოებრივ ვითარებაში ამგვარ ნაწარმოებებს ხალხის სულიერი გაჯანსაღების, ზნეობრივი ამაღლებისა და გამხნეების თვალსაზრისით, ხალხის მწვავე სულიერ წყლულთა მკურნალობის თვალსაზრისით.

ხოლო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ერა ამობრწყინდა, ნიკო ლორთქიფანიძე, ერთი პირველთაგანი რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის რიგებიდან, მხარში ამოუდგა გამარჯვებულ მშრომელ ხალხს და აქტიურად ჩაება დედამიწაზე ყველაზე ჰუმანიური და სამართლიანი წყობილების, ახალი სოციალისტური სამყაროს მშენებლობისათვის ბრძოლაში.

სიმონ ჩიქოვანი, რომელიც თავის შესანიშნავ წერილში „ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები“, გასაოცარი ბუნებრიობით ათავსებს დიდი მწერლის მდიდარი ადამიანური ბუნების დამახასიათებელ მოგონებებსა და მისი განუმეორებლად თავისებური მხატვრული ინდივიდუალობის ღრმად პროფესიულ ლიტერატურულ ანალიზს, გადმოგვცემს ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრების ერთ ეპიზოდს, რომელსაც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ მწერლის, არამედ რევოლუციამდელი ქართველი მხატვრული ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენელთა მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის. იგონებს რა ნ. ლორთქიფანიძესთან შეხვედრებს, პოეტი წერს: „განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში 1921 წლის მარტში, ქუთაისში, თეთრ ხიდზე ჩვენი შეხვედრა. იმ ქარიშხლიან დღეებში სწავლა არსად არ მიმდინარეობდა... ათ მარტს, როცა ქუთაისის ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა იწყებოდა, როცა მენშევიკური მთავრობა გადაიხვეწა და უქიმერიონის მიდამოებში ჯერ კიდევ ბოლშევიკებს ხელში არ აეღოთ მმართველობის სადავე, სწორედ ამ შუალედ წუთებში, მთელ ქალაქში უჩვეულო სიწყინარე და დუმილი გამეფდა... დღის სამ საათზე სასწავლებლის შენობიდან გამოვედი და ამ ხანმოკლე მყუდროებაში თეთრ ხიდთან მივალწიე, ხიდის მიღმა გადასვლას ვაპირებდი... და სწორედ ამ დროს ჩემს პირისპირ მომავალი დაფიქრებული ნიკო ლორთქიფანიძე დავინახე. იგი ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებისაკენ იყურებოდა და აუჩქარებელი ნაბიჯებით მიახლოვდებოდა, ხოლო რაჭის მხარეზე, მთებში უცნაური ბინდი იშმუშნებოდა. მომეჩვენა, რომ ნიკოს ჩვენი შეხვედრა გაეხარდა. ხელი ისე ჩამომართვა, თითქოს მისი თანატოლი და მეგობარი ვყოფილიყავი, მკითხა: „საით გაგიწევიაო“. უცებ გეგუთის ქუჩის მხარეზე დიდი ჟრიამული ატყდა და მალე იმ მხრიდან გაძლიერებული ვაშას ძახილი გაისმა. ...ნიკომ მკითხა: „ყმაწვილო, რა ხმაურობა ისმისო“, მე ვუპასუხე: „ალბათ ხალხმა ბოლშევიკები გაათავისუფლა ციხიდან და მათ გამარჯვებას ულოცავენმეთქი“. გაიღიმა და მოულოდნელად მითხრა: „დიდი ციხისკენ წავიდეთო“. შემობრუნდა და ჩვენ მალე გადავუხვიეთ გეგუთის ქუჩაზე, დიდი ციხისკენ ავიდეთ გეზი. მე ფეხს ვუწყობდი ნიკოს ნაბიჯებს და ორივე მივეშურებოდით პირისპირ მომავალ ახალი ცხოვრების შესახვედრად. ვაშას ძახილი და გამარჯვებული ყიჟინა თანდათან გვიახლოვდებოდა. ეს ხმაური გულისყურს იპყრობდა და გაზაფხულის დამკვიდრების ნიშანს იძლეოდა...“

მართლაც, განა ერთგვარი სიმბოლური მნიშვნელობის სურათი არ იხატება ჩვენს თვალწინ ამ ეპიზოდში? უკვე სახელმოხვეჭილი და საყოველთაოდ აღიარებული, სრული შემოქმედებითი დავაჟაკებისა და სიმწიფის ასაკში შესული ნიკო ლორთქიფანიძე იმ ლიტერატურული ახალგაზრდობის წარმომად-

გენელთან ერთად, რომელიც მაშინ ის-ის იყო ემზადებოდა მშობლიური მწერლობის სარბიელზე ფეხის შემოსადგმელად, ხელიხელჩაკიდებული მიეშურება ახალი ცხოვრების შესახვედრად, იმ გამარჯვების ყიჟინის შესახვედრად, რომელიც იმ ისტორიულ დღეებში მოასწავებდა ახალი ეპოქის ამობრწყინებას ჩვენი სამშობლოს ისტორიაში და გულისხმობდა ასეთსავე გარდაქმნასა და განახლებას ჩვენი მწერლობის განვითარებაში, პირადად ყოველი ხელოვანის, კულტურის ყოველი ოსტატის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. მას შემდეგ თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ნიკო ლორთქიფანიძე განახლებულ და აღორძინებულ საქართველოში, როგორც მისი ძლიერებისა და კეთილდღეობის თავგამოდებული მსახური — მოქალაქე, საზოგადო მოღვაწე, ხოლო პირველ ყოვლისა — დიდი მწერალი, მხატვრული სიტყვის შთაგონებული და მაღალნიჭიერი ხელოვანი. ამ წლების მანძილზე შექმნა მან თანამედროვე მხატვრული პროზის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ტრაგედია უგმიროდ“, „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, „ხელოვანთა ყავახანა“, „ქედუხრელნი“, „ტყვედყოფილის დაბრუნება“, „მოქანდაკე“ და მრავალი სხვა. ეს ქმნილებანი სამუდამოდ არის შესული ქართული, და არა მარტო ქართული, საბჭოთა ლიტერატურის მარადიულ ფასეულობათა საგანძურში, როგორც ამ საგანძურის ნამდვილი მშვენიება და სიმდიდრე.

ურყევი სულიერი რაინდობით, უკომპრომისოდ და თავგამოდებით ემსახურებოდა ნიკო ლორთქიფანიძე თავის ნათელ მოქალაქეობრივ იდეალებსა და ესთეტიკურ მრწამსს. მისი შემოქმედებითი ცხოვრება და ადამიანური ბიოგრაფია იშვიათი მაგალითია მწერლის პასუხისმგებლობისა ხალხის წინაშე, მაღალი პროფესიული კულტურისა, შეუვალი მორალური ავტორიტეტისა, განუხრელად ერთგული საკუთარი მწერლური თვალსაზრისისა და პოზიციისა, იგი არასოდეს არ იჩენდა მოუთმენლობას და შეურიგებლობას სხვაგვარად მოაზროვნეებისადმი, ყოველთვის შორს იდგა ყველაფერი პირადულისა, წვრილმანისა და ანგარებისმიერისაგან, პატივმოყვარეობისა და განდიდების იმ სენისაგან, რაც, სამწუხაროდ, იშვიათი მოვლენა როდია შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებში. თავისი მაღალი სულიერი ღირსებებით იგი გამაკეთილშობილებელ გავლენას ახდენდა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ყოველთვის დიდი მზრუნველობით, ყურადღებით და სიყვარულით ეპყრობოდა ლიტერატურულ ახალგაზრდობას და განუზომელი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა ახალგაზრდა მწერალთა მხრივ. ამის მკაფიო მაგალითია ის საუცხოო პოეტური ექსპრომტი, რომელიც თავისი სიჭაბუკის წლებში მიუძღვნა პაოლო იაშვილმა თავის უფროს მეგობარს, იმ დროისათვის უკვე სახელმწიფო ბელეტრისტ ნიკო ლორთქიფანიძეს:

ხარ მოელვარე, ვით სატევარი,
ემორჩილები მზეს და იადონს,
მომეცი ნება, როგორც მწვევარი,
ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს.

გაგინდელდება ქვეყნის დანდობა,
მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი.
მიმონებს შენი დარდიმანდობა
და იშვიათი ჩვენში პროფილი.

ეს ლექსი 1918 წლით არის დათარიღებული და მასში საოცარი გულთამს-
ლაობით არის დანახული და გადმოცემული ნიკო ლორთქიფანიძის ბასრი და
მხვცილი, შემართებული და უშიშარი ხასიათიც და ამავე დროს მზიურად ნა-
თელი და უნაზესი ადამიანური ბუნებაც, იმდროინდელი ცხოვრების უკულ-
მართობათა მიმართ დაუნდობელი ირონიული მიმართებაც და შეუბღალავი
შინაგანი კეთილშობილება, „დარდიმანდობაც“, ცხოვრების ზედაპირზე ამოტივ-
ტივებული მეშჩანობის უარმყოფელი და მისდამი მკაცრად დაპირისპირებული
„იშვიათი პროფილიც“.

ბევრად უფრო გვიან, ნიკო ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ, სულ
სხვა თაობისა და სხვაგვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალგაზრდა პოეტმა
რევაზ მარგიანმა ასეთივე მოკრძალებისა და სიყვარულის გრძნობით აღსავსე
ლექსი მიუძღვნა მხატვრული სიტყვის დიდებულ ოსტატს, განუმეორებელი
მომხიბვლელობისა და იშვიათად მდიდარი სულიერი სამყაროს ადამიანს:

ჰავჰავაძის აღმართს როდესაც აყვებში,
ერუანტელს კვლავ ივრძნობს მკერდი,
აქ ახლაც მხედებიან გვიანი მგზავრები,
მათ შორის არა ჩანს ერთი.
ის ღამით მხედებოდა და ძალზე ვწუხვარ,
ვერ ვხვდები ფიქრიან სახეს,
მე მახსოვს, პირველად მაღალი მუხა
სწორედ ამ აღმართზე ვნახე!
მეოცნების იერი ჰქონდა
და ოდნავ მოხრილი მხრები.
„დიდ ნიკოს“ ვეძახდით მელექსე ყრმები
შემოქმედს გარდასულ დროთა.

„ხელოვანთა ყავახანის“ ციკლის ერთ-ერთ მინიატურაში ნიკო ლორთქი-
ფანიძე წერდა: „ვაჟკაცი წლებს შეაღვეს ღედმამას, წლებს სამშობლოს, მეცნი-
ერებას, ხელოვნებას, წლებს, ცოლ-შვილს... როცა სიცოცხლის დღენი მიეწუ-
რება... იგია გმირი, თუ დინჯის ნაბიჯით, გულდამშვიდებული გასწევს სამარ-
საკენ, გზაზე მთრთოლვარე ხელით კიდევ ეცდება დარგოს ზე, რათა გამვლელ-

მა ხილი იხილოს, ჩრდილი იჩრდილოს“. მწერლის მეგობრები და თანამოღვაწენი, მისი თანატოლი თუ უმცროსი თანამოკალმეები მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ რაინდული უდრტვინველობით ეგებებოდა ნიკო ლორთქიფანიძე სიცოცხლის დასასრულს, თუ როგორ ძერწავდა ცხოვრების უკანასკნელ დღეებში განუკურნებელი სენისაგან დაუძლურებული ხელებით უკანასკნელ ნიმუშებს თავისი დიდი შემოქმედებითი მოღვაწეობისა. ხანდაზმულობისა და სწეულების დამაუძლურებელი ხელი ოდნავადაც არ შეხებია მის იშვიათად მძლავრსა და მდიდარ სულიერ სამყაროს, მის ნათელ გონებას, ნებისყოფას, შემოქმედებითს გზნებას. ამას გვიდასტურებს მისი „ქედუხრელნისა“ და დაუმთავრებლად დარჩენილი „დავით აღმაშენებლის“ უკანასკნელი სტრიქონები. ეს იყო მართლაც ამაღელვებელი მაგალითი მწერლის შემოქმედებითი და ადამიანური გმირობისა.

მალე ოცდაათი წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენს შორის აღარ არის. მწერლის მდიდარმა შემოქმედებითმა მემკვიდრეობამ ძლევამოსილად გაუძლო დროის გამოცდას. რაც დრო გადის კი არ ნელდება და სუსტდება მისი საუკეთესო ქმნილებების ზემოქმედების ძალა, მათი ცოცხალი უღერა, შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება, არამედ პირიქით, განუხრელად იზრდება მწერლის პოპულარობა და ღრმავდება მისდამი საზოგადოებრივი ინტერესი და ყურადღება, სულ უფრო მეტად ნათელი და ხელშესახები ხდება მის ნაწარმოებთა მხატვრულ სხეულში ღრმად ჩაქსოვილი აზრი და გრძნობა, სულ უფრო მეტი სიცხადით ამოდის მათი ქვეტექსტების წიაღებიდან ჩვენი დღევანდელი სოციალისტური თანხმობისა ნათელი იდეური და ზნეობრივი მისწრაფებანი... და ასე გაგრძელდება მომავალშიც.



ნიკო (ნიკოლოზ) მერაბის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წელს, 27 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში, ახლანდელი წყალტუბოს რაიონის სოფ. ჩუნეში. წერა-კითხვა მომავალმა მწერალმა საკუთარ ოჯახში შეისწავლა ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ნიმუშებზე. ადრინდელ სიკვამლეში აღეძრა მას ცხოველი ინტერესი მშობლიური ლიტერატურისა და თავისი ქვეყნის ისტორიისადმი, ეპოქის სოციალური პრობლემებისადმი. ამას დიდად უწყობდა ხელს ის გარემოება, რომ ნიკოს მშობლების ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვ. ამ ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა აგრეთვე გამოჩენილ ბოლშევიკს, ლიტერატორსა და რევოლუციონერს ალექსანდრე წულუკიძეს. ცხადია, ასეთ ადა-

მიანთა გარემოცვა კეთილმყოფელ ზეგავლენას მოახდენდა მომავალი მწერლის აზრებსა და განწყობილებებზე, მისი მსოფლმხედველობის, საზოგადოებრივი იდეალების ჩამოყალიბებაზე.

ნიკო ლორთქიფანიძის სიკვამლეების წლებმა ჩვენი საუკუნის დამდევის გამძაფრებული საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებაში განვლო. ეს ჩვენი სამშობლოს ისტორიის ის შესანიშნავი პერიოდი იყო, როდესაც რუსეთის გმირული პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ზეგავლენით ქართველი მშრომელი ხალხიც ირანმებოდა კაპიტალისტურ-მემამულურ წყობილებაზე იერიშის მისატანად და უკვდავი ლენინის მოწაფისა და თანამებრძოლის — ახალგაზრდა სტალინის მეთაურობით დიდი გამათავისუფლებელი მოძრაობის ფართო გზაზე გამოდიოდა. ორი საუკუნის მიჯნაზე დატრიალებულ ამ დიდ სოციალურ მოვლენებს არ შეეძლო გამოხატულება არ ეპოვა მხატვრულ ლიტერატურაში, გავლენა არ მოეხდინა ინტელიგენციის მოწინავე ნაწილზე, პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდობაზე. ასეთ ახალგაზრდობას ეკუთვნოდა ნიკო ლორთქიფანიძეც.

უკვე მოწაფეობის წლებში იგი გამსჭვალულია უკმაყოფილებისა და შეურიგებლობის გრძნობით თვითმპყრობელური წყობილებისადმი და მისი ველური კოლონიური პოლიტიკისადმი, რაც მძაფრ გამოხატულებას პოულობდა სწავლა-აღზრდის სისტემაშიც. სასწავლებელში გაბატონებული აუტანელი რეაქციული რეჟიმის გამო ნიკო ლორთქიფანიძე იძულებული იყო მიეტოვებინა ქუთაისის გიმნაზია. შემდეგ, საშუალო განათლების დამთავრების მიზნით, იგი ვლადიკავკაზს (ახლანდელ ქ. ორჯონიკიძე — ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი) გაემგზავრა. აქ მომავალ მწერალს თვალწინ გადაეშალა შემზარავი სურათი იმ უკიდურესი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისა, რასაც განიცდიდნენ კავკასიის მთის ხალხები მეფის თვითმპყრობელობის მხრივ. ნიკო ლორთქიფანიძემ გაიცნო და შეისწავლა ამ ხალხთა ყოფა-ცხოვრება, შეკრიბა და ჩაწერა მათი მდიდარი ხალხური სიტყვიერების დიდძალი მასალა.

უმალესი განათლების მისაღებად ნიკო ლორთქიფანიძე ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა. რევოლუციურად განწყობილ რუს და უკრაინელ სტუდენტობასთან დაახლოებამ კიდევ უფრო გააღრმავა და გაამძაფრა მისი შეურიგებლობა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილებისადმი, თვითმპყრობელური რეჟიმისადმი. მალე იგი გამორიცხულ იქნა უნივერსიტეტიდან სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ნიკო ლორთქიფანიძე დააპატიმრეს იმ დემონსტრაციებში აქტიური მონაწილეობისათვის, რომლებითაც მოწინავე ქართველი ინ-

ტელიგენცია უპასუხებდა ცარიზმის მსახურთა შავრაზმელურ ღონისძიებებს. როგორც კი ციხეს თავი დაადწია, იგი უცხოეთს გაემგზავრა და ავსტრიაში ქ. ლეობენის სამთამადნო აკადემიაში შევიდა. ამ სასწავლებლის დამთავრების-თანავე, 1907 წელს, ნიკო ლორთქიფანიძე საბოლოოდ დაბრუნდა სამშობ-ლოში. ამ დროიდან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი განუწყვეტილ ეწეოდა მრავალმხრივ ლიტერატურულ-საზოგადოებრივსა და პედაგოგიურ მოღ-ვაწეობას. მაგრამ თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის ძირითად სფეროდ მან ამიერიდან აირჩია მხატვრული მწერლობა, რომლისადმი მისწრაფებაც მას თა-ვიდანვე ახასიათებდა.

ამ დროისათვის 1905 წლის რევოლუცია უკვე დამარცხებული იყო და დროებით მოზეიმე რეაქცია გააფთრებით უტევდა იდეოლოგიის ყოველ დარგს და კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას. ინტელიგენციის გარკვეული ფენები გულგატეხილობისა და დაცემულობის განწყობილებებმა მოიცვა. შეიქმნა პი-რობები ჩვენს მწერლობაში ანტირეალისტური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმდინარეობების აღმოცენება-განვითარებისათვის. თვითმიზნური ესთეტიზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი, მისტიკა, უიდეობა, პესიმიზმი და ეროტომა-ნიის მანკიერებანი დიდი სისწრაფით ეუფლებოდნენ ამ წლების ქართულ მხატ-ვრულ ლიტერატურას. განსაკუთრებით საგრძნობი იყო დეკადენტობის დამაჯ-ნინებელი გავლენა მხატვრული პროზის დარგში, რადგან ეს მოდური ანტი-რეალისტური სამწერლო მიმდინარეობანი, პრინციპულად უარყოფდნენ რა ხე-ლოვნების მიერ ცხოვრების სინამდვილის ასახვის ამოცანას, შეგნებულად უგუ-ლვებელყოფდნენ ლიტერატურის ეპიკურ ქანრებს. ქართულ ლიტერატურასაც დაუდგა ისეთივე ხანა, რომელსაც მ. გორკიმ რუსული ლიტერატურის მთელი ისტორიის ყველაზე სამარცხვინო წლები უწოდა.

მაგრამ ამ ლიტერატურული დეკადანსის ხანაში სავსებით როდი ჩამქრა-ლა და ჩახშობილა პროგრესული კლასიკური მწერლობის დიდი რეალისტური და დემოკრატიული ტრადიციები. რეაქციის წლების ქართულ მწერლობაში იქმნებოდა ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებიც წინააღმდეგობას უწევდნენ დეკადენტობის მომძლავრებას და რეალისტური ხელოვნების ჯანსაღ ტრადი-ციებს განამტკიცებდნენ. ამ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ასეთ დი-დად მნიშვნელოვან მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება ნიკო ლორთქიფანიძის საუ-კეთესო ადრინდელი თხზულებანი.

მართალია, ნიკო ლორთქიფანიძემაც ისევე, როგორც ლიტერატურის სარ-ბიელზე რეაქციის წლებში გამოსულმა სხვა ზოგიერთმა ქართველმა მწერალ-მა, თავისებური ხარკი გადაუხადა მოდურ-დეკადენტურ ცდუნებებს, მანაც და-წერა რამდენიმე ტიპიურად მოდერნისტული ნაწარმოები, მაგრამ ასეთი ნაწარ-

მოებნი არავითარ შემთხვევაში არ განსაზღვრავდნენ მწერლის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციას, რომელიც ძირითადად რეალისტური ხელოვნების პრინციპებისადმი თანმიმდევრული ერთგულებით ხასიათდებოდა.

როგორც მწერლის ბიოგრაფიის ზემოთ ხსენებული რამდენიმე შტრიხი გვიჩვენებს, ნიკო ლორთქიფანიძე თავისი ცხოვრებითა და სულიერი სამყაროთი ჩვენი საუკუნის დამდეგის რევოლუციური მოძრაობის მოვლენებთან იყო დაკავშირებული და სწორედ ეს მოვლენები განსაზღვრავდნენ და ასაზრდოებდნენ მის საზოგადოებრივ მრწამსსა და თვალსაზრისს, მის მხატვრულ ინდივიდუალობას.

ნიკო ლორთქიფანიძე უშუალოდ არ ყოფილა დაკავშირებული მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან და მის აღზრდელ შემოქმედებაში არც უპოვნია მკაფიო და ხაზგასმული მხატვრული განსახიერება პროლეტარიატის კლასობრივ იდეოლოგიას. მაგრამ ის კი უდავო და უეჭველია, რომ მისი შემოქმედებითი ცხოვრება ძირითადად ჩვენი დროის რევოლუციური მოვლენებისა და დიადი გამათავისუფლებელი იდეების მძლავრი ზემოქმედების პირობებში ვითარდებოდა. აქედან მომდინარეობს პროტესტისა და უკმაყოფილების ის გრძნობა, რითაც გამსჭვალულია მისი რევოლუციამდელი საუკეთესო ნაწარმოებნი, რომლებშიაც მწერალი მკაცრად, მამხილებელი ძალით ასახავდა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, ხატავდა ადამიანის ჩაგვრისა, მისი ყველა მაღალი მისწრაფებების განწირულებისა და ფეხქვეშ გათელვის ღრმად დრამატიზირებულ სურათებს.

შორეული წარსულის მასალაზე დაწერილ მოთხრობებშიც მწერალი ზიზღითა და გულსწყრომით კიცხავდა ყოველგვარ ტირანიას, ადამიანის ღირსებისა და უფლების ყოველგვარ შებლაღვასა და შეურაცხყოფას, კარიერიზმს, ეგოისტურ ინსტიქტებს, პირადი განდიდებისათვის სამშობლოსა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფას. მაღალი ჰუმანისტური და პატრიოტული იდეალებით არის შთაგონებული ნიკო ლორთქიფანიძის თითქმის ყველა ისტორიული მოთხრობა. ამაში მდგომარეობდა ამ ნაწარმოებთა იდეური მნიშვნელობა და აქტუალობა მათი დაწერისა და გამოქვეყნების დროისათვის.

თავისი შემოქმედების ასეთი იდეური მიზანდასახულობის მეოხებით, რეალისტური ხელოვნების ესთეტიკური პრინციპებისადმი შეგნებული ერთგულებით ნიკო ლორთქიფანიძეს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეჭირა რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ნიკო ლორთქიფანიძე ჩვენი რევოლუციამდელი ინტელიგენციის იმ საუკეთესო წარმომადგენელთა რიგებში აღმოჩნდა, რომლებიც გულწრფელად და უყოყ-

მანოდ დაადგინენ საბჭოთა სახელმწიფოსთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის გზას და მთელი თავისი ნიჭიერებით და შესაძლებლობით ერთგულად ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ჩვენს სამშობლოში ახალი, კომუნისტური ცხოვრების მშენებლობის დიად საქმეს.

საბჭოთა წყობილების წლებში ნიკო ლორთქიფანიძე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა ჩვენი სოციალისტური კულტურის ფრონტზე. იგი დიდი გატაცებით ეცნობოდა და სწავლობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიისა და საკომუნისტური წყობილების ზრდა-განვითარების პროცესებს; ამ მიზნით მოგზაურობდა არა მარტო საქართველოს უმნიშვნელოვანეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, არამედ საბჭოთა კავშირის უდიდეს ინდუსტრიულ ცენტრებშიც. ყოველივე ეს კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა მწერლის შემოქმედებით მოღვაწეობაზე, მის იდეურ ევოლუციაზე.

საბჭოთა ეპოქაში ნიკო ლორთქიფანიძემ დაწერა მთელი რიგი საყურადღებო ნაწარმოებები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის ვრცელი მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. მთელს ქართულ მხატვრულ პროზაში ეს იყო პირველი ნაწარმოები, სადაც მკვეთრად გამოიხატა კომუნისტების ხელმძღვანელი როლი იმ ბრძოლაში, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე და ცარისტული რეაქციის სუსხიან წლებში.

ნიკო ლორთქიფანიძე გარდაიცვალა 1944 წელს, როდესაც ჩვენი ხალხი დიად სამამულო ომს აწარმოებდა კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშიზმის სისხლიან ურდოების წინააღმდეგ. განუკურნებელი სენიზო სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული მწერალი პატრიოტული მგზნებარებით ეხმაურებოდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას თავისი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის გადასარჩენად.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ნიკო ლორთქიფანიძე ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად განუწყვეტლივ ემსახურებოდა სწავლა-აღზრდის საქმეს და აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობაში. რევოლუციამდელ წლებში იგი გერმანულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა ქუთაისის სხვადასხვა საშუალო სასწავლებლებში და როგორც მისი ყოფილი მოწაფეების მოგონებებიდან ვიცით, მწერალი თავის ამ მუშაობაში ყოველთვის ხელმძღვანელობდა იმ მაღალი მიზნით, რომ მოზარდი თაობის ცნობიერებაში დაენერგა ეპოქის პროგრესული პატრიოტული და ჰუმანისტური იდეალები.

ქუთაისში იმ წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მოწინავე ქართული ინტელიგენციის მრავალი გამოჩენილი წარმომადგენელი. ისინი დიდსა და მრავალმხრივ მუშაობას ეწეოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურული შემოქმედების ყოველ დარგში. ნიკო ლორთქიფანიძე მთელი ამ საქმიანობის აქტიური მონაწილე იყო. იგი უაღრესად აქტიუალური შინაარსის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით გამოდიოდა ადგილობრივ პრესაში, ცხოვლად ეხმაურებოდა ყველაზე მტკივნეულ და საჭირობოროტო საკითხებს იმდროინდელი სინამდვილისა, მონაწილეობდა წერაკითხვის გაძავრცელებელი საზოგადოების, ქუთაისის დრამატული საზოგადოების მუშაობაში, გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე. მას უაღრესად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქალაქის მთელ სააზროვნო და კულტურულ ცხოვრებაში, რომლის მნიშვნელობა და რეზონანსიც მხოლოდ „ადგილობრივი“ მასშტაბით როდი განისაზღვრებოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში ნიკო ლორთქიფანიძე ერთ-ერთი ინიციატორი იყო ქუთაისში მწერალთა კავშირის ჩამოყალიბებისა. ეს იყო ერთი პირველი ნაბიჯთაგანი ქართული მწერლობის სასიცოცხლო ძალების შემოკრებისა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკასთან შემოქმედებითი თანამშრომლობის პლატფორმაზე. ამ კავშირის მიერ გამოცემული ჟურნალი „უქიმიერიონი“ ქართული საბჭოთა ლიტერატურული პერიოდიკის ერთ-ერთი პირველი ორგანო იყო. ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა იმ წლებში ნიკო ლორთქიფანიძე ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენციის ფართო ფენების დასარაზმავად კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის გარშემო. სწორედ ამ მიზნით და ამ კეთილშობილური განზრახვით ჩაუდგა იგი მაშინ სათავეში ხელოვნების მუშაკთა პროფესიონალურ კავშირს ქუთაისში. ამ თანამდებობაზე თავისი მუშაობის ერთ-ერთი ეპიზოდი მწერალმა გამოიყენა მასალად მოთხრობისათვის „მოქანდაკე“, რომელშიც მან გამოხატა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებული ახალი ცხოვრების კეთილმყოფელი ზეგავლენა მშრომელი ადამიანის, ახალგაზრდა თაობის ბედზე, ახალი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების პროცესზე.

მალე მწერალი მუდმივ საცხოვრებლად თბილისს გადასახლდა. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააფართოვა მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მასშტაბი. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ხელმძღვანელობდა უცხო ენების კათედრას ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ქართველ მწერალთა ყველა ყრილობაზე მას ირჩევდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, ხოლო მრავალი წლის განმავლობაში იგი უშუალოდ მონა-

წილებდა ამ კავშირის პრაქტიკული საქმიანობის ხელმძღვანელობაში, როგორც მისი პრეზიდენტის წევრი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არ შენელებულა მის სულიერ სამყაროში შემოქმედებითი შემართება და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პათოსი.



ერთ დროს ჩვენს კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში დადგენილი ტრადიციის მიხედვით ნიკო ლორთქიფანიძეს „დანგრეული ბუდეებისა“ და „გარდასულ ჟამთა“ მხატვარს უწოდებდნენ. მართლაც, მშობელი ქვეყნის დიდებული, თანაც მკაცრი და სუსხიანი წარსული მისი შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენდა. არაერთ თავის საუკეთესო ნაწარმოებში დახატა ნიკო ლორთქიფანიძემ თავადაზნაურული სამყაროს რღვევის სურათები. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძის თემებისა და იდეების სფერო სრულიადაც არ ყოფილა შემოფარგლული ძველი სამყაროს სახეებითა და ფერებით. ის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, პირველ ყოვლისა ღვიძლი შვილი იყო თავისი ეპოქისა და ამასთანავე ორგანულად განმგებლობი და განმავითარებელი მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა.

რეაქციის წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების მომდევნო პერიოდში, თავის სამწერლო მოღვაწეობის დაწყებით საფეხურზე, მწერალი ზიზლითა და გულისწყრომით შესცქეროდა ჩვენი ქვეყნის წყვედიადით მოცულ სინამდვილეს და ამ პროტესტს თავისებურად გამოთქვამდა: „ტკბილია ძილი, უტკბესია გაქვავება ჟამსა სიძრახსა და სახელის გატეხისას, არაფერი არ დავინახო, არ ვიგრძნო, — აი ჩემი ნეტარება. მაშ, ნუ მალვიძებ, წყნარად ილაპარაკე, მრცხვენია“. ამ სიტყვებში, ცხოვრებისაგან გაქცევის, სინამდვილის წინაშე თვალის დახუჭვის მისწრაფებით გამსჭვალულ ამ აღსარებაში, მკაფიოდ მოისმის თავისი ქვეყნის მონური ხვედრით აღშფოთებული ხელოვანის გულისტკივილი.

მაშინ, ახალი სოციალური აზვითების მოლოდინისა და ნათელი მომავლასაკენ მისწრაფების ხანაში, ნიკო ლორთქიფანიძე თავისი ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებით შემდეგნაირად გამოხატავდა ამ საყოველთაო-სახალხო მისწრაფებას: „კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ უცნობ კარების წინ ვდგევართ... ფარდები კართა უკვე ათრთოლდნენ და გაშლისთანავე ან დავინახავთ ნანატრ ბედნიერებას, ან სამარადისო წყვედიადის მსხვერპლნი შევიქნებით“.

„მოლოდინი“, ასეა დასათაურებული მისი ერთ-ერთი მინიატურა, დაწე-

რილი 1908 წელს. ამ მცირე მოცულობის ბელეტრისტულ ნაწარმოებში გადმოცემულია ცხოვრების განმანათლებელ ძალთა დამარცხებით შეშფოთებული ადამიანის მღელვარე სულისკვეთება:

„მიყვარს ჭექა-ქუხილი, როცა არ იცი რას მიეკედლო, როცა დიდი ხე საშიშარია — მეხი არ დაეცეს; მინდორ-ველში კი მარტოობით სული გეხუთება, გრიგალი ქარი მოტაცებას გიპირებს და თვალში გაყრის, რაც მიწას ვერ შესისხლხორცებია... ბრძოლაა სიცოცხლისათვის, სჩქეფს სისხლი, გავიწყებს წვრილმან უსიამოვნებას, ცდილობ როგორმე სიკვდილს გადარჩე! მიყვარს მოწმენდილი ცა, ნიავე ოდნავ ეკარება შუბლს, ზურმუხტ ცას მზის შუქი აღიმებს; მწვანე ბიბინებს დამატკბობელად... გიტაცებს სიამე ქვეყნისა, შენს გულს იმედს გვრის ბუნების მეჭლისი; ასწილ ნეტარებით გადახდილი მწუხარება ითრგუნება, ქრება“.

და ამ ოცნებით წარმოდგენილ სურათს ბრძოლისა, ჭექა-ქუხილისა თუ ბუნების დამატკბობელი მეჭლისისა აქ უპირისპირდება მკაცრი და პირქუში სინამდვილის, ცხოვრებაში გაბატონებული უკუღმართობის გამომხატველი ალერგორია.

„ოხ, ბედო, რათ მაგდებ მუდამ უღიმღამო ბუნებაში! მოღრუბლულა, მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა მოწმენდილი ცის ნაჭერი; მიზოზინებს ღრუბელი, მანათობელ მთვარეს ისევ ყლაპავს თავის წყვდიადში; ვარსკვლავთ გუნდს ოდნავ ვერ მოსძებნი, ძირს მიწაც მიჩუმებულია, თითქოს უცდის მოწყენილი, როდის მოვა განკითხვის დღე და ფიქრობს, როგორ მოვიქცეო; ამღვრეული მდინარეც ვერ ბედავს ნაპირს დაეჭახოს, გვერდს უვლის ბუტბუტით სალს კლდეებს, იგი ღროს ელის, ელის ჭექასა და გრიგალს, კოკისპირულს წვიმას, რომ ცით დაიმედებულმა საღი კლდე, ქვეშ გათელოს, გზა გაიხსნას“.

განა ცხადი არ არის ბუნების ამ კონტრასტულ სურათებში განსახიერებული თავისი დროისათვის ღრმად აქტუალური მებრძოლი სოციალური აზრი? ხალხის მებრძოლი ნებისყოფისა და შემართების ახალი აზვრთების მოლოდინით გამსჭვალულია აქ წარმოსახული მთელი ვითარება. და ამ აღსარების დასკვნითი სიტყვებით თითქოს თვით ხალხი უგზავნის წყევლა-კრულვას იმ სულისშემხუთველ წყვდიადს, რომლითაც მოცული იყო ჩვენი ქვეყანა რეაქციის წლებში „კრულ იყოს ასეთი დრო მოლოდინისა, დრო ფერმკრთალი სიცოცხლისა!..“

თავისი ქვეყნის უკიდურესი სოციალური და ნაციონალური ჩავვრის ხანაში მწერალი ბუნების ყოველ გამოვლენასაც კი სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გამაღვივებელ მოწოდებადაც სახავდა:

„ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოსჩანს თეთრი თოვლით დაფარული,

მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა: — მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თაღებით მოსილ ჭირი-სუფალივით რომ დასქევიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ:

„მოუარეთ საქართველოს!“

ეს მოწოდება მოისმის მშობლიური მდინარეების გალობა-სიმღერაშიც, შოთას აჩრდილის ბრძანებაშიც, კოკისპირული წვიმის ყოველ წვეთის გაუთავებელ, გაბმულ ძახილშიაც. მთელი გარემოცვა გამსჭვალულია ამ განწყობილებით.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს პატარა ზომის ერთი ნაწარმოები „გული“. მისი გმირი — ქართველი ახალგაზრდა — უცხოეთში გარდაიცვალა, სამშობლო-საგან დაშორებული, მშობლიურ ალერსსა და მზრუნველობას მოკლებული, გულისმკვლელ სიმართლევსა და უპატრონობაში. პროფესორმა, რომელმაც ცხედარი გაკვეთა, საკვირველება აღმოაჩინა: გარდაცვლილს გული აღარ ჰქონდა. „გულის მაგიერ ფერფლია დარჩენილიყო“, და როდესაც შვილის დაკარგვით გამწარებული დედა ქვითინებდა: „სადაა შენი კარგი გული, ამდენი ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში? — კედლიდან პატარა რუკამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე.

— მე დავწვი, — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია“.

მწერალი არ გაგვიმარტავს, მაგრამ ჩვენ ადვილად ვხვდებით, რომ ჭაბუკის გულის დამაჭკნობელ პატარა რუკაზე მისი პატარა და მაშინ უბედური სამშობლო უნდა ყოფილიყო გამოხატული, ხოლო მისი გულის დამწველ სურათზე სატრფოს სახება იქნებოდა აღბეჭდილი.

სამშობლოსა და სიყვარულის თემას დიდი ადგილი უჭირავს ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ ნაწარმოებებში, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერი ცხოვრების უადრესად სპეტაკ და კეთილშობილურ თვისებათა გამოხატულებას წარმოადგენენ.

„სულის დახატვა სხეულის დახატვას არ ჰგავს, სულის დახატვა უფრო ძნელია“, — ამბობს ნიკო ლორთქიფანიძის „სევდის სურათის“ გმირი მხატვარი. და თვით მწერალსაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე სწორედ ეს უძნელესი და ურთულესი ხელოვნება იზიდავდა — ხელოვნება ადამიანის სულის მხატვრობისა.

ადამიანის უკიდურესი მონობისა და ჩაგვრის ეპოქაში, მისი ყველა უწმინდესი და უწრფელესი მისწრაფების უხეშად გათელვის ხანაში, ნიკო ლორთქი-

ფანიძე, როგორც ქეშმარიტი ჰუმანისტი შეწერალი, მღელვარე სიყვარულით ხატავდა ადამიანის სულს. ერთგვარი რომანტიკული შარავანდელით მოსავედა მის ყველა სპეტაკ და კანონიერ გრძნობას, იგი რაინდებსა და რჩეულ ადამიანებს როდი არჩევდა თავის ქმნილებათა პერსონაჟებად. განსაკუთრებული ყურადღებითა და გულისხმიერებით გადმოგვიშლის შეწერალი პატარა ადამიანების, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების სულიერი დრამის სურათებს და მათი მეშვეობით გვიჩვენებს ცხოვრების სიტკბოსა და სიმწარეს, გადმოგვცემს თავის თვალსაზრისს სიცოცხლის აზრზე, ადამიანურ ღირსებაზე, სიყვარულზე, სევდაზე, მხიარულებაზე — ყველაფერზე, — რაც ავსებს და ამოძრავებს ცხოვრებას მის განუწყვეტელ მდინარებაში, მრავალფეროვნებაში, წინააღმდეგობებში.

აი, სოფლის შარავანდელზე მთვარიან ღამეში მოდის ცხენებისა და ურმების პატარა ქარავანი. დღეობიდან ბრუნდებიან. ურემზე მჯდომ სოფელ გოგონას მოკრძალებით ეტრფიალება ვაჟი. როცა ურემი ჩრდილს მიუახლოვდება, ვაჟი მიიწევს გოგოსაკენ.

„ — შეიწიე აქეთ, ძაბო!

— გაჩუმდი, დეიდა გაიგონებს.

ვაჟი თავისას არ იშლის.

— აბა, სიტყვა მომეცი, — მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

— რისი? — თითქოს არ იცისო, იცუღლუტა გოგომ.

— რომ არ მომატყუებ, ჩემს მეტს არ ინდომებ.

— ჯერ შენ მომეცი, არა, შემომფიცე.

— შენ თუ გიმტყუნო დამექცეს ოჯახი, წმინდა გიორგის ლახვარი მომზვდეს.

— შენს მეტს თუ გავყვე, დმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს...

— აბა ნახვამდის. არ დაგავიწყდეს, — და ბიჭი გადაუხვევს გზაბოძალში. მთვარიანი ღამის ჩრდილში მზადდება დრამა.

ქალაღმდეგე კი არ დაიბეჭდება, მსახიობები კი არ წარმოადგენენ. ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები; იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ვეღარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში“.

და ასეთივე დრამა ხასიათთა, სურვილთა და ნებათა შეჯახებისა არის ასახული ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების ციკლში: „ხელოვანთა ყავახანა“. ამ ციკლში მოქმედებენ არა გულუბრყვილოდ შეყვარებული სოფლელი გოგობიჭები, არამედ ერთი მხრივ, რთული და გამძაფრებული გრძნობებითა და წარმოდგენებით დატვირთული, ბოჭემის ფსკერზე დაქანებული ინტელიგენტი, ხო-

ლო, მეორე მხრივ, ბედით განებივრებული ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი, რომელთა შორის აღმოცენებული რომანული ურთიერთობის სარბიელს წარმოადგენს არა ურემი და სოფლის შარაგზა, არამედ „ავტომობილის“ გიჟური სრბოლა და ოპერის ლოჟა“.

ნიკო ლორთქიფანიძე არ ყოფილა ინდიფერენტულად განწყობილი თავისი დროის მძაფრი სოციალური პრობლემებისადმი. რეაქციის წლებში, როდესაც დროებით გამარჯვებული თვითმპყრობელობა ცხნებით, გადასახლებითა და ბორკილებით უსწორებდა ანგარიშს თავისი სოციალური და ეროვნული უფლებებისათვის ამხედრებულ ხალხს, როცა მოზეიმე რეაქცია ცდილობდა მთელი ცხოვრება საპყრობილედ გადაექცია, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ პროზაში მკვეთრ გამოხატულებას პოულობდა ეს სულის შემხუთველი ატმოსფერო საპყრობილედ ქცეული ცხოვრებისა, სადაც „სიმღერაც აკრძალულია, აქ უსიტყვოდ უნდა იტანჯო, რაც დაგემართება, გულში უნდა ჩაიმარხო, ადამიანური თვისება — ბოღმის, დარდის გამოთქმა უნდა დაივიწყო“. ადამიანისათვის არ უქმარებიათ, რომ იგი ბოღმითა და დარდით არის მოცული, მისთვის ამ ბოღმის გამოთქმის უფლებაც წაუერთმევიანა. ასეთი მძაფრი მამხილებელი ფერადებით ხატავდა ნიკო ლორთქიფანიძე მაშინდელი სოციალური ვითარების სურათს.

„საშობაო მინიატურების“ ციკლში, რომელიც 1910 წლით არის დათარიღებული, ვხვდებით მხატვრული პუბლიცისტიკის ისეთ იშვიათ ნიმუშს, როგორცაა „საქართველო იყიდება“. მასში დაუზოგავად მამხილებელი, ამაღლებელი ძალით არის წარმოსახული ჩვენი სამშობლოს ბედი თვითმპყრობელობის ველური კოლონიური პოლიტიკის პირობებში:

„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით, ვაჟკაცური ხასიათით, სტუმართმოყვარეობით, დიდებულის სანახაობით, წმინდა ჰაერით, ნამაგვევის სახლით და კარით, ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით, მჩქეფარე ნაკადულებით, ლურჯის ზღვით... იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული... იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სატუსაღოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარში და ავდარში.

...ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით“.

და ეს შემაზარავი მონოლოგი, ქვეყნის დარბევა-განადგურებით უკიდურესად აღშფოთებულ ადამიანის სულისკვეთების გამოთქმელი ეს მღელვარე ტირადა მთავრდება ნამდვილი მოთქმა-გოდებით: „იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფლებს“.

ასეთი ჭირისუფლური თავგანწირულებით ექომაგებოდა მაშინ მწერალი თავისი დამონებული სამშობლოს ხვედრს, ასეთი მოქალაქეობრივი გამბედაობით ჟღერდა მისი მიმზიდველი სიტყვა.

ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების სისასტიკისა და უკუღმართობის შემაზარავი სურათი დაგვიხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ“.

უზომოდ გამწარებულმა მამამ, რომელიც დამშეული ბავშვების ტანჯვას გაექცა თავისი ღარიბული ქოხიდან და დიდხანს დარეტიანებული უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა, საღდაც ნახევარი ჯამი სიმინდის ფქვილი იშოვნა.

— „მამა, ფქვილი მოიტანე? — აზრიალდნენ ბავშვები.

— გვაჭმევ?

— კი, შვილო, კი ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს“.

მაგრამ, როდესაც მჭადი გამოცხვა, შიმშილის სტიქიით შეპყრობილ მამას თითქოს გადაავიწყდა მშვიერი ბავშვების ტანჯვა:

„ჭადის სუნმა მამა აიტაცა, კეციდან ჭადი აიღო, გასაგრისებლად დაბერა და გასასინჯად ლუკმა პირში ჩაიღო. მთელს სხეულს განუზომელი მადა აღეძრა... მეორე ლუკმა... სწვაავდა ენას და მიანიც სჭამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

— მომეცი, მამა.

— მეც.

— გალით, თქვე გასაწყვეტლებო!

— მამა, მამა!

— მამა, ერთი ლუკმა! — “

მაგრამ მამას, შიმშილისაგან გამხეცებულ მამას, აღარ ესმოდა შვილების საცოდავი ვედრება. მან მთლიანად შეჭამა მჭადი და შემდეგ, როდესაც შიმშილის ბურანისაგან გამოფხიზლდა, იგი შეეზარა თავისმა საქციელმა.

„— მე შევჭამე... ბავშვებს არაფერი ვაჭამე... ღმერთო, რა მომივიდა!“— ამბობს თავზარდაცემული მამა. იგი სიარცხვილით, სინიღისის ქენჯნით და შიშით შეპყრობილი უახლოვდება ღონემიხდილ და ხის ქვეშ მიყრილ მძინარე ბავშვებს.

„უფროსს გამოელვძიბა, გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

— რა შეილო? — ნაზად უპასუხა.

— მთლად შექამე?

— II

— მამა, ცოტა იქნება დარჩა, მომეცი... მუცელი მტკივა, არ გავამხელ...
მამას ზღუქუნე წასკდა.

პატარა ბავშვებსაც გაეღვიძათ „მშია“ — „მშიას“ ძახილით. მამა წამოიქ-
რა, ეზო გადაირბინა, ვენახში მოხვდა. დაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა, გავიდა
ხეზე. დაჯდა, ბაწარი ტოტს მაგრა მიაბა. მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში,
გასინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და...“

განა შეიძლება ამასე მძაფრად და შემაზრზენად დახატვა შიმშილისა და
სილატაკისაგან გატეხილი ადამიანის ტანჯვისა, მისი სულიერი დრამისა?

ეს რამდენიმე მაგალითი ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ მინიატურები-
დან, ნოველებიდან, ლეგენდებიდან წარმოდგენას გვაძლევს მისი შემოქმედების
ფართო თემატიური დიაპაზონის შესახებ და ნათლად გვიჩვენებს, რომ მან მე-
ოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ღირსეულად განაგრძო ქართული
კლასიკური მწერლობის დიდი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიცია ხალ-
ხის წყლულთა გამოხატვისა, სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა დაუზოგავად
მხილვებისა.

ეს ტრადიცია, რომელიც მოსდევს ქართული მხატვრული პროზის განვი-
თარების გზას მისი უძველესი ოსტატებიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის
დიდ მწერლობამდე, ნიკო ლორთქიფანიძეს გადმოეცა თავისი სამი უშუალო
წინამორბედის თუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უფროსი თანამედროვის მეშ-
ვეობით. ჩვენ მხედველობაში გვყავს მე-19 საუკუნის მიწურულისა და ჩვენი
საუკუნის დამდეგის სამი შესანიშნავი ბელეტრისტი, რომელთაც თავიანთი შე-
მოქმედებით დაავგირგვინეს ქართული კრიტიკული რეალიზმის ევოლუცია და
გახსნეს პერსპექტივა უახლესი ხანის ქართული მხატვრული პროზის აღმოცენ-
ებისა. ესენი არიან: დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი და შიო არაგვისპი-
რელი.

დავით კლდიაშვილთან ნიკო ლორთქიფანიძეს ანათესავენ „დანგრეული
ბუდეების“ თემატიკა, ფეოდალური სამყაროს რღვევისა და დაკნინების მოტი-
ვები. ვასილ ბარნოვს ნიკო ლორთქიფანიძე უახლოვდება ჩვენი ხალხის წარ-
სულისადმი, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისადმი შეუწელებელი შემოქ-
მედებითი ინტერესით და გატაცებით, ხოლო შიო არაგვისპირელის ფსიქოლო-
გიურ ეტიუდებში, მის მიერ მგზნებარე პროტესტის გრძნობით დახატულ სუ-
რათებში სოფლური თუ ქალაქური ცხოვრების სიდუხჭირისა, ჩვენ აშკარად ვხე-
დავთ განწყობილებათა და ფერების ერთგვარ მსგავსებას ნიკო ლორთქიფა-

ნიძის იმ ნაწარმოებებთან, რომლებშიც მწერალმა თავისი სოციალური მრწამსი გამოავლინა.

ეს ანალოგიები იმას მეტყველებენ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული მშობლიური ლიტერატურის მაღლიან ნიადაგთან. ამის გამოც იგი ვერ გადაიბირა დასავლეთის დეკადენტური სკოლებისადმი ეპიგონობის ცდუნებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორედ ევროპის მოდერნისტული მხატვრული კულტურის მძლავრი ზემოქმედების ვითარებაში იზრდებოდა და სამწერლო სარბიელზე გამოსვლაც ლიტერატურული დეკადენსის ხანაში მოუხდა.

ვერ ვიტყვი, თითქოს ნიკო ლორთქიფანიძე აცდენოდეს დეკადენტური სამწერლო სკოლების ზეგავლენას. მის რევოლუციამდელ შემოქმედებაში იშვიათი როდია ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც გარდა სინამდვილის მოვლენათა აღქმისა და გამოხატვის იმპრესიონისტული მანერისა, აპოლიტიკურობის, უაღდობისა და ესთეტიზმის მანკიერებით ხასიათდებიან, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ „შელოცვა რადიოთი“, „უიალქნოდ“, „პანაშვილის“ ციკლი და ზოგიერთი სხვა მისი ადრინდელი ნოველა თუ მინიატურა.

მაგრამ ეს ხაზი როდია მთავარი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. ჩვენთვის, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ნიკო ლორთქიფანიძის ისეთ ნაწარმოებებს აქვს, რომელთა მეოხებითაც მწერალი რეაქციის წლების ქართულ ლიტერატურაში განაგრძობდა და ნერგავდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდ პატრიოტულ, ჰუმანისტურ და რეალისტურ ტრადიციებს. სწორედ ასეთ ნაწარმოებებში გამოავლინა ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობა, თავისი მხატვრული ნიჭიერების მთელი ძალა.

ნიკო ლორთქიფანიძე არ ყოფილა ვისიმე ეპიგონი და მიმბაძველი. მან, მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციათა ერთგულმა მემკვიდრემ, საკუთარი თვალთ შეხედა სამყაროს; მოვლენებისა და საგნებისადმი საკუთარი დამოკიდებულება განასახიერა თავის საუკეთესო ქმნილებებში და გამოიმუშავა თხრობისა და ხატვის თავისებური, მკაფიოდ ინდივიდუალური მანერა. მან, ჭეშმარიტმა ხელოვანმა, საკუთარი სიტყვა თქვა ჩვენს ლიტერატურაში, ამით ხელი შეუწყო მის განვითარებას და თავისი გარკვეული, ფრიალ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

საკმარისია შევადაროთ ნიკო ლორთქიფანიძე სამს ზემოთ დასახელებულ ბელეტრისტს, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან მასთან ქრონოლოგიურადაც და თემატიკურადაც, რომ ეს შედარება ერთბაშად გვიჩვენებს ნიკო ლორთქიფანიძეს, როგორც საკუთარი შემოქმედებითი გზის, დამოუკიდებელი მხატვრული კონცეფციის მწერალს.

თუ დავით კლდიაშვილმა თავისი განუმეორებელი ძალის ბელეტრისტულ ქმნილებებში ფეოდალური სამყაროს მწუხრი მხოლოდ დაკნინებულ აზნაურთა ცხოვრების ასახვით გამოხატა, ნიკო ლორთქიფანიძემ იმავე პროცესის გადმომცემ სურათებში გვიჩვენა ამ სასიკვდილოდ განწირული სამყაროს წარსული დიდებაც, გარდასული ელვარებაც. ეს გარემოება, ეს კონტრასტული მანერა შინაგან დაძაბულობას, ღრმა დრამატიზმს ბადებს ამ სურათებში.

თუ ვასილ ბარნოვი ისტორიულ დოკუმენტებში პოულობდა სიუჟეტებსა და მთავარ პერსონაჟებს თავისი ნაწარმოებებისათვის, თუ მის ისტორიულ რომანებში ყოველთვის მოქმედებენ ისტორიული პიროვნებანი და სიუჟეტის საფუძვლადაც ისტორიულად ცნობილი სიტუაციებია აღებული, ნიკო ლორთქიფანიძე სულ სხვა გზით მიდის: ქართველი ხალხის წარსულის ამსახველ თავის თხზულებებში იგი იშვიათად მიმართავს ისტორიულ ფაქტოლოგიას და არ გვიხატავს კონკრეტულ ისტორიულ გმირთა ცხოვრებას. მას, პირველ ყოვლისა, აღებული ეპოქის სული, მისი შინაარსი, მისი ხასიათი აინტერესებს და ყოველივე ამას შეთხზული პერსონაჟებისა და „გამოგონილი“ სიტუაციების მეშვეობით გადმოგვცემს. ეს გარემოება მან ხაზგასმულად აღნიშნა, როცა თავის „მრისხანე ბატონს“, „არა ისტორიული ამბავი“ უწოდა, ხოლო „უამთა სიავეს“ — „არა ისტორიული მოთხრობა“.

ასეთი მეთოდი გასაქანს აძლევს მწერალს ფართო ისტორიული განზოგადების მისაღწევად, წარსულის მოვლენების დასანახავად თანამედროვე ადამიანის თვალთ, დისტანციის გრძნობით, კრიტიკული ასპექტით.

თუ შიო არაგვისპირელი განზრახ ამუქებს საღებავებს და კუმშავს ატმოსფეროს, რათა მეტი სიმძაფრით გვაგრძნობინოს ნაწარმოების მამოძრავებელი აზრი, იდეა, ნიკო ლორთქიფანიძე ისწრაფვის ნახატის მეტი სიმართლისა და ბუნებრიობისაკენ. იგი უმრავლეს შემთხვევაში სურათისა და თხრობის სიღრმეში აქცევს ნაწარმოების მორალს, ხშირად ქვეტექსტიდან გველაპარაკებამის შესახებ, რის თქმაც და დასაბუთებაც უნდოდა მოცემული თხზულებით.

მხატვრული სიმართლე წარმოადგენს მისი შემოქმედებითი ცხოვრების უმაღლეს კანონს. იგი წერს ნათელი და წრფელი საღებავებით. მისი მხატვრული სტილი თავისუფალია ყოველგვარი მანერულობისაგან, ხელოვნური გართულებისაგან, ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია ფორმისადმი გამძაფრებელი ყურადღება. იგი იუველირის გულმოდგინებით ძერწავს სახეებს და ხვეწს ფრაზას. ნამდვილი პოეტური გზნებით მუშაობს სიტყვაზე. მაგრამ იგი აღწევს ისეთი მაღალი მხატვრული სისადავის დონეს, სადაც ფორმის სტიქია თითქოს შთანქმულია ნაწარმოებში განსახიერებული აზრისა და განწყობილების მი-

ვრ, სადაც სტილი შეუიარაღებელი თვალისათვის იმდენად გაუჩინარებულია, რომ თითქოს აღარც კი იგრძნობა.

ზომიერების გრძნობა, მხატვრული ტაქტი, უტყუარი გემოვნება შეადგენენ ნიკო ლორთქიფანიძის თითქოს თანდაყოლილ თვისებებს. მას აქვს კომპოზიციის იშვიათი ალლო, ფერების განაწილებისა და შეხამების ნამდვილი ოსტატობა, ღრმა შინაგანი სიმშვიდე ახასიათებს მის მიერ დახატულ ყოველ სურათს, მის მიერ მოთხრობილ ყოველ ეპიზოდს.

ხშირად იგი გვაღელვებს სწორედ ამ საოცრად თავდაპირილი და დამშვიდებული თხრობის მანერით. და, რაც მთავარია, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის თვისებების გათვალისწინებისათვის, უნდა გავიხსენოთ მისი ლაკონიზმი, მხატვრულ საშუალებათა შეგნებული სიძუნწითა და სიზუსტით გამოყენება. მას არ დაუტოვებია ჩვენთვის რომანები, ფართო პლანის ეპიკური თხზულებები, ფართო მხატვრული ტილოები. მინიატურებში, ნოველებსა და მოთხრობებში გამოხატა ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი თემებისა და იდეების უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი სამყარო. ამ უანრის მოცულობრივ განსაზღვრულობას ხელი არ შეუშლია მწერლისათვის გაეცოცხლებინა და მთელი სისავსით წარმოედგინა მათში მოქმედ პირთა ადამიანური ხასიათები, გადაეშალა ჩვენ თვალწინ თავის გმირთა ცხოვრების ხშირად მთელი ისტორია, მიეცა აღებული ეპოქის ამსახველი მეტყველი პანორამა.

მაგალითისათვის ავიღოთ მისი „თავსაფრიალი დედაკაცი“ — ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი ნიკო ლორთქიფანიძისა და საერთოდ, თანამედროვე ქართული მხატვრული პროზისა.

შვიდი გვერდის მანძილზე ამ მოთხრობაში მწერალმა დაგვიხატა ისეთი მკაფიო და ცოცხალი სახე ნაწარმოების გმირისა, თავსაფრიალი დედაკაცისა, ისეთი მკვეთრად გამოხატული ხასიათი, როგორსაც იშვიათად თუ შევხვდებით თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ხასიათის სრულყოფილად გამოხატვისა და მისი დიდი განზოგადებითი ძალის მხრივ ეს სახე შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივს, — ქართული რეალისტური მწერლობის ამ უჭკნობ მშვენებას და სიამაყეს.

ჩვენს თვალწინ გაივლის ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული, დიდი სინარულითა და მწუხარებით აღსავსე მთელი ისტორია გმირის ცხოვრებისა, იმ დღიდან, როდესაც იგი, ახალგაზრდა ქალი, პირველად დაანახვეს შორიდან მაჭანკლებმა თავისი ცხოვრების მომავალ თანამგზავრს, იმ წუთამდე, როდესაც იგი დიდი ქალაქის ერთ-ერთ მივარდნილ ქუჩის ჩიხში მკვდარი იპოვეს მილიციელებმა. და ეს ვრცელი და ამღელვებელი გზა ადამიანის ცხოვრებისა აქ გადმოცემულია არა სქემის, ან ესკიზის სახით, არამედ ჭეშმარიტი მხატვრული

განსახიერების გზით: კოლორიტულად დახატული ყოფაცხოვრებითი სურათების მეშვეობით, დეტალების, ნიუანსების დაცვით, გმირის სულიერი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომით. ჩვენ ვხედავთ ხელოვანის მიერ ცხოვლად დახატულ სცენებს ძველი იმერეთის ყოფისათვის დამახასიათებელი მაჰანკლობისა, გამზითვებისა, ქორწინებისა. ყველაფერი ამ სურათში განათებულია გლახური, ღარიბული, თანაც კეთილშობილური, უანგარო ადამიანური ურთიერთობისა და სიცოცხლის წყურვილის, სიცოცხლის მოყვარეობის სხივით. შემდეგ ხელშესახებად, საოცარი პლასტიკური სიცხადით გვიჩვენებს მწერალი გამრჯე და მშრომელი ახალგაზრდა ცოლ-ქმრის მხნეობით ფეხზე დაყენებული ოჯახის ბარაქიანსა და მადლიან ყოველდღიურ ცხოვრებას. მერე — ქმრის ავადმყოფობა, მისი გარდაცვალება, გამოტირილი და ქვრივად დარჩენილი დედაკაცის მწარე და გაუხარელი ბედი. აქ მწერალი კალმის ერთი მოსმით გვიხატავს ქართველი ქვრივი დედაკაცის ისეთ დამახასიათებელ სახეს, რომელშიც ორგანულად ერწყმინან ერთმანეთს გარეგნული პორტრეტი და სულიერ ღირსებათა გადმომცემი შტრიხები:

„ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წულეზამდის... წინდაც კი შავი... თუ გამოჩნდა, მეტისმეტად ლილიან წყალში გავლებული საცვალი.

თეთრი შუბლი.

შავი მაყვალივით თვალები,
მზეზე გაშავებული ლოყები,
მოქნილი ცხვირი,
სისხლისფერი ტუჩები,

თეთრი, გრძელთითებიანი ხელები, ეტყობა, ბევრს ვედარ საქმიანობს — იმატა ობლების მტერმა. იკლო მოყვარემ და იგი დადის:

პოლიციიში,
სასამართლოში,
სასწავლებელში,
მეზობელთან,
მამასახლისთან,
თავდაბალი;
საჩივრით,
მუდარით,
ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე, —

გადიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს,

თავისას კი მიაღწევს:

ბავშვებს სიმართლეს მოუნახავს, დახმარებას გამოითხოვს,

მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,

კერიას არ გააცივებს,

ბევრი ეარშიყებოდა შორიდან.

მაქანკლებიც მიუგზავნეს —

— როგორ უმტყუნო ობლებსო“.

ასე ძუნწი, მაგრამ ღრმად ეფექტური საშუალებებით წარმოგვიდგენს მწერალი თავისი გმირის მთელს ბუნებას, მის გარეგან შესახედაობას, მის შინაგან, სულიერ სიმხნევებს და კეთილშობილებას, მის მაღალ მორალურ ღირსებას. როგორი მხურვალე და მოყვარული გული ძვერს ამ ტანჯული ადამიანის მკერდში! იგი ღრმად განიცდის, მაგრამ არავის უნაწილებს თავის გულისტკივილს მას აქვს რაღაც თავისებური სიამაყე თავის უბედურებისა და მწუხარებისა. ამიტომაც ყოველთვის განმარტოებული, სხვებისაგან ნამალევეად, თითქოს ქურდულად დასტირის თავის უღროოდ დაკარგულ ქმარს. აი როგორ არის გადმოცემული თავსაფრიანი დედაკაცის ეს ჩვეულება მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდში:

„შავად მოსიღმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ კუთხეში ჩემს მახლობლად, ბოსტანში გაშალა და ფეხშიშველად, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი... მოთქმა.

წრფელად, გულამომჯდარი ისე ნაზ სიტყვებს, ისეთის მშვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადაღმა მე ავტირდი, ტირილი ზღუქუნად გადამექცა... უეცრად მე შემერცხვა... ქალი კი საჩქაროდ აღგა და თავის ნაბდიანად სახლში მიიმალა...“

ვაი-ვაგლახითა და ტანჯვა-წამებით დაზარდა ქვრივმა დედაკაცმა თავისი ობლები, გზაზე დააყენა ყოველი მათგანი. მოესწრო შვილიშვილებსაც. მშობლიური მზრუნველობით, დაუღალავად დატრიალებს თავს და დაჰხარის მათ უზომოდ მოსიყვარულე ბებია, მაგრამ ასევე უზომოდ ამაყი და მედიდური სული ცხოვრობს ამ მრავალტანჯული ადამიანის ბუნებაში. უმადურმა ქალიშვილმა ოდნავად შელახა, შებღალა მისი თავმოყვარეობა და ეს საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ თავსაფრიან დედაკაცს გადაეწყვიტა:

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიათ არავისთვის: ვარ სრულიად ზედმეტი, — დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...“

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა ერთად, ზანღუკში ჩაალაგა ყოველივე ხელსაღები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკრეტში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმად გამოვიდა ნაჭირნახულევე ქოხიდან. თითქოს შემთხვევით ჩაუტარა

ქმრის საფლავს, დიდხანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადაუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრად უთხრა: — ჰო, მოვალ, მოვალ, ჩემო ფილიპე!“

ასე თავგანწირულად და უგზო-უკვლოდ წასულ დედაკაცს არ დაევიწყებია ზრუნვა იმისათვის, რომ მის გადაკარგვას ჩრდილი არ მიეყენებინა შვილების ღირსებისათვის, სახელი არ გაეტეხა მათთვის, ხალხში არ შეერცხვინა ისინი და თავის სიცოცხლეში პირველად იცრუა მან: შვილებისათვის გაგზავნილ თავის ნაკარნახევსა და სხვისი ხელით დაწერილ წერილში იგი ამბობდა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი, ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ. ჩემზე ნუ სწუხართ, მშვიდობით სამუდამოდ“.

როგორ ცხოვლად და როგორი სისრულით არის დანახული და გადმოცემული მწერლის მიერ თავისი გმირის სულიერი სამყარო! როგორ მკაფიოდ გამოხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ამ პატარა ადამიანის სახეში თავისი მშობელი ხალხის მრავალი უმაღლესი და უწმინდესი ღირსება. სხვა მწერალს შეეძლო მრავალტომიანი რომანი მიეძღვნა ამ თემისათვის.

ნიკო ლორთქიფანიძემ ეს მასალა შეიდგვერდიან მოთხრობაში მოათავსა. ეს მწერლის მხატვრული პოზიციის, მისი სტილის საკითხია.

ჩვენ დაწერილებით შევჩერდით ამ ნაწარმოებზე. ყოველ მწერალს მოეპოვება ერთი ისეთი ქმნილება, სადაც მეტი სიცხადით არის რეალიზებული ავტორის მხატვრული ინდივიდუალობა. „თავსაფრიანი დედაკაცი“ ნიკო ლორთქიფანის ამგვარი ნაწარმოებია.

ეს ნაწარმოები მაღალი ადამიანობის, ადამიანის სულიერი მშვენიერებისა და სისპეტაკის შთაგონებული საგალობელია. ასეთი ნათელი ჰუმანისტური აზრით არის გამსჭვალული ნიკო ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედება. რაზეც არ უნდა წერდეს იგი, რომელი ისტორიული ეპოქის მოვლენებსა და რომელი სოციალური წრის ცხოვრებასაც არ უნდა ასახავდეს, როგორც არ უნდა იყოს მისი კონკრეტული შემოქმედებითი ჩანაფიქრი, ყოველთვის და ყველაფერში იგი ან დაჩაგრულსა და შებღალულ ადამიანურ ღირსებას ექომაგება, ან ცხოვრების ბნელი და უკუღმართი ყოველდღიურობის ზევით ამაღლებული ადამიანობის ძალას და მომნიბვლელობას შეჰხარის. ლეგენდაში „დადიანის ასული და მათხოვარი“ მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორი სასწაულებრივი ძალით გააღვიძა და ააღორძინა დადიანის მშვენიერი ასულის კეთილმა მოპყრობამ უკიდურესად ღატაკი და გაუბედურებული მათხოვრის არსებაში თითქოს ჩამკვდარი შეგნება საკუთარი ადამიანური ღირსებისა. ჩვრებსა და ძონძებში გახვეული, მშიერ-მწყურვალნი და გაძვალტყავებული, მოწყალეების მთხოვნელი ეს მათხოვარი, ამავე დროს ამაყობს თავისი ადამიანობით. მან იცის, რომ დედა-

მიწაზე ყველაფერზე მაღალი და ძვირფასი რამ ადამიანია და მას ვერაფერი შეედრება. „ლოდიშის სხვადასხვა კუთხეში კიდეც დიდხანს ისმოდა მათხოვრის სიტყვები: „პიილეთ მოწყალეა“, „განიკითხეთ საპყარი“, მაგრამ როცა მუსაიფში ჩაებმებოდა, იგი დინჯად ამბობდა: „გამხდარ თხას, დაკოქლებულ ცხენს, ჩახმახ-დამტვრეულ თოფს ფასი ეკარგება; ადამიანს კი ერთი და იგივე ფასი აქვს ყოველთვის და ყველგან, იმერეთის მეფობას არგუნებს, თუ დანელიას მელორეთ გააჩენს უფალი. დადიანის სასახლე ათას ფაცხაში არ გაიცვლება; ადამიანი კი იმდენივე ღირს, რაც მთელი კაცობრიობა, ადამიანის არც გაცვლა შეიძლება, არც დაფასება, არც გამრავლება, არც გამოკლება, იგი უფასოა, იგი ერთია, მუდამ ერთი, ადამიანი მუდამ ადამიანია — არც მეტი და არც ნაკლები“. ბრბოს ეს სიტყვები აკვირვებდა, აცინებდა და თან მაღამოდ ხვდებოდა დაბეჩავებულ გულზე“.

ადამიანობის ფეხქვეშ გათელვისა და დაბეჩავეების, სოციალური და ეროვნული მონობისა და მჩაგვრელობის პირქვეშ ხანაში ნიკო ლორთქიფანიძე ასეთ გამამხნეველ და ამამალლებელ სიტყვას ეუბნებოდა ხალხს და განა შეიძლებაოდა ამგვარ სიტყვას არ შეემსუბუქებია ხალხის წყლულები და ტკივილები?

რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირი ცხოვრების მეტყველი სურათი მოგვცა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობაში „კერიასათვის“. ღარიბი გლეხი ბიჭის მინიას ცხოვრების ისტორია აქ მოთხრობილია იმგვარად, რომ ამ ერთი ადამიანის თავგადასავალში მთელი სოციალური გარემო, ხალხის ცხოვრების სინამდვილის მთელი ატმოსფეროა ასახული.

არა მარტო აქ დახატული გლეხური ყოფის სურათები, არა მარტო ამ ნაწარმოების სიუჟეტის საფუძვლად აღებული ადამიანური ურთიერთობა გვიჩვენებს ირგვლივ გამეფებულ სიბნელესა და სიღატაკეს, არამედ თვით ბუნების სურათებიც, პეიზაჟებიც ამ სიღუხჭირის მომასწავებელი განწყობილებით არის გამსჭვალული.

აი, როგორ გვიხატავს მწერალი თავის ნაწარმოებში დატრიალებული დრამის სარბიელს, მოქმედების ფონს, პატარა დატაკ იმერულ სოფელს:

„ხრიოკი, მოწითალო, თიხანარევი სერები... გვიმრა გაყვითლებული... გადაჭრილი, გადაჩენილი ბუჩქნარი... ფულურო ბეოლის ხეები. დატლექებული უფოთლო მრავალშტოებიანი მუხა... ღორი ჩიქნის ამ უნაყოფო მიწას... ფერდებჩალეწილ ვირს ყურები მწუხარედ ჩამოუშვია. გაბურძგვნილი, გამხდარი ძროხა ცდილობს მოიბალახოს... მუწუკებით სავეს მოზუზუნული ბავშვი, თითქმის ტიტველი ტირის და ფეხის გულში შენასობ ეკალს ეძებს... მუნიანი ძაღლი ხარბად უყურებს ბავშვის კალთაში ჩამალულ ჭადის ნატეხს. ფერდობს ზევით ისლით დახურული ქოხი მოსჩანს. გადახრილია სიბერისაგან, უხმოდ ის-

ვეწება — შემასვენეთო... ბურულიდან ამოდის კვამლი, ნაზი, თხელი... თითქოს საკმეველია ცაში გაგზავნილი სათხოვრად, — გვშია და გაგვაძღეო...”

ყველაფერი აქ უმწეობის, დაძაბუნებისა და სილატაკის დაღით არის აღბეჭდილი. ფერადებისა და მოტივების ამ უწესრიგო, თითქოს ქაოსურ განლაგებაში აშკარად მოჩანს ხატვის ის იმპრესიონისტული მანერა, რომელიც ხშირად ახასიათებს ნიკო ლორთქიფანიძეს. იგი თითქოს ისწრაფვის შთაბეჭდილების მეშვეობით განგვაცდევინოს გარემოცვის სურათი. მაგრამ, როგორ ცხადად, ცხოვლად და მძაფრად ისახება ეს სურათი ჩვენს ცნობიერებაში! ამგვარად წარმოსახულ ფონზე მოქმედებენ მოთხრობის გმირები. ამბავი იწყება სოფლური ცხოვრების ჩვეულებრივი ყოფითი სცენით. ძმებმა გაიყვეს ღარიბი გლეხური მეურნეობა, თითოეული მათგანი ბევრად უფრო ლატაკი აღმოჩნდა ამ აუცილებელი გაყოფის შედეგად. უმცროსმა ძმამ მინაიამ გადაწყვიტა წავიდეს სამუშაოს საძებრად, „ბედის საძიებლად“. იწყება მისი მოგზავრობის ისტორია, მშობელი ბუდიდან მოწყვეტილი ადამიანის თავგადასავალი, აღსავსე მრავალი გაცრუებული იმედით, სწრაფწამავალი, წუთიერი ბედნიერებით, გამუდმებული ტანჯვითა და მწუხარებით. არაერთხელ თითქოს ფეხი მოიმაგრა მინაიამ, თითქოს წელში გაიმართა, დაუბრუნდა კიდევ მშობლიურ კერას, დასახლდა, დაოჯახდა, მაგრამ ცხოვრების გააფთრებულმა ტალღამ — ხან ყოფითი გარემოცვის უკუღმართობამ, ხან კანონის უსამართლობამ და უხეშობამ, და კიდევ ცხოვრების გზაზე შეხვედრილ ადამიანთა გაუტანლობამ და მაცდურობამ ისევ და ისევ შორს გადასტყორცნა იგი საკუთარი კერიისაგან და ბოლოს გაანადგურა კიდევ იგი, გააცამტვერა მისი კერა.

ადამიანი თავგამოდებით ებლაუჭება თავის ღარიბულ კერას. იგი იბრძვის კერიისათვის, მაგრამ ცხოვრების სისასტიკე უწყალოდ ერეკება მას, უნგრევს მშობლიურ ბუდეს, უმზადებს მას ყველა იმედისა და ოცნების, ყველა მისწრაფების კატასტროფას. ეს აზრია განსახიერებელი დასახელებულ მოთხრობაში.

მოთხრობის სიუჟეტის მოძრაობის ყოველი დეტალი გარკვეულ სოციალურ ასპექტშია გააზრებული. ხაჭარაშვილების ღარიბული გლეხური საოჯახო მეურნეობის გაყოფის ეპიზოდშივე, რომლითაც იწყება მოთხრობა, მკაფიოდ გამოსტკვივის ანგარების, ურთიერთ უნდობლობისა და გაუტანლობის, ზნეობრივი დაკნინებისა და სულიერი დაძაბუნების ის გესლი, რომლითაც მოწამლულია სიღარიბითა და უმეცრებით მოცული ცხოვრება რევოლუციამდელი სოფლისა. და შემდეგ მინაიას თავზე დატრიალებული ყველა განსაცდელი და უბედურება საბოლოო ანგარიშში შედეგია იმ უკუღმართი სოციალური წყობილებისა, რომლის ვითარებაშიც ადამიანის ყველა კეთილშობილური განზრახვა, მისწრაფება და მოლოდინი დასალუპავად იყო განწირული. ბედის საძიებლად უგზო-

უკვლოდ მოხეტიალე მინაიას, ვიდაც გაქნილი საქმოსნის ოჯახში ხელზე მოსამსახურის გაუხარელ ცხოვრებით გამწარებულს, თითქოს რაღაც სიხარული ეღირსა. მას შეუყვარდა მასავით ცხოვრებაგამწარებელი გოგონა ნინოია და აი, თითქოს მიაღწიეს მათ პატარა ადამიანურ ბედნიერებას, მაგრამ სწორედ ამ დროს მინაია მეფის არმიაში გაიწვიეს და სადღაც შორეულ მხარეში გადაკარგეს. პატიოსანი და კეთილშობილი მშრომელი ადამიანის წრფელმა გრძნობამ სპეტაკი ტრფიალებისა გაუძლო „სალდათობის“ მძიმე წლებს. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მინაიამ ცოლად შეირთო თავისი ნინოია, დაუბრუნდა მშობლიურ კერას და ღარიბული გლეხური ცხოვრება გააჩადა. მაგრამ აქ უკვე იმდროინდელი სოფლური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი კერძომესაკუთრული ინსტიქტი გახდა მიზეზი იმ ახალი უბედურებისა, რომელიც მომაკვდინებელი სიმძიმით დაატყდა თავს მინაიას — მას უნებლიე დანაშაული — მკვლელობა ჩაადენია. განუკითხავმა და უსამართლო კანონმდებლობამ მინაიას უსასტიკესი სასჯელი მიაკუთვნა. პატიოსანმა მშრომელმა გლეხმა ეს სატანჯველიც გადაიტანა, ისევ დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს და ახლა უკვე თითქოს საბოლოოდ მიაღწია თავის უმაღლეს ოცნებას — დაიმკვიდრა საკუთარი კერა, მაგრამ არა! ახლა უკვე მინაიას და მის ოჯახს უკანასკნელი და ამჯერად მომაკვდინებელი დარტყმა აწვნია გადატაკებული აზნაურობის ნაბოლარამ უზნეო და უქნარა დათუნა თვალავაძემ. მისი გვარიშვილობით და წოდებრივი უპირატესობით მოტყუებულმა ხაჭარაშვილებმა დათუნას თავისი ერთად ერთი ქალიშვილი შერთეს ცოლად და ზედსიძედ შეიყვანეს ოჯახში. ლოთმა და ზნედაცემულმა თვალავაძემ დაუსრულებელ ქეიფსა და დროსტარებაში გაანიავეა მინაიას ტანჯვა-წვალებით შექმნილი ქონება და ბოლოს მის მიერ აღებული ვალების დასათვარავად გაუყიდეს გლეხს სახლ-კარი. ამ უბედურებას კი ვეღარ გაუძლო მრავალტანჯული გლეხის ცულმა. მინაია უეცარი დამბლით გარდაიცვალა, დაინგრა და გაპარტახნა ოჯახი. დათუნა კი „წინათ ქეიფობდა და სვამდა, ახლაც სვამს, მაგრამ სევდა ასმევიანებს, თუ სმა ასევდლიანებს, ძნელი გასაგებია. ანდა რას გაიგებ იმ ადამიანისას, რომლის სახე ყოველ გამომეტყველებას მოკლებულია და რომლის ენა არ არის გაწაფული, რომ გულში ნადები გამოთქვას?“

ამ ნაწარმოებით ნიკო ლორთქიფანიძემ თავისებური ხარკი გადაუხადა მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის ჰუმანიტურსა და მამხილებელ ტრადიციას, რაც გამოიხატებოდა სინამდვილის წარმოსახვაში ჩრდილოვანი, ბნელი ფერებით, უპერსპექტივოდ, ხსნისა და გამოსავლის გაუთვალისწინებლად. უფრო მეტის განწირულების განცდით არის გამსჭვალული ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „დანგრეული

ბუდეები“, სადაც უკვე თავადაზნაურული ცხოვრების რღვევისა და დაკნინების ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილი სურათია წარმოდგენილი.

უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს მოთხრობა კი არაა, მინიატურების, ან მცირე ნოველების ციკლია. ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელი ნაშინი, ბუდედანგრეული, დასაღუბავად განწირული ადამიანები შეადგენენ ამ ნაწარმოების პერსონაჟებს. მათი ხვედრი მკაფიოდ გამოხატა მწერალმა ამ პატარა ნაწარმოების პროლოგში აღწერილი ნაგვიანევი, შემორჩენილი მერცხლების ანალოგიით.

„პატარა მერცხლები ეპოტინებოდნენ ნაბუდარს, ვერ იკიდებდნენ ფეხს, აჯღებოდნენ აივანზე გაბმულ ბაწარს, თრთოდნენ სიცივისაგან, ვარდებოდნენ აატაკზე, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და არ იცოდნენ რა ექნათ.

გავალე ოთახის ფანჯრები, რომ იქ მოეთბოთ თავი, მაგრამ ამაოდ.... ისინი როგორღაც ქღორტულებდნენ, რაც მე კვენესად მეჩვენებოდა და ყოველ მათ ქრიაბულში მე ვკითხულობდი სამღურავს“.

ასეთ კვენესად, ბედის მწარე სამღურავად ქღერს მწერლის მიერ დახატული მთელი სურათი „დანგრეული ბუდეების“ წიაღში თავშეფარებულ ადამიანთა ცხოვრებისა. ყველაფერი ნგრევის, გაპარტახებისა და გადაშენების უღმობელი სტიქიით არის მოცული ამ სურათში:

„შუაში უზარმაზარი ეზოა. ორსართულიანი, კრამიტით დახურული სასახლე, გამურული, გაშავებული სამზარეულო, კედლებგამონგრეული საჯინიბო, საღორე და საქათმე, მარანი, ხულა, საბძელი. ყველაფერი გაშეშებულა, გაკაულებულა. ბუნების საერთო მეჯლისია ირგვლივ. ვალავნის იქით კი ყველაფერი თითქოს გამხმარაო. ეზოში ჩაველი, ცხოველის სულის ჭაჭანება არ ისმის, ერთი ხე არ მოიძებნება, ერთ ბალახსაც კი ვერ ამოუყვია თავი, თითქოს აი ეს არის მტერმა გაანადგურა, ამოწყვიტა აქაურობა — და ეზოც ვერ გამორკვეულა უბედურებისაგანო. ყოველი ქვა თითქოს ვიდაცას ემუქრება მწუხარებისაგან გააფთრებული — რაც მომივიდა, მომივიდა, მეტს ვერას დამაკლებო. ეგვიპტის პირამიდები უსათუოდ ეგრე დაქცევის სიამაყით გამოიყურებიან“.

„დაქცევის სიამაყის“ ასეთი დრამაა გამოხატული „დანგრეული ბუდეების“ — ამ მაღალპოეტური ქმნილების ყოველ სტრიქონში.

ფეოდალური წოდების ნგრევისა და დეგრადაციის ასახვას ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიცია აქვს მხატვრულ ლიტერატურაში საერთოდ და კერძოდ ქართულ მწერლობაშიც. ჯერ კიდევ გიორგი ერისთავიდან და ლავრენტი არდაზიანიდან დაწყებული, ქართულმა მწერლობამ მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები მიუძღვნა ამ თემას... ქართული კლასიკური მწერლობის ეს ტრადიცია დაავიკრავინა ჩვენმა დიდმა და სახელოვანმა ბელეტრისტმა დავით კლდია-

შვილმა, რომელმაც თავისი შემოქმედების ძირითად თემად სწორედ აზნაურობის კვდომისა და მისი სრული ეკონომიური და მორალური განადგურების პროცესი აირჩია.

ყოველივე ამის შემდეგ მხოლოდ ნიკო ლორთქიფანიძის მძლავრსა და ორიგინალურ ნიჭიერებას შეეძლო ახალი კუთხით გაეშუქებინა ეს თემა, იმდენად ახალი და თავისებური განსახიერება მიეცა ამ თემისათვის, რომ როდესაც „დანგრეულ ბუდეებს“ კითხულობთ, სრულიადაც არ გრძნობთ თითქოს ნაცნობ, ლიტერატურაში არა ერთხელ გამოხატულ სურათთან გქონდეთ საქმე.

„დანგრეული ბუდეების“ შესავალში მწერალი რამდენიმე სტრიქონით გამოხატავს იმ შინაგან რღვევას, დაშლილობას, აზრთა, ინტერესთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობას, რომელსაც მოუცავს ისტორიის მიერ სასიკვდილოდ განწირული კლასი. ერთი ფეოდალური ოჯახის მაგალითზე მწერალი უკიდურესი სიცხადით გვიჩვენებს მთელი წოდების დაბნეულობის დაქსაქსვის, რღვევის სურათს.

„წელს ოჯახში შევიყარეთ ყველა წევრი. ძველი მეთაური აღარავინ იყო და ახალმა თაობამ არცა მონასტერი. ვინ აღთას მიდიოდა, ვინ ბალთას. ჩემი უფროსი ძმა გვირჩევედა ვენახები სრულიად აგვეკრა, რომ ხარჯებს გადავრჩენოდით, დას, რომელსაც მთელი ოცი წელიწადი არ გახსენებია სწავლა, განათლების მისაღებად პარიზში წასვლა სურდა. რძალი გვირჩევედა მარანი სახლის ქვეშ მოგვეწყო, რომ ერთს ადგილას გვექონოდა ყველაფერი თავმოყრილი. მეორე ძმა — გავიყოთო, იძახოდა და დედა კი გვირჩევედა „საზღვრების შესარგვალებლად“ ბანკში დარჩენილი ვიღაცის მამული დაგვეხსნა. ერთი დაი გვიმტკიცებდა ადგილები მშრომელ გლეხობას გადავცეთო. პატარა ჩემი დისწულის სიტყვები ახლაც ყურში ჩამწივის: „პროლეტარიატის ძირითადი მოთხოვნილება არ იქნებია დაკმაყოფილებულნი თვით ინგლისის პარლამენტში... ჩვენთვის საჭიროა სოციალისტური რესპუბლიკა!“

ამ „ბაბილონის გოდოლისებური“ სრული ენათაღრევის სურათში განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ მწერლის მახვილ თვალს დაუხანახავს, თუ როგორ ჩნდებოდნენ სასიკვდილოდ განწირული კლასის წიაღში ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ხსნას ხალხის მხარეზე გადასვლაში, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და მისი მასულდგმულელებელი იდეების გაზიარებაში ხედავდნენ. სულ სხვაგვარ მასალაზე და სხვა სოციალური პროცესის გამოსახატავად ეს გარემოება დიდი განზოგადებითი ძალის მხატვრულ სახეებში გვიჩვენა სოციალისტური რეალიზმის მწერლობის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ. ვგულისხმობთ მის ერთ-ერთ უდიდეს ნაწარმოებს „არტამანოვების საქმე“.

ფეოდალური სამყაროს ნგრევის ასახვისას ნახატისთვის მეტი სიმძაფრი-

სა და ემოციური ძალის მისაცემად ნიკო ლორთქიფანიძე ჩვეულებრივ კონტრასტის ხერხს მიმართავს. ოდესღაც სიმდიდრითა და ძლიერებით განთქმული ოჯახის სრული დაკნინებისა და გაპარტახების საოცრად მეტყველი სურათის პარალელურად მწერალი მკითხველის ცნობიერებაში ადადგენს ამ საცოდავი ადამიანების, ამ უბადრუკი გარემოცვის „გარდასული დიდების“ სურათსაც.

ნოველაში „მოხუცი იმ ქვეყნიდან“ მწერალი გვაძლევს თავადაზნაურული წოდების დაკნინება-გალატაკების შემზარავ სურათებს: „ტანტზე გაგებულ ჰუჭყიან, დაგლეჯილ ლეიბზე იწვა ახალობიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს... მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხები... ფეხებთან ტანტზე ეგდო გატეხილი კეხი. აბჯანდები და უკანასკნელი მოწმე ძველის დიდებისა, სევადიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა... რანაირათ გადაურჩა ამ საერთო წარყვნის დროს ეს საცოდავი? ჭრაქი აბოლებდა, წამლისა და დამპალი ტყავის საზიზღარი სუნი მეცა“.

აი კიდევ „უტყვეთა ცრემლებში“ მოცემული სურათი ოდესღაც მდიდრული და მედიდური ოჯახის კარ-მიდამოს დაქცევა-გაპარტახებისა:

„ქიშკარი თითქოს აღარ არის.

სვეტების ზესადგომი იქვე გვერდზე აგდია. დამპალი სახურავი სვეტს მიჰყრდნობია და უკანასკნელ ქარს ელის, რომ მიწაზე დავარდეს და მიწათ იქცეს. სვეტთა შორის ყოფილი ხარატულიანი ნიგვზის კარების მაგიერ ახლა გამხმარი შტოები, ჯირკები, ეკალი და ვაზის გამონასხლავი — ჯარჯი ერთმანეთში გადაუბურდავთ ზევით ეზოში ნამალევით დათესილი თუთუნის დასაცავათ.

...სასახლის ბუხარი და ბალავერია დარჩენილი, რომელშიც ამოსულა გავლურებული ბროწეული, მას შემოხვევია მაყვალი, ბალახბურდი და შიგ ქვემძრომნი დაბუღებულან.

...საწნახელი გვერდზე წევს, თითქოს ძინავსო. ვეებერთელა მურატაფა შუაზეა გატეხილი... ზედ აწევს ურმის ხელა. კვირისტავი ფეხაწეული დარჩენილა და კრიკინობს ქარის ყოველ შემობერვაზე. დაკირული ჭური, მიწიდან ამოღებული, ორმოსთანვე ძევს პირმოტეხილი. ნასროლი ქვების ნიშნები აქვს, მაგრამ ეტყობა, პირის მეტი ვერაფერი ჩამოაკლეს. სავსეა აყროლებული წყლით, შიგ უხმო ბაყაყი ცურავს“.

დაქცევა-გაპარტახების ამგვარი სურათებისათვის მეტი სიმძაფრის მისაცემად. ავტორი ამ ციკლის ნოველებში არა ერთხელ წარმოსახავს ამ ოჯახებში ოდესღაც გაჩაღებული ლალი და მდიდრული ცხოვრების დამახასიათე-

ბელ ეპიზოდებს. ნოველაში „ალბუმი“, ერთი თავადური ოჯახის გაპარტახების პანორამაში ჩართულია ამ ოჯახის პატრონთა დაქორწინების ასეთი სურათი.

„როდესაც ბიცოლა აქ მოიყვანეს, ისეთი ზეიმი ყოფილა, რომ მოულოდნელად მოსულს დრაგუნთა მთელს ესკადრონს მათი ოფიცრებით, მუსიკით ვერ დაურღვევია წესწყობილება. ყველას ყოფნია ადგილი სეფაში, ყველასთვის საკმაო დანა-ჩანგალი, ჭიქა-საინი და სასმელ-საჭმელი აღმოჩენილა და მხოლოდ ფანფარებს ისე დაუფრთხია ცხენები, რომ სამეჭინბოდან გამოვარდნილან, გაგიჟებული დაუწყიათ ეზოში სირბილი...“

ქორწილის წინა დღეს კიდევ უფრო სასაცილო ამბავი მომხდარა; როცა ორმოცდარვა არაბა ურემს მზითვით დატვირთულს სკლიდენ, პირველ ურემში ეკლესიის სამკაული ყოფილა. გაუღიათ ეკლესია, მოსულა დედამთილი, დიდი მლოცველი ქალი და თავისი ხელით და მღვდლის დახმარებით შეუსვენებია ხატები, ჯვრები, გადმოულაგებია წიგნები, ბარძიმ-ფუშხუმი, გარდამოხსნა, გვირგვინები და ბაირაღები, საცეცხლურები, ღვდლის სამოსელი. მაგრამ როცა მეორე ურემში ეპისკოპოსის მიტრა და კვერთხი აღმოუჩენიათ, ამ დინჯ ქრისტესმშობსავ ქალსაც ვერ მოუთმენია და უოხუნჯებია: „დავიღუპე ქალი, ჩემს შვილს მიტროპოლიტი შეურთავს ცოლათო“.

ებლა კი, ოდესღაც ასე ავლადიდებით და ზარ-ზეიმით დაქორწინებული ბიცოლა იქამდე მისულა, რომ სნეული მეუღლისათვის წამლის საყიდელი ფულიც არ გააჩნია და ეხვეწება სტუმრად მოსულ ნათესავს გაუყიდოს უკანასკნელი საყვარელი ნივთი — ძვირფასი ალბუმი, რომელიც მისთვის ქალწულობისას სახსოვრად მიუძღვნია რომელიღაც თაყვანისმცემელს აღტაცებული წარწერით: «Величественной красате в знак бесконечного восхищения, 1872 г. 1 января. Михаил».

ზოგჯერ მწერალი ახერხებს ერთსა და იმავე სურათში განასახიეროს წარსული სიმდიდრისა და ძლიერების წარმოდგენაც და ახლანდელი დაკნინება-გაპარტახების განცდაც: მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ „დანგრეული ბუდეების“ ციკლის ერთ-ერთ ნოველაში „ბიუსტში“ მოცემული ასეთი აღწერილობა:

„აი ამ ოთახში კი ნამდვილი ზღაპრული ამბავი ხდებოდა. ერთმანეთს ჩახუტებოდა ვერცხლის გვირგვინი, ნაზი ხუთფოთლიანი ქალის საბალო ხელთათმანი, დამტვრეული სკამები, კუბოს ფარჩა, ლამპის შუშა, უძველესი ხელთნაწერები, აჭედილი პატარა კოლოფი, ჟანგით შექმნილი უქარქაშო ხმალი, რომელზედაც გრძელ ზედწარწერაში ძლივს გავარჩიე... „გიორგი სააკაძისაგან“... სა-

ვარძელში ეტლის ბალიშები და მათ შორის თიხის ვეებერთელა ქოთანში... მაგნოლია... შტოები უკვე ჭერს მიბჯენოდა და ფოთლები, ყლორტები, ყვავილები ერთმანეთში ლამაზად გადახლართულიყო“.

ამ დღიურის ფორმით დაწერილი ნოველების მთხრობელს ძველმანების ქაოსში მტვრით დაფარული ბიუსტი უბოვნია. მასზე დიასახლისის სახება ყოფილა გამოკვეთილი. ბიუსტის ღრუში ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული ქაღალდი აღმოჩენილა. ეს ბარათი ოდესღაც ქალაქს წასულ მეუღლეს მიუწერია ამ ბიუსტში განსახიერებელი ქალისათვის, იგი საუკეთესო ნიმუშია ნიკო ლორთქიფანიძის სამწერლო სტილისათვის დამახასიათებელი იმ იშვიათი ლაკონიზმისა, რომელიც საშუალებას იძლევა რამდენიმე სტრიქონში მეტყველად და ცოცხლად წარმოისახოს არა მარტო ნაწარმოების გმირის, არამედ მთელი სოციალური ფენის ცხოვრების ისტორია გარკვეულ პერიოდში, წარმოისახოს დამახასიათებელი დეტალების, ნიუანსების დაცვითაც კი.

ამ ბარათში, რომლითაც ქმარი თითქოს ქალაქის ჩვეულებრივ, ერთის შეხედვით, უმნიშვნელო ამბებს აცნობებს სოფლად დარჩენილ საყვარელ მეუღლეს, მკაფიოდ არის ნაჩვენები დეგრადაციის გზაზე დამდგარი წოდების ფუქსავატი და უშინაარსო ყოფა-ცხოვრების ის მანკიერებანი, რაც საოცარი სისწრაფით მიაქანებდა ამ კლასს უფსკრულისაკენ. ამ ბარათში მოთხრობილი ყოველი წვრილმანი დამახასიათებელია დეგრადირებული ქართველი თავად-აზნაურობისათვის. აქ ლაპარაკია იმის შესახებაც თუ როგორის დაჟინებული გატაცებით ისწრაფვოდნენ ამ წოდების შვილები სამხედრო კარიერისა და ჩინმენდლებისაკენ, მეფის სამსახურში დაწინაურებისაკენ და ამ გზაზე არ ერიდებოდნენ არავითარ ხარჯს — ქონების განიავებას. ნაჩვენებია ისიც, თუ როგორ ბედნიერებად მიაჩნდათ ამ ადამიანებს მეფის ნაცვლის სასახლეში გამოჩენა, რისთვისაც მზად იყვნენ მთელი მამაპაპეული ქონება გაეფლანგათ. ბარათში გამოხატულია ის ურთიერთ ქიშპობა და შუღლი, რაც თვით უახლოესად მონათესავე მემამულეთა ოჯახებს შორისაც კი მძვინვარებდა, რომლის მეოხებითაც ამ ოჯახების მთელი სიმდიდრე ვაჭარ-სოვდაგართა ხელში გადადიოდა. „შენთვის ისეთი სამაჯური ვიყიდე, — წერს თავადი გიგო ამ ბარათში თავის მეუღლეს, — სულ თვალს მოთხრის შენს ძალუა ქალბატონს... მიკირტუმს გამოვართვი. იმერეთის დედოფლის ნაქონი უნდა იყოს, საიდან იშოვა ამ სულწაწყმეტილმა არ ვიცი“.

ერთი სიტყვით ამ ბარათის ყოველი სტრიქონი მკაფიოდ გამოხატავს ფეოდალური კლასის არა მარტო ნივთიერი დაქვეითების პროცესს, არამედ მის სულიერ და ზნეობრივ გადატაცებასაც. ამ ბარათის ტექსტი საუცხოო ნიმუშია

რეალისტურ ხელოვნებაში ყოველი სიტყვის, ყოველი ფრაზის აზრობრივად მაქსიმალური დატვირთვისა.

როცა „დანგრეული ბუდეები“ იწერებოდა, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და საკმაოდ მძლავრიც ფეოდალური წყობილების ნაშთები, თავად-აზნაურობას თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ქვეყნის სათავეში მოქცეულ რეაქციულ ძალთა შორის. იგი სრულიადაც არ ურიგდებოდა თავის სასიკვდილო განწირულების აზრს და არც აპირებდა ისტორიის სარბიელიდან უბრძოლველად წასვლას. ამიტომაც ასეთ ვითარებაში ამ წოდების განადგურების, მისი აუცილებელი და გარდაუვალი კვდომის ისეთ მეტყველ სურათს, როგორსაც „დანგრეული ბუდეები“ შეიცავს, უეჭველად პროგრესული საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

ის კი უნდა ითქვას, რომ ფეოდალური სამყაროს ნგრევისა და გაცემტვერების სურათები ნაწარმოებში ერთგვარი სიბრალულისა და თანაგრძნობის განცდით არის აღბეჭდილი. ამაში გამოჩნდა მწერლის მსოფლმხედველობის გარკვეული შეზღუდულობა იმ წოდების სულისკვეთებით, რომლის წიაღშიაც თვითონ წარმოიშვა.

უფრო გვიან, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ნიკო ლორთქიფანიძემ იმავე სამყაროს უკვე მომაკვდინებელი ირონიის თვალით შეხედა. მოთხრობაში „ფეოდალები“ მწერალმა გვიამბო. თუ როგორ დასახიჩრდა ერთი აზნაური იმის გამო, რომ ორმა გალატაკებულმა აზნაურმა ვერ მოახერხა თანასწორად გაეყოთ საზიაროდ ნაყიდი ცამეტკაპიკიანი თამბაქო. გაყოფის მიწვევ-მოწვევაზე ერთმა მათგანმა წალდით თითი გადაიქრა. ჭრილობა გამიზეზდა და სამუდამოდ დასახიჩრდა კაცი, დაძაბუნდა ისედაც ლატაკი ოჯახი, როგორ ირონიად გაისმის ამ უმწეო ადამიანთა თავგადასავალის აღმწერი მოთხრობის სათაურად სიტყვა: „ფეოდალები!“

ირონია და ჰუმორი ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული ნიჭიერების ორგანულ თვისებას შეადგენს. ამ მხრივ მისი „სოფლის არშიყნი“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“, „რუმბი“, „ბუმბერაზი“ და მრავალი ჰხვა ნაწარმოები თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშთა წყებას მიეკუთვნებიან.

იშვიათად მდიდარია და მრავალფეროვანი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების არა მარტო თემატიკა, არამედ მასში გამოხატული ტიპაჟიც, აღამიანურ ხასიათთა გალერეაც, ფერადების პალიტრაც, გამოსახულების საშუალებათა არსენალიც. მის ნაწარმოებთა კითხვისას თვალწინ წარმოგვიდგება ხან მსუბუქი ჰუმორით, თუ მახვილი ირონიით აღბეჭდილი სურათები, ხან უკიდურესად დაძაბული, მძაფრად დრამატიზირებული პასაჟები, ხან ნაზი მგრძნობე-

ლობით, კეთილშობილური ღირსებით გამსჭვალული ეპიზოდები. რა ფართო უნდა იყოს იმ ხელოვანის დიაპაზონი, რომელიც თანაბრად წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენ სურათებში მოგვითხრობს ერთი რუმბისათვის გაუთავებელ დავასა და ვაი-ვაგლახში ჩაბმული ორი აზნაურული ოჯახის ურთიერთობის სასაცილო ისტორიასაც („რუმბი“) და გადასახლებულად გამზადილ პარტიმართან ცოლისა და პატარა შვილების გამოსათხოვრად მისვლის ამბავსაც — „სანახავად“.

ეს მოთხრობა ერთ-ერთი სამაგალითო ნიმუშია ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილისათვის დამახასიათებელი იშვიათი ლაკონიზმისა, გამომსახველობის საშუალებათა ეკონომიისა და ტევადობისა. როგორც „თავსაფრიან დედაკაცში“ აქაც მწერალი ახერხებს რამდენიმე გვერდის მანძილზე განავითაროს ამბავი, რომელშიც მთელი რომანის მასალაა მოთავსებული და ასეთი შედეგი მიღწეულია არა კონსპექტური და სქემატური მომთხრობლობით, არამედ განსაკუთრებულად ცხოველი, ქმედითი, ეფექტური მხატვრული საშუალებების შერჩევით.

ლამაზ გლეხის გოგონას მოწონებია და შეყვარებია თანასოფლელი ვაჟი ვარდენი. ქალ-ვაჟს გადაწყვეტილი ჰქონიათ დაქორწინება. მაგრამ მაჭანკლების ჩარევას, მშობლებისა და ახლობლების დაინტერესებას, ალბათ რაღაც ანგარიშსა და ანგარებას სხვაგვარად გადაუწყვეტია გოგონას ბედი. იგი ექვთიმესთვის მიუთხოვებიათ. თავისი სურვილისა და გრძნობების საწინააღმდეგოდ გათხოვალი ქალი დამორჩილებია ბედს და ზედიზედ მიუძღვნია ქმრისათვის ორი შვილი. მაგრამ ვარდენის გულში არ ჩამქრალა პირველი წრფელი ტრფიანების განცდა. და აი, ერთხელ, სასოფლო დღესასწაულის დღეს „ჯარობაზე“ მთვრალი ვარდენი შეხვედრია თავის ყოფილ მიჯნურს და აღეგნებია მას. უსიამოვნების თავიდან აცდენის მიზნით ქალს შინისაკენ გაუწევია, მამაკაცი უკან გამოსდგომია. ეს შეუნიშნავს ექვთიმეს და ეჭვით შეპყრობილს თავის ეზოში მიუსწრია ვარდენისათვის. მეტოქეთა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭახება ვარდენის დაღუპვით დამთავრებულა. მკვლელი ექვთიმე შეუპყრიათ, გაუსამართლებიათ, მისთვის გადასახლება მიუხჭიათ. უპატრონოდ დარჩენილი ცოლი თავისი ორი მცირეწლოვანი შვილით ქალაქისაკენ მიემშურება პარტიმარი ექვთიმეს სანახავად. მათი შეხვედრისა და გამოთხოვების სცენა, რომელიც შესრულებულია გამოსახულების საშუალებათა უკიდურესი ბუნებრივობით და სიზუსტით, ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით და სიმართლით, წარმოადგენს მწერლის დიდ მიღწევას, მხატვრული რეალიზმის ნამდვილ ზეიმს.

ცოლ-ქმარი ერთხანს დუმილით შესცქერიან ერთმანეთს.

„— რავაა შენი საქმე? — როგორც იქნა ბოლოს დაბალი ხმით იკითხა ქალმა.

— ამ ერთ კვირაში გაგვაგზავნიან! — ჩავარდნილის ხმით მოკლედ უპასუხა ტუსადმა.

ქალმა ახლა ველარ მოითმინა, უფრო ძლიერ მოუჭირა ხელი კალთაში მწოლარე ბავშვს და ჩუმად დაიწყო ქვითინი...

— შენ ეილე ჩემი და ბავშვების ცოდვა...

— ტყუილია, ღმერთია მოწმე, ექვთიმია, რომ ტყუელია!..

— ჰო, კარგი ახლა! აქ უცხო ხალხია... შენ ვერ დამაჯერებ...

დედაკაცი მიხვდა, რომ წასვლის დრო მოახლოვდა, იგი დაიწია კალათისკენ, ამოიღო და უხერხულად გადასცა ექვთიმეს შალის მოყვითანო წინდები.

— ეს დედამ გამოგიგზავნა. ქმარმა უხმოდ ჩამოართვა, კიდეც უფრო შემკრთალმა ქალმა გადასცა ქმარს მოხარშული ქათამი, ათიოდე კვერცხი და ორი ხაჭაპური.

— შენ რაღა მომიტანე, ბიჭო? — მწარის ღიმილით დაეკითხა მამა პატარა ბავშვს.

ბავშვმა ამოიღო უბიდან დიდი ხნის წინ ჩადებული ხელი, უფრო მიეკრა მორცხვობით დედას და დაუწოდა... ექვთიმია ჰრულიად არ მოელოდა... დროზე ვერ მიაშველა ხელი და ოთახში იფრთქილა გრძელკუდა და თეთრგულმკერდიანმა ჩიტმა... იგი სარკმელს ეცა... რომ ვერ გაატანა, იქვე ჩამოჯდა თაროზე, თვალი მიაგლ-მოაგლო, ისევ იფრთქილა, იქლივლა და გავარდა გაღებულ კარებში. ყველას რაღაც სევდა მოაწვა გულზე, თითქოს ამ ჩიტს გაატანეს საღამო უსაზღვრო ქვეყნისადმი. მაგრამ ეს სევდა არ გავდა კრულვითა და წყევლით სავსე წინა წუთის მწუხარებას... არა, იგი რაღაც ღმობიერი და მიმტვებელი იყო... დამწუხრებულმა ტუსადებმა და მნახველებმა — ქირისუფლებმა, ქვასავით გაჩერებულმა ჯარისკაცებმა, ყველამ თანაგრძნობით დაუწყო ყურება ამ ოთხ ადამიანს.

— მომიტევე, ექვთიმია, მომიტევე, — დაგლუპე, მარა არ ვარ დამნაშავე! — ტიროდა ქალი.

— ე, რაც იყო, ღმერთმა მოგიტეოს, ამ ბავშვებს მოუარე... დედაჩემსაც ნუგეში უთხარი, ცოდვაა დედაბერი. — ექვთიმეს თვალზე ცრემლები მოადგა... როცა ექვთიმე ძუძუმწოვარას ჰკოცნიდა, ქალი დაიხარა და მოწინებით კისერში აკოცა. — არ ვიცოდი, ექვთიმია, თუ ასეთი კი გულის იყავი! მშვიდობით, მშვიდობით! ვინ იქნება აწი ჩვენი შემწყნარებელი?! ექვთიმამ აწია თავი, გადაეხვია თავის ცოლს, აკოცა და თვალთაგან ცრემლები გადმოცვივდა...

— მშვიდობით, ცოლო და შვილო! — დაიძახა ექვთიმამ კარებიდან, როცა იგი ოდნავი ძალის დატანებით გაყავდათ ჯარისკაცებს და ზედამხედველს.

— მშვიდობით! ტირილ-ყვირილით უპასუხა ქალმა; დაიხარა და მარჯვენა ხელი ძლიერ დაიკრა მუხლზე, რასაც შვრებიან ჩვენში კუბოს უკან მიმავალი ახლობელი ჭირისუფლები“.

რა მძაფრი დრამატიზმია, რამდენი ლირიკაა და როგორი წვედომაა გმირის სულიერი ცხოვრებისა, რაოდენი ფსიქოლოგიური სიმართლე და ემოციური დაძაბულობაა ამ სურათში!

ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც რეალისტი მხატვრის, როგორც თხრობისა და აღწერილობის იშვიათი ოსტატის უპირველეს ღირსებას მაინც ცოცხალ და მკაფიოდ გამოკვეთილ სახეთა, მკვეთრად ინდივიდუალურ ადამიანურ ხასიათთა ხატვის ძალა შეადგენს. ჩვენს ცნობიერებაში დაუფიქრად ცოცხლობენ ძველი სოფლის დუხჭირი ცხოვრებით უზომოდ დაბეჩავებული ახალგაზრდა გლეხი საბა („საბა“) და რაღაც ტიტანური ფიზიკური ძალით დაჯილდოებული ფრანგულაშვილიც, რომელიც ადვილად იშუშებს ურიცხვ ჭრილობას და რომელსაც შეუძლია ზურგზე თივის მთელი ზვინი წამოიკიდოს („ბუმბერაზი“); წარუშლელად ცხოვრობენ მკითხველის მეხსიერებაში საბრალო ქეთო, რომელიც სულიერად დაავადმყოფდა თავისი საყვარელი ქმრის სასიკვდილოდ დაჭრის გამო, თუმცა ქმარი კი განიკურნა ამ ჭრილობისაგან, სხვა ცოლი შეირთო და მხიარულად ატარებს ცხოვრებას („ქორწილი“) და აგრეთვე მოთხრობის „მარად და მარად“ გმირი დათიკო, იმ ქალის სახელისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპული, რომელმაც მისთვის მიცემული სიყვარულისა და ერთგულების ფიცს უღალატა.

და მთელი ეს მრავალფეროვნება, ეს სიუხვე თემებისა, სახეებისა, მოტივებისა განათებულია ადამიანისადმი სიყვარულისა და თანაგრძნობის ჰუმანისტური აზრით, მისი ჩაგვრისა და ტანჯვის გამო მღელვარე უკმაყოფილების გრძნობით, ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობის მაღალი იდეალით.

ამ იდეალს გამოხატავდა და უმღეროდა ნიკო ლორთქიფანიძე მთელი თავისი შემოქმედებით.

* * *

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული ნიკო ლორთქიფანიძის შთაგონების ერთ-ერთ ძირითად წყაროს შეადგენდა. მრავალ თავის მოთხრობასა თუ ნოველაში ასახა მწერალმა ჩვენი ხალხის მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა მხარე. ამ მხრივაც, თავისი სამშობლოს წარსულისადმი შეუენლებელი შემოქმედებითი ინტერესის მხრივაც, მწერალმა გასული საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიცია განაგრძნო.

სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას, ნაციონალური სიამაყის გრძნობას, ხელი არ შეუშლია ნიკო ლორთქიფანიძისათვის ფხიზელი თვალთ შეეხედა წარსულის მოვლენებისათვის და სიმართლით გამოეხატა ფეოდალური წყობილების მანკიერებანი.

როგორც ცნობილია, ისტორიული ქანრის ქართულ მხატვრულ მწერლობაში ხშირად ჭარბობდა წარსულის იდეალიზაციის ტენდენცია, ჩვენი მეფეებისა, მაღალი საერო თუ საეკლესიო არისტოკრატიის წარმომადგენელთა მხოლოდ გმირობისა და ვაჟაკობის, თავდადებული მამულიშვილობის, სულიერი თუ ფიზიკური რაინდობის ჩვენება. სამწუხაროდ, ისტორიული წარსულისადმი ასეთი ცალმხრივი მიდგომა ახასიათებს ქართველი საბჭოთა მწერლობის მიერ დაწერილი ისტორიული რომანებისა და პიესების დიდ ნაწილს.

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობები და ნოველები, დაწერილი ისტორიულ თემაზე, თავისუფალია წარსულის იდეალიზირებული, რომანტიზირებული ასახვის მანკიერებისაგან. პირიქით, მწერალი ფხიზელი რეალისტის თვალთ შესცქერის შორეულ საუკუნეებს და მართებული, მამხილებელი თვალსაზრისით გამოხატავს ფეოდალური არისტოკრატიის, მთავრების, ბატონიშვილებისა და მძვინვარე ფეოდალების სასტიკ, არაადამიანურ დამოკიდებულებას ხალხისადმი, ერთმანეთს შორის შუღლსა და მტრობას, აღვირახსნილ პარტიკულარიზმს, ზოოლოგიურ ეგოიზმს. თავის ისტორიულ მოთხრობებში მწერალი ცოცხლად წარმოსახავს დიდ ფეოდალურ სასახლეებში დაგროვილ სიმდიდრესა და სიუხვეს, ამ სასახლეებისათვის დამახასიათებელ დიდკაცურ წესებსა და რიტუალებს, ამ სასახლეების მფლობელთა ძლიერებას, მათს ვაჟაკობას, ხასიათის სიმტკიცეს, ნებისყოფის ძალას. მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად მწერალი გვიჩვენებს, თუ რაოდენი ბოროტება, სისასტიკე, დაუნდობლობა და ძალმომრეობა სუფევდა ფეოდალური საზოგადოების ფენებში, რაოდენ ზნეობრივ აღვირახსნილობას და გარყვნილებას ჰქონდა ადგილი ამ გარეგნულად ბრწყინვალე და რაინდული ტრადიციების მქონე წრეებში.

ფეოდალური წყობილებისა და მისი ზედა ფენების მანკიერებათა მამხილებელი გამოხატვის მხრივ ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ მოთხრობებს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელს ქართულ მხატვრულ მწერლობაში.

მართალია, წარსულის მოვლენათა ამსახველი მისი მოთხრობების მთავარი გმირები უპირატესად მაღალი წოდების შვილები არიან, მაგრამ მწერალი არასოდეს არ იფიქრებს ხალხს, მშრომელ გლეხაკობას, მის აუტანელ ტანჯვაწამებას ფეოდალური მონობისა და ტირანიის სამყაროში. თითქმის ყოველ ისტორიულ მოთხრობაში ნიკო ლორთქიფანიძე შეუფერავი სიმართლით გვიჩვენ-

ნებს იმ აუწერელ სილატაკეს, შიმშილსა და სიბნელეს, რომელშიც ცხოვრობდა ერის უდიდესი უმრავლესობა — მშრომელი გლეხკაცობა. რად ღირს მართლ „უამთა სიავეში“ გამოხატული ის ერთი შტრიხი, როდესაც თავად იულონის მდიდრულ სასახლეში დიდებული ნადიმის დროს გამართულ ჭიდაობაზე საჭიდაოდ გამოსულ გლეხის ბიჭს ტანსაცმელი ვერ გაახდევინეს, რადგან... გასახდელი არაფერი გააჩნდა.

იმავე „უამთა სიავეში“ მეორე ასეთი ეპიზოდია აღწერილი: თავადმა იულონმა ჭიდაობის დასრულების ნიშნად ხელი ჩაავლო წამქცევს და აიტაცა ორივე მოჭიდავე.

„მჯობნის მჯობნი არ დაიღვეაო, — წაიბუტბუტა იქ მდგომმა გლეხმა.

— კაცო, რაგა წიწილებივით აწია ორი კაცი, — დაუმატა მეორემ.

— მეც მაჭამე მაგასავით და, ვინ იცის, იქნებ მე სამივეც ვეიყვანო, — მწუხარე ღიმილით სთქვა იქვე მდგომმა ძლიერ მაღალმა, კონკებში გამოხვეულმა ახალგაზრდამ, რომლის მოწყენილი, უსიცოცხლო სახე და მაგარი, მსხვილი ნაკვთები მოწმობდნენ სიმშლით შესუსტებულს ბუნებრივ ბუმბერაზობას“.

ასე მოკლედ, ძუნწად, მაგრამ მეტყველად მოხაზული პასაჟები მრავლადაა გაფანტული ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიულ მოთხრობებსა და ნოველებში. მწერალს ეხერხება ასეთი დეტალების, შტრიხების საშუალებით გამოხატოს გარკვეულ სოციალურ მოვლენათა განმასახიერებელი ტიპიური სახეები და გარემოებანი. „შიმშილით შესუსტებული ბუნებრივი ბუმბერაზობა“ — რა შესანიშნავადაა ნათქვამი! როგორ მკვეთრადაა დახასიათებული ამ ღრმაზროვან მხატვრულ ფრაზაში მთელი ჩვენი ხალხის, მშრომელი გლეხკაცობის, მართლაც და ბუნებრივად ბუმბერაზი, მაგრამ შიმშილით და უუფლებობით გატანჯული სოციალური ძალის ხვედრი და მდგომარეობა ფეოდალური წყობილების პირობებში!

მწერალი გვიჩვენებს მშრომელი ადამიანის სრულ უუფლებობას, მისი ყველა ადამიანური ღირსებისა და სასიცოცხლო ინტერესის დაუნდობლად ფეხქვეშ გათელვას მიძინვარე ფეოდალების მხრივ. „უამთა სიავის“ გმირმა, თავადმა იულონმა შეუბრალებლად გაგმირა მოწყალეების სათხოვრად მოსული გლეხი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უნებლიედ მოწმე გახდა იულონის მიერ საკუთარი დედის მოკვლისა, ფეოდალური ტირანიისა და აღვირახსნილი, არაადამიანური სისასტიკის კიდევ უფრო შემზარავი სურათებია დახატული მოთხრობაში „მრისხანე ბატონი“.

„უამთა სიავე“ და „მრისხანე ბატონი“ ყველაზე დამახასიათებელი ნაწარ-

მოებებია ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული წარსულის ასახვის თვალსაზრისით.

ისინი არ მოგვითხრობენ რომელიმე ისტორიულად ცნობილი გმირის ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ, მათში რომელიმე ისტორიულად ფიქსირებული, მართლა მომხდარი ამბავი როდია აღწერილი. მწერალი შეთხზული სიტუაციებისა და ტიპური ადამიანური სახეების მეშვეობით გვიხატავს აღებული ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელ ვითარებას ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. იგი არ ათარიღებს ამ მოთხრობებში ასახულ მოვლენებს, არ მიგვითითებს ნაწარმოებში გაშლილი მოქმედების დროულსა და სივრცეულ ლოკალზე. მაგრამ თვით აღწერილი სიტუაციები, მოქმედ პირთა მდგომარეობა და ხასიათები მთელი სიცხადით გადმოგვცემენ ეპოქის სულსა და გამოავლენენ ავტორის მიერ თავის ნაწარმოებში განსახიერებულ კონცეფციას.

„უამთა სიავეში“ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საქართველოს ისტორიის ის ხანა, როდესაც მრავალ უთანასწორო ბრძოლაში სისხლისაგან დაცლილი საქართველო დაქუცმაცებულია წვრილ სამეფოებად და სამთავროებად. ქვეყანა ფეოდალური პარტიკულარიზმის ქაოსით არის მოცული. ტახტის დატაცება, მძვინვარე ფეოდალთა ურთიერთ ბრძოლა, ქვეყნის, ერის სასიცოცხლო ინტერესების უგულვებლყოფა ნთქავს ქვეყნის ძალას, დოვლათს.

ოდესღაც ძლიერი, აყვავებული, კულტურული შემოქმედების უმაღლეს საფეხურზე აღზევებული საქართველო დაუქინებია, გაულატაკებია და უმეცრების წყვდიადში გაუხვევია გარეშე მტრების სისხლიან თარეშს და ფეოდალური პარტიკულარიზმის ბოროტ სტიქიას. ერის ყველაზე ფხიზელი და გონებაგახსნილი შვილები მწვავედ განიცდიან ქვეყნის ასეთ ხვედრს და ამოდ ოცნებობენ სამშობლოს წარსული მთლიანობისა და დიდების აღდგენაზე. — ვინც კი მოდის ჩვენში უცხოელი, — ამბობს თავის ფიქრებში იულონი, — ფარჩა და აბრეშუმი აცვია, ვერცხლსა და ოქროში არის ჩამჭდარი, ფული აქვს და საქონელი... ჩვენ კი გაძვალტყავებული, განაწამები ველით სიკვდილის დღეს... სხვაგან თურმე ცხოველსაც არ ტოვებენ უაქიმოთ, უწამლოთ, ჩვენში კი, დიდებულნი ვერ ღირსებიან ქინაქინას... წერა და კითხვა არ ვიცით, ღმერთს ვერ შევევდრებივართ წესიერათ!. სხვაგან მდაბიონიც მეცნიერები ხდებიან. ჩვენში დიდებულები ხელის მოწერის მაგიერ საბუთებზე ჯვარს ძლივს სვამენ... სწავლა გვაკლია, ერთობა და მშვიდობიანი ცხოვრება, ესაა ჩვენი უბედურება. ერთი სწავლული არის ჩვენში და ისიც გააძევეს სასახლიდან... ოდიშიდან გადმოვა თარეში თუ ოსეთიდან არ იცი. ქალაქში ნახშირი ვერ წაუღია კაცს, რომ გზაზე ორი მარჩილისთვის კაცი არ გამოკუჭონ სააღდგომო გოჭივით... ეჰ, ვის მივეკედლო, რით აღვასრულო კეთილი საქმე ქვეყნისა და ჩემთვისაც? გადავაგდოთ

ჩვენი უნიათო მეფე და მოვიწვიოთ ახალი... ამბობენ კახთა ბატონიშვილი ნიკიერი, გონიერი კაციაო და უებრო სარდალიო. რა გამოვა? გავახარებთ მხოლოდ რაჰის ერისთავს... რა გაუკეთდება ჩვენს მხარეს: იქნებ მოვიგერიოთ მთავარი ოდიშისა, ლაგამი ჩავკრათ წყრეთელსა და აბაშიძეს, მაგრამ გავუძკლავდებით განა ოსმალს? და განა ქართლს არ აწიოკებენ ლეკები და სპარსელები? ამბობენ ქართლის მეფეა ჭკვიანო, აი, იმერეთი რომ მას დაუჭერდეს მხარს, მას რომ ნებაყოფლობით შეუერთდებოდეს, მაშინ ადვილად დაიჭერს კახეთსაც... მირონცხეზული მეფის წინაშე, რომელიც დაამშვიდებს და ააყვავებს ქვეყანას, უნებურად ქედს მოიხრის ოდიში და აფხაზეთი, გურია და სამცხე, მაშინ დაიბადება მეორედ შოთა და აშენდება გელათი და სვეტიცხოველი“. დაკნინებული, დაქუცმაცებული და გაპარტახებული საქართველოს ასეთი ვითარებაა წარმოსახული იულონის ამ ფიქრებსა და ოცნებაში.

ასეთ ისტორიულ ფონზეა გაშლილი მოქმედება. იმერეთის ტახტი ნაძალადევად ხელთ ჩაუგდია არაკანონიერ მემკვიდრეს, გონებრივად და ზნეობრივად უმწეო მეფეს. ესმთა სიავე მძვინვარებს სამეფოში და მწერალი იშვიათი ცხოველმყოფელობით გადაშლის ჩვენს თვალწინ ამ სასტიკი და სუსხიანი ეპოქის სურათებს, სადაც სისხლისა და ცრემლის ზღვა ბობოქრობს, სადაც აღამიანთა ცხოვრება უმძიმესი ტანჯვისა და მწუხარების სარბიელად გადაქცეულა. მწერალი იჩენს გარდასულ მოვლენათა ცხოვლად აღდგენისა და წარმოსახვის იშვიათ ძალას. იგი საოცარი სიცხადით გააცოცხლებს შორეული ეპოქის პერსონაჟებს მათი ადამიანური გრძნობებით, ვნებებით, მისწრაფებებით.

ხასიათთა და ადამიანურ ინტერესთა მძაფრ კოლიზიებზე აშენებს მწერალი ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულ სიუჟეტს, სადაც ყველაფერი იმდენად დასაბუთებულია მხატვრულად, იმდენად ლოგიკური და დამარწმუნებელი, რამდენადაც ტიპიური და დამახასიათებელია აღებული ისტორიული ეპოქისათვის.

არა მარტო ისეთი ცენტრალური პერსონაჟები, როგორც არიან თავადი იულონი, მისი დედა, არჩილი, არამედ ისეთი ეპიზოდური მოქმედი პირნიც, როგორც მოხუცი მწიგნობარი ოტია, გლეხი გლახუა და სხვა, რომლებიც მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ გამოჩნდებიან თხრობის ასპარეზზე, დაუფიქრად რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში. ეს არის ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც ადამიანურ ხასიათთა მხატვრის, დიდი ღირსება.

მისი კალმის ქვეშ მეტყველად ცოცხლდებიან გარდასული, ჩვენგან დიდი მანძილით დაშორებული ცხოვრების ყოფითი სცენები.

ესმთა სიავეს გაუბოროტებია და ერთმანეთის წინააღმდეგ აღმხედრებია მოთხრობის გმირები. თავადმა იულონმა საკუთარი ხელით სასიკვდილოდ გას-

წირა მშობელი დედა, თვით იულონს თვალები დასთხარეს, როგორც მეფის ორგულსა და შოლალატეს. თავადი არჩილი ვერაგულად მოჰკლეს იულონის მიერ მოგზავნილმა მკვლელებმა და ასე სცელავს ერის სასიცოცხლო ძალებს ფეოდალური ტირანიისა და პარტიკულარიზმის სტიქია.

მაგრამ ამ მკაცრსა და შემზარავ სურათს თავს დასტრიალებს ქართველი ხალხის უკვდავების, მისი გამძლეობისა და მომავალი აღორძინების რწმენით გამსჭვალული ისტორიული კონცეფცია მწერლისა, რომელიც მან მკაფიოდ გამოთქვა თავისი ერთ-ერთი პერსონაჟის — მთლიანი და ძლევამოსილი საქართველოს აღდგენაზე ფანატიკურად მეოცნებე მოხუცი მწიგნობრის ოტიას სიტყვებში:

„ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, გვჯობნიდნენ მოხერხებით. დაილუპენ, ჩვენ — დავრჩით. ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელნი, გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით. სილამაზის მარად მსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ, ჩვენ კი ვართ, როგორც ჭანდარი სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ... ჩვენი ღლე დადგება ოდესმე, უეჭველია“.

ასეთი ნაციონალური სიამაყის გრძნობითა და ოპტიმისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დახატული სურათები ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრებისა. ასეთ გამამხნეველ და შთამაგონებელ სიტყვას ეუბნებოდა თავისი ისტორიული მოთხრობებით ნიკო ლორთქიფანიძე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად უფლებაახდილ და დამონებულ თავის სამშობლოს.

როგორც თემატიკის მხრივ, ისე ისტორიული კონცეფციითა და მხატვრულ საშუალებათა ხასიათითაც „მრისხანე ბატონი“ ორგანულ კავშირში იმყოფება „უამთა სიავესთან“. აქაც „უამთა სიავის“ მიერ გაბოროტებული, ერთმანეთის დასამხობად აღმდგარი ადამიანები მოქმედებენ, რომლებიც მწერლის მდიდარ ფანტაზიას და მახვილ მხატვრულ აზრს გაუტოცხლებია და წამოუყენებია შორეულ საუკუნეთა წყვდიადიდან.

მრისხანე ბატონის—თავადი ლევანის მონუმენტურად დახატულ სახეში მწერალმა დიდი განმაზოგადებელი ძალით გადმოგვცა ფეოდალური დესპოტიის მძვინვარე ბუნება. საკუთარი ძმის დამამხობელი, ობლად დარჩენილი ძმისწულის შესამუსრავად ამხედრებული ლევანი შიშის ზარს სცემს ყოველივეს თავის გარშემო. როგორი გულქვაობითა და უკიდურესი არაადამიანური სისასტიკით აწამა მან ახალგაზრდა ტყისპირელი გლეხი, გულუბრყვილო, უდანაშაულო ჭაბუკი. ადამიანის განწირვის ეს სურათი იმდენად შემზარავად გამოიყურება, რომ „თვით აფხაზეთის მთავრის შვილი, რომელიც თნებევით ჰყიდდა ოსმალეთის ბაზარში ტყვეებს და საკუთარ ყმებს, შეძრწუნდა...“

ლევანი და მისი სტუმრები — ბატონიშვილი პაატა და აფხაზეთის მთავრის შვილი მათი ფარული პოლიტიკური ზრახვების შენიღბვის მიზნით შუაგულ ზამთარში სანადიროდ გაემგზავრნენ. ნადირობისას ლევანმა შენიშნა, რომ თოვლში ჩაფლული ერთი ირემი ვიღაცას დაუკლავს. განრისხდა ზვიადი ბატონი. მოუხმო ზედატყისელების მამასახლისს.

„— აქ ვარ, ბატონო, — ფერმკრთალი წინ წამოვდგა.

— ეს რაა?

— ნუ შემრისხავ, ირემი კოჭლი იყო და ბრუტიანი... დაძაბუნდა და...

— თქვი, ვინ დაკლა ირემი?

— ჩემმა შვილმა.

— მომგვარე ახლავე.

— არ ვართ დამნაშავე, ბატონო, ბრიყვობით მოუვიდა, არ იცოდა თუ გეწყინებოდათ.

— ნუ სულელობ, შენ დაკალი, ბიჭო, ირემი?

— მე, ბატონო.

ყმაწვილი ბიჭი სიმაღლით სამი ადლი იქნებოდა; შესაფერი მხარბეჭი ჰქონდა; სრულ ჩოხას ეტყობოდა, თუ რა დევ-გმირის ტანს ჰფარავდა.

— ექიმბაშო, ამას ცოტა თვალი ტკივა და მოურჩინე.

ექიმბაშო საკვირველი ღიმილით მიუახლოვდა ყმაწვილს, მარცხენა თვალის უბე ჩამოსწია და ხარისოდენა შავი თვალი თეთრად გადმოტრიალდა.

ამოდენა ვაჟკაცი უხმოდ დაეცა თოვლზე.

— ირემი კოჭლიც იყო, ექიმბაშო.. — ბრძანა ისევ ლევანმა.

ექიმმა ოდნავ ჩასწია პაიჭი, საცვეთიდან ამოაძრო შარვალი და საცვალი, გამოაჩინა ტიტველი, კაჟსავით მაგარი მუხლები და თეთრ თოვლზე ჩქეფით დაიწყო დენა სისხლმა.

— მამასახლისო, ახლა წადი და თქვენებს უთხარი, ბატონი ლევანი მოწყალეა, მაგრამ მისი სურვილის წინააღმდეგ თუ ვინმემ საკუთარი წამწამი შეარხია, ურჩევნია თვითონვე დაითხაროს ორივე თვალი“.

ასეთივე საშინელი წამებით მოაკვლევინა ლევანმა ბატონიშვილი პაატას შიკრიკი მხოლოდ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა საუბარში დაიფიცა პაატას უფროსი ვაჟი რევაზი და არა დავითი — პაატას შვილი მეორე ცოლისაგან — ლევანის დისაგან.

ასე ფეხქვეშ იყო გათელილი გლეხობის აღმიანური ღირსება და სიცოცხლეც კი. ეს ტირანია, ასეთი მძვინვარე სისასტიკე შიშსა და ძრწოლვას ავრცელებდა ხალხში, ძირს უთხრიდა ხალხის ზნეობას, მორალურ ნორმებს.

უდანაშაულო კაბუჯის ველურად წამებით აღშფოთებული ზედატყისელები

ბი განიზრახავენ გადაუდგენ ლევანს და ოდიშის მთავარს ეყმონ. ამ მიზნით გლეხებმა მოციქულები მიუგზავნეს ოდიშის მფლობელს. ამ უკანასკნელმა კი თავისი ბიძის პაატას რჩევით ზედატყისელთა მოციქულები შეიპყრო და დასასჯელად ლევანსვე გაუგზავნა. ასე გასწირა ოდიშის მთავარმა მასთან მფარველობის სათხოვნად მისული გლეხები, რათა ამ გზით ძლიერი და მრისხანე ბატონის ლევანის გული მოენადირებინა.

გაბატონებულ წოდებაში გავრცელებული ეს დაუნდობლობა, გაუტანლობა და ბოროტება გავლენას ახდენდა თვით ხალხის ზნეობრივ სამყაროზეც. როდესაც ოდიშის მთავრის მსახურთ ლევანთან მიყავდათ შეპყრობილი ზედატყისელთა მოციქულები, მათ გზად შემოეყარათ ლევანის ძმისწული ვახტანგი. ყმაწვილს შეებრაღა სასტიკი წამებისათვის განწირული გლეხები და გაათავისუფლა ისინი. ზედატყისელებმა უზომო მაღლიერებით მიიღეს მათი მოციქულების გაშათავისუფლებელი. მაგრამ შემდეგ წარმოიდგინეს, თუ როგორ რისხვას დაატებდა მათ ლევანი მის საძულველ ძმისწულთან დამეგობრებისათვის. გლეხებმა გადაწყვიტეს როგორმე მოენადირებინათ მრისხანე ბატონის გული, ხოლო ამის საუკეთესო საშუალება ის იქნებოდა, რომ მისთვის მიეგვარათ შებოქალი ვახტანგი. როდესაც ერთმა ზედატყისელმა მეზობლებს უსაყვედურა, რომ კეთილმყოფელი სტუმრისადმი ასეთი მოპყრობა სირცხვილიაო, მას უპასუხეს:

„მთავარი აღარაფრად აგდებს სტუმარს და მეფე; შენ ვისი ტიკი-ტომარა გამოჩნდი!“

ამ რეპლიკაში მწერალმა სწორედ ის აზრი ჩააქსოვა, რომ ფეოდალური საზოგადოების ზედაფენა გამხრწნელ ზეგავლენას ახდენდა ხალხის ზნეობრივ ცხოვრებაზეც.

როგორც „უამთა სიავეში“, ისე „მრისხანე ბატონშიც“ მწერალი პირუთენელი სიმართლით ამხელს ფეოდალური არისტოკრატიის წრეებში დასადგურებულ ზნეობრივ აღვირაზსნილობას და განრწინილებას. ლევანის სასახლეში მომუშავე შინაყმა ქალების დიალოგი აღსავსეა ამ დიდგვაროვან ოჯახში ფესვგადგმული გარყვნილების მაგალითებით. ამის შესახებ მეტყველებს თვით ლევანისა და მისი მეორე მეუღლის ციცინოს ურთიერთობის ისტორიაც და ციცინოს დაჟინებული მისწრაფებაც ინტიმური კავშირი დაემყარებინა თავისი ქმრის ძმისწულთან — მრისხანე ბატონის მიერ საკანში ჩამწყვედეულ ვახტანგთან.

ლევანმა გაიგო ქალის ეს ავზორციული განზრახვა, რის გამოც შეუღარებელი სისასტიკით აწამა ციცინოც და ვახტანგიც.

არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ მხატვრულ მწერლობაში იშვიათად შევხვდებით ადამიანის გაბოროტებისა და შურისძიების ისეთ შემზარავ სურათს, როგორსაც წარმოადგენს ციცინოსა და ვახტანგის სიკვდილით დასჯის წარმომსახველი ეპიზოდი.

სამკედრო-სასიცოცხლო შეჯახებისათვის ერთმანეთზე მიშვებულ მძვინვარე მოზვრებზე დაკრული ციცინოსა და ვახტანგის დაღუპვის სცენა აქ აღწერილია ისეთი სიმძაფრითა და ექსპრესიით, რომ შეუძლებელია მოთხრობის ამ სტრიქონების წაკითხვა წრფელი მღელვარების გარეშე, შეუძლებელია ამ სურათის დავიწყება.

„ლევანი აივანზე დადიოდა გაშმაგებული.

„მზათაა?“ — კითხულობდა იგი.

მოხუცებული მიქაბერიძე მიუახლოვდა ლევანს.

— ბატონო!

— რა გინდა?

— ნუ ინებებ...

— გამშორდი, — ფეხის ბრახუნით დაიყვირა ლევანმა. — გამშორდით ყველა, სანამ არ დაგერიეთ ხმლით. მზათაა? ძაღლის შვილებო, გეკითხებით.

— მზათაა, ბატონო.

— გამოიყვანეთ!

თვალაბმული, დაბორკილი მოზვრები გამოიყვანეს. ხარების ზურგზე გადაგდებული ციცინო და ვახტანგი პირალმა იწვენ. ხელები გადაეწიათ და ხარების ყელის ქვევით შეეკრათ. ციცინოს ფეხები ხარის მარჯვენა ფეხზე იყო მიკრული; ვახტანგის ფეხები ხარის მარცხენა ფეხზე.

ქალს გული წასვლოდა. შავ გახვეწილ ხარს ძლიერ ჰშვენიოდა ეს თეთრი სამკაული. ყოველი ნაკვთი ათასწილ გამშვენიერებულიყო, თითქოს უკანასკნელ ძალას ხმარობსო.

ხელოვნურად შეკრული ბორკილი და თავსაბური ორივე მოზვერს ერთად შორიდან უცბად მოაშორეს. მზის სხივმა, ქვეყნის სანახაობამ მხოლოდ ერთის წუთით დააბნია, გააბრუა ცხოველები. ორივე დაიღუნა, დაყნოსეს მიწა და ერთმანეთისაკენ გაემართნენ ნელის, წყნარის ნაბიჯით. ზურგზე მყოფ ადამიანებს, მგონი, ვერც კი ამჩნევდნენ, ვეღარ გრძნობდნენ: სინათლე, სივრცე და წინ მდგომი რაღაც არსება მთელ მათ გონებას იკავებდა. მივიდნენ ერთმანეთთან, დაყნოსეს ერთიმეორე და შუბლით მიაწვენ ერთმანეთს, დაეჭიმათ ძარღვები, თავს უფრო და უფრო ხრიდნენ, ფეხები გააბჯინეს, არც ერთი არ უთმობდა ადგილს. სამარისებური სიჩუმე იყო.

ლევანი გაქვავებული იდგა აივანზე და ჰიდილს უცქეროდა. მოზვრებმა მიატოვეს ერთმანეთი და ახლო ბალახს უგემურათ წიწკნა დაუწყეს, უეცრად შემოტრიალდნენ, დადგენ ერთმანეთის წინ და ჰენებით ერთმანეთს იცენ.

ერთი მოზვერი განზე გაუსხლტა მეორეს. რქით ოდნავ დასჭრა მტერი. მოზვრები წამით შეჩერდნენ, გაზომეს ერთიმეორე და გაექანენ ერთმანე-

თისაკენ. ახლა მთლად მიწაზე მიჰქონდათ თავები. ერთმა მაინც მოახერხა თავი ნიჩქვში ამოეკრა. მეორემ მოასწრო უკანა ფეხებზე დადგომა, მკერდში მიმიზნული რქები ხარს ბეჭში მოჰხვდა და ციციხოს ძუძუ რქაზე შერჩა.

— ა, ვაი, — დაიკვილა ქალმა.

ქალის კივილით, ჭრილობის ტკივილით გაცოფებული ხარი უკან აღარ დაბრუნებულა და გვერდიდან თავშებრუნებული ეკვეთა მტერს. ერთმა რქამ ვანტანგს მუცელი გაუფატრა და წელები გამოაყრევინა, მეორე ღრმად ჩაერჭო მოზვერს გვერდში. ახლა ხარმა თითქოს სამაგიერო უზღოვო, გაიქცა უკან, შემობრუნდა და გაჩერდა. ორივე ხარი უკანასკნელ სასიკვდილო შეტაკებისთვის ემზადებოდა.

ვანტანგმა ველარ მოითხმინა, ერთმა უნებლიეთ აღმოხდენილმა ხმამ თან წაიყოლა კრულვა ქვეყნისა, გმობა უფლისა, უშვერი გინება და გაჩენის დღის წყევლა.

ვერც ერთი ხარი ვერა ჰბედავდა პირველი ნაბიჯი გადაედგა. ამ ნაბიჯის შესაფერი ხერხის მოგონება სურდა ორივეს. დიდხანს უცდიდნენ ერთმანეთს. ბოლოს ერთი გადახტა, მეორეც იმავე წამს დაიძრა ადგილიდან. დატაკების დროს ერთმა უეცრად შეაბრუნა თავი და ერთი რქა მტერს შუა შუბლში ღრმად ჩასცა. რქა გადატყდა. ორივემ საშინლად იბღავლა. ორივეს ენა გადმოუვარდა. შუბლგაპობილმა ხარმა კიდევ მოასწრო თავისი რქები კისერში ჩაეკრა მტრისათვის, სადაც ოდნავ სულისმღაფავი ყელი იდო ციციხოსი, დატორტმანდა და წაიქცა. ზევიდან დაადგა მტერი და ხან ერთ ადგილს ჰკრავდა მთელად დარჩენილ რქას, ხან მეორე ადგილას.

ვანტანგი ხარს ქვეშ მოექცა.

იგი კი არ ყვიროდა, კი არ იძახდა, ხრიანლებდა უფრო ხშირად გაუგებარს.

ლექები ერთმანეთს განცვიფრებული უყურებდნენ, რა ხალხში ჩავარდითო.

— გვიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი?

— შენი შველა აღარ შეიძლება და ამ სისხლისმსმელს კი დავუბნელებ დღეს, — წამოიძახა ახალგაზრდა ყიფიანმა, ელვის სისწრაფით ავარდა აივანზე და ამოიღო ხმალი.

შესცდა ტყე-ველში უებარი მეომარი. მოქნეული ლეკურის წვერი აივნის ჰერს მოჰხვდა. მეორე მოქნევამდე ლევანმა ხელებში სტაცა ხელი და ბოროტის ხარხარით უთხრა: ცინდალო, ლომის ცოდვებს შენ ვერ ზიდავ! ბიჭებო, აართვით იარაღი და ომაინს მიუყვანეთ. ომაინ, — გადასძახა აივნიდან ლევანმა, — შენთვის მიჩუქებია შენი შვილი, ჰკუა დაარიგე..“

ნიკო ლორთქიფანიძე რომ მართო ამ ეპიზოდის გადმომცემი ორი გვერ-

დის ავტორი იყოს, ის მაინც დარჩებოდა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც მხატ-
ვრული სიტყვის მაღალნიჭიერი ოსტატი.

ფეოდალური წყობილების დროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი
და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მრავალი დამახასიათებელი ეპიზოდია მო-
თხრობილი აგრეთვე ნიკო ლორთქიფანიძის ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ
მოთხრობაში „რაინდები“.

ამ ნაწარმოებშიც ჩვენი სამშობლოს ისტორიის პირქუში ხანაა ასახუ-
ლი, როდესაც წვრილ ფეოდალურ ერთეულებად დაყოფილი საქართველო
განკერძოებულ სამთავროთა ურთიერთბრძოლისა და ქიშპობა-მტრობის ქა-
ოსით იყო მოცული. სულს დაფავდა გარეშე მტრების მიერ დარბეული და ში-
ნაგანი ფეოდალური აშლილობით დაძაბუნებული ძველი საქართველოს სა-
ხელმწიფოებრივი ცხოვრება. მართალია ქვეყნის მეთაური კლასის ცალკეული
წარმომადგენლები არ ღალატობდნენ წინაპართაგან ნაანდერძებ კეთილშობი-
ლურ რაინდულ ტრადიციებს, მაგრამ ამ ერთეული გამოჩაკლისების პირადი
ადამიანური ღირსებანი ვერ შეცვლიდა მთელი ქვეყნისა და მისი მეთაური სო-
ციალური ძალებისათვის ისტორიის მიერ გამოტანილ უღმობელ განაჩენს.

ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროები ერთმანეთს ეომებიან. იმერეთის მე-
ფე ოდიშის მთავარს ეხმარება არა მარტო ნათესაური კავშირურთიერთობის
გამო, არამედ იმ მოსაზრებით, რომ თუ ომში აფხაზეთი დაამარცხა და დაი-
მორჩილა, შემდეგ აფხაზეთსა და იმერეთს შორის გამომწყვდეულ ოდიშსაც ად-
ვილად მოახრევიანებს ქედს და თავის სამფლობელოდ გაიხდის.

თუ რა სავალალო მდგომარეობაშია თვით იმერეთის სამეფოც, ამის შესა-
ხებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს თუნდაც ერთი ასეთი შტრიხი: იმერეთის
მეფე თავისი მცირერიცხოვანი ლაშქრით ბრძოლის ველისაკენ მიეშურება. სა-
მეფოს ჯარების სარდალი კი ნებართვას ითხოვს ორიოდე დღით ჩამორჩეს ამ
ლაშქრობას და მხოლოდ შემდეგ წამოეწიოს მეფის მხედრობას და ეს იმიტომ,
რომ სარდალს საკუთარი წისქვილის აშენება და მოწყობა განუზრახავს და
ვიდრე ამ საქმეს არ დაამთავრებს, არ შეუძლია ომში ჩაებას.

ოდიშის მთავარი უკმაყოფილოა, რომ მისი სიძე, იმერეთის მეფე ესოდენ
მცირერიცხოვანი ლაშქრით მოვიდა ომში მონაწილეობისათვის. ამგვარი საყვე-
დურით განაწყენებული მეფე სრულიად ათავისუფლებს ოდიშის მთავარს
ბრძოლაში მონაწილეობისაგან და მარტო საკუთარი ძალებით ეომება აფხაზე-
თის ლაშქარს. ბრძოლა ელვისებური სისწრაფით მთავრდება. იმარჯვებს იმე-
რეთის მეფე. მოთხრობის ძირითად ნაწილს ამ ბრძოლის აღწერილობა, ბატა-
ლური სურათები შეადგენს. ამ სურათებში ყველაზე საყურადღებო ის ეპიზო-
დებია, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორი თავგანწირულებით იცავ-

დნენ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეჯახებული მოწინააღმდეგეები რაინდულ წესებს, წოდებრივი თუ ასაკობრივი უმცროს-უფროსობის ტრადიციებს, დაჭრილი თუ წაქცეული მტრისადმი ლმობიერების კანონს, თავაზიანობისა და ზრდილობის ნორმებს. რად ღირს თუნდაც ის შემთხვევა, რომ ბრძოლის ველზე პირისპირ შეხვედრილმა იმერეთის მეფემ და აფხაზეთის მთავრის შვილმა ერთმანეთს გვერდი აუარეს და არც ერთმა თავის თავს უფლება არ მისცა იარაღი ეხმარა მოწინააღმდეგის მიმართ.

ბრძოლის დამთავრების შემდეგ იმერეთის მეფის ძმა არჩილი ეკითხება აფხაზეთის მთავრის შვილს: „ — რატომ არ შეუტრე მეფეს, როცა ერთმანეთს შეხვდით, ხომ კი ეძებდით მას?

ბატონიშვილმა თავი ჩაღუნა და მეფეს შეხედა, თითქოს ჰკითხავდა, ვთქვაო?

— ბრძანე, ბრძანე.

— მირონცხებული მეფე, — მორცხვად წარმოსთქვა ყმაწვილმა, ჩემზე ხნითაც უფროსია და გვარიშვილობითაც უმაღლესი—პირველად მას უნდა ენებებია ხმლის მოქნევა...

— ყოჩაღ! დაგელოცა სიტყვა-პასუხი! ვენაცვალე შენს ვაჟკაცობას! ისმის აქეთ-იქით.

...მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

ისევ არჩილმა მიმართა მეფეს:

— ძმაო-ბატონო, ახლა შენ უნდა გვითხრა, რატომ არ შეებრძოლე ბატონიშვილს?

— როგორც კი პირველად შევხედე, გავიფიქრე: ასეთი ვაჟკაცის გაფუჭებას ღმერთი არ შეუნიდობს კაცს-მეთქი და ჩაუარე გვერდი... მეორედ რომ ვუახლოვდებოდით ერთმანეთს, დაუპირე ხმლის მოქნევა, მაგრამ საბედნიეროდ ცხენს ფეხი დაუსხლტა. — და წაქცეულს კი არ ვიკადრე შევხებოდი. შენი ჭირიმე, შენი, — ალტყინებით იყვირა ვიღაცამ ბოლოში.

გაუმარჯოს მეფეს, გაუმარჯოს რაინდებს! ღრიალებდა დიდი და პატარა“.

ასეთი რაინდული სულის გამოვლინება იყო იმ ახალგაზრდის საქციელიც, რომელმაც ხალხის თვალწინ თავი მოიკლა იმის გამო, რომ გლეხმა ლაზიკამ საქვეყნოდ გაკიცხა და დაგმო მისი მამის, ლაჩარის და ცბიერი მებატონის აღმასხანის უღირსი საქციელი.

ქვეყნის საერთო დაძაბუნებისა და დაკნინების წყვედიადში მწერალი ეძებდა და პოულობდა ამალღებული ადამიანობის, რაინდობის ცალკეულ გამოვლინებებს და უმღეროდა მათ. ამაში მდგომარეობს ამ მოთხრობის მთავარი პათოსი, მისი ძირითადი შინაარსი. მოთხრობის ეპილოგში მწერალი გვიამ-

ბობს თუ როგორ წაღეკა ჟამთა შემდგომმა მსვლელობამ ნაწარმოების გმირების — მეფის, მთავრების, სარდლების, ზვიადი მებატონეების ძალა, სიმდიდრე, გავლენა. სამშობლოდან განდევნილი მეფე უცხოეთში გადაიხვეწა და გარდაიცვალა, გავერანდა დიდებულთა სასახლეები, დაინგრა მათი ოჯახები, მიმოიფანტა ქვეყნად მათი შთამომავალნი.

როგორც თავის სხვა ისტორიულ მოთხრობებში, „რაინდებშიც“ ნიკო ლორთქიფანიძე თვალსაჩინო ადგილს უთმობს ხალხს, მშრომელ გლეხკაცობას. ამ მოთხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირია გლეხი ლაზიკა, რომელიც განსაკუთრებული გონებამახვილობით, მოხერხებულობით, გამბედაობით, პატიოსნებით და ქვეყნისადმი ერთგულებით გამოირჩევა. სწორედ მას მიუძღვნა მწერალმა „რაინდების“ ფინალური სტრიქონები:

„მხოლოდ ლაზიკას საქმე და აზრი გამოდგა სიცოცხლეუნარიანი. მისი ცხენი ისე, როგორც თვით ლაზიკაც შეიქმნენ მეჩაღვადრეების წინამორბედნი: მათი შთამომავალნი იყვნენ ჭიათურიდან რომ პირველ ქარავნად წამოვიდნენ შავი-ქვით დატვირთულნი“.

ასე ორგანულად დააკავშირა მწერალმა „რაინდების“ ერთ-ერთი გმირის — გლეხი ლაზიკას მეშვეობით მოთხრობაში წარმოსახული წარსულის მოვლენები ჩვენს თანამედროვეობასთან — საქართველოს მუშათა კლასის, ჩვენი ეროვნული სამრეწველო პროლეტარიატის პირველ თაობასთან.

* * *

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი მსოფლმხედველობა, მხატვრული მრწამსი სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა. საბჭოთა ეპოქის ამობრწყინებას ის შეხვდა, როგორც უკვე სავსებით ფორმირებული ხელოვანი. მიუხედავად ამისა, მან, როგორც რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმა, მძლავრად განიცადა ახალი ცხოვრების, ჩვენი ეპოქის ნათელი იდეების ზემოქმედება.

საბჭოთა ეპოქაში დაწერა ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი უაღრესად საყურადღებო ნაწარმოებნი: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ფეოდალები“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“ და სხვ.

ახალი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის დაბადებისა და ფორმირების თემას მიუძღვნა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობა „მოქანდაკე“. ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია, თუ როგორ აამალა და მხატვრული შემოქმედების უმადლესი ოსტატობის, კულტურული ცხოვრების სიხარულს აზიარა ჩვენმა დიდებულმა დროებამ მოთხრობის გმირი — აუწერელ სიღატაკესა და სიბნელეში აღზრდილი ბიჭი.

ნაწარმოები გამსჭვალულია მადლიერებისა და სიყვარულის საყოველთაო-სახალხო გრძნობით იმ უდიდესი მოქანდაკისადმი, რომლის გენიაც აყალიბებდა და სამშობლოს სადიდებლად ზრდიდა ჩვენი ეპოქის ადამიანთა ბედნიერ თაობებს.

1927—1928 წლებში ნიკო ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის ვრცელი მოთხრობა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, რომელიც ჩვენი საუკუნის გარიყრაჟზე საქართველოში მძლავრად გაშლილი პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობის სახელოვან ეპოპეას მიეძღვნა. ეს მოთხრობა თვალსაჩინო მოვლენა იყო ოციანი წლების ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, თვალსაჩინო არა მარტო ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებით ბიოგრაფიის თვალსაზრისით, არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარების თვალსაზრისითაც.

1905 წლის რევოლუცია და ამ დიდ სახალხო მოძრაობაში ქართველი ხალხის მონაწილეობა მანამდეც არა ერთხელ ასახულა ქართულ მწერლობაში, მაგრამ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ ქართული მხატვრული პროზის პირველი ნაწარმოები იყო, რომელშიც მკაფიოდ და დამარწმუნებლად გამოიხატა ბოლშევიკური პარტიის, კომუნისტების დამრწმუნებელი, აღმაფრთოვანებელი და წარმმართველი როლი ჩვენი ხალხის რევოლუციურ ბრძოლაში თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. ამ მოთხრობაში პირველად გამოჩნდა ქართულ მწერლობაში რევოლუციური მოძრაობის სათავეში მდგომი მუშა-კომუნისტების სახეთა გალერეა, პირველად აისახა მათი შეურიგებელი ბრძოლა არა მარტო მეფის ხელისუფლებისა და ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ, არამედ ლიბერალური ინტელიგენციის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, მენშევიკ-ლიკვიდატორებისა და სოციალიზმის საქმის ყოველი ჯურის მტრებისა და მოღალატეების წინააღმდეგ.

როგორც თავის ისტორიულ მოთხრობებში, ამ ნაწარმოებშიც ნიკო ლორთქიფანიძე რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი რომელიმე ცნობილი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას, ან რომელიმე კონკრეტულად ცნობილი მოვლენის მხატვრულ ილუსტრაციას კი არ გვაძლევს, არამედ ქმნის ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე დაპირისპირებულ სხვადასხვა სოციალურ ძალთა გამომხატველ ტიპიურ სახეთა გალერეას, თხზავს ამ სოციალურ ძალთა შორის გამძაფრებული კონფლიქტის ნიანდაგზე აგებულ სიუჟეტს, რომელიც აგრეთვე ეპოქის სოციალური ვითარებისათვის ტიპურად დამახასიათებელ სიტუაციებს შეიცავს.

მოთხრობა იწყება რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში ქართული სოფლის, ქართველი მშრომელი გლეხკაცობის სიღარიბის ამსახველი კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სურათით.

მოთხრობის პირველსავე სტრიქონში გადმოცემულია სევდიანი, მწუხარე განწყობილება, რომელსაც მოუცავს იმერეთის ერთი პატარა სოფლის ისედაც ღარიბი და ცხოვრებაგამწარებელი გლეხკაცობა მოუსავლიანი შემოდგომის დღეებში: „რთველმა უფერულად ჩაიარა — ყველაფერი მალე გათავდა; ერთი-ორი გაიჭრიალა ურემმა და შეწყდა. ხმადაბლა, თითქოს რცხენნიათო, საღდაც გაისმა „ხვავე“, ნადი არავის მოუწვევია და ზღაპრობისა, გაშაირებისა და ხუმრობის შემდეგ, მუშების სიმღერა არ შეხვედრია დილის მზეს, რომ შემდეგ, ერთი წუთით დაძინების შემდეგ, ისევ დაეწყათ სიმინდის ტეხა, ყურძნის კრეფა, ჭურების რეცხვა და ჩალის ზიდვა.

საპატარძლო გოგოებმა და სასიძო ბიჭებმა ყურები ჩამოყარეს — მიხვდენ, რომ წრეულს მათ ჭვარს არავინ დასწერდა. ოჯახის თავ-კაცები ჩაფიქრებული უვლიდნენ ირგვლივ ნალიასა და ჭურებს და თითებზე ითვლიდნენ, თუ რამდენი თვის სარჩო დააკლდებოდათ. თვით ოღანია სარქველაძე, წელმაგარი გლეხი, რომლის ხელქვეით იყვნენ ცოლშვილიანი ვაჟები და მოზრდილი შვილები და შვილიშვილები, წინათ თუ ყიდდა და ასესხებდა ღვინოსა და სიმინდს, ახლა დარწმუნებული იყო, რომ ღვინო სოფლის დღეობისთვის საყიდელი გაუხდებოდა და სიმინდი ივნისის შუა რიცხვებამდე თუ გააყვებოდა.

მაგიერად საქონელი ლალად გრძნობდა თავს: ადრე აჭრილ ყანებში თავისუფლად სძოვდნენ და უეცრად შემატებულნი კუდ-აპრეხილნი დანაგარობდნენ.

— თქვენც დაგემჩნევათ ჩვენი გაჭირვება, თქვე ვერანებო, თქვენა! იწყებ-ლებოდნენ დედაკაცები, რომლებიც ვერ პოულობდნენ ეზოდან გადასულ მეწველ ძროხას, — თქვენ რჩენას ვინ აუვა ამ კვიმატიან წელიწადში?“

ეს „კვიმატიანი წელიწადი“, მოუსავლიანი შემოდგომის ეს ნაღვლიანი სურათი შესაფერ უვერტიჟურად ეღერს მოთხრობაში დახატული ფართო პანორამისათვის, რომელზეც წარმოსახულია ქართველი მშრომელი ხალხის საბრძოლო გამოფხიზლების, დიდი კლასობრივი ბრძოლებისათვის მისი დარაზმვისა და ამხედრების პირველი ნაბიჯები. მოუსავლიანი შემოდგომით შეწუხებულ გლეხს ფარნაოზ მარგველაძეს მოულოდნელად ესტუმრა დიდი ხნით ქალაქს გადაკარგული ძმა — რკინიგზელი მუშა პარმენი თავისი დაავადებული ცოლით. მალე პარმენმა დაითანხმა ძმა წასულიყვნენ სამუშაოს საძებრად, მათ მეზობელი გლეხი ოღანია სარქველაძეც შეუერთდა. ამ პატარა ჯგუფს მალე სათავეში ჩაუდგა რკინიგზის სახელოსნოების მუშა, ბოლშევიკი გაიოზ ლაბარდა-

ვა. მოთხრობის ამ დაწყებით სურათში მწერალმა გვიჩვენა, თუ როგორის ძალით და სისწრაფით ითრევდა თავის ორომბრიალში მშრომელ გლეხკაცობას ჩვენს ქვეყანაში მძლავრად ფეხადგმული პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობა.

ეს ადამიანები სულ მალე მონაწილენი გახდნენ მუშათა და ექსპლოატატორთა შორის გაჩაღებული მწვავე კონფლიქტისა. ტყეში, სადაც ხე-ტყის დამზადების სამუშაოებზე სხვა მრავალ გალატაკებულ გლეხკაცთან ერთად ისინი ჯოჯოხეთურ პირობებში შრომობდნენ, კატასტროფის შედეგად დაიღუპა ფარნაოზ მარგველაძე, დაობლდა მისი პატარა ვაჟი შაქრო. ამ ამბის საბაბით აღმოცენებულ მუშათა მღელვარების ფონზე მწერალი ხატავს ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის ადამიანურ სახეებს: მრეწველი ივანე გოლიაშვილისა, ბოქაულისა და კანტორის მოხელის ლადო ნორაბიძისა. მოთხრობის შემდეგ მსვლელობაში ეს ივანე გოლიაშვილი ქართველი ლიბერალური ინტელიგენციის ორჭოფული ბუნების გამომხატველ ტიპად ყალიბდება, ხოლო ლადო ნორაბიძე — საზიზღარი ჯამუში ხდება.

ფარნაოზ მარგველაძის დასაფლავებაზე გაიოზ ლაბარდავამ სიტყვა წარმოთქვა, რომელშიაც ნათლად დაახასიათა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების უკუღმართობა და გლეხობას რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდა. თუ პარმენმა პირველმა მოიტანა სოფლად ქალაქში დაწყებული მუშათა რევოლუციური მოძრაობის ამბავი, ახლა გაიოზმა გლეხობას გასაგებად განუმარტა ბოლშევიკური პარტიის საბრძოლო პროგრამა. „ამხანაგებო, ეს მიცვალებული არ ყოფილა არც მწერალი და არც მეომარი, არც მეცნიერი და არც მდიდარი და ამიტომ სახელი მისი უნდა გაქრეს!.. ასეა ჩვეულებრივ!.. არა ამხანაგებო, პატიოსანი მშრომელი, მიწის მუშა გლეხი უფრო მალეა დგას, ვიდრე... ჩვენის ნაოფლარით გასივებელი, ოქროში ჩამჭდარი სოვდაგარი... შორს არ არის დრო, როცა მთელი სახელმწიფო, ყოველი დაწესებულება, სკოლა, სასამართლო, სახლი, მიწა, იქნება მთელი მუშათა კლასის, განურჩევლათ ეროვნებისა, სარწმუნოებისა და სქესისა... მაშინ ამაყად ასწევს თავს მუშა და გლეხი... ეს იქნება ჟამი ნეტარებისა, როცა კუშმარტად დამკვიდრდება სიყვარული დასაპართლიანობა. მაგრამ ეს დღე არ მოვა თავისთავად — აპისათვის არის საჭირო მზადება, კავშირი ერთმანეთში. ბრძოლა, ასეთ მზადებას აწარმოებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკებისა... იგი ქმნის კავშირებს მუშებისას და გლეხებისას და იბრძოლებს დასრულებულს გამარჯვებამდე. მუშათა კლასის ზოგჯერ დამარცხება მტერს ნუ გაახარებს და მოყვარეს სასოწარკვეთილებაში ნუ ჩააგდებს: ვის უნახავს, რომ ახალგაზრდა მოჭიდავეს პირველთავე წაეპციოს გამოცდილი ფალავანი. ჩვენ ვიზრდებით, ვიწვრთნებით,

ისინი კი დაძაბუნდნენ და დამფრთხალნი კარგავენ გონებას... და როცა გაიმარჯვებს მუშათა კლასი, მაშინ შენც განისვენებ, უღვთო ჩაგვრის მსხვერპლო ფარნაოზ! ხალხი უმწეოდ არ დასტოვებს შენს ცოლ-შვილს... მაშ გაუმარჯოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბოლშევიკებისას!..“ ასე შეანათა სოფლად პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის პირველმა სხივმა. ეს ხდება რუსეთის პირველი რევოლუციის წინა წლებში.

იწყება 1905 წლის რევოლუცია. პარმენ მარგველაძე ამ დროისათვის რკინიგზაზე მუშაობს გზის დარაჯად. მასთან იზრდება მისი დაობლებული ძმისწული შაქრო. მწერალი რამდენიმე მკაფიო შტრიხით გვიჩვენებს რევოლუციური ბრძოლის, შეიარაღებული აჯანყების სწრაფ ზრდას. მოთხრობის სარბიელზე გამოდის ახალი ტიპი — მუშა რევოლუციონერი სპირიდონ ალბერდაძე, რომელიც ძეთაურობს რევოლუციონერთა შეიარაღებული რაზმების შეტაკებებს მეფის ჯართან და საერთოდ რეაქციის ძალებთან.

1905 წლის რევოლუცია მარცხდება. იწყება რეაქციის თავაშვებული თარეში, მისი სასტიკი შურისძიება ხალხის მიმართ. ამის ტიპიურ გამოხატულებას წარმოადგენს ყაზახების მიერ პარმენის ოჯახის აწიოკების, მისი მეუღლის მხეცურად მოკვლის ეპიზოდი.

პარტია რევოლუციური ბრძოლის არალეგალურ ფორმებზე გადადის. მოთხრობის ძირითად ნაწილს სწორედ ამ ბრძოლის ამსახველი სურათები შეადგენს. რკინიგზის ლიანდაგზე პარმენის სადარაჯო ქოხში პარტია აწყობს კონსპირაციულ სტამბას და იარაღის საწყობს. ამ მუშაობას ისევ გაიოზ ლაბარდავა ხელმძღვანელობს. რევოლუციურ მოძრაობაზე შიტიმასნილი, ვერაგულად შენიღბული ჯამუშის ლადო ნორაბიძის დაბეზლებით ჟანდარმერიამ მიაკვლია არალეგალურ სტამბას. მუშა-ბოლშევიკების საფხიზლისა და მოხერხებულობის მეოხებით გაიოზმა ძლივს დააღწია თავი ჟანდარმებს, მან მოახერხა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებისა და ქონების ნაწილის გადამალვა. პარმენი და აპატიჟრეს და კატორღაში გაგზავნეს, სადაც შემდეგ იგი მოკლულ იქნა გაქცევის ცდის დროს. გაიოზი ერთხანს შორეულ სოფლებში იმალებოდა, შემდეგ კი თბილისს დაუბრუნდა და პარტიის არალეგალურ მუშაობაში ჩაება. მან აშკარად გამოარკვია, რომ ლადო ნორაბიძე მოლაღატურ-ჯამუშურ მუშაობას ეწეოდა და პარტიული ორგანიზაციის მიერ კატეგორიულად აკრძალვის მიუხედავად. საკუთარი ხელით მოუსპო სიცოცხლე გამცემს.

გაიოზს კარგად ესმოდა, რომ პარტიული დისციპლინის დარღვევით დიდ დანაშაულს ჩადიოდა პარტიის წინაშე, მაგრამ მან ვერ შეძლო დაეოკებინა თავისი უკიდურესი აღშფოთება ლადო ნორაბიძის საზიზღარი საქციელის გამო. იმ მიზნით, რომ პარტიას ზედმეტი ზარალი არ განეცადა ამ ტერორისტული აქტის

შედევად, ეჭვით დაპატიმრებულმა გაიოზმა თვითონ განუცხადა ჟანდარმერი-
ას, რომ მან პირადი შურისძიების ნიადაგზე მოკლა მოლაღატე ნორაბიძე. გაი-
ოზიც კატორღაში გაგზავნეს. გადასახლებაში იგი დაუახლოვდა რუს კომუნის-
ტებს და ახალი ენერგიით ჩაება პარტიულ მუშაობაში.

გადასახლებიდან პარმენის ქალიშვილისადმი — ინტელიგენტი ბოლშევიკი
ქალიშვილის ანიკოსადმი, მოწერილ გაიოზის ბარათში მკვეთრად არის ასახუ-
ლი ის ველური სისასტიკე, რომლითაც მეფის მოხელეები ანგარიშს უსწორებ-
დნენ საპატიმროებსა და კატორღაში მოხვედრილ რევოლუციონერებს, რის მი-
უხედავად პარტიისა და მშრომელი ხალხის სამზადისი ახალი რევოლუციური
აღმავლობისათვის დღითი დღე ღვივდებოდა და ფართოვდებოდა.

მოთხრობის დასასრულს ჩვენ ვხედავთ შაქოს, რომელსაც პეტერბურგში
რკინიგზის ინსტიტუტი დაუმთავრებია, თბილისს დაბრუნებულა და არალეგა-
ლური პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გამხდარა ანი-
კოსთან, უკვე მოხუცებულ, მაგრამ სულიერად მხნე და გაუტეხელ სპირიტონ
აღბერდაძესთან და სხვა პროფესიონალ რევოლუციონერებთან ერთად.

მოთხრობის ფინალში მინიშნებულია პირველი იმპერიალისტური ომის
ქარცეცხლის ამოვარდნა.

თბილისის ქუჩაში ზაფხულის ერთ საღამოს მეგობრული მუსაიფით მოდიან
არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში თავგანწირულად ჩაბმული ანიკო, შაქ-
რო და მათი მეგობარი ახალგაზრდა პოეტი ანდრო. „თუ შენ მწერალი ხარ, წი-
ნასწარმეტყველი და გულთამხილავი, აი მითხარი, რა ამბავი მოაქვს აი ამ მავ-
თულს? — არ აძლევდა მოსვენებას ანიკო დაჯაბნებულ ახალგაზრდა პოეტს,
როცა ტელეგრაფის ბოძის ახლოს ჩაიარეს და ჩვეულებრივი ზუზუნი მოესმათ.

— უსათუოდ კარგი! მე დარწმუნებული ვარ, რომ კარგი!

არაფინ იცოდა, თუ აქ გაბმულ მავთულებს რა ამბავი მოჰქონდა, მაგრამ
აქ დროს ათასი მავთული დატვირთული იყო ამბით, რომელმაც გარდამტეხი ხა-
ზი გაავლო წარსულსა და მომავალს შორის.

— „სარაევოში მოჰკლეს ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე ერცჰერ-
ცოგი“...

როგორც ვხედავთ, ნაწარმოების ძირითად შინაარსს შეადგენს კომუნისტუ-
რი პარტიის მეთაურობით წარმოებული ქართველი მუშათა კლასისა და გლეხ-
კაცობის, მთელი ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლა რუ-
სეთის პირველი რევოლუციის წლებში და რეაქციის პერიოდში. ნაწარმოების
მთავარ გმირებს მუშა-კომუნისტები, პროფესიონალი რევოლუციონერები
წარმოადგენენ. ისინი იზოლირებულად როდი არიან ნაჩვენები მოთხრობაში.
მათი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია აქ გამოხატულია აღებული ისტორი-
ული პერიოდის ფართოდ მოხაზული სოციალური ვითარების ფონზე.

სრულიად მართებულად მწერალი დიდ ყურადღებას უთმობს და დაუზოგავად ამხილებს ამ ნაწარმოებში ლიბერალური ინტელიგენციის, ნაციონალური პარტიების, მენშევიკების რეაქციულსა და ლიკვიდატორულ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელ ფიგურას წარმოადგენს ივანე გოლიაშვილი, რომლის გარშემოც მოქმედებს „ლიბერალიზმისა და ჟანდარმერიის კოალიცია საქართველოს საკეთილდღეოთ“, როგორც მოსწრებული სარკაზმით დაახასიათა ეს წრე მოთხრობის ერთმა ეპიზოდურმა პერსონაჟმა. დამახასიათებელია, რომ რევოლუციური ფრაზებით მოლაყბე და თითქოს სამშობლოს მოყვარული გოლიაშვილის ასული ტანია მშობლების ლოცვა-კურთხევით ცოლად გაჰყვა ჟანდარმა როტმისტრს უბანოვს. ფსევდორევოლუციური ინტელიგენციის ტიპურ სახედ გვევლინება აგრეთვე არჩილ ნორაზიძე. მეტად საინტერესო პერსონაჟია მოთხრობაში გამოყვანილი მემამულე, რომელმაც თავის ოჯახში მოაწყო რევოლუციონერთა იარაღის ფარული საწყობი, რის გამოც სასტიკი სასჯელი იწვნია ხელისუფლების მხრივ. რა თქმა უნდა ასეთი საქციელი სრულიადაც არ ყოფილა დამახასიათებელი მემამულეთა კლასისათვის. მაგრამ ასეთი ტიპებიც იყვნენ სინამდვილეში და მწერლის რეალისტურ აღლოს არ გამოპარვია რევოლუციური მოძრაობის ეს თითქოს უცნაური დეტალიც.

ასე ფართოდ და მრავალმხრივად მოიცვა მწერალმა ამ მოთხრობაში რევოლუციური მოძრაობის, კომუნისტური პარტიის ბრძოლისა და მოღვაწეობის თემა ისეთ რთულსა და ვრცელ ისტორიულ მონაკვეთზე, როგორიცაა რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების წლები და ცარისტული რეაქციის პერიოდი.

ბუნებრივია, რომ ასეთი უხვი და უაღრესად აქტუალური მასალის სრულყოფილი მხატვრული განსახიერებისათვის ვიწრო აღმოჩნდა ერთი მოთხრობის ჩარჩოები. ამიტომაც ნაწარმოებს გარკვეული მხატვრული ხარვეზებიც გააჩნია. ზოგჯერ მწერალი მოვლენათა მხატვრულ აღწერილობას მათი სქემატიური ფიქსირებით სცვლის. მოთხრობაში აქა-იქ გვხვდება ზედმეტად გავრცობილი დიალოგები, რომლებიც, მართალია, გარკვეულ შემეცნებითს ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ მოკლებულნი არიან ემოციური ზემოქმედების ძალას.

სამაგიეროდ მოთხრობის სიუჟეტის განვითარებისას ავტორი ხატავს აღებული ისტორიული პერიოდის სოციალური ვითარებისათვის და ყოფაცხოვრებისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ცხოველ და კოლორიტულ სურათებს, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გვაძლევს რევოლუციური მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური ავანგარდის ტიპურ წარმომადგენელთა ცოცხალი სახეების გალერეას. გაიოზ ლაბარდავას, სპირიდონ ალბერდაძის, პარმენ

და შაქრო მარგველაძეების სახეები, მათი ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორია მოთხრობაში უეჭველის დამაჯერებლობითა და განზოგადებითი ძალით არის წარმოსახული.

ამ ნაწარმოებით ნიკო ლორთქიფანიძემ ოციანი წლების მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა მწერლობაში კომუნისტური პარტიის რევოლუციური ბრძოლის სახელოვანი ეპოპეის ასახვის ძვირფას შემოქმედებითს ტრადიციას. სამწუხაროდ ამ ტრადიციამ დღემდე ვერ პოვა ქართულ ლიტერატურაში შესაფერი გადრმავება და განვითარება. კომუნისტური პარტიის მეთაურობით ჩვენი ხალხის მიერ ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე წარმოებული გმირული რევოლუციური ბრძოლა ჯერ კიდევ მოელის ღირსეულ მხატვრულ განსახიერებას ქართულ საბჭოთა მწერლობაში, კერძოდ ჩვენს მხატვრულ პროზაში.

მით უფრო ნათელია და გასაგები ნიკო ლორთქიფანიძის ამ მოთხრობის დადებითი მნიშვნელობა და თვალსაჩინო ადგილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ ხანებში დაწერა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობა „ქედუხრელნი“, სადაც განასახიერა ჩვენი ისტორიის გმირული სული, ჩვენი ხალხის ქედუხრელობა, სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის რაინდული თავდადების მაღალი გრძნობა. სამამულო ომის მრისხანე დღეებში, უმაგალითო საყოველთაო პატრიოტული აღფრთოვანების ვითარებაში მწერალმა ამ ნაწარმოებით წრფელი და გულის სიღრმეში ჩამწვდომი ჰიმნი მიუძღვნა პატრიოტული თავგანწირულობის იდეას.

მოთხრობა აგებულია ძველ ქართულ ლეგენდაზე, რომლის გმირიც დაუზარებლად დათანხმდა ჩაკირულიყო ციხე-სიმაგრის კედელში, თავისი ძვლებით განემტკიცებინა სამშობლოს დასაცავად აღმართული ციხის გალავანი. დაუვიწყარი ძალის სურათებში გვიჩვენა მწერალმა თუ როგორი სიყვარულით, მაღლიერებით და გულისტკივილით მიაცილებდა ხალხი თავის ღირსეულ შვილს ამ გმირულ გზაზე, ხოლო შემდეგ, როგორ უკვდავყო იგი ხალხმა საუკუნეთა მანძილზე.

უცხოელ დამპყრობელთა სისხლიანი შემოსევისაგან ქვეყნის დასაცავად ასაგები ციხის კედლებში ჭაბუკი ზურაბის ჩაკირვის ლეგენდა სხვადასხვაგვარ ვარიაციით არა ერთხელ ყოფილა მოთხრობილი ქართულ მწერლობაში. პირველად ეს ლეგენდა დანიელ ჭონჭაძემ ჩააქსოვა თავისი „სურამის ციხის“ სიუჟეტში. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძემ სრულებით სხვაგვარი გააზრებით განავითარა ხალხური გადმოცემიდან აღებული ეს მოტივი თავის „ქედუხრელნიში“. თუ „სურამის ციხის“ მიხედვით ზურაბი ნაძალადევით ჩაკირეს სურამის ციხის

კედელში, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში ამ ჩაკირვის სულ სხვაგვარი კონცეპციაა განსახიერებული. „ქედუხრელნის“ მიხედვითაც მტრის შექმოსევისა და დარბევა-აწიოკების საფრთხის წინაშე მდგარი საქართველოს სამეფო ციხე-სიმაგრეს აშენებს. რამდენიმეჯერ წამოიწყეს მშენებლობა, მაგრამ ციხის ამოყვანილი კედლები ისევ და ისევ ინგრეოდა. მშენებლობას დამთავრება არ ეღირსა. დრო კი არ ითმენდა. მძვინვარე მტერი სამეფოს საზღვრებს უახლოვდებოდა. მეფეს მოახსენეს, რომ ხალხში გავრცელებული ყოფილა ძველისძველი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც ციხის აშენებისათვის, მისი კედლების ურყევი სიმტკიცისათვის აუცილებელია, რომ კედელში ცოცხალი ჭაბუკი იქნას ჩაკირული, მაგრამ ეს ჭაბუკი „ერთპერანგიანი“ უნდა იყოს, უკიდურესად ღარიბი და ლატაკი და თანაც იგი ნებაყოფლობით უნდა დათანხმდეს კედელში ჩაკირვას. ამრიგად ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის მიხედვით ცნობილ ლეგენდას გარკვეული სოციალური და პატრიოტული ინტერპრეტაცია ეძლევა. სამშობლოს უძლეველობას და სიმტკიცეს მხოლოდ ის მსხვერპლი შეიძლება განამტკიცებდეს, რომელიც გაღებულ იქნება არა ძალდატანებით, არამედ ნებაყოფლობით, ხოლო საკუთარი სიცოცხლის ნებაყოფლობით გაწირვას სამშობლოს კეთილდღეობისათვის დათანხმდება არა სიმდიდრით განებივრებული ადამიანი, არამედ ღარიბი, მშრომელი კაცი, რომელიც ყოველდღიურად თავისი ოფლით რწყავს და ანოყიერებს მშობლიურ მიწას.

ხანგრძლივი მონობით, ჩაგვრით, უმეცრების წყევლიადით დაძაბუნებულ ქვეყანაში ღიდხანს დაჭირდათ სამშობლოსათვის თავგანწირული გმირის ძებნა, მაგრამ ასეთი გმირი მაინც მოიხანხა. თავის მოთხრობას ნ. ლორთქიფანიძემ ეპიგრაფად წაუძღვარა გრიგოლ ორბელიანის ცნობილი სტრიქონები: „შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა, იგივე მხნე, იგივე მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“. ქართველი ხალხის გმირული პატრიოტული სულისკვეთების მარადიულობის გამომხატველი ამ სიტყვების განსახიერებას ვხედავთ „ქედუხრელნში“. მოთხრობაში დახატულია შემზარავი სურათი სილატაკისა, სიბნელისა, მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისა, რაც სუფევდა ჩვენს ქვეყანაში აქ აღწერილ ხანაში, მაგრამ ყოველივე ამას თუმცა შეუბღალავს და შეუსუსტებია, მაგრამ როდი ჩაუკლავს ხალხის გმირული, პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც სწორედ ერის მშრომელ უღარიბეს უმრავლესობაში იყო დასადგურებული.

და აი, სამშობლომ მოითხოვა უანგარო მსხვერპლი, მოითხოვა სიცოცხლის გაწირვა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების გადასარჩენად, ობლობასა და სიღარიბეში გაზრდილმა „ერთპერანგიანმა“ ზურთკო ჯიშკარიანმა, დედისერთამ, ოჯახის ერთადერთმა ნუგეშმა და მარჩენალმა თავგანწირულად გა-

იღო ეს მსხვერპლი და დათანხმდა ჩაკირულიყო ციხის კედელში, ოღონდ კი ციხე აშენებულიყო და ქვეყანას მშვიდობიანი და უშიშარი ცხოვრება ღირსებოდა. მთელი ხალხი გაკვირვებული და აღტაცებული მიაცილებს გმირს ამ დიდებულ გზაზე. იწყება ზურთკოს ჩაკირვა კედელში და ციხეც საოცარი სისწრაფით და წარმატებით შენდება. გულშემზარავი გოდებით ემშვიდობება გამწარებული დედა სასიკვდილოდ განწირულ პირმშოს. მაგრამ, სწორედ იმ დროს, როდესაც ზურაბი მთლიანად უნდა ჩაძირულიყო კედლის წყვილიადში, გაისმა დიდი ხუროთმოძღვარის ხმა. მან მოაგონა ხალხს, რომ ძველი თქმულების მიხედვით, ციხის სიმტკიცისათვის საჭირო იყო არა ადამიანის სხეულის ჩაკირვა, არამედ მისი ნებისყოფის და გმირული თავგანწირულების გამოცდა. რაკი ზურაბის საქციელით დამტკიცდა, რომ ხალხში ეს გმირული სული ცოცხალი ყოფილა, მამ ციხის აშენებაც და ქვეყნის თავდაცვაც უკვე უზრუნველყოფილია. გახარებულმა ხალხმა გაათავისუფლა ზურაბი, ხოლო რაკი მეფემ და მისმა ამაღამ წინააღმდეგობა გაუწიეს ხალხის ამ სურვილს, განრისხებულმა ხალხმა ერთსულოვანი შეტევით დაამხო მეფის ძალაუფლება, გაჰფანტა მისი დიდებულები და ქვეყნის მართვის სადავეები სანდო და საიმედო მშრომელ ადამიანებს ჩააბარა.

„სასახლის ფანჯრიდან გადმოდგა ედიშერი და დაიძახა:

— უძლევლო ერო, შენა ხარ ურყევი ციხე! მეფე გაიქცა ჯარისა და ჯარისკაცთაგან მიტოვებული... იყოს დროებით გამგებლად ბენედიქტე ხუროთმოძღვარი — შენი ღვიძლი შვილი, მშვიდი და თამამი, თავდადებული და თავმდაბალი, მცოდნე და შემგრძნობი, მტკიცე და სამართლიანი!

— გაგვიძღვეს, გაგვიძღვეს!“

აი, როგორი ახლებური გააზრება და მაღალი იდეური გაშუქება ჰპოვა სურამის ციხის ტრადიციულმა ლეგენდამ დიდი საბჭოთა მწერლის ქმნილებაში! მოთხრობის დასკვნით სტრიქონებში ის აზრია გატარებული, რომ ხალხის ხსოვნა, ფანტაზია მარადიული სიცოცხლის შარავანდელით მოსავეს თავისი თავდადებული შვილის სახეს, როგორც სამშობლოს ძლიერებისა და უკვდავების სიმბოლოს: „მთვარიან ღამეში, თუ ვინმე მიაჩერდება ნანგრევის სამრეკლოს გუმბათს, ყოველთვის დაინახავს თმახუჭუჭა ბიჭს, რომელიც თოკზე მიცოცავს, რომ ზარის ენა დაარხიოს.

და თავის თავს ხალხი ახლაც ეძახის უძლევს და თავის ციხეს ურყევს. მოდი და გადააჭერე!“

ადამიანის უკვდავების უპირველესი და ყველაზე საიმედო საწინდარი სამშობლოსათვის თავდადებაა. ამ აზრის მხატვრულად დასაბუთებას მიუძღვნა თავისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერჯის უკანასკნელი მარაგი ნიკოლორთქიფანიძემ.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ნიკო ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა მოთხრობა „ტყვედყოფილის დაბრუნება“. ჩვენი ხალხის საამაყო წარსულიდან არის აღებული ამ ნაწარმოების სიუჟეტიც. მოთხრობის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს, თუ როგორი გარდაუვალი სიყვარულით მოსავეს ყოველთვის ხალხი თავისი სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთ, თუ როგორი მშობლიური მზრუნველობით უხვდება და ეგებება ქვეყანა ბრძოლის ქარცეცხლიდან დაბრუნებულ ვაჟკაცს, თუ როგორი ძლევამოსილებით აღადგენს ხალხის ერთსულოვნება ყველაფერს, რაც დაუნგრევია ომის სტიქიას.

ასე ცხოველმყოფლად ეხმაურებოდა თავისი სასიკვდილო სარეცელიდან ნიკო ლორთქიფანიძე იარაღასხმული საბჭოთა ხალხის უწმინდეს საბრძოლო გრძნობებს და მისწრაფებებს. ეს დამამშვენებელი აპოთეოზია მწერლის შესანიშნავი პოეტური ბიოგრაფიისა.

დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხის უმაგალითო საბრძოლო პატრიოტულ აღფრთოვანებას ეთანხმებოდა აგრეთვე ცხოვრების მიწურულში მწერლის მიერ გაწეული შთაგონებული შემოქმედებითი მუშაობა დიდ ისტორიულ ნაწარმოებზე „დავით აღმაშენებელი“. ქართველი ხალხის ისტორიის ამ შესანიშნავი გმირის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფართო მხატვრულ ტილოზე ასახვის კეთილშობილური განზრახვა, როგორც ჩანს, მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში უტარებია მწერალს თავის შემოქმედებითს სამყაროში. სიკვდილს შეუწყვეტია მწერლის ხანგრძლივი და დაუცხრომელი ოცნება, ფიქრი და შემოქმედებითი ბრძოლა ამ დიდი ისტორიული პიროვნების ღირსეული მხატვრული სახის გამოკვეთისათვის. ამ ნაწარმოების გამოქვეყნებული ფრაგმენტები გვიჩვენებენ, თუ მასალის როგორი ღრმა და გულმოდგინე ცოდნით, რა მაღალი მხატვრული ოსტატობით და შემოქმედებითი გზებით ამუშავებდა მწერალი ამ თემას.

მრავალი დაუმთავრებელი ნაწარმოები დარჩა ნიკო ლორთქიფანიძეს. ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ მწერალი გულმოდგინედ მუშაობდა თავისი ყოველი მხატვრული ჩანაფიქრის სრულყოფილად განხორციელებისათვის, არ ეჩქარებოდა საკუთარ ნაწარმოებთა გამოქვეყნება. მისი დაუმთავრებელი მოთხრობების, ნოველების, მინიატურების დიდი უმრავლესობა, რომელიც მწერლის პირად არქივშია დაცული, ჯერ კიდევ მოელის სათანადო შესწავლას, დამუშავებას, გამოქვეყნებას. უეჭველია, რომ მათი გამოქვეყნება ახალ ძვირფას მასალას მისცემს ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობას და მკითხველთა ფართო წრეებსაც ჩვენი საუკუნის ამ დიდი ქართველი მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის სრული და ყოველმხრივი გააზრებისათვის. დიდი მნიშვნელობა ექნება

ამ თვალსაზრისით აგრეთვე სხვადასხვა დროს მთელს ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შეკრებას და გამოცემას. ეს წერილები ერთბაშად დაგვანახებენ, თუ როგორი ღრმა დაინტერესებით და რაოდენ პროგრესული პოზიციებიდან ეხმაურებოდა მწერალი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეროვნული კულტურის განვითარების აქტუალურ საკითხებს.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა შეიცავს აგრეთვე ორ დრამატურგიულ ნაწარმოებს. ერთი მათგანი „ქეთო“ ყოფა-ცხოვრებით თემაზე დაწერილი დრამაა, მასში აღძრულია და თავისებურად გაშუქებული ოჯახის, სიყვარულის, ცოლ-ქმრული ურთიერთობის, მეგობრობის პრობლემები. ამ პიესის შესახებ მწერალი გვაუწყებს, რომ იგი „უფრო ნათარგმნია, ოღნავ გადმოქართულებული“. სამწუხაროდ ჩვენთვის დღემდე გაურკვეველია, თუ საიდან არის ნათარგმნი ეს ნაწარმოები, ვინ არის მისი ავტორი და სახელდობრ რა არის მასში „გადმოქართულებული“. ვიდრე ეს გარემოებანი არ დადგინდება, ცხადია, აზრი არ ექნება პიესის იდეურ-მხატვრულ ანალიზსა და შეფასებას. ნ. ლორთქიფანიძის მეორე პიესა კი — „შეუთანხმებელი“ წარმოადგენს ინსცენირებას მისივე ისტორიულ-რევოლუციური მოთხრობისა „ბილიკებიდან ლიანდაგზე“, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და ღირებულების შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

უნდა ითქვას, რომ ორივე ეს პიესა სცენიური ხელოვნების სპეციფიკური კანონების ცოდნით არის დაწერილი და მოასწავებს მწერლის ღრმა დაინტერესებას თეატრით. დასაინანი, რომ ქართული თეატრი უყურადღებოდ მოქცევიდა მწერლის ამ საინტერესო ცდებს დრამატიულ მწერლობის ქანარში.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ შეუწყვეტია ნიკო ლორთქიფანიძეს სამშობლოსადმი, ხალხისადმი წრფელი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით გამსჭვალული, მაღალი პოეტური ხელოვნებით აღბეჭდილი შთაგონებული შემოქმედებითი შრომა.

* * *

ასეთია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში განსახიერებული იდეებისა და თემების სამყარო, ასეთია მისი სამწერლო ინდივიდუალობის, მისი მხატვრული სტილის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული თუ როგორი გულმოდგინებით, ჰეშმარიტი პოეტური გატაცებით ამუშავებდა თავის ნაწარმოებთა ენობრივ ქსოვილს, შეარჩევდა სიტყვიერ მასალას, ხევწდა ფრაზას ნიკო ლორთქიფანიძე, რომელსაც მწერლობა სიტყვიერ ფერწერად, სიტყვიერ ხატვის მაღალ ხელოვნებად მიაჩნდა.

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სამუდამოდ არის შესული მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის, მთელი ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ძირითად ფონდში. ამ მემკვიდრეობას საბჭოთა მკითხველისათვის დიდი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება აქვს. უეჭველია, რომ ნიკო ლორთქიფანიძის საუკეთესო კმნილებანი ღირსეულ ადგილს დაიჭერს მოძვე საბჭოთა ხალხების სულიერ ფასეულობათა საერთო საგანძურში, ჩვენი საუკუნის მხატვრული პროზის ისტორიაში.

ქონსგანგინე გამსახურდია

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დაამთავრა გამომცემილი თანამედროვე ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რჩეული ნაწერების რვატომეულის გამოცემა.

მკითხველ საზოგადოებრიობას პირველად ეძლევა საშუალება ერთობლივად გაითვალისწინოს მწერლის მიერ განვლილი ვრცელი და რთული შემოქმედებითი გზა, ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი შრომით კ. გამსახურდიას შეაქვს ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის განვითარებაში.

ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა და მოთხოვნილებასაც წარმოშობს, რომ გულმოდგინედ იქნას შესწავლილი მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც განუყოფლად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა მწერლობის აღმოცენება-განვითარების მთელ ისტორიასთან.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ქართული საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ და ამდიდრებენ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის სახელოვან ტრადიციებს და თვალსაჩინო ადგილს იჭერენ თანამედროვეობის სულიერ ღირებულებათა საგანძურში. თავისი მხატვრული ნიჭიერებით, შემოქმედებითი პოტენციით, პროფესიული კულტურითა და ერუდირებით კ. გამსახურდია ჩვენი საუკუნის მხატვრული სიტყვის უპირველეს ოსტატთა რიგში დგას და დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომითა და ბრძოლით აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე კულტურის განვითარებაში. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მკვევრმეტყველური მაგალითია იმისა, თუ რაოდენ კეთილმყოფელი და ამამაღლებელი ზეგავლენა იქონია ჩვენმა რევოლუციურმა ეპოქამ ოქტომბრის წინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა ბედზე, რომელთა ნიჭიერება და შემოქმედებითი შესაძლებლობანი განწირული იყო დეკადენტური ინდივიდუალიზმის, მისტიკის, პესიმიზმისა და უმიზნო ფორმალისტური ექსპერიმენტების წყველიაღში ჩახშობისაჟვის.

იოლი და სწორხაზობრივი როდი იყო კ. გამსახურდიას გზა იმ იდეურ-ესთეტიკური პოზიციებისაკენ, რომლებზეც ვითარდება სოციალისტური რეალი-

ზმის ხელოვნება — არა მარტო იდეურად ყველაზე პროგრესული და შინაარსობრივად ყველაზე მდიდარი ხელოვნება თანამედროვე მსოფლიოში, არამედ ყველაზე რეალისტური, ჰუმანური და ხალხური, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მართალი ხელოვნება, რომელიც თავისკენ იკრებს და იზიდავს ამჟამად შემოქმედებითი აზრის საუკეთესო ადამიანებს დედამიწის ყოველ კუთხეში. რთული წინააღმდეგობებისა და სერიოზული სიძნელეების გადალახვის გზით, მაგრამ გაბედულად და თანმიმდევრულად მოეშურებოდა მწერალი თანამედროვეობის ნათელი იდეებით შთაგონებული, ეპოქის დიდი სოციალური კონფლიქტების სიმართლით გამომხატველი, ახალი ქვეყნის მშენებელი ხალხის სულიერი სამყაროს შთამბეჭდავად წარმომსახველი ხელოვნების პოზიციებისაკენ და ამ გზაზე მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა, მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების, მწვავე დისკუსიების საგნად ხდებოდა.

კ. გამსახურდია ხშირად აღარებს თავის შემოქმედებით შრომას ბიბლიური იაკობის თავგანწირულ ბრძოლას საკუთარ მრისხანე ღმერთთან. და მართლაც, იშვიათია ხელოვანი, რომლის შემოქმედებითი ცხოვრების ისტორიას ასეთი დაუცხრომელი, ბოხოქარი ბრძოლების ვითარებაში გაეცლოს. ეს იმიტომ, რომ კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ დიდსა თუ მცირე საკითხზე მკაფიოდ გამოხატული საკუთარი თვალსაზრისი გააჩნია, რომელსაც იგი ერთგულად გამოავლენს თავის მხატვრულ ქმნილებებში და თავგამოდებით იცავს თავის ლიტერატურულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში, მძაფრ საჯარო გამოსვლებში. მას არ უყვარს თუნდაც უდიდესი და საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების შეხედულებათა პასიურად და მორჩილად განმეორება. მისი მაძიებელი შემოქმედებითი აზრი ხშირად ამხედრებია ხოლმე თავის უსაყვარლეს ლიტერატურულ წინამორბედებს და მასწავლებლებსაც კი. ასეთი ხასიათისა და ტემპერამენტის მწერლის იდეურ-შემოქმედებითი ევოლუცია, ცხადია, დაზღვეული არ ყოფილა სხვადასხვაგვარ უკიდურესობათა და გადაჭარბებებთაგან, ცალკეული შეცდომებისა და ჩავარდნებისაგან. ყოველივე ეს ქმნიდა კ. გამსახურდიას სახელის გარშემო დაძაბულობის ატმოსფეროს, რომლის ვითარებაშიც ყალიბდებოდა მწერლის ღრმად ორიგინალური მხატვრული ინდივიდუალობა, მისი მსოფლმხედველობა და ესთეტიკური მრწამსი.

ქართული კლასიკური მწერლობის დიდ პატრიოტულ და დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილმა ჭაბუკმა თავისი სულიერი ფორმირების ხანა — ჩვენი საუკუნის ათიანი წლები — დასავლეთ ევროპაში გაატარა. გერმანიისა და

საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლისა და ევროპის სხვა ქვეყნებში ხანგრძლივად მოგზაურობის შედეგად, იგი გაეცნო და ეზიარა დასავლეთში იმ დროისათვის გაბატონებული იდეალისტური ფილოსოფიისა და დეკადენტური ხელოვნების მოდურ მიმართულებებს. ასეთი იდეური ტვირთით დამძიმებული დაუბრუნდა კ. გამსახურდია სამშობლოს ოციანი წლების დამდეგს, როდესაც ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული მონობისაგან საბოლოოდ თავდაღწეული ქართველი ხალხი ახალი, თავისუფალი და სამართლიანი სამყაროს მშენებლობის ფართო გზაზე გამოდიოდა.

უცხოური მოდერნისტული ხელოვნებით გატაცებული მწერალი ბუნებრივად აღმოჩნდა მწვავე კონფლიქტში იმ ახალ ამოცანებთან, რომლებსაც მწერლობასა და ხელოვნებას უსახავდა ჩვენი ქვეყნის განახლებული სოციალური ვითარება, კულტურული რევოლუციის პროცესები. კ. გამსახურდია ერთბაშად მოექცა იმ მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლების შუაგულში, რომლებიც, ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შინაარსს განსაზღვრავდა და რომელთა ვითარებაშიც ყალიბდებოდა და გზას იკვლევდა ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა.

მაშინ კ. გამსახურდია ქართული მწერლობის ყველაზე მემარჯვენე ბანაკის ერთ-ერთ მეთაურად გამოდიოდა, თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში გერმანული ექსპრესიონიზმისა და სხვა მოდური ევროპული ანტირეალისტური სკოლების პროპაგანდას ეწეოდა, ხოლო თავის ლიტერატურულ თანამოსანგრებებთან ერთად ორგანიზებული ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი მკვეთრად დაპირისპირებულ შეხედულებებს იცავდა და ანვითარებდა.

მაგრამ სწორედ ამავე წლებში იწყებოდა მწერლის ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. მართალია, ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში, ხოლო უფრო მძლავრად სტუდენტობის ხანაში იჩინა თავი მისმა მკაფიო ნიჭიერებამ მხატვრული შემოქმედების დარგში, მაგრამ კ. აბაშისპირელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მის ლექსებსა და ადრინდელ ნოველებს მხოლოდ ლიტერატურული წრეებისა და ვარჯიშის, მომავალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის სამზადისის მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ ოციანი წლებში ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების პერიოდში დაიწყო კ. გამსახურდიას თანმიმდევრული ბრძოლა ქართული მხატვრული პროზის აღორძინებისათვის, ქართული ნოველისა და რომანის ახალი გზების აღმოჩენისათვის, ეპიკური ჟანრების დამკვიდრებისათვის ახალგაზრდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

„ნაციონალური მწერლობა მხოლოდ მაშინ იქცევა ლიტერატურად, როცა იგი ეპოსის თავკიდურებს დაემყარება. ლირიკული პოეზია აზიისა, ავსტრალიისა და აფრიკის ნომადებსაც მოეპოვებათ. მაგრამ თავისთავადი ლიტერატურა ეპოსიდან იწყება მხოლოდ“. ეს რწმენა ამოძრავებდა კ. გამსახურდიას, როცა ოციანი წლების სოციალურ ძვრათა და განახლებათა გამძაფრებულ ვითარებაში დიდი გატაცებითა და შთაგონებით იღვწოდა ახალი ქართული მხატვრული პროზის შემოქმედებითი ტრადიციების დადგენისათვის. ამ ბრძოლაში იგი მხარში ამოუდგა თავის უფროს თანამედროვეებს — ნიკო ლორთქიფანიძეს, მიხეილ ჭავჭავაძეს, ლეო ქიაჩელს და თავის თანატოლ თუ მომდევნო თაობის ბელეტრისტებს, თუმცა, როგორც თემატიკით ისე მსოფლშეგარძნებისა და მხატვრული სტილის მხრივ იმთავითვე ღრმად განსხვავდებოდა ყოველი მათგანისაგან.

თუმცა ამ პერიოდში კ. გამსახურდია თავისი მსოფლმხედველობით და ესთეტიკური იდეალით ჭერ კიდევ დიდი მანძილით იყო დაშორებული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ გეზს, მაინც ამ წლების მის მხატვრულ ნაწარმოებებში თავისებურ ანარეკლს პოულობდა ახალი ცხოვრების სუნთქვა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე უღრმესი გარდაქმნები და განახლებანი — „დიონისოს ღიმილშიც“ და ნოველებშიც „ზარები გრიგალში“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ლილ“, „დიდი იოსები“ და სხვ. ნათლად იგრძნობოდა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი სოციალური ატმოსფერო, თუმცა ამ ნაწარმოებთა ავტორის ყურადღებას უპირატესად რევოლუციის მიერ დამარცხებული და განადგურებული სოციალური ძალების უკანასკნელ ნაშიერთა მახინჯი გამოვლინებანი იპყრობდა და არა ახალი სინამდვილის ნათელი, ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა სულიერი მშვენიება და ძალა.

ოციანი წლები კ. გამსახურდიასათვის, ისე როგორც ბევრი ქართველი საბჭოთა მწერლისათვის, მტკივნეული შემოქმედებითი ძიებების, იდეური წინააღმდეგობების, მრავალი ცდუნებისა და ყალბი გატაცების, მაგრამ მაინც ახალი ნათელი ესთეტიკური იდეალისადმი აღმავალი მისწრაფების პერიოდი იყო. გამოჩენილი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ თავის წერილში კ. გამსახურდია სამართლიანად აღიარებს: „ჩვენ ყველას, ამ თაობიდან გამოსულთ, ათასგვარი დემონი გვიდაღაჲდა გულს, ათასი გზები გვიცდია და საშუალებანი, ათასგვარი სამანი მოგვისინჯავს. ეს არის ფრიად მტკივნეული პერიოდი ხელოვანის ცხოვრებაში, პერიოდი საკუთარი ხმის მოპოვებისა და საკუთარი მანერისათვის მიგნებისა. საქმე ის არის, რომ ეს პერიოდი ის ფონია, რომელიც საშუალო ნიქს ახრჩობს, მაგრამ დიდი ტალანტი მას გადალახავს

და საკუთარ გზას მოსძებნის უთუოდ“. საბედნიეროდ კ. გამსახურდიამ სწორედ ასეთი ტალანტი გამოდგა. მან წარმატებით გადალახა მტკივნეული ძიებების, სამანთა მოსინჯვის ეტაპი, თავი დააღწია ათასგვარი მაცდუნებელი დემონით გატაცებას და ოცდაათიანი წლების დამდეგისათვის საბოლოოდ დაადგა საკუთარ საიმედო გზას, რომელიც ორგანულად შეერთო და დაუკავშირდა სოციალისტური კულტურის განვითარების მაგისტრალურ გზას.

ოცდაათიანი წლების დამდეგს, როდესაც სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ცხოველყოფელი ზემოქმედების მეოხებით მრავალეროვნული საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასა ერთსულოვნად ირანზმებოდა სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებისა და კომუნისტური პარტიის პოზიციების გარშემო და იწყებოდა სოციალისტური რეალიზმის მწვერულობის დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა, კ. გამსახურდიამ შექმნა თავისი შესანიშნავი ტრილოგია „მთვარის მოტაცება“, რომელიც დღემდე რჩება თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად.

ამ რომანში კ. გამსახურდიამ პირველად შეხედა თანამედროვეობის მღელვარე მოვლენებს ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის თვალთახედვით, პირველად გამოხატა და მხატვრულად დაასაბუთა ბნელეთისა და მონობის სამყაროსთან შეჭიდებული ახალი, ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი ცხოვრების გარდაუვალი გამარჯვების კანონზომიერება, წარდგა და მთელის გულისთ უმღერა ქვეყნად სოციალური თანასწორობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის დიდი ნათელის განუყოფელად დამკვიდრებას.

მართალია, ძლიევამოსილად აღმავალი — ახალისა და მომაკვდავი რეაქციული სამყაროს სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის წარმოსახვისას „მთვარის მოტაცების“ ავტორს წარსულის ბნელ გამოვლინებათა გამოსახატავად ბევრად უფრო მკაფიო და მეტყველი საღებავები აღმოაჩნდა, ვიდრე ახალი ცხოვრების სიმართლისა და მისი მშენებელი ადამიანების ტიპიურ სახეთა გადმოსაცემად. მაგრამ რომანში დიდი მხატვრული ძალით წარმოსახული ემხვარებისა და შერვაშიძეების, ტარბებისა და აფაქიძეების, ლუკაია ლაბაზუასა და მათ მსგავსთა სახეები, სურათი ბნელი სამყაროს დამხობისა და კატასტროფისა, შთამაგონებლად გვაგრძნობინებს და განგვაცდევინებს სოციალისტური რევოლუციის საქმის, მისი მასულდგმულებელი იდეების სიმართლეს და უძლეველობას.

ეს რომანი მოასწავებდა, არა მარტო მწერლის იდეურ გადაიარაღებას. არამედ მისი „შთაგონების მომწიფებას, მხატვრული ოსტატობის გაღრმავებას, წინ გადადგმულ ნაბიჯს ცხოვრების სიმართლით წარმომსახველი დიდი რეალ-

ისტორი ხელოვნების შიშართულებით, თუმცა ამ წიგნში საბოლოოდ დაძლეული არ იყო ავტორის მოდერნისტულ გატაცებათა ინერცია.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო კ. გამსახურდიას დიდი შემოქმედებითი შრომა ჩვენი ხალხის გმირული და საამაყო ისტორიული წარსულის უძნისძვნელოვანესი მოვლენების მხატვრულად გაცოცხლებისა და წარმოსახვისათვის. მწერალი აცხადებდა „ეგ დიდი ხნის ოცნებაა ჩემი: ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუწოდებ „ქართლის ცხოვრებას“. მწერლის ამ კეთილშობილური შემოქმედებითი განზრახვის პირველ ხორცშესხმას წარმოადგენდა რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ამჟამად საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად არის აღიარებული და რომლის რეზონანსიც შორს გასცდა საბჭოთა საზღვრებს და სულ მზარდი მასშტაბებით ვრცელდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. დიდი პატრიოტული მგზნებარებით და მაღალი პოეტური შთაგონებით გამსჭვალულ ამ ქმნილებაში კ. გამსახურდიამ დიდების საგალობელი უმღერა არა მარტო ქართველი ხალხის ქედუხრელ გმირობასა და ვაჟკაცობას, მის სამაგალითო თავგანწირულობას სამშობლოს თავისუფლებისა და ძლიერებისათვის ბრძოლაში, არამედ ადამიანის შემოქმედებითი გენიის, შთაგონებული შრომის იმ მაღალ იდეალს, რომელიც საბჭოთა ხალხის სულიერი სამყაროს უპირველეს ღირსებასა და მშვენიებას განსაზღვრავს.

„ისტორიული მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა აღებული ეპოქა, ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკოროსპონდირება თანადროულობის იდეებს“. ასეთია განმსაზღვრელი დებულება კ. გამსახურდიას კონცეფციისა ისტორიული რომანისტიკის სფეროში. ასეთი კონცეფციის მხატვრულ განხორციელებას წარმოადგენს ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, რომლის პირველი წიგნიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში გამოქვეყნდა და რომელიც თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, გმირობისა და ქედუხრელობის აპოლოგიით მღელვარედ ეხმაურებოდა საბჭოთა ხალხის უმაღლეს მისწრაფებებსა და უკეთილშობილეს გრძნობებს ამ დიდი ისტორიული განსაცდელის ვითარებაში.

„დავით აღმაშენებელი“ ქართული მხატვრული პროზის უფართოესი ტილოა, რომელზეც ცოცხლად არის წარმოსახული ძველი საქართველოს ისტორიის უძნისძვნელოვანესი ეპოქა და ქართველი ხალხის დიდი საბრძოლო-პატრიოტული და სახელმწიფოებრივი ტრადიციები გამოხატულია საშუალო საუკუნეების მსოფლიოს ისტორიული ცხოვრების უმთავრეს პროცესებთან დაკავშირებით.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ძერწავდა მწერალი თავის ამ უდიდეს მხატვრულ ქმნილებას. ხოლო ტეტრალოგიის მესამე და მეოთხე ტომების შუალედებში მან დაწერა რომანი „ვაზის ყვავილობა“, რომელშიც ასახა ქართველი საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრება სამამულო ომის პერიოდში და ომის შემდგომი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირველ წლებში.

მწერლის მთავარ მხატვრულ ნაწარმოებთა ასეთი სქემატური აღნუსხვაც კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი შემოქმედებითი ინტერესების იშვიათ მრავალმხრივობაზე, იმაზე, თუ რაოდენ ფართოა მისი ჰორიზონტი სამყაროს მხატვრული ათვისებისა, თემებისა და სახეების რაოდენ მდიდარ სამყაროს შეიცავს მისი შემოქმედება.

შემოქმედებითი შრომის ინტენსივობის, მხატვრული პოტენციისა და ენერჯის თვალსაზრისით კ. გამსახურდიას იშვიათად თუ ვინმე შეედრება არა მარტო თანამედროვე ქართველ მწერალთა, არამედ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსთა შორისაც. და ასეთი გამძაფრებული, უხვი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე კ. გამსახურდიამ არ იცის კომპრომისი მხატვრული ოსტატობის სფეროში. იგი პოეტური გზნებით და გატაცებით ძერწავს თავისი მრავალრიცხოვანი ნოველებისა თუ ვრცელი რომანების ყოველ ფრაზას.

სიტყვის ხელოვნება კ. გამსახურდიას ლიტერატურული შემოქმედების საფუძველთა საფუძვლად მიაჩნია. თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით მან დიდად გაამდიდრა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, შეავსო იგი უძველესი ქართული მწერლობის ძეგლებიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალი მეტყველების არსენალიდან დიდის ალლოთი და ტაქტით შერჩეული ლექსიკური მასალით, თავისებური ელფერი მისცა პოეტურ სინტაქსს, სიტყვათა წყობას, ფრაზის აღნაგობას.

კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა სიტყვიერი ქსოვილი გამსჭვალულია მუსიკალობით, რიტმიულობით. მისი ფრაზა არა მარტო გვიხატავს და მოგვითხრობს, არამედ მღერის კიდევ. მგონი, კ. გამსახურდიამ პირველმა იხმარა ქართულ ლიტერატურაში „პოეტური პროზის“ ცნება. და ეს ცნება, პირველ ყოვლისა, თვით კ. გამსახურდიას ბელეტრისტულ შემოქმედებას შეფერის. მართლაც თავის საუკეთესო ნაწარმოებებში მან საოცრად დააახლოვა და დაანათესავა ერთმანეთთან პოეზიისა და პროზის ენა, ლირიკული და ეპიკური საწყისები. ეპიკური ჟანრის თხზულებებში მან ფართო გზა გაუხსნა ლირიკულ ნაკადს. „პოეზია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული და ამ გზით გაშუქებული გარესამყარო და ეს ეხება უპირატესად ეპიკასაც“. — ამტკიცებს კ. გამსახურდია. და თავისი შემოქმედებითაც სწორედ ეპიკურისა

და ლირიკულის განუყოფლობას განამტკიცებს. მისთვის უცხოა საგნებისა და მოვლენების გულგრილი მკვერტელობა, მშვიდი ეპიკური მომთხრობელობა. მისი ნახატიც და თხრობაც ყოველთვის აღბეჭდილია მღელვარებით, ვნებია-ნობით, ემოციური დაძაბულობით. მხატვრული აღწერილობის პირველხარის-ხოვანი ოსტატი ფლობს ადამიანის უაღრესად ინტიმურ გრძნობათა და განცდა-თა სამყაროში წვდომის ხელოვნებას. პერსონაჟთა უკიდურესად გამძაფრე-ბული სულიერი მდგომარეობის პლასტიკური სიცხადით გადმოცემის საიდუმ-ლოებას. ეს, ასე ვთქვათ, „ფსიქოლოგიური პეიზაჟები“ — პერსონაჟთა სუ-ლიერი ცხოვრების სურათები ამშვენებენ კ. გამსახურდიას მხატვრულ ქმნი-ლებებს.

კ. გამსახურდია გაურბის სიუჟეტის სწორხაზობრივ განვითარებას, თხრო-ბის თანმიმდევრულ მდინარებას ვიწრო ფაბულურ კალაპოტში. მას რთული მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური კომპოზიცია უფრო ემარჯვება, სადაც ლირი-კული წიაღთსვლები ორგანულად ენაცვლება ფაბულურ მოტივებს: მოულოდ-ნელი შენაკადები, მოგონებანი, ეპისტოლური ჩანართები და ზოგჯერ მეტად შორეული რემინისცენციები დაუსრულებლივ აფართოებენ და განაშტოებენ თხრობის ფარგალებს.

სხვადასხვაგვარი წყაროები ასაწოდებენ კ. გამსახურდიას შემოქმედების ინდივიდუალობას. მის უაღრესად ორიგინალურ მხატვრულ სტილს, გამოსა-ხულების საშუალებათა თვითმყოფად სისტემას. ამ მხრივაც არაჩვეულებრივად ფართოა მწერლის ინტერესებისა და მიდრეკილებათა დიაპაზონი. მან შეგნებუ-ლად და ხაზგასმულად აღადგინა ცოცხალი შემოქმედებითი კონტაქტი უძველესი ქართული მწერლობის ტრადიციებთან. ჩვენი ჰაგიოგრაფიული და საერთოდ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ძეგლებთან. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კ. გამსახურდიას ჩვენი ეროვნული კულტურის ამ შორეულ სათავეებთან უფრო მეტი რამ ანათესავებს, ვიდრე თავის უახლოეს წინამო-რბედებთან, და უშუალო ლიტერატურულ წინაპრებთან. მაგრამ ეს სრულია-დაც იმას არ ნიშნავს, თითქოს მწერლის შემოქმედებითი სამყარო განაყო-ფიერებული არ იყოს გასული საუკუნის ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის კლასიკოსთა გარდუვალი ღირებულების მიღწევებით. მწერალი უხვად სარგებლობს ქართული მითოლოგიის, ლეგენდებისა და თქმულებათა, კერძოდ პოეტური ფოლკლორის ამოუწურავი საგანძურებით. და ყოველივე ამასთან ერთად მწერლის მთელ შემოქმედებით ცხოვრებას გასდევს დღემდე დაუძლეველი გამოძახილი მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვაგვარ მიმ-დინარეობათა ზეგავლენისა, რაც მეტნაკლები ძალით და ამათუიმ სახით ვლინ-დება მის მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში.

კ. გამსახურდია მხატვრული თარგმანის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მან მსოფლიო ლიტერატურის არაერთი საუკეთესო ნიმუშის თარგმანით ვაამდიდრა ქართული მწერლობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული თარგმნები დანტეს — „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანისა“.

თავისი მრავალმხრივი ერუდიციით და ფართო განსწავლულობით კ. გამსახურდიას ერთ-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს ჩვენი დროის მხატვრული სიტყვის ოსტატთა შორის. მწერლის ინტენსიური ინტელექტუალური ცხოვრების ნაყოფს წარმოადგენს მთელი მისი მხატვრული შემოქმედებაც და მისი ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოკვლევათა ორი ტომიც, რომლებშიც იგი აშუქებს მშობლიური და უცხოური კულტურის მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. რაგინდ სადავოც არ უნდა იყოს ამ წერილებსა და გამოკვლევებში გახვითარებული ზოგიერთი დებულება, მთლიანად მწერლის ამ ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ყოველად უდავო და უეჭველია.

კ. გამსახურდიას მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესისა და შეუწელებელი ყურადღების ვითარებაში მიმდინარეობს.

დიდი პოლემიკური ნიჭიერებით და ორატორული ხელოვნებით იცავს ყოველთვის მწერალი ლიტერატურული კრიტიკის იერიშებისაგან თავის მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ესთეტიკურ შეხედულებებსაც. მაგრამ ამასთან იგი დიდ ანგარიშს უწევს მწერლობის ინტერესებიდან გამომდინარე კეთილმოსურნე და კომპეტენტურ კრიტიკას, რაგინდ მკაცრი და მომთხოვნელიც არ უნდა იყოს იგი. თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ კ. გამსახურდია წერს: „მხოლოდ განუსჯელს ეწოდება კრიტიკა. მე პირადად დიდად მადლობელი ვარ იმ ამხანაგებისა, რომელთაც საერთოდ მწერლობისა და ჩემი საქმისადმი ყურადღების გამოვლინების მეოხებით გავუკრიტიკებვიარ. ეს ყოველ მომენტში მზადყოფნისაკენ და ჩემში მთვლემარე პოტენციის გამოძაფრებისაკენ მომიწოდებდა“. თუ ჩვენ დაკვირვებით შევისწავლით და ერთმანეთს შევადარებთ მისი ზოგიერთი ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემებს, ნათლად დავინახავთ, თუ როგორ გონივრულად უსარგებლია მწერალს კეთილმოსურნე და კომპეტენტური ლიტერატურული კრიტიკის სამართლიანი შენიშვნებით. და მაინც ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ დიდ ვალში იმყოფება ჩვენი დროის ამ შესანიშნავი ხელოვანის წინაშე. უკვე მომწიფდა მოთხოვნილება კ. გამსახურდიას შემოქმედების ფართო მო-

ნოგრაფიული შესწავლისა. როგორც მართებულად შენიშნავს კ. გამსახურდია: „მწერალი რთული ფენომენია. იგი თავის სიკვდილამდის ღვივის და ენთება და არავინ იცის როდის ეტყვის იგი მომავალ თაობას თავის უკანასკნელ ზიტყვას“. მაგრამ ყოველივე ის, რაც კ. გამსახურდიამ უკვე უთხრა ჩვენს თანამედროვეობას და მომავალ თაობებს, უმდიდრეს მასალას წარმოადგენს ფართო მასშტაბის ლიტერატურულ-კრიტიკული გამოკვლევისათვის. არ არსებობს ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალისტური რეალიზმის არც ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც არ აღიძვროდეს და გარკვეულ პასუხს არ მოითხოვდეს კ. გამსახურდიას შემოქმედების შესწავლისას.

ჩვენ ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შორსა ვართ ასეთი პრეტენზიისაგან. ჩვენი ამ ნარკვევის ამოცანა მწერლის ლიტერატურული პორტრეტის მოხაზვით განისაზღვრება.

კონსტანტინე გამსახურდიას მთელი შემოქმედება ღრმად არის გამსჭვალული მწერლის პიროვნებით, მისი მსოფლშეგრძნებით, სულიერი წყობით და ტემპერამენტით, მისი ცხოვრების ისტორიით. ხშირად მწერალი სრულიად შეუფთავად მონაწილეობს თავის ნოველებში მოთხრობილ ამბავთა მსვლელობაში. იგი უხვად აქსოვს თავისი ადამიანური ბუნების ცალკეულ თვისებებსა თუ თავისი ბიოგრაფიის ცალკეულ მხარეებს „დიონისოს ღიმილის“, „მთვარის მოტაცებისა“ და „ვაზის ყვავილობის“ ისეთ მთავარ გმირთა სახეებში, როგორც არიან კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და ვახტანგ კორინთელი. „მთვარის მოტაცების“ მესამე წიგნში ავტორი თავისი სახელითა და გვარით შედის რომანის პერსონაჟთა ანსამბლში და უშუალოდ მონაწილეობს მათ ურთიერთობებში. „დიონისოს ღიმილის“ პირველი გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მწერალს დასჭირდა საგანგებოდ გამიჯვნოდა თავისი რომანის გმირს და მკითხველისათვის ეთხოვა: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე საკუთარი ცოდვებიც მეყოფა“. ხოლო ამავე წიგნის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში იგი ჩივის, რომ მისი ეს სათხოვარი შეუწყნარებელი დარჩენილა და ლიტერატურულ კრიტიკას განუკითხავად გაუიგივებია გმირისა და ავტორის ფსიქოლოგია, ზნეობა, აზროვნება. „მე მჭირდავენ, სავარსამიძე შენა გვავსო, — ამბობს მწერალი და დასძენს, ასეც რომ იყვეს, მერე რა? განა გმირი ავტორის ძვალი არაა ძვალთაგანი და სისხლი სისხლთაგანი?“ მწერლის ეს აღიარება შეეხება არა მარტო სავარსამიძის სახეს. ავტობიოგრაფიული ელემენტები მეტნაკლებად იგრძნობა მის სხვა რომანებსა და ნოველებშიც (რასაკვირველია, ისტორიული რომანების გამოკლებით). ამიტო-

მაც კ. გამსახურდიას შემოქმედებითი სამყაროს გახსნისა და გააზრებისათვის საჭიროა ვიცოდეთ მისი ცხოვრების ისტორიის მთავარი შტრიხები.

კ. გამსახურდია დაიბადა 1891 წელს, 5 მაისს, სამეგრელოში, სოფელ აბაშაში, შეძლებული აზნაურის ოჯახში. მამამისი სიმონი ახალგაზრდობაში ნადირობითა და ცხენოსნობით ყოფილა გატაცებული. შვილს თურმე სპარტანულად ზრდიდა, ცხენოსნობას, ნადირობას და ფიზიკურ შრომას აჩვევდა და ენერგიულად ურჩევდა „საქმისათვის“ მოეკიდა ხელი და მწერლობას არ გაყოლოდა, რადგან, მისი აზრით „ყველაფერი ადამიანისათვის საჭირო და სასარგებლო უკვე დაწერილიაო ფსალმუნში, სახარებაში და „ვეფხისტყაოსანში“. ამიტომ მამა გაზნებების კითხვასაც გაუბოძაო — იგონებს მწერალი. ხანდაზმულობის ასაკში მამას მონადირეობისა და დროს ტარებისათვის თავი დაუწებებია, ვენახები და ხილის ბაღები გაუშენებია და ერთ-ერთ პირველთაგანს დაუწერგავს კოლხეთის ველზე ციტრუსების კულტურა.

გამსახურდიების ოჯახსაც „მსახვრალი ხელით“ შეხებია „აზნაურთა ბუდეების“ ნგრევის პროცესი, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალური სინამდვილისათვის. მწერლის უფროსი ძმა ალექსანდრე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმულა, მონაწილეობა მიუღია 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში; რეაქციის წლებში იგი პარტიზანულ რაზმებს ადგენდა და არალეგალურ მიტინგებს აწყობდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს მოუთხოვია სიმონ გამსახურდიასათვის — გაეცა და მთავრობისათვის წარედგინა შეამბოხე შვილი და, რაკი მოხუცს ამ მოთხოვნაზე გადაჭრით უარი გაუცხადებია, იგი დაუპატიმრებიათ და ციხეში გამოუმწყვდევიათ. ცხრა თვის პატიმრობის შემდეგ მძიმე ავადმყოფი სიმონი პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ, მაგრამ იგი მალე გარდაცვლილა 80 წლის ასაკში. მწერლის მეორე ძმაც — ბიქტორი უფროსი ძმის გზას გაჰყოლია, მას რკინის გირით თავი გაუტეხია კაზაკთა საეკზეკუციო ასეულის მეთაურისათვის, რის გამოც შეუპყრიათ და სავლელ სასამართლოს განაჩენით ციხიბრს გადაუსახლებიათ. „ამგვარად დაგვენგრა ოჯახი“, — ამბობს კ. გამსახურდია ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

ამის შემდეგ დედას სახლი გაუყიდა და ქუთაისს გადასახლებულა, სადაც მომავალი მწერალი სწავლობდა ქართულ გიმნაზიაში. ეს გიმნაზია ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო იმდროინდელ მთელ დასავლეთ საქართველოში, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა და პროგრესულად განწყობილი მასწავლებლები ახალგაზრდობას პატრიოტული და ჰუმანისტური იდეების სულისკვეთებით ზრდიდნენ. მოწაფეობის წლებში კ. გამსახურდია დიდი ნიჭიერებითა და ნაკითხობით გამოირჩეოდა თანატოლთა შორის. მას

თითქმის მთლიანად გადაუკითხავს ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი. ამასთან, ფრიადებზე სწავლობდა და თანაც ოჯახის ხელმოკლეობის გამო კერძო გაკვეთილებს აძლევდა ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში. ქუთაისის ქართულ გიმნაზიას გაუღვიძებია ჰაბუკის პატრიოტული შეგნება და შთაუგონებია მისთვის დიდი ქართული კლასიკური მწერლობის სიყვარული. ცამეტი წლის ყმაწვილი, იგი საგანგებოდ ჩამოსულა თბილისში იმ განზრახვით, რომ შორიდან მაინც შეეხედა ილია ჭავჭავაძისათვის, ხოლო როდესაც ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ამ სახელოვანი ბელადის ვერაგულად მოკვლის ამბავი გაუგია, ჰაბუკს ფიცი დაუდევს, რომ მთელ სიცოცხლეს შესწირავდა ილია ჭავჭავაძის შკვლელების წინააღმდეგ ბრძოლას, იმ მაღალი პატრიოტული და დემოკრატიული იდეალების გამარჯვებას, რომელთაც ასე უანგაროდ და თავგანწირულად მიუძღვნეს თავიანთი ცხოვრება და შემოქმედება გასული საუკუნის ქართული მწერლობის უკვდავმა კორიფეებმა.

მართლაც, კ. გამსახურდია გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლის წლებში აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის არაღეგალურ წრეებში. ეს წრეები მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს აქვეყნებდნენ და ენერგიულად ებრძოდნენ შავრაზმელ მოხელეებს, ასეთ მემამბოხეთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის კ. გამსახურდია, სხვა თავის ამხანაგებთან ერთად, ჟანდარმერიამ დააპატიმრა და სასტიკ სასჯელს მხოლოდ ქართული გიმნაზიის დირექტორის — შესანიშნავი პედაგოგის, დიდი პატრიოტის იოსებ ოცხელის ენერგიული გამოქომაგების მეოხებით გადაურჩა.

ქართული გიმნაზიის წარმატებით დამთავრებისთანავე ქუთაისის ქალაქის გამგეობამ კ. გამსახურდიას, როგორც განსაკუთრებულად ნიჭიერ ახალგაზრდას, სტიპენდია დაუნიშნა და პეტერბურგს გაგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე კ. გამსახურდია გაეცნო და დაუახლოვდა ნიკო მარს და მუშაობა დაიწყო მის ენათმეცნიერულ სემინარში. მაგრამ მალე მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია დარჩენა პეტერბურგის უნივერსიტეტში და გადაწყვიტა საზღვარგარეთ გამგზავრება უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად. გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის შუამდგომლობით კ. გამსახურდიას მარგანეცის მრეწველთა საბჭოს სტიპენდია დაეხიშხა და იგი კენისბერგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რადგან ამ დროს დიდად გატაცებული იყო კანტის ფილოსოფიით. მალე ლაიპციგის უნივერსიტეტში გადავიდა და ენერგიულად დაეწაფა ჰუმანიტა-

რულ მეცნიერებათა — ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლას.

1914 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე კ. გამსახურდია მიუხეხენის ქუჩაში შეიპყრო ომის ისტერიით აღტყინებულმა ბრბომ. იგი ისმანინგის კოშკში გადაგზავნეს, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა გერმანელი მილიტარისტების მიერ დაპატიმრებულ „საექვო უცხოელებს“ — ფრანგ, ინგლისელ, ბელგიელ, ინდოელ, მეცნიერებს და ლიტერატორებს. ასეთი შეხვედრები და ურთიერთობანი ცხადია, აფართოებდნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლის გონებრივი ინტერესების სფეროს, ამდიდრებდნენ მის ერუდიციას და ვიტალურ გამოცდილებას. რამდენიმე თვის შემდეგ კ. გამსახურდია მის ახალშეძენილ მეგობრებთან ერთად სამხრეთ ბავარიაში გადაგზავნეს, დაბა ტრაუნშტაინის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც უცხოელ ტყვეებს სადისტური სიმკაცრით ეპყრობოდნენ. იგი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და მიუხეხენის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების ნება დართეს.

„ამ პერიოდში, — იგონებს კ. გამსახურდია, — ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ მე და ჩემი აფრიკელი მეგობარი სტუდენტურ ანგლობასაც არ ვაკლებდით ხელს. პროფესორის ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენის მეოხებით მე მოვეწყვე ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის სემინარის ერთ სამთარგმნელო ბიუროში, სადაც წარმოებდა თარგმნა მსოფლიოს უდიდეს ენებზე“. ამ ხანებში კ. გამსახურდიას რამდენიმე ლექსი ითარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთში“. ამავე დროს მან დაწერა პუბლიცისტური ბროშურა „კავკასია მსოფლიო ომში“, რომელიც ვაიმარში გამოიცა ხოლო შემდეგ გადაბეჭდეს და დიდი ტირაჟით გაავრცელეს ამერიკაში.

1918 წელს არდადეგებზე სამშობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა მწერალმა მონაწილეობა მიიღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში. თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ განხორციელდა მისი დიდი ხნის ჰაბუკუკური ოცნება სამხედრო კარიერაზე. წერილში „როგორ ვწერ“ კ. გამსახურდია გვიაშობს: „ერთადერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიჰაბუკუკის მანძილზე. ეს იყო სამხედრო კარიერა. 1918-19 წლებში უნივერსიტეტი მინდოდა დამეგდო და პრუსიის გენშტაბის აკადემია დამესრულებინა... სამხედრო კარიერისადმი სიყვარული არც ბარათაშვილს ჩაუგონებია ჩემთვის და არც ლორდ ბაირონს. ოდითგანვე ცხენის კულტი იყო ოდიშის მხარეში. ექვსი წლის ბავშვს განსვენებული მამაჩემი უბელო ცხენზე შემავდებდა და მათრახს გადაუჭერდა ცხენს. ბოლოს შევეთვისე ცხენს“.

იმავე 1918 წელს კ. გამსახურდიამ დააარსა ჟურნალი „პრომეთე“, რომელშიც ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა გვერდით თანამშრომლობ-

დნენ გამოჩენილი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად ამ ჟურნალმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა იმ წლების ქართულ მხატვრულ პრესაში და გარკვეულ როლიც შეასრულა მენშევიკური რეჟიმის პერიოდის ქართული მწერლობის განვითარებაში.

1919 წელს გერმანიაში დაბრუნებულმა კ. გამსახურდიამ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მიიღო ხელოვნებათა მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მომდევნო წლებში, ისე, როგორც სტუდენტობის პერიოდში, მწერალი მოგზაურობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, უშუალოდ ეცნობოდა ევროპის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, გულმოდგინედ სწავლობდა მათი უძველესი და ახალი კულტურის ხელოვნებას, მწერლობას, ფილოსოფიას, საზოგადოებრივი აზროვნების მონაპოვარს.

1921 წელს როცა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საბჭოთა წყობილება დამყარდა, კ. გამსახურდია სამშობლოში დაბრუნდა და მთელი ძალდონით ჩაება იმ მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლებში, რომლებიც ახალი საქართველოს ისტორიის პირველ წლებში მიმდინარეობდა. მაშინ ლეო ქიაჩელთან და ვალაკტიონ ტაბიძესთან ერთად იგი რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალ „ლომისს“ და გაზეთ „ქართულ სიტყვას“. ამასთანავე იგი სცემდა საკუთარ გაზეთს „საქართველოს სამრეკლოს“ და ჟურნალ „ილიონს.“

1923 წელს მწერალი ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა და მთელი წლის განმავლობაში სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს ახალი ფილოსოფიის ისტორიაში. მალე მწერალმა სამშობლოში დაბრუნება არჩია, სადაც მას შემოქმედებითი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო საბიძგო მოელოდა. 1924 წლიდან იწყება მწერლის პროფესიული ლიტერატურული ცხოვრება და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ქართული საბჭოთა კულტურის ასპარეზზე. ზედიზედ ქვეყნდება მისი რომანი „დიონისოს ღიმილი“ და ნოველების წიგნები, რომლებიც მას ორიგინალური და ნიჭიერი ბელეტრისტის სახელს უხვევქენ და განსაზღვრავენ მის ადგილს ოციანი წლების ჩვენს ლიტერატურულს ცხოვრებაში.

ხანგრძლივად სამშობლოსაგან მოწყვეტილი და დასავლეთის ბურჟუაზიულ-დეკადენტური კულტურის ატმოსფეროში სულიერად მომწიფებული მწერლისათვის, ცხადია, ძნელი იყო ერთბაშად გაეგო და ეგრძნო ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის საქმის სიმართლე და უძღველოება, გამსჭვალულიყო ახალი სამყაროს ნათელი იდეებით

და ყოველგვარი მერყეობისა და წინააღმდეგობათა გარეშე ჩამდგარიყო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში. კ. გამსახურდია იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და მეთაური ე. წ. „აკადემიური მწერლობის კავშირისა“, რომელიც ოციანი წლების ლიტერატურულ დაჯუფებათა შორის მწერალთა ყველაზე მემარჯვენე გაერთიანება იყო, ყველაზე დიდი მანძილით დაშორებული პროლეტარული მსოფლმხედველობისაგან, საბჭოთა მწერლობის იდეურ-შემოქმედებითი პოზიციებისაგან. ამ წლების თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც და სხვა სახის გამოსვლებშიც იგი გამოხატავდა და ანვითარებდა მრავალ მცდარსა და კულტურული რევოლუციის მიზნებთან და ამოცანებთან შეუთავსებელ იდეებს. ეს გარემოება დიდ სიძნელებს და დაბრკოლებებს ქმნიდა მწერლის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ცხოვრების გზაზე.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან, განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ, იწყება კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი პერიოდი. ოცდაათიან წლებში დაწერილი თანამედროვე თუ ისტორიული თემატიკის რომანებით იგი თვალსაჩინო ადგილს იკერს საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ოსტატთა შორის. ამიერიდან იგი აქტიურად თანამშრომლობს მთელ ქართულ პრესაში. მისი საუკეთესო ნაწარმოებნი ითარგმნება რუსულ ენაზე, სხვა მოძმე ხალხების ენებზე. დიდი სამამულო ომის წლებში მწერალი არა მარტო შთაგონებული, ჭეშმარიტად პატრიოტული შემოქმედებითი შრომით ეხმარებოდა საბჭოთა ხალხის საბრძოლო მისწრაფებებს. მრავალრიცხოვან მგზნებაზე პუბლიცისტურ წერილებში, მშრომელთა მიტინგებზე და კულტურის მოღვაწეთა კრებებზე წარმოთქმულ სიტყვებში იგი მომაკვდინებლად ამხილებს ფაშიზმის მხეცურ სახეს და თავგანწირული საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს. დღითიდღე იზრდება მწერლის პოპულარობა, მისი როლი და მნიშვნელობა ქართული და მთელი საბჭოთა კულტურის განვითარებაში. 1946 წელს, საბჭოთა საქართველოს არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით კ. გამსახურდიას დიდი ღვაწლი მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღინიშნა. იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მწერლისადმი ხალხის გულწრფელი სიყვარულისა და მადლიერების მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა მისი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რომელმაც ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელს საქართველოში.

თავის რჩეულ თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომისათვის დაწერილ ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია აღიარებს: „მეორე ტომში მოთავსებულ

ნოველებიდან ზოგზოგი ჩემი სიჭაბუქის დეკადენტურ ცოდვათა ანარეკლია. ჩვენ ყველას, ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგვიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უცილოდ დაგვემჩნა ერთგვარი დალი დეკადენტობისა. დეკადენტობა — ეს იყო განსაზღვრული სენი მთელი საუკუნისა“. აი, სწორედ, ამ სენით არის აღბეჭდილი კ. გამსახურდიას ოციანი წლების ნოველები და მისი პირველი რომანი „დიონისოს ღიმილი“. ინდივიდუალისტური მსოფლშეგარძნებით, ნაღვლიანი და მელანქოლიური განწყობილებით გამსჭვალულ ამ ნაწარმოებში მწერალი მთელ თავის მხატვრულ ძალას და ენერგიას სასიკვდილოდ განწირული წარსულის ნარჩენების წარმოსახვას ანდომებს. ზოგჯერ რევოლუციის მიერ განადგურებული რეაქციული ძალების ეს მახინჯი გადმონაშთები მწერლის მიერ რომანტიზირებულად, პოეტიზირებულად არის გამოხატული, და არა მარტო სიბრალულითა და თანაგრძნობით, არამედ ერთგვარი დიდების შარავანდელით შემოსილი.

ყველაზე ტიპურსა და დამახასიათებელს — ასე ვთქვათ „საპროგრამო“ ნაწარმოებს კ. გამსახურდიას ამ პერიოდის ნოველებს შორის წარმოადგენს „ზარები გრიგალში“. ამ ნოველის გმირია სოფლის ეკლესიის მნათე ოქროპირი, რომელსაც „ქვეყნის გამოცვლა“ მხოლოდ მაშინ შეუმჩნევია, როდესაც ეკლესიის გუმბათზე და სამრეკლოზე ჯვრები ველარ უნახავს. „ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას. ცვლილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და არავის დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება.“ ამ ავტორისეულ რემარკაში ნათლად არის გამოთქმული „სიბნელეში დაბრმავებული“, „უიმედო გლახაკის“ მნათე ოქროპირის და ამ მხატვრული სახის შემქმნელი ხელოვანის ნეგატიური დამოკიდებულება იმ ღრმა ცვლილებებისა და გარდაქმნებისადმი, რომლებითაც აღსავსე იყო ჩვენი საუკუნის ოციანი წლების საზოგადოებრივი სინამდვილე.

ღრმად შთამბეჭდავი ძალით მწერალი ხატავს სიმბოლური მნიშვნელობის სურათს უეცრად ამოვარდნილი გრიგალის დამამხობელი იერიშისას ძირგამომპალი სამრეკლოს წინააღმდეგ, რომლის ჩამონგრეულ საფეხურებზე გაჯიუტებულად დგას და გრიგალს თავგანწირულად ეგებება მოხუცი მნათე.

დიდ ხუთშაბათ საღამოს ოქროპირი დაათრო ახალი დროების მიერ მიკიტნად ქცეულმა, ცბიერმა და გაიძვერა ნახუცარამ. ღვინით და ბოლმით გაბრუებული მოხუცი ინსტინქტით მიეშურება მთელი სოფლის მიერ მოძულებული და მიტოვებული სამრეკლოსაკენ, რომელზეც იგი ოცდახუთი წლის განმავლობაში გამუდმებულად რეკავდა, ცისკარზეც და მწუხრზეც „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს... ზარების თოკებს ქარი აფრიალებდა“. მნათემ თავდავიწყებით ხელი ჩაავლო სველ თოკებს და მძლავრად დაარისხა ჯერ მცირე,

შემდეგ მოზრდილი, ბოლოს დიდი ზარები და სივრცე ერთბაშად აივსო ამ დიდიხნით დადუშებული ზარების უეცარი ამღერებით და აგუგუხებით. და სწორედ ამ დროს ამოიჭრა ქარიშხალი, რომელიც ხახადაღებული ძუ მგლის გაცოფებით „ეძგერა სამრეკლოს, შეარყია და შეანჯღრია, შეატორტმანა“.

ლენჩი ოქროპირის მიერ მოულოდნელად აგუგუხებული ზარებისა და გააფთრებული ქარიშხლის ორთაბრძოლის ღრმა ექსპრესიით დახატული სურათი შეადგენს ამ ნაწარმოების უდავო ესთეტიკურ ღირსებას, მწერლის უეჭველ მხატვრულ მიღწევას. — „ზარების ჯარები ფოლადის აბჯარში, მღვერები უშიშო, თავგამეტებულნი მისდევენ გრიგალის გაფრენილ მერნებს. ნოჰქროდნენ მთჳარისკენ ღრუბლების გემები ალისფერ სისხლით გამურული აფრებით და პირქვე ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძაზე, ვით მავნე მეკობრე. გრიგალი მოახტა ცაცხვების ქეჩოს ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული. გადრიკა წელში მძლე გოლიათები, სამრეკლო ტკრციალით შეირყა, გაქანდა, ტორტმანით დაეცა მიწაზე“, ეს რამდენიმე სტრიქონიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ავტორის მხატვრული აზროვნების, სახეთა ძერწვის მანერის ანტირეალისტურ ხასიათზე. რაც შეეხება ნოველის იდეურ შინაარსს, ამის გასაგებად საკმარისია ის გარემოება, რომ აქ რევოლუციის სიმბოლოდ ნაგულისხმევი გრიგალი ხახადაღებული მგლისა და სისხლს მოწყურებული ფოცხვერის სახითაა წარმოდგენილი და მნათე ოქროპირის ასეთ წარმოდგენას არაფრით არ არღვევს და აბათილებს ნოველის მთელი მხატვრული ლოგიკა.

ღვინით და რელიგიური ექსტაზით გონებადახშული მოხუცი ფანატიკური სიჯიუტით ჩაბლაუჭებია დასამზობად განწირულ სამრეკლოს და უდრტვიწველად იღუპება სამრეკლოს ნანგრევებში. ნოველის ასეთი ფინალი თავისებურად განასახიერებს ჩვენი რევოლუციური ეპოქის კანონზომიერებას — რევოლუციის გრიგალი პირისაგან დედამიწისა აღგვის ყველაფერს და ყველას რაც მას წინ გადაეღობება. ეს პირუთვნელი ისტორიული სიმართლე დამარწმუნებელი ძალით არის გამოხატული ამ ნოველაში, მაგრამ თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ ეტაპზე მწერალი ჯერ კიდევ თავისი სიმპათიებით და სულიერი ნათესაობით წარსულის დასაღუპად განწირულ გადმონაშთებთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ახალი ცხოვრების ძლევამოსილ ქროლვასთან. ამიტომაც ეს ნაწარმოები ქარიშხლის მიერ დამზობილი სამრეკლოს ნანგრევებში დაღუპული მნათე ოქროპირის თავგანწირულების სადიდებელ ჰიმნად ჟღერს. „ასწიეთ ადამიანი მალლა, სულ მალლა და დასვით მნათე ოქროპირ შემოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო ალტაცება და ექსტაზში დაიღუპა. მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპულისათვის“. — წერს ავტორი და ამ სიტყვებით ხაზგასმით გაშიფრავს ნაწარმოების

მხატვრულ სახეთა კომპლექსში ჩაქსოვილ აზრს. ნოველის მანძილზე ავტორი არა ერთხელ და განზრახ შეუფარველად იმეორებს: „მე მინდა ვუმღერო გრიგალისაგან შერყეულებსაც, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირი“. „მე მინდა ვუმღერო უიმედო გლახაკს, რომელმაც დიდების პორტფირი უნდა მოიხსას, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირი“, „მე მინდა ვუმღერო სიბნელეში დაბრმავებულს“.

განახლებული სოციალური სინამდვილის მიერ ცხოვრების ფსკერზე გადასროლილი ყოფილი ადამიანები შეადგენენ ნოველა „ქოსა გახუს“ გმირებს: ესენი არიან ნახუცარი იონა და თავად მანუჩარის ნაშიერნი ძმები ტაგუ სამუგია და ქოსა გახუ. სალტის ფაცხაში თავშეფარებული ნახუცარი გულს არ იტეხს, ეფუთში ეძებს „ბოლშევიკების წასვლის“ თარიღებს; სასთუმალთან არ იშორებს ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს. დიდის პათოსით კითხულობს იობის წიგნს, რადგან რაღაც იდუმალ ანალოგიას პოულობს თავის ბედსა და წამებულ ბიბლიურ ადამიანს შორის. ტაგუ სამუგია და ქოსა გახუ კი თავად აზნაურული კლასის სულიერი და ფიზიკური დეგრადაციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენენ. ტაგუ თავად მანუჩარის და მისი ღვიძლი დის ხათუნის შვილი ყოფილა, რომელიც თავისი შემადრწუნებელი ცოდვის დასაფარავად სამუგიად მოუნათლავს ბატონიშვილს. იგი მთელ მხარეში განთქმული მონადირე, ცხენის ქურდი და აბრაგია, ქალის მოტაცებათა და ყოველგვარ დანაშაულებათა მოთავე და მონაწილე. დიდის თავმოწონებით იგონებს ტაგუ თავისი ბნელი წარსულის საზარელ ეპიზოდებს, გულმოკლული უჩივის ახალ დროებას: „გაფუქდა ჯიმა აჯამი ქვეყანა, გამამაძაღლდა ხალხი“, „ასეთი დღეები მინახავს და ახლა ქუსლმოქცეული ოჩიგავა დამაჯდა თავზე“. კიდევ უფრო შემზარავია ქოსა გახუს ცხოვრება. მისი ძმები — თავად მანუჩარის შვილები — რევოლუციას გაქცევიან და უცხოეთში გადაეკარგულან. გახუს ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი ვერ დაუტოვებია და შინ დარჩენილა. როცა ხანგრძლივი არაადამიანური ჩაგვრისა და უსამართლო ძალადობისათვის შუარის საძიებლად გლენებს თავად მანუჩარის სასახლე გადაუწვავთ, გახუს თავისი პირმშო თემრა გადაურჩენია და იმ დღიდან ჰკუაზე შეშლილად მოჩვენებია სოფელს. ხალხს შეცოდებია სულითა და ხორციით დაძაბუნებული ქოსა და მისთვის ხელი აღარ უხლიათ. ცოლი გაქცევია გახუს, ვიღაც ბერძენს გაყოლია სტამბოლში. თანასოფლელების მიერ სასაცილოდ აგდებულ გახუს ხეზე მოუწყვია პატარა ფაცხა, შიგ მოუთავსებია თავისი თემრა, რომლისადმი სიყვარული და ზრუნვა შეადგენდა ამ უბადრუკი ადამიანის სიცოცხლის ერთადერთ აზრს. მსხლის მოსაკრეფად მაღალ ხეზე გასულ თემრას შტო ჩამომტვრევია, მიწაზე დანარცხებულა და სული გაუცხია. ახლა კი ნილაბი აიხნადა ქოსა გახუმ. თურმე თავისი პირმშოს გადასარჩენად იგონებდა იგი სიგიჟეს,

უგებ ხალხმა ჭკუისაგან შეშლილს მამა-პაპის ცოდვა აღარ მომკითხოს, ხელი არ მახლოს და პატარა თემრა დაუსჯელად გაიზარდოსო. ახლა კი, როცა თემრა დაიღუპა, ქოსას ცხოვრებამაც ყოველგვარი აზრი დაკარგა. მან ცეცხლს მისცა ხეზე გადგმული თავისი ქოხი და მდინარეში დაიხრჩო თავი. როცა გლენებმა მდინარის ნაპირზე გამოირიყული გახუს ცხედარი იპოვეს, იგი უკანვე გადაისროლეს მდინარის სიღრმეში გაბრაზებულებმა, რომ ქოსას მიერ თავისი ფაცხის დასაწვავად გაჩაღებულმა კოცონმა კინალამ მთელი სოფელი გადაწვა, დიდი ზიანი მიაყენა მეზობლებს. თავისი ღვიძლი ძმის ცხედრისადმი ასე უღიერად მოპყრობის დამსწრე ტაგუ სამუგამ ხმის ამოდებაც ვერ გაბედა „ქუსლმოქცეული ოჩიგაგების“ შიშით.

ასეთია ნოველის სიუჟეტური სქემა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი აქ მხოლოდ წარსულის ამ ბნელი ნარჩენების კატასტროფის მეშვეობით არის მინიშნებული, მაგრამ ახალი სამყაროს ჯანსაღი სოციალური ატმოსფერო და მისი შემოქმედი ადამიანების სახეები, მათი შრომა და ბრძოლა ჯერ კიდევ მწერლის შემოქმედებითი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ნოველა „ტაგუს“ სიუჟეტურ მაგისტრალს შეადგენს მოხუცი დიაკონის ნატიეს მიერ მოთხრობილი ლეგენდა, იმის შესახებ, თუ როგორ გავერანდა სამეგრელოს ერთი, ოდესღაც ძლიერი და მდიდარი სოფელი ნაჭყვედი, როგორ გაპარტახნდა აზნაურ ბისკაიების ოჯახი და ამოწყდა ხარბედიების გვარი, რომელიც სოფლის მშრომელ მოსახლეობას წარმოადგენდა. ამ მითითური ხასიათის ნაამბობს, ცხადია, არაფერი აკავშირებს საბჭოთა სინამდვილესთან, ჩვენს თანამედროვეობასთან, გარდა იმ გარეგნული ნიშნისა, რომ ეს უცნაური, თავისი მისტიურობით შემზარავი ამბავი მოხუცმა ნატიემ მოუთხრო ახალგაზრდა ინტელიგენტს, რომელიც დიდი ხნით ყოფილა მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს და ახლა, ოცი წლის შემდეგ, სანადიროდ დაბრუნებია ნაჭყვედის შიდამთებს. ამ პერსონაჟის სახით კ. გამსახურდიას შემოქმედებაში პირველად გამოჩნდა განუკურნებელი მელანქოლიით შეპყრობილი, პირველყოფილ პრიმიტივისა და ულტრამოდერნულ ცივილიზაციას შორის მოქანავე გაორებული ბუნების ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შემდეგ უფრო სრული და მრავალმხრივი გამოხატულება ჰპოვა კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის სახეებში.

გარეწარი ბანდიტის, მძარცველის და მკვლელის ჯამუს საძულველი სახე დახატა მწერალმა ამავე სახელწოდების ნოველაში. ჯამუ ქართველი ყოფილა, სელიმ ეფენდიევის გვარით ყაჩაღობდა თურმე თურქესტანში, უკრაინასა და მოსკოვში. ბოლოს ვიღაც თავის მსგავს ნაძირალას გაუცია, შეუპყრიათ და ბუტირკის ციხეში ჩაუმწყვდევიათ... და მწერალი დაწვრილებით აგვიწერს,

თუ როგორ დაასრულა თავისი სამარცხვინო ცხოვრება ამ გაცოფებულმა ბოროტმოქმედმა, რომელსაც სიკვდილის წინ ყოფნის თავხედობა, თავი იმართლოს ციხის საკანში შემთხვევით შეხვედრილ თანამემამულესთან და ვაჟკაცობა, უწოდოს თავის ბნელ, სისხლიან საქმეებს. თავის დროზე ლიტერატურული კრიტიკა სამართლიანად უსაყვედურებდა მწერალს, რომ იგი ამგვარი ნაძირალების ცხოვრების გამოხატვას ანდომებდა თავის მხატვრულ ნიჭიერებასა და ენერგიას, ამასთან მას არ ყოფნიდა მამხილებელი პათოსი, რათა მკითხველთა შეგნებაში პროტესტისა და გულისწყრომის გრძნობა გაეღვივებია ამგვარი „გმირების“ მიმართ.

ამორალური უხამსო სკეპტიკოსების სახეები დახატა მწერალმა ნოველებში „ლილი“ და „ქალის რძე“. პირველ მათგანში მოქმედებს ექიმი აქვსენტი შარუხია — „გულგამოჰმული სკეპტიკოსი, რომელსაც, ცაზე ღმერთი არად მიაჩნდა და ადამიანები სძაგდა ან ებრალებოდა“. ეს დიდად განსწავლული ექიმი, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო შემოუვლია და ბოლოს ქალაქი სოხუმი აურჩევია სამოღვაწეო ასპარეზად, გულისამრევად უხამს შეხედულებებს ანვითარებს ადამიანის არსის, საზოგადოების, მეგობრობის, სიყვარულის, ზნეობის საკითხებზე. იგი იმასაც არ თაკილობს, რომ მის ლამაზ ცოლთან გამიჯნურებულ სტუმარს პლაჟზე მწოლიარე შიშველი თავისი მეუღლე დაანახოს, რათა დაარწმუნოს მეტოქე, რომ ქალი რაქიტით არის დაავადებული და ამ საშუალებით „განკურნოს“ სტუმარი სიყვარულის სენისაგან. „ქალის რძეში“ კი მოთხრობილია თავგადასავალი ერთი ახალგაზრდა ინტელიგენტისა, რომელსაც ნადირობისას კაცი შემოაკვდა, შემდეგ ქალაქისაკენ გამობრუნებული შემთხვევით მოკლულის ოჯახში მოხვდა, თავისი მსხვერპლის ახალგაზრდა ცოლი მოეწონა და მასთან ეროტიული სცენების გამართვა მოინდომა ყოველად უხამსი და ტლანქი საშუალებებით.

შედარებით ახლოს მივიდა მწერალი საბჭოთა სინამდვილის თემატიკასთან ნოველაში „დიდი იოსები“. ეს ამ პერიოდის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელშიც კ. გამსახურდიამ სცადა დაეხატა რიგითი მშრომელი ადამიანი და ეჩვენებინა ის ღრმა ცვლილებანი, რომლებიც ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია. მაგრამ ამ ნოველის წერისას მწერალი ჯერ კიდევ არ იყო მსოფლმხედველობრივად მომზადებული ამ უადრესად აქტუალური თემის ისტორიული სიმართლით გადაწყვეტისათვის. ნოველაში აღწერილია საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღეები. თბილისში, სოლოლაკის ერთ-ერთ ქუჩაზე მცხოვრები ვილაც „დიდკაცის“ ოჯახი სასწრაფოდ გარბის ქალაქიდან, რათა თან გაჰყვეს უცხოეთში მიმავალ მენშევიკურ მთავრობას. მანქანაში ბარგის ჩასალაგებლად მეკუ-

რტნე იოსები მოიწვიეს, ოჯახის გაქცევის შემდეგ იოსებმა მოინდომა უპატრონოდ მიტოვებული ბინისა და მასში დარჩენილი ქონების დასაკუთრება. პატიოსანი მშრომელი აღამიანი, რომელიც მულამ გაკირვებაში და სიღარიბეში ცხოვრობდა, ერთბაშად აღმოჩნდა მისთვის საესებით უჩვეულო ვითარებაში, და ამ თითქოსდა მოულოდნელმა ბედნიერებამ იმსხვერპლა იოსები. მალე თვითნებურად მითვისებული ბინა ჩამოართვეს, მეეზოვედ დანიშნეს და ბინად ალაყაფის კარებთან მიშენებული პატარა ოთახი მიუჩინეს... იოსებმა მწვავედ განიცადა ყოველივე ეს, იგი სულიერმა მღელვარებამ შეიპყრო, კაცმა მოსვენება და სიმშვიდე დაკარგა. ლოთობას მიჰყო ხელი. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი მეეზოვე აღვილად ჩაიგდეს ხელში და თავისი ბნელი საქმეების მონაწილედ გაიხადეს ბოროტმოქმედმა კომბინატორებმა, რომლებიც ყალბი ფულების დამზადებას და გავრცელებას აწარმოებდნენ. ასე დაექანა მეკურტნე იოსები ცხოვრების ფსკერისაკენ. მას მხილება და მძიმე სასჯელი მოელოდა, რომ ერთხელ, როცა ყალბი ბონებით საესე ჩემოდანი მოქპონდა, ქუჩაში შემთხვევით მანქანა არ დაჯახებოდა და არ დაღუპულიყო. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მწერლის მიერ მოთხრობილი თავგადასავალი მეკურტნე იოსებისა, არა თუ ტიპიური და დამახასიათებელი არ არის, არამედ ფრიად ყალბად გამოხატავს იმ სოციალურ ძვრებსა და სიახლეებს, რომლებიც ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში გამოიწვია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ.

კ. გამსახურდიას მიერ ოციან წლებში შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და თანაც ყველაზე დამახასიათებელი მწერლის იმდროინდელი იდეურ-ესთეტიკური პოზიციისათვის არის რომანი „დონისოს დიმილი“, რომელსაც ავტორმა თავისი „სიკაბუკის წიგნი“ უწოდა. ამ წიგნის პირველი ნაწილი მწერალს 1915 წელს დაუწერია მიუნხენში, 1916—1917 წლებში ბერლინში გაუგრძელებია მისი წერა, მაგრამ რომანის ეს პირველი ხელნაწერი ავტორს დაკარგვია. ასეთივე ბედი სწვევია რომანის მეორე ვარიანტსაც, რომელიც მწერალს 1919 წელს ბერლინში დაუწერია. და ბოლოს, 1924 წელს მესამედ დაუწერია იგი საქართველოში იმ სახით, როგორც ცნობილი გახდა მკითხველი საზოგადოებისათვის. „ცხრა თვე — დღისით და ღამით ისე ვებრძოდი ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“ — ამბობს მწერალი ამ წიგნის საბოლოო ვარიანტზე თავისი მუშაობის შესახებ და, მართლაც ამ ნაწარმოებში პირველად იჩინა თავი მწერლის ღრმად თავისებურმა მხატვრულმა სტილმა, ორიგინალურმა მეტყველებამ, რომელიც თანამედროვე ქართული სამწერლო ენის განახლებისა და გამდიდრებისათვის წა-

არმოებული დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის შედეგად არის გამომუშავებული. ეს წიგნი პირველი და ყველაზე მკაფიო ნიმუში იყო იმ „პოეტური პროზისა“, რომლის თავგამოდებულ აპოლოგეტადაც კ. გამსახურდია გამოდიოდა თავისი სამწერლო ბიოგრაფიის დასაწყისიდანვე და რომელშიც მხატვრული პროზის ეპიკურ და ლირიკულ საწყისთა განუყოფელ ერთიანობას გულისხმობდა. ამავე ნაწარმოებში პირველად გამოვლინდა საგრძნობლად და ხელშესახებად მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის, მისი თვითმყოფი პოეტური ნიჭიერების, თხრობისა და ხატვის ღრმად თავისებური ხელოვნების ის ნიშანთვისებანი, რომელთაც განვითარება პოვეს მის შემდგომს დიდ მხატვრულ ტილოებში.

„დიონისოს ღიმილით“ მე მოვძებნე სინთეტური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის... გენეტიურად იგი დასავლური რომანიდან გამოდის“, — წერს ავტორი ამ წიგნის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში. მართლაც, ამ ნაწარმოებს უფრო მეტი ნათესაობა და კავშირი აქვს დასავლეთის რომანთან, ვიდრე ქართული კლასიკური მწერლობის მაგისტრალურ ხაზთან, მაგრამ, როგორც ცნობილია, ევროპული რომანი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილსა და უცვლელ კატეგორიას როდი წარმოადგენს. ერთია ბალზაკის, სტენდალის, დიკენსისა და თეკერის რეალისტური რომანის ტრადიცია და სულ სხვაა გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდგეს ევროპაში აღმოცენებული ანტირეალისტური მხატვრული პროზის ის ნაკადი, რომელიც მარსელ პრუსტის, ჯემს ჯოისის, დოს პასოსის და სხვათა სახელებით არის ცნობილი. ამასთანავე თანამედროვე ევროპული რომანიც არ წარმოადგენს ერთიანსა და განუყოფელ ცნებას. სწორედ მე-19 საუკუნის დამლევის ევროპაშივე აღმოცენდა ახალი კრიტიკული რეალიზმის დიდი მწერლობა, რომელმაც ღრმად გახსნა და დიდი მამხილებელი ძალით გამოხატა ეპოქის სოციალური წინააღმდეგობანი, ბურჟუაზიული საზოგადოების დაცემისა და რღვევის პროცესები. კრიტიკული რეალიზმის ეს მძლავრი ტრადიცია ამჟამადაც გრძელდება ევროპულსა და ამერიკულ ლიტერატურაში და მას ისეთი დიდი, მთელ მსოფლიოში სახელმძღვანელო ოსტატები განამტკიცებენ, როგორიც არიან ჰემინგუეი, სტეინბეკი, კოლდუელი, ჰენრიხ ბიოლი და სხვ. ამასთან, თანმიმდევრულად იზრდება დასავლეთის მწერლობაში გარკვეული რევოლუციური, სოციალისტური რეალიზმის მხატვრული პროზის ხვედრითი წონა. ყოველივე ეს, მთელი ეს ნაირფეროვანი პროგრესული ლიტერატურული მოძრაობა არსებობს თანამედროვე დეკადანსის ისეთ უკიდურეს გამოვლინებათა პარალელურად როგორიც არის, მაგალითად, ფრანგული „ანტირომანის“ თეორია და პრაქტიკა და სხვა ამგვარი ანტირეალისტური მყვირალა, მორღური მიმდინარეობანი,

ეგზისტენციალიზმიდან — აბსტრაქციონიზმამდე. ამიტომაც შეუძლებელია ლაპარაკი საერთოდ „თანამედროვე ევროპული მწერლობის“, „თანამედროვე ევროპული რომანის“ შესახებ, ეს ცნებები აუცილებლად დიფერენცირებულ გაგებასა და გააზრებას საჭიროებს.

ქ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ ჩვენი საუკუნის ევროპელი მოღერანისტიკული მხატვრული პროზის წიაღშია წარმომადგენელი. მართალია იგი გამსჭვალულია ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი უარყოფითობის გრძობით, მისი ხრწნისა და ლპობის, მისი ამორალიზმისა და განუკურნებელი დაძაბუნების მამხილებელი პათოსით, მაგრამ რომანის ეს კრიტიციზმი მოკლებულია სოციალურ გააზრებას და რაიმე ჯანსაღ, პროგრესულ საზოგადოებრივ იდეას. იგი უფრო იმ სულიერი კრიზისისა და დეპრესიის გამოხატულებაა, რომელმაც დასავლეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის გარკვეული წრეები მოიცვა პირველი მსოფლიო ომის მომდევნო წლებში და რომელმაც ნაირსახეობრივი გამოვლინება ჰპოვა ჯერ გერმანელი ექსპრესიონისტების შემოქმედებაში, ხოლო უფრო გვიან ფრანგი მწერლის ლუი სელინის რომანში „მოგზაურობა ღამის პირად“, უფრო ახლახან — ფრანგი ეგზისტენციალისტების რომანებსა და დრამებში.

რომანის მოქმედება ჩვენი საუკუნის ათიანი წლების ევროპული ცხოვრების ფონზე მიმდინარეობს. მართალია, რომანის მთავარი გმირი ქართველი კაცია და ამიტომ მისი მოგონებანი საკუთარი ბავშვობისა და ყრმობის წლების შესახებ საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებას მოიცავს, საქართველოში მიმდინარეობს რომანის უკანასკნელ თავებში მოთხრობილი მოვლენებიც. მაგრამ ამ ქართულ პასაჟებს ნაწარმოებში მხოლოდ მეორეხარისხოვანი, პერიფერიული ადგილი და მნიშვნელობა აქვთ მიკუთვნებული, რომანის ძირითად ნაწილს მისი გმირის მიერ ევროპის ქვეყნებში — საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში გატარებული ცხოვრება შეადგენს და ამდენადვე ამ პერიოდის ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურ ანარეკლსაც შეიცავს. მაგრამ მწერლის ყურადღების ცენტრში დაყენებულია არა ამ პერიოდის მსოფლიო ისტორიისათვის დასახასიათებელი ღრმა სოციალური კონფლიქტები და წინააღმდეგობანი და არა ის ეპოქალური მნიშვნელობის საზოგადოებრივი პრობლემები, რომლებიც ამ წლებში კაცობრიობას აღელვებდნენ, არამედ თავისი გმირის და მის გარემომცველ ადამიანთა ვიწრო, პირადულ გრძობათა და განცდათა სამყარო, მათი სამიჯნურო, უფრო სწორად, ეროტიულ-სექსუალური ურთიერთობანი, მათი შთაბეჭდილებათა მდინარება.

ამიტომაც რომანში ვერ ვხედავთ სხვადასხვა სოციალურ ფენათა ცხოვ-

რების დამახასიათებელ სურათებს, მათი სოციალური ინტერესების წინააღმდეგობიდან წარმოშობილ კონფლიქტებს, რომანის საბრძოლო ბურჟუაზიული საზოგადოების მაღალი ფენების ვიწრო წრით არის შემოფარგლული და ამ წრის მხატვრული ათვისება და დახასიათებაც მოკლებულია სოციალურ ასპექტს, უპირატესად ყოფაცხოვრებითა და პირად ინტიმურ ურთიერთობათა სფეროშია მომწყვდეული.

რომანის პერსონაჟთა მრავალრიცხოვან კალეიდოსკოპში არც ერთი არ წარმოადგენს დასრულებულ სოციალურ ტიპს, რომელიც ამა თუ იმ კლასის ფსიქოლოგიას, მის სოციალურ ბუნებას განასახიერებდეს, არც ერთი მათგანი არ არის ნაჩვენები თავისი პროფესიული საქმიანობის ვითარებაში, მთელი ეს ადამიანური მასა აქ გამოხატულია სეირნობისა და კაფე-რესტორნებში დროსტარების, არისტოკრატიულ სალონებში სტუმრობის, სექსუალური აღვირახსნილობის, ღრმად სუბიექტურ განწყობილებათა და განცდათა ვითარებაში.

კლასიკური ევროპული რომანისაგან განსხვავებით. ან მის საწინააღმდეგოდ, ამ ნაწარმოების კომპოზიცია მოკლებულია ერთიან, მწყობრ სიუჟეტურ კალაპოტს, რომანი მისი მთავარი გმირის ნაამბობის სახით ვითარდება და უფრო მისი დღიურების, მოგონებების, შთაბეჭდილებების, მისი სულიერი ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდების ფრაგმენტულ ანაბეჭდებს წარმოადგენს, ათასგვარი შენაკადი ასოციაციებით გართულებულსა და განშტოებულს, მაგრამ თავისი გმირის სულიერი დრამის, მისი გამძაფრებული მგრძობელობის, მისი აფორიაქებული ფსიქოლოგიური სამყაროს გადმოცემისას მწერალი მაღალი პოეზიის დონეს აღწევს. სწორედ ამ სფეროში ვლინდება მწერლის იშვიათი მხატვრული ძალა, ენერჯია და ოსტატობა. ასევე მაღალი ესთეტიკური ჟღერის მხატვრულ სურათებში წარმოსახავს მწერალი მოქმედების ფონს, — მსოფლიოს უდიდესი სატახტო ქალაქების ქუჩებისა და მოედნების, ბაღებისა და პარკების ხედებს, კაფეებისა და რესტორნების, არისტოკრატიული ოჯახების ბინების მოწყობილობას, ეპოქის მატერიალურ ინვენტარს და ქალაქურსა თუ სოფლურ პეიზაჟებს, რომლებიც ყოველთვის ლირიკული მგზნებარებით არის გამსჭვალული და ამიტომაც ემოციურად დატვირთული და გამძაფრებულია.

მწერალი ნაკლებად ზრუნავს ინდივიდუალიზირებულ ადამიანურ ხასიათთა ცოცხლად დახატვისათვის, პერსონაჟთა გარეგნული პორტრეტების დასრულებულად ძერწვისათვის. რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის არსებითად არც არსებობს გმირი — ამ ცნების მაღალი გაგებით, რადგან ამ წიგნში არავინ ჩადის რაიმე გმირულს და მაღალადამიანურს. რომანში არაფე-

რი ზღემა სოციალურად მნიშვნელოვანი, ჩვენი საუკუნის ისტორიული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი დიდი ძვრები და გარდატეხები აქ მხოლოდ მკრთალი შტრიხებით არის ნაგულისხმევი და მინიშნებული იმდენად, რამდენადაც ისინი გავლენას ახდენენ რომანის პერსონაჟთა პირადი ურთიერთობების განვითარებაზე.

ყოველივე ეს დიდი მანძილით აშორებს „დიონისოს ღიმილს“ კლასიკური რეალისტური რომანის ტრადიციებს, აახლოვებს და ანათესავებს მას მსოფლიო დეკადენტურ მწერლობაში გავრცელებულ უსიუჟეტო და „უგმირო“ ბელეტრისტიკასთან.

„დიონისოს ღიმილის“ ძირითად შინაარსს, მწერლისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული ცივილიზაციის სნობისტური სენით დაავადებული უნიადგო აზნაურის — კონსტანტინე სავარსამიძის სულიერი ბიოგრაფია წარმოადგენს. „მე არა ვარ გმირი, მაგრამ გმირი ხალხის ვარ ნაბოლარა“. ასე ახასიათებს თავისთავს კონსტანტინე სავარსამიძე. უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი ქართველი აზნაურობის ნაბოლარა და უკანასკნელი ნაშიერია, მაგრამ თათქარიძეებისა და საშანიშვილების სამყაროსთან მას მხოლოდ წარმოშობა აკავშირებს. აზროვნებით, ფსიქოლოგიით, ზნეობით კი არაფერი აქვს საერთო თავის წარმომშობ წოდებასთან. უკვე ადრეული ყრმობის წლებში სავარსამიძე სულიერად დანათესავებია თავის აღმზრდელ გლეხს ტაია შელიას. ტაია გლეხია, მაგრამ იგი მშრომელი გლეხობის წილისაგან მოწყვეტილი და გამოთიშული, რალაც განსაკუთრებული გამონაკლისია. იგი უსაქმური, ლოთი, შესანიშნავი მონადირე და ცხენოსანი, ძველისძველი წარმართული ტრადიციებით დამძიმებული ადამიანია, რომელსაც არასოდეს თოხისა და სახნისისათვის ხელი არ შეუვლია, თავისი ოფლით არაფერი მოუპოვებია. ქორწილებში პირველი თამადა და დაკრძალვა-ქელეხებში პირველი მოზარე, ტაია შელია, ამასთან, სისხლხორცეულად შეზრდილა ბუნების წიალთან — ცხოველების, ფრინველების, ქვეწარმავალთა სამყაროსთან. ტაია შელიამ წარუშლელი ზეგავლენა იქონია სავარსამიძის ჰაბუკურ შეგნებაზე. „ტაია შელიამ ახია ჩემს თვალწინ ბუნების შეიღბეჭდიანი წიგნის პირველი ფურცელი, მან მასწავლა კვანძის გამოსკვნა, ანკესებზე ჭიების აგება და პირველად მან მიმაგნებინა გველების, ხვლიკების, თხუნელების და წავეების სოროებისათვის: მან მასწავლა შელოცვა, ფრინველების გამოჯავრება, გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა... ტაიამ მიჩვენა ჩემი ადგილი ადამიანთა შორის“, — იგონებს უკვე დავაჟკაცებული, ევროპის ბურჟუაზიული ცივილიზაციის ატმოსფეროში მთლიანად გათქვეფილი სავარსამიძე. უკვე ბავშვობის წლებში გათიშვია კონსტანტინე სულიერად საკუთარ ოჯახს, ჰაბუკი თურმე ზეცისაგან მისწრაფვოდა, —

მამა კი მიწას ებღაუჭებოდა. მომაკვდავ მამას დაუწყევლია თავისი ერთადერთი პირმშო, ცხოვრებაში გზადანხეულობა, უნაყოფობა, გაუხარელი მწარე ხვედრი უნატრია მისთვის. მამის სიკვდილისთანავე კონსტანტინეს დაუნგრევია მამა-პაპისეული სახლი, აუჩხბია მამის მიერ გაშენებული ვენახები, მიწები გაუყიდია და უცხოეთში გადაქარგულა. მას შემდეგ დაეხეტება ევროპის ქალაქებში განუკურნებელი მელანქოლით შეპყრობილი. სამუდამოდ გზაბნეული, მარტოობისა და მიუსაფარობის გესლით მოშხამული ახალგაზდა ქართველი აზნაური, რომელსაც თავი პოეტად მოაქვს, თუმცა არაფერი შეუქმნია დადებითი და მნიშვნელოვანი. მისი სულიერი სამყარო განუკურნებლად მოუწამლავს ევროპული დეკადენტური კულტურის შხამს. იგი უკიდურესი ინდივიდუალიზმის, ამორალიზმის ჭაობში ჩაძირულა და ცხოვრებაში საკუთარი გზა ვერ უპოვია. 32 წლის ასაკს მიღწეული ვაჟაკი, პარიზის კაფეებისა და რესტორნების, არისტოკრატიული სალონების მუდმივი სტუმარი, თავს უდაბნოში, გაუვალ უღრან ტყეში გრძნობს და ასე მიმართავს თავის ფიქრებში ტაია შელიას:

„ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში, შვიდი პროფესია გამოვიცვალე და ვერ ვიპოვე ჩემი ადგილი ამ ცხოვრებაში, ტაია შელია, ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომადამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი — გულთმი-სანო ჩემო გამზრდელო.

ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან, განა არ გესმის?.

„გზა“ იძახის ადამიანი საუკუნეების ირიბ მიჯნაზე.

„გზა“ იძახიან მგზავრები, მეეტლეები, ვატმანები და შოფერები.

„გზა!“ იძახიან მწერლები, მეცნიერები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერაფერს მასწავლა გზა.

თუმცა ჩემს წინაშე ყველა გზა ხსნილია, ყველა ასპარეზი ნაცადია, მაგრამ მაინც არ ვიცი საით წავიდე, რადგან ყველა გზა უღვევია და გაუვალა“.

ადამიანს, რომელსაც თითქმის ნახევარი მსოფლიო შემოუვლია, მრავალი ენა შეუსწავლია, მრავალი ხალხის ყოფაცხოვრება გაუცვნია, ბევრი უკითხავს და უსწავლია, მთელი ქვეყანა უდაბნოდ და თავისი თავი ამ უდაბნოში მოხეტიალე ლანდად წარმოუდგენია.

„ქუჩაში გავდივარ, მილიონებს შორის დავეძებ მარტოობას.

უდაბნო უდაბნო დიდი ქალაქის დიდი ქუჩა ჩემი უდაბნოა! აქ არავინ მიცნობს, ჩირადაც არავინ მიცქერის, თითქოს მე სხეული არ მქონდეს, თითქოს მე სული არ მქონდეს, თითქოს ლანდი ვიყვე, უდაბნოში მოხეტიალე ლანდი. უდაბნო! უდაბნო!“

მთელი წიგნი მისი მთავარი გმირის ამგვარი ტრაგიკული ჟღერის მონოლო-

ოგს წარმოადგენს, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლებიან ღრმა წინააღმდეგობებით აღსავსე მისი ფიქრები, მოგონებანი, შთაბეჭდილებანი და მისი აფორიაქებული ყოფა-ცხოვრების ეპიზოდები, გარემოცვის ფერადოვანი სურათები.

სავარსამიძე ხან პატრიოტია, რომელსაც შეუძლია სიამაყით და სიყვარულით ილაპარაკოს თავისი სამშობლოს გმირულ წარსულზე, სიტკბოებით განიცდიდეს მისი ბუნების მშვენიერებას და მისი ხალხის მაღალ ღირსებებს, ხან კი უთვისტომო კონსოპოლიტი, რომელსაც შეუძლია სრული რწმუნებით თქვას: „ჩრდილო და სამხრეთი, დასავლეთი და აღმოსავლეთი — მთელი სამყარო ჩემი სამშობლოა“. იგი ხშირად ამაყობს თავისი „ლაზური სისხლით“ და დიდ მნიშვნელობას აძლევს ამ „სისხლის ფაქტორს“ და თავმომწონედ აცხადებს, „ჩემში ყველაფერზე ხმა მაღლა სისხლი მეტყველებს“. და თანაც გრძნობს და აღიარებს, რომ ეს სისხლი დაღლილი და სამუდამოდ დაშრეტილია. იგი ხან შეხარის თავის ფიზიკურ ძალღონეს, მკლავების სიმაგრეს, ფეხების გამძლეობას და ფიქრობს, რომ მისთვის ყველაფერი ამქვეყნიური მისაწვდომია და დასაძლევია, ხანაც გულმოკლული ჩივის: „ახლა გგრძნობ, ჩემი სხეული დაიშალა, დაირღვა, საგნებს ფერადები შემოახუნდათ, გარემოს განვიცდი, როგორც არეულსა და უსიამოვნო ხმაურს“, ხანდახან მგონია: მე მოვეკვდი კიდევაც და საოცარია, რომ ჩემი ნაადრევი სიკვდილის გამოცხადება არც შიშსა და არც სინანულს აღარ იწვევს ჩემში. დაიშრიტა სიხარული ჩემ სულში, აღარ ვლაპარაკობ, აღარ ვიციანი, არც რაიმე მაინტერესებს“.

სავარსამიძეს არ გააჩნია რაიმე სოციალური იდეალი და საზოგადოებრივი ინტერესი. იგი გულგრილად შესცქერის ერების, ქვეყნების, კაცობრიობის ბედს. მას არაფერი წამს და ღრმად არაფერი და არავინ უყვარს.

მისი ცხოვრების ისტორიის მთავარ შინაარსს სამიჯნურო გატაცებანი შეადგენს. ამ ურთიერთობებში ნატამალიც არ არის წრფელი გრძნობისა, სპეტაკი და ამაღელვებელი სიყვარულისა. იგი განუკითხავი ეროტომანი, თანაბარი ვნებიანობით, მაგრამ წარმავალი და ეფემერული გატაცებით უკავშირდება საფრანგეთში აკრედიტებულ სპარსეთის ელჩის ალი მირზახანის მეუღლეს ჯენეტსაც, თავისი უახლოესი მეგობრის იოჰანეს ნოიშტატის სატრფოს ინგებორსაც, რომელიღაც არისტოკრატიულ სალონში შემთხვევით გაცნობილ ამერიკელ ქალს მისის ბლუტსაც, რომის ქუჩაში ღამით შეხვედრილ ქალს ლუჩიასაც და, ბოლოს, ქმარშვილიან ქართველ მანდილოსანს თინას, რომელიც ოდესღაც თავისი სიჭაბუკის წლებში ყვარებია კონსტანტინეს. და თავის ამ სასიყვარულო ურთიერთობათა მოთხრობისას სავარსამიძე ხშირად უკიდურესად გაშიშვლებული, ცინიკურად შეუფარველი სახით აღწერს აღვირაზსნილი ავბორცობით აღბეჭდილ ეროტიულ სცენებს.

სავარსამიძე ხშირად აღარებს ხოლმე თავისთავს ქაობში განმარტობით მდგარ უნაყოფო თხმელას, და მართლაც, უნაყოფოა იგი არა მარტო იმ აზრით, რომ შვილი არა ჰყავს და, მაშასადამე, ბიოლოგიურად ვერ აგრძელებს მოღვმას. ფუჟი, უნაყოფო და ცარიელია იგი თავისი აზროვნებითაც, საქმიანობითაც, ცხოვრების მთელი შინაარსით. ასეთი გულგამოჰმული სკეპტიკოსის, ინდივიდუალისტის, აღვირახსნილი ერთომანის, ურწმუნო და უიდეო აღამიანის სახე დახატა კ. გამსახურდიამ „დიონისოს ღიმილში“, და ეს ტიპი ცოცხლად და ხორცქმესხმულად გამოხატავს იმ „დაკარგული თაობის“ მორალურ სახეს, რომლის სულიერი დრამის გადმოცემასაც თავისი ძალღონე შეაღლია ჩვენი საუკუნის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მწერლობის მრავალმა ცნობილმა ოსტატმა.

თუ მაინც მოვინდომებთ მოვუნახოთ სიუჟეტური მაგისტრალი ამ ნაწარმოებს, ასეთად უნდა მივიჩნიოთ სავარსამიძისა და ჯენეტის სამიჯნურო ურთიერთობის ამბავი. ჯენეტი ქართველი ქალია, რომელიც თბილისში ყოფნის დროს გაუცვნიდა და ცოლად შეურთავს ალი მირზა ხანს. როცა ეს უკანასკნელი სპარსეთის ელჩად გაუგზავნიათ საფრანგეთში, მას ჯენეტიც თან წაუყვანია პარიზში. მირზა ხანისა და ჯენეტის სალონში ხშირი სტუმარი იყო ქართველი პოეტი სავარსამიძე, რომელიც ამ ოჯახში გაეცნო და დაუახლოვდა სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის აღამიანებს, დიპლომატებს, სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწეებს, მსატვრებს, ლიტერატორებს. კონსტანტინე დაუმეგობრდა ჯენეტს. მათი ასეთი ურთიერთობა მალე სიყვარულში გადაიზარდა. ქალმა მიატოვა ქმარი, ერთადერთი თავისი ვაჟი — ფარვიზი და სავარსამიძეს გაჰყვა. პარიზიდან გაქცეულები ისინი ხან რომში ცხოვრობდნენ და ხან იტალიის სხვა ქალაქებში, ხან პატარა იტალიურ სოფელ ლიბანოში, ხან ბერლინში. ახალი და ახალი შემთხვევები და შთაბეჭდილებანი აღმოცენდებიან მათი მოგზაურობის ამ გზებზე, ფართოდება თხრობის სარბიელი, მდიდრდება და მრავალფეროვანდება რომანის პერსონაჟების წრე, მწერალი მოგვითხრობს და გვიხატავს ყოველივე ამას და თანდათანობით მრავალწახნაგოვანი, განშტოებული ხდება რომანის სიუჟეტი.

ალი მირზა ხანს მწვავედ განუცდია ჯენეტის ღალატი. მას სულიერი წონასწორობა დაუკარგავს, სამსახურისათვის თავი დაუწებებია, ლოთობისა და აზარტული თამაშობებისათვის მიუყვია ხელი, მალე იგი დაავადმყოფებულა და გარდაცვლილა. ავად გამხდარა მირზა ხანისა და ჯენეტის უპატრონოდ დარჩენილი პატარა ვაჟი — ფარვიზი. ამ ამბის გაგებისთანავე ჯენეტიმ პარიზს მიაშურა, საიდანაც შვილთან ერთად საქართველოში გამოემგზავრა თავის დედასთან.

ამ დროისათვის საქართველოში საბჭოთა წყობილებას გაუმარჯვნია, რევოლუციას დაუნგრევია ჭენეტის მშობლების ფეოდალური ოჯახი და მოხუცი დედისათვის მიწისა და ქონების მხოლოდ საარსებო აუცილებელი მინიმუმი დაუტოვებიათ.

სამშობლოში ბრუნდება კონსტანტინე სავარსამიძეც, რომელმაც კარგად იცის, რომ საქართველოში დამკვიდრებული ახალი საზოგადოებრივი სინამდვილისათვის იგი საცსებით უცხო და უსარგებლო კაცია. ჯერ კიდევ უცხოეთში ყოფნისას იგი ამგვარად მსჯელობდა სამშობლოსთან თავისი ურთიერთობის შესახებ: „საქართველოში წასვლის საქმე ძლიერ ზანტად მიდის. რა გავაკეთო, კიდევ რომ წავიდე? ჩვენი გზები რახანია გაყრილია. რაც უამი გადის, მით უფრო ცილდებიან ისინი ერთმანეთს... იგი მე არ მიცნობს, მას ჩემი არ ესმის, კიდევ რომ დაეუბრუნდე უძლები შვილივით, მიმიღებს? ვინ იცის, ეგებ ჩემი აღნაგობა ეუცხოვოს, მწარედ გაიცინოს!“

საქართველოში ჩამოსული სავარსამიძე კურორტ აბასთუმანში დაბინავდა, სადაც ზაფხულის თვეებს ატარებენ ჭენეტი და ფარვიზი. კონსტანტინეს სულიერ სამყაროში დიდი ხანია ჩამქრალა ჭენეტისადმი სიყვარულის გრძნობა. ახლა იგი მხოლოდ მოვალეობის შეგნების კარნახით დადის ჭენეტის ოჯახში. კონსტანტინე შემთხვევით შეხვდა აბასთუმანში ჩამოსულ თავის ძიძიშვილს, — ტაია შელიას ერთ-ერთ ვაჟს, რომლისგანაც შეიტყო, რომ ტაიას ჯოგი ყოლია საზაფხულო საძოვრებზე აბასთუმანის მახლობელ მთებში. სავარსამიძე ესტუმრა თავის საყვარელ გამზრდელს. გაცოცხლდა ბავშვობის ტკბილი დღეების მოგონებანი. ტაიასა და მისი შვილების გარემოცვაში, ტკბილ საუბრებში, მოლხენაში, ცხენოსნობაში, უზრუნველად ატარებს სავარსამიძე დღეებს... მაგრამ ხანმოკლე გამოდგა მისთვის ეს იდილია. კიდევ ერთი ახალი განსაცდელიც დაატყდა თავს ამ „უნაყოფო თხმელას“, სავარსამიძემ მთებში ცხენით გასეირნებისას დედის ნებადაურთველად თან წაიყვანა ფარვიზი. ჰაბუჯი გაიტაცა ბედაურმა და უფსკრულში გადაჩეხა იგი. ამ საბედისწერო შემთხვევამ სამუდამოდ ერთმანეთს დაამორა სავარსამიძე და ჭენეტი.

ღრმა სევდით შეპყრობილი, მწვავე სულიერ ტკივილებსა და მარტოობის ნადველს მინებებული კონსტანტინე სავარსამიძე ასეთი სიტყვებით ამთავრებს „დიონისოს ღიმილში“ მოთხრობილ თავისი ცხოვრების ამბავს: „აღარც ტირილი შემიძლია, აღარც სიცილი და ერთადერთი ნატვრაა ჩემი: ყინულზე დავარდნილ ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული... ტაია შელია! ჩემი ცხოვრების ნახევარ გზაზე შემომამადა!“

ამ სიტყვებით მთავრდება „დიონისოს ღიმილი“. ამავე სიტყვებით უჩიოდა სავარსამიძე თავის სულიერ მარტოობას და გაუხარებლ ყოფას რომანის

დასაწყისშიც. როგორც ვხედავთ, არც თავისი ცხოვრების გზაზე განცილდნენ მრავალ ვაი-ვაგლანს, არც საუკუნის დიდ ისტორიულ ძვრებს, არც მისი სამშობლოს აღორძინებისა და განახლების ნათელ სინამდვილეს არაფერი შეუცვლია ამ უნუგეშოდ დაავადებული ინდივიდუალისტიკისა და სექტეტიკოსის სულიერ ცხოვრებაში. ეს იმიტომ, რომ მწერალმა ხელოვნურად მოწყვიტა და გამოთიშა თავისი გმირი ეპოქის დიდ სოციალურ პროცესებს, მიუწვდომელი და გაუგებარი გახადა მისთვის ჩვენი საუკუნის განმახლებელი მოძრაობის იდეები და მათი განხორციელებისათვის მებრძოლი ხალხის აზრებისა და გრძნობების სამყარო. რომანში არ ცხოვრობს და არ მოქმედებს არც ერთი ჯანსაღი ადამიანი, რომელიც შთაგონებული იყოს ეპოქის ნათელი იდეალებით და იღწვოდეს ამ იდეალების დამკვიდრებისათვის დედამიწაზე.

„დიონისოს ღიმილის“ მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში მწერალი დაპირდა მკითხველს, რომ თავისი გმირის მანკიერი სულიერი თვისებების დათრგუნვის პროცესს გვიჩვენებდა რომანის მომდევნო წიგნებში: „კონსტანტინე სავარსამიძის სერაფიმულ ლამეში“ და „კონსტანტინე სავარსამიძის სიკვდილში“. მაგრამ იმ დიდმა იდეურ-შემოქმედებითმა გადაიარაღებამ, რომელიც მწერალმა ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე განიცადა, ალბათ შეუძლებელი გახადა ამ წიგნების დაწერა. კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრება უკვე ვეღარ გამოდგებოდა სიუჟეტურ საფუძველად იმ ახალ ნაწარმოებთათვის, რომელთა შესაქმნელად მწერალი მოწოდებული იყო თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალ უტაპზე. ამიერიდან კ. გამსახურდია ჩვენი სამშობლოს თანამედროვე თუ ისტორიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესების ფართო მხატვრულ ტილოებზე სიმართლით წარმოსახვას მიეწვრათვოდა, ამ მისწრაფებით შთაგონებულმა შექმნა ტრილოგია „მთვარის მოტაცება“.

ლიტერატურული კრიტიკის საყვედურს იმის გამო, რომ კ. გამსახურდიას ოციანი წლების რომანსა და ნოველებში არავითარი გამოსახულება არ უპოვია ახალი სამყაროს აღმოცენებისა და დამკვიდრების ეპოპეას, ამ სამყაროს მშენებელ ადამიანთა სულიერ ძალასა და მშვენიერებას, მწერალი მაშინ „დისტანციის თეორიით“ უპასუხებდა. ეს „თეორია“, როგორც ცნობილია, გადაჭრით უარყოფდა თანამედროვეობის მოვლენათა მალამხატვრული ასახვის შესაძლებლობას მწერლობაში და ჩვენი ეპოქის მხატვრული მატრიანის შექმნის ამოცანას მომავალ საუკუნეთა ხელოვნების პრეროგატივად აღიარებდა. „მთვარის მოტაცება“ იყო ის პირველი მხატვრული ნაწარმოები, რომლითაც მწერალმა ქვა-ქვაზე არ დასტოვა „დისტანციის თეორიისაგან“, რომელიც ეწინა-

აღმდეგებოდა როგორც სოციალისტური ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპებს, ისე მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის გამოცდილებას. „მთვარის მოტაცებით“ მწერალი გაბედულად და აქტიურად შეიჭრა ოცდაათიანი წლების დამდეგის გართულებული სოციალური ვითარების სიღრმეში და, როგორც იტყვიან, მოვლენათა კვალდაკვალ წარმოსახა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი მწვავე სოციალური კონფლიქტები, მძაფრი კლასობრივი ბრძოლები. და ასეთ აქტუალურ ცხოვრებისეულ მასალას, მის შახვილ იდეურ გააზრებას, ცხოვრების მღელვარე მდინარებასთან ასე უშუალოდ დაკავშირებას არა თუ არ დაუზიანებია მწერლის მხატვრული ოსტატობა, მისი ხელოვნების ესთეტიკური ქლერა, არამედ, პირიქით, სწორედ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა განსაკუთრებული სისრულით და სიღრმით კ. გამსახურდიას მხატვრული ინდივიდუალობის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, მისი, როგორც მხატვრისა და მომთხრობელის იშვიათი, ღრმად თავისებური ნიჭიერება.

„მთვარის მოტაცება“ — ფართო მხატვრული პანორამაა, რომელზეც მკვეთრი და ცხოველი საღებავებით, ცოცხალი, ღრმად შთამბეჭქდავი ადამიანური სახეებისა და უაღრესად კოლორიტული ყოფა-ცხოვრებითი პასაჟების მეშვეობით წარმოსახულია სასიკვდილოდ განწირული ძველისა და ძლევამოსილად აღმავალი ახალის ორთაბრძოლის გრანდიოზული სურათი, გაშუქებული ეპოქის მძალადი სოციალური იდეალების გარდუვალი გამარჯვების ნათელი რწმენით.

ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე საბჭოთა საზოგადოების განვითარება თავისი ისტორიის ახალ სტადიაში შედიოდა. იწყებოდა სოციალისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ხანა, სოციალიზმის შეტევა მთელი ფრონტით, ბრძოლა კულაკობის, როგორც უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის ლიკვიდაციისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე, გადაამწყვეტი ბრძოლა კაპიტალისტური წარსულის ნარჩენების დასაძლევად ცხოვრების ყოველ სფეროში, ყოფა-ცხოვრებით ურთიერთობაში, ადამიანთა შეგნებაში. ეს იყო ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული, ბოობქარი ხანა, რომელმაც მრავალმხრივი გამოხატულება ჰპოვა ყოველი საბჭოთა ხალხის ეროვნული მწერლობის სხვადასხვა ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებებში, ჩვენი ეპოქის გარდამქმნელი და განმაახლებელი პათოსით, მისი გმირული რევოლუციური სულით გამსჭვალულმა ამ ნაწარმოებებმა სოციალისტური რეალიზმის მთელი მრავალეროვნული ლიტერატურის ახალი მძლავრი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა განაპირობეს. გამონაკლისს, რასაკვირველია, არც ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმოად-

გენდა. ამ წლების არაერთი ბრწყინვალე პოეტური ქმნილების, შესანიშნავი მოთხრობებისა და ნოველების წიგნების გარდა, საკმარისია დავასახელოთ ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი, პოლიკარპე კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, შალვა დადიანის „თეთნულდი“. ოცდაათიანი წლების დამდეგის ბობოქარი წლების ამსახველ ამ ნაწარმოებთა ანსამბლში კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებას“ სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რომ არაფერი ვთქვათ მწერლის მსოფლშეგრძნებისა და სამყაროს მხატვრული ხედვის, მისი სახეობრივი აზროვნების თავისებურებაზე, „მთვარის მოტაცება“, პირველ ყოვლისა, გამოირჩევა, ცხოვრებისეულ მოვლენათა მოცვის სიფართოვით და მრავალმხრივობით, ეპიკური მასშტაბურობით. ეს ნაწარმოები ოცდაათიანი წლების ქართული სინამდვილის ამსახველი ერთადერთი მხატვრული ეპოპეაა, რომელიც თავის რთულსა და მრავალ შენაკადებად განშტოებულ სიუჟეტურ მდინარებაში მოიცავს და იტევს ქალაქური თუ სოფლური ცხოვრების, უაღრესად ცივილიზებული თუ პირველყოფილი პატრიარქალური ყოფის, ისტორიული წარსულისა თუ სადღეისოდ აქტუალური პრობლემატიკის, დიდი სოციალური კონფლიქტებისა თუ ინტიმურ ურთიერთობათა არაჩვეულებრივად უხვსა და მრავალფეროვან მასალას.

ვრცელია რომანის მოქმედების გეოგრაფიული სარბიელი, მის გმირებს ხან საქართველოს დედაქალაქში, განახლებულ და აღორძინებულ თბილისში ვხვდავთ, მის პროსპექტებსა და მოედნებზე, მუზეუმებსა და ინსტიტუტებში, ფუნქციულორის პლატოზე თუ ოჯახებში, ხან აფხაზეთში — სოხუმში, ოქუმში, ილორში, ხან სამეგრელოში, ზუგდიდში, — შერვაშიძეების კარ-მიდამოში, მარულაზე, ადგილობრივ სასტუმროსა და რესტორანში, ხან სევანეთში, — ლაფარიანების პატრიარქალურ კოშკში, კლდოვან გამოქვაბულში, ყინულოვანი მთების სამყაროში. ყველგან მწერალი გვიჩვენებს ახალი ცხოვრების გრიგალის ქროლვას, ცხოვრების ყოველ სფეროში, თვით უკიდურესად შორეულ კუთხეებშიც კი, ხალხის ყოველ ფენაში, ყოველი სოციალური ბიოგრაფიისა და კულტურული დონის ადამიანთა სულიერ სამყაროში შეჭრილ ღრმა ცვლილებებს, მწვავე კონფლიქტებს, რომლებიც ერთობლივად ჩვენი ეპოქის ყოვლისმომცველ რევოლუციურ შინაარსსა და სულისკვეთებას განასახიერებს.

მკითხველის თვალწინ კინემატოგრაფიული სისწრაფით გადაიშლებიან ღრმა ეპოქალური ძვრებისა და განახლებათა მომასწავებელი განზოგადებითი მნიშვნელობის სიმბოლური სურათები. კოლხეთის დაჭაობებულ ველებს რკინის ბეგემოტები შესევიან, რათა დამშხამველი კოლოების, მალარიისა და სილატაკის ეს სამეფო ციტრუსოვანთა აყვავებულ ბაღნარად და ბედნიერი ცხოვრების დაუშრეტელ წყაროდ იქცეს. ოქუმის გზაზე ვეებერთელა გრეიდე-

რი მოძრაობს, რაც იმის მომასწავებელია, რომ აფხაზეთის სოფელი ფართო გზატკეცილებით უნდა დაუკავშირდეს სარაიონო ცენტრებს, მთელ, რესპუბლიკას, მთელ ქვეყანას.

ის გარეშობა, რომ ეს გრეიდერი საფარად გამოადგა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლ აფხაზ კომკავშირელს არზაყან ზვამბაიას, მასზე გააფთრებული კულაკების ტარების თავდასხმის დროს, იმის მომასწავებელია, რომ სოფლად შექრილი ახალი ტექნიკა არა მარტო დიდ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, არამედ ამასთანავე მხარში უდგას და თანამებრძოლობას უწევს ახალი სოფლის მოწინავე ადამიანებს მათ ბრძოლაში რევოლუციის გაბოროტებულ მტრებთან. სვანეთშიც კი, შეუღალი ზვიადი ბუნების, პირველყოფილი პატრიარქალური ყოფაცხოვრების სამყაროში ნალმების განუწყვეტელი ვრიალი ისმის, ნალმებისა, რომლებიც ანგრევენ საუკუნეობრივად ხელუხლებ ციცაბო კლდეებს, რათა გზა გაიყვანონ ამ ოდესღაც ქვეყნიერებისაგან მოწყვეტილ მხარეში; განათლება, კულტურა შეიტანონ სვანეთში, ქვეყნის საერთო მაჯისცემასთან დაკავშირონ იგი. საქართველოს დედაქალაქიდან „მოლაპარაკე ხე“ (იგულისხმება მაღალ ბოძზე დამაგრებული რადიო-რეპროდუქტორი) ყოველწუთიერად აუწყებს ქვეყანას ხალხის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროში მოპოვებულ ახალ-ახალ მიღწევებს და გამარჯვებებს.

თბრობის სარბიელი მარტო საქართველოს ფარგლებით როდი იზღუდება. რომანის მოქმედება პერსონაჟთა მოგონებათა მიმოწერათა მეშვეობით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გადადის. ხშირად თბრობაში ორგანულად შემოიჭრება ისტორიული რემინისცენციები, დაკავშირებულნი მრავალგვარ ისტორიულ ძეგლთა აღწერილობასთან, მუზეუმებში გამოფენილ ექსპონატთა დახასიათებასთან.

მაგრამ რაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი რომანში, რასაც არ უნდა გვიხატავდეს ან მოგვითხრობდეს მწერალი, ყველაფერი აქ გააზრებულია ჩვენი საუკუნის მწვავე კონფლიქტების ასპექტში. თანამედროვეობის მღელვარე საკითხების ვრცელსა და მრავლისმომცველ ფარგლებში მოქცეული ყოველი მოვლენა, აზრი და განცდა ან ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის თვალსაზრისით არის გახსნილი და გამოხატული ან ამ ახალი ცხოვრების მიერ ბუდედანგრეული და ცხოვრების ფსკერზე გადასროლილი ადამიანების სულისკვეთებით.

„მთვარის შოტაცებაში“ მწერალმა ბუნებისა და ყოფაცხოვრების სურათების მხატვრობის იშვიათ ოსტატობას მიაღწია. თბრობის განვითარების მთელ მანძილზე მწერალი ქეშმარიტი პოეტური მგზნებარებით წარმოსახავს

გარემოცვის მეტყველ სურათებს. კოლხეთის ველის, შავი ზღვის სანაპირო მიდამოების მომხიბვლელი ლანდშაფტები, ცადაწვდენილი ყინულოვანი მთებით შემოზღუდული, მაღალი კოშკებით დასერილი სვანეთის ბუნების გრანდიოზული სურათი, მთაწმინდის სიმაღლიდან დანახული აღორძინებული თბილისის ხედი — ყოველივე ეს რომანში წარმოსახულია სიტყვიერი ფერწერის სამაგალითო ხელოვნებით. ჩვენს მიერ ათასჯერ უშუალოდ ხილული, თუ სხვა მწერლების მიერ არაერთხელ აღწერილი საგნები, ყოფითი მოვლენები თუ ბუნების სურათები „მთვარის მოტაცებაში“ სრულიად ახლებური სახით წარმოგვიდგებიან და ახლებურ განცდებსა და შთაბეჭდილებებს გვგვრიან. ეს იმიტომ, რომ ჭეშმარიტი ხელოვანის თვალი თავისებურად აღიქვამს და აღბეჭდავს ხედვის საგანს, ხოლო მისი ორიგინალური ფუნჯი თუ კალამი განუუმეორებლად თვითმყოფ სურათებში წარმოსახავს მას. დიდ გამომსახველობით ძალას აღწევს მწერალი როგორც ახალ ყოფა-ცხოვრებით ურთიერთობათა გამომხატველი, ისე ძველი ადათ-წესების დამახასიათებელი ეპიზოდების, რიტუალების, მღვდნაგართობის სცენათა აღწერისას. მხატვრული აღწერილობის ოსტატობა ყოველთვის შეადგენდა კ. გამსახურდიას ნიჭიერების ერთ-ერთ უძლიერეს თვისებას, მაგრამ „მთვარის მოტაცება“ ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდარია და შთაბეჭდავი, ეს აღწერილობანი, ბუნებისა და ყოფის ეს მეტყველი სურათები წარუშლელად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში, რადგან ისინი ღრმად არიან დაკავშირებულნი რომანის გმირთა სულოერი ცხოვრების მოძრაობასთან, სიუჟეტური კომპოზიციის შემადგენელ ფაბულურ მოტივებთან ან კიდევ იმ სოციალურ პროცესებთან, რომელთა გამოხატვაც ამ რომანის მთელი მხატვრული ჩანაფიქრის განმსაზღველ ამოცანას შეადგენს. თუ მოვინდომებთ „მთვარის მოტაცების“ მხატვრულ-სტილებრივი ბუნების ამ ერთ-ერთი მთავარი თვისების ილუსტრირებას, ჩვენ დაგვჭირდებოდა თითქმის მთელი რომანის ციტირება, რადგან იშვიათია ამ ნაწარმოების პასაჟი, რომელიც მოქმედების ფონის, გმირთა გარემოცვის ფერადოვანი მხატვრობით არ იყოს გამდიდრებული. და მაინც იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი ხელოვნებით აღწევს მწერალი კონკრეტულ მხატვრულ აღწერილობაში ჩააქსოვოს ეპოქის გარკვეული სოციალური პროცესის გრძნობა, გავიხსენოთ ის სურათი, რომელიც თვალწინ გადაეშალა შერვაშიძეთა ფეოდალური გვარის უკანასკნელ ნაშიერს თარაშ ემხვარს, როდესაც იგი უცხოობაში ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ დაუბრუნდა მამა-პაპისეულ სასახლეს. „ოქუმიის სასახლე იავარქმინილიყო სავსებით, ჩუქურთმიანი სვეტები შექანებული ეჩვენა თარაშ ემხვარს. თავკიდურები ფრინველებს წაებლწათ სკორეთი. ურთხმელის რიკულები დაეძროთ, კიბის

ტერასზე გადმოსული სახურავის ყავარი დაეღპო წვიმას. კირი შემოსცლოდა თეთრ სასახლეს, ამაყად გადმომდგარს ბექობზე.

პაპისეული დიდი ცაცხვი, მართლაც, მოექრათ, ჭადრისა და მუხის ხეებს ხმობა შეპარვოდათ, ბებერი მსხლის ხეებს ფითრი მორეოდათ, ბაღჩას მესრები მორღვეოდა, მაგნოლიები თოვლს ჩამოელეწა, გუნდის ხეები დაემსხვრია გასული ზამთრის ქარსა და თოვას, ხულოს, მარანს, სამზარეულოს, საბაზიეროს ისლი გასცლოდა, განზე მოელრიჯა` ჟამთა სვლას ძველისძველი წაბლის სახლები. ქვრივის ძაძებით მოსილი დედა აივანზე იჯდა, სათვალე შუბლზე აეკეცნა, წელში უზომოდ მოხრილი ჯვალოს კაბას აკერებდა; მოხუცებულ ცირუნის იატაკზე მოერთხა, ლობიოს ცეხვავდა ხელკეტით... აბლაბუდები მოსდებოდა ფანჯრებს, ბუხრის თავები თქემს ჩამოერეცხა, ცირუნის უქანასკნელის სამი კბილიც აღარ შერჩენოდა“. აქ ყველაფერი სიბერის, ნგრევის, განადგურების სტიქიას მოუტაცეს. და ამ სურათში მწერალი, ცხადია, გულისხმობს არა მარტო ემხვარების სასახლის ბედს, არამედ იმ უღმობელ ნგრევას, დაღუპვასა და კატასტროფას, რომელიც ისტორიას განუმზადებია შერვაშიძეთა გვარისათვის და მათი სახით მთელი თავადაზნაურული სამყაროსათვის, ყველა ექსპლოატატორული კლასისათვის, მთელი რეაქციული სამყაროსათვის.

ჩვენი საუკუნის ეს დიდი ისტორიული კანონზომიერება „მთვარის მოტაცებაში“ მაინც ყველაზე მძლავრად და შთამაგონებლად რომანის მრავალრიცხოვან ადამიანურ სახეთა ურთიერთობაშია ხორცმესხმული. რომანში ცხოვრობენ და მოქმედებენ სხვადასხვა სოციალური ბიოგრაფიის, პროფესიის, ასაკის, ერთმანეთისაგან დიამეტრიულად განსხვავებული იდეალებისა და მიწწრადებათა ადამიანები. და ყოველ მათგანის სახე დახატულია არა მარტო როგორც მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათი, არამედ როგორც გარკვეული სოციალური ტიპიც, რომელიც ამა თუ იმ კლასის, სოციალური ფენის სასიცოცხლო ინტერესებს, ისტორიულ ხვედრს, ფსიქოლოგიას. აზრთა და გრძნობათა სამყაროს განასახიერებს. ცხოვრებამ, კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მძაფრმა ჩვენმა რევოლუციურმა ეპოქამ ეს ადამიანები მწვავე შეურიგებელ წინააღმდეგობათა რკალში მოაქცია, ერთმანეთს შეაჯახა და დაუპირისპირა. საუკუნის ამ დიდმა სოციალურმა პროცესებმა განმსაზღვრელი ზეგავლენა იქონიეს ადამიანთა პირად—ინტიმურ ურთიერთობათა ხასიათზე, და მწერალი მღელვარედ, მკითხველის გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ემოციური დაძაბულობით მოგვითხრობს თავის გმირთა თავგადასავალს და ყოველი მათგანის პირადი ცხოვრების ამბავში საზოგადოებრივი ყოფიერების ესა თუ ის მხარე, ესა თუ ის პროცესი წარმოისახება. რომანის მეორე კარის „ლირიკულ ინტერმეცოში“ მწერალი თითქოს საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიას

გადაგვიშლის თვალწინ. „ათასზე მეტი ღამე ვზივარ, ვზივარ და გითხრობ განთიადიდან განთიადამდის.

თამაშითა და ბრძოლით ვწერ ჩემი გმირების თამაშისა და ბრძოლის ამბავს, და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები. სავსებით მარტო ვარ ამ წუთებშიაც. მთვარე სამთვაროში ჩასულა უკვე და მესმის, თუ როგორ ღუღუნებს ჩემი ბინის ელექტრომრიცხველი — ეს ინდუსტრიის ცისფერი მტრედი.

მესმის, თუ როგორ სუნთქავენ, ლაპარაკობენ და მოძრაობენ ჩემი გმირები ჩემში და განვიცდი უმძიმეს ორსულობას შემოქმედებითსას.

ვღელავ და ვძრწვი მათ მაგივრად, მათ მაგივრად ვფიქრობ ვდარდობ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები.

ჯერ მეც არ ვიცი მათ რა მოუვათ: თამარ შერვაშიძე რომელს შეიყვარებს... არზაყან ზვამბაიას თუ თარაშ ემხვარს.

ან არზაყანის გული ვის მიენდობა? სათნო ძაბულის, თუ თამარ შერვაშიძეს? ტარიელ შერვაშიძე და კაც ზვამბაია როგორ შეეთვისებიან ახალ დროს? ან ის ბედდამწვარი ლუკაია ლაბახუა, როგორ დაასრულებს ცხოვრების ეტლს?

ან გვანჯ აფაქიძე რას მოიმოქმედებს, გვანჯ აფაქიძე — „ქრისტეს ფეხის მკვნეტელი“?

ვზივარ, ამ სტრიქონებს ვწერ და ღამეები მიჰქრიან, როგორც ნაბლით დაჭედილი ბედაურები“.

რომანის პირველსავე ფრაზებში ქდერს ძველებური აფხაზური სიმღერა „ერგეაშვა“, რომელსაც „მგრგვინავი ვაჟკაცური ხმით მღერიან მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად“. ეს ვაჟკაცური სიმღერა ერთგვარი უვერტიურაა, რომელსაც ერთბაშად შეეყავართ ჩვენი უჩვეულო გმირული და ვაჟკაცური ეპოქისათვის დამახასიათებელი კონფლიქტებისა და ბრძოლების ატმოსფეროში. იწყება ადამიანთა ურთიერთშეჯახების, მეტოქეობის, შეჭიბრების, სოციალური ინტერესების თუ პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სფეროში აღმოცენებულ წინააღმდეგობათა დრამატიზმით აღსავსე ეპოპეა, რომლის მსვლელობაში ნათელი, ახალი და პროგრესული, სულ უფრო შხარდი და აღმავალი ძალით თრგუნავს ბნელი, დრომოკმული, რეაქციული სამყაროს ნარჩენებს.

ეს ორთაბრძოლა ყველაზე მკაფიოდ და რელიეფურად გამოხატულია რომანის ორი მთავარი გმირის თარაშ ემხვარისა და არზაყან ზვამბაიას ურთიერ-

თობის ამბავში. თარაში ოდესღაც მდიდარი და ძლიერი ვარდანიძე — ემხვართა ფეოდალური გვარის უკანასკნელი ნაშიერია, არზაყანი კი — ახალგაზრდა გლეხი. საუკუნეთა მანძილზე ეყმობოდნენ და ემსახურებოდნენ ზვამბაიები ემხვარებს, არზაყანი თარაშის ძიძიშვილია. ძველი აფხაზური ტრადიციების მიხედვით ეს ახლო ნათესაობას მოასწავებს. თარაშს არზაყანის დედა აწოვებდა ძუძუს, ყმაწვილები ერთად იზრდებოდნენ და ბავშვობის წლები მათ ერთმანეთის სიყვარულში გაუტარებიათ. მაგრამ ახალმა ცხოვრებამ გაპყარა მათი გზები და ისინი ერთმანეთისადმი დიამეტრიულად მოწინააღმდეგე ბაქეებში აღმოჩნდნენ.

თარაშის მამა — დიდგვაროვანი ფეოდალი და რუსეთის მეფის არმიის გენერალი სოციალისტურ რევოლუციას გაქცევია და ევროპაში გადახვეწილა, თან წაუყვანია თავისი ერთადერთი ვაჟი. ათი წელი დაჰყო თარაშმა ევროპის დიდ სატახტო ქალაქებში, იქ მიიღო უმაღლესი განათლება, შეისისხლხორცა კაპიტალისტური სამყაროს ლბობისა და ხრწნის პერიოდის ბურჟუაზიული კულტურა, იგემა ევროპული დეკადენტური ცივილიზაციის სიტკბოც და სიმწარეც. ოცდაათიანი წლების დამდეგს მენშევიკურმა ემიგრაციამ თარაში ვინმე ემიგრანტ ვახტანგ იამანიძესთან ერთად ფარულად გამოგზავნა საქართველოში. საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ არალეგალური მუშაობისათვის. საბჭოთა საზღვრებთან მოახლოებულნი ემხვარიც და იამანიძეც დააპატიმრეს. მათ წრფელად აღიარეს და მოინანიეს თავიანთი დანაშაულებრივი ვანზრახვები და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა ისინი გაანთავისუფლა, მათ პატიოსანი შრომით ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მისცა. იამანიძე რომელიღაც ქარხანაში გავზავნეს სამუშაოდ, თარაში კი, როგორც ფილოლოგი, დისერტაციის წერას შეუდგა კოლხეთის ძველი საკულტო რიტუალების თემაზე და ამ მასალის შესაგროვებლად და შესასწავლად მშობლიურ კუთხეს, — აფხაზეთსა და სამეგრელოს დაუბრუნდა. აქ შეხვდა იგი თავის ძიძიშვილს არზაყანს, რომელიც ამ დროისათვის უკვე დავაუკაცებულა და საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანი გამხდარა. საბჭოთა არმიაში აღზრდილს მას წრფელად შეუსისხლხორცებია კომუნისტური პარტიის საბრძოლო იღეები, ერთგულად შეუსრულებია პარტიისა და სახელმწიფოს საპასუხისმგებლო დავალებანი, თავდადებულად უბრძოლია ბანდიტების წინააღმდეგ. რევოლუციის გაცოფებული მტრების წინააღმდეგ და ახლა, მშობლიურ კუთხეში დაბრუნებული, სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციისათვის გაჩაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მესვეური გამხდარა.

ასე გაითიშა და სრულიად სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა ამ ორი ახალგაზრდა კაცის ცხოვრების გზები, ისინი არა მარტო მსოფლმხედვე-

ლობრივად, სოციალურად ერთმანეთის მოწინააღმდეგე ბანაკებს ეკუთვნიან, ისინი ერთმანეთს ეტოვებიან დოღშიაც, ნადრობაშიც და სატრფიალო ურთიერთობათა სფეროშიც. არზაყანს წრფელად უყვარს ყოფილი დეკანოზის ტარიელ შერვაშიძის მშვენიერი ასული თამარი. ამ მომხიბლავი გარეგნობისა და სპეტაკი სულის ქალიშვილს თავისი მორიგი სატრფიალო გატაცების საგნად ირჩევს თარაშიც. მაგრამ ევროპის დიდი ქალაქების ამორალიზმის ცდუნებებს ნაზიარებს, რასაკვირველია, არ შეუძლია სიყვარულში გამძლეობა და ერთგულება, არზაყანი და თარაში ერთმანეთს შეეჯახნენ აგრეთვე სვან გოგონასთან — ლამარიასთან ურთიერთობაშიც.

სხვადასხვაგვარი სოციალური ბიოგრაფიისა, საზოგადოებრივი პოზიციებისა და ადამიანური ბუნების ამ ორი ახალგაზრდა კაცის ბედიც ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია. არზაყანს სოციალისტური სოფლის მშენებლობა საკუთარ, ღვიძლ საქმედ მიაჩნია. იგი ჭაბუკური გატაცებით იბრძვის და იღვწის საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის. ამის გამო მას მტრად გადაეკიდებიან სოფლის რეაქციული ძალები, ემდურებიან ჩამორჩენილი, ძველი ტრადიციების ტყვეობაში მოქცეული თანასოფლელები, საყვედურობს საკუთარი მამაც კი. ემხვარებისადმი ყმობასა და მორჩილებაში დაბერებული, კერძო მესაკუთრული ინსტინქტებით გამსჭვალული კაც ზვამბაია ურჩევდა თავის ერთადერთ ვაჟს კოლმეურნეობაში არ შესულიყო, პარტიას ჩამოშორებოდა და ხელი აეღო თავადის ქალთან თამართან სატრფიალო ურთიერთობაზე, მაგრამ ვაჟმა მამის არც ერთი რჩევა არ შეისმინა, იგი ვაჟკაცურად გაუმკლავდა კულაკი ტარბების შეიარაღებულ თავდასხმებს, გადაურჩა აზნაურ გვანჯ აფაქიძისა და ჯოტო გვასალიას ვერაგულ იერიშებს, ერთგულად მხარში ამოუდგა პატიოსან, ჭკვიან და პრინციპულ პარტიულ ხელმძღვანელებს ჩალმაზსა და ლიჩელს. ამ ბრძოლაში გამოიწრთო და დაიხვეწა მისი კეთილშობილური, აქტიური, ჯანსაღი ადამიანური ხასიათი. თამართან გაუზიარებელი სიყვარულის მტანჯველი ტკივილებისაგანაც განკურნებული, იგი ბოლოს ცოლად ირთავს მშრომელ ქალიშვილს ძაბულის. როცა სოფლად კულაკობის შემოტევა დაძლეულ იქნა, პარტიამ საბოლოოდ აღკვეთა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული მემარცხენული დამახინჯებანი, მშრომელი გლეხობის მთელმა მასამ ვაიგო, იგრძნო და იწამა ახალი ცხოვრების ძალა და დაცხრა სოფლად კლასობრივი ბრძოლების ორომტრიალი. არზაყანი პარტიამ დააწინაურა და თბილისს გაგზავნა უმაღლესი პარტიული განათლების მისაღებად.

სულ სხვაგვარად დატრიალდა თარაშ ემხვარის ცხოვრების ჩარხი. თავისი წარმომშობი კლასის ფეოდალურ-არისტოკრატიული ტრადიციებისაგან

თავდაუღწეველი და მეორეს მხრივ, ევროპის დეკადენტურ-ბურჟუაზიული კულტურის შხამით განუკურნებლად დაავადებული, იგი ადგილს ვერ პოულობს განახლებულ და აღორძინებულ სამშობლოში. მან კარგად იცის, რომ თავდაზნაურული საძყარო სამუდამოდ დრომოკმულია, მისი უკანასკნელი ნარჩენებიც — სასიკვდილოდ განწირული. ჯერ კიდევ ევროპაშივე მან იგრძნო და განიცადა სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებანი და სიმახინჯე. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ ახალ ცხოვრებასთანაც მას არაფერი აქვს საერთო, ძველ და ახალ სამყაროთა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში იგი ვერც ერთს ვერ მიკედლებია, თავისი გზა და ადგილი ვერ უპოვია. მას არა აქვს რაიმე რწმენა, რაიმე საზოგადოებრივი იდეალი. განუქარვებელ სევდას, პირქუშ მელანქოლიას შეუპყრია მისი მთელი არსება. ვერც ოქუმის მამა-პაპეულ სასახლეში, ვერც შერვაშიძეების ოჯახში, ვერც თბილისში, თავისი ახლობელი ნათავადარების ფარჯანიალების გარემოცვაში — ვერსად უპოვია მას სიმშვიდე და თავშესაფარი თავისი მშფოთვარე, გაუხარელი სულისკვეთებისათვის. ვერც თამარისადმი ტრფიალებაში მოპოვებულმა „წარმატებამ“, ვერც თამარის უფროსი ძმის მეუღლესთან — ფრაუ კაროლინასთან გატარებულმა ვნებიანმა საღამოებმა — ვერაფერმა დააცხრო და დააკმაყოფილა მისი ბუნდოვანი, გაურკვეველი მისწრაფებანი. სმაც. მოლხენაც, დოლიც და მარულაც, მშობლიური ბუნების მომხიბლავი სილამაზეც — ყოველგვარი სიამოვნება და სიხარული ეფემერული და სწრაფ-წარმავალია ამ მრავალმხრივი მწიგნობრული ცოდნით შეიარაღებული, მაგრამ ცხოვრებაზე გულარენილი მოფილოსოფოსო რეზონიერისათვის.

ბოლოს სვანეთში, ქორა მახვშის პატრიარქალურ ოჯახში, სვანური დიდებული ბუნების წიაღში და პირველყოფილი საგვარეულო წყობილების იდილიაში გადაწყვიტა მან დასადგურება. განიზრახა ცოლად შეერთო უსწავლელი სვანი გოგონა ლამარია, მიწათმოქმედებისა და ნადირობისათვის მიეყო ხელი და თანამედროვე ცივილიზაციისა და სოციალური ქარტეხილებისაგან დაშორებულ ამ კარჩაკეტილ სამყაროში ეპოვნა საკუთარი სულთერი ტკივილების განკურნება. მაგრამ ეს ოცნებაც განუხორციელებელი აღმოჩნდა მისთვის. სვანეთშიც მთების ასაფეთქებლად და გზების გასაყვანად მოგზიალე ნაღმების, სვანეთის ცის სივრცეებში მსრბოლავი თვითმფრინავების სახით განდგილობის მაძიებელ თარაშ ემხვარს განუყოფელად თან სდევს ახალი ცხოვრების სუნთქვა. ლამარიაც ამაოდ მიაჩნდა მას ხელუხლები უმწიკვლოების განსახიერებად. თარაშმა არზაყანთან სატრფიალო კავშირზე წაუსწრო მას. ემხვარი იძულებულია სვანეთსაც გამოექცეს. თბილისის უნივერსიტეტს მისი სადისერტაციო შრომა დაუწუნებია, ყველაფერში დამარცხებული და ხელმოცა-

რული, ცხოვრებისაგან გარიყული თარაში საბოლოოდ რწმუნდება, რომ ამ ცხოვრებაში წილი და ადგილი არა აქვს. იგი კარგავს ყოველგვარ იმედსა და რწმენას, ყოველგვარ სასიცოცხლო ინტერესსა და მისწრაფებას და გადაწყვეტს თვითმკვლელობით დაუსვას წერტილი თავის უაზრო და გაუხარელ სიცოცხლეს. ვახტანგ იამანიძისადმი მიწერილ გამოსათხოვარ ბარათში თარაში წრფელად აღიარებს, რომ ახალი ცხოვრების გზებთან შეუთანხმებლობამ მიიყვანა იგი კატასტროფამდე და ამგვარი საბედისწერო ცდუნებისაგან აფრთხილებს ყველა გზააბნეულსა და უნიადაგო სკეპტიკოსს. მან ყოველგვარი ანგარიში დაამთავრა ცხოვრებასთან და განემზადა თვითმკვლელობისათვის. მაგრამ სწორედ ამ დროს შეატყობინეს, ზუგდიდში სიკვდილს ებრძვის და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლისო თამარი, რომელიც მსხვერპლი გამხდარა თარაშის აღვირახსნილი ავტორიტეტისა, თარაშთან მატარებლის კუპეში გატარებული ერთი საბედისწერო ღამისა. თარაშის სულში სინანულისა და სიბრალულის გრძნობა იღვიძებს. იგი გადაწყვეტს აუცილებლად ინახულოს მომაკვდავი თამარი, არზაყანისაგან ნათხოვარი ბედაურით მიეშურება ზუგდიდისაკენ. მას წინ გადაელობება კოკისპირული წვიმების გამო აღიდებული მრისხანე ენგური, გზად შეხვედრილნი აფრთხილებენ და ურჩევენ თარაშს არ შეეცუროს საბედისწეროდ აზვირთებულ ენგურში. მაგრამ ემხვართა ჯიუტი და თვითნება, ზვიადი და ამაყი გვარის უკანასკნელი ნაშიერი უკან არ იხევს. იგი თავდავიწყებით გადაუშვებს ბედაურს ენგურის გაცოფებულ ტალღებში და ტალღებთან უთანასწორო ჭიდილში იღუპება კიდევც.

ქართულ (და არა მარტო ქართულ) ლიტერატურაში იშვიათია გამძვინვარებული ბუნების ბობაქარ სტიქიასთან ადამიანის განწირული ბრძოლის ისეთი ექსპრესიით, დიდი პოეტური გზნებით და მღელვარებით გამსჭვალული სურათი, როგორითაც კ. გამსახურდიამ თავისი გმირის ცხოვრების ფინალი გამოხატა. ეს დიდი განზოგადებითი ძალის, სიმბოლური მნიშვნელობის სურათია, რომელიც გვიჩვენებს რეაქციული სამყაროს უკანასკნელ ნაშიერთა სასიკვდილო განწირულებას ჩვენს მღელვარე რევოლუციურ ეპოქაში, ისეთი ნაშიერებისა, რომლებსაც ვერ მოუხერხებიათ ბნელი წარსულის სამყაროსაგან გამოთიშვა, გაჯიუტებულად ჩაბლაუჭებიან წარსულის ხაფხაფს და წინ გადალობებიან ახალი ცხოვრების ძლევაშემოსილ სრბოლას.

საგულისხმოა, რომ თარაშ ემხვარის დაღუპვა სრულიადაც არ ყოფილა შემთხვევითი, იგი გარდაუვალად განამზადა რომანში ასახული ცხოვრებისეული მოვლენების ლოგიკამ. საკუთარი სასიკვდილო განაჩენი უკვე დაწერილი და ხელმოწერილი იყო თვით ემხვარის მიერ მისი უკანასკნელი საბედისწერო მოგზაურობის წინა წუთებში.

ადიდებული ენგური ღრმა აზრის შემცველი სიმბოლური მხატვრული სახეა, რომლითაც იწყება და მთავრდება „მთვარის მოტაცება“. რომანის პირველ თავში ადიდებული ენგურის მძვინვარე ტალღებს ებრძვიან ოქუმიდან ზუგდიდს მიმავალი კაც და არზაყან ზვამბაიები, მათ გადალახეს ამ ორთაბრძოლის სიძნელე და სირთულე და მშვიდობიანად მიადწიეს ნაპირს. რომანის ფინალურ სურათში კი იმავე ენგურის ტალღებმა შთანთქქეს და გაანადგურეს თარაშ ემხვარი. ეს ორი ანალოგიური, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგით დამთავრებული სურათი გვიჩვენებს, თუ როგორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ბედი განუმზადა ჩვენმა დიდმა რევოლუციურმა ხანამ არზაყან ზვამბაიას და თარაშ ემხვარს, როგორც სხვადასხვა სოციალურ ტიპებს.

თუ რომანის ამ ორი მთავარი გმირის ცხოვრების ისტორია შეადგენს ნაწარმოების სიუჟეტურ მაგისტრალს, ამ მაგისტრალის ირგვლივ დატრიალებულია მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ადამიანურ სახეთა მდიდარი სამყარო. არზაყან ზვამბაიას გარდა რომანში ცხოვრობენ და მოქმედებენ თანამედროვეობის გმირთა, ახალი სამყაროს მშენებლობისათვის თავდადებულად მებრძოლ ადამიანთა ისეთი ტიპიური სახეები, როგორც არიან ჩალმაზი და ლიჩელი. პარტიის სსკმის განუხრელად ერთგული, მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი ეს სამაგალითო კომუნისტები გაბედულ წინააღმდეგობას უწევენ რაიკომის მდივანს არენბა არლანს, რომელიც უხეშად ამახინჯებს პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებში, ტლანქი ადმინისტრირებით, ძალადობით ერეკება კოლმეურნეობაში ღარიბ და საშუალო გლეხობას, რითაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს და სერიოზულ საფრთხეს ქმნის სოციალისტური სოფლის მშენებლობის გზაზე. ამასთან, არლანი ცოლად ირთავს ბნელი კომბინატორის, ავანტიურისტი აზნაურის გვანჯ აფაქიძის ქალიშვილს და უმოყვრდება ბოროტმოქმედ ახალგაზრდა კულაკს — ჯოტო გვასალიას. ჩალმაზი და ლიჩელი გაბედულად ამხილებენ ამ გადაგვარებული პარტიული ხელმძღვანელის ნამდვილ სახეს და გამარჯვებული გამოდიან ამ ბრძოლაში, რომანის ეს სიუჟეტური მოტივი ისტორიული სიმართლით გვიჩვენებს, თუ როგორი რთული წინააღმდეგობების ვითარებაში ახორციელებდა პარტია სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დიად საქმეს.

რომანის დადებით გმირთა შორის გამოირჩევა ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტის — ექიმი-გინეკოლოგის ხერიპს შერვაშიძის სახე. ხერიპსაც თავდაზნაურული წოდების შვილია, მაგრამ იგი თარაშ ემხვარის მსგავსად კი არ განდგომია განზე ახალ ცხოვრებას, არამედ გულწრფელად და შეგნებულად მიემხრო მას და ძალ-ღონის დაუზოგავად ემსახურება აღორძინებულ სამშობლოს, ხალხის კეთილდღეობას. ზოგს უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად,

ზოგს უფრო ესკიზურად და ეპიზოდურად, მაგრამ წრფელი სიყვარულით და თანაგრძნობით ხატავს მწერალი ყველა თავის დადებით გმირს, რომელთა შორის, ზემოთ მოხსენებულთა გარდა, ვხედავთ პატიოსან მშრომელ ქალიშვილს ძაბულის, სვან კომკავშირელს საურს, თბილისელ შოფრებსა და ტრაქტორისტებს, თამარ შერვაშიძეს და სხვებს. სხვადასხვა სოციალური წრისა და კულტურული დონის ეს ადამიანები ერთობლივად ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო თვისებებს განასახიერებენ. მათი ეს სულიერი ღირსებანი მით უფრო მკაფიოდ და შთამბეჭდავად იჩენენ თავს, რაც უფრო მდიდრად და მძლავრად არის წარმოდგენილი რომანში მოპირდაპირე ბანაკი — რეაქციული სამყაროს აქტიური დამცველები თუ ბნელი წარსულის ტრადიციების მატარებელი მანკიერი ადამიანები. ზოგი მათგანი — კულაკი ტარბები, გვანჯ აფაქიძე, ჯოტო გვასალია და სხვები, იარაღით ხელში თუ შენიღბული მზაკვრული საშუალებით ებრძვიან ახალი ცხოვრების ნათელს; ზოგი კი — ყოფილი დეკანოზი ტარიელ შერვაშიძე, უმეცრებისა, მონობისა და ცრუმორწმუნეობის წყვედიადით განუკურნებლად დაავადებული მოხუცი ლუკაია ლაბანუა ან სვანური პატრიარქალური გვარის მეთაური ქორა მახვში, ვერ ურიგდებიან ცხოვრების გარდამქმნელ და განმაახლებელ პროცესებს და გაუხარელად ამთავრებენ სიცოცხლეს ისე, როგორც „ლანდათ ქცეული თავადი“ და სხვა მათი მსგავსი.

თავის დროზე ქართული ლიტერატურული კრიტიკა უსაყვედურებდა კ. გამსახურდიას, რომ მას ძველი სამყაროს ადამიანთა დასახატავად უფრო მეტყველი და ცხოველი საღებავები აღმოაჩნდა, ვიდრე ახალი ცხოვრების მშენებელ გმირთა ტიპების გამოსაძერწავადო. ამ საყვედურში არის სიმართლის ელემენტი, თუმცა ისიც მართალია, რომ ასეთი მხატვრული ენერგიით წარმოსახული სურათი ძველი ცხოვრების ნგრევისა და წარსულის ადამიანთა სასიკვდილო განწირულებისა, ნათლად გვაგრძნობინებს ჩვენი რევოლუციური ეპოქის ძალას. მისი მასულდგმულებელი იდეების სიდიადეს.

მწერალი ყოველთვის როდი ახერხებს მკვეთრად გაემიჯნოს თავის უარყოფით გმირებს და მკაცრი მამხილებელი თვალით შეხედოს მათ. ზოგჯერ „მთვარის მოტაცების“ ავტორი ერთგვარი თანაგრძნობითა და სიბრალულითაც კი მოსაფხ ბნელი წარსულის ამ ცოცხალ ნარჩენებს. ზოგჯერ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მწერალი კარგად გრძნობს, სიმართლით გვიხატავს ძველი, რეაქციული სამყაროს გარდაუვალ სასიკვდილო განწირულებას და ერთგვარი გულისტკივილით, ნაღვლიანი ღიმილით მიაცილებს მას.

რომანის მხატვრულ ქსოვილში დაკვირვებული თვალი აღმოაჩენს მოდერნისტული ხელოვნების არსენალიდან გადმოტანილ ცალკეულ ხერხებს მხატვრული გამომსახველობისა, ცალკეულ მხატვრულ გადაჭარბებებს, ხელოვნ-

ნურ სიტუაციებს, მანერულობის ცდუნებებს, რომანის ენობრივ ქსოვილშიაც აქა-იქ იგრძნობა ის უკიდურესობანი, რომელშიაც ზოგჯერ ვარდება ხოლმე მწერალი, როცა ცდილობს პრინციპულად გაემიჯნოს გასული საუკუნის დიდ ქართველ კლასიკოსთა პოზიციებს ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საკითხში.

მაგრამ ყოველივე ეს რომანის ცალკეულ მხარეებს შეეხება, მთლიანად კი „მთვარის მოტაცება“ ჩვენი რევოლუციური ეპოქის ძირითადი შინაარსის, ძველი სამყაროს გარდაუვალ ნგრევის და ახალი ცხოვრების დამკვიდრების სიმართლით წარმომსახველი დიდი მხატვრული ტილოა. იგი ქართული და მთელი ჩვენი მრავალეროვნული მხატვრული პროზის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

ოცდაათიანი წლების კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში კი ეს წიგნი არა მარტო მისი ავტორის ღრმა იდეურ-შემოქმედებითს გადაიარაღებას მოასწავებდა, არამედ მთელი ჩვენი ეროვნული მწერლობის ამალღებას მისი განვითარების ახალ დონეზე.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებულმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებმა გააღრმავეს საბჭოთა ხალხის პატრიოტული შეგნება, გააღვივეს ყოველი სოციალისტური ნაციის ეროვნული სიამაყის გრძნობა, გააძლიერეს ინტერესი და ყურადღება ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიული წარსულისადმი. ამან გამოიწვია ოცდაათიანი წლების მთელს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში ისტორიული ქანრების განვითარება.

განსაკუთრებით ეს ითქმის ისტორიული რომანის შესახებ, რომელსაც მდიდარი შესაძლებლობანი აღმოაჩნდა, რომ ხალხისათვის თვალნათლივ დაენახებინა თუ როგორი ბოროტების, სილატაკისა და ტირანიის წყვდიადს დააღწია თავი ჩვენმა ქვეყანამ, თუ როგორი გმირული და თავგანწირული ბრძოლით, რაოდენი სისხლისა და მსხვერპლის საფასურით შეინარჩუნეს ჩვენმა წინაპრებმა სამშობლოს სიცოცხლე და დამოუკიდებლობა. სოციალისტური რეალიზმის მწერლობის დიდი ფუნქციონირებელი მაქსიმ გორკი თავის დროზე კმაყოფილებით შენიშნავდა, რომ საბჭოთა ლიტერატურაში შეიქმნა ისტორიული რომანი, რომლის მსგავსიც არ იცოდა მეოცე საუკუნის მსოფლიო ლიტერატურამ. და მართლაც, საბჭოთა ისტორიულმა რომანისტიკამ უკვე გამოიმუშავა თავისი საკუთარი ტრადიცია, რომელიც მკვეთრად განასხვავებს მას ამ ქანრის თანამედროვე მსოფლიო ბურჟუაზიული ბელეტრისტიკისაგან, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ისტორიული რომანისათვის დამახასიათებელი წარსულის იდეალიზაციისა. ან მისი ნაძალა-

დევი მოდერნიზაციისა ამ ქანრის საბჭოთა მწერლობას, პირველ ყოვლისა, ისტორიული სიმართლის პრინციპი უდევს საფუძვლად. მისი ყურადღებისა და შემოქმედებითი ინტერესის ცენტრში ხალხის ისტორიული ბედია მოქცეული, ყოველი ისტორიული ეპოქის ის წამყვანი და პროგრესული ტენდენციები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ადამიანთა საზოგადოების წინსვლისა და რევოლუციური განვითარების კანონზომიერებას. საბჭოთა ისტორიული რომანის მთავარ გმირს ხალხი წარმოადგენს, უშუალოდ მოქმედი თუ დიდ ისტორიულ პიროვნებათა მხატვრულ სახეებში პერსონიფიცირებული. მის სიუჟეტურ მაგისტრალს განსაზღვრავენ ისტორიული მოვლენები, მხატვრულად ხორცშესხმულნი, ხელოვანის ფანტაზიით გამდიდრებულნი და განაყოფიერებულნი. ჩვენი თანამედროვეობის სიმალლიდან, ჩვენი ეპოქის მაღალი სოციალური იდეების პოზიციებიდან შეჰყურებს და წარმოსახავს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდით შეიარაღებული მწერალი კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების გზას და სწორედ ამაში მდგომარეობს საბჭოთა ისტორიული რომანის იდეური ღირსება და უპირატესობა, რომელიც თავის მხრივ განაპირობებს ამ ქანრის სპეციფიკურ პოეტიკას, მხატვრული გამოსახულების საშუალებათა თავისებურ სისტემას.

საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ასეთ იდეურ-ესთეტიკურ ტრადიციათა დადგენასა და დამკვიდრებაში ძვირფასი წვლილი შეაქვს კონსტანტინე გამსახურდიას თავისი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენით“ და „დავით აღმაშენებლით“, რომელთა რეზონანსი დიდი ხანია შორს ვასცდა ჩვენი ეროვნული კულტურის ფარგლებს და რომელთაც საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მთელ ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც.

„დიდოსტატის მარჯვენა“ ეს იყო ჩემთვის ორმაგი წყურვილის მოკვლა — წერს კ. გამსახურდია რომანის ბოლოსიტყვაობაში, — უწინარეს ყოვლისა, ფიგურალურად რომ ვთქვათ, რომანის ფორმაში გამოვამყდავნე ჩემი *L'art politique*. გარდა ამისა დიდი საქართველოს ჩვენება განვაცხადე თანადროული რომანის მიხედვით“.

მართლაც ქართველი ხალხის დიდი პატრიოტული და საბრძოლო ტრადიციების წარმომსახველ ამ ნაწარმოებში მწერალმა ახალი ძალით და სიღრმით გამოავლინა საკუთარი მხატვრული ინდივიდუალობის დამახასიათებელი თავისებურებანი; მხატვრული აღწერილობის ბრწყინვალე ოსტატობა, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული მღელვარე თხრობის ხელოვნება, გმირთა სულიერი ცხოვრების ყოველი ნიუანსის წვდომისა და გადმოცემის იშვიათი უნარი,

ემოციურად დაძაბული, ლირიკული მგზნებარებით აღბეჭდილი მეტყველება. ამ სტილებრივი თვისებებით „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ ორგანულად უკავშირდება კ. გამსახურდიას თანამედროვე თემატიკის რომანებსა და ნოველებს, თუმცა სპეციფიკური თემატური მასალა გავლენას ახდენს მწერლის მხატვრულ მეტყველებაზეც: აქ უფრო მეტად, ვიდრე სხვა თავის ნაწარმოებებში მწერალი იჩენს ხაზგასმულ და შეგნებულ მიდრეკილებას ძველი ქართული მწერლობის ენობრივი ტრადიციებისადმი, უფრო უხვად შემოაქვს რომანის ენობრივ ქსოვილში არქაული ლექსიკური მასალა და სინტაქსური ფორმები.

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში თავის დროზე მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა კ. გამსახურდიას ისტორიულ რომანებთან დაკავშირებული ისეთი შემოქმედებითი პრობლემების გარშემო, როგორცაა ისტორიული რომანის მეტყველების მიმართება თანამედროვე ეროვნული სალიტერატურო ენისადმი და ხალხის ცოცხალი მეტყველებისადმი ან კიდევ ისტორიული სინამდვილისა და მწერლის მხატვრული ფანტაზიის შეფარდება ისტორიული ქანრის მხატვრულ ლიტერატურაში. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ დისკუსიებს უშედეგოდ ჩაეველოს მწერლის შემოქმედებითი ევოლუციისათვის. იმ დიდ ძიებებსა და ნოვატორულ მისწრაფებებში, რომელთა ვითარებაშიც ყალიბდებოდა კ. გამსახურდიას იდეურ-ესთეტიკური კრეატივი, მწერალი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურული კრიტიკის რეაგირებას მის ყოველ ახალ ნაწარმოებზე. ახლა, როცა ამ დისკუსიებით აღძრული ვნებათა ღელვა უკვე დამცხრალია, შეგვიძლია სრული რწმენით ვთქვათ, რომ მწერლის ზოგჯერ გადაჭარბებულ გატაცებას ენობრივი არქაიზმებით არ შეუზღუდავს მისი რომანების დიდი პოპულარობა, ხალხის სულიერ ცხოვრებაზე მათი შემოქმედების ძალა. კიდევ მეტიც, კ. გამსახურდიას ენობრივ ძიებათა და მიგნებათა პოზიტიური შედეგები არა მარტო მიიღეს და გაიზიარეს მკითხველთა ფართო ფენებმა, არამედ მათ გარკვეული ზეგავლენაც იქონიეს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს ამ ზეგავლენის კვალს ბევრი თანამედროვე ქართველი მწერლის, განსაკუთრებით, ახალგაზრდა თაობის ბელეტრისტთა შემოქმედებაში.

მართალია, კ. გამსახურდია თავის ისტორიულ რომანებში დიდ თავისუფლებასა და ფართო გასაქანს აძლევს საკუთარ პოეტურ ფანტაზიას და უხვად შეაქვს თხრობაში გამონაგონი სიტუაციები, მაგრამ ეს ფანტაზიისმიერი ელემენტი არა თუ არ აღევებს და არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს, ეპოქის სულის, მისი შინაარსის გადმოცემის ამოცანას, პირიქით, სწორედ

ისტორიული სიმართლის უფრო ღრმად და სრულად გახსნასა და წარმოსახვას ემსახურება.

მაგალითად, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ კითხვისას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, მართლა უყვარდა თუ არა ასეთი დაუოკებელი ვნებით მეფე ჭიორგი პირველს მის წინააღმდეგ ამბოხებული ფეოდალის, კვეტარის ერისთავის თალაგვა კოლონკელიძის მშვენიერი ასული შორენა და მართლა იყვნენ თუ არა ერთმანეთთან წრფელი ტრფიალების გრძნობით დაკავშირებული შორენა და ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი კონსტანტინე არსაკიძე, ან მართლა იმგვარად დასრულდა თუ არა არსაკიძის ცხოვრება, როგორც რომანშია მოთხრობილი. ქართულ მატრიანეებში და საერთოდ ისტორიულ წყაროებში არავითარი კვალი არა ჩანს რომანის მთავარ გმირთა ამგვარი ურთიერთობებისა. მაგრამ ეს „გამოგონილი“ სიუჟეტური მოტივები ისე ორგანულად და იმგვარის ხელოვნებით არის ჩაქსოვილი რომანში წარმოსახული ისტორიული მოვლენების განვითარებაში, რომ არა თუ არავითარი ეჭვი არ გვეპარება ამ პასაჟების ცხოვრებისეულ სიმართლეში, არამედ ვერც კი წარმოგვიდგენია, თუ როგორ შეიძლებოდა მათ გარეშე ისე ცხოვლად გაგვეგო, გვეგრძნო და განგვეცადა ის მრავალმხრივად რთული და დრამატული კონფლიქტებით აღსავსე ისტორიული ეპოქა, რომლის გაცოცხლებასა და წარმოსახვასაც მწერალმა მიუძღვნა თავისი ეს შესანიშნავი მხატვრული ქმნილება: ისტორიკოს-მკვლევარის ალღოთი და გულმოდგინებით. პოეტის ინტუიციით, მისი ფრთაასხმული შემოქმედებითი ფანტაზიით შედის მწერალი ჩვენი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი შორეული საუკუნის სიღრმეში და ისტორიულად ფიქსირებული მოვლენების თუ გამოგონილი სიტუაციების, ისტორიულად ცნობილი ადამიანების თუ შეთხზული ტიპიური ადამიანური სახეების ერთობლიობით ცოცხლად, პლასტიკურად, ხელშესახებად აღადგენს ჩვენს თვალწინ ამ საუკუნეს, მის ნივთობრივს ინვენტარს, მისთვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს, ხალხის სულიერი ცხოვრების, გონებრივი მოძრაობის ვითარებას.

მაგრამ მართლ ამაში როდი მდგომარეობს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“, როგორც ისტორიული ჟანრის მხატვრული ნაწარმოების, ღირებულება. შემეცნებითი მნიშვნელობა, რასაკვირველია, უნდა ჰქონდეს და აქვს კიდევ ყოველ სრულფასოვან ისტორიულ რომანს. მაგრამ მისი უპირველესი სოციალური და ესთეტიკური ფუნქცია მაინც ის არის, რომ სიმართლით გააზრებული ისტორიული მოვლენების მხატვრულად განსახიერების მეშვეობით აღვივებდეს და ნერგავდეს მკითხველის სულიერ სამყაროში თანამედროვეობის მაღალ იდეალებს, ხალხის სადღეისო მისწრაფებათა სამყაროსთან თა-

ნხმოვან აზრებსა და გრძნობებს. ისტორიული წარსულის გაცოცხლება თანამედროვეობის სუნთქვით შეადგენს კლასიკური ისტორიული რომანისტიკის ყველა ნაწარმოების დიდ ღირსებას. მაგრამ ასეთი ორგანული ერთიანობა ისტორიულ მოვლენათა სიმართლით წარმოსახვისა და მათთვის თანამედროვე ელერის მინიჭებისა კ. გამსახურდიამ თავის უმაღლეს შემოქმედებით პრინციპად აქცია საბჭოთა ისტორიულ რომანში.

„ჩვენს დროში, შრომის აპოლოგიის საუკუნეში შევასხი ხობა დიდი ხელოვანის ჯათას და მის თავდადებას“. — სრული უფლებით ამბობს მწერალი თავისი ამ ნაწარმოების შესახებ. მაგრამ ამ რომანის თანხმოვანება ჩვენი დროის სულიერ ატმოსფეროსთან მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რომ მასში წრფელი მგზნებარებით არის მოთხრობილი მაღალნიჭიერი ხუროთმოძღვრის, სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლის კონსტანტინე არსაკიძის დაძაბული შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის ამბავი, ეპოქის მატერიალური და სულიერი კულტურის ამ უკვდავი ძეგლის შექმნის ეპოპეა. ადამიანის შრომითი გმირობის და შემოქმედებითი გენიის მაღიდებელი ეს მოტივი, რასაკვირველია, ცხოველ გამოძახილს პოულობს კაცობრიობის მთელს ისტორიაში სწორუპოვარი შემოქმედებითი შემართებით მებრძოლი ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ხალხის სულიერ ცხოვრებაში. მაგრამ ასევე ცხოველად ეხმაურება საბჭოთა ადამიანის პატრიოტულ შეგნებას, მის გმირულ და ვაჟკაცურ სულისკვეთებას სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების, სამშობლოს მთლიანობისა, ძლიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ის ამალელებელი ეპიზოდები, რომლებიც ასეთი შთამაგონებელი ძალით არის დახატული ამ მართლაცდა რაინდულ რომანში. მწერლის მისწრაფება — რაც შეიძლება მეტის ორგანულობით დაუკავშიროს რომანში მოთხრობილი ისტორიული მოვლენები ჩვენს თანამედროვეობას, — გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების კომპოზიციურ აღნაგობაში. რომანი იწყება პროლოგით და მთავრდება ეპილოგით, რომლებიც უშუალოდ არის მიმართული ჩვენი დღეებისადმი და, მართალია ესკიზური შტრიხებით, მაგრამ მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახავენ მშენებლობისა და შემოქმედებითი შრომის პათოსს, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა სინამდვილე.

პროლოგში აღწერილია ავტორის ცხენით გამგზავრება თბილისიდან საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის — მცხეთისაკენ, სადაც მარადიული დიდებით შემოსილი დგას სვეტიცხოველის ძველისძველი ტაძარი, ქართული კლასიკური არქიტექტურის ეს უქკნობი შედევრი. მაგრამ ვიდრე შორეული წარსულის გმირული სულის მომასწავებელ ამ ძეგლთა სამყაროში შევიდოდეს, მწერლის თვალწინ გადაიშლება ჩვენი ნათელი თანამედროვეობის წარმ-

ტაცი სურათი, რომელიც ბუნებრივად ბადებს ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავგანწირული ბრძოლით გადარჩენილი და ამჟამად სამუდამოდ აღორძინებული საქართველოს დედაქალაქის თბილისის სადიდებელ ჰიმნს:

„ტფილისი თვალსა და ხელს შუა გაიზარდა, გადიდქალაქდა. ლაპლაპებს უზარმაზარი კოცონი მთაწმინდაზე, ელავენ ელექტრონის ლამპიონები, ჩელიუსკინელების ხიდისა და მტკვრის შესანიშნავი სანაპიროს გასწვრივ ელექტრონის ბურთები ტივტივებენ მდინარეში, ჩაბლავიან გახელებულ ულაცს თვალეზბრიალა ავტოები ყურში, დაიზმუვლებენ და გარბიან გუდრონით მოგებულ გზაზე.“

ზუზუნებენ ქარხნის სირენები, გუზგუზებენ რაიონებისაკენ მიმქროლავი ტრაქტორები, მხიარულად წკრიალებენ ველოსიპედები და დინჯი დარდიმანდი იფხორება, ფრთხება, ჟამიდან ჟამზე მოუსვენრად ფრუტუნებს და ლეკავს ლაგამს“.

ხოლო ეპილოგში, როცა მთავრდება თხრობა კონსტანტინე არსაკიძის სიცოცხლის ტრაგიკული აღსასრულისა და იმის შესახებ, თუ როგორ გაქვავდა თავისი ერთადერთი უსაყვარლესი პირმშოს დაღუპვით თავზარდაცემული დედა კონსტანტინესი, — მწერალი დაასკვნის:

„ათას წელს იწვიმა და იქუხა იმ დღიდან საქართველოს თავზე, ათას წელს იგორა ქვადქეუელმა სულმა.“

ჩემს სიყრმეშიაც მინახავს კაცის სიმაღლე ლოდი, რომლის გამოც ამბობდნენ მცხეთაში: კონსტანტინე არსაკიძის დედააო გაქვავებული.

მანდილიან ფხოველ დიაცს მიაგავდა ეს ლოდი მართლაც. შარშანაც ვნახე ძველ სასაფლაოზე მცხეთაში.

წრეულსაც მოვიკითხე, ასე მითხრეს მშენებლობაზე. წაიღესო სადღაც. მას შემდეგ არ მიძებნია იგი, რადგან ამასობაში უკვე დავასწარი მშენებლობის გენიას და ქვაში ჩაკირული საიდუმლო განვაცხადე სიტყვაში“.

ეპილოგის ამ დასკვნითს სტრიქონებში მოსჩანს თანამედროვე ადამიანი, რომელიც წრფელად შეჰხარის ჩვენი ხალხის მშენებლობით გენიასა და შემოქმედებითი აზრით ერთვის და ეჯიბრება მას ათასწლოვანი ქექა-ქუხილისა და ავბედითი ქარ-წვიმისაგან ვაჟკაცურად გადარჩენილი და სამუდამოდ აღორძინებული ჩვენი სამშობლოს სადიდებლად. ასეთი გრძნობით შედის შორეული წარსულის წიაღში „დიდოსტატის მარჯვენის“ ავტორი.

მეთერთმეტე საუკუნის დამდეგი, რომელიც ასახულია „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“, მნიშვნელოვანი ხანაა საქართველოს ისტორიაში. იგი უშუალოდ წინუსწრებდა და ამზადებდა დავით აღმაშენებლის მეფობის, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქას, რომელიც ძველი საქართველოს „ოქროს

ხანად“ არის ცნობილი. არაბთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თავდაღწეული ქართველი ხალხი იბრძოდა თავისი დიდი სახელმწიფოებრივი ტრადიციების აღორძინებისათვის, წვირლ სამთავროებად დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებისათვის, თავისი მიწა-წყლიდან უცხოელ დამპყრობელთა განდევნისათვის, მძლავრი ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის. ამ მისწრაფების განხორციელება გულისხმობდა გამუდმებულ ბრძოლებს, ერთის მხრივ, სარკინოზთა წინააღმდეგ, რომელთაც ჯერ კიდევ ხელთ ეპყრათ საქართველოს დედაქალაქი თბილისი და, მეორეს მხრივ, ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს მფარველობდა ერთმორწმუნე საქართველოს, მაგრამ ამ მფარველობაში არსებითად საქართველოს დაპყრობას, მის საკუთარ პროვინციად გადაქცევას გულისხმობდა. არანაკლებ სასტიკი და სისხლისმღვრელი ბრძოლა იყო საჭირო დიდგვაროვან ფეოდალთა წინააღმდეგ, რომლებიც ლამობდნენ ესარგებლათ სამეფოს მძიმე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობით, ჰაბუკი მეფის გიორგი პირველის მცირეწლოვანებით და თავიანთი სამთავროების დამოუკიდებლობა მოეპოვებიათ. მწვავე კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით იყო შოცხული აგრეთვე ხალხის სულიერი ცხოვრება. მომძლავრებულსა და სახელმწიფოს გაბატონებულ რელიგიად ქცეულ ქრისტიანობას შეუპოვრად ებრძოდა სარკინოზთა ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გამოცოცხლებული და წაქეზებული წარმართობა, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ დათრგუნვილი და აღმოფხვრილი საქართველოს მთიან სამთავროებში. თავისი განუყოფელი ბატონობისათვის მებრძოლი ქრისტიანული ეკლესიის მესვეურები ძალა-უფლებაში ეტოქებოდნენ საერო ხელისუფლებას. ამასთან, ხალხის სულიერ ცხოვრებაში თავს იჩენდნენ საშუალო საუკუნეობრივი სქოლასტიკის წყვდიადისაგან განთავისუფლების მისწრაფებანი, აღმოცენებას იწყებდა პირველი ყლორტები ადრეული რენესანსისა, რომელმაც მალე, ერთი — ერთნახევარი საუკუნის შემდეგ მძლავრი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების სხვადასხვა დარგში — ფილოსოფიაში, მწერლობაში, მხატვრობასა და ხუროთმოძღვრებაში, ხოლო ყველაზე ბრწყინვალედ და სრულყოფილად — შოთა რუსთაველის გენიალურ პოემა „ვეფხისტყაოსანში“.

ასეთ რთულ და მრავალმხრივ წინააღმდეგობათა ვითარებაში მიიკვლევა და გზას, მზადდებოდა და იბადებოდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების „ოქროს ხანა“. სწორედ გმირობითა და სულიერი რაინდობით, დაუნდობელი ბრძოლებითა და მწვავე ტკივილებით, სიხსლითა და ცრემლით აღსავსე ეს საუკუნე წარმოსახა მწერალმა „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენაში“.

ეპოქის ყველა დამახასიათებელ კონფლიქტსა და წინააღმდეგობას მწერალმა, როგორც ფოკუსში, თავი მოუყარა მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული დიდი ხელოვანის, სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრის შემქმნელის კონსტანტინე არსაკიძის ტრაგიკულ თავგადასავალში. თავისი ასეთი მხატვრული ჩანაფიქრისაკენ მწერალს ბიძგი მისცა სვეტიცხოვლის კედელზე გამოახულმა ვაჟკაცის მოკვეთილმა მარჯვენამ, რომელსაც გონიო უბყრია, ლუგენდის მიხედვით ეს უნდა იყოს ხუროთმოძღვარის კონსტანტინე არსაკიძის მარჯვენა. ამ ლეგენდას მხარს უჭერს და თითქოს ადასტურებს ცნობილი ხალხური ლექსი, რომელიც ეპიგრაფად აქვს წამძღვარებული რომანს:

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი ავიგია.

როგორც რომანის გმირმა კონსტანტინე არსაკიძემ ტლანქი და მოუხეშავი ლოდებისაგან შექმნა ხელოვანის მღელვარე სულით გამთბარი ზეცამდე ატყორცნილი და სივრცეში გაქვავებული მომაჯადოებელი ქვის ჰარმონია, ისე მწერალსაც ლეგენდასა და ამ ოთხსტრიქონიან ხალხურ ლექსში ჩამარხულ მარცვალზე აღმოუცენებია სიტყვიერი ხელოვნების შესანიშნავი ნაგებობა, რომელიც გვხიბლავს თავისი გმირების ვაჟკაცობითა და სულიერი მშვენიებით, გულის სიღრმემდე შეგვძრავს მათი ბედის ტრაგიკულობით. ვკითხულობთ რომანს და ჩვენს თვალწინ წარმოდგება მწერლის ჯადოქრული ხელოვნებით გაცოცხლებული, ჩვენგან ათსაუკუნოვანი მანძილით დაშორებული ეპოქა თავისი პირქუში და სასტიკი სოციალური წყობილებით, სპეციფიკური ყოფაცხოვრებითი ურთიერთობებით, ჩვევებითა და ადათ-წესებით. გასაოცარი პლასტიკური სიციხველით ხატავს მწერალი ეპოქის ნივთობრივ ინვენტარს, სასახლეთა და ციხე-კოშკთა მოწყობილობას, სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ჩაცმულობასა და მორთულობას, ნადირობისა და მოლხენის, შიცვალეზულის დატირების, წირვა-ლოცვის სურათებს, და ყოველივე ეს მოქმედების მხოლოდ დეკორაციულ ფონს კი არ ქმნის, არამედ თითოეული მათგანი განმაზოგადებელი ძალით გვაგრძნობინებს ისტორიულ ვითარებას, ეპოქის სახეს, მის კონკრეტულ შინაარსს. განსაკუთრებით ძლიერია მწერალი ბატალური სურათების ხატვისას. ჩვენ ვხედავთ მრისხანედ აღმართული ხმლებისა და მახვილთა ელვარებას, გვესმის გოდოლთა შელენწვის, ციხე-კოშკთა მსხვრევის შემზარავი ხმაური, სამკედრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთთან შეჯახებულ ადამიანთა ყიჟინა, დაჭრილთა კვნესა, დამარცხებულთა გოდება. ყოველივე ეს, როგორც თხრობის მსვლელობაში უხვად ჩაქსოვილი დიდ-

უბული ქართული ბუნების წარმტაცი პეიზაჟები, შესრულებულია სიტყვიერი მხატვრობის იშვიათი ხელოვნებით. ყოველი ნახატი, — ბუნებისა თუ ყოფაცხოვრების ყოველი სურათი, ღრმად არის გამსჭვალული ადამიანური განცდებით და განწყობილებებით, დაკავშირებულია იმ დიდ ადამიანურ ენებათა დელევსთან, რითაც აღსავსეა რომანის გმირთა ცხოვრება და მათი ურთიერთობის ისტორია.

რომანის მთავარი გმირი კონსტანტინე არსაკიძეა, ხოლო ნაწარმოების სიუჟეტურ მაგისტრალს მისი ცხოვრების ტრაგიკული ისტორია, კვეტარის ერისთავის, თალაგვა კოლონკელიძის ასულთან — მშვენიერ შორენასთან მისი საბედისწერო სატრაფიალო ურთიერთობის ამბავი შეადგენს.

ახალგაზრდა ლაზი კონსტანტინე არსაკიძე თავისი წარმოშობით და სოციალური ბიოგრაფიით მშრომელ ხალხს ეკუთვნის. მას განუცდია მონა-ყმის ხვედრი, მებატონეთა სასახლეებში გაუხარელი ცხოვრებაც, ტყვედ ჩავარდნის განსაცდელიც. მაგრამ თავის იშვიათ ნიჭიერებას, ხუროთმოძღვრულ ხელოვნებას იგი მეფესთან, კათალიკოსთან, საერო და სასულიერო არისტოკრატის მაღალ ფენებთან დაუკავშირებია. ამიტომაც მისი ცხოვრების ისტორიაში ჩვენ ვხედავთ, როგორც მშრომელი ხალხის ბედის, ისე ეპოქის დამახასიათებელ წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების ანარეკლს.

კონსტანტინე არსაკიძის სახე ხორცშესხმული სიმბოლოა ხალხის შრომითი გმირობისა, მისი შემოქმედებითი გენიისა, ადამიანის აზრის მისწრაფებისა თავისუფალი და შეუბოროტველი განვითარებისაკენ. „კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. უდიდესი სიამაყე შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“. ასეთია არსაკიძის ცხოვრების ფილოსოფია. მონობისა და ტირანიის უსასტიკეს საუკუნეში, როცა შრომა მძიმე ხვედრი იყო სიღატაკისა, უმეცრებისა და უუფლებობისათვის განწირული ხალხისა, არსაკიძეს მხოლოდ შრომისა და შემოქმედების, ხელოვნებისა და ოსტატობის დიდება და უკვდავება სწამდა. „ხელოვნებაა თავათ უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი. ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“. არსაკიძის ამ სიტყვებში შემოქმედებითი შრომის მაღივლებელი ჰიმნი ჟღერს და სვეტიცხოველიც ამ შემთხვევაში სიმბოლური მნიშვნელობის მხატვრული სახეა, ადამიანის შრომით გენიის ხორცშესხმული გამოხატულება.

მაგრამ ამ შემოქმედებითი გენიის მატარებელი ადამიანი გაბოროტებულ

დევნის, ტანჯვისა და მწუხარებისათვის არის განწირული მონობასა და ძალ-
მომრეობაზე აგებულ სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ წყობილება-
ში. მსოფლიო კულტურის ისტორია აღსავსეა ამის შემზარავი მაგალითებით
და მსოფლიო ლიტერატურასაც სხვადასხვა ქანრის მრავალ შედეგში გამოუ-
ხატავს მაღალი და პროგრესული შემოქმედებითი აზრით შთაგონებული ხელ-
ოვანის შეურიგებელი კონფლიქტი თავის ბნელსა და პირქუშ საუკუნესთან.
სწორედ ეს კონფლიქტი წარმოადგენს „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვე-
ნის“ იდეურ-თემატიკურ შინაარსის განმსაზღვრელ ფაქტორს.

მართალია, თავის ხელოვნებაზე და თავის დიდებულ ქმნილებაზე ფანა-
ტიკურად შეყვარებულ არსაკიძეს თითქოს არც კი გააჩნია სოციალური პრო-
ტესტის გრძნობა და ასეთ უცნაურ აზრებსაც კი გამოთქვამს, რომ იგი მზად
არის დაემორჩილოს მის ქვეყანაში გაბატონებულ ყოველგვარ წყობილებას,
რადგან, მისი აზრით, ყოველი ხალხი მხოლოდ იმ წყობილების ღირსია, რო-
მელიც მის ქვეყანაში სუფევს. მაგრამ არსაკიძის ცხოვრების ტრაგიკული ის-
ტორია მომაკვდინებელი მხილებაა იმ ბნელი და სისხლიანი ტირანისა, რომე-
ლმაც დაუნდობლად გაანადგურა სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით
შთაგონებული ეს დიდი პატრიოტი. კათალიკოსი მელქისედეკი გადაემტერა
არსაკიძეს იმ სურათის დახატვისათვის, რომელშიაც მხატვარმა ღმერთთან შე-
ჭიდებული ადამიანის „მკრეხელური“ აპოლოგია განასახიერა. ურწმუნო და
უთვისტომო ხელოვანმა, ბნელი სულისა და ბოროტი ხასიათის ფარსმან სპარ-
სმა მომაკვდინებლად შეიძულა თავისი ყოფილი შეგირდი შურიანობის ნიადა-
გზე. ფარსმანის მზაკვრულმა დაბეზლებამ, მისმა ბოროტმა ცილისწამებამ გა-
დამწყვეტი გავლენა იქონია არსაკიძის ბედზე. მეფე გიორგიმ კი სასიკვდილოდ
გასწირა თავისი ხუროთმოძღვართუხუცესი, მისი სამეფოს დამამშვენიებელი
სვეტიცხოვლის ამშენებელი მხოლოდ იმიტომ, რომ მდაბიო არსაკიძემ გა-
ბედა და წრფელი გრძნობით შეიყვარა შორენა, რომელსაც შეტრფოდა მე-
ფეც.

იპვიანობის გრძნობით გაცოფებული მეფის ბრძანებით არსაკიძეს მარჯ-
ვენა მოკვეთეს. მეფის მიერ შერისხულს ვერავინ გაუბედავდა თანაგრძნობას
და მზრუნველობას. მარტოობაში, აუტანელ ტკივილებსა და ტანჯვაში დალია
სული მკლავმოკვეთილმა და მორიელების მიერ დაკბენილმა კონსტანტინემ.
გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით აქვს აღწერილი მწერალს სასიკვდილო
აგონიით შეპყრობილი არსაკიძის უკანასკნელი ღამე, ერთმანეთში არეული მი-
სი უკანასკნელი ფიქრები, განცდები, მოგონებანი, ზმანებანი, მოჩვენებანი. სი-
ცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც იგი ებრძვის, არ ნებდება თავის დემონს,
მისი შემოქმედებითი აზრის თავისუფალი გაქანების შემზღვეველ და ჩაჩახმო-

ბელ მოხუცს, რელიგიური ფანატიზმით დაბრმავებულ ასკეტს — კათალიკოს მელქისედეს: „უზარმაზარი ლანდი ჩამოვიდა კედლიდან. მგლისებრმა თვალებმა გაიღვავს ბნელში. და ერკინებოდა მხატვარს გრძელწვერა მოხუცი. მერე მისწვდა იგი ჭრილობიან ბარკალს და „დაუბუშა ვრცელი ბარკლისაი“, მოეძალა ბობღია ლანდი, მგლისფერი თვალები შემოანათა და სთხოვა სული, არ მისცა სული მგლისებრთვალემა მოხუცებულს მხატვარმა... დიდხანს ებრძოდა წინამუხრის ველზე მამალი ხოხობი ღამეს“...

ბოლოს უზომოდ საყვარელი მასავით უბედური და დაღუპული შორენას ლანდი გამოეცხადა მომაკვდავ არსაკიძეს:

„ბოლოს მოაწია რიჟრაჟმა. ატყდა ნათლის ლიცლიცი გარეთ, ყაყაჩოები დაათოვა მწვერვალებს ცამ, იფრქვეოდა იისფერი შუქი, როგორც ჩქერალები ფხოვის მთებიდან.

შორენა გადმოვიდა კედლიდან, ხატური ფარჩის კაბა ეცვა შავი, ოქროს ფერი თმები გადმოღვრილიყვნენ მხრებზე, მოდიოდა ყაყაჩოების ველზე, თავთუხის თაველებს ესროდა უტას, ყაყაჩოებსა და თავთუხის თაველებს. დაუჩოქა სამგზის სანატრელმა, სთხოვა დიდოსტატს სული, ცრემლმა იწვიმა კონსტანტინეს თვალთაგან, მაგრამ ვერც საყვარელს მისცა მან სული, რადგან სვეტიცხოველისათვის შეეწირა იგი“.

ასე მოკვდა დიდოსტატი კონსტანტინე, ქედუხრელად და უდრტვინველად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ერთგული თავისი სიყვარულისა, თავისი ხელოვნებისა, თავისი დიდებული ქმნილებისა. ბნელმა და სასტიკმა საუკუნემ, ბოროტებასა, მტრობასა და შუღლზე, ძალმომრეობაზე აგებულმა წყობილებამ იმსხვერპლა იგი. მაგრამ ეს სიბნელე და ბოროტება უძლური აღმოჩნდნენ მოეკლათ და გაენადგურებინათ მაღალი და ნათელი აზრით შთაგონებული შემოქმედების მონაპოვარი. საუკუნეებში ამაყად დგას დიდებული სვეტიცხოველი, როგორც უკვდავი სიმბოლო შემოქმედებითი გენიის უძლეველობისა და მარადიულობისა. შემოქმედებითი შრომის, მშენებლობის გენიის, რაინდული სულის, ნათელი აზრის ასეთ დიდებას და უკვდავებას უმღერის „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“. ამაში მდგომარეობს ამ რომანის ფილოსოფია, მისი იდეური არსი.

კონსტანტინე არსაკიძე ღრმა აზრით-აღბუჭდილი მხატვრული სახეა, ხორცშესხმული განსახიერებაა ადამიანის კეთილშობილებისა, სულიერი რაინდობისა, ქედუხრელობისა და უშიშროებისა, შემოქმედებითი გენიისა, ნათელი აზრისა და სპეტაკი გრძნობისა, — იმ ჰუმანისტური იდეალისა, რომელიც უკვე აღმოცენებას იწყებდა რომანში გამოხატულს სასტიკსა და პირქუშ საუკუნეში. ჩხოლო, დიდოსტატის კონსტანტინეს ანტითეზას (მწერლისავე სიტ-

ყვებით რომ ვთქვათ) რომანში წარმოადგენს ფარსმან სპარსის სახე, აგრეთვე ღრმად გააზრებული და შთამბეჭდავად დახატული მწერლის მიერ. მას „ფარსმან სპარსად“ იცნობდნენ და არავინ იცოდა მისი ნამდვილი ვინაობა და ეროვნება. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, იგი უთვისტომო კოსმოპოლიტია, უსამშობლო და უეროვნო ადამიანია, რომელსაც არაფერი სწამს, გულით არაფერი უყვარს და ამიტომაც ყველაფერს მხოლოდ ანგარებისა და ცივი გონების კარნახით ზომავს.

ისიც ნიჭიერი ხელოვანია, და არა მარტო ხელოვანი. მრავალი ქვეყანა შემოუღვლია ამ „თვითმოძრავ ჭურს“, მრავალი ენა შეუსწავლია, მრავალ ხელობას დაუფლებია. იგი ვარსკვლავთმრიცხველიც არის და ალქიმიკოსიც. მკურნალიც და იარაღ-საჭურველთა ოსტატიც. ხუროთმოძღვარიც და მარჩიელიც. ათასგვარი ჯადოქრობის მოხელე. იგი მახვილი გონების, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მოქნილი ენის პატრონია. მაგრამ ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშში უნაყოფო და უშედეგოა, რადგან ფარსმან სპარსის სულიერი სამყარო დაცლილია რწმენისაგან, დადებითი იდეალისაგან, ზნეობრივი და მორალური კოდექსისაგან, ადამიანური გრძნობისა და ვნებებისაგან, მას შეუძლია განურჩეველი გულგრილობით ემსახურაოს სარკინოზთა ხალიფასაც, ბიზანტიის კეისარსაც და საქართველოს მეფესაც, მაგრამ არც ერთი მათგანისადმი არ გააჩნდეს ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობა. ისიც არავის უყვარს ქვეყნად, მასაც ყველა მხოლოდ იმდენად აფასებს, რამდენადაც მისი ცოდნა და ოსტატობა შეუძლია გამოიყენოს. თავისი ნიჭისა და მრავალმხრივი ცოდნის მიუხედავად მან ვერაფერი შექმნა ღირებული და მნიშვნელოვანი, იგი უკვალოდ და უსახელოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, რადგან ბოროტებითა და შხაკვრობით დამახინჯებულ სულს არ შეუძლია შექმნას რაიმე მყარი, გამძლე, ხალხის გულსა და ხსოვნაში ფესვგადგმული. მხოლოდ კეთილშობილურ იდეალს, სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავგანწირულების გრძნობას, მაღალ ზნეობას, სულიერ რაინდობას შეუძლია შთააგონოს ადამიანი ნამდვილი შემოქმედებითი გმირობისათვის და უკვდავება შთაბეროს მის საქმეს. ამ აზრს განასახიერებს და მხატვრულად ასახულებს რომანში დაპირისპირებული ეს ორი მხატვრული სახე — ნაწარმოების ეს თეზა და ანტითეზა.

გიორგი მეფეც რომანში ცხოვრობს და მოქმედებს არა მარტო როგორც გარკვეული ისტორიული პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, როგორც ტიპიზირებული მხატვრული სახე, რომელიც აგრეთვე თავისებურად განასახიერებს ეპოქის წინააღმდეგობებს და ტენდენციებს. მწერალი ისტორიული პიროვნელობით მოგვითხრობს გიორგი პირველის გმირობისა და ვაჟკაცობის შესახებ სამშობლოს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

იგი ქედს არ იხრის ბიზანტიის ძლიერი და სასტიკი კეისრის, „ბულგართმმუსკრელად“ წოდებული ბასილის წინაშე და გამუდმებულად ეომება მას, თავგანწირულად ეწინააღმდეგება მის აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ. „ბასილ კეისარს ეს უნდა! ერთმორწმუნე საქართველოც სომხეთის დარად გადასანსლოს როგორმე. სანამდის პირში სული შიდგას, ვერ მოესწრება ამ დღეს ძაღლთაპირი ბასილი კეისარი“ — ამბობდა გიორგი და თავისი ამ მტკიცე გადაწყვეტილების განხორციელებას — საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას შეაღია მან თავისი სიცოცხლე. მაგრამ არანაკლები თავგამეტებით ეომებოდა იგი კვეტარისა და ქორსატეველას ციხეთა მფლობელებს, რომლებიც ქვეყნის სახელმწიფოებრივისა და ეროვნულ ინტერესებზე მაღლა თავიანთ პარტიკულარულ მისწრაფებებს აყენებდნენ და ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში დალატობდნენ სამეფოს. რომანში ვრცლად არის ასახული გიორგი მეფის დაუცხრომელი და უკომპრომისო ბრძოლა ამ მძვინვარე, აღვირახსნილი ფეოდალების წინააღმდეგ, ქორსატეველას ციხის მფლობელი მამამზე ერისთავი და მისი ვაჟი ჭიაბერი, კვეტარის ერისთავი თალაგვა კოლონკელიძე განასახიერებენ რომანში ამ ფეოდალური რეაქციის მთელს მზაკვრობასა და ვერაგობას. რომანის პირველსავე თავებში ჩვენ ვხვდავთ გოლიათური აგებულებისა და იშვიათი ფიზიკური ძალოვნების ჭარმაგ ვაჟკაცს მამამზე ერისთავს, რომელიც ახალწლის დღესასწაულის მისალოცად სტუმრებთა მეფეს. სამშობლოს მტრებთან მრავალ ომში სახელმოხვეცილი მამამზე, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია გიორგის მამის — ბაგრატ კუროპალატისადმი და თვით გიორგისადმი თავდადებული ერთგულება, ახლა ლამობს ისარგებლოს ჭაბუკი მეფის მცირეწლოვანებითა და გამოუცდლობით, ცბიერი ალერსით მოადუნოს მისი სიფხიზლე და თავისი სამფლობელო მოწყვეტოს სამეფოს. არავითარი ვერაგობისა და მზაკვრობის, მუხანათური მოლალატეობის საშუალებას არ თაკილობს მამამზე, მაგრამ ჭაბუკი მეფე გაბედული და უღმობელი დარტყმებით აღკვეთს ურჩი ფეოდალის მოლალატურ გამოხდომებს. გიორგის დავალებით მოაწამლეს და მოაკვდინეს მამამზეს ვაჟი ჭიაბერი, რომელიც მხარში ედგა მამას სამეფოსა და მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ რაჟი ამ სასჯელმაც ვერ დააცხრო დალატისა და განდგომის გრძობით აღგზნებული მამამზე, გიორგის ლაშქარმა დედამიწის პირისაგან ალგავა ქორსატეველას ციხე. ხოლო მამამზეს მოკვეთილი თავი ციხის კოშკზე აღმართულ ძელზე იქნა წამოგებული. ასევე სასტიკად გაუსწორდა მეფე მეორე მამამზე ერისთავს — თალაგვა კოლონკელიძესაც. თალაგვამ ფხოველები ააჯანყა სამეფოსა და ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ. იგი თვალთმაქცურად გამოექრომაგა ფხოველთა წარმართულ რწმენას, სინამდვილეში კი მას სარ-

წმუნობების საკითხები ნაკლებად აღელვებდა და აინტერესებდა. მის ერთადერთ მიზანს შეადგენდა თავისი სამთავროს გამოთიშვა სამეფოსაგან, მისი დასაკუთრება სრულსა და შეუზღუდველ მფლობელობაში. გიორგი პირველმა უღმობლად დათრგუნა კოლონკელიძის წინააღმდეგობაც, მან დალაშქრა კვეტარის ციხე, ყური არ ათხოვა მისი მგზნებარედ საყვარელი შოაენას ხვეწნა-მუღარას და ჯალათს თვალები ამოაწვევინა მოღალატე ერისთავისათვის.

ქვეყნის გარეშე მტრებთან თუ შინაურ მოღალატეებთან წარმოებულ ამ ძლევამოსილ ბრძოლებში ჭაბუკი მეფე პირადად მონაწილეობდა და პირველი აძლევდა თავის ლაშქარს თავგანწირული გმირობისა და უშიშარი ვაჟკაცობის მაგალითს. მაგრამ არა მარტო ამ დიდი სახელმწიფოებრივი გმირობით ცხოვრობდა გიორგი მეფე. თორმეტი წლის ჭაბუკი დასვეს იგი სამეფო ტახტზე და მას შემდეგ დიდი თავგანწირულებით უძღვოდა რთული საგარეო და შინაგანი წინააღმდეგობებით გაჩუმოცული სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ გვირგვინოსან ჭაბუკს გააჩნდა პირადი ადამიანური მისწრაფებებიც. მას ზოგჯერ უზრუნველი ლაღობის, გართობის, ტრფივლების ჟინიც მოერეოდა ხოლმე. ასეთ შემთხვევაში იგი მდაბიურ ტანსაცმელს გადაიცვამდა, წვერს .ინიჟ შეიღებავდა, ხუმრობით გლახუნა ავშანისძეს შეირქმევედა, თან გაიყოლებდა ყველაზე ერთგულ და საიმედო მზღებლებს და გულს მოიჭერებდა მთებსა და ტყეებში ნადირობით, ნავარდით, უბრალო ხალხში თავისუფლად გარევიით და მოლხენით, ასეთი შენიღბული მოგზაურობანი მეფეს იმის საშუალებასაც უქმნიდა რომ უშუალოდ გაცნობოდა ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ლხინს, მის აზრს ქვეყნის მდგომარეობაზე, ქვეყნის მმართველთა მოქმედებაზე.

სიყვარულისა და გულის კარნახის გარეშე, პოლიტიკური ანგარიშით დაქორწინებულ მეფეს გული მიუწევდა ნამდვილი, წრფელი სამიჯნურო კავშირისაკენ. მას მოეწონა და შეუყვარდა თალაგვა კოლონკელიძის ასული, სულიერი და გარეგნული მშვენიერებით შემკული შორენა. თავისი ამ მგზნებარე გატაცებით შეპყრობილი მეფე დაუნდობლად გზიდან იცილებდა ყველა მეტოქეს და მოქიშპეს. გიორგიმ მიაწამვლინა შორენას საქმრო ჭიაბერ ერისთავი, სასიკვდილოდ გასწირა თავისი უახლოესი ნათესავი გირშელი, რომელიც ჭიაბერის სიკვდილის შემდეგ თვალებდათხრილი კოლონკელიძის სასიძოდ იქნა მიჩნეული. მეფემ არ დაინდო დიდოსტატი არსაკიძეც კი, რომელსაც ერთადერთს ეკუთვნოდა შორენას გული. მაგრამ ვერაფერმა ვერ მოუპოვა ბედნიერება და კმაყოფილება მგზნებარედ შეყვარებულ ჭაბუკ გვირგვინოსანს. ერთის მხრივ მას ხელფეხს უბორკავდა ეკლესიის ავტორიტეტი, კათალიკოს მელქისედეკის წინაშე რიდი და კრძალვა, ხოლო მეფის მიერ დაბრმავებული ერისთავის ას-

ულის გული სამუდამოდ სხვას ეკუთვნოდა და ვერასოდეს ვერ გადაიხრებოდა მეფისაკენ.

როცა კონსტანტინე არსაკიძისათვის მკლავის მოკვეთის ამბით თავზარდაცემული შორენა უფსკრულში გადაიჩეხა და დაიღუპა, მეფემ მწვავედ განიცადა თავისი საყვარელი არსების სიცოცხლის ასეთი დასასრული. დიდი მწუხარების გასაქარებლად იგი მდაბიურად გადაცემული და გლახუნა ავშანისძედ გადარქმეული, სანადიროდ გაიჭრა მთებში. ნადირობისას, მოკლული ირემის ზურგით გადმოტანისას მეფეს ნაწლავები გადაესკვნა და გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავის ერთგულ მსლბებელთან უშიშარისძესთან საუბარში წრფელად აღიარა: „მე მრავალი ცოდვა მიმიძღვის ამ ქვეყნად, როგორც მეფეს, ისე, როგორც კაცს, თითქმის ყველა ღირსება და ყველა ნაკლი ჩემი ხალხისა მიტარებია... მაგრამ ჩემი ხალხისათვის არასოდეს მილაღატნია“.

„დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“ დიდი შემოქმედებითი წარმატებაა შორენას სახე. გარეგანი მშვენიერებით და სულიერი რაინდობით დაჯილდოებულ ქალთა მხატვრული სახეებით მდიდარ ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე ლიტერატურაში ეს სახე იშვიათი ადამიანური მომხიბვლელობით, კდემამოსილებით, ლირიულობით გამოირჩევა. დამატყვევებელი სილამაზისა და მორალური სისპეტაკის გვერდით, მის არსებაში ცხოვრობს გმირული სული და ვაჟკაცური ბუნება, რომლის მეოხებითაც იგი მზად არის სათავეში ჩაუდგეს ფხოველთა ამბოხებას. ვაჟკაცურად შეებრძოლოს მამამზეს მიერ მის შესაპყრობად მოგზავნილ შეიარაღებულ მხედრებს. ბოლოს, როცა მისი საყვარელი და სათაყვანებელი კონსტანტინეს მარჯვენის მოკვეთას გაიგებს, — მონაზნად აღკვეთილი იგი მონასტრის გაღავნიდან უყოყმანოდ გადაეშვება უფსკრულში, რათა შეუბღალავად და ქედუხრელად გამოეთხოვოს თავის გამწარებულ და გაუხარელ სიცოცხლეს.

აღარაფერს ვიტყვით რომანის ისეთი მნიშვნელოვანი პერსონაჟების შესახებ, როგორიც არიან კათალიკოსი მელქისედეკი, სპასალარი ზვიადი, დედოფალი მარიამი, შავლეგ ტოხაისძე და მრავალი სხვა, რომლებიც ადამიანურ სახეთა ხატვის მაღალი ხელოვნებით არიან შესრულებულნი და საგანგებო განხილვასა და შეფასებას იმსახურებენ.

ტრაგიკულად მთავრდება რომანის მთავარი გმირების კონსტანტინე არსაკიძის, გიორგი პირველის, შორენა კოლონკელიძის ცხოვრება. მათი სიცოცხლის ასეთი დასასრული გამოხატულებაა ღრმა წინააღმდეგობებითა და შეუარიგებელი კონფლიქტებით აღსავსე იმ მკაცრი და სასტიკი საუკუნისა, რომლის წარმოსახვასაც მწერალმა თავისი ეს ნაწარმოები მიუძღვნა. და რაც უფრო პირქუშად და სულის შემხუთველად გამოიყურება მთელი ეს სოციალური

გარემო, მით უფრო მეტის ბრწყინვალეობით მოსჩანს ამ ფონზე ის სულიერი რაინდობა, პატრიოტული თავგანწირულება, ზნეობრივი მშვენიერება და შემოქმედებითი გზნება, რომლებითაც მწერალმა მისი მძლავრი კალმით დახატული ეს ადამიანები დააჯილდოვა.

მწერალმა შთაბეჭდავად დაგვანახა და გვაგრძობინა, თუ როგორი მწვავე წინააღმდეგობების, ტკივილებისა და ბრძოლების ვითარებაში მზადდებოდა და აღმოცენებას იწყებდა ძველი საქართველოს დიდებისა და ძლიერების — ქართული რენესანსის დიდებული ეპოქა.

ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ასეთი მძლავრი აღმავლობის ფართო სურათი წარმოსახა კ. გამსახურდიამ ტეტრალოგიაში — „დავით აღმაშენებელი“. ეს წიგნი ქართული ისტორიული რომანისტიკის ყველაზე ვრცელი ნაწარმოებია, რომელიც არა მარტო სინამდვილის მხატვრული ათვისების სიფართოვითა და მასშტაბურობით გამოირჩევა, არამედ ეპოქის სულის, მისი სულიერი და მატერიალური კულტურის, მისი მამოძრავებელი ძალების, მისი შინაარსის განმსაზღვრელი პროცესებისა და ტენდენციების სწორი ისტორიული გამოხატულებით. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ მწერალი მეოთხედი საუკუნის მანძილზე დაუღალავი შემოქმედებითი შრომით და პატრიოტული მგზნებარებით ქმნიდა თავის ამ უფართოეს მხატვრულ ტილოს, რომ ტეტრალოგიის პირველი ორი წიგნი დიდი სამამულო ომის წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა და ისინი ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ ფაშიზმის სისხლიანი ურდოებისაგან ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირულად მებრძოლი საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროში.

რომანის მთავარი გმირი — დავით აღმაშენებელი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. იგი მეთაურობდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა იმ მართლაცდა ტიტანურ ბრძოლას, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა XI და XII საუკუნეთა მიჯნაზე თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის უცხოელი დამპყრობლებისაგან, მისი გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის, ქვეყნის აღორძინებისა და ეკონომიურად განმტკიცებისათვის, ეროვნული კულტურის ყოველი დარგის განვითარებისათვის. 16 წლის ჭაბუკი ავიდა იგი ტახტზე ისეთ ვითარებაში, როდესაც საქართველოს სამეფო უაღრესად მძიმე პირობებში იმყოფებოდა, ქვეყნის დიდი ნაწილი და მისი დედაქალაქი თბილისი თურქ დამპყრობელთა ხელში იყო. მათი ურდოები განუწყვეტლივ დათარეშობდნენ საქართველოში, არბევდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას. მათი სისხლიანი თარეშით დაშინებული გლეხობა

მთებსა და ტყეებში იყო შეხიზნული. მემატრიანე მოგვითხრობს, რომ „მოოხრებულ იყო ქართლი... სადმე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა რა შენებულობა“. ქვეყანა წელში იყო გაწყვეტილი თურქ-სელჯუკთა სულთანის მიერ შეწერილი ხარკითა და ბეგარით. სახელმწიფოს ასეთი მძიმე მდგომარეობით სარგებლობდნენ დიდგვაროვანი ფეოდალები, ძალაუფლებაში ეცილებოდნენ მეფეს, ყოველგვარად ცდილობდნენ თავიანთ სამთავროებში დამოუკიდებელი მბრძანებლობა მოეპოვებინათ და ამ მიზნით ხშირად სამშობლოსადმი მოღალატეობას, თურქ დამპყრობლებთან კავშირის დამყარებასაც კი არ თაკილობდნენ. დავით აღმაშენებლის გამეფების დროისათვის კახეთ-ჰერეთის მხარე საქართველოსაგან გამოთიშული იყო და არა მარტო განცალკევებულ სამეფოს წარმოადგენდა, არამედ მისი მფლობელნი — აღსართანი და კვირიკე გაფთრებით ებრძოდნენ კიდევ საქართველოს მეფეს, ეყრდნობოდნენ რა ამ ბრძოლაში თურქ-სელჯუკ აგრესორთა წაქეზებასა და მხარდაჭერას. დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა თრიალეთ-კლდეკარის სამთავროც რომლის ერისთავნი — ბალუაშ ორბელიანები განუწყვეტლივ მტრობდნენ და ეტოქებოდნენ ბაგრატიონთა დინასტიას და არამც თუ არ ემორჩილებოდნენ მას, არამედ საქართველოს სამეფო ტახტის მიტაცებასაც კი ლაშობდნენ.

ეს შინაგანი აშლილობა, ურთიერთმტრობა და შეუღლი ანადგურებდა ერის სასიცოცხლო ძალებს, ანგრევდა და აუძლურებდა ქვეყანას. ყოველივე ეს სპობდა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობას, ძირს უთხრიდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, მშენებლობას, კულტურულ შემოქმედებას. ამას დაერთო დიდი სტიქიური უბედურებაც. სწორედ დავითის გამეფების წელს საქართველოს თავს დაატყდა გამანადგურებელი მიწისძვრა, რომელმაც დაამხო მრავალი ციხე-სიმაგრე, შეიწირა უამრავი ადამიანის სიცოცხლე და აურაცხელი ზიანი მიაყენა მოსახლეობას.

ასეთი იყო საქართველოს სამეფოს მდგომარეობა, როდესაც ქვეყნის ვაივავლახით მოქანცულმა, სუსტი ნებისყოფისა და მოღუნებული ხასიათის მეფემ გიორგი მეორემ თავისი ხელით დაადგა თავზე სამეფო გვირგვინი თავის ერთადერთ პირმშოს, თექვსმეტი წლის დავითს. 36 წლის განმავლობაში წინამძღოლობდა და მეთაურობდა თავის ხალხს დავით აღმაშენებელი და ამ ხნის მანძილზე მან შემოიკრიბა და გააერთიანა მთელი საქართველო, უდრეკი ხელით ალაგმა დიდგვაროვანი ფეოდალთა განდგომილება და ისინი სამეფო ხელისუფლებას დაუმორჩილა. თავისი იშვიათი სტრატეგიული ნიჭიერებით, მხედართმთავრული ხელოვნებით და საბრძოლო გმირობით მან თანდათანობით ხელიდან გამოსტაცა უცხოელ დამპყრობლებს საქართველოს მიტაცებული მიწა-წყალი. ჯერ ხარკის მიცემა შეუწყვიტა სელჯუკთა სულთანსა და

ამირებს, შემდეგ სრულიად განდევნა ისინი საქართველოს საზღვრებიდან და განთავისუფლა თბილისი, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში ეპყრათ თურქ-სელჯუკთა ამირებს, სამშობლოს დაუბრუნა თავისი დედაქალაქი და „დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საქურქლედ და სახლად თავისად საუკუნოდ“. დავით აღმაშენებელმა გამოქვედა თავისი სამეფოს სამხედრო ძლიერება, შექმნა მრავალრიცხოვანი, საუცხოოდ გამოწრთობილი და შეიარაღებული მუდმივი ლაშქარი, რომელიც შიშის ზარს სცემდა როგორც სამშობლოს მოღალატე ფეოდალებს, ისე უცხოელ თავდამსხმელებს. ამ ლაშქრის შესაქმნელად დავითმა გამოიყვანა 40.000 ყივჩაღი მხედარი, რომლებიც თავიანთი ოჯახებით დაასახლა საქართველოში, ქრისტიანულად მონათლა, თანდათანობით შეუსისხლხორცა ქართველ მოსახლეობას და ამით დიდად შეუწყო ხელი ხანგრძლივი ომებით სისხლისაგან დაცლილი ქვეყნის მორმავლებას და გაძლიერებას. გამჭრიახი გონების პოლიტიკური მოღვაწე დავითი ფხიზლად თვალყურს ადევნებდა საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას, მსოფლიო პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობას და მოხერხებულად სარგებლობდა ყოველი ხელსაყრელი შემთხვევით საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის და სახელმწიფოს გაძლიერებისათვის.

დავით აღმაშენებელმა უღრმესი რეფორმები განახორციელა საეკლესიო და საერო მმართველობაში. ცნობილ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას მან დააკანონებინა ეკლესიის მესვეურთა დაწინაურება მხოლოდ პირადი ღირსებების მიხედვით და ამით აღკვეთა თავიანთი დიდგვაროვნული შთამომავლობით გადიდგულებული უვარგისი, უმეცარი და უზნეო „სულიერი მამების“ ძალა-უფლება. ასევე შესცვალა საერო ხელისუფლებაში მაღალ სახელმწიფო თუ სამხედრო თანამდებობაზე დაწინაურების წესიც, აქაც ფართოდ გზა გაუხსნა მოღვაწეთა პირად ღირსებებს, მათ გონებრივსა და ზნეობრივ თვისებებს, მათ პირად დამსახურებას.

დავით აღმაშენებელი იყო ერთ-ერთი უგანათლებლესი მონარქი საშუალო-საუკუნეობრივ მსოფლიოში. თავის დიდ სახელმწიფოებრივსა და სამხედრო მოღვაწეობას იგი ათავსებდა განუწყვეტლივ გონებრივ შრომასთან. მემატიანეები მოგვითხრობენ, რომ ნადირობისა და ლაშქრობის დროსაც კი იგი თან ატარებდა თავის მდიდარ ბიბლიოთეკას, ბევრს კითხულობდა, გულმოდგინედ ეწაფებოდა თავისი დროის სულიერ სიმდიდრეს და თავის სამეფოში ფართოდ გასაქანს აძლევდა შემოქმედებითი აზრის განვითარებას — ფილოსოფიის, მეცნიერების, მწერლობის, ხელოვნების განვითარებას. მისი შთაგონებით და ხელმძღვანელობით აგებული გელათის მონასტერი, თავისი იშვიათი არქიტექტურით და მხატვრობით, ამ მონასტერთან დაარსებული აკადემიაც

საქმარისია იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ სიმაღლეებს მიაღწია იმდროინდელმა საქართველომ სულიერი შემოქმედების ყოველ დარგში. დავითის გონებრივი ჰორიზონტის დიდ სიფართოვეს მოწმობს ის გარემოება, რომ იგი არამც თუ არ ზღუდავდა თავის სამეფოში მაჰმადიანურ რელიგიას და კულტურას, არამედ თვითონ ესწრებოდა მუსულმანურ ღმერთმსახურებას, ისევე მფარველობდა მათ სუფიებს და პოეტებს, როგორც ქართული კულტურის მოღვაწეებს. თავისი დროის დიდი ჰუმანისტი გულმხურვალედ ზრუნავდა ხალხის კეთილდღეობისათვის. „მკედოვანთა და გლახაკთა მეფე“ დაულალავად აშენებდა გზებსა და ხიდებს, საავადმყოფოებსა და ქსენონებს, ლატაკთა და დავროშილთა თავშესაფრებს. ამიტომაც შეარქვა ხალხმა დავით მეფეს — აღმაშენებელი. ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები თანაბარი აღტაცებით მოგვითხრობენ მისი უკვდავი საქმეების შესახებ. ქართველი ხალხის ხსოვნაში. ქართულ მწერლობასა და ხალხურ შემოქმედებაში დავით აღმაშენებელი ცოცხლობს, როგორც სამშობლოსათვის თავდადებული ერთგულების, გმირობისა და ვაჟკაცობის, მძლავრი გონებისა და სპეტაკი ზნეობრიობის ცოცხალი განსახიერება. ჩვენი დროის უდიდესი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი თავის „ქართველი ერის ისტორიაში“ ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწისა და მისი ღვაწლის დახასიათებას შემდეგი სიტყვებით ამთავრებს: „ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავყო დიდებული მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებელის და აღმაშენებლის, მისი პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქმნელის, სოციალური სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი. ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავისი გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას, ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს“.

XII საუკუნის სახოტბო პოეზიიდან ჩვენს დრომდე ქართული კლასიკური თუ თანამედროვე მწერლობის ყოველი ქანრის არა ერთ მკაფიო ნაწარმოებს გამოუხატავს ქართველი ხალხის განუზომელი მადლიერება, სიყვარული და პატივისცემა თავისი ეროვნული ისტორიის ამ უდიდესი გმირისადმი. მაგრამ არც ერთ მათგანში ისე ვრცლად და მრავალმხრივად, ისეთი ფართო გააზრებით, ისე ცხოვლად და შთამბეჭდავად არ არის წარმოსახული ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ეს უმნიშვნელოვანესი ეპოქა და კერძოდ დავით აღმაშენებლის ბრძოლებისა და მოღვაწეობის დიდებული ეპოპეა, როგორც ეს მოცემულია კ. გამსახურდიას ტეტრალოგიაში.

„დავით აღმაშენებლის ძვირფასი სახე მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მხიბლავდა — წერს კ. გამსახურდია ტეტრალოგიის პირველი წიგნის ბოლოსიტყვაობაში. — მახსოვს ის ბედნიერი დღეები ჩემი სიყრმისა, როცა სიკეთისა

და სათნოების ჩემს პირველ შთამაგონებელს, ჩემს საყვარელ დედას, ფეხშიშველს დაყვავდი გელათში. აღტაცებული შევცქეროდი დავითის დიდრონ ცისფერ თვალებს, ნიკაბთან ოდნავ გაუღალებულ წვერს, აღმასებით მოოკვილ გვირგვინს, კეისრულ წითელ წაღებსა და ლაორს, მის ომახიან ფიგურას ფრესკაზე გამოსახულს. მერმე ის იყო „ქართლის ცხოვრებაში“ ამოვიკითხე ბალმა, დავით აღმაშენებელი მოკვდაო. მწარედ ავტირდი და ეს იყო პირველი შემთხვევა ჩემს ცხოვრებაში, წიგნში დაწერილმა ამბავმა რომ ამატირა“.

ბავშვობის წლების ამ ღრმა განცდებს და წარუშლელ შთაბეჭდილებებს როგორც ჩანს, ბიძგი მიუცია მწერლის სულიერ სამყაროში ხანგრძლივად გამოტარებული შემოქმედებითი შთაგონებისათვის, რომელსაც წარმოუშვია ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“, — ეს შესანიშნავი მხატვრული ტილო, დიდი პატრიოტული ეპოპეა, გამსჭვალული კანონიერი ეროვნული სიამაყის გრძნობით, გმირობისა და ვაჟკაცობის სულისკვეთებით, ნათელი ჰუმანისტური იდეალებით.

არაჩვეულებრივად ვრცელია რომანის მოქმედების გეოგრაფიული სარბიელი, მასში მოთხრობილი და ასახული ისტორიული მოვლენები, მისი გმირების ცხოვრება და მათი ურთიერთობათა ისტორია ხან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მიმდინარეობს, ხან ბიზანტიაში, ხან პალესტინაში, ხან სელჯუკიანთა ვეებერთელა იმპერიაში, ხან ყივჩაღთა სამფლობელოში. შეუძლებელიც იყო მწერალს დავით აღმაშენებლის ცხოვრების, ბრძოლისა და მოღვაწეობის ეპოპეა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ისტორიის ფარგლებში გაეშუქებია. შეუძლებელი იყო იმდროინდელი საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრება იზოლირებულად გაეაზრებინა და წარმოესახა გარესამყაროსაგან გამოთიშულად, ეპოქის დიდი საერთაშორისო პროცესებისაგან მოწყვეტილად. თუ საქართველოს იმდროინდელ ცხოვრებაზე, მის ისტორიულ ბედზე უშუალო გავლენას ახდენდა მეზობელ სახელმწიფოებში, საქართველოსადმი მეგობრულად თუ მტრულად განწყობილ ქვეყნებში შექმნილი ვითარება, თავის მხრივ დავითის მიერ შექმნილი დიდი და ძლიერი ფეოდალური მონარქია, ნიკოპსიიდან — დარუბანდამდე განფენილი, გარკვეულ როლს ასრულებდა მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთის, მთელი წინააზიისა და, მაშასადამე, იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სპეციალურ ლიტერატურაში გამოკვლეულია და უდავოდ დადასტურებული, რომ დავით აღმაშენებლის მეთაურობით ქართველი ხალხის მიერ წარმოებულმა გმირულმა ბრძოლებმა, მისმა ბრძნულმა, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ გადაარჩინა კავკასიის ხალხები გამაჰმადიანებისაგან, რომ იმდროინდელი დიდი საქართველოს სახელმწიფო ქრისტიანობის უმძლავრეს ფორპოსტსა და ბარიერს წარმოადგენდა

მთელს წინააზიაში და, მაშასადამე, ობიექტურად უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროთა იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც საშუალო საუკუნეობრივი მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ მოვლენას შეადგენდა. ამიტომაც რომანში საქართველოს ცხოვრება წარმოსახულია უაღრესად გართულებულ იმდროინდელ საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში, იმ დიდ ისტორიულ კონფლიქტებთან დაკავშირებით, რომლებიც არყევდნენ და აზანზარებდნენ იმდროინდელ მსოფლიოს და გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდნენ საქართველოს მდგომარეობაზე.

მწერალი მოგვითხრობს ჯვაროსნული ომების ისტორიას, აგვიწერს საშუალო საუკუნეობრივი მსოფლიოსათვის ამ მრავალმხრივად მნიშვნელოვანი მოძრაობის წარმოშობას, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, გვიხატავს — საქართველოსთან უშუალოდ დაკავშირებულ სამ მთავარ სამყაროს: ბიზანტიის, სელჯუკთა იმპერიის, ყივჩაღთა ქვეყნის იმდროინდელ ვითარებას, ამ ქვეყნების ხალხთა ყოფა-ცხოვრებას, მათი პოლიტიკური ცხოვრების პერიპეტიებს. მკითხველის თვალწინ გაივლის სელჯუკიან თურქთა დიდი სულთანის მელიქ-შაჰის სიკვდილით გამოწვეული ამ სახელმწიფოს შინაგანი აშლილობის, მელიქ-შაჰის მემკვიდრეთა — მისი ტახტის პრეტენდენტთა ურთიერთბრძოლის, ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებათა და მათი ჩაქრობის სურათები, ყივჩაღთა სახელმწიფოებრივი წყობილების, მათი მხედრობის, მათი ზნე-ჩვეულების დამახასიათებელი ეპიზოდები. ამ ისტორიულ მოვლენათა ასახვას ბუნებრივად შემოყავს რომანში სხვადასხვა ეროვნების ხასიათისა და ბუნების ადამიანთა დიდი რაოდენობა. იშვიათად თუ შევხვდებით ისეთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელშიაც ერთმანეთისაგან ასე დიდად დაშორებული გეოგრაფიული სივრცეები იყოს ათვისებული, ერთმანეთისაგან ასე განსხვავებული, ესოდენ მრავალრიცხოვანი ადამიანთა მასა მოქმედებდეს.

თუ ისტორიული მასალის ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება, სინამდვილის მოცვის ასეთი ფართო ჰორიზონტი და მასშტაბურობა, მოქმედების ესოდენ ვრცელი სარბიელი, ერთის მხრივ, ამ ნაწარმოების დიდ ღირსებას შეადგენს, მეორეს მხრივ, ყოველივე ეს დიდ სიძნელეებს უქმნიდა მის შემოქმედებით ჩანაფიქრს. დიდი შრომა და ენერჯია უნდა დაეხარჯა მწერალს თხრობის ფარგლებში მოქცეული ესოდენ დიდი ისტორიული მასალის შესწავლისათვის, მით უფრო, რომ ამ რომანში მოთხრობილი და აღწერილი მრავალი ისტორიული მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაშიც არ არის სათანადოდ გამოკვლეული და გაშუქებული, მწერალს, ცხადია, სჭირდებოდა დიდი ისტორიულ-კვლევითი მუშაობის ჩატარება, მრავალ ენაზე არსებული პირველწყაროების შესწავლა, შეჯერება. მაგრამ კიდევ უფრო მეტ სიძნე-

ლეს, შეიძლება ითქვას, დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენდა მთელი ამ მასალის მხატვრულად ხორცშესხმული წარმოსახვა, ამ ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებულ ურიცხვ პიროვნებათა ცოცხალ მხატვრულ სახეებად, სისხლ-ხორციტ სავსე ადამიანურ ხასიათებად გამოძერწა. მწერალს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი თავისი შემოქმედებითი განზრახვის ეს სირთულე და სიძნელე. თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ კ. გამსახურდია ამის შესახებ წერს: „არც ერთ მწერალს, თუ იგი საკმარისი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, არ ეიოლება თავისი ქვეყნის ფარგლების გადალახვა, ან მისი ნაციონალური ტემპერამენტის გარეშე მდგარი ხასიათების გამოკვეთა და ასახვა. არა მგონია, სტენდალს შესძლებოდა ისე ხელმარჯვედ აესახა ჯალალედინი ან თემურლენგი, როგორც ეს ნაპოლეონის ტემპერამენტის მოცემაში შესძლო მან. ვერც დანტე დაგვიხატავდა ისე ცხოვლად ჭეიპუნს ან ეფრატს, როგორც გვაჩვენა რონი და ტიბრი... ჩემთვის ურთულეს ამოცანას შეადგენდა როგორც ბიზანტიელებისა და ჯვაროსნების ასახვა, ისე ისლამური სამყაროს ყოფისა და, მით უმეტეს, ყივჩაღთა ყოფის, თუნდაც ფრაგმენტალური ჩვენება, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა გამო ფრიად ქუნწი ცნობების, უფრო მეტი — ცნობათა ნაკუწების გამოჩხრეკვა შევძელი მრავალი წლის ძიების შემდეგ“.

ამიტომაც ეს დიდძალი, ასე ვთქვათ „უცხოური“, არაქართული მასალა რომანში ზოგჯერ უფრო ისტორიული ქრონიკების სახით, მოვლენათა აღწუსხვის სახით არის წარმოდგენილი, ვიდრე მხატვრული თხრობისა და აღწერილობის სახით. ჯვაროსანთა ომების მიმდინარეობის, მედიქ შაჰის მეგკვიდრეთა ურთიერთბრძოლის, ბიზანტიის იმპერიაში ატეხილი ამბოხებების და სხვა ამგვარი ისტორიული მოვლენების თხრობისას მრავალი ისტორიული პიროვნება იჩენს თავს. ცხადია, შეუძლებელი იყო ყოველი მათგანის გამოკვეთა ტიპიურ ადამიანურ სახედ, ცოცხალ ადამიანურ ხასიათად. მათი დიდი უმრავლესობა მხოლოდ მოხსენებულია, აღწუსხულია რომანში და არა დახატული.

სამაგიეროდ მწერალი დიდ გამომსახველობით ძალას და ნიჭიერებას იჩენს საკუთრივ ქართული ისტორიული სინამდვილის გაცოცხლებისას, საქართველოს სამეფოში წარმოებულ ბრძოლების, მშენებლობის, ხალხის ყოფაცხოვრების, ქართული ბუნების სურათების წარმოსახვისას, იმ ისტორიულ პიროვნებათა თუ მწერლის ფანტაზიით შეთხზულ ტიპიურ ადამიანთა სახეების გამოკვეთისას, რომლებიც დავით აღმაშენებლის უშუალო გარემოცვას შეადგენდნენ ან რაიმე მხრივ, მტრობითა თუ მეგობრობით. დაკავშირებულნი იყვნენ დავითის მეთაურობით წარმოებულ დიდ ბრძოლებთან და მშენებლობებთან. სწორედ ამ სფეროში იჩენს თავს მთელი თავისი ძალითა და მომხიბვლე-

ლობით მწერლის იშვიათი ნიჭიერება პეიზაჟების, ჟანრული სურათების, ბატალური სცენების, პირადყოფით ურთიერთობათა ეპიზოდების პლასტიკურად ხელშესახები გამოხატვისა, ხან ფერწერული ფერადოვნებით, ხან სკულპტურული გამოკვეთილობით წარმოსახვისა, ცოცხალ, სისხლ-ხორცით სავსე ადამიანურ სახეთა გამოძერწვისა, ისეთი სახეებისა, რომელთა აზრებსა და გრძნობებში, სიტყვებსა და საქმეებში ეპოქის ესა თუ ის ტენდენცია, ამა თუ იმ სოციალური ფენის ინტერესები და მისწრაფებანი პოულობენ განსახიერებას.

მთელი ამ არაჩვეულებრივად რთული და მრავალწახანაგოვანი სიუჟეტური კომპოზიციის ცენტრში დგას დავით აღმაშენებლის მონუმენტური სახე, რომელიც თავის გარშემო იკრებს, ამოძრავებს, მიმართებას აძლევს რომანში ასახულ ურიცხვ ისტორიულ მოვლენას თუ ადამიანურ სახეებს. დავით აღმაშენებლის ცხოვრების, მოღვაწეობის, ბრძოლების, მისი პირადი ურთიერთობების ისტორია არის ის ფოკუსი, რომელშიაც თავს იყრის და ერთიანდება რომანის ყველა ფაბულური სიტუაცია და სიუჟეტური მოტივი, რომლისადმი მიმართებაშიც განიზომება და ფასდება ყველა ისტორიული მოვლენა თუ ყველა ისტორიული მოღვაწის როლი და მნიშვნელობა.

ტიტრალოგია იწყება ჭაბუკი უფლისწულის — 15 წლის დავითის სალაშქროდ პირველი გამგზავრებით, თურქ დამპყრობლებთან მისი პირველი ძლევაშოსილი შებრძოლებით, მისი პირველი ომით და მთავრდება უკვე მრავალ ომებში გამოწრთობილი და საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მეფის, მის მიერ ერთიანებული და გაძლიერებული, ნიკოპსიიდან დარუბანდამდე გადაშლილი დიდი საქართველოს ღირსეული მესვეურის დავით აღმაშენებლის „უკანასკნელი ომით“, როცა ყოვლის შემშუსვრელმა სიკვდილმა დაამარცხა ომებში უძლეველი დავითი. ეს იყო მის მიერ წაგებული ერთადერთი ომი, მის მიერ განცდილი ერთადერთი დამარცხება.

რომანის სარბიელზე გმირის პირველივე გამოჩენისას მწერალი, რამდენიმე მკაფიო შტრიხით, მაგრამ შთამბეჭდავად და ცხოვლად გვიხატავს მისი დიდბუნებოვანი ხასიათის განმსაზღვრელ თვისებებს. ჭაბუკი უფლისწული პირველად მიემგზავრება სალაშქროდ, რათა მიეშველოს თავის მამას, გიორგი მეორეს, რომელიც სამშობლოს მოღალატე აღსართანს, — თურქი აგრესორების მიერ გადაბირებულ კახეთის მეფეს ეომება.

„ბუკის ხმამ უთენია აპყარა ბანაკი, ატყდა ცხენების ჭიხვინი, სპილენძის დაფდაფების ცუმა, გახელდნენ მეძებრები და მადევრები, სანადიროდ მიდიანო, ასე ეგონათ. მათი ერთობლივი ყმული აირია ბანაკის უთავყამო ალიაქოთში. გიორგი ჭყონდიდელი შეფარვით უთვალთვალებდა ყრმა უფლისწულს, ხომ არ დელავსო სალაშქროდ მიმავალი, მაგრამ არც მის სახეზე, არც მის საქციელში

მღელვარების ნატამალიც არ სჩანდა... უფლისწულმა არ ისურვა ბაგრატ კუროპალატისეული მოქროვილი თორნი, მისივე პოლიტიკნი, საბეჭურნი, სამკლავენი და საბარკულნი. ჩაიცვა ძერასფერნი, სადა. მეაბჯრეთუხუცესმა გამოიტანა მახვილი, რომელიც სელჯუქიანების წინააღმდეგ მრავალგზის უხმარიათ პაპას დავითისას — ბაგრატ კუროპალატს და მამას — გიორგი მეორეს. ჭყონდიდელმა დალოცა უფლისწული და წელზე შეაბა იგი“.

აქ უკვე მოჩანს „უშიშო და უძრავი გულითა“ დავით აღმაშენებელი, რომელიც თავის სახელოვან მამა-პაპათა შემკვიდრეობაში მათ გმირულ საბრძოლო ტრადიციებს აფასებდა და არა ბიზანტიის კეისრების მიერ ნაწყალობებ ტიტულებს და ამ ტიტულების მომასწავებელ გარეგნულად ბრწყინვალე რეგალიებს.

ამ თავის პირველ ლაშქრობაში დავითი პირისპირ შეეჯახა კახეთის განდგომილი მეფის აღსართანის მიერ მოსყიდული „მუჰამედ გრძელის“ მეთაურობით მოთარეშე თურქების ბრბოს. ჭაბუკი უფლისწულის ეს პირველი „საბრძოლო ნათლობაც“ ძუნწი, ლაკონური მხატვრული საშუალებებით, მაგრამ დიდი სიცხადით გვიხასიათებს მის რაინდულ ბუნებას, მხედართმთავრულ ხელოვნებას, გმირულ შემართებას.

„კარავში წამოწოლილ უფლისწულს ფსალმუნის ეპირა ხელში, ხოლო მახარაის ჟინკილი და მგლის ტყავზე დაჩოქილი უსმენდა, სწორედ ამ ლექსის კითხულობდა დავითი: „...ღმერთო, უსჯულონი აღსდგეს ჩემზედა და კრებულთა ძლიერთმან იძიეს სული ჩემი.“ და ამ დროს კარვის გარედან მოისმა ცხენთა თქარუნი, აბჯრის ჟღრიალი, გუშაგთა ყვილი. უფლისწული ზეწამოიქრა, მუზარადი დაიხურა, ცალ ხელში მახვილი აიღო, ცალშიაც ფსალმუნის შერჩა. სამი ხმალშემართული მხედარი უგრძობლად შემოვიდა კარავში, გრძელწვერა, შავხანჯლიანი ახმახი მოუძლოდა მათ წინ. მახარიამ იცნო მუჰამედ გრძელი, ანთებული მაშხალა ესროლა სახეში. ჩალმიანმა მოასწრო განზე გადახრა თავისა, ხმალი გადაუქნია უფლისწულს, მაგრამ კარვის ძელზე მოცარულმა, დავითის მუზარადზე დაჰკვესა ფოლადმა, უფლისწულმა გამართა მკლავი და კარავში გაგორდა თეთრჩალმიანი თავი. უკუიქცნენ დანარჩენი თურქნი, რადგან მუჰამედ ატტავილის წაქცევის შემდეგ ხმალმოსაქნევი ადგილი აღარ იყო კარავში. გარეთ გასულთ ნიანია შეეჩხება, ერთი მათგანი ხმლის წვერზე წამოაგო ბაკურიანმა, მეორესაც ვიდაცამ გაუყარა შუბი, უფლისწულმა არ ისურვა ნიანიას მიერ მირთმეულ ცხენზე შეჯდომა, ქვეითად გვიჯობსო ცხენოსნებთან ბრძოლა, რათა მტერი და მოყვარე იოლად გაარჩიოსო სპათა“.

ეს იყო ჭაბუკი უფლისწულის პირველი ნაბიჯი მის მომავალ დიად ბრძოლათა გზაზე, რომლის მანძილზეც მან მრავალი ძლევა მოსილად დამთავრებული ომით უბადლო გმირისა და გენიალური მხედართმთავრის სახელი მოიხვე-

ჭა. ძლიერება და დიდება მოუპოვა თავის სამეფოს, მოულოდნელად და ქუ-
რდულად თავდამსხმელ მუჰამედ ატტავილთან უშიშრად შებრძოლებულ და-
ვითს ცალ ხელში მახვილი ეპყრა, მეორეში კი ფსალმუნნი. ეს სურათი დავით
აღმაშენებლის ფიზიკური და გონებრივი ძლიერების ერთიანობას გამოხატავს,
შკლავისა და გონების ძალის ერთიანობას, რომლითაც იგი თავისი დრაის
მსოფლიოს სხვა მონარქებისაგან განიჩიოდა. დავითის დიდი საბრძოლო
ცხოვრების დასაწყისის ამ ეპიზოდში მის გვერდით ვხედავთ გიორგი ჭყონდი-
დელს, მახარაის, ნიანია ბაკურიანს, რომლებიც შემდეგ რომანის განვითარების
მანძილზე თვალსაჩინო ადგილს იჭერენ ნაწარმოების მთავარ გმირთა შორის
და აქტიურად მონაწილეობენ რომანში წარმოსახულ მოვლენათა განვითარებაში.
თითოეული მათგანი რომანში წარმოდგენილია დასრულებულ ადამიან-
ურ სახედ, თავისი რთული ბიოგრაფიით, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუ-
ალური ხასიათით.

გიორგი ჭყონდიდელი დავითის აღმზრდელია, საქართველოს ჯარების სპა-
სალარი, სამეფოს ვეზირთა უპირველესი და მწიგნობართუხუცესი, სამშობ-
ლოსათვის სამსახურში თავდადებული, დაუღალავ მოღვაწეობაში და ბრძო-
ლებში გაჭაღარავებული ეს მოხუცი უანგარო პატრიოტიზმის, სიბრძნის, სიკე-
თის ცოცხალ განსახიერებად გვევლინება. იგი განუზომელი ერთგულებით და
სიყვარულით მხარში უდგას თავის საამაყო აღზრდილს და დაუღალავი ენერ-
გიით მონაწილეობს მისი ყველა დიდი განზრახვის განხორციელებაში. სულ
სხვაგვარი მხატვრული სახეა მახარაი. ის ბაგრატ კუროპალატის უკანონო
შვილია, რომელიც იმისათვის, რომ გიორგი მეორეს ტახტის მოცილე არა
ჰყოლოდა, ბავშვობაშივე კონსტანტინეპოლს გაუგზავნიათ და ბიზანტიის კეი-
სართა კარზე იზრდებოდა. მრავალ ომში მიუღია მას მონაწილეობა, სახელი და
პატივიც მოუხვეჭია, მაგრამ თავისი დაუდგრომელი ხასიათისა და მსუბუქი
ყოფაქცევის გამო ბიზანტიის იმპერატორის წყრომა დაუმსახურებია და ბოლოს
ზნეობრივი აღვირაზნისილობისათვის დასაჭურისებული და დაავადმყოფებუ-
ლი დაბრუნებულა საქართველოში. გიორგი მეორის სასახლეში მას, როგორც
მეფის ნახევარძმას მაინც გარკვეული უფლება და გავლენა ჰქონდა და თავისი
გონებაშახვილობით, პირდაპირობით, მახვილსიტყვაობით ტახტის ერთგულ
მსახურთა სიყვარულს, ხოლო მოღალატე და განდგომილ ფეოდალთა სიძულ-
ვილს იმსახურებდა. ეს დასახიერებული გარეგნობისა და ახირებული ხასია-
თის, მაგრამ სამეფოს ინტერესებისადმი უზომოდ ერთგული მოხუცი მოწიწე-
ბით და აღტაცებით შეჰყურებს საქართველოს ახალგაზრდა დიდებულ გმირს,
ხოლო დავითიც ნდობითა და სიყვარულით ეპყრობა ძმას. ნიანია ბაკურიანი
კი — უფლისწულის უახლოესი თანამებრძოლთაგანი და უსაყვარლესი მეგობარ-

თავანია. თავისი ნათელი გონებით, რაინდული ვაჟკაცობით, მხიარული ხასიათით, სიცოცხლისმოყვარეობით, სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულებით ნიანია ბაკურიანი შერგილ ლიპარტიანთან და ჯონდი ერისთავთან ერთად რომანში განასახიერებს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა იმ ახალგაზრდა თაობას, რომელსაც დავით აღმაშენებელი ემყარებოდა თავის დიდს სახელმწიფოებრივსა და საბრძოლო საქმეებში. რომანის პირველსავე საექსპოზიციო თავებში გამოყვანილი ეს პერსონაჟები გვიჩვენებენ მწერლის იშვიათ უნარსა და ნიჭიერებას თავისებური ხასიათების ცოცხალ ადამიანურ სახეთა ხატვის სფეროში. რომანის მთავარ მოქმედ პირთაგან არც ერთი არ წააგავს და არ იმეორებს ერთმანეთს, მაშინაც კი, როცა ორი ან რამდენიმე პერსონაჟი ნაწარმოებისა ანალოგიურ სოციალურ ტიპებს წარმოადგენდნენ და აღექვატურ იდეურ-ესთეტიკურ ფუნქციას განახორციელებენ რომანში. მწერალი ახერხებს ყოველ მათგანს გარეგნული თუ სულიერი პორტრეტის თავისებური თვისებანი გამოუნახოს და ამ გზით დამოუკიდებელი ცხოვრება მიანიჭოს მათ. აღსანიშნავია, რომ ცოცხალ, მკაფიოდ ინდივიდუალიზირებულ ადამიანურ სახეთა ასეთ მხატვრობას მწერალი აღწევს არა პერსონაჟთა გარეგნობის საგანგებო აღწერილობით, არც მათი სულიერი სამყაროს საგანგებო დახასიათებით, არც მათი თავისებური მეტყველების საშუალებით. „დავით აღმაშენებლის“ მთავარი გმირები თავის ადამიანურ ბუნებას, გარეგან გამომეტყველებას თუ სულიერი სამყაროს თავისებურებას უპირველესად მოქმედების გზით გამოავლენენ სიუჟეტის განვითარებაში თავიანთი მონაწილეობით. ყოველი მათგანი ორგანულად არის ჩართული რომანში წარმოსახულ მძაფრ საზოგადოებრივსა თუ პირად-საყოფაცხოვრებო კონფლიქტებში და იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ისინი, როგორ ურთიერთობას ამყარებენ რომანის სხვა მოქმედ პირებთან, ჩვენ წარმოდგენა გვექნება მათი ადამიანური ბუნების ყოველ თვისებაზე. ადამიანურ სახეთა ხატვის ასეთი ხერხი კ. გამსახურდიას მხატვრული სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა, მისი პოეტიკის ერთ-ერთი უდავო და უექველი ღირსება.

ვეჟინის ციხისაკენ — კახთა მეფის და მისი სელჯუკი მოკავშირეების თავშესაფარი სიმაგრისაკენ მიმავალ უფლისწულს თავისი ლაშქარი, გიორგი ჭყონდიდელსა რჩევით, თრიალეთის სამთავროზე გადავლით მიჰყავს. ეს ის სიუჟეტური სვლაა, რომლის მეოხებითაც მწერალს ერთბაშად შეეყავართ იმ დიდ ბრძოლათა ატმოსფეროში, რომლებსაც დავით აღმაშენებელი საქართველოს გაერთიანებისათვის ეწეოდა და რომელიც დავითს მეფობის პირველ წლებში მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის მთავარ შინაარსს შეადგენდა. თრიალეთის ერისთავები ბალუაშ — ორბელიანები დიდი ხანია, ხან აშკარად

და ხან ფარულად, შტრობენ საქართველოს მეფეებს. ამიტომ ახალგაზრდა უფლისწულის ლაშქრის გადავლას თრიალეთის საერისთავოზე გარკვეული გამაფრთხილებელი და დამაშინებელი მნიშვნელობა ექნებოდა ვერაგი და ორპირი ლიპარიტ ორბელიანისათვის. ამის გარდა თრიალეთისაქენ, კლდეკარის ციხისაქენ დავითს გული მიუწევს იმიტომაც, რომ მას იქ ეგულება, თავისი ადრეული სიჭაბუკის წლების ტრფიალების საგანი, ლიპარიტის მშვენიერ ასული დედისიმედი.

დავითისა და დედისიმედის სატრფიალო ურთიერთობის ისტორია ტეტრალოგიის ერთ-ერთი ძირითადი სიუჟეტური მოტივია, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს რომანის განვითარებას და ორგანულად არის ჩაქსოვილი ნაწარმოებში წარმოსახული ეპოქალური მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი, რელიგიური და სოციალური კონფლიქტების შემცველ რთულ სიუჟეტურ კომპოზიციაში.

ამ სიუჟეტური მოტივის შეთხზვასა და დამუშავებაში გამოვლინდა კ. გამსახურდიას თავისებური კონცეფცია, მისი თვალსაზრისი რეალური ფაქტებისა და მწერლის ფანტაზიის ურთიერთობის შესახებ ისტორიულ რომანში, რომელმაც თავის დროზე ცნოველი დისკუსია გამოიწვია. ქართულ მატრიანებში და საერთოდ ისტორიულ წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თითქოს დავითს ყვარებოდეს ლიპარიტ ორბელიანის ასული დედისიმედი, მასზე დაქორწინება განეზარახოს და ამ ნიადაგზე გასცილებოდეს იგი თავის პირველ მეუღლეს, — სომხის ქალს რუსუდანს. არც ის არის ისტორიულად დადასტურებული, რომ დავითის ყვიჩაღთა უფროსის ათრაქა შარადანიძის ასულის გურანდუხტის შერთვამდე ცოლად ჰყოლოდეს რუსუდანი და გაცლოდეს მას. მაგრამ ასეთი ცნობა მიაიპოვება ერთი სომეხი ისტორიკოსის მათე ურაპელის თხზულებაში. ამასთანავე დავით აღმაშენებელი თავის „გალობანი სინანული-სანში“ რაღაც სიჭაბუკის ცოდვას იხანებებს, რაღაც შეცოდებას, რომელიც მას ქორწინებისა და ცოლქმრული ურთიერთობის სფეროში ჩაუდენია. მეფე იმდენად ნანობდა თავისი ამ შეცოდების გამო, რომ ერთ-ერთი მონასტრისათვის ბოძებულ ანდერძში ბერებისათვის დაუვალეზია ელოცათ „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი“. აი, ამ ორი ისტორიული ცნობის მარცვალზე მწერალს აღმოუცენებია დავითისა და დედისიმედის სამიჯნურო ურთიერთობის რთული, ღრმა დრამატიზმით აღსავსე ისტორია. რომანის მიხედვით დედისიმედზე მგზნებარედ შეყვარებული დავითისათვის ადრეული სიჭაბუკის ასაკში, რაღაც სახელმწიფოებრივი მოსაზრებით, ცოლად შეურთავთ მასზე უხნესი და ულამაზო რუსუდანი. ამ ნაძალადევი ქორწინებას ვერ ჩაუხშვია ჭაბუკის სულიერ სამყაროში მისი წრფელი და

სპეტაკი ტრფიალება ერისთავის მშვენიერი ასეულისადმი. და აი, კლდეკარის ციხეში სტუმრობისას დედისიმედთან შეხვედრამ ახალის ძალით გააღვივა მისი ეს ჩაუმიქრალი გრძნობა. ლიპარიტ ერისთავის სასახლეში დავითისა და მისი ამაღლის სტუმრობის აღწერილობა გვიჩვენებს, რომ ბალუაშ — ორბელიანთა საერისთავო თავისი ძალით და სიმდიდრით მართლაც ეტოქებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. ლიპარიტის ციხე — სასახლის მორთულობა-მოწყობილობა არაფრით ჩამოუვარდებოდა და ზოგ რამეში აღემატებოდა კიდევ საქართველოს მეფეთა ციხეებსა და სასახლეებს. ნიანია ბაკურიანი, რომელიც ბიზანტიის კეისართა სასახლეში გამართული დიდებული ნადიმების დამსწრე და მონაწილე იყო, განაცვიფრა ლიპარიტ ერისთავის სასტუმრო დარბაზის მორთულობამ. მას თვით ქროზოტრიკლინისა და ბუკოლეონის სასახლეებშიც არ ენახა ისეთი ძვირფასი ქურქული, რომლითაც გაწყობილი იყო ლიპარიტ ერისთავის ძიერ დავითისა და მისი ამაღლისათვის გამართული სუფრა. კლდეკარის ციხეში უფლისწულისა და მისი ამაღლის სტუმრობის აღწერილობა თავისთავად მომხიბვლელს, კოლორიტულსა და ფერადოვან სურათს კი არ წარმოადგენდა, არამედ ნივთობრივ გამოხატულებას ძალთა იმ შეთანაბრებისა, რომელიც დავითის გამეფების წინა წლებში არსებობდა საქართველოს მეფეებსა და ზოგიერთ დიდგვაროვან ფეოდალთა შორის. ეს გარემოება — პეიზაჟების, ციხე-კოშკებისა და სასახლეთა მორთულობის აღწერილობა თუ ყოფა-ცხოვრებითი უანრული სურათების დატვირთულობა გარკვეული აზრით, გარკვეული ისტორიული შინაარსით — დამახასიათებელია მხატვრული აღწერილობის იმ მაღალი ხელოვნებისათვის, რომელიც ასე მდიდრად და უხვად არის წარმოდგენილი „დავით აღმაშენებელში“.

დედისიმედთან შემდეგმა შეხვედრებმა კიდევ უფრო გააღრმავეს დავითის ტრფიალება ერისთავის ასულისადმი. უკვე სამეფო ტახტზე ასულმა დავითმა მტკიცედ გადაწყვიტა გაყროდა დედოფალ რუსუდანს და ცოლად შეერთო ერისთავის ასული. თავზარდაცემულმა დედოფალმა მონასტერში წასვლა და მონაზვნად აღკვეცა გადაწყვიტა. დედოფლის მონაზვნად აღკვეცის სცენა, მისი საბოლოოდ წასვლა სასახლიდან, საერო ცხოვრებიდან, მისი დაშორება თავის ერთადერთ პირმშოსთან — პატარა დემეტრესთან რომანში აღწერილია გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით. ეს სცენა, ისევე, როგორც ტეტრალოგიის პირველსავე წიგნში აღწერილი ეპიზოდი დაბრძანებული შამან ერისთავის სტუმრად წვევისა თავის სიყრმის მეგობართან — მეფე გიორგისთან — ღრმა ემოციური დაძაბულობით არის აღწერილი და საუცხოო ნიმუშია გმირის სულიერი ცხოვრების სიღრმეში წვდომისა, ადამიანის უმწვავეს განცდათა წრფელად, უშუალოდ, ამაღელვებლად გამოხატვისა.

რუსუდანის გამონაზვნებისა და მისი იერუსალიმს გამგზავრების შემდეგ დავითისა და დედისიმედის სატრფიალო ურთიერთობას ახალი დიდი დაბრკოლება გადაეღობა წინ. ლიპარიტ ორბელიანმა და მისმა ძემ რატიმ არ შეწყვიტეს მეფისადმი მტრობა, ფარული კავშირი უცხოელ დამპყრობლებთან. სამშობლოს მოღალატეობა. ისინი განებივრებული იყვნენ გიორგი მეორის მიერ, რომელიც მოღალატე ფეოდალების მოთვინიერებას ალერსისა და წყალობის საშუალებით ცდილობდა და ყოველი მოღალატური საქციელის საპასუხოდ უხვად ასაჩუქრებდა აღვირახსნილ თავადებს. ასეთი როდი იყო დავით აღმაშენებელი. იგი დაუნდობელი და უღმობელი იყო სამშობლოს მტრებისა და მოღალატეებისადმი. ვერც დედისიმედისადმი მგზნებარე სიყვარულმა, ვერც უზომოდ საყვარელი ქალის ცრემლებმა და ხვეწნა-მუდარამ ვერ მოღრიკა მეფის გული, დავითმა ორჯერ შეიპყრო, დილეგში ჩაამწყვდია გაჯიუტებული ლიპარიტი, ხოლო რაკი ამ სასჯელმაც არ იკმარა, სამშობლოდან გააძევა იგი და ბალუაშ ორბელიანთა ციხე-სასახლენი, მამული და ქონება სახელმწიფოს გადასცა. ყოველივე ეს ართულებდა დავითის პირად ცხოვრებას, მის ურთიერთობას დედისიმედთან, ერისთავის ასულზე მისი დაქორწინების შესაძლებლობას. მაგრამ ყველაზე დიდი და გადაუღახავი დაბრკოლება ამ გზაზე წარმოშვა დავითის გადაწყვეტილებამ, მუდმივი მძლავრი სამეფო ლაშქრის შექმნისა და ამ მიზნით ყივჩაღთა მრავალრიცხოვანი მხედრობის საქართველოში გადმოყვანის შესახებ. ყივჩაღთა უფროსმა ათრაქა შარალანიძემ თანხმობა განაცხადა მიეცა საქართველოსათვის 40.000 მხედარი თავიანთი ოჯახებითურთ შხოლოდ იმ პირობით, თუ დავითი ცოლად შეირთავდა შარალანიძის ასულს გურანდუხტს.

ამ შემთხვევაშიაც მწერალმა თავისუფლება მისცა თავის პოეტურ ფანტაზიას და ერთგვარად დაარღვია ისტორიული ფაქტოლოგია. ისტორიული წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ყივჩაღთა მხედრობის მოწვევის დროს დავითი უკვე დაქორწინებული იყო გურანდუხტზე. მაგრამ ამგვარ — „ღარღვევას“ არამც თუ არ დაურღვევია ისტორიული სიმართლე. არამც თუ არაფრით შეუზღალავს მეფის ხასიათის ძალა და მისი პიროვნების სიდიადე, არამედ მეტი სიღრმე და ცხოველყოფელობაც შესძინა ეპოქის მკაცრი ვითარების სურათს, უფრო ცხადად გვიჩვენა თუ როგორ უყოყმანოდ აყენებდა ხოლმე დავით აღმაშენებელი სამშობლოს ინტერესებს ყველაფერზე მაღლა, თავისი და ყველას პირად მისწრაფებებზე და სურვილებზე მაღლა, ხოლო მწერლის მიერ შეთხზულმა თუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ. მხატვრულად გარდაქმნილმა და სახეცვლილმა ამ სიტუაციამ დიდად გააღრმავა ნაწარმოების დრამატიული ჟღერა და გააძლიერა მისი ემოციური ზემოქმედების ძალა.

ყივჩალთა ლაშქრის მოწვევა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა საქართველოსათვის, რომელიც მძლავრი მაჰმადიანური კოალიციის უდიდეს სამხედრო ძალებთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების წინაშე იდგა. და განა შეეძლო ასეთ ვითარებაში დავით აღმაშენებელს საკუთარ გრძნობებსა და სურვილებს აპყოლოდა და საფრთხეში ჩაეგდო თავისი სათაყვანებელი ჯამ-შობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების საქმე? მეფემ თანხმობით უპასუხა ყივჩალთა მეთაურის წინადადებას, და ამით სამუდამოდ დაკარგა დედისიმედი, მოსპო თავისი სიყვარული, თავისი პირადი ბედნიერება. გულმოკლული და იმედგაცრუებული დედისიმედი სასახლიდან გაიპარა და სამუდამოდ გადაიკარგა. უშედეგო აღმოჩნდა დავითის მიერ მისი ძებნა მთელს სამეფოში და უცხოეთის ქვეყნებშიც. მაგრამ დავითსაც და დედისიმედსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე გულის სიღრმეში უტარებიათ ურთიერთ სიყვარულის სპეტაკი გრძნობა. და როცა ათეული წლების გასვლის შემდეგ უკვე სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე მეფეს ორიოდე წუთით ეახლა დედათა მონასტერს საიდუმლოდ შეფარებული, მონაზვნობაში დაბერებული დედისიმედი, რათა ერთხელ და უკანასკნელად შეეხედა თავისი სათაყვანებელი დავითისათვის, მომაკვდავმა მეფემ უთხრა მას: „მაპატიე, დაო; შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად“. უკანასკნელი ამოსუნთქვის წუთებშიც დავითი თურმე დედისიმედს და გვანცას ახსენებდა. გვანცაპაც — შამან ერისთავის მშვენიერმა ასულმა დავითისადმი უიმედო ტრფიალებას შესწირა სიცოცხლე და წარუშლელი კვალი დასტოვა მეფის სულიერ ცხოვრებაში. დედისიმედის სახე მწერლის დიდი შემოქმედებითი მონაპოვარია და ტეტრალოგიის ნამდვილი მშვენიება და ბრწყინვალე სამკაული. იგი გარეგნული მშვენიერებისა და სულიერი რაინდობის, სიკეთისა, კეთილშობილებისა და კდემამოსილების ცოცხალი განსახიერებაა, მაგრამ არა განყენებული, ზეციური არსება, არამედ ადამიანური სითბოთი, მიწიერი სუნთქვით, სიცოცხლისმოყვარეობის გრძნობით, მძაფრი განცდებით აღბეჭდილი ადამიანური სახე. თუ მოვინდომებთ ამ მხატვრულ სახეს ანალოგია მოვუნახოთ თანამედროვე ლიტერატურაში, ჩვენს თვალწინ, პირველ ყოვლისა, ისევ კ. გამსახურდიას მიერ შექმნილი შოაჩენას სახე წარმოდგება — „დიდოსტატის კონსტანტინეს შარჯვენას“ გმირი ქალისა.

ტეტრალოგიის მთავარ პერსონაჟთა შორის ცოცხალი, ხორცშესხმული მხატვრული განსახიერებით გამოირჩევა მარიამ დედოფლის მომხიბვლელი სახე. ბაგრატ კუროპალატის ასული, გიორგი მეორის ღვიძლი და, იგი სხვადასხვა დროს ბიზანტიის ორი კეისრის ცოლი იყო, ორივესთან განქორწინებული, მთელს იმპერიაში განთქმული იშვიათი სილამაზით, ჭკუითა და სათნოებით. მას დიდი გავლენა ჰქონდა ბიზანტიის სახელმწიფოს ცხოვრებაზე, კეისრებისა და ქვეყნის

შმართველი წრეების საქმიანობაზე. საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა დედოფალი მარიამი საქართველოშიც. დავითს წრფელად უყვარდა თავისი მშვენიერი და კეთილი მამიდა, რომელიც თანაუგრძნობდა მეფისა და დედისძემდის სამიჯნურო ურთიერთობას და ცდილობდა, რომ ბედნიერად დამთავრებულყო ჭაბუკი მეფის ეს მისწრაფება. მარიამის ცხოვრების ისტორია რომანში ცოცხალი გამოხატულებაა იმ ახლო ურთიერთკავშირისა, რომელიც არსებობდა საქართველოს მეფის ოჯახსა და ბიზანტიის კეისართა შორის და, მამასადამე, ამ ორ ერთმორწმუნე სახელმწიფოს შორის. ხანდაზმულობის ასაკში მარიამმა კიდევ ერთხელ განიცადა მწვავე ტრფიალების გრძნობა. მას შეუყვარდა დავითის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ნიანია ბაკურიანი, რომელიც ასეთივე მგზნებარე გრძნობით უპასუხებდა დედოფალს, მაგრამ ამ სატრფიალო ურთიერთობასაც არ ეწერა გამარჯვება. დავითის მსგავსად, მისმა საყვარელმა მეგობარმა ნიანიამაც საქართველოს კეთილდღეობას, დიდი დავითის თანამებრძოლობას ანაცვალა პირადი ბედნიერება, თავის უკანასკნელ სამიჯნურო გატაცებაში დამარცხებულმა მარიამმა მონაზნობაში, მარტობაში და განუკურნებელ მწუხარებაში დალია სული. ასე უღმობლად ანშობდა საშუალო-საუკუნეობრივი სუსხი ადამიანთა კეთილშობილურს ვნებებსა და გრძნობებს, რომლებიც უკვე იღვიძებდნენ და მძლავრადაც იჩენდნენ თავს მოახლოებული რენესანსის პირველი სხივების ცხოველყოფელი ზეგავლენით. ეპოქის ამ დიდი ისტორიული კონფლიქტის დრამატიზმს განასახიერებს მარიამ დედოფლის, ამ ულამაზესი ქართველი ქალის, ცხოვრების ისტორიაც, რომლის ღვთიური გარეგნობაც საფუძვლად დაუდო გელათის მონასტრის მხატვარმა ღვთისმშობლის ხატს და რომლის პორტრეტიც, შესრულებული უცნობი მაღალნიჭიერი ოსტატის მიერ დღესაც ინახება ვატიკანის მუზეუმში. მრავალი ფართო განზოგადებით მნიშვნელობის, ცოცხალი და ხორცშესხმულად გამოძერწილი მხატვრული სახე ცხოვრობს და მოქმედებს „დავით აღმაშენებელში“. ყოველ მათგანს თავისი საკუთარი რთული ცხოვრების ისტორია აქვს და ამიტომაც ყოველი მათგანი თავისებური შენაკადით ამდიდრებს ტეტრალოგიის მრავალწახნაგოვან კომპოზიციას. რომანის მოქმედ პირთა შორის ცოტა როდია მშრომელი ხალხის წარმომადგენლები. გუთნიდეთა გაბრიელ ხორგაი და მისი შვილები და შვილიშვილები, მექათმე თონა, რუსი მჭედელი ნიკალა, ნადიაკენარი ხახუტაი, მოლაშქრენი, სასახლეთა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა რანგის მსახურნი და სხვანი უშუალოდ წარმოდგენენ ხალხს და მის შრომისმოყვარეობას, კეთილშობილებას, სიმართლეს, სამშობლოსადმი ერთგულებას განასახიერებენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პერსონაჟებს რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია არა აქვთ დაკისრებული რომანის სიუ-

ქეტურ განვითარებაში. „დავით აღმაშენებელში“ უმთავრესად და უპირატესად მეფისა და მასთან დაახლოებულ ადამიანთა საერო. საეკლესიო და სამხედრო არისტოკრატის წარმომადგენელთა ცხოვრებაა მოთხრობილი და გამოხატული. ამ თვალსაზრისით საფუძველს მოკლებული როდი იყო ის პრეტენზიები, რომლებიც თავის დროზე გამოითქვა ამ ტეტრალოგიის მიმართ ქართულ (და არა მარტო ქართულ) ლიტერატურულ კრიტიკაში.

მთავარი გმირების პირადულ-ყოფით ურთიერთობათა ამსახველი ფაბულური მოტივები ორგანულად არის ჩაქსოვილი ტეტრალოგიის სიუჟეტური ხაზის განვითარებაში, რომელსაც უპირველეს ყოვლისა დიდი ისტორიული მოვლენების წარმომსახველი პასაჟები ამოძრავებენ. რომანში ასახულია იმდროინდელი საქართველოს ისტორიული ცხოვრების ისეთი დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდები, როგორიც იყო დავითის მეფედ კურთხევა, რუისურბნისის საეკლესიო კრება, გელათის ტაძრის აგება, მუდმივი სამეფო ლაშქრის შექმნა და მისი გამოწრთობა, დავითის მიერ ძლევა მოსილად გადახდილი ომები: ერწუხისა და დიდგორის ბრძოლები, სომხეთის ქალაქ ანისიდან თურქთა განდევნა, ლიპარიტ და რატი ორბელიანთა წინააღმდეგობის დათრგუნვა. უცხოელ დამპყრობელთაგან თბილისის განთავისუფლება და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტეტრალოგიის მეოთხე წიგნში აღწერილია დიდგორის ომი, — დავითის მიერ გადახდილი უდიდესი ომი, როცა ქართველმა ხალხმა გმირულად მოიგერია და უკუაქცია მაჰმადიანთა კოალიციის სამას ათასიანი ლაშქარი, და განსაკუთრებით სელჯუკთა ხანგრძლივი ბატონობისაგან თბილისის განთავისუფლების სურათი — მხატვრული წარმოსახვის ცხოველმყოფელობის მხრივ ვერ დგას ტეტრალოგიის საუკეთესო და ყველაზე მკაფიო პასაჟების სიმაღლეზე.

რომანის მთელი მსვლელობა, დავითის ძლევა მოსილი ომების მთელი ეპოპეა ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს იმ დიდი სიხარულის და კმაყოფილებისათვის, რომელიც უნდა მოჰგვაროს მას საქართველოს დედაქალაქის განთავისუფლებამ. აქი ეს იყო დავითის უდიდესი ოცნება მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ჯერ კიდევ ჭაბუკი უფლისწული, ვიდრე სამეფო ტახტზე ავიდოდა, ეუბნებოდა დედას: „სანამ ტფილისი ჩვენი არ გახდება, მე ვერ მოვისვენებ, დედი, სამი სიცოცხლე რომ გებოძა ჩემთვის, სამივეს ტფილისის ასაღებად დავლევდი, იცოდე“. დავითის ამ დიდი ოცნების განხორციელების მოლოდინი მკითხველს განუწყვეტლივ და განუშორებლად თან სდევს რომანის განვითარების მანძილზე. ხოლო თბილისის განთავისუფლების სურათი თავისი ესთეტიკური ღირსებით გარკვეულად ჩამოუვარდება ამ მოლოდინის ემოციურ დაძაბულობას. ეპოქის მსოფლიო-ისტორიულ მოვლენების ყოვლისმომცვე-

ლად ასახვის ამოცანას მწერალმა იმდენი ენერგია, ღრო და ადგილი მოანდომა, რომ ამის გამო ზოგიერთმა უადრესად მნიშვნელოვანმა ისტორიულმა მოვლენამ შესაფერად ცხოველმყოფელი და შთამბეჭდავი გამოხატულება ვერ ჰპოვა ტეტრალოგიაში. ეს გარემოება ალბათ იმითაც აიხსნება, რომ რაკი ეს დიდი მხატვრული ტილო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა, მწერლისათვის ძნელი იყო და შეუძლებელიც მისი სიუჟეტის ერთიანი, წინასწარ ზუსტად გამოანგარიშებული გეგმით განვითარება და მხატვრული ენერჯისა და საღებავების სწორი განაწილება რომანში წარმოსახული უხვი და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული მასალისათვის.

მაგრამ მხატვრული ნაწარმოების შესახებ ჩვენ უნდა ვმსჯელობდეთ არა იმის მიხედვით თუ რა არ არის მასში, არამედ იმის მიხედვით, რაც მოცემულია და მიღწეულია ამ ქმნილებაში. „დავით აღმაშენებელში“ კი იმდენი რამ არის კემპარიტი, მაღალი სიტყვიერი ხელოვნების ენით მოთხრობილი და წარუშლელად შთამბეჭდავი, მხატვრული ძალით წარმოსახული, რომ მთელი ამ სახეობრივი სიმდიდრის უბრალო ჩამოთვლაც კი, სქემატური აღნუსხვაც, შეუძლებელი ხდება.

ტეტრალოგიის ფინალში ასახულია დავითის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები, მისი კიდევ ერთი გაბრძოლება, მისი „უკანასკნელი ომი“. განუკურნებელი სენით შეპყრობილს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე მეფეს მოეჩვენება, რომ შავ ცხენზე მჯდომმა, შავი ჯაჭვით და შავი მუზარადით შეკუთვილმა მალემსრბოლმა მოახსენა მას, თითქოს ტაოს-კარს თურქთა ლაშქარი მოდგომოდეს:

„ტაოს-კარს მოადგენო თურქნი?

კედლის კარადა გამოაღო ანაზღად, თორნი გამოიღო, ველარ ჩაიცვა იგი, რკინის პერანგს მისწვდა, ვერც იგი ზიდა, რკინას შეჩვეულ გოლიათურ სხეულს სამკლავნი და საბარკლულნი აღარ მოადგა, ახლა წაეპოტინა ომებში ნაცადს ხმალს ბაგრატულს, ხმალი გაუვარდა ხელიდან, იატაკზე დაეცა და ბედითი ჟრიალი მორთო... სულთმობრძავი ბორგავდა, დედისიმედსა და გვანცას ახსენებდა. ნაშუადამემდის ბორგავდა, გააფთრებული იბრძოდა სიცოცხლისა და სიკვდილის უკანასკნელ სამანზე.

ნადირთა საჩიხეში დვრდვინავდა ბოკვერი ლომისა.

დემეტრე მეფე დარბაზიანში შემოვიდა, პირჯვარი გადაიწერა, სარეცელის წინ დაიჩოქა და მარჯვენაზე ემთხვია თავის სათაყვანებელ მამას.

ასე დაამარცხა ომებში უძლეველი დავით მეფე ყოველთა შემმუსვრელმა სიკვდილმა.

და ეს იყო უკანასკნელი ომი...“

არა მარტო ჩვენი თანამედროვენი საქართველოშიც და ჩვენი სამშობლოს საზღვრების მიღმაც, არამედ მომავალი თაობებიც წრფელი მღელვარებით წაიკითხავენ ამ წიგნს, რაგორც ძველი საქართველოს დიდებისა და ძლიერების ღირსეულ მხატვრულ მატთანეს.

„ყველაფერი, რაც მე შემიქმნია ჩვენი ერის სახელოვანი წარსულის სადიდებლად, განკუთვნილია ჩემი ხალხის დღევანდელი დღისა და მისი მომავლისათვის, რომლის მედაფედ და მებაჯრედ მომაქვს კიდევაც თავი — წერს კ. გამსახურდია „დავით აღმაშენებლის“ ბოლოსიტყვაობაში.

და მართლაც, ისტორიული წარსულის თემებით გატაცებას სრულიადაც არ შეუზღუდავს მწერლის შთაგონება და არ გამოუთიშავს იგი ჩვენი ხალხის ცხოვრების ცოცხალი სინამდვილისაგან, მისი სადღეისო მისწრაფებათა და სასიცოცხლო ინტერესების სფეროსაგან. ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს რომანი „ვაზის ყვავილობა“, რომელშიც მწერალი მღელვარედ და შთაგონებულად მოგვითხრობს ჩვენი დროების სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანესი პროცესების შესახებ.

ამ ნაწარმოებში მწერალმა კახეთის ერთი მთიანი სოფლის ბერძუნის ადამიანთა თავგადასავლის მაგალითზე ღრმა განზოგადებითი ძალით გვიჩვენა ქართველი გლეხკაცობის ცხოვრება სამამულო ომის წინა პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყანა დიდი წარმატებით იბრძოდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისათვის, დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, როდესაც ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებული სიმკვეთრით გამოავლინა თავისი ხასიათის სწორუპოვარი ძალა და მშვენება და იმ დაუფიწყარ დღეებში, როდესაც ომის ქარცეცხლიდან ძღვევამოსილად გამოსული საბჭოთა ხალხი მშვიდობიან მშენებლობას უბრუნდებოდა. ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ისტორიის ეს მძაფრი და დაძაბული წლები აირჩია მწერალმა მხატვრული გამოსახვის საგნად, რათა უფრო სრულად და დამარწმუნებლად გამოეხატა ჩვენი ხალხის მებრძოლი და შემოაქმედებითი ბუნება, ეჩვენებია ის ღრმა სიძნელენი და წინააღმდეგობანი, რომელთა ძღვევამოსილად გადალახვის გზით მიიწევს წინ ჩვენი ქვეყანა თავისი დიადი საბოლოო იდეალისაკენ.

რომანში ცხოვლად არის წარმოსახული ურთულეს წინააღმდეგობებთან და უბოროტეს მტრებთან უშიშრად და ძღვევამოსილად შეჯახებული საბჭოთა ხალხის რაინდული სული. ამ დიადი შემართების ეპოპეა შეადგენს რომანის ძირითად შინაარსს და განსაზღვრავს მისი პერსონაჟების ხასიათსა და ბედსაც, მის სიუჟეტურ კომპოზიციასაც, მის მთელ პოეტიკასაც.

ამ წიგნით კ. გამსახურდიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თავისი იდეურ-შე-

მოქმედებითი განვითარების გზაზე და გვიჩვენა, რომ ოცდაათიანი წლების შემდეგ გზავლილ დიდ იდეურ ბრძოლებს, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ დიდ ისტორიულ ძვრებს ამაოდ არ ჩაუვლია მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის.

ამის ნათელსაყოფად საკმარისია შევადაროთ „ვაზის ყვავილობა“ კ. გამსახურდიას მიერ ოცდაათიანი წლების დამდეგს დაწერილ რომანს „მთვარის მოტაცება“.

თავის დროზე „მთვარის მოტაცება“ დიდი ინტერესით მიიღო ჩვენმა მკითხველმა, როგორც ჩვენი სინამდვილის მწვავე საკითხებზე პასუხისმგებელი წიგნი. მაგრამ, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ბევრ რამეში ედავებოდა კიდევ მწერალს. დიდი მხატვრული ძალით და დამაჯერებლობით გვიხატავდა რა წარსულის ბნელი გადმონაშთების სასიკვდილო განწირულებას, მწერალი ერთგვარი თანაგრძნობით და სიბრალულით ეთხოვებოდა ამ წარმავალ სამყაროს. მეორეს მხრივ ამ მომაკვდავი წარსულისადმი დაპირისპირებული ახალი სამყარო არზაყან ზვამბაიას სახით, მწერლისათვის მაშინ არ აღმოჩნდა იმდენად ნაცნობი და ახლობელი, რომ იგი დაეხატა ისეთი სიმართლითა და სიღრმით, რომ ჩვენს ახალგაზრდობას ამ მხატვრულ სახეში თავისი თავი ეცნო და დაეხანა.

და აი, მეოთხედი საუკუნის განვლის შემდეგ, მწერალი, გამოწროობილი თავის დიდ შემოქმედებით მუშაობაში სრულიად სხვაგვარი ხასიათის თემებზე, კვლავ დაუბრუნდა ჩვენი დროის უმთავრეს და ძირითად პროცესებს, კვლავ გაიხანდა თავისი შთაგონების საგნად დიდი ჭიდილი და ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს ეპოქაში მომაკვდავ ძველსა და მძლავრად აღმავალ ახალს შორის. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი ახალი, მრავალმხრივად მნიშვნელოვანი, რთული კომპოზიციის რომანი.

„ვაზის ყვავილობაში“ კ. გამსახურდია კვლავ შეეხო ჩვენი საბჭოთა სინამდვილისათვის უმთავრეს და ძირითად საკითხს — საკითხს ძველისა და ახლის ჭიდილსა. დახატა წარსულის ბნელი გადმონაშთების წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ძლევამოსილი ბრძოლის ცხოველი სურათები და გვიჩვენა, რომ როგორც ყოველი ქვემარტი საბჭოთა მწერლისათვის, მისთვისაც არ არსებობს ვიწროდ შემოფარგლული ისტორიული თემების სამყარო. თუ, ერთი მხრივ, იგი დიდი სიყვარულით, დიდი შემოქმედებითი გზებით აღადგენს და გააცოცხლებს ჩვენს თვალწინ ჩვენი ხალხის გმირულ ისტორიას, მეორე მხრივ, დიდი გატაცებით თვალწინ გადგვიშლის ჩვენი დღევანდლობის ფართო და რთულ სურათს, წარმოგვისახავს ჩვენი ცხოვრების მოვლენებს, ჩვენი დროის ადამიანებს.

ბევრი რამ აქვს საერთო „მთვარის მოტაცებას“ და „ვაზის ყვავილობას“ - ორივე ამ თავის ნაწარმოებში მწერალმა ორი სამყარო შეაჯახა ერთმანეთს, გვიჩვენა სურათი დრომოკმული ძველისა და ახლის ბრძოლისა ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ „ვაზის ყვავილობაში“ მწერალი უკვე მტკიცედ და გარკვეულად დგას ახლის პოზიციაზე, რომელსაც იგი არა მარტო სიყვარულით და თანაგრძნობით, არამედ ცოდნით და განცდით ხატავს. მისი გოდერძი, ნუნუ ციხისთავი, ვახტანგ კორინთელი, სუსქია და მთელი რიგი სხვა პერსონაჟები, რომლებიც ამ რომანში წარმოადგენენ ახალ სამყაროს, ჩვენს ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, თავისი აზრებით, საქმეებით და მაღალი მორალური თვისებებით თავდადებულად ემსახურებიან საბჭოთა სინამდვილის განმტკიცებას, სწორედ ამ ადამიანების მხარეზე დგას მწერალი და გვიხატავს მათ ისეთი ღრმა დრამატიზმით, ისეთი ტემპერამენტით და გზნებით, რომ აღვივებს მკითხველის სიყვარულს ამ ადამიანებისადმი და წარმოშობს მათდამი მიზაძვის მისწრაფებას. წიგნი ღრმად არის გამსჭვალული დიდი სიყვარულით კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხისადმი. ეს სიყვარული შეადგენს ამ წიგნის პათოსს, მის ძირითად მორალს და ესთეტიკურ იდეალს. ეს არის საფუძველი ამ წიგნის იდეურ-აღმზრდელითი, ესთეტიკური და შემეცნებითი ღირებულებისა.

რომანის დადებითი პერსონაჟები გამოთქვამენ და განასახიერებენ დიდ სიყვარულს მშობელი ქვეყნისადმი, ჩვენი დიდებული ბუნებისადმი, ჩვენი მიწა-წყლისადმი. ამ წიგნის ყოველ სტრიქონში ძვერს საბჭოთა პატრიოტის გული, იგრძნობა თანამედროვეობის სუნთქვა. წიგნი წარმოადგენს შემოქმედებითი შრომის მგზნებარე აპოლოგიას. მასში ასახულ მოვლენათა მთელი ლოგიკა მხატვრული დასაბუთებაა იმ აზრისა, რომ შრომა არის ქეშმარიტი ადამიანობის, პატრიოტობის, სამშობლოს სიყვარულის, მაღალი ზნეობრიობის უდიდესი გამართლება, შრომა არის უპირველესი წყარო ადამიანური სრულყოფილი ბედნიერებისა.

„პირველთაგანვე იყო საქმე“ — ამგვარადა დასათაურებული „ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთი თავი და ეს აზრი ამოძრავებს მის სიუჟეტს, წიგნის პერსონაჟთა ურთიერთობის მთელ ატმოსფეროს. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, პროფესორი ვახტანგ კორინთელი განუზომელი სიყვარულით შესცქერის მშრომელ ადამიანებს და ამბობს: „ამ მშრომელ ადამიანებს უთუოდ მშვიდი და ტკბილი ცხოვრება ექნებათ. მათი ცხოვრება კიდემდის აღვსილია ყოველდღიური გარჯითა და ზრუნვით... შრომა უდიდესი ფაქტორია არა მარტო მატერიალური დოვლათის მომხვეჭელი, არამედ ერთგვარი — „კათარზისი“ — გაწმენდა ადამიანის ზნეობისა, ისინი, ვინც შრომას განიცდიან, როგორც სიმძიმის, ვერასდროს მისწვდებიან ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს“.

„ვაზის ყვავილობის“ დადებითი პერსონაჟები ზიარებული და დაუფლებული არიან „ცხოვრების ამ დიდ საიდუმლოს“. ეს განსაზღვრავს მათი არსებობის მთელ აზრს და შინაარსს. წიგნის მთელი რიგი თავები შეიცავენ ხალხის შემოქმედებითი შრომის მომხიბვლელ სურათებს. ეს სურათები განასახიერებენ თავდადებას შემოქმედებით შრომაში, უმღერიან ჩვენი ხალხის შემოქმედებით ბუნებას, მის უძლეველობას ამ დიად შრომით ცხოვრებაში.

მაგრამ ეს დადებითი, ძირითადი და წამყვანი ტენდენცია საბჭოთა სინამდვილისა რომანში წარმოსახულია არა იზოლირებული და გამოცალკევებული სახით, არამედ ნაჩვენებია ბრძოლაში და შეჯახებებში დიდ სიძნელებთან და წინააღმდეგობებთან.

მწერალი არ უშინდება მძაფრი საღებავებით დახატოს ჩვენს სინამდვილეში შემორჩენილი წარსულის ბნელი გადმონაშთები, რომლებიც ხშირად აბრკოლებენ ჩვენი ხალხის წინსვლას; არ გაუბრბის მამხილებლად დახატოს ამ გადმონაშთების მატარებელი მანკიერი ადამიანები, დაგვანახოს, თუ როგორი წინააღმდეგობების გადალახვის გზით მიდის წინ ჩვენი ქვეყანა.

მაგრამ თუ „მთვარის მოტაცებაში“ მწერალი ამქლავნებდა ერთგვარი სიბრაღულის და სიმპათიის გრძნობას წარსულის გადმონაშთებისადმი, „ვაზის ყვავილობაში“ ძველისა და დრომოკმულის განმასახიერებელი ადამიანები: აზრია, კანკრე, ვარა, ცეროდენა, ქეთუა და სხვები დახატული არიან მძაფრად მამხილებელი საღებავებით, იმ დიდი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობით. რომლითაც ჩვენი ხალხი იბრძვის ყოველივე დახავსებულისა და დრომოკმულის წინააღმდეგ. აქ უკვე ნატამალიც აღარ არის თანაგრძნობის, სიბრაღულის და სიმპათიისა მანკიერი ადამიანებისადმი და მათი ბნელი საქმეებისადმი, რომლებიც თავისი უბადრუკობისა და უმწეობის მიუხედავად მაინც წინ ელობებიან ჩვენი სამშობლოს წინსვლას, აფერხებენ და აბრკოლებენ ჩვენი ხალხის წარმატებებს.

„ვაზის ყვავილობა“ იმის მაჩვენებელია, რომ საბჭოთა ლიტერატურა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე აღის და მან უკვე უკან ჩამოიჭოვა თავისი ისტორიის ის პერიოდი, როდესაც ჩვენს მწერლობაში გავრცელებული იყო ე. წ. „უკონფლიქტობის თეორია“, — ცხოვრების ცალმხრივად და შელამაზებულად გამოხატვის ტენდენცია. ასეთი ტენდენცია შორს იყო სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების პრინციპებისა და ამოცანებისაგან. ამ „თეორიის“ მიხედვით შექმნილი ნაწარმოები, ჯერ ერთი, ცხოვრების სიმართლეს დალატობდა და ამიტომაც დამაჭერებლობის ძალას მოკლებული იყო, მასში არ შეიძლებოდა გამოხატულიყო დიდი დრამატიზმი ჩვენი ცხოვრების განვითარებისა. ასეთი მწერლობა აღუწებდა ჩვენს სიფხიზლეს, თვალს გვახუჭვინებდა

ცხოვრების წინაშე და ხალხის სულიერი შეიარაღებისა და გამოწრთობის ნაცვლად ჩვენი ძალების მოდუნებასა და იდეურ განიარაღებას უწყობდა ხელს. „ვაზის ყვავილობა“ ერთ-ერთი მძლავრი გამოვლინებაა საბჭოთა მწერლობის ახლანდელი მისწრაფებისა, რომ ჩვენი ცხოვრების სინამდვილე წარმოსახული იქნეს მისი რთული წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გათვალისწინებით, ხოლო საბჭოთა ადამიანის გმირული ხასიათი ნაჩვენები იქნეს იმ ჰიდილსა და ბრძოლაში, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის ძირითად შინაარსს შეადგენს.

სწორედ ასეთ ადამიანებად გვევლინებიან გოდერძი ელანიძე, ნუნუ უჯირაული, ვახტანგ კორინთელი, სუსქია მინდელი და სხვა დადებითი გმირები ამ რომანისა. ისინი იოლად, უბრძოლველად, წინააღმდეგობის გარეშე როდი ცხოვრობენ და იმარჯვებენ. მათ მეტად რთული წინააღმდეგობები ელოდებათ ცხოვრების გზაზე, დრამატიზმით აღსავსეა ყოველი მათგანის ცხოვრება, მათ, მრავალი ტანჯვა და განსაცდელი იგემეს, სწორედ ამ წინააღმდეგობებთან ჭიდილში შეეძლოთ გამოევლინებიათ და გამოავლინეს კიდევც თავიანთი მაღალი ადამიანური თვისებები, სპეტაკი ზნეობა, ქედუხრელობა და უშიშროება, ვაჟაკობა და კეთილშობილება.

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი გოდერძი ელანიძე ახალგაზრდა გლეხია, საკოლმეურნეო სოფლის რიგით ადამიანთა ტიპიური სახე. იგი თავდადებული, ერთგულია ახალი ცხოვრებისა და მთელი არსებით ჩაბმული იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებულია ბერმუხის კოლმეურნეობაში გველეთის უნაყოფო ველებზე ვაზის ზვრების გაშენებისათვის. ეს დიდი ბრძოლა, დიდი შრომითი აღფრთოვანება შეადგენს რომანის სიუჟეტის დასაყრდენს. მაგრამ აქ ბრძოლა მარტო ბუნების სტიქიის დათრგუნვისა და ვაზის გაშენებისათვის როდი სწარმოებს, აქ ბრძოლა ამასთანავე მიმდინარეობს ადამიანთა გარდაქმნისათვის და წარსულის ბნელი გადმონაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის. ამ ბრძოლაში არის ჩაბმული ეს ახალგაზრდა გლეხი. რაოდენად კეთილშობილი, გულისხმიერი, აქტიური და გაბედულია ეს ახალგაზრდა, როგორი უშიშარი და ქედუხრელია იგი, როგორი თანაბარი თავდადებით შრომობს თავის მშობლიურ კოლმეურნეობაში, იბრძვის ბერმუხის ველებზე, ხოლო როცა ომის ქარიშხალი ამოვარდება, თავის სისხლსა და სიცოცხლეს არ ზოგავს სამშობლოსათვის, პირნათლად და დიდი სულიერი რაინდობით გადაიტანს მრავალ მძიმე განსაცდელს და ბოლოს ბრძოლებში დაჭრილი და დასახინჩრებული, მაგრამ მაინც ცოცხალი და მაღალი პატრიოტული შეგნებით გამსჭვალული უბრუნდება მშობლიურ სოფელს.

გოდერძის შეჯახება წარსულის ბნელი გადმონაშთების მატარებელ ადამიანებთან — კანკრებთან, აბრიებთან და სხვებთან, მისი თავდადებული ბრძოლა

გველეთის ველებზე, შემდეგ მისი მძიმე ფრონტული ცხოვრება და ყველა ამ განსაცდელიდან მისი გამარჯვებულად გამოსვლა, — სიმბოლურად განასახიერებს იმ დიდ გამარჯვებას, რომელიც მრავალი სისხლისა და ოფლის საფასურით მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ, როგორც სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში, ისე ფაშიზმის სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი მშრომელი ხალხის, საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობის ასევე ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის ტაიპური სახეა ნუნუ უჯირაულიც — გოდერძის ერთგული მეგობარი და მისი სატრფო. დიდი მომხიბვლელით არის მოთხრობილი და დახატული რომანში ამ რიგითი ახალგაზრდა ქალის თავდადებული ერთგულება საკოლმეურნეო შრომისადმი, მისი გამოსვლა მიტინგზე სიტყვით, მისი გაბედულება, მისი სიყვარული გოდერძისადმი, მისი უმწიკვლო მორალური სახე. ვერც მძიმე ოჯახურმა პირობებმა, რომელშიც მას მოუხდა ცხოვრება, ვერც შვილის დაღუპვის საშიშროებამ, ვერც თავისი უზომოდ საყვარელი გოდერძის ხანგრძლივად უგზო-უკვლოდ დაკარგვამ ვერ გაბზარეს მისი მორალური სახე. ბევრი გაათვრებული იერიში მიიტანეს მასზე სოფლის ბნელმა ადამიანებმა, ბევრი სიმწარე და მწუხარება აგემა მას სამამულო ომის მძიმე წლებმა, მაგრამ ყოველივე ამ განსაცდელიდან ეს სამაგალითო საბჭოთა ქალი გამოვიდა მორალურად უმწიკვლო და გამარჯვებული.

ვერ ვიტყვით, რომ რომანის ყველა პერსონაჟი თანაბრად ცოცხალ, სისხლხორცილ სახე ადამიანურ სახეებად იყოს გამოკვეთილი. ზოგიერთი უაღრესად მნიშვნელოვანი იდეურ-ესთეტიკური ფუნქციის მატარებელი გმირიც კი დახატულია შედარებით ფერმკრთალად. ასეთია რაიკომის მდივნის ციხისთავის სახე, რომელიც რომანში მოქმედებს არა როგორც ცოცხალი ადამიანური ხასიათი, არამედ როგორც ავტორის სავსებით სწორი და მართებული წარმოდგენა რაიონის კარგ პარტიულ ხელმძღვანელზე, რომელიც უზომოდ ერთგულია თავისი მაღალი მოწოდებისა და თავს არ იზოგავს ხალხის საკეთილდღეოდ შრომასა და ბრძოლაში.

ბევრად უფრო ცოცხლად და კოლორიტულად არის დახატული სუსქია მინდელის და ნიკო მირიანაშვილის სახეები. არც ერთი თავისი დადებითი გმირი იოლი გზით არ მიყავს მწერალს: ყოველ მათგანს იგი ხატავს უძძიმეს წინააღმდეგობათა ვითარებაში.

დიდად საყურადღებო მხატვრული სახეა ვახტანგ კორინთელი, რომლის აზრებსა და გრძნობებში მწერალი ხშირად განახორციელებს თავის მსოფლმხედველობას, თავის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, თავის იდეურ პოზიციას, ეს უპარტიო ინტელიგენტი მშრომელი ხალხის წიაღიდანაა გამოსული; მას უგემნია ძველი, თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული წყობილების უკულმართობანი,

მაგრამ თავისი შრომით, თავდადებით გაუკაფავს გზა, უცხოეთში განათლება მიუღია, მრავალი შრომა დაუწერია და ახლა სამშობლოში დაბრუნებულა პროფესორის წოდებით და დიდი მეცნიერული ავტორიტეტით. იგი ზიზლითაა გამსჭვალული დასავლეთის ბურჟუაზიული ცივილიზაციისადმი და თანამედროვე იმპერიალიზმის რეაქციული პოლიტიკისადმი. თავდადებული პატრიოტი, იგი დიდი ალტაცებით თავს დასტრიალებს მშობლიური ქვეყნის აღორძინებას, ბერმუხის ზეგანზე ვაზის გაშენებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას, შეჭხარის თავისი ხალხის ბედნიერებას, მწვავედ განიცდის სამშობლოს მძიმე დღეებს ომის ვითარებაში. ამასთანავე მას აქვს რთული პირადი ცხოვრება, რომელიც განუყოფელად დაკავშირებულია რომანში ასახული დიდი სახალხო მნიშვნელობის მოვლენათა განვითარებასთან.

„ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთი უპირველესი ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში ადამიანთა პირადი ცხოვრება და ბედი წარმოსახულია განუყოფელ ერთიანობაში ხალხის ცხოვრებასთან, სოციალურ სინამდვილესთან, ამ ადამიანთა საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. თელაველი მიწისმზომელის შვილის ვახტანგ კორინთელის ცხოვრება ბავშვობიდან დაკავშირებული იყო თავად ვაჩნაძის ოჯახთან. სიყმაწვილეში მას გატაცებით შეუყვარდა რევანზ ვაჩნაძის მშვენიერი ასული მედიკო. ეს უკანასკნელი მშობლებთან ერთად პარიზში გადასახლდა საცხოვრებლად და გალატაკების საფრთხის წინაშე დამდგარი ოჯახის ძალდატანებით ცოლად გაჰყვა ფრანგ მემამულესა და კაპიტალისტს შარკუტიეს. უცხოეთში მეცნიერული მიზნებით მივლინებული კორინთელი შეხვდა მედიკოს. მათ შორის ახალის ძალით იფეთქა ადრინდელი სიყვარულის გრძნობამ. მედიკო გამოექცა ქმარს და კორინთელს გამოჰყვა სამშობლოში. მაგრამ საბჭოთა სინამდვილემ, ჩვენი ცხოვრების სოციალურმა ატმოსფერომ გათიშა ვახტანგ კორინთელი ვაჩნაძის ასულთან და მგზნებარე გრძნობით დაკავშირა იგი თელაველი პურისმცხობლის მინდელის ქალიშვილთან — სუსქიასთან, რომელიც ჩვენი სახალხო ინტელიგენციის საუცხოო ტიპური სახეა. ხალხისადმი, სამშობლოსადმი წრფელი ერთგულება, ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი შრომა აკავშირებს ერთმანეთთან სუსქიასა და ვახტანგს. ამიტომ არის მათი სატრფიალო ურთიერთობა უჩრდილო და ჰარმონიული. და თუმცა ისინი იღუპებიან, მაგრამ ორივე მსხვერპლი ხდება ხალხისადმი თავდადებული სამსახურისა. ამიტომაც მათი სახეები მომხიბვლელი მორალური შარავანდელით შემოსილი რჩებიან მკითხველის ცნობიერებაში.

მწერალი ხშირად დიდ დრამატიზმს აღწევს ადამიანის სულიერი ცხოვრების, მისი პირადი ბედის გამოხატვისას. იგი გვიჩვენებს, რომ ჩვენი დროის დადებითი გმირი ჩრდილში, სათბურში როდი იზრდება, — მისი ხასიათი იჭედება

მძაფრ ბრძოლაში, "ზოგი მათგანი იღუპება კიდევაც. ეს არის მძაფრი ბრძოლა, დიდი ჭიდილი ჩვენი ღრთისა, რომელშიც იწრთობა და ყალიბდება თანამედროვეობის გმირის ხასიათის მაღალი თვისებანი, ჩვენი ხალხის სულიერი ძალა და მშვენიერება. დიდია აგრეთვე „ვაზის ყვავილობის“ კრიტიკული პათოსი და მამინილებელი ძალა, ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეებისა და მანკიერი ადამიანის გამოხატვისას მწერალი არ ერიდება გვიჩვენოს წარსულის ამ უბადრუკი გადმონაშთების სერიოზული დამაბრკოლებელი და შემაფერხებელი მნიშვნელობა ჩვენი წინსვლისათვის. მწერალი, ამასთანავე, ხსნის მათ სოციალურ ფესვებს, და გვიჩვენებს, თუ საიდან მოდიან ეს გადმონაშთები, რა ასაზრდოებს მათ მანკიერ, ბნელ თვისებებს, რა სოციალური ფაქტორი თუ ბიოგრაფიული პირობები იწვევენ მათ არსებობას და როგორ იღუპებიან ისინი ჩვენი დიდი თანამედროვეობის სიმართლესა და ძალასთან პირისპირ შეჯახებაში.

აი, მაგალითად, დეიდა ვარას გროტესკულად, და ამასთანავე საოცრად ცოცხლად დახატული სახე. თავისი გესლიანი ირონიით, ცხოველური ზიზლით ყველაფერი ახლისადმი, პროგრესიულისადმი. ისტორიის მიერ დიდი ხნის წინათ და სამუდამოდ განადგურებული თავადაზნაურული წოდების ეს უკანასკნელი ნაშთი იმდენად უბადრუკად და უმწეოდ გამოიყურება, რომ ერთი შეხედვით ვერც კი წარმოიდგენთ, თუ რა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მან ჩვენი ძლევამოსილი წინსვლისათვის, მაგრამ აკი საბედისწეროდ იმოქმედა ამ გაცოფებულმა უბადრუკობამ ვახტანგ კორინთელის პირად ბედზე და დიდი როლი შეასრულა მისი ოჯახის დანგრევაში!

ამ მხატვრული სახის მეშვეობით მწერალი გვაფრთხილებს, რომ არ შეიძლება უდარდელად და გულგრილად ვეპყრობოდეთ ასეთ ადამიანებს, მათ შეუძლიათ მეტად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს ადამიანებს, დამლუპველად იმოქმედონ მათ ბედზე და, მაშასადამე, მათ საქმეებზეც.

იგივე შეიძლება ითქვას აბრია უჯირაულის სახის შესახებაც, ეს განსახიერებაა კულაკობის უკანასკნელი ნაშთებისა. ის ბნელი, უმწეო, უმეცარი ადამიანია, მაგრამ რამდენი ბოროტება და უბედურება დაატრიალა მან რომანის დადებითი გმირების ცხოვრებაში, ან კიდევ გახულიანებული შოთერი კანკრე, რომელმაც მრავალი ბოროტება ჩაიდინა და ბოლოს კინალამ არ დაღუპა მთელი სოფელი. მწერალი გვიჩვენებს თუ საიდან იბადებიან ეს ადამიანები, ეს შენიღბულად შემძვრალნი ჩვენს დაწესებულებებში, ეს ქეთუები და მარუები, კობერიძეები და სხვები, რომლებიც წამლავენ ახალი საბჭოთა სოფლის ჯანსაღ ატმოსფეროს. რომანში თვალნათლივ ვხედავთ ამ მანკიერი ადამიანების მანევენს მნიშვნელობას. ამ მხატვრულ სახეთა მეშვეობით მწერალი ზრდის ჩვენს რევოლუციურ სიფხიზლეს და განამტკიცებს მკითხველის შეგნებაში აზრსა და

რწმენას, რომ საჭიროა ასეთ ადამიანებს ვხედავდეთ, ვიცნობდეთ და ვებრძოდეთ, მათი მომშხამველი გავლენისაგან ვიცავდეთ ჩვენი საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს, ჩვენი ხალხის ნათელ ყოფაცხოვრებას, ჩვენს საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წყობილებას.

რომანის მთელი რიგი თავები დაწერილია ემოციური დაძაბულობით. მათში დახატულია ამაღლვებელი, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, ღრმად დრამატიზირებული სურათები.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მხატვრულ საშუალებათა ის დიდი მრავალფეროვნება, რომელსაც შეიცავს ეს ნაწარმოები. მძლავრი დრამატული უღერის პასაჟებიდან ავტორი გადადის გროტესკზე. მძაფრ ირონიაზე, მღელვარე ლირიზმით გამსჭვალული სურათებიდან — კარიკატურულად დახატულ სახეებზე. ფართოა მწერლის მხატვრული დიაპაზონი. შეუძლებელია აუღვლეველად წაიკითხოთ რომანის ის ფურცლები, რომლებზეც აღწერილია სუსქიას სიკვდილის სცენა. ვახტანგ კორინთელის უკანასკნელი დღე, გველეთის ველებთან ხალხის შებრძოლების სურათი — ეს საუკეთესო სურათი მასობრივი შრომითი გმირობისა, ყამირის გატეხისა. იგივე უნდა ითქვას ჭეშმარიტი პოეზიით განმსჭვალულ პეიზაჟებზე, რომლებიც დიდი ფერწერითი ძალით არის დახატული და ემოციურად გაცოცხლებული. ამათ გვერდით აღსანიშნავია დეიდა ვარას, აბრიას, კანკრეს, ქეთუას და სხვათა გროტესკული სახეები, ნიორთავას წისქვილის და ნუნუს ოჯახური გარემოცვის ზუსტი რეალისტური აღწერილობანი. მწერალი იყენებს მხატვრული მეტყველების სხვადასხვა საშუალებებს, რათა სინამდვილის მრავალმხრივი მასალა, ცხოვრების მდიდარი მრავალფეროვნება წარმოგვისახოს ადეკვატურ მხატვრულ ფორმებში და არა მარტო წარმოგვისახოს, გახსნას კიდევ ამ მოვლენათა აზრი, მათი ფესვები, მათი პერსპექტივა.

სამწუხაროდ, რომანის ყველა პასაჟი როდია თანაბარი მხატვრული ძალით და ოსტატობით დამუშავებული. გაცილებით მეტი მხატვრული დამაჯერებლობის ძალას აღწევს მწერალი რომანის იმ თავებში, რომლებშიც ქართული საკომედიური სოფლის შრომითი ცხოვრებაა წარმოსახული, ქართული ბუნების სურათები თუ ადამიანთა პირადი, საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ეპიზოდებია დახატული. გაცილებით უფრო მკრთალია და შთამბეჭდაობას მოკლებული ფრონტული ცხოვრების სურათები, ბატალური სცენები, საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი საბჭოთა მებრძოლების აუტანელი ხვედრის და სისხლიანი ფაშისტური ტერორისადმი მათი შეურიგებლობისა და ქედუხრელობის ეპიზოდები.

რით უნდა აიხსნას რომანის ცალკეული ნაწილებისათვის დამახასიათებელი ასეთი განსხვავებული დონე მხატვრული ხარისხისა, პროფესიული ოსტატობისა? ის ცხოვრებისეული მასალა, რომელიც კარგად არის ცნობილი მწერ-

ლობისათვის, უშუალოდ განცდილი და ნაგრძნობია მის მიერ, ცხოველ გამო-
ხატულებას, ცოცხალ და მეტყველ განსახიერებას პოულობს ნაწარმოებში,
ხოლო სინამდვილის ის მოვლენები, რომელთა შესახებ ავტორს მხოლოდ ვი-
ნებისმიერი წარმოდგენა აქვს, მოკლებულია მხატვრულ ხორცშესხმულობას.

ისიც უნდა ითქვას, რომ „ვაზის ყვავილობის“ ავტორი ზოგჯერ შეგნებუ-
ლად მიმართავს ისეთი პირობითობის ხერხს, რომელიც სცილდება მხატვრული
სიმართლის საზღვრებს. ყოველთვის როდი ზრუნავს მწერალი რომანის ამა თუ
იმ სიუჟეტური მოტივის მხატვრულად შემზადებისა და დასაბუთებისათვის, პე-
რსონაჟთა მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირებისათვის. მაგრამ ასეთი
მხატვრული ნაკლოვანებანი და ხარვეზები რომანის მხოლოდ ცალკეულ პასა-
ჟებში იჩენს თავს. მთავარსა და ძირითადში კი „ვაზის ყვავილობა“ რეალისტურ-
ი სიმართლით გამოხატავს ჩვენი ეპოქის დიდ გარდამქმნელ და განმაახლებელ
ძალას. ბერმუხაში, არაშენდა-გველეთის ზეგანზე გაჩაღებული გმირული შრომა
და ბრძოლა განსახიერებაა იმ დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრებისა,
რომლითაც მოცულია ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლო თავისი სახელოვანი
ისტორიის მანძილზე. შემთხვევით როდი დაუკავშირა მწერალმა ვაზის ზერების
გაშენებისათვის ბერმუხელ კოლმეურნეთა ბრძოლა სისსლიანი ჰიტლერისმის-
წინააღმდეგ ჩვენი ხალხის ძლევა მოსილი ომის ეპოპეას. ამით მწერალმა ჩვენი
სამშობლოს ხალხთა სწორუბოვარი ერთსულოვნების იდეა განსახიერა და
თვალნათლივ გვიჩვენა, რომ კახეთის მთიანეთის ერთი პატარა სოფლის ცხოვ-
რებაშიც ფეთქავს მთელი საქართველოს, მთელი საბჭოეთის მძლავრი და დაუ-
ცხრომელი მაჯისცემა.

დიდი დრამატიზმით, ემოციური დაძაბულობით, მაღალი პოეტური შთავო-
ნებით მოგვითხრო მწერალმა თავის გმირთა მღელვარე ცხოვრების ისტორია,
წარმოგვისახა მათი ყოფა-ცხოვრების კოლორიტული სურათები მათი მოქმე-
დების სარბიელი — საქართველოს დიდებული ბუნების ფერადოვანი პანო-
რამა.

„ვაზის ყვავილობა“ ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების ამ-
სახველი რომანია, მაგრამ მის გმირს მარტო ჩვენი გლეხობა როდი წარმოად-
გენს. მასში საკოლმეურნეო გლეხობის მოწინავე ადამიანების გვერდით ცხოვ-
რობენ, აზროვნებენ და მოქმედებენ პროფესორები, ექიმები, აგრონომები, შო-
ფრები, ტრაქტორისტები, ინჟინრები, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები,
ჯარისკაცები და ოფიცრები, — მრავალი სხვადასხვა პროფესიისა და მღვთა-
რეობის ადამიანები, რომლებიც განუყოფელად არიან ერთმანეთთან დაკავ-
შირებული ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების განუხრელი
აღმავლობისათვის თავდადებულ შრომასა და ბრძოლაში. რომანი ჩვენი სამ-

შობლოს უძლეველობის ჩვენი ხალხის დიადი საბრძოლო საქმის გარდუვალი გამარჯვების ურყევი რწმენით, ნათელი ოპტიმიზმით არის შთაგონებული. წიგნის ეს მასულდგმულბელი იდეა, მისი მორალი, მისი ფილოსოფია მკვეთრადაა გამოთქმული წიგნის დასკვნით სტრიქონებში.

სოფლის თავზე ამაყად მდგარი ათასწლოვანი ბერმუხის ქვეშ ბრძოლის ველიდან გოდერძი ელანიძის დაბრუნებისა და მისი განკურნების აღსანიშნავად მცირე სუფრაა გაშლილი. სოფლის უხუცესის პაპა მიქელას მოწვევით აქ შეკრებილან რომანის ის გმირები, რომელთაც ვაჟკაცურად გამოუვლიათ და გადაუტანიათ უდიდესი ომის ქარ-ცეცხლი. ბუნებრივია, რომ ისინი პირველ ყოვლისა ომში დაღუპულ გმირთა მოსახსენებელს სვამენ. ბოლოს გოდერძიმ ასწია თასი და სთქვა:

„ეს გაუმარჯოს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. მე კიდევ დამრჩა ორი თითი მარჯვენა ხელზე და, თუ საჭირო იქნა, ავტომატის ჩახმახს ესეც ეყოფა“.

პაპა მიქელამ ორივე ხელით აიყვანა პატარა მიქელა და აჩვენა იგი ზეციურ მნათობს, თანაც ისე გახარებული იყო ბედნიერი მოხუცი, თითქოს საკუთარი თვალთ ენახა მზე...

კვლავინდებურად საამოდ შრიალებდა ბერმუხა, შეუდრეკელი ბერმუხა, რომელიც მარად დარჩა ჩემს წარმოდგენაში, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის უკვდავი და შეუმუსკრელი სულისა“.

ამ სიტყვებით ამთავრებს მწერალი „ვაზის ყვავილობას“. ამ წიგნში მან ჩვენი ხალხის ეს უკვდავი და შეუმუსკრელი სული გამოხატა და შთაგონებულად უმღერა მას.

რომ სრულად გავითვალისწინოთ ის დიდი და ძვირფასი წელიწადი, რომელითაც კ. გამსახურდია ამდღარებს თანამედროვე ქართული მწერლობისა და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის საგანძურს, საჭიროა ზემოთ განხილულ მის მხატვრულ ნაწარმოებთა გარდა გავიხსენოთ დიდი გერმანელი პოეტის გოეთესადმი მიძღვნილი მისი ბიოგრაფიული რომანი და აგრეთვე მისი ნოველები: „ხოგაის მინდია“, „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“, „დამსხვრეული ჩონგური“.

„გოეტეს ცხოვრების რომანი“ ბიოგრაფიული ჟანრის პირველი მხატვრული ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. თავის ვრცელ ნოველაში „ხოგაის მინდია“ კ. გამსახურდიამ ახლებურად გააცოცხლა და თავისებური მხატვრული ინტერპრეტაციით განასახიერა ის შესანიშნავი ქართული

ლეგენდა, რომლის საფუძველზეც შექმნა ვაჟა-ფშაველამ თავისი ეპიკური პოეზიის უქცნობი შედეგური „გველის მკამელი“.

თავისი ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე კ. გამსახურდია არა მარტო რომანებითა და ნოველებით ახდენდა ზემოქმედებას მკითხველთა სულიერ ცხოვრებაზე მათი შეგნების, ზნეობის, გემოვნების განვითარებაზე. არამედ მხატვრული ნარკვევებითაც („უქრაინის თემიდა“, „ნატანტარი“, „კოლხეთში“) და მრავალრიცხოვანი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებითაც.

ჩვენა საუკუნის ქართული მწერლობისა და ლიტერატურული აზროვნების ისტორიკოსი ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის კ. გამსახურდიას უაღრესად საინტერესო წერილებსა და გამოკვლევებს ქართული, რუსული და ევროპული კლასიკური და თანამედროვე მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე, იმის გასათვალისწინებლად, თუ რაოდენ ფართოა და მრავალმხრივი მწერლის გონებრივი ინტერესების სფერო, მისი ერუდიციისა და მხატვრული აზროვნების დიაპაზონი, საკმარისია აღინიშნოს, რომ მწერალმა საგანგებო გამოკვლევები და წერილები მიუძღვნა შოთა რუსთაველს, დანტე ალიგიერს, გოეთეს, ლეონარდო და ვინჩს, ლევ ტოლსტოის, გოგოლს, საბა სულხან ორბელიანს, ვაჟა-ფშაველას, ბაირონს, ბალზაკს, ანატოლ ფრანსს, თომას მანს, ილია ჭავჭავაძეს, ივანე ჭავჭავაძის შვილს. ჰენრიკ იბსენს, უოლტ უიტმენს, რილკეს, სტეფან გეორგეს, ავეტიკ ოსააკიანს, დერენიკ დემირკიანს, ლადო გუდიაშვილს, დავით კაკაბაძეს, პლატონ იოსელიანს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ლორთქიფანიძეს, ალექსანდრე აბაშელს; შალვა დადიანს, კორნელი კეკელიძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, სიმონ ჩიქოვანს, არტურ ლაისტს, გიორგი ნატროშვილს. ამას უნდა დაემატოს მწერლის პოლემიკური წერილები ქართული საბჭოთა თეატრისა და თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის საკითხებზე, თანამედროვე რომანისა და მხატვრული თარგმანის პრობლემებზე. ძნელი არ არის იმის წარმოდგენა. თუ მსოფლიო კულტურის ისტორიის, თანამედროვე მწერლობისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს საკითხთა რა დიდი რაოდენობა უნდა იყოს აღძრული და თავისებურად გაშუქებული მწერლის ნაშრომებში, რომელთაგანაც ზოგი ვრცელ მონოგრაფიას წარმოადგენს, ზოგი ლიტერატურულ პორტრეტს, ზოგი კი მწერლის დაკვირვებებსა და შენიშვნებს.

ამ წერილებში გამოთქმული მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური შეხედულებანი შუქს აგვჩვენებს მწერლის მხატვრული შემოქმედების საკვანძო საკითხებსაც.

თავისი დაბადების 70 წლისთავის საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვა კ. გამსახურდიამ ამგვარად დაამთავრა:

„უნდა ვაღიარო, მე არც სიბერეს ვგრძნობ და არც დაღლას, ვაუკაცურ სიტყვას ვაძლევ ჩვენს ხალხს, ჩვენს მთავრობას, კვლავინდებურად ვებრძოლო ქართულ სიტყვას, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს“.

ხალხი ღრმა ინტერესით მოელის ამ ბრძოლისა და შემოქმედებითი ვაუკაცობის ახალ შედეგებს.

ლეო ქიაჩელი

ლეო ქიაჩელი ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის, კერძოდ, საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის უპირველეს ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის. მან ღირსეულად განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები, რომლებიც ჩვენი ეპოქის მაღალი იდეებით, ჩვენი თანამედროვეობის თემებისა და სახეების სამყაროთი გაამდიდრა და გაანაყოფიერა. თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა შორის ლეო ქიაჩელმა ყველაზე მეტის თანმიმდევრულობითა და მრავალმხრივობით დაუკავშირა თავის შემოქმედებითი ინტერესები ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის ბრძოლასა და შრომას, თანამედროვეობის აქტუალურ მოთხოვნებს.

ლეო ქიაჩელმა განსაკუთრებული სისრულით ასახა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები მეოცე საუკუნის მანძილზე. მის კალამს ეკუთვნის ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებები ჩვენი საუკუნის დამდეგის უდიდესი ისტორიული მოვლენის, — 1905 წლის რევოლუციის თემაზე. ქართველი ხალხის თავდადებულმა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ყველაზე მკაფიო მხატვრული განსახიერება ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“ ჰპოვა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებით დროებით ფრთაშესხმული შავი რეაქციის მძვინვარების წლებში ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ასახვას მიუძღვნა ლეო ქიაჩელმა თავისი მრავალმხრივ საყურადღებო რომანი „სისხლი“. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების გამარჯვება და ამ ნიადაგზე რეაქციული კლასების სასიკვდილო განწირულება ასახულია ლეო ქიაჩელის მთელ რიგ ნოველებსა და მოთხრობებში. დიადი საბჭოთა ეპოქის გარდამქმნელი და ამაღორძინებელი ძალა უღრმესი სიმართლით გამოხატა მწერალმა თავის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში „გვადი ბიგვაში“. ეს რომანი მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო შენაძენია სოფლად სოციალისტური ცხოვრების დამკვიდრების, საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვების ასახვის საქმეში.

ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ეპოპეამ. ამ თემაზე დაწერილი მაღალმხატვრული

ნოველების შემდეგ მწერალმა თავის ახალ რომანში „მთისკაცი“ („ჯოტოს მამა“) შთაგონებულად აღბეჭდა სამამულო ომისა და, კერძოდ, კავკასიის დაცვის მგზნებარე დღეებში ჩვენი ხალხის მიერ გამოჩენილი სწორუბოვარი გმირობა და ვაჟკაცობა, სოციალისტური სამშობლოსადმი საბჭოთა ადამიანის თავდადებული ერთგულება, მისი მაღალი შეგნება, მორალური სისპეტაკე და კეთილშობილება.

თემატიკური დიაპაზონის ასეთი სიფართოვე, შემოქმედებითი ინტერესების ასეთი დაკავშირება თანამედროვეობასთან, სოციალური სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან, განსაზღვრავენ პირველ ყოვლისა, ლეო ქიაჩელის შემოქმედებით ღირსებას და ძალას. ამასთანავე ლეო ქიაჩელი მხატვრული თხრობის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანია უახლოეს ქართული ლიტერატურაში. მისი ყოველი ნაწარმოები მძაფრად დრამატიზირებულსა და მკვეთრ კომპოზიციურ ყალიბში მოქცეულ სიუჟეტს შეიცავს. მწერალი ფლობს ყოფაცხოვრებითი სურათების იშვიათი ცხოველმყოფელობით ხატვის ოსტატობას. მაგრამ ლეო ქიაჩელის, როგორც ჩვენი დროის გამოჩენილი რეალისტი მხატვრის ნიჭიერება ყველაზე მკაფიოდ ღრმად ინდივიდუალურადამიანურ ხასიათთა გამოხატვაში, დიდი განზოგადოებითი ძალის ტიპურ სახეთა ცოცხლად გამოძეგნვაში ვლინდება.

ლეო ქიაჩელის რომანებისა და ნოველების გმირებს „უბრალო ადამიანები“ წარმოადგენენ. ხალხის წიაღში წარმოშობილი და აღზრდილი ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანების სახეთა მეშვეობით გამოხატავს მწერალი ეპოქის დამახასიათებელ სოციალურ პროცესებს, თანამედროვეობის დიდ ძვრებს.

მწერალი ფლობს თავისი გმირის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწედომის, მისი ყოველი კუნჭულის დანახვისა და მზის სინათლეზე გამოტანის იშვიათ ძალას. ლეო ქიაჩელის თხზულებათა პერსონაჟები წარუშლელი სიმკვეთრით აღიბეჭდებიან და დაუვიწყარი ძალით ცოცხლობენ მკითხველის მეხსიერებაში; ეს იმიტომ, რომ მის მიერ შექმნილი სახეები, ერთსა და იმავე დროს, სისხლ-ხორციით სავსე ადამიანურ ხასიათებსაც წარმოადგენენ და გარკვეული სოციალური ფენის ბუნების გამომხატველ ტიპებსაც.

მწერალს ღრმად შეუსისხლხორცებია მშობლიური კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები: ხალხურობა, მაღალი იდეურობა და შემოქმედებითი აზრის აქტუალობა, შეგნებული მისწრაფება ბუნებრიობისა, სისადავისა და მხატვრული სიმართლისაკენ. ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში არაფერია ნაძალადევი, ხელოვნური, განზრახ გართულებული. მის საუკეთესო ქმნილებათა ფურცლებზე აღდგენილია ცოცხალი სინამდვილე. ცხოვრების მართალი სურათები, გაშუქებულნი ეპოქის მოწინავე ადამიანის მისწრაფება-

თა და ინტერესების თვალსაზრისით. „ორიგინალომანიისა“ და მანერულობის შეუთრეველი მტერი, იგი ასეთივე თავგამოდებით უკუაგდებს ყოველგვარ შტამპსა და ტრაფარეტს. ცხოვრების ღრმა ცოდნა, დაკვირვების იშვიათი უნარი, სინამდვილის სიმართლით ხატვისაკენ შეუხელებელი სწრაფვა აძლევს ქიაჩელის ნაწარმოებებს, მის მიერ შექმნილ სახეებს ჰემმარიტ ორიგინალობას, განუმეორებლად ინდივიდუალურ ელფერს.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზეა გადაშლილი, განუყოფელად არის დაკავშირებული რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან, ჩვენს სამშობლოში სოციალისტური წყობილების, ახალი ცხოვრების დამკვიდრების ეპოქასთან.

როგორც ქართული რევოლუციამდელი მწერლობის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმა, ლეო ქიაჩელმაც თავისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის სრული გამოვლინება მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში, კერძოდ, ჩვენი საუკუნის ოცდაათიანსა და ორმოციან წლებში შესძლო.

ჩვენი თანამედროვეობის დიადი იდეების, საბჭოთა ხალხის მსოფლმხედველობის ღრმად ათვისებამ, სოციალისტური სინამდვილის თემატიკის დაუფლებამ შეაქმნევია ლეო ქიაჩელს ფართო საზოგადოებრივი რეზონანსის სრულფასოვანი ნაწარმოებნი, რომლებიც ღირსეულად აგვირგვინებენ მის ვრცელსა და მდიდარ შემოქმედებით გზას.

ლეო ქიაჩელი (ლეონ მიხეილის ძე შენგელია) დაიბადა 1884 წლის 7 (20) თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. მისი ბავშვობის და სიჭაბუკის წლებმა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენათა გარემოცვაში განვლო. ეს ის ხანა იყო, როცა ქართველი ხალხი დღითიდღე მზარდი მასშტაბით ებმებოდა რევოლუციურ მოძრაობაში და თავგამოდებით ირაზმებოდა თვითმპყრობელობაზე, კაპიტალისტურ-მემამულურ წყობილებაზე იერიშის მისატანად. რუსეთის გმირული პროლეტარიატის მიერ დაწყებული დიადი კლასობრივი ბრძოლები ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ საქართველოში. ყალიბდებოდა მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდი, იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან თავდაღწევის იმედით აღფრთოვანებული ქართველი ხალხის გამანთავისუფლებელი მოძრაობა ლენინურ პოზიციებზე გადაყავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის ამ დიდ ისტორიულ მოვლენათა ზემოქმედებით ყალიბდებოდა ლეო ქიაჩელის ჰაბუკური შეგნება, ისახებოდა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობა, მისი საზოგადოებრივი იდალები.

ჯერ კიდევ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფე იყო, როცა რევოლუციურმა იდეებმა, მარქსისტულმა მოძღვრებამ გაიტაცა. სხვა მოწინავე მოსწავლეებთან ერთად ლეო ქიაჩელი გატაცებით ჩაება არალეგალური წრეების მუშაობაში. იგი იყო 1904 წელს ქუთაისის მოწაფეთა პოლიტიკური გაფიცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლეო ქიაჩელი ხარკოვის უნივერსიტეტში შევიდა იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მისი სტუდენტობა ხანმოკლე გამოდგა. 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში სტუდენტობის მასობრივი ჩაბმით დამფრთხალმა თვითმპყრობელურმა მთავრობამ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ხარკოვის უნივერსიტეტიც დახურა. ლეო ქიაჩელი სამშობლოში დაბრუნდა. საქართველო ამ დროს რევოლუციური ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული. ლეო ქიაჩელი ჭაბუკური აღფრთოვანებით ჩაება ამ ბრძოლაში და დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

1906 წელს იგი დააპატიმრეს რევოლუციური მოღვაწეობისათვის და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში მოათავსეს. 1907 წელს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ქუთაისის ციხეში გვირაბი გაიყვანა იმ პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების მიზნით, რომელთაც განსაკუთრებით მძიმე სასჯელი მოელოდათ. ამ გზით ციხიდან გაქცეულთა შორის იყო ლეო ქიაჩელიც. მალე იგი მოსკოვს გაემგზავრა, სადაც არალეგალურად ცხოვრობდა 1912 წლამდე. შემდეგ საზღვარგარეთ წავიდა და ჟენევის უნივერსიტეტში ჩაირიცხა უმაღლესი განათლების დასამთავრებლად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას და მრავალმხრივ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი მოსკოვში მისი არალეგალურად ცხოვრების პერიოდს მიეკუთვნება. 1909-1910 წლებში თბილისის ქართულ პრესაში გამოქვეყნდა ლეო ქიაჩელის პირველი ნოველები, რომელთაც იმდროინდელი სალიტერატურო კრიტიკის და მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიწვიეს. ამ დროისათვის ახალგაზრდა მწერალს გავლილი ჰქონდა რევოლუციური მუშაობის, პოლიტიკური პატიმრობის, ციხიდან გაქცევისა და არალეგალური ცხოვრების სკოლა, დაგროვილი ჰქონდა ცხოვრების მდიდარი გამოცდილება და მოსალოდნელი იყო, რომ ყოველივე ეს გამოხატულებას ჰპოვებდა მის პირველსავე ნაწარმოებებში. სამწუხაროდ ეს ასე არ მომხდარა.

საქმე ის არის, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისისათვის იგი

უკვე ჩამოშორებული იყო პოლიტიკურ-რევოლუციურ საქმიანობას. სჩანს, ახალგაზრდა მწერალი ვერ გადაურჩა გულგატეხილობისა და დაცემულობის იმ განწყობილებათა ზეგავლენას, რომელმაც რეაქციის წლებში მოიცვა საერთოდ ინტელიგენციისა და კერძოდ მწერლობის გარკვეული ნაწილი. როგორც ცნობილია, დაცემულობისა და უიმედობის ტალღა შეეხო არა მარტო რევოლუციის თანამგზავრთა გარკვეულ ფენებს, არამედ ზოგიერთ პარტიულ ინტელიგენტსაც. ლეო ქიაჩელი ასეთ ინტელიგენტთა რიცხვში აღმოჩნდა. ამიტომაც მის პირველ ნოველებსა და მოთხრობებში სრულიადაც აღარ იგრძნობა ის საბრძოლო აღფრთოვანება, განმათავისუფლებელი იდეალების ცხოველმყოფელობა და მწვავე სოციალური პრობლემებისადმი ინტერესი, რაც დამახასიათებელი იყო ლეო ქიაჩელისათვის 1905 წლის რევოლუციის წინა წლებში და ამ რევოლუციის აღმავლობის პერიოდში.

ახალგაზრდა მწერალი, სოციალური სინამდვილის მწვავე საკითხებისაგან განდგომილი, რწმენადაკარგული და საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმით შეპყრობილი კაცის თვალთ შეჰყურებს და ხატავს ცხოვრებას. ამ ნიადაგზე იგი უახლოვდება და ენათესავება რუსულ და ქართულ ლიტერატურაში რეაქციის წლებში დასავლეთ ევროპის დეკადენტური მწერლობის გავლენით აღმოცენებულ ანტირეალისტურ მიმდინარეობებს.

ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია მწერლობის საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი ფუნქციის, მისი იდეურობისა და ხალხურობის პრინციპების უგულვებლყოფა. მწერლის ყურადღებას ამ წლებში იპყრობს ცხოვრების არა ტიპიური და დამახასიათებელი მოვლენები, არამედ უცნაური გამონაკლისები. მისი პირველი ნოველების პერსონაჟებს ავადმყოფი, ფიზიკურად და სულიერად დაძაბუნებული ადამიანები წარმოადგენენ. ბედნიერების მიუღწევლობის, იდეალის განუხორციელებლობის აზრით, სევდიანი, მელანქოლიური განწყობილებებით არის აღბეჭდილი ამ პერიოდში ლეო ქიაჩელის მიერ დაწერილი ნოველებისა და მოთხრობების უმრავლესობა.

აი, ნოველა „სტეფანე“, რომელიც მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ადრინდელი პერიოდის დამახასიათებელი ნაწარმოებია. ამ ნოველის გმირი — მებაღური სტეფანე სოფლად განთქმულია მატყუარობით, რაღაც უცნაური, თავისებურად გონებამახვილური სიტყვა-პასუხით. მას ჰყავს ერთადერთი მეგობარი — სოფლის გლახა — მუნჯი ძოკო. სტეფანესა და ძოკოს შეუძლიათ ხანგრძლივად ესაუბრონ ერთმანეთს უსიტყვოდ, ხმაამოუღებლივ.

სულით ავადმყოფი ჯვებე და მისი მეგობარი, გაბოროტებული მაწყევარი, მეწისქვილე ბეკო წარმოადგენენ ნოველა „ცოდვის შვილების“ პერსონაჟებს.

ამ ორი გაუბედურებული, სულიერად და ფიზიკურად დაძაბუნებული ადამიანის უცნაურ ცხოვრებას და ასევე უცნაურ დაღუპვას მოგვითხრობს მწერალი თავის ამ ერთ-ერთ ადრინდელ ნაწარმოებში.

ნოველაში „ჯადოსანი“ დახატულია კიდევ უფრო უცნაური სახე მენახირე ტაგუსი. იგი მარტოხელა ადამიანია: „მარტოობაც ისე უყვარს, როგორც მენახირეობა. იცის რომ როცა მარტოა, მეფეა დიდებული, ხოლო ხალხში გარეული — საწყალზე უსაწყლესია“. ტაგუ უბეში გველს დაატარებს, თვალეში მას ჯადო აქვს, რომლის მეოხებითაც არა მარტო ადამიანი და სულიერი არსებანი, არამედ უსულო საგნებიც კი მის ნებას ემორჩილებიან. ნოველაში მოთხრობილად, თუ როგორ მოაჯადოვა და დაიმორჩილა ტაგუმ სიცოცხლითა და მშვენებით აღსავსე გოგონა გაიანე.

როგორც ვხედავთ, მწერლის შემოქმედებითი ყურადღება ცხოვრების მახინჯი მოვლენებისადმი არის მიპყრობილი. ამასთანავე, მის მიერ დახატული სახეები მოკლებული არიან რაიმე განზოგადოებით მნიშვნელობას. ეს ნოველები არ შეიცავენ რაიმე მორალს, რაიმე საზოგადოებრივად აქტუალურ იდეას. ასევე ყოველგვარი სოციალური აზრისაგან განტვირთულია თავისთავად ცხოველი რეალისტური ფერადებით დახატული ის ყოფაცხოვრებითი სურათები, რომლებიც მოცემულია ნოველებში „წუთისოფელი“ და „ერთი თავგადასავალი“.

სოციალური ინდიფერენტიზმის გრძნობით აღბეჭდილი ასეთი ნოველების გვერდით ამ პერიოდში ლეო ქიაჩელი წერს უიმედობისა და სასოწარკვეთილების გამოხატველ ნაწარმოებებს. ნოველაში „პატარა ისტორია“ მწერალი მოგვითხრობს ახალგაზრდა რევოლუციონერის ბესიკის უბედურ თავგადასავალს. ბესიკი ღარიბი აზნაურის შვილი იყო. იგი რევოლუციურმა იდეებმა გაიტაცეს და ერთგულად ემსახურებოდა ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმეს. მაგრამ რა გამოვიდა აქედან? არა მარტო მთავრობის მხრივ სასტიკი დევნა და შურისძიება დაიმსახურა ბესიკმა თავისი რევოლუციური მოღვაწეობით, არამედ სოფელმაც, ხალხმაც ზურგი შეაქცია მას. სოფელმა იგი „ეშმაკის მოციქულად“ ჩასთვალა და მოკვლითაც კი დაემუქრნენ ბესიკს, თუ ის კვლავ გაბედავდა სიტყვის დაძვრას ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის ბრძოლაზე. ხალხმა მუქარით და დაჟინებით მოსთხოვა ბესიკს თავყანი ეცა ხატისათვის და შეესრულებია უმეცარი გლეხობის მიერ დადგენილი ცრუმორწმუნეობრივი ადათ-წესები. ბესიკმა ვერ აიტანა ყოველივე ეს. იგი ჭკუაზე შეიშალა, ხალხი კი გულგრილად შესცქეროდა მისი კეთილდღეობისათვის თავდადებული ადამიანის ასეთ ხვედრს. როდესაც გონებადაკარგული ბესიკი ვირზე შემჯდარი აუვლიდა და ჩაუვლიდა ხოლმე სოფლის ეკლესი-

ის ვალაჟანს, წირვაზე შეკრებილი მეზობლები არამც თუ სიბრაულსა და თანაგრძნობას არ გამოსთქვამდნენ მისადმი, არამედ ბოროტად დასცინოდნენ კიდევ.

ალეგორიულ-სიმბოლიური ხერხით დაწერილ ნოველებში „მუხა და ტირიფი“, „ზღაპარი ბედნიერებაზე“ და სხვა, მწერალი იმ აზრს განასახიერებს და ასაბუთებს, რომ ბედნიერება მიუღწეველია, იდეალი მიუწვდომელია, სიყვარულისა და ბედნიერების მაძიებელი აუცილებლად განწირულია დასაღუპად და იგი სწორედ მაშინ იგემებს გამანადგურებელ დარტყმას, როდესაც თავისი ოცნების განხორციელებას თითქოს მიუახლოვდა.

პროგრესისათვის, ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესებისათვის კაცობრიობის ბრძოლის უაზრობისა და უშედეგობის იდეა მწერალმა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა ნოველაში „Escalade“. აქ აღწერილია ფანტასმაგორიული სანახაობა ნიღბოსანი კარნავალისა, რომლითაც მთავრდებოდა ხოლმე ენევის კანტონში შემოღებული ყოველწლიური სამღლეამიანი ეროვნული დღესასწაული.

მწერალი ხატავს ამ კარნავალის სურათს, სადაც ყოველივე ფანტასტიკური და მოჩვენებითია, ხოლო თავისი თანამოსაუბრე ქალის სიტყვებით ამ უაზრო ვაკხანალიას მრავალმნიშვნელოვნად ადარებს კაცობრიობის ბრძოლას უკეთესი მომავლისათვის.

„არ გაგონებს განა ეს სურათი თვით კაცობრიობას, მის ბრძოლას, მის ცხოვრებას? რა კარგია! განა ასე ტყუილად არ იბრძვის თვით კაცობრიობა? განა ასე თავდავიწყებით არ ეპოტინება რაღაც იდეალს, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისეთივე სისულელეა, როგორც ხეზე ჩამოკიდებული ჩემი ნიღაბი და წითელ-ყვითელი მოსასხამი!“

ნოველის გმირი ქალის ამ სიტყვებშია განსახიერებული ნაწარმოების მთელი კონცეპცია და ამგვარ შთაბეჭდილებას სრულიადაც ვერ ანელებს ნოველის უკანასკნელ სტრიქონში მოცემული რეპლიკა: „ჰო, ეს ბებერი ევროპა! რომ არ ცხრება!“

ასეთი აზრებითა და განწყობილებებით არის გამსჭვალული ლეო ქაჩელის ადრინდელი ნოველების უმრავლესობა. მაინც ამ ნოველებში უკვე საკმაო სიცხადით გამოჩნდა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება: ყოფაცხოვრებითი სურათების ნათელი და ცხადი გამონატვის, ადამიანური ხასიათის მკვეთრად გამოკვეთის უნარი, მიმზიდველი და დამაინტერესებელი თხრობის ნიჭიერება. თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ პირველსავე საფეხურზე გამოიმუშავა ლეო ქაჩელმა სისადავით და ბუნებრიობით აღბეჭდილი საკუთარი სტილი მხატვრული მეტყველებისა.

ლეო ქიაჩელის ნაწარმოებთა პოეტიკის ეს თვისებანი საფუძველს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ლიტერატურული დეკადანსის ზეგავლენაში მძლავრად მოქცეულ ახალგაზრდა მწერალს სავსებით როდი ჰქონია გაწყვეტილი კავშირი რეალისტური ხელოვნების ტრადიციებთან. გარდა მშობლიური ლიტერატურის სახელოვანი რეალისტური და დემოკრატიული ტრადიციებისა, რომლებზეც აღზრდილი იყო ლეო ქიაჩელი, ახალგაზრდა მწერალს მხატვრული რეალიზმის პოზიციებისაკენ ეზიდებოდა სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის მაქსიმ გორკის შემოქმედებითი იდეების ზეგავლენა, რომელიც უკვე ჩვენი საუკუნის დამდგეს ცხოველ გამოძახილს პოულობდა არა მარტო რუსულ მწერლობასა და ჩვენი სამშობლოს ხალხთა ლიტერატურაში, არამედ ევროპის თითქმის ყველა მოწინავე, პროგრესულად განწყობილი მწერლის შემოქმედებაში. ამასთანავე, მიუხედავად დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებათა რკალში მოხვედრისა, ლეო ქიაჩელის სულიერ სამყაროში როდი ჩამქრალა ცოცხალი განცდა იმ დიდი საბრძოლო აღფრთოვანებისა, რომლითაც მოცული იყო ჩვენი ხალხი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში და რომლის უშუალო მონაწილეც თვითონ მწერალი იყო.

1914—15 წლებში საზღვარგარეთ ყოფნის დროს დაწერა ლეო ქიაჩელმა თავისი შესანიშნავი რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც არა მარტო მისი რევოლუციამდელი შემოქმედების საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს, არამედ რევოლუციის წინა პერიოდის მთელი ქართული ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული.

„ტარიელ გოლუაში“ ჰუმანიტი რეალისტური ხელოვნებით არის წარმოსახული ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე. რომანი სამეგრელოს ერთი პატარა სოფლის მოსახლე გლეხური ოჯახის თავგადასავალს მოგვითხრობს. მაგრამ მოქმედების სარბიელის ასეთი სივიწროვე სრულიადაც ხელს არ უშლის მწერალს კონდენსირებულად თვალწინ გადაგვიშალოს მთელი ჩვენი ხალხის, ქართული სოფლის, მშრომელი გლეხკაცობის ცხოვრება და ბრძოლა 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

ღრმა პოეტური განცდით გვიხატავს მწერალი სოფლის გამოფხიზლებისა და რევოლუციური ამოძრავების სურათებს, ხალხის თავდადებულ ამხედრებას თავისი დიდხნით ნანატრი და ნაოცნებარი სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად. მკითხველის თვალწინ გაივლის შემზარავი ეპიზოდები ამ სასტიკი შურისძიებისა, რომლითაც თვითმპყრობელურმა რეაქციამ უპასუხა ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებას: ადამიანის ღირსებისა

და უფლებათა ტლანქად ფეხქვეშ გათელვის, ეგზეკუციების, სოფლების დარბევა-აწიოკების, სახლების გადაწვის, ხალხის საუკეთესო შვილთა საპყრობილეებში დამწყვდევის ტიპიური სურათები. ამასთანავე მწერალი გვიჩვენებს როგორი ვერაგული ხერხებით აგზავნიდა რეაქციის სამყარო თავის შენიღბულ აგენტურას რევოლუციონერთა ბანაკში „ციხის შიგნიდან ასაფეთქებლად“. რომანში მხილებულია მთელი სისტემა ჯოჯოხეთური ღონისძიებებისა, რომლებითაც სასიკვდილოდ განწირული მონობისა და ტირანიის სამყარო გააფთრებულად წინ აღუდგებოდა ახალი, თავისუფალი ცხოვრების მზის ამობრწყინებას.

მრავალი მსხვერპლი გაიღო ხალხმა ამ ბრძოლაში, მრავალი ტანჯვა და უბედურება დატრიალდა რევოლუციის ჯარისკაცთა თავზე, მაგრამ ამან ვერ გატეხა ხალხის მეტრძოლი სული, ვერ ჩაჰკლა გამარჯვების რწმენა და ნებისყოფა. რომანი გამსჭვალულია ხალხის საბრძოლო საქმის ძლევამოსილების რწმენით. ეს ოპტიმისტური სული ჰქრის ნაწარმოების ყოველი სტრიქონიდან, თვით ისეთი ეპიზოდებიდანაც კი, სადაც ხალხის საუკეთესო შვილთა მძიმე ხვედრის შემზარავი სურათებია გადმოცემული.

საქართველოში, სადაც 1905 წლის რევოლუციამ, როგორც ამას უკვდავი ლენინი აღნიშნავს, განსაკუთრებულად ფართო და მძლავრი ხასიათი მიიღო, არ შეიძლებოდა არ შექმნილიყო მალალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც თაობებს უამბობდა ამ იშვიათად გმირული ბრძოლის შესახებ, უჩვენებდა რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა მიზნებისა და მისწრაფებათა სიმართლესა და სიდიადეს, მათი სულიერი სამყაროს სიმდიდრესა და კეთილშობილებას, და, რაც მთავარია, გაჰფანტავდა რეაქციის მოციქულთა მიერ შეთხზულ ცილისწამებას ხალხზე — თითქოს ხალხს უარი ეთქვას თავის საბრძოლო იდეებზე და ქედი მოეხაროს დროებით გამარჯვებული ტირანიის წინაშე.

ასეთი წიგნის დაწერა წილად ხვდა ლეო ქიაჩელს. „ტარიელ გოლუა“ შთაგონებული ჰიმნია 1905 წლის რევოლუციის დიადი საქმეებისა, ამ სახელოვანი ბრძოლის მესვეურებისა და მონაწილეების კეთილშობილურ სახეთა უკვდავსაყოფად. შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ითქვას, რომ მაქსიმ გორკის „დედას“ შემდეგ მხატვრულ მწერლობაში ასე მკვეთრად, შთაგონებულად და გამამხნეველად არავის გამოუხატავს 1905 წლის ეპოპეა.

თბრობის სიწრფელემ და სიმართლემ, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სიუჟეტის შეუნელებელმა განვითარებამ, კომპოზიციის სრულყოფილებამ, ტიპაჟის სიმკვეთრემ, განაყოფიერებულმა თემის ღრმა საზოგადოებრივი აქტუალობით და ნაწარმოებში განსახიერებული იდეის ცხოველმყოფელობით, მოუპოვეს ამ რომანს ნამდვილი სახალხო აღიარება და იშვიათი პოპულარობა.

რომანის მთავარი გმირი — ტარიელ გოლუა, ქართული მხატვრული პრო-

ზის მიერ შექმნილ საუკეთესო ადამიანურ სახეთა გალერეას უნდა მიეკუთვნოს. ამ ტიპის როგორც გარეგანი პორტრეტი, ისე მისი სულიერი სამყარო იმგვარადაა დახატული და განათებული რომანში, რომ მის ბუნებაში ჩვენი ხალხის, კერძოდ რევოლუციური გლახაკობის საუკეთესო თვისებათა ცოცხალ განსახიერებას ვხედავთ. 65 წლის ტარიელი ჭადარამოსილი, მაგრამ ფიზიკურადაც და სულიერადაც ჯერ კიდევ გაუტეხელი, ძალღონით სავსე, ხალხური სიბრძნით აღჭურვილი, დინჯი, გონიერი, უშიშარი და შეუდრეკელი, უაღრესად გულმართალი და პატიოსანი, თავისუფლებისა და სიმართლისათვის თავგანწირულად ამხედრებული, ჭეშმარიტად ხორცშესხმული სახეა — ჩვენი თავისუფლებისმოყვარე გმირი ხალხის ბუნების ღირსეულად გამომხატველი. მწერლის დიდი დამსახურება და მხატვრული გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მაღალი თვისებების შემცველი ტიპი მან დახატა ექვემიუტანლად ცოცხალი, სისხლ-ხორციით სავსე ადამიანის სახით, ადამიანისა, რომელიც სამუდამოდ ცოცხლობს მკითხველის ცნობიერებაში.

რომანი იწყება გაზაფხულის მზიანი დღის, წყნარი უქმე დღის, თითქოს განზრახ ხაზგასმული მშვიდი სოფლური ცხოვრების იდილიური სურათით. ეს თითქოს ისეთი სიმშვიდეა, რომელიც წინ უსწრებს ხოლმე ქარიშხლის ამოვარდნას, რათა უფრო მძლავრად გვეგრძნობინოს და განგვაცდევინოს მოახლოებული ჭექა-ქუხილის ძალა.

ტარიელ გოლუა, მომხიბლავი თვალტანადობის გლახი, საგარეოდ გამოწყობილი, თავისი ახალაგებული ოდის აივნიდან დასცქერის საკუთარ კარ-მიდამოს, სადაც ყველაფერი შრომისმოყვარეობისა და სიცოცხლის ხალისის ნიშნით არის აღბეჭდილი. თავისი ერთგული ცოლის — ბარბალესა და ობოლი ძმისწულის — პატარა გიოს გარემოცვაში, ოჯახურ ვითარებაში ვეცნობით პირველად რომანის მთავარ გმირს. უკვე ამ პირველი გამოჩენით ნაწარმოების სარბიელზე ვხედავთ ტარიელის მკაფიოდ ინდივიდუალურ სახეს, მისი ბუნებისა და ხასიათის განმსაზღვრელ თვისებებს. უკვე ეს გარეგნულად წყნარი და უშფოთველი სურათი გამსჭვალულია რაღაც ძვრისა და აფეთქების მოლოდინით. ტარიელი თავის პატარა ძმისწულთან საუბარში ხუმრობანარევი ცნობისმოყვარეობით ცდილობს გაიგოს ყველაფერი, რაც შეეხება სოფლად „ერთობის“ შემოსვლას. სჩანს ატმოსფერო აღვისილია ამ „ერთობის“ მოლოდინით და იგი მართლაც უკვე მოსულა თურმე სოფლად. ჯერ გიოსაგან, შემდეგ საგანგებოდ მოსული ბეჟანასაგან ტარიელმა შეიტყო, რომ წუხელ „ერთობის“ ხალხს და მათ მეთაურს ლევანს — ტარიელის ერთადერთ ვაჟს — გამოსვლა მოუწყვიათ სოფლად, „ერთობის“ ერთგულებაზე დაუფიცებიათ

აზნაურები, ხოლო მდიდარი მემამულის დავითის ოჯახიდან გაუტაცხიათ კიდევ მისი ქალიშვილი თინა.

თინასა და ლევანს დიდი ხანია ფარულად უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ წოდებრივი განსხვავების უფსკრული თიშავდა და აშორებდა მათ. ახლა, განმათავისუფლებელი მოძრაობის ფერხულში ჩაბმულ ლევანს უკვე აღარაფრად მიუჩნევია ეს დაბრკოლება და ქალი შამის ნების წინააღმდეგ წაუყვანია სახლიდან. დავითი შეიარაღებული მსლებლებით დადევნებია ლევანს და მის მეგობრებს, საფარში მიუმწყვდევიან ისინი. კიდევ რამდენიმე წუთი და უნდა გაჩაღდეს ხელჩართული ბრძოლა, რომელიც უეჭველად ლევანის დამარცხებით და დავითის გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, ასეთია ძალთა შეფარდება.

თუ რომანის პირველ სურათში ვხვდებით ტარიელ გოლუას მშვიდი და წყნარი ოჯახური ცხოვრების ვითარებაში, ახლა იგი უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეჯახებულ ძალთა უაღრესად დაძაბული დაპირისპირების გარემოცვაში გამოჩნდება, რათა კიდევ უფრო მკვეთრად დაეინახოთ მისი მაღალი ადამიანური ბუნება, შინაგანი ძალა, მორალური სისპეტაკე.

შვილის სახიფათო მდგომარეობით უაღრესად შეშფოთებული ტარიელი იმდენ თავდაპერილობას, გონიერებას, აუჩქარებლობას იჩენს, რომ თავის ნებისყოფას უმორჩილებს ორივე მებრძოლ მხარეს და საქმეს უსისხლოდ ამთავრებს. ტარიელმა აიძულა ლევანი დავითისათვის ქალი დაებრუნებია და ამით მოაგვარა კონფლიქტი, რომელიც, ტარიელის რწმენით, მისი შვილის აშკარად შემცდარი ნაბიჯის შედეგს წარმოადგენდა. იმავე დამით შინდაბრუნებულ ლევანს ტარიელი უწუნებს აჩქარებულ, მოუფიქრებელ საქციელს და ჩააგონებს, რომ „საზოგადო საქმე უანგაროდ და წმინდად უნდა კეთდებოდეს, ინტერესი, — სიყვარულიც რომ იყოს, — შიგ არ უნდა გარიო!.. სოფელი დაგაფასებს და მსხვერპლს ათასად აგინაზღაურებს... საჭიროა, ლევან, პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგრძნობაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება — ბედნიერება არ იქნება“.

ლევანი მეტუხნრე მუშაა, ქალაქთან დაკავშირებული. ამიტომ მან პირველმა შემოიტანა სოფლად „ერთობის“ აზრი და სწორედ მისგან გაიგო და გაიზიარა ეს აზრი ტარიელმა. მაგრამ თავის მხრივ ტარიელი შვილია უტუ შიქავას ლაშქარში დაღუპული მეგრელი გლეხისა, მასაც ძვალ-რბილში აქვს გამჭდარი სახალხო საქმისათვის ბრძოლის ტრადიცია. მას ცხოვრების მდიდარი გამოცდილება აქვს და შეუძლია ბევრი რამ სასარგებლო უჩიოს და ასწავლოს სოფლად ახალფეხადგმული მოძრაობის ახალგაზრდა მეთაურს ლევანს. მამა-შვილის საუბრის შემდეგ მათ შორის სრული თანხმობა დამყარდა. ტარიელი ერთგულად შეუერთდა ლევანის მეთაურობით დაწყებულ ბრძოლას. მათს ასეთ

ურთიერთობაში მწერალმა თავისი ავანგარდის — მუშათა კლასის საბრძოლო საქმისადმი მშრომელი გლენჯაცობის მოწინავე ნაწილის თავდადებული ერთგულება გამოხატა.

შემდეგ რომანის გმირებს უკვე სოფლად მძლავრად გაშლილი ბრძოლების გარემოცვაში ვხვდავთ. აი, მდინარე ბროლიას პირად, ხეივანში, „სამცაცხვის“ ძირში სოფლის პირველი კრებაა გამართული, ტარიელი მეთაურობს კრებას. ლევანი ხალხს განუმარტავს დაწყებული ბრძოლის აზრსა და მიზნებს. ეს კრება სოფლის ახალი ცხოვრების დასაწყისი იყო. აქ პირველად გაიგონეს და შეიყვარეს გლენებმა სიტყვა „ამხანაგო“. „აღტაცება დიდი იყო, თითქოს დიდი ტვირთი ჩამოეხსნათ, ისე თავისუფლად ამოისუნთქა ხალხმა... ნაკრებებს ხალხი ერთმანეთს ხელს ართმევდა, ულოცავდა. მიუხედავად იმისა, რომ გვიან იყო, დაღლილობა არავის ეტყობოდა. თუ ჩემად მალულად დაიწყო კრება, გათავდა დიდი ხმაურობით; მოუთმენელმა ახალგაზრდობამ რევოლუციებიც კი დასცალა და ჯგუფურად სიმღერით სოფლის შუაგულსაკენ გასწია.“

მაგრამ ამ აღფრთოვანებას მალე მოჰყვა მთავრობის რისხვაც. სოფლად მაზრის უფროსი ჩამოვიდა აჯანყებულთა მეთაურების შესაპყრობად. სოფელმა პირი შეჰკრა და კრებაზე არავინ გამოცხადდა. გაბრაზებულმა მაზრის უფროსმა მხოლოდ ტარიელ გოლუას შეპყრობა შესძლო. მაგრამ სოფელმა არ დაანება მთავრობას თავისი საყვარელი მოხუცი. რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდა მაზრის უფროსს და მის მხლებლებს და სროლა აუტეხა მათ. ტარიელი გაანთავისუფლეს. ეს იყო აჯანყებული გლენობის პირველი შეიარაღებული შეჯახება პოლიციასთან, პირველი ნამდვილი საბრძოლო ნათლობა.

ასეთი სისწრაფით ანვითარებს მწერალი მოვლენებს, რომელთა დინამიკურ თანმიმდევრობაში აღმავლად იშლება რომანის სიუჟეტი და სულ უფრო მკვეთრად ვლინდება მისი მთავარი გმირის — ტარიელ გოლუას იშვიათად რაინდული და კეთილშობილური ბუნება. თანდათანობით გამოდიან რომანის სარბიელზე პერსონაჟები, რომელთა მკაფიოდ ინდივიდუალური სახეები ავსებენ ჩვენს წარმოდგენას აჯანყების ცეცხლში გახვეულ სოფელზე. აი, ერთი მათგანი — მუნჯი ბაჩუა, რომელიც გარეგნულად უბადრუკ და უმწეო აღამიანად გამოიყურება, მაგრამ რომლის არსებაში თურმე მძლავრი და სპეტაკი სულია დასადგურებული. ბაჩუა ისეთი თავგანწირულებით შეებრძოლა მაზრის უფროსის მხლებლებს, ისეთი მხნეობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა ტარიელის განთავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლაში, რომ მტრებიც კი განაცვიფრა. ბაჩუას ყოველი გამოჩენა რომანში და მისი სიკვდილის ოსტატურად აღწერილი სურათი ამ ნაწარმოების უძლიერესი პასაჟების წყებას ეკუთვნის.

დიდი ზნეობრივი ზეგავლენა, რომელიც მოახდინა ლევანზე ბაჩუას თავგანწირულმა საქციელმა, გვიჩვენებს, თუ როგორ სწავლობდნენ თავის მხრივ ხალხისაგან, უბრალო ადამიანებისაგან, მოძრაობის მესვეურები და მე-თაურები.

ძირფესვიანად შეიცვალა სოფლის ცხოვრება. ხალხმა იგემა თავისუფლების სიტკბო. მტერი დროებით მიუყუჩდა და მიიძალა, მაგრამ მან ახლა ვერაგულ ხერხს მიმართა. აზნაურ დავითის ერთგულმა დამქაშმა ცნობილმა ყაჩაღმა გაიოზ გადალენდიამ, რომელიც თავს თინას საქმროდ თვლიდა და ამ მხრივაც მტრულად იყო განწყობილი ლევანისადმი, განიზრახა შეპარულიყო აჯანყებულთა ბანაკში და მოლაღატური საქმიანობით დაეჩქარებია გლეხობის დამარცხება. გაიოზმა ოსტატურად გაითამაშა დავითთან ვითომდა გადამტერების ინსცენირება, დაარწმუნა სოფელი, თითქოს მან იგრძნო სინდისის ქენჯნა. შეიგნო თავისი ყველა შეცდომა და დანაშაული, მოინდომა თავი შეეწირა სახალხო საქმისათვის. გაიოზმა იმდენი უნარი გამოიჩინა თვალთმაქცობასა და ცბიერებაში, ისე მოხერხებულად შეინიღბა, რომ ხალხის სიბრაღული და ბოლოს ნდობაც მოიხვეჭა. ასე სახიერდება „ტარიელ გოლუაში“ რეაქციული სამყაროს ბრძოლის ვერაგული, მუხანათური საშუალებანი, რომლებიც დამახასიათებელია სასიკვდილოდ განწირულ სოციალური ფენებისათვის კლასობრივი ბრძოლების ყოველ ეტაპზე.

წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენ სურათს წარმოადგენს რომანის ის თავი, სადაც აღწერილია სოფლად მთავრობის დამსჯელი ექსპედიციის შემოჭრა: გაცოფებული მაზრის უფროსის და ბოქაულის, მათი მხლებელი „პლასტუნების“ რაზმის თარეში დაუვიწყარი ძალით გვიჩვენებს, თუ როგორი დაუნდობლობით და არაადამიანური ვერაგობით უსწორებდნენ ანგარიშს თვითმპყრობელობის სატრაპები თავიანთი ღირსებისა და თავისუფლებისათვის ამჩუდრებულ ხალხს.

ცეცხლი და მახვილი დატრიალდა სოფლად. ყველაზე ადრე ცეცხლს მისცეს ტარიელ გოლუას სახლ-კარი. ტარიელი ამ დროს მთიან სოფელში იყო შეხიზნული... თავისი მასპინძლის ეზოდან დაინახა მან კვამლი და ალი, რომელიც მის სახლ-კარს ანადგურებდა. დიდი მხატვრული ტაქტით და ზომიერებით გადმოგვცემს მწერალი იმ ვაჟკაცური მწუხარების განცდას, რომელმაც მოიცვა ტარიელი ამ სურათის დანახვისას. მოხუცს თვალეზზე ჩამოფარებული ხელები აუკანკალდა, ჰაღარა წვერებზე ცრემლის წვეთები ჩამოეკიდა, მაგრამ მას იმდენი ძალა აღმოაჩნდა, რომ გამწარებული ცოლი დაემშვიდებია და, რაც მთავარია, ეფიქრა სოფლად დაბრუნებაზე, მთავრობის წინაშე წარდგომაზე, ვაითუ მეძებენ და ჩემი გულისათვის აწიოკებენ სოფელსო.

რაც უფრო მძაფრდება ვითარდება, რაც უფრო მეტი უბედურება ატყდება თავს ტარიელს, მით უფრო დიადი და მომხიბლავი ჩანს მისი ბუნება, მისი გონებისა და გულის ძალა.

სინამდვილე კი ზედიზედ აგემებს ტარიელს ერთმანეთზე უმძიმეს დარტყმებს. ჭერ არც კი იყო იგი გამორკვეული სახლ-კარის გადაწვის შემზარავი სურათისაგან, რომ ამბავი მოუტანეს კიდევ უფრო საშინელი ხიფათის შესახებ.

გიომ აცნობა ტარიელს თინასაგან გაგებული ამბავი, რომ გაიოზ გადალენდია მოლაღატურად ყოფილა შეპარული აჯანყებულთა რიგებში ლევანის მოკვლის მიზნით. ამ ამბით თავზარდაცემული ტარიელი გარბის შვილის მოსანახავად. ხიფათისაგან მის დასახსნელად, მაგრამ ამოოდ, მან შვილის კვალს ვერ მიაგნო. სასოწარკვეთილი მამა ევედრება ცასა და ქვეყანას დაიფარონ იგი შვილის დაღუპვის უბედურებისაგან. ტარიელის შიში და გამწარება კიდევ უფრო მძაფრდება, როცა ბეჟანისაგან გაიგებს, რომ სწორედ ახლა, ამ საშინელ ღამეს ლევანი და გაიოზი მარტონი არიან ტყეში, უკაცურ ადგილას, სახიფათო გზაზე.

ასეთი აღმავალი ძალით ამძაფრებს მწერალი თავისი გმირის სულიერ დრამას და დაუცხრომელი ექსპრესიით მიაქანებს რომანის სიუჟეტს თავისი კულმინაციური მომენტისაკენ.

აი, ტარიელი და ბეჟანი ღამის წყვედიაღში თავგამეტებით მიაჭენებენ ცხენებს უაღრესად სახიფათო ბილიკებზე, რათა დაეწიონ ლევანსა და გაიოზს, ჩაშალონ ავაზაკის ვერაგული განზრახვის განხორციელება. ლევანი და გაიოზი კი ამ დროს აუჩქარებელი ნაბიჯით მიიკვლევენ გზას ბროლიას სანაპიროსაკენ და მათ დიალოგში უკვე მწიფდება და ახლოვდება კატასტროფა.

ადამიანის ფიქრთა და განცდათა მოძრაობის დიდი ცოდნით არის შესრულებული ლევანისა და გაიოზის უკანასკნელი დიალოგის მთელი ქსოვილი. ამ დიალოგის ყოველი ფრაზა აჩქარებს საშინელ დასასრულს. გაიოზზე გულუბრყვილოდ დანდობილი ლევანი თავის პირად განცდებზე იწყებს საუბარს ვერაგ თანამგზავრთან, გაიოზიც ორჭოფულად და ორაზროვნად პასუხობს. გაიოზის მოულოდნელი გაცხარებით გაკვირვებული ლევანი თავისი ყოველი ახალი რებლიკით კიდევ უფრო აბრაზებს გაიოზს და აახლოვებს მის ჯოჯონეთურ დანაშაულს. მთელი ეს ეპიზოდი, რომელიც ლევანის მუხანათური მოკვლით მთავრდება დიდი შინაგანი დაძაბულობით არის დაწერილი და ნაცადი ხელოვნებით შესრულებული.

იმ წუთებში, როცა ლევანი იღუპებოდა, ტარიელი და ბეჟანი უკვე შორს აღარ იყვნენ მკვლელობის ადგილისაგან. ეს ახალი, უკიდურესი უბედურება კიდევ მეტი მონუმენტურობით მოსავეს ტარიელის სახეს: მწერალი ახერხებს უტყვე მოძრაობებში პლასტიკური სიმკვეთრით გამოხატოს მამის უსაზღვრო

მწუხარება, რომლის გამოსათქმელადაც ყოველი სიტყვა უძლური იქნებოდა. ამ ტრაგიკულ წუთებშიც ტარიელს აღმოაჩნდება გონების და ნებისყოფის ძალა, რომ ბეჟანას მისი მოვალეობა მოაგონოს, გზა დაულოცოს შემდეგი ვაჟაკური საქმეებისათვის, ხოლო თვითონ კი თავის შვილთან ერთად შეეგებოს შემთხვევის ადგილისაკენ მიმავალ ჯარს.

განვლო დრომ. გიომ და ბეჟანამ სამაგიერო გადაუხადეს გადალენდიას, დაუნდობლად მოჰკლეს ბორბოტი ავაზაკი.

რომანის ეპილოგში მოცემული სურათი აკვირგვინებს ნაწარმოებში ასახულ მოვლენათა თანმიმდევრობას: ციხიდან თავდალწული ტარიელი სოფელს დაბრუნებია. იგი მხნედ შედგომია თავისი განადგურებული სახლ-კარის აღდგენას. მთელი სოფელი მხარში ამოდგომია მოხუცს. განცილდ მრავალ უბედურებას კი არ ჩაუქვრია ტარიელის გულში ბრძოლის ჟინი, არამედ კიდევ უფრო გაულრმავებია და აღუგზნია იგი. და აი, როცა სოფლად გამოჩნდა სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდა, ტარიელმა პირველმა გამოთქვა სურვილი წასულყო რეაქციის ძალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მთელი სოფელი გაჰყვა ტარიელს.

რომანის ეპილოგი მრავალმეტყველი აპოთეოზით მთავრდება: ტარიელს გარს შემოხვევია მოხუცის მიერ ნაჩვენები მაგალითით საბრძოლოდ აღფრთოვანებული ახალგაზრდობა: „ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროს ქარიშხალით ტოტებშემსხვრეული, აქა-იქ კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩს ტყეში“.

აქ ტარიელ გოლუა მეტყველად განასახიერებს დროთა მრავალი ქარიშხლის გადამტანი, მათ გრიგალურ ქროლვაში გასალკლდევებული, ფესვმაგარი ჩვენი სამშობლოს უძლეველობას და უკვდავებას.

შავი რეაქციის მიძინვარების სუსხიან ხანაში ლეო ქიაჩელი თავის ამ შესანიშნავი ნაწარმოებით დამაჯერებლად გამოხატა ჩვენი ხალხის მარად მოუღუნებელი და დაუცხრომელი მებრძოლი სული და შთაგონებულად უმღერა მას.

1917 წელს, თებერვლის რევოლუციის პერიოდში, ლეო ქიაჩელი უცხოეთიდან საბოლოოდ დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროისათვის იგი უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი მწერალი იყო. მკითხველი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც, ერთის მხრივ, მოღუერი დეკადენტური სამწერლო სკოლებით გატაცებულ ნოველისტს, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც რეაქციის პერიოდის ქართული მწერლობის ყველაზე მკაფიოდ რეალისტური ნაწარმოების — „ტარიელ გოლუას“ ავტორს.

მენშევიკური საქართველოს მთელი ვითარება და კერძოდ ამ წლების ქართული მწერლობის მდგომარეობა, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობდა ლეო ქიჩელის შემოქმედებაში „ტარიელ გოლუათი“ აღნიშნული ჯანსაღი იდეურ-შემოქმედებითი ხაზის განვითარებას. პირიქით, როგორც ვიცით, მენშევიკური დიქტატურის წლებში ქართულ მწერლობაში ბურჟუაზიულ-დეკადენტური სკოლების ჰეგემონია დამკვიდრდა. ასეთ ლიტერატურულ გარემოცვაში ლეო ქიჩელი კვლავ თავის ადრინდელ ნოველებში გამოხატულ ანტირეალისტურ შემოქმედებითს პოზიციას უბრუნდება.

საკმარისია გავეცნოთ მწერლის ზოგიერთ ნოველას, რომლებიც 1918 — 1920 წლებით არის დათარიღებული, რომ სავსებით ნათელი გახდეს, თუ რა თემებისა და იდეების სამყაროში ტრიალებდა მწერალი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ ეტაპზე.

აი, ნოველა „შეურაცხყოფილი“. ამ ნაწარმოების გმირი ახალგაზრდა ინტელიგენტი ილიკო უამბობს მის ბინაზე შეკრებილ მეგობრებს ერთ უცნაურ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონია მის ცხოვრებაში. სტუდენტობის დროს ილიკოს მეზობლად თურმე ვიღაც ახალგაზრდა ქალი ცხოვრობდა. ერთ საღამოს საღამოც წასულა ეს ქალი და თავისი ოთახის ფანჯარა ღია დაუტოვებია. სიო არხევდა ფანჯრის ფარდას. ფარდის შრიალი ისეთ ილუზიას ქმნიდა ილიკოს წარმოდგენაში, თითქოს ქალი ოთახში ყოფილიყოს, თითქოს იგი ტანსაცმელს იხდიდეს, თმას ივარცხნიდეს, დასაწოლად ემზადებოდეს და სხვ. ვნებათა დელუსიასგან ალტაცებულმა ვაჟმა ინსტინქტურად შეაღო კარი, რომელიც მათ ოთახებს აკავშირებდა, შეიჭრა ქალის ოთახში და დაინახა... რომ თურმე ყველაფერი, რასაც იგი გონების და წარმოდგენის თვალთ ხედავდა, მხოლოდ ილუზია იყო.

რა დასკვნა გამომდინარეობს ამ ისტორიიდან? „იქნება ის, რაც ჩვენ ასე გვიზიდავს ცხოვრებაში, რაც იმდენ ალტკინებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწირვინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს და ისეთი სრულიად უმნიშვნელო რამ იყოს, ვთქვათ, როგორც ჩხირის გატეხა, ან ღია ფანჯარაზე ჩამოკიდებული ფარდის შრიალი ნიავის გაქროლებასზე“.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამგვარი ნაწარმოებებით ლეო ქიჩელი დაუბრუნდა ცხოვრების, ბრძოლისა და პროგრესის აზრის უარმყოფელობის იმ სკეპტიკურ თვალსაზრისს, რომელსაც უფრო ადრე იგი თავის „Escalade“-ში და სხვა მსგავს ნოველებში გამოხატავდა. ამავე პერიოდში დაწერილი ნოველა „მკვლელობა კოხტა გორაზე“ გვიჩვენებს, რომ მწერალი თვითმიზნური ესთეტიზმის, მწერლობის უიდეობის პოზიციას იცავდა. ამ ნოველაში მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ მოკლა ნაწარმოების გმირმა, ახალგა-

ზრდა კაცმა, თავისი უსაზღვროდ საყვარელი ქალწული რაღაც ცრუმორწმუნეობრივი წარმოდგენებისა და უაზრო ექვიანობისა გამო. ეს ნაწარმოები მოკლებულია ყოველგვარ განზოგადებით მნიშვნელობას რაიმე სოციალურ აზრსა და დანიშნულებას.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების დიადი განახლების წლებში, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების წლებში, ლეო ქიაჩელი დიდხანს რჩება დეკადენტური ტრადიციების ტყვეობაში. ამ პერიოდში ლეო ქიაჩელი მემარჯვენე კონსერვატიული ლიტერატურული ბანაკის ერთი აქტიური წარმომადგენელთაგანია. იგი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და რედაქტორი ურნალ და გაზეთ „ლომისისა“, გაზეთ „ქართული სიტყვისა“ და სხვა ისეთი ლიტერატურული ორგანოებისა, რომლებიც თავის გარშემო აერთიანებდნენ რევოლუციის მიერ დამარცხებული რეაქციული კლასების სულისკვეთების გამომხატველ ლიტერატურულ ძალებს. 1927—1928 წლებში ლეო ქიაჩელი იყო ერთი ინიციატორთაგანი უაღრესად მემარჯვენე ლიტერატურული კორპორაციის „არიფიონის“ დაარსებისა.

ამ წლებში ლეო ქიაჩელის შემოქმედება არა თუ არ ასახავდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად სოციალურ ძვრებს, არამედ ხაზგასმულად გამოეთიშებოდა სოციალური სინამდვილის თემებსა და პრობლემატიკას.

ნოველაში „კრიმინალური“ ავტორი მოგვითხრობს ზღაპარს იმის შესახებ, თუ როგორ მოხერხებულად და ვერაგულად დალატობდა დაფინო თავის მეუღლეს ჯამლეთს; ნოველაში „მე და ჩემი ორი მე“ მწერალი ხატავს შინაგანად დარღვეული ადამიანის უცნაურ სულიერ სამყაროს, ხოლო „ისკანდერში“ ასახავს რაღაც ფანტასტიკურ შემთხვევას, როდესაც ადამიანი კვდება, მაგრამ ისევ მეტყველებს და დამლუპველად შემზარავ გავლენას ავრცელებს ირგვლივ.

ასე შორდებოდა მწერალი საზოგადოებრივი სინამდვილის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისა და სულიერ მისწრაფებათა სამყაროს. მწერალი გამოუვალი შემოქმედებითი ჩიხისაკენ მიექანებოდა.

ოციანი წლების მეორე ნახევარში, რევოლუციამდელი სამწერლო ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ლეო ქიაჩელიც იწყებს დეკადენტური ტრადიციებისაგან თავის დაღწევას, წრფელად და თანმიმდევრულად გადმოსვლას რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე. მწერლის ასეთი შემობრუნების პირველ სერიოზულ გამოხატულებას წარმოადგენდა 1926 — 1927 წლებში დაწერილი მისი მრავალმხრივად საყურადღებო რომანი „სისხლი“.

თემატიკური თვალსაზრისით „სისხლი“ „ტარიელ გოლუას“ გაგრძელებას წარმოადგენს. რომანი ასახავს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედე-

გად გამძვინვარებული რეაქციის წლების ვითარებას, იმ სასტიკ შურისძიებას, რომლითაც დროებითი გამარჯვებით ფრთაშესხმული რეაქციული ძალები ანგარიშს უსწორებდნენ რევოლუციის მონაწილეთ, იმ თავდადებულ რევოლუციურ ბრძოლას, რომელსაც ამ ბნელსა და სუსხიან წლებში ხალხის საუკეთესო შვილები განაგრძობდნენ.

რომანის მრავალრიცხოვანი პერსონაჟები განასახიერებენ იმ წლების საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე მოქმედ სხვადასხვა სოციალურ ფენებს და პოლიტიკურ მიმდინარეობებს. ბევრი მათგანი ცხოველი საღებავებით არის დახატული და ღრმა განზოგადებითი ძალის ტიპიურ სახეებად გვევლინებიან. რომანის ფურცლებზე მეტყველად არის აღბეჭდილი აღებულებული ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელი მთელი რიგი ყოფაცხოვრებითი სურათები და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები.

რომანის რთული და მრავალხაზოვანი სიუჟეტური კომპოზიციის საფუძველს ახალგაზრდა რევოლუციონერი გლეხის ანდრო ქარივაძის ცხოვრების ისტორია შეადგენს. წიგნის პირველსავე გვერდზე ვხვდავთ უზომოდ შეშფოთებულსა და სულიერად აფორიაქებულ ანდროს. მისი საცოლუ ვარდო ვარაძე, რომელიც ანდროს წრფელი და სპეტაკი გრძნობით უყვარდა, ძალდატანებით ცოლად მიუთხოვებიათ ქუთაისის საგუბერნიო ციხის უფროსის -- მელიტონ აბლანდიასათვის. ამავე დროს სოფელს თავს დასხმია პოლიციელთა რაზმი. რომელსაც ანდროს ბინაც გაუჩხრეკია და რაკი იქ პოლიტიკური პროკლამაციები აღმოუჩენია, ანდროს შეპყრობა გადაუწყვეტია. ანდროს სოფლად აღარ დაედგომება, იგი იძულებულია ქალაქ ფოთს მიაშუროს, რათა შეუერთდეს რევოლუციონერ მუშათა წრეს, მით უფრო, რომ ფოთში ეგულება თავისი სიყვარვის მეგობარი, ახალგაზრდა თავადი -- ინტელიგენტი არჩილ დადაშიანი, რომელიც ფოთის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ითვლება. ფოთის რევოლუციონერ მუშათა წრეში მოხვედრილი ანდრო მოწამე ხდება აზრთა და პოლიტიკურ მისწრაფებათა იმ წინააღმდეგობისა; რომელიც აღმოცენებულია მენშევიკ დადაშიანსა და ბოლშევიკურად განწყობილ მუშებს შორის. მიუხედავად არჩილისადმი ბავშვობიდანვე შთანერგილი სიყვარულისა და ერთგულებისა, ანდროს გული ერთბაშად იხრება ბოლშევიკი მუშის ნიკოსა და მისი თანამებრძოლებისაკენ.

ფოთს ჩასვლის პირველსავე დღეებში მოუხდა ანდროს მიეღო საბრძოლო რევოლუციური ნათლობა: მან მონაწილეობა მიიღო ფოთისაკენ მომავალ მატარებელზე ნიკოს მეთაურობით მოწყობილ თავდასხმაში, რომლის მიზანსაც პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლება შეადგენდა. პოლიციის ძალებთან ამ

უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული ნიკო კონსპირაციულად ჩამოვიდა ქუთაისის ანდროს თანხლებით. ამ დროისათვის პარტიულ საქმეებზე ქუთაისის ჩამოსული არჩილ დადამიანი პოლიციამ დააპატიმრა და ციხეში მოათავსა. არჩილი დაპატიმრებამდე ქუთაისში ცხოვრობდა თავის ახლობელ მეგობართან შალვა რამაძესთან, ეს უკანასკნელი დიდად გავლენიანი თავადის ვაჟი. იყო, ერთ-ერთ ნაციონალისტურ პარტიას ეკუთვნოდა და ჟურნალისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. რამაძეების ოჯახში ცხოვრობდა შალვას ბიძაშვილი, ახალგაზრდა ქალი ცაცა რამაძე, რომელთანაც არჩილი რომანული ურთიერთობით იყო დაკავშირებული.

ამრიგად, რომანის სიუჟეტური განვითარების ყოველი ახალი ეტაპი აფართოებს მოქმედ პირთა წრეს და ნაწარმოების დიპაზონსაც. ამასთანავე, მწერალი საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობის ასახვას მჭიდროდ აკავშირებს თავისი გმირების პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სამყაროსთან.

არჩილის ნათესაებებთან და მეგობრებთან ერთად ქუთაისის ციხეში დადაშინანის სანახავად მისულმა ანდრომ შემთხვევით თვალი მოჰკრა ვარდოს, რომელიც ახლა უკვე ამ ციხის უფროსის მელიტონ აბლანდიას ცოლი იყო. ამ შემთხვევამ ახალი სიმწვავე შემატა ანდროს გულის წყლულს და კიდევ მეტად გაამძაფრა მისი ზიზღი და გულისწყრომა რეაქციული სამყაროსადმი.

მასალის ღრმა ცოდნით ხატავს მწერალი ციხის ცხოვრებას, კერძოდ, პოლიტიკურ პატიმართა ყოველდღიური ყოფის სურათებს. პარალელურად რომანში ასახულია რევოლუციური ორგანიზაციების კონსპირაციული საქმიანობა. განსაკუთრებული სიმკვეთრით არის აღწერილი ქუთაისის ციხეში გვირაბის გაყვანისა და ამ საშუალებით პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლების ცნობილი ფაქტი. რომანის ეს თავები რეალისტური თხრობისა და აღწერილობის მაღალი ხელოვნებით არის შესრულებული. ყოველი სურათი აქ ღრმად დამაჯერებელია და მხატვრული სიმართლით აღბეჭდილი. ავტორის შემოქმედებით წარმატებას ამ შემთხვევაში დიდად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ თითქოს ყველაფერი აქ მოთხრობილი და აღწერილი რამდენადმე ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მწერალი პირადად იყო ამ მოვლენების მოწმე და მონაწილე.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს რომანის ის ნაწილი, რომელშიაც მოთხრობილია ვარდო ვარაძის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი. მეფის ერთგული მსახური, სასტიკი და დაუნდობელი სატრაპი მელიტონ აბლანდი ანა მარტო ციხის უფროსის სამსახურებრივ პოსტზე იყო ვერაგი და გულქვა, ასეთი იყო ოჯახშიაც. ძალდატანებით გათხოვილი ვარდოსათვის აუტანელ სატანჯველს წარმოადგენდა საძულველ დესპოტ ქმართან — მელიტონთან ცხოვრება. აბლანდიამ სრულიად შემთხვევითი გარემოების საფუძველზე ეჭვი შეიტანა ვარდოს პატი-

ოსნებაში, ლალატი და გარყვნილება დასწამა მას. დაუნდობლად სცემა უდანაშაულო ქალს. ვარდომ ვერ აიტანა ასეთი დაუმსახურებელი შეურაცხყოფა და რაკი აბლანდიას კლანჭებიდან გაქცევა ვერ შესძლო, რიონის ტალღებში დაიხრჩო თავი.

ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულსა და შემზარავი შთაბეჭდილების მომხდენ სურათებშია ასახული ვარდოს დაკრძალვის სცენა, ქალის ნათესავეების მოთქმა-გოდება, რომელიც აღწევს საკანში და უზომო სულიერ ტკივილს აყენებს არჩილ დადაშიანს. იშვიათი ხელოვნებით გვიჩვენებს მწერალი ვარდოს საფლავზე განმარტოებით მისულ ანდროს განცდებსა და გრძნობებს.

სწორედ ვარდოს დაკრძალვის დღეს ანდროს აქტიური მონაწილეობით განხორციელდა გვირაბის საშუალებით ქუთაისის ციხიდან პოლიტიკურ პატიმართა და მათ შორის არჩილ დადაშიანის გაქცევა. ციხის ადმინისტრაცია და ქალაქის პოლიცია ფეხზე დადგა. განსაკუთრებული მძვინვარებით დათარეშობდა მელიტონ აბლანდია. აუცილებელი გახდა ამ ვერაგი და დაუცხრომელი რეაქციონერის თავიდან მოცილება. ამ გადაწყვეტილების განხორციელება ანდრომ იკისრა. მან იშვიათი მოხერხებულობით და ვაჟკაცობით ბოლო მოუღო ხალხის საზიზღარი მტრის, ვარდოს დამღუპველი აბლანდიას სიცოცხლეს.

ანდროს ცხოვრების ამბის თხრობა რომანში მთავრდება იმ ეპიზოდით, როდესაც იგი მუშა-ბოლშევიკ ნიკოსთან ერთად ბათუმის სადგურზე დააპატიმრა ჟანდარმერიაში.

რომანის უკანასკნელ თავებში მოთხრობილია არჩილ დადაშიანის მოსკოვს გამგზავრება შალვა რამაძესთან ერთად, არჩილის იდეური კაპიტულაცია და მისი მოქცევა რამაძის ნაციონალისტური იდეების გავლენაში, მოსკოვში ჩასული დადაშიანის შეხვედრა ცაცა რამაძესთან და მათ შორის ურთიერთობის ახალი გამწვავება და ბოლოს ქუთაისის ციხიდან გამოქცეულ ბოლშევიკ გოგიასთან ერთად დადაშიანის გამზადება ევროპაში, ემიგრაციაში წასასვლელად.

ამრიგად, რომანი ფართოდ და მრავალმხრივად ასახავს რეაქციის წლების საზოგადოებრივ ვითარებას. არა ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თუ პროცესი რომანში პირუთვნელი ისტორიული სიმართლით და მხატვრული დამაჯერებლობით არის ასახული. ანდრო ქარივადის ცხოვრების ისტორია მკაფიოდ გამოხატავს ქართველი გლეხობის მოწინავე ნაწილის იდეურ ზრდას და წრთობას რეაქციის ძალებთან ბრძოლაში, ხალხის ფართო ფენებში ბოლშევიზმის გავლენის სწრაფ გავრცელებასა და განმტკიცებას, ხალხის საუკეთესო ნაწილის ჩამოშორებას მენშევიკების ოპორტუნისტული პოლიტიკისაგან. არჩილ დადაშიანის სახის დახატვით, ამ სახის შინაგანი ევოლუციის გადმოცემით მწერალმა ნათლად დაგვანახა მენშევიზმის სოციალური ბუნება, მისი სრული იდეური

გადაგვირება და კაპიტულაცია თავადაზნაურული ინტელიგენციის ნაციონალისტური იდეოლოგიის წინაშე, მისი ლიკვიდატორული გაქცევა კლასობრივ ბრძოლათა სარბიელიდან. შალვა და ცაცა რამაძეების სახით რომანში სამართლიანად არის მხილებული ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც რევოლუციის აღმავლობის პერიოდში თანამჯზავრობდა რევოლუციასთან, ხოლო რეაქციის წლებში გადაუდგა რევოლუციის საქმეს და არსებითად რეაქციის ბანაკში გადაბარგდა. რომანში მოსჩანს მკვეთრად დახატული მთელი რიგი სახეები მტკიცე და თავდადებულად მებრძოლ მუშა ბოლშევიკებისა.

დიდ მხატვრულ წარმატებას მიაღწია მწერალმა მელიტონ აბლანდიას სახის შექმნით. ეს მართლაც ხორცშესხმული განსახიერებაა იმ არაადამიანური ვერაგობისა, სიტლანქისა და კაცთმოძულებისა, რაც დამახასიათებელი იყო თვითმპყრობელობის ბიუროკრატიული აპარატის მსახურთათვის, განსაკუთრებით რეაქციის წლებში.

მაგრამ ამ უეჭველ ღირსებებთან ერთად „სისხლს“ აქვს მეტად სერიოზული ნაკლოვანება, რომელიც ამცირებს ამ ნაწარმოების შემეცნებითს მნიშვნელობას, მის იდეურ სიღრმეს და აქტუალობას. რეაქციის წლებში ჩვენი ხალხის რევოლუციური ბრძოლის ერთადერთი ავანგარდული ძალა — ბოლშევიკური პარტია რომანში მეორეხარისხოვანი, ეპიზოდური პერსონაჟების მეშვეობით არის წარმოდგენილი. რომანის ისეთი გმირები, როგორც არიან არჩილ დადაშიანი, შალვა და ცაცა რამაძეები, მელიტონ აბლანდია, ვარდო, ანდრო ქარივაძე გაცილებით უფრო სრულად და ხორცშესხმულად არიან დახატულნი, ვიდრე ბოლშევიკი მუშების — ნიკოს, გოგიას, დათას სახეები.

ასეთი შეფარდების შედეგად რომანში ვერ პოულობს გამოხატულებას ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელი როლი ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ამასთანავე ნაწარმოები სწორად და შესაფერი სიღრმით ვერ ასახავს იმ მძაფრ იდეურ ბრძოლას, რომელსაც რეაქციის წლებში აწარმოებდნენ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები ანტიპროლეტარულ პოლიტიკურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ და პირველ რიგში მენშევიკ-ლიკვიდატორების და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ.

სწორედ იმ პერიოდში, რომელსაც ლეო ქიაჩელის ხსენებული რომანი შეეხება, საქართველოს ბოლშევიკების რევოლუციური მოღვაწეობა და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის გამანთავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა მენშევიკური ოპორტუნიზმის წინააღმდეგ გამანადგურებელი ბრძოლის ვითარებაში, ქართველი თავადაზნაურული და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენ-

ციის სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მიმდინარეობისადმი შეურიგებელი ურთიერთობის პირობებში.

„სისხლში“ ვერ ვხედავთ ამ ისტორიული სიმართლის მხატვრულ განსახიერებას. შალვა რამაძისა და არჩილ დაღაშინის ის ურთიერთობა ბოლშევიკ მუშებთან, რომელიც ნაჩვენებია ლეო ქიაჩელის რომანში, სიმართლით ვერ გამოხატავს იმ რეალურ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და, მეორე მხრივ, სხვადასხვა ჯურის ანტიპროლეტარულ მიმდინარეობათა შორის.

ეს ბრძოლა „სისხლში“ ან სრულიად არ იგრძნობა, ან თუ აქა-იქ იჩენს თავს, მეტად შერბილებული და „მშვიდობიანი“ სახითაა წარმოდგენილი. ამაში მდგომარეობს რომანის იდეური ნაკლოვანება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამ ნაწარმოებზე მუშაობის დროს ლეო ქიაჩელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული სწორი თვალსაზრისი ახლობელი რევოლუციური წარსულის პროცესებზე, რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა ურთიერთობაზე.

როგორადაც არ უნდა შევაფასოთ „სისხლის“ ხარვეზები და ნაკლოვანებანი, — ეს რომანი მაინც უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ლეო ქიაჩელის შემოქმედებით ევოლუციაში, მწერლის შემობრუნების თვალსაზრისით რეალისტური ხელოვნების პოზიციებისაკენ.

ამ მიმართულებით მწერლის შემდგომი განვითარების მომასწავებელია მისი ნოველები: „ჰაკი აძბა“, „თავადის ქალი მაია“ და აღმანგირ კიბულან“.

„ჰაკი აძბაში“ ლეო ქიაჩელმა ასახა საქართველოში მენშევიზმის ბატონობის ხანა, გვიჩვენა ამ წყობის მთელი უბადრუკობა და უმწეობა. ამ ნოველაში მწერალმა ის აზრი განავითარა, რომ სოციალისტური რევოლუციის ქარიშხალი დაუნდობლად აღგვის არა მარტო რეაქციის იმ შავბნელ ძალებს, რომლებიც ხელს აღმართავენ ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობის საქმის წინააღმდეგ. არამედ ყველას, ვინც ფანატიკური სიჯიუტით ჩაებლაუჭება წარსულის ხავსს და წინ გადაეღობება ახალი ცხოვრების აღმავლობას.

„თავადის ქალი მაია“ ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა უახლოეს ქართულ ლიტერატურაში. ნოველა მოგვითხრობს საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველი პერიოდის შესახებ და ღრმა ემოციური ძალის სურათებში ასახავს რეაქციული სამყაროს გარდაუვალ სასიკვდილო განწირულებას აღმავალი ახალი ცხოვრების ძალებთან შეჭახებაში.

ოდესღაც ლამაზი და მომხიბლავი, ურიცხვი თაყვანისმცემლებით გარემოცული. ხოლო ახლა ხანდაზმული, სისხლ-ხორც დამშრალი თავადის ქალის მაიასა და ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე გლეხის გოგონას დაფინოს კონტ-

რასტულ სახეებში მწერალი მხატვრული სიმბოლიკის ხერხით განასახიერებს ძველი, მომავლდავი სამყაროსა და ახალი, ძლევამოსილად ამობრწყინებული ცხოვრების ურთიერთბრძოლის კანონზომიერებას. ყოველმხრივად დამარცხებული და სასოწარკვეთილი მაიას დახრჩობა შავი ზღვის ტალღებში ძველი ცხოვრების ნგრევისა და გაცამტვერების მომასწავებელია. ერთმანეთისადმი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ორი სამყაროს შეუერივებელი ჭიდილი კიდევ უფრო მძაფრად არის განსახიერებული ამ ნოველის გმირების თავად ბონდოს და ახალგაზრდა ბოლშევიკი გლენის ამბაკოს ურთიერთობის ისტორიაში. ამბაკოს მიერ გასროლილი ტყვიით თავადი ბონდოს განადგურება მართალი გამოხატულებაა იმ სამართლიანად მკაცრი განაჩენისა, რომელიც პირუთვნელმა ისტორიამ განუშადა რეაქციულ კლასებს ჩვენს ქვეყანაში.

პირად-ინტიმურ ურთიერთობათა სფეროში გადატანილი თანამედროვეობის ღრმა სოციალური კონფლიქტები მწერალმა ამ ნაწარმოებში სინამდვილის სალი გაგებით განავითარა და გადაწყვიტა. ნოველის სიუჟეტი შეუწლებელა ემოციური დაძაბულობით ვითარდება. მწერალი თავის გმირთა სულიერ დრამის გადმოცემას იშვიათი ძალის მხატვრობით, უზადო ოსტატობით აღწევს. ნოველაში ცხოველი ფერადებით არის წარმოსახული ჩვენი ზღვისპირის ლანდშაფტი: „შავი ზღვის ნელი სუნთქვა ზაფხულის მიწურულში, ლურჯი ქარგები სამეგრელოს ნაპირებისა და მიბნედილი სიმშვიდე შორეული პორიზონტებისა“.

მხატვრული თხრობისა და ადამიანთა სულიერი სამყაროს გამოხატვის ასეთსავე ძალას მიაღწია ლეო ქიაჩელმა ამავე პერიოდის მეორე შესანიშნავ ნოველაში „ალმაზგირ კიბულან“, რომლის თემაც ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავე სვანების ცხოვრებიდან არის აღებული. ამ ნაწარმოებში დახატულია მართლაც და ტიტანური ფიზიკური და სულიერი ძალის ადამიანური სახე სვანი გლენის ალმაზგირისა. შვილის მოულოდნელი დაღუპვით გამწარებული მამის მწუხარება და მღელვარება იშვიათად თუ ვისმე გადმოუცია ქართულ ლიტერატურაში ისეთი მგზნებარებით, როგორსაც „ალმაზგირ კიბულანში“ ვხედავთ.

ეს ნაწარმოებები მოასწავებენ ლეო ქიაჩელის საბოლოო დამკვიდრებას რეალისტური ხელოვნების ლიანდაგზე. აქედან მწერლის იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის ზაზი პირდაპირ მიემართებოდა იმ ნაწარმოებისაკენ, რომელმაც ლეო ქიაჩელს დამსახურებულად მოუპოვა პირველხარისხოვანი საბჭოთა მწერლის, თანამედროვე მხატვრული პროზის გამოჩენილი ოსტატის რეპუტაცია.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს ოცდაათიანი წლების შუა პერიოდში დაწერილი მისი რომანი „გვადი ბიგვა“, რომელიც სახელმწიფო პრემიით იქნა აღნი-

შნული, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების თემაზე.

„გვალი ბიგვა“ ორიგინალური მხატვრული საშუალებებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ იმსხვრევიან და იღუპებიან ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში კაპიტალისტური წარსულის უკანასკნელი ნარჩენები, როგორი ძლევამოსილებით მკვიდრდებიან საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში სამეურნეო და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ახალი, სოციალისტური ფორმები, როგორის ძალით ყალიბდება და იწრთობა კომუნისმის მშენებელ ადამიანთა სოციალისტური შეგნება, კომუნისტური სულისკვეთება.

კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევისა და საბჭოთა ადამიანის სოციალისტური სულისკვეთების განმტკიცების პროცესის ამსახველი რომანი „გვალი ბიგვა“ ლეო ქიაჩელმა საკოლმეურნეო სოფლის ფონზე გაშალა. რომანის გმირებს სოციალისტური სოფლის ადამიანები წარმოადგენენ, მათი მოქმედების არეს— გარდაქმნილი და განახლებული სოფელი შეადგენს.

რომანი ასახავს საკოლმეურნეო წყობილების საბოლოოდ გამარჯვებისა და განმტკიცების შედეგად სოფლად დამკვიდრებული შეძლებული ცხოვრების სინამდვილეს. ორკეთის კოლმეურნეობაში გაშლილი მშენებლობა ახლი ოდებისა, ორკეთელ და სანარიელ კოლმეურნეთა შეჯიბრი შრომითი და კულტურული ცხოვრების უკეთესი მაჩვენებლებისათვის, ჩაის პლანტაციებით ამწვანებული ველები, ახლად გაყვანილი ფართოდ მოკირწყლული შარაგზები და მათზე მქროლავი ავტომანქანები, — „გვალი ბიგვას“ პერსონაჟების მოქმედების ეს კოლორიტულად და ცხოვლად დახატული არე, ეს ფონი რომანის სიუჟეტური დრამისა უკვე მკაფიოდ გვაგრძობინებს, რომ სოფლად ძლევამოსილად განხორციელდა სოციალისტური რევოლუციის უძნელესი ამოცანა — საბოლოოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო წყობილებამ — ერთხელ და სამუდამოდ დამარცხდა განკერძოებული, ერთპიროვნული მეურნეობის მამაპაპისეული ტრადიცია და სოციალისტური შრომის ღიანდაგზე გადასული საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრება სულ უფრო და უფრო ხალისიანი, შეძლებული, კულტურული ხდება.

მაგრამ ამ რომანის ძალა და ღირსება იმდენად გარემოცვის აღწერილობაში კი არ მდგომარეობს, არამედ უმთავრესად პერსონაჟების ხასიათის ცხოვლად და მკაფიოდ დახატვაში და ამ ხასიათების დაპირისპირების ნიადაგზე წარმოშობილი მძაფრი კონფლიქტებისაგან შედგენილი სიუჟეტური დრამის განვითარებაში.

„გვალი ბიგვა“ შედგება სოციალისტური სოფლის სინამდვილის გულმოდ-

გინელ, დაკვირვებულად შესწავლისა. მწერალი კარგად იცნობს და გულწრფელად განიცდის იმ მოვლენებს, რომელთა ანარეკლსაც მისი წიგნი წარმოადგენს. ამიტომ აქვს მის მიერ მოთხრობილ ამბავს სიმართლისა და რეალობის ძალა. ავტორი ნათლად ხედავს თავის გმირებს, ისინი მწერლის ფანტაზიის ნაყოფნი, გამოგონილი სახეები კი არ არიან, არამედ მის მიერ ორგანულად ათვისებული რეალობის ნამდვილი გმირები, ცოცხალი, მოქმედი, მებრძოლი ადამიანები. მწერალს კარგად აქვს გაგებული და გათვალისწინებული თავისი პერსონაჟების სულიერი სამყარო, მათი ფიქრების, აზრებისა და ინტერესების მოძრაობა. ამიტომ გამოიყურებიან ლეო ქიაჩელის რომანის მთავარი გმირები ისე ცოცხლად და ხორცშესხმულად. ჩვენ არა მარტო ვხედავთ მკაფიოდ დახატულ მათ ჰორტრეტებს, არამედ ბუნებრივად შევდივართ მათი სულიერი ცხოვრების სფეროში, მყარდება აქტიური ემოციური და აზრობრივი ურთიერთობა მკითხველსა და რომანის პერსონაჟებს შორის. ეს უკვე დიდი ღირსებაა ყოველი მხატვრული ნაწარმოებისა.

მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათების დაპირისპირებისა და შეჯახების ნიადაგზე აღმოცენებულ, დრამატულად გამძაფრებულ სიტუაციათა გადმოცემისას ლეო ქიაჩელი ინარჩუნებს მხატვრული წონასწორობის ძალას, თხრობის დამშვიდებულ მანერას. აქ ვერ შევხვდებით ყალბ პათეტიკას, ზედმეტ თეატრალიზაციას. ლეო ქიაჩელი ხატავს ნათელი და გამჭვირვალე საღებავებით. მისი რომანი მსუბუქი იუმორით არის გამსჭვალული, იუმორით, რომელიც ავტორს გამოყენებული აქვს, ერთი მხრივ, იმისათვის, რომ უფრო ცხოვლად და სრულად დახატოს გმირის ბუნება, ხოლო, მეორეს მხრივ, იმისათვის, რომ შეინარჩუნოს დისტანცია თავისი გმირის მიმართ, დადგეს მასზე მალა, რათა მკითხველმა არ დაკარგოს კრიტიკული დამოკიდებულება რომანის ისეთი გმირისადმი, რომლის ბუნებაშიაც დადებითსა და სიმპათიურს გარდა საკმაოდ მონივრება უარყოფითი, ჩრდილოვანი თვისებანი, რომლებიც წარსულის გადმონაშთების სახით ცოცხლობენ და თანდათანობით ნადგურდებიან რომანის განვითარების მანძილზე.

რომანის პირველი ოთხი თავი ნაწარმოების საექსპოზიციო ნაწილს შეადგენს. მათში ჩვენ სათითაოდ ვეცნობით „გვადი ბიგვას“ მთავარ მოქმედ პირებს: გვადის, მარიამს, გოჩას, არჩილს. ამ საექსპოზიციო ნაწილში მწერალი უკვე გვაძლევს ამ ტიპების სავსებით დასრულებულ სახეებს. ჩვენთვის ნათელია ყოველი მათგანის სოციალური ბუნება, მათი ხასიათის თავისებურებანი, მათი ურთიერთობანი, რომელთა მეშვეობითაც ავტორი ასახავს სოფლად შექმნილ ძალთა თანაფარდობის თანამედროვე სინამდვილეს. და ამ პირველსავე თავებში

მკითხველი ცხადად და ნათლად ხედავს რომანის მოქმედების არეს, გარემოცვას, გრძნობს იმ სოციალურ ატმოსფეროს, რომელშიაც რომანის პერსონაჟებო ცხოვრობენ და მოქმედებენ.

ამგვარად ამზადებს ავტორი მკითხველს რომანის შემდეგ თავებში დაძრული მძაფრი სიუჟეტური დრამისათვის, სადაც ჩვენთვის უკვე ყველაფერი ადვილად გასაგებია და მისახვედრი, თუმცა ამბავი დიდი სისწრაფით ვითარდება, სიტუაციები მეტად კონდენსირებულად და შეკუმშულად ისახება.

რომანის ცენტრალური ფიგურა გვაძი ბიგვაა. ავტორის მხატვრული განზრახვის თავისებურებას უნდა მიეწეროს, რომ ახალი სოციალისტური სოფლის ამსახველი ნაწარმოებისათვის მთავარ გმირად მან აირჩია არა ახალი ადამიანი, არა თანამედროვე სოფლის მოწინავე ძალა, არამედ წარსულის ნაშთებით ჯერ კიდევ საკმაოდ დატვირთული კაცი, რომელიც ჯერ კიდევ წელში ვერ გამართულა მთელი არსებით, ჯერ კიდევ ვერ დაწმენდილა მისი ხასიათი სიმხდალისა, სიცრუისა, თაღლითობისა და უქნარობის, ფლიდობის და მცონარების იმ თვისებებისაგან, რომლებიც მასში გამოუმუშავებია ცხოვრების უკუღმართ პირობებს წარსულში.

გვაძი ბიგვა მოქმედების ცენტრში დგას რომანის მთელი განვითარების მანძილზე. მისი პირველი გამოჩენისთანავე მკითხველისათვის აშკარაა, რომ იგი არ არის დამახასიათებელი და ტიპიური მოვლენა სოციალისტური სოფლის თანამედროვე ცხოვრებისათვის. სახებანჯგვლიანი, მუცელგამობერილი, ჩერებიზა შეფუთვნილი გვაძი, თავისი ხუთი ნახევრად შიშველი ბავშვით, თავისი ღარიბული ძველისძველი ჯარჯვალით, რაღაც საოცარ ანაქრონიზმად გამოსჩანს სოციალისტურ სოფელში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების ნათელ ფონზე. ეს გამონაკლისი, ეს სავსებით თავისებური და იშვიათი მოვლენა დააყენა მწერალმა თავისი ყურადღების ცენტრში, რათა გვიჩვენოს ის უკანასკნელი ბუდეები, რომლებშიც თავი შეუფარებიათ ბნელი წარსულის დასაღუპად განწირულ ნაშთებს, ბუდეები, რომლებიც დიდი სისწრაფით ირღვევიან ახალი ცხოვრების მდინარებასთან ყოველი შეხებისა და შეჯახებისთანავე.

სოციალისტურ სოფელში წარმოებული ბრძოლა ძლევაამოსილ ახალსა და სასიკვდილოდ განწირულ ძველს შორის „გვაძი ბიგვაში“ მრავალმხრივ განსახიერებას პოულობს. ერთის მხრივ მწერალი გვიხატავს კოლმეურნეობაში შეპარული, შენიღბული კლასობრივი მტრის გამომჟღავნებისა და განადგურების პროცესს (არჩილ ფორიას ამბავი), მეორე მხრივ გვიჩვენებს ზოგიერთი კოლმეურნის შეგნებაში ჯერ კიდევ დაუძლეველ კერძო მესაკუთრული სულისკვეთების მძაფრ გამოვლინებას და ამ წინააღმდეგობის დაძლევის პერსპექტივას საკოლმეურნეო გლეხობის მხრივ (გოჩა სალანდიას ცხოვრება). და მესამე

მხრივ ჩვენს თვალწინ იშლება გვადის ბუნებაში წარმოებულ ბრძოლა მისი ხასიათის დადებითსა და უარყოფით, მონურსა და ადამიანურს, მახინჯსა და კეთილშობილ თვისებებს შორის.

ეს წინააღმდეგობანი ამოძრავებს რომანის სიუჟეტურ განვითარებას, რომელიც მთლიანად სოციალისტური სოფლის აღმავლობასა და ადამიანთა ახალი კომუნისტური სულისკვეთების დამკვიდრებას ასახავს.

რომანი იხსნება მისი მთავარი გმირის, გვადი ბიგვას ხასიათის რელიეფურად გამომხატველი სურათით, როდესაც იგი ემზადება ბაზრობაზე წასასვლელად. უნდა გაეპაროს საკოლმეურნეო შრომას, ქურდულად, თავისი ბავშვებისაგან მალულად გასაყიდად წაიყვანოს თავისი ერთადერთი თიკანი და თან წაიღოს საკუთარ ეზოში მოპარული მანდარინები.

დიდი ვაივაგლანით, პირფერობისა და სიცრუის დიდი ხელოვნებით დააღწია გვადიმ თავი საკუთარი ბალებების წინააღმდეგობას, თითქოს გამარჯვებული მიეშურება იგი სოფლის ორღობეში და ესაუბრება თავისთავს. მაგრამ აქ ახალი საფრთხე დაუხვდა. გვადის თავის ეზოდან გამოეხმაურა მეზობლად მცხოვრები ქვრივი ქალი მარიამი — სოფლის ერთ-ერთი საუკეთესო კოლმეურნე, მშრომელი, კეთილსინდისიერი დედაკაცი.

მარიამის სახით მწერალმა დახატა მოწინავე კოლმეურნე ქალის ტიპური პორტრეტი. ავტორი არაფერს გვეუბნება მარიამის წარსულის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის სავსებით ნათელია, რომ მარიამს თავისი უანგარო და დაუზარელი შრომით, საკოლმეურნეო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობით შეძლებული ცხოვრება მოუპოვებია და სოფლად საყოველთაო პატივისცემა დაუქმსახურებია. იგი პირდაპირი, მტკიცე და მოურიდებელი ხასიათის ქალია, ამავე დროს უაღრესად კეთილი და გულისხმიერი ადამიანი. რამდენიმე შტრიხით წარმოგვიდგენს მწერალი მარიამის სახეს, გარემოცულს შეძლებული ცხოვრების მაჩვენებელი მისი პატარა ეზო-ბაღით: „პატარა ფიცრული სახლის წინ, ეზოში მწკრივად დარგული მანდარინის ხეებში ორმოცი წლის დედაკაცი ჩამდგარიყო მუხლებამდე კაბაკეცილი და ნაყოფის სიმრავლით ძირს დაზნექილ ტოტებს კარგად მოზრდილ ხეს ჟვერით აკრავდა. წაკარწახებულ მკლავებს საქსოვარში შესრიალებულ მაქოს სისწრაფით მწვანე ფოთლებს და შეყვითლებულ მანდარინებს შორის გაატარებდა. მამაკაცური მოურიდებლობით განივრად გალაჭულ, წვივებშიშველ ფეხებზე მაღალი ტანი მსუბუქად დაეყრდნო და მისი ზორბა, მაგრამ მოქნილი ნაკვთების მოძრაობა მკლავთა ტრიალისათვის შეეწყო“.

გვადი ფარულ ტრფიალებას გრძნობს მარიამისადმი, მაგრამ ეს გრძნობა ჭერ ვერ გამოუმჟღავნებია. გვადის შიში იპყრობს, რომ მარიამი მიუხედედა ბაზრობაზე გაპარვისა და საკოლმეურნეო შრომისაგან თავისდაღწევის განზ-

რახვას, ამხელს და გაკიცხავს მას. დიდი ენამოქნილობა და ჭკუამახვილობა სჭირდება გვადის, რომ ეს საშიშროება თავიდან აიცილოს, ავადმყოფობას მიაწეროს თავისი გამგზავრება ქალაქისაკენ, თავი შეაბრალოს მარიამს, მოაღბოს იგი და თანაგრძნობა გამოიწვიოს მის გულში.

გვადი მიღწევს ამ მიზანსაც და კმაყოფილებით აგრძელებს გზას. სამუშაოდ მიმავალ მეზობელ კოლმეურნეებთან შეხვედრის შიშით გვადი იძულებულია თემშარას გადაუხვიოს და ეზოებზე მიმავალ ბილიკებს გაჰყვეს. ამ ბილიკებმა მიიყვანა იგი გოჩა სალანდიას სახლის წინ. აქ რომანის არეზე შემოდის ახალი პერსონაჟი — გოჩა. იგი საშუალო შეძლების გლეხია, გამრჩე, შრომისმოყვარე, მაგრამ ჭიუტი და კერპი ხასიათის კაცი, რომელიც „ცხოვრების ახალ წესებს ჯერ კიდევ ვერ შეწყობოდა“, ჯერ კიდევ მძლავრად არის ფესვგადგმული მის არსებაში კერძო-მესაკუთრული სულისკვეთება. იგი კოლმეურნეობის წევრია, მაგრამ მთელი დღეები თავის სანიმუშოდ მოვლილ ეზო-გარემოს დატრიალებს თავს, საკოლმეურნეო შრომას ჭიუტად გაუბრბის. რაკი კოლმეურნეობაში მიწა და უღელი ხარი გააერთიანა, ამით კოლმეურნეობის წინაშე თავისი ვალი საბოლოოდ მოხდილად მიიჩნია. მთელ თავის დროსა და შრომას საკუთარ ბაღსა და ოდას ანდომებს, ოდას, რომელსაც იგი ამზადებს მომავალი სასიძოსათვის, თავისი ერთადერთი ქალიშვილის, კომკავშირელი ნაიას საქმაროდ გოჩას მიერ არჩეულ არჩილ ფორიასათვის.

გოჩას სახით მწერალმა დაგვიხატა ცრუ კოლმეურნის ტიპი, რომლის შეგნებაში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის კულაკურ-მესაკუთრული განწყობილებანი, რომელიც მხოლოდ ფორმალურად შეკედლებია კოლმეურნეობას, რათა ამოეფაროს მას და უფრო მოხერხებულად განახორციელოს თავისი ინდივიდუალისტურ-მესაკუთრული ინტერესები.

გოჩასა და გვადის მოკლე დიალოგიდან ნათლად ირკვევა, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა, თუმცა ორივე ერთნაირად გაუბრბის საკოლმეურნეო შრომას. მათ შორის აშკარად იჩენს თავს ინტერესთა და მისწრაფებათა წინააღმდეგობა, ვერავითარი ენამახვილობა და პირმოთნეობა ვერ შევლის გვადის. იგი ვერ ახერხებს გოჩას წყრომის თავიდან აცილებას და ისინი უკმაყოფილოდ გასცილდებიან ერთმანეთს.

შეურაცხყოფილი და დამცირებული გვადი, გოჩასადმი ზიზლით და ბოლმით აღვსილი, გზას აგრძელებს ქალაქისაკენ, თიკანი გაქცევია და ახლა მხოლოდ მანდარინების ამარა მიდის ბაზრობაზე. გზად არჩილი შემოხვდა — ყოფილი აზნაური და მემამულე, რომელთანაც ოდესღაც გვადი მოჯამაგირედ მსახურობდა. არჩილი კოლმეურნეობაში შემოპარული, შენიღბული მტერია. იგი ორკეთის კოლმეურნეობის ხე-ტყის ქარხნის გამგედ მსახურობს და მთელი არ-

სებით ცდილობს შეაფერხოს და ჩაშალოს კოლმეურნეობის ზრდა. მისი გავლენის მეოხებით გადგომია განზე კოლმეურნეობას გოჩა სალანდია. არჩილი არწმუნებს გოჩას, რომ კოლმეურნეობა მალე დაიშლება, რომ სოციალისტური სოფელი დაინგრევა და ცხოვრების ძველი წესები აღდგება. გვადიც მოქცეულია არჩილის გავლენაში. მას შერჩენია არჩილისადმი ერთგვარი შიში და მოკრძალება. არჩილიც ფართოდ სარგებლობს ამით და ცდილობს გამოიყენოს გვალი თავისი ბნელი საქმეების მონაწილედ.

აი, გვალი უკვე ბაზარზეა. ბაზრობა ძლიერ უყვარს გვადის. უცხო ხალხში ტრიალი, ენის ქავილის დაცხრომა, თავის გამოჩენა, პატივისცემა და ყურადღების დამსახურება ეზიდებოდა ბაზრობისაკენ, მაგრამ ამ შემთხვევაში დაჯანს არ დასცალდა სიამოვნება. ფორიამ შეიხმო იგი სასადილოში, სადაც არჩილი თავის კომბინატორ თანამესუფრეებთან ერთად ქეიფობდა.

სცენა სასადილოში — ამ რომანის ერთი შესანიშნავი ეპიზოდთაგანია. მოქეიფებმა უპოვეს გვადის და შეუქამეს საკუთარ ეზოში მოპარული მანდარინები, რომელთა საფასურითაც გვალი თავისი ბავშვებისათვის ფეხსაცმელების ყიდვას აპირებდა. გვადის არ შეუძლია გულგრილად უცქიროს, თუ როგორ ანადგურებენ მის მანდარინებს ეს ვიღაც ოხერი და ბნელი ადამიანები. იგი სიმღერას მოიმიზეზებს და თვალებს მიინაბავს, რათა არ დაინახოს ეს მისთვის გულისმომკვლელი სურათი.

არჩილმა გვადის მოპარული საქონლით დატვირთული ხურჩინი გამოატანა. ხურჩინი შინ რომ მიიტანა და შეინახა, გვალი ტყისკენ გაეშურა. სადაც ორკეთელი კოლმეურნეები ახოს კაფავდნენ. აქ ჩვენს თვალწინ იშლება დამაბუღელი საკოლმეურნეო შრომის პათოსით აღბეჭდილი სურათი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა ხელმძღვანელობს ამ კოლექტიურ შრომას. აქ ჩვენ ვეცნობით ბრიგადირ ზოსიმეს, კოლმეურნე ონისეს, აქ არის მარიამიც. ნაიაც. მთელი სოფელი ფეხზე დამდგარა და ხალისიანი, კოლექტიური შრომის ფერხულში ჩაბმულა. გვადიც შეუერთდა ამ ფერხულის ორომტრიალს და თუმცა ვერაფერი მშრომელია, მაგრამ თავისი მოხერხებულობით და ენამოქნილობით აქაც ახერხებს მეზობლების თანაგრძნობისა და ყურადღების მოხვეჭას.

კოლმეურნეებმა გოჩა სალანდიას ფურ-კამეჩს ხეები აზიდვიეს. თუ გოჩა გაუბრბის საერთო შრომას, მისი კამეჩი მაინც ვამუშაოთო — გადაწყვიტეს მათ, გზად მიმავალმა არჩილ ფორიამ დაინახა ეს ამბავი და სასწრაფოდ აღწომა გოჩას, გაბრაზებული გოჩა მუქარით და ლანძღვა-გინებით მიეჭრა კოლმეურნეებს. კოლექტივისა და გაჯიუტებულ გოჩას შორის მომხდარი მკაცრი შეჯახება გოჩას სასტიკი დამარცხებით დამთავრდა: „ვის ეჭიბრები, ყაზახო, ა? ვისმეთქი? კარგად გამოიხედე თვალეში. კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერ-

ჩებაო. ხომ გაგიგონია! კოლექტივი ვართ, კოლექტივი, გაიგე!“ დიდი თავმოწონებრთა და სიამაყით ეუბნება გოჩას კოლმეურნე ონისე და მის სიტყვებში, ამ უბრალო და მარტივ სიტყვებში ღრმა სიმართლით არის გამოხატული საკოლმეურნეო წყობილების ძალისა და უპირატესობის აზრის განმტკიცება საბჭოთა გლენჯაცობის შეგნებაში.

რომანის შემდეგი თავები გოჩა სალანდიას ოჯახში აღძრულ წინააღმდეგობათა შესახებ მოგვითხრობენ. მართალია, კამეჩი დაუბრუნეს, მაგრამ გოჩას ბოღმა და ბრაზი კოლმეურნეობის მიმართ ამით არ შენელებულა. ამის შემდეგ მთელის ძალით თავს იჩენს კონფლიქტი გოჩასა და მის ქალიშვილს — კომკავშირელ ნაიას შორის. გოჩას უნდა საბოლოოდ ჩამოაცილოს ნაია კოლექტივსა და კომკავშირს, ცოლად მისცეს არჩილ ფორიას. ნაიას კი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გერა უყვარს და მთელი არსებით განუყრელად არის დაკავშირებული კოლმეურნეობასთან, სოფლის მოწინავე ახალგაზრდობასთან.

ნაია გარბის სახლიდან. ამის შემდეგ რომანის სიუჟეტი განშტოებულად მიმდინარეობს. მწერალი განავითარებს პარალელურ სცენებს, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას მომხდარ ამბებს.

გვადი ბიგვას ჯარგვალში თავისი ნაქურდალი საქონლის წასაღებად მოსულა არჩილ ფორია. იგი არ უსრულებს გვადის დაპირებას „შრომის“ ღირსეულად ანაზღაურების შესახებ, რაღაც უმნიშვნელო გროშებს გადაუყრის და გვადის ხურჯინსაც წაიღებს. გაბრაზებული და გაცხარებული გვადი აედევნება არჩილს, რათა თავისი ხურჯინი მაინც დაიბრუნოს.

ამავე დროს სახლიდან გამოქცეული ნაია თავისი მეგობრის, სოფლის სამკითხველოს გამგის — ელიკოს ბინაზუა. მეგობრების საუბარში ირკვევა, რომ არჩილ ფორია საზიზღრად ატყუებს ნაიასაც და ელიკოსაც, ორივეს უგზავნის სატრფიალო ბარათებს, ერთი და იმავე სიტყვებით ორივეს ეფიცება სიყვარულს.

ამავე დროს ელიკოს ოთახს ზემოთ, მეორე სართულში, სოფლის პარტიული ორგანიზაციის კრება მიმდინარეობს. კრებას მსჯელობა აქვს გოჩას შესახებ. ადგენენ ზეგაულენა მოახდინონ გოჩაზე, მოელაპარაკონ მას და ამ გზით გატეხონ მისი ჯიუტობა. მოლაპარაკებას პარტორგი გიორგი ივალებს.

ამავე დროს გოჩა სალანდია და მისი ცოლი ტასია თავზარდაცემულნი დაეძებდნენ ნაიას.

პარტორგანიზაციის კრების დამთავრების შემდეგ ნაია და გერა ერთმანეთს შეხვდებიან. გერას ძებნაში ნაიამ ძლიერი შიში გამოსცადა. ღამით ტყიდან მოესმა გვადის ძახილი, რომელიც ფორიას მისდევდა და თავის ხურჯინს თხოვდა. ნაიასთვის მოულოდნელი და გაუგებარი იყო ასეთ დროს ეს ძახილი.

შიშისაგან გულწასულს მიუსწრო მას გერამ. მათი საუბარი შეეხებოდა არჩილ ფორიას მავნებლურ საქმიანობას, გოჩას სიფიცხეს, ამავე საუბარში მათ პირველად გაუმჟღავნეს ერთმანეთს ურთიერთ სწრაფვა და სიყვარული.

და ამავე დროს ნაიას საქმებრად წამოსული გოჩა, ელიკოს ბინასთან ჩასაფრებული, დაინახავს, თუ როგორი ზიზლით და გულისწყრომით გამოაგდო ელიკომ მასთან მისული მატყუარა და თაღლითი არჩილი, რომელიც ერთსა და იმავე დროს ელიკოსაც თხოვდა სიყვარულს და ნაიასაც. გოჩასათვის ცხადი ხდება არჩილის არამზადობა და ეს გარემოება გადამწყვეტ გავლენას ახდენს საერთოდ გოჩას სულისკვეთებაზე. იგი საბოლოოდ ფიზილდება და თავისუფლდება ფორიას დამლუბველი გავლენისაგან.

გვადიმაც ხომ მთელი არსებით შეიზიზლა არჩილი და მზად არის უღარესად სასტიკი და დაუნდობელი შურისძიებით გაუსწორდეს მას.

ასე თავდება ამ რომანის პირველი დღე.

ფაბულური მოტივების ასეთი პარალელური განვითარება და შემდეგ ამ ხაზების კვლავ ერთმანეთთან შეხვედრა და გადაჯვარედინება ამ რომანის სიუჟეტური კომპოზიციის ერთ-ერთი თავისებურებაა.

მეორე დილით არჩილ ფორია კვლავ ესტუმრა გოჩას, მაგრამ გოჩა ხმასაც არ სცემს მას, ზედაც არ შეხედავს. არჩილს არ ესმის გოჩას დამღურების მიზეზი. ჰგონია, გოჩა იმიტომ ბრაზობს, რომ არჩილმა მას დროით ვერ მიაწოდა ოდის დასამთავრებლად საჭირო ფიცრები. ამ საქმის მოსაგვარებლად ისევ გვადის მიაშურებს არჩილი. გვადი პირველად მწყარალად დაუხვდა არჩილს, მაგრამ მალე კიდევ ერთხელ და უკანასკნელად ისევ ფორიას ბრჭყალებში მოექცა. გვადის კოლმეურნეობამ ოდის ასაშენებლად ფიცრები მისცა ხე-ტყის ქარხნიდან. არჩილი ჰპირდება გვადის, ზედმეტ ფიცრებს მოგცემ თუ ამ ზედმეტს გოჩას გადასცემო.

ამრიგად, არჩილი ისევ პოულობს დასაყრდენს და გავლენის ასპარეზს გვადის ბუნებაში. მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ მერყეობს გვადი ბიგვა არჩილსა და კოლმეურნეობას შორის. ამ შინაგანი ბრძოლის ამ მერყეობის დასასრული ერთმა ღირსშესანიშნავმა ამბავმა გამოიწვია.

ორკეთისა და სანარიის კოლმეურნეობებს შეჯიბრება ჰქონდათ ახალი ოდების მშენებლობის საქმეში. სანარიელები ესტუმრნენ ორკეთელებს. შეხვედრამ საზეიმო ხასიათი მიიღო. კრებამ შეჯიბრების შედეგებს შემოწმებელი კომისია აირჩია და ამ კომისიაში გერამ სოფლის მოწინავე ადამიანთა გვერდით გვადი ბიგვაც დაასახელა. ეს სავესებით მოულოდნელი იყო გვადი ბიგვასათვის. პირველად თავის ცხოვრებაში იგი დააფასეს, საპატიო კაცად ჩათვალეს. მთელი კრება ტაშს უკრავდა და ვაშას შესძახოდა გვადი ბიგვას. ამ მოუ-

ლოდნელმა ბედნიერებამ, ამ უეცარმა და დიდმა სიხარულმა ერთბაშად აღადგინა გვადის ხასიათის ყველა ჯანსაღი და დადებითი თვისება. კრებიდან დაბრუნებული გვადი უკვე სულ სხვა ადამიანია. „მისი ცხოვრების სინამდვილე ახლა ისე იყო აყირავებული და მისი აზრები ისეთ ვეება ნანტომებს აკეთებდნენ, რომ გვადის მთელი დედამიწაც კი ეცოტავებოდა მათ დასატევად“.

გვადი თანდათანობით ეჩვევა და ურიგდება იმ აზრს, რომ იგი სოფლის რჩეული ადამიანია. მაშასადამე, მან საეხებით უნდა იცვალოს სახე, უკვე აღარ შეუძლია ძველებურად ჩამოხეულ ტანსაცმელში იაროს, იტუღლუტოს, იზარმაცოს. საქმიताც, გარეგნული შესახედაობითაც იგი სოფლის მოწინავე კაცს უნდა დაემსგავსოს.

და აი, თავის ჯარგვალში დაბრუნებულ გვადის საჭვარტლიდან ჩამოუღია სკივრი, რომელშიც მამაპაპეული ყამა და თავისი ჩოხა-ახალუხი ეგულვებოდა. დიდი ხანია, რაც ეს ნივთები მან გადაივიწყო და ამ ხნის განმავლობაში არც კი აღძვრია სურვილი და მოთხოვნილება მოეხმარა ისინი.

დიდი ექსპრესიით და იუმორნარევი სიწრფელით აღწერს მწერალი გვადის გადაცმის სურათს. ბნელი ჯარგვალი ახლა საოცრად გაჩაღებულა, აქ უძველესი და უმნიშვნელო ნივთებიც კი, რაღაც ახალი სახით, სიამაყით გამოიყურებიან. თითქოს მთელი გარემოცვა გრძნობს გვადის ბუნებაში მომხდარ გარდატეხას და უერთდება გვადის სიხარულს. გვადის ბავშვები განცვიფრებული და გახარებული ფუსფუსით შველიან მამას, რომელიც რაღაც უჩვეულო და სხვანაირი სახით დგას ახლა მათ წინ.

ახლა გვადი უფრო თამამად და გაბედულად მიდის მარიამთან. რომანის ერთ-ერთ მხატვრულად ძლიერ მომენტს წარმოადგენს გვადის და მარიამის ამ ახალი შეხვედრის სურათი. მათ საუბარში გვადი გამოთქვამს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას, რომ იგი შრომაში აღარავის ჩამორჩება, და რომ იგი მზად არის მეტი გმირობისათვისაც, რაც მარიამის აზრით კოლმეურნეს, ახალი სოფლის ადამიანს მოეთხოვება.

ამ შეხვედრისას უკვე ცხადად თავს იჩენს მარიამისადმი გვადის ფარული სიყვარული და თაყვანისცემა: „ბედნიერება მინდა, მარიამ... სიყვარული და სიცოცხლე მინდა, მარიამ... შენი მადლი... შენი წყალობა, მარიამ!.. — ამბობდა გვადი და მკერდიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა, თითქოს მის სიღრმეში დანთებულ ცეცხლს გურგური ამოაქვსო, რომელიც ღმუილიან ძახილსა ჰგავდა“.

თავდაჭერილსა და მტკიცე ხასიათის მარიამს არ შეეძლო არ გაჰკვირებოდა გვადის ასეთი ქცევა და არ შეეკავებია მისი თავდავიწყებული გატაცება, მაგრამ არც ის შეეძლო, რომ არ გაეგო გვადის გრძნობის სიწრფელე და ძალა, არ თანაგრძნო მისთვის.

შინ დაბრუნებულ გვადის თავის ეზოში არჩილ ფორია უხვდება. იგი უკვე გამოუმუდავებიათ როგორც კლასობრივი მტერი და მავნებელი, სამუშაოდან მოუხსნიათ და დასაპატიმრებლადაც ეძებენ. არჩილს განუზრახავს შური იძიოს კოლმეურნეობაზე, დასწვას ხე-ტხის ქარხანა და მიიმალოს. მას უნდა გვაღი გამოიყენოს ამ ბნელი განზრახვის მესაიდუმლედ და ხელისშემწყობად, მაგრამ არჩილმა ჭერ კიდევ არ იცის, რომ გვაღი ძველი გვაღი აღარ არის, ახლა გვაღის უკვე აღარაფერი აქვს საერთო არჩილთან. მას უკვე აღარ შეუძლია კოლმეურნეობის მტერს მტრულად არ დაუხვდეს, მით უფრო არ შეუძლია გვაღის გულგრილად უქციროს ხე-ტყის ქარხნის დაწვას, ქარხნისა, საიდანაც მან ოდის საშენებლად ფიცრები უნდა მიიღოს. აქ კოლმეურნეობის ინტერესები უკვე სავსებით დაკავშირებულია გვაღის ინტერესებთან.

გვაღი მკაცრად უკუაგდება არჩილის ყოველ წინადადებას, თხოვნას, მუქარას, მათ შორის დაძაბული ბრძოლა იწყება. არჩილი ქარხნისაკენ მიეშურება, გვაღი ფარულად დაედევნება მას და სწორედ იმ მომენტში, როდესაც არჩილმა ცეცხლს უნდა მისცეს ქარხანა, გვაღი და არჩილი პირისპირ შეხვდებიან ერთმანეთს, როგორც მტრები. არჩილს ვერ წარმოუდგენია, თუ გვაღის შეუძლია რაიმე წინააღმდეგობის გაწევა. მას გვაღი ისევ ის დაძაბუნებული და ბეჩაფი ადამიანი ჰგონია. დამშვიდებით აგრძელებს ქარხნის დაწვისათვის საშუალების და გვაღისაც დაწვით ემუქრება იმ ფიცრებთან ერთად, რომლებიც გვაღის ოდისათვის იყო გათვალისწინებული. აქ უკვე აღარ არსებობს უკანდასახევი გზა გვაღისათვის. იგი თავგანწირულად და გაბედულად ეკვეთება მოწინააღმდეგეს და ყამის მოულოდნელი დაკვრით ჰკლავს მას.

გვადიმ გაანადგურა მტერი, გადაარჩინა კოლმეურნეობის ქონება, საგმირო საქმე ჩაიდინა. მალე მთელი სოფელი გარს შემოერთყა მას, როგორც საერთო საქმისათვის თავგანწირულ მებრძოლს. ყველაზე ახლოს მასთან მარიაში მისულა. გვაღის პატარა ბავშვებიც გამოჩნდნენ შორიდან, მორბიან მამისაკენ. მაგრამ გვაღის უნდა, რომ ბავშვებმა იგი სისხლში გასერილი არ ნახონ: „არა, ჰირიმე! ეს არ იქნება! გაიქეცი ახლავე! შეხვდი, დააბრუნე! უკან, ჯარგვალში წაასხი ყველანი! უთხარი ბაბაიას კაცი არ მოუკლავს-თქვა! სხვაგან არის წასული და მალე დაბრუნდება-თქვა როგორ მოგივიდა, რომ გამოუშვი? მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარია!“

ეგებ გვაღი ბიგვას ამ სიტყვებში მწერალს საბჭოთა ხალხის ის დიდი ჰუმანისტური შეგნება უნდოდა გამოეხატა, რომ ჩვენი გმირი ხალხი გამძაფრებულ ბრძოლას აწარმოებს მხოლოდ იმისათვის, რომ რეაქციულ სამყაროსთან უკანასკნელი და გადაიმწყვეტი მებრძოლების შედეგად სამუდამოდ ბოლო

მოედოს სისხლისმღვრელ ბრძოლებს და რომ კაცობრიობას, მომავალ თაობებს, მშვიდობიანი ცხოვრება დაუმკვიდროს.

„გვადი ბიგვას“ ფურცლებზე დატრიალებული მთელი ეს მოქმედება ორი დღე-ღამის მადნილზე ხდება. მხოლოდ ამ მოკლე დროის განმავლობაში ვხედავთ ამ რომანის გმირების ცხოვრებას. მწერალი მხოლოდ გაკვრით გვაცნობს ზოგიერთი მათგანის წარსულს და მით უფრო არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწიათ მის პერსონაჟებს ამ ორი დღის შემდეგ, როგორია მათი მომავალი.

მაგრამ რომანის მანძილზე ავტორმა ისე მოხერხებულად და რელიეფურად გვიჩვენა თავისი მთავარი გმირების ხასიათი და ბუნება, რომ ჩვენთვის სასვებით ნათელი ხდება წარსული და ისიც, თუ რა მიმართულება უნდა მიეღო თითოეული მათგანის ცხოვრებას რომანში ასახული ამბების შემდეგ.

მკითხველისათვის ადვილი მისახვედრია, თუ რით უნდა დამთავრებულიყო ნაიას და გერას ურთიერთობა, როგორ უნდა შეცვლილიყო გოჩას ცხოვრება. აკი უკვე ვნახეთ გოჩა ორკეთელ კოლმეურნეთა მოწინავე რიგებში სანარიელებთან საზეიმო შეხვედრის დროს და რომანის ფინალურ სცენაშიც. როცა იგი მთელ სოფელთან ერთად გამოჩნდა, როგორც სოფლის საერთო ჰიროსა და ლხინის მონაწილე. ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ წარმართა გვადი ბიგვას მომავალი, მისი შემდგომი ურთიერთობა მარიამთან. მისი ბავშვების ბედი — ყოველივე ეს მეტად მოხერხებულად არის მინიშნებული რომანში.

ამაში მდგომარეობს ამ რომანის თავისებური ძალა, მხატვრული თხრობის, სიუჟეტური კომპოზიციის თავისებური მანერა.

მაგრამ თუ მოქმედების ასეთმა ვიწროდ განსაზღვრულმა ჩარჩოებმა დინამიკურობა შემატა რომანის სიუჟეტურ კომპოზიციას, შეუწინააღმდეგებელი ინტერესით საკითხავი გახადა ეს წიგნი, სამაგიეროდ ამ გარემოებამ რომანზე ნაწილობრივ უარყოფითი გავლენაც იქონია.

მოქმედება იმდენად შეკუმშულად და კონცენტრირებულად ვითარდება, რომ შეუძლებელი ხდება ფონის, გარემოცვის საჭირო სისავსით და სისრულით დახატვა, შეუძლებელი ხდება რომანში იმ მდიდარი ყოფაცხოვრებითი მასალის მოთავსება, რომელიც კიდევ მეტად ნათელ წარმოდგენას მოგვცემდა იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს, როგორ შრომობს და იბრძვის მთელი საკოლმეურნეო გლეხობა სოციალისტური სოფლის მშენებლობისათვის. ეს მომენტი მეტად ძუნწად, თუმცა მკაფიო, მაგრამ მაინც შტრიხებით არის წარმოდგენილი რომანში.

ამ რომანში ლეო ქიაჩელი ადამიანთა ხასიათების, გმირის პორტრეტის

მძლავრ მხატვრად გვევლინება. ზოგჯერ იგი რამდენიმე შტრიხით თვალწინ დაგვიყენებს ცოცხალსა და ხელშესახებ სახეს.

მაგრამ გმირის გამოხატვის ეს ცხოველმყოფელი ძალა ყოველთვის თანაბარი როდია ამ რომანში. ზოგჯერ მწერალს არ ჰყოფნის საღებავი პერსონაჟის ცოცხლად დახატვისათვის, განსაკუთრებით სოფლის მოწინავე ადამიანების, დადებითი გმირის დახატვისათვის.

გერა, გიორგი, ნაია, ელიკო შედარებით მკრთალად გამოიყურებიან ამ ნაწარმოებში.

თავისი მხატვრული ენერჯის მაქსიმუმი ავტორმა ამ რომანში შეგნებულად გვაღი ბიგვას დახატვას მონადრომა და შექმნა კიდევ სრულიად ორიგინალური მხატვრული სახე, რომელიც მკაფიოდ გამოირჩევა ქართული მწერლობის მიერ მოცემულ სახეთა გალერეაში და იმკვიდრებს მასში თვალსაჩინო ადგილს.

რომანის სტილი სადაა და ბუნებრივი. ავტორი შეგნებულად გაურბის მანერულობას, ხაზგასმულ, განზრახ გართულებულ ფორმას მეტყველებისა. რომანის ენა შეფარდებულია პერსონაჟის ხასიათთან. გმირების დიალოგსა და ავტორის თხრობას შორის მიღწეულია სრული მთლიანობა სიტყვიერი ქსოვილის მხრივ, დიდი ზომიერებით ახერხებს ავტორი დაიცვას გმირის მეტყველების სპეციფიკური ელფერი, და, ამავე დროს, სრულიადაც არ დატვირთოს რომანის ენა პროვინციალური გამოთქმებით, კუთხური ჟარგონით. ამ მხრივ ლეო ქიაჩელის მიღწევა სანიმუშოა ბევრი თანამედროვე მწერლისათვის.

რომანის სტილი იმდენად სადაა და ბუნებრივი, რომ ერთის შეხედვით ვერც კი გრძნობთ ავტორის შრომას ენის მხატვრულობის, ფრაზის ინტენსიობის მისაღწევად. ნამდვილად კი მხატვრული მეტყველების ასეთი სისადავე გულმოდგინე და დაძაბული მუშაობის შედეგია.

ლეო ქიაჩელი არ მისდევს სტილის განსაკუთრებულ ჩუქურთმოვანებას. მას ნაკლებად იტაცებს შედარებათა, მეტაფორებისა და აღწერილობათა, პოეტური სამკაულების მაცდუნებელი ძალა მხატვრულ პროზაში. მისი ყურადღება თანმიმდევრულად მიმართულია მძაფრი სიუჟეტის გამოკვეთისა და გმირის რელიეფურად დახატვისაკენ. პერსონაჟის სულიერი ცხოვრების. მისი ფიქრებისა და განცდების გადმოცემისას მწერალი უხვად და მოხერხებულად სარგებლობს ნიუანსის, დეტალის ხატვის ხელოვნებით.

ლიტერატურის ისტორიის მთელი გამოცდილება გვასწავლის, რომ ხალხის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს დიდხანს უსაზრდოებიან მწერლობა და ხელოვნება იდეების, თემებისა და სახეების ახალი, თა-

ვისებუნი სამყაროთი. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი, როგორც ჩვენი სამშობლოს, ისე მთელი კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების უდიდესი მოვლენა იყო. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში მანამდე გაუგონარი მასშტაბის შეჯახება ტირანიისა და დემოკრატიის, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის, რეაქციისა და პროგრესის ძალებს შორის. ამ ომმა ნათელი გახადა რეაქციული სამყაროს უძლურება და უპერსპექტივობა კაცობრიობის ცხოვრების განახლების შესაფერხებლად წარმოებულ თავის ვერაგულსა და გააფთრებულ ბრძოლაში. განვლილმა ომმა ქვეყანას დაანახვა ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების მთელი სიდიადე და უპირატესობა, საბჭოთა ხალხის უძლეველობა, საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმაღლე, მორალური კეთილშობილება.

ამ უკვდავი გმირობის ღირსეულად აღბეჭდვა სრულყოფილ მხატვრულ სახეებში დღესაც რჩება და დიდხანს დარჩება სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების პირველხარისხოვან შთამაგონებელ ამოცანად. უექველია, რომ მომავალშიაც არა ერთი შემოქმედის ნიჭი და ენერჯია შეეწირება ამ დიდ თემას.. ეგებ ყბადაღებული „დისტანციის თეორიის“ მიმდევრებმა (თუ ახლაც არსებობენ ასეთები), გვითხრან, რომ ამ უდიდესი საკაცობრიო მოვლენის ფართო მონუმენტურ მხატვრულ ტილოებზე აღბეჭდვა სწორედ შორეული მომავლის საქმეა! არა! სწორედ ჩვენი თანამედროვე მწერლობა არის მოწოდებული მართალსა და უჭკნობი ძალის მხატვრულ სახეებში მოუთხროს კაცობრიობას, მომავალ თაობებს იმ შეუდარებელი საბრძოლო აღფრთოვანებისა და თავდადების შესახებ, რომელმაც ბარბაროსული წყვედიადისაგან იხსნა კაცობრიობა და რომლის უშუალო მოწმე და მონაწილეც ჩვენი საბჭოთა მწერლობა იყო.

საბჭოთა ლიტერატურამ უკვე ბევრი რამ გააკეთა ამ მიმართულებით. ჩვენი სამშობლოს ყოველი ხალხის მწერლობაში და, პირველ ყოვლისა, რუსულ საბჭოთა ლიტერატურაში უკვე შექმნილია სხვადასხვა ჟანრის მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელთა ფურცლებზე ღრმა შემოქმედებითი ძალით და პირუთვნელი მხატვრული სიმართლით არის წარმოსახული მოსკოვის გმირული დაცვის, ბლოკადირებული ლენინგრადის კედლებთან და ლეგენდარული სტალინგრადის ქუჩებში გადახდილი ბრძოლების, მთელი თვალუწვდენი საბჭოთა ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ამადლევებელი, დაუფიწყარი ეპიზოდები. მილიონობით ადამიანი ჩვენს ქვეყანაში და მთელს მსოფლიოში განუზომელი ალტაცებით კითხულობს ამ წიგნებს.

ლეო ქიაჩელის ახალი რომანი „მთისკაცი“ სრულიად თავისებურად, თვითმყოფადი მხატვრული ასპექტით განასახიერებს ამ დიდ თემას. სწორედ ამაში მდგომარეობს, პირველ ყოვლისა, ამ ნაწარმოების პრინციპული მნიშვნელობა, მისი სავსებით თვალსაჩინო ადგილი არა მარტო ქართული საბჭოთა მწერ-

ლობის, არამედ მთელი საბჭოთა ლიტერატურის დღევანდელ ცხოვრებაში.

პირველი შეხედვით ავტორი თითქოს კავკასიის გმირული დაცვის ერთ-ერთ ეპიზოდს მოგვითხრობს. მწერლის თვალთახედვის სარბიელი აქ თითქოს განსაზღვრულია მთიანი აფხაზეთის ერთი პატარა, მივარდნილი სოფლის სოუს და ნაწილობრივ ქალაქ სოხუმის საბრძოლო ცხოვრების ფარგლებით. მაგრამ რომანის ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თვალწუვდენი საბჭოთა ფრონტისა და ზურგის ამ ერთი პატარა, თუმცა მნიშვნელოვანი უბნის საბრძოლო ცხოვრების გადმოცემისას, მწერალი აღწევს ღრმა და ფართო განზოგადებას. ჩვენ ცხოვლად ვგრძნობთ სამამულო ომის მთელ გრანდიოზულობას, ამ ომის დღეებში მთელი ჩვენი ხალხის მიერ გამოჩენილ საამაყო გმირობას და კეთილშობილებას. თავისი რომანის გმირების — რიგითი საბჭოთა ადამიანების საბრძოლო საქმეებში, ერთი პატარა მთიანი სოფლის საბრძოლო თავდადასავალის თხრობაში მწერალს თითქოს მოუქცევია მთელი პათოსი დიდი სამამულო ომისა, მისი ბუნების, მისი მასშტაბისა და გაქანების, მისი აღმავლობისა და სტრატეგიის ყოველი ძირითადი მხარე და ეტაპი.

ვკითხულობთ რომანს და ჩვენს თვალწინ გაივლის სამამულო ომის წინა პერიოდის მშვიდობიანი შრომის ბედნიერებით აღსავსე დღეები, როდესაც სრული სიმშვიდის მიუხედავად საბჭოთა ხალხი, ჩვენი სამშობლოს უკიდურესად შორეულ კუთხეებშიაც კი არ იყო მოკლებული მტრული რეაქციული სამყაროდან მოსალოდნელი თავდასხმისა და ასეთი შემთხვევისათვის მზადყოფნის გრძნობას. და შემდეგ რომანში მოთხრობილია ჩვენს მშვიდობისმოყვარე სამშობლოზე ისტორიის უბნელესი ძალის ვერაგული თავდასხმის ამბავი, ნაჩვენებია, თუ როგორი ურყევი რწმენით, მტკიცე ნებისყოფით აღსდგა მთელი ჩვენი ხალხი თავისი ღირსებისა და თავისუფლების დასაცავად. შორეული აჭავექარას საძოვრებზე მყოფი მეჯოგეებიც ისეთივე აღფრთოვანებით და ურყევი რწმენით, ისეთივე სისწრაფით და გონიერებით ისხამდნენ იარაღს, როგორც ჩვენი დელაქალაქის და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა.

ვითარდება რომანის სიუჟეტი და მკითხველის მეხსიერებაში ცოცხლდებიან მტრის გააფთრებულ შემოტევის, მისი თავხედური წინსვლის მძიმე დღეები. აი, მტრის ურდოები უკვე კავკასიონის კალთებს მოებჯინენ, აი, გადმოლაზეს კიდეც, ამაყი კავკასიონის ერთ-ერთი უღელტეხილი, ხელთ იგდეს ისეთი სტრატეგიული პუნქტი, საიდანაც მტერს გზა ეხსნება ჩვენი შავი ზღვის სანაპიროებისაკენ, საქართველოს მთელი დასავლეთი ნაწილისაკენ — ლიხის უღელტეხილამდე, უმძიმესი საფრთხის აჩრდილი ტრიალებს ჩვენი სამშობლოს თავზე. მაგრამ სწორედ ამ სიკვდილ-სიცოცხლის გადაწმყვეტ წუთებში საბჭოთა სარდლობა შეუჩრყველი ნებისყოფით, გამარჯვების ნათელი რწმენით და

ბრძნული სტრატეგიული გეგმით ამოძრავებს ერთსულოვნად აღმდგარი საბჭო-
თა ხალხის ამოუწურავ ფიზიკურ და სულიერ ძალებს. მკითხველის თვალწინ
გაივლის ჩვენი შეიარაღებული ძალების აქტიური, ზუსტად მოფიქრებული და
გეგმაზომიერი უკანდახევის სურათები, დროებითი უკანდახევისა, რომელიც ფი-
ტავდა მტრის ძალებს, სწყვეტდა მტრის ურდოებს მათი ძირითადი ბაზებისა-
გან და ამასთანავე უზრუნველყოფდა ჩვენს სამხედრო უპირატესობას ბრძოლის
გადამწყვეტი მომენტებისათვის. რომანში ასახულია ასეთი გადამწყვეტი მო-
მენტიც. აი, დროებით მტრის მიერ დაპყრობილ სოფელ სოუზე სხვადასხვა
მხრიდან იერიში მოაქვს ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც სოუს მცხოვ-
რებთაგან შედგენილ მოხალისეთა რაზმთან მჭიდრო საბრძოლო თანამშრომლო-
ბით მოქმედებს. აქ უკვე გამარჯვება სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყ-
ნისათვის, აქ უკვე უკანდახევა შეუძლებელია და ამიტომაც აქ ჩვენი უპირატე-
სობა ყოველმხრივ მომზადებულია და უზრუნველყოფილი. გადამწყვეტი შე-
ტევა, იშვიათი გულადობით, სტრატეგიული გონიერებით ჩატარებული იერიში
მტრის სრული განადგურებით და უკუუქცევით მთავრდება. რომანის ფინალური
სურათი ჩვენი უძლეველი საბრძოლო დროშების დიდებით არის განათებული,
რაც დიდი სამამულო ომის ძლევა მოსილ დასასრულს განსახიერებს. იაფად
როდი დაჯდომია ჩვენს ქვეყანას ეს გამარჯვება. მწერალი გვიჩვენებს იმ ური-
ცხვსა და ძვირფას მსხვერპლს, იმ მრავალ განსაცდელსა და მწუხარებას, რო-
მელთა საფასურითაც ჩვენმა ხალხმა მტერზე გამარჯვება მოიპოვა. მით უფრო
დიადია და ძვირფასი ჩვენთვის ეს გამარჯვება, მითუმეტესი ერთგულებით და
თავდადებით უნდა განვამტკიცოთ და დავიცვათ ჩვენ მისი შედეგები — აი რო-
მანის ძირითადი მორალი, მისი მასულდგმულებელი იდეა.

რომანში ნათლად არის გამოხატული ჩვენი გამარჯვების წყაროები და ფა-
ქტორები: კომუნისტური პარტიის დამრავლებელი და აღმაფრთოვანებელი მეს-
ვეურობა, საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების უპი-
რატესობანი, ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურყევი ძმობა. საბჭოთა ადამიანის,
ჩვენი ეპოქის დიადი ძვრების ატმოსფეროში აღზრდილი ან გარდაქმნილი ადამი-
ანის მაღალი შეგნებულობა და მორალური სისპეტაკე იყო და არის ჩვენი სამ-
შობლოს ყველა წარმატების ძირითადი საყრდენი. და სწორედ საბჭოთა ადა-
მიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს გამოხატვისათვის
მიუძღვნია „მთისკაცის“ ავტორს თავისი შემოქმედებითი ენერჯისა და ნიჭიე-
რების მთელი ძალა. რომანში ნათლად ვხედავთ საბჭოთა წრთობის ადამიანების
გულადობისა და უშიშროების, პატრიოტული თავგანწირულების, თავდადე-
ბული მეგობრობის და ამხანაგური სოლიდარობის ამადლეგებელ მაგალითებს.
მწერალი მოგვითხრობს თავისი გმირების — ახალგაზრდა საბჭოთა ადამი-

ნების კდემამოსილი, ამაღლევებელი სიყვარულის გრძნობაზე, ოჯახური ურთიერთობის სიწმინდეზე, უანგარო სტუმართმოყვარეობაზე, წინაპართა მიერ ნანადერძვე საუკეთესო ტრადიციათა ცხოველმყოფელობაზე ჩვენს დროში.

რომანის ერთ-ერთ ძირითად მოტივს წარმოადგენს თაობათა ჰარმონიული ერთიანობა საბჭოთა საზოგადოებაში. მთისკაცის, მოხუცი ბათუ ქარდუას ურთიერთობა თავის ჯოტოსთან, მის მეგობრებთან და ახლობლებთან მკვეთრად გვიხატავს საბჭოთა ხალხის ყველა თაობის ადამიანთა განუყოფელ ერთსულოვნებას, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ერთიანობაში.

ჩვენი ხალხის ყველა ის მთავარი თვისება, რომლებიც ამ გამარჯვებას ამზადებდა და უზრუნველყოფდა და რომლებიც ახლაც და მომავალშიც ჩვენი სამშობლოს უძლეველობის უპირველეს საწინდარს შეადგენენ, გამოხატულია და ნაჩვენები „მთისკაცში“ პლასტიკური სიცხადით, მხატვრული თხრობის დამაჯერებელი და შთამაგონებელი ოსტატობით.

მხატვრული აღნაგობის თვალსაზრისით ეს რომანი აღრმავეებს და განავითარებს ყველა იმ ძირითად სტილობრივ თავისებურებას, რაც დამახასიათებელი იყო „ტარიელ გოლუას“ და „გვადი ბიგვას“ ავტორისათვის: მშვიდი, ეპიკური სიღინჯით გაშლილი თხრობა, რომელიც დროდადრო უკიდურესად დაძაბულსა და გამძაფრებულს, ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულ სურათებში გადადის; მწყობრი სწრაფი თანმიმდევრობით აღმავალი, მტკიცე სიუჟეტურ კალაპოტში მოქცეული კომპოზიცია; ყოფაცხოვრებითი მასალის, მოქმედების ფონის ზედმიწევნით ცოდნა და ყოველ დეტალში მისი ზუსტი წარმოსახვა; სადა, ბუნებრივი სიტყვიერი ქსოვილი, რომელშიც გმირის მეტყველების სპეციფიკური კოლორიტი ორგანულად არის შედუღებული თანამედროვე ქართული სამწერლო ენის ბუნებასთან და, რაც მთავარია, — ტიპაჟის ცოცხალი ხატვის იშვიათი უნარი, რაც ლეო ქიაჩელის, როგორც ჭეშმარიტი რეალისტი ხელოვანის მხატვრული ინდივიდუალობის უპირველეს ღირსებას შეადგენს.

არც ერთ თავის სხვა ნაწარმოებში ლეო ქიაჩელს არ გამოუჩენია ბუნების მხატვრობის ისეთი ძალა და უნარი, როგორსაც „მთისკაცში“ ვხედავთ. რომანის მთელი სიუჟეტი განფენილია მთიანი აფხაზეთისა და შავი ზღვის სანაპირო მიდამოების წარმტაცი ბუნების ფონზე. ამასთანავე რომანის მთავარი გმირი ბათუ ქარდუა — მთისკაცად წოდებული, განთქმული მეჯოგე და მონადირე, მთელი თავისი ცხოვრებითა და არსებით შეზრდილია და შესისხლხორციებული მის აღმზრდელ მთის ბუნებასთან. ამიტომაც ამ რომანში მწერალს ფართო გასაქანი მიეცა ბუნების სურათებისაგან შედგენილი ცხოველი პანორამის დასახატად, ადამიანისა და გაცოცხლებული, სულჩადგმული ბუნების ურთიერთობის გადმოსაცემად.

რომანში მოცემულია მთის ბუნების მეტყველი პეიზაჟები — წლის ყოველი დროის, დღე-ღამის ყოველი ვითარების ამსახველი სურათები, აჟაგჟარას უღელტეხილისა, სანჭაროს ბილიკისა და სოუს თავისებური ბუნებრივი გარემოცვის აღწერილობები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ორგანულად არიან შეხამებული გმირის სულიერი სამყაროს მოძრაობასთან. ალექსანდრე ყაზბეგის უკვდავ ქმნილებათა შემდეგ ქართულ მხატვრულ პროზაში იშვიათად თუ შეგვხვდება ბუნების სურათების ასეთი შთაგონებული, ადამიანთა სულისკვეთებასთან და მისწრაფებებთან ასე ორგანულად შერწყმული მხატვრობა.

„მთისკაცში“ საბჭოთა ადამიანების სახეთა მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველაზე სრულად და მკვეთრად რომანში დახატულია მისი მთავარი გმირის — „მთისკაცად“, — „ჯოტოს მამად“ წოდებული ბათუ ქარღუას სახე. ბათუ — წარმოშობით გლეხი, ადრე დაობლებული, ნათესავ-მეგობრებს წამოუყვანიათ აღსაზრდელად. იგი ჩინებული მეჭოგე, იშვიათი ვაჟკაცი დამდგარა. ბოლოს საკუთარი ჯოგი გაუჩენია, ხოლო როდესაც ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა, ფეხიზელი გონების და ნათელი ალღოს ადამიანი მინდობია საკოლმეურნეო ცხოვრებას და სანჭაროს უღელტეხილის მისადგომებთან მდებარე პატარა სოფელ სოუში დასახლებულა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე პატარა სოუ არაფრით იყო ცნობილი და მისი სახელიც თვით სოფლის მცხოვრებთა გარდა ბევრს არვის გაეგონა. სოფლად დაარსებული კოლმეურნეობა მეჭოგეობასა და მეფუტკრეობას ეწეოდა. კოლმეურნეობას მეთაურობდა ყუბანიდან გადმოსახლებული ძველი პარტიზანი, ფიცხელი გულისა და ნათელი გონების პატრონი კირილე გორაკოვი. სასოფლო საბჭოს კი — ადგილობრივი მოწინავე გლეხი მაცი ზურუბაია. სოფლის ყველაზე გამოჩენილი კაცი კი ბათუ ქარღუა იყო: უბადლო ვაჟკაცი და იშვიათი მონადირე, ზრდილი და გონიერი, შრომისმოყვარე და გულმართალი გლეხი; როგორც თავისი გარეგანი შესახედაობით და ფიზიკური ძალოვანებით, ისე სულიერი თვისებებით, ზნეობისა და გონების ძალით, მთისკაცად წოდებული ბათუ ჩვენი მშრომელი გლეხკაცობის საუკეთესო თვისებათა ხორცშესხმული განსახიერებაა.

ბათუს შინ ჰყავდა თავის მიერ გაზრდილი ნათლული, მწყემსი მანუჩა, რომელიც სხვა დადებით ზნეობრივ და გონებრივ ღირსებებთან ერთად წერა-კითხვის მცოდნეც იყო და მუდმივად უკითხავდა ქვეყნიერების ამბებით ღრმად დაინტერესებულ ბათუს — შეიღის გამოგზავნილ ახალ გაზეთებსა და წიგნებს. მთისკაცის ერთადერთი ვაჟი ჯოტო კი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობდა და მოწინავე კომკავშირელი იყო.

ასეთი ბიოგრაფიისა და ბუნების ადამიანი დააყენა მწერალმა თავისი რომანის ცენტრში. მოქმედება იწყება ომის წინაღღეს. მართალია, ჯერ ომის ქაჰანებაც არ ისმოდა, მაგრამ მთისკაცი მინც გრძნობდა, რომ ეს მშვიდობა ადრე თუ გვიან დაირღვეოდა. ბათუმ ამჟარად იცოდა, რომ თუ ომის ქარიშხალი ამოვარდებოდა, მისი ჟოტო მყისვე ბრძოლაში გადაეშვებოდა. ასეთია საბჰოთა ახალგაზრდობის, კომკავშირული თაობის ბუნება. მთის კაცი ბევრს ფიქრობდა ომის მოსალოდნელობაზე, რაღაც უცნაურ სიზმრებსაც ხედავდა, რომლებშიც ომის წინათგრძნობა ესახებოდა და აი, გაუმართლდა ეს წინათგრძნობა: სანადიროდ აჰავჰარის მთებში წასულმა ბათუმ მოულოდნელად გაიგო ჩვენს სამშობლოზე მტრის ვერაგული თავდასხმის ამბავი. ელვის სისწრაფით ამოჰრავდა მთა და ბარი. აჰავჰარის მწყემსების სახელდახელო მიტინგი, რომელზეც პარტიის საოლჰო კომიტეტის წარმომადგენელი გამოვიდა საბრძოლოდ მომწოდებელი სიტყვით, მეტყველი სურათია იმ საერთო პატრიოტული აღფრთოვანებისა, რომელმაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოიცვა ომის პირველსავე დღეს. მთიანი აფხაზეთის ეს შორეული კუთხე ბანს აძღვედა და იმეორებდა მთელი ჩვენი ხალხის ერთსულოვან ძახილს: ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

გრივალისებური სისწრაფით გაემართა მთისკაცი სოხუმისაკენ, რათა ბრძოლის ველზე მიმავალი შვილისათვის მიესწრო. თავგამოდებით მიაჰქენებდა იგი სანჰაროს სახიფათო ბილიკზე თავის საყვარელ ცხენს ჰონდოს. მზის ჩასვლამდე უნდა გაევილო მთისკაცს ეს ბილიკი და გზატკეცილზე გამოსულიყო. მთისკაცი თითქოს მზეს ეტოჰებოდა სვლაში. ამ იღუმალი მეტოჰეობის სურათი რომანის ერთ-ერთ უაღრესი ექსპრესიულობით აღბეჰდილ პასაჰს წარმოადგენს. ბათუმ დაასწრო მზის ჩასვლას. მაგრამ შვილს კი ვერ მიუსწრო სოხუმში. ჟოტო თავის მეგობარ თემურთან და სხვა ამხანაგებთან ერთად უკვე გაფრენილიყო სოხუმიდან სამხედრო საავიაციო სკოლაში ჩასარიცხად, რათა სახელოვანი საბჰოთა მფრინავის რიგებში ჩამდგარიყო.

ჟოტოს უახლოესი მეგობარი კი, იულონ გარსიას ქალიშვილი ლია, მამის მძიმე ავადმყოფობის გამო ჰერჰერობით შინ დარჩენილა. ლიას სახით მწერალი გვიხატავს მოწინავე საბჰოთა ქალიშვილის ხორცშესხმულ ტიპს, სპეტაკი სულისა და უშიშარი გულის კომკავშირელ ქალს, რომელმაც წრფელი, უანგარო სიყვარულიც იცის და მშობლებისადმი მოვალეობის გრძნობაც და სამშობლოსათვის სიცოცხლის მამაცურად განწირვის უნარიც გააჩნია.

ომი მძაფრდება. დროებითი წარმატებით გათავხედებული მტერი გააფრთხებულად წინ მიიწევს. ბრძოლის ველი უკვე კავკასიონის ქედს მიებჰინა. საფრთხე უშუალოდ დაემუჰრა სოუს. მტერს უნდა ხელთ იგდოს საქართველოში

შემოქრის თვალსაზრისით ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი. იწყება ბრძოლა სოუსათვის. პატარა, წინათ უცნობი და უმნიშვნელო სოფელ სოუს სახელი ახლა ქვეყნიერებას ეფინება. სოუს მცხოვრებთ ადგილობრივი მოხალისეთა რაზმი შეუდგენიათ მტრის მიერ ზურგში გადმოსროლილ დივერსანტების გასანადგურებლად. მთის კაცი ბათუ ქარდუა კირილე გორაკოვთან და მაცი ზურაბიასთან ერთად მეთაურობს ამ რაზმს. ჯოტოს კი საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიუღია.

სოხუმს ჩასულმა მანუჩამ გაიგო პირველად ეს ამბავი ლიასაგან და იმ დამითვე სასწრაფოდ გამოეშურა სოუსაკენ, რათა ეს სასიხარულო ცნობა სოფლისათვის, ჯოტოს მამისათვის საჩქაროდ მიეხარებია. გზაზე დამით, სანქაროს ბილიკით ბზიფის აღმართზე მიმავალ მანუჩას საბჭოთა არმიელები შემოხვდნენ. მათ მძიმედ დაჭრილი თანამებრძოლი მოჰყავდათ თან... მანუჩა ძმურად მიეშველა საბჭოთა მებრძოლებს, გზა ასწავლა მათ, თავისი საგზალი გაუნაწილა, თავისი ცხენი დაუთმო დაჭრილის სატარებლად. მაგრამ მძიმედ დაჭრილ ვანია სადოვნიკოვს სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. მან გზაზე დალია სული. ეს ეპიზოდი აფხაზეთის მთებში რუსი საბჭოთა არმიელის სიკვდილი, ღრმა ადამიანური განცდით და მხატვრული სიმართლით აღწერილი რომანში, მკაფიოდ განასახიერებს ჩვენი სამშობლოს ხალხების ძმობისა და საბრძოლო თანამეგობრობის ღიად გრძნობას, რომელმაც განსაკუთრებული ძალით და ცხოველმყოფელობით იჩინა თავი სამამულო ომის დღეებში.

ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომის იშვიათი ძალით გამოგვემს მწერალი მთისკაცის განცდებს, როდესაც მას მანუჩა უკითხავს გაზეთებში გამოქვეყნებულ ბრძანებულებას ჯოტოსათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ და აგრეთვე ჯოტოს წერილს მამისადმი.

თავისი მთავარი გმირის ხასიათის უფრო სრული გამოხატვისათვის ავტორს გადაყავს მთისკაცი ერთი მდგომარეობიდან მეორე, — სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაში. სწორედ მაშინ, როდესაც ბათუ ქარდუა თავისი შვილის გმირობისა და დიდების ბედნიერებით იყო მოცული, მას თავს დაატყდა სრულიად მოულოდნელი დიდი უსიამოვნება: სოუელი რაზმელების მიერ დატყვევებულმა დივერსანტმა დაკითხვის დროს უჩვენა, რომ იგი მთისკაცთან, ბათუ ქარდუასთან იყო გამოგზავნილი. მართალია, სოფლის მესვეურებმა არ დაიჭერეს ჯოტოს მამის მოლაღატეობა, მაგრამ ამ ამბავმა მაინც დიდი შეშფოთება გამოიწვია მოხუცი მთისკაცის გულში. სწორედ ამ მომენტში მოვიდა საბჭოთა სარდლობის ბრძანება სოუს დროებითი ევაკუაციის შესახებ და თანაც შინსახკომის რწმუნებულის მოწერილობა, რომლითაც მთისკაცს დაუყოვნებლივ სოხუმს იბარებდნენ.

არავინ იცის, თუ რით არის გამოწვეული ჯოტოს მამის ასეთი უეცარი გაწვევა. ვარაუდით ორში ერთი მიზეზი უნდა იყოს: ან ღივერსანტის მიერ ბათუს დასახელება თავის სანდო კაცად, ან კიდევ ჯოტოს თავზე დატრიალებული რაიმე ხიფათი.

გონებაამღვრელი მთისკაცი სულისმოუთქმელად მიეშურება სოხუმისაკენ. დანიშნულ დროზე იგი უკვე ქალაქშია. აქ ბათუმ იხილა ქალაქზე მტრის თვითმფრინავების თავდასხმის სურათი. ეს სურათი, უზადო რეალისტური ხელოვნებით დახატული, ცხოვლად აღადგენს მკითხველის მეხსიერებაში სამაჟულო ომის მრისხანე დღეების დაძაბულ ვითარებას.

სოხუმს გამოწვევის ორი მოსალოდნელი მიზეზისაგან ორივე საშინელია მთისკაცისათვის, მაგრამ იგი მეტის შიშით მაინც ჯოტოს ამბავს მოელის. ბრძოლის ველზე წასული შვილისადმი მოყვარული მამის გრძნობა, როგორც განზოგადებული გამოხატულება საბჭოთა ხალხის გრძნობებისა თავისი სახელოვანი მემორებისადმი, უკიდურესი სიმძაფრით არის გამოთქმული მთისკაცის ერთ მცირე მონოლოგში: „ჰოი, ნუ გამაგონებთ ჯოტოს უბედურებას. დალოცვილებო, დამიმალეთ, ნუ მეტყვით, თუ რამე იცით. სხვას ყველაფერს აიტანს, ყველაფერს შეურიგდება ეს ჩემი ბებერი გული. დეე, გაითელოს ჩემი სიმართლე... უსაზიზღრესი ცილი დამწამონ მტრებმა... არ მეშინია. ვიცი: სიმართლე აღსდგება ისევ და მისი ნათელი ჩემს პატიოსან სახელს კვლავ მოეფინება. ჯოტოს უბედურებას კი ნუ გააგონებთ მის მოხუც მამას! რატომ გინდათ, რომ მე იგი ვიცოდე, ამისათვის ნუ მიხმობთ! მითხარით, ცოცხალი არის-თქო, მითხარით ასე, ტყუილიც რომ იყოს, რადგანაც იმედით ცოცხლობს ადამიანი, რომც არასოდეს არ გაუმართლდეს... ჰოო, იმედი, თუ გინდ ამო, მაგრამ მაინც იმედი სიკვდილის პირამდე მიჰყვება ყველას ვინც ამ ქვეყანაზე ადამიანად დაბადებულია... ცოტა რამეა იგი, წონა არა აქვს, არც ფასი, ხოლო ყველას, როგორც დიდს, ისე პატარას, — თანაბრად გულის სკივრში აქვს გამოკეტილი, სანამ სული უდგია. ნუ მეტყვით უარს ამ ცოტა რამეზე, თორემ მოხუცს სიკვდილი გაშიჭირდება. ანთებული სანთელივით გარს შემოგვევლეთ ყველას!..“

მთისკაცის ვარაუდი არ გამართლდა. გამოირკვა, რომ იგი სოხუმს რაიმე ექვემდებარების გამო ან ცუდი ამბის შესატყობინებლად როდი ყოფილა გამოძახებული. იგი გამოუწვევიათ, რათა განთქმული მონადირისა და ყოფილი მეჯოგისათვის, საიმედო ვაჟკაცისათვის უაღრესად საპასუხისმგებლო დავალება მიეცათ.

მთისკაცს დაევალა მეგზურობა გაუწიოს საბჭოთა არმიის ერთ-ერთ შენაერთს, უჩვენოს ნაკლებად ცნობილი და ყველაზე მოხერხებული მთიანი ბილიკები, რომ მტერს ზურგიდან შემოუარონ და მოულოდნელად თავს დაესხან. ჯარის ამ ნაწილში, რომელსაც მთისკაცი უნდა გაჰყვეს, მედიცინის დად ჩარეცხუ-

ლია ჯოტოს საცოლე ღია, რომელსაც მამა გარდაეცვალა და ახლა უკვე აღარაფერი აბრკოლებს, რომ თავისი ძალა და სიცოცხლე სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლების საქმეს შესწიროს.

მთისკაცი სამი დღით ადრე გაემგზავრა ბილიკების წინასწარ დასათვალიერებლად. ამ მგზავრობაში მას მრავალი ხიფათი და განსაცდელი გადახდა თავს. იგი ხელთ იგდეს სანჯაროს უღელტეხილით ბზიფის ხეობაში შემოჭრილმა გერმანელმა ოკუპანტებმა. განუზომელი გულისტკივილი განიცადა ბათუმ, როდესაც თავისი თვალთ ნახა დამპყრობლების მიერ ვერაგულად ხეზე ჩამოხრჩობილი მანუჩას გვამი. მთისკაცი ერთი წუთითაც არ შერიგებია საძულველი მტრის ხელში ტყვეობის ხვედრს. მას გადაჭრით გადაწყვეტილი ჰქონდა გაქცევა და შეძლო კიდევ მოხერხებულად, თავგანწირულად ხელიდან გასხლტომოდა ოკუპანტებს და მათ სამსახურში მოლაღატურად გადასულ სამსონ ღარაძეს.

ტყვეობიდან თავდაღწეულმა მთისკაცმა ბრწყინვალედ შეასრულა საბჭოთა სარდლობის დავალება. მან უცნობი და მტრის მიერ გაუთვალისწინებელი ბილიკებით მიიყვანა საბჭოთა მეზობლები სოუს მისადგომებთან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრივ. სწორედ ამ ასეულს უნდა მიეტანა მტერზე პირველი მოულოდნელი იერიში და ამით სოუსში შემოჭრა გაეადვილებია სამხრეთის მხრიდან სოუსაკენ დაძრულ საბჭოთა ჯარის მთავარი შენაერთისათვის.

რომანის უკანასკნელ თავში აღწერილია ჩვენი ჯარის მიერ სოუს აღება, მტრის განადგურება და უკუქცევა. მკითხველის თვალწინ მხატვრულ საშუალებათა უაღრესი ეკონომიით დანატყლი სამაგალითო ბატალური სურათია გადაშლილი. სოუსათვის გადამწყვეტი ხელჩართული ბრძოლის დროს მეხივით ჰქუხს მთისკაცის შეძახილი: „ჰკა, მაგათ“. მტერს ეს ხმა ბუნების რისხვად ატყდებოდა თავს, მხოლოდ საბჭოთა მეზობლებს იგი გმირობისათვის აღაგზნებს, რადგან მთისკაცის ამ შეძახილში მთელი ჩვენი სამშობლოს, ჩვენი ხალხის საბრძოლო ყიყინა გაისმის.

მთისკაცი იღუპება სოუსათვის გაჩაღებულ ხელჩართულ ბრძოლაში. წარუშლელი შთაბეჭდილების ძალით ხატავს მწერალი მთისკაცის სიკვდილის სურათს. ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან სოუსში შემოჭრილ ერთ-ერთ მთის ძირში იწვა მკერდგანგმირული ბათუ ქარღუა: „მთისკაცი იწვა პირაღმა ძირფესვიანად ამოთხრილი, ტყვიისაგან გასხეპილი და ცეცხლით გაბუგული ფიკვების ვეება ძელებს შორის მათებრ ვეება და ცეცხლით შერუჯული“... „სული გაენაბა გარემოს. იგი თითქოს იმის მოლოდინში იმყოფებოდა, თუ რით დამთავრდებოდა ამ ვეება ადამინის სხეულის უხმო ბრძოლა სიკვდილთან“.

სულთმობრძავ მთისკაცს მოესმის საბრძოლო ყიჟინის ხმები. ეს ჩვენებო-
სდევნიან და ანადგურებენ მთებში შეხიზნულ უკანასკნელ ნაშთებს დამპყ-
რობელთა ურდოებისა. ამ სასიხარულო ხმაურთან ერთად მთისკაცს ყურში ჩა-
ესმის დაჭრილი თანამოძმეების გულსაკლავი კენესაც. მათ შორის ბათუმ გამო-
იციწო თავისი საყვარელი მეგობრის მაცი ზურუბაიას ხმაც. ბორგავს მთისკაცი.
უნდა ხმა მოაწვდინოს, წამოდგეს, მიეშველოს გასაჭირში მყოფ მოძმეს, მაგ-
რამ ამოდ... ხმაც წართმევია და მოძრაობის ძალაც.

სიკვდილზე უფრო მწვავედ განიცადა მთისკაცმა, როცა შეიციწო თავის გულ-
მკერდზე დაფენილი თმები ლიასი. ალბათ, სასიკვდილოდ დაჭრილი ბათუს
მისაშველებლად მოსული ლია მოუცვლავს მტრის ტყეიას და გოგონა მკერდზე
დაკვდომია თავის საყვარელ მოხუც მეგობარს, თავის ჯოტოს მამას...

უმწეო მთისკაცს ახლა ერთილა დარჩენია: მოუხმოს თავის ჯოტოს, სახე-
ლოვან მფრინავს, რომელიც ვინ იცის, სად, ფრონტის რომელ უბანზე მუსრავს
და ანადგურებს მტერს. ბათუს ეჩვენება, რომ მის დაძახილზე მართლაც სულთ-
მობრძავი მამისკენ მოფრინავს ჯოტო. აი, დაეშვა კიდეც მისი თვითმფრინავი.
მთისკაცი ხედავს თავის ერთადერთ პირმშოს, რომლის გარეგნობაშიც საკუთარი
სიყრმის სახება წარმოუდგება: „ჰოო! რა ბედნიერია მთისკაცი! რად უნდა ემი-
ნოდეს ახლა სიკვდილის, როცა გრძნობს, რომ შვილის სახით უკვდავი რჩება ამ
ქვეყანაზე“.

იწყება მომაკვდავი მამის მოჩვენებითი საუბარი შვილთან. ჯოტო არწმუ-
ნებს მამას, რომ ახლა ყოველგვარი ჭრილობის განკურნება შეიძლება, ახლავე
გააფრენს მას სამკურნალოდ. მთისკაცი კი ეხვეწება შვილს სასწრაფოდ უშვე-
ლოს ლიას, მაცი ზურუბაიას, სხვა დაჭრილ თანამოძმეებს, შემდეგ მანუჩას
მიხედოს, გმირულად დაღუპულ მანუჩას, — რომელიც ახლაც იმობრძობა-
ლი ჰკიდია ხეზე აჭავჭავარაში, მერე მოიკითხოს სადღაც კლდე-ღრეში გადაჩეხი-
ლი მათი ერთგული ცხენი — ჯონდო და ბოლოს კი... „როცა შეასრულებ ყვე-
ლა ჩემს თხოვნას, მერე, სულ ბოლოს ჩემთან მოდი... ბევრს არაფერს ეთხოვ
შვილო... ლაკადაში გამაფრინე, ჩემს სამშობლოში, დედაშენთან... თუ მოსარ-
ჩენი ვარ, ისევ დედაშენი მომარჩენს, ჯოტო... ბიძაშენთან არის თავშეფარებუ-
ლი... რუსულდანიც იქ იმყოფება მასთან... დღე და ღამე ლოცულობენ შენთვის
საცოდავები...“

რამდენი კეთილშობილებაა, სულის როგორი სიმაღლე და სიღიაღია მო-
მაკვდავი მთისკაცის ამ უკანასკნელ ფიქრებსა და განცდებში!

ბრძოლა მთავრდება, სოუ გაწმენდილია საძულველი მტრის ურდოებისა-
გან. აი, გამარჯვებული თანამებრძოლნი გარს შემოხვევიან მთისკაცს. ბათუმ
იციწო თავისი საყვარელი კირილე გორაკოვი, თავისი ჯოტოს ტოლები და მე-

გობრები. სიხარულის სხივი ეფინება მის მომაკვდავ სახეს. იმედითა და გამარჯვების სიხარულით მოცული ლევს იგი სულს.

გვხვდება „მთისკაცში“ ცალკეული „პროზაიზმები“, გმირის მოქმედების თუ მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობის ზედმეტად დაწვრილებითი აღწერილობანი, რომლებიც „ამუხრუჭებენ“ სიუჟეტის დინამიკურ განვითარებას და, შესადაამე, ანელებენ კიდევ შთაბეჭდილებას.

როგორც თავის სხვა ძირითად ნაწარმოებებში „(ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“), „მთისკაცშიც“ ლეო ქიაჩელი ეპოქის ძირითად მამოძრავებელ ძალას, მის ავანგარდს, რომანის მეორე პლანზე მიუჩინს ადგილს, მაგალითად „ტარიელ გოლუაში“ მოქმედების ცენტრში დგას არა რევოლუციური ბრძოლის პირდაპირი მეთაური, ქალაქთან და მუშათა კლასთან უშუალოდ დაკავშირებული ახალგაზრდა რევოლუციონერი ლევან გოლუა, არამედ ლევანის მეშვეობით რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმული მოხუცი გლეხი ტარიელი. ასევეა „გვადი ბიგვაშიც“. აქ თხრობის ცენტრში საკოლმეურნეო ცხოვრების შემოქმედი და მესვეური ძალები კი არ დგანან, არამედ საკოლმეურნეო წყობილების მიერ წელში გამართული და აღდგენილი გვადი, რომელიც წარსულის კოშმარით იყო დაძაბუნებული. „მთისკაცის“ მთავარ გმირსაც თვით ჯოტო, — საბჭოთა ფორმაციის ადამიანი კი არ წარმოადგენს, არამედ ყოფილი მესაკუთრე მეჯოგე — გულწრფელად და თავდადებულად შესისხლხორცებული ჩვენს სინამდვილესთან, ჩვენს ხალხის საბრძოლო საქმესთან.

ჩვენი ეპოქის დიად მოვლენათა და მათი მამოძრავებელი ძალების გამოხატვის ეს „შემოვლითი გზა“ ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს.

ამის მიუხედავად, როგორც „ტარიელ გოლუა“ და „გვადი ბიგვა“, ლეო ქიაჩელის უკანასკნელი რომანი „მთისკაციც“ თანამედროვე ქართული მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რიგს მიეკუთვნება სწორედ ჩვენი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენათა სიმართლით გამოხატვის თვალსაზრისით. რომანის ღრმა სოციალური მნიშვნელობა და ესთეტიკური ღირებულება სავსებით უდავო და თვალსაჩინოა.

ასეთია ლეო ქიაჩელის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა. ასეთია იღვებისა, თემებისა და სახეების ის მდიდარი სამყარო, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა მის შემოქმედებაში.

ლეო ქიაჩელს აგრეთვე თვალსაჩინო დგაწლი მიუძღვის ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. მისი საბავშვო მოთხრობები დამსახურე-

ბულად სარგებლობენ ფართო პოპულარობით და სიყვარულით მოზარდ მკითხველთა ფენებში.

ლეო ქიაჩელმა ქართულ მწერლობას შესძინა მ. გორკის, სტენდალის, ანატოლ ფრანსის და მსოფლიო ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ნაწარმოებების შესანიშნავი თარგმანები. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საყურადღებო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მშობლიური და უცხოური ლიტერატურის კლასიკოსთა შესახებ, თანამედროვე მწერლობის საკითხებზე.

ლეო ქიაჩელის საუკეთესო ქმნილებათა დიდი ნაწილი თარგმნილია რუსულ ენაზე და სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების ენებზე. მისი „ტარიელ გოლუა“, „გვადი ბიგვა“ და ზოგიერთი ნოველა გამოცემულია ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთში და უცხოეთის მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. მილიონობით ადამიანი ჩვენს თვალუწვდენ სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმა ლეო ქიაჩელის წიგნებით ეცნობა ქართველი ხალხის ცხოვრებას, მის შთაგონებულ შრომასა და ბრძოლას ახალი სამყაროს აშენებისათვის. ქართველი ადამიანის ხასიათის ტიპიურ თვისებებს, ჩვენს ყოფას, ჩვენი ქვეყნის მომაჯადოებელ ბუნებას.

განუზომელი და ფასდაუდებელია ლეო ქიაჩელის წვლილი ქართული საბჭოთა ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის მრავალეროვნული მწერლობის განვითარებაში. მისი მხატვრული შემოქმედება შეადგენს უმდიდრეს სულიერ საგანძურს, რომელზეც იდებურსა, ზნეობრივსა და ესთეტიკურ წრთობას იღებენ და კვლავაც მიიღებენ ჩვენი ხალხის ახალი და ახალი თაობები.

დენა შენგელაია

საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ 1971 წელს საზეიმოდ აღნიშნა გამოჩენილი თანამედროვე მწერლის დენა შენგელაიას დაბადების 75 წლისთავი. თანამოკალმეებმა და მადლიერმა მკითხველებმა ერთსულვნად მისცეს სამართლიანად მაღალი შეფასება იმ დიდ შემოქმედებით ღვაწლს, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუცხრომლად ეწევა დენა შენგელაია მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე. ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზე, მისი აღმოცენების წლებიდან დღემდე დენა შენგელაია განუწყვეტლივ დგას მხატვრული სიტყვის იმ მოწინავე ოსტატთა რიგში რომლებიც თავიანთი შთაგონებული შრომით ამკვიდრებენ და აწვითარებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო შემოქმედებით ტრადიციებს, ამდიდრებენ მას თემებისა და სახეების, მხატვრული მეტყველების საშუალებათა ახალი სამყაროთი.

მაღალი პროფესიული კულტურის მწერალი, ღრმად ინდივიდუალური, თვითმყოფადი ნიჭიერების ხელოვანი თავისი რომანებით, მოთხრობებით და ნოველებით უაღრესად ნოვატორულ როლს ასრულებს საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში დენა შენგელაიამ დაწერა რომანი „სანავარდო“ — ოციანი წლების ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები, რომელიც თავის დროზე მოასწავებდა დეკადენტური სკოლების მიერ დაკნინებულ და გადატაკებული მხატვრული პროზის, კერძოდ რომანის ჟანრის აღდგენასა და აღორძინებას. მართალია, ახალგაზრდა ბელეტრისტის ეს პირველი ფართო პლანის ნაწარმოები ჯერ კიდევ საგრძნობლად იყო დაშორებული საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებითი პოზიციებისაგან, იგი ღრმად იყო აღბეჭდილი ანტირეალისტური სამწერლო მიმართულებათა ზეგავლენით, მაგრამ ამის მიუხედავად ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიული ვითარებისათვის ეს ნაწარმოები ბევრ რამეს შეიცავდა პრინციპულად ახალსა და პროგრესულს, როგორც იდეური ჩანაფიქრის მხრივ, ისე მხატვრული მეტყველების საშუალებათა თვალსაზრისით.

დიდად გამდიდრდა და გამრავალფეროვანდა ოციანი წლების ქართული მხატვრული პროზის თემატიკური სამყარო და გამოსახულების საშუალებათა

არსენალი დემნა შენგელაიას იმ მოთხრობებითაც, რომლებშიც მწერალი სამოქალაქო ომის ეპოპეას და საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების პროცესებს ასახავდა („გურამ ბარამანდია“, „თებერვალი“ და სხვ.). ოცდაათიანი წლების დამდეგს შექმნილი დ. შენგელაიას რომანი „ბათა ქექია“ დღემდე ინარჩუნებს და ყოველთვის შეინარჩუნებს ახალი ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი უაღრესად ორიგინალური, ღრმად თავისებური ქანობრივ-თემატიკური ბუნებისა და მაღალი ესთეტიკური უღერის ნაწარმოების რეპუტაციას. ეს წიგნი თავისებური ელფერით ავსებს და ამშვენებს იმ მაღალ-მხატვრული რომანების ანსამბლს, რომელიც შექმნა ქართულმა მწერლობამ ოცდაათიან წლებში — მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ამ მძლავრი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდში.

ოცდაათიანსავე წლებში, მრავალი მოთხრობისა და ნოველის გარდა, დ. შენგელაიამ დაწერა რომანები „ირმის ნახტომი“ და „შთაგონება“, რომელთაც ღრმად პრინციპული მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის განვითარების თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ჩვენი მხატვრული პროზა დღემდე უპირატესად სოფლის ცხოვრებას გამოხატავს, მის მთავარ გმირს დღემდე უპირატესად გლეხობა წარმოადგენს, ხოლო ქალაქი თავისი სპეციფიკური ყოფა-ცხოვრებით, ქალაქის მშრომელი ხალხი, ინდუსტრიის ადამიანები, ჩვენი სახალხო ინტელიგენცია შედარებით მკრთალად და ძუნწად არის ასახული ქართველ ბელეტრისტთა შემოქმედებაში. ეს უმართებულო „დისპროპორცია“, რომელიც დღემდე არ არის გადალახული, განაპირობებს თანამედროვე ქართული მწერლობის, კერძოდ მხატვრული პროზის გარკვეულ თემატიკურ შეზღუდულობასა და ცალმხრივობას.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დ. შენგელაიას ხსენებულ რომანებს, რომელთა სიუჟეტიც საქართველოს დედაქალაქის ფონზეა გაშლილი. „ირმის ნახტომში“ მოთხრობილია, თუ როგორ ირღვეოდა გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან ძველი თბილისის ამქრულ-ხელოსნური ცხოვრება, რომელსაც ძლევა მოსილად ცვლიდა კაპიტალისტური საფაბრიკოსაქარხნო მრეწველობა, რაც თავის მხრივ უდიდეს ძვრებს იწვევდა ქვეყნის იდეურ ცხოვრებაში — ხალხოსნური მოძრაობა საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე გზას. უთმობდა სულ უფრო და უფრო ფართოდ აღმავალ მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, რომელიც მეცნიერული სოციალიზმით, მარქსისტული მოძღვრებით იარაღდებოდა. ჩვენი ხალხის სოციალურ და სააზროვნო ცხოვრებაში აღძრული ეს ღრმა ისტორიული ცვლილებანი „ირმის ნახტომში“ ასახულია უაღრესად კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სურათების და მძლავრად შთამბეჭქდავი ადამიანური სახეების ურთიერთობათა მეშვეობით. „შთაგო-

ნებაში“ კი ორი სიუჟეტური პლანი ენაცვლება და ავსებს ერთმანეთს. ერთი მხრივ მასში წარმოსახულია 1905 წლის რევოლუციის პერიოდის თბილისი,— ჩვენი დედაქალაქის პროლეტარიატის თავგანწირული ბრძოლა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების, თვითმპყრობელური ტირანიის დასამხობად, ხოლო მეორეს მხრივ ნაჩვენებია ამ გმირულ ბრძოლათა შედეგად წარმოშობილი ახალი ცხოვრების მშენებლობა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში, რომლის მშენებლასა და ძალას თავდადებული შრომით და შემოქმედებით განამტკიცებენ სოციალისტური ცხოვრების ატმოსფეროში აღზრდილ ადამიანთა ახალნი თაობები. რომანის ძირითად პათოსს ამ ორი ისტორიული ეპოქის და მათა პირმშო ადამიანთა თაობების კანონზომიერი ურთიერთკავშირის მხატვრული დასაბუთება შეადგენს.

ამ ორ რომანში მწერალმა დახატა მუშათა, ხელოსანთა, გონებრივი შრომის ადამიანთა მდიდარი და მრავალფეროვანი გალერეა, რითაც საგრძნობლად ხელი შეუწყო თანამედროვე ქართულ მწერლობაში ქალაქური ატმოსფეროს, ინდუსტრიული სუნთქვის დამკვიდრებას.

ყოველივე ეს თავისებური მხატვრული ანარეკლი იყო იმ დიდი შრომითი, შემოქმედებითი პათოსისა, რომლითაც მოცული იყო ჩვენი სამშობლო ოცდაათიან წლებში — დიდი ხუთწლეულების ხანაში, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის გაშლილი ბრძოლის პერიოდში.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის თემაზე ქართული მწერლობის მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დ. შენგელაიას მოთხრობას „წითელი ყაყაჩო“. ამ ნაწარმოებში მწერალმა დახატა ღრმა ემოციური ზემოქმედების ძალის სურათები, რომლებიც აღადგენენ ჩვენს მეხსიერებაში ომისწინადროინდელი მშვიდობიანი ცხოვრების მზიურ დღეებს, სამამულო ომის ქარიშხლის მოულოდნელ ამოვარდნას, საბჭოთა ადამიანების თავგანწირულ ბრძოლას ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, ამ ბრძოლის ძლიერამოსილად დამთავრებას და ომის ქარცეცხლში გამოვლილი საბჭოთა მებრძოლის გამარჯვებულად შინ დაბრუნებას. ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს უდიდესი მოვლენები, რომელთა მოთავსებაც ძნელი იქნებოდა ვრცელ ეპოპეაშიც კი, აქ გადმოცემულია მცირე მოცულობის ბელეტრისტულ ქმნილებაში, მაგრამ იმგვარად, რომ არსად არ იგრძნობა სქემატიურობისა და ზედაპირულობის საშიშროება. მოთხრობა, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს და უმღერის ჩვენი ხალხის, რიგითი საბჭოთა ადამიანების იმ მაღალ პატრიოტულ შეგნებას და სპეტაკ მორალურ თვისებებს, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს უბოროტეს მტერზე ჩვენი სამშობლოს დიადი გამარჯვების გამოქედვის

საქმეში. ამ წიგნით მწერალმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოავლინა თავისი იშვიათი უნარი მოვლენათა თავისებური კუთხით გახსნისა და ორიგინალური მხატვრული ასპექტით გაშუქებისა.

ჩვენი ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებული სიმწვავეთ გაჩაღებულ ბრძოლას ადამიანთა შეგნებიდან წარსულის ბნელი გადმონაშთების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის მიუძღვნა დ. შენგელაიამ მრავალმხრივად საყურადღებო მოთხრობა „განძი“. მიუხედავად სერიოზული პრეტენზიებისა, რომელთაც ამ მოთხრობის ცალკეული პასაჟები იწვევს, ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ იგი ერთსულოვნად აღიარა ომისშემდეგი წლების ჩვენი მხატვრული პროზის ერთ-ერთ საუკეთესო და უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად. ამ ნაწარმოებში მწერალმა ახალი ძალით გამოავლინა თავისი სამაგალითო ნიჭიერება გმირის სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომისა, ადამიანის უკიდურესად გამძაფრებული გრძნობებისა და განცდების გადმოცემისა, ადამიანური ხასიათებისა და გარემოცვის ცოცხლად, მეტყველად, კოლორიტულად ხატვისა. აქ კიდევ ერთხელ და მთელი სისავსით თავი იჩინა მწერლის ნაწრთობმა ხელოვნებამ მხატვრული სიტყვის სფეროში, მისი ლექსიკის გასაოცარმა სიმდიდრემ, თხრობის სიტყვიერი ქსოვილის დამუშავების მაღალმა ოსტატობამ.

თუ ყოველივე ზემოთქმულთან ერთად გავიხსენებთ დ. შენგელაიას მრავალსხვა მოთხრობასა და ნოველას ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრებისა თუ ისტორიული წარსულის თემაზე, ჩვენთვის ძნელი არ იქნება გავითვალისწინოთ თუ რაოდენ დიდი და ძვირფასი წვლილი შეაქვს მწერალს ქართული მხატვრული პროზის საგანძურში, როგორ ორგანულად არის დაკავშირებული მისი შემოქმედების თემატიკა და პრობლემატიკა ხალხის ცხოვრებასთან, სოციალური სინამდვილის განვითარებასთან, როგორ მრავალმხრივად მოიცავს და ეხმაურება მწერალი საბჭოთა ადამიანის სულიერ მოთხოვნებსა და ინტერესებს. ფართოა და მრავალმხრივი მწერლის შემოქმედებითი ინტერესები. მართალია, მისი შთავგონების უპირველეს წყაროს ჩვენი თანამედროვეობა წარმოადგენს, მაგრამ იგი ოდნავადაც არ იზღუდება ვიწროდ გაგებული დღევანდელობის ფარგლებით. იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც მწერალი ჩვენი ხალხის სადღეისო სულიერ მოთხოვნებს ეხმაურება ახლობელი თუ შორეული ისტორიული წარსულის თემებზე დაწერილი ნაწარმოებებით. მაგრამ ყოველ ასეთ შემთხვევაში მწერალი ინარჩუნებს თანამედროვეობის გრძნობას, ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის თვალსაზრისს მოვლენათა გააზრებასა და გამოხატვაში.

როგორც ჭეშმარიტ ხელოვანს დ. შენგელაიას აქვს უაღრესად სპეციფიკური „ხელწერა“, საკუთარი სტილი მხატვრული მეტყველებისა; მის ეპიკურ აზ-

როვნებასა და მხატვრობაში მძლავრად ჩქეფს ლირიკული ნაკადიც. წრფელი განცდით, ლირიკული მღვლეზარებით, პოეტური გზნებით ხატავს იგი საზოგადოებრივი ვითარების თუ ფიზიკის სულიერი ცხოვრების სურათებს, მოქმედების ფონსა და გარემოცვას. ყოფაცხოვრებით სცენებსა თუ პეიზაჟებს იგი უფრო გვიხატავს, ვიდრე მოგვითხრობს.

უმრავლეს შემთხვევაში მწერალი გაუბრის მძაფრ ფაბულურ ხლართებს და „მიმზიდველობისათვის“ ნავარაუდევ თვითმიზნურ სიუჟეტურ კომპოზიციებს. ზოგჯერ მის ნაწარმოებში თითქმის არც კი იგრძნობა ფაბულური კვანძი. მწერალი რაიმე გარკვეულ ეპიზოდს აღგვიწერს ან გმირის პორტრეტს ხატავს.

ამბის განვითარების, სიუჟეტური დინამიკის თვალსაზრისით აქ არაფერი ხდება განსაკუთრებული და მოულოდნელი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მწერალი აღწევს გარემოცვის აღწერილობის ისეთ ძალას, ისეთი ექსპრესიით აღბეჭდილ სურათებს ხატავს, ისეთი ნიუანსებით გადმოგვცემს გმირის გრძნობათა და განცდათა მოძრაობას, რომ ერთბაშად მყარდება ღრმა ემოციური კონტაქტა, მკითხველსა და ნაწარმოებებში დახატულ ადამიანებს შორის.

დემნა შენგელაიას მიერ შექმნილი სახეების მიღმა ჩვენ ყოველთვის ვხედავთ და განვიცდით თვით ავტორს, მის თვალსაზრისს, მის დამოკიდებულებას ნაწარმოებში გამოხატული მოვლენებისა და ადამიანების მიმართ მაშინაც კი, როცა თხრობას თვით პერსონაჟი აწარმოებს, მაშინაც კი, როცა მწერალი შორეული წარსულის მოვლენებს ასახავს, და მაშასადამე, ერთის შეხედვით ავტორი თითქოს აბსტრაგირებულია ნაწარმოებში გამოხატული მოვლენებისაგან.

დიდი გულმოდგინებით და გატაცებით ამუშავენს დემნა შენგელაია თავისი რომანებისა და მოთხრობების სიტყვიერ მასალას. იგი ხატავს თითოეულ ფრაზას და ფაქიზად აჩუქურთმებს მას გემოვნებით შერჩეული სამკაულებით. თავისი ინტონაციური ელფერით, რიტმული წყობის კანონზომიერებით დ. შენგელაიას მეტყველება ხშირად ლექსის საზღვრებსაც უახლოვდება და ამავე ღროს მისი ფრაზა ჟღერს უეჭველი ბუნებრივობით და გულწრფელობით. ზომიერების გრძნობა და მხატვრული ტაქტი შეადგენს დ. შენგელაიას დიდ ღირსებას. ყალბი პათოსი და რიტორიულობა, აზრისაგან დამოუკიდებელი, ხელოვნურად გართულებული და განზრახ ხაზგასმული ფორმა, მანერიზმი უცხოა მისი მხატვრული სტილისათვის.

არა მარტო დიალოგში, არა მარტო პერსონაჟის მეტყველებაში, არამედ ნაწარმოების მთელ სიტყვიერ ქსოვილში დემნა შენგელაია მკაფიოდ გადმოგვცემს მოქმედების ადგილისა და დროისათვის, მოქმედ პირთათვის დამახასიათებელ ენობრივ კოლორიტს. მაგრამ ასეთ ეფექტს მწერალი აღწევს ისეთი

სტილობრივი ნიუანსების საშუალებით, რომლებიც არასოდეს არ ბადებენ კუთხური დიალექტისა და ენობრივი პროვინციალიზმის საფრთხეს.

თანაბარი ძალით ფლობს დ. შენგელაია მხატვრული პროზის ისეთ განსხვავებულ ქანრებს, როგორიცაა რაფანი, მოთხრობა, ნოველა. მას შეუძლია გაშალოს ვრცელი მხატვრული ტილოც, მრავალხაზოვანი, რთული სიუჟეტური კომპოზიციით, მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი ადამიანური სახეებით, და ამის გვერდით შექმნას მცირე მოცულობის ბელეტრისტული ქმნილებანი, რომლებშიც ხშირად უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ მოვლენებს თუ დიდი ადამიანური გრძნობებისა და განცდების მოძრაობას მოათავსებს ხოლმე. მის მხატვრულ ნიჟიერებაში შეთავსებულია იუმორის გამახვილებული გრძნობაც და უკიდურესად დაძაბული დრამატიზმიც. მისი ყოველი ნაწარმოები აღმოცენებულია ნათელი იდეური მიზანდასახულობის საფუძველზე, ყოველ მათგანს სავსებით გარკვეული აზრობრივი აქცენტი და სოციალური მისამართი ახასიათებს.

მშობლიური კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე ნაწრთობი და ქართული ხალხური შემოქმედების ცხოველყოფილ საგანძურს ღრმად ნაზიარები მწერალი არასოდეს გულგრილი არ არის მსოფლიო მხატვრული კულტურის მიღწევების მიმართ. ამ მხრივაც მისი ინტელექტუალური ინტერესები ფართოა და მრავლისმომცველი. დ. შენგელაიას სახით ქართულ მწერლობას ჰყავს ერთ-ერთი უაღრესად ერუდიტული ლიტერატორი, რომლისთვისაც სავსებით ხელმისაწვდომია თანამედროვე პროგრესული მხატვრული აზროვნების მთელი პრობლემატიკა.

დემნა შენგელაია დაიბადა 1896 წელს დასავლეთ საქართველოში, ახლანდელი სამტრედიის რაიონის სოფელ საჭილაოში, თავისი დედის — ოლღა დონდუას მშობლების ოჯახში. ადრეული ბავშვობის წლები ამ სოფელში გაატარა. შემდეგაც, მოწაფეობისა და სტუდენტობის ხანაში იგი ხშირი სტუმარი იყო „დედუღეთისა“ — სოფელი საჭილაოსი, რომელიც იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარეობს. ბავშვობისა და ყრმობის წლებში მან უშუალოდ გაიცნო და განიცადა დუხჭირი ყოფა-ცხოვრება კოლხეთის ვეებერთელა დაჭაობებულ ველზე მოსახლე მშრომელი გლეხობისა, რომელსაც გარდა სიღარიბისა და მაშინდელი სოციალური უკუღმართობისა, დაუნდობლად ანადგურებდა მალარია და კოლხეთის მოშხამული მიდამოებისათვის დამახასიათებელი სხვა სნეულებანი. ბავშვობაში მიღებული ამ შთაბეჭდილებებით ღრმად არის გამსჭვალული დ. შენგელაიას პირველი რომანი „სანაგარდო“ და აგრეთვე მისი ისეთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებნი, როგორიცაა „ბათა ქეჭია“ და „განძი“.

ამ ნაწარმოებთა სიუჟეტი სწორედ ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს სპეციფიკური პეიზაჟისა და იქაური გლეხობის ყოფა-ცხოვრების ფონზეა გაშლილი.

მწერლის მამა კონსტანტინე შენგელაია წარმოშობით სამეგრელოდან—ახლანდელი წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯიდან ყოფილა. რვა წლის ბავშვი აქლემების ქარაზნით წამოუყვანიათ თბილისში იმ წლებში, როდესაც თბილისი-ფოთის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობდა. შემდეგ კონსტანტინე მშობლიურ სოფელს აღარ დაბრუნებია, სწავლა თბილისის ერთ-ერთ გიმნაზიაში მიუღია, რკინიგზის სამმართველოში დაუწყია სამსახური და „ნაძალადევი“ დასახლებულა. იგი მწიგნობრობისა და მწერლობის დიდი მოყვარული ყოფილა. მას საკმაოდ მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, სადაც ქართული პერიოდული გამოცემების „ივერიის“, „მოამბის“, „კვალის“ და სხვათა კომპლექტების გვერდით ინახებოდა „ბიბლიოთეკა დღია ჩტენიას“ და „ვესტნიკ ინოსტრანოი ლიტერატურის“ გამოცემები, ხოლო ქართველ კლასიკოსთა წიგნების გვერდით — რუსული და ევროპული კლასიკური და ახალი მწერლობის ნიმუშები. ადრეული სიჭაბუკის წლებშივე მომავალი მწერალი გატაცებით დაწაფებია მამის ბიბლიოთეკაში დაგროვილ ამ მრავალფეროვან ლიტერატურას, რასაც იმთავითვე ფართოდ და მრავალმხრივად განუვითარებია მისი გონებრივი ინტერესები. ყმაწვილის სულიერ ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა აგრეთვე დედაც, რომელიც უკითხავდა მშობლიური და უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს.

დ. შენგელაიას ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ჩვენი სამშობლოს ისტორიის იმ უმნიშვნელოვანეს ხანას დაემთხვა, როდესაც საქართველოში მძლავრად ფრთას შლიდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა, მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრება სულ უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ეუფლებოდა მშრომელი მასების შეგნებას, ახლოვდებოდა 1905 წლის რევოლუციურა ქარიშხალი. შენგელაიების ოჯახი ამ წლებში „ნაძალადევი“ — ახლანდელ ლენინის რაიონში ცხოვრობდა, სწორედ იმ მოედანთან, სადაც მუშათა მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები იმართებოდა. მომავალი მწერლის ჰაბუკური შეგნება სწორედ ამ დიდი პოლიტიკური მოვლენების ზემოქმედებით ყალიბდებოდა. მის მეზობლად მოწინავე რკინიგზელი მუშებისა და რევოლუციურად განწყობილი ინტელიგენტების ოჯახები ცხოვრობდნენ. მამის ბინაზე ხშირად იმართებოდა რევოლუციონერ მუშათა და ინტელიგენტთა კონსპირაციული კრებები. პატარა დემნას ხშირად გაუწყევია ხოლმე გუშაგობა ასეთი კრებების დროს, რათა პოლიციის თავდასხმის შემთხვევაში შეკრებილთათვის ეცნობებინა მოახლოებული საფრთხე. 10-11 წლის ყმაწვილის თვალწინ განვლო რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხლიანმა დღეებმა თბილისის იმ უბანში,

რომელიც პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის უპირველეს კერას წარმოადგენდა ჩვენს დედაქალაქში. შემდეგ იგი მოწამე გახდა დროებით გამარჯვებული რეაქციის თავაწყვეტილი თარეშისა, რევოლუციური ნუშათა უზნების დაუზოგავი დარბევა-აწიოკებისა, მოწინავე მუშების გმირული შეიარაღებული შეტაკებისა მეფის პოლიციისა და ყაზახთა შავრაზმულ, დამსჯელ ექსპედიციებთან, რომლებიც ყოველთვის სისხლისღვრით, ხოცვა-ჟლეტით მთავრდებოდა. კონსტანტინე შენგელიას ოჯახში ხშირად თავშესაფარს პოულობდნენ ხოლმე პოლიციის მიერ დევნილი რევოლუციონერები.

ყოველივე ამას, ცხადია, არ შეეძლო წარუშლელი ზეგავლენა არ მოეხდინა მომავალი მწერლის სულიერ ცხოვრებაზე, გარკვეული მიმართულება არ მიეცა მისი აზრებისა და გრძნობების სამყაროსათვის. ამ მღელვარე წლების ცხოველმა შთაბეჭდილებებმა კიდევ ჰპოვა მკვეთრი გამოხატულება დემნა შენგელიას შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი რომანში — „შთავგონება“, რომელშიც რუსეთის პირველი რევოლუციის წლების თბილისის პროლეტარიატის საბრძოლო ცხოვრება მეტყველი და შთამბეჭდავი საღებავებით არის გამოსატული. ცხადია, ასე ცოცხლად და ამალეღვებლად მხოლოდ თვალთ ნახულისა და უშუალოდ ღრმად განცდილის წარმოსახვაა შესაძლებელი. სანიმუშოდ გავიხსენოთ თუნდაც რომანის ის ერთი პასაჟი, სადაც დახატულია მეფის ჭარის ნაწილებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ცხრა ძმის — მუშა-რევოლუციონერების დაცხრილულ ცხედართა მოთავსება „ნაძალადევის“ ერთ-ერთი სკოლის საკლასო ოთახში:

„დილის ცხრა საათზე რბევით და ძარცვა-გლეჯით გალადებულმა მეფის ძაღლებმა თავი შუა ნაძალადევაში, ეკლესიის წინ, მოედანზე მოიყარეს.

ნადარაც დაჰკრეს და ნაალაფევენი, მუშათა სისხლით გამაძღარნი უზნიდან გამარჯვებულის სტვენითა და ჰყივილით გავიდნენ.

მათი წასვლა და ხალხის ქუჩაში გამოფენა ერთი იქნა.

გულგადატრიალებული დედები, ცოლები ურთიერთის ქმრებსა და შვილებს გაფაციცებით კითხულობდნენ, იძიებდნენ: ვინ დაარბიეს წუხელ ჭალათებმა, ვინ დასწვეს და ვინ დააპატიმრეს.

უცებ ხმა გავარდა, რომ რაზმელებს წუხელ ლოტკინის გორაზე ჭალათებთან დიდი ბრძოლა ჰქონდათო, მტარვალებთან უსწორო ბრძოლაში ცხრა ძმა ვაეკაცურად დახოცილანო და ხალხი მაშინვე მათ სანახავად, მათ საძებნელად გაეშურა.

ერთი საათის შემდეგ ტანჯვით მოკლული, გაძარცვული, გაწამებული ცხრა ძმა ჭალავერებით ჩამოასვენეს. ზოგს ლოყიდან ლოყაში ხიშტი ჰქონდა გაყრილი, ზოგისთვის თავის ქალა ჩაეჩეჩქვათ და ზოგი ისე დაესახიჩრებინათ, რომ

მათი ცნობა ნათესავეებსაც უჭირდათ. არაფერი ტანზე არ შეერჩინათ, რაც მოსწონებოდათ, გაეხადათ და თითქმის ტიტველნი, ფეხშიშველნი მინდვრათ დაეყარათ.

ახლა ისინი კვლავ თავის შტაბში იმყოფებოდნენ. ნაძალადევის საეკლესიო-სამრევლო სკოლის ცხრა მერხზე იწვნენ ისინი ბავშვებივით თვინიერად, იწვნენ ისე მშვიდად, თითქოს გრძნობდნენ, რომ კლასში იყვნენ.

სახელდახელოდ ჩამოკრებილ ტანისამოსში სუფთად გამოწყობილებს ფეხსაცმელები ჭერ არ ეცვათ. ახალ-ახალ, უხმარ წინდებით შემოსილ ფეხებს თავამაღლებულნი თითქოს გაკვირვებით დასცქეროდნენ. ასლანს გულმა არ მოუთმინა. უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და აქეთ-იქიდან მხარში ამომდგარ მეგობართა დახმარებით სკოლისაკენ გაემართა, იმ სკოლისაკენ, სადაც ის ერთ დროს სწავლობდა.

ისინი ისევ მშვიდად იწვნენ, ისევ ეძინათ, როგორ...

ასლანმა წუხანდელივით ყველას სათითაოდ ჩამოუარა.

— ადექით, ბიჭებო! — აღვიძებდა ყოველ მათგანს ისე, როგორც წუხელ.

— ბიჭო, არ გადმოვარდე, — შესძახა კალაძეს საოცარი ხმით და არავის ესმოდა რას ნიშნავდა ეს სიტყვები.

— ადექით, ბიჭებო! — არ ეშვებოდა დემურია და მაინც რომ არ ადგნენ, მამაკაცურად, მძლავრად ატირდა.

იქ, მალა მათთვის საფლავსა სჭრიდნენ.“

ასეთ გარემოცვაში იწრთობოდა დ. შენგელაიას ჭაბუკური სულისკვეთება, საფუძველი ეყრებოდა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობას, მის საზოგადოებრივ იდეალებს.

სწავლა დ. შენგელაიამ თავდაპირველად თბილისის ერთ-ერთ რკინიგზის სკოლაში დაიწყო, შემდეგ თბილისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს. ეს გიმნაზია, ისევე როგორც ქუთაისის ქართული გიმნაზია, წარმოდგენდა მაშინ საქართველოში ისეთ განსაკუთრებულ საშუალო სასწავლებელს, სადაც სწავლა ძირითადად მშობლიურ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. ეს გიმნაზია ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის დიადი მიზნით იყო დაარსებული ილია ჭავჭავაძისა და მისი სახელოვანი თანამებრძოლების ინიციატივით. გიმნაზიაში მასწავლებლებად თავმოყრილი იყვნენ მოწინავე ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც სოლიდურ ცოდნასთან ერთად ახალგაზრდობას უნერგავდნენ მამულიშვილურ მისწრაფებებს, ეპოქის პროგრესულ იდეალებს. მომავალი მწერლის მასწავლებლები იყვნენ იმ დროის გამოჩენილი ქართველი პედაგოგები: ლუარსაბ ბოცვაძე, პეტრე მირიანაშვილი, დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე და სხვები. მუსიკას გიმნაზიაში ასწავ-

ლიდნენ ზაქარია ფალიაშვილი და ანდრია ყარაშვილი, ხატვას — ალექსანდრე მრევლიშვილი. ასეთი აღმზრდელ-პედაგოგების ხელმძღვანელობით ყალიბდებოდა დ. შენგელაიას მსოფლმხედველობა და ერუდიცია, მისი მხატვრული გემოვნება. იმთავითვე იგი მრავალმხრივ გონებრივსა და შემოქმედებით ინტერესს იჩენდა. ბევრს კითხულობდა, საფუძვლიანად ეუფლებოდა მშობლიურ ლიტერატურის მდიდარ სავანძურს, ეცნობოდა რუსული და ევროპული მწერლობის გამოჩენილ წარმომადგენელთა შემოქმედებას. მონაწილეობდა გიმნაზიის მომღერალთა გუნდში, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ლობტარობდა. დიდად გატაცებული იყო მხატვრობით და მისი მასწავლებელი ალექსანდრე მრევლიშვილი დარწმუნებული იყო, რომ დ. შენგელაია დიდად ნიჭიერი მხატვარი გამოვიდოდა. დიდი ინტერესით აგროვებდა სხვადასხვაგვარ რეპროდუქციებს, მხატვრულ ალბომებს, გულმოდგინედ სწავლობდა ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებს, კლასიკური და ახალი მხატვრობის ნიმუშებს. მართალია, შემდეგ მისი ეს გატაცება საბოლოოდ შესცვალა ლიტერატურულმა მიდრეკილებამ, მაინც ჭაბუკის ამ წრფელ მისწრაფებას მისთვის ამაოდ არ ჩაუვლია. სახვითი ხელოვნებით, ფერწერით ასეთი მძლავრი და ხანგრძლივი გატაცების შედეგი უნდა იყოს, რომ დ. შენგელაია თავის სამწერლო შემოქმედებაში სიტყვიერი მხატვრობის იშვიათ ნიჭიერებასა და ოსტატობას იჩენს, რომ ყველა მისი საუკეთესო ნაწარმოები აღსაყვამა დიდი პლასტიკური ცხოველმყოფელობითა და ფერადოვნებით დახატული პეიზაჟებით, ყოფა-ცხოვრების სურათებით, პერსონაჟთა ცოცხალი პორტრეტებით. მისი მთელი ბელეტრისტული შემოქმედება, პირველ ყოვლისა, სიტყვის მხატვრობაა და მწერლის ნიჭიერების ამ სპეციფიკურმა თვისებამ, უნდა ვიფიქროთ, სწორედ მოწაფეობის წლებში ჰპოვა თავისი მკვიდრი ნიადაგი და აღმოუფხვრელი განვითარება.

გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფეს დ. შენგელაიას საზაფხულო არდადეგებიდან დაბრუნებისას ქართული ენის მასწავლებლის ლუარსაბ ბოცვაძის დავალებით საკლასო შრომა დაუწერია ზაფხულის განმავლობაში მიღებულ შთაბეჭდილებათა შესახებ. გამოჩენილ პედაგოგს ყურადღება მიუქცევია მოწაფის ამ ნიჭიერი შრომისათვის, იგი მთელი კლასის წინაშე წაუკითხვინებია ავტორისათვის და დიდად შეუქია კიდევ. ამ ფაქტს დიდი გავლენა მოუხდენია დ. შენგელაიას მომავალზე, წაუხალისებია და ლიტერატურული შემოქმედებისათვის წაუქეზებია ყმაწვილი, დაურწმუნებია იგი საკუთარ ნიჭიერებაში. მალე სკოლაში ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფის ნიკო კეცხოველის ინიციატივით ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალი დაუარსებიათ. დ. შენგელაია ამ ჟურნალის აქტიური თანამშრომელთაგანი იყო. აქ იგი მცირე მოცულობის პიესებსა და მოთხრობებს ათავსებდა.

1914 წელს ჯერ კიდევ გიმნაზიელმა დ. შენგელაიამ გიგო დიასამიძის რედაქტორობით არსებულ გაზეთ „თემში“ გამოაქვეყნა მოთხრობა „ნირვანა“. ეს იყო ახალგაზრდა მწერლის პირველი საჯარო გამოსვლა მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე. მოთხრობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. გაზეთის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დაიბეჭდა გ. ახალციხელის რეცენზია, რომელშიც დადებითად იყო შეფასებული ახალგაზრდა მწერლის ეს სადებიუტო ნაწარმოები. ამ რეცენზიისათვის დართულ საგანგებო შენიშვნაში რედაქცია კმაყოფილებით აღნიშნავდა ახალგამოჩენილი ავტორის ნიჭიერებას და მას დიდ მომავალს უქადავდა. ამ დროისათვის დ. შენგელაია დამეგობრებული იყო თავის თანატოლ ახალგაზრდა ნიჭიერ ლიტერატორებთან: გიორგი ლეონიძესთან, ალექსანდრე ქუთათელთან, გრიგოლ მეგრელიშვილთან. ეს უკანასკნელი ამ წლებში „მთის ნიავის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა პრესაში ღრმა ნიჭიერებით აღბეჭდილ ლექსებს და პოემებს. მისი სახით ახალ ქართულ პოეზიას დიდი შემოქმედებითი ძალა ეზრდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ მას არ დასცალდა თავისი იშვიათი ნიჭიერების დავაუკაცება. 1919 წელს იგი სრულიად ჭაბუკი გმირულად დაიღუპა საქართველოზე შემოსეული საძულველი თურქი დამპყრობლების ტყვეობით. „თემის“ რედაქციაში დ. შენგელაია გაეცნო ვასილ ბარნოვს, კიტა აბაშიძეს, იოსებ გრიშაშვილს, ალექსანდრე აბაშელს, ალექსანდრე ყანჩელს და სხვა იმ დროისათვის უკვე სახელმძღვანელო ლიტერატორებს. ახალგაზრდა მწერალი სულ უფრო მეტად უახლოვდებოდა ლიტერატურულ საზოგადოებრიობას. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1917 წელს გაზეთ „ილიონში“ გამოაქვეყნა რამდენიმე მოთხრობა, ხოლო მომდევნო წლებში თანამშრომლობა იწყო ე. წ. „დემოკრატიული მწერლობის“ ჯგუფის ჟურნალებში: „ცისარტყელასა“ და „ხომალდში“. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში დ. შენგელაია თანამშრომლობდა მთელ რიგ ლიტერატურულ ორგანოებში: „ილიონში“, „ლომისში“ და სხვ.

თავისი ყოველი ახალი ნაწარმოებით ახალგაზრდა მწერალი საზოგადოების ყურადღებას იხვეჭდა და თანმიმდევრულად მიიწვედა წინ იდეურ-შემოქმედებითი დავაუკაცების გზაზე.

1920 წლიდან დ. შენგელაია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლობდა. აქ ისმენდა ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის და სხვა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ლექციებს. ამ წლებში გაღრმავდა მისი დაინტერესება საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ფოლკლორისტიკის საკითხებით. შემდეგ ს. კიროვის სახელობის თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, სადაც გეოლოგის სპეციალობა შეიძინა. მან შემოიარა თითქმის მთელი მთიანი

საქართველო, სადაც გეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობდა. მაგრამ ამ დროისათვის მისი ცხოვრების ძირითად აზრს უკვე ლიტერატურული შემოქმედება შეადგენდა. 1925—1926 წლებში დ. შენგელაია ქართველ ფუტურისტ-ლექსელთა ჯგუფს „მემარცხენეობას“ მიეკედლა, ამ ჯგუფის ლიკვიდაციამდე მონაწილეობდა მის ლიტერატურულ საქმიანობაში, თანამშრომლობდა მის ბექედით ორგანოებში.

1924 წელს გამოსვლა იწყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის პირველმა სქელტანიანმა ჟურნალმა „მნათობმა“, რომელმაც ფასდაუდებელი როლი შეასრულა თანამედროვე ქართული მწერლობის ზრდა-განვითარების საქმეში. ამ ჟურნალის პირველსავე ნომერში დაიბეჭდა დ. შენგელიას რომანი „სანავარდო“, რომელმაც იმ წლების ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველთა საზოგადოების ცხოველი ყურადღება დაიმსახურა. მალე იგი ითარგმნა და გამოიცა რუსულად. უკვე ამ ნაწარმოებით დემნა შენგელიამ თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. მას შემდეგ იგი განუწყვეტლივ ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას და მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას საბჭოთა ეპოქის ქართული კულტურის მშენებლობის დარგში. ამიერიდან მას სისტემატურად ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო კოლეგებში, მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობათა სარედაქციო საბჭოებში და სხვ. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარ რედაქტორად. ამ მუშაობით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კლასიკური და თანამედროვე მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებთა რუსულად თარგმნისა და გამოცემის საქმეში. დიდ შრომას ეწევა აგრეთვე დ. შენგელია ჩვენი ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობის იდეურ-შემოქმედებითი აღზრდის დარგში. 1939 წელს შენგელია მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის სხვა გამოჩენილ წარმომადგენლებთან ერთად თვალსაჩინო ლიტერატურული დამსახურებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენით იქნა დაჯილდოებული. 1940 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში დ. შენგელია ჩვენი ძლევამოსილი არმიის რიგებში იმყოფებოდა, როგორც საფრონტო პრესის მუშაკი და თავდადებით იბრძოდა ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის.

ამჟამად დ. შენგელია საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. იგი საბჭოთა მწერლების ყველა საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო. საბჭოთა მწერლების მესამე საკავშირო ყრილობამ კი იგი სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად აირჩია.

დემნა შენგელაიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ნამდვილ დასაწყისს რომანი „სანავარდო“ წარმოადგენს. მანამდე დაწერილი მისი ნოველები და მიწათუბრები მხოლოდ ლიტერატურული წვრთნის, დიდი შემოქმედებითი მუშაობისათვის სამზადისის თვალსაზრისით უნდა იქნან შეფასებული.

„სანავარდო“ იწერებოდა საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენების პირველსავე წლებში. ეს იყო ერთი პირველი რომანთაგანი ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, ერთ-ერთი პირველი სიგნალი მხატვრული პროზისა და, კერძოდ, რომანის ჟანრის აღორძინებისა ჩვენს თანამედროვე მწერლობაში.

ამ რომანში მწერალმა უკიდურესად გამძაფრებული სურათებით დახატა ქართველი ფეოდალური არისტოკრატის უკანასკნელ ნაშიერთა სასიკვდილო განწირულება, მათი სრული ფიზიკური და სულიერი კატასტროფა.

რომანის გმირები — ოდესღაც დიდებული და ძლევამოსილი თავადების, ჭილაძეების გვარის უკანასკნელი შთამომავალი: ყარამანი, მისი მეუღლე ციცი-ნო და მათი ერთადერთი ვაჟი ბონდო განუკურნებელი სენით არიან შეპყრობილნი. ისინი თავისი თვალთ ხედავენ და მწვავედ განიცდიან საკუთარი სიცოცხლის აუცილებელსა და კარზე მომდგარ დასასრულს. არავითარ ძალას არ შეუძლია მათი ხსნა, აუწერელ შიშსა და ძრწოლვას, უსაზღვრო მწუხარებას და უიმედობას მოუცავს მათი არსება. ეს გამანადგურებელი სენი მამა-პაპიდან მოსდევს ჭილაძეების გვარს, გადმოდის მოდგმიდან მოდგმამდე და ახლა ბოლოს უღებს მის უკანასკნელ ნაშიერთ, რომელნიც ფიზიკური და სულიერი დეგრადაციის უკიდურეს საზღვრამდე მისულან.

ფეოდალური სამყაროს დაცემისა და დაკნინების თემა, რა თქმა უნდა, ახალი არ იყო ქართული ლიტერატურისათვის. მე-19 საუკუნის ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ არა ერთ პოეტურ თუ ბელეტრისტულ შედევრში ასახა ეს პროცესი, მაგრამ „სანავარდოში“ განსაკუთრებული სიმძაფრით გამოიხატა ის მწვავე და გამანადგურებელი სასოწარკვეთილება, ის ცხოველური პანიკა, რომელსაც მისცემიან ამ მომაკვდავი სამყაროს ადამიანები მათი აუცილებელი დაღუპვის შეგნების ნიადაგზე.

სისხლისაგან დაცლილი, ყოველგვარ სასიცოცხლო ნიშან-წყალსა და ნიადაგს მოკლებული ყარამანი და ბონდო, რომელთაც უგემიათ თბილისისა და პეტერბურგის მაღალი არისტოკრატიული წრეების ნებივრული და გახრწნილი ცხოვრების ყოველი ცდუნება და დაბრუნებულან „მშობლიურ მიწაზე“, გავერანებულ სანავარდოში, რათა ამ დაშხამულ გარემოცვაში შეხვდნენ მათთვის ისტორიული აუცილებლობით გამზადებულ კატასტროფას, უთუოდ ახალი

სახეები იყო, რომლებიც დემნა შენგელაიამ პირველმა გამოაჩინა ქართულ ლიტერატურაში.

ამ ნაწარმოებში დახატული სურათი ფეოდალური წოდების დაღუპვისა და სანავარდოს გადაშენებისა მწერლის მიერ გააზრებულია როგორც, საერთოდ, ძველი, რეაქციული სამყაროს რღვევისა და სასიკვდილო განწირულების გამოხატულება.

რევოლუციის მიერ განადგურებული ყველა სოციალური ძალის მისამართით მეტყველებს ის სიტყვები, რომლებიც ყურში ჩაესმის სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე თავადის მეუღლეს ციციწოს. — „ხედავ, თქვენი სოფელი წყდება! თქვენ გაწყდებით, გაპარტახდება ყველაფერი. მაგრამ ეს არაფერია. სამაგიეროდ მოვა წვივმაგარი ხალხი და ახლა ისინი დასწერენ ახალ მატიაწეს!“...

გაპარტახებული სანავარდოს ფონზე პირველი მატარებლის, „რკინის ქაჯის“ — გამოჩენით გამოწვეული რეზონანსის გადმომცემი სურათიც უფრო ფართო სოციალური მნიშვნელობის მიზანდასახულობას შეიცავს. ცხადია, რომ მარტო მატარებლის და „ციხუნია მიხელაშვილის ოქროს“ შესახებ როდი იტყოდა ხალხი ამ სიტყვებს:

„ვერაფერი შეაჩერებს, ვერაფერი შეაკავეს,
დასწეწს ყველაფერს, გაანადგურებს.
დგება ახალი რიქრაჟი.
რიქრაჟი დანთებული ცეცხლითა და ყიყინით.
მოფრინდება ახალი წმინდანი ცეცხლის ფრთებით
და დასწავს ლამეს.
დაიღუპება ძველი დიდება.
განიავდება ადათები და ჩვეულებანი“.

„სანავარდოში“ უხვადაა მოცემული ისეთი სურათები, რომლებიც გამოდიან რომანში ასახული კონკრეტული სიტუაციის ფარგლებიდან და იძლევიან ძველი სამყაროს ნგრევის ერთგვარად განზოგადებულ, სიმბოლურ გამოხატულებას. აი, თუნდაც ავილოთ, მაგალითად, ყარამანის სიზმარი:

„წუხელ მან საშინელი სიზმარი ნახა:

ვითომ დგას იგი ნანგრევებში და ნანგრევებიდან დასცქერიან მას ხახვისფერი ძველი ხატები. და როცა იგი ასე იდგა ამ ნანგრევთა შორის, უეცრად იგრძნო, რომ მიწა დაიძრა ადგილიდან, დატრიალდა და ინგრევა ყველაფერი; ყველგან მტვერია, გუგუნნი და ქრისტეს ტირილი.

დედამიწამ დაალო ხახა და ქვესკნელიდან მოისმა წივილი. წივილს დამარხული მკვდრები აპყვა და დაცვივდა მიწაზე.

— მეორედ მოსვლა ხომ არაა! — ფიქრობს იგი და ტორტმანობს და კი-
რიან მტვერით ამომწვარ თვალებს იშმუშნის, თმები ყალყზე დგას, იგრძნო,
რომ თმის ძირებში სითეთრე ცივად შეიპარა“.

ცხადია, რომ აქაც ჩვენი დიადი რევოლუციური ეპოქის ის ძალაა ნაგულის-
ხმევი, რომელმაც ნანგრევებად აქცია ძველი სამყარო და დამბლა მოპგვარა ყა-
რამანების მოდემას. მაგრამ ამ რომანის წერის დროს დემნა შენგელაია მძლავ-
რად განიცდიდა დეკადენტური ლიტერატურული სკოლების, კერძოდ სიმბო-
ლისტური სკოლის ზეგავლენას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ნაწარმო-
ებში დასახული სოციალური პროცესების გამოხატულება გაბუნდოვანებულია
მისტიკური და ფანტასმაგორიული სახეებით. რომანში ადამიანების გვერდით
მოქმედებენ ჭინკები, უქმური, მოჩვენებანი და, საერთოდ, წაშლილია საზღვა-
რი რეალურ სამყაროსა და მისტიკურ ქვეყანას შორის.

ფეოდალური არისტოკრატის დაღუპვა აქ ახსნილია არა სოციალური
კანონზომიერების თვალსაზრისით არამედ, პირველ ყოვლისა, ბიოლოგიური
ხასიათის ფაქტორებით. „დაღლილი სისხლი“, „ძარღვებში დამყავებული სისხ-
ლი“, „საგვარეულო სენი“ და კოლხეთის დაჭაობებული ველის მოშხამული ატ-
მოსღერო არის აქ წარმოდგენილი ჭილაძეების გვარის გადაშენების უპირველეს
მიზეზად.

ამის მიუხედავად რომანში მკაფიოდ გამოსჭვივის ძველი სამყაროს სასიკვ-
დილო ვანწირულების რწმენა, აპოლოგია ახალი ცხოვრების სიმართლისა და
ძლევამოსილებისა.

ამ რომანის ღირსებას შეადგენს აგრეთვე ისიც, რომ აქ პირველად ქარ-
თულ მხატვრულ მწერლობაში მძაფრად და მთელი თავისი საშინელებით გა-
მოიხატა ძველი კოლხიდა — კოლოების, ბაყაყების, მალარიის ეს დაგესლილი
სამფლობელო. შემდეგ ამ თემას არა ერთი ნაწარმოები მიეძღვნა ქართული
მწერლობის ყოველ უანრში. მაგრამ ყველაზე მძაფრად და მწვავედ ეს სამყარო
„სანავარდოში“ არის განცდილი და გამოხატული.

„სანავარდოს“ შემდეგ დემნა შენგელაია თითქმის პარალელურად წერს
რომანს „თბილისი“ და მოთხრობების ციკლს სამოქალაქო ომის თემებზე. მწე-
რალი რთული წინააღმდეგობებით მოიკვლევს გზას საბჭოთა ლიტერატურის
იდეურ-შემოქმედებითი პოზიციებისაკენ. ამ პერიოდს ეკუთვნის დემნა შენ-
გელაიას გატაცება ფორმალისტური პოეტიკით და ამ გატაცებას მან ხაკვი გა-
დაუხსნა თავისი რომანით „თბილისი“. ეს ნაწარმოები მოკლებული იყო რაიმე
მთლიან შინაარსობრივ კონცეფციას და იდეურ მიზანდასახულობას. აქ სიმძი-
მის ცენტრი თვითმიზნურად გაგებული სიტყვის ოსტატობაზე, ფრაზისა და
მხატვრული სახის უცნაურობაზე იყო გადატანილი. მთელი ნაწარმოები შეად-

ვენდა ნატურალისტურად გაშიშვლებული სცენებისა და ფანტასმაგორიული სურათების მოუწესრიგებელ თანმიმდევრობას. შემდეგ ეს რომანი ავტორმა ნაწილებად დაშალა და მისი რამდენიმე თავი გადაამუშავა დამოუკიდებელ ნაწარმოებად.

ამვე ხანებში დაწერა დემნა შენგელაიამ მოთხრობების ციკლი, სადაც მხატვრულ საშუალებათა დიდი ეკონომიით, დეტალების, ნიუანსების გადმოცემის ოსტატობით ასახულია პირველი იმპერიალისტური ომისა და სამოქალაქო ბრძოლების სურათები, საქართველოში მენშევიზმის ბატონობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ეპოქა. პატარა მოთხრობები მიუძღვნა დემნა შენგელაიამ ამ დიდსა და ღრმად მნიშვნელოვან თემებს. ამ მოთხრობებში მწერალი არ მიდის ისტორიული მოვლენების ჰიროდოტისა და უმუხლო ასახვის გზით, ისტორიულ პიროვნებათა ჩვენების გზით. ჩვეულებრივ „პატარა“ ადამიანთა ტიპური განწყობალების მეშვეობით განვაცდევინებს მწერალი აღებული ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, გვაძლევს ამ დიდ სოციალურ მოვლენათა გარკვეულ გამოხატულებას. მაგალითად, თუ მწერალს უნდა გვიჩვენოს იმპერიალისტური ომის საშინელებანი, იგი ტყვიებით დაცხრილული, სისხლის ღვარით დაფარული და ჯარისკაცთა ცხედრებით მოფენილი ბრძოლის ველის სურათს კი არ გვისატავს, არამედ მწვავე სულიერ ტკივილს ერთი ახალგაზრდა ქალისა, რომელმაც ფრონტზე მიმავალი ქმარი, თავისი ცხოვრების უერთგულესი და უსაზღვროდ საყვარელი თანამგზავრი სადგურზე გააცილა, შემდეგ სიმარტოვის აუწყრელ მწუხარებაში გაატარა თვეები და ბოლოს, როდესაც მისი ოთარი ფრონტიდან დასახიჩრებული დაუბრუნდა, იგი ვერ შეუტრიგდა ამ მკაცრსა და უღმობელ სინამდვილეს, გულმოკლული და გონებადაკარგული აედევნა სამხედრო ეშელონებს, რათა იქ ეპოვა ნამდვილი ოთარი, როგორსაც იგი იცნობდა და როგორიც მას უყვარდა უსაზღვრო სიყვარულით.

მწერალი ღრმად შედის თავისი გმირის აფორიაქებული სულიერი ცხოვრების სამყაროში და იქიდან მზის სინათლეზე ამოაქვს უკიდურესად ინტიმური და მწვავე განცდები, რათა მთელი სიმძაფრით გვაგრძნობინოს არა მარტო ამ ერთი ადამიანის, არამედ ათასების, ასი ათასების, მილიონების ტანჯვა და მწუხარება, გამოწვეული ბარბაროსული სისხლისმღვრელი ვაკანალიით. აი, როგორ გვიხატავს მაგალითად მწერალი მოთხრობაში „პატარა ქალი“ იმ ქალის განცდებს, რომელმაც ფრონტზე ქმარი გააცილა და შინ დაბრუნებული პირისპირ შეეჯახა სიცარიელისა და სიმარტოვის საშინელებას.

„როცა სახლში შევიდა და არეული ოთახები, კამოდის გამოღებული უჯრები, დახეული გაზეთები და იქვე მიგდებული სველი პირსახოცი დახვდა, რომ-

ლითაც ოთარმა ამ ერთი საათის წინ პირი შეიმშრალა და წარმოიდგინა, რომ ამიერიდან მარტოდ-მარტოა, ამაღამ მარტო დალევს ჩაის, მარტო დაიძინებს, ხვალაც, ზეგაც, მაზეგაც და ვინ იცის, სანამ — მან იგრძნო, რომ ყველაფერმა დაჰკარგა აზრი და მნიშვნელობა. სახეზე სველი პირსახოცი აიფარა, შუა ოთახში იატაკზე დაწვა და ხბოსავით არაადამიანური ბლავილით დაიწყო — არ მინდა მე ეს ომი, არ მინდა... ზმუოდა იგი და სველ პირსახოცს კიდევ იკრავდა სახეში, ჰყნოსავდა, ეალერსებოდა, ჰკოცნიდა. მას ოთარის ტანის ტკბილი და ნაცნობი სუნი ასდიოდა.“

გულმოკლული ახალგაზრდა ქალის ეს სიტყვები — „არ მინდა მე ეს ომი, არ მინდა“ — გამოხატულებაა მთელი ხალხის პროტესტისა და გულისწყრომისა იმპერიალისტური სასაჯლოს ბოროტმოქმედი ორგანიზატორების მიმართ.

მოთხრობით „გურამ ბარამანდია“ მწერალი ჩვენს მეხსიერებაში აღადგენს სამოქალაქო ომის ქარიშხლიანი წლების ატმოსფეროს. აქაც ბატალური სურათები, წითლების ძლევა მოსილი შეტევა, თეთრი ბანდების გაცოფებული შურისძიება ხალხზე — ყოველივე ეს მოთხრობაში ეპიზოდური შტრიხებით არის ნაჩვენები. მოთხრობის წინა პლანზე წამოწეულია თეთრი არმიის კაპიტნის — ბონდარჩუკად გადარქმეული ქართველი თავადის ბარამანდიას და მისი ცოლის ოქსანუშკას ოჯახური ცხოვრების დრამა. ამ დრამაში მკაფიოდ და სიცხადით არის გამოხატული კონტრარეგოლუციური არმიის რღვევისა და სასიკვდილო განწირულების სულისკვეთება, ის ცხოველური გაცოფება, საკუთარი უბედურეობისა და უმწეობის, მოახლოებული დაღუპვის განცდა, რომელსაც უკურნებლად მოუშხამავს მომავლადვე სამყაროს გადასარჩენად ამხედრებული ადამიანების მთელი არსება, წაურთმეგია მათთვის ყოველგვარი კეთილშობილური, ადამიანური გრძნობა და აზრი და ისინი მხოლოდ რაღაც ველური და აღვირახსნილი ინსტინქტების უაზრო ჭურჭლებად გადაუქცევია.

რეაქციული სამყაროს, თეთრი ბანდების სასიკვდილო განწირულების მკვეთრ სურათს გვაძლევს მწერალი აგრეთვე მოთხრობაში „პორტი“. მასში დიდი მამხილებელი ძალით არის ნაჩვენები აგრეთვე უცხოეთის იმპერიალიზმის სათარეშო სარბიელად, საბჭოთა რუსეთიდან გადმოხვეწილი კონტრარეგოლუციური ძალების თავშესაფრად ქცეული მენშევიკური საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვაკხანალია:

„ინგლისელების გენერალურ შტაბში ყველაფერი აირია, მაგრამ სამხედრო-საველე სასამართლო მაინც ზუსტად მუშაობდა და საათივით ზუსტად ხვრეტდა-საეჭვო მუშებს, მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს.

არ იყო პური, არ იყო ფართალი, არ იყო ბინა, არ იყო შეშა.

იყო შიმშილი, სიცივე, ხერეტა, კუჭკი, სახადი და ხვალინდელი დღის უიმედობა.

ქალაქში კაფეები გრიალებდნენ ორკესტრებით და მთელი ღამეები ისმოდა რუსეთის დიდი არისტოკრატიის ქალებისა და პროსტიტუტების გადამთვრალი სასიკვდილო კივილი.“

საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების არსებობის უკანასკნელი დღე ასახა დემნა შენგელაიამ პატარა ნოველაში „თებერვალი“ და აქაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დღეები მწერალმა ინტიმურად დახატული სახის მეშვეობით გადმოგვცა, იმ პატარა გოგონას სახით, რომელიც „იმედის ცეცხლივით ენთო ჯარისკაცებში“. ამ პატარა გოგონას მამა, ბოლშევიკი მუშა, დააპატიმრეს და თან გაიყოლეს თბილისიდან განდევნილმა მენშევიკურმა „მმართველებმა“, დედაც ქმარს გაედევნა. ამ საოცარ ორომტრიალში პატარა გოგონა მატარებელს ჩამორჩა და ახლა იგი გათოშილი, დამფრთხალი და დამშეული წააწყდა მცხეთაში დაბანაკებულ ჯარისკაცებს, რომლებიც მოტყუებით და ძალადობით გამოუყვანიათ ბრძოლის ველზე ბურჟუაზიულ-მემამულური ხელისუფლების დასაცავად. ამ პატარა გოგონას სიტყვებმა, წრფელმა და უშუალომ, გულუბრყვილო სიტყვებმა იმის შესახებ, თუ რისთვის იბრძვის მისი მამა, რისთვის იბრძვიან ბოლშევიკები, ანდამატური მიშვიდვლობის ძალა მოიპოვა ჯარისკაცების გულში.

ამ პერიოდის დემნა შენგელაიას მოთხრობებში ყურადღებას იქცევს „დაბა“, სადაც ცხოვლად არის ასახული რევოლუციამდელი პროვინციის ცხოვრების სულისშემხუთველი პრიმიტიულობა, ერთფეროვნება და უბადრუკობა. მოთხრობა „კაც“ ერთი პირველი ნაწარმოებთაგანი იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელშიც გამოჩნდა ახალი ცხოვრების მშენებელი ახალი ადამიანის სილუეტი კომისარ თაბაგარის სახით. მასთან შეჯახებაში სასტიკი მარცხი განიცადა ანდრო რაშაძემ, უნიათო და უხერხემლო პროვინციელმა ინტელიგენტმა, რომელიც ამ მოთხრობაში ძველი სამყაროს ადამიანთა ტიპიურ ფიგურად გვევლინება.

როგორც ვხედავთ, ამ მოთხრობებში დემნა შენგელაია თანმიმდევრულად მკვიდრდება სოციალური მოვლენების სიმართლით ამსახველი რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე. და თუმცა აქ ჯერ კიდევ საგრძნობია დეკადენტური ტრადიციების გავლენა — მოვლენების ხედვისა და ხატვის იმპრესიონისტული მანერა, უმნიშვნელო წვრილმანებით ზედმეტი გატაცება, ნაწარმოების ჭარბი გადატვირთვა ისეთი მეტაფორებითა და შედარებებით, რომლებიც ხშირად ღრმად სუბიექტურნი და მკითხველისათვის ძნელად ამოსახსნელი არიან — მა-

ინც ამ მოთხრობების ავტორი გაბედულად და შეგნებულად იკაფავდა გზას დიდი რეალისტური ხელოვნების მიმართულებით.

ამ მოთხრობების ციკლს მოჰყვა რომანი „ბათა ქექია“, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა და განამტკიცა მწერლის ამგვარი ევოლუცია. ეს რომანი გვიხატავს სამეგრელოს გლეხობის, მთელი ქართველი გლეხობის ცხოვრების ისტორიას ბატონყმობის „გაუქმების“ წინააღმდეგ — ვიდრე 1905 წლის რევოლუციური ქარიშხლის ამოვარდნისა და ამ დიადი სახალხო მოძრაობის დამარცხების სუსხიან დღეებამდე.

რომანის მთავარი გმირია მოხუცი მებორნე, მეგრელი გლეხი ბათა ქექია. მისი „შვილები“ და „შვილიშვილები“ საკოლმეურნეო სოფლის აღმავლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი. მოხუცი ბათა კი ტკბილად მოღუღუნე კერიას მისჯდომია და „წვრილად“ მოგვითხრობს თავის მიერ განცდილს და ნახულს. თვით უანრი ნაწარმოებისა აქ გამორიცხავს ერთიან ფაბულურ დერჟზე დამყარებული სიუჟეტური კომპოზიციის შესაძლებლობას. ბათა მოგვითხრობს მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გაშლილი ცხოვრების შესახებ, ერთმანეთს სცვლიან და ერთმანეთში გადადიან პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები, რომლებიც, ფრაგმენტულად განლაგებულნი, შეადგენენ ამბავთა და მოვლენათა განუწყვეტელ მთლიანობას.

კრიტიკამ თავის დროზე აღნიშნა, რომ ეს რომანი თავისუფალი არ არის ერთგვარი ლიტერატურული გავლენისაგან, მაგრამ ეს შეეხება მხოლოდ რომანის საერთო კომპოზიციურ სქემას, რომელსაც მწერალმა ღრმად ორიგინალური სისხლ-ხორცი მისცა სამეგრელოს ყოფა-ცხოვრებითი სპეციფიკის უაღრესად კოლორიტული მხატვრობით, ქართული ისტორიული სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენათა ასახვით, ორიგინალურად მოფიქრებული ადამიანური ხასიათების გამოკვეთით.

რომანის პირველი თავებიდანვე ჩვენს თვალწინ იშლება ბატონების, მეფის მოხელეების, ხუცების მიერ აკლებული და აწიოკებული სოფლის ცხოვრების სურათები. უკვე გადაუვლია მკედელი უტუ მიქავას მეთაურობით დარღული მრისხანე გლეხური აჯანყების გრიგალს და ახლა გლეხობას კიდევ მეტი სისასტიკით დასწოლია კისერზე ფეოდალურ-ბურჟუაზიული წყობილების, თვითმპყრობელური ტირანიის ტლანქი სიმძიმე.

მშრომელი გლეხობის ეს მძიმე ხვედრი მძლავრად გამოხატა მწერალმა ცხოვრებაგამწარებელი დედაბრის ბებია ჯუფანას სახეში. მისი შვილი უტუ მიქავას ლაშქარში მონაწილეობისათვის ციმბირში გადაუსახლებიათ. ბოროტსა და მრისხანე ბატონს გადაუწვავს და გაუნადგურებია მისი სახლ-კარი, შვილი-

შვილები ბევარაზე წაუყვანია და ეს უმწეო დედაბერი უნუგეზოდ და უნატრონოდ დარჩენილა ამ ქვეყნად:

„სიცივისა და სიბერისაგან დაღურჯებული, წელში ოთხად მოღუნულიყო. სახედადარულსა და გაუბედურებულს ჩამოძინილი ხელები სივრცეში გაეშვირა ჩამქრალი თვალებით რიონის გაღმა ნაპირს ცახცახით გასცქეროდა და ბლაოდა გულის დასათუთქავად: — შვილებო, ჩემო შავ დღეზე დაბადებულო შვილებო, სად ხართ ნანა ამდენ ხანს? რატომ არ მოხვალთ და თქვენ აღრე და მალე დასამიწებელ ბეზას არ მისედავთ? ვის უცდით ამდენ ხანს. ვის უშენებთ ოჯახს, როცა თქვენი კერია გაცივდა და კაცი არაა ფაცხაში ცეცხლი დაანთოს. რას უპირობთ თქვენს გაციებულ კერიას?“

„ღმერთო ნუ გაახარებ ჩემი ბატონის ოჯახს, ჩემი გატრამალებისათვის! ღმერთო, შენ ამოაგდე მისი ძირი და ხელი. ღმერთო, თუ ხარ სადმე, შე დალოცვილო! ღმერთო, თუ რამ მაღლი გაქვს და ძალა, შეისმინე ჩემი გეღრება და მიწასთან გაასწორე იმ ჩემი ბატონის მოღვმა და მომავალი. ღმერთო, იმ დღეს მომასწარი, რომ ის ჩემი სისხლის მწოველი კარიდან კარზე მჭადის ნატების სამათხოვროდ დადიოდეს, გაკითხვის მაგიერ ბაღნები ძაღლებს უსისინებდნენ და გულს გენია ედებოდეს! წმინდა გიორგი, შენ მუხლებს შემოვევლე, შენ დაშუბე და მოაოხრე მისი ოჯახი!“

ბებია ჯუფანას ამ გულმოკლულ გოდებაში ფეოდალური მონობით გამწარებული ქართველი გლეხობის ბოღმა და წყევლა გაისმის. რომანის მთელ მანძილზე ჩვენ გვესმის მემამულეების, მამასახლისების, ჩაფრების, ჩარჩ-ვაკრების მიერ აკლებული და დარბეული ხალხის გოდებისა და გულისწყრომის გამოძახილი.

აი ერთი იმ მრავალ ეპიზოდთაგანი, რომლებშიც მწერალი წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი ძალით აღგვიწერს უფლებაახდილი, ფეხქვეშ გათელილი და უსაზღვროდ შევიწროებული გლეხობის დარბევა-აწიოკებას მეფის გაბოროტებული მოხელეების მიერ:

— „ეეჰეჰე — ვკენესი გულდათუთქული და, თითქოს საგანგებოდ, წყევლა-კრულვა, მათრახის შხუილი და ურმის ჭრიალი ერთად შემომესმა. ჩაფრებს ურემი ნაძარცვით დაუტვირთავთ, გინებით, ლანძღვა-თრევით მამასახლისის შინისაკენ მიემართებოდნენ და თან მოთქმა-კივილით აღევნებულ დედაკაცებს, ბაღლებს მათრახების შხუილით იგერიებდნენ. მე მაშინვე ვიცან ეს ჭრელი ზანდუკები, სარკეები, აკვნები, მარჩენალი ძროხები, გოჭები, ინდაურები. ისე კარგად ვიცან, რომ თუ გინდათ სათითაოდ ჩამოგივლით რომელი ვისია. და ამდენი ჩამორთმეული ბარგი-ბარხანის დანახვაზე გულს სისხლი მეველება, თვალი ცრემლით მევსება. სად არის სამართალი? სად არის ღმერთი იმ თავისი მოყვა-

სის სიყვარულით? — ვჩივი ჩემთვის, ვოხრავ და ერთბაშად ხუცესის იმ ქა-
დაგებათა წიგნი მომაგონდა“.

ასეთი სურათებით აღსავსეა ბათა ქექიას მიერ მოთხრობილი საკუთარი
ცხოვრების ამბავი. ლალი და ხალისიანი იუმორით, სიცოცხლისმოყვარეობის
ნათელი გრძნობით ღრმად გამსჭვალული ეს ნაამბობი მრავლად შეიცავს ისეთ
სცენებსაც, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ როგორი დუხჭირი ცხოვრებით უცხო-
ვრია ჩვენს მშრომელ ხალხს საუკუნეთა მანძილზე, როგორ ძარცვავდნენ და აწი-
ოკებდნენ, აბუჩად იგდებდნენ და აბიაბრუებდნენ მას გაბატონებული სოცია-
ლური ძალები და მათი ინტერესების დამცველი ხელისუფალნი. ბათა ქექიას
ხუმრობანარევი, მხიარული კილოთი მოთხრობილი საკუთარი თავგადასავალი
აღბეჭდილია ხალხის, მშრომელი გლეხობის მგზნებარე გულისწყრომითა და
ბოლმით ყოველი ჭურის მჩაგვრელებისა და დამმონებლებისადმი. ეს ბოლმა
ხან მოხუცის ნაამბობის ქვეტექსტშია გამოხატული, ხან უშუალო ყოფა-ცხო-
ვრებით სურათებშია წარმოსახული. მთელი ეს საუკუნეებით დაგროვილი ბოლ-
მა და ამდენი ტანჯვისთვის შურისძიების წყურვილი შეუკავებელი და სტიქიუ-
რი ძალით იფეთქებს რომანის ფინალურ სცენებში, სადაც ასახულია ქართული
სოფლის ვითარება 1905 წლის რევოლუციის მგზნებარე დღეებში.

მწერალი გვიჩვენებს ქართველი მშრომელი ხალხის, კერძოდ ქართველი
გლეხობის საბრძოლო აღფრთოვანების, ფეოდალური სასახლეების ნგრევისა
და რბევის, მეფის შეიარაღებულ ძალებთან თავგანწირული შეჯახების დაუვიწყ-
ყარ, მგზნებარე სურათებს, რომლებიც დიდი ექსპრესიით არის დახატული.
„ბათა ქექიას“ ეს თავები 1905 წლის დიადი ეპოპეისადმი მიძღვნილ საუკეთე-
სო მხატვრულ ქმნილებათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს მთელ ქართულ ლიტე-
რატურაში.

აი, ბათა ქექია გულუბრყვილო, მაგრამ წრფელი სიმართლით მოგვითხ-
რობს ქართველი გლეხობის საბრძოლო აღფრთოვანების შესახებ ჩვენი საუკუ-
ნის გარიჟრაჟზე, როცა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებ-
ში დანთებული პროლეტარული რევოლუციის ხანძარი სოფელსაც მოედო და
თავის გზაზე გაიყოლია საუკუნეობრივი მონობით გატანჯული ღარიბი გლეხო-
ბა. ბათა თვითონ იყო ძველი ქვეყნის დასამზობად მრისხანედ აღმდგარი ამ
გლეხობის რიგებში. ამიტომაც არის მისი ნაამბობი აღბეჭდილი ასეთი სიმარ-
თლით, დამაჯერებელი ძალით, ცოცხალი სურათოვნებით:

„როცა მოთმინება აღარ გვეყო, ერთ ენკენისთვის დღეს მთელი ამ არე-
მარის გლეხობამ სოფელ ნაესაკოვში თავი მოვიყარეთ და მაღალზე შემდგარმა
ახალთაობის კაცმა რომ გადმოგვძახა, — ძირს ხელმწიფე და მისი ყაზარმა-ნა-
ობახებო, ჩვენც ხმა დავაწიეთ: „ძირს, ძირს, ძირს!“

და ფილთა თოფები, ძველებური დამბაჩები და ნაჯახ-წალდები მალა მუქარით გვექონდა აწეული და ეს ცად ამართული, ჯერ უნახავი ტყე რისხვით ირწეოდა, გუგუნებდა და გუგუნი იგი გამოძახილის გამოძახილებად გაისმოდა ხელისგულივით გაშლილ მინდორ-ველებში, ეწრებში, ღარდა-ღრეებში. ჩვენ მაინც არ ვცხრებოდით და ჩვენი უკანვე დაბრუნებული გუგუნი გულს სიხარულით გვივსებდა. ყურს ვუგდებდით როგორ გვეხმაურებოდნენ თითქოს პასუხად და თან ბრძოლის ველისკენ მოგვიწოდებდნენ ეს მთები და მინდორ-ველები. მთებს იქით ქალაქი იყო და ქარხნებს ცად საყვირები აეშვირათ, ისინიც ქვეყნის გასაგონად საგანგაშოდ გაჰკიოდნენ: „ძირს, ძირს, ძირს!“

რომანის უკანასკნელი თავები ქართველი მშრომელი გლახაკობის ამ გმირული საბრძოლო ამხედრების, თავის საძულველ მჩაგვრელებზე ხალხის მრისხანე შურისძიების ცოცხალ სურათებს შეიცავს. ბათა ქექია მებრძოლი გლეხობის ერთ-ერთი წინამძღოლთაგანია:

„კაუნას მაგიერ ასისთავად სახელდახლოდ მე ამირჩიეს. აფხაზეთიდან იმერეთ-გურიამდე ჩვენ ვიყავით ქვეყნის ბატონ-პატრონი. ბატონების ოხრად ნაშოვნი ქონება და ავლა-დიდება ქარს ტრამად გავატანეთ, მათი ოდები, ღოზორები და შრამალები გადავრუჯეთ, ჯოგი შეეუჭამეთ, ცხენები წამოვლალეთ. ხულა-ნალიები გამოვახაბაკეთ, მიწები ჩამოვართვით და მშრალზე რომ დავტოვეთ, იმათაც რა ექნათ? ადგნენ და ქუთაისიდან სალდათი მოიშველიეს. მაგრამ საქმე აქაც წაუხდათ. სალდათები ჩვენი შვილები, ჩვენი ძმები იყვნენ და, სხვა რა გზა იყო, მათ მაგიერ ახლა ყაზახები შემოგვისიეს.“

აშკარა ომი რომ შეიქმნა, სოფელში აღარ გვედგომებოდა. ტყედ გავიქევირით და ხალხს იქიდან მოვმართეთ:

... ღარიბო გლეხებო, შეიარაღდით, შეიარაღდით, და კიდევ შეიარაღდით! საერთო აჯანყებისათვის ყოველ წუთს მზად იყავით, შეიარაღდით, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ და მტერს მტრულად დახვდით. ძირს სისხლის მსმელები! გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ურყევ კავშირს!“

რომანში წარმოსახულია შეიარაღებული მშრომელი ხალხის, წითელი რაზმელების საბრძოლო ცხოვრების ამაღელვებელი ეპიზოდები, რეაქციის ძალებთან უთანასწორო გმირული შეტაკების დაუვიწყარი სცენები და ნაჩვენებია, თუ როგორი უკმაყოფილებით შეხვდა დიდი ხნით ნანატრი თავისუფლების იმედით აღფრთოვანებული ეს ხალხი ცნობას იმის შესახებ, რომ რადგან რევოლუციის ცენტრში რეაქციამ გაიმარჯვა, ამ ხალხსაც იარაღი უნდა დაეყარა და შეიარაღებულ ბრძოლებზე ჯერჯერობით ხელი აეღო.

აი, სამტრედიის რკინიგზის სადგურში დაბანაკებულ წითელ რაზმელებს აცნობეს, რომ პეტერბურგსა და მოსკოვში რევოლუცია ჩაუხშიათ. ამის შემ-

დღე აქ ბრძოლას აზრი აღარ აქვს, ამიტომ რაზმელები უნდა დაიშალონ, ვისაც განსაკუთრებული საშიშროება არ მოეღის, შინ უნდა დაბრუნდეს და იარაღი გადამალოს.

„როგორ თუ შინ დაბრუნდითო! — ავყვირდი გულცეცხლშემოკიდებულ და მოლაპარაკის ირგვლივ მჭიდროდ შემოკრებილი ხალხი მუჭულუგუნის კვრით გავარღვიე, სკამზე შემდგარ მესკიას რომ მივუახლოვდი, მივმართე:

— ესემც კაი დაგემართოს, მაგრამ ერთი, ჩემო ბაბა, მითხარი, რამდენი ვერსი იქნება იმ მოსკოვამდის?

— რად გინდა? ვერ გამიგია! — თქვა გაკვირვებით მოქადაგემ და სკამიდან ძირს გადმოხტა.

— ისე, — ვუბასუხე მე დამცინავად, — რავა, შე კაცო, საქმე რომ გაკირდა სიტყვას ახლა იმადლები? აქამდის კაცი სკამზე ვერ შეგასწრებდა და ახლა რა გემართება?

— ასე, სამი ათას ვერსამდის მაინც იქნება, — თქვა მან და ამის გაგონებაზე ხელი გაოცებით ავიქნიე.

— მერე შე ოჯახაშენებულო, სამი ათასი ვერსის იქით რაცხა მომხდარა და მე შინ რად მიშვებ? მე რა უშაში ვარ? სად გაგონილა სირიაჩქანში ტურას ქათამი შეეჭამოს და იმის შიშით ორპირში დედაბერს ქათამი გაეწყვიტოს? გვაომე, ბაბა, გვაბრძოლე და თუ გავიმარჯვებთ, იმათაც მოვეხმარებით“.

ბათას ამ სიტყვებში გამოხატულია რევოლუციის რიგითი მებრძოლების, სტიქიურად ამხედრებული გლეხების გულუბრყვილო წარმოდგენა რევოლუციურ სტრატეგიაზე და ამასთანავე ხალხის დაჟინებული წყურვილი ბნელი და უკუღმართი წყობილების დასამხობად თავდადებული ბრძოლის ბოლომდე ვაგრძელებისა. შეიარაღებული მასების ეს უკმაყოფილება დროებით გამარჯვებული რეაქციის წინაშე უკანდახევის გამო, ხალხის გულში მგზნებარედ დანთებული საბრძოლო ცეცხლის მოულოდნელად ჩაქრობის ეს მწვავე განცდა ასე მეტყველად და ბუნებრივად ჩვენს მწერლობაში არავის გამოუხატავს.

ბათა ქექიას სახით, მისი პირადი ცხოვრების აღწერით, დემნა შენგელია ხატავს ოპტიმიზმის, ქედმოუხრელობის, სიცოცხლისადმი უშრეტე სიყვარულის, ხალხის საქმისათვის თავდადების თვისებებით, ჩვენი მშრომელი გლეხობის ამ საუკეთესო თვისებებით აღბეჭდილ ორიგინალურ ადამიანურ ხასიათს. ბათას მთელი ცხოვრება განათებულია ხალხური სიბრძნის უშუალო ნათელით, რომელსაც გაუფანტავს რელიგიური ცრუმორწმუნეობის წყვედი და რომელიც თავისებური ათეიზმით არის გამსჭვალული.

დაუცბრომელი სიცოცხლისმოყვარეობის, ქედუხრელობისა და უშიშროების ეს ნათელი სახალხო გრძნობა მით უფრო საგრძნობი და თვალსაჩინოა ბათა

ქეჭიას სულიერ სამყაროში, რაც უფრო მძიმეა და მრავალი გასაჭირით აღსავსე მისი თავგადასავალი. ლატაკი გლეხის შვილი, ადრე დაობლებული, იგი უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებაშია აღზრდილი. ადრეულ სიყმაწვილეში მოწყვეტეს მშობლიურ ოჯახს და ქალაქად გაქცეული უფროსი ძმის დაბარებით თბილისს გაგზავნეს ლუკმაპურის საძებნელად. მწვავე გულისტკივილით გამოეთხოვა საბრალო ბავშვი მშობლიურ გარემოცვას, თავის უზომოდ საყვარელ მეგობარს — ლამაზ და კეთილ გოგონას სიღუსს და შიშით და მწუხარებით შეპყრობილი გაჰყვა შორეულ გზაზე მიმავალ აქლემთა ქარავანს. ბავშვის თბილისს გამგზავრების ეს ეპიზოდი ღრმა და მღელვარე დრამატულობით არის აღბეჭდილი. ხელზე მოსამსახურის გაუხარელი ცხოვრებით და მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი შეუწელებლად ოცნებობდა თავის ღარიბულ ოჯახში დაბრუნებაზე, თავის სიღუსსთან შეხვედრაზე. როცა სოფელს დაუბრუნდა, მამა მკვდარი დაუხვდა და კერა გაციებული. ახალგაზრდა გლეხი გულგაუტეხლად შეუდგა დასახლებას, დაოჯახებას, მაგრამ ოჯახური ბედნიერება მისთვის მიუღწეველი აღმოჩნდა. საყვარელი სიღუსს მაგიერ ქალის მამამ, გაქნილმა ცხენის ქურდმა, თამშულ დანელიამ მას ვერაგულად „შეაპარა“ და ცოლად შერთო თავისი უფროსი ქალიშვილი, უღამაზო და უკმეხი ხასიათის სალომე. ბათა იძულებული იყო თავის ბედს დამორჩილებოდა. სიღუსსადმი სიყვარულის დაუცხრომელი გრძნობა მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა, რის გამოც მისი ოჯახური ცხოვრება მოკლებული იყო სიხარულსა და სიტკბოებას. ბათამ პირადად განიცადა ყველა ის ჭირ-ვარამი, რომელიც ღარიბი გლეხობის ხვედრი იყო. დიდი იმედითა და აღფრთოვანებით ჩაება იგი 1905 წლის რევოლუციური მოძრაობაში, მაგრამ აქაც მისმა, როგორც მთელი ხალხის საბრძოლო საქმემ, მარცხი განიცადა. მაგრამ ასეთი მძიმე და გაუხარელი ცხოვრების მიუხედავად ბათას გული არ გატეხია.

„ისიც გაანგარიშებული მქონდა, რამდენი მათრახი უნდა მომხვედროდა მაშინ ჩაფარ-ბოქაულისაგან, მაგრამ გაჭირვებას ქედს არ ვუხრიდი, ცხოვრებაზე გულს არ ვიყრიდი. სიღარიბე სულს მხდიდა, გაჭირვება თავიდან ვერ მომეშორებინა, მაგრამ ჩემი ტირილი კაცს მაინც არ გაუგონია. ჭირს ჯანდავ ხარვეით არასოდეს არ წავწოლივარ, თავი არასოდეს არ გამიბეჩავებია და მტრის გული არ გამიხარებია. რაც უფრო მიჭირდა, თავი მით უფრო მაღლა მეჭირა და წუწუნით არასოდეს არ დავმცივებულვარ“.

ბათას ამ სიტყვებში ჩვენი ხალხის უღრეკი ნებისყოფაა გამოთქმული, ის ვაქკაცური გამძლეობა, რომლითაც ხალხი უმკლავდებოდა ათასგვარ გასაჭირს, ხალხის შეგნება თავისი ღირსებისა და თავმოყვარეობისა. მთელი ჩვენი ხალხის კანონიერი სიამაყეა გამოხატული ბათა ქეჭიას სიტყვებშიც:

„ეს მუხა მე ვარ. მე ის დიდი ბოძი ვარ ზედ ქართული დარბაზი თავხეებისაგან შეკრული გვირგვინით მტკიცედ რომ დაყრდნობილა. შვიდ ტოტზე შვიდი ვარსკვლავი შემომისხამს, და, თუ მე ვიქნები, იცოდეთ, დარბაზი არ დაინგრევა. მერე რა, რომ დავებერებულვარ, ტანზე კორძები რომ დამსხდომია? მაინც გამტანი ვარ, მაინც უკვდავი ვარ. შვიდი ტოტი ცად გამიყრია. ფესვები მიწაში ღრმად გამიდგამს და მრუმე ღამით ზედ შემომჯდარ წმინდანიანის ფრთათა რხევით ელვისფრად ვარ განათებული. მუმლი მეხვევა და მაინც ვშრიალებ“.

ბათა მოესწრო მისთვის უსაზღვროდ საძულველი ძველი სამყაროს დამხობას და ახლა, ახალი ნათელი ცხოვრებით გარემოცული, იგი წრფელად შეჰხარის თავის მშობლიურს, სამუდამოდ აღორძინებულ მიწა-წყალს. „შევხედავ ცას — მიხარია, გავხედავ მიწას — ისევ ვხარობ, გავცქერი მინდორ-ველებს, მუდმივი თოვლით ჩამოფენილ კავკასიონს, ხოლადუნებს, რიონს, ტბას ნარიონალს, შვილებს, შვილიშვილებს, — ვინ მოთვლის მათ ჩემი ოფლით მონაგარს და მიხარია. შევხარი ახალგაზრდობის უდარდელ სიცილს, სოფლის ხალისიან ყიყინს, და რა ვქნა, შვილებო, ბიძიებო, რომ მიხარია? მიხარია რომ ამ დღეს შევესწარი, რომ ცოცხალი ვარ, რომ ყოველივე ეს ჩემთვის არის გაჩენილი, რომ ყოველივე ეს მე მიკეთებია, მე მას ვუკეთებვიარ“.

როგორც ვხედავთ, ბათა ქექიას უაღრესად ორიგინალურ მხატვრულ სახეში მწერალი დიდ განზოგადებას აღწევს. მის აზრებსა და გრძნობებში მწერალი ტიპიზირებულად გადმოგვცემს ჩვენი ხალხის მაღალ პატრიოტულ შეგნებას, მის სიამაყეს თავისი ხანგრძლივი შრომითა და ბრძოლით აღორძინებული სამშობლოსათვის. მწერლის მხატვრული ჩანაფიქრის დიდი მნიშვნელობა ამ შემთხვევაში იმაში მდგომარეობს, რომ ბათას ცხოვრების ისტორია ფრთხილ თავისებურიცაა და ამავე დროს დამახასიათებელიც ხალხის ბედისათვის. თვით ბათა უაღრესად ორიგინალური ხასიათიცაა და ამავე დროს ხალხის უმაღლესი აზრებისა და გრძნობების გამომხატველი ცოცხალი ტიპიური სახეც.

ამ სახის ხატვისას დემნა შენგელაიას მოხერხებულად უსარგებლია ქართული ფოლკლორული პერსონაჟით. საერთოდ ამ ნაწარმოებში მკაფიოდ გამოსჩანს შემოქმედებითი მისწრაფება ხალხური ზეპირსიტყვაობის სათავეებისაკენ, რაც ჭერ კიდევ „სანავარდოს“ წერის დროს იყო დამახასიათებელი დემნა შენგელაიასათვის.

ზოგიერთი სცენის ზედმეტი გაჭიანურება, რაც ანელებს თხრობის ტემპსა და ხალისს, და დამახასიათებელი „მრავალსიტყვაობა“ ვერ ჩრდილავენ ამ ნაწარმოების ღირსებებს. აქ პირველად გვიჩვენა დემნა შენგელაიამ ყოფა-ცხოვრებითი მასალის ხატვის და ტიპაჟის გამოკვეთის ღრმად რეალისტური ენერჯია.

რად ღირს მარტო ცხენის ქურდის — თამშულ დანელიას სახე, დახატული მეტად კოლორიტულად და დასრულებულად.

ამ რომანში მთელი ძალით იჩინა თავი დ. შენგელაიას განსაკუთრებულმა ნიჭიერებამ და ოსტატობამ სიტყვის ხელოვნების სფეროში, მისი მეტყველების გასაოცარმა ლექსიკურმა სიმდიდრემ, დიალოგის მაღალმა კულტურამ, გამოსახვის საშუალებათა ამოუწურავმა მრავალფეროვნებამ და სიმდიდრემ.

რომანის საერთო ხალისიანი იუმორით გამსჭვალული განწყობილების ფონზე განსაკუთრებული ემოციური ძალით ჟღერს ის პასაჟები, სადაც დრამატიული დაძაბულობით არის გადმოცემული გმირის მწვავე გულისტკივილი, მისი სევდიანი და მწუხარე განცდები. ასეთია მაგალითად ბათას სოფლიდან თბილისს გამგზავრების სურათი, მისი უკანასკნელი შეხვედრა სიდუსთან, ბათას თვალწინ სიდუს ვაჟის — ჭაბუკი წითელრაზმელის ჯოგოლიას ტრაგიკული დაღუპვის სცენა და სხვ.

„ბათა ქექია“ საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.

1939 წელს დ. შენგელაიამ მოთხრობების ახალი წიგნი გამოაქვეყნა. ამ წიგნში მოთავსებული ყოველი მოთხრობა ღრმა საზოგადოებრივი იდეით არის შთაგონებული. მიზანდასახულობის სიცხადე და კონცეფციის გარკვეულობა ახასიათებს ყოველ მათგანს. ამ მოთხრობათა რთული მხატვრული ქსოვილის ყოველი დეტალი დაქვემდებარებულია აზრის უფრო მკვეთრად განსახიერების, პრობლემის მხატვრულად გადაწყვეტის ამოცანისადმი.

წიგნი იხსნება მოთხრობით „ფიცი“.

ამ ნაწარმოებში ასახულია ის დიადი მწუხარების დღეები, როდესაც საბჭოთა ხალხი ეთხოვებოდა მშრომელი კაცობრიობის უდიდეს ბელადს და მასწავლებელს — ლენინს, განუზომელი სახალხო გლოვით მიაცილებდა მას სამარემდე და ამავე დროს კიდევ უფრო მჭიდროდ ირაზმებოდა კომუნიზმის უძლეველი დროშის გარშემო, ანთებული და შთაგონებული იმ ურყევი რწმენით, რომელიც გააღვივა ხალხის გულში ი. ბ. სტალინის მიერ ამ მძიმე დღეებში საბჭოების მეორე ყრილობაზე წარმოთქმულმა ისტორიულმა სიტყვამ — ფიცმა.

მოთხრობა ისტორიული ქრონიკის ჟანრით არის დაწერილი. მწერლის ფანტაზია განსაზღვრულია ისტორიული ფაქტებით და მოვლენებით, რომლებსაც ავტორი დიდი სიზუსტით და სინამდვილით ასახავს. აქ მართლაც გამორიცხულია რაიმე გამოგონილი ფაბულური სიტუაციების შესაძლებლობა. სამაგიეროდ მწერლის მთელი შემოქმედებითი ძალა იქითკენ არის მიმართული, რომ ცხოვლად დახატოს ამ დიადი დღეების დამახასიათებელი სურათები, ღრმად განგვაცდევინოს ის სულიერი განწყობილება, რომლითაც გენიალური ლენინის

გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში მოცული იყო მთელი ჩვენი სამ-
შობლო, მთელი მშრომელი კაცობრიობა, განასახიეროს საბჭოთა ხალხის ურყე-
ვი ოპტიმიზმი, მისი ფოლადისებური ნებისყოფა და რწმენა ლენინის დიადი საქ-
მის უძლეველობისა. რამდენიმე მძაფრი შტრიხით მწერალი აღადგენს ჩვენს
ცნობიერებაში ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული საყოველთაო შეშფო-
თებისა და მწუხარების სურათს. მშრომელი კაცობრიობის განწყობილებებს პარ-
მონიულად შეხამებია სუსხიანი ზამთრის პირქუში პეიზაჟი: „ქვეყნიერება შე-
შფოთდა, მის სამარედ გამზადებული დედამიწა შეშმაშურდა და ძვალგაციე-
ბული დუმილი დაეცა დამბლასავით. თოვლით მოხუცებულ მიწას და თეთრად
დაყურსულ არყის ხეებს აცვივა ციდან ეს მოკიაფე ვარსკვლავები ცრემლები-
ვით.“

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელები
მიემგზავრებიან სოფელ გორკასაკენ, სადაც ლენინის ცხედარი ასვენია. ამ მოგ-
ზაურობის აღწერისას ავტორი ჰქმნის რთული ასოციაციების შემცველ სურა-
თებს, რომლებშიაც გარემოცვის აღწერილობა და აღამიანთა განწყობილება,
წარსულის მოგონებანი და სინამდვილის მწვავე განცდა ორგანულად დაკავში-
რებულია ერთმანეთთან მთლიან და უწყვეტ მხატვრულ სახეში:

„ვაგონებში სხედან დამწუხარებული ბოლშევიკები... ბორბლები ხრიალე-
ბენ, წივიან, ყელში ქანჩწაჭერილნი, და მერე შედუნებულ მუხრუჭებივით ოდ-
ნავ შევებამოცემულნი ისევ მიჰქრიან, ყრიან ჩინჩხლებს, თოვლის კორიანტელს
აყენებენ და თვალწინ დღევანდელ დღესავით დგება ამ ბორბლებივით დატრია-
ლებული ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეები, დღეები, რომლებმაც შესძრა ქვე-
ყნიერება. ახლა ეს დღეები სოფელ გორკას უსადბაში ასვენია და ლენინის
ძვირფას ცხედარზე დროშებივით დაბლა დაწეული ცა არა-ლევალური ბინის
დაბალი ჰერივით ეხახუნება ბოლშევიკების ამაყ ბუდიონოვკებს“.

აქ გარემოცვის აღწერილობის ყოველი დეტალი ღრმააზრობრივ დანიშნუ-
ლებას ატარებს და იწვევს გარკვეულ ასოციაციებს, დაკავშირებულს მოთხრო-
ბის ძირითად იდეასთან.

აი ბოლშევიკების სახელოვანი გვარდია გარს შემორტყმია ლენინის ცხე-
დარს: „სახედამშვიდებული ილიჩი წევს ბავშვივით თვინიერი და თითქოს ილი-
მის კიდეც: ეს — სიკვდილს დასცინის იგი თავის უკვდავებიდან“.

შეუძლებელია მღელვარების გარეშე წაკითხვა იმ სტრიქონებისა, სადაც
მწერალი ხატავს ლენინის კუბოსთან მდგარი ამხანაგი სტალინის სახეს. უსაზ-
ღვრო მწუხარება და რაინდული თავშეკავება, ცეცხლით და რწმენით ანთე-
ბულ იმედთან თვლებში ჩამდგარი ცრემლი, ლენინთან ერთად წარმოებული
ბრძოლების მოგონებანი და მწვავე მღელვარება — ყოველივე ეს მკაფიო

განსახიერება იმ მამობრივი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძნობათა, რომლითაც თავისი მოწაფეები და თანამებრძოლები ეთხოვებოდნენ ახალი კაცობრიობის გენიალურ ბელადს ვ. ი. ლენინს.

შემდეგ ასევე ცხოველი და ღრმა შთაბეჭდილების მომხდენი სურათებით მწერალი აღგვიწერს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის — მოსკოვის ხუთ უძილო დღე-ღამეს ლენინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის მძიმე დღეებში. მოთხრობის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენს საბჭოების მეორე ყრილობაზე ამხანაგი სტალინის მიერ ლენინისადმი მიძღვნილი ისტორიული სიტყვის წარმოთქმის ეპიზოდი. აქ მწერალმა შეძლო კონდესირებული მხატვრული საშუალებით გადმოეცა საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი ერთგულება და რწმენა დიდი ლენინისადმი.

მოთხრობა მთავრდება ლენინის დაკრძალვის სურათის ღრმა პოეტური აღწერილობით. მის ფინალში განსახიერებულია მოთხრობის ძირითადი აზრი, მოცემულია დიდი სახალხო გლოვისა და მომავალი ბრძოლებისათვის დარაზმულობის გამომხატველი სურათი:

„ბელადის გაციებულ გვამს იქ ეძინა მავზოლეიში.

სტალინი იდგა ტრიბუნაზე.

ტანთ ჭარისკაცის ლეგა მაზარა ეცვა და ისე გადასცქეროდა ათასებს, ათი ათასებს, მილიონებს.

ხალხი უცქეროდა მას და სჯეროდა, რომ წუთით შეტორტმანებული ამაყი დროშა კომუნისმისა საიმედო ხელშია. ეს ხელები ცაშია ამართული და აფრიალებული ბრიალა დროშა ფართქალობს მალლა ფრთავაშლილ არწივივით“.

მოთხრობები: „ქორდედალა“, „ტაია“ და „შუღლი“ ჩვენი თანამედროვეობის თემებზეა დაწერილი. „ქორდედალაში“ მწერალი გვიხატავს საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდა ქალის პორტრეტს, რომელშიაც გონიერება, სოციალიზმის საქმისადმი ერთგულება, დიდი შინაგანი ენერჯია და ნებისყოფაა გამოხატული.

ნოველაში „ტაია“ ნაჩვენებია კოლხიდის მოსახლე, წინათ ღარიბი გლეხი, რომელიც დიად საბჭოთა ეპოქას, მუყაითსა და თავდადებულ შრომას აუმაღლებია და საყოველთაო პატივისცემით შეუმოსავს. ამ უსაზღვროდ გახარებულ მოხუცს ახლა მხოლოდ ის აწუხებს, რომ ყოფილი მჩაგვრელები, სოფლის მყველფელი ბობოლები, რომლებიც თავისუფალი ხალხის მრისხანებას შორს გაუტყვორცნია, თავისი თვალთ ვერ ხედავენ ტაიას დიდებას და ბედნიერებას.

განახლებული მთის ცხოვრება, მთაში შექრილი საკოლმეურნეო მოძრაობის ძლევამოსილი წინმსვლელობა და ამასთან დაკავშირებული მძაფრი კლასობრივი ბრძოლები ასახა დემნა შენგელაიამ მოთხრობაში „შუღლი“.

ჩვენი ქვეყნის წარსულისადმი მიძღვნილი მოთხრობების ციკლის ნამდვილ მშვენიერებას წარმოადგენს მოთხრობა „შემოქმედი“. იგი რუსთაველის ეპოქის ფონზეა გაშლილი და გამოხატავს ამ ეპოქის ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების და კულტურული შემოქმედების სიღიადეს.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟია დიდი მხატვარი ბეშქენ ოპიზარი, რომელსაც დაკისრებული აქვს გელათის ახალაგებული ეკლერიის კედელზე ღვთისმშობლის დახატვა. გლეხის მშვენიერი და უმანკო გოგონას, გოცირას სახე აუღია ოპიზარს თავისი შთაგონების საგნად ამ დიდ შემოქმედებით ბრძოლაში. ხელოვანმა დაამთავრა მუშაობა, კედელზე გამოხატულია ღვთისმშობელი, რომელიც აკვანს ურწევს თავის პირმშოს და დაჰგალობს მას. მაგრამ შემოქმედის განზრახვა ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული.

„ხატი მოსიყვარულე დასავეთ არწევდა, შვილის კი არა, ძმის აკვანს და გალობდა ისეთი თავდავიწყებით, თითქოს თავისსავე ტკბილ ხმებს ართავდა თითისტარზე, თითქოს ფეხით კი არა, ამ ხმებით არწევდა კედელსა და მთელს ქვეყნიერებას“.

ხატი ვერ დაემსგავსა დედას, რადგან უმანკოა გოცირას სახე, რომლითაც შთაგონებული ოპიზარი ხატავდა ღვთისმშობელს. და მხოლოდ მაშინ, როცა გოცირა პირველად შეხვდა რუსთაველს, როცა მათ შორის ტრფიალების აღმაიფეთქა, რასაც პირველი ვნებიანი ამბორი მოჰყვა, გოცირას სახეზე დაირღვა ხელუხლებელი უმანკოება და აღიბეჭდა ის ადამიანური ვნების კვალი, რომელსაც ასეთი დაჟინებით ეძიებდა მოხუცი მხატვარი, რათა ღვთისმშობლის ხატებაში და კი არა, დედა განსახიერებულყო. რუსთაველმა მისცა გოცირას სახესაც, ოპიზარის ნახატსაც ეს მიწიერი, ადამიანური ვნებისა და გრძნობის ძალა, რუსთაველმა დაარღვია თავისი ხალხის სულიერ ცხოვრებაში სქოლასტიკური ტყვეობის ბორკილები და ფართოდ გზა გაუხსნა ადამიანის აზრისა და გრძნობის თავისუფალ მდინარეებას. ამ იდეას განასახიერებს დ. შენგელაია. ამ მოთხრობის მთავარ გმირს ოპიზარი წარმოადგენს და მისი შემოქმედებითი ბრძოლის დრამა არის აქ პირველ პლანზე წამოწეული, მაგრამ ამ მცირე მოცულობის მხატვრული ქმნილების არეზე დიდი კდემამოსილებით ელვარებენ რუსთაველისა და თამარ მეფის სახეები.

ამ მოთხრობების პარალელურად დ. შენგელაია წერს რომანს „ირმის ნახტომი“, რომელშიც ფერადოვნად და კოლორიტულად არის გაცოცხლებული ძველი თბილისი, ხელოსანთა სამყაზრო, ამქარი თავისი სპეციფიკური ყოფა-ცხოვრებით, ადათ-ჩვეულებით, ნივთობრივი გარემოცვით.

მჭრელი მხატვრული თვალი და პლასტიკური მხატვრობის გაწვრთნილი ძალა გამოსჩანს ამ ნაწარმოებში.

რომანის სიუჟეტურ ძრავს წარმოადგენს შეგირდი ვანოს მგზნებარე ტრფიალება ოსტატ ბეჩარას მშვენიერი ასულის — გულნარასადმი. ამ სიყვარულში ვანოს ეტოქება მეორე შეგირდი თედო, და გულნარასადმი ფარული, გაუმხელელი გრძნობით არის გამსჭვალული აგრეთვე მემწვანილე დნგრა, რომელიც ამ რომანის ყველაზე მკვეთრად დახატულ და საინტერესო პერსონაჟს წარმოადგენს.

ამ ნაწარმოების ძალა და ღირსება ფრიალ სპეციფიკური ყოფაცხოვრებითი სურათების და პერსონაჟის სულიერი სამყაროს მხატვრობაში მდგომარეობს. განსაკუთრებული ძალით არის გადმოცემული კრივის დინამიკური სცენა და ხელოსანთა ოსტატობრივი შემოქმედებითი გზნების გამომხატველი სურათები.

მწერალი ეგზოტიკური თვალთ კი არ ხედავს და ხატავს ძველი თბილისის წარმავალ ცხოვრებას, არამედ სოციალურ სიმანვილეს აძლევს ნახატს. აქ გადაშლილია გასული საუკუნის მიწურულის ქართული საზოგადოებრივი ვითარების ამსახველი პანორამა.

ხელოსანთა სამყაროს რღვევა, ამქრის დაღუპვა წარმოადგენს ამ პანორამის ცენტრალურ მომენტს. აქედან არის დანახული და გაშუქებული აღებული ეპოქის დამანასიათებელი სხვა სოციალური პროცესები: სამრეწველო კაპიტალის ზრდა, მუშათა კლასის რევოლუციური ამოძრავება, მარქსისტული მოძღვრების ძლევამოსილი შემოსვლა ჩვენს ქვეყანაში, გლეხობის საბრძოლო რევოლუციურ განწყობილებათა ახალი აზვირთება.

ამ პროცესებს განასახიერებენ რომანის მთავარი პერსონაჟები: ოსტატ შიო დარაშვილის ვაჟი ოთარი, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნებული მარქსისტული იდეების ერთგულ გამავრცელებლად გვევლინება, შეგირდი ვანო, რომელიც ბოლოს ქარხნისაკენ მიეშურება, რადგან აშკარად ხედავს მუშათა კლასის დიად ისტორიულ მისიას ხალხის განთავისუფლების საქმეში, და გლეხი ზურია გოლაშვილი, რომელიც გაბედულად აუჯანყდა თავად ამილახვარს და მთელ რეაქციულ სამყაროს.

დიდი ვანცდით, და ღრმა ემოციური ძალით გამოხატა ამ რომანში მწერალმა ამქრის რღვევისა და ხელოსანთა გაღატაკების ნიადაგზე აღმოცენებული სულიერი ღრამა რომანის პერსონაჟებისა ხელოსანთა წრიდან. მკითხველის გულს ღრმად წვდება ძველ ხელოსანთა გულმოკლული გოდება, მათი განწირული და ნაღვლიანი ჰანგები.

1940 წელს დ. შენგელაიამ გამოაქვეყნა რომანი „შთავონება“. რომელშიც ასახულია ჩვენი დედაქალაქის, ახალი თბილისის მშენებლობის სურათები და მოცემულია ქართველი მუშათა კლასისა და საბჭოთა ინტელიგენციის ტიპიურ სახეთა მდიდარი მრავალფეროვანი გალერეა.

თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშის დემურის ოჯახის ცხოვრების ისტორია შეადგენს ამ ნაწარმოების ძირითად სიუჟეტურ მავისტრალს. ამ მუშური ოჯახის თავგადასავლის მოთხრობისას მწერალი ჩვენს ცნობიერებაში აღადგენს ქართველი პროლეტარიატის გმირული რევოლუციური ბრძოლების მღვღვარე სურათებს, გვიჩვენებს იმ თავდადებულ ბრძოლას, რომლითაც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ქართველ მუშათა კლასს იერიში მიჰქონდა მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებაზე, თვითმპყრობელურ ტირანიზე.

ამ სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების ახლებურ გაგრძელებას ხედავს მწერალი ჩვენი ხალხის ახლანდელ გმირულ შრომაში სოციალისტური მრეწველობის ფრონტზე. დემურიების ოჯახის პირშმო ახალგაზრდა ინჟინერი ქალის — დარიკოს სახე მწერალს გააზრებული აქვს, როგორც ჩვენი დროის მოწინავე ახალგაზრდობის ტიპური განსახიერება.

მეორე მხრივ, რომანში გამოხატულია ლარაძეების ინტელიგენტური ოჯახის თავგადასავალი. პეტრე ლარაძე — განთქმული რეჟისორი ამ ნაწარმოებში განასახიერებს ჩვენი სამხატვრო ინტელიგენციის შთაგონებულ შემოქმედებით შრომას ახალი სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის. ხოლო მისი შვილის, ინჟინერ-არქიტექტორის მირიანის სახით მწერალმა განზოგადებულად დაგვიხატა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ახალი თაობის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყარო.

მართალია, ამ რომანის სიუჟეტი მთელ რიგ ხელოვნურ სიტუაციებს შეიცავს, რომლებიც ლიტერატურული რემინისცენციებიდან მომდინარეობენ, მაგრამ ნაწარმოების დიდი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ცხოვლად და შთაგონებულად არის დახატული, ერთი მხრივ, 1905 წლის რევოლუციის მგზნებარე ეპიზოდები, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი თბილისის მშენებლობის. ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობის, საბჭოთა ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის სურათები.

იმ ნაწარმოებთა შორის, რომლებითაც ქართულმა ლიტერატურამ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სწორუპოვარი ეპოპეა ასახა, თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დემნა შენგელაიას ვრცელ მოთხრობას „წითელი ყაყაჩო“. როგორც სხვა მისი საუკეთესო რომანები და მოთხრობები, ეს ნაწარმოებიც, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს მხატვრული ჩანაფიქრის ორიგინალობით, თემის გახსნისა და გაშუქების თავისებური ასპექტით. მოთხრობის ძირითად მიზანდასახულობას შეადგენს საბჭოთა ხალხის იმ მაღალი სულიერი

თვისებების ჩვენება, რომელთაც განსაკუთრებული ძალით იჩინეს თავი ომის მრისხანე წლებში და განაპირობეს ჩვენი სამშობლოს დიადი გამარჯვება ფაშისტ დამპყრობელთა ურდოებზე.

მოთხრობის მთავარი გმირი არის ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენტი — მწერალი ბეჟან დავლაძე, რომელიც სამამულო ომის ქარიშხლის ამოტყდომისთანავე ბრძოლის ველზე წავიდა თავის უახლოეს მეგობართან — არჩილ დარაშელიძესთან ერთად. ბეჟანი საფრონტო გაზეთის თანამშრომელი იყო. იგი, როგორც საფრონტო პრესის კორესპონდენტი, ხშირად იმყოფებოდა ცეცხლის მოწინავე ხაზზე და უშუალოდაც მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში. ერთ-ერთ ასეთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და დიდხანს მკურნალობდა სამხედრო ჰოსპიტალში. შემდეგ ისევ ბრძოლის ველს დაუბრუნდა. ჩვენი ძლევამოსილი არმიის რიგებში ვაატარა მან ომის უკანასკნელი თვეები, თავისი თვალთ ნახა ფაშისტური ურჩხულის განადგურება მისსავე ბუნავში, ნახა ბერლინის დაცემა და ამ დიდი გამარჯვებით ფრთაშესხმული დაუბრუნდა მშობლიურ თბილისს, თუმცა მის ბედნიერებას თან ახლდა დიდი მწუხარება იმის გამო, რომ მის თვალწინ სამხედრო ჰოსპიტალში დალია სული სამშობლოს სიცოცხლისა და ღირსებისათვის გმირულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრილმა არჩილ დარაშელიძემ. ყოველივე ამის შესახებ, მის მიერ ნახული და განცდილი უდიდესი ისტორიული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს ბეჟან დავლაძე, მოგვითხრობს წრფელად, მღელვარედ, გულის სიღრმეში ჩამწვდომი ძალით. მოთხრობა ამ პერსონაჟის ნაამბობის ფორმითაა გაშლილი. მკითხველის თვალწინ გაივლის ომის წინაღულებს მშვიდობიანი ცხოვრების ტკბილი და მომხიბლავი სურათები, რომელთაც ერთბაშად სცვლის ომის გრიგალის მოულოდნელი ამოვარდნით გამოწვეული ჩვენი ხალხის საყოველთაო შემფოთება და მრისხანება. შემდეგ ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხალხის მამაცი შვილების საბრძოლო შემართებას, მათ ერთსულოვან და უყოყმანო გამგზავრებას სამამულო ომის ფრონტზე, საფრონტო გაზეთის თანამშრომელთა კოლექტივის საბრძოლო ცხოვრებას, დაჭრილ ოფიცერთა მიერ ჰოსპიტალში გატარებულ დღეებსა და ღამეებს. აღსავსეთ მრავალი განცდით, ფიქრებით, მოგონებებით და ოცნებით, შემდეგ — ბატალურ სცენებს, ომის ძლევამოსილ დამთავრებას და ბრძოლის ქარცეცხლში გამოწრთობილი ვაჟკაცების დაბრუნებას თავიანთ ოჯახებში, ამ დაბრუნების სიხარულს, — მათ შეხვედრას ოთხი წლით დაშორებულ უახლოეს და უსაყვარლეს ადამიანებთან, მათი ახალი, მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისს.

ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ამ უაღრესად უხვი და მდიდარი მასალის პლასტიკურად ხელშესახები სურათოვანი წარმოსახვა ერთი მოთხრობის ფარ-

გლებში. ამიტომაც მწერალი ხან მხატვრული აღწერილობის საშუალებებს მიმართავს, ხან თხრობის ფორმას, ხან პერსონაჟთა ნაფიქრისა და ნააზრევის, მათი მოგონებებისა და წარმოდგენათა გადმოცემის ხერხს. და ავტორის წარმატება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთ შემთხვევაში მას არ დალატობს მხატვრული სიმართლისა და ბუნებრიობის გრძნობა. მოთხრობაში მომქმედ ურიცხვ ადამიანურ სახეთა უმრავლესობა დახატულია ცოცხლად და სისლხორცეულად.

მწერალი ფლობს სულ რამდენიმე შტრიხით ღრმა აზრის შემცველ, ფართო განზოგადებით მნიშვნელობის სურათთა დახატვის იშვიათ ხელოვნებას. აი, მაგალითად, მას უნდა გადმოგვცეს მთელი მშვენიება და მომხიბვლელობა იმ ლაღი, მშვიდობიანი ცხოვრებისა, რომელიც სუფევდა ჩვენს სამშობლოში ფაშისტ-დამპყრობელთა ვერაგული თავდასხმის წინ და ამ მიზნით იგი თბილისის განთიადის ისეთ მეტყველ სურათს ხატავს, სადაც ყოველი სახე უაღრესად ტევადია და ღრმად გააზრებული.

„ირგვლივ სიწყნარე იყო. მეგზოვრები წინასწარ მორწყულ ქუჩებს ჯერ ისევ ჰგვიდნენ. წინსაფრიალი მებაღე ახალ ნარგავებს რწყავდა. ათასში ერთხელ მსუბუქი მანქანა თუ ჩაიქროლებდა, კუდმაკრატელა შავი მერცხლები მტკვრის სადინელს ლაღი ჟღერტულით ელაშუენებოდნენ, თეთრი მკერდით ლამის ზედ ეხლებოდნენ მტკვარივითვე გაქნეულ ასფალტს. ბაღნარიდან მოდენილი გრილი ნიაფი და მწვანე ხეები თითქოს მეძახდნენ. შორს იისფრად გაწოლილ ზედაზენს ოცნების თვალით გავცქეროდი. იქ, უფრო შორს მუდმივი თოვლით მოსილი მყინვარწვერი თეთრად ელავდა. კლდის ნაჟურით ჩამომტირალ ხავსიან კბოდეებზე დაკიდებულ ფათალოს, უსურვაზსა და ძაღლყურძენას მიწა ფოთლებით დაეფარა. წითელი ყაყაჩო, თეთრი გვირილა, ყვითელი ბაია და მწვანე, ჯერ აუკატრებელი მოლნარი თვალს სინედლით ახალისებდა. ივნისის მზით გაშუქებული ახალთახალი სახლები ქალაქს ცისფერი აივნებით დაჰხაროდნენ. ლურჯი მონასტრის ძველისძველ კედლებზე დაყრდნობილი გუმბათი მზის სხივებში მართლაც რომ ბანაობდა. სიხარულის და სიცოცხლის უმიზეზო გრძნობით გული ყელთამდე მევსებოდა“.

უშფოთველი, ხალისიანი, მშვიდობიანი ცხოვრების სიტკბოთი გამსჭვალულ ამ სურათს მოსდევს თბილისის ერთი სახლის მცხოვრებთა ასევე ლაღი და მზიური ყოფის აღწერა. 1941 წლის ივნისის იმ კვირა დღეს, როდესაც ამ ბედნიერ მყურდობაში ერთბაშად და საბედისწეროდ შეიმოიჭრა შემზარავი ძახილი „ომი დაიწყო!“ ამ სახლში ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ დავლაძეების და დარაშელიძეების ოჯახები. ბეჟანის დედა — ხანდაზმული მასწავლებელი ქალი სასოებით შეჰხაროდა თავის ერთადერთ პირმშოს, ქვრივ-

ობლობაში, უანგარო და კეთილშობილურ შრომაში აღზრდილ ჰაბუკს. ბეჟანს განუყრელი მეგობრობა აკავშირებდა არქეოლოგიის პროფესორ სოლომონ დარაშელიძის ვაჟთან არჩილთან და მის უმცროს დასთან — მაიკოსთან, ჰკვიანს, კეთილ, მომხიბვლელ გოგონასთან. ახლო მეზობლობითა და ღრმა მეგობრობით დაკავშირებული ამ ორი ოჯახის მაგალითზე გვიჩვენებს მწერალი თუ როგორ შეაშფოთა და ააფორიაქა მთელი ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი ცხოვრება ომის ქარიშხალმა, როგორი ერთსულოვნებით აღსდა მთელი ჩვენი ხალხი საძულველი მტრის შესამუსრად. მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად აღიბეჭდება მწერლის მიერ გასაოცარი ცხოველმყოფელობით დახატული სურათი ბრძოლის ველზე მიმავალთა გაცილებისა თბილისის რკინიგზის სადგურზე. მოზღვავებული ხალხით გაქედილი ვაგზლის ბაქანის საერთო ხედის, საყოველთაო აჩქარების, ფუსფუსის, არევედარევის, უკიდურესად დაძაბული და ნერვიული საერთო განწყობილების ფონზე მწერალი მახვილად შენიშნული და დაჭერილი დეტალების მეშვეობით გვიჩვენებს მთელს სიღრმესა და სირთულეს იმ განცდებისა, რომლებითაც ერთმანეთს ეთხოვებოდნენ ფრონტზე მიმავალი ბეჟანი და არჩილი და ზურგში დარჩენილნი — ბეჟანის დედა, მოხუცი პროფესორი დარაშელიძე და პატარა მაიკო, რომლისადმიც ბეჟანის აღტაცებულ უნაზეს გრძნობებში კდემამოსილად გამოკრთის სპეტაკი სიყვარულის ნიშნები. ეს გაცილების სცენა მწერლის დიდი მხატვრული წარმატებაა. ამ სურათის ყოველი დეტალი დიდი გამომსახველობითი ძალით და ფსიქოლოგიური სიზუსტით არის შესრულებული.

შემდეგ მწერალს ჩვენ შევყავართ საფრონტო გაზეთის თანამშრომელთა მონოლითური კოლექტივის საბრძოლო ცხოვრების ატმოსფეროში. მკითხველის თვალწინ ცოცხლად წარმოდგებიან ამ კოლექტივის ადამიანთა ესკიზურად დახატული სახეები: გაზეთის რედაქტორი სუროვეცივი, თავისი სამაგალითო ადამიანური თვისებებით და ამასთანავე ახირებული ჩვევებით, „ქალთა მუდმივი მოტრფიალე“ უფროსი ლეიტენანტი ჩაბისოვი, ლეიტენანტი სომენკო, რომელსაც განუშორებლად თითზე აქვს შებმული თავისი ბინის კარების ფრანგული გასაღები იმ რწმენით, რომ მალე გამარჯვებული დაუბრუნდება მშობლიურ სახლ-კარს, რედაქციის მოხუცი შიკრიკი სამსონა ბახტურიძე, — იმერელი გლეხი, თავისი სოფლური ცხოვრების უზომოდ მოტრფიალე, რომელსაც ომის ორომტრიალში მუდამ თან დააქვს ვენახის სასხლავი დანა. მწერალი ახერხებს მოუნახოს ყოველ პერსონაჟს მისი ხასიათისა და ბუნებისაგან გამომდინარე რაღაც ისეთი შტრიხი, რომელიც ცოცხალ ადამიანურ ინდივიდუალობას შესძენს ამ მხატვრულ სახეს. ასეთი მკაფიო და ადამიანური ხასიათების მთელი გალერეაა დახატული სამხედრო ჰოსპიტალის ცხოვრების ამ-

სახველ სცენებში, რომლებიც ამ მოთხრობის ძირითად ნაწილს შეადგენს. ამ ჰოსპიტლის ოფიცერთა პალატაში ბეჟან დავლადის გვერდით ხანგრძლივად იწვნენ და მკურნალობდნენ ციმბირელი პოლკოვნიკი სავგაჩოვი, უკრაინელი კაპიტანი პილიპენკო და ქართველი ლეიტენანტი მატახერია. ყოველი მათგანი თავისებურად მდიდარი და საინტერესო სულიერი სამყაროს ადამიანებია, რომელთა ურთიერთობაში, აზრებსა და ფიქრებში, საუბრებსა და დამოკიდებულებაში მწერალმა ხორცშესხმულად განასახიერა საბჭოთა ხალხის ის სპეციაკი მორალური თვისებანი და მაღალი პატრიოტული შეგნება, რამაც ასეთი ყოვლისდამძლევი ძალით იჩინა თავი სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის ადამიანთა დაუფიქრებელ გმირულ საქმეებში. ასევე ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის ტიპიურ სახეებად გვევლინებიან მოთხრობის სხვა პერსონაჟები — ჰოსპიტლის მთავარი ექიმი, ქირურგი ევგენი პეტროვიჩი, ბუზღუნა, მაგრამ საოცრად კეთილი მოხუცი დამლაგებელი ქალი აკულინა ივანოვნა და განსაკუთრებით დაჰკრილთა მომვლელი გოგონა მაშენკა — ცოცხალი განსახიერება სულიერი და გარეგანი მშვენიერებისა, გულისხმიერებისა, სისპეტაკისა და უმწიკვლოებისა. მაშენკას მიერ მოთხრობილი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ვაჟაკურად დაიღუპა მტრებთან ბრძოლაში მისი უზომოდ საყვარელი მეგობარი, ჭაბუკი პარტიზანი ვასია, როგორ დადის მის შემდეგ მაშენკა ყოველ ღამე ტყეში და დაეძებს თავის გმირს. თითქოს იგი კვლავ ცოცხალი იყოს, როგორ ესაუბრება და ეალერსება მას თავის უნაზეს ფიქრებში, როგორ ემზადება ომის დამთავრებისას შეიკეროს და ჩაიცვას ვასიას მიერ ნაჩუქარი წითელი კაბა, — სიმბოლოდ სიცოცხლისა და გამარჯვებისა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირნენ უთვალავი ვასიები. ყოველივე ეს მოთხრობაში გადმოცემულია გულის სიღრმემდე შემძრავი დრამატულობით და დიდი ემოციური ძალით.

ასევე მაღალი აზრობრივ—ესთეტიკური ჟღერის სურათს წარმოადგენს მოთხრობის ის ეპიზოდი, რომელშიც აღწერილია არჩილ დარაშელიძის სიკვდილის სცენა. შეუძლებელია მღელვარების გარეშე წაიკითხოთ დიალოგი ორი მოსიყვარულე მეგობრისა, რომლებიც მოულოდნელად შეხვდნენ ერთმანეთს სამხედრო ჰოსპიტალში, რათა უკანასკნელად შეეხედათ, კიდევ ერთხელ ორიოდ სიტყვა ეთქვათ ერთმანეთისათვის და სამუდამოდ დაშორებულიყვნენ. სრულიად განსხვავებული შინაარსის, მაგრამ ასევე მძლავრი ემოციური დაძაბულობის პასაჟებს შეიცავს მოთხრობის ის თავები; რომლებშიც აღწერილია ფრონტიდან დაბრუნებული ბეჟანის პირველი შეხვედრა თავის მოხუც დედასთან, ბეჟანის საუბარი უკვე დაქალიშვილებულ მაიკოსთან, როცა ქალ-ვაჟმა

პირველად გაუმხილეს ერთმანეთს ხანგძლივად გულში ნატარები გრძნობა სპეტაკი სიყვარულისა.

დემნა შენგელაიას ახალი მოთხრობა „განძი“ უალრესად რთული და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, როგორც იდეური გააზრების, ისე მხატვრული შესრულების თვალსაზრისით. ეს ნაწარმოები მწერალმა მიუძღვნა საბჭოთა ადამიანის შეგნებაში წარსულის ბნელი გადმონაშთების საბოლოოდ აღმოფხვრისათვის ბრძოლას, რაც კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახლანდელი ეტაპის ერთ-ერთ ძირითად შინაარსს შეადგენს. ამასთანავე ეს მოთხრობა თავისებური მხატვრული პოლემიკაა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის, სიმდიდრისა და ბედნიერების ცნებათა ურთიერთობის იმ კონცეფციებთან, რომლებიც განსახიერებულია უკანასკნელი წლების მსოფლიო ლიტერატურის განმავრცობულ ნაწარმოებებში — ჰემინგუეის „მოხუცა და ზღვაში“ და სტეინბეკის „მარგალიტში“. ორივე ეს ნაწარმოები ერთმანეთისაგან უალრესად განსხვავებული საშუალებებით იმ აზრს ასაბუთებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში რიგითი უბრალო ადამიანი მისწრაფის გამდიდრებისაკენ, მაგრამ ეს ბედნიერება იმისათვის მიუწვდომელია და მიუღწეველი. ჰემინგუეის მოთხრობის გმირი ამაოდ ებრძოდა ზღვის უსასრულო სტიქიას, უშედეგოდ ესაუბრებოდა და ედავებოდა ვარსკვლავებით მოჭვდილ ცას, მთელ ქვეყნიერებას — მისმა ნავმა ნაპირზე უდიდესი წონის ძვირფასი თევზის მაგიერ მხოლოდ ამ თევზის ცარიელი ჩონჩხი გამოიტანა, თითქოს მოახლოებული ბედნიერება, თითქოს უკვე მოპოვებული სიმდიდრე, მხოლოდ ფუჭი ილუზია გამოდგა, ადამიანი კვლავ თავისი გამწარებული სიღარიბის ტყვეობაში დარჩა. კიდევ უფრო მწარე სასოწარკვეთა განიცადა სტეინბეკის „მარგალიტის“ გმირმა. მან, იმდენად ღარიბმა ადამიანმა, რომ ექიმისა და წამლის ფულიც კი არ გააჩნდა, უეცრად იშვიათი სიდიდის მარგალიტი იპოვა. მაგრამ ამ მოულოდნელმა გამდიდრებამ მას მხოლოდ უდიდესი უბედურება მოუტანა. მას ბოროტად აუშენდრდა შურით, სიხარბით, ურთიერთისადმი გაცოფებული მტრობის მგლური კანონით გამსჭვალული კაპიტალისტური საზოგადოების მთელი გარემოცვა და გამწარებული ადამიანი ბოლოს იძულებული გახდა ზღვაშივე გადაეგდო მისი გამაუბედურებელი ეს „სიმდიდრე“.

სულ სხვაგვარ საზოგადოებრივ ვითარებაში ცხოვრობს დ. შენგელაიას მოთხრობის — „განძის“ გმირი საულია. იგი საბჭოთა ადამიანია, საკოლმეურნეო სოფლის ერთი მოწინავე და საუკეთესო მშრომელთაგანი. სოციალისტური სოფლის ვითარებაში მას განუსაზღვრელი შესაძლებლობანი მოეპოვება საკუთარი შრომით მიწაწიოს ყოველგვარ ბედნიერებას და სიხარულს. მას

არაფერი აქვს მიუწვდომელად საოცნებარი და სანატრელი. თავის საყვარელ მეუღლესთან ფუნდუსთან ერთად კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში და სიმინდის ყანებში გაწეული ბარაქიანი შრომა საულის ოჯახს ყოველგვარი დოვლათით უზრუნველყოფს. ახალი ოდის ასაშენებლად საჭირო მასალა უკვე დაუმზადებია. საულის. მის ერთადერთ გულისტკივილს უშვილობა წარმოადგენდა, მაგრამ ამ საწუხარსაც ბოლო მოეღო: ერთ მშვენიერ დღეს ფუნდუმ აცნობა ქმარს, რომ ეს ბედნიერებაც მოახლოებულა. ასეთი ადამიანის ბედის საბჭოთა საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ წყობილებაში. მაგრამ თუ რაიმეს შეუძლია მოუშხამოს საბჭოთა ადამიანს ასეთი უჩრდილო ცხოვრება — ეს მხოლოდ კაპიტალისტური წარსულის ბნელ გადმონაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ საბოლოოდ აღმოფხვრილი როდია ყოველი საბჭოთა ადამიანის შეგნებიდან და რომლებიც ზოგჯერ უაღრესად საბედისწერო ძალით იჩენენ ხოლმე თავს. სწორედ ასეთი უბედური შემთხვევა დაატყდა თავს საულის. ერთხელ, როდესაც იგი „ჩას“ ბარავდა, უეცრად და მოულოდნელად იპოვა ოდესღაც ვიღაცის მიერ მიწაში ჩაფლული ოქროებით აღვსილი დერგი. საულისს ბუნებაში ერთბაშად გაიღვიძა გამდიდრების ინსტინქტი, უშრომელი და ნებიერული ცხოვრების სურვილი. მას არ აღმოაჩნდა შინაგანი ძალა და შეგნება, რომ ერთბაშად გამკლავებოდა ამ დამღუპველ ცდუნებას. როგორ უნდა გამოიყენოს ადამიანმა საბჭოთა სინამდვილეში უშრომლად შექმნილი ასეთი სიმდიდრე? ამ ოქროების მითვისება ხომ სახალხო ქონების მოპარვას უდრის. მერე ვის უნდა გაუმხილოს და გაანდოს საულიამ თავისი ასეთი მოულოდნელი და საბჭოთა ხალხის ცხოვრების წესის საწინააღმდეგო გამდიდრება?

ოქროების პოვნამ და ამის გამო მის ცნობიერებაში ბნელი ინსტინქტების მძლავრად გამოღვიძებამ სულიერი სიმშვიდე დაუკარგა საულიას, ერთბაშად გამოითიშა იგი მეზობლების, მთელი საკოლმეურნეო სოფლის ხალხიანი შრომითი ცხოვრებისაგან. მან ავადმყოფობა მოიგონა, შინ ჩაიკეტა, განმართო და მართლაც თითქოს დაავადმყოფდა სულიერადაც და ფიზიკურადაც — უშრომელად მოპოვებული სიმდიდრე ჩამდივლ სატანჯველად, უმწვავეს წამებად გადაექცა საყოველთაო უანგრო შრომის ატმოსფეროში დავაქცეებულ კოლმეურნე გლეხს. ეს ოქროები მას გესლიანი გველის სახებად წარმოუდგა. აკი იმავე სოროდან, რომელშიც მან ეს განძი იპოვა, ვეებერთელა გველიც გამოსისინდა. საულიამ შეძლო ბარით თავი გაესრისა შხამიანი ქვეწარმავალისათვის, მაგრამ ასევე სწრაფად მან ვერ გაანადგურა მის არსებაში აღძრული ბოროტი ინსტინქტი უშრომელი გამდიდრებისა, რომელიც საიდანაც, საულიას სულის „სიღრმეთა სიბნელიდან“ წარმოიშვა.

პირველადვე, განძის პოვნისთანავე ეს ოქროები საულიას გველური ბორცების გამოსახულებად მოეჩვენა. „ეს რა არის? რა არის-მეთქი? ოქრომ? არა, ოქრომ კი არა, ოქროებმა... წითელ-წითელმა ბაჯალოებმა ღველფში შეხვეულ ნალვერდლებივით, არა, -ნალვერდლებივით კი არა... რის ნალვერდლები, რა ნალვერდლები? მაისის გველის თვალებივით მომწუსხავად შემოანათა“.

ოდესღაც მთის შორეულ სოფელში აღზრდილ საულიას, სიჭაბუკეში მეზობელთან მიწის პატარა ნაკვეთისათვის ჩხუბი მოსვლია. მეზობელი მძიმედ დაუჭრია. ამ შემთხვევის გამო საულია გამოქცევია მშობლიურ სოფელს, ბარად შემოხიზნულა, აქ დასახლებულა, ცოლიც შეურთავს და სოფლის ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანად ქცეულა. მისი სურათი მუდამ სოფლის მოედანზე დადგმულ წითელ დაფაზეა გაკრული, იგი მთელი სოფლის სიყვარულით და პატივისცემით არის გარემოცული, მაგრამ აი ამ ოქროებმა ერთბაშად შებლაღეს მისი ეს ნათელი და ამალვებული სულიერი სამყარო. „რადაც ლითონის ეს კოკროჭინა ხარატულები მთვარის თეთრ შუქზე ისე მაცდურად ბრჭყვიალებდნენ, თითქოს ეშმაკს თავისი უკუღმართი ხელით გამოეჭედა, საგულდაგულოდ აქ შეენახა და გველი დარაჯად მიეჩინა.“

სიძუნწე, შური შენჩემობა და ყველა სიავე, რაც იქ, სოფელში, ოდესღაც ასე აბოროტებდა და კინაღამ ყურის მეზობელიც მოაკვლევინა, მის გულში ბნელად აშმაშურდა, იმ ნამძინარევე გველივით ბილწად იღვიძებდა“.

რაც უფრო მძლავრად ეუფლებოდა საულიას არსებას სიხარბისა და გამდიდრების ბნელი ინსტინქტი, მით უფრო ნათლად ხედავდა იგი, რომ „იმ სისხლიანმა ბნელმა წარსულმა და გარდასულმა ჟამთა სიავემ თავისი სიხარბით, ბოროტებით და ძარცვა-გლეჯით თითქოს იქიდან ცაცი გადმოჰყო და ბრჭყალები ყელში ჩააჭირა“.

მწერალი არ იშურებს უკიდურესად გამძაფრებულ საღებავებს, რათა ღრმად ჩაგვახედოს საულიას აფორიაქებულ სულიერ სამყაროში, გვიჩვენოს მთელი სიმწვავე მისი სულიერი დრამისა, მის არსებაში აღძრული ჭიდილისა საბუთთა ადამიანის მორალურ ღირსებათა და ბნელი წარსულის დამლუპველ გადმონაშთთა შორის. აი, ამდენი ღელვითა და ბორცვით დაღლილი საულია ზურგით ხეს მიეყრდნო. „როცა ხის მრუდე ჩრდილი მიყრდნობისთანავე თითქოს შიშით აცახცახდა და თავზედ ნამი უეცრად დააცვივდა, მიხვდა, რომ თვითონ ცახცახებდა. გახურებული სახე ცვარს ხარბად მიუშვირა და ცას უაზროდ ახედა. ერთხანს ასე იცქირებოდა და მერე ფეხი ისევ გადადგა და აღმართი ისევ აიარა. არ მიდიოდა, მიჩანჩალებდა და ფეხები კი უკან რჩებოდა, მიდიოდა და შიგნით, სიღრმეში მაინც სტკიოდა... ალაგეზე ფეხი მაინც ვერ გადაიტანა, ორივე ხელით სარს ჩაეჭიდა, თავით მიეყრდნო და გული ერთბაშად

ამოუჯდა. მამაკაცური უღაზათობით აწლუქუნდა. წუთით დაბნელდა. საულის ეგონა თვალთ თუ დამიბნელდაო. მაგრამ არა, მთვარეს ღრუბელი მიჰფარებოდა. იქ კი ძირს „ლიანდაგზე ოტია მეზუდკის ფარანიც თითქოს სამუდამოდ ჩაქრა“. ეს ოტია მეზუდკე რკინიგზის მოხუცი დარაჯი, საულის საყვარელი მეუღლის ფუნდუს აღმზრდელი მამობილი იყო. საულის წარმოდგენაში ოტიას ფარანის სამუდამოდ ჩაქრობა ამ ფსიქოლოგიურ პეიზაჟში იმას მოასწავებს, რომ ვაჟკაცის არსებაში ასე მძლავრად აღძრულმა ბნელმა ინსტიქტებმა თითქოს ერთბაშად ჩააქრო საულის საყვარული ფუნდუსადმი და მამასადამე მისი სულიერი კავშირი და ნათესაობაც კეთილი ოტიასადმი.

დიდხანს ატარა საულიამ საიდუმლოდ თავისი ეს დიდი გულის ტკივილი, მაგრამ ბოლომდე ხომ ვერ შეძლებდა არავისათვის გაემხილა იგი? და თუ ვისთვისმე უნდა გაენდო ეს საიდუმლო, ვინ ჰყავდა მას ფუნდუსზე უფრო სანდო და საიმედო? და იგი იძულებული გახდა ეჩვენებინა ფუნდუსათვის თავისი ფარული განძი, მით უფრო, რომ თვით ფუნდუსმ წაუსწრო მას ოქროთი სავსე ღერგზე გადამხოზილს. „ფუნდუსს სული შეეხუთა, შიშით კანკალი დააწყებინა. ნეტავი ვისი უნდა იყოს? იკითხა თრთოლვით და ტანში შეაცია.

— როგორ თუ ვისი უნდა იყოს? — გადაიღრია საულია და ხმას მრისხნედ აუწია, — ვისია და ჩვენია, ჩვენი!

... — ჩვენი კი არა ხალხისაა, საქვეყნოა და შენ რა ხელი გაქვს? შე საცოდავო, ამან შეგშალა? ერთი მითხარა, ეს სხვისი ნაარმალი რა ოხრად გინდა?“

ასე ერთბაშად აღმოცენდა მწვავე კონფლიქტი მოყვარულ ცოლ-ქმარს შორის. ფუნდუს ახლა უკვე ნათლად ხედავდა, „ის რაღაც ბნელი, მაგრამ უსახო მათ შორის ახლა პირველად და ასე საბედისწეროდ როგორ ჩამოღვია“.

საულია გაახელა ყოველთვის მორჩილი და თვინიერი ცოლის შეპაექრებაში. საულია ნაღვინევი იყო და ეს გარემოება კიდევ უფრო უკარგავდა მას წონასწორობას და თავშეკავების უნარს. ცოლთან დავაში გაცხარებულმა მან ფუნდუს „მუცელში წიხლი ისეთი გამეტებით ჩააზილა, რომ ბელტებში იქვე ჩაანარცხა“. ფუნდუსს თვალწინ ახლა მისი საყვარელი ქმრის ნაცვლად გაფთვრებული პირუტყვი იდგა. თავზარდაცემული და მძიმე ტკივილით გამწარებული იგი უსიტყვოდ და დაუკენესლად წალასლასდა შინსაკენ.

საულია თითქოს ერთბაშად გამოაფხიზლა მის მიერ ჩადენილმა საშინელმა დანაშაულმა. — „ეს რა ჩავიდინე? გაიფიქრა და გაბზარული ხმით დაუძახა: ფუნდუს! ფუნდუს, მოიცა! მაგრამ ფუნდუსს არაფერი არ ესმოდა“. ახლა საულიამ იკრძნო, თუ როგორ უფსკრულამდე მიაქანებდა მას ეს დამლუბველი ოქრო. მან ახლა უკვე მთელი არსებით შეიზიზლა ეს განძი, განთავისუფლდა მისი მომშამველი ჯადოსავან, წაიღო და კოლექტივის გამგეობას ჩააბარა ნა-

პოვნის ოქროები სათანადო დაწესებულებისათვის გადასაცემად. მაგრამ დაუსჯელად როდი ჩაუარა მას ოქროს ტყვეობაში გატარებულმა მწარე ღლეებმა: შინ დაბრუნებულს თავისი ფუნდუ მკვდარი დაუხვდა. ფეხმძიმე ქალი ცემით მიყენებულ მწვავე ტკივილს გადაყოლოდა.

საულის და ფუნდუს ეს უცნაური თავგადასავალი შთამაგონებლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნალექი ძველი ცხოვრებისა ზოგჯერ უმწვავეს წყლულებსა და კრილობებს აყენებს ჩვენს ადამიანებს, ზოგჯერ სერიოზულ საშიშროებად იქცევა და საგრძნობლად აფერხებს კიდევ ჩვენს წინსვლას. ამიტომაც უნდა ვიბრძოდეთ მეტის სიფხიზლით და შეუურიგებლობით წარსულის ამ საძულველი გამონაშთების წინააღმდეგ — ასეთია მოთხრობის მორალი, მისი საზოგადოებრივი აზრი და მომწოდებელი პათოსი.

ამ წერილის შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ „განძის“ სიუჟეტის შემადგენელი ზოგიერთი სიტუაცია სერიოზულ დავას და დაეჭვებას იწვევს. ეგებ უფრო მტკიცე მხატვრული დასაბუთება ესაჭიროებოდა იმ გარემოებას, რომ სწორედ საულის, — მოწინავე კოლმეურნის სულიერ სამყაროში აღმოჩნდა ნოყიერი ნიადაგი ბნელი კერძომესაკუთრული ინსტინქტების ასე მძლავრად აღორძინებისათვის. მკითხველი ძნელად ურიგდება იმასაც, რომ საულის ხასიათის ასეთი მანკიერების შედეგად ყველაზე მეტად დაისაჯა კეთილი და ყოველმხრივ მომხიბვლელი ფუნდუ და კიდევ უფრო უმანკო და უმწიკვლო მისი მომავალი პირმშო.

ამიტომ ბუნებრივია აზრთა ის სხვადასხვაობა, რომელსაც მოთხრობის ცალკეული პასაჟები იწვევს მკითხველთა და კრიტიკოსთა შორის, მაგრამ ერთი რამ უდავოა და უეჭველი: თავის ამ ახალ ნაწარმოებში მწერალი თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემას გამოეხმაურა, ხოლო მხატვრული ოსტატობის მხრივ თავისი ნიჭიერების ახალ საუცხოო გამოვლინებას მიადწია. მოთხრობაში მაღალი ხელოვნებით, ფერადოვნად, მომხიბვლელად არის წარმოსახული ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ახლანდელი ნათელი ცხოვრების სურათები, დასავლეთ საქართველოს წარმტაცი პეიზაჟები და მთელი რიგი ცოცხალი ადამიანური ხასიათები, რომელთა შორის საულისა და ფუნდუს გვერდით მკვეთრად გამოსჩანს რკინიგზის მოხუცი დარაჯის ოტიას მომხიბვლელი და საყვარელი სახე. „განძში“ კიდევ ერთხელ და ახალი ძალით გვიჩვენა მწერალმა თავისი ამოუწურავი შესაძლებლობანი სიტყვის ხელოვნების სფეროში, რომელიც საგანგებო შესწავლასა და გამოკვლევას იმსახურებს.

დემნა შენგელაიას ლიტერატურული ღვაწლის სრულად გათვალისწინებისათვის აუცილებელია მოვიხსენიოთ აგრეთვე მისი ნაყოფიერი მუშაობა

მხატვრული თარგმანისა და სარედაქციო საქმიანობის დარგში, აგრეთვე მისი მრავალი სტატია და გამოკვლევა ქართული ხალხური შემოქმედებისა და მშობლიური თუ უცხოური კლასიკური და თანამედროვე მწერლობის დიდად მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგალითისათვის შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ დ. შენგელაიას გამოკვლევამ სულხან საბა ორბელიანის მხატვრული მემკვიდრეობის შესახებ ჩვენი ლიტერატურული და მეცნიერული საზოგადოებრიობის ნამდვილი ალტაცება გამოიწვია.

თავისი უკანასკნელი წლების მხატვრული ქმნილებებით დ. შენგელაიამ ნათლად გვიჩვენა, რომ მისი დიდი ნიჭიერება და დაუცხრომელი შემოქმედებითი ენერგია ახლა ნამდვილი მომწიფებისა და შეუფერხებელი განვითარების მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ ხალხი სრული უფლებით მოელის და მოითხოვს მისგან ახალ მაღალმხატვრულ ქმნილებებს ჩვენი დიდი ეპოქის მღელვარე თემებზე.

აკაკი ბელიაშვილი

აკაკი ბელიაშვილი იყო ჩვენი დროის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ქართველი ბელეტრისტი, მაღალნიჭიერი და დიდად ნაყოფიერი მწერალი, რომელმაც სიტყვიერი ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა და წარუშლელი კვალი დასტოვა მის განვითარებაში. ქართულმა მწერლობამ და მასთან ერთად მკითხველი საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალება განიცადეს, როგორც მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი, რადგან მწერალს ბოლომდე ამოწურული და მთლიანად რეალიზებული როდი ჰქონდა თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. უეცარმა და ბრმა შემთხვევამ შესწყვიტა მისი სიცოცხლე მაშინ, როდესაც მწერალი მიღწეული იყო თავისი მხატვრული ნიჭიერების სრულ სიმწიფეს, როცა მას დაგროვილი ჰქონდა დიდი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება, წერდა ლაღად, თავისუფლად, დაუბრაკოლებლად. მაღლიერი მკითხველი მისგან კანონიერად მოელოდა კიდევ მრავალ შემოქმედებით სიხარულს, მშობელი ქვეყნის ისტორიული წარსულისა თუ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ახალ და ახალ მხატვრულ ტილოებს. მის საწურ მაგიდაზე დაუმთავრებელი დარჩა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი რომანის „ოქროს ჩარდახის“ მეორე წიგნი, ჩვენი დღევანდელობის ყველაზე აქტუალური და უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი რომანი „შვიდკაცა“ და უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გადმომცემი მხატვრული ნარკვევების სერია, რომლებზეც მწერალი პარალელურად მუშაობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. თვით ეს ფაქტი მეტყველად ახასიათებს აკაკი ბელიაშვილს, როგორც ფართო პორიზონტისა და მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესების მწერალს, იშვიათი პოტენციის და მხატვრული ენერჯის ხელოვანს. მრავალი კეთილშობილური განზრახვა, განუხორციელებელი ჩანაფიქრი ჩაიტანა მან სამარეში და სწორედ ამიტომ წარმოადგენს მისი ცხოვრების მოულოდნელი დასასრული ესოდენ მწვავე და აუნაზღაურებელ დანაკლისს თანამედროვე ქართული მწერლობისათვის და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის მთელი სულიერი ცხოვრებისათვის.

ახლა აკაკი ბელიაშვილი უკვე ისტორიას ეკუთვნის და ბუნებრივად იბა-

დება მოთხოვნილება პირუთვნელად შეფასდეს და განიზომოს მისი დიდი მწერლური და მოქალაქეობრივი ღვაწლი, ის ძვირფასი წვლილი, რომელიც მწერალმა უანგაროდ შეიტანა მშობლიური კულტურის საგანძურში. აკაკი ბელიაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა მდიდარია და მრავალფეროვანი. იგი შეიცავს ნოველებისა და მოთხრობების კრებულებს, თანამედროვე თუ ისტორიული თემატიკის რომანების სერიას, მხატვრული ნარკვევების წიგნებს, კინოსცენარებს, მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. აკაკი ბელიაშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ღრმად შეჭრის უნართთ ხასიათდებოდა, ყოველთვის ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა და ცხოველ გამოძახილს პოულობდა ხალხის გულში. ხალხის ისტორიული თუ თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ასახვისას, მწერალი ყოველთვის ახერხებდა ამ მოვლენების გაშუქებას ადამიანთა პირადულ ინტერესებთან, განცდებთან და გრძნობებთან დაკავშირებით, ნაწარმოების პერსონაჟთა პირად-ინტიმური ურთიერთობის ასპექტშიც. ეს გარემოება დიდ უშუალოებას, ადამიანურ სითბოს და მომხიბვლელობას მატებს აკაკი ბელიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებს, განაპირობებს მათ პოპულარობას. მაშინაც კი, როდესაც მწერალი ხალხის შორეული ისტორიული ცხოვრების პროცესებს ასახავდა, იგი ღრმა აქტუალობას ანიჭებდა თავის ნაწარმოებებს, რადგან წარსულს იგი ჩვენი თანამედროვეობის სიმალლიდან შესცქეროდა და აღიქვამდა, თანამედროვე ადამიანის აზრებისა და გრძნობების თვალსაზრისით აშუქებდა. თანამედროვეობის გრძნობა, სიახლის გამახვილებული გრძნობა, სიცოცხლისმოყვარეობის პათოსი ახასიათებდა მის ყოველ ნაწარმოებს, რაზეც არ უნდა ეწერა მას, საბჭოთა ადამიანების საბრძოლო თუ შრომით გმირობაზე თუ იმ ბნელსა და ჩრდილოვან მოვლენებზე, წარსულის იმ მანკიერ გადმონაშთებზე, რომლებიც ჭერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენს სინამდვილეში, ხალხის ზოგიერთი წრის შეგნებასა და ყოფაში, ჩვენი ხალხის დიად მიღწევებსა და წარმატებებზე თუ იმ მძიმე განსაცდელთა შესახებ, რომლებიც გმირულად და ვაჟკაცურად გადაუტანია ჩვენს ქვეყანას მის ისტორიულს ცხოვრებაში თუ ჩვენს ეპოქაში.

შესანიშნავი ფაბულისტი, მწყობრი სიუჟეტური კომპოზიციისა და მიმზიდველი, დამაინტერესებელი თხრობის ნიჭიერი ოსტატი, იგი ფლობდა ცოცხალ, სისხლხორციოთ სავსე ადამიანური სახეების, მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთის იშვიათ ხელოვნებას. კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სურათების წარმოსახვის, პერსონაჟთა სულიერი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომის ძალას.

თემატიკური მრავალმხრივობა ბუნებრივად ბადებდა აკაკი ბელიაშვილის შემოქმედებაში ჟანრობრივსა და სტილობრივს მრავალფეროვნებას, გამომსახველობით საშუალებათა სიმდიდრეს. მისი ნიჭიერების სიუხვე თანაბარი ძალით ვლინდებოდა სხვადასხვა გვარის ბელეტრისტულ ჟანრებში, ისტორიული რომანებიდან და მოთხრობებიდან — მხატვრულ ნარკვევებამდე, რომლებიც პუბლიცისტური სიმძაფრითა და ზუსტი იდეური მიზანსწრაფვით არის აღბეჭდილი. და თუ ზოგიერთ თავის ნაწარმოებში მწერალი თხრობის დიდ ემოციურ დაძაბულობას, სიუჟეტის დრამატიკულ სიმძაფრეს აღწევდა, ზოგიერთი კი რბილი, გულკეთილი იუმორის ხერხს მიჰართავდა, ეს მას სრულიადაც ხელს არ უშლიდა, რომ მთელ რიგ თავის ქმნილებებში მომაკვდინებელი, გამგმირავი სატირის მახვილი გამოეყენებინა, რომლითაც დაუნდობლად ამხილებდა და ჰკიცხავდა მანკიერ ადამიანებს, ჩვენი სინამდვილის ბნელსა და ჩრდილოვან მოვლენებს.

გამოხატულების საგნის ზედმიწევნითი ცოდნა, თანმიმდევრული და მტკიცე მწერლური პოზიცია, მაღალი იდეური და მორალური კრიტერიუმები განაპირობებდნენ ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლის შეუზღუდელობას მის საუკეთესო ქმნილებებში, სიწრფელესა და უშუალობას ანიჭებდნენ ყველაფერს, მწერლის მიერ მოთხრობილსა და დასატულს. ყოველგვარი მანერულობის, ხელოვნურობისა და განზრახ გართულებისაგან თავისუფალი მისი სადა და ნათელი სტილი, ხატოვანი, ბუნებრივი, ლაკონური ენა — გამდიდრებული ხალხური მეტყველების მთელი მშვენიერითა და მომხიბვლელობით გზას უკაფავდა მის ნაწარმოებებს ხალხის გულისაკენ, უხვევდა მათ მკითხველთა სიყვარულსა და მოწონებას.

აკაკი ბელიაშვილის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ცხოველყოფილი ჰუმანიზმით. ადამიანისადმი სიყვარულის მაღალი ვრძნობით, სიცოცხლისმოყვარეობის პათოსით, ცხოვრების დამამკვიდრებელი ნათელი ოპტიმიზმით. იგი არ გაუბრბოდა და თავს არ არიდებდა ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების გამოსახვას. პირიქით. დიდი მწერლური და მოქალაქეობრივი გამბედაობით შედიოდა იგი ცხოვრების სიღრმეში, ჩვენი რთული და მძაფრი ყოველდღიურობის შუაგულში და დაუფარავად, მძაფრად მამხილებელი ძალით გამოჰქონდა მზის სინათლეზე ყოველივე დრომოქმული, მახინჯი და მანკიერი, რაც წინ ეღობება და აფერხებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას თავისი ნათელი საბოლოო მიზნისაკენ. კრიტიკული პათოსი, მამხილებელი სიმწვავე ახასიათებს აკაკი ბელიაშვილის მრავალ საუკეთესო ნაწარმოებს, რომლებშიც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა, მისი შემოქმედებითი მრწამსი და მოქალაქეობრივი პოზიცია. მაგ-

რამ აკაკი ბელიაშვილის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მთავარ აზრსა და შინაარსს მაინც წარმოადგენდა ჩვენი ნათელი თანამედროვეობისა თუ სახელოვანი ისტორიის დადებითი ტენდენციების შთაგონებულად გამოხატვა, ჩვენი თანამედროვეობისა თუ ღირსეულ წინაპართა გმირული საქმეების ასახვა, იმ მშვენიერებისა და ძლიერების აღმაფრთოვანებლად განსახიერება, რომლითაც ჩვენს ხალხს თავი უსახელებია მისი ისტორიული ცხოვრების მრავალსაუკუნოვან გზაზე და რომლითაც იგი ახლა თავის ახალ ცხოვრებას აშენებს. ამ მშვენიერების, გმირობის, სიკეთის, ძლიერების, მორალური სიწმინდის მომღერლად და დამამკვიდრებლად გამოდიოდა აკაკი ბელიაშვილი თავის იმ ნაწარმოებებშიც კი, რომლებშიც ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, მანკიერ ადამიანთა ბნელ ზრახვებსა და საქმეებს ამხილებდა. მის შთამაგონებელ ესთეტიკურ იდეალს, ქვეყნად სიმართლისა და სიკეთის დამკვიდრებისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა. თავდადებულად და უკომპრომისოდ ემსახურებოდა იგი ამ იდეალს თავისი დიდი მხატვრული ნიჭიერებით, თავისი იშვიათად მაღლიანი კალმით და კეთილშობილური მოქალაქეობრივი ცხოვრებით. ასეთი იყო აკაკი ბელიაშვილი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე და ასე დარჩება იგი ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ასეთი სახით წარსდგება შთამომავლობის, მომავალ თაობათა წინაშე.

აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა 1903 წლის 24 აპრილს, ქ. ჭიათურაში, სამთო ტექნიკოსის ოჯახში. ბავშვობისა და ყრმობის წლები მან გაატარა ამ ქალაქში. ჭიათურა თავისი მარგანეცის საბადოებით განთქმული იყო, არა მარტო რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც. ჭიათურა წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრს საქართველოსა და ამიერკავკასიაში და ამასთანავე მუშათა რევოლუციური მოძრაობის მძლავრ კერასაც. მომავალი მწერლის თვალწინ განვლო ამაღელვებელმა ეპიზოდებმა იმ გმირული ბრძოლებისა, რომლებსაც ჭიათურის მალაროელები ეწეოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე. ჭიათურის მთელი ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე გამსჭვალული იყო მძაფრი კლასობრივი ბრძოლების ატმოსფეროთი. დიდი რევოლუციური ტრადიციებით სახელგანთქმული ჭიათურელი მალაროელები ქედს არ იხრიდნენ მეფის სისხლიანი სატრაპების წინაშე. ისინი არც მენშევიკურ რეჟიმს ურიგდებოდნენ. რეჟიმს, რომელმაც საქართველო თითქმის სამნახევარი წლით გამოთიშა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის სამყაროსაგან და საერთაშორისო კაპიტალისტური რეაქციის სათარეშო სარბიელად აქცია.

ასეთი მწვავე კლასობრივი ბრძოლების ვითარებას არ შეეძლო კეთილმყოფელი ზეგავლენა არ მოეხდინა მომაჯალი მწიგნობრის მსოფლმხედველობის, მისი საზოგადოებრივი იდეალების ფორმირებაზე. მით უმეტეს, რომ მისი მამა იონა ბელიაშვილი, რომელიც თვითონაც წერდა და აქვეყნებდა უპირატესად იუმორისტული ხასიათის ლექსებსა და მოთხრობებს, მარგანეცის მრეწველობაში მუშაობდა, მკიდროდ იყო დაკავშირებული მოწინავე მაღაროელებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მუშათა რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში.

1913 წელს, ათი წლის აკაკი ბელიაშვილი მშობლებმა საშუალო განათლების მისაღებად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს. ეს გიმნაზია მაშინ მთელ დასავლეთ საქართველოში ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, სადაც სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე სწარმოებდა და სადაც ახალგაზრდობას მაღალი პატრიოტული და ჰუმანისტური იდეების სულისკვეთებით ზრდიდნენ. ამ მხრივ ქუთაისის ქართული გიმნაზია საბედნიერო გამოწაკლის წარმოადგენდა მეფისდროინდელი სხვა სასწავლო დაწესებულებებისაგან, რომლებშიც სულის შემხუთველი ბიუროკრატიული რეჟიმი მძვინვარებდა.

უკვე მოწაფეობის წლებში აკაკი ბელიაშვილმა გამოიჩინა მიდრეკილება ლიტერატურული შემოქმედებისადმი და უეჭველი ნიჭიერებაც ამ დარგში. იგი წერდა მოთხრობებსა და მინიატურებს, იყო ინიციატორი და აქტიური თანამშრომელი მოწაფეთა ხელნაწერი ჟურნალებისა. თავის თანატოლ ნიჭიერ ახალგაზრდა ლიტერატორებთან ერთად ა. ბელიაშვილი მონაწილეობდა ნაბეჭდი ჟურნალების გამოცემაში, რომლებიც აღბეჭდილი იყო რეაქციის წლების ქართულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებული ანტირეალისტური ლიტერატურული მიმდინარეობის უეჭველი ზეგავლენით.

1921 წელს ა. ბელიაშვილმა დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მშობლების სურვილის თანახმად ამიერკავკასიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთამადნო ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. როგორც ცნობილია, 1921 წლის თებერვალში საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, დამყარდა საბჭოთა წყობილება, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ქართველი ხალხის სოციალური ცხოვრებაც და მისი ეროვნული კულტურის განვითარების გზებიც. ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული შოხობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული ქართველი ხალხი, ამიერიდან განუყოფლად დაკავშირებული მოძმე საბჭოთა ხალხების მრავალეროვნულ ოჯახთან. ძლევამოსილად გამოდიოდა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზაზე. განახლებულმა სოციალურმა ვითარებამ ღრმა ძვრები და ცვლილებანი მოითხოვა და გამოი-

წვია ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. დაიწყო ბრძოლა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის სახელოვანი დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების ასაღორძინებლად, ტრადიციებისა, რომლებიც საგრძნობლად იყო დაკნინებული და გაღარიბებული რეაქციის პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ანტირეალისტურ, მოდერნისტულ სკოლებსა და მიმდინარეობებს ჰქონდა მოპოვებული. გაჩაღდა ბრძოლა ახალი ლიტერატურისა და ხელოვნების მშენებლობისათვის, რომლებიც თანამოვანი უნდა ყოფილიყვნენ ეპოქის მოთხოვნებთან და ამოცანებთან და აქტიურად ჩაბმულიყვნენ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გაშლილ საყოველთაო სახალხო ბრძოლასა და შრომაში.

პირველი ქართული სქელტანიანი საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალის „მნათობის“ დაარსებისათანავე აკაკი ბელიაშვილი მისი ერთ-ერთი უახლოესი და აქტიური თანამშრომელი იყო. ამ ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ძალების გაერთიანებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გარშემო მათი შემკიდრების საქმეში. „მნათობში“ თანამშრომლობა იმ წლებში თავისთავად მოასწავებდა მწერლის მისწრაფებას მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებისათვის, კულტურული რევოლუციის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასეთი მისწრაფებებით იყო ნაკარნახევი აკაკი ბელიაშვილის ნაყოფიერი თანამშრომლობა ამ ჟურნალში და მთელი მისი იმდროინდელი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. „მნათობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ა. ბელიაშვილმა თავისი პირველი ფართო პლანის ბელეტრისტული ნაწარმოები „ცხრა ცენტრი“. ეს იყო სათავედასავლო ჟანრის რომანი, რომელიც ასახავდა ერთმანეთისადმი სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ორი სამყაროს — რევოლუციისა და რეაქციის საერთაშორისო ბანაკთა შეურიგებელ ორთაბრძოლას. რომანი გამსჭვალული იყო მთელს მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ძველი სამყაროს გარდუვალი დაღუპვის რწმენით. ახალგაზრდა მწერალს მაშინ არ აღმოაჩნდა საკმაო პროფესიული ოსტატობა და შემოქმედებითი გამოცდილება, რომ სრულფასოვანი მხატვრული განსახიერება მიეცა ესოდენ დიდი თემისათვის, რომელიც ღრმად აქტუალური იყო ოციან წლებში და ფართოდ გავრცელებულიც იმ პერიოდის მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამასთანავე ავტორი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული ფორმალისტურ ცდუნებისაგან, რაც ზღუდავდა მის შესაძლებლობას, რომ სწორად გაეაზრებინა და ღრმა განზოგადებითი ძალის მხატვრულ სახეებში გაცოცხლებინა რომანში წარმოსახული ცხოვრებისეული მასალა. და ყოველი-

ვე ამ-ს მიუხედავად ამ, ასე ვთქვათ „სადებიუტო“ ნაწარმოებში მაინც ნათლად იჩინა თავი მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატის ნიჭიერებამ, მისი შემოქმედებითი ბუნების თავისებურებამ.

ოციანი წლების მეორე ნახევარში მამის ნაადრევად გარდაცვალებისა და ამით გამოწვეულ ოჯახურ გარემოებათა გამო ა. ბელიაშვილი იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა ინსტიტუტში და შრომით ცხოვრებაში ჩაბმულიყო. იგი დაეუფლა მარკზრეიდერის პროფესიას და მუშაობა დაიწყო სამთამაღრო წარმოებაში. ეს პროფესია დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, მის შორეულ მთიან კუთხეებში სისტემატურ მოგზაურობასთან, რამაც ახალგაზრდა მწერალი დროებით მოწყვიტა თბილისს და გამოთიშა დედაქალაქის ლიტერატურული ცხოვრებისაგან. ამას დაერთო მწერლის გატაცება ალბინიზმით, მშობელი ქვეყნის დიდებული ბუნების შესწავლის წყურვილით, მონაწილეობა ალბინისტურ ექსპედიციებში, მიუეალ მწვერვალებზე ლაშქრობებში. ყოველივე ამან დროებით შესწყვიტა ა. ბელიაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ ამ წლებს, ამ მოგზაურობებს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაცნობას არ შეეძლო უშედეგოდ ჩაეელო მწერლისათვის და კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა მის შემოქმედებით ბიოგრაფიაზე. ლიტერატურული გარემოცვის ვიწრო ნაჭუჭიდან გამოთიშული ახალგაზრდა მწერალი პირისპირ შეეჭახა ცხოვრებას, იმ ღრმა გარდაქმნათა და განახლებათა პროცესებს, რომლებიც იმ წლებში ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში მიმდინარეობდა. იგი გაეცნო და დაუახლოვდა სრულიად სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანებს: ახლად აღმართული ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, გლეხებს, რომლებიც საკმაოდ რთულ წინააღმდეგობათა ვითარებაში მასობრივად გადადიოდნენ საკოლმეურნეო წყობილების ლიანდაგზე, გეოლოგებს, რომლებიც დაუოკებელი წყურვილით იკვლევდნენ მშობელი ქვეყნის წიაღს, რათა მის სიღრმეში აღმოეჩინათ ახალი ძვირფასი მადნეულობა, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც მაშინ საფუძველს უყრიდნენ მრეწველობის ახალ დარგებს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში. იმ წლებში ა. ბელიაშვილმა იმოგზაურა აგრეთვე რუსეთისა და უკრაინის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. ყოველივე ეს დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მწერლის შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. ახალგაზრდა ხელოვანის მახვილი, დაკვირვებული თვალი მძაფრად აღიქვამდა მთელ ამ მდიდარსა და მრავალფეროვან-ცხოვრებისეულ მასალას. მწერლის სულიერი სამყარო მდიდრდებოდა ახალი და ახალი შთაბეჭდილებებით, იმსჭვალებოდა ახალი ცხოვრების მშენებლობის პათოსით.

ყოველივე ამან მალე ჰპოვა მკაფიო გამოხატულება ა. ბელიაშვილის შემოქმედებაში. ოცდაათიანი წლების დამდეგს, ესოდენ მრავალგვარი შთაბეჭდილებით და დაკვირვებებით, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით გაძლიერებული იგი საბოლოოდ დაუბრუნდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც უკვე მომწიფებული და დახელოვნებული პროფესიონალი მწერალი. ზედიზედ ქვეყნდება მისი ნოველებისა და მოთხრობების კრებულები, რომელთაც ავტორს ნიჭიერი ბელეტრისტის რეპუტაცია მოუხვეჭეს.

ამ წლებში ქართული, ისე როგორც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა, ახალ დიდ იდეურ-შემოქმედებით აღმავლობას განიცდიდა, რაც გამოწვეული და განპირობებული იყო სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებით ჩვენს სამშობლოში, საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმად მნიშვნელოვანი მოვლენებით. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა ყველა სხვა განცალკევებული ორგანიზაციის ლიკვიდაციამ, საბჭოთა მწერლობის პირველმა საკავშირო ყრილობამ, მსოფლიოს თვალნათლივ დაანახა ჩვენი ქვეყნის მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთსულოვანი შემჭიდროება კომუნისტური პარტიის პოზიციებისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გარშემო. აკაკი ბელიაშვილმა თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ამ წლების ქართული ლიტერატურის განვითარებაში. იგი იშვიათი შემოქმედებითი აქტივობით და ნაყოფიერებით ამუშავებდა თანამედროვეობისა და ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის მრავალნაირ თემებს. მისი იმდროინდელი ნოველები და მოთხრობები მნიშვნელოვნად ამდიდრებდნენ ქართულ საბჭოთა მწერლობას ახალი თემებისა და სახეების სამყაროთი, ხელს უწყობდნენ მისი თემატიკური და ქანრობრივი დიაპაზონის გაფართოებას.

აკაკი ბელიაშვილის ადგილი და როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით გაიზარდა დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ფართო მხატვრული ტილო, სამტომიანი ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“, — ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები. ეს წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ხალხის გმირული და თავგანწირული ბრძოლების შესახებ სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიული ფესვების შესახებ, ცხოვლად ეხმაურებოდა ჰიტლერელთა სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებული საბჭოთა ადამიანების აზრებსა და გრძნობებს.

ამას მოჰყვა მწერლის მეორე ისტორიული რომანი „ოქროს ჩარდახი“;

ხოლო ომის შემდგომ წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემებზე დაწერილი მისი რომანები: „უღელტეხილი“, „ეკეთხია ხალიბაური“, „შვიდკაცა“ და აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოთხრობები, ნოველები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური და ლიტერატურული — კრიტიკული წერილები.

დაძაბული და ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად აკაკი ბელიაშვილი მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამწერლო ორგანიზაციების საქმიანობაში, მას მუდამ ირჩევდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში. წლების მანძილზე განაგებდა თბილისის კინოსტუდიის სასცენარო განყოფილებას, თვითონაც წერდა სცენარებს, რომელთა მიხედვით არაერთი მხატვრული ფილმი შექმნილი. აკაკი ბელიაშვილი მონაწილე იყო რესპუბლიკური და საკავშირო მწერალთა ყრილობებისა, პლენუმებისა, თათბირებისა და დისკუსიებისა. მისი პრინციპული, უკომპრომისო და კომპეტენტური გამოსვლები ყოველთვის გამოირჩეოდა განსახილველი საკითხის ღრმა ცოდნით, საზოგადოებრივ ინტერესთა სიფართოვით, გაბედული და დამოუკიდებელი აზროვნებით, საკუთარი თვალსაზრისის თანმიმდევრულად დაცვისა და დასაბუთების უნარით.

იგი ხშირად გამოდიოდა ქართული და საკავშირო პრესის ფურცლებზე მხატვრული ნარკვევებით, რომლებშიც ცოდნით და ღრმა დაინტერესებით აშუქებდა ჩვენი სინამდვილის ღირსშესანიშნავ მოვლენებს, საბჭოთა ადამიანების შრომითი ცხოვრების პროცესებს. მისი წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე შეიცავდნენ იმ შემოქმედებითი პრინციპების თეორიულ გააზრებასა და დასაბუთებას, რომელთა პრაქტიკულ განხორციელება-საც მისი მხატვრული ქმნილებანი წარმოადგენენ. მთელ ამ საქმიანობაში ნათლად თავს იჩენდა არა მარტო მწერლის უხვი და მრავალმხრივი ნიჭიერება, არამედ ამასთანავე კეთილშობილური გული და დაუცხრომელი ენერჯია მოწინავე საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქისა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტი-სა, რომელიც უსაზღვროდ ერთგული იყო თავისი სამშობლოსი, ხალხისა და მზად იყო ყველაფერი შეეწირა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ძლიერების აღმავლობისათვის. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მისი თვალსაჩინო დამსახურებანი არაერთხელ ყოფილა აღნიშნული მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

სიცოცხლის ბოლო წლებში აკაკი ბელიაშვილმა ბევრი იმოგზაურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და დასავლეთ ევროპაში, იყო ამერიკაშიც. ამ მოგზაურობის შედეგად მან დაწერა მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც

ცოცხლად, სახეობრივად, დამინტერესებლად გადმოგვცა თავისი ღრმა გაგება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესებისა და გამოავლინა უნარი ხალხების ცხოვრებაში უმთავრესი, ყველაზე დამახასიათებელის შენიშვნისა და გამორჩევისა, ნახულისა და განცდილის განზოგადებისა, სწორად გააზრებისა, პუბლიცისტური მგზნებარებით და მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით მათი განსჯისა.

მოულოდნელმა სიკვდილმა ნაადრევად შესწყვიტა მწერლის დაუცხრომელი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1961 წლის 14 დეკემბერს, როდესაც აკაკი ბელიაშვილი მცხეთიდან თბილისს ბრუნდებოდა, მხსვერპლი გახდა საავტომობილო კატასტროფისა.

ვიდრე თავის ისტორიულ ტრილოგიას „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალს“ გამოაქვეყნებდა, აკაკი ბელიაშვილი ცნობილი იყო, როგორც მცირე მოცულობის ბელეტრისტული ჟანრების — ლირიკული ნოველისა და იუმორისტული მოთხრობის საუცხოო ოსტატი. გონებამახვილურად მოფიქრებული და მიმზიდველად, დამინტერესებლად განვითარებული სიუჟეტი მისი ნოველებისა და მოთხრობებისა ყოველთვის ემყარებოდა გარკვეული ეპოქის სოციალური შინაარსისათვის ტიპიურსა და დამახასიათებელ ამბავს, როგორც სიუჟეტის მამოძრავებელ ფაბულურ მოტივს. ცოცხალი ადამიანური სახეები, ბუნებისა და ყოფაცხოვრების კოლორიტული სურათები ორგანულად ერთვიან, ავსებენ და ამდიდრებენ სოციალური ვითარების წარმომსახველ სურათს, რომელიც მწერლის საუკეთესო ნოველებსა და მოთხრობებში გარკვეულ იდეურ-ესთეტიკურ ჩანაფიქრს განასახიერებს, გარკვეულ ესთეტიკურ იდეალს ემსახურება. თავის უკეთეს ბელეტრისტულ ქმნილებებში აკაკი ბელიაშვილი გამოდის არა როგორც ცხოვრებისეული მასალის გულგრილი და განუკითხველი მხატვარი, არა როგორც თავისთავად საინტერესო და გამართობელი ამბების მომთხრობელი, არამედ როგორც გარკვეული იდეური პოზიციის ხელოვანი, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი იდეალების თვალსაზრისით შესცქერის და წარმოსახავს მოვლენებს, გამოაქვს თავისი მწერლური და მოქალაქეობრივი „მსჯავრი“ ამ მოვლენებზე, თავისი პერსონაჟების აზრებსა და მოქმედებაზე, რაიმეს იცავს და თავგამოდებით ექიმება, ან რაიმეს უარყოფს და დაუნდობლად ჰკიცხავს. აკაკი ბელიაშვილმა ღირსეულად განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური ნოველისტიკის მდიდარი ტრადიციები, გონივრულად გამოიყენა თავისი უფროსი თანამედროვეების ნიკოლორთქიფანიძის, მიხეილ ჭავჭავაძის, ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახურდიას, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებითი გამოცდილება ამ ჟანრში.

მისი მოთხოვნებისა და ნოველების კრებულთა გაცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ მწერალი რუსული და ევროპული თანამედროვე ნოველისტიკის მიღწევებისა კურსში იყო და გულმოდგინედ ანდიდობდა კიდევ ამ მიღწევებით საკუთარ შემოქმედებით სამყაროს. მაგრამ იგი არასოდეს მისულა „მოდური“ ლიტერატურული მოვლენებით გატაცებამდე, მიმბაძველობისა და ეპიგონობის საშიშროებამდე, არასოდეს მოწყვეტია და გამოთიშვია ეროვნულ ნიადაგს, ეროვნული ლიტერატურის ტრადიციის მარად ცვალებადსა და უწყვეტი განვითარების პროცესში მყოფ კალაპოტს.

აკაკი ბელიაშვილის ნოველებისა და მოთხოვნების დიდი უმრავლესობა საბჭოთა სინამდვილისადმი მიძღვნილი. მაგრამ ამ ქანრის თავის ქმნილებებში იგი არაიშვიათად მიმართავდა ხოლმე შორეული წარსულის მოვლენებსაც, რომლებსაც ჩვენი ხალხის თანამედროვე სულიერ მისწრაფებათა სამყაროსთან დაკავშირებულად წარმოსახავდა და აშუქებდა. ნოველებში „ამბავი რუსთაველისა“ და „დაკარგული წიგნი“ მწერალმა მოგვითხრო, თუ როგორი სიყვარულითა და მზრუნველობით დაიცვა და შემოინახა ხალხმა რუსთაველის უკვდავი პოემა, გადაარჩინა იგი უცხოელ თავდამსმელთა სისხლიანი ხელთფისაგან, სტიქიურ უბედურებათაგან, კლერიკალთა გაცოფებული დევნისაგან.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან მასალაზე მწერალი მკაფიოდ წარმოსახავს იმ მძაფრ სოციალურ წინააღმდეგობათა სურათს, რომელიც დამახასიათებელი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისათვის. ნოველაში „ამბავი რუსთაველისა“ დახატულია შთამბეჭდავი სახე გაცოფებული კლერიკალის, — კათალიკოსისა, რომელსაც მთელი არსებით სძულს გენიალური პოეტის სახელიც კი, რადგან რუსთაველმა პირველმა საშუალო საუკუნეობრივ სამყაროში გაბედულად აღმართა ჰუმანიზმის დროშა და შთაგონებულად უმღერა ადამიანის გონებასა და გრძნობათა განთავისუფლებას რელიგიურ სქოლასტიკის წყვედიადისაგან. „დაკარგულ წიგნში“ კი წარმოსახულია საქართველოში ირანელი დამპყრობლების სისხლიანი თარეშის შემზარავი ეპიზოდი. მტრის ურდოებმა დაუნდობლად დაარბიეს და ააწიოკეს ქვეყანა. მოინდომეს ქართველი ხალხის ყველა მატერიალურ და კულტურულ მონაპოვართა განადგურება, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერის მოსპობა. მაგრამ ბნელეთის მოციქული კათალიკოსის მიერ შთამომავლობისათვის რუსთაველის სახელის მოსპობის მიზნით მატინიდან ამოგლეჯილი და მტკვარში გადასროლილი პოეტის ცხოვრების მომთხრობელი ფურცლები შემთხვევით ხელში ჩაუვარდათ მეტივე გლეხებს, რომელთაც დიდი მოწიწებით და სასოებით შეინახეს ეს ფურცლები, როგორც ძვირფასი რელიქვია, ხოლო ირანული დამპყრობლების მიერ მოსასპო-

ბად განწირული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი იპოვა და ისეთივე მოწიწებით შეინახა ახალგაზრდა მწყემსმა, რომელმაც თავისი უსწავლელობის მიუხედავად კარგად იცოდა რუსთაველის უკვდავი ქმნილების ფასი და მნიშვნელობა. ამ უბრალო მშრომელმა ადამიანებმა დაიცვეს, განაღვურებისაგან იხსნეს და მარადიული დიდების შარვანდდით შემოსეს ჩვენი ეროვნული გენიის ეს უდიდესი ქმნილება. ამრიგად მწერალი მხატვრულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ მაღალი პატრიოტული მისწრაფებების, პროგრესისა და ჰუმანიზმის ნათელი იდეალების ყველაზე ერთგული ქომაგი და დამცველი სწორედ უბრალო ადამიანები, სწორედ მშრომელი ხალხი იყო ისტორიის მთელ მანძილზე. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენად ეთანხმოვანება მწერლის ასეთი კონცეფცია საბჭოთა ხალხის აზრს, მის მსოფლმხედველობას.

ამავე ციკლს მიეკუთვნება ნოველა „მწუხრი ტრფობისა“, რომელსაც მკითხველი გადაყავს შედარებით ახლობელ ისტორიულ წარსულში — იმ ეპოქაში, როდესაც ცხოვრობდა და თავის უჭკნობ ლირიკულ შედეგებს ქმნიდა დიდი რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნოველაში დახატულია რომანტიკული სევდის საბურველში გახვეული მომხიბვლელი სახე ეკატერინე ჭავჭავაძისა, რომელიც თვითმპყრობელი კოლონიზატორების მიერ ნაძალადევად იყო გადასახლებული პეტერბურგს. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ემოციური ძალით გადმოგვცემს მწერალი თავისი გმირი ქალის მღელვარე გრძობებს, როდესაც იგი მხურვალე ცრემლებს აფრქვევს ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერ კრებულზე, პოეტისა, რომელსაც ოდესღაც მგზნებარედ უყვარდა ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიერი ასული და უძღვნიდა კიდევ მას თავისი პოეზიის არა ერთ ბრწყინვალე ნიმუშს.

რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირი ცხოვრების შემაზრზენი სურათი დახატა მწერალმა დიდი ემოციური ძალითა და პერსონაჟის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის ნიჭიერებით აღბეჭდილს მოთხრობაში „შექანებული“. მოთხრობის გმირია ღარიბი გლეხკაცი დათია. მას სულით ავადმყოფი შვილი ჰყავს, რომელიც აუტანელ ტვირთად აწევს ისედაც გაძვალტყავებულ ოჯახს. ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობს ლატაკი გლეხი. იგი იძულებულია რკინიგზის ახლობელ სადგურზე წაიყვანოს ავადმყოფი შვილი, მატარებელში ჩასვას და უგზოუკვლოდ გადაკარგოს იგი. რა მწვავე სულიერ ტკივილს განიცდის საბრალო, დასაო, როდესაც საბოლოოდ შორდება საკუთარ პირმშოს, რომელიც უპატრონოდ დაღუპვისათვის განწირული, გაურკვეველი მიმართულებით გააქანა მატარებელმა: „იღვა დათია მოხრილი, ბეჩავე და გასცქეროდა ბნელ სივრცეს იქ, სადაც უკანასკნელად ჩაქრა

წითელი ფანარი. დიდხანს იდგა ამგვარად და მხოლოდ ახლა იგრძნო სიმწვავე, ჩაწყდა გული დათიას.

— ქე მაინც ვადამეკოცნა, — ყრუდ ჩაილაპარაკა მან და ცრემლი გადმო-
ჟვარდა. წვიმდა, განუწყვეტლად წვიმდა და ამ უკუნეთში ისმოდა, თუ რო-
გორი შხაპუნით შესეოდნენ წვიმის წვეთები ამ ლიანდაგს, ხევს და ბნელით
დაფარულ გორაკებს“.

უკუნეთი ღამე, ბნელით დაფარული გორაკები, განუწყვეტელი წვიმა და
დათიას აფორიაქებული სულისკვეთება — ყოველივე ეს ქმნის გულის სიღრ-
მემდე შემძვრელ პირქუშ სურათს ბნელი და მკაცრი სინამდვილისა, რომელ-
შიც ცხოვრობდა მშრომელი ხალხი ძველად, ჩაგვრისა და მონობის საუკუნე-
ებში. უკიდურესი სიღარიბითა და გაჭირვებით დაბეჩალებული და სულიერად
დამახინჩვებული ადამიანის ცხოვრების დრამის გამონატვის სიმძაფრის მხრივ
ამ ნაწარმოებს ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთი ნოველა თუ შეედ-
რება — ჩვენი საუკუნის დიდი ქართველი პროზაიკოსის ნიკო ლორთქიფანი-
ძის „ტრაგედია უგმიროდ“.

მოთხრობების ციკლში ასახა ა. ბელიაშვილმა ქართველი ხალხის ცხოვრე-
ბა მენშევიკური ხელისუფლების ხანმოკლე ბატონობის წლებში, როდესაც
საქართველო სამოქალაქო ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული, როდესაც
მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილები თავგანწირულად იბრძოდნენ მენშევი-
კური დიქტატურის დასამხობად და საქართველოში საბჭოთა წყობილების და-
სამყარებლად. დარიბი გლეხკაცობის ერთგული შვილის, ახალგაზრდა ბოლშე-
ვიკის არჩილის მომხიბვლელი სახე. დახატულია მოთხრობაში „სპარტაკელი“.
მწერალი გვიამბობს თუ როგორი გამბედაობით და მოხერხებულობით გაუს-
ხლტა ხელიდან მაღალი სოციალური იდეალებით შთაგონებული ეს კაბუკი
მენშევიკ გვარდიელებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ქურდულად. გაუ-
სამართლებლად მოეკლათ ხალხის სასიცოცხლო ინტერესების ეს ქედუხრელი
ქომაგი. როგორც მენშევიკ ხელისუფალთა ანტიხალხური პოლიტიკის, ისე დიდი-
ხნით ნანატრი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი
მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილთა გმირობის დამახასიათებელი სურათების
წარმოსახვისას მწერალი დიდი განზოგადების ძალას აღწევს. მოთხრობაში
„ბაგრატა“ მწერალმა დახატა შემზარავი სურათი ხალხის აბუჩად აგდებისა
და მისი თავმოყვარეობისა და სასიცოცხლო ინტერესების უხეშად ფეხქვეშ
გათეღვისა უცხოელ ოკუპანტების მხრივ, რომლებიც საქართველოში პარპა-
შობდნენ მენშევიკი მმართველობის მოწვევით. ხოლო მოთხრობაში „წყალწა-
ლებული“ დახატულია ზიზღის მომგვრელი სახე მენშევიკი გვარდიელის ან-
ტონისა, რომელიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვე-

ბის ისტორიულ დღეებში უბადრუკად ცდილობს გაექცეს ხალხის კანონიერ პულისწყრომას, დამალოს და შეინარჩუნოს ნაძარცვი, დანაშაულებრივი მაქინაციებით შეძენილი ქონება. დიდ მამხილებელ ძალას მიაღწია მწერალმა თავის იუმორისტულ მოთხრობაში „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“. რომელშიც მომაკვდინებელი სარკასმით გვიჩვენა ის პოლიტიკური ვაკხანალია, რაც სუფევდა საქართველოში მენშევიკური რეჟიმის წლებში, როცა იაკინთე ლაშხის მსგავს ავანტიურისტებს, ყოველგვარ მარიონეტულ „პარტიებს“ ფართო სარბიელი ჰქონდათ დათმობილი თავიანთი ბნელი, ანტიხალხური საქმეების საკეთებლად.

მწერლის სატირული ტალანტი მკაფიოდ გამოვლინდა იმ ნოველებსა და მოთხრობებშიც, რომლებშიც მზის სინათლეზეა გამოტანილი და გაკიცხული ჩვენს სინამდვილეში არსებული კაპიტალისტური წარსულის ბნელი გადმონაშთები. ამ ხასიათის ნაწარმოებებში მწერალი ხატავს „ყოფილი ადამიანების“ სახეებს, ადამიანებისა, რომელთაც არ ძალუძთ თუ არ სურთ გაიგონ ჩვენს ქვეყანაში მომხდარი უღრმესი გარდაქმნებისა და განახლების აზრი, ჩიუტად ებლაუქებიან ძველ ცრურწმენას, დრომოჭმულ ადათ-ჩვევებს და ამიტომაც, ცხადია, სასაცილოდ და უბადრუკად გამოიყურებიან ახალი ცხოვრების ძლევა-მოსილი მშენებლობის ფონზე. ასე მაგალითად, მოთხრობის „იუსტინეს ხაფანგის“ გმირი რევოლუციამდე სხვადასხვაგვარი კომბინაციებით, გარკვეული გასამარჯელოსათვის სამხედრო სამსახურიდან ანთავისუფლებდა ჯარში გასაწვევ ე ახალგაზრდობას. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იუსტინემ განიზრახა დაბრუნებოდა თავის ამ ძველს, იოლსა და შემოსავლიან „პროფესიას“. მაგრამ იგი უცნაურ დაბრკოლებას წააწყდა: თურმე საბჭოთა არმიამ გაწვეული ჩვენი ახალგაზრდობა დიდი სიხარულით ესწრაფვის თავისი მაღალი პატრიოტული ვალის მოხდას და ამიტომაც ველარავინ შეიტყუა იუსტინემ თავის გაცვეთილ „ხაფანგში“. არანაკლებ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა მღვდელი ქსენოფონტე, რომელიც განახლებულ თბილისში ჩამოსულა იმ მიზნით, რომ ანაფორა შეიკეროს. განცვიფრებული შესცქერის ეს „სულთერი მამა“ საბჭოთა დედაქალაქის განახლებულ ქუჩებსა და მოედნებს, ველარ ცნობს ნაჩვევ ადგილებს, ეუცხოვება ყოველივე ეს და ბოლოს რწმუნდება, რომ თურმე მთელ ქალაქში ერთი ოსტატიც აღარ დარჩენილა, რომელიც ანაფორას კერავდეს. კიდევ უფრო სასაცილო და უმწეოა მოხუცი ცხენის ქურდის ყარამანის ხვედრი, იგი მოპარულმა ჯორმა თავისი პატრონის ეზოში შეითრია და უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

მწერალმა მწვავედ ამხილა და გაამათრახა ყოველივე დახვესებული და დრომოჭმული სატირულ მოთხრობებსა და ნოველებში: „გვირგვინი და წე-

რილი“, „გასტროლოგიური პროვინციაში“, „ღირსეული სასჯელი“, „კალისტოს გასაქირი“ და სხვა. რაც უფრო შეუსაბამო და შეუთავსებელია ამ მოთხრობათა პერსონაჟები — უბადრუკი საქმოსნების, მკონარეებისა და მლიქვნელების ზრახვანი და საქმენი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტენდენციასთან. მით უფრო დიდ შემოქმედებით ძალას აღწევს მწერლის მხატვრული სერხი. მით უფრო მკაფიოდ სახიერდება ამ კონტრასტული საშუალებებით ავტორის დადებითი იდეალი. და სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ აკაკი ბელიაშვილის მხატვრული ნიჭიერების ძალა და მშვენება, მისი ღრმად ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნება განსაკუთრებულის ძალით სწორედ იმ ნაწარმოებებში გამოვლინდა, რომლებშიც მწერალმა შთაგონებულად გამოხატა ჩვენი ღროის დადებით გმირთა საბეები, ასახა რიგითი საბჭოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო, გვიჩვენა მათი კეთილშობილური საქმეები და სპეტაკი მორალური ბუნება. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობებისა და ნოველების კრებულებში ჩვენ ვეცნობით ცოცხლად გამოხატულ სახეებს მამაცი საბჭოთა მესაზღვრეებისა, რომლებიც შეუვალად იცავენ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს, ქედუხრელ საბჭოთა მეზღვაურებს, საკოლმეურნეო და ინდუსტრიული შრომის მოწინავე ადამიანებს, ინჟინრებსა და აგრონომებს, კოლოგებსა და ალბინისტებს, მეცნიერებსა და მოსწავლე ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ქალიშვილებს, რომლებიც უშიშრად დასცურავენ ზღვის სივრცეებში, მტკიცე მარჯვნივ მართავენ ურთულეს მანქანებს, ჭაღად სერავენ ზეცის თვალუწვდენ წიაღს. სრულიად სხვადასხვაგვარ აპაქეტში, დიდი ადამიანური სითბოთი და სიწრფელით აშუქებს მწერალი თავისი ამ გმირების ხასიათს, გვიჩვენებს მათ შრომით საქმიანობაშიც, ოჯახურ გარემოცვაშიც. ყველგან და ყოველგვარი გამოვლინებისას მწერალი უმღერის და ამკვიდრებს ჩვენი ნათელი თანამედროვეობის მიერ წარმოშობილ ახალსა და პროგრესულ თვისებებს ამ ადამიანთა ბუნებაში.

ჩვენი ღროის დიადი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალა დამარწმუნებლად განასახიერა მწერალმა მოთხრობაში „ზეავი“. მოქმედება ნაწარმოებს სვანეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ღროისათვის ჯერ კიდევ ბატონობდნენ ძველი პატრიარქალური ადათ-ჩვევები, პირველყოფილი, თემური წყობილებითა თვის დამახასიათებელი ცრურწმენანი, სისხლის აღებისა და სხვა ამგვარი ბნელი ადათების ინერცია. ბუნებრივია, რომ ახალი ცხოვრების შექახება წარსულის ამ ბნელ მემკვიდრეობასთან განსაკუთრებულად რთულ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს წარმოშობდა. სწორედ ეს კონფლიქტები წარმოსახა მწერალმა ხსენებულ მოთხრობაში, რომელშიც ნაამბობია უცნაური თავგადასავალი ორი ახალგაზრდა სვანისა — ყასბულათისა და

კადრებისა, რომლებიც კინალამ ემსხვერპლნენ მთის მკაცრ და ულმობელ ადათებს. ნადირობიდან დაბრუნებულმა ყასბულათმა შეცდომით, უნებლიეთ დასჭრა თავისი მეზობელი კადრები და თანახმად ადათისა იკისრა „გამოეყიდა“ დაღვრილი სისხლი, გადაეხადა დაჭრილი მეზობლისათვის მნიშვნელოვანი თანხა, აეშენებინა მისთვის ახალი სახლი. და მიუხედავად იმისა, რომ ყასბულათმაც და კადრებმაც კარგად იციან ამ „გამოყიდვის“ მთელი უაზრობა და უსამართლობა, მათ არ შეუძლიათ გადაუხვიონ ადათს. კიდევ მეტიც, ნათესაეების მიერ წაქეზებული კადრები, რომელსაც ახლობლები სამარცხვინო სიმხდალეს აბრალებენ, კლავს ყასბულათის სრულიად უდანაშაულო ძმას და შემდეგ ტყეში იმალება, რათა თავი აარიდოს სისხლის ალების ულმობელ კანონს. კადრების სინიღისი ქენჯნის, იგი ჰკარგავს სულიერ წონასწორობას და თავის მოკვლასაც კი განიზრახავს. დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით გადმოგვცემს მწერალი თავის გმირთა აფორიაქებულ სულისკვეთებას, მათ მძიმე განცდებს, ბრძოლას მარტო არა მახინჯი ჩვევებით გაჟღენთილი გარემოცვის, არამედ საკუთარ ცდუნებათა წინააღმდეგაც. მოთხრობა მთავრდება ღრმა აზრის შემცველი და მეტყველი საღებაეებით შესრულებული ფინალით, რომელშიც ნაჩვენებია თუ როგორ დარწმუნდნენ ნაწარმოების გმირები მთის დრომოკმული მკაცრი ადათების არაადამიანურ სისასტიკესა და უსამართლობაში და როგორ ძმურად გადაუხვივნენ ერთმანეთს. ადამიანის გონებამ გაიმარჯვა ბნელი ადათის ძალაზე, ახალმა დათრგუნა ძველი, დრომოკმული ცრურწმენანი. მოთხრობა მთავრდება ლაკონური, მრავალსმეტყველი ფრაზით: „აღმასკომის შენობაზე ფრიალებდა წითელი დროშა, ჭაბუკები იწყებდნენ ახალ ცხოვრებას“.

მაგრამ აღმავალ ახალსა და მომავლედან ძველს შორის შეუთრეგებელი ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო ჩვენი ქვეყნის შორეულ მთიან კუთხეებში. ამ აზრს განასახიერებს მწერალი თავის ვრცელ მოთხრობაში „ახალგაზრდები“, წლებით მოხუცი, მაგრამ სულიერად მხნე და დაუბერებელი მეცნიერი გეოლოგი ზაალი გადაწყვეტს იერიში მიიტანოს მთის მიუვალ მწვერვალზე, სადაც მისი ვარაუდით ძვირფასი მადნეულის მდიდარი საბადოები უნდა მდებარეობდეს, ზაალის წინააღმდეგ ამხედრდება პროფესორი ერისთავი — რუტინიორი კონსერვატორი, რომელიც ბრმად ეთაყვანება დრომოკმულ დოგმებს. მაგრამ ზაალსა და მასზე მინდობილ ახალგაზრდა ენთუზიასტებს ბრძოლა უხდებათ არა მარტო რუტინიორების წინააღმდეგ, არამედ ბუნების მძვინვარე სტიქიასთანაც. მაგრამ დიდი მიზანი წარმოშობს და ასაზრდოებს დიდ ენერგიასაც. ბრძოლა მთავრდება ზაალისა და მისი ახალგაზრდა თანამებრძოლების გამარჯვებით, ამ ბრძოლაში ვლინდება და იწრთობა ახლის დამამკვიდრებელთა ხა-

სიათის საუკეთესო, ტიპური თვისებანი, იმ ადამიანებისა, რომლებიც უანგაროდ და თავგანწირულად იღვწიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების ზრდას. მოთხრობის სიუჟეტურ ქსოვილში მოხდენილად არის ჩართული მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული ქალ-ვაჟის მერის და სოლიკოს სპეტაკი სატრფიალო ურთიერთობის ისტორია. ეს რომანიული თავგადასავალი ნაწარმოების ერთ-ერთ ძირითად სიუჟეტურ მოტივს შეადგენს. ამ მხრივ ეს ნაწარმოები გამონაკლისს როდი წარმოადგენს აკაკი ბელიაშვილის შემოქმედებაში. მწერალი არასოდეს არ გამოთიშავს თავის ნაწარმოებებში ადამიანთა საზოგადოებრივსა და შრომით მოღვაწეობას მათი პირადი ადამიანური და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროსაგან. მისი მოთხრობების დადებითი გმირები — შრომის მოწინავე ოსტატები, ამავე დროს მაღალი მორალური თვისებების ადამიანები არიან — ვაჟკაცურნი და პატიოსანნი, გამტანნი სიყვარულსა და მეგობრობაში, ერთგულნი თავიანთი საზოგადოებრივი და პიროვნული მოვალეობისა. აი, მოთხრობა „მეტოქენის“ პერსონაჟები — საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანები მიტო და ლეო ერთმანეთს ეჯიბრებიან, ერთმანეთი შეჯიბრებაში ჰყავთ გამოწვეული მათ კოლმეურნეობებსაც. ამ შეჯიბრების შედეგებზე ბევრადაა დამოკიდებული მეტოქეთა პირადი ბედიც. მაგრამ მიტო და ლეო არამც თუ ხელს არ უშლიან, არამედ, პირიქით, ეხმარებიან და ხელს უწყობენ კიდევ ერთმანეთს, რადგან კარგად იციან, რომ საბჭოთა სინამდვილეში ადამიანი ვერ მოიპოვებს ნამდვილ პირად ბედნიერებას სახალხო საქმის ღალატის გზით. ხალხის კეთილდღეობისათვის უანგარო შრომა წარმოადგენს ადამიანის ნამდვილი პირადი ბედნიერებისა და სიხარულის ერთადერთ წყაროს. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ეს უმაღლესი კანონი ღრმად აქვთ შესისხლბორცებული და ამ კანონით ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც და პირად ურთიერთობაშიც ა. ბელიაშვილის მოთხრობებისა და ნოველების: „სიყვარულის ძალის“. „უმცროსი ძმის“, „არჩევანის“, „პირველი პაემანის“ და სხვ. პერსონაჟები. მაგრამ ა. ბელიაშვილის ნაწარმოებებში ვერ შევხვდებით შიშველი დიდაქტიკის, წინათგანზრახული ჭკუისდამრიგებლობის შემთხვევებს. აზრი მის ნოველებსა და მოთხრობებში ცოცხლობს მხოლოდ სახეობრივად ხორცშესხმული, ორგანულად ჩაქსოვილი და შედუღებული სიუჟეტის მიმდინარეობასთან, პერსონაჟთა ურთიერთობის მთელ კომპლექსთან, ფერადოვან ყოფაცხოვრებით სურათებთან და პეიზაჟებთან. მწერალი მოგვითხრობს გულითადად და დამარწმუნებლად. მკითხველს სჯერა ამ კეთილშობილი პერსონაჟების. იგი გულითადად შეჰხარის მოწინავე კოლმეურნე გოგოს ნათელას საქციელს, რომელმაც სამამულო ომის ფრონტიდან დაბრუნებულ სოლი-

კოსთან პირველი შეხვედრისთანავე, უყოყმანოდ გადაწყვიტა სამუდამოდ დაკავშირებოდა მას. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობებით სახედამახინჯებული ჭაბუკი აღარ მოელოდა ნათელას ერთგულებას. გოგონას აზრადაც არ მოსვლია ეღალატა სიყვარულისა და მეგობრობის იმ პეტაკი გრძნობებისათვის, რომლებითაც იგი ომამდე დაკავშირებული იყო ნაოლიკოსთან. სულით და გულით თანაუგრძნობს მკითხველი აგრეთვე ახალგაზრდა მუშა ქალს, გარეგნულადაც და სულიერადაც მშვენიერსა და მომხიბვლელ ირინეს, რომელმაც ამჯობინა ცოლად გაყოლოდა პატიოსან და თავმდაბალ ადამიანს, რავით მეფოლადეს გივის, ვიდრე გამხდარიყო ყოველმხრივ „მოწყობილი“ და უზარუნველყოფილი ბიუროკრატის კოტეს მეუღლე, ადამიანისა, რომელსაც დიდად თავი მოაქვს თავისი თანამედრობით, მდიდრულად მორთული კაზინეტით და საკუთარი ავტომანქანით.

ყველა ამ და სხვა მრავალ თავის მოთხრობასა და ნოველაში მწერალმა შთამაგონებლად გამოხატა და დიდების შარავანდედით შემოსა საბჭოთა ადამიანის სულიერი ძალა და მშვენიება, ახალი სამყაროს მშენებელთა ხასიათის კეთილშობილური თვისებანი და ნათელი მორალური სახე.

რა თქმა უნდა, მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების ვრცელ გზაზე, თავისი სამწერლო ბიოგრაფიის სხვადასხვა საფეხურზე დაწერილ მრავალრიცხოვან ნოველათა და მოთხრობათა შორის გვხვდება ისეთი ნაწარმოებნიც, რომლებიც მოკლებულია ცხოვრებისეული მოვლენების ღრმად გააზრებას, ფართო განზოგადების ძალას, მაღალ იდეურ-ესთეტიკურ ჟღერას. მაგრამ ისინი როდი არიან დამახასიათებლნი და განმსაზღვრელნი ა. ბელიაშვილის შემოქმედებითი პოზიციისა, მისი მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკური მრწამსისა. მწერლის შემოქმედებითი ევოლუცია თანმიმდევრულად მიემართებოდა მხატვრული სიმართლითა და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებული ხელოვნებისაკენ, რომლის მრავალი საუცხოო ნიმუშის შექმნით ა. ბელიაშვილმა ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ნოველისტიკის საუკეთესო ტრადიციების გამომუშავება-დამკვიდრების საქმეში.

აკაკი ბელიაშვილის უკეთესი ნოველებისა და მოთხრობების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ სტილისტურ თავისებურებას წარმოადგენს ორგანიული შეზავება წრფელი ლირიზმისა და მსუბუქი, კეთილი, ნათელი ჰუმორისა, რაც იშვიათ მიმზიდველობას და მომხიბვლელობას ანიჭებს მის ბელეტრისტულ ქმნილებებს. ბევრი ასეთი ქმნილება შესულია მხატვრული კითხვის გამოჩენილ ქართველ ოსტატთა რეპერტუარში. თვითონ მწერალიც მშვენივრად ფლობდა მხატვრული კითხვის ხელოვნებას, უყვარდა თავის ნაწარმოებთა საჯაროდ კითხვა და მისი ყოველი ასეთი გამოსვლა დიდი წარმატებით სარგებლობდა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დაწერა და გამოაქვეყნა ა. ბელიაშვილმა თავისი პირველი ფართო მხატვრული ტილო — ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“. გმირობისა და ვაჟკაცობის სულით გამსჭვალული, პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით და ხალხთა მეგობრობის იდეით შთაგონებული ეს ნაწარმოები უალრესად დროული და აქტუალური აღმოჩნდა, უალრესად თანახმოვანი გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებული საბჭოთა ხალხის მისწრაფებათა, აზრების და გრძნობების სამყაროსთან. თავისი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად თავგანწირულად მებრძოლი ჩვენი ხალხი ომის ვითარებაში განსაკუთრებულად გამძაფრებულ ინტერესს იჩენდა თავისი გმირული ისტორიისადმი, წარსულის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციებისადმი, თავისი იმ საამაყო წინაპრებისადმი, რომელთაც შთამომავლობას დაუტოვეს და უანდერძეს სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის უკვდავი მაგალითები. საბჭოთა ლიტერატურას არ შეეძლო არ გამოხმაურებოდა ხალხის ამ კანონიერ ინტერესსა და მოთხოვნას. სწორედ ამით აიხსნება ისტორიული თემატიკის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ზრდა ომის პერიოდის მრავალეროვნულ საბჭოთა მწერლობაში. ჩვენი სამშობლოს ყოველი მოძმე ხალხის ენაზე შეიქმნა ისტორიული რომანები, პოემები, დრამები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებას, აღვივებდნენ მის პატრიოტულ მგზნებარებას, აწრთობდნენ მის გმირულ სულისკვეთებას, ქართული მწერლობაც ამ მხრივ გამონაკლის როლი წარმოადგენდა. სწორედ სამამულო ომის წლებში შეიქმნა ქართული ისტორიული რომანისტიკის, პოეზიისა და დრამატურგიის ისეთი ნიმუშები, როგორიცაა კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალიგია „დავით აღმაშენებელი“, სიმონ ჩიქოვანის პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილზე“, გრიგოლ აბაშიძის „გიორგი მეშვიდე“, სანდრო შანშიაშვილის, იონა ვაკელის, ლევან გოთუას ისტორიული დრამები, ისტორიული თემატიკის მრავალი ლირიკული ლექსი. ისტორიული ჟანრის ამ ნაწარმოებთა ანსამბლში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალს“.

თავისი რომანის თემად მწერალმა აირჩია ქართველი ხალხის ცხოვრება მისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქაში — XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროისათვის სპარსელ და თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ დაუსრულებელი სისხლისმღვრელი ომებით უკიდურესად დაუძლურებული ქართველი ხალხი თავისი ეროვნული არსებობის ერთადერთ გარანტიას ძლიერ ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელთან — რუსეთთან კავშირსა და მეგობრობაში ხედავდა.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი და ქართულ სამეფოთა უქკვიანესი მმართველები საუკუნეთა განმავლობაში ისწრაფოდნენ კავშირი და სარძოლო თანამეგობრობა დაემყარებინათ რუსეთთან, რათა საქართველოს თავი დაეღწია თავისი უბოროტესი ისტორიული მტრების — სპარსეთისა და თურქეთის განუწყვეტელი სისხლიანი აგრესიისაგან. რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ტრადიციით შემზადებული, XVII—XVIII საუკუნეებში შექმნილი რთული ისტორიული სიტუაციით მომწიფებულნი ამ მისწრაფების რეალური განხორციელება კანონზომიერად დაუკავშირდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გმირის, იშვიათი მხედართმთავრისა და გამპკრიახი სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე მეორის სახელს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მეთაურობდა ერეკლე II სისხლისაგან დაცლილი ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას ეროვნული არსებობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესანარჩუნებლად. თავისი იშვიათი სტრატეგიული ნიჭისა და მხედართმთავრული ხელოვნების წყალობით მან არაერთხელ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება უცხოელ თავდამსხმელთა მრავალრიცხოვან ურდოებზე. არაჩვეულებრივად გამპკრიახი გონებით და დიდი სახელმწიფო მოღვაწის მაღალი თვისებებით დაჯილდოებულმა ერეკლე II მიაღწია კიდევ თავისი სამეფოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას. მაგრამ მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, რომლებიც უფრო ხშირად გარემოებათა ბედნიერი დამთხვევით იყო განპირობებული, ბრძენსა, და შორსმჭვრეტელ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი და საიმედო მოკავშირის აქტიური დახმარების გარეშე საქართველო სრული დაღუპვისა და განადგურებისათვის იყო განწირული. ასეთ ერთადერთ საიმედო მოკავშირედ კი ერეკლე მეორეს, როგორც მის უშუალო წინამორბედებსაც, რუსეთი მიაჩნდათ. ვერავითარი წინააღმდეგობანი — ვერც სპარსეთის შახისა და თურქეთის სულთნის მუქარა, ვერც ალა-მამაღხანის გაფთრებული თავდასხმა, ვერც პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ვერაგობა, განდგომილ თუ შეთქმულ ფეოდალთა გამცემლობა ვერ აიძულებდა ერეკლეს გადაეხვია თავისი მტკიცედ არჩეული ამ პოლიტიკური ორიენტაციისაგან. იგი თამამად ძლევდა და გაბედულად ანადგურებდა უმძიმეს დაბრკოლებებს და მტკიცედ და უყოყმანოდ მიუძღოდა თავის ქვეყანას რუსეთთან დაახლოებისა და დაკავშირების გზაზე.

15 წლის ჭაბუკი გამოვიდა ხალხის მიერ სიყვარულით „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე II სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის სარბიელზე და თავის პირველივე ბრძოლებით ერთბაშად მოიხვეჭა ძლევამოსილი სარდლისა და გმირი მხედართმთავრის სახელი. თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობა-

ში იგი დაუღალავად იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მძვინვარე, ზვიადი ფეოდალების ალაგმვისათვის, ფეოდალებისა, რომლებიც უხეშად უგულებელყოფდნენ ხალხისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს და უდიერად ფეხქვეშ თელავდნენ მშრომელი გლეხკაცობის ადამიანურ უფლებებსა და ღირსებას. იგი გამოდიოდა მტრების თარეშითა და ფეოდალური ტირანიით უზომოდ გაწამებული მშრომელი გლეხობის მზრუნველ ქომაგად, ანხორციელებდა გაბედულ რეფორმებს სახელმწიფოებრივ მმართველობაში, პირადად ხელმძღვანელობდა მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობას, ხელს უწყობდა გაუთავებელი ომებით დაქვეითებული სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის აღორძინებას. იგი დიდად ზრუნავდა განათლებისა და კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის, აარსებდა აკადემიებს, სასწავლო დაწესებულებებს, ნიჭიერ ახალგაზრდობას განათლების მისაღებად რუსეთში აგზავნიდა, ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვის საქმის აღდგენას, პროფესიული თეატრისა და დრამატურგიის აღმოცენებას. იგი შიშის ზარს სცემდა საქართველოს მტრებს, ამარცხებდა და უკუაქცევდა თავდამსხმელთა რიცხობრივად ჭარბ ჯარებს. მისი სახელი, როგორც ძლევაშობილი სტრატეგისა, მხედართმთავრისა და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა, შორს სცილდებოდა საქართველოს საზღვრებს და ქება-დიდებათ იხსენიებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ლესინგის ცნობილი დრამა „მინა ფონ — ბარნხელმი ანუ ჯარისკაცის ბედნიერება“, რომლის მოქმედ პირთა დიალოგებში ერეკლე II დახასიათებულია, როგორც აღმოსავლეთის უდიდესი გმირი.

ქართველი ხალხის შეგნებაში ერეკლე II გათანაბრებულია ჩვენი ეროვნული ისტორიის მხოლოდ ისეთ უდიდეს გმირებთან, როგორიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე. ერეკლე მეორეს სახელი სიცოცხლეშივე შემოსილი იყო ლეგენდარული დიდებით და შექცეული ხალხური პოეზიის მიერ, მისდამი მიძღვნილია ქართული პოეტური ფოლკლორის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში.

სამშობლოს ძლიერებისა და თავისუფლებისათვის თავგანწირულად მებრძოლი ამ დიდებული გმირის სახემ ღირსეული ადგილი დაიკირა ქართულ კლასიკურ პოეზიაში უკვე გასული საუკუნის დასაწყისიდანვე. გამოჩენილი რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის ცნობილ „სადღეგრძელოში“, რომელშიაც წარმოსახულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უსაყვარლეს გმირთა სახეების გალერეა, ერეკლე მეორეს ახასიათებს, როგორც სამშობლოს მშვენებას, სამარადისოდ სახელგანთქმულ სასწაულთა მოქმედ გმირს, საქართველოს დიდებას.

გენიალურმა პოეტმა და თავისი დროის საქართველოს ყველაზე პროგრესულმა მოაზროვნემ ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ წრფელი პოეტური აღფრთოვანებით დახატა დიდებული სახე ერეკლესი, როგორც სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული და თავდადებული გმირისა, უშიშარი სარდლისა და ბრძენი პოლიტიკოსისა, რომელმაც შეძლო თავისი ქვეყნის ისტორიის ურთულეს ვითარებაში გამოენახა ერთადერთი სწორი გზა ერის ფიზიკური გადარჩენისა და მტკიცედ განეხორციელებინა თავისი ეს გადაწყვეტილება. პოემაში მოცემულია ერეკლეს ამ ორიენტაციის ღრმა გაანხრება და მსატყურელად დასაბუთებულია დიდი პატრიოტი მეფის მიერ გადადგმული ბრძნული ნაბიჯის ისტორიული აუცილებლობა. ხოლო ლექსში „სათლავი მეფის ირაკლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა შთაგონებულად გამოიქვა შთამომავლობის მადლიერება მისდამი, ვინც თავისი შორსმჭვრეტელი პოლიტიკური აზრის მეოხებით საქართველო იხსნა გამუდმებული დარბევა-აწიოკებისაგან, გადაარჩინა ერი ფიზიკურ განადგურებას და მის მშვიდობიან ცხოვრებას და სამეურნეო და კულტურულ აღორძინებას ფართო პერსპექტივები განუმზადა.

საყურადღებოა, რომ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ერეკლე მეორეს ღვაწლსა და მის პოლიტიკურ კურსს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის იმ თაობამ, რომელმაც პირველმა განიცადა თვითმპყრობელობის ველური კოლონიზატორული პოლიტიკის მთელი უკუღმართობა, აუჯანყდა კიდევ ამ პოლიტიკას 1832 წლის ცნობილი შეთქმულებით, რისთვისაც სასტიკი რეპრესიები, პატიმრობისა და გადასახლების კომპარტი განიცადა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მწვავე და მტკიცუნეული უნდა ყოფილიყო ამ თაობისათვის ერეკლეს მიერ გადადგმული ნაბიჯის ეს პირველი შედეგები და ყოველივე ამის მიუხედავად იმდროინდელი საქართველოს საუკეთესო ადამიანებს კარგად ესმოდათ, თუ როგორი კეთილმყოფელი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ზეგავლენა უნდა მოეხდინა „ქართლის ბედზე“ იმ დიდ ისტორიულ გარდატეხას, რომელიც ერეკლე მეორეს სახელთან იყო დაკავშირებული.

ჩვენი რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში გამოხატული ეს კონცეფცია მთლიანად გაიზიარეს გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა ბელადებმა და მედროშეებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ერეკლე მეორეს გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ თავის ცნობილ სტატიაში ილია ჭავჭავაძემ მკაფიოდ დაახასიათა და დაასაბუთა ცხოველმყოფელი შედეგები რუს ხალხთან საქართველოს ბედის დაკავშირებისა, ამ ორი ხალხის სამუდამოდ დაახლოებისა და დამეგობრებისა, რაც ერეკლეს პოლიტიკური მოღვაწეობის

ძირითად შინაარსსა და უპირველეს შედეგს წარმოადგენდა. და ამ კავშირ-
ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი გაღრმავების იდეას მიუძღვნა
აკაკი წერეთელმა შესანიშნავი ლექსი, რომელიც კრწანისის ომის ასი წლისთავის
შესრულებასთან დაკავშირებით დაწერა.

ასე შეათასა მადლიერმა შთამომავლობამ ერეკლე მეორეს ღვაწლი, მაგ-
რამ ამგვარად როდი ესმოდა მეფის განზრახვა ბევრ მის თანამედროვეს. არა
მარტო მეფის პოლიტიკური მტრებისა და მოწინააღმდეგეების ბანაკში, არა-
მედ ერეკლესთან დაასლოებულ ადამიანთა, მის თანამოღვაწეთა და თანამე-
ბრძოლთა შორისაც ბევრი არ იზიარებდა მეფის საგარეო პოლიტიკურ ორი-
ენტაციას. ზოგი მათგანი ჭიუტად ემხრობოდა სპარსეთსა და თურქეთს და მათ-
თან დაკავშირებას მოითხოვდა, ზოგი დასავლეთ ევროპისაკენ იყურებოდა,
ხოლო ზოგი დაეინებით იცავდა იმ აზრს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი
სახელმწიფოებრივი არსებობა უნდა განეგრძო, რაგინდ დიდი მსხვერპლისა და
სისხლის გაღებაც არ უნდა დაჭირვებოდა მას. მეფის თვით უსაყვარლესი ვა-
ჟიცი კი — ლევანი, რომელიც ყველაფერში თავისი სახელოვანი მამის მარჯვე-
ნა ხელს წარმოადგენდა, და ერეკლეს უსაზღვროდ ერთგული სიძე, ქართლ-
კახეთის სამეფოს ჯარების სარდალი დავით ორბელიანი, ვერ ერკვეოდნენ რა
შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, არ ემხრობოდნენ მეფის გადაწყვე-
ტილებას და აშკარად გამოხატავდნენ უკმაყოფილებას ამ უმნიშვნელოვანესი
ისტორიული პრობლემის გადაჭრაში. მაგრამ თავისი განჭვრეტის სიმართლე-
ში მტკიცედ დარწმუნებული მეფე უკანდაუხევლად და უკომპრომისოდ
უკუაგდებდა ყოველგვარ წინააღმდეგობას და განუზრებლად მიემართებოდა
თავისი დიდი მიზნისაკენ. მძიმე და რთული იყო ერეკლესათვის ეს ბრძოლა.
მას ერთდროულად უხდებოდა პასუხი გაეცა უცხოელი თავდამსხმელებისათ-
ვის, საქართველოში მოთარეშე მტაცებელთა ურდოებისათვის, თავისი პოლი-
ტიკური მეტოქეებისა და მოწინააღმდეგეებისათვის და ამასთანავე რუსეთის
თვითმპყრობელობის გონებაჩლუნგი და ავანტურისტულად განწყობილი მო-
ხელეებისათვის, რომლებიც საქართველოში იგზავნებოდნენ. ეს მრავალმხრი-
ვად გართულებული წინააღმდეგობანი ქმნიდნენ ტრადიკულ ვითარებას იმ ის-
ტორიულ ეპოქაში, რომელიც თავისი მხატვრული გამოკვლევისა და წარმო-
სახვის საგნად აირჩია „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალის“ ავტორმა.

თავისი რომანის სიუჟეტის საფუძვლად მწერალმა დასახა გამოჩენილი
პოეტის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) ცხოვრების ისტორია, პოეტისა, რო-
მელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მარტო თავისი საუკუნის ქარ-
თული კულტურის განვითარებაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრება-
შიც. ამ შესანიშნავი პოეტის, მგრძნობელობითი სიყვარულისა და ქალის

მშვენიერების ალტაცებული მეხოტბის, ამღერებული, ნატიფი, ოსტატურად დახვეწილი ლექსის ვირტუოზის ბიოგრაფია შეიცავდა და, როგორც, ფოკუსი, ასახავდა თავისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობებს. 13—14 წლისა იყო მომავალი პოეტი, როცა მის ოჯახს თავს დაატყდა დიდი განსაცდელი. პოეტის მამა ბესარიონი, ანტონ კათალიკოსთან უთანხმოების გამო ეკლესიის მიერ შერისხული იქნა და საქართველოდან განიდევნა. უპატრონოდ და უთავშესაფროდ დარჩენილი ბესიკი, რომელიც თავისი იშვიათი ნიჭიერებითა და გარეგნული სილამაზით გამოირჩეოდა, შეიფარა და თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა დაქვრივებულმა დედოფალმა, ერეკლეს დედინაცვალმა ანა-ხანუმმა. ამრიგად იგი მეფის სასახლეში აღმოჩნდა, სადაც დაუმეგობრდა ერეკლეს უფროს ვაჟს ლევანს და სპასალარს დავით ორბელიანს. თავისი მკათო, ღრმად თვითმყოფი პოეტური ნიჭიერებით, მომხიბვლელი ხმით, ჭკუით, გონებამახვილობით ქაბუკმა მგოსანმა ბევრი გავლენიანი პიროვნების ყურადღება და სიმპათია მოიხვეჭა. დაუახლოვდა სამეფოს მმართველ წრეებს და მონაწილეობაც კი მიიღო მთელ რიგ დიპლომატიურ მისიებში.

მაგრამ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულსა და თავისი პირადი თვისებებით დაწინაურებულ მგოსანს შურითა და მტრულად ეპყრობოდნენ თავდაზნაურული დიდკაცობის გავლენიანი წარმომადგენლები. როდესაც ერეკლემ აღმოაჩინა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მის ჩამოგდებას ტახტიდან და მეფედ ვახტანგ VI შვილიშვილის, ალექსანდრე ბაქარისძის გამოცხადებას, განრისხებულმა მეფემ უღმობლად დასაჯა შეთქმულების მონაწილენი, ბესიკის მტრებმა მოახერხეს, რომ შეთქმულებაში მონაწილეობა პოეტსაც დაბრალებოდა და იგი განდევნილიყო ქართლ-კახეთის სამეფოდან. იმერეთში გადახვეწილი ბესიკი სიხარულით მიიღო და შეიფარა მეფე სოლომონ პირველმა. თავისი სამეფოს ჭკვიანი და ძლიერი მესვეური, მამაცი სარდალი და სამშობლოს პატრიოტი სოლომონ I, რომელიც ბევრ რამეში წააგავდა ერეკლე მეორეს, ამასთანავე დაშინებული იყო ქართლ-კახეთის მეფის გამაერთიანებელი მისწრაფებებით. მას ეშინოდა იმერეთის ტახტის დაკარგვისა და ამიტომ მტრულად იყო განწყობილი ერეკლესადმი, ოცნებობდა მის ტახტიდან ჩამოგდებაზე. სოლომონის გარშემო თავს იყრიდნენ ქართლ-კახეთიდან განდევნილი თუ გაქცეული ერეკლეს მტრები და მოწინააღმდეგეები, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ბესიკმა. იგი გახდა თავისი ახალი პატრონის ერთგული თანამებძოლი და სოლომონის დავალებით იმოგზაურა კიდეც სპარსეთში, რათა ჩამოეყვანა იქ გადახვეწილი ალექსანდრე, რომლის მეთაურობითაც უნდა მოწყობილიყო აჯანყება ერეკლეს წინააღმდეგ. როცა სოლომონი გარდაი-

ცვალა და იმერეთის ტახტზე სუსტი ჰკუთის მეფე დავით პირველი ავიდა, ბესიკი დაუახლოვდა ახალგაზრდა დედოფალს ანას და როგორც მისი ფავორიტი, იმერეთის სამეფოს ფაქტიური მმართველი გახდა. ჭართლ-კახეთის სამეფოს მიერ რუსეთის იმპერიის პროტექტორატის მიღებისთანავე იმერეთის მმართველმა წრეებმაც გადაწყვიტეს ამავე გზას დადგომოდნენ. ამ მიზნით ბესიკი, როგორც იმერეთის სამეფოს დიპლომატიური მისიის მეთაური, გაემგზავრა ფელდმარშალ პოტიომკინთან, რომელიც მაშინ უკრაინაში, ქალაქ კრემენჩუკში იყო დაბანაკებული. როდესაც პოტიომკინის ბანაკმა ქ. იასაში (ეს ქალაქი ახლანდელი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს) გადაინაცვლა, ბესიკიც ამ ქალაქში გადასახლდა. იგი დიდი წარმატებით აწარმოებდა მოლაპარაკებას იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ხელმძღვანელთან, მაგრამ უეცრად და დღემდე გაურკვეველი მიზეზით პოეტი მიძიმედ ავად გახდა და გარდაიცვალა ორმოცდაათი წლის ასაკში. როგორც ვხედავთ, ბესარიონ გაბაშვილმა ცხოვრების არა ხანგრძლივი, მაგრამ უაღრესად რთული გზა განვლო, რომელიც აღსავსე იყო დრამატული შემთხვევებით, მწვავე კონფლიქტებით, მოულოდნელი სიტუაციებით. და ეს მდიდარი და საინტერესო ცხოვრებისეული მისალა აკაკი ბელიაშვილმა წარმატებით გამოიყენა იმისათვის, რომ მის საფუძველზე შეექმნა მთელი ისტორიული ეპოქის ამსახველი, მიმზიდველი და დამაინტერესებელი, გატაცებით საკითხავი ისტორიული ჟანრის რომანები „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი.“ სამწუხაროდ, „ოქროს ჩარდახის“ დამთავრება მწერალს არ დასცალდა. მან მოასწრო ამ ტრილოგიის მხოლოდ პირველი წიგნის დასრულება და გამოქვეყნება. რომანის მომდევნო წიგნებზე მუშაობა შეწყვიტა მწერლის მოულოდნელმა და ნაადრევმა გარდაცვალებამ.

თავისი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი ეპოქის წარმოსახვისას მწერალი ჩვენი თანამედროვეობის სიმალლიდან შეჰყურებს წარსულის მოვლენებს და ხატავს მათ არა როგორც გულგრილი მემკვიდრე, პასიური მკვრეტელი და ინდიფერენტული აღმწერელი, არამედ როგორც აქტიური შემოქმედებითი აზრისა და მდიდარი ფანტაზიის ხელოვანი.

ფართოდ მოფიქრებულ მხატვრულ ტილოზე მწერალი ხატავს ფერადოვან პანორამას მკაფიოდ წარმოსახული, მეტყველი, ცოცხალი, პლასტიკურად ხელსახები სურათებისა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან ეპოქის კოლორიტზეც, მატერიალურ კულტურაზეც, საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების ყოფაცხოვრებაზეც, ზნე-ჩვეულებებზეც, ადამ-წესებზეც. მწერალი ერთგულად მიჰყვება ისტორიულ სიმართლეს და რეალურ ისტორიულ მოვლენებსა და პიროვნებებს განმსაზღვრელ ადგილს უთმობს რომანის

სიუჟეტურ განვითარებაში, ამასთანავე ამ ისტორიული მოვლენების წარმომსახველ თხრობაში იგი ორგანულად ჩაურთავს შეთხზულ, „გამოგონილ“ სიტუაციებს, როპლებიც კი არ ეწინააღმდეგებიან ცხოვრებისეულ სიმაართეს და კი არ არღვევენ მას, არამედ, პირიქით, ხელს უწყობენ ეპოქის სულის უფრო სრულად და მრავალმხრივად გახსნასა და გადმოცემას. სინამდვილის განვითარების პროცესების, ადამიანთა ურთიერთობის ხასიათის უფრო შთამბეჭდავად და თვალნათლივ წარმოსახვას. მაგალითად, იმ ცნობილი გარემოების საფუძველზე, რომ პესიკი მგზნებარე სატრფიალო ლექსებს უძღვნიდა დედოფალ ანას, მწერალმა „შეთხზა“ რომანის ერთ-ერთი ძირითადი სიუჟეტური მოტივი, ბესიკის ერთდროული სატრფიალო ურთიერთობის ისტორია ერეკლეს დასთან — ანასთან და იმ უკანასკნელის შვილიშვილთან — მშვენიერ ანიკოსთან, რომელიც შემდეგ იმერეთის დედოფალი გახდა. ბევრი მწერალური „გამონაგონი“ იმაშიც, თითქოს ბესიკი იმდენად დაახლოებული ყოფილიყოს ერეკლესთან, რომ ასპინძის ბრძოლის წინა დამეს მეფემ მხოლოდ მას ერთადერთს გაანდო თავისი საილუმლო ანდერძი იმის შესახებ, რომ თუ იგი ბრძოლაში დაიღუპებოდა, ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძე ლევანი და არა მეფის უფროსი ვაჟი, რომელსაც კანონით ტახტის პირველი მემკვიდრეობა ეკუთვნოდა. საესებით როდი დასტურდება ისტორიული დოკუმენტებით რომანში მოთხრობილი ამბები ბესიკის მონაწილეობისა ერეკლეს დიპლომატიურ მისიებში, რომლებიც სპარსეთსა და მოსკოვს იყვნენ მივლინებულნი.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა თავის დროზე უსაყვედურებდა ხოლმე მწერალს, და არა ყოველთვის უსაფუძვლოდაც, ისტორიული ფაქტებისაგან ხშირი და ზოგჯერ მეტად თავისუფალი გადახვევების გამო. მაგრამ ასეთ გადახვევათა შემთხვევებში მწერალი არ ეწინააღმდეგებოდა საკუთარ მწყობრსა და თანმიმდევრულ ისტორიულ კონცეფციას, არ გამოდიოდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში შესაძლებლობის ფარგლებიდან. ამასთანავე მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის მიერ წარმოშობილი ასეთი სიუჟეტური მოტივები ამდიდრებენ რომანის კომპოზიციას აღრმავენ თხრობის სიმძაფრეს, ემოციურ დიქაბულობას, მიშზიდველობას, ზემოქმედების ძალას.

გამოცდილი და ნაწრთობი ოსტატის ხელით მწერალი ლოგიკური თანმიმდევრობით აერთიანებს მდიდარსა და მრავალფეროვან ცხოვრებისეულ მასალას და წარმართავს მას ზუსტად მოფიქრებულსა და მტკიცედ კომპოზიციურ კალაპოტში. თხრობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს თანდათანობით ერთვიან მძაფრი და დიქაბული ფაბულური მოტივები, რომლებიც განლაგებული არიან მოქმედების თანმიმდევრულად აღმავლობის კანონზომიერებით.

მწერლის მხატვრული ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალ ადა-

ზიანურ სახეთა მდიდარი გალერეის შექმნაში ვლინდება, ამ გალერეაში ცნობილ ისტორიულ პიროვნებათა გვერდით ცხოვრობენ და მოქმედებენ რიგითი ადამიანები, რომლებიც ტიპურად განასახიერებენ იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის შემადგენელ სხვადასხვა სოციალურ ფენას. და თითოეული ამ მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგანი, დაწყებული რომანის მთავარი გმირებით. როგორც არიან: ერეკლე II, ბესიკი, ლევანი, ანა, ანიკო, დავით თაბუკიანი და სხვ. და დამთავრებული ე. წ. „ეპიზოდური“ მოქმედი პირებით. როგორც ჭაბუა ორბელიანი, ავანტიურისტი ნოგლოკოვი, გერმანელი ექიმი რეინეგსი, მოახლე ქალი მათა და მრავალი სხვა, გამოფერწილია მწერლის მიერ, როგორც მკაფიო ადამიანური ხასიათი, ამალღებული განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახის რანგში. ასეთ მხატვრულ ღირსებათა მეოხებით „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ დიდი გატაცებით და შეუწელებელი ინტერესით იკითხება. ამიტომაც მოიწონეს და შეიყვარეს ეს წიგნი მკითხველთა ფართო წრეებმა.

მწერლის უპირატესი ყურადღება პირველ ყოვლისა მიპყრობილია ერეკლესა და ბესიკისადმი და მათთან დაახლოებული ადამიანებისადმი თავადაზნაურული წრიდან. მაგრამ რომანში მოქმედებენ მშრომელი ხალხის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებიც, გლეხები, ხელოსნები და სხვ. ზოგიერთი მათრიგი, მაგალითად დუღაბი, სუმბათა, ბერუჩა და სხვ. დახატული არიან დიდი გამომსახველობითი ძალით და წარუშლელად ცოცხლობენ მკითხველის მეხსიერებაში.

ამ რომანის ავტორის უპირველეს მხატვრულ წარმატებას მაინც წარმოადგენს მონუმენტური სახე მეფე ერეკლესი, — უდრეკი ნებისყოფით და დაუშრეტელი ენერჯით, მძლავრი გონებით და იშვიათი გმირობით და ვაჟკაცობით დაჯილდოებული ადამიანისა. „მეფემ თუ ჩასთვლინა, ქვეყანა ეურ დაიძინებს მშვიდობიანად“, „ჩემი მტრები მხოლოდ იმას ელიან, რომ მე ძილს მივეცე. დიახ“, ამბობს ერეკლე და მართლაც გამუდმებულად, დაუსვენებლივ და დაუღლელად ფხიზლობს, შრომობს და იბრძვის თავისი ქვეყნის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, რომელთაც იგი სჭედდა და იცავდა უაღრესად რთულსა და უძნელეს პირობებში.

რომანი იწყება ეპიზოდით, როცა საქართველოს დედაქალაქი თბილისი ემზადება თავისი მორიგი ლაშრობიდან გამარჯვებით დაბრუნებული ერეკლეს შესახვედრად. რუსეთიდან მეფის გამოწვევით ახლახან ჩამოსული დავით ორბელიანი და მისი სიყრმის მეგობარი ბესარიონ გაბაშვილი ქალაქის კედლების გასამაგრებლად მიმდინარე სამუშაოებს ეცნობიან. ისინი გულითადად საუბრობენ დაუსრულებელი ომებით დაუძღვრებული სამშობლოს მძიმე ხვედრის

შესახებ. ამას მოჰყვება კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სცენები დავითისა და ბესიკის სტუმრობისა მდიდარ ვაჭარ ალა იბრაგიმთან და მრავალი სხვა, რომლებიც თვალწინ გადაგვიშლიან იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა ყოფის, ადამ-ჩვევების, მატერიალური კულტურის წარმომსახველ ცოცხლად დახატულ სურათებს. ხანგრძლივი ლაშქრობიდან სატახტო ქალაქში დაბრუნებისთანავე ერეკლე დაუყოვნებლივ აცხადებს იერიშს ახალციხის ფაშას წინააღმდეგ, რომლის ბანაკშიც თავი მოუყრიათ საქართველოს მოსისხლე მტრებს და ფარულად ემზადებიან ჩვენს ქვეყანაზე ვერაგული თავდასხმისათვის. ამ ლაშქრობის წარმომსახველი სურათები აღსავსეა მეფე ერეკლეს იშვიათი სტრატეგიული ნიჭის და საბრძოლო გმირობის მაგალითებით. ერეკლე მტკიცედ და უკანდაუხვევლად განაგრძობს რუსეთთან კავშირისა და საბრძოლო თანამეგობრობის პოლიტიკას. რუსეთის მთავრობა საქართველოში გზავნის ჯარს გენერალ ტოტლებენის საარდლოებით. ერეკლე და მისი თანამოღვაწენი სიხარულით ეგებებიან საქართველოში რუსეთის ლაშქრის გამოჩენას. მაგრამ გერმანელი გენერალი ტოტლებენი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიემგზავრებოდა მხოლოდ გამდიდრების წყურვილით და იმ განზრახვით, რომ როგორმე აღედგინა თავისი შებღალული რეპუტაცია, არავითარ ანგარიშს არ უწევს რუსეთისა და მით უფრო საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. იგი საიდუმლო მიმოწერით უკავშირდება ახალციხის ფაშას და თავისი მოღალატური საქციელით ძირს უთხრის რუსეთთან საქართველოს დაკავშირების იდეას. ტოტლებენის ლაშქარში მყოფი კეთიშობილი რუსი ოფიცრების მცირერიცხოვანი ჯგუფი ხედავს ტოტლებენის მოღალატურ საქმიანობას და მზად არის დაუკავშირდეს ერეკლეს ამ აღვირახსნილი გენერლის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინდელ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ამ ოფიცრების მოქმედებას არ შეიძლებოდა რაიმე სერიოზული დადებითი შედეგი მოყოლოდა.

თურქების წინააღმდეგ ერეკლეს ლაშქრობის დაწყებისთანავე გამოაშვარავდა ტოტლებენის ვერაგული გამცემლობა. მან მოულოდნელად მოხსნა თავისი ლაშქარი ბრძოლის ველიდან და მიატოვა ერეკლეს ჯარი მტრის გაცილებით ქარბი ძალების პირისპირ. რომანში ღრმა ექსპრესიით, შთამბეჭდავი ძალით არის აღწერილი აწყურის ბრძოლისა და ასპინძის ომის ეპიზოდები, იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ეს ბატალური სურათები მიეკუთვნებიან მთელი ქართული მწერლობის საუკეთესო მხატვრულ მიღწევათა რიცხვს საბრძოლო ეპიზოდების წარმოსახვის სფეროში.

თითქოსდა გამოუვალ, ყოვლად უიმედო მდგომარეობაში ერეკლემ თავი გამოიჩინა, როგორც ბრწყინვალე მხედართმთავარმა და უძლეველმა სარ-

დალმა. მკითხველი ხედავს ერეკლეს შეუვალ ავტორიტეტსაც და მისი აღმაგზნებელი სიტყვის ძალასაც, რომელსაც შეუძლია საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანოს მტრის ჭარბი ძალების წინაშე შემდრკალი ლაშქარი, ხედავს მეფის იშვიათ სტრატეგიულ ნიჭსაც, რომლის მეოხებითაც იგი ახერხებს დამკლიოს და გაანადგუროს მძლავრი და საშიში მტერი, ხედავს ერეკლეს სწორუბოვარ პირად გმირობასაც, რაც დაუფიქყარი ძალით გამოხატა მწერალმა ლექთა ურდოების თავზებულალებულ ბელადთან მალაჩინთან პირისპირ შებრძოლების შესანიშნავად დახატულ ეპიზოდში. მკითხველს არა მარტო ანცივიფრებს და ხიბლავს სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ერეკლეს მიერ გამოჩენილი შეუდარებელი უშიშროება, გონებაამახვილობა, სამხედრო ხელოვნება, არამედ ახარებს კიდევ, რადგან მეფის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებული ამ ორთაბრძოლის სურათი ბოროტზე კეთილის გამარჯვების შთაგონებულ ჰიმნად, სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების აღმაფრთოვანებელ საგალობლად ეღერს.

რომანის მომდევნო ნაწილებში ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი თანმიმდევრობით და ურყევი ნებისყოფით განახორციელებდა ერეკლე II თავის მტკიცე გადაწყვეტილებას რუსეთთან საქართველოს დაახლოვებისა და დაკავშირების შესახებ. ვერც გენერალ ტოტლებენის ვერაგულმა გამცემლობამ, ვერც მტრებისა თუ უახლოესი თანამებრძოლების გააფთრებულმა წინააღმდეგობამ ხელი ვერ ააღებინეს ერეკლეს თავის ამ ბრძულსა და კეთილშობილურ განზრახვაზე.

„ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავლის“ უკნასკნელ თავში მოთხრობილია პოეტის გაქცევის შესახებ საპატიმროდან, სადაც იგი დამწყვდეული იყო ერეკლეს ბრძანებით. მეფე მრავალი მიზეზის გამო გაუჩინდა ბესიკს. მან შეიტყო, რომ სპარსეთში საქართველოს ელჩად ყოფნის დროს პოეტი დაუმეგობრდა იქ გადახვეწილ მეფისწულს ალექსანდრე ბაქარისძეს, რომელიც ქართლის სამეფო ტახტის საშიში პრეტენდენტი და ერეკლეს დაუძინებელი მტერი იყო. მანამდეც ბესიკი ხშირად იყო ხოლმე შემჩნეული მეგობრულ ურთიერთობაში მეფისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებთან. მეფის ყურამდე მიადგინა ხმებმაც, რომ ბესიკმა გაბედა და ფარული სატრფიალო კავშირი დამყარა მის დასთან ანასთან. ამას დაემატა ანტონ კათალიკოსის გაუთავებელი ჩივილიც, რომ ბესიკი თხზავდა, მღეროდა და ხალხში ავრცელებდა ვნებათა აღმძვრელ ლექსებს, რომლებიც საქართველოს ეკლესიის მეთაურის აზრით ზნეობრივად გამხრწნელ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე. ყველაფერში უკომპრომისო ერეკლეს, რომელმაც არ იცოდა დათმობა და დანაშაულის პატიება, რომელიც ყოველგვარ ურთიერთობაზე მაღლა ვრისა და სახელმწი-

ფოს ინტერესებს აყენებდა და ყველასაგან მტკიცედ მოითხოვდა განუხრელ ერთგულებას ქვეყნის წინაშე მოვალეობისადმი, არ შეეძლო გვერდი აევლო პოეტის ამგვარი საქციელისათვის. მეფემ ჩამოართვა ბესიკს სახელმწიფო თანამდებობა, განდევნა იგი სასახლიდან და შემდეგ ბრძანა მისი ჩამწყვდევა საპატიმრო დილეგში. მაგრამ ხელოვნებისა და პოეზიის მცოდნე, დამფასებელ და პატივისმცემელ ერეკლეს არ უნდოდა დაღუპვა ნიჭიერი პოეტისა, რომელსაც ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა შეტანილი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში. მეფის თანხმობით მისმა ვაჟმა ლევანმა მოაწყო ბესიკის გაქცევა პატიმრობიდან და მისი იმერეთს გახიზვნა. მეფისწული ვარაუდობდა, რომ პოეტი სათანადოდ დააფასებდა მის ასეთ დახმარებას და მეგობრობას და იმერეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედებდა. პოეტმა არ გაამართლა თავისი სიყრმის მეგობრის, მეარველისა და გადამრჩენის ეს ვარაუდი. იმერეთში იგი ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიეკედლა და თავისი ახალი პატრონის სოლომონ პირველის დავალებათა ერთგული შემსრულებელი გახდა. მაგრამ ბესიკის ცხოვრება და მოღვაწეობა იმერეთში, მისი ურთიერთობანი ქუთაისის სასახლის ირგვლივ შემოკრებილ წრეებთან უკვე აკაკი ბელიაშვილის მეორე ისტორიული რომანის „ოქროს ჩარდახის“ თემას წარმოადგენს, რომანისა, რომლის დამთავრებაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალს არ დასცალდა. „ოქროს ჩარდახი“. არსებითად გაგრძელებაა „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავლისა“. თუ „თავგადასავალი“ ბესიკის პატიმრობიდან გაქცევით და იმერეთს გახიზვნით მთავრდება, „ოქროს ჩარდახი“ იმ ეპიზოდით იწყება, როდესაც იმერეთში გადასული ბესიკი სოლომონ პირველის სახლთუხუცესს, იმერეთის ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალს პაპუნა წერეთელს წარუდგება. აქედან იწყება ახალი ხანა ბესიკის ცხოვრებაში. იმერეთის მეფის სასახლეს შეფარებული პოეტი ამიერიდან ახალ ვითარებაში იწყებს ცხოვრებას და მოღვაწეობას. მწერალი ხატოვნად წარმოსახავს ამ ვითარებას: იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობას, ამ კუთხის ბუნებას, მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა სოციალურ მდგომარეობას, მათ ყოფა-ცხოვრებას, სპეციფიკურ ადათ-ჩვევებს. გარდა ბესიკისა „ოქროს ჩარდახში“ მოქმედებენ „თავგადასავლიდან“ გადმოსული სხვა პერსონაჟებიც: უმცროსი ანა, მისი მეუღლე იმერეთის უფლისწული დავითი, ერეკლეს ჯარების სარდალი დავით ორბელიანი, ბესიკის მშობლები და სხვ. ამ პერსონაჟების, პირველ ყოვლისა, ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრების ისტორია აკავშირებს ა. ბელიაშვილის ამ რომანს მის პირველ ისტორიულ ტრილოგიასთან.

იმერეთის სამეფოს ვითარებისა და მისი მოსახლეობის ყოფაცხოვრების

წარმოსახვისას მწერალი ხატავს სხვადასხვა ხასიათის, მაგრამ თანაბარი სიმკვეთრით და ცხოველმყოფელობით აღბეჭდილ ისეთ სურათებს, როგორცაა პაპუნა წერეთლისა და მისი მხლებლების ნადირობა, გლეხი პავლიას მიერ მოულოდნელად წვეული საპატიო სტუმრების მიღება, სახლთუხუცესის სასახლეში გამართული დიდებული ნადიმი, მღვიმის მონასტრისა და სკანდოზ ციხის აგებულიება-მორთულობა, ქუთაისის საერთო ხედი, სოლომონ პირველის სასახლე და სხვ. თუ ამ შემთხვევებში მწერალი მხატვრული აღწერილობის საშუალებით ოსტატობას იჩენს, რომანის ფაბულური მოტივების განვითარებისას იგი მიმზიდველი და ღრმად დამაინტერესებელი თხრობის ისეთსავე ნიჭიერებას გვიჩვენებს, როგორცაა აღბეჭდილია მისი „თავგადასავალი“. მაგალითად, შეუძლებელია წრფელი მღელვარების გარეშე წაკითხვა რომანის იმ პასაჟებისა, რომლებშიც მოთხრობილია ბესიკის მგზნებარე გატაცება მღვიმის მონასტერში შემთხვევით გაცნობილი ახალგაზრდა ლამაზი მონაზონისადმი ტრფიალებით და ამ ქალის ცხოვრების საბედისწერო დასასრული. მთელი ეს ამბავი ისეთი დრამატიზმით არის გამსჭვალული, ისეთი ადამიანური უშუალოდ და პოეტური გზნებითაა გაღმომცემული, რომ სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში, როგორც იშვიათი ხელოვნებით დახატული ის ეპიზოდი, როცა პაპუნა წერეთლის სასახლეში გამართულ ნადიმზე ერთმანეთს სიმღერაში შეეჯიბრებიან თვალუბრათხრილი მოხუცი როსტომ ერისთავი და ბესარიონ გაბაშვილი. ეს მაგალითები გამონაკლისს როდი წარმოადგენენ „ოქროს ჩარდახში“, რომელსაც მწერალი წერდა იმ შემოქმედებითი გამოცდილებით გამდიდრებული, რაც მან „თავგადასავალზე“ ხანგრძლივი მუშაობით შეიძინა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოქროს ჩარდახის“ მეტყველების, ენობრივი ქსოვილის მაღალი მხატვრული დონე. როგორც ცნობილია, ისტორიული რომანის ენის პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში წლების მანძილზე მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. ზოგიერთი მწერალი და კრიტიკოსი მცდარად ფიქრობდა, რომ ისტორიული რომანი იმ საუკუნისათვის დამახასიათებელი ენითა და სტილით უნდა იწერებოდეს, რომელსაც ნაწარმოები ასახავს. აქედან წარმოდგებოდა ზოგიერთი ქართული ისტორიული რომანის ქარბი გადატვირთვა ლექსიკური თუ სინტაქსური არქაიზმით, რაც გარკვეულ უარყოფით გავლენას ახდენდა საერთოდ ჩვენი თანამედროვე მწერლობის ენობრივ კულტურაზე.

როგორც თავის პირველ ისტორიულ ტრილოგიაში, „ოქროს ჩარდახშიც“ აკაკი ბელიაშვილი ძირითადად სწორად წყვეტდა ისტორიული რომანის ენის საკითხს. იგი წერს თანამედროვე სალიტერატურო ენით. ამ თვალსაზრისით

რომანის პირველ თავებში ერთგვარი ნაკლოვანებაც შეინიშნება, გადამეტებული გატაცება იმერული დიალექტიზმებით, რაც უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში იჩენს თავს. წიგნის მომდევნო თავებში კი მწერალი გვაძლევს იმის საუცხოვო ნიმუშებს, თუ როგორ შეიძლება მოქმედების გეოგრაფიული ლოკალისა და გმირის მეტყველების ინდივიდუალური ელფერის გადმოცემა ინტონაციური საშუალებებით, ფრაზაში სიტყვების თავისებური განლაგებით, ენობრივი ნიუანსების გზით, კუთხური დიალექტის ისეთ მახინჯ ფორმათა დაუხმარებლად, რომლებიც ეწინააღმდეგებიან და აჩლევვენ ჩვენი ენის საერთო ბუნებას.

„ოქროს ჩარდახის“ პრინციპული დადებითი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის განვითარების თვალსაზრისით იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია ფეოდალური წარსულის შელამაზებისა და იდეალიზაციის მანკიერებათაგან. რომანში მკაცრი სიმართლით არის წარმოსახული XVIII საუკუნის იმერეთის ფეოდალური საზოგადოების წყლულები და მანკიერებანი, ნაჩვენებია, თუ როგორი სისასტიკით აუძლურებდა და ანადგურებდა ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს ფეოდალური ტირანიის სუსხი, გულზვიად მემამულეთა ურთიერთლალატისა და შუღლის, გამცემლობისა და ანგარების, სიხარბისა და მტრობის მძვინვარება. ამით ეს რომანი სამართლიანად აცამტკვერებს იმ ყალბ შარავანდედს, რომლითაც მოსაფენენ ფეოდალურ წარსულს ისტორიის იდეალიზაციით გატაცებული ზოგიერთი ჩვენი რომანისტები, დრამატურგები თუ პოეტები.

სწორად მოიქცა ა. ბელიაშვილი, როდესაც თავის ამ ნაწარმოებში მთელი სიცხადით გვიჩვენა იმერეთის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ის შემზარავი დაკნინება, რომელიც გამოიწვია ამ მხარეში თურქეთის ველური ურდოების ხანგრძლივმა სისხლიანმა თარეშმა. სულთანის ბარბაროსული აგრესიის შედეგად უზომოდ გადატაკებული იმერეთის იმდროინდელი ვითარების ამსახველი ეს სურათები ბუნებრივად აღძრავენ და აღვივებენ მკითხველის ცნობიერებაში შეუურიგებელ ზიზღსა და სიძულვილს უცხოელი დამპყრობლებისადმი, ყოველგვარი აგრესიული ძალისადმი და ამდენად ხალხის პატრიოტული შეგნების გამოწრთობას ემსახურებიან.

„ოქროს ჩარდახის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება ისიცაა, რომ მასში არა მარტო საერო და სასულიერო მმართველი წრეების წარმომადგენლები ცხოვრობენ და მოქმედებენ, არამედ რიგითი მშრომელი ადამიანებიც, რომლებიც ნაწარმოებში განასახიერებენ ხალხს თავისი მაღალი მორალური წარმოდგენებით, შრომისმოყვარეობით, ცეთილშობილური მისწრაფებებით. ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ზოგიერთი პერსონაჟი

ამ რომანისა, მაგალითად, სადუნა, პავლია, პაპუნა წერეთლის მხლებლები, მეფის ხუმარა და სხვ. დახატული არიან დიდი სიყვარულით და ადამიანურ სახეთა ძერწვის მოსაწონი ხელოვნებით. კერძოდ სადუნა კი ფრიად თვალსაჩინო როლს ასრულებს რომანის სიუჟეტურ განვითარებაში და თავიდან ბოლომდე გასდევს თხრობის მდინარებას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ, სამწუხიროდ, რომანის არც ერთ გმირს, რომლებიც ხალხის წარმომადგენლებად არიან დასახული ავტორის მიერ, არ გააჩნიათ სოციალური პროტესტის გრძნობა და არამც თუ საქმით არ გამოხატავენ, სიტყვითაც კი არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას და გულისწყრომას ფეოდალურ-მონარქიული წყობილების იმ უკულმართობათა გამო, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში მიძვინვარებდა და რომლებიც ასეთი შეუფერავი სიმართლით არის წარმოსახული „ოქროს ჩარდახში“.

როგორც ვხედავთ, თავის ამ ისტორიულ რომანზე მუშაობისას მწერალი უაღრესად მნიშვნელოვან იდეურ-შემოქმედებით ამოცანებს ისახავდა. მით უფრო დასანანია, რომ მწერალმა ვერ მოასწრო ამ ისტორიული ტრილოგიის დამთავრება და, მაშასადამე, ამ საინტერესო განზრახვების სრულად განხორციელება.

თავისი მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელი წლები აკაკი ბელიაშვილმა მთლიანად მიუძღვნა ჩვენი თანამედროვეობის აქტუალური და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემების დამუშავებას. გარდა მრავალი ნოველისა, მოთხრობისა და მხატვრული ნარკვევისა, რომლებშიც საბჭოთა სინამდვილეა ასახული, მწერალმა სამამულო ომის შემდეგ წლებში ამ თემებს მიუძღვნა სამი რომანი: „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“ „შვიდეკაცა“, რომელთაც პრინციპულად დადებითი როლი შეასრულეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ამ ნაწარმოებთა გამოკვეყნება მოასწავებდა ქართული მხატვრული პროზის გადაჭრით შემობრუნებას ჩვენი თანამედროვეობის თემატიკისაკენ, საბჭოთა სინამდვილის თემატიკის ხვედრითი წონის ზრდას ქართულ საბჭოთა მწერლობაში, რაც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ამ ეტაპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენდა. კიდევ მეტიც. ამ ნაწარმოებებმა ნაწილობრივ მაინც შეავსეს ის თვალსაჩინო ხარვეზი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. ცნობილია, რომ ამ ხანებში ქართული მხატვრული პროზის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა სოფლის ცხოვრებას, საკოლმეურნეო გლეხობის ყოფასა და შრომას მიეძღვნა, მაშინ, როდესაც ჩვენი მრეწველობის ადამიანთა, ჩვენი ინტელი-

გენციის, სტუდენტობის, მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრება, საერთოდ ქალაქური ცხოვრების პროცესები, ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ადამიანთა შრომითი გმირობა შედარებით მკრთალად აისახებოდა ჩვენს მწერლობაში. აკ. ბელიაშვილის ხსენებულმა ახალმა რომანებმა გარკვეული როლი შესარულეს ქართული ლიტერატურის მიერ თანამედროვე სინამდვილის წარმოსახვას ასეთი ცალმხრივობისა და შეზღუდულობის გადალახვაში.

„უღელტეხილში“ მწერალმა მოგვითხრო იმ დაძაბული, დიდი შრომითი გმირობით, პატრიოტული აღფრთოვანებით და დიდი სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომლითაც ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი სამამულო ომის მრისხანე წლებში. ამ წიგნმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ომის შემდეგი წლების ქართულ ლიტერატურაში. რომანის მთავარი გმირის — ახალგაზრდა ინჟინერის დავით ბექაიას სახე — ჩვენი დროის დადებითი ტიპის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო პორტრეტია ამ წლების ქართულ მწერლობაში. ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, საინტერესოდ და მიმზიდველად მოგვითხრობს მწერალი ამ ახალგაზრდა კაცის შრომითი და საბრძოლო ცხოვრების, მისი გმირობისა და ვაჟკაცობის, მისი მორალური თვისებების შესახებ და ყოველივე ეს განმარტავდალად განასახიერებს საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის ხასიათს, იმ თაობის ხასიათს, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა დიდი სამამულო ომის მთავარი სიმძიმე. როგორც სხვა თავის ნაწარმოებებში, ამ რომანშიც აკაკი ბელიაშვილი არ გამოყოფს და არ გამოთიშავს ადამიანის შრომითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მისი პირადი ცხოვრებისაგან. ყოფითი და ოჯახური ხასიათის ურთიერთობათა სფეროსაგან. ამიტომაც სამამულო ომის წლების დიდი ისტორიული მოვლენების ამსახველი ეს ნაწარმოები იწყება თხრობით იმ მწვავე მარცხის შესახებ, რომელიც პირად-ოჯახურ ცხოვრებაში განიცადა დავით ბექაიამ — იგი იძულებული გახდა გასცილებოდა თავის საყვარელ ცოლს დაქორწინებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ. ამ მარცხით შეშფოთებულ დავითს ომის პირველსავე დღეებში ნიშნავენ მთავარ ინჟინრად დიდად მნიშვნელოვან სამთამადნო წარმოებაში, რომელიც კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალის ფერდობზე მდებარეობს. აქ, მცირერიცხოვანი მუშებისა და თანამშრომლების კოლექტივში მთელი სისრულით გამოვლინდა ამ ჰკვიანი და ენერგიული ახალგაზრდა სპეციალისტის შესანიშნავი ადამიანური თვისებანი — მისი ორგანიზატორული ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, გულისხმიერება და პატიოსნება. და შემდეგ, გვიჩვენებს რა თავის ამ გმირს სამამულო ომის ფრონტზე, მწერალი თანდათანობით აფართოებს მის დახასიათებას, ამდიდრებს ამ მხატვრულ სახეს ახალი, კიდევ უფრო მომხიბვლელი თვისებებით. მხნე და უშიშარი ალპინისტი იგი

ღირსეულად ასრულებს სარდლობის ურთულეს დავალებებს კავკასიონის მიუხედავად მწვერვალებზე გაჩაღებული ბრძოლების მკაცრ ვითარებაში. ფრონტული ცხოვრების სურათებს რომანში სცელის საბჭოთა ზურგის დაძაბული საბრძოლო შრომითი ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდები. რომლებიც გვიხატავენ, თუ როგორ გამოიყურებოდა იმ მძიმე წლებში საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც მთელ თვალუწვდენელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად სქედდა ჩვენს დიად გამარჯვებას საძულველ მტრებზე — ჰიტლერელთა სისხლიან ურდოებზე. რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა ურთიერთობებში, ხალხის საბრძოლო და შრომითი ცხოვრების ცოცხლად წარმომსახველ სურათებში მწერალმა შეძლო დამაჯერებლად ეჩვენებინა ომის დროინდელი სინამდვილის ატმოსფერო, ის უმაგალითო და სწორუბოვარი გმირობა, რომლითაც საბჭოთა ხალხმა თავი ისახელა ომის ვითარებაში და არა მარტო თავისი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება დაიცვა, არამედ ამასთანავე მთელი კაცობრიობაც გადაარჩინა ფაშისტური მონობისა და ბარბაროსობისაგან. მაგრამ მწერალი მარტო ხალხის ამ დიადი გმირობის წარმოსახვით როდი შემოისაზღვრება. სიყვარულით და აღფრთოვანებით ხატავს რა კეთილშობილი საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ საქმეებს, მწერალი ამავე დროს გვერდს არ უვლის სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებსაც. იგი მომაკვდინებლად ამხილებს მანკიერ, გახრწნილ ადამიანებს, რომელთა ბნელი საქმეები განსაკუთრებულად მახინჯად და საზიზღრად გამოიყურებიან მთელი ხალხის გმირული პატრიოტული შემართების ფონზე.

აკაკი ბელიაშვილი მთელი თავისი მხატვრული პრაქტიკითაც და ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოსვლებითაც თანმიმდევრულად და დაყენებით ასაბუთებდა მწერლის მიერ წარსულის ბნელი გადმონაშთების დაუწილობლად მხილების უფლებასა და მოვალეობას. თავისი ასეთი შემოქმედებითი მრწამსის ყველაზე მკაფიო და უკომპრომისო განხორციელებას მწერალმა მიაღწია სწორედ „უღელტეხილში“, რომელშიაც დადებითი პერსონაჟების ხასიათის კეთილშობილური და მომხიბვლელი თვისებები გამოვლინებულია გაბედული და შეუფერავი დაპირისპირების გზით ყოველივე ბნელთან, მახინჯთან. საზიზღართან. ყოველივე მანკიერისა და დრომოჭმულის მხილების პათოსი წარმოადგენს ამ ნაწარმოების მთავარ ღირსებას.

რომანი მთავრდება სამთამადნო წარმოებაში თავის საყვარელ სამუშაოზე დავით ბექაიას დაბრუნების სურათით. სამამულო ომის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად დაბრუნებული ვაჟაკი ახალი შემოქმედებითი აღფრთოვანებით აგრძელებს ომის მიერ შეწყვეტილ საქმიანობას და უმძიმეს განსაცდელთა ქურაში გამოწრთობილი გმირის ასეთი დაბრუნება სიმბოლიურად განა-

სახიერებს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის განუყოფელ ზეიმს, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ მთელი ხალხის უმაგალითო თავდადებით, ურყევი რწმენით, უდრეკი ნებისყოფით. და როდესაც თავისი მომდევნო რომანი „ვეფხია ხალიბაური“ მწერალმა სამამულო ომის ფრონტიდან ახალგაზრდა ინჟინერის არჩილ სანებლიძის დაბრუნებით დაიწყო, ვაჟაკისა, რომელიც მალე ქართველ მეფოლადეთა ახალგაზრდა ქალაქის რუსთავის ერთ-ერთი მოწინავე მშენებელი გახდა, ამაში იყო გარკვეული კანონზომიერება, თემატიკური თანმიმდევრობა, ჩვენი ცხოვრების განვითარების პერსპექტივათა მთლიანი გააზრების გამომხატულება.

„ვეფხია ხალიბაური“ ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობის პირველი გიგანტის წარმოშობის მხატვრული მატანეა. მკითხველის თვალწინ მიმდინარეობს მთელი ისტორია ქალაქ რუსთავისა და ამ ქალაქში მეტალურგიული გიგანტის აშენებისა მათი საძირკველის ჩაყრიდან— ვიდრე ქართული ფოლადის პირველი ნაკადის გამოჩენამდე. მწერლის ამ ნაწარმოებში ჩვენს ყურადღებას პირველყოფლისა იპყრობს არა ტექნიკური პროცესები, არამედ იმ პროცესებთან უშუალოდ დაკავშირებული და ხშირად ამ პროცესებით განპირობებული პროცესი ადამიანთა ხასიათის ფორმირებისა, ადამიანებისა, რომელთაც შეუძლიათ გამოიყენონ ურთულესი მძლავრი მანქანები და აპარატები, შეუძლიათ იცხოვრონ და იშრომონ კომუნისტურად.

იმ დროს, როდესაც რუსთავის გიგანტის კედლები შენდებოდა და გადამწვარ, უნაყოფო რუსთავის ტრიალ ველზე ახალი ინდუსტრიული ქალაქი იზადებოდა, რუსეთის ვეებერთელა მეტალურგიულ ქარხნებში გამოცდილი რუსი ოსტატების ხელმძღვანელობით ფოლადის გამოდნობის რთულ ხელოვნებას ეუფლებოდა იქ საგანგებოდ მივლინებული ქართველი ახალგაზრდობა. ძნელი იყო ამ ახალგაზრდებისათვის შეჩვეოდნენ ჩრდილოეთის ყინულის სუსხს და მარტენის ღუმელების აუტანელ მცხუნვარებას. ადვილი არ იყო მათთვის აგრეთვე ზოგიერთი საკუთარი ჩვევებისა და წარმოდგენების, ჩამორჩენილ შეხედულებათა და ცრურწმენათა დაძლევა, რომელთა უკუგდება ახალმა პროფესიამ მოითხოვა. მაგრამ მზარუნველი მასწავლებლების, რუსი მუშებისა და სპეციალისტების დახმარებით ეს ჭაბუკები და ქალიშვილები დღითიდღე იზრდებიან, ეუფლებიან პროფესიულ ოსტატობას, იძენენ ხასიათის ახალ თვისებებს.

„ვეფხია ხალიბაური“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თვალნათლივ და ხელშესახებად, კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითებით გვიჩვენებენ ხალხთა მეგობრობის დიად ცხოველყოფელ ძალას. რომანის მრავალრიცხოვან პერსო-

ნაეთა სხვადასხვა პროფესიისა და ბიოგრაფიის ადამიანთა ცენტრში დგას ახალგაზრდა ხევსური ვეფხია ზალაბაძე. უზარმაზარს ასტორია ბნელი, ჩამორჩენილი, თითქმის პირველყოფილი ხევსურული სოფლიდან გამოსული ამ ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ფოლადის გამოდნობის სახელგანთქმული ოსტატი გახდა, რომანში ასახულია ღრმად ტიპიზირებული, განზოგადებითი მნიშვნელობით. მწერლის დიდ მხატვრულ მიღწევას წარმოადგენს აგრეთვე არჩილ სანებლიძის სახეც, რომელიც თავისი აზრებით, ქცევით, სიტყვებით, ცოცხლად განასახიერებს რიგითი საბჭოთა ადამიანის ხასიათის დადებით თვისებებს — მის ჰუმანიზმს, პირდაპირობას და უშიშროებას, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ერთგულებას, ბნელ, უარყოფით ადამიანებთან შეუერივებლობას.

აკაკი ბელიაშვილის ამ რომანთა სერიის ღირსეულ გაგრძელებას წარმოადგენს მისი უკანასკნელი ნაწარმოები „შვიდეკაცა“, რომლითაც დამთავრდა ამ დიდად ნიჭიერი მწერლისა და კეთილშობილი მოქალაქის შემოქმედებითი ცხოვრება. ეს რომანი ქართული მხატვრული პროზის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადებს ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ჩვენი დროის ამ შესანიშნავი მოძრაობის „ცხელ კვალზე“ იწერებოდა. მოქმედება წარმოებს მარგანეცის მრეწველობის ქალაქში — ჭიათურაში, სადაც მწერალი დაიბადა და აღიზარდა და რომლის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებისა და თანამედროვე შრომითი ცხოვრების ღირსეული წარმოსახვა აკაკი ბელიაშვილის მუდმივ ოცნებას წარმოადგენდა.

შვიდმა თანასოფლელმა ახალგაზრდამ, რომელთა შორის ერთი მშვენიერი ქალიშვილიც ურევია, გადაწყვიტეს საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ერთად დაეწყოთ მუშაობა მარგანეცის მაღაროებში. ზოგი მათგანი საწარმოო სტაჟის შეძენას აპირებდა, რომ შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, ზოგს კი განზრახული ჰქონდა წარმოებაში მუშაობის პარალელურად დაუსწრებლად მიეღო უმაღლესი განათლება.

მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ გადალახეს ამ ახალგაზრდებმა ურთულესი სიძნელენი და მძიმე დაბრკოლებანი, გაუძლეს მრავალ განსაცდელს და ყოველივე ამის შემდეგ გაიზარდნენ, გამოიწვრთნენ, მოწინავე მაღაროელთა სახელი მოიხვეჭეს. მაგრამ ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. ამ ახალგაზრდების ხასიათის ფორმირების რთული პროცესი შეადგენს რომანის ძირითად თემას. მკითხველი დაძაბული შეუხელებელი ინტერესით ეცნობა მწერლის

მიერ ცოცხლად და მიმზიდველად მოთხოვნილ ამბებს, რომლებიც იმით მთავრდება. რომ „შვიდკაცას“ მონაწილეები აყალიბებენ ჭიათურის მალაროებში პირველ კომუნისტურ ბრიგადას.

ასეთია აკაკი ბელიაშვილის მიერ განვლილი მდიდარი და შინაარსიანი შემოქმედებითი გზა. ამ გზის მანძილზე, როგორც ვხედავთ, მწერალმა ბევრი რამ გააკეთა ისეთი, რომ მარადიული ცხოვრება მოეპოვებინა ხალხის მეხსიერებაში, მშობლიური მწერლობის ისტორიაში.

რეპლენ გვეგაძე

მოულოდნელად და ნაადრევად გამოაქლდა ქართული საბჭოთა მწერლობის რიგებს რეპლენ გვეგაძე — შთაგონებული პოეტი და ნიჭიერი პროზაიკოსი, მთარგმნელი და ჟურნალისტი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, პრესისა და გამომცემლობის ენერგიული მუშაკი. იგი ჩვენგან მაშინ წავიდა, როდესაც თავისი ნიჭიერების ნამდვილ სიმწიფეს იყო მიღწეული, როდესაც მას მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი. ამიტომაც მისგან ჯერ კიდევ მრავალ შემოქმედებით მიღწევას მოელოდა ჩვენი ხალხი, ჩვენი ლიტერატურა.

თავისი მაღალნიჭიერი პოეტური შემოქმედებით, თანამედროვეობის აქტუალურ თემებზე დაწერილი რომანებით და მოთხრობებით, ოსტატურად შესრულებული მხატვრული თარგმანებით რეპლენ გვეგაძემ მკაფიო წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში და წარუშლელად ჩასწერა თავისი სახელი ჩვენი მწერლობის ისტორიაში, ხალხის ხსოვნაში.

რეპლენ მათესძე გვეგაძე დაიბადა 1897 წლის 28 ივლისს (ძველი სტილით) ქ. ქუთაისში, ლარიბი გლეხობის წიაღიდან გამოსული ხელოსნის — ქვისმჭრელის ოჯახში. სიღარიბის გამო იგი ადრეულ ბავშვობაშივე იძულებული გახდა სწავლისათვის თავი გაენებებინა და შრომით ცხოვრებას შედგომოდა. 12—13 წლის რეპლენ გვეგაძემ უკვე სტამბაში მუშაობდა შეგირდად და შემდეგ ასოთამწყობად. ამასთანავე გატაცებით ეწაფებოდა თვითგანვითარებას. ბავშვობაშივე დაიწყო ლექსების წერა. უკვე 1913 წლიდან მისი ლექსები ქვეყნდებოდა პრესის ფურცლებზე და ცალკე წიგნებად. 1916 წელს ქ. ზესტაფონში გამოიცა რეპლენ გვეგაძის ლექსების პირველი კრებული. სწორედ ამ წლებში ქართულ მწერლობაში ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მწერლობის მიმდევარ ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფი „ცისფერი ყანწები“.

დიდი რიხით და აურზაურით. მყვირალა სენსაციებით შემოვიდა რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში ეს ანტირეალისტური დაჯგუფება. ლიტერატურულ სარბიელზე ახლად ფენშემოდგმული რეპლენ გვეგაძე გაიტაცა ამ გახმაურებულმა „ლიტერატურულმა მოდამ“ და იგი მიეკედლა

„ცისფერ ყანწელებს“; მთელი რიგი წლების განმავლობაში მონაწილეობდა მათ ბეჭდვით გამოცემებში, მათ სალამოებში და სხვა ხასიათის საჯარო გამოსვლებში.

1920 წელს რაჟდენ გვეტაძე ქუთაისელმა პოლიგრაფიის მუშებმა თავის პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. მუშათა ინტერესების აქტიური დაცვისათვის მენშევიკურმა ხელისუფლებამ პოეტს ქუთაისში ცხოვრება აუკრძალა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე რაჟდენ გვეტაძე უყოყმანოდ დგება საბჭოთა სახელმწიფოსთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გზაზე და აქტიურად ებმება საბჭოთა კულტურის მშენებლობისათვის ბრძოლაში. უკვე 1921 წლიდან იგი მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში გაზეთ „კომუნისტში“, სადაც წლების განმავლობაში ეწეოდა კორექტორობას, ღამის რედაქტორობას, აქვეყნებდა ლექსებს, წერილებს, მხატვრულ ნარკვევებს.

იმ წლებისათვის „კომუნისტში“ თანამშრომლობა უკვე თავისთავად მოასწავებდა პოეტის იდეურ დაწინაურებას, მის ჯანსაღ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პოზიციას. ცხადია, ამავე პოზიცია უკვე შეუთავსებელი უნდა ყოფილიყო „ცისფერყანწელობის“ ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ბუნებასთან. და მართლაც, რაჟდენ გვეტაძე ერთი პირველთაგანი „ცისფერყანწელთა“ შორის გამობს და უკუაგდებს სიმბოლისტურ მიმართულებას და უკვე ოციანი წლების პირველ ნახევარში მონაწილეობს საბჭოთა კულტურის იდეური პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ 1922—1925 წლებში, როდესაც მძაფრი ბრძოლა წარმოებდა ქართული თეატრის გარდაქმნისა და განახლებისათვის, ქართული საბჭოთა თეატრის შექმნისათვის, რაჟდენ გვეტაძე „კომუნისტის“ ფურცლებზე სისტემატურად ათავსებდა წერილებს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე, კერძოდ, განახლებული რუსთაველის თეატრის ახალი საპროგრამო დადგმების შესახებ. რაჟდენ გვეტაძის კალამს ეკუთვნის „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ის თეატრალური რეცენზიები, რომლებშიაც ქართულმა პარტიულმა პრესამ გადაჭრით მხარი დაუჭირა კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით ქართული საბჭოთა თეატრის შექმნისათვის გაჩაღებულ დიდ შემოქმედებითს ბრძოლას.

რაჟდენ გვეტაძის ამ წერილებს იმ დროისათვის დიდი საზოგადოებრივ-კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

1924 წელს დაწერილი მისი ლექსი „პოეტებო, ბარიკადებზე“ ნათლად გამოხატავდა პოეტის გულწრფელ მისწრაფებას თანამედროვეობის დიადი იდეებისა და თემების შემოქმედებითად დაუფლებისაკენ. იწყება პოეტის ინ-

ტენსიური, ფრიალ ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება. ზედიზედ ქვეყნდება მისი ლექსების კრებულები, რომლებშიაც პოეტი შთაგონებულად ეხმაურება საბჭოთა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. 1929 წელს იგი წერს თავის პირველ ვრცელ ბელეტრისტულ ნაწარმოებს „თეო“, რომელსაც მომდევნო წლებში მოჰყვა რომანებისა და ნოველების წიგნები: „ჰიაკონა“, „ლაშაური საღამოები“, „ბელორუსული ნოველები“ და სხვ.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე რაუდენ გვეტაძე აქვეყნებს ჩვენი სამშობლოს გამარჯვების რწმენით შთაგონებული, მებრძოლი, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსებს, პოემას, მოთხრობებს. მისი ამდროინდელი ლექსები ცხოველ გამოძახილს პოულობდნენ ხალხის გულში და დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

სხვა მოწინავე ქართველ მწერლებთან ერთად რაუდენ გვეტაძე მიემგზავრებოდა ხოლმე სამამულო ომის ფრონტზე, უშუალო ურთიერთობას ამყარებდა უძლეველი საბჭოთა არმიის მებრძოლესთან და ოფიცრებთან. ამის შედეგად, პირადად ნახულისა და განცდილის ნიადაგზე მან დაწერა „მართალი ნოველების“ წიგნი, რომელიც ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია დიდი სამამულო ომის თემაზე.

ომის შემდეგ პერიოდში, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში რაუდენ გვეტაძემ გამარჯვებული საბჭოთა ხალხის სულიერი სამყაროს გამომხატველი ლექსების გარდა დაწერა ვრცელი მოთხრობა „ცხოვრება იწყება თავიდან“, რომლის მთავარ გმირს ბრძოლის ველიდან გამარჯვებულად დაბრუნებული ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი წარმოადგენს.

ასეთ განუწყვეტელ შემოქმედებით მუშაობასთან ერთად მწერალი მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მუდმივად იყო საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის გამგეობის წევრი, ხოლო რამდენჯერმე არჩეული იყო ამავე კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად. წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალ „დროშას“ და იყო „ლიტერატურული გაზეთის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.

1940 წლიდან რაუდენ გვეტაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში ირიცხებოდა და ღირსეულად და უმწიკვლოდ ატარებდა კომუნისტი მწერლის მაღალ სახელს. საბჭოთა ლიტერატურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი რამდენჯერმე იყო დაჯილდოვებული ორდენითა და მედლებით. თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მწერალი ერთგულად ემსახურებოდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურდვევი ძმობისა და მეგობრობის დიდ საქმეს. ქართველ საბჭოთა მწერლების ჯგუფთან ერთად იგი ხან-

ვრძლივად იყო მოძმე საბჭოთა ბელორუსიაში, რის შედეგადაც დაწერა ლექსების ციკლი და ნოველები ბელორუსი ხალხის გმირული ისტორიისა და თანამედროვე ცხოვრების თემებზე. რამდენიმე ლექსი მიუძღვნა აგრეთვე საბჭოთა უკრაინას, რომლის დიადი სამეურნეო და კულტურული წარმატებანი პირადად გაიცნო და შეისწავლა.

რაჟდენ გვეტაძე მხატვრული თარგმანის საუკეთესო ოსტატთა რიცხვს ეკუთვნოდა. მან ქართულად თარგმნა უკვდავი სომხური ეპოსის „დავით სასუნელისა“ და გენიალური აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯელის პოემის „ლეილ-მეჟნუნისანი“ რამდენიმე თავი, აგრეთვე ინდური ეპოსი „რამაიანა“, უკრაინელი მწერლის ვ. კაზახენკოს წიგნი „ახალი ნაკადები“ და მრავალი სხვა. სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში იგი თარგმნიდა გ. ნიკოლაევის რომანს „მკა“.

ასე ფართო და მრავალმხრივი იყო მისი ინტერესების სფერო, მისი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელი.

განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო რაჟდენ გვეტაძემ ქართული საბჭოთა მწერლობის განვითარებას თავისი ხანგრძლივი და ფრიალ ნაყოფიერი მუშაობით გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ დირექტორის თანამდებობაზე. ეს იყო ნამდვილად შთაგონებული შემოქმედებითი შრომა, კეთილშობილი საზოგადოებრივი მოღვაწეობა საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდისა და მისი საუკეთესო მიღწევების ხალხში დანერგვისათვის.

რაჟდენ გვეტაძე გარდაიცვალა 1952 წლის 1 დეკემბერს. მადლიერმა სამშობლომ მას სამუდამო განსასვენებელი მიუჩინა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

რაჟდენ გვეტაძის აღრინდელ პოეტურ შემოქმედებას დიდი ზიანი მიაყენა დეკადენტობის გავლენამ, რომელიც პოეტმა თავისი შემოქმედებითი ცხოვრების დაწყებისას განიცადა. ამ წლების მის ლექსებში სჭარბობს საზოგადოებრივ აქტუალობას მოკლებული, წვრილმანი და უმნიშვნელო თემები, უადრესად ინდივიდუალური განცდები და განწყობილებანი, რომლებიც მოკლებული არიან განზოგადების ძალას, იდეურ აზრს. ახალგაზრდა პოეტი ღრმა თანაგრძნობით განიცდის „ბრუციანი ვირის“ მწუხარებას, ბაზარზე გაყიდული ჩოჩორის თავგადასავალს, ბევრს ფიქრობს ქუჩაში ნაპოვნი მკვდარი ვირის ნალის შესახებ და ა. შ. ამ პერიოდის მთელ რიგ ლექსებში რ. გვეტაძე გადმოგვცემს სინამდვილის მისტიკურ შეგრძნებას, ერთგულად მისდევს სიმბოლიატური პოეტიკის მოთხოვნებს. დამახასიათებელია ამ მხრივ 1917 წლით დათარიღებული მისი ლექსი „ხავერდის ქალი“.

ხავერდის ქალი უერთდება ღამის ლაყუჩებს,
მის კაბის შრიალს თან მიჰყვება გული ნაბადი,
მოპყრობს სურვილი რაყიფობის სახელ ნაბახი,
მაგრამ სამანი მალე გუმანს უხმოდ აუჩიებს.
ხავერდის ქალი ეუფლება ქალაქის ქუჩებს,
იმონებს ყველას უსპეტაქეს ტრფობის ყაბახით.
მასზე ლექსებით ავაჟღერე გრძნობის თაბახი
და გავს ოცნება აყვავებულ მზეში აღუჩებს...

და კიდევ, 1919 წელს დაწერილი ლექსი „უცნობი დამკვრელი“, რომელ-
შიც პოეტი გამოხატავს თავის განცდებს ღია ფანჯრიდან მოსმენილი პიანინოს
ჰანგების გამო:

ღია ფანჯრიდან მეძახიან კვლავ კლავიშები,
უცნობ დამკვრელს მომინდება უეცრად ცქერა,
ვდგავარ ქუჩაში მთვარეული და ნავიშები
და მასმევს ბადაგს პიანინოს სათუთი ბგერა.
შეწყდება ნელა შუალამისას ხმა საარაკო,
ჩნდება ფარდაზე დაღალული უცხო ასული.
მსურს მივესალმო მის ძვირათს ლანდს ულაპარაკოდ,
მაგრამ დააქრობს უცებ სანთელს ფერგადასული.

ამ სტრიქონებში გამოთქმული განწყობილებანი, ამ ლექსების პოეტურ
საშუალებათა მთელი სისტემა ტიპიურად „ცისფერყანწელურია“. ეს ლექსე-
ბი ენათესავენებიან ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისების“ ციკლს, რომელ-
შიაც ყველაზე დასრულებულად და, ასე ვთქვათ, ორთოდოქსალურად გამოი-
ხატა ქართველ დეკადენტ-სიმბოლისტთა პოეტური მრწამსი.

მაგრამ ამავე წლების თავის ზოგიერთ ლექსში რაჟდენ გვეტაძე ენმაურე-
ბოდა ეპოქის სოციალურ მოვლენებს. 1917 წლის რევოლუციას ახალგაზრდა
პოეტი მიესალმა აღფრთოვანებული ლექსით „ასრულდა, ახდა“, რომელიც
ასეთი მგზნებარე სტრიქონებით იწყება:

ქალაქის გუმბათები იმსხვრევა მენით,
ჯერ არნახული დგება ჟამი საბედისწერო.
გატეხა რისხვამ ბედი უკმეხი,
ჩირალდანივით მოჩანს მალლა წითელი წერო.

ამ ლექსის დასკვნით სტრიქონებში მოცემულია ამ გარდატეხის სახეობ-
რივი გააზრება:

გაისმის გალობა პირველი მერცხლის
და ყვავილებად გადიქცა ფიფქი —
ასრულდა, ახდა ნაამაგარი
ხალხის ოცნება და ხალხის ფიქრი.

ამ პერიოდის არა ერთ ლექსში პოეტი თავს აღწევს სიმბოლისტური პოეტიკის ხელოვნურ არტახებს და გვაძლევს რევოლუციამდელი ქართული სოფლის ბუნებისა და ყოფის რეალისტურად დახატულ ლირიკულ სურათებს:

ღამემ ფიქრები მოჰკრიბა
დამკენარ ვარდებად ნაფენი.
ჩემი სოფელი ოკრიბა,
ბავშვობა, მზეში ნარბენი.
ღრუბლებში მთვარე ახალი,
ვირის ნალივით პატარა.
ძღვენით მოვიდა მძახალი
და ცხენით დიდხანს მატარა.
(„ჩემი ბავშვობა სოფელში“).

კიდევ უფრო მკვეთრ და მართალ გამომსახველობით ძალას იჩენს პოეტი ლექსში „ღამე სოფელში“, სადაც პეიზაჟი ღრმად არის გამსჭვალული ძველი სოფლის დუხჭირი ცხოვრების ნალვლიანი განცდით:

ღამე მოწყენილ ამალით,
მთვარის ფერმკრთალი სინაზე,
მწყემსი დამწვარი მზის ალით,
ირმის ჩლიქები სილაზე,
მამლის ყივილი უღონო,
ძაღლების ყეფა მწუხარე.
კოტის ძახილი უგონო,
სოფლის შარავზა მღუმარე.

რევოლუციამდელი სოფლის ბნელი და გაუხარელი ცხოვრების ამსახველი ეს ლირიკული პეიზაჟი მთავრდება შემაზრზენი ზემოქმედების სურათით:

შეშლილი ქალი საბრალო
ხან ორლობეში იმღერებს,
ხან აზობს „ვის დავაბრალო?“
ხან კივის, ოგლეჯს თმის ღერებს,
ხან სიცილს აიკვირებს,
ვარსკვლავებს ითვლის ათამდე,
ხან თავს კაკლის ხეს მიაღებს
და ტირის განთიადამდე.

მთელ რიგ თავის ადრინდელ ლექსებში ახალგაზრდა პოეტი აღწევდა გულწრფელ ადამიანურ განცდათა გამოხატვას სადა და ნათელ ლირიკულ სურათებში:

ეს იყო წინად, ტყიბულის გზაზე,
როცა ვნახე და შეგხვდი პირველად,
ბრწყინავენ, როგორც ვარსკვლავნი ცაზე
შენი თვალები გასაკვირველად.
(„ძველი რვეულიდან“).

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ სიმბოლისტური გავლენებით გატაცების წლებშიც რაჟდენ გვეტაძის პოეზიაში საგრძნობი იყო რეალისტური ხელოვნების ნაკადი; პოეტის ბუნება ცხოვრების მოვლენათა მართალი და გააზრებული გამოხატვის მდიდარ შესაძლებლობებს შეიცავდა. ამ პოეტენციურმა ძალამ მკაფიოდ იჩინა თავი მას შემდეგ, რაც პოეტმა პრინციპულად უკუაგდო უცხო ლიტერატურულ გავლენათა მანკიერი ტვირთი.

ლექსში „პოეტებო, ბარიკადებზე!“ რაჟდენ გვეტაძემ თავისებურ პოეტურ დეკლარაციაში გვაუწყა, რომ იგი ამიერიდან მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით განუყოფელად უკავშირდებოდა ჩვენი ხალხის საბრძოლო და შრომითი ცხოვრების ყოველდღიურობას:

მე აწი სიყვარულზე აღარ დავწერ ლექსების წიგნებს,
აღარც სონეტებს მისტიურ კატებზე,
ჩემი შემდეგი ლექსის თემა იქნება:
„პოეტებო, ბარიკადებზე!“

და მართლაც ამიერიდან პოეტი თავისი ყოველი ახალი ნაწარმოებით ასახავდა და უმღეროდა ჩვენი ხალხის სწორუპოვრად გმირულ ბრძოლას ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. მცირე მოცულობის პოემაში „მერკვილაძის დები“ და ლექსში „წითელრაზმელი ქალი“ პოეტმა დახატა რევოლუციური რომანტიკით გამსჭვალული სურათები ქართველი მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილთა თავგანწირული ბრძოლისა თვითმპყრობელური ტირანის, მონობისა და ჩაგვრის სამყაროს დასამხობად. მთელ რიგ პოეტურ ნაწარმოებებში რაჟდენ გვეტაძე ასახავს ჩვენი ეპოქის დიად გამაახლებელ ძალას:

ბულბულის ციხეს და ტაშის ხევებს,
სადაც ომები იყო ნიადაგ, —
დღეს ქარი აცლის ნისლის ნახევებს
და ტრაქტორები ხნავენ ნიადაგს.
(„ჭვჭვით“)

ჩვენი თანამედროვეობის ეს ძირითადი თავისებურება, ძველის, დრო-მოკმეულისა და დახვეწილების კედლმა ახალი ცხოვრების ძლევა-მოსილი შეტევის შედეგად, მკაფიოდ გამოხატა რ. გვეტაძემ პოემაში „ოქროს ვერძი“. ახა-

ლი კოლხიდის მშენებლობის სურათები აქ განზოგადებულად გამოხატავს ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების აღმავლობის წარმტაც ეპოპეას:

სადაც მარად იღვანისლოს კარავი,
სადაც თქეში მიწას შლამით ლექავდა,
და უემური ხარსაც წელში ღრეკავდა,
სადაც ჰქროდა შემზარავი არავი, —
იქ მღელვარებს ახლა მზეზე წალკოტი,
რომ ჰოობი აბედით გახადონ,
გააშენონ საარაკო წალკოტი
და მიდამო ყვავილებით დახატონ.

ამ „საარაკო წალკოტის“ შემოქმედსა და მშენებელს, დევგმირ საბჭოთა ხალხს, ჩვენი ეპოქის გმირს — რიგით საბჭოთა ადამიანს ხატავს და უმღერის რაჟდენ გვეტაძის პოეზია. პოემაში „ოქროს ვერძი“ მოთხრობილია სოფლელი გოგონას ძუბას ცხოვრების ტიპიური ისტორია. მან, ობლობასა და სიღარიბეში გამოზრდილმა გოგონამ, საბჭოთა სინამდვილის კეთილმყოფელი ზემოქმედებით, თავისი მტკიცე ნებისყოფისა და კეთილშობილური მისწრაფებების მეოხებით გაიკაფა გზა დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ და ღირსეული ადგილი მოიპოვა ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანთა რიგებში:

ძუბას უკვე აქვს იერი ვაჟური,
ექსკავატორს მერანივით ატარებს,
სღის სახეზე ნამი გადმონაჟური,
თანაც წარსულს დღევანდელ დღეს ადარებს,
თხმელის ტყეებს ებრძვის, როგორც მტარვალებს,
და ტრიალებს მისი ექსკავატორი,
საოცარი ამ მანქანის ნატორი
ტოვებს ველზე თვალუწვდენელ ნარვალებს.
...ბოქავს ბიჭურ თმაშეპარსულს თაკარა,
მაგრამ ხიბლავს კვლავ მანქანის გუგუნი,
და იმღერის გულით, როგორც გუგული,
ჟამმა ძუბას ჟანგი ვერ მიაკარა.

რაც უფრო მეტ იღეურ სიღრმეს და საზოგადოებრივ აქტუალობას იძენდა რაჟდენ გვეტაძის პოეზია, მით უფრო იხვეწებოდა მისი პოეტური ოსტატობა. უფრო ნათელი და ზუსტი ხდებოდა გამოსახვითი საშუალებანი, უფრო ბუნებრივი და დასრულებული ხდებოდა ლექსის ფორმა. ბუნების სურათების ხატვაშიც, ადამიანის სულიერი ცხოვრების დრამის გადმოცემაშიც პოეტმა ოცდაათიან წლებში რეალისტური ხელოვნების მაღალ დონეს მიაღწია. იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად ორიგინალური და თავისებური, თანაც

რამდენად ემოციური და ლირიკული მისი პოეტური პეიზაჟები, საკმარისია გავიხსენოთ ერთი პატარა ლექსი „ფიროსმანის ცა“.

ცაზე ღრუბლები ისე აწყვია
და ცას მოუსხამს იმდენი მარწყვი,
ისე ჰკიდია მთვარე ერთ ალაგს,
მთვარე იმგვარად ეფრქვევა ქალაქს,
თითქოს ქარუაა გამონახადი
და ფიროსმანის არის ნახატი.

პოეტური ფერწერის ეს საუცხოო ნიმუში გვიხილავს მოულოდნელი და პლასტიკურად მკვეთრი შედარებებით, მდიდარი და ზუსტი რითმებით, ერთიანი მელოდიური წყობით, კომპოზიციური დასრულებულობით.

ახალ ქართულ პოეზიაში არც კი მოიპოვება ადამიანის პირადი მწუხარების ისე მძლავრად გამოხატველი ნაწარმოები, როგორცაა რაჟდენ გვეტაძის ლექსი „ია მოსულა“. პატარა ქალ-ვაჟის გარდაცვალებით თავზარდაცემული მამის მწვავე სულიერი ტკივილი აქ გამოხატულია მოზეიმე განათხულის ფონზე და ეს კონტრასტი ლექსში წარმოშობს ღრმა ემოციური ძალის დრამატიზმს. ამ ლექსთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რაჟდენ გვეტაძის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა აღმოცენებულია მწერლის ბიოგრაფიის ამა თუ იმ მოვლენის ნიადაგზე.

ყველაფერი, რასაც წერს რაჟდენ გვეტაძე, განუყოფლად დაკავშირებულია ავტორის სულიერ ცხოვრებასთან. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიწრფელეს, უშუალობას, დიდ ადამიანურ სითბოს ანიჭებს მის მთელ შემოქმედებას.

დიდი სამამულო ომის წლებში დაწერილ თავის საუკეთესო ლექსებში რაჟდენ გვეტაძე საბჭოთა ხალხის სწორუპოვარ საგმირო საქმეებს ასახავდა და უმღეროდა. მკითხველთა ფართო ფენებში თავის ღრძე ცხოველი ინტერესი გამოიწვია მისმა ლექსმა „შვილის წერილი“, რომელშიც დიდი სამამულო ომის გრანდიოზული მოვლენების გამოხატულება უაღრესად ინტიმური, კეთილშობილური, მამაშვილური გრძნობით არის განაყოფიერებული. პირადი და სახალხო გრძნობა ორგანიულად არის შედუღებული მამისადმი მიწერილი მეტროპოლიტი შვილის სიტყვებში:

ერთი თვე გადის ომში ვარ,
მეომრებს ვუხვევ იარას.
მრავალმა ტყვიამ მტრებისამ
ზუზუნით გადამიარა.

შიში რა არის არ ვიცი,
კლდედ ვიქეც სულოთ, ტანითა,
მინდა მტარვალებს ვეკვეთო
ამ დოსტაქარის დანითა.

შემდეგ ლექსში აღწერილია უმაგალითოდ მრისხანე ომის მძაფრი სურათები, გამოხატულია საბჭოთა მებრძოლების სამაგალითო გმირობა და თავდადება. ლექსი მთავრდება ჩვენი ხალხის აუცილებელი გამარჯვების რწმენით გამსჭვალული სტრიქონებით, რომელნიც კვლავ მამაშვილური ურთიერთობის ვაჟკაცური გრძნობით არის გამთბარი და განათებული:

მაგრამ სულ მალე ცას შესძრავს
კვლავ გამარჯვების ნალარა,
მხნედ იყავ ჩემს ჩამოსვლამდე
არ შეგემატოს ჭალარა,
არ დამიბერდე, იცოდე,
არ გნახო შენაშფოთარი,
ახლა მშვიდობით, გაკოცებ,
გწერს შენი შვილი ნოდარი.

როგორც ვხედავთ, სახალხო და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უდიდესი მოვლენები აქ გამოხატულია პირად ურთიერთობათა ასპექტში და ამასთანავე პირადული განწყობილება აქ ფართოდ არის განზოგადებული და აყვანილია დიდი სახალხო გრძნობისა და განცდის დონეზე. მამისადმი მიმართული ნოდარის სიტყვებით თითქოს ბრძოლის ველზე გასული მთელი ჩვენი გმირი ახალგაზრდობა ეუბნებოდა თავის მშობელ და აღმზრდელ საბჭოთა ხალხს: „მხნედ იყავ, ჩემს ჩამოსვლამდე არ შეგემატოს ჭალარა“, „არ დამიბერდე, იცოდე, არ გნახო შენაშფოთარი“.

სამამულო ომის წლების ქართული სალირიკო პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის რაჟდენ გვეტაძის „გმირულად დაღუპულ შალამბერიძეს“. ეს ლექსი სიმღერად გადავიდა ხალხში, ისე როგორც ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“, როგორც გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“. პოეტის სიტყვებით თითქოს მთელი ჩვენი ხალხი უმღეროდა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაცემულ ვაჟკაცს:

ვინდოდა ისევ გპეროდა
წითელი დროშა გაშლილი,
ვინდოდა თითონ გუნახა
მტრები მახვილით წაშლილი,

მაგრამ სიკვდილმა დაგძლია,
მჩქეფარე სისხლით ნაშული...
გჩეროდეს — კვლავ გაიმარჯვებს
ბრძოლაში ჩვენი მამული
და მზე ვიდრემდის ანათებს,
მანამდე შენი სახელი
მზარად, ყოველთვის იქნება
გმირობის გამომსახველი.

გმირი საბჭოთა მფრინავის ა. წურწუმიასადმი მიძღვნილ ლექსში „მფრინავი“, რაჟღერს გვეტაძემ შექმნა შესანიშნავი მხატვრული სახე, რომელაც ხორც-შესხმულად გამოხატავს საბჭოთა ადამიანის, კერძოდ, საბჭოთა შევარდნების კეთილშობილურ თავგანწირულებას სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის:

მიჰქრის, მიფრინავს, არ ენანება,
იკაროსათვის მზეზე დაიწვას,
ოღონდ მზე ისევ ხალხს უნათებდეს,
ოღონდ სამშობლო მტრისგან დაიცვას.

როდესაც დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად გამოსული საბჭოთა ხალხი განუზომელი მადლიერების და სიყვარულის გრძნობით მოსავდა თავის საუკეთესო შვილებს, რომელთაც გაანადგურეს კაცობრიობის უბოროტესი მტერი — ჰიტლერელი ურჩხული, — რაჟღერს გვეტაძემ ხალხის ეს გრძნობა და აზრი შთაგონებულად გამოთქვა მთელ რიგ ლექსებში.

თავის საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებში, რაჟღერს გვეტაძემ გულწრფელად და შთამაგონებლად გამოხატა საბჭოთა ხალხის უმაღლესი გრძნობები და მისწრაფებანი. იგი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა ლექსზე, ნამდვილ შემოქმედებით ბრძოლას აწარმოებდა მაღალი პოეტური კულტურისათვის, ჩვენი პოეზიის იდეურობისა და ხალხურობისათვის.

რაჟღერს გვეტაძემ მკაფიო წვლილი შეიტანა საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის განვითარებაში.

მხატვრული პროზის დარგში მოღვაწეობა რაჟღერს გვეტაძემ მაშინ დაიწყო, როდესაც იგი, როგორც პოეტი, შემოქმედებით სიმწიფესა და დაუაყვაცებას იყო მიღწეული. ამასთანავე ამ დროისათვის მას უკვე განვლილი და გადალახული ჰქონდა საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ჰეროდოდი.

ამიტომ გასაგებია, რომ რ. გვეტაძის ბელეტრისტულ თხზულებებში ვერც

ლიტერატურული ვარჯიშისა და წვრთნის კვალს ვამჩნევთ და ვერც იმ იდეური ევოლუციის ანარეკლს, რომელმაც მწერალი სიმბოლისტური პოეზიის პრინციპებიდან სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებამდე მიიყვანა. პირველივე მისი ნაწარმოები მხატვრული პროზის ქანრში დაწერილია თანამედროვეობის დიადი იდეებით შთაგონებული და რეალისტური ხელოვნების პოზიციაზე მდგომი მწერლის კალმით.

პოეტურ მოღვაწეობას მაინც თვალსაჩინო კვალი დაუმჩნევია რ. გვეტაძის მხატვრული პროზისათვის. აქ ბევრი რამ არის „პოეზიისმიერი“. ეპიკური თხრობის ხელოვნება აქ მგზნებარე ლირიზმითაა განაყოფიერებული, რომანებისა და ნოველების ენობრივი ქსოვილი დამუშავებულია სიტყვის პოეტური განცდილთ. ფრაზის დახვეწილობით და რიტმის გამახვილებული გრძნობით.

მძაფრი კოლიზიები, დრამატული დაძაბულობით აღბეჭდილი სიტუაციები შეადგენენ რაყდენ გვეტაძის ბელეტრისტულ ქმნილებათა სიუჟეტის საფუძველს. მოულოდნელი და უცნაური შემთხვევებით არის აღსავსე მისი პერსონაჟების თავგადასავალი.

ფართოა და მრავალმხრივი მწერლის თემატიკური დიაპაზონი. ნოველებში „გზაზე“ და „სოუჟ-სუ“ მოთხრობილია ეპიზოდები როდესაც ქართველი ბოლშევიკები ლენინურ-ისკრული პოზიციების გარშემო რაზმავდნენ ჭიათურელ მადაროელებსა და ბათუმელ მუშებს.

„ბელორუსული ნოველების“ ციკლში მწერალი ასახავს მოძმე ბელორუსი ხალხის საუკეთესო შვილთა თავგანწირულ ბრძოლას სოციალური მონობისა და ტირანიის წინააღმდეგ. ნოველაში „მახრა“ სამოქალაქო ომის მძაფრი და მრისხანე დღეებია ასახული. ხოლო „სკირგაილო“ მოგვითხრობს ბელორუსი ხალხის ქედუხრელი ბრძოლის შესახებ, მისი ისტორიის შორეულ წარსულში — ფეოდალური ტირანიის ეპოქაში. ყველა ამ ნაწარმოებში რ. გვეტაძე ნოველას ქანრის დახელოვნებულ ოსტატად გვევლინება. სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათ უნართან ერთად მწერალი იჩენს ადამიანური ხასიათების მკაფიოდ გამოკვეთისა და ყოფაცხოვრებითი სურათების კოლორიტულად დახატვის ძალასაც. ასეთივე ღირსებით ხასიათდება ნოველები „ბოთე“ და „შემთხვევა კოჭრის გზაზე“.

მაგრამ ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაში რ. გვეტაძის ადგილი და როლი მისი ოთხი ძირითადი ნაწარმოებით განისაზღვრება. ესენია რომანები: „თეო“, „ქიაკოკონა“ და „ლაშაური საღამოები“ და ნოველების წიგნი „მარტალი ნოველები“.

რომანი „თეო“ რ. გვეტაძემ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში დაწერა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა ნიადაგზე სამწერლო ინტელიგენციის სასიცოცხლო ძალები, დარწმუნებულნი რევოლუციის საქმის სიმართლესა და ძლევამოსილებაში, ერთსულოვნად ირაზმებოდნენ პარტიის პოზიციების გარშემო და აქტიურად ებმებოდნენ სოციალისტური კულტურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. იწყებოდა საბჭოთა ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი აღმავლობა, მწერლობაში მკვიდრდებოდა სოციალისტური სინამდვილის კონკრეტული თემატიკა. რ. გვეტაძის „თეო“ ამ პროცესის მომასწავებელი ერთი პირველი წიგნთაგანი იყო ქართულ ლიტერატურაში.

რომანი ასახავს საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და სოციალისტური აღმშენებლობის პირველ პერიოდს, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ამ განახლების დიად ეპოქაში როგორი გარდაუვალი განწირულებით დაქანებულა უფსკრულისაკენ რეაქციული სამყარო (პერსონიფიცირებული მემამულის ყაფლანის სახეში) და ამავე დროს როგორი სისწრაფით და მძლავრი ტემპით ამოდიან ცხოვრების ზედაპირზე ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები. — ახალი ცხოვრების ღირსეული მესვეურები და მესაჰენი.

რომანის საექსპოზიციო ნაწილი მოიცავს რევოლუციის წინა პერიოდს — რეაქციის მძვინვარების წლებიდან დაწყებული; მკითხველის თვალწინ გაივლის პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის სურათები, შემდეგ კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურის ხანა და ქართველი ხალხის გამირული რევოლუციური ბრძოლა მენშევიკური რეჟიმის ბატონობის დამხობისათვის, საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის. რომანის შემდეგი ძირითადი ნაწილი უკვე უშუალოდ საბჭოთა საქართველოს ზრდის პირველ პერიოდს გამოხატავს.

ჩვენი ქვეყნის ამ ღრმა მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენების ფონზე განავითარებს ავტორი რომანში მოთხრობილ ამბავს, ამ მოვლენებთან დაკავშირებით გვიჩვენებს თავის გამირთა თავგადასავალს, რომელშიც სოციალურ ფენათა, წოდებათა, კლასთა ურთიერთობის ისტორიაა განსახიერებული.

ახალგაზრდა თავადი ყაფლანი, დიდი მემამულის შვილი, უცხოეთში განათლება მიღებული, სამშობლოს დაუბრუნდა იმ განზრახვით, რომ პროგრესისა და განათლების შუქი შეეტანა ქართლის სოფელში, შეემსუბუქებია ხალხის მძიმე, დუხჭირი ხვედრი. მაგრამ საკუთარი მამულის მოვლა-პატრონობით გართულმა ყაფლანმა მალე დაივიწყა თავისი ჰაბუკური გატაცებანი. მან ცოლად შეირთო თავადის ასული, მშვენიერი თინათინი, დასახლდა მამა-პაპისეულ

სახლეში და ხელი მიჰყო ჩვეულებრივ მემამულურ ცხოვრებას, რომელიც უზრუნველ ხელგაშლილობასა და ღრეობასთან ერთად მშრომელი ხალხისადმი ვერაგული დაუნდობლობით ხასიათდებოდა. ფეოდალური წოდების უკანასკნელი მოდგმის ცხოვრების ამგვარ მკვეთარ სურათს წარმოადგენს რომანში მოთხრობილი ეპიზოდი ყაფლანის მიერ თავისი ასულის თეოს ნათლობის მეორე დღეს მთიანი ბუნების წიაღში გამართული მდიდრული ღვინისა, რომლის დროსაც შეზარხოშებულმა ყაფლანმა, სტუმრების წინაშე თავის მოწონების მიზნით, ხმლის ერთი მოქნევით თავი წააგდებია მოზვერს, რომელზეც თავის არსებობის მთელ იმედსა და სასოებას ამყარებდა ღარიბი გლეხის, გიორგის ოჯახი.

მაგრამ სოფელი და გლეხობა ამ დროისათვის უკვე ისეთი აღარ არის, როგორც ოდესღაც ყოფილა. ხალხის თავზე უკვე გადაუვლია რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხალს, რომელსაც ღრმა კვალი დაუტოვებია ხალხის გულსა და შეგნებაში. რომანში მოქმედებს რკინიგზელი მუშა თანდილა, რომელიც რევოლუციურ აზრსა და სულისკვეთებას ნერგავს გლეხობაში; თვით ღარიბი ახალგაზრდა გლეხი გიორგი უკვე თავისი ბატონის წინაშე ქედმოხრილი მონა როდილა არის. ყაფლანის ვერაგობით გაცოფებული, იგი უშიშრად მიეჭრა ზეიად თავადს, სტუმრების თანდასწრებით მკაცრად ამხილა მისი გაუმაძღრობა და ვერაგობა და ხელდახელ დააპირა შებმა უსაზღვროდ საძულველ ფეოდალთან. მართალია, ყაფლანმა დასძლია უიარაღო გიორგი, ხმლით თავი მოჰკვეთა მას. მაგრამ ეს შემთხვევა ძვირად დაუჯდა თავადის ოჯახსაც: ამ საბედისწერო ორთაბრძოლამ ისეთი შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ყაფლანის ახალგაზრდა მეუღლე თინათინზე, რომ ეს უკანასკნელი განუკურნებლად დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა კიდევ.

მთელი ეს ამბავი სიმართლით განასახიერებს სოციალურ ურთიერთობათა იმ სირთულესა და გამწვავებას, რომლითაც ხასიათდებოდა სოფლის ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში, — სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში.

ასეთ საზოგადოებრივ გარემოცვაში ყალიბდებოდა რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის — მირზას შეგნება და ხასიათი. მირზა, აჭარელი ღარიბი გლეხის ბიჭი, შინაყმის მდგომარეობაში ცხოვრობდა და იზრდებოდა ჯერ თინათინის მშობლების ოჯახში, შემდეგ ყაფლანის სასახლეში. იგი ბავშვობიდანვე თან-შეზრდილი იყო ყაფლანის ერთადერთ ასულ თეოსთან; თეო და მირზა გულწრფელი ურთიერთთანაგრძნობით გაიმსჭვალნენ. ეს ურთიერთობა შემდეგში სპეტაკი სიყვარულის გრძნობად გადაიზარდა, თუმცა ამ გრძნობის განვითარებას წინ ეღობებოდა წოდებრივი და სოციალური უფსკრული, რომელიც ქალ-

ვაეს შორის არსებობდა. წამოზრდილი მირზა, რომელსაც ბატონის ნახირის მწყემსობა დაეკისრა, აღვილად მოიქცა თანხილას რიგოლოჟიური განწყობილებათა ზეგავლენაში. მალე თანდილას მეშვეობით მირზა მოწინავე მუშათა არალეგალურ ორგანიზაციას დაუკავშირდა და გატაცებით ჩაება მის საქმიანობაში. პირველმა იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც აუწერელი საშინელება დაატრიალა ხალხის თავზე, გამოიწვია მშრომელთა რევოლუციური შეგნების ზრდა და მირზა უფრო მეტი გაბედულებითა და პირდაპირობით გაჰყვა რევოლუციური ბრძოლის გზას. ერთ დღეს, როცა მთელი სოფელი ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცებს მიაცილებდა, რკინიგზის სადგურზე შეკრებილი ხალხის გულსაკლავი გოდება გაისმოდა, მირზამ თავისი საღამურით მარსელიოზის ჰანგი ააქურა და ძლივძლივობით დაუძვრა ხელიდან გააფთრებულ ქანდარმებს.

ომს მოჰყვა თებერვლის რევოლუცია. მალე კონტრრევოლუციური მენშევიკური ხელისუფლება დაეპატრონა საქართველოს. გადაჭარბებული გამოდგა რევოლუციის პირველი დღეებით აღძრული, როგორც ხალხის აღტაცება და სიხარული, ისე ყაფლანის შიში. მენშევიკურ წყობილებას არსებითად არაფერი შეუცვლია სოციალურ ძალთა ურთიერთობაში. საქართველო უცხოელ დამპყრობთა სათარეშო ასპარეზად იქცა, მემამულეები და სპეკულიანტები კვლავ გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მშრომელი ხალხი აუტანელ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას განიცდიდა. ესკიზურად, მაგრამ მკვეთრი შტრიხებით დახატული სურათებით გადმოგვეცემს მწერალი მენშევიკების ბატონობის წლებში ქართველი ხალხის ცხოვრების ნამდვილ ვითარებას: კინემატოგრაფიული სისწრაფით გაივლის ჩვენს თვალწინ გლეხობის, მუშათა კლასის, თავადაზნაურობის, ბურჟუაზიულ-სპეკულიანტური წრეების, ინტელიგენციის სხვადასხვა ფენათა ყოფისა და მდგომარეობის დამახასიათებელი სურათებისაგან შედგენილი პანორამა. ბოლშევიკური პარტია მეთაურობს ხალხის მოწინავე ნაწილის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. მირზა ბოლშევიკთა რიგებში იბრძვის. ბაქოდან პარტიული დავალებებით თბილისს ჩამოსული იგი შეხვდა გიმნაზიელ თეოს. მათ გულში არ ჩამქრალა ადრინდელი გულწრფელი ურთიერთმისწრაფება, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოვრების მდინარება სხვადასხვა მიმართულებით მიაქანებს მათ. მირზა ერთგულად მიჰყვება თავის მიერ არჩეულ გზას. პატიმრობა, გადასახლება, ანაღვ თავდადებული რევოლუციური მუშაობა — ასეთია მისი ცხოვრება მენშევიზმის ბატონობის წლებში.

ღრმავდება და ძლიერდება ხალხის აქტივობა ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის. მენშევიკური გვარდია უძლურია შეაჩეროს ისტორიის კანონ-

ზომიერი მსვლელობა. ბრძოლა მთავრდება მენშევიკური მთავრობის უცხოეთში გახიზვნით, ჩვენს სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ამ დღიდან ძირფესვიანად იცვლება ქვეყნის ცხოვრება და, მაშასადამე, სოციალურ ძალთა ურთიერთობაც, მათი ბედიც.

განახლებულ საბჭოთა სოფელში ნიადაგი ეცლება პარაზიტ-მემამულეთა ცხოვრებას. ყაფლანი იძულებულია თავისი ასულით ქალაქს მიაშუროს და იქ მცხოვრები ნათესავების ოჯახს შეაფაროს თავი. მაგრამ რევოლუციის სინამდვილე აღარ უტოვებს ყაფლანის ტიპის ადამიანებს არც ერთ მშვიდობიან და მყუდრო თავშესაფარს... თავისი უახლოესი ადამიანის, ღვიძლი დის ოჯახშიც კი ყაფლანი მწვავე წინააღმდეგობას წააწყდება; ყაფლანის დისწული, პატიოსანი და გონიერი ახალგაზრდა ინტელიგენტი ირაკლი საბჭოთა ხელისუფლებას და ბოლშევიკურ პარტიას მიმხრობია. ბიძა-დისწულს შორის შეხედულებათა სხვაობა თავს იჩენს ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობაშიც. ყაფლანი იძულებულია გაექცეს ამ ოჯახსაც და თავის ასულთან ერთად თავი შეაფაროს ავღაბრის ბაზრის კუთხეში დაქირავებულ ბნელსა და ნესტიან სარდაფს. ამ სარდაფში თეოს ფიზიკურ დაუძლეობასთან ერთად მორალური განადგურებაც მოელოდა. ის კინალამ მსხვერპლი შეიქნა ყასაბ ტიგრანას ცხოველური ზრახვებისა. დასაღუპად განწირული თეო გაექცა ამ საშინელ სოროს და კვლავ მამიდის ოჯახს დაუბრუნდა. ყაფლანი კი ჭიუტად გაჰყვა თავის გზას, რომელიც მას კიდევ მეტი დამციობისა და დაკნინებისაკენ მიაქანებდა.

და რაც უფრო დაბლა ეშვებოდა ყაფლანი და მისი მსგავსი ადამიანების სამყარო, მით უფრო დაწინაურდა და მაღლა მიიწევს მირზა — ასეთია რევოლუციური ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების ლოგიკა.

მორიგ პარტიულ ყრილობაზე ირაკლი შეხვდა მირზას. ეს უკანასკნელი პარტიას ხელმძღვანელ სამუშაოზე გაუგზავნია საბჭოთა აჭარაში. მირზა თავდადებით მუშაობს მშობლიური კუთხის, აჭარის ცხოვრების გარდაქმნისა და განათლებისათვის. ამ მუშაობაში ღრმომოჭმული ადათჩვეულებისა და რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო დავაჟკაცებულა და გამოწრთობილა მირზა. იგი ახლა ახალი საქართველოს მშენებელთა და მესვეურთა რიგებში დგას. ირაკლიმ შინ მიიპატიჟა მირზა. მოულოდნელი იყო მირზას შეხვედრა თეოსთან. მათ შორის მალე გაიღვიძა ღიღი ხნით გულში ნატარებმა გრძნობამ, ისინი საბოლოოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ყაფლანი ვერ შეურიგდა ამგვარ „დამციობას“, რომ მისი ასული ცოლად გაჰყვა მისივე ნამოქამაგირალს. ყოფილმა თავადმა არჩია გამხდარიყო ბაღდახინის გამყოლად. მის ნამოსახლარზე კი ახალი ცხოვრება გაჩაღდა. სოფლად ჩამოყალიბებულმა კოლმეურნეობამ სკოლა, კლუბი, კოოპერატივი და სხვა სა-

სოფლო-საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოათავსა ყაფლანისეულ სასახლე-ში.

ასე დამთავრდა რომანში ასახული ჭიდილი და ბრძოლა ორი სამყაროსი. როგორც ვხედავთ, ნაწარმოები ღრმად არის გამსჭვალული ძველი. რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულების რწმენით, ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების და მის შემოქმედ ადამიანთა ძლევამოსილების იდეით. ამ იდეას მწერალმა ხორცი შეასხა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული კონკრეტული ყოფითი მასალით, რომელიც რეალისტი მწერლის მახვილი თვალით არის დანახული და ბუნებრივი თხრობის, დამაინტერესებელი სიუჟეტური კომპოზიციისა და ცხოვლად მეტყველი აღწერილობის ოსტატის კალმით არის დახატული.

„თეოში“ ასახულ საზოგადოებრივ მოვლენათა ფონზეა გაშლილი აგრეთვე რომანი „ჭიაკოკონა“. ეს ორი ნაწარმოები თავიანთი თემატიკით და იდეური მიზანდასახულობით დიდად უახლოვდება ერთმანეთს. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „ჭიაკოკონა“ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის სოფლის ყოფაცხოვრებით მასალაზეა აგებული და ამასთანავე აქ არა მაღალი ფეოდალური წრის ადამიანები, არამედ გლეხები, გაღატაკებული აზნაურები, სამღვდელობისა და ჩარჩ-ვაჭრული ფენების წარმომადგენლები მოქმედებენ.

კიდევ უფრო ღრმად და მეტი სიმახვილით გვიხატავს მწერალი „ჭიაკოკონაში“ რევოლუციამდელი სოფლის სოციალურ დიფერენციაციას, იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც თანდათანობით მწვავედობდა სოფლად მოქმედ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა შორის პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის წინა წლებში.

ძმების — თეოფილესა და ხოსროს ურთიერთობა. რომელიც ნაჩვენებია რომანის პირველსავე სურათში, ტიპიური გამოხატულებაა გლეხობის სოციალური დიფერენციის პროცესისა. ერთი მხრივ, პატიოსანი მშრომელი, ღარიბი გლეხი თეოფილე, რომელიც გარდა მიწის მუშაობისა, ხშირად მიმართავს ხოლმე ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებსაც, ხოლო მეორე მხრივ. — თავიდანვე ქალაქს შეკედლებული, ვაჭრობა-მიკიტნობით გამდიდრებული და ახლა პარაზიტულ და მჩაგვრელ ძალად სოფელს მოვლენილი ხოსრო, — ამ ორ მკაფიოდ დაპირისპირებულ ადამიანურ ხასიათში პერსონაფიციურებულია გლეხობის წიაღში აღმოცენებულ მოწინააღმდეგე სოციალურ ფენათა ბუნება. ხოსროს გარშემო იკრებიებიან სოფლის რეაქციული ელემენტები: მისი სიმამრი — გაღატაკებული აზნაური მირიან მხეიძე, მოწამეთის არქიმანდრიტი ესტატე, თვითმპყრობელური რეჟიმისა და შემდეგ მენშევიკური წყობილების მოხელე-

ები, ოფიცრები, გვარდიელები და სხვ. თეოფილეს ოჯახთან კი დაკავშირებულნი არიან მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილები: თადეოზ მორჩაძე, როინ ზაუტაშვილი, ბოჩი გვეტაძე და სხვ. ამ ორი ურთიერთმოწინააღმდეგე სამყაროს ისტორიული ბედია გამოხატული რომანში ჩვენი ეპოქის ისეთ ისტორიულ მოვლენათა ვითარებაში, როგორც იყო პირველი იმპერიალისტური ომი, თებერვლის რევოლუცია, მენშევიკური დიქტატურის დასამხობად ჩვენი ხალხის მიერ წარმოებული თავდადებული ბრძოლა და ამ ბრძოლის დიდებული შედეგი — საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარება.

მწერალს არა მარტო უნარი შესწევს სწორი და მართალი გაშუქება მისცეს ესოდენ რთულ სოციალურ მოვლენებს, არამედ ამასთანავე იგი იჩენს ძალას ეს მოვლენები კოლორიტულად დახატულ საყოფაცხოვრებო სურათების, ტიპიური სახეებისა და მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების, გონებათმახვილურად მოფიქრებული სიუჟეტურ სიტუაციების მეშვეობით განასახიეროს.

რომანის რთული სიუჟეტური კომპოზიციის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ახალგაზრდა გლეხი ქალის — ირმას ცხოვრების ისტორია. ირმას თავგადასავალის გარშემო იყრიან თავს ამ ნაწარმოების მრავალწახნაგოვანი სიუჟეტის მამოძრავებელი კონფლიქტები.

ღარიბი გლეხის — თეოფილეს გოგონა ირმა, ბავშვობაშივე იქცევა ყურადღებას თავისი სიმკვირცხლით, კეთილი გულით, სილამაზით. მას შური და ბრძნით შესცქეროდნენ სიმდიდრით გალადებულნი, მაგრამ უშვილობით გაცოფებული ბიძა-ბიცილა, ხოსრო და კესო. ბავშვობაშივე დაუმიგობრდა ირმა თავის თანატოლ გლეხის ბიჭს როინ ზაუტაშვილს. ეს მეგობრობა მალე შეიცვალა სიყვარულის მგზნებარე გრძნობით, რომელსაც მრავალი გადაულახავი დაბრკოლება გადაეღობა.

როინი ახლო მეგობარი იყო თადეოზ მორჩაძისა. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მორჩაძე ფრონტზე გაიწვიეს. ომიდან იგი გაბატონებული კლასებისადმი ზიზღით გამსქველული დაბრუნდა, მაგრამ მისი ასეთი განწყობილება ნათელ რევოლუციურ შეგნებას როდი ემყარებოდა. უფრო ბუნტარული მემბოხე სულისკვეთების თადეოზ მორჩაძემ ოფიცერი მოკლა და ყაჩაღად გავარდა. ვინაიდან თადეოზი „არსენასავით“ მდიდრებს ერჩოდა. ზოლო ღარიბებს მფარველობით ეპყრობოდა, მენშევიკური რეჟიმით უკმაყოფილო გლეხობაც ფარავდა და ეხმარებოდა მორჩაძეს.

მთავრობა დევნიდა მორჩაძის დამფარველ გლეხებს და ასეთთა შორის შეპყრობილ იქნა როინ ზაუტაშვილის მამაც, რომელსაც მენშევიკური ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სასტიკად სცემეს. შურისძიების გრძნობით შეპყ-

რობილი როიხი შორჩაძეს შეუერთდა და მალე მისი უახლოესი თანამებრძოლი გახდა. როინმა არა მარტო საძაგიერო გადაუხადა ყაჩაღ ძოწენიძეს, რომელმაც მენშევიკური წყობილების მესვეურებთან შეხმატკბილებული, ხალხის მძარცველი და შემავიწროებელი ჩარჩის ხოსროს შთაგონებით მოლაღატურად მოჰკლა მორჩაძე, არამედ სასტიკად იძია შური თვით ხოსროზეც, — სახლ-კარი გადაუწვა და შემდეგ მოჰკლა კიდეც.

ვიდრე როინი ტყვეს იყო შეფარებული, ირმა შეუყვარდა მასწავლებელს, ოქროპირს. ეს უკანასკნელი მღვდლის შვილი იყო. სიჰაბუკიდანვე იგი გატაცებული იყო სოციალური პრობლემებით და მარქსისტული მოძღვრებით. შემდეგ მენშევიკებს მიეკედლა და ამ ანტიხალხური პარტიის დიქტატურის წლებში ქუთაისის გვარდიის შტაბის უფროსის პოსტიც მოიპოვა. ასეთი მდგომარეობის პატრონმა ადვილად შესძლო განხორციელებინა თავისი მისწრაფება ირმას ცოლად შერთვისა. ამ საქმეში მას დიდი სამსახური გაუწია ხოსრომ, რომელიც ფრიად დაინტერესებული იყო ნათესავად მოკიდებოდა მენშევიკური ადგილობრივი ხელისუფლების ამ ერთ-ერთ ბურჯს. ქორწინების დღესვე როინ ზაუტაშვილმა გაიტაცა ირმა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ტყვეში გავარდნილ კაცს არ შეეძლო თავის მძიმე და სახიფათო გზაზე გაეყოლებინა ახალგაზრდა ქალი. ირმა იძულებული გახდა ქმარს დაბრუნებოდა, თუმცა ამ შემთხვევის შემდეგ ოქროპირთან მისი ცხოვრება კიდეც უფრო აუტანელი უნდა ყოფილიყო. მართლაც ირმამ ვერ აიტანა მისთვის უცხო და შეუთვისებელი ოქროპირის ჰერქვეშ ცხოვრება და იძულებული გახდა გაქცეულიყო ქმრის ოჯახიდან. მრავალი ტანჯვით და მწუხარებით გატეხილს აღარსად ეგულებოდა მყუდრო და სასურველი თავშესაფარი. მას აღარაფერი ახარებდა ამქვეყნად და ამიტომაც ანგარიშმიუცემელი განწირულებით შეერთო მდინარის ტალღებს. დასახრჩობად განწირული ქალი შემთხვევით გადაარჩინა მეწისქვილე ბოჩი გვეტაძემ, მან მოასულიერა, თავისთან შეიფარა და დიდი მზრუნველობა გაუწია ირმას.

ბოჩი გვეტაძეს ჰქონდა გავლილი ცხოვრების არა ნაკლებ მძიმე გზა, მასაც მრავალი მწუხარება და ტანჯვა აგემა ცხოვრებამ. მას თვალწინ, შემზარავად ტრაგიკულ ვითარებაში დაედგა თავისი უსაყვარლესი არსება ხათუნა. ამ შემთხვევამ ბოჩის გული ააყრევინა ცხოვრებაზე, დაუკარგა ხალისი და რწმენა ბედნიერების ძიებისა უსამართლო და უკუღმართ საზოგადოებრივ ვითარებაში. დაბოლოს, იმ წისქვილს შეაფარა თავი, რომელშიც დახრჩობისაგან გადარჩენილი ირმა შეიხიზნა.

ერთხანს ირმასა და ბოჩის შორის მხოლოდ გულწრფელი მეგობრული ურთიერთობა სუფევდა, მაგრამ ბოლოს ეს ორი თანაბარი ბედის ადამიანი ტრფილების გრძნობამ დააკავშირა ერთმანეთთან. ეს ნათლად შენიშნა როინ ზაუტა-

შვილმა, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოვევლინა ირმას გვეტაძის წისქვილში. ჩანს, რომინის გულში დაუცხრომლად ღვიოდა ირმასადმი სიყვარული და განუწყვეტლევ მოელოდა ამ გრძნობის გამარჯვების შესაფერ შემთხვევას. რომინმა უსიტყვოდ დატოვა ბოჩი გვეტაძის წისქვილი. აქ დაესვა წერტილი ირმასა და რომინის ურთიერთობას და აქ მთავრდება რომანის ძირითადი ნაწილიც.

„ჭიაკოკონას“ გმირთა შემდგომ ბედს ჩვენ ეპილოგში ვტყობილობთ. ამ დროისათვის საქართველო უკვე განთავისუფლებულია მენშევიკური დიქტატურის რეჟიმისაგან. ცხოველი რეალისტური ფერადებით დახატულ სურათებში გადმოგვცემს მწერალი იმ უბადრუკობას, სრულ პოლიტიკურსა და მორალურ გაკოტრებას, რომელიც განიცადა ხალხისაგან შეზიზღებულმა და აპიტომაც დასაღუბად განწირულმა მენშევიკურმა ხელისუფლებამ. ოქროპირიც სამშობლოდან გაძევებულ მენშევიკურ მთავრობას გაჰყვა უცხოეთში და მას შემდეგ მისი კვალი სამუდამოდ დაიკარგა.

სოფლად გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ გამოაცოცხლა ირმა და ბოჩი. ისინი თეოფილეს ოჯახში დასახლდნენ. გამრჯე, ჭკვიანმა და დიდი ადამიანური გულის მქონე ბოჩიმ მალე მოიხვეჭა ახალი მეზობლების სიყვარული და პატივისცემა. იგი განახლებული სოფლის მესვეურთაგანი გახდა და მალე საბჭოთა ხელისუფლების რაიონულ ორგანოს ჩაუდგა სათავეში. რომინ ზაუტაშვილი კი ახალი საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის — რიონქესის მშენებელთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდა.

ყოფილი აზნაური მირიანი კი ამ დროს ქუთაისის ერთ მივარდნილ ქუჩაზე გახსნილ პატარა დუქანში წურბელებით ვაჭრობდა, ხოლო მისი დაქვრივებული ქალიშვილი კესო, რომელიც ხოსროს სიკვდილის შემდეგ ყოფილ არქიმანდრიტს ესტატეს წაყოლია ცოლად, თავის ახალ ქმართან ერთად დასახლებულა ქალაქის ერთ-ერთი სასაფლაოს კუთხეში. ესტატე ფოსტაში მოეწყო წერილების დამტარებლად და ამ საქმეშიც ახერხებდა წვრილმანი კომბინაციებისა და ბნელი საქმეების გაკეთებას, რის გამოც ბოლოს ციხეში ამოჰყო თავი.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ რომანის გმირთა ესოდენ დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალში ავტორმა გამოხატა ის შეუპოვებელი ბრძოლა ორ სამყაროს შორის, რომელმაც განსაზღვრა ჩვენი ეპოქის შინაარსი და რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით დაგვირგვინდა. როგორც „თეოს“ ისე „ჭიაკოკონას“ ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს. თუ როგორ დააქანა უფსკრულისაკენ ჩვენმა რევოლუციურმა თანამედროვეობამ რეაქციული სამყარო, ხოსროების, მირიანების, ოქროპირებისა და ესტატეების სამყარო, როგორ აამაღლა და ცხოვრების საჭესთან დააყენა ჩვენმა დიადმა.

დროებამ მრავალ ჩაგვრასა და დევნაში გამოწრთობილი შვილები მშრომელი ხალხისა: როინი, ბოჩი, ირმა და მათი მსგავსნი.

მწერალი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა გზით მივიდა მორჩადის ყოფილი უახლოესი თანამებრძოლი როინ ზაუტაშვილი სოციალიზმის მშენებელ მოწინავე ადამიანთა მდგომარეობამდე. გმირის იდეური ზრდის ეს პროცესი არ გაუხდია „ქიაკოკონას“ ავტორს თავისი თხრობის საგნად. ამასთანავე ბოჩის ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა სოფლის სარბიელზე მხოლოდ გაკვრით არის მინიშნებული რომანში, ნაწარმოების ეპილოგში. ამრიგად, რომანის მთავარ გმირთა თავგადასავალის თხრობაში საგრძნობი ხარვეზია დატოვებული და ეს ხარვეზი ამ ადამიანთა ცხოვრების ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს ფარავს ჩვენი თვალთახედვისაგან.

ამ ფრიად სერიოზული ხარვეზის მიუხედავად, რომანი „ქიაკოკონა“ ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაში ერთ-ერთ საყურადღებო ნაწარმოებად უნდა იქნეს მიჩნეული. მისი დადებითი იდეურ-ესთეტიკური მნიშვნელობა სავსებით უდავოა და თვალსაჩინო.

ფრიად ორიგინალური კომპოზიციური ხერხით არის აგებული რომანი „ლაშაური საღამოები“. იგი შეიცავს ისეთ ნოველათა წყებას, რომლებიც თემატიკურად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი. ხანგრძლივად დაავადებულ ლაშას სანახავად ხშირად იკრიბებიან მისი უახლოესი მეგობრები და მოწყენილობის გასაფანტავად თითოეული მათგანი მოუთხრობს შეკრებილთ რაიმე ამბავს. აი ამ ნაამბობის სახით არის ჩართული „ლაშაურ საღამოებში“ სრულიად სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ნოველები: „ზღვა და სიყვარული“, „შემთხვევა კოჭრის გზაზე“, „ჩაფხან დაღეშქელიანი“, „ოქროს მამალი“, ხოლო უკანასკნელი ნოველა „ტატაშ ხვარი“ რომანის ერთ-ერთმა პერსონაჟმა რაიბულმა წაუკითხა უკვე ზღვისპირა აგარაკზე დასასვენებლად ჩასულ ლაშას.

თავისთავად ეს ნოველები, ყოველი მათგანი დამოუკიდებელ მხატვრულ ქმნილებებს წარმოადგენენ, რომელთაც ზემოთხსენებულ კომპოზიციურ ხერხებს გარდა საერთო სტილებრივი ნიშნები აერთიანებენ. ყოველი მათგანი დახვეწილი, პოეტურად ამალღებული ენით არის დაწერილი, დინამიკურად განვითარებული მათი სიუჟეტი მთავრდება მოულოდნელი სიტუაციით. ცალკე აღებულს, ყოველ მათგანს აქვს თავისი იდეური მიზანდასახულობა, მათში ცხოვლად არის ასახული აღებულ ეპოქის ხასიათი, პერსონაჟების ინდივიდუალური და სოციალური ბუნება.

ნოველა „ზღვა და სიყვარული“ მოგვითხრობს ძველი ფორმაციის ქართ-

ველი ინტელიგენტის — ილიას რომანტიკულ თავგადასავალს. უცხოეთიდან დაბრუნებულს და ჰუმანური იდეალებით გატაცებულ ილიას შემთხვევა მიეცა თავგანწირულად გადაერჩინა დაღუპვისაგან, მძვინვარე ხანძრისათვის გამოეტაცნა მშვენიერი გოგონა, მზევინარი. ამ შემთხვევის შემდეგ ილია დაუახლოვდა მზევინარის ოჯახს, მას მოეწონა და შეუყვარდა ქალი და ცოლად შეირთო იგი. მზევინარს კი სხვა ვაჟი უყვარდა და ბედნიერი არ იყო ილიასთან. ქალი თავისი პირველი სიყვარულის სევდამ შეიპყრო და დაასნეულა. ილიამ არ იცოდა ცოლის ასეთი მდგომარეობის მიზეზი. მან სამკურნალოდ და გასართობად უცხოეთს წაიყვანა მზევინარი, მაგრამ, ქალს არაფერი ეშველა, იგი უცხოეთში გარდაიცვალა. ილიამ მოიწადინა საყვარელი არსების ცხედრის შენიღბულად წამოღება სამშობლოში. გემზე ცხედარი აღმოაჩინეს და დადგენილი წესის მიხედვით ზღვაში გადაიხროლეს. საბოლოო თავგანწირვით ილიამ ზღვის ტალღებს გამოსტაცა მზევინარის ცხედარი და იგი საკუთარ სოფელში დაასაფლავა, თვითონაც სოფლად დასახლდა, რათა მუდმივად ახლო ყოფილიყო მზევინარის სამარესთან. ერთ დღეს ილიას ვიღაც მათხოვარი მიადგა კარს. უცნობმა გაიგო თუ სად იყო დაკრძალული მზევინარი, დაემხო მის საფლავზე და აქვითინდა. ეს ის ვაჟი იყო, რომელსაც ოდესღაც მზევინარი წმინდა ჭაბუკური გატაცებით უყვარდა და რომელიც ასე მოუტეხია და დაუძებუნებია სიყვარულში განცდილ მარცხს. ილიამ მხოლოდ ახლა გაიგო მზევინარის სევდა, მისი დაავადების და დაღუპვის მიზეზი.

ასე სქემატურად გადმოცემული სიუჟეტიც ამ ნოველისა მკითხველს წარმოდგენას მისცემს „ლაშაურ საღამოებში“ ჩართული ნოველების ხასიათის შესახებ, როგორც ვთქვით, ამ ნოველების თემატიკა სრულიად სხვადასხვაგვარია. მათი სახით ხან რევოლუციამდელი ქუთაისის ლიტერატურული ბოჰემის ცხოვრების სურათი გადაგვეშლება თვალწინ, ხან ფეოდალური შთამომავლობის აფხაზი, ტატამ ხვარის ოჯახში დატრიალებული უცნაური დრამის მოწმენი ვხდებით, ხან თბილისის მაღალი არისტოკრატიული წრის საკრებულოში მომხდარ საბედისწერო ინცინდენტს ვტყობილობთ, ხან კიდევ საქართველოში საკოლმეურნეო სოფლის დამკვიდრების დამახასიათებელ ეპიზოდებს ვხედავთ.

ამ ნოველების უპირველესი თავისებურება ის არის, რომ მათში მოთხრობილი ამბავი, უცნაური და მოულოდნელი განვითარება-დაბოლოვების მიუხედავად. დამახასიათებელია იმ საზოგადოებრივი ფენებისათვის, რომლის წარმომადგენლებიც შეადგენენ ნაწარმოების პერსონაჟებს.

მაგრამ ეს ნოველები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ „ლაშაურის საღამოებში“, მინც არ განსაზღვრავენ რომანის ძირითად შინაარსს.

ამ ნაწარმოებში უმთავრესი მისი გმირი ქალის ზეინაბის სახეა, რომლის

ცხოვრების ისტორიაც ორგანულად არის შერწყმული რომანის მთელ კომპოზიციასთან. ზეინაბი ახალი ცხოვრების მშენებელი ქალის, მოწინავე საბჭოთა ქალის პირველი მხატვრული სახეთაგანი იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს სახე ღრმად გახსნილი და ყოველმხრივად გაშუქებული არ არის რომანში, იგი მაინც ერთ-ერთი მკაფიო პორტრეტთაგანია ქართული მწერლობის მიერ დახატულ ახალ ადამიანთა გალერეაში.

ისე, როგორც „თეოსა“ და „ქიაკოკონას“ მთავარ გმირთა ცხოვრების ისტორია, — ზეინაბის თავგადასავალიც დამარწმუნებელი ძალით გვინახავს რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულებას და მისი რღვევისა და დაღუპვის ნიადაგზე ახალი ადამიანის ზრდასა და ზეიმს.

ობოლი და უპატრონო ზეინაბი მოახლედ მსახურობდა ვიღაც ყოფილი გენერლის — კაციას ოჯახში. განახლებული ცხოვრების ფსკერზე მოქცეული კაცია ზეინაბსაც იმ წუმპისაკენ მიეზიდებოდა, რომელიც ისტორიამ კაციას მსგავს ადამიანებს განუმზადა, მაგრამ ზეინაბი გააფრთხილებით შეებრძოლა ამ საშიშროებას. იგი გაექცა კაციას ბუნაგს, თუმცა ამ ბუნაგიდან გამოყოლილი ჩირქი და წყლული შემდეგაც დიდად ართულებდა და აძნელებდა მისი ცხოვრების გზას. და თუ მაინც ზეინაბმა შეძლო საპატიო ადგილი მოეპოვებია ახალი ცხოვრების მშენებელთა შორის, ეს უნდა მიეწეროს, პირველ ყოვლისა, იმ ამალორძინებელ და ამამალლებელ ზეგავლენას, რომელსაც ახდენს ჩვენი გმირული სიწმინდე იქვე ცხოვრების კომპარით გზაგამრუდებულ ადამიანზე.

ამ ნაწარმოებში მწერალი გვერდს უვლის იმ ამოცანას, რომ გვიჩვენოს თუ რა გზით და როგორ ამალდა ზეინაბი იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იგი აღმოჩნდა ლაშას მეგობართა შორის მისი გამოჩენის დროს. ჩვენ მხოლოდ „შედგის“ მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზეინაბის იმ იშვიათ სულიერ ღირსებათა შესახებ, რომელთა მეოხებითაც მას დაუძლევია მრავალი დაბრკოლება და ასეთ სიმალღეზე, — ღირსეული და მოწინავე საბჭოთა ადამიანის სიმალღეზე ასულა.

რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველები“ სამამულო ომის პერიოდის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთი საყურადღებო ნაწარმოებია. თორმეტი ნოველისაგან შედგენილი ეს ციკლი მთლიან მხატვრულ ქმნილებას წარმოადგენს არა მარტო პერსონაჟების ერთიანობის მეოხებით, არამედ იმიტომაც, რომ თითოეული ამ ნოველთაგანი თანმიმდევრულად განაგრძობს და ღრმა შინაგანი ლოგიკურობით განავითარებს მთელ ციკლში აღწერილ მოვლენებს, მასში მოთხრობილ ამბავს.

ამ ნაწარმოების მთავარ გმირებს უკვე საბჭოთა ადამიანები შეადგენენ, ადა-

მიანები, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების ცხოველყოფილ გარემოცვაში აღზრდილან, დაეაყვებულან. ისინი შესისხლხორციებიან მშობლიურ საბჭოთა ატმოსფეროს და როგორც საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები, მზად არიან საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და თავისუფლება.

ამ ადამიანებს მწერალი გვიჩვენებს მათი ცხოვრებისა და მათი სამშობლოს ისტორიის ყველაზე მეტად დაძაბულსა და მრისხანე ვითარებაში — დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ასეთ გარემოცვაში „მართალი ნოველები“ გმირები მთელი სისრულით გამოაგლენენ თავიანთი სულიერი სამყაროს დამახასიათებელ თვისებებს, რომლებშიც დიდი განზოგადებითი ძალით არის განსახიერებული საბჭოთა ხალხის ხასიათის მაღალი ღირსებანი: მისი უანგარო პატრიოტული თავგანწირულება, გმირობა და ვაჟკაცობა, მორალური სისპეტაკე და კეთილშობილება.

ნაწარმოების ცენტრში დგას ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ტიპური სახე — პოლკის უფროსი ექიმი ნოდარი. „მართალი ნოველები“ მანძილზე ჩვენ ვხედავთ ამ პერსონაჟს სხვადასხვა მდგომარეობაში და მისი ყოველი ახალი გამოჩენა, ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, განცდა და ფიქრი სულ უფრო და უფრო სრულად წარმოადგენს მას, როგორც დადებითი საბჭოთა ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს ხორცშესხმულ განსახიერებას.

აი, ნოდარი საბჭოთა არმიის მიერ დაკავებულ ერთ-ერთ უკრაინულ სოფელში პოლკის საექიმო პუნქტის მოწყობას ხელმძღვანელობს. დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, დასახული ამოცანის განხორციელების ურყევი ნებისყოფით არის გამსჭვალული მისი ყოველი განკარგულება, საბჭოთა პატრიოტის მაღალი შეგნებულობით მოქმედებს და სულდგმულებს იგი. დაჭრილი მეზრძოლისადმი მის მზრუნველ დამოკიდებულებაში, თანამშრომლებთან და თანამეზრძოლებთან ურთიერთობაში, მოულოდნელად საექიმო პუნქტში მოსულ პარტიზან ქალთან — მარინასთან ნოდარის შეხვედრაში, გაცნობასა და განშორებაშიც, ყველაფერში ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ მაღალი ჰუმანურის გრძნობით აძგერებულ გულს, სპეტაკი მორალური შეგნებით, წრფელი გრძნობებით განათებულ ადამიანურ ხასიათს.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ ნოდარს ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულს, რომელიც ოცდამორჩევი ზედიზედ გადადის ტყვიების წვიმაში, რათა სიკვდილს გამოსტაცოს დაჭრილი საბჭოთა მეზრძოლები და ოფიცრები. არა ერთხელ პირისპირ შეხვედრია იგი სიკვდილის საფრთხეს, არა ერთხელ განუცდია მას უმძიმესი სულიერი ტკივილები, როცა ცეცხლიდან გამოსაყვანად მის მიერ ზურგზე აკი-

დებულის საბჭოთა მებრძოლი გაუგმირავს მტრის ტყვიას, და ყოველთვის ნოდარი რჩება მომხიბლავი ფიზიკური და სულიერი გამძლეობის ცოცხალ განსახიერებად, დევგმირი საბჭოთა ხალხის ღირსეულ შვილად, რომელსაც ყოველი ახალი საშიშროება, მწუხარება და უბედურება კიდევ უფრო მეტი გმირული საქმეებისათვის, კიდევ უფრო მეტი თავგანწირულებისათვის აქეზებს და ამოირავებს.

ბევრი რამ გადახდა თავს ნოდარს. მას მოუხდა შეეცვალა მის თვალწინ დაღუპული მეგობარი — უკრაინელი ოფიცერი პეტრო და მის მაგიერ წინ გაძლო ნოდარ ბრძოლის ცეცხლში ჩაბმულ სამხედრო შენაერთს. ნოდარმა განვლო გერმანელ დამპყრობთა ტყვეობიდან თავდაღწევისა და კვლავ მშობლიური საბჭოთა არმიის რიგებში დაბრუნების მრავალი ხიფათით აღსავსე გზა, განიცადა მძიმედ დაჭრით გამოწვეული ტკივილები და ბოლოს მის თვალწინ მტრის ყუმბარაქნაფლეთებად აქცია მისი უსაყვარლესი ადამიანი — მარინა.

ამ თავის მძიმე და ვრცელ საბრძოლო გზაზე ნოდარი მაღალი შეგნებითა და გონიერებით, ნათელი რწმენით და დაუშრეტელი სულიერი ძლიერებით დაჯილდოვებულ ადამიანად მოსჩანს, მან იცის გულითადი მეგობრობა, გულწრფელი და რაინდული ტრფიალება, სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებს მის გულში და ამ უწმინდესი გრძნობის შარავანდელით არის განათებული მთელი მისი არსება.

„მართალ ნოველებში“ მოთხრობილი ნოდარის საბრძოლო თავგადასავალი მთავრდება მისი ბრწყინვალე გამარჯვებით: სარდლობამ ნოდარი ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. ეს სწორედ ნოდარის დაბადების დღეს დაემთხვა. ამ დღეს ნოდარს 24 წელიწადი შეუსრულდა. თავისი გმირის ამ პირად გამარჯვებასა და ბედნიერებაში მწერალმა განასახიერა ის დიდი ბედნიერება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს უძლეველ სამშობლოს, ჩვენს ხალხს, უცხოელ დამპყრობელთა სისხლიან ურდოებზე მოპოვებული ბრწყინვალე, საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვების სახით.

მწერალმა დახატა სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის, სხვადასხვა ინდივიდუალური ხასიათის დადებითი საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვანი გალერეა. დაუვიწყრად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში გმირულად დაღუპული ოფიცერი პეტრო, თავდადებული სანიტარი კორენკო, მესანგრეები: სოლოვიოვი, დუმჩენკო, ქართველი ექიმი ალექო ყიფიანი, სამხედრო საექიმო პუნქტის მზარეული და მრავალი სხვ.

მწერალს შესწევს უნარი ყოველ ამ პერსონაჟს თავისი დამახასიათებელი თვისება მოუნახოს, ცოცხალ, სისხლ-ხორციით სავსე ადამიანებად დაგვიხატოს

ისინი, იმგვარ ადამიანურ ხასიათებად, რომლებიც თავიანთი ინდივიდუალური ღირსებებით თავისებური კუთხით აშუქებენ და განასახიერებენ საბჭოთა ხალხის ბუნებას, მის სწორუბოვარ ღირსებასა და უბირატესობას.

„მართალი ნოველები“ უმთავრესად სამამულო ომის საფრონტო ცხოვრების სურათებს ხატავს. მაგრამ ამ ნაწარმოებში ცხოვლად არის ასახული საბჭოთა ზურგის გმირული ბუნებაც, ხალხის განუზომელი სიძულვილი უცხოელ ოკუპანტების მიმართ, ხალხის ყველა ფენისა და ყველა თაობის ერთსულოვანი საბრძოლო დარაზმულობა.

ამ მხრივ უბირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მწერლის მიერ კოლორიტული საღებავებით დახატული მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც უკრაინის ერთ-ერთ სოფელში მშობლიური მზრუნველობით შეიფარეს ტყვეობიდან გამოქცეული ნოდარი და მისი მეგობრები. მოხუცი მასპინძელი სამოქალაქო ომის გმირი აღმოჩნდა, იგი თურმე სახელგანთქმული კიკვიძის სარდლობით ანადგურებდა მაშინ გერმანელ ოკუპანტებს, მოხუცი ახლაც სასოებით ინახავს კიკვიძის მიერ ნაჩუქარ ხმალს, როგორც ძვირფას რელიკვიას, როგორც წმინდა და მარადიულ სიმბოლოს ჩვენი ხალხის გმირული საბრძოლო ტრადიციებისა, საბჭოთა ხალხის განუყოფელი ძმობისა და საბრძოლო თანამეგობრობისა.

საბჭოთა ადამიანის მორალური სისპეტაკის, გმირობისა და ქედუხრელობის შესანიშნავ განსახიერებას წარმოადგენს საბჭოთა ქალიშვილის ვასილისას სახე. მან რაინდულად დაიცვა თავისი ღირსება და უმწიკვლობა, თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია გამხეცებული მტრის პირუტყველ ზრახვებს, სასტიკად შური იძია გერმანელ ფაშისტ ოფიცერზე, რომელმაც განიზრახა ფეხქვეშ გაეთელა საბჭოთა ქალიშვილის თავმოყვარეობა.

გაუგონარი მხეცობით აწამეს გერმანელებმა ვასილისა. „ყინულის ქანდაკებად“ ქცეული ამ შესანიშნავი საბჭოთა ქალიშვილის სახე გულის სიღრმემდე შემზარავი და თანაც მომხიბლავი გამოხატულება იმისა, თუ როგორი უშიშროებით ეგებებოდნენ სიკვდილს საბჭოთა ადამიანები, ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„მართალი ნოველების“ პერსონაჟთა შორის განსაკუთრებული კდემამოსილებით გამოირჩევა პარტიზანი ქალიშვილის — მარინა რადუმცევას პორტრეტი. მისი გარეგანი მშვენიერება და სულიერი მომხიბლაობა შთამაგონებელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რაოდენად ძვირფასი მსხვერპლის გაღებით მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ თავისი დიადი გამარჯვება უცხოელ დამპყრობთა ურდოებზე. მარინა ღირსეულად განასახიერებს ჩვენს წარმოდგენაში ჩვენი ხალხის იმ ერთგულ შვილებს, რომელთაც თავისი რაინდული სიკვდილით უზრუნველყვეს დედასამშობლოს სიცოცხლე და უკვდავება.

თავისი სიცოცხლის უქანასკნელ პერიოდში დაწერა რაყდენ გვეტაძემ ვრცელი მოთხრობა „ცხოვრება იწყება თავიდან“, რომელიც მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დამამთავრებელ ნაწარმოებს წარმოადგენს. ამ მოთხრობის მთავარი გმირი—ახალგაზრდა ქართველი ექიმი ბააკა მინდელი, დადებითი საბჭოთა ადამიანია. ამ პერსონაჟის სახით, მისი ცხოვრების მოთხრობით მწერალმა გამოხატა ჩვენი ხალხის მიერ სამამულო ომის მრისხანე დღეებში გამოჩენილი უმაგალითო გმირობა, ნებისყოფის ძალა, სულიერი მშვენიერება, გაუტეხელი და დაუძლეველი სიცოცხლისმოყვარეობა.

მართალია, ბააკას თავგადასავალში ბევრი რამ არის მოულოდნელიც, შემთხვევითიც და განსაკუთრებულიც, მაგრამ მთავარსა და არსებითში, როგორც ამ გმირის აზრებისა და ქცევათა ხასიათი, ისე მოთხრობაში აღწერილ გარემოებათა მთელი თანმიმდევრობა ტიპიურად განასახიერებს საბჭოთა ადამიანის ბუნებას, ჩვენი სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ძალას.

მრავალ მძიმე ხიფათსა და განსაცდელში გამოატარა მწერალმა თავისი მოთხრობის მთავარი გმირი.

ჩვენს სამშობლოზე ჰიტლერული ურდოების ვერაგულმა თავდასხმამ მკაცრად დაარღვია ბააკასა და მისი ერთგული მეუღლის ევდოს ბედნიერი ოჯახური ცხოვრება. ბრძოლის ველზე წასულმა ბააკამ თავის თავზე განიცადა ომის მთელი სუსხი და საშინელება. მან გამოცადა ტყვედ ჩავარდნის სიმწარეც, საკონცენტრაციო ბანაკში მონური ცხოვრების უმძიმესი დღეებიც. მაგრამ საბჭოთა პარტიოტი არასოდეს გამტყდარა სიძნელეთა წინაშე, იგი არასოდეს შერიგებია მძიმე ხვედრს, ტყვეობიდან თავდაღწეული საბჭოთა პარტიზანების რაზმს დაუკავშირდა და მასთან ერთად განვლო პარტიზანული ბრძოლის სასახლო გზა. ამ გზაზე მას თან დაჰყავდა პატარა მოლდაველი გოგონა, რომელიც სასიკვდილოდ განწირული იპოვა უდაბურ ტყეში.

ბრძოლის ქარცეცხლიდან გამოსული, სამშობლოს წინაშე გმირულად ვალმოხდილი ბააკა დაშავებული დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს. ბააკამ ცალი თვალი დაჰკარგა ბრძოლებში. ოჯახშიაც საშინელი ამბავი დაუხვდა მას. მისი გოგონა ცაბუ უბედური შემთხვევის გამო დაღუპულა, ხოლო ეს უბედურება ვერ გადაუტანია ბააკას მეუღლეს ევდოს და ისიც გარდაცვლილა. დაცარიელებულ ოჯახში ბააკას მარტო ევდოს სოფლელი მეზობელი სტუდენტი ქალი ვთერი დაუხვდა.

მძიმე იყო ბააკასათვის ყოველივე ამის გადატანა. მაგრამ საბჭოთა ადამიანმა გაუძლო ამ უმწვავეს ტკივილსაც. ახლა მის ერთადერთ სიხარულს შეადგენდა პატარა ნათელა, რომელიც ოდესღაც მან მოიყვანა საქართველოში.

მაგრამ ეს სიხარულიც მალე ხელიდან გამოეცალა. გოგონას მამას, მოლდაველ მასწავლებელს სიმო ლანდას, რომელსაც ომის დაწყებისთანავე ბრძოლაში ჩაბმულს ცოლ-შვილი დაუქარგავს, ომის დამთავრების შემდეგ დაუწყია მათი ძებნა და მიუგნია კიდევ გოგონას კვალისათვის. ნათელა მშობელმა მამამ წაიყვანა. ეს იყო უკანასკნელი მძიმე დარტყმა, რომელიც ცხოვრებამ აწვინა ბააკას. აქ კი, წუთით წაიბოროძია ჩვენმა გმირმა, მას კინალამ თვალი მოსტაცა მთვარის შუქზე მოელვარე მტკვრის ტალღებმა, როდესაც ბააკა სადგურზე ნათელას გაცილების შემდეგ ჩელუსკინელთა ხილით შინ ბრუნდებოდა, მაგრამ აქაც სიცოცხლისმოყვარეობის ძალამ გაიმარჯვა, აქაც საბჭოთა ადამიანების ურთიერთმეგობრობისა და სიყვარულის გრძნობამ გაფანტა სასოწარკვეთილების ბინდი.

მოთხრობის ეპილოგში ჩვენ ვხედავთ ბააკას რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მშენებელთა რიგებში, სადაც იგი ეთერთან ერთად ახალ ცხოვრებას, ღიდ შრომითს ცხოვრებას შედგომია.

ამ ნაწარმოების მთელი იდეური მიზანდასახულობა იმაში მდგომარეობს. რომ გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანის გაუტეხელი ნებისყოფა, მისი მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყარო, მისი ხასიათის ის მაღალი თვისებანი, რომლებიც ძლევენ ყოველგვარ სიძნელეს და დაბრკოლებას, რაგინდ რთული და მძიმეც არ უნდა იყოს ისინი.

თავისი ამ შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელებისას მწერალი ხან ზედმეტად ამუქებს საღებავებს, ხან მეტად ნებისმიერად წარმართავს მოვლენებს და ზოგჯერ ხელოვნურად თხზავს სიტუაციებს, მაგრამ მთლიანად მოთხრობა ცხოველი ინტერესით იკითხება. იგი ჯანსაღ და მომხიბვლელ მორალურ საყრდენზეა აგებული.

თავის ყველა ბელეტრისტულ ნაწარმოებში რაჟდენ გვეტაძე გამოხატავს ჩვენი ეპოქის ძირითად შინაარსს — იმ მძაფრ ბრძოლას ძველსა და ახალს, მომავლედსა და აღმავალს, ბნელსა და ნათელს შორის, რომლის ვითარებაშიაც იზრდება და ყალიბდება საბჭოთა ადამიანი, იწრთობა მისი შეგნებისა და ხასიათის საუკეთესო, ტიპიური თვისებანი. მწერლის შემოქმედებითი ინტერესი და ყურადღება სწორედ დადებითი საბჭოთა ადამიანისაკენ არის მიპყრობილი, იგი წარმოადგენს რაჟდენ გვეტაძის ყველა ბელეტრისტული ქმნილების მთავარ გმირს, ამ ადამიანის ცხოვრების ისტორია შეადგენს მის ნაწარმოებთა სიუჟეტურ საფუძველს. საყურადღებოა, რომ დადებითი გმირების ცხოვრებას მწერალი ყველა თავის რომანსა და მოთხრობაში გვიჩვენებს ურთულეს წინააღმდეგობათა ვითარებაში, რადგან მხოლოდ წინააღმდეგობათა და კონფ-

ლიქტების გადალახვისას იჩენს ხოლმე თავს მთელი სისრულით ადამიანის სულიერი ძალა, მისი ნებისყოფა, მისი მორალური სისპეტაკე და მშვენიერება.

უპირველეს ყოვლისა ამაში მდგომარეობს რაჟღენ გვეტაძის ბელეტრისტული შემოქმედების მნიშვნელობა და ღირებულება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით.

რაჟღენ გვეტაძის მრავალი პოეტური და პროზაული ნაწარმოები დამსახურებულად სარგებლობს ხალხის სიყვარულით და მოწონებით. ისინი თანამედროვე ქართული მწერლობის ძირითად ფონდში ირიცხებიან და ღირსეულად ემსახურებიან ხალხის იდეური და ზნეობრივი აღზრდის დიად საქმეს.

זמננו



გალაკტიონ შაბუაძე

გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტია, ჩვენი მრავალეროვნული სოციალისტური ლირიკის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი. იგი ქართული საბჭოთა პოეზიის დამწებია და მისი სახელოვანი შემოქმედებითი ტრადიციების ფუძემდებელი. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედება საბჭოთა საქართველოს ზრდისა და აღმავლობის ნამდვილი პოეტური ენციკლოპედიაა, რომელშიც ღრმად და მრავალმხრივად აისახა ჩვენი თანამედროვეობის დიდი მოვლენები, საბჭოთა ხალხის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს დამახასიათებელი თვისებანი, კომუნისმის მშენებელი ჩვენი ხალხის გმირული საქმეები, მისი ნათელი იდეალები და მისწრაფებანი.

იდეური აქტუალობით, აზრის სიღრმით და გრძნობის სიწრფელით აღბეჭდილი ლექსები გალაკტიონ ტაბიძისა ხასიათდებიან მომხიბლავი მელოდიურობით, მგზნებარე ლირიზმით, დიდი ემოციური ზემოქმედების იშვიათი ძალით. თავის საუკეთესო პოეტურ ქმნილებებში მან ლექსის ფორმის კლასიკურ ბუნებრიობას, ჭეშმარიტ ხალხურობას მიაღწია. ამიტომაც გალაკტიონ ტაბიძის პოეზია ღრმად წვდება ხალხის გულს. ცხოველ გამოძახილს პოულობს მკითხველთა ფართო ფენებში, აქტიურად მონაწილეობს ხალხის, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების დიად საქმეში.

კომუნისმის ძლევამოსილი იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულება, სიანამდვილესთან, ხალხის ბრძოლისა და შრომის, მისი შემოქმედებითი ცხოვრების ყოველდღიურობასთან განუყოფელი კავშირი განსაზღვრავს გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შინაარსს. მის შემოქმედებაში ღრმა გამოხატულებას პოულობენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა ლენინური მეგობრობის გრძნობები, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უძლეველობის რწმენა, ხალხის მაღალი პუმანისტური იდეალები, მისი გმირული და ვაჟკაცური სულსიკვეთება.

გალაკტიონ ტაბიძის სახელთან უშუალოდ და განუყოფლად არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის ქართული პოეტური კულტურის ისტორიის დამახასიათებელი პროცესი, მისი მამოძრავებელი ყველა ძირითადი იდეა და მოტივი. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის აღფრთოვანებული გამოძახილი ქართულ ლიტერატურაში, შემდეგ, იმ დიდი სახალხო მოძრაობის დამარ-

ცხებით გამოწვეული გულგატეხილობისა და სოციალური სევდის განწყობილებანი, რეაქციის წლებში მწერლობაში დამკვიდრებული ინდივიდუალიზმისა და რეალური სინამდვილიდან ფანტასტიურ წარმოდგენათა სამყაროში გახიზვნის მისწრაფებანი, ხოლო შემდეგ ჩვენს სამშობლოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ნიადაგზე შექმნილი ახალი ცხოვრების ღირსეულად წარმოსახვისათვის წარმოებული დიდი შემოქმედებითი ბრძოლა, — ყოველივე ეს მაღალ პოეტურ გამოხატულებას პოულობს გალაკტიონ ტაბიძის შთაგონებულ პოეტურ შემოქმედებაში.

თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის ფორმირებისა და დამკვიდრების საქმეში გალაკტიონ ტაბიძეს ისეთივე ნოვატორული როლი ეკუთვნის, როგორც ქართული მხატვრული მეტყველების მთელ ისტორიაში შეუსრულებიათ ჩვენი ნაციონალური პოეზიის დიდ კლასიკოსებს. გალაკტიონ ტაბიძე ღირსეული მემკვიდრეა და ახალი გზებით გამაგრძელებელი ქართული პოეტური ხელოვნების იმ დიდი ტრადიციისა, რომელიც შეუქმნიათ ჩვენს დიდსა და საამაყო წინაპრებს, უკვდავი რუსთაველით დაწყებული, გურამიშვილით და ბარათაშვილით გაგრძელებული და ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დიდებული სახელებით დამთავრებული.

გალაკტიონ ტაბიძე ცხოვლად ეხმაურება ებოჭის მოწინავე სოციალურ და ლიტერატურულ იდეებს. ამ მხრივაც იგი ქართული პოეზიის დიდ კლასიკოსთა მიერ დამკვიდრებულ ტრადიციას განაგრძობს. საბჭოთა ხალხების პოეტური კულტურის განვითარებაში გალაკტიონ ტაბიძეს უაღრესად თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავს როგორც ახალი სტილის, სოციალისტური რეალიზმის სტილის, ლირიკის საუკეთესო ტრადიციათა ერთ-ერთ შემოქმედს და ფუძემდებელს.

გალაკტიონ ტაბიძის მრავალი პოეტური ქმნილება, მისი მომხიბლავი ლირიკული ლექსები ცხოველ გამოძახილს პოულობენ არა მარტო ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ისინი საყოველთაო აღიარებას და აღტაცებას იწვევენ მთელ ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოში.

ჩვენი დროის ქართველი პოეტური ახალგაზრდობის შემოქმედებითი ზრდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის დიდი ზემოქმედების კვალით არის აღბეჭდილი.

გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა 1892 წელს დასავლეთ საქართველოში, ახლანდელი ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში. პოეტის ბავშვობის წლებმა განვლო იმ გამძაფრებულ საზოგადოებრივ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში მეოცე საუკუნის დამდეგს. როგორც ცნობილია, უკვდავი ლენინის ხელმძღვანელობით გასული საუკუნის დამლევეს დაწყებულმა რუსეთის

პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ საქართველოშიც ცხოველი გამო-
დახილი ჰპოვა. ქართველი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა ჩვენი სა-
უკუნის დამდეგს მტკიცედ ირაზმებოდა რევოლუციური მარქსიზმის დროშის
გარშემო და კომუნისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დიად კლა-
სობრივ ბრძოლაში ებმებოდა. რუსეთის პირველი რევოლუციის სამზადი-
სის წლებში და 1905—1907 წწ. რევოლუციის პერიოდში ქართველი ხალ-
ხის განმათავისუფლებელი მოძრაობა უღარესად ფართო მასშტაბით გაიშალა.

გ. ტაბიძე ამ წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფე იყო.
ქუთაისი კი მაშინ დასავლეთ საქართველოში რევოლუციურ მოძრაობის ერთ-
ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. მთელი ქალაქი რევოლუცი-
ური ბრძოლის ქარცეცხლში იყო გახვეული. ამ ბრძოლაში მხურვალე მონაწი-
ლეობას იღებდა ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია და მოსწავლე ახალგაზრდო-
ბაც. ამ წლებში ქუთაისში მოღვაწეობდა ქართული სცენის დიდი ოსტატი ლადო
მესხიშვილი, რომლის ხელმძღვანელობით გამართული რევოლუციური სპექ-
ტაკლები საბრძოლო აღფრთოვანებას აღვივებდნენ ხალხში და კერძოდ მოს-
წავლე ახალგაზრდობაში. ამ წლებში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავ-
ლობდა რევოლუციის მომავალი უდიდესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომე-
ლიც გ. ტაბიძეზე რამდენიმე თვით უმცროსი იყო. ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებისა
და შემოქმედების მკვლევარები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ საბჭოთა ეპო-
ქის ამ საუკეთესო პოეტის ჭაბუკური შეგნებისა და მსოფლმხედველობის ჩამო-
ყალიბებაზე განმსაზღვრელი ზემოქმედება იქონია იმ შთაბეჭდილებამ, რომე-
ლიც გიმნაზიელ მაიაკოვსკიზე მოახდინა ქართველი ხალხის გმირულმა რევო-
ლუციურმა ბრძოლამ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე.

უდავოა, რომ ამავე შთაბეჭდილებებმა განსაზღვრეს გალაკტიონ ტაბიძის
ჭაბუკური შეგნებაც და გადამწყვეტი გავლენა იქონიეს მისი საზოგადოებრივი
იდეალებისა და მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალო-
ბის შემდგომს განვითარებაზე.

1905 წლის რევოლუციის მგზნებარე დღეების განცდა არასოდეს ჩამქრა-
ლა გ. ტაბიძის სულიერ ცხოვრებაში და ამ განცდით ღრმად არის აღბეჭდილი
პოეტის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

პოეტი სრული უფლებით თავის თავს თვლის პირმშოდ ამ დიადი განთი-
დისა, რომელიც მოევლინა ჩვენს ქვეყანას რუსეთის პირველი რევოლუციის
სახით:

მე დავიბადე განთიადისას,
როცა მთის წვერზე დილა მაისის

როგორც ვიცით, ამ „განთიადმა“, ჩვენი ხალხის ამ გმირულმა რევოლუციურმა ამოძრავებამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა ქართულ ლიტერატურაში, ღრმა ზემოქმედება მოახდინა მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის მთელ განვითარებაზე. ამ მოვლენისადმი დამოკიდებულების ხასიათი განსაზღვრავდა ყოველი მწერლის, ყოველი ლიტერატურული მოვლენის ადგილსა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლის ქართულ მწერლობაში.

1905 წლის რევოლუციას მგზნებარედ გამოეხმაურა ამ დროისათვის უკვე ხანდაზმული დიდი ქართველი პოეტი, ქართველი ხალხის უკვდავ ბულბულად სამართლიანად წოდებული აკაკი წერეთელი. ვაჟა-ფშაველამ კი არა მარტო მისთვის ჩვეული ვაჟაკური სულით გამსჭვალული აღფრთოვანებული ლექსები უძღვნა ამ დიდ სახალხო მოძრაობას, არამედ უშუალო პრაქტიკული მონაწილეობაც მიიღო რევოლუციურ ბრძოლაში. როგორც უდავოდ დადგენილია პოეტის ცხოვრების მკვლევართა მიერ, ვაჟა-ფშაველა მეთაურობდა ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის დარაზმვას თვითმპყრობელობასა და მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილებაზე იერიშის მისატანად.

ეს ფაქტები იმის მომასწავებელია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა მესვეურებმა 1905 წლის რევოლუციაში თავიანთი მაღალი პატრიოტული და ჰუმანისტური იდეალების განხორციელების პერსპექტივა დაინახეს.

ამ პერიოდის ქართული მწერლობის მთავარ ფიგურას მაინც პოეტი იროდიონ ევდოშვილი წარმოადგენდა, ის პოეტი, რომელმაც პირველმა უმღერა პროლეტარიატის დიად ისტორიულ მისიას და ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში წინასწარ იგრძნო მოახლოებულ რევოლუციურ ბრძოლათა ქარიშხალი და მღელვარე სიმღერებით მიესალმა ამ ქარიშხალს.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას რევოლუციური ლექსები მძლავრ გამოძახილს პოულობდნენ ხალხში, ხოლო ირ. ევდოშვილის ისეთ ლექსებს, როგორცაა მაგ. მისი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“ ხალხი სიმღერად გარდაქმნიდა და აღგზნებულად იმეორებდა საბრძოლო ბარიკადებზე, რევოლუციურ კრებებსა და მიტინგებზე.

ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს ღრმად გამარევოლუციონერებელ გავლენას ახდენდა ხალხზე და კერძოდ მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

ასეთ საზოგადოებრივ ვითარებაში მიმდინარეობდა გ. ტაბიძის სიჭაბუკის

წლები, ასეთ მოვლენათა ზემოქმედებით ყალიბდებოდა მისი აზრებისა და განწყობილებათა სამყარო.

ცხადია, რომ ამგვარად განწყობილ ახალგაზრდას მწვავედ უნდა ვაწეცადა 1905 წლის რევოლუციის დამარცხება და ამით გამოწვეული შავბნელი რეაქციის მძვინვარება ჩვენს ქვეყანაში. ამ მწვავე განცდის გამოხატულებას შეიცავს გალაკტიონ ტაბიძის პოეტური დებიუტი, მისი პირველი ნაბიჯი პოეტური მოღვაწეობის გზაზე. ეს იყო ლექსი „პირველი მაისი“, რომელიც 15 წლის გ. ტაბიძემ წაიკითხა მოსწავლეთა არალეგალურ კრებაზე 1908 წელს, ქუთაისში, ისტორიული ბაგრატის ტაძრის ნანგრევთა შორის. თუ საბჭოთა ეპოქის უნიკერესი რუსი პოეტის მაიაკოვსკის ზემოქმედებითი ცხოვრება დაიწყო ჰუსტირკის ციხეში, სადაც იგი რევოლუციური მუშაობისათვის იყო გამოწყვედილი, გ. ტაბიძის პოეტური ბიოგრაფია დაიწყო რევოლუციური ახალგაზრდობის არალეგალურ შეკრებაზე გამოსვლით, რომელიც შთაგონებული იყო დროებით მოზეიმე რეაქციისადმი ზიზღისა და გულისწყრომის მგზნებარე გრძნობით, ხალხის ახალი ძლევამოსილი საბრძოლო ამხედრების რწმენით.

ამ ლექსში ახალგაზრდა პოეტი მღელვარედ გამოხატავდა ხალხის პროტესტსა და აღშფოთებას იმ სასტიკი და დაუნდობელი შურისძიების გამო, რომლითაც თვითმპყრობელური რეაქცია ანგარიშს უსწორებდა ხალხის საუკეთესო შვილებს, რევოლუციის მონაწილეთ:

მეფეს კი, მეფეს კი, —
ქართ და გრიგალით,
თითქოს არავისი
და არარაისი, —
ციხეში, ბორკილში,
შიშშილში, ომებში
სურს ჩაკლას მუშათა
პირველი მაისი.

მაგრამ ქვეყნად გამეფებული ციხეებისა და ბორკილების, გადასახლებისა და სახრჩობელების ბნელი და სუსხიანი ვითარების მძაფრ განცდასთან ერთად ამ ლექსში გამოთქმული იყო ხალხის ქედუხბრელობის, მისი უდრეკი თავისუფლებისმოყვარეობის გრძნობაც, მისი ახალი, კიდევ უფრო მძლავრი და გმირული რევოლუციური ამოძრავების მოლოდინი და რწმენა:

დრო მოვა და ისევ
პროლეტარიატი
მაისის ვარდებით
სიცოცხლეს აივსებს.

სალამი იმ დღეებს,
სალამი იმ ბრძოლებს,
იმ ნათელ შეტევას,
იმ პირველ მაისებს!

ასეთი სოციალური ოპტიმიზმით შთაგონებული ჰანგი შემოიტანა ახალგაზრდა პოეტმა სევდისა და უიმედობის ნისლით მოცულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ეს მოტივი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოღვაწეობის დასაწყისისათვის სავსებით დამახასიათებელი იყო. 1910 წლით დათარიღებულ მის ერთ ლექსში ისევ ნათელი რწმენით აღგზნებული ასეთი ჰანგები გვესმის:

მაღე ფერ-გადაშლილი
ამწვანდება ტყე-ველი,
გაიშლება ყვავილი,
სურნელების მფრქვეველი;
გაცოცხლდება დაფნარი,
მთის მწვერვალი, ტყის პირი,
და დაივლის ნარნარი
გაზაფხულის ზეფირი.

ასე დაიწყო გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი ცხოვრება. თავისი პირველი ლექსებით მან ყურადღება მიიპყრო, როგორც იშვიათი ნიჭიერებისა და ღრმად ორიგინალური, თავისებური ხმისა და მსოფლშეგრძნების ახალგაზრდა პოეტმა. უკვე მისი პოეტური ბიოგრაფიის ამ დაწყებით პერიოდში ნათელი იყო, რომ გ. ტაბიძის სახით ლიტერატურის სარბიელზე გამოდიოდა დიდი შემოქმედებითი პოტენციის ხელოვანი, რომელსაც ძალა შესწევდა გულის სიღრმემდე ჩამწვდომ, ღრმად ემოციურსა და მიმზიდველ პოეტურ სიტყვაში განესახიერებია სოციალური სინამდვილისა თუ ადამიანის სულიერი ცხოვრების ურთულესი მოვლენები. უკვე ამ ლექსებში მოცემული იყო დასაწყისი ქართული პოეტური კულტურის განახლებისა და გამდიდრებისათვის წარმოებული იმ დიდი შემოქმედებითი ძიებებისა, რაც გ. ტაბიძის სალიტერატურო მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენს.

1908 წელს გ. ტაბიძე თბილისის სასულიერო სემინარიაში შედის და ამავე დროს აქტიურ თანამშრომლობას იწყებს იმდროინდელ ლიტერატურულ ჟურნალებსა და აღმანახებელში. 15—16 წლის ახალგაზრდა პოეტი ერთბაშად იკავებს თვალსაჩინო ადგილს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ეს ის ხანაა, როდესაც ცარისტულ რეაქციას მძვინვარე იერიში მიაქვს ცხოვრების ყოველ სფეროზე, იდეოლოგიის ყოველ დარგზე და კერძოდ მხატვრულ ლიტერატურაზეც. ინტელიგენციის გარკვეულ ფენებს უიმედობისა და

გულგატეხილობის განწყობილებანი ეუფლება. სასოწარკვეთისა და დაცემულობის ასეთი განწყობილებანი ფართო გავრცელებას პოულობს ამ წლების ქართულ ლიტერატურაში. მწერლობაში სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს სინამდვილის მოვლენებისა და სოციალური პრობლემატიკისათვის ზურგის შექცევის ტენდენციები, თვითმიზნური ესთეტიზმის, ინდივიდუალიზმის, პირადინტიმურ განცდათა და გრძნობათა ნაჭუჭში მომწყვდევის ტენდენციები. მზადდება ნიადაგი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ-რეაქციული მწერლობისათვის დამახასიათებელ ანტირეალისტურ მიმართულებათა გადმონერგვისათვის ქართულ ლიტერატურაში.

ასეთი ლიტერატურული გარემოცვის გარკვეულ ზეგავლენას ვერ აცდა გალაკტიონ ტაბიძეც. მისი პირველი ლექსებისათვის დამახასიათებელი მებრძოლი სული, იმედითა და რწმენით აღბეჭდილი მოტივები თანდათანობით გადადიან ახალგაზრდა პოეტის შემოქმედების მეორე პლანზე. რაც უფრო ღრმად შედის პოეტი ამ პერიოდის ლიტერატურულ გარემოცვაში, მით უფრო მეტი ძალით ეუფლება მას ამ გარემოცვისათვის დამახასიათებელი განწყობილება — სოციალური უიმედობის, გულგატეხილობის, სევდის განწყობილება.

იწყება სოციალური ცხოვრების მკაცრი და სუსხიანი სინამდვილის წინაშე „თვალის დახუჭვის“, საკუთარი გრძნობებისა და განცდების ინტიმურ სამყაროში გახიზვნის უფრო და უფრო მზარდი ტენდენცია. საკუთარი „გულის სიღრმეში“ იწყებს პოეტი „რამე ნათელის“ ძიებას. ძნელი არ არის დანახვა პოეტის ამგვარი ევოლუციის განმაპირობებელი მიზეზებისა. პოეტი პირდაპირ გვამლევს ამ მოვლენის გასაღებს:

დავხუჭე თვალი გულის სიღრმეში
რომ დამენახა რამე ნათელი
და მოვიგონე ნეტარნი დღენი
და გაზაფხული უკანასკნელი.
რა აღრე მოკვდა, რა აღრე მოკვდა!
ეხლა ღამეა... ქვითინებს ქარი,
რომ გამახსენოს ტკბილი წარსული
და გაზაფხულის სახე ნეტარი.

ძნელი არ არის ამ სტრიქონების ნამდვილი აზრის გაშიფვრა და დანახვა იმისა, თუ რა ტკბილ წარსულზე, რა გაზაფხულის ნეტარ სახეზე, რა ქარის ქვითინსა და ღამეზე ლაპარაკობს ეს ლექსი. გალაკტიონ ტაბიძე, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა შემოიტანა რევოლუციის წინა პერიოდის ქართულ მწერლობაში მოდერნული ლექსის კულტურა, თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე ხასიათდება რთული პოეტური სახეებისაყენ სწრაფვით.

იგი თემებსა და იდეებს გადმოგვცემს არა შიშველ სააგიტაციო ფრაზაში (როგორც მეტ წილად სჩადიოდნენ ევლოშილის სკოლის პოეტები), არამედ გართულებული სიმბოლური სახეების, შორეული ასოციაციების, მეტაფორული ენის მეშვეობით. მაგრამ პოეტური ხატვის ამ მანერის პირობებშიც სავსებით ნათლად მოჩანს პოეტის სოციალური სევდის სათავეები, საზოგადოებრივ გარემოცვასთან მისი ურთიერთობის, გამძაფრებული კონფლიქტის ბუნება:

რტობში ავობს ბებერი ქარი,
ყვავილთა ჭარი ფიფქით ბანაობს,
ტყდება, ნანაოპს ეთერი ჩქარი,
ნანაობს ქარი და მიქანაობს.

აყვავებული ატმის ყვავილების მეტაფორულ სახეში წარმოიდგენს პოეტი თავისი ჭაბუკური ოცნების, თავისი მაღალი მისწრაფებებისა და სურვილების ცხოველმყოფელობას:

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვეავდა ტრფობის სურვილი.

და ამას მოსდევს იმ ყვავილების დაცვენის, დაჯკნობისა და მიმოფანტვის სევდიანი პეიზაჟი, რომელიც გარკვეული სოციალური აზრის სიმბოლურ განსახიერებად არის მოფიქრებული და დახატული:

მაგრამ ეწვია ატმის ხეა ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ახლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.
როგორც პეპლები მშვიდი და ფრთხილი,
მემდეგ ამლილი და აფრენილი —
გადაცვენილი ატმის ყვავილი
იყო დაღლილი და მოწყენილი.

იმის გასაგებად, თუ რა ნიადაგზე აღმოცენდა გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ღრმა სევდისა და განწირულების სულისკვეთება, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლექსს „მშობლიური ეფემერა“:

ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს,
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია“? — მივმართავ ტყეებს.
და ტყე გუგუნებს: — დიდი ხანია!

შეხვეპებიან კლდეები კლდეებს,
იქ ვილაც კენესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: — ამირანია.
ეს მქაფრი კენება მიწამლავს დღეებს,
ეს გული ისევ ჩემი გულია...
„დაქარგულია?“ — მივმართავ ტყეებს
და ტყე გუგუნებს: — დაქარგულია.

ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი პატრიოტული ტრადიცია თავისებურ გამოხატულებას პოულობს გალაკტიონ ტაბიძის იმ პერიოდის შემოქმედებაში. ზემოთ მოტანილ სტრიქონებში გამოხატული ამირანის კენესის მოტივით პოეტი უშუალოდ უკავშირდება და აგრძელებს პატრიოტული რომანტიკის სახელოვან ტრადიციას. მაგრამ პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი მვზნებაზე სიყვარულის გრძნობის გამოსახატავად, მშობელი ქვეყნის მიძიმე ხვედრით დამწუხრებული ადამიანის განწყობილების გადმოსაცემად სავსებით თავისებურ და განსხვავებულ პოეტურ ფორმას მიაღწია გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „მამული“. სამშობლოს იდეა აქ გამოხატულია ღრმად ინტიმურ და კონკრეტულ განცდათა ასპექტში: მოხუცი მამის სახე, მშობლიური მიწა-წყლის უშუალო შეგრძნება, გარდასულ წინაპართა ხსოვნა, „სხვა ხალხის“ ყრიამული, — ყოველივე ეს განსახიერებულია ორგანულად მთლიან, ღრმა სევდით და წრფელი პატრიოტული გზნებით აღბეჭდილ ლირიკულ კომპოზიციაში:

ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა
არ გავიარე — რაა მამული!
წინაპართაგან წაეიდა ყველა,
სხვა ხალხის ისმის აქ ყრიამული.

გაშალა ველი ნელმა ნიავმა
და მელანდება მე მის წიაღში
მოხუცი მამა, მოხუცი მამა
სასწაულით ხელში დაღის ვენახში.

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაემგვანება,
ისევ ამწვანდა მდელი და კორდი,
დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!

მარტო ეს ლექსიც მდიდარ მასალას გვაძლევს იმის გასარკვევად, თუ რამდენად ახალ ლიანდაგზე გადაიყვანა გალაკტიონ ტაბიძემ ქართული ლექსის განვითარება ქართული პოეტური კულტურის ევოლუციის თვალსაზრისით.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ამ ლექსს მივმართეთ იმ მიზნით, რომ ცხადად დაგვეჩვენა საფუძვლები და სათავეები გალაკტიონ ტაბიძის რევოლუციამდელ შემოქმედებაში გამოხატული სეფედიანი და მწუხარე განწყობილებითა.

ასეთი განწყობილებებით ღრმად არის აღბეჭდილი გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი, რომელიც 1914 წელს გამოვიდა და რომელმაც საბოლოოდ განუმტკიცა ახალგაზრდა ავტორს მაღალნიჭიერი პოეტის რეპუტაცია. ამ წიგნში მოთავსებული ლექსი „მიმღერე ჩამე“ გამოხატავს პოეტის სულიერ დეპრესიას, სოციალურ სინამდვილეში გაბატონებული სუხსისა და წყვდიადისადმი მის შეურიგებელ კონფლიქტს:

ყმაწვილკაცობა, ყვავილები სიცოცხლის დილის
ბურუსებს იქით გადაკარგა... როგორ ვეწამე!
ენლა თავს მადვას მკმუნვარება მომავლის ჩრდილის,
იმ სიყმაწვილის მიმღერე ჩამე.

ასე მიტირის პოეტი „ბურუსებს იქით გადაკარგულ“ სიყმაწვილესა და „სიცოცხლის დილის ყვავილებს“- ამ ლექსის ლირიკული გმირი თუმცა თავს დაცემულად არა გრძნობს, მაგრამ მოწხამულია თავისი დიდი მიზნების გაცრუებით, ბრძოლათა შემდეგ ახალგაზრდობის დაღლითა და დაუძლურებით, ცხოვრებაში გავრცელებული უიმედობით და მწუხარებით:

ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ დაუძლურების
და წარუშლელი მწუხარების გავხდი მოწამე,
მოწამე გავხდი ცეცხლისა და განადგურების,
გემუღარები, მიმღერე ჩამე.

ცეცხლი და განადგურება, რომლითაც აღვირახსნილმა რეაქციამ უპასუხა ხალხის საბრძოლო აღფრთოვანებას, წარმოშობს პოეტის შეშფოთებას და მღელვარე უკმაყოფილებას. ამ ნიადაგზე იბადება პოეტის შეურიგებლობა სინამდვილესთან, მისი მისწრაფება განმარტოვებისა, საკუთარ განცდათა და განწყობილებათა სამყაროში ჩაქეტვისა; ასე იბადება სულიერი ობლობის ის მწვავე დრამა, რომლის უმძაფრეს პოეტურ გამოხატულებასაც შეიცავს ამ პერიოდის გალაკტიონ ტაბიძის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „მე და ლამე“.

როგორც რუსულსა და ევროპულ, ისე ქართულ რომანტიულ პოეზიას არა ერთ დაუვიწყარ შედეგში გამოუთქვამს საზოგადოებრივი სინამდვილისადმი მტრულად განწყობილი პიროვნების ფანდგომის, საკუთარ სულიერ სამყაროში მომწყვდევის, სულიერი ობლობისა და სიმარტოვის დრამა. მაგრამ გალაკტიონ

ტაბიქემ დასახელებულ ლექსში ადამიანის ამგვარი განწყობილების გამოხატვის თავისებურად იშვიათ ძალას მიაღწია.

ლექსი იწყება მაღალი ხელოვნებით დახატული ლირიკული პეიზაჟით. მთვარიანი ღამის სურათი აქ მთლიანად გამსჭვალულია ისეთივე მწუხარებისა და იღუმალების განცდით, როგორითაც აღსავსეა პოეტის გული:

მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს,
სიო არხვეს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.
ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.
საიდუმლო შუქით არე ისე არის შესუღრული,
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

ხოლო პოეტის გული აღსავსეა საიდუმლოებით, რომელიც მხოლოდ მისი ფიქრებისა და გრძნობათა სამყაროს კუთვნილებას შეადგენს, რომელსაც ვერ მისწვდება სხვა ადამიანის, თუნდაც მეგობრის თვალიც კი:

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,
არ ვუმელავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერავინ და ვერაფერი გამოსტაცებს პოეტს გულის სიღრმეში მოთავსებულ ამ საიდუმლოს, ვერავითარი მიწიერი გატაცება და ცდუნება ვერ აიძულებს გაამელავნოს თავისი სულის ეს ფარული საუნჯე. მხოლოდ ღამეს, — სიმშვიდის, უფრობის, განმარტობის ამ მგუფებებს უზიარებს პოეტი თავის აზრებსა და გრძნობებს, მხოლოდ ღამე მიაჩნია მას თავის პარტნიორად, თავის ერთადერთ მოკავშირედ და მესაიდუმლედ:

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.
იცის, — როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვეწენ და ვეწამე,
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!

კიდევ უფრო შორს წავიდა ამ მხრივ პოეტი ამ პერიოდის თავის ცნობილ ლექსში „უდაბნო“. აქ მთელი სამყარო პოეტის მიერ დაუსრულებელ უდაბურობად არის წარმოდგენილი, ყრუ და წყვედიადით მოცულ უდაბნოდ, სადაც ადამიანი გამოუვალი მარტოობისა და უცვლელი მწუხარებისათვის არის განწირული:

დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა,
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.

მოკვლე და გული ვის დაესწყვიტო, ვინ დავაობლო?
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა ჩემი სამშობლო.

ამ ლექსის ლირიკული გმირი თითქოს შერიგებია სამყაროს ასეთი უდაბურობის აზრს. მას არც კი სურს თავი დააღწიოს ამ უდაბურობას, რადგან ეს მას შეუძლებლად და მიუღწევლად მიაჩნია:

რად მინდა მივსწვდე მიუწვდომელს, ვრცელს და უსაზღვროს?
ჩემს უდაბნოს ვერ გავცილდები მაინც ვერას დროს.

ყველაფრის წარმავლობისა და მომაკვდავობის უიმედო აზრით არის შთაგონებული ვრცელი ლექსი „მესაფლავე“ და მრავალი სხვა ლექსი გ. ტაბიძის ამ პირველი კრებულისა, რომელიც მართლაც მრავალჰანგოვანი სევდიანი სიმფონიაა „დაწერილი სისხლის წვეთით, დაწერილი სასოებით“.

ასეთი განწყობილებანი პოეტს ეზიდებიან ბურჟუაზიული დეკადენტური სკოლების შემოქმედებითი პოზიციებისაკენ.

1915 წელს გ. ტაბიძე მიემგზავრება მოსკოვს. იგი ახლოს ეცნობა ამ წლების რუსულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ სიმბოლისტურ პოეზიას, ტრიალებს სიმბოლისტ პოეტთა წრეში. ეს ფაქტიც ახალგაზრდა პოეტს დეკადენტური პოეზიის ანტირეალისტური პოზიციებისაკენ უბიძგებს. სამშობლოში დაბრუნებული პოეტი 1916 წელს მონაწილეობას იღებს ქართველ დეკადენტ-სიმბოლისტთა ჯგუფს „ცისფერი ყანწების“ პირველ ლიტერატურულ გამოცემაში. უფროალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში ბეჭდავს ლექსებს „ლურჯა ცხენები“ და „მთაწმინდის მთვარე“.

მაგრამ „ცისფერ ყანწლებთან“ გალაკტიონ ტაბიძის ეს კავშირი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. პოეტი მალე გაეთიშა დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიულ-დეკადენტური პოეზიის ქართველ მიმდევართა ამ ჯგუფს და მას შემდეგ გ. ტაბიძესა და „ცისფერ ყანწელთა“ შორის ადგილი ჰქონდა უცვლელად მძაფრ და შეურიგებელ ლიტერატურულ ბრძოლასა და, შეიძლება ითქვას, ნამდვილ ანტაგონიზმს.

ეს ბუნებრივიც იყო. გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ბიოგრაფიას განსაზღვრავდნენ და ამოძრავებდნენ სულ სხვა ფაქტორები, ვიდრე დეკადენტურ პოეზიას. როგორც ცნობილია, დეკადენტურ სამწერლო მიმართულებათა ანტირეალისტური მისწრაფებანი, დეკადენტ მწერალთა შემოქმედებაში გაბატონებული მისტიციზმი და უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პესიმისტური განწყობილებანი წარმოადგენენ სასიკვდილო აგონიით შეპყრობილი ბურჟუაზიის მიერ თავისი კლასობრივი განწირულების განცდისა და შეგნების ანარქელს.

გაძნობს რა საერთაშორისო რეაქციული ბურჟუაზია თავისი კლასობრივი

არსებობის მოახლოებულ აღსასრულს, ხედავს რა, რომ სინამდვილის შემდგომი განვითარება მხოლოდ აახლოვებს მის აუცილებელ და გარდაუვალ დაღუპვას, იგი ზიზღით და შიშით ზურგს აქცევს ამ სინამდვილეს, უარს ამბობს რეალობის ფხიზელ შემეცნებაზე, მის სულიერ სამყაროში ბნელი პესიმიზმი, ცხოველურ ეგოიზმამდე მისული ინდივიდუალიზმი ბატონდება. იგი უარს ამბობს ყოველგვარ პროგრესულ, ჰუმანისტურ და დემოკრატიულ იდეალებზე. ყოველივე ამის მკაფიო გამოხატულებას მხატვრული ლიტერატურის სფეროში წარმოადგენს ბურჟუაზიულ-დეკადენტური სამწერლო მიმართულებანი და, პირველ ყოვლისა, სიმბოლიზმი თავისი მისტიკით, სკეპტიციზმით, სიმასინჯის ესაუტიკით, თვითმკვლელობის კულტით.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სამყარო კი 1905 წლის რევოლუციურმა აღფრთოვანებამ და ამ რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა სოციალურმა სევდამ განსაზღვრა. ამიტომაც მის ადრინდელ ლექსებში გამოხატული მწუხარებისა და სულიერი ობლობის დრამას, თავისი წარმომშობი და მასანზღოვებელი ფაქტორებით საერთო არაფერი აქვს დეკადენტური პოეზიისათვის დამახასიათებელ სკეპსისთან და ანტიხალხურ, ანტირეალისტურ მისწრაფებებთან.

ამიტომაც იყო, რომ ქართული კლასიკური რეალიზმის ჩანსალი დემოკრატიული ტრადიციებისაგან არა ერთჯერი გადახვევის მიუხედავად გ. ტაბიძე არასოდეს მოწყვეტია და გამოთიშვია ამ ტრადიციას. რევოლუციამდელ პოეტურ მოღვაწეობაში გ. ტაბიძე თავის სულიერ წინაპრებად მიიჩნევდა არა ევროპულ დეკადენტ-სიმბოლისტებს, არამედ დიდ ქართველ პოეტებს: შოთა რუსთაველს, დავით გურამიშვილს, ნიკოლოზ ბარათაშვილს. ილია ქავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას. პოეტის ადრინდელ ლექსებში ჩვენ ხშირად ვხვდებით არა მარტო ამ უკვდავ სახელთა მოხსენიებას და განმეორებას წრფელი სიკვარულის გრძნობით და სულიერი ნათესაობის შეგნებით, არამედ ამასთანავე ჩვენი პოეზიის ამ კლასიკოსთა მხატვრული სახეებს. თემატიკური მოტივების, და ხშირად პოეტური ხერხებისაც კი, თავისებურ გამოყენებას. ახლებურ განმეორებას.

გ. ტაბიძის რევოლუციამდელი შემოქმედება უხვად იყენებს ძველი ქართული პოეზიის, განსაკუთრებით შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებით ტრადიციებს. პოეტი ყოველთვის ცხოველ შემოქმედებით ინტერესს იჩენდა ქართული ხალხური პოეზიის მდიდარი საუნჯისაღმი და თავის შემოქმედებაში ფართოდ იყენებდა ნაციონალური პოეტური ზეპირსიტყვიანობის სიუჟეტებს, მოტივებს და ხშირად სალექსო ფორმებსაც კი. მაგრამ ყველაზე მეტად გ. ტაბიძის პოეზია თავიდანვე აღბეჭდილი იყო ღრმა და ვანუშ-

ყვეტელი შინაგანი კავშირით მე-19 საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის საუკეთესო ტრადიციებთან. მისი ლექსები: „აკაკის ლანდი“, „წიწამურთან რომ მოკლეს ილია“, „არწივებს ჩასძინებოდათ“ და მრავალი სხვა, უშუალოდ მოწმობენ გ. ტაბიძის შეგნებულ მისწრაფებას თავისი დიდი წინაპრების შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი. ლექსებში: „მაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „შავი ყორანი“ და სხვ. პოეტმა ხაზგასმულად გამოხატა თავისი სულიერი ნათესაობა ნიკოლოზ ბარათაშვილთან.

ლექსში „შავი ყორანი“ გ. ტაბიძე ბარათაშვილისებურად შავი ყორანის სიმბოლურ სახეში განასახიერებს ეპოქის ბნელი ძალების ბუნებას, რომელთანაც შეუურიგებელ კონფლიქტში იმყოფება ლექსის ლირიკული გმირი, გამომხატველი პოეტის გრძნობებისა და მისწრაფებებისა:

გზა გავიარე, მსურს მოვიხედო
და დავინახო მთისა ქედები,
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
ნუ იხედები... ნუ იხედები...

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი.
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!..

ცხადია, რომ გ. ტაბიძის მიერ დახატული ეს ბოროტი ფრინველი ახალი ნაირსახეობაა იმ „თვალბედითი შავი ყორანისა“, რომელიც ისეთი გააფთრებით უკან მისჩხაოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანს — ცხოვრების ბნელი და ბოროტი ძალებისადმი ადამიანის დაუმორჩილებლობის, მისი მუდმივი წინსვლისა და ახალი, ნათელი სამყაროსაკენ გმირული სარბოლის უკვდავ პოეტურ სიმბოლოს.

მართალია, ანალოგია არასოდეს არ არის ხოლმე ზუსტი და სრული, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილმა ქართველ რომანტიკოს პოეტთა შორის ყველაზე მძლავრად და ღრმად გამოხატა უკმაყოფილებისა და გულისწყრომის გრძნობა გასული საუკუნის დამდეგს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეაქციული საუსხისადმი, ისე გ. ტაბიძემ რევოლუციამდე ქართულ პოეზიაში ყველაზე მძაფრად და ყველაზე მეტი დრამატიზმით განასახიერა ცარისტული რეაქციისადმი კონფლიქტისა და შეურიგებლობის განცდა.

მთელ რიგ თავის ადრინდელ ლექსებში გ. ტაბიძემ გამოთქვა შთაგონებული ოცნება განვლილი ქარიშხლიანი დღეების განმეორებაზე, ახალ საბრძოლო აზ-

ვირთებაზე, გრიგალთან შებმასა და მზიანი დღეების დაბრუნებაზე, მომავალ თავისუფლებასა და ბედნიერებაზე.

ერთ-ერთ თავის აღრინდელ ლექსში „წერილი მეგობრებისადმი“ გ. ტაბიძე პირდაპირ გამოთქვამდა მგზნებარე მისწრაფებას ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისაკენ:

ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალო ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდობა
ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერს?..

მართალია, გ. ტაბიძის ასეთი ხასიათის ლექსებში მაშინ უფრო წვრილბურ-
ეუაზიული მეაზობის განწყობილება იყო განსახიერებელი, ვიდრე რევოლუ-
ციური ბრძოლის ნათელი და გააზრებული მისწრაფება, მაგრამ ყოველივე ეს
მაინც გვიჩვენებს, რომ რეაქციის წლებში პოეტის სულიერ ცხოვრებაში დასა-
დგურებულმა სევდამ ვერ ჩაახშო მისი სიახლოვე და სულიერი კავშირი ეპოქის
რევოლუციურ ფაქტორებთან.

ამიტომაც გალაკტიონ ტაბიძე ალტაცებით შეეგება 1917 წლის თებერვლის
რევოლუციას:

გათენდა, ცეცხლის მზე აენტო, ატურდა...
დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ის მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს — წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა!

...დიდება ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა. შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშებო, დროშებო... დროშები ჩქარა!

თვითმპყრობელური ტახტის დამხობის დღეებში პოეტი ალტაცებული მი-
მართავდა ხალხს:

ამხანაგებო! განახლების ზარმა დაჩეკა,
ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
თანასწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

პოეტი მიეშურება რევოლუციური რუსეთისაკენ, მოსკოვისაკენ, პეტ-
როგრადისაკენ. იგი უშუალო მოწამე ხდება დიდი ოქტომბრის ქარიშხლიანი
დღეებისა, რომელთაც დასაწყისი მისცეს ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას
ჩვენს სამშობლოში და განმსაზღვრელი გავლენა მოახდინეს კაცობრიობის ის-
ტორიის მთელ შემდგომ განვითარებაზე.

ამ დღიანი დღეების შთაბეჭდილებანი შეძრევ უხვად და მრავალმხრივად გამოიხატა გ. ტაბიძის პოეზიაში. ეს იყო პოეტის ახალი რევოლუციური ნათლობა და წრთობა. ამ დღეების განცდებმა გადამწყვეტი გავლენა იქონიეს პოეტის მთელ მომავალ შემოქმედებითს ცხოვრებაზე.

რევოლუციურ რუსეთსა და უკრაინაში განცილილი ახალი ცხოვრების სიხარულით შთაგონებული პოეტი 1918 წელს ბრუნდება საქართველოში, რათა სამშობლოში მოეტანა ახალი სიმღერები — „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“:

რომ გამოველო ქართველები
ჯერ არანახული ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში გამართულ მისი პოეტური მოღვაწეობის 10 წლისთავს აღსანიშნავ საღამოზე გ. ტაბიძე კითხულობს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „გემი დალანდი“, რომლის სტრიქონებშიც პირველად ქართულ პოეზიაში გაიღვია უკვდავი ლენინის დიადმა სახელმა.

ამ ლექსში ნათლად გამოიხატა პოეტის უკმაყოფილება ამ დროისათვის საქართველოში შემქნილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარებით; ამიტომ არის ეს ლექსი აღბეჭდილი მკაფიოდ გამოთქმული ნაღვლიანი ელფერიით:

გემით „დალანდი“ მივიღოდი სამშობლოსავე,
და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა,
მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ვეღარ მივაგენ
და არ მახსოვდა: მქონდა იგი თუ მომაგონდა?
გახსენებების მომახხოდა მტანჯველი ლანდი:
შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
და თვალზე მადგა: განშორების მსუბუქი ცრემლი.

ამ დროს საქართველოში მენშევიკური რეჟიმი ბატონობდა, რომელმაც ნაძალადევად მოსწყვიტა საქართველო საბჭოთა რუსეთს; ქვეყანა ნგრევისა და გადატაკების ქაოსით, მეზობელ ხალხებთან სისხლის მღვრელი ომების საშინელებით იყო მოცული. საქართველოში მენშევიკური დიქტატურის წლები ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული ლიტერატურის უკიდურესი დაქვეითების პერიოდს წარმოადგენს. ქართულ მწერლობაში ამ წლებში ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულება — სიმბოლიზმი ბატონობდა.

ცხადია, რომ ასეთი საზოგადოებრივი და ლიტერატურული გარემოცვა ხელს ვერ შეუწყობდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ოქტომბრის დიადი დღეებით შთაგონებული რევოლუციური მოტივების დამკვიდრებას და განვითარებას.

ბას. პირიქით, — მთელი ეს გარემოცვა სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით მიეწივებოდა პოეტის შემოქმედებით ცხოვრებას.

პოეტი მაშინ არც ორგანიზაციულად და არც იდეოლოგიურად დაკავშირებული არ იყო რევოლუციური მუშათა კლასის ავანგარდთან. ამის გარეშე კი იგი ვერ გაუმკლავდა აღნიშნული საზოგადოებრივი და ლიტერატურული გარემოცვის დაწოლას. ამიტომაც ისევ იწყება პოეტის გახიზვნა „სპილოსძვლის კოშკში“. პოეტის შემოქმედებაში კვლავ თავს იჩენს უძველობისა და გულგატეხილობის განწყობილებანი, რაც კიდევ უფრო მეტ-ს სისწრაფით მიაქანებს პოეტს დეკადენტური პოეზიის შემოქმედებითი პოზიციებისაკენ.

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ აიძულა საზოგადოებრივმა ვითარებამ კულტურის უდიდესი ოსტატები გადაეხვიათ თავიანთი იდეურ-შემოქმედებითი მისწრაფებებისაგან და გარკვეული ხარკი გადაეხადათ დროისა და გარემოებისათვის. ასე დაემართა გენიალურ გოეთეს, რომელსაც, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, თავისი დროის გერმანიის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარება ფილისტერული ქაობისაკენ მიაქანებდა. მაგალითებისათვის შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავისხენოთ ჩვენი რევოლუციის უდიდესი პოეტი ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ის ეპიზოდი, როდესაც იგი გარემოებამ ჩამდენიმე წლით დააკავშირა რუსი ფუტურისტების ჯგუფთან, რამაც საგრძნობი ზიანი მიაყენა პოეტის რევოლუციამდელ შემოქმედებითს მოღვაწეობას.

ვიმეორებთ: ანალოგია ყოველთვის სკოდავს სიზუსტისა და სიარულის მხრივ, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ამის მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი გ. ტაბიძის პოეტურ ბიოგრაფიაშიც.

საგულისხმოა, რომ სწორედ მენშევიკური დიქტატურის წლებში, სახელდობრ 1919 წელს გალაკტიონ ტაბიძემ გამოაქვეყნა ლექსების მეორე წიგნი „არტიტული ყვავილები“, რომელშიც მოთავსებულ არა ერთ ლექსს ევროპული და რუსული სიმბოლისტური პოეზიის დიდი გავლენა ემჩნევა.

ასეთ ლექსებში პოეტის არა მარტო განწყობილება, არა მარტო მსოფლშეგრძნობა, არამედ პოეტური მეტყველების საშუალებათა მთელი სისტემაც ანტირეალისტურია.

მათში პოეტური სახე უკიდურესად სუბიექტურია. გარემოცვის პოეტურ ხედვასა და ხატვის ობიექტთან ურთიერთობაში ვალაკტიონ ტაბიძე მივიდა იმპრესიონიზმის უკიდურეს საზღვრამდე. იგი მთელ რიგ ლექსებში გვაძლევს არა რეალური საგნებისა და მოვლენების პოეტურ ანარეკლს, არამედ მხოლოდ საკუთარ შთაბეჭდილებებს და განწყობილებებს. პოეტი უკარგავს საგნებს მათ სხეულებრივ, საგნობრივ ბუნებას. ამ ლექსებში პეიზაჟი მხოლოდ პოეტის

ემოციური სამყაროს, სულიერი ცხოვრების მოძრაობის გამოხატვის ფუნქციას ასრულებს.

საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე მაგალითი გალაკტიონ ტაბიძის იმ პერიოდის საუკეთესო ლექსებიდან:

მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა;
მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის
და სიყვარულის ასე მოთმენა.
ძვირფასო სული მევესება თოვლით —
დღეები რბიან და მე ვბერდები
ჩემ სამშობლოში მე მოველე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები.

ასევე მკაფიოდ გვიჩვენებს პოეტის დაშორებას რეალისტური პოეტიკის პოზიციისაგან ლექსი „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“:

დედაო ღვთისაჲ, მზეო მარიაჲ
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაყვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები
და თუ როგორმე ისევ გათენდა —
ღამე ნათევი და ნამთერალევი
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან.

ხშირად სახეების წარმოქმნის ასეთი სუბიექტური მანერა დაკავშირებულია აგრეთვე სიტყვის განტვირთვასთან შინაარსისაგან, როცა სიტყვა აღებულია, როგორც მხოლოდ ბგერითი ფენომენი, როგორც მხოლოდ მუსიკალური ერთეული ლექსის მელოდირურ წყობაში:

მირბის დალალ გადაყრილი
დოვინ-დოვენ-დოვლი,
თოვლი, ფიფქი და აპრილი —
ვარდისფერი თოვლი.

აქ პოეტური სიტყვა გაგებულია, როგორც მხოლოდ მუსიკალური ფრაზის შემადგენელი მელოდირური ერთეული, რომელიც უშუალოდ არის მიმართული მკითხველის ემოციათა სამყაროსადმი.

ხშირად პოეტის წარმოსახვით საშუალებათა სისტემაში სრულიად წაშლილია საზღვრები სმენითა და მხედველობით შეგრძნებათა შორის.

ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები,
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელ-ხშიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.

და ყოველივე ამის მიუხედავად, გალაკტიონ ტაბიძის ამ დროინდელი ლექსები ღრმა ემოციური ზემოქმედების ძალით ხასიათდებიან. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მრხივ ლექსის მუსიკალურ ბუნებას, რის სფეროშიაც გალაკტიონ ტაბიძე შეუდარებელ სიმდიდრეს და ოსტატობას იჩენს. მისი ყოველი სტრიქონი გაცოცხლებულია და შინაგანად ამღერებული.

ასე შორს წავიდა პოეტი თავისი ზოგიერთი ლექსით კლასიკური რეალისტური ლირიკის ტრადიციებიდან. ასე ღრმად გამოიხატა მის არაერთ ნაწარმოებში დეკადანსის პოეტური კულტურის დამახასიათებელი თვისებები. მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყოველივე ამას მთლიანად როდი გამოუთიშავს პოეტი პროგრესული კლასიკური პოეზიის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციებისაგან. მის რევოლუციამდელ პოეზიაში იშვიათი როდია ისეთი ნაწარმოებებიც, რომელნიც მკაფიოდ გამოხატავენ პოეტის სულიერ ნათესაობას ეპოქის რევოლუციურ ფაქტორებთან.

უეჭველია, რომ პოეტის მახვილ ყურთასმენამდე მაინც აღწევდა ხმა იმ გუგუნისა, რომლითაც სოციალური სინამდვილის სიღრმეში გროვდებოდნენ რევოლუციის ახალი მამოძრავებელი ძალები:

ო, ნუ იფიქრებ, რომ მოკვდა გული,
რომ სულ დაგმარებ ოცნება წრფელი,
განადგურების ეკლიან გზაზე
გულს ბევრი რამ აქვს ხელუხლებლო.

და შინაგანი ხილვა პოეტს თვალწინ წარმოუსახავს სადღაც არსებულ „სხვა სამყაროს“, რომლისკენაც მიპყრობილია მისი იმედი და მისწრაფება:

და მუდამ გავზრდი გულში იმ იმედს,
რომ სადღაც არის ისეთი მხარე
სადაც ედემი ყვავის მზიანი,
სადაც არ არის სული მწუხარე.

ბნელი და პირქუში საზოგადოებრივი ვითარების მიღმა პოეტი მაინც ხედავს თავის საოცნებო ნათელს და თუმცა ის ნათელი მიუწვდომელ სიშორედ ეჩვენება, მაინც გულით მიიწევს მისკენ:

მას აქეთია იალქანი ზღვაზე მიფრინავს,
მისთვის ერთია, სად დახუჭავს ოცნება თვალებს,

მიუწოდებელი სანთლები კი ბრწყინავს და ბრწყინავს,
როგორ მაგონებს ის სანთლები ჩემს იდეალებს!

არა მარტო ოცნება შორეულ ნათელზე, არა მარტო რწმენა და სწრაფვა ამ „მზიურ ედემისაკენ“ ცხოვრობს გ. ტაბიძის რევოლუციამდელ პოეზიაში, არამედ ზოგჯერ მგზნებარე ტემპერამენტით აღბეჭდილი განწყობილებაც ამ იდეალის მოახლოებისათვის საბრძოლველად შთაგონებული პოეტისა:

ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპყრებ,
გაუანადგურებ ხელის შემშლელ ნისლს,
წყვეულ ლაქაპაც გაუანადგურებ.

„მე და ლამის“ ავტორს აქვს ისეთი ლექსიცი, სადაც იგი უკუაგდება სიმშვიდისა და მყუდროების იდილიას, რათა გრიგალს შეეხას და ქარიშხალს მოუწოდოს:

ამ სიმშვიდეში მე ვერ ვპოვე ვერც სიტკბოება,
ვერც რამ ისეთი სასიცოცხლო და სანეტარო.
დაპქროლე ქარო მე არ მიყვარს ეგ მყუდროება
მე ქარიშხალთან შეხმა მინდა, დაპქროლე ქარო!

და როგორც კი დაპქროლა ამ ქარიშხალმა, როგორც კი საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, პოეტმა მართლაც დიდი გაბედულებით გაანადგურა „ხელის შემშლელი ნისლი“ საკუთარი პოეტური წარსულისა. თუმცა ეს „ნისლი“ ზოგჯერ ღრმად იყო დასადგურებული პოეტის ბუნებაში, მაინც რევოლუციასთან შინაგანმა ნათესაობამ და მისწრაფებამ დასძლია იგი:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია,
და სისხლიანი სდგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ პოეტები საქართველოსი.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეებში გალაკტიონ ტაბიძე უწყყმანოდ დგება გამარჯვებული საბჭოთა ხალხის მხარეზე და იწყებს მრავალმხრივ და დიდად ნაყოფიერ მოღვაწეობას სოციალისტური კულტურის ფრონტზე.

1921 — 1922 წლებში გ. ტაბიძე ჟურნალ „ლომისში“, გაზეთ „პოეზიის დღე-ში“, შემდეგ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში აქვეყნებს წერილებს და დეკლარაციებს, რომლებშიც ქართული კულტურის ოსტატებს მოუწოდებს საბჭოთა სახელმწიფოსთან აქტიური შემოქმე-

დებითი თანამშრომლობისაკენ. 1924 წელს გ. ტაბიძე ერთ-ერთი დამაარსებელი და უახლოესი თანამშრომელი ხდება პირველი ქართული სქელტანიანი საბჭოთა სალიტერატურო ჟურნალ „მნათობისა“, რომელიც ასრულებს დიდად მნიშვნელოვან როლს ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში. „მნათობის“ პირველსავე ნომრებში და, საერთოდ, იმდროინდელ ქართულ პრესაში ზედიზედ ქვეყნდება გ. ტაბიძის ლექსები, ლირიკული ციკლები და პოემები, რომლებშიც პოეტი შთაგონებულად ასახავს და აღიღებს ჩვენი სამშობლოს აღორძინებისა და განახლების დიად სინამდვილეს, დიდი ოქტომბრის საერთაშორისო ისტორიულ მნიშვნელობას, საბჭოთა ხალხის გმირულ საქმეებს.

გ. ტაბიძის ამ ნაწარმოებებს ფუძემდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა პოეზიის აღმოცენება-განვითარებისათვის. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების დროისათვის რევოლუციამდელ ქართულ მწერალთა ვარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდა სოციალისტური რევოლუციის იდეების სიმართლესა და ძლევამოსილებაში. მწერლობის ეს ნაწილი ერთიანდებოდა საბჭოთა წყობილებისადმი უარყოფითად განწყობილ ლიტერატურულ ორგანიზაციებში და გარკვეულ წინააღმდეგობასაც კი უწევდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკას. საერთოდ, კულტურული რევოლუციის ამოცანებს.

პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი კადრები ჯერ კიდევ არ იყვნენ იმდენად მომძლავრებულნი, რომ გადაწყვეტი ხვედრითი წონა მოეპოვებიათ ლიტერატურის სარბიელზე.

ასეთ ვითარებაში რევოლუციამდელი თაობის საუკეთესო და სახალხოდ სახელმძღვანელო პოეტის გ. ტაბიძის გულწრფელ და უყოყმანო დადგომას საბჭოთა კულტურის პოზიციებზე დიდი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. განსაკუთრებით ფასდაუდებელი იყო ამ აქტის დადებითი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურის ფორმირების პროცესის თვალსაზრისით. ეს იყო მისაბაძი და სანიმუშო მაგალითი რევოლუციამდელი მწერლობის საუკეთესო სასიცოცხლო ძალებისათვის. ეს იყო გზის გამკაფაფი, გამამხნეველებელი და გაბედული, შემოქმედებითი ბრძოლისათვის წამაქეზებელი მაგალითი საბჭოთა ლიტერატურაში შემოსასვლელად მოწოდებული ახალი შემოქმედებითი ძალებისათვის.

საბჭოთა სინამდვილესთან უფრო ორგანიულად დაკავშირების მიზნით პოეტი მოგზაურობს განახლებული საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებში. 1929 წელს კომინტერნის კონგრესის უცხოელ დელეგატებთან ერთად გ. ტაბიძემ შემოიარა საბჭოთა კავშირის უმნიშვნელოვანესი საწარმოო ცენტრები. ჩვენს სამშობლოში გაჩაღებული ახალი

ცხოვრების პათოსით შთაგონებულმა პოეტმა ზედიზედ გამოაქვეყნა დიდი იდეური ელერის ახალი პოეტური ქმნილებები: „ეპოქა“, „პაციფიზმი“, „მსოფლიო ორკესტრი“, ლექსების დიდი ციკლები: „ასი ლექსი“ და სხვ. ეს ნაწარმოებები ამკვიდრებენ სოციალისტური ლირიკის შემოქმედებით ტრადიციებს ქართულ ლიტერატურაში და ცხოველ გამოძახილს პოულობენ მკითხველთა ფართო ფენებში. 1931 წელს, საბჭოთა საქართველოს 10 წლისთავზე, გ. ტაბიძე აქვეყნებს პოემას: „რევოლუციური საქართველო“, რომელშიც ასახულია საბჭოთა საქართველოს ზრდისა და განუხრელი აღმავლობის ათწლოვანი გზა.

თავისი ყოველი ახალი ნაწარმოებით პოეტი უფრო და უფრო ღრმად უკავშირდება საბჭოთა ხალხის სულიერ სამყაროს, მისი პოეზია ჭეშმარიტ ხალხურობას აღწევს. ამიტომაც 1933 წელს, მისი პოეტური მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით საქმობლომ გ. ტაბიძეს რესპუბლიკის სახალხო პოეტის მაღალი წოდება მიანიჭა.

1935 წელს გ. ტაბიძე პარიზს მიემგზავრება და მონაწილეობს ანტიფაშისტ მწერალთა მსოფლიო კონგრესის მუშაობაში, როგორც მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური მწერლობის, საბჭოთა მწერლობის დელეგაციის წევრი. კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ პოეტი მოგზაურობს ევროპის ქვეყნებში, რის შედეგადაც წერს ლექსების მთელ წიგნს „მოგონებანი ევროპაზე“. ამ ლექსებში პოეტი ნიღაბს ხდის და მომაკვდინებლად ამხილებს რეაქციულ კაპიტალისტურ სამყაროში მძვინვარე საშინელებას, მშრომელი მასების უკიდურეს ჩაგვრას და უფუფლებობას, ეროვნულ და რასობრივ დისკრიმინაციას, ადამიანის ყველა კეთილშობილურ გრძნობათა და მისწრაფებათა ფეხქვეშ გათელვას. ამ ციკლის ყოველი ლექსი საბჭოთა პატრიოტიზმის, საბჭოთა ნაციონალური სიამაყის უწმინდესი გრძნობით არის შთაგონებული.

სულ უფრო და უფრო ფართოვდება გ. ტაბიძის პოეტური შემოქმედების თემატური დიაპაზონი. იგი მოიცავს თანამედროვეობის ყოველ მხარეს, ყოველ უმნიშვნელოვანეს მოვლენასა და პრობლემას.

მთელ რიგ პოეტურ ქმნილებებში გ. ტაბიძემ განასახიერა ოქტომბრის რევოლუციის დიადი დღეებით გამოწვეული შთაბეჭდილებანი, რომლებიც მან უშუალოდ განიცადა რუსეთში. თავდაპირველად ბუნდოვანი იყო პოეტის ცნობიერებაში ამ დიადი დღეების საერთაშორისო ისტორიული აზრი. მას რევოლუცია ჯერ კიდევ ნგრევის სტიქიად მიაჩნდა, რომლის გარემოცვაში იგი თანაბრად იყო შეპყრობილი აღტაცებისა და განწირულების გრძნობებით:

ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა,
თან მეფიცება დობას და ქმობას
და ყორანთით უცნობის სკრიპკა

ჩემს მხართან ტირის უიმედობას.
კარგია ძილი, რკინაზე მძიმე,
ამ უცხოეთში უგზოდ დაკარგვა,
კარგია თოვლი, კარგია წვიმა.
მაგრამ უცნობო, შენ რა დაგარქვა?

მაგრამ რევოლუციის ასეთი მიმღეობა პოეტისათვის სწრაფწარმავალი აღ-
მოჩნდა. იგი აღტაცებით გაჰყვა ოქტომბრის რევოლუციას და ამიერიდან მის
ლექსებში განწირულებისა და უიმედობის მოტივი სამუდამოდ შესცვალა გა-
მარჯვებული ბრძოლის სიმღერამ:

ეს რა ბრწყინვალე მზე ამოენთო,
რა ჟრიალულმა გადაიღღერა,
ეს სიმღერაა შენი, პოეტო,
გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა.

ეს გარდაქმნა ტაბიძისათვის არ ყოფილა მტკივნეული, მერყეობასა და და-
ეჭვებასთან დაკავშირებული. მაგრამ ცხადია, ადვილი არ იყო ახალი, რევო-
ლუციური თემებისა და იდეების შესაფერი პოეტური ჰანგებისა და საღებავე-
ბის მიგნება. პირად-ინტიმური თემების განსახიერებისათვის ეფემერებისა და
ფანტასტიკური სურათების გადმოცემისათვის გამოიშუშავებული პოეტური ფორ-
მა საფუძვლიან გარდაქმნას და შეცვლას საჭიროებდა. ეს კი შედარებით უფრო
რთულ ამოცანას წარმოადგენდა. ამ სიძნელის გადალახვისათვის წარმოებულ
დიდ შემოქმედებით ბრძოლაში გ. ტაბიძე ყოველთვის როდი ახერხებდა შე-
ენარჩუნებინა პოეტური ქმნილების მისთვის ჩვეული ესთეტიკური ძალა და
სიღრმე. ავიღოთ მაგალითად, პოემა „ჯონ-რიდი“. ამ ვრცელ პოეტურ ნაწარ-
მოებში ფორმის მხრივ ზოგჯერ დავიწყებულა ლექსის სპეციფიკური მოთხოვნი-
ბიც. პოეტი აქ ფაქტებისა და მოვლენების კალეიდოსკოპს იძლევა, ზოგჯერ
მათი ესთეტიკური გააზრებისა და სახეობრივი გადამუშავების გარეშე:

წაქცეული ხე ტვერის ბულვარში,
წაქცეული ცხენი ტვერის ბულვარში.
ტყვისმფრქვეველი დიდ სამრეკლოზე,
ცეცხლი ეღება
უზარმაზარ სახლებს ბულვარზე.
სახლები იწვიან ყოველმხრივ,
ყოველმხრივ...
ლეგენდა ერთ სახლზე.
მოსკოვი ღამით განათებულია.
განუწყვეტელი კანანადებო.

საშინელი შიმშილი,
და მე ვინტოკით!
კრემლში გამაგრება:
პური, რომელიც მიჰქონდათ კრემლში!

ამ სტრიქონებში გადმოცემულია დიადი რევოლუციური დღეების მძაფრი შეგრძნება, მაგრამ სინამდვილის სტიქიურ ათვისებასთან ერთად აქ თვითონ ლექსის მდინარეებაც სტიქიურია: ირღვევა პოეტური კანონზომიერების წებირები. ცხადია, გალაკტიონ ტაბიძე აქ სრულიად შეგნებულად ახდენს საკუთარი პოეტური ტრადიციების ულმობელსა და დაუზოგავ დეფორმაციას. ალბათ მათ დარღვევაში ხედავდა პოეტი ახალი, რევოლუციური ეპოქის პოეტური კულტურისათვის აუცილებელი მუსიკის აღმოცენების წინაპირობას.

შემდეგში, რევოლუციური თემებისა და იდეების უფრო ღრმად დაუფლების ნიადაგზე, პოეტი თანდათან შედის ახალი ხარისხის, მაღალი და მძლავრი პოეტური ფორმის ყალიბში. მის პოემებში, რომლებიც უფრო ლირიკული ფრაგმენტების თემატიურად აწყობილ კომპოზიციებს შეადგენენ, ჩვენ ვხვდებით დიდი შთაგონებით და ღრმა ემოციური ძალით ამოძრავებულ ლექსებს:

ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა,
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია.
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ფრთებით მზიგერია.

ქარიშხლიანი რევოლუციური ეპოქის პათოსი თანდათან მკვიდრდება ტაბიძის შემოქმედებაში. ბუნებრივად ირღვევა მისი ლექსის ინტიმურ-კამერული ინტონაცია. მძაფრი გარდატეხებისა და დიადი კლასობრივი ბრძოლების დამბული ატმოსფეროს ამსახველი ჰანგი განსაზღვრავს ახლა მისი პოეზიის მელოდიურ ბუნებას. გ. ტაბიძის ლექსი უფრო მონუმენტურ, ვაჟაკურ, პათეტიკურ სტილში იწყებს მდინარებას:

არა თუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი ბჭკარი
არის გაჭირილი კლასობრივ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების
ეპოქა, რამაც ძველი შეთოქა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიალურ დროის ეპოქა.

და მართლაც, თავისი პოეტური შემოქმედების მთელი ძალა და გაქანება, ყოველი თავისი ლექსი დიდი რწმენითა და შთაგონებით დააყენა მან სოციალისტური ეპოქის საბრძოლო დროშის ქვეშ.

წრფელი პათოსით ამღერებულ მის ლექსებში აელვარდნენ ოქტომბრის რევოლუციის გენიალური ბელადის ლენინისა და მისი თანამებრძოლების უკვდავი სახეები.

ოქტომბრის რევოლუციის თემა ორგანულად დამკვიდრდა გ. ტაბიძის პოეზიაში და ამ თემის მრავალმხრივი დამუშავებით იგი საბჭოთა ეპოქის პოეტური კულტურის პირველხარისხოვან ოსტატად მოგვევლინა. გ. ტაბიძე უმღერის ოქტომბრის რევოლუციას, როგორც კაცობრიობის ახალი სიცოცხლის დასაწყისს:

გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი,
მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქვეყნად ღიმილი
შეხედე ეხლა რაოდენია!
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს,
მათ განახლებას ეუბნება ბანს
ეს გაზაფხული, უხარებს დღეებს
და არწევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

სოციალისტური რევოლუციის გრანდიოზული გაქანების განსახიერებას გვაძლევს პოეტი საერთაშორისო რევოლუციური ჰიმნის „ინტერნაციონალი-სადმი“ მიძღვნილ ლექსში:

ამ ჰიმნმა დასძრა ძველი ტაძრები
და ვარსკვლავები აპყარა ცაზე.
მწვერვალს მოსწყვიტა სასახლეები
და დააქანა მოლიბულ გზაზე.
მუდამ მალეღებებს ინტერნაციონალი,
ეს ურუანტელი ჩვენი დროისა!
ადგილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება
და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

გ. ტაბიძის პოეზიაში გამოიხატა ოქტომბრის რევოლუციის საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობა. მთელ რიგ პოეტურ ჰიმნილებებში იგი გვაძლევს აპიტალისტური გარემოცვის მომავლდინებელ მხილებას და განამტკიცებს მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და დემოკრატიის გამარჯვების ურყევ რწმენას:

მაგრამ მოვა დრო, მედგარი წვიმა,
მსოფლიო წვიმა დაპყრავს ჭეჭილებს,
მიებჭინება იგი პოლიუსს,
ვით ცისარტყელის ფერი მზიანი,
წყალს იგი თუ არ, სხვა ვერვინ მისცემს
წყურვილისაგან ხმაჩახლეჩილებს,
იგი: მსოფლიო ოქტომბრის შუქი,
ქვეყნის პირველი მერიდიანი.

უშრეტი პოეტური ენერგიით შევიდა გ. ტაბიძე ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის თემებისა და იდეების არეში და იშვიათია ჩვენი ეპოქის რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც გამოხმაურება არ ეპაოვოს ჩვენი დროის ამ დიდი პოეტის შემოქმედებაში.

განახლებულ საქართველოს დედაქალაქში შემოჭრილი ამომავალი შზის პირველ სხივს პოეტი განიცდის როგორც ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ გათენების, ჩვენი ხალხის ცხოვრების განათებისა და ასხივოსნების ცხოველყოფელ ნიშანს:

განთიადისა პირველი ალი
ნარიყალისა ნანგრევზე წვება,
ელექტრო ქრება და შუქი შზისა
იფეთქებს, როგორც ახალი შეება.

ჰყვება თბილისი სხვადასხვა პანგებს,
ხმა სიშორიდან გულს ლელვად ხედება;
ჩემი სალაში გიგანტურ ჩანგებს
ბნელს სული ხდება, სიბნელე ჰკვდება.

გულწრფელი სიმღერებით ეხმაურება პოეტი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული აღმავლობის პათოსს და გაქანებას:

აქ ძახილია ლიანდაგების,
აქ ტრიალია სემაფორების,
შორი ძახილი სადგურებისა,
მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

გამარჯვების რწმენით აღბეჭდილი მგზნებარე ლექსით მიმართავს პოეტი კოლხეთის ველზე ახალი მატერიკისათვის, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლ გმირ ადამიანებს — „ახალი დორის არგონავტებს“.

თქვენ არ ვაშინებთ ზვირთების ლავა,
დაბრკოლებანი ვარემოსა,
თქვენი ოცნება ნაპირზე გავა,
არგონავტებო ახალ დროისა.

განახლებული საქართველოს მზიური პეიზაჟი, ჩაის პლანტაციებით დაფარული ველები, აყვავებული ვარდის სურნელით გაყდენთილი ბუნების ზეიმი გალ. ტაბიძის პოეზიაში პოულობს მგზნებარე ლირიკულ გამოხატულებას:

ჩემი გულია, მშვენიერ შაის
ხვეწნად მუხლებში რომ ვუვარდები,
სიმღერა ჩაის, სიცოცხლე ჩაის
და უყვითლესი ჩაის ვარდები!

პოეტი შთაგონებულად უმდერის ჩვენი სოფლის მამაპაპური იდილიის რღვევას, მის ცხოვრებაში მანქანის შექმრას. ლექსში „ავტომობილი და ურემი“ გამოხატულია ახალი ცხოვრების ძლევამოსილი წინსვლა, წარსულის უკანასკნელი ნაშთების კატასტროფა:

ახალ-ახალ შარაზე
მიჰქრის ავტომობილი,
ჩემი ვადარეული
და კეთილი ძმობილი.
გზა მიეცით მანქანას,
მომავალი მისია.
იგი ჩვენში ახალი
ყოფნის დასაწყისია.

გალ. ტაბიძის პოეზიაში განსახიერებელია ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვის უწყინდესი იდეა. პოეტი შთაგონებს საბჭოთა ხალხს, ჩვენს უძლეველ და სახელოვან არმიას:

რწმენით იარ, იარ, იარ,
მტკიცე გქონდეს ბიჭი,
ყველა ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი.

ასე ფართოა გალ. ტაბიძის პოეტური დიაპაზონი, ასე ვრცელია მისი თემებისა და იდეების სამყარო. ამ დიდსა და დაძაბულ შემოქმედებით მუშაობაში, თემებისა და პრობლემების ამ არაჩვეულებრივ სიუხვეში ყოველთვის როდია დაცული პოეტურ ქმნილებათა თანაბარი ღონე და ხარისხი. „ეპოქის“, „პაციფიზმის“ და „რევოლუციური საქართველოს“ ციკლებში ვხვდებით შედარებით დაბალი ესთეტიკური ღირებულების ლექსებს. ეს უმთავრესად იმ შემთხვევებში, როდესაც პოეტი ყოფაცხოვრებითი სურათების დახატვას ლამობს, როდესაც იგი მომთხრობელობით ლექსზე გადადის.

სამაგიეროდ შეუდარებლად ძლიერია გ. ტაბიძე ადამიანის სულიერი ცხოვრების მოვლენათა ლირიკული გამოხატვის სფეროში. საკმარისია გავიხსენოთ რამდენიმე სტრიქონი მისი ვრცელი ნაწარმოების: „საუბარი ლირიკის შესახებ“ შესავალიდან:

ვიგონებ ყრმობას, შორს, ძლიერ შორს
ქალების გაღმა,
კავკასიონის კლდოვანი მთის
მოსჩანდა ფერდი
სალამობით, ვით ხომალდი

ასწიოს ნაღმმა, —
მზით ენთებოდა და ჰქრებოდა
ტიტანის მკერდი.
ბავშვობიდანვე, ის სიშორე
მტანჯავდა ერთი —
ლაყვარლოვანი მიტაცებდნენ
ნაქარალები
და ვკითხულობდი, ვოცნებობდი,
ვმღერდი თუ ვწერდი —
მღევდნენ, მეძახდნენ, მიზიდავდნენ
ის მწვერვალები.

ეს არის ნამდვილი გალაკტიონ ტაბიძე, მისი ჭეშმარიტი პოეტური ხმა, მღელვარე გრძნობა, დაუცხრომელი ლირიზმი, მხატვრული აზრის ექსპრესია, ლექსის შინაგანი ამღერება, წარმტაცი მელოდიურობა.

გალაკტიონ ტაბიძე ჩვენი დროის დიდი ლირიკოსია და იგი თავისი პოეტური ბუნების მთელ ძალას სწორედ მაშინ გამოავლენს, როდესაც მოვლენათა მიმართ თავისი დამოკიდებულების, თავის განცდათა და განწყობილებათა განმასახიერებელ ლექსებს ჰქმნის. და თუ ეს გარემოება ოდნავადაც ვერ ზღუდავს მისი პოეზიის ღრმა სოციალურ რეზონანსს, ვერ ამწყვედევს მას პარადულ-ინტიმური გრძნობებისა და ვიწრო ინდივიდუალისტური ემოციების რკალში, ეს იმიტომ, რომ იგი მღელვარე ლირიკულ მელოდიებში, რომლებითაც პოეტი თავისი თანამედროვეობის დიდ სოციალურ ძვრებსა და იდეებს ეხმაურება, აღწევს ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის ტიპიურ მისწრაფებათა და განწყობილებათა გადმოცემას. საკუთარი ლირიკული ასპექტი სინამდვილის პოეტური ათვისებისა ვალ. ტაბიძის შემოქმედებაში ორგანიულად არის დაკავშირებული ხალხის საბრძოლო იდეალებთან, უდიდესი ისტორიული მისიით ამხედრებული მილიონების სულსცვეთებასთან და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი, როგორც სოციალისტური ლირიკის გამოჩენილი ოსტატის, ერთ-ერთი უპირველესი ღირსება.

ეპოქის მასულდგმულებელ დიდ სოციალურ იდეებს, ჩვენი უაღრესად მძაფრი და რთული სინამდვილის მოვლენებს გ. ტაბიძე ეხმაურება და ასახავს კიდევ მეტი ლირიკული გზნებით, უფრო მხურვალე მგრძნობელობით და პოეტური მღელვარებით, ვიდრე იგი ოდესმე პირად ინტიმურ განცდათა სამყაროდან მომდინარე მოტრეებს განასახიერებდა ან საკუთარი ფანტასტიკური წარმოდგენებით შეთხზულ სამყაროში ხილულ სურათებს წარმოასახავდა.

გ. ტაბიძის პოეტური ბუნების ეს თვისება განსაკუთრებით ცხოვლად და მკვეთრად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის ვითარებაში, როდესაც მისი

შემოქმედების მასულდგმულეხელ ძირითად ძალად გადაიქცა სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულების იდეა, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების უბოროტესი მტრებისადმი მომაკვდინებელი მძულვარების გრძნობა.

როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, გ. ტაბიძე პოეტური ცხოვრების დასაწყისიდანვე ცხოვლად და შთაგონებულად ეხმარებოდა და თავისებურად ანვითარებდა ქართული კლასიკური პოეზიის დიდ პატრიოტულ ტრადიციას. სრული სიმართლეა გამოთქმული სამშობლოსადმი მიძღვნილ მის ერთ-ერთ ლექსში:

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალეა გარს რომ ავლია,
აი პირველი,
აი პირველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.

საბჭოთა პატრიოტიზმის უწმინდესი გრძნობა პირველი და უმთავრესია გ. ტაბიძის შემოქმედებითი სტიქიის აღმძვრელ გრძნობათა შორის და თემებისა და მოტივების იმ ამოუწურავ სიუხვესა და მრავალფეროვნებაში, რომელიც მის პოეზიას ახასიათებს. სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულის იდეა ყოველთვის ამგვარ განმსაზღვრელ მდგომარეობას ინარჩუნებს:

გავში ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა რა სიმართლეა!
გადამასწავლოს —
ნურაინ ჰგონებს —
რის სიყვარულიც მე მისწავლია!

ღრმა სიწრფელით და მომხიბლავი უშუალოებით ეღერს სამშობლოსადმი მიმართული სიტყვები პოეტისა უკანასკნელი დროის მისი ერთ-ერთი ლირიკული ლექსიდან „ჩემი სიმღერა“:

შენი, სამშობლოვ, მსასოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, რადგან მგზოვარი
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

სამშობლოს მიუძღვნა და მიაკუთვნა პოეტმა თავისი ჩანგიც და თავისი გულიც. თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების მთელი არსება სამშობლოსთან დაკავშირა ძნეთი ინტიმური და მშობლიური სიახლოვით, როგორც განიცდის აღამიანი თავის უსაყვარლეს და უძვირფასეს საგანს.

სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა გ. ტაბიძის პოეზიაში უშუალოდ არის დაკავშირებული მტრული სამყაროსადმი მღელვარე სიძულვილის გრძნობასთან.

დაუცხრომელი პოეტური ენერგიით და შეურიგებლობის მძაფრი განცდით ჰქმნიდა გალ. ტაბიძე ჭერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში მტრული რეაქციული სამყაროს მამხილებელ ლექსებს. დიდი სიუხვით და სისავსით არის დამუშავებული ეს თემა გალ. ტაბიძის პოეზიაში. გარდა დიდი პოეტური ციკლებისა: „ეპოქა“ და „პაციფიზმი“, ამ თემისადმი მიძღვნილი ვალ. ტაბიძის ლექსების მესამე ტომის ძირითადი ნაწილი — „მოგონებები ევროპაზე“.

ამ ლექსებში პოეტი დიდი დამაჭერებლობით განასახიერებს რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულების აზრს, გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანის ნაციონალური სიამაყის გრძნობას, მის შეგნებას ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებული ახალი ცხოვრების უპირატესობისას, ჩვენი ხალხის ბრძოლის დიადი საერთაშორისო ისტორიული მნიშვნელობისას. ამ აზრით აღბეჭდილი ლექსებით მიმართავს პოეტი ჩვენი ქვეყნის გაბოროტებულ მტრებს:

ჩვენ ავაშენეთ ქვეყანა ძმობის,
იგი ეყრდნობა ამ ქვეყნად პირველს —
ხალხთა ძმობისა და მეგობრობის,
ურთფერთ რწმენის ურყევ საძირკველს.

თქვენი ქვეყანა კი ურთიერთი
ღრმა სიძულვილის ვულკანზე მდგარი,
ქანაობს, რბევის მძინვარე ღმერთი
არის იმისი ბაირალტარი.

ხალხთა ძმობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის იდეა მრავალმხრივად არის განსახიერებული გ. ტაბიძის პოეზიაში.

პოეტი ყოველთვის ისწრაფოდა გაემახვილებინა ჩვენი ხალხის სიფხიზლე მტრული ძალების მიმართ.

ჭერ კიდევ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველ წლებში პოეტს იერიში მიჰქონდა გულდამშვიდების ყოველგვარ ილუზიაზე, იგი დაეინებოთ მოგვაგონებდა:

რომ არა ერთხელ აგუჯუნუება
დედამიწაზე კიდევ სამუში.

იგი გვიხატავდა ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ისტორიის ყველაზე ბნელი და უბოროტესი ძალების მოსალოდნელი ვერაგული გამოლაშქრების სურათს, აღბეჭდილს ღრმა პოეტური ექსპრესიით:

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად
ასანტიმეტრის მკაცრი სახელი,

ხევიდან ხევზე გადიგრილებს
ხევიდან ხევის გამოძახელს.
გააფთრებული ომის გენია
ძველი უანგივით ყვითელი ფერის
გადეფარება მეწამულ ზეცას
რომ მიიტანოს დღე მწარე წერის.
იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილისს,
გადმონაგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მიაღვეს თბილისს!

ეს წინათგრძნობა და წინათხილვა საერთაშორისო რეაქციის უბნელეს ძალ-
თა მოსალოდნელი თავდასხმისა ჩვენს დედა-სამშობლოზე მრავალჯერ არის გა-
მოხატული გალ. ტაბიძის პოეზიაში. ამიტომ უმღეროდა იგი ყოველთვის ისეთი
ფრთხილად მშობლიური შთაგონებით ჩვენს სახელოვან წითელ არმიას, მის უძლეველო-
ბას, მტერთ შემმუსრავე სიმტკიცის იდეას:

ჩვენი ჯარი ძლიერია,
და ბრძოლაში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი.

ჩვენს სამშობლოზე პიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის თით-
ქმის წინა დღით, 1941 წლის თებერვალში, დაწერა გ. ტაბიძემ პატრიოტული
მგზნებარებით შთაგონებული ვრცელი ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ —
ეს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში თანამედროვე ქართული პოლიტიკური ლირი-
კისა.

თითქოს მოახლოვებულ დიად ბრძოლათა წინათგრძნობით განსაკუთრებუ-
ლად გამძაფრებული და აღზნებული პატრიოტული გულისძგერა მოისმის ამ
ლექსის სტრიქონებში. პოეტი აქ აღწევს მთელი ხალხის უწყმინდეს გრძნობათა
და მისწრაფებათა გამოთქმის ძალას, განასახიერებს რა საბჭოთა ადამიანის
თავდადებულ სიყვარულს თავისი ქვეყნისადმი, განუზომელ აღტაცებას მშო-
ბელი ქვეყნის წარმტაცი ბუნებით, კანონიერ სიამაყეს ჩვენი გმირული და სა-
ხელოვანი ისტორიით, ჩვენი ტკბილი მშობლიური ენით, დიადი კულტურით,
შეგნებას ჩვენი თანამედროვე შრომისა და ბრძოლის ძონაპოვართა უდიდესი სა-
ერთაშორისო-ისტორიული აზრისა და ჩვენს საყოველთაო მზადყოფნას, რომ
სისხლის ყოველი წვეთით დავიცვათ ყოველივე ის, რაც გაერთიანებულია სამ-
შობლოს უმაღლესსა და უწყმინდეს ცნებაში.

პოეტი მიმართავდა სამშობლოს:

თუ მრავალგზის დანგრეული
დღეს ძლიერი გახდი მხარე
და მოედო სოფელს, ქალაქს,
განახლების ნიაღვარი;
თუ გრიგალი მშენებლობის
ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს, —
ეს მისთვის, რომ ჩვენ სტალინი
ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

ასე მღეროდა გალ. ტაბიძის ლექსი მშვიდობიანი მშენებლობის წლებში. ხოლო, როდესაც მის ლექსებში გამოსახული მტრულ სამყაროსთან მიახლოვებულ შეჯახებათა წინათგრძნობა რეალობად იქცა, გალ. ტაბიძის პოეზიაში უფრო მეტის ცხოველმყოფელობით გაისმა პატრიოტული თავგანწირულობის, სამშობლოსადმი თავდადებული სიყვარულის წრფელი საგალობელი:

სიცოცხლეო, მამულო, მძაფრი, არა-ფარული,
შვილთა შენთა ხმამალა სთქვან შენი სიყვარული.

ვერაგი მტრისადმი მომაკვდინებელი ზიზლის წმინდა გრძნობით აღგზნებულ ლექსი გალ. ტაბიძისა სამამულო ომის წლებში ადამიანობის უმაღლეს იდეალად, სიცოცხლის უმაღლეს დანიშნულებად ვაუკაცურ ბრძოლას სახავდა:

საწამლაით ხელში მოსულს
მას სიკვდილი მოსდევს მხლებლად.
ომს აჩაღებს ბარბაროსულს,
ხალხს ეკვეთა საწამებლად.
უნდა გაჰქრეს სიმწრის ფერი,
მძიმე სულის, მძიმე ქროლა,
ეხლა არის ყველაფერი —
მასთან ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა.

ყოველდღიური პრესის ფურცლებიდან, ლექსთა საგანგებო კრებულიდან თუ დედაქალაქის ქუჩებზე გაქრული საბრძოლო პლაკატებიდან გ. ტაბიძის ლექსი დიდების შარავანდედით მოსავდა სამამულო ომის გმირულ დღეებს:

ძალით, სიცოცხლით, გატაცებით,
მკლავით, გონებით,
ადამიანთა მღელვარებენ მილიონები.

სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით გამსჭვალულ მის სიმღერებში განსახიერდა ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურყევი რწმენა ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გამარჯვებისა. პოეტი ამ გამარჯვების დიადი დღის მოახლოებას შეჰხაროდა და უმღეროდა:

სამშობლოსათვის თავდადების დრონი მეფობენ,
იგი გვეძახის ბევრის მოწმე, ბევრის მგონები,
მოახლოებულ გამარჯვების დიდებას გრძნობენ
ადამიანთა პატიოსანთ მილიონები.

ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის ფადამწყვეტ მძაფრ ვითარებაში გ. ტაბიძის ლექსებში უშუალო პოეტურ გამოსახულებას პოულობდა ყოველი საბჭოთა პატრიოტის უმაღლესი ოცნება და რწმენა.

ცხოველყოფილი საბრძოლო ჰანგებით ქლერდა ომის მძაფრ დღეებში იმ პოეტის ლექსები, რომელიც ოდესღაც უნაზეს ლირიკულ მელოდიებს თხზავდა ადამიანის უაღრესად ინტიმურ განწყობილებათა გადმოსაცემად.

ასე ფეხდაფეხ მიჰყვება პოეტი თავის ეპოქას, თავის ხალხს, თავისი ქვეყნის მოწოდებას:

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს,
აგუგუნება კაიშაურის.

მარად მშფოთვარი და დაუდგრომელი თერგის ხმაური და მყინვარის ქედ-უხრელი სიმაღლე და ელვარება, არაერთხელ ნადიდები საქართველოს დიდი პოეტების მიერ, განსაზღვრავდა კავკასიის დაცვის გმირულ დღეებში გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ჰანგებსა და ფერადებს, „აგუგუნება კაიშაურის“ იქცა მაშინ მისი პოეტური გამოჩახილის საგნად და იდეალად.

ჯერ კიდევ ომის წლებში გ. ტაბიძე თავის პოეტური ცხოვრების უმაღლეს დანიშნულებას იმაში ხედავდა, რომ ლირიკულ პოეტურ სიმღერებში უკვდავეყო ჩვენი ხალხის დიადი, უმაგალითო გმირული ბრძოლა:

ამ დღეებს ძეგლი უნდა აუგო,
უნდა აღმართო წყებათა — წყება,
ვით აღმართა შენტან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება.

სამამულო ომის ვითარებაში, 1943 წლის ნოემბერში, საზეიმოდ იქნა აღნიშნული გ. ტაბიძის დაბადების 50 წლის და პოეტური მოღვაწეობის 35 წლის-

თავი. იმავე წელს პოეტი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1944 წელს გ. ტაბიძემ მონაწილეობა მიიღო ქართული ლიტერატურის დეკადაში, რომელიც გაიმართა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. დედაქალაქის საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით და მოწონებით შეხვდა საქართველოს სახალხო პოეტის გამოსვლებს ამ დეკადის დროს გამართული ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საღამოებზე. გ. ტაბიძის საუკეთესო ნაწარმოებნი თარგმნილია დიდი რუსი ხალხის ენაზე, საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და ფართო პოპულარობით სარგებლობენ მთელ ჩვენს სამშობლოში. მისი არაერთი ლექსია თარგმნილი და გამოქვეყნებული აგრეთვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დიდი სამამულო ომის დამთავრებას ჩვენი სამშობლოს ბრწყინვალე გამარჯვებით გ. ტაბიძე აღფრთოვანებული ლექსებით გამოეხმაურა. პოეტი მგზნებარედ მიესალმა გმირი საბჭოთა მებრძოლის გამარჯვებულ დაბრუნებას სამამულო ომის ფრონტებიდან, ჩვენს სამშობლოში შემოქმედებითი შრომის ახალი ძალით აღორძინებას:

ცამდე ასული
ბოლი დუნდება,
ტოლი და სწორი
შინ დაბრუნდება,
სიბნელისა და სისხლის შორევეზე
სხვა განთიადი
აგუგუნდება.

გ. ტაბიძის პოეზიაში კვლავ გაისმა ჩვენს სამშობლოში დამკვიდრებულ მშვიდობიანი ცხოვრების, ქვეყნის ამალორძინებელი შრომითი გმირობის, ქვეყნის ახალი გაზაფხულის მადიდებელი ჰიმნი:

ცა უსავესესი სიალით ბრწყინავს,
მაისის ნაზი
მოღის სურნელი,
რაც ვარდი ყინვას გადაუყინავს,
გაზაფხულია
მისი მკურნალი.
გაქრა ზამთარი გულგამყინველი,
მკვლელი სითბოსი,
ალერსის, ფერის,
ხმოვან სიმღერას მღერის ფრინველი,
იგი ბუნების
აღდგომას მღერის.

ახლა პოეტი თავის უმაღლეს მოწოდებას და დანიშნულებას იმაში ხედავს, რომ ფრთაასხმულ, შთაგონებულ ლექსში ადიდოს შრომისა და მშვიდობის კავშირი, ხალხთა ძმობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის მაღალი იდეა:

იმღერე კაცთა
დიდი მიზანი,
დიდი კავშირი
შრომის, მშვიდობის,
იმღერე ვარდნი
მისისანი
სიყვარულისა და
ერთა ძმობის.

მაგრამ პოეტი შორს არის იმისგან, რომ ჩვენს ხალხს გულდამშვიდებული და ჯანმთავრებელი, იდილოური ნანა უმღეროს. ომისშემდგომი წლების მის პოეზიაში მკაფიოდ არის გამოხატული საბჭოთა ხალხის შეუწყნებელი სიფხიზლის გრძნობა, იმის შეგნება, რომ საერთაშორისო რეაქცია კვლავ ახალი სისხლისმღვრელი ომის გაჩაღებაზე ოცნებობს:

არ სცხრება მტერი
ქცეული წინად,
მაგრამ ჩვენ კლდე ვართ
ისე, ვით წინად.
ძირს იგი ომი
მაგრამ თუ ატყდა,
ქვეყნისთვის ომი
მიგვაჩნდეს ლხინად!

ასე აწრთობს და ამახვილებს პოეტი. საბჭოთა ხალხის ნაბისყოფას ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობისა და სოლიდარობის განსამტკიცებლად:

უწმინდესია მარად ჩვენი
მოვალეობა:
სამშობლოს იცავს თანამომე
და თანატომი,
რომ განამტკიცოს მშვიდობა და
შრომის მხნეობა, —
მხოლოდ ამისთვის,
ჩვენ ამისთვის გვინდა ატომი.

თითქოს მთელი ჩვენი ხალხი, მსოფლიოს ყოველი პატრიოსანი ადამიანი მეტყველებს პოეტის სიტყვებით:

ვინც ვერ გაიგო, რომ შრომა ყველგან
შემოქმედების ღვიძლი ტომია,
თვით მას დააცხრეს საბედისწეროდ
მთელს მსოფლიოში რაც ატომია!

პოეტი დაუზოგავად ნიღაბს ხდის საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქციის სისხლიან ზრახვებს.

შთავონებულად ასახავს და უმღერის იგი თანამედროვეობის უდიდეს სახალხო მოძრაობას — მსოფლიოს ხალხების ბრძოლას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დასაცავად.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ მშვიდობის საქმის უძლეველობის მთავარ საწინდარს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და კულტურული ძლიერების განუხრელი აღმავლობა წარმოადგენს. ამიტომაც პოეტი გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ლექსებით უმღერის და აღიდებს ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას, რომელიც სახეს უცვლის ბუნებას, ქმნის მატერიალურ და სულიერ დოვლათთა სიუხვეს და განუხრელად მიაქანებს ჩვენს დედა-სამშობლოს კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ:

მოჭრიალებს შავი ოქრო,
ოქრო მიჭრის-მოჭრის,
ოქროს ხანა შემოიჭრა,
მზე სიხარულს მოგვეგვის,
მომავალი გვესალმება
ხელში ოქროს რტოთი,
თავისუფალ შრომის ქალაქს
გაუმარჯოს, მოდი!

ასე ლაღი და მზიური ჰანგებით უმღერის ახლა გ. ტაბიძე ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენ სივრცეებზე გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას, კომუნიზმის ძლევაშისილად მშენებელ ჩვენს გმირ ხალხს და მისი ყველა გამარჯვების შთამავონებელსა და ორგანიზატორს — ჩვენს მშობლიურ სახელოვან კომუნისტურ პარტიას.

გ. ტაბიძის განუხრელი ერთგულება კომუნიზმის ნათელი იდეალისადმი, მისდამი მთელი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების, თავისი მაღალი ნიჭისა და ოსტატობის დამორჩილება სანიმუშოა საბჭოთა ეპოქის მხატვრული კულტურის ყოველი მოღვაწისათვის.

გ. ტაბიძის მიმართ შეგვიძლია გავიმეოროთ მისივე სიტყვები, თქმული ჩვენი ეპოქის კემზარტი პოეზიის დასახასიათებლად:

სიმღერით მოდის,
არ ვადუხვევს არჩეულ გზისაგან,
სხვა გზა — უცნობი
ვერასოდეს ვერ შეირიგოს...
იგი ისწრაფვის კომუნიზმის
გამარჯვებისკენ.
მაშ გაუმარჯოს
სიმართლისთვის მებრძოლ ღირიკას!

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იღვწოდა მშობლიური მწერლობის სარბიელზე. თავისი შთაგონებული, მაღალნიჭიერი შემოქმედებითი შრომით მან ძვირფასი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეტური კულტურის, ქართული საბჭოთა ლიტერატურის სახელოვანი ტრადიციების ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების საქმეში.

მისი შემოქმედებითი ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულში დაიწყო. ამ დროისათვის ახალგაზრდა პოეტს დაგროვილი ჰქონდა ცხოვრების მდიდარი გამოცდილება, განვლილი ჰქონდა მშრომელი ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის გზა. უღარიბესი გლეხობის წილიდან გამოსულმა, აღრეულ ბავშვობაშივე იგემა მთელი უკუღმართობა ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილებისა, სიჭაბუკის წლებშივე დაუკავშირდა მოწინავე მუშებისა და რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის წრეებს, დაეწაფა მარქსისტული ლიტერატურის შესწავლას და მალე აქტიურად ჩება რევოლუციურ მოძრაობაში. 1902 წლიდან თვრამეტი წლის ალ. აბაშელი, უკვე იწყებს მარქსისტული იდეების პროპაგანდას ბათუმის ნავთის გადამმუშავებელ ქარხნებში და დასავლეთ საქართველოს სოფლებში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში, რის გამოც 1906 წელს დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩაამწყვდიეს. ხუთი თვის შემდეგ გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებაშიც ალ. აბაშელი აგრძელებდა რევოლუციურ მუშაობას. ამისათვის მეფის მოხელეები იქაც დააპატიმრებდნენ და გადასახლების ახალ ადგილებში გზავნიდნენ. 1908 წელს იგი ციმბირიდან გამოიქცა და სამშობლოში დაბრუნდა. ამ დროს საქართველოში, ისე როგორც რუსეთის მთელს მაშინდელ იმპერიაში, სასტიკი რეაქცია მძვინვარებდა. 1905—1907 წლების რევოლუციით უაღრესად დაშინებული და, ამასთანავე, თავისი დროებითი გამარჯვებით გათავხედებული თვითმპყრობელობა რევოლუციის მონაწილეებს დაუზოგავად უსწორებდა ანგარიშს, ხალხის საუკეთესო შვილებს მასობრივად სანარჩობელებზე ჰკიდებდა, კატორღასა და გადასახლებაში გზავნიდა, ციხეებში ამწყვდევდა. რეაქციის შავი ძალები აღვირახსნილად თარეშობდნენ, გააფთრებული იერიში მიჰქონდათ ყოველსავე ჯანსაღსა და პროგრესულზე ცხოვრების ყოველ სფეროში.

ასეთ საზოგადოებრივ ვითარებაში დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა ალექსანდრე აბაშელმა. ბუნებრივია, რომ თავის პირველსავე ლექსებში იგი მღელვარე სიძულვილით ასახავდა ბნელსა და სუსხიან სოციალურ სინამდვილეს და გამობატავდა ხალხის პროტესტსა და შეურიგებელ გულისწყრომას რეაქციის ძალების მიმართ. სწორედ ამ ნიადაგზე დაუკაემშირდა ალ. აბაშელი ქართულ ლიტერატურაში ამ წლებში ჩამოყალიბებულ ე. წ. „დემოკრატიული პოეზიის“ სკოლას, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლები — ნოე ჩხიკვაძე, გიორგი ქუჩიშვილი, ვარლამ რუხაძე, სოლომონ თავაძე და სხვ. — ერთგულად აგრძელებდნენ იროდიონ ევდოშვილის იდეურ-შემოქმედებით ტრადიციებს.

როგორც ცნობილია, ქართული „დემოკრატიული პოეტების“ შემოქმედებაში რეაქციული წყობილებისადმი პროტესტისა და მძულვარების მოტივებთან ერთად მძლავრად გამოიხატა უიმედობისა და გულგატეხილობის ეს განწყობილებანი, რომელთაც მოიცვეს ინტელიგენციის გარკვეული ფენები რეაქციის წლებში. ასეთი განწყობილებანი ნიადაგს ამზადებდნენ მწერლობაში ანტირეალისტური მიმართულების გავრცელებისათვის, მწერლობის გამოთიშვისათვის რეალური სინამდვილის თემატიკისა და პრობლემებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ „დემოკრატიულ პოეტთა“ შორის ასეთი ტენდენცია მოდერნისტული ხელოვნების პოზიციებთან დაახლოებისა ყველაზე ღრმად და თანმიმდევრულად სწორედ ალექსანდრე აბაშელის შემოქმედებაში გამოვლინდა. ამ მხრივ პოტი დაუახლოვდა ამ პერიოდის ქართული პოეზიის გამოჩენილ წარმომადგენლებს: გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს, საანდრო შანშიაშვილს, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს რეაქციის წლების ქართულ ლიტერატურაში მოდერნისტულ-დეკადენტური პრინციპების დანერგვასა და ამასთანავე ქართული პოეტური კულტურის განახლებაში. ეს პროცესი, როგორც ცნობილია, უკიდურესობამდე განავითარა „ცისფერყანწელთა“ პოეტურმა სკოლამ.

საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისთანავე ალექსანდრე აბაშელი მუშაობას იწყებს კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელ სხვადასხვა სახელმწიფოებრივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მაგრამ მისი შემოქმედებითი ცხოვრების ფარდაქმნა, საბჭოთა ლიტერატურის იდეურ-შემოქმედებით პოზიციებზე მისი გადმოსვლა ერთბაშად და უმტკივნეულოდ როდი მომხდარა. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების პირველ პერიოდში ალ. აბაშელი წლების მანძილზე იყო ერთ-ერთი მეთაური ე. წ. „აკადემიური მწერლობის კავშირისა“, რომელიც აერთიანებდა მაშინ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილ მწერლებს. მხოლოდ ოციანი წლების მეორე ნახევრიდან იჩინა თავი ალ. აბაშელის პოეზიაში საბჭო-

თა სინამდვილის თემებისადმი და თანამედროვეობის დიადი იდეებისადმი მისწრაფებამ. ოცდაათიანი წლების დამდეგიდან კი მან თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა მოწინავე ქართველ საბჭოთა პოეტებს შორის. მალე იგი საბჭოთა პოლიტიკური ლირიკის პირველხარისხოვან ოსტატად მოგვევლინა. მისი პოეტური ინდივიდუალობის საუკეთესო თვისებანი განსაკუთრებული სისრულით გამოვლინდნენ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის პერიოდში.

სამამულო ომის წლებში ალ. აბაშელი შთაგონებულად ასახავდა და აღიღებდა ჩვენი ხალხის უმაგალითო გმირობასა და თავდადებას, დაუცხრომლად მღეროდა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვების წარფელ საგალობელს. მისი მომწოდებელი, საგმირო საქმეებისათვის აღმაგზნებელი პოეტური სიტყვა ღრმად წვდებოდა ფრონტისა და ზურგის მებრძოლის გულს, ცხოველ გამოძახილს პოულობდა ხალხში. ეს იყო პოეტის ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდი, რომელმაც ნათლად გვიჩვენა, რომ ხანდაზმულობას გავლენა ვერ მოეხდინა პოეტის შთაგონებაზე, ვერ შეენელებინა მისი გულისძგერა, პირიქით, რაც დრო გადიოდა, მეტი სისაფისით და ორგანულობით ეუფლებოდა ალ. აბაშელის პოეზიას ჩვენი გმირული ეპოქის სული.

ამიტომაც, არავისათვის ყოფილა მოულოდნელი და გასაკვირი, როდესაც თავის საიუბილეო საღამოზე, 1944 წლის ოქტომბერში ლექსად წარმოთქმულ სამადლობელ სიტყვაში ალ. აბაშელმა თქვა:

მესმის მებრძოლი ღღის მოწოდება:
სჭირდეს კალამი, როგორც ხანჯალი
კიდევ მიწყვია გულში ზოდებად
ლექსების ოქრო დაუხარჯავი.

ცხოვრების უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი დაძაბულობით უსმენდა ამ მეტი თანხმოვანებით პასუხობდა ალ. აბაშელი ჩვენი მებრძოლი თანამედროვეობის მოწოდებას. სწორედ ამ გზით მოიპოვა მისმა პოეზიამ ნამდვილი რეალისტური ქღერა და ცოცხალი სინამდვილის წიადიდან მოსული თემებისა და სახეების სამყაროთი გამდიდრდა იგი.

თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელ პერიოდში ჩაწვდა მთელი სიღრმით ალ. აბაშელი ჩვენი ღროის დიად სიმართლეს, რამაც ახალი ნათელი მოჰქონა და ახალი სიცოცხლე შთაბერა მის პოეზიას. ალ. აბაშელის პოეტური ინდივიდუალობისათვის უცხო იყო ისეთი ლირიკული აღგზნება, რომელიც უეცრად იფეთქებს და დაცხრება ხოლმე, რომელიც ერთბაშად „დახარჯავს“ შემოქმედის გულში დაგროვილ „ლექსების ოქროს“ და შემდეგ ამ პირველი ელვარების გამონაშუქით ცხოვრობს.

აღ. აბაშელი, პირველყოვლისა, ფხიზელი შემოქმედი იყო, რომელიც დაუსრულებლივ ამდიდრებდა თავის შთაგონებას ცოცხალი სინამდვილის გრძნობით. იგი უპირატესად აზრისა და რწმენის პოეტი იყო, რომელიც „გონების თვალთ“ შეპყურებდა სამყაროს. მის პოეზიაში გრძნობა ყოველთვის აზრის ასპექტით არის განათებული. აზრობრივისა და გრძნობადის მუდმივ შეთანაბრებაში მდგომარეობს აღ. აბაშელის პოეტური ბუნების ერთი ძირითადი თავისებურება. ამიტომ მისი პოეტური სამყარო ღრმა შინაგანი კანონზომიერებით არის მოწყობილი. აღ. აბაშელის პოეზიაში ჩვენ ვერაფერს ვპოულობთ თხვევითსა და მოულოდნელს, ალოგიკურსა და აუხსნელს, ბუნდოვანსა და გაუგებარს. თავისი აზროვნებისა და შემოქმედების განვითარებაში მას აქვს გარდატეხათა პერიოდები, მაგრამ მისთვის უცხოა „გაორება“, სულიერი მთლიანობის რღვევა, მათინაც კი, როცა პოეტი უმძაფრეს სულიერ დრამას გამოხატავს, უკიდურესი უიმედობისა და სასოწარკვეთილების ტკივილებს გადმოგვცემს, იგი ახერხებს შეინარჩუნოს მკვერტელი და მოაზროვნე შემოქმედის მდგომარეობა, შინაგანი მთლიანობა და წონასწორობა.

მისი სულიერი სამყაროს ეს თვისებანი გამოხატულებას პოულობენ პოეტური ფორმის სფეროშიაც, აქაც ყველაფერი ღრმად მოფიქრებულია. იგი ფლობს ფერების ზუსტად განაწილებისა და შეზავების ხელოვნებას. მას უაღრესად გამახვილებული პოეტური სმენა ახასიათებდა, ამიტომაც მისი ლექსი ყოველთვის კეთილზმონად ქდერს, მელოდიურობით არის გამსჭვალული. აღ. აბაშელის პოეტური ოსტატობა უტყუარ გემოვნებასა და ლექსის მაღალ კულტურას ემყარება. პოეტური გამოსახულების საშუალებათა სფეროში მას იშვიათად თუ უპოვნით დისპროპორციებს, „ჩავარდნილ სტრიქონებს“, ცარიელ, არაფრისმთქმელ ფრაზებს თუ სახეებს — ე. წ. „პოეტურ შპონებს“. სახეობრივი სისტემა მის ლექსებში ყოველთვის აზრობრივი შინაარსით არის ნაკარნახევი და განპირობებული.

ჩვენთვის უცნობია აღ. აბაშელის ლიტერატურული მოწაფეობის, პოეტური ვარჯიშისა და წვრთნის პერიოდი. 25 წლის ჰაბუკი შემოვიდა იგი ქართულ პოეზიაში და თავის პირველსავე ლექსებში გამოჩნდა, როგორც უკვე დავაჟაკებულ პოეტური ხმის, საკუთარი მსოფლშეგრძნობის, ინდივიდუალური აქცენტისა და თემატიკური სამყაროს მქონე ხელოვანი. უკვე მაშინვე მოიპოვა მან აღიარება და მოწონება, მტკიცედ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში.

მას შემდეგ პოეტმა ვრცელი და რთული, ღრმა წინააღმდეგობებით მოცული შემოქმედებითი გზა განვლო. ამ გზის ღირსეულ დაგვირგვინებას მისი უკანასკნელი წლების პოეტური მოღვაწეობა წარმოადგენდა.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ალექსანდრე აბაშელი ჩვენი აღორძინებული სამშობლოს, ჩვენი დიადი თანამედროვეობის დაუცხრომელი მხატვარი და მეხოტბე გახდა. თავის უმაღლეს ოცნებას პოეტი ამგვარად გამოხატავდა:

პქროდეს ნიაეი, ბალი მღეროდეს,
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძახილი,
ჩვენს წმინდა კერას მზე დასცქეროდეს
სამარადისოდ ნისლგადაყრილი.

და შემოსილი მზიური ალით,
თოვლიან მთების ცამდე ასული
ბრწყინავდეს ქართლი — ფირუზის თვალი,
კავკასიონის ბროლში ჩასმული.

შემოქმედებითი ცხოვრების ამ სიმალლიდან პოეტი გაბედულად თვალს უწვრებდა საკუთარ წარსულს და სრული უფლებით ამბობდა:

სხივი და ჩრდილი გარდასულ დღეთა
მე ჩემს ლექსებში დავაბინავე,
ახლა მომავალ დღეებსაც ვხედავ,
არწიებივით რომ მოფრინავენ.

მართლაც ნათელისა და ბნელის შეურიგებელი ორთაბრძოლა დიდხანს შეადგენდა ალ. აბაშელის პოეტური მსოფლშეგრძნობის საფუძველს და განსაზღვრავდა მისი პოეზიის თემებისა და სახეების თავისებურებას... მაგრამ როდესაც ახალი ცხოვრების შარავანდედმა ძლევამოსილად შეანათა პოეტის სულიერ სამყაროში ალ. აბაშელი ღრმა რწმენით და წრფელი აღფრთოვანებით ამეტყველდა ქვეყნად მოსული მარადიული გაზაფხულის სადიდებლად. სწორედ ამ სიმღერებში მიაღწია პოეტმა შემოქმედების უჩრდილო სიხარულს და წამდვილ ხალხურობას.

საბჭოთა პოეზიის უპირველეს ოსტატებთან ერთად ალექსანდრე აბაშელი თხზავდა შთაფონებულ ჰიმნს ჩვენი დიადი აწმყოსადმი და კიდევ უფრო სრულყოფილი და სხივმოსილი მომავლის დღეებისადმი.

ალექსანდრე აბაშელის პირველი ლექსი „ზამთარი და ზაფხული“ 1909 წლით არის დათარიღებული. მასში დახატულია ალეგორიული მნიშვნელობის სურათი, ნათელზე ბნელის გამარჯვებისა, ქვეყნად შავი წყვილიადის გაბატონებისა:

მნათობთა მეფეს ცხოველმყოფელს, მზეს სხივდიადსა,
შავი ღრუბლების შიშვე გროვა ეფარებოდა,
ბნელი ზეწარი ვაეშალა ფართოდ წყვედიადსა,
სიცოცხლეს ძალა შეუმჩნევლად ეპარებოდა.

ამ პირველ პოეტურ ნაწარმოებში ალ. აბაშელმა მკაფიოდ გამოხატა ის იდეურ-მხატვრული კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო მისი ლექსების პირველ კრებულს „მზის სიცილი“.

„მზის სიცილის“ ლირიკული გმირი თავისი სოციალური გარემოცვისადმი მღელვარე გულისწყრომით, შეუირიგებელი უკმაყოფილებით არის მოცული. მას განუცდია ქვეყნის განახლების ნათელი რწმენით აღფრთოვანება. რომელიც ჩვენი საუკუნის დამდევმა მოიტანა, უნახავა ხალხის მიერ დიდი ხნის ნანატრი და ნაოცნებარი განთიადის ამობრწყინება, თვითონაც უბრძოლია იმისათვის, რომ „შვების დილა“ მოსულიყო და დამკვიდრებულყო ხალხის ცხოვრებაში:

მახსოვს დილა მოციმციმე,
შვების ცრემლით ანათროლი,
ციურ მნათობს შესცინოდა
უკუნეთთან შენაბრძოლი.
მზის სხივებში ბანაობდა
ვარდ-ზამბახი და ბილილა...
მახსოვს დილა, შვების დილა!..

მაგრამ „წამიერი“ გამომდგარა ეს ლხენა. „ქვესკენელთ სამყაროჴან“ ანონ-ტყდარა მძვინვარე ქარი, რომელსაც შავ ღრუბელთა გროვა დაუჯახებია ახალ-ამოსულნი მნათობისათვის:

და დაჩრდილა შვების დილა,
წუთიერად ანათროლი,
ცის კიდურზე გამოსახა
შავი ღრუბლის შავი ზოლი...
შავბნელ ნისლში მოამწყვდია
ვარდ-ზამბახი და ბიბილა,
ჩაჰქრა დილა, შვების დილა...

ამ სიმბოლური მნიშვნელობის სურათში გამოხატული აზრი სავსებით ნათელია და გასაგები. ბუნების ნათელ და ბნელ, ბოროტ და კეთილ საწყისთა ამ დაპირისპირებაში პოეტი იმ დიდ სოციალურ მოვლენებს განასახიერებს, რომლებითაც ჩვენი საუკუნის პირველი ათეული წელი აღინიშნა.

1905 წლის რევოლუცია, ხალხის დიადი საბრძოლო აღფრთოვანება, აქ განცდილია და გამოხატული, როგორც „შევების დილა“, როგორც კაცობრიობის ცხოვრების განთიადი, ხოლო რევოლუციის დამარცხება, რეაქციის ძალთა დროებითი გამარჯვება — ნათელის ჩაქრობად, წყევლიადის ზეიმად არის დასახული.

სინამდვილის ამგვარი განცდა წარმოშობს იმ მძაფრ სულიერ დრამას, რომლის პოეტურ ანარექსადც „მზის სიცილი“ წარმოადგენს. სულის შემხუთველ უძრაობად, მკვდრულ სიჩუმედ, ღამის წყევლიად აღის წარმოსახული ამ წიგნში სოციალური სინამდვილე, ქვეყნიური ცხოვრება:

ღამის მანტიით შემოსუდრულს სძინავს სოფელსა,
ვლოვის სიმები მკვდრულ სიჩუმეს დაუწყვეტია,
შავ ჩრდილთ ქსოვილი წამოუსხამს უტყვე მინდორ-ველსა,
რუც აღარ მოსთქვამს, მასაც სძინავს, ხმა გაკმენდია.

უძრაობით, იღუმალეობით და შეუვალე წყევლიადით მოცული პეიზაჟი მკაფიოდ გვისურათებს ლირიკული გმირის სულიერ განწყობილებას; პროტესტისა და უკმაყოფილების გრძნობას აქ ერთგვის უიმედობისა და სასოწარკვეთილების განცდაც. ამ ლექსების გმირი არა მარტო მტრისაგან ძლეულად, დამარცხებულად გრძნობს თავს, არამედ განიარაღებულადაც:

ცივ ვეშაპმა დაატყვევა
სასოებით ვინც მიყვარდა
და ხელიდან, მტრისგან ძლეულს,
ბასრი ხმალი გამივარდა!

აქედან ბუნებრივად იზადება სწრაფვა აღამიანთა საზოგადოებისაგან განდგომისა და განმარტოებისა, წარმოიშობა სულიერი ობლობის დრამა, ამქვეყნიური მიწიერი ცხოვრებისაგან, აღამიანური გარემოცვისაგან განკერძოების ილუზია:

პიტალო თხემზე ანაფრენი
მსუბუქ ნიავეთ,
მსუბუქ ნიავეთ ცოდვილ მიწას
დაშორებული,
ვიდექ ბედისა მომდურავი,
კაცთა სიავეთ,
კაცთა სიავეთ გულნატკენი, დაღონებული.

სასოწარკვეთილი, გულმოკლული აღამიანის სულიერ სამყაროს შავი აჩრდილი დაუფლებია, რომელიც ცასა და მიწას წალეკვითა და განადგურებით ემუქრება:

და ცის წიაღში, ვარსკვლავთ შორის, შავი აჩრდილი,
შავი აჩრდილი სიკვდილისა იხატებოდა,
შავ სხივთ აფრქვევდა ცის კაბადონს ის ცელგაწვდილი
და ცელგაწვდილი ღედამიწას ემუქრებოდა.

ასე მძაფრად და ღრმად გამოიხატა „მზის სიცილში“ იმ უიმედობის და გულგატეხილობის განწყობილება, რომელიც რეჟისორის მძინეარე წლებში ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს დაეუფლა და, რომელმაც ღრმა კვალი დაახინა მე-20 საუკუნის პირველი ათეული წლების, რევოლუციის წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურას.

„მზის სიცილის“ ავტორი ერთადერთ გამოსავალს იმაშილა პოულობს. რომ „შავი აჩრდილის“ სამფლობელოდ ქცეულ ქვეყნიერებას გაექცეს და თავშესაფარი სინათლისა და სიტბოს დაუშრეტელი წყაროს — მზის წიაღში, ზეციურ სამყაროში დაიმკვიდროს. ასე იხადება მზის სადიდებლად აღვლენილი ჰიმნი, რომელიც ქვეყნიური ცხოვრებისადმი მიძღვნილი გლოვის პანგის პარალელურად გაისმის „მზის სიცილში“. პოეტი უმღერის და ადიდებს მზეს:

მზევ მშვენიერო, მნათობთ მეფევ, ცხოველყოფელო,
სიცოცხლის წყაროვ, საკურთხეველის ცეცხლო დიადო,
ლაქვარდ სივრცეში ოქროს სხივთა ამთროლებელო,
სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილავ, ცის განთიადო!~
შენი მიღვივის გულში ცეცხლი აზვირთებულ
და შენს სხივებში ვიწწავ სულის სათუთ სიმებსა,
შენ სადიდებლად ვაქებ დილას, სულით შვებული
და ღამის წყვდიადს კვნისით ვუმღერ გლოვის ჰიმნებსა.

ასე დაუპირისპირა პოეტის ფანტაზიამ ქვეყნად გამძინეარებულ წყვდიადს მზის წიაღი. მხოლოდ მზის სხივთა მანათობელ და მაცოცხლებელ მორევში ეგულება ამ ლექსების გმირს მარადისობისა და უკვდავების საწინდარი. ადამიანი მიელტვის მზეს, თუმცა ქვეყნიერი „შავი აჩრდილი“ განუყრელად სდევნის მას და საშუალებას არ აძლევს მთლიანად მზიურ სამყაროში გადასახლდეს:

და რომ სხვთ ისარს მკერდს მივეშვერ ხელებგაშლილი,
მზისკენ ავაფრენ სულს განწმენდილს ოქროს ფრინველად,
იმწამსევ გვერდით გამიჩნდება შავი აჩრდილი
და ჩამზურჩულებსს „შენთანა ვარ მეც განუყრელად“.

ეს ჭიდილი, შავი აჩრდილისაგან თავდაღწევის, მზიურ ტალღათა მორევში საშუდამოდ გადახიზვნის მღელვარე მისწრაფება ასაზრდოებს იმ მძაფრ სულიერ დრამას, რომელიც გადმოცემულია „მზის სიცილში“ — ამ თითქოს ერთიან ლირიკულ მონოლოგად დაწერილ წიგნში.

პოეტს ზოგჯერ ეჩვენება, რომ მიაღწია იდეალს:

ტალღათ ლივლივში განვიცადე სულისა შვება,
ცეცხლის მორევში, შევსრიალდი ხელებგაშლილი —
პარადისობის ვიგოქმენ ძალა და უკვდავება...
გასწყდა მიწისა შავი სიმი... გაჰქრა აჩრდილი...

აქ მკაფიოდ არის გამოთქმული ის აზრი, რომ მარადისობა და უკვდავება, სულის შვება და ბედნიერება მხოლოდ მიწასთან, ქვეყანასთან, ადამიანთა საზოგადოებასთან დაშორებით მოიპოვება. პოეტი ისწრაფვის გაითქვიფოს ბუნების წიაღში, შორს გასცილდეს ქვეყნიურ ჩოჩქოლს და ცხოვრების ორომტრიალს, სადმე მიუვალ კვარცხლბეკზე მიუჩინოს ნავთსაყუდარი საკუთარ განდგომილ სულს:

მთის კლდოვან თხემზე გამოვკვეთე საკურთხეველი,
შიგ დავბინავდი სოფლის ჩოჩქოლს დაშორებულცი:
ღუ — ზედ დამტკერის მნათობთ მეფე ცეცხლის მფრქვეველი,
ღამე — მიშუქებს რწმენის ტაძარს ვარსკვლავთ კრებული.

ზეციურისაკენ მისწრაფების, ქვეყნიური ცხოვრების გადალახვისა და მისგან დაშორების ეს იდეა არა ერთხელ მეორდება „მზის სიცილში“:

განვლო ჟამმა, ცა გამოჩნდა,
დრომ შემახო თვისი ფრთები,
სულ გასწყვიტა მონის ჯაჭვი,
გამაგონა სულ სხვა ხმები,
ფრთა შემასხა ნიავეარის,
მალლა ცისკენ გამიტაცა,
დამავიწყა მიწის კენესა,
დამავიწყა თვით მიწაცა.

პოეტი უმღერის და ადიდებს მზეს, როგორც კოსმიურ, ზექვეყნიურ საწყისს, რომელსაც ვერ წვდება ჟამთა ბრუნვის უკუღმართობა, მზე მალლა დგას სიკვდილ-სიცოცხლეზე, დროთა ცვალებადობაზე, მასში მარადიულობა და უკვდავება განხორციელებული. ამიტომაც მიელტვის მას ჟამთაბრუნვის სუსხით დაწყლულებული, ქვეყნად გაბატონებული ბოროტებისა და უკუღმართობის გამო აღშფოთებული სული:

მზეს არ ახსოვს შობის წამი, მზეს სიკვდილი არა სჯერა,
მან სიცოცხლე უკვდავების სიმთა ჟღერით ააძგერა!
დროს წაართვა ძლევის კვერთხი და დათრგუნა მით სიკვდილი —
ნეტავ იმას, ვისაც ესმის აღმაფრენი მზის სიცილი!..

შემთხვევით როდი წარუძმდვარა პოეტმა ეს სტრიქონები თავის ლექსთა პირველ წიგნს „მზის სიცილს“. ამ სიტყვებში ავტორის მთელი პოეტური მსოფლმხედველობა, მისი მსოფლშეგრძნობაა განსახიერებული.

„მზის სიცილში“ ვხვდებით ისეთ მოტივებსაც, რომლებიც პოეტს ზეციური წიაღიდან ისევ „ცოდვილ დედამიწაზე“ ჩამოიყვანენ ხოლმე. კრებულის მთელ რიგ ლექსებში პოეტი „რისხვის ღმერთს“ ეძახის და დაეძებს; ზოგჯერ პოეტი თვითონ გრძნობს და აღიარებს, რომ... „უძლურია გლოვის ჰანგი“, რომ ქვეყანას „ცეცხლის მგოსანი“ ესაჭიროება, — მებრძოლი, ბედის წინაშე ქედუხრელი სულისკვეთებით და ვაჟკაცური ხმით:

უძლურია გლოვის ჰანგი,
— ცეცხლის მგოსანს დაუძახეთ,
რომ ქვეყანას მოველინოს
ბრძოლის სიტყვის მოკარნახედ,
ის მოუხმობს წყევის გრიგალს
კლდას სალტეო დასაშინებრეად.
ცეცხლს აღაგზნებს დედამიწის
მფეთქავ ალში გასახვევად.

ზოგჯერ პოეტი ძალ-ღონესაც იკრებს იმისათვის, რომ თავის ხვედრს შეე-
რკინოს, რომ უშიშრად დასძრას თავისი ნაფი, მომავალს მიაშუროს:

ჰაუ, ტიალო ჩემო ხვედრო, ბედო წყეულო!
ნეტავ შენს ბრკყალებს, სისხლით ნალებს, თუ გავეცლები?!
ნავო, წინ გასწი, ჩემო ნავო, ზღვაურს ჩვეულო!
თეთრი ფრინველი წინ მიგიძღვის, გზას ნუ ასცლები...

კიდევ მეტიც. „მზის სიცილის“ ავტორის ყურთასმენა წვდება ხალხის გუ-
ლის სიღრმეში დაგროვილ მრისხანებისა და გულისწყრომის ფარულ, მაგრამ
საიმედო გუგუნს. პოეტს სწამს, რომ ის მრისხანება ოდესმე აზვირთდება, ცხო-
ვრების გარდამქმნელ, განმაახლებელ ძალად იქუხებს:

ჰა, ხომ გესმის? — გუთნის კენესა
შეუერთდა გრდემლის ზანზარს! —
ეს ნორჩი ხმა გაიზრდება,
სამშობლოს მტერს დაცემს თავზარს!
ჯერ თუ ჩუმად, ვით ჩანჩქერი,
ხალხის გულში მოჩუხჩუხებს,
დრო დადგება, ზღვად იქცევა
და ზვირთ-ქაფით დაიქუხებს.

აქ უკვე ყოველგვარი პოეტური საბურველის გარეშე გამოხატულია წინათ-გრძნობა ხალხის ახალი საბრძოლო ამოძრავებისა, გამოთქმულია ახალი ქარი-შხლის მოლოდინი.

მაგრამ ეს მოტივები მხოლოდ გამონაკლისის სახით გაისმის „მზის სიცილის“ კაეშნით მოცულ საგალობელში. ამ წიგნის ლირიკული გმირის სულიერი ვითარებისათვის უფრო ტიპიური და დამახასიათებელია სწორედ საწინააღმდეგო განწყობილება, ის განწყობილება, რომელიც ავტორს ათქმევინებს:

მქრალ სამსხვერპლოს ცეცხლს ვერ ვუნთებ,
წარევეთა კანდელს სხივი,
ნაჰქრა გულში ჩირაღდანი,
წუთიერად განალევი,
გრძნობის ქურას, სხივჩაფერფლილს,
დაეუფლა ფიქრი ცივი,
ცა არ მისმენს რის ვლოცულობ.
მიწა მღვენის, როცა ვკივი.

ვინ არის „მზის სიცილის“ გმირი? ვისი სულიერი ცხოვრება, ვისი ტკივილები და მისწრაფებანი ასახა პოეტმა თავის ამ ლირიკულ ციკლში? იგი ჩვენი საუკუნის დამდგის ის ახალგაზრდა ადამიანია, რომელიც რწმენითა და აღფრთოვანებით შესცქეროდა საუკუნის გარიჟრაჟზე ამომტყდარ დიად გამათავისუფლებელ ქართველს.. იგი გააჰყვა ამ ქართველის ქროლვას, განვლო რუსეთის პირველი რევოლუციის ქარცეცხლი, მაგრამ რევოლუციის საქმის დროებითმა დამარცხებამ გატეხა მისი სულიერი მხნეობა და გამძლეობა. იგი დააფრთხო და სულიერად დააუძლურა რეაქციის მძვინვარებამ. მართალია, იგი განუზომელი მძულვარებით და ზიზღით შესცქერის ცხოვრებაში გაბატონებულ შავბნელ ძალებს, თავდავიწყებით მიელტვის ნათელსა და მზიურს და ამ მხრივ საუკუნის მოწინავე ადამიანად გამოსჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, მას უიმედობის და სასოწარკვეთილების, განდგომილებისა და ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძოების ის გრძნობა დაუფლებია, რომელიც მას გამოთიშავს რევოლუციის მეგრძოლი და მამოძრავებელი ავანგარდისაგან.

ასეთი სულიერი მდგომარეობის გამოსახატად საჭირო იყო შესაბამისი პოეტური ფორმის გამომუშავებაც. სულიერი ობლობის განწირულების, ქვეყნიური ცხოვრებისაგან განკერძოებისა და ზექვეყნიურისაკენ მისწრაფების განწყობილებანი ბუნებრივად უკარნახებენ პოეტს ქართული კლასიკური რეალისტური ლირიკის ტრადიციებისაგან გადახვევას, დასავლეთ ევროპიდან მომდინარე მოდერნისტული პოეზიის პოზიციებთან დაახლოებას.

„მზის სიცილში“ ჩვენ ვერ ვპოვებთ სოციალური სინამდვილის კონკრე-

ტულ მოვლენათა გამოსატყულებას. მასში სრულიად გამოირიცხულია ყოფითი მასალა, ყოფაცხოვრებითი სურათები. პოეტური გამოსახულების უშუალო საგანს აქ უპირატესად ბუნების სამყარო წარმოადგენს, მაგრამ „მზის სიცილში“ პეიზაჟი ბუნების უშუალო განცდას როდი ემყარება. აქ ბუნების სურათი ყოველთვის სიმბოლიურ-ალეგორიული მნიშვნელობისაა. მასში პოეტი თავის სოციალურ თვალსაზრისს, საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი საკუთარ დამოკიდებულებას განასახიერებს. პოეტის პალიტრა მელანქოლიური განწყობილებისათვის შესაფერი მუქი საღებავებით ხასიათდება, დრამატიზმით გამსჭვალული პათოსი უძევს საფუძვლად ამ ლექსებში აქლერებულ მუსიკას. რიტმი განზრახ შენელებულია და ხაზგასმულად სტატიკური.

პოეტი ამძაფრებს ყურადღებას ლექსის გარეგნული ფორმისადმი, ხშირად მიმართავს ალიტერაციას და ე. წ. „ბგერწერის“ ხერხებს. ამ გზაზე იგი არაიშვიათად ლალატობს კიდევ რეალისტური ლირიკისათვის დამახასიათებელ ბუნებრიობას. ხელოვნურობა ხშირად თავს იჩენს ხოლმე პოეტურ სახეთა ოსტატობაშიც. ყოველივე ეს სახეებით დამახასიათებელი იყო მოდერნისტული პოეზიის პოზიციებისაკენ გადახრილი ახალგაზრდა პოეტისათვის.

„მზის სიცილი“, როგორც ვხედავ, მრავალმხრივ სიპტომატური და საყურადღებო მოვლენა იყო რევოლუციამდელ ქართულ პოეზიაში. სწორედ ამიტომაც ამ წიგნის გამოსვლამ თავის დროზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

ლექსების მომდევნო კრებულში „ანთებული ხეივანი“. ალ. აბაშელმა განაგრძო და განავითარა „მზის სიცილში“ განხორციელებული იდეურ-ესთეტიკური კონცეფცია. პოეტი კიდევ უფრო მეტი მანძილით სცილდება რეალისტური ლირიკის პრინციპებს. აქ იგი უკვე პოეტური შემოქმედების ესთეტიკური თვითმიზნურობის, საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებისაგან მისი გამოთიშვის ნიადაგზე დგება:

მე არ მინდა ვისიმე გახარება ან წყენა,
ჩემს სიმღერის შედეგებს მე როდი ვანგარიშობ;
მზით შემოსილ სივრცეში მე ფრენით დავთარეშობ
და ვიცი, რომ არ არის მარჯვენა და მარცხენა.

ლექსში „სისხლის ლაქა“, რომელიც 1916 წელს არის დაწერილი, კიდევ მეტი სიმკვეთრით არის დეკლარირებული „სპილოს ძვლის კოშკში“ გახიზვნის, ცოცხალი ცხოვრების მდინარებისაგან პოეზიის განყენების აზრი. აქ პოეტი ის-

წრადვის თავისი ჩანგი დაიცვას მძვინვარე ბრძოლის ხმაურისაგან, ააცილოს მას მიწიერი ცხოვრების ცრემლი და სისხლი:

და პა, ქნარი, კვლავ ღაღადებს,
კვლავ უღრს ვუგდებ ღოცებას ზევსურს.
მე არ ვიცი, სხვას რა უნდა,
მე ცას ვუმღერ, მე ასე მსურს.
მე რა ვუყო, რომ აქ ველად,
ბრძოლის ცეცხლი არ განელდა?
მე რა ვუყო, რომ აქ ცრემლი
ისე მწველად ამეტყველა?
ღე. ნურავინ ნუ მომისვენს
ნურც იქა და ნულარც აქა,
ოღონდ ფრთებზე ჩემს სიმღერას
ჩამოვბანო სისხლის ლაქა.

ამ წლებში უფრო და უფრო ღრმავდება პოეტის უიმედო, სევდიანი განწყობილება. თუ „მზის სიცილში“ ქვეყნიური სინამდვილით გულნატკენი, იგა მზის წიაღში, ზეციურ სამყაროში მაინც გულისხმობდა რალაც თავშესაფარს. ახლა ეს იმედიც გაცამტვერებულია. ახლა უკვე მისთვის თანაბრად ცარიელია და უცხო მიწაც და ზეცაც:

მიწას გავექეცე, ცამ არ მიმიღო
საწუთროს მსჯავრით წუნდადებული.
ჩემი მფარველი არავინ იყო,
მიწას გავექეცე, ცამ არ მიმიღო,
და შუალამის სევდამ მიმიხმო
გმირი, დილათვე დამარცხებული.

ახლა ბუნების სამყარო პოეტს მხოლოდ თავისი გულგრილობით და უგრძნობლობით ხიბლავს, უნარით — უეცრად იცვალოს სახე და ერთბაშად დავიწყოს განცდილი უბედურება. ლექსში „დილა“ (1915 წელი) პოეტი განცდი-ფრებით და აღტაცებით შეჰყურებს, თუ როგორ ერთბაშად წაიშალა ბუნებაში განვლილი ღამის კვალი, როგორ უეცრად იქნა დავიწყებული ღამის წყვილი-დიც, დუმილიც და უმოძრაობაც. პოეტი შენატრის ბუნების ამ უნარს და ცდი-ლობს ისწავლოს ბუნებისაგან „განვლილ ჭირთა“ დავიწყების საიდუმლო:

იყო ეამი: ცა მეც მწამდა,
მზის სამოსიც დიდხანს მეცვა,
მაგრამ როცა დამიღამდა,
ვერ შევიჩელ ჩრდილთ აკეცვა....

ჩემი სულის ნათესაენო.
ოქროს სხივო და ტბის ჭკალო.
განვლილ ქირთა დაკრწება
თქვენგან მინდა შევიწყალო.

„მზის სიცილისაგან“ განსხვავებით „ანთებული ხეივნის“ ლირიკული გმირისთვის დახშულია მზის წიაღიც, მზეც ჩამქრალია და ფერფლად ქცეულა მისთვის, ასეთი განცდით არის გამსჭვალული ლექსი — „სული ეული“, რომელშიაც უციდურესი სიმძაფრით არის გადმოცემული ადამიანის განწირულობის, სულიერი თბობის, მიზანმიუღწევლობის დრამა. ამ მხრივ ეს ლექსი ერთ-ერთი უძლიერესი პოეტური ნაწარმოებია რევოლუციის წინაპერიოდის ქართულ პოეზიაში. იგი ამ მხრივ შეიძლება მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამეს“ და ნოე ჩხიკვაძის „ქმ-ს“ შევადაროთ:

სული ეული, უთვისტომო, კრული წყეული,
ფრთადაშვეებული ლანდად დაპქრის მიუსაფარი,
მის მქუხარ გრძნობას შავად ბურავს შავ ფიქრთ ფაფარი,
გულის სიმბზე შავ გველებად შემოხვეული.

როგორც ვხედავთ, პოეტის ადრინდელ ლექსებში გამოხატული უიმედობის გრძნობა აქ უკვე სკეპსისის საზღვრამდეა მისული. „ანთებულ ხეივანში“ აღარც „რისხვის ღმერთისადმი“ მოწოდება გაისმის და აღარც საძულველ ხვედრთან შერკინების წყურვილი იგრძნობა. პირიქით, პოეტი ბედისადმი დამორჩილების, მუხლმოდრეკის, ქედისმოხრის განწყობილებას ნერგავს:

ნურას იტყვი, — ღამის დუმილს შენც დუმილით შეეყარე
და უსაზღვრო უფსკრულის წინ კრძალვით მუხლი მოიყარე.

უდრტივინველად დასცქერის ამ წიგნის ლირიკული გმირი მიწაზე გართმულსა და სისხლის მორევში მცურავ დროშას. იგი დარწმუნებულია, რომ ბრძოლა საბოლოოდ წაგებულა, რომ მზიანი დილა აღარასოდეს განმეორდება, სიკვამლის ბედნიერი დღეები აღარ დაბრუნდება.

და ჩემი დროშაც ძირს აგდია სისხლში მცურავი.
სული შემექმნა უიმედო და ნაღვლიანი,
არ დაბრუნდება სიკვამლე ხალისიანი,
არ აყვავდება მეორეჯერ დილა მზიანი.

პოეტური ფორმის სფეროში ამ პერიოდში ალ. აბაშელი უფრო და უფრო უახლოვდება ამ წლებში ჩვენს ლიტერატურაში უკვე საკმაოდ მომძლავრე-

ბულსა და თითქმის გაბატონებულ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას. ეს დაახლოება გამოხატულებას პოულობს ალ. აბაშელის ლექსთა სახეობრივ სისტემაშიც, ლექსიკაშიც, რიტმშიც; პოეტური მხატვრობის იმპრესიონისტული მანერა მკვიდრდება მის შემოქმედებაში. საილუსტრაციოდ საკმარისია რამდენიმე სტრიქონიც:

და სანამ ცა კუბოს ჰფარჩავდა,
ქალწულმა შავები ჩაიცივა,
პარეში ვარდები გაშავდა
და ყველა ჟინქლილი დაიწვა.

ასეთი განწყობილებით მოცული, ასეთ იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე მდგარი პოეტისათვის მოულოდნელი უნდა ყოფილიყო რევოლუციის ახალი გამარჯვება. მართლაც, თებერვლის რევოლუცია პოეტმა განიცადა, როგორც რალაც უეცარი და მოულოდნელი ბედნიერება, როგორც შემთხვევითი მონაპოვარი, ბედნიერი წამის სასწაული, ზეცის საჩუქარი:

ენა როგორ არ დამუნჯდეს?
თვალი როგორ არ გაგიდეს?
მზეს დილითაც არ ელოდე,
შუალამით აგიზგიზდეს?!

პოეტი აღფრთოვანებულ ჰიმნს უძღვნის ხალხის ცხოვრებაში ხელახლა ამობრწყინებულ განთიადს, რევოლუციის გამარჯვებას პოეტი განიცდის, როგორც მის მიერ დიდი ხნით დატირებული შვების დილის ხელახლა ანთებას, ბუნების ძალთა გამოღვიძებას, წყვდიადის დათრგუნვას, ნათელისა და მზიურის ზეიმს:

კვლავ აენტო ჩემი დილა,
შვების ცრემლით ანათროლი
და შესცინის ციურ მნათობს
უკუნეთთან შენაბრძოლი...

აქ თითქმის უცვლელად შენარჩუნებულია და განმეორებული ლექსთა წყობაც, რიტმიც, ლექსიკაც „მზის სიცილის“ ციკლის ცნობილი ლექსისა „ჩაქრა დილა“; ამ ხერხით პოეტს ის აზრი უნდოდა გამოეხატა, რომ რევოლუციის ახალი გამარჯვება სწორედ ამ განთიადის განმეორებაა, რომელსაც ოდესღაც იგი შეჰხაროდა და უმღეროდა.

პოეტი მიესალმება ქვეყნად მოვლენილ „ალისფერ გრიგალს“, რომელმაც კვლავ აღადგინა მზის ელვარება და „შავი აჩრდილი“, განდევნა ცის კაბადონიდან:

იშვა გრიგალი ალისფერი და ფრთამრავალი,
კოშკი დაინგრა და გამოჩნდა დროშა სხვა სახის,
ელვამ აპკვეთა შავი ლანდი ჩრდილთა ცახცახის
და წითელ მთაზე მზე აენთო ამომავალი.

თითქოს საფუძვლიანად იცვლება პოეტის სულიერი სამყარო. მის პოეზიაში მზის ნათელი მკვიდრდება. კავშირისა და ჰანგის ნაცვლად იგი აღფრთოვანებულ ჰანგს მღერის „ალისფერი გრიგალისა“ და ქვეყნის განახლების სადიდებად.

მაგრამ გამძლე და ხანგრძლივი არ გამოდგა პოეტის ეს აღტაცება. მენ-შევიზმის ანტიხალხური დიქტატურის რეჟიმში, რომელიც თითქმის ოთხი წლის განმავლობაში ბატონობდა საქართველოში, ცხადია, ვერ მისცემდა პოეტს შთაგონებას განახლებული შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, ვერ გამოიყვანდა მას დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებათა ტყვეობიდან, ვერ გაუნათებდა გზას მაღალი სტილის რეალისტური შემოქმედებისაკენ.

ცნობილია, რომ ამ წლების მანძილზე ქართულ ლიტერატურაში უკიდურეს საზღვარს მიაღწია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სამწერლო მიმართულებათა ანტირეალისტურმა ტენდენციებმა.

სულ მალე ალ. აბაშელის პოეზიაში კვლავ ნაღვლიანი და უიმედო ჰანგი გაისმა:

ყვავილს ვერ გაშლის მზე ზამთრისა სხივგაძარცული,
ლოდქვეშ ნამყოფი სიყვარული ვერ გაიცინებს,
ახლა, ვით ქალი მგლოვიაარე, ჩემი ოცნება
საფლავის ქვაზე თავდახრილი ჩუმად ქვითინებს.

პოეტი გვაძლევს თავისებურ ახსნას იმ წუთიერი აღფრთოვანებისა, რომელიც განიცადა თებერვლის რევოლუციის დღეებში და რომელიც, როგორც დავინახეთ, მან მთელ რიგ ლექსებში გამოხატა:

მოულოდნელად მოეკიდა ცეცხლი ღამესა
და მეც თვალები, ალბათ, მიტომ ამითამაშდა;
მას შემდეგ გული ეზიარა ბევრ სიამესა,
მაგრამ ნაღველი ღზინზე უფრო მეტი დამაჩნდა.
ახლა, როდესაც იშვა კენესა სულის წვალებით
და ნათელ სიმმა გამოაკრთო ხმა შავ ჰანგისა,
ნისკარტისისხლიან ყორანსა ვკვრეტ შემკრთალ თვალე ბით,
ნაცვლად სხივებით ფრთამოქარგულ ფარშავანგისა.

ამრიგად ალ. აბაშელის შთაგონებას კვლავ განწირულების და სულიერი დეპრესიის განწყობილებანი ეუფლებიან. იგი კვლავ ლამობს პირად-ინტიმურ, ღრმად ინდივიდუალურ განცდათა რკალში მოამწყვდიოს თავისი შემოქმედება, ხოლო თუ სოციალური სინამდვილის თემას შეეხება, იგი ცხოვრებას დახატავს, როგორც საპყრობილეს, სადაც ყოველი არსი და მათ შორის ადამიანიც სამუდამოდ დაუტყვევებიათ და არც ღირს ამ ტყვეობიდან თავდაღწევისათვის ბრძოლა:

მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი,
არა აქვს სააჯელსაც საზღვარი,
დაარაჯად სიკვდილი მზად არი.
მის ძახილს ყოველწამს მოველი,
მსოფლიო ციხეა საზარი
და ტყვეა არსება ყოველი.
(„ტრიოლეტები“, 1919 წ.)

პოეტის გულში კედება ყოველი რწმენა და მისწრაფება. ამაოების, ყველაფრის წარმავლობისა და ეფემერულობის აზრი მოიცავს მის სულისკვეთებას:

გაივლი ჩუმად წყნარ ხეივნებს და შევჩერდები.
იჩვევი ნირვანად გაიშლება ცის მყუდროება,
წაიშლებიან ჩემს ხსოვნაში ყველა ღმერთები,
და აენთება ერთი აზრი, „ამაოება“.

(„ელეგია“, 1920 წ.)

ალ. აბაშელის ლექსების კრებული „გაბზარული სარკე“ ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად რთული და ღრმაწინააღმდეგობებით აღნიშნული გზა განვლო პოეტმა, ვიდრე იგი, მართალია, არა ერთბაშად, თანდათანობით და დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ საბოლოოდ, ურყევად ჩასწვდებოდა განახლებული ცხოვრების სიღრმეს, გაიზიარებდა და შეისისხლხორცებდა მის იდეებს, იქცეოდა ახალი სინამდვილის მხატვრად და მეხობებელ.

თავდაპირველად პოეტი ეჭვით და უნდობლობით შესცქეროდა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიად გარდატეხას:

უიმედობა, მუდამ იჭვი და სინანული
ჩრდილივით ახლავს ჩემი ფიქრის ყოველ ანთებას.

ამბობდა პოეტი და მართლაც მისთვის ჭერ კიდევ ნათელი არ იყო, თუ რას მოუტანდა ქვეყანას ეს განახლება, რით დაბოლოვდებოდა ძველსა და ახალ სამყაროთა შორის გაჩაღებული შეურიგებელი ბრძოლა:

რას მოგვცემს ეს დრო, სისხლითა და ძელებით ნათესი:
იქროლებს რაში, შორს დარჩება ყორნის ჩხავილი
და ავარდება მიუწვდომელ მზის სინათლეზე
მოულოდნელად ამოვარდნილ ქარიშხალივით, —
თუ გარს მოწოლილ ნისლის ზღუდეს ველარ გაარღვევს,
ვერ გადაიტანს ამ ანთებას მიწის სხეული,
და სამუდამოდ დაიშვებიდეს ცეცხლიან ძარღვებს
სადმე მზის იქით ცის უფსკრულში გადამსხვრეული?!

ამრიგად, ჯერ კიდევ პოეტისათვის მიუწვდომელია რწმენა რევოლუციის საქმის უძლეველობისა. სულიერ თბლობას, სიმარტოვესა და სევდას შეზრდილი მისი ბუნებისათვის უცხოა და ძნელად შესათვისებელი ის მძაფრი სოციალური ძვრები, რომელიც რევოლუციურ ეპოქას ახასიათებს. პოეტი აშკარად გამოხატავს თავის დაფროთხობას და უძლურებას ამ დიად ბრძოლათა ქარტეხილის წინაშე:

ბრძოლის სიშმაგემ გული მატკინა
და ჩამებინდა თვალებში ნისლი,
ვერ ავიტანე ტყვია და რკინა,
ამდენი ცეცხლი, ამდენი სისხლი.

პოეტი ხედავს, რომ რევოლუციის გრიგალი უღმობლად ანგრევს მის განკერძოებულ „ბრძოლის კოშკს“. სინანული და შიში იპყრობს პოეტის ოცნებას. მას ეჩვენება, რომ განახლებული ჭინამდვილე შარავანდედს აცლის პოეტის სახელს, ჩაქრობით ემუქრება პოეზიის „წმინდა სანთელს“.

უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით,
და ატორტმანდა მწვანე სივრცე ცეცხლის რკალებში.
აივსო ჩემი ბროლის კოშკი ცის ნანგრევებით
და ქარმა სილა მომაყარა ღია თვალებში...
გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ველარ ახელს,
გაბზარულ მიწას ხშირად უვლის ტანს ქრუანტელი.
შარავანდელი ეკარგება
პოეტის სახელს.
ვაიმე, ჰქრება პოეზიის
წმინდა სანთელი!

პოეტისათვის რევოლუცია ჯერ კიდევ მხოლოდ დამანგრეველ სტიქიონს წარმოადგენს. აქ ჯერ კიდევ არ არის განჭვრეტილი და გაგებული რევოლუციის შემოქმედი, ამალორძინებელი ძალა. დეკადენტური პოეზიის ბურჟსიდან ჯერ კიდევ გამოურკვეველი ავტორისათვის გაუგებარია ის ახალი იდეურ-შემოქმე-

დებითი გზები, რომელიც გამარჯვებულმა რევოლუციამ გადაუშალა პოეტურ ხელოვნებას. ახალი ცხოვრების მოთხოვნა და კარნახი აქ პოეზიის „წმინდა სანთლის“ ჩაქრობის საფრთხედ არის წარმოდგენილი. ეს აზრი, ნამდვილი და მაღალპოეტური შემოქმედებისათვის რევოლუციური სინამდვილის მიერ თითქოს შექმნილი საფრთხის შიში, კიდევ უფრო მკვეთრად გამოთქვა, ცოტა უფრო გვიან ალ. აბაშელმა ლექსში „ნოე ჩხიკვაძეს“.

თუ რამდენად უსათუფლო იყო პოეტის ეს შიში, რამდენად მცდარი იყო მაშინდელი თვალსაზრისი პოეტისა რევოლუციის ბუნებაზე და, კერძოდ, პოეტის ბედზე რევოლუციურ ეპოქაში, ეს მეტყველი დამაჯერებლობით გვიჩვენა თვით ალექსანდრე აბაშელის შემდგომმა პოეტურმა ცხოვრებამ.

1915 წელს დაწერილ ერთ ლექსში — „მე მზეს ვუგალობ“ — ალ. აბაშელი გამოთქვამდა იმედს, რომ ოდესმე შესაძლებელია „მკვდრეთით აღსდგეს“ მისი ჩანგი და სავსე ხმით, ლალად აწკრიალდეს:

შემდეგ ვინ იცის? თუ კვლავ აღსდგა ცეცხლის თამაში,
თუ მზე ახალი ცის სიერცეში კვლავ იტრიალებს,
ახალ ვარსკვლავთა განახლებულ სხივთა გამაში
მკვდრეთით ამდგარი ჩემი ჩანგაც დაიწკრიალებს.

მართალი აღმოჩნდა პოეტის ეს წინათგრძნობა. თუმცა საკმაოდ დრო დასჭირდა მას იმისათვის, რომ ეგრძნო და გაეგო ჩვენი დროების ახალი მზის ძლევა-მოსილი ელვარება. მაგრამ საბოლოოდ ანგარიშში ისწორედ ახალი ცხოვრების, ჩვენი სოციალისტური ეპოქის ნათელმა ააყდერა ალ. აბაშელის პოეზია ცხოვრების სიყვარულით, ცოცხალი სინამდვილის გრძნობით, ლალი და უჩრდილო შანგით.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევარში ალ. აბაშელის პოეზიაში უკვე თანმიმდევრულად შემოდის და მკვიდრდება განახლებული ცხოვრების, საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომის, ჩვენი ქვეყნის აღორძინების თემატიკა. საგულისხმოა, რომ სოციალისტური აღმშენებლობის კონკრეტული ფაქტები ხდებიან მისი შთაგონების წყაროდ და ბადებენ პოეტის აღფრთოვანებულ გრძნობას, რწმენას ბნელის სამუდამოდ განადგურებისა, ნათელის საბოლოოდ დამკვიდრებისა.

ლექსში „თბილისის ღამე“ საქართველოს განახლებული დედაქალაქის — თბილისის ფონზე, ალ. აბაშელი ხატავს ღამის წყვედიადისა და დღის ნათელის იმ უკანასკნელი ურთიერთ შებრძოლების სურათს, რომელიც ბნელეთის სამყაროს, წარსულის კოშმარის საბოლოოდ გაცამტვერებით ბოლოვდება. წყვედიადი ველარ უმკლავდება მომძლავრებული განთიადის იერიშს:

...ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,
და როს ინათებს დილა სისხამი,
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

ასე დაბოლოვდა „შავი აჩრდილისა“ და მზიური საწყისის ხანგრძლივი ჭი-
დილი ალ. აბაშელის პოეზიაში. ამიერიდან პოეტი ქვეყნის ახალი განთიადის
შთაგონებულ მომღერლად იქცა. მაგრამ ახლა უკვე მის პოეზიაში მზე ზეკვეყ-
ნიური, მიწიერი ცხოვრებისადმი დაპირისპირებულ ძალად კი არ არის გამოსა-
ხული, — იგი თვით ცხოვრებაშია შემოსული მთელი თავისი ცხოველმყოფელი
სითბოთი და სინათლით. იგი პოეტის წარმოდგენაში აღორძინებული ქვეყნის,
განახლებული ყოფის ორგანულ და განუყოფელ ნაწილად ისახება:

თბილისს ლაქვარდი შემოეღობა
და მზემ ულუვი ოქრო დაჰყარა;
ასადუღებლად მყინვარს ეყოფა,
რაც ოქტომბერმა აქ მზე დაღვარა.
ალი სწვავს ქუჩებს შუშაბანდიანს
და მზე ბანაობს ყოველ მინაში,
და ეჯიბრება მწუხრი განთიადს
ფერთა უცნაურ დოღის წინაშე.

(„ღვინობისთვეში“, 1926 წ.)

როგორც ვხედავთ, აქ უკვე ალ. აბაშელი მზეს უმღერის არა როგორც მი-
სი ფანტაზიით შეთხზულს, სინამდვილის გარეშე და ცხოვრების ზემოთ მდგარ
რადაც განყენებულ აბსტრაქციას (როგორც იგი „მზის სიცილში“ იყო წარმო-
დგენილი), არამედ — როგორც ცხოვრების სავესებით რეალურსა და ხელშესა-
ხებ მოვლენას. ეს ოქტომბრის მიერ ხალხის ცხოვრებაში შემოტანილი მზეა,
რომელიც სხივთა სიუხვით ბანაობს ყოველი ბინის ფანჯრის მინაში და თანაბა-
რი ძალით აფერადოვნებს მწუხრისაც და განთიადსაც.

ლექსების ციკლში „(თბილისი“, „მტკვარი“ და სხვ.) ალ. აბაშელი ხატავს
და უმღერის განახლებული დედაქალაქის ზრდას, მის სახეცვლას, ხალხის შემო-
ქმედებითი შრომის დიად შედეგს: აქ პირველად შემოდის ალ. აბაშელის პოე-
ზიაში რეალური თემატიკა, სინამდვილის კონკრეტული მასალა; ახლა უკვე არა
ზეციური წიაღიდან, არამედ ხალხის შრომითი გენიისაგან მოელის პოეტი ჭეშ-
მარიტ სინარულსა და ბედნიერებას:

რკინის აკვანში ჩაქრულ მტკვარიდან
მოვიდეს ელვა ნიაღვარული

და შემოვიდეს ოთხივე კარიდან
შრომა, სინათლე და სიყვარული.

შემოქმედების საერთო კოლორიტთან და განწყობილებასთან ერთად ძირ-
ფესვიანად შეიცვალა და განახლდა ალ. აბაშელის პოეტიკა, პოეტური გამო-
სახულების საშუალებათა მთელი სისტემა. პირველად ახლა ჩნდება მის პოე-
ზიაში 1905 წლის რევოლუციის რეალისტურად აღწერილი სურათები (მოგო-
ნება“, 1927 წ.), პოეტი ქმნის ყოფით მასალაზე აგებულ შესანიშნავი ლექსე-
ბის ციკლს: „მამის სიკვდილი“, „პაპაჩემი“ და სხვ. ამ ლექსებში არა მარტო
ღრმა მხატვრული ძალით აღდგენილია და ცხოვლადაა წარმოსახული რევოლუ-
ციამდელი სოფლის ყოფა-ცხოვრებითი სურათები, ამასთანავე დახატულია
სისხლხორციტ სავესე ადამიანური პორტრეტები და ხასიათები. ეს სრულიად
ახალი თვისებაა ალ. აბაშელის პოეტური შემოქმედებისა.

ამგვარად გადადის და მკვიდრდება ალ. აბაშელი რეალისტური პოეზიის
ნიადაგზე. იწყება შემოქმედებითი ცხოვრების ახალი ხანა, აღნიშნული ღრმა
ინტენსივობით და ნაყოფიერებით, ჰანგთა და ნახატთა სიწრფელით და მხატვ-
რული სიმართლით, შემოქმედებითი აზრის აქტუალობით, მაღალი იდეურო-
ბით.

ამ ახალი შემოქმედებითი ცხოვრების შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს
ლექსების წიგნი „მზე და სამშობლო“. ამ წიგნმა ალექსანდრე აბაშელს საბო-
ლოოდ მოუპოვა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი
ოსტატის უცილობელი რეპუტაცია.

კრებული იხსნება მრავალმხრივად საყურადღებო ლექსით „ფოლადაური“. პოეტი
ხატავს საქართველოს შორეული მთიანი კუთხის პატრიარქალური ცხო-
ვრების რღვევის, მასში ჩვენი ეპოქის განმაახლებელი სულის მძლავრად შექ-
რის სურათს:

ახალი ძალა იგრძენით,
გამოგეცვალათ გუნება,
აღარ ინდომეთ წარსულით
მომავლის დამაბუნება.

გახარებთ რკინის არწივის
მწვერვალზე შემობრუნება,
ვეფხის ნატოტარ ბეჭობზე
მანქანის აგუგუნება.

მთელი ეს ვრცელი ლირიკული ტირადა შეიცავს ამგვარ კონკრეტულ-სა-
იხეობრივ გამოხატულებას ჩვენი თანამედროვეობის ფარდამქმნელი და ამაღორ-
ძინებელი ძალისა.

საყურადღებოა, რომ ეს ლექსი დაწერილია ვაჟა-ფშაველასებური რიტმით. ეს იმას მოასწავებს, რომ ალექსანდრე აბაშელი ახლა უკვე შეგნებულად და პრინციპულად უკუაჯღებს დეკადენტური პოეტური სკოლების გზას და მიმართავს ქართული კლასიკური პოეზიის დიდ რეალისტურ ტრადიციას. ვაჟა-ფშაველას უკვდავ პოეტურ მემკვიდრეობასთან ერთად ალ. აბაშელის აწინდელი პოეტური ინდივიდუალობის ფორმირებაში უპირატესი როლი მიეკუთვნება აკაკი წერეთლის ლირიკას. აკაკის ნათელი, მსუბუქი, მომხიბლავი ლექსი, მაღალი ხალხურობით აღბეჭდილი მისი სიმღერა, თავის ერთგულ მიმდევარსა და გამგრძელბელს პოულობს ალ. აბაშელის სახით. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია თვით აკაკისადმი მიძღვნილი ლექსის რამდენიმე სტრიქონი გავიხსენოთ:

ჩონგურს რომ შენი ცრემლი დასცვივა,
შუქი იელვებს თვალეზში წამსვე...
დგას საქართველო, ოქროს თასივით,
შენი ლექსების ნექტარით საუ' ე.

ალ. აბაშელის პოეზიაში მკვეთრ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ხალხის უწმინდესი გრძნობანი და მისწრაფებანი. პოეტი აღწევს ხალხის გულისთქმის გამოხატვას, ხალხის სახელით მეტყველების ძალას. იგი პოულობს ღრმა აზრით აღბეჭდილ პოეტურ სახეებსა და მომხიბვლელი საზეიმო ჟღერის მელოდებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გამოსახატავად.

აქ უკვე ნასახიცი აღარ არის იმ მელანქოლიური ჰანგისა, რომელიც პოეტს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის წინა პერიოდებში ახასიათებდა. აქ ნატამალიც აღარ არის შემოზრჩენილი იმ მუქი, დაბინდული საღებავებისა, რაც წინათ მის პოეტურ პალიტრას ახასიათებდა.

საბჭოთა პატრიოტიზმის წმინდა და ამამალვლელი გრძნობა ეუფლება პოეტის არსებას. განუზომელი ბედნიერების გრძნობით შეჰხარის და უმღერის პოეტი აღორძინებულ სამშობლოს:

ცის ვარსკვლავები გადმომაყარეს,
გულში სინათლე აღარ შეტევა,
შუქსავსეობა შენი მახარებს
და შენი დიდი შემოქმედება.

პატრიოტიზმის იდეის დამკვიდრებასთან ერთად ალ. აბაშელის პოეზიაში თავს იჩენს ისტორიზმის გრძნობაც. მის შემოქმედებაში გამოხატულებას პოუ-

ლობს საბჭოთა ადამიანის სიყვარული და ინტერესი თავისი სამშობლოს გმირული და სახელოვანი წარსულის მიმართ. ლექსში „სამშობლოსადმი“, ამ შთაგონებულ პატრიოტულ ჰიმნში, სადაც პოეტი ჩვენი ქვეყნის უმაგალითო აღორძინებას უმღერის, აღდგენილია განზოგადებითი ძალის სურათი ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავდადებული ბრძოლისა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის.

მომსკდარ ზვავივით შენს გზას ომიანს
შეპხეთქებია ურდო ველური,
მაგრამ იმედად გულს ჩადგომია,
ნათელი სიბრძნე რუსთაველური.

რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა და უკავშირდებოდა პოეტი ცოცხალ სინამდვილეს, ხალხის სულიერ ცხოვრებას, მით უფრო ფართოვდებოდა მისი თვალთახედვის ჰორიზონტი, მდიდრდებოდა და მრავალფეროვანდებოდა მისი თემებისა და სახეების სამყარო.

ცხოველ პოეტურ სურათებში ხატავს და მგზნებარე სიმღერებით აღიდებს ოცდაათიანი წლების დამდეგიდან პოეტი კოლხეთის ველზე გადაშლილ „ოქროს საწმისს“, განახლებულ თბილისს, ჩვენს უძლეველ საბჭოთა არმიას, ჩვენს დიდებულსა და საამაყო წინაპრებს. ჩვენი გმირული სინამდვილის ყოველი ღირსშესანიშნავი მოვლენა პოულობს გამოძახილს და გამონახატულებას აბაშელის ლექსებში.

ახალი ყოფის სხივმოსილი სურათის ფონზე ხატავს ალ. აბაშელი ეპოქის გმირის, ჩვენი დროის ადამიანის სახეს. აი, დამახასიათებელი მაგალითი ლექსიდან „კოლხიდის კოლმეურნეს“:

უახლოვდები ცისფერ კარიბჭეს,
შებვალ ეზოში, უკვე ბინდია.
შენი ხელებით დარგულ ნარინჯებს
ესაუბრები, როგორც მინდია.
გესმის ფოთლების ჩუმი შრიალი,
ძალი მორბის და ჰყეფს მოხარული,
მაღალი ოდა, ლურჯფანჯრიანი,
დგას მოფიცრული და მოყავრული.

ამ ლექსშიც პოეტი კიდევ და კიდევ იმეორებს თავის თითქოს თანდაყოლილ მოტივს ნათელისა და წყვდიადის იმ ხანგრძლივი ჰიდილისა, რომელიც ხალხის საბედნიეროდ, სიკეთისა და სინათლის სამუდამო გამარჯვებით დაბოლოვდა:

შინ ომგადახდილ გმირივით მოხვალ,
შენს დაბრუნებას შეახარის ჩიტო.
ხედავ, როგორი სიკეთე მოჰყუა
სინათლისა და წყვედიადის ჰიდოლა.

საბჭოთა ადამიანის მაღალი ჰუმანური გრძნობა, მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრე, სისპეტაკე და კეთილშობილება განასახიერა ალ. აბაშელმა ლექსში „უკვდავება“. საკუთარი ოცნებისა და ნატერის სახით აქ პოეტმა განზოგადებულად გამოხატა ეპოქის გმირის მორალური იდეალი:

ვცოცხლობდე — მქონდეს ქვეყნის ზიარად
სითბო, ალერსი, მზე და ყვავილი.
არ ჩამრჩეს გულში სიტყვის იარა,
სანამ ბოლომდე ჩემს გზას გავივლი.

პირადისა და სახალხო განცდის, საკუთარი და საქვეყნო ბედის ერთიანობა — ეს უპირველესი დამახასიათებელი თავისებურება სოციალისტური ადამიანის სულიერი ცხოვრებისა — მკაფიოდ არის ასახული ალ. აბაშელის პოეზიაში. მისი ლირიკული პოეზიის გმირი თავისი ქვეყნის ცხოვრების ორგანულ, განუყოფელ ნაწილად გრძნობს თავს. მას მხოლოდ სახალხო სიხარული ახარებს, მისი ბედნიერების წყაროს სამშობლოს ძლიერება და კეთილდღეობა წარმოადგენს. ხატავს რა ჩვენი სამშობლოს განახლებულ ყოფაცხოვრებას ერთიან აყვავებულ ბაღნარად, პოეტი ამბობს:

და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარია,
რომ ეგ სინათლე ასე დიდია,
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდა!

და, როდესაც ამ მზეს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, როცა ჩვენს ქვეყანას კაცობრიობის უბოროტეს მტერთა გაცოფებული ურდოები შემოესია, ალ. აბაშელის ლალი და უჩრდილო სიმღერა ერთბაშად იქცა უცხოელ დამპყრობელთადმი მომაკვდინებელი გულისწყრომით გამსჭვალულ მრისხანე ყიჟინად. ახლა პოეტმა თავისი სიცოცხლისა და შემოქმედების უპირველეს იდეალად ვერაგი მტრის შემუსვრა, დაისახა: „კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა, — გადაივიწყე სხვა ყველაფერი!“ — მიმართა ომის პირველსავე დღეებში ალ. აბაშელმა საკუთარ კალამს და, მართლაც, სამამულო ომის დღეებში პოეტის შთაგონების ერთადერთ საგანს მტრის განადგურებისათვის, ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის წარმოებულ თავდადებული და შეუღარებლად გმირული ბრძოლა შეადგენდა.

ჩვენი გამარჯვების ურყევ რწმენას მღეროდა და ნერგავდა მისი ლექსი ომის ყველაზე დაძაბულსა და საბედისწერო მომენტშიც. ჰიტლერელ დამპყრობელთა ავანაჟური თავდასხმის მეორე დღესვე დაწერილ ლექსში პოეტი მთელი საბჭოთა ხალხის ვაჟკაცურსა და უშიშარ ნებისყოფას გამოხატავდა:

მიწა დაიწყებს ზანზარს
ულმობელ ცეცხლის ფრქვევით,
მტერი დღეს ნახავს საზარს
ჩვენი მიჯნების ქვევით.

ამ რწმენის გაღვივებისა და განმტკიცებისათვის პოეტი აღადგენდა ხალხის მეხსიერებაში ღრმად დამაჯერებელ ისტორიულ ანალოგიებს:

ჩვენს მიწა-წყალზე ოქროს ახვეტა
მტაცებელთ ხროვას კვლავაც უცდია,
მაგრამ ჩვენს მიწას მტრის დასახვედრად
ბევრი ვაჟკაცი გამოუზრდია.
შემოსეულ მტერს შეპყებებიან
ხალხი, ქცეული ერთ დიდ სხეულად,
ხალხს გამარჯვება მუდამ რგებიან,
მტერი ყოველთვის უაჟქცეულან.

ძნელი არ არის გავითვალისწინოთ ამ სტრიქონების შთამაგონებელი და საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი ზემოქმედების ძალა იმ მრისხანე დღეებში, როდესაც ჩვენი ხალხის ყველა უწმინდეს მონაპოვარს, ჩვენი სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლებას სავსებით რეალური საფრთხე ემუქრებოდა სისხლიანი ჰიტლერის ჯოჯოხეთური საომარი მანქანის სახით.

სამამულო ომის დღეებში ალექსანდრე აბაშელმა ახალი ბრწყინვალე ფურცლებით გაამდიდრა თავისი ვრცელი შემოქმედებითი ბიოგრაფია. მის პოეზიაში ცხოვლად აისახა სამამულო ომის ყოველი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი: სტალინგრადის ლეგენდარული ეპოპეა, ლენინის ქალაქის გმირული დაცვა, მოსკოვის კარიბჭესთან გამართული, შეუდარებელი თავგანწირულებით აღნიშნული, მარად უჭკნობი შარავანდელით მოსილი ბრძოლა. როდესაც მტერი კავკასიონის კალთებს მოადგა და უშუალოდ დაემუქრა საქართველოს მიწა-წყალს, ალ. აბაშელმა გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, აღმაგზნებელი საბრძოლო მოწოდებით მიმართა ქართველ მეომრებს:

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაპკარი!

ომის უმძაფრეს ვითარებაში, სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარემოცვაში ალექსანდრე აბაშელი განასახიერებდა მთელი ხალხის ოცნებას იმ დიდებულ დღეებზე, როდესაც ქვეყანას კვლავ მშვიდობიანი მშენებლობის, ამაღორძინებელი შრომის პათოსი მოიცავდა. პოეტი იარაღსხმული საბჭოთა ხალხის ცნობიერებაში განამტკიცებდა იმ აზრსა და რწმენას, რომ

მშვიდობიანი დღე გათენდება,
მადლიან შრომის ოფლით ნაპურით
და რაც დაინგრა, კვლავ აშენდება,
იანე მონახავს აგურს აგური.

სამამულე ომში გამოვლენილმა უმაგალითო გმირობამ საბჭოთა ადამიანისა, ჩვენი ხალხის უძლეველობამ და სიდიადემ კიდევ მეტად გააღრმავა ნაციონალური სიამაყის გრძნობა, პატრიოტული აღფრთოვანება. ხალხის ეს განწყობილება ღირსეულად გამოთქვა პოეტმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში:

სულ სხვა სინათლე და სხვა იერი
ახლავს ჩვენს ლაქვარდს, წვიმას და ქარსაც;
ჰყვარდეს მიწა სევებდნიერი, —
სხვა საქართველო არ არის არსად.

განუზომელი აღფრთოვანებით უმღერა პოეტმა თავისი და მთელი საბჭოთა ხალხის ნანატრი და ნაოცნებარი დღის 9 მაისის გათენებას:

სხივი მოვარდა ცხრა მაისის
დანაკვესარი
და თითქოს ცხრა მზე შემოვიდა
ჩვენს ცაში ერთად.
ჩემო კალამო, გიხაროდეს,
ხომ მოვესწარი,
რომ დავინახეთ სანატრელი
შემუსერა მტერთა!

ომის შემდეგი წლების თავის საუკეთესო ლექსებში ალ. აბაშელმა შთავგონებულად უმღერა იმ უმაგალითო გმირულ შემოქმედებით შრომას, რომელიც გააჩაღა დიადი ბრძოლის ქარცეცხლიდან ძლევა მოსილად გამოსულმა საბჭოთა ხალხმა ომით მიყენებული ჭრილობების მოშუშებისათვის, ჩვენი სამშობლოს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ისეთივე მგზნებარე და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ლექსით, როგორც
თაც პოეტი ომის მრისხანე დღეებში საბრძოლო გმირობისათვის უხმობდა და
აღაგზნებდა ხალხს, ახლა იგი აღიდებდა მშვიდობიანი შრომის ზეიმს ჩვენი სამ-
შობლოს დაუცხრომელ წინსვლას თავისი დიადი საბოლოო მიზნისაკენ.

ლაჟვარდის ფარდას ნიავე არხევს,
ხვალინდელი დღის ჩვენებას ვხედავ:
მთის წყალი მოაქვს სამგორის არხებს,
რუსთაის ველზე ქარხნები სხედან.
თეთრ კედლებს ზრდიან ხარაჩოები,
აუშვერიათ მაღლა ხელები,
წითელ ალმების ყაყაჩოებით
აყვავებულან სასახლეები.

ასეთი უჩრდილო, ნათელი და ხალისიანი ჰანგი დამკვიდრდა ალ. აბაშელის,
პოეზიაში. სამამულო ომის დამთავრებისთანავე მისი შთაგონების საგნად საბ-
ჭოთა ადამიანის გმირული შრომის დიადი ძალა, ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო
ნათელი და დიდებული ხვალინდელი დღე იქცა. პოეტის ლალი ოცნება ფრთა-
ასხმულად მიესწრაფვოდა ამ ხვალინდელ დღეს, ნათლად ხედავდა, შთამბეჭდა-
ვად წარმოთქვამდა მის მომხიბვლელ სახეს:

მესმის გუგუნი მომავლის ქართა,
და, შთაგონებით თვალანანთები,
ვხედავ, შორეულ ლაჟვარდის კართან
წვანან ცისფერი განთიადები.
მათ უფრო მეტი სინათლე მოაქვთ,
ჯერ არნახული სიცოცხლის ფერი.
შვილიშვილებო, ეს თქვენი დროა,
მე იმ დღეების ვაშლაზე ვმღერო.

თავისი ლექსების უკანასკნელ წიგნში „ოქროს საფეხურები“ პოეტმა მრავალფეროვნად და მრავალმხრივად გამოხატა ტიპიური განწყობილებანი საბ-
ჭოთა ადამიანისა, რომელიც თავისი ქვეყნის მიერ კაცობრიობის უბოროტეს
მტრებზე დიადი გამარჯვების გამო კანონიერი სიამაყით აღფრთოვანებული,
სათავეში უდგებოდა პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას ახალი ომის სისხ-
ლიან გამჩალბელთა წინააღმდეგ.

უნდა დაემხოს ყოველ კუთხეში
ომის მოსურნე და მოტრფიალე
მათ ვერ უშველის ძალა უხეში
და ნაქურდული დროშის ფრიალი.

ომი არ გვინდა: — ისმის ახალი,
აღშფოთებული ხალხი აგრგვინდა,
უნდა გადატყდეს ომის მახვილი,
ომი არ გვინდა! ომი არ გვინდა!

ასე ორგანულად, ბუნებრივად, ასეთ წრფელ და ნათელ პოეტურ სიტყვაში გამოთქვამდა ალ. აბაშელი ჩვენი ხალხისა და მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის უწყმინდეს გრძნობებსა და მისწრაფებებს, თითქოს შთამომავლობისადმი კეთილშობილურ ანდერძად გაისმა პოეტის მიერ მისი ცხოვრების მიწურულში დაწერილი სტრიქონები:

შენც ემსახურე მშვიდობის საქმეს,
ადიდე მაღლი ჩვენი შრომისა,
რომ არ მიადგეს ვარდისფერ აკვნებს
გულშემზარავი ჩრდილი ომისა.

ლექსში „მომავლის პოეტებს“ ალ. აბაშელმა გამოხატა თავისი და ყოველი თანამედროვე ხელოვანის სიამაყის გრძნობა იმის გამო, რომ სწორედ მათ დააკისრა ისტორიამ ყოფილიყვენ ახალი სამყაროს დაბადების, მისი ზრდისა და განმტკიცების მოწმენი და მონაწილენი, პირველად აესახათ კაცობრიობის ისტორიის ეს დიდი გაზაფხული, პირველად ემღერათ მისთვის.

პოეტმა იცის, რომ მომავლის პოეტებს უფრო ნათელი დღეები მოელის, მაგრამ თანამედროვე ადამიანის განუშეორებელი უპირატესობა ის არის, რომ მან არა შარტო უშუალოდ იხილა, არამედ თავისი კეთილშობილური ბრძოლითა და შრომით დაამკვიდრა ქვეყნად ახალი, თავისუფალი, სამართლიანი ცხოვრება. ჩვენი ეპოქის ადამიანის ამ შეგნებას გამოთქვამს პოეტი დასახელებულ ლექსში თავისი მომავალი მემკვიდრეებისადმი, მომავლის პოეტებისადმი მიძღვნილ სტრიქონებში:

ჩვენზე უტბესად იქნებ თქვენმა დრომ მოილხინოს
და უფრო მეტი სიტკბო ნახონ თქვენმა შვილებმა,
მაგრამ ვერავინ, ვერასოდეს ველარ იხილოს
ქვეყნის პირველი გაზაფხულის აყვავილება.
ეს ჩვენ გვხვდა წილად და თქვენც ბევრჯერ მოგენატრებათ
ჩვენი ეპოქის მქუხარ დღეთა შემობრუნება.
რომ თქვენი თვალით დაინახოთ ეს განათება,
რამაც შესცვალა ძველი ქვეყნის მკაცრი ბუნება.

ჩვენი დღეების მქუხარებაში, წარსულის კოშმარის დამთრგუნავი ჩვენი ეპოქის მძაფრ ბრძოლებში და დიად გამარჯვებებში პოულობდა პოეტი ნამდ-

ვილი ბედნიერების მიზეზს. ამტომაც მის სულიერ სამყაროს ვერ ეუფლებოდა ხანდაზმულობის სევდა და სიცოცხლის მოახლოებული დასასრულის შიში. პოეტის სულიერ ძლიერებასა, მის მაღალ სოციალურ შეგნებასა და პატრიოტულ სიამაყეს მოწმობს ის იშვიათი სიმშვიდე და ვაჟკაცური უდრტვინველობა, რომლითაც იგი თვალს უსწორებდა საკუთარი ფიზიკური არსებობის მოახლოებულ ფინალს. თედო სახოკიასადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობდა:

ჩვენ კიდევ ერთი კარიც შევალთ,
რომ დავინახოთ ახალი მთები,
ხვალინდელ დღესაც ხელი შევახოთ
და მერე... წყნარად დავკეცოთ ფრთები.

ასეთი გაუტეხელი და დაუბერებელი სულიერი ცხოვრებით, ასეთი უჩრდილო და უნადვლო სიმღერებით წავიდა ჩვენგან ალექსანდრე აბაშელი. მან მართლაც „წყნარად დაკეცა ფრთები“, რადგან მშობლიური ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი, გრძნობდა, რომ წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში და ხალხის მეხსიერებაში.

სამეზღვეო რეპერტუარის მჭარელი

(გიორგი ლეონიძის ლირიკა)

თავისი პოეტური მრწამსი, ნათელი ესთეტიკური იდეალი და მაღალი ადამიანური ოცნება გიორგი ლეონიძემ შთაგონებულად გამოხატა ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „პოეტს“:

დასძარი შენი ლექსის ხანძარი
და სხვა დიდებას ნურას დაეძებ,
ოღონდაც ერთი ცრემლის მარცვალი
ხალხის გულიდან შენს გულს დაეცეს!
ის წმინდა ცრემლი ფერმეუცველი
ამოაცენებს ხეს რტომრავალსა,
ის ხე დაპბურავს ვარდის ფურცლებით
და უკვდავ სუნთქვით შენს მომავალსა!

ნახევარი საუკუნის განმავლობაში გიზგიზებდა გიორგი ლეონიძის ლექსის ხანძარი ქართული პოეზიის სარბიელზე და, როდესაც ნადრეგად და მოულოდნელად შეწყდა ჩვენი დროის უპირველესი პოეტთაგანის დიდი შემოქმედებითი ცხოვრება, ერმა ცრემლის ერთი მარცვალი კი არა, გულის სიღრმიდან მიმდინარე ცრემლის ზღვა დაადგარა მის ახალგაცივებულ გულს, ხალხმა განუზომელი მადლიერებისა და სიყვარულის უჭკნობი ყვავილებით დაპბურა მისი სამარე და უკვდავი სუნთქვა, მარადიული სიცოცხლე მიანიჭა მის მომავალს. ჩვენი დიადი დროების, თანამედროვე ქართული პოეზიის საამაყო და სასახლოდ გიორგი ლეონიძეს ისტორიამ უკვე მიაკუთვნა ღირსეული ადგილი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის უდიდესი გოლიათების გვერდით არა მარტო მთაწმინდის პანთეონში, არამედ ხალხის ხსოვნაშიც, ჩვენი სამშობლოს ისტორიული ცხოვრებისა და სულიერი შემოქმედების დიდებულ მატრიანეში.

უკვე სამი წელიწადია, რაც გიორგი ლეონიძე აღარ არის ჩვენს შორის, ეს დრო საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ოდნავ მაინც შემსუბუქებულიყო სიმწვავე იმ წყლულისა, რომელიც მისმა უღმერთო სიკვდილმა მიაყენა არა მარტო მისი ახლო მეგობრებისა და უშუალო თანამოღვაწეების, არამედ ქართული პოეზიის ყოველი მოყვარულის გულს, ჩვენს სამშობლოში და მისი საზღვრების მიღმაც. და მაინც უკვე ღრთა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ქართულ-

მა ლიტერატურულმა აზროვნებამ ფხიზელი გონების თვალთ გაზომოს და შეაფასოს ის დიდი შემოქმედებითი ღვაწლი, რომლითაც გიორგი ლეონიძემ განაგრძო და განავითარა ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვანი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიციები, ჩვენი ეპოქის თემებითა და იდეებით განაყოფიერა იგი, გაამდიდრა და გაამრავალფეროვანა საუკუნეთა სიღრმე-დან მომდინარე ქართული ლექსის უდიდესი საგანძური, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მე-20 საუკუნის პოეტური კულტურის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში.

როდესაც გიორგი ლეონიძის პოეტურ მემკვიდრეობას მთლიანობაში წარმოვიდგენთ, უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს მისი შემოქმედებითი ინტერესების იშვიათი მრავალმხრივობა, მისი პოეტური სამყაროს სიმდიდრე და მრავალფეროვნება, თემებისა და იდეების, ქანრებისა და მხატვრული მეტყველების საშუალებათა დიაპაზონის შეუღარებელი სიფართოვე.

მართლაც ძნელია დავასახელოთ ჩვენი საუკუნის რომელიმე პოეტი, რომლის შემოქმედებაშიც ისე ორგანულად იყოს შერწყმული და შედუღებული ნოვატორული გატაცებანი და კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციები-სადმი შეუწელებელი ერთგულება, თანამედროვეობის ცოცხალი განცდა და ისტორიზმის გამახვილებული გრძნობა, ეპოქის დიდი სოციალური თემებისა და პრობლემებისადმი მისწრაფება და ადამიანის ინტიმურ გრძნობათა წიაღში წვდომის მიდრეკილება, შემოქმედების ინტელექტური და ემოციური საწყისები, პოეტური აზროვნების ლირიკული და ეპიკური ფორმები, უღრმესი ეროვნული თვითმყოფობა და ფართო უნივერსალური მასშტაბები, პოეტური ფერწერის ხელოვნება და უცდომელად გამახვილებულ სმენაზე დამყარებული მუსიკალობა. და ყოველივე ამასთან ერთად პოეტური ბუნების გაუზზარავი მთლიანობა და მონოლითურობა.

თუ მოვიხილავთ გ. ლეონიძის პოეზიის თემატიკისა და პრობლემატიკის სიუხვესა და მრავალფეროვნებაში მაინც გამოვყოთ მთავარი და ძირითადი, მისი მსოფლშეგრძნობის, სამყაროს ხილვისა და ხატვის თავისებურებათა განმსაზღვრელი და მამოძრავებელი ფაქტორი, ეს არის სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების ყოვლის მომცველი გრძნობა, პატრიოტიზმის მაღალი და კეთილშობილური იდეა. პოეტს სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

მშობელ მიწაში მიღვას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვაილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მკრელ,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

მართლაც, თავისი პოეტური ცხოვრებით და შემოქმედებით გ. ლეონიძე ვანუყოფელად არის შეზრდილი და შესისხლხორცებული მშობელ ქვეყანასთან, მის დიდებულ ბუნებასთან, მისი ხალხის მრისხანე და სუსხიან, თანაც სასახელოდ გმირულ ისტორიასთან, მაგრამ პირველ ყოვლისა აღორძინებულ და განახლებულ საქართველოსთან, მისი დღევანდელი ცხოვრების მაჯისცემასთან, ჩვენს ქვეყანაში საპარადისოდ დამკვიდრებულ ნათელთან.

გულის ფესვიდან მინდა გიმღერო
და თუ ვერ გითხრა როგორ მიყვარხარ,
შენს თვითულ ხეს, ბალახის ღეროს
ვკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი: მიყვარხარ!
თუ შენი დიდი წყვედიადი გალღვა,
ბნელი წარსული თუ დაგვიძარხავს,
დღეს შენს ახალ მზეს და ახალ ტალღას
ვკოცნი, ვეხვევი, ვეტყვი, მიყვარხარ!
ვაზის შრიალში მე ვისმენ შენს ხმას,
წითელი ვარდის სუნთქვაში გსუნთქავ,
თუ ძველად შენი ტოტები შეხმა,
დღეს შენი ნერგი მსოფლიოს უღვას,
დიდებით ხმელეთს გადააფენია
მსხმოიარე და შტოებმრავალი
შენი ნაყოფი, შენი გენია,
შენი დიდი მზე ამომავალი.

პატრიოტული ტრადიციებით იშვიათად მდიდარ ქართულ მწერლობაში გ. ლეონიძე გამოირჩევა ამ უმაღლესი ადამიანური გრძნობის უნივერსალური, ყოვლისმომცველი ძლიერებით. პოეტი მთლიანად და სავსებით არის შთანთქმული ამ გრძნობის სტიქიაში. სამშობლოსადმი თავგანწირული სიყვარულის განცდა გამოსჭვივის პოეტის ადამიანური და შემოქმედებითი ბუნების ყოველგვარ გამოვლინებაში. რაზეც არ უნდა წერდეს იგი, რასაც არ უნდა ხატავდეს და უმღეროდეს — მშობლიური ბუნების წარმატაც სურათებს, ჩვენი სახელოვანი წინაპრების უკვდავ სახეებს თუ თანამედროვე ადამიანის გმირულ საქმეებს,

ხალხის საბრძოლო გმირობისა და შრომითი გენიის ეპიზოდებს, თავის მშობ-
ლიურ სოფელში, უზომოდ ძვირფას და საყვარელ პატარძელში გატარებულ
ბავშვობის მოგონებებს თუ უცხოეთის სივრცეებში მოგზაურობის შთაბეჭდი-
ლებებს, ყველგან და ყველადღერში უპირველეს ყოვლისა იგრძნობა სამშობლოს
თავდავიწყებული სიყვარულით აღზნებული მხურვალე გულისძგერა.

ამოუწურავი და უსაზღვროა პოეტის შესაძლებლობანი, რომ ჩვენი ქვეყ-
ნის ისტორიული წარსულისა და თანამედროვე ცხოვრების მოვლენებში, ხელოვ-
ნების ძეგლებში თუ ხალხის ყოფაცხოვრების სურათებში, ადამიანის სულიერი
ცხოვრების მოძრაობაში თუ პოეტურ პეიზაჟებში ხორცშესხმულად და ამადლე-
ვებლად, გულის სიღრმემდე ჩამწვდენი ძალით განასახიეროს თავისი შემოქ-
მედებითი ცხოვრების ეს მთავარი აზრი და თემა:

სამშობლოს დროის შრიალს შევხარი,
ლოდმაგარ ქვიტიკის, — აღტაცებული...
მიყვარს სამშობლოს განთიადები,
ქართლის სიმავრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეაღერებო.

გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი ჩვენი დროის მოწინავე ადამიანია, რომელიც ცოცხლობს და სუნთქავს თანამედროვეობის გრძნობით, ჩვენი მღელვარე დღეების დრამატიზმით, ეპოქის გარდამქმნელი, განმსახლებელი და ამალორძინებელი სულით, მისი დიდი ისტორიული მოვლენებით თუ ყოველდღი-
ურობის საქმეებით:

მე მაერყოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე ცეცხლი ცეცხლზე მოება.
დავინახე მეხმა როგორ გააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება.
ლეონიძე! ამ დღეებს უღარაჭე,
შენ თუ გასძლებ — შენივ სიტყვის იმედით...
საათნოვას გაყინულ სუღარაში
ჩარჩენოდა ქიანურის სიმები...

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ აქ პოეტი თავისი საბრძოლო იდეალისად-
მი ადამიანის თავგანწირული ერთგულების აზრს განასახიერებს, ხოლო ასეთ
იდეალად ამ შემთხვევაში ჩვენი დიდი დროების მასულდგმულებელ იდეებს გუ-
ლისხმობს.

ახალი სამყაროს ძლევამოსილი მშენებლობის პათოსი განუყოფელია გ-
ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირის სულიერ სამყაროში სამშობლოსადმი
თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების ნათელი გრძნობისაგან:

სიციოცხლის ჟღერა
 წვიმის წვეთის ხმაში მსმენია,
 ფესვის ჩერჩულში,
 არა მარტო დროშის შრიალში,
 მშვენიერების,
 უკვდავების ტურფა გენია
 დამინახია ცისარტყელის დიდ არშიაში,
 მე მყვარებია
 ლურჯ ყანებში ყაყაჩოები,
 მე ვარდოც მიყვარს,
 უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,
 მაგრამ უმეტეს ოცნებებზე
 მე მიყვარს ეხლა
 საქართველოში კომუნისმის ხარაჩოები.

ასე ფართოდ არის გაგებული და გააზრებული გ. ლეონიძის პოეზიაში ახალი სამყაროს მშენებლობის თემა. თანამედროვეობის გმირისათვის არ არსებობს ცხოვრების ცოცხალი სინამდვილისაგან გამოთიშული და განყენებული ეს-თეტიკური იდეალი, უსისხლხორცო სილამაზის განცდა.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
 ვინც ავსებულა თავის დროს ძალით —
 აღიღებელი, დამწიფებელი,
 ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.
 დღევანდელი დღის პასუხმგებელი,
 ჩაასვი ტყვია — ტყვია ტყვიაში
 მიწას არ ახსოვს იყოს პოეტი
 გამომწყვდეული კუბოს წვედიადში.
 და რაც კი სუნთქავს დღეს ქვეყანაზე,
 რაც სიციოცხლეთი არის ცხოველი:
 მიწა, ფოთოლი, ღრუბლის ნაგლეჯი —
 შენი სიტყვების ღიმილს მოელის.
 შენ გელოდებდა დასასტამბავად
 ათიათასი ჩანჩქრის ბლავილი;
 სიჰაბუჯე და ლექსი ერთია —
 ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი.

ასე ვრცლად და გამოუკლებლივ მოიცავს პოეტის გრძნობა პატრიოტიზმისა, თანამედროვეობისა, მშვენიერებისა ყველაფერს, რაც კი ცხოვრებას, ცოცხალ სინამდვილეს შეადგენს, დროშის შრიალსაც და ცისარტყელის ფერადოვან არშიასაც, ლურჯ ყანებში მოკიაფე ყაყაჩოებსაც და ღრუბლის ნაგლეჯსაც, ჩანჩქერის ბლავილსაც და ულამაზესი ქალის ეშხსაც — ყველაფერს, რასაც ადა-

მიანის საზოგადოებრივი ყოფიერება და მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობა წარმოადგენს.

და მართლაც, გ. ლეონიძის პოეზიაში ქალის მშვენიერებით, ადამიანის უნაზესი გრძნობებით, ბუნების მომხიბლავი სურათებით თუ დიდი ისტორიული მნიშვნელობის სახალხო მოვლენებით შთაგონებული და გამოწვეული ლექსების გვერდით ჩვენ ვხვდებით თანაბარი სიწირფელით და მღელვარებით, თანაბარი ესთეტიკური განცლით წარმოსახულ სახეებს ეპოქის რიგითი ადამიანებისა, რომელთა აზრებსა და საქმეებში დიდი განზოგადებითი ძალით ხორცმესხმულია თანამედროვეობის აზრი და შინაარსი. აი, მაგალითად ლექსში „რაიკომის მდივანი“, როგორი ცხოვრებისეული სიმართლით არის კონკრეტულ ადამიანურ სახეში და ამ ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოხატული შემოქმედებითი გენია ჩვენი ხალხისა, გარდამქმნელი და ამალორძინებელი სული ჩვენი ეპოქისა:

შენ არაგვივით მოდიხარ,
მოვდგამს სიმაგრის ფესვები,
მუშა ხარ, მწყემსი, მეზალე,
მევენახე და მთესველი.
შვიდას წლის ყამირს გასტეხავ,
ნაოხარს აქცევ ვენახად,
იქ სპირი საძირკველს,
შენობა

სადაც არავის ენახა.
უდაბურსა და ურწყულსა
ვარდით, ნარინჯით აყვავებ.
მიწა რომ წვიმას შეიწოვს,
მოსავლად გადმოახვავებ.

პოეტი შეჰხარის და უმღერის თანამედროვეობის გმირს, ჩვენი დროების რიგით ადამიანს, რომელიც უჩინრად და უხმაუროდ ქმნის ქვეყნის სიმდიდრეს და სიუხვეს, თრგუნავს ბუნების სტიქიას, სახეს უცვლის მშობელ ქვეყანას. განამტკიცებს მის ნათელ აწმყოს და სჭედს კიდევ უფრო ბრწყინვალე ხვალისდელ დღეს. ამ ადამიანის გმირული ხასიათი მის შემოქმედებით შემართებაში გამოვლინდება და არა გარეგნულ ეფექტებში. ეს გმირი ცოცხლობს ჩვენი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი ყოველი ჩვენთაგანის ახლობელია, მეზობელი, ძმა და მეგობარი.

გმირი ჩემი ძმა არი,
ჩემი მეზობელია,
ტოლები და სწორები
ჩემი ამხანაგებია...

მათი რიცხვი ზღვა არი,
ზღვის ზვირთა უთვლელა,
მოევარს ჩემი ქვეყანა
მათი ხელით ნაგები!
მოიბრძვიან უჩინრად
შრომით დღე ცისმარადი,
მკლავი დაუღლევი აქეთ,
მკერდი — კლდესთან შესლილი,
თუმც ფარა არ უჭირავს,
არ აღგათ მუზარადი,
არ აცივით ჭავშანი
სისხლით გადახეხილი.

ხალხის ამ ერთობლივ გმირობას, გამოვლენილს საყოველთაო შრომით შე-
მართებაში, უმღეროდა პოეტი ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობის
დღეებში, როცა ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო ჩამჭ-
დარი ჯავშანსა და მუზარადში, მაგრამ როგორც კი ჩვენს სამშობლოზე მუხანა-
თურად შემოსეულ ფაშისტ დამპყრობელთა სისხლიანი ურდოების შესამუსრა-
ვად ერთსულოვნად ამხედრდა საბჭოთა ხალხი, პოეტის გულის ფეთქვა განუყო-
ფელად შეუსისხლხორცდა ქვეყნის გმირულ საბრძოლო შემართებას. სამამულო
ომის წლების ლექსები გიორგი ლეონიძისა საუკეთესო ნიმუშებია ჩვენი პოეზი-
ის მაღალი ხალხურობისა, მისი სისხლხორცეული კავშირისა ხალხის სასიცოცხ-
ლო ინტერესებთან, მის გმირულ სულთან, მის უდრეკ საბრძოლო ნებისყოფას-
თან, სწორედ სამამულო ომის მრისხანე წლებში შექმნა გ. ლეონიძემ ჩვენი სა-
უკუნის სამოქალაქო ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „არ დაიდარლო,
დედაო“, „ჰეი, არწივნო“, „ქართველ ქალს“, „შინმოუსვლელი სადა ხარ“ და
სხვ.

ქართველი ხალხი სიყვარულით იზეპირებდა და მღეროდა სამშობლოს სი-
ცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ქაბუ-
კის ლირიკულ მონოლოგს:

ღიმილის ბივი ვიყავი,
ბეჭვხედ არწივი მეხატა,
ცხრაშეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მექირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,

დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვის მიზანი...

ამაღელვებლად და აღმაგზნებლად ეთანხმოვნებოდა ომის ქარცეცხლში თავგანწირულად მებრძოლი ხალხის სულისკვეთებას, ახლაც ცხოველ გამოძახილს პოულობს ხალხის გულში და მარად მომხიბვლელად იქედნებს შთამომავლობის მენსიერებაში სიტყვები ამ ჭაბუკისა, რომლითაც იგი გამოთქვამს თავის მზადყოფნას იმისათვის, რომ სამშობლოს მომავალ განსაცდელთა დღეებში გამოანგრიოს სამარის ბჭეები და კვლავ თავგანწირულად დადგეს სამშობლოს უკვდავების სადარაჯოზე:

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედას!

არა მარტო თანამედროვე ქართულ პოეზიაში, არამედ ქართულ კლასიკურ სამოქალაქო ლირიკაშიც, რომელმაც ხალხის მებრძოლი სულისა და გმირული თავგანწირულების გამომხატველი მრავალი უჭკნობი ქმნილება გვიანდერძა, იშვიათია ლექსი, რომელსაც ასეთი პოპულარობა მოეხვეჭოს, ასე ღრმად და სამუდამოდ დამკვიდრებულიყოს ხალხის გულში. აზრის სიღრმე, გრძნობის სიწორფელე, პოეტური მეტყველების საშუალებათა საოცარი სისადავე და ბუნებრიობა, სიტყვის ცოცხალი ჟღერა ქმნის ამ ლექსში იმ მაღალ ჰარმონიას, რომელიც შეადგენს ესთეტიკური სრულყოფილების უპირველეს პირობას რეალისტურ ხელოვნებაში.

და ასეთივე გულის სიღრმემდე ჩამწვდომი, მაღალი და უკეთილშობილესი გრძნობებით აღმაგზნებელი ძალით ჟღერს ლექსი „ქართველ ქალს“, რომელშიც პოეტი იარაღასხმული ხალხის სახელით თავგანწირული ერთგულების აღთქმას აძლევს ქართველი დედის სიმბოლიურ სახეში ნაგულისხმევ სამშობლოს და ამასთანავე გამოთქვამს აღფრთოვანებულ საგალობელს ქართველი დედისადმი:

არვის მისცემენ შენს წმინდა მანდილს,
მტრიანი ფეხით რომ გადასთელოს;
არ გასწირავენ შენს იაენანას,
კერას, სამშობლოს და საქართველოს!

და არც იქნება ვინმე, ოდესმე,
შენ ძუძუს მადლში შემოგედაოს, —
რუსთველის დედავ,
სტალინის დედავ,
თავისუფლების ვეფხეთა დედაო!

აი, კლასიკური ნიმუში იმ მაღალი პოეტური ხელოვნებისა, რომელშიც გათვალისწინებულია ჩვენი საუკუნის პოეტური კულტურის ყველა საუკეთესო მიღწევა და მონაპოვარი და სწორედ უდიდესი ოსტატობრივი წრთობისა და დახელოვნების გზით, შთაგონებული შემოქმედებითი შრომის შედეგად არის მიღწეული ის ლალი, ბუნებრივი ფორმა მხატვრული მეტყველებისა, რომელიც თავისუფლად და დაუბრკოლებლად იკაფავს გზას მკითხველის გულისაკენ.

ასეთია ჯადოსნური საიდუმლოება კეშმარიტი პოეტური მეტყველებისა, რომელიც ნაკლებად ექვემდებარება ლოგიკურ ენაზე გადათარგმნას და ახსნას, ნორმატული პოეტიკის კოდექსით დასაბუთებას. გიორგი ლეონიძის პოეტიკა, მისი ლექსის ტექნიკა საგანგებო ანალიზსა და მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს. ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გ. ლეონიძის ლექსი მკაფიოდ გამოირჩევა მკვეთრად თავისებური ტონალობით, ვაჟაკური, რომანტიკულად ამალღვებელი, მღელვარე მეტყველებით, მაჟორული ჟღერით, ამოუწურავად მრავალპანგოვანი, იშვიათად პოლიფონიური ხმოვანებით. მისი ლექსი, თავისუფალი ყოველგვარი მანერულობისაგან, ხელოვნურობისაგან, მწიგნობრული შტამპებისაგან, მომხიბლავი ბუნებრიობით, მკაფიოდ თავისებური ინტონაციებით, ყოველთვის ცოცხალი გამოსათქმელ აზრთან თუ გრძნობასთან, გამოსახატავ საგანთან თუ მოვლენასთან ორგანულად შერწყმული და შედუღებული, შთამბეჭდავად ეფუფლება მკითხველის გულსა და გონებას, უღრმესი ემოციური ძალით მკვიდრდება მის სულიერ სამყაროში. პოეტი, რომელიც თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველ წლებში გატაცებული იყო მოდერნისტული ესთეტიკის, დეკადენტური ლიტერატურული სკოლების გავლენებით, თავისი ოსტატობრივი სიმწიფის პერიოდში სისხლხორცეულად დაუკავშირდა ეროვნული კლასიკური პოეზიის ჯანსაღ მემკვიდრეობას და პოეტური ფოლკლორის დაუშრეტელ წყაროებს. შეუძლებელიც არის გ. ლეონიძის სახეობრივი აზროვნების, მისი იშვიათად მდიდარი მეტაფორული ხელოვნების, მოულოდნელი, გაბედული და ყოველთვის მძლავრად შთამბეჭდავი პოეტური შედარებების, მისი აფორისტული გამოთქმების გაგება, ახსნა და ანალიზი იმ უღრმესი ნათესაობის გაუთვალისწინებლად, რომლითაც პოეტი უკავშირდება ქართული კლასიკური ლექსის ბუნებას, ეროვნული ხალხური პოეზიის საუნჯეს.

ჩვენი საუკუნის ქართველ პოეტებს შორის გ. ლეონიძე ყველაზე მეტი ინტენსივობით ამდიდრებდა და ანაყოფიერებდა საკუთარ პოეტურ სამყაროს ხალხური შემოქმედების აუმღვრეველი ნაკადებით და ცოცხალი ხალხური მეტყველების ენობრივი სტიქიით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მკვლევარებს გ. ლეონიძის შემოქმედება აძლევს მდიდარ და ძვირფას მასალას იმ რთული პოეტური და ლინგვისტური პროცესების შესასწავლად, როცა ხალხური ზეპირსიტყვაობისა და ცოცხალი ხალხური მეტყველების ფორმები უშუალოდ მკვიდრდება პოეტური ფრაზის ქსოვილში სიტყვის ისეთი ხელოვანისა, რომელსაც გავლილი აქვს თხუთმეტსაუკუნოვანი ეროვნული მწერლობის დიადი სკოლა და მსოფლიო პოეტური კულტურის უახლოეს მონაპოვართა ზეგავლენა. ძალდაუტანებელი, ბუნებრივი, თითქოს „ხელთუქმნელი“ და სტიქიური მდინარება გ. ლეონიძის ლექსისა მიღწეულია ენის სტიქიასთან შეუწელებელი ბრძოლისა და ჭიდილის შედეგად, მშობლიური ენის უღრმეს წიაღებში წვდომით, მისი ლექსიკური მარაგის სრული დაუფლებით. იშვიათი გულმოდგინებით ამოაქვს პოეტს სიტყვის მადანი ამ წიაღებიდან, გამახვილებული პოეტური სმენით შეარჩევს სიტყვას, აძლევს მას ახალ ესთეტიკურ ღირებულებას, ახლებურ ქლერას და ელფერს, აფართოებს მის სემანტიკურ ფარგლებს და რაღაც უხილავი ჯადოსნური ხელოვნებით განალაგებს მათ პოეტურ ფრაზაში, ლექსის მწყობრ აღნაგობაში. გ. ლეონიძის მკვრივი, ძარღვიანი, ხატოვანი და ქლერადი პოეტური ფრაზა დიდი და ძვირფასი შენაძენია თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენისა. ასეთივე ნაწრთობი ხელოვნებით, ფერმწერის ნამდვილი შთაგონებით და ოსტატობით აზავენს პოეტი ფერებსა და საღებავებს თავის იშვიათად მეტყველ პოეტურ პეიზაჟებში, რომლებითაც არა მარტო მშობლიური ბუნების მომხიბვლელ სურათებს ხატავს, არამედ ამასთანავე ეპოქის გმირის მაღალ პატრიოტულ მისწრაფებებსაც განასახიერებს.

გიორგი ლეონიძისათვის უცხოა და მიუღებელი ლექსის თვითმიზნურ-ესთეტიკური დანიშნულება. მის უხვსა და მრავალფეროვან პოეტურ შემოქმედებაში ვერ ვიპოვით სტრიქონს, რომელიც შთაგონებული არ იყოს რაიმე დიდი სახალხო მნიშვნელობის აზრით და მისწრაფებით, რაიმე ნათელი, კეთილშობილური, ადამიანური გრძნობით, სპეტაკი მორალური წარმოდგენებით.

მთელი ეს მრავალმხრივი და მძლავრი პოეტური ნიჭიერება, თავისი ოსტატობის მთელი ძალა და მშვენება პოეტს მთლიანად და სავსებით მიუძღვნია იმ მაღალი პატრიოტული იდეალისადმი, რომელშიც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის და ერთიანდება მისი შემოქმედების თემატიკის მთელი სიუხვე და მრავალმხრივობა. მაგრამ სამშობლო პოეტისათვის არის არა მარტო მშობელი ქვეყ-

ნის მიწა-წყალი, არა მარტო და არა იმდენად მისი სახელოვანი და საამაყო ისტორიული ცხოვრება, რამდენადაც დღევანდელი დღე, ხალხის სასიცოცხლო და საბრძოლო ინტერესები. მისი მასულდგმულებელი ნათელი იდეალები.

მიწავ, აყვავდო, დაისხი ვაზო.
გულო, ამღერდი, გაიწკრიძლე,
იმ დროშისათვის სიცოცხლე ვრაზმით,
რომელიც ახლა ქართლზე ფრიალებს...

ახალი ქართლი, ახალი საქართველო, ხალხის ხანგრძლივი თავდადებული ბრძოლით, უამრავი სისხლისა და მსხვერპლის საფასურით მოპოვებული ჩვენი დიდი სოციალური და ეროვნული თავისუფლება, ხალხის ტიტანური შრომით აშენებული და დამკვიდრებული ნათელი აწმყო ჩვენი ქვეყნისა — არის უპირველესი საგანი პოეტის სიყვარულის, მისი შთაგონების უპირველესი წყარო.

ახლო ქართლო, მიწავ ქართლისა,
შემოვეფარე შენს სიპართლესა,
შენ საფარელსა ვარ მონდობილი...
ცოტა მაჩუქე ლალა და ზეთი.
ეგებ ავანთო სინათლის წვეთი,
ჩემი გულიდან გადმოდნობილი...
მე ჩავისუნთქე შენი მზის სითბო,
დე, გულის ოქრო დამიბადაგოს,
დე მან დაფერფლოს გული, დადაგოს,
თვისუფლების დროშის ქადაგო,
ახლო ქართლო, მიწავ ქართლისა,
ჩემო დიდებავ, სანიადაგო!

და ამ თავის უმაღლეს და სანიადაგო იდეალს პოეტი ხან უშუალო, პუბლიცისტურად გამძაფრებულ პოეტურ ფრაზაში გამოთქვამს, რომანტიკულად ზეაწეულ მღელვარე ტირადებში, ხან უცდომელი ფერწერული ხელოვნებით შესრულებულ პეიზაჟებში, ხან კიდევ ყოფა-ცხოვრების კოლორიტულ სურათებში, უანრულ ჩანახატებში. ასეთია გ. ლეონიძის პოეტური ხილვისა და მეტყველების ფორმათა და გამომსახველობის საშუალებათა დიაპაზონი. მთავარი ის არის, რომ ყველგან და ყოველთვის პოეტის სიტყვა და ნახატი გულწრფელია. უშუალოა, პოეტის მიერ ღრმად განცდილი და ნაგრძნობია. ამიტომაც მისი ლექსი არასოდეს არ ახდენს რიტორიკულობისა და მშრალი მსჯელობის, დოქტრინიორობის შთაბეჭდილებას.

ახალი საქართველოს ყოფა-ცხოვრების, ხალხის შემოქმედებითი შრომის, დიად მონაპოვართა ტიპური სურათების წარმოსახვისას პოეტი ხშირად მიმარ-

თავს წარსულის კომმარტა გახსენების, კონტრასტისა და დაპირისპირების ხერხს. მაგალითად, ლექსში „ჩართულია უკვე დენი“, რომელიც მიეძღვნება პოეტის მშობლიურ სოფელში — პატარძელში ელექტროსადგურის ამუშავებას, ვიდრე სოფლის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას დაგვიხატავდეს, თვალწინ გადაგვიშლის შემაზრზენ სურათს იმ სიბნელისა, უმეცრებისა და სილატაკისა, რომლის წყვედიადშიც ცხოვრობდა ეს სოფელი საუკუნეთა მანძილზე:

მე სოფელი ძველებური
წამით ისევ დავინახე, —
შერუჭული, შეკომლილი,
შებოლილი მისი სახე.
...სანთლის ღვინთი პარპალებდა
შავ ხატის წინ მოხამხამე,
ღამე იწვა სამშობლოზე,
ქართლს უქერდა ყელში ღამე.

ასეთი ფონი ფსიქოლოგიურად ამზადებს მკითხველს იმისათვის, რომ უფრო მღელვარედ განიცადოს. ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებული ახალი ყოფის ნათელი:

შრომის, ძმობის ნათელს ვაშა!
აჩახახდა სოფლის ღამე!
მზის თვალი და ნათლის ჩქერი
ჩვენს შრომაში იკამკამებს!
შორს ჩანჩქრები გრიალებენ,
შხეფით მთასა მყვირალები.
ჩემი ქვეყნის ღიმილს ვხედავ,
ვარდულ შუქის ბრწყინვალებით,
ჩართულია უკვე დენი
სოფელს დასდის ნათლის თქეში,
ჩართულია ღამე დღეში...
გაუმარჯოს ჩემს ხალხს ძლიერს
სიხარულსა, სიცოცხლეში!

თანამედროვეობის ასეთი კონკრეტულ-ყოფითი სურათებიდან პოეტი გადადის ეპოქის ისეთ უდიდეს და ურთულეს თემაზე, როგორიც არის ვ. ი. ლენინის შესანიშნავი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის თემა. ამ დიადი თემისადმი მიძღვნილი ლექსები გ. ლეონიძის ქართული პოეტური ლენინიანის საუკეთესო მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. აქაც მთელი სისავსით იჩენს თავს პოეტის მხატვრულ შესაძლებლობათა და მიდრეკილებათა მრავალფეროვნება. ერთ შემთხვევაში იგი პუბლიცისტური უშუალოებით ამუშავებს თემას,

ბელადის მავზოლეუმის ხილვისას მიღებული შთაბეჭდილებებით გამსჭვალული მიმართავს უკვდავ და მარად დაუძინებელ, მუდამ მოძრავ მოქმედსა და მებრძოლ გენიას ჩვენი ეპოქისა:

თუ გძინავს, — ჰღვიძავს შენს სახელს,
უფხიზლესს ქარიშხალისა,
თუ გძინავს, — ჰღვიძავს შენს საქმეს
უმხნესს მოქნეულ ხმალისა!
თუ გძინავს — ფხიზლობ ყველასთვის,
თავს დაგვტრიალებ არწივად,
გძინავს, შენი ხმა გუგუნებს,
სიცოცხლე გაგვიხანგრძლივია!

მეორე შემთხვევაში კი ლენინის უკვდავი აზრისა და საქმის საყოველთაო და გარდაუვალ ცხოველმყოფელობას პოეტი განასახიერებს გონებამახვილური, ორიგინალური შემოქმედებითი ჩანაფიქრის ნიადაგზე აგებულ ლექსში „ლენინი საქართველოში“. სოფლის სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი ლენინის წიგნის კითხვისას გამოთქვამს სინანულს, რომ მშრომელი კაცობრიობის გენიოსი ყოველი ხალხისა და კერძოდ ქართველი ხალხის უდიდესი ქომაგი და მფარველო არასოდეს ყოფილა საქართველოში:

არასდროს თურმე საქართველოში
არა ყოფილა სტუმრად ლენინი!
გინდაც ერთი დღით,
გინდაც შემთხვევით,
უცხად გზაგავლით ჩამოფრენილი.
არც ჩვენი პური გაუტეხია,
არც სიმღერები ჩვენი სმენია,
ის ჩვენს ხეებს ქვეშ არ ჩამომჯდარა...
ჩვენთან არასდროს დაუსვენია!

ახალგაზრდა მასწავლებელს არ ეთანხმება და ეპაექრება სკოლის დარაჯი მოხუცი კახა, რომელსაც სწამს და სჯერა, რომ ქართველი მშრომელი ხალხის, ყოველი მშრომელი ადამიანის ბედი, მისი თავისუფლება და ბედნიერება უშუალოდ არის დაკავშირებული ლენინის შეუღარებლად ძვირფას სახელთან:

— მე შევესწარი! მე ვარ დამხდური!
მე მინახია... ჩვენში ყოფილა!
განა ის ყველა ქოხში არ იყო,
როცა ხალხს ბნელი დაამხობინა?

ის მეც მიცნობდა. მას გეფიცები,
ჩემი ცხოვრება ზეპირ იცოდა...
წითელ დროშიდან ძმური ღიმილით
ხელი საშველად გამომიწოდა.

გ. ლეონიძის დაბადების 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში ასრ კავშირის მწერალთა კავშირის მოსალოც ბარათში პოეტს მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი უწოდეს. და მართლაც, გ. ლეონიძემ ძვირფასი წვლილი შეიტანა სოციალისტური ლირიკის საუკეთესო ტრადიციათა გამომუშავებისა და დამკვიდრების საქმეში. ეს ტრადიცია კი, უპირველეს ყოვლისა, პოეზიის მაღალ იდეურობასა და ხალხურობაში მდგომარეობს, დაუცხრომელი ნოვატორობის შეხამებაში წარსულის ჯანსაღ მემკვიდრეობასთან, განუყოფელ სისხლზორცეულ ურთიერთობაში სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრებასთან.

ჩვენი დიდი კლასიკოსებისა და თანამედროვე მსოფლიო პოეზიის უპირველესი ოსტატების მსგავსად გიორგი ლეონიძე გამძაფრებული ყურადღებით თვალყურს ადევნებს თავისი ქვეყნის ცხოვრებას, უსმენს ხალხის გულის ცემას და ცხოვლად ეხმაურება ეპოქის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. მას ძალა შესწევს ხალხის ყოველი საზრუნავი, ტკივილი თუ სიხარული გამოატაროს საკუთარ სულიერ სამყაროში, აქციოს პირად განცდად და გრძნობად და ასე შეადუღოს ერთმანეთთან თავის ლირიკულ ქმნილებებში პირადული და სახალხო მისწრაფებანი. ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გ. ლეონიძე ვიწროდ გაგებული „ყოველდღიურობის“ პოეტი იყოს, მისთვის უცხო და მიუწვდომელი იყოს ზოგადკაცობრიული თემატიკა და პრობლემატიკა, ე. წ. „ფილოსოფიური ლირიკის“ პორიზონტები. გ. ლეონიძის დიდი შესაძლებლობანი ამ სფეროში შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ თანამედროვე ქართული პოეზიის ისეთი შედეგის მიხედვით, როგორც არის მისი ლექსი „ოლე“. აქ პოეტმა მიაღწია ჭეშმარიტად ვაჟაფშაველასებურ ძალას ბუნების მოვლენათა გაცოცხლებისა და გასულიერებისა დიდი ადამიანური აზრითა და გრძნობით. ლიანვის პირად, ფრიალო კლდეზე, ცისა და ქვეყანას შორის განმარტოებულად გამოკიდებული ნამეხარი და გამომხმარი ხე ოლე—დიდი განზოგადებითი ძალის სიმბოლური სახეა, რომელიც შემზარავი სიმძაფრით და სიმწვავეით გამოხატავს მარტოობისა და სულიერი ობოლობის, გაუხარელი უთვისტომო არსებობისა და უნაყოფობისათვის განწირულების ტრაგედიას:

დგებარ, როგორც სახრჩობელა, —
თვით გახრჩობენ მთები,

დაკიდებულ არწივს -გეჯხარ,
მომსხვრეული ფრთებით.
რამო, მიწას მიჰედოლო,
ველაო აიქროლე:
პარტახო და ნამეხარო,
მარტოხეო, ოლე!

მაგრამ ეს როდია ურწმუნოებისა და სასოწარკვეთილების საგალობელი. ასეთი უღმობელი და თითქოს უნუგეშო განწირულების შემთხვევაშიც პოეტი ეძიებს და პოულობს არსებობის აზრს, ბრძოლისა და მოქმედების შესაძლებლობას ცხოვრებისათვის, ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო დანიშნულების მოპოვების პერსპექტივას:

რამო, მიწას მიჰედოლო,
გასქერ, აიქროლე.
მარტოობის არტახები
გადახიე, ოლე! —
რომ სთქვა:
გული თუ მტკიოდა,
ახლა აღარ მტკივა,
რომ ლიახვის რჩიან ქაფში
შეშოცურდე ტივად,
რომ გაგჩარხო და ვაგთალო,
როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში
შუაბოძის ტოლი,
რომ გრძელ ტრეებს. მიუძლოდე.
ხეთა წინამძლოლი!

აი, როგორ მაღალ პოეტურ რეგისტრებში აშუქებს გიორგი ლეონიძე დიდ ზოგადადამიანურ, ზოგადკაცობრიულ თემებსა და პრობლემებს, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში პოეტი ისწრაფვის ასეთი განზოგადებითი მნიშვნელობის პოეტურ აზროვნების დროს მიმართოს ხალხის თანამედროვე თუ ისტორიული ცხოვრების რეალურ მოვლენებს, კონკრეტულ სოციალურ სინამდვილეს.

როგორც კი ადამიანი კოსმოსში გაიჭრა და გეზი აიღო მთვარისკენ. პოეტი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ამ პირველხარისხოვან მოვლენას გამოეხმაურა ლექსით „ამოდის მთვარე, საყვარელო.“ აქ ერთიან პოეტურ სახეში გამოთქმულია ნათელი და მსუბუქი სევდაც მთვარის რომანტიკულ განცდასთან დაკავშირებული წარსულის პოეტური ტრადიციის დასრულების გამო და თანამედროვე ადამიანის სიამაყეც, გამოწვეული მეცნიერული აზრის გამარჯვებით ბუნების ყოველგვარ საიდუმლოებაზე:

გადიხსნა ჩვენს წინ ლაევარდები სერაფიმული...
აჰა, ბულბულის ბაირალი ჩამოხსნილია,
ზედ მაძიებელ ამირანის დროშა ბრიალებს!
მთელი სამყარო გულის ცეცხლმა გადაანათა,
მთელი სამყარო ოცნებებში გვეყავს მომწყვდეული,
მძინარ ქარიშხლებს ელვიძებათ, ფრთები აისხეს,
და მარტო მთვარე? უამარი, მწყობრი მრავალი,
ათასი მთვარე ოცნებებში გვეყავს დაპყრობილი,
ადამიანის დიად აზრით დალაშქრებული...
გულისთქმა ჩვენი კიდევ იქით ეძიებს საღვურს!
ახალ იმედით, ახალ ცეცხლით ვარეარებს მთვარე,
როგორც ახალი საუკუნის ტრიუმფატორი.
ამოდის მთვარე, საყვარელო, მთვარე ამოდის!

ასე წარუძღვა წინ მთვარის დასაპყრობად ამხედრებული ადამიანის გონებას ეპოქის ნათელი აზრით შთაგონებული პოეზია, ასე დაასწრო პოეტურმა ოცნებამ რეალური სინამდვილის მოძრაობას.

ეს ლექსი გამონაკლისი როდია გ. ლეონიძის შემოქმედებაში, როდესაც იშვიათად კეთილხმოვანი რითმის ეს შესანიშნავი ოსტატი განზრახ უარს ამბობს ლექსის ამ სამკაულზე, რათა სახეობრივი აზროვნების სხვა, ასე ვთქვათ „შინაგან“ კომპონენტებზე გადაიტანოს მკითხველის ყურადღების სიმძიმის ცენტრი. საერთოდ, გ. ლეონიძის პოეტური ბუნებისათვის დამახასიათებელი მძაფრი მგრძნობელობა, შინაგანი მღელვარება, დაძაბული ემოციურობა ხშირ შემთხვევაში არღვევს ხოლმე პოეტური ტექნიკის ნორმატიულ ჯებირებს. ერთი შეხედვით პოეტი ასეთ შემთხვევებში თითქოს იადვილებს შემოქმედებით ამოცანას. მაგრამ სინამდვილეში ასე როდია. პირიქით, პოეტი ამგვარ შემთხვევებში განზრახ გვერდს უვლის ლექსის გარეგან სამკაულებს და მათ დაუხმარებლად აღწევს პოეტური აზრის განსახიერების მაღალ ხელოვნებას, მით უფრო ძნელსა და რთულს, რაც უფრო განტვირთულია იგი მხატვრული ოსტატობის ტრადიციული ხერხებისა და საშუალებებისაგან.

გიორგი ლეონიძის ფართო და მდიდარ პოეტურ სამყაროში განუყოფელი ორგანულობით არის ერთმანეთთან შერწყმული ჩვენი სამშობლოს დღევანდელი ნათელი სინამდვილისა და მისი დიდი ისტორიული წარსულის მღელვარე პატრიოტული განცდა. ქართველი ხალხის იშვიათად ტრაგიკული, მაგრამ ასევე იშვიათად გმირული და საამაყო მრავალსაუკუნოვანი ისტორია გაცოცხლებულია გ. ლეონიძის პოეზიაში თავისი უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა და უდიდესი პიროვნებების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და მხედართმთავრების, პოეტებისა და ზურთომოდვრების თუ რიგითი მშრომელი ადამიანების სახეებით.

იმ ადამიანებისა, რომელთა გმირულ მკლავს, მშრომელ მარჯვენას თუ შემოქმედებით გენიას გაუძლია ბედის ყოველგვარი უკუღმართობისათვის, ათასჯერ და ათიათასჯერ აღუდგენია დამპყრობელთაგან დანგრეული და გაპარტახებული საქართველო, უშენებია, დაუცავს და ჩვენს ნათელ საუკუნემდე მოუტანია იგი. ამ უკვდავი წინაპრებისადმი ერის განუზომელი მადლიერებითა და სიყვარულით არის შთაგონებული გ. ლეონიძის მრავალი საუკეთესო ლირიკული ქმნილება და ყველა მისი ეპიკური ნაწარმოები.

პოეტის ისტორიული კონცეპცია, მისი მისწრაფება ჩვენი დღეების სიმალლიდან, თანამედროვე ადამიანის აზრთა და გრძნობათა თვალსაზრისით ხედავდეს და აცოცხლებდეს ისტორიულ წარსულს, შესანიშნავად არის განხორციელებული ლექსში „წინაპრებს“:

თქვენს საფლავებზე ვდგევართ ამაყად,
ერთპირ, ერთსიმხნით, ერთძლიერებით,
ჩვენ მზეს ვუყურებთ გაჩახახებულს,
მისი ნათელით ბედნიერები!

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პოეტი მთელი არსებით იყოს გადასული შორეული წარსულის წიაღში, თითქოს ეს წარსული, როგორც ცოცხალი რეალობა, შემოსულიყოს პოეტის სულიერ სამყაროში და განუყოფელად დაუფლებოდეს მის აზრსა და გრძნობას. მაგრამ არა! გ. ლეონიძის პოეზიის ლირიკული გმირი არასოდეს არ გამოეთიშება ჩვენს თანამედროვეობას, ჩვენი დროების მაჯისცემას, მისი ნათელი იდეალებისა და დიადი საქმეების სამყაროს.

მე ვკითხულობდი ქართლის ცხოვრებას
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ლებაედი!
გამოვეარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!
შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას —
იმ ვარდებს ვისაც არგუნებ!

თანამედროვეობის ასეთი შეუწელებელი განცდით შედის პოეტი ისტორიული წარსულის წიაღში და ახალ სიცოცხლეს შთაბერავს სვეტიცხოველს

და ვარძიას, უჯარმისა და დავით გარეჯის ნანგრევებს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის, ჭაფარასა და ფანასკერტელის სახეებს.

კემმარიტი, მაღალი პოეზია პირველ ყოვლისა იმით ხასიათდება, რომ შეუძლია გამოთქვას ხალხის საერთო აზრი და გრძნობა, მისცეს მას ცოცხალი, განუმეორებელი თავისებური სახეობრივი ხორცშესხმა. პოეტური ხელოვნების ასეთი სიმალღეა მიღწეული გ. ლეონიძის ერთ-ერთ ლირიკულ შედევრში „დიდ თამარს:“

როგორც არ არის ორი მზე ცაში,
ისე ერთი ხარ ქართლში თამარი,
ისე ერთია რუსთველის გული,
შენის ნათელით ნათამამარი.
შენ გაჰქარ ელვა შოთას სულისა,
დღეს რომ მსოფლიო გადაანათა,
რაც გულს ენთება, რაც ეღმერთება
უფრო ბრწყინვალეებს თანისთანადა,
ზღვიდან ზღვათამდე ზღვართა დამდები,
სამშობლოს მახვილს სხივად მოება —
შენი ღიმილი, შენი ლეჩაქის
წმინდა ნაჩრდილის უმანყოება.

და აქაც ერის მიერ სამარადისოდ აღიარებული და განუზომელად შეყვარებული საქართველოს ისტორიის ამ უდიდესი პიროვნების სადიდებლად აღვლენილ ამ საგალობელშიც პოეტი განსაკუთრებულად გამძაფრებული გრძნობით უკავშირდება ჩვენი დროების მგზნებარე დღეებს, ხალხის სადღეისო სასიცოცხლო ინტერესებს. იგი მიმართავს დიდ თამარს:

მკერდზე შეიტკბე დღესაც შვილები,
სამშობლოსათვის მწარე კრილობით,
რადგან არ გვიყვარს, არც გვეყვარებია
მონის სიცოცხლე შიშმორჩილობით.
არ ცვდება ხმალი საქართველოსი,
ვით შენი შუქი არ გიცივდება
და შენი ლამაზ ხელით ნარწყვი
ბრწყინავს აკვანი, — ქართლის დიდება!

ეს ლექსი სამამულო ომის მრისხანე დღეებში იწერებოდა, იგი 1941 წლით არის დათარიღებული და გასაგებია, თუ როგორი აღმაგზნებელი და საბრძოლოდ აღმაფრთოვანებელი გამოძახილი უნდა ეპოვა ხალხის გულში ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიის განმასახიერებელ ამ დიდებულ სახეს. ამ სტრიქონებში

თვალნათლივ ვხედავთ პოეტის მაღალ მეტაფორულ ხელოვნებას, — საქართველოს დღევანდელი დიდება, ძალა და მშვენიერება აქ გამოხატულია თამარის ლამაზი ხელით ნარწვევი აკვნის მეტაფორულ სახეში. პოეტური ბგერწერის ლეონიძისეული ოსტატობა, ალიტერაცია (ზღვიდან, ზღვათაქდი, ზღვარის დამდები) აქ ისე ბუნებრივად არის ჩართული ლექსის სიტყვიერ ქსოვილში, რომ თითქოს არც კი იგრძნობა. აქვე აღსანიშნავია გ. ლეონიძის პოეტიკის ერთი დამახასიათებელი თავისებურება, სიტყვათქმედობა, მისი მისწრაფება, რომ პოეტური განზრახვის უფრო სრულად განხორციელებისათვის ახლებური ჟღერა მისცეს ლექსიკურ მასალას, ახლებურად დაამუშაოს სიტყვა (ნათამამარი, შიშ-მორჩილებით და სხვ.) ამ მხრივ გ. ლეონიძის პოეტური მეტყველება მრავალსაყურადღებო ცდასა და მიღწევას შეიცავს.

დაუცხრომელი შთაგონებით უმღერის გ. ლეონიძე ქართველი ხალხის შემოქმედებით გენიას, წარსულის დიდ ოსტატებს:

ვინ დაგვიტოვა უკვდავნაგები
ციხე-კოშკები სისხლით სოველი;
დიდი ტაძრები ნაქანდაკები,
ღვთიურ ჩუქურთმით გამოქსოვილი!
იქ ვინ აზიდა ქვაკუთხედები,
სადაც არც კი ჩანს ნაბილიკარი,
იქ ვინ დაჰკიდა კამარედები,
ერთი ვაზიდან გათლილი კარი?
ვინ გამოჰკვეთა ნუკრი მწოვარი,
მტევნები, მტრედი გამომფრინალი,
ფასკუნჯის ფრთებ ქვეშ ვეფხვი მწოლარი,
ჩასაფრებული, როგორც ფირალი!

რამდენი რამ დაწერილა და თქმულა ქართველი ხალხის სულიერი შემოქმედების უმაღლესი მწვერვალის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი გენიალური ავტორის შესახებ. მაგრამ მხოლოდ გ. ლეონიძეს შეეძლო ასეთი მღელვარე გრძნობით, ასეთი აზრობრივად აღსაყვსე მეტაფორული ენით გამოეთქვა ჩვენი აღტაცება და სიყვარული, სიამაყე და მადლიერება რუსთაველის უქკნობი ქმნილებისადმი:

ხელში ავიღებ, გაკოცებ
კიდეუ ჩაგკოცნი...
ჩაგცქერი:
წიგნი კი არა — ერყოლა ხარ,
ჩამოქაფული ჩანჩქერის.
წიგნი კი არა, ბალი ხარ

ოქროს ცვარჩაშოწვეთილი,
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!
წიგნი კი არა — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

განუმეორებლად თვითმყოფი, ლეონიძისებურია ამ ლექსის მთელი სახეობრივი წყობა, ყოველი ფრაზა და სიტყვა, რიტმი და მეტრი, ესოდენ ტრადიციული, მაგრამ ესოდენ სახეცვლილად, ახლებურად, თავისებურად გაცოცხლებული და ამეტყველებული. თანამედროვეობის ქეშმარიტი პოეტი არ შეიძლება თავს არ გრძნობდეს ჩვენი დიდი ეროვნული კლასიკური მწერლობის ღვიძლ მემკვიდრედ, მის მოდგმად, მის გამგრძელებლად. მემკვიდრეობის ეს გრძნობა გამოსკვივის გ. ლეონიძის შემოქმედებით ცხოვრებაში და, კერძოდ, დიდი ქართველი მწერლების დავით გურამიშვილის და სულხან საბა ორბელიანისადმი, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძისადმი, აკაკი წერეთლისა, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგისადმი მიძღვნილ ლექსებში. ეს ლექსები ჩვეულებრივი საიუბილეო, კალენდარული, სახოტბო დეკლარაციული ნაწარმოებები როდია. არა! მათში მალალი შთაგონებით არის განსახიერებული დიდი და ღრმად მნიშვნელოვანი აზრი, შემოქმედებითი მემკვიდრეობის რწმენა და შეგნება. მაგალითისათვის საკმარისია თუნდაც ასეთი სტრიქონები ლექსიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილს“:

გარს შემოგერტყით ახალი მოდგმა,
შენი სიმღერის ცრემლნასხურები;
შენს საგუბარზე ვინც გამოვზრდილვართ,
ახალ ქართლის ბედს ვემსახურებით.
და ჩვენ ვემთხვევით ფერფლს აქლერებულს
და არამტვერსა და მოჩვენებას, —
შენს დაბმულ ქროლვას დაბორკილებულს
და შენს დალურსმულ გამოქენებას...

ასე ყველგან და ყოველთვის ისტორიული წარსულის მოვლენები, ჩვენი დიდი წინაპრებისა და წინამორბედების ნათელი სახეები გ. ლეონიძის პოეზიაში გაცოცხლებული და წარმოსახულია განუყოფელ ერთიანობაში ჩვენი სინამდვილის ატმოსფეროსთან, თანამედროვეობის გმირის აზრთა და გრძნობათა სამყაროსთან.

გ. ლეონიძის პოეზიის პატრიოტული სულისკვეთება ღრმად არის გამოხატული მის შესანიშნავ პეიზაჟურ ლირიკაში. პოეტური ფერმწერლობის ბრწყინ-

ნვალე ოსტატობით ხატავს გ. ლეონიძე მშობლიური ქვეყნის ბუნების სურათებს და მათში აქსოვს სამშობლოსადმი აღტაცებული სიყვარულის, სიამაყისა და ერთგულების გრძნობებს. მთელი საქართველო, მისი მრავალფეროვანი ლანდშაფტები, ქართლის ბაღები, თბილისის განთიადები, ივერიის ლაშე, აფხაზეთის და აჭარის თავისებურად განუმეორებელი სილამაზენი, გაზაფხულის მოზეიმე ბუნება და ზაფხულის ქართული მზის მცხუნვარება, შემოდგომის ბარაქიანი გრილი დღეები და „პირველი თოვლის სიმღერაში“ დახატული ზამთრის რომანტიკა — ყოველივე ეს, საქართველოს ყოველი კუთხე, ქართული მიწის ყველა მტკაველი იშვიათი ფერადოვნებით არის წარმოსახული გ. ლეონიძის პოეზიაში. და ყოველი ეს სურათი აღბეჭდილია პოეტის მღელვარე გრძნობით, დიდი მოქალაქეობრივი აზრით, სპეტაკი ადამიანური განცდით. აი, პოეტური მხატვრობის, მეტაფორული აზროვნების, ფრთაასხმული ფანტაზიისა და გრძნობის სიწრფელის, როგორი განუყოფელი შენადნობია მიღწეული ლექსში „ივერიის ლაშე“:

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დაგწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.
დახანძრებული წვეს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტყვეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...
სთვლემენ ბელლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი,
ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილე, ერთი ზღაპარი.

გ. ლეონიძისათვის უცხოა ბუნების მკვდრული, უსიცოცხლო სურათების მხატვრობა. მშობლიური კახეთის ბუნების მომხიბვლელ მხატვრობაშიც, თბილისისადმი მიძღვნილ მღელვარე ლექსებშიც, ქართლის პეიზაჟებშიც იგი აქსოვს ისტორიული რემინისცენციებით თუ ხალხის სადღეისო აზრებითა და განცდებით წარმოშობილ გრძნობებსა და განწყობილებებს. გ. ლეონიძის პეიზაჟური ლირიკის შესახებ მსჯელობისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ „ქართლის ბალი“ — ეპოპეიდან „ბავშვობა და ყრმობა“:

ბრწყინავს ქართლი — ვარდის ბალი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელებს დაპქრის ქარი

ელავს ბალი — ხობხის ყელი, —
შვიდ მაინის წვიმით მთერალი,
მთებს და ველებს დასთამაშებს
გაზაფხულის მწვანე თვალი...
რძე, კოკორში მოწოლილი,
ჟონავს ულორტში ყოველ მხრიდან;
თითქოს ქალი სარკეელიდან —
იყურება ვაშლი ხიდან.
პგავს ალვის ხე თეთრ ჩოხაში
საქარწილად მორთულ სიძეს,
და ატაში — ტურფა ყმაწვილს,
აკვანში რომ გაიღვიძებს.

ასე მრავალფეროვნად და მრავალმხრივად არის წარმოსახული გ. ლეონი-
დის პატრიოტულ ლირიკაში ქართველი ხალხის დღევანდელი ცხოვრება, ის-
ტორიული წარსული, საქართველოს წარმტაცი ბუნება. მაგრამ პოეტის თვალ-
თახედვა მარტო საქართველოთი როდია შემოფარგლული. მან დაგვიტოვა
დიდი მოქალაქეობრივი უღერის მრავალი პოეტური ქმნილება, რომლებშიც გან-
სახიერებულია ჩვენი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და მეგობრობის
წმინდა გრძნობა, გამოთქმულია ქართველი ხალხის სიყვარული და ერთგულება
მომძე საბჭოთა ერებისადმი, მსოფლიოს ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალ-
ხისადმი. გ. ლეონიძემ გრძნობის სიწრფელით და აზრის სიღრმით აღბეჭდილი
ლექსები მიუძღვნა სომხეთისა და აზერბაიჯანის პოეტებს, მოძმე უკრაინას, ვლადი-
მიერ მაიაკოვსკის და ნიკოლოზ ტიხონოვს, დოდ რუს ხალხს, რომელიც ღირ-
სეულად სათავეში უდგას საბჭოთა ხალხების მრავალეროვან ოჯახს და წარ-
მოადგენს უპირველეს იმედს და დასაყრდენს ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობ-
ლოს უძლეველობისა და უკვდავებისა:

და თუ გაბედავს, წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვეფარგლებით!
ძირს ჭავშანს შევჯღერიალებთ,
მალა მფრინავეებს ავყვებით,
ხმალს გადავაბამთ ხმალზედა,
მტერს გულში დავეჭახებით!

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, განახლებულ უნგრეთში, გერმანიაში,
პოლონეთში მოგზაურობის შედეგად გ. ლეონიძემ შექმნა რამდენიმე ლირიკული
ციკლი, რომელთა ნამდვილ მშვენიებას წარმოადგენს „ბიძინა ბუქურაული“. ამ
ლექსში დახატულია მომხიბვლელი, დიდი ემოციური ძალით გამთბარი და გა-
ცოცხლებული სახე ახალგაზრდა ქართველი ოფიცრის ბიძინა ბუქურაულისა,

რომელიც გმირულად დაღუპულა ფაშისტ დამპყრობელთაგან უნგრეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და რომლისთვისაც მადლიერ უნგრელ ხალხს ძეგლი აუგია თავის აღორძინებულ მიწაზე.

როგორც ყოველი კემმარტი პოეტის შემოქმედებაში, გიორგი ლეონიძის პოეზიაშიც ეპოქის დიდი სახალხო იდეებისა და პრობლემების, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენათა გვერდით გამოხატულებას პოულობს ადამიანის სულიერი ცხოვრების მთელი მრავალმხრივობა, კერძოდ, მისი ინტიმური გრძნობებისა და განცდების სამყარო. პოეტმა მრავალი უჭკნობი ნიმუშით გაამდიდრა ქართული სატრფიალო ლირიკის მდიდარი საგანძური. ამ ლექსებში იგი ხატავს და უმღერის ადამიანის ნათელ მორალურ მისწრაფებებს, სპეტაკს, სულიერად ამამალლებელ და გამამშვენებელ სიყვარულს, რომელსაც თავის დროზე უკვდავი ჰიმნი უმღერეს შოთა რუსთაველმა და ჩვენმა სხვა უდიდესმა წინაპრებმა. გ. ლეონიძის „ნინოწმინდის ღამე“, „ნინო ჭავჭავაძეს“, „მეტეხის თავზე“, „ყვიჩაღური ღამე“, „ყვიჩაღის პაემანი“ თანამედროვე სატრფიალო ლირიკის ნამდვილი თვალმარგალიტებია, რომლებიც სამუდამოდ შესულია ახალი ქართული პოეზიის საუკეთესო მონაპოვართა საგანძურში და ამდიდრებს და ამამალლებს პოეზიის ყოველი მოყვარულის ესთეტიკურ ერუდიციას.

გ. ლეონიძე უმღერის ვაჟკაცურსა და ამალლებულ გრძნობას სიყვარულისა, რომელშიც ნატამალიც არ არის არც ეროტიკული უხამსობისა და არც ასკეტური, ადამიანობის დამაყინებელი მონური თავყანისმცემლობისა:

მეტეხის თავზე თავაშობს ქარი,
წარსულის ლოდებს ეალერსება...
სადაც შენა ხარ, გულიც იქ არი,
შენი ნათელით გული მევსება.
მეტეხის თავზე გრიალებს ქარი,
ძირს კლდეში მტკვარი მიიტყორცნება.
აქ ხომ ოდესღაც იჭდა თამარი,
ძველ საქართველოს დიდი ოცნება.
...გაუღვიძებულვარ მეც სიყვარულით,
მეც მარხვეს მისი ქარი მქუხარი,
ვარდით ივსება ჩემთვის ქვეყანა,
როცა ჩემთან ხარ სახემშუქარი,
მე მხოლოდ შენი შუჭი მეყოფა,
განა რად მინდა სხვა საჩუქარი?

ასე ღამაზსა და უჩრდილოს, რაინდულ გრძნობას სიყვარულისას, ორგანულად თანახმოვანს პოეტის მაღალ მოქალაქეობრივ იდეალებთან, მის პატრიოტულ გულისძგერასთან, უმღერის და ხატავს გ. ლეონიძე თავის საუკეთესო სატრფიალო ლექსებში.

გიორგი ლეონიძის პოემები „ფორთოხალა“, „ბერშოულა“, „სამგორი“, „ბავშვობა და ყრმობა“ ახალი ქართული პოეტური ეპოსის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს სფერო პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობისა საგანგებო შესწავლას და კვლევას მოითხოვს და ამ წერილის ფარგლებში მისი ღირსეული შეფასება და ანალიზი შეუძლებელია.

ვიტყვი მხოლოდ, რომ ქართულ პოეზიას, არც კლასიკურსა და არც თანამედროვეს, არ შეუქმნია ისეთი ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის, დიდი სოციალური ტევადობის მხატვრული სახე მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული, კეთილშობილებით და სულიერი მშვენივით აღსავსე ქალისა, როგორც არის გ. ლეონიძის ბრწყინვალე ყალმით დახატული ფორთოხალა. ასევე სისხლხორცილ სახვე აღამიანურ ხასიათად და ამასთანავე ღრმა სოციალური აზრის შემცველ ტიპიურ სახედ გამოკვეთა პოეტმა თავისი მეორე ღირსეული პოემის გმირი ბერშოულა. ეპოპეაში „ბავშვობა და ყრმობა“ პოეტის უპირველეს შემოქმედებით მიღწევას წარმოადგენს ქართლის ბუნების ის მეტყველი და ცხოველმყოფელი პანორამა, გასული საუკუნის მიწურულის სოციალური და ყოფაცხოვრებითი ვითარების ის სურათები, რომელთა, გარემოცვაშიც დაიბადა ი. ბ. სტალინი და მიმდინარეობდა მისი ბავშვობისა და ყრმობის წლები.

პოემაში „სამგორი“ კი გ. ლეონიძემ ეპიკური პოეტური მომთხრობელობის, სიუჟეტური კომპოზიციის იშვიათი ოსტატობა გამოიჩინა. სამწუხაროდ ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკას დღემდე არ მიუცია ღირსეული შეფასება ამ მრავალმხრივად საყურადღებო პოეტური ქმნილებისათვის, რომელიც უეჭველად იმსახურებს საპატიო აღვილს არა მარტო თანამედროვე, არამედ საერთოდ ქართული მწერლობის მიერ შექმნილ ისტორიულ პოემათა შორის.

გიორგი ლეონიძე წავიდა ჩვენგან თავისი დიდი პოეტური ნიჭიერების სრული სიმწიფის ასაკში. ცხოვრების სწორედ უკანასკნელ პერიოდში იგი ეწეოდა განსაკუთრებულად დაძაბულ და ინტენსიურ შემოქმედებით შრომას. ამ პერიოდში გამოავლინა მან თავისი მხატვრული ინდივიდუალობის კიდევ ერთი ახალი თვისება — შექმნა ნოველების შესანიშნავი წიგნი „ნატვრის ხე“, რომელიც ერთსულოვანი მოწონებითა და აღიარებით მიიღეს მკითხველთა ფართო წრეებმაც და ლიტერატურულმა კრიტიკამაც საქართველოში და მისი საზღვრების მიღმაც. ცხოვრების მიწურულში იღვწოდა იგი დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი დიდი მონოგრაფიული გამოკვლევის დასამთავრებლად, აგრძელებდა თავის ხანგრძლივ მეცნიერულ კვლევადიებით მუშაობას მშობლიური ლიტერატურის ისტორიის სფეროში. მაგრამ ცხოვრების ბოლო წლებში იგი, პირველ ყოვლისა, მაღალი შთაგონების დიდ პოეტად, ღრმა აზრისა და ნათე-

ლი გრძნობების პოეზიის პირველხარისხოვან ოსტატად გვევლინებოდა. სწორედ უკანასკნელ წლებში შექმნა მან ლირიკული ლექსების წიგნი „მუხის ფოთოლი“, პოემები „ჩემი ბალი“, „ფიროსმანი“ და მრავალი სხვა ლირიკული ქმნილება, რომლებიც წარმოადგენდნენ პოეტის დიდი შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ აპოთეოზს.

თანამედროვე ქართული ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა შორის მარად იბრწყინებს გ. ლეონიძის მიერ სიცოცხლის მიწურულში დაწერილი სტრიქონები, რომელთა წაკითხვაც შეუძლებელია წრფელი მღელვარების გარეშე:

გადაჰკნებიან ეს ყვავილები,
ეს ჯამ-ჯიხვებიც დაიცლებიან,
დაეცემიან მთებში ირმები,
გულს სურვილები გაეცლებიან,
ალაზნის ვაზებს დასცვივა ოქრო,
დადნება, რაც მთებს დავერცხლებია,
რამ იჯადოქროს?
უკვდავებას დღეს მხოლოდ ლექსები დაესწრებიან.

თითქოს მოახლოებული აღსასრულის წინათგრძნობამ შთააგონა და უკარნახა პოეტს ეს სტრიქონები, რომლებშიც განსახიერებულია ნათელი რწმენა ადამიანის შემოქმედებითი გენიის უკვდავებისა და მარადიული სიცოცხლისა. სწორედ ასეთი მარადიული ცხოვრება მოიპოვა და დაიმკვიდრა ჩვენი საუკუნის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო პოეტმა ქართველი ხალხის გულში.

„მეუ პამარჯვება, ჭკბილო სისოსხლავი!“

(ზიხიან ზაბიძის ლირიკა)

ტიციან ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის უპირველეს ოსტატ-თა რიცხვს ეკუთვნის, იმ ოსტატებისა, რომელთაც ჩვენი ეპოქის ნათელი იდეა-ლებით გაამდიდრეს და აამაღლეს მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის სახელოვანი ტრადიციები და საქვეყნოდ სახელი გაუთქვეს ქართული ლექ-სის ძალასა და მომხიბვლელობას, ჩვენი ხალხის შემოქმედებით გენიას.

მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო მისი სააზროვნო და შემოქმე-დებითი ცხოვრება. ლირიკული პოეზიის ჰემარიტად უპკნობი შედეგების გვერდით მან დაგვიტოვა პოემები, მხატვრული პროზის რამდენიმე ნიმუში, მთელი სერია მხატვრული ნარკვევებისა, რომლებშიც წარმოსახულია ჩვენს ქვეყანაში ახალი ცხოვრების მშენებლობის აღმაფრთოვანებელი სურათები, მთელი ტომი პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებისა, რომლებიც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის ის-ტორიის უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი. ამასთანავე იგი იყო პოეტური თარგმანის შესანიშნავი ოსტატი, რომელმაც რუსული და სხვა მოძვე-ეროვნულ მწერლობათა და ევროპული ლიტერატურის არა ერთი საყურადღე-ბო ნაწარმოები აამეტყველა ქართულ ენაზე და ამითაც ძვირფასი წვლილი შე-იტანა მშობლიური მწერლობის საგანძურში. მისი გონებრივი და შემოქმედე-ბითი ინტერესების უსაზღვროდ ფართო დიაპაზონი მოიცავდა ჩვენი დროის ქართული თეატრისა და კინემატოგრაფიის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკა-ლური კულტურის სფეროებსაც. ოციანი და ოცდაათიანი წლების საქართვე-ლოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლე-ნა, რომელსაც პატრიოტული მგზნებარებით არ გამოხმაურებოდეს ტიციან ტაბიძე, ან რაიმე სახით გამოხატულება არ ეპოვოს მის პოეტურ ქმნილებებში.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის ტიციან ტაბიძეს რუსული და სხვა საბჭოთა ეროვნული კულტურების საუკეთესო ოს-ტატებთან ქართული მწერლობის შემოქმედებითი კონტაქტების განმტკიცე-ბაში, ქართული კულტურის მიღწევათა პროპაგანდისა და პოპულარიზაციის სა-ქმეში ფართო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ტიციან ტაბიძე იყო

ქართული საბჭოთა კულტურის დაუცხრომელი მოღვაწე, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სამწერლო ორგანიზაციების მთელი საქმიანობის უაღრესად აქტიური მონაწილე, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის დიდი ენ-
თუზიასტი, ლიტერატურული მუზეუმების ორგანიზატორი, მწერალთა ახალი
თაობების გულისხმიერი მეგობარი და აღმზრდელი.

ახლა პოეტის იუბილეს დღეებში, როცა ჩვენს თვალწინ გაცოცხლებული
და მართლაც „მკვდრებით აღმდგარი“ წარმოდგება მისი მთლიანი, განუყო-
ფელი პიროვნება, იშვიათად თვითმყოფი, ორიგინალური და განუმეორებელი
მისი ადამიანური და შემოქმედებითი ბუნება, ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა
მისი ღვაწლის ამ გასაოცარი მრავალმხრივობის დავიწყება. მაგრამ ტიციან ტა-
ბიძე, უპირველეს ყოვლისა, ლირიკოსი პოეტი, ჩვენი მღელვარე თანამედრო-
ვეობის, ჩვენი ეპოქის დიადი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალის, ჩვენი
ხალხის ყოვლისდამძლევი შემოქმედებითი გენიის, დედამიწაზე ახალი ცხოვრე-
ბის ნათელის დამკვიდრების შთაგონებული მეხოტბე და თავდავიწყებამდე
გულწრფელი და ერთგული მომღერალი.

თავის ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ლექსში „ელის კოლხიდა ახალ ორ-
ფეოსს“ პოეტმა ამგვარად გამოხატა თავისი შემოქმედებითი მრწამსი, დროების
სუნთქვასთან, ახალი სამყაროს შემოქმედ და მშენებელ ხალხთან სისხლხორ-
ცეული თანაზიარობის იდეა:

მხოლოდ ჩვენ გვერგო გამოფხიზლება
და ბედნიერი დავრჩით თაობა,
ათასი ხმებით ერთად იზრდება
გულში სიმღერის გამბედაობა.
ჩვენ თვითონ ვიცით, ვის დაუემადლოთ
ჩვენი მეორე ახალგაზრდობა.
ვინაც ცხოვრება შექმნა უბაღლო
და კაცთ გვიბრძანა კაცად გახდომა.
ახლა სიზმარი ხომ დაიჭრე,
პალიასტომი წალკოტად მორთეს.
ახლა შენია სიმღერის ჭერი —
ელის კოლხიდა ახალ ორფეოსს.

ამ სტრიქონებში ადამიანთა ის თაობა მეტყველებს, რომელიც ჩვენი დრო-
ების ფრთამედგარმა ქარიშხალმა გამოაფხიზლა, შთაბერა ახალი სიცოცხლე,
მისცა მეორე ახალგაზრდობა, გამოიყვანა იგი საუკუნოებრივი მონობის წყველი-
დიდან, აიყვანა ნამდვილი კაცური ცხოვრების სიმაღლეზე და აუსრულა ყველა
ოცნება და კეთილშობილური მისწრაფება. თანამედროვე პოეზიის უპირველეს
მოვალეობად ტიციან ტაბიძემ მიიჩნია ამ ახალი დროების ნათელისა და მშვე-

ნების გამოხატვა შთამაგონებელ სიმღერებში, ეპოქის დიადი სიმართლის თავდადებული ერთგულების დამკვიდრება ხალხის სულიერ სამყაროში. ჩვენი საუკუნის მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვან ოსტატთა შორის თვითონ ერთი პირველთაგანი განსახიერებდა პოეტის ამ მაღალ მოქალაქეობრივ მოწოდებას და დანიშნულებას. იგი მართლაც ახალი კოლხიდის და მასში სიმბოლიზირებული ახალი ცხოვრების დაუტყბრომეღ მეხოტბედ და მხატვრად, ახალი კოლხიდის ნამდვილ ორფეოსად მოგვევლინა.

თავის ერთ-ერთ უკანასკნელ ლექსში, რომლითაც მისი მღელვარე შემოქმედებითი ცხოვრება დასრულდა, ტიცციან ტაბიძემ პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობით წარმოსახა ახალი კოლხიდის ველზე გაჩაღებული შემოქმედებითი შრომის მომხიბვლელი სურათი და გამოთქვა თავისი უმაღლესი იდეალი:

გადაშლილია თვალმიუწვდენი,
უსაზღვრო სივრცის ციტრუსის ბალი,
ზღვას გადულაზავს თავის ზღუდენი
და ცასთან ერთად შეუკრავს თაღი.
ზღვა ვარაყშია, როგორც კანკელი,
გიკვირს, ტალღებში არ იყურები,
და ანათებენ, როგორც კანდელი,
მანდარინების მალალურები.
დგას მშრომელების ჯარი მამაცი,
ყველა ოფლს იწმენდს — ქალი და კაცი,
რომ გაიტანოს ეს დიდი ლელო,
მუდამ ჰყვავდეს ეს საქართველო...

ამ სიტყვებით დასრულდა ტიცციან ტაბიძის პოეტური ცხოვრების დიდებული მატინე. გულის სიღრმიდან მომდინარე თავისი უკანასკნელი სიმღერით პოეტმა გულითადად უსურვა მშობელ ქვეყანას, რომ ვაჟკაცურად გაიტანოს თავისი დიადი ბრძოლისა და შრომის ლელო, რომ მარად ყვავოდეს და ბედნიერი იყოს უმაღლესი საკაცობრიო იდეალებისათვის მეზობლო ჩვენი ქვეყანა.

მთელი თავისი პოეტური შემოქმედებით ტიცციან ტაბიძემ დაიმსახურა სრული უფლება ეთქვა:

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია
მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი შეთქვა, —
როცა პუქარები პუქარებს სდევნიან,
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.

ამ სტრიქონების ავტორისათვის უცხო იყო და მიუღებელი თვითმიზნური ლექსთამთხვეულობა, გულგრილი და ინდიფერენტული ჰერეტიკა სამყაროსი. ყვე-

ლაფერს, ირგვლივ გაჩაღებული ცხოვრების ორომტრიალს, ხალხის ბედს, სინამდვილის ყოველ მოვლენას პოეტი განიცდიდა წრფელი მღელვარებით და დაინტერესებით, გადაადნობდა მათ საკუთარ განცდათა და გრძნობათა სამყაროში და განასახიერებდა ლექსით, რომელიც სიყვარულით გამსჭვალული უნდა გადასულიყო ხალხში და შემატებოდა ქვეყნად დასადგურებულ დიდ სინათლეს:

ლექსი, ლექსია, მაგრამ იმატებს,
თუ სიყვარულის ბოლმა გაჟურა.
თვითონ ვერ იცნობ ' შენს ბაიატებს
დაუტაცია ხალხს სალამურად.
და მეჩვენება, რომ ლექსის ძაფი
უძილო ლამეს ხელში ეკავა;
მოსკდება წვიმა თქემით და ქაფით
და მოჟარდება ლექსი წელკავად.
გადაიარა და გადათელა,
როგორც კალია გათელავს ყანას,
მერე დაენტო თაფლის სანთელად.
რომ გაანათოს მთელი ქვეყანა.

ეს არ იყო მარტოოდენ პოეტური დეკლარაცია. ამ სიტყვებში განსახიერებული იდეალი პოეზიის მაღალი ხალხურობისა შეადგენს ტიცციან ტაბიძის საუკეთესო პოეტურ ქმნილებათა სულს, უპირველეს ღირსებას. მაგრამ ასეთი შემოქმედებითი მრწამსი როდი იყო დამახასიათებელი ტიცციან ტაბიძისათვის მისი პოეტური ბიოგრაფიის პირველ პერიოდში. როგორც ცნობილია, ადრეული სიჭაბუკის წლებში ტიცციან ტაბიძემ მძლავრად განიცადა იმ მოდერნისტულ მიმდინარეობათა ზეგავლენა, რომელთაც ფართო გავრცელება ჰპოვეს რუსულსა და ქართულ ლიტერატურაში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შედეგად ჩვენს ქვეყანაში გამძვინვარებული ცარისტული რეაქციის სუსხიან წლებში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში მეტად იშვიათია ისეთი თვალსაჩინო შემოქმედებითი ინდივიდუალობა, რომელსაც ასეთი თუ ისეთი ზომით ხარკი არ მიეზღოს მოდური დეკადენტური, ანტირეალისტური ცდუნებისათვის. თავის ავტობიოგრაფიაში ტიცციან ტაბიძეს მკაფიოდ აქვს დახასიათებული ის ვარემოცვა, რომელშიც იგი, 18—19 წლის ჭაბუკი, მოექცა სტუდენტობის წლებში, მოსკოვში, სადაც მაშინ ლიტერატურული ცხოვრების მთელი ატმოსფერო ღრმად იყო გამსჭვალული სიმბოლიზმის, აკმეიზმის, ფუტურისმის და სხვა მსგავს დეკადენტურ სკოლათა და მიმდინარეობათა ანტირეალისტური და ანტიდემოკრატიული საზოგადოებრივი და ესთეტიკური მისწრაფებებით. მოსკოვიდან დაბრუნებული ახალგაზრდა პოეტი თვითონ გახდა ერთ-ერთი ინიციატორი და მესვეური ქართველი სიმბოლისტების სკოლისა — „ცისფერი ყანწებისა“, რომელიც წლების განმავლობაში ხაზგასმით

უპირისპირდებოდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდ რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებს და გულმოდგინედ ცდილობდა დაენერგა საქართველოში რუსული და ევროპული სიმბოლისტური პოეზიის პრინციპები. თვითონ ტიცციან ტაბიძე თავის ავტობიოგრაფიაში ამგვარად ახასიათებს პაოლო იაშვილთან და ვალერიან გაფრინდაშვილთან ერთად მის მიერ შექმნილი პოეტური კორპორაციის „ცისფერი ყანწების“ ბუნებას: „უნდა ვთქვა, რომ ჩვენი ჯგუფი „ცისფერი ყანწები“ წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტიკურ, შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტები მეტისმეტად დიდ ხარკს ვუხდიდით არაჩანსად ბოჰემურ არტიზიმს, ვქადაგებდით „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, მხატვრულ შემოქმედებას ვაფასებდით მცდარად, როგორც რაღაც თვითსაკმარს. ძალიან ბევრი გვქონდა წინააღმდეგობანი. საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების სამი წლის ბატონობამ და საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტამ კიდევ უფრო გაართულა და დახლართა ჩვენი შემოქმედება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში კიდევ სიმბოლიზმი, ფრანგი სურეალისტები და დადაისტები გვიზიდავდნენ“.

ძნელია რამე დავუმატოთ პოეტის ამ გულწრფელ აღიარებას, „ცისფერი ყანწების“ სკოლის მცდარი იდეურ-ესთეტიკური პოზიციის ამ მართებულ შეფასებას. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ თვით ტიცციან ტაბიძის და მის მეგობარ პოეტთა შემოქმედებაშიც ხსენებულ პერიოდში არაიშვიათად იყო ისეთი ჯანსაღი ცალკეული ტენდენციები და შემოქმედებითი მიღწევანი, რომლებიც ვერ თავსდებოდნენ სიმბოლიზმის, დაცემულობის ესთეტიკის ფარგლებში. ისიც უნდა ითქვას, რომ „ცისფერ ყანწელთა“ სკოლამ გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ქართული ლექსის განახლების, პოეტური გამომსახველობის საშუალებათა გამდიდრების, გადახალისების თვალსაზრისით. ამის შესახებ ტიცციან ტაბიძე წერს: „მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილნი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარონი აღმოვჩნდით სწორედ გავრკვეულიყავით სოციალ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინდელი გაღარიბებული ქართული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტები, ტერცინები, ტრიოლეტები. რიამას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებსა და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფარგის და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემებისა და სახეების არე, ქართულმა ლექსმა ახლებური ძღერადობა შეიძინა“. აქაც უნდა დავეთანხმოთ პოეტს. „ცისფერყანწელთა“ სკოლის ეს დამსახურება არ შეიძლება დავიწყებული იქნას. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ლექსის

ასეთი განახლების მიმართულებით „ცისფერი ყანწების“ აღმოცენებამდე კარგა ხნით ადრე და მას შემდეგაც დიდი შრომა გასწიეს ჩვენი საუკუნის გამოჩენილმა პოეტებმა: ვალაკტონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა, სანდრო შანშიაშვილმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ და სხვებმა.

აღმანახში „ცისფერი ყანწები“ ტიცთან ტაბიძემ გამოაქვეყნა საპროგრამო ხასიათის წერილები, რომლებშიც ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ სიმბოლისტურ ესთეტიკას ორგანული ფესვები მოეპოვება ქართველი ხალხის ბუნებაში და ქართული კულტურის წიაღში. ხოლო ლექსების ციკლში „ქალდეას ქალაქები“ ახალგაზრდა პოეტი გვამცნობდა საკუთარ მისიას აღმოსავლური და დასავლური პოეზიის მაგისტრალთა შეჯვარების სფეროში:

გაფიზის ვარდი მე პრუდონის
ჩავდე ვახაში.
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლეი:
ბოროტ ყვავილებს.
და რაც შემხვდება, შემაჩერებს
შორეულ გზაში,
ჩემს ღვრიე ლექსში დაისვენებს
და დაიჩრდილებს.

პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ათი წლის მანძილზე მისა უეჭველი მხატვრული ნიჭიერება და ღრმა შინაგანი პოტენცია ხელოვნურად იყო შეზღუდული განყენებული, ფანტასმაგორული სქემებით, უცხოური ლიტერატურული რემინისცენციებით, ბოჰემური განწყობილებით, უნივერსალისა და სასოწარკვეთილების გრძნობებით. თუმცა ამ პერიოდის მის ლექსებშიც აქა-იქ ვხვდებით ჭეშმარიტი პოეტური შთაგონების ცალკეულ გამონათებებს, პირველ ყლორტებს იმ მძლავრი და ღრმად თვითმყოფადი პოეტური ინდივიდუალობისა, რომელიც ასე მკაფიოდ და მდიდრად გამოვლინდა პოეტის შემოქმედებაში ოციანი წლების მეორე ნახევრიდან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1917 წლის ოქტომბერში დაწერილი ლექსი „პეტერბურგი“, რომელიც მართალია, თავისუფალი არ არის მისტიკური მსოფლგანცდისა და მოვლენათა ქაოტიური ხილვისაგან, მაგრამ გვაძლევს დიდი ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების თავისებურად მძლავრ სურათს:

ჯერ არ ყოფილა შებრძოლება ასე მედგარი,
ასდის სიმყრალე შენელების გაჯუღულ მაყრულს,
რეცხავს მოიკა მატროსების გვამებს ჩაყურულს,
თუჯის მხედარსაც უბნელდება გული ბედქარი.
ვინ გამოუშვა, ვინ დაიჭერს, ვინ დააკავებს?

ქაობის ნისლში სიმწრის ოფლი გამოდის მკლავებს.
მოიგონებენ მხოლოდ პარტო ლენინის სახელს.

გადაკრით და სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ცალკეული მიგნებებისა და გამონათებების მიუხედავად, ტიციან ტაბიძის ადრინდელი ლექსების ვაცნობა არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ მისი პოეტური შთაგონება გარდუვალად განწირული იყო ჩანსობისა და უნაყოფობისათვის, რომ მხოლოდ ახალმა სოციალურმა სინამდვილემ, საბჭოთა საქართველოში დამკვიდრებულმა ახალმა საზოგადოებრივმა და კულტურულმა ვითარებამ გამოიყვანა პოეტი ამ შემხუთველი ჩიხისაგან და დააყენა იგი ახალი თემებითა და იდეებით გამდიდრებულ დიდ შემოქმედებით გზაზე, რომელზეც მან დამსახურებულად მოიხვეჭა ჩვენი საუკუნის პოეტური კულტურის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის რეპუტაცია.

როგორც ცნობილია, „ცისფერყანწელთა“ სკოლამ საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვების პირველსავე დღეებში გარკვევით გამოხატა თავისი დადებითი დამოკიდებულება ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხისა და მისი ხელისუფლებისადმი. პაოლო იაშვილი იმ მგზნებარე დღეებში აღფრთოვანებული ლექსით მიესალმა ახალი საქართველოს დაბადებას, ხოლო ტიციან ტაბიძემ გამოაქვეყნა წერილები პროლეტარული კულტურის საკითხებზე, ქართული მწერლობის ახალი გზებით განვითარების საკითხებზე. ტიციან ტაბიძე და მისი ლიტერატურული მეგობრები იმთავითვე აქტიურად ჩაებნენ ქართული მწერლობისა და ხელოვნების გარდაქმნისა და განახლებისათვის გაშლილ პრაქტიკულ საქმიანობაში. მაგრამ ცხადია, ასე ერთბაშად და უეცრად ვერ განთავისუფლდებოდა იგი სიმბოლისტური ესთეტიკის ტენდენციებისაგან, ასე ერთი ხელის დაკვრით ვერ მოიცილებდა წარსულის ტვირთს, ვერ დაეუფლებოდა ახალი ხელოვნების ენას. ამისათვის გარკვეული დრო იყო საჭირო.

და აი, 1925 წელს ტიციან ტაბიძე წერს ლექსს „ახალი მცხეთა“, რომელშიც პირველად განსახიერდა პოეტის ნათელი რწმენა ძველი ცხოვრების ნანგრევებზე ახალი სამყაროს ძლევამოსილი მშენებლობისა.

ასე იღება ახალი კარი,
სანთელის ფრთებით მოდის იკარი,
წინ კი ელექტროს გარდაქეშანი
გოლიათ ქარხნის მოჩანს ჯავშანი.
და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
აბიათარი კვართით დამარხეს,
თავჩალუნული ათასი მუშა
მიაყოლებენ მტკვარს ახალ არხებს.

...და იმ ადგილას, სადაც ოდესღაც
ძველ დინასტიათ დაგროვდა ფერფლი,
ელექტროს ცეცხლში ღვას ჯვრის ტაძარი
ფანტასტიური და ვიფელი.
...ვინ დახრის დროშას მაღალტარიანს,
როცა ის მოაქვს პროლეტარიატს?

თემის პოეტური გადაწყვეტის სიღრმის, მხატვრული ოსტატობის თვალ-საზრისით ეს ლექსი არა ღვას ტიციან ტაბიძის ლირიკული შედევრების სიმალ-ლეზე. მაგრამ ეს ნაწარმოები საეტაპოა და დამახასიათებელი არა მარტო ამ ერთი პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების განახლებისათვის, არამედ საბჭო-თა სინამდვილის თემატიკისაკენ იმ ღრმა შემობრუნებისა და იდეური აღმავ-ლობისათვის, რომელიც ოციანი წლების მეორე ნახევარში განიცადა ქართული მწერლობის რევოლუციამდელი თაობის თითქმის ყველა საუკეთესო წარმომადგენელმა.

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება ტიციან ტაბიძის ნამდვილი დი-დი პოეტური ცხოვრება, როდესაც წარსულის უნაყოფო ცდუნებათაგან თავ-დაღწევის მისწრაფება უკავშირდება ნათელ სოციალურ იდეალებს, მხატვრულ სიმართლეს, ცხოვრებისეულ მოვლენებთან და ხალხის სულიერ სამყაროსთან განუყოფელ სისხლხორცეულ ერთიანობას.

დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ ლექსებს,
ცარკით კი არა, — სისხლით რომ ვწერდი,
საბჭოთა მიწავ, გიჟოცნი ფესვებს,
ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი.

და პოეტი ისწრაფვის რაც შეიძლება სრულად და ფართოდ გაუღოს კარი თავის შემოქმედებით სამყაროში ამ ახალი ცხოვრების ნაკადებს, სამშობლოს განმაახლებელ ინდუსტრიის ქარს, ხალხური შემოქმედების სტიქიას — ყველა-ფერს, რაც ეპოქის პოეტს თავისი დიდი ისტორიული მოწოდების დონემდე აამაღლებს:

ახლა მეც ვაქვებ ინდუსტრიის ქარს,
მეც მინდა ძველი ქვეყნის დაღწევა,
თაფლის ფრთა პქონდა მაშინაც იქარს
და გული ფრთაზე მალე დაიწეა.
და მაპატიეთ, მე თუ მივსტირი
რძიან ბალახს და თბილისის დილას,
მე მეხარბება მართლაც მესტირე,
არსენას ლექსით რომ გამოზრდილა.

ჯერ კიდევ ვზივარ ძველებურ ტივზე,
ვტირი შეკრული ფიქვის გოდებით,
არ შევჩერდები მე ამ მოტივზე,
მე თვითონ ვცხოვრობ ამ იმედებით.

პოეტმა პირნათლად შეუსრულა ეს დაპირება სამშობლოს, ხალხს, საკუთარ შემოქმედებით ბიოგრაფიას. ამიერიდან სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების მაღალი იდეალი, ქვეყნის განახლების წრფელი სიხარული, სიყვარულისა და მეგობრობის ამაღლებული გრძნობები, მშობლიური ბუნების მშვენიებით ტკბობა, სამშობლოს გმირული წარსულით სიამაყე — ყოველივე ეს გაბატონებულ მდგომარეობას იმკვიდრებს მისი პოეზიის თემატურ სამყაროში. აქ პირველად ჩნდება ნათელი და მეტყველი მხატვრული ფრაზის ხელოვნება, პოეტური ფერწერის იშვიათი ოსტატობა, ღრმა აზრით აღბეჭდილი მეტაფორული ენა და, რაც მთავარია, — იშვიათი სიწრფელე და სიმძაფრე ლირიკული გმირის განცდათა და განწყობილებათა გადმოცემისას.

ვარ თავმდაბალი, გულით საწყალი —
სხვისი ჩამიდგეს გული საგულეს.
მაგრამ ქართული მიწა და წყალი
ვერ ნახავს პოეტს ჩემს უერთგულესს.
სანამ სამშობლოს ცა ბაიარაღობს
და მყინვარს აფენს შვინდისფერ ხავერდს,
სანამ კახეთი ღვინოთი ღვარობს
და ალავერდთან მიდის ალავერდს,
სანამ თბილისზე დგას ოქროყანა
ტაბახმელაზე ქოროლის ციხე,
თუ ვერ ვადიდო ჩემი ქვეყანა, —
ამხანაგებო, მართლა ჩამწიხლეთ.

პოეტი იძენს ძალღონეს, რომ ღირსეულად შეეჭიბროს ეპოქის ყველა პოეტს სამშობლოსადმი ერთგულებაში, ახალი ქვეყნის საღიღებლად აღვლენილ საგალობელთა შთამბეჭდავობასა და მომხიბვლელობაში. იქმნება მისი პოეტური ინდივიდუალობის ყველაზე დამახასიათებელი ლირიკული შედევრები, რომლებშიც დიდი უშუალობით, უკიდურესი ემოციური დაძაბულობით, თავდავიწყებამდე აღმაგზნებელი ძალით არის გამოთქმული პოეტის და მასთან ერთად მისი ლირიკული გმირის მაღალი და სპეტაკი მისწრაფებანი:

მივალ, მივდივარ და მივიმღერი
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება.
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუღებლად რომ იკოცნება.

...ათას სალამურს გააქვს გუგუნო,
ერთად ამღერდნენ გურიის მთები,
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარჯუნებ,
არც სიკვდილიათვის დაგემღურებ.

ასე მღელვარედ და უკიდურესი შინაგანი დაძაბულობით გამოთქვამს პოეტმა ახალი ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადების იდეას, თავის მისწრაფებას, რომ არა ხელოვნურად გაფაქიზებული და გარეგნულად რაფინირებული ოსტატობით, არამედ უშუალოდ, ბუნებრივად, გაუთლელი ლერწამის პირველყოფილი უმწიკვლოებით აღსავსე სიმღერებით ადიდოს ჩვენი დროების ნათელი, ხალხის მასულდგმულელებელი იდეალები.

ღრმა შინაგანი ღრამატიზმით აღბეჭდილ, ხშირად ტრადიკული ჟღერის მის ლექსებში ფეთქავს სიცოცხლისმოყვარეობის დაუოკებელი გრძნობა, ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის ხალისიანი მსოფლშეგრძნება, განაყოფიერებული უდიდესი ისტორიული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განცდით:

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიკ მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით,
მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.
...დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი.
მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!

ტიციან ტაბიძის პეიზაჟები, ქართული ბუნების აღმაფართოვანებელი სურათები ღრმად არის გამსჭვალული ლირიკული. მღელვარებით, ემოციური დაძაბულობით. „ამოდის, ნათდება“, რომელიც ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთ ბრწყინვალე შენაძენად უნდა ჩაითვალოს, ასეთი მგრძნობელობით აღსავსე სურათს წარმოგვისახავს:

ამომავალ მზის ოქროს ნათელი
თაფზე ადგება საქართველოს მთებს,
და ნამქერებში ღამენათევი
მთვარე ანათებს და არც ანათებს.
...მიეჩერებივარ ცას გაკვირვებით
და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა.
ვაჟა-ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,
ხიმიკაურის გული ჩამედგა.

პოეტური მხატვრობის ასეთივე შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „გომბორის თავზე“, რომლის დამამთავრებელი სტრიქონები გვაოცებს ბუნების ბილვის იშვიათი ორიგინალობით და ფანტაზიის სიმძაფრით.

დედის რქესავით ტბილია ღამე,
იორი ჩქეფით ოცნებას არწევს,
გამოვა წამით გომბორზე მთვარე
და გორგასლანი ხმალით გადაწევს.

ტიციან ტაბიძის ლექსების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს პოეტს არც კი ეზრუნოს თავის ქმნილებათა „გარეგანი ფორმის“ სრულყოფილებისათვის, ნახატის დასრულებისათვის, ბგერწერის მოწესრიგებისათვის, რითმის კეთილზომიერებისათვის. მაგრამ მისი პოეტური ხელოვნების საიდუმლოება სწორედ ის არის, რომ ყოველივე ამის მიუხედავად მის საუკეთესო ლექსებში ჩვენ ვგრძნობთ იშვიათად შთამაგონებელ მხატვრობასაც, მკვეთრ ინტონაციურ სვლებსაც, გამახვილებულ მუსიკალობასაც. ღრმად დრამატიზებული განცდების უმუშალოდ, თითქოს სტიქიური შეუზღუდველობით გადმოცემის მაღალი ხელოვნება თითქოს თავისთავად გულისხმობს და აწესრიგებს ტიციან ტაბიძის ლექსში ყველა პოეტური საშუალების მთლიან ჰარმონიას.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარბავს!

მართლაც მეწყერისებური სტიქიონური ძალით ეუფლება და იპყრობს მკითხველს ტიციან ტაბიძის ლექსი.

1928 წელს ტიციან ტაბიძემ დაწერა ლირიკული პოემა „რიონი — პორტი“, რომელიც ავტორს მიაჩნდა თავის პირველ მნიშვნელოვან ნაწარმოებად საბჭოთა სინამდვილის თემაზე. ამ პოემაში ღრმა აღფრთოვანებით წარმოსახა პოეტმა კოლხეთის ველზე გაჩაღებული დიადი ამალორძინებელი შრომის სურათი და ამ სურათში განზოგადებულად განასახიერა ჩვენი ეპოქის სწორუპოვარი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალა. შემდეგ ახალი კოლხეთის თემას პოეტმა მრავალი შთაგონებული ლექსი მიუძღვნა. შეიძლება ითქვას, რომ არავის ისეთი გზნებით არ უმღერია კოლხეთის დაჭაობებული ველის ციტრუსოვანთა აყვავებულ ბაღნარად ქცევის ეპოპეისათვის, როგორც ტიციან ტაბიძემ უმღერა.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ტიციან ტაბიძის პოეტური თვალთახედვის პორიზონტი შეუღარებლად გაფართოვდა. მისი ლირიკის პატრიოტული

მგზნებარება ახლა უკვე ხალხთა მეგობრობის ნათელი იდეალით, მაღალი ინტერნაციონალური შეგნებით გამდიდრდა. ასე შეიქმნა შესანიშნავი ლირიკული ციკლი „სომხეთში“, დაიწერა ახალი ქართული სამოქალაქო ლირიკის ისეთი მაღალმხატვრული ნიმუშები, როგორცაა „ალექსანდრე პუშკინი“, „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“, „დალესტნის გაზაფხული“, „ბაღდათის ზეცა“, „დაო დოლორეს, ძმებო ბასკებო“, და „ბელადობას ტელმან, გავალებს“. და ამ დიდი, უფართოესი მასშტაბების მოქალაქეობრივ სუნთქვასთან ერთად მის პოეზიაში ცხოვრობს ინტიმური, სატრფიალო ლირიკის ჭეშმარიტად მომხიბვლელი ნაკადი. საკმარისია დავასახელოთ მაღალი რაინდული გრძნობით და კდემამოსილებით აღბეჭდილი ლექსები „ანანურთან“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, თამუნია წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლი.

თავისი პოეტური შთაგონების სრული მომწიფების ასაკში დაწერა ტიციან ტაბიძემ ვრცელი ლექსი „სამშობლო“, რომელიც ახალი ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი მონაპოვარია. ამ დიდ პოეტურ სიმფონიაში გასაოცარი ხელოვნებით არის ერთმანეთთან შერწყმული საქართველოს ბუნების მეტყველი პანორამაც, ჩვენი ხალხის დღევანდელი აღორძინებული ყოფის კოლორიტული სურათებიც, ჩვენი დიადი ისტორიის, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა და სულიერი შემოქმედების უმაღლეს მწვერვალთა გაცოცხლებული განცდაც. ეს ნაწარმოები, პოეტის განზრახვით, ერთგვარი უვერტიურა უნდა ყოფილიყო ჩვენი მრავალეროვნული საბჭოთა სამშობლოსადმი მიძღვნილი დიდი საგალობელისა. „ასე მზადდება ჩემი ახალი წიგნი დიდ საბჭოთა კავშირზე — „სამშობლო“. ამ სიტყვებით მთავრდება ტიციან ტაბიძის ავტობიოგრაფია. პოეტს ამ დიდი კეთილშობილური შემოქმედებითი ჩანაფიქრის განხორციელება, სამწუხაროდ, აღარ დახცალდა.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი ძვირფასი განუხორციელებელი განზრახვა წაიღო თან ჩვენგან ნადრევედ წასულმა დიდმა პოეტმა, ჩვენმა საამაყო თანამედროვემ, ჩვენმა დაუფიწყარმა ძმამ და მეგობარმა. ძნელი არ არის იმის გათვალისწინებაც, თუ რაოდენი სულიერი სიმდიდრე გამოგვტაცა ხელიდან ტიციან ტაბიძის სიცოცხლის ნადრევედ დასრულებამ.

მაგრამ, ყველაფერი ის, რისი შექმნაც პოეტმა მოასწრო, სამუდამოდ დამკვიდრებულია ქართული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის საგანძურში. იგი ყოველთვის დიდ სამსახურს გაუწევს თანამედროვე პოეტური კულტურის განვითარებას, ჩვენი ხალხის სულიერი სამყაროს ყველაზე ამაღლებულ თვისებათა შემდგომი სრულყოფის საქმეს.

პოეზიის გზნებაჲრე რაინლი

(კოლქო იაშვილის შამოქაძეაბითი პროგრამისათვის)

პაოლო იაშვილი, რომლის დაბადების 70 წლისთავს ეხლა დიდი კმაყოფილებით, წრფელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ქართველი ხალხი, — თანამედროვე ქართული პოეზიის ფუძემდებელთაგანია, მისი საუკეთესო ტრადიციების ერთ-ერთი შემქმნელი და დამამკვიდრებელი. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე იგი დაუცხრომლად იბრძოდა ქართული ლექსის განახლებისათვის, მისი ამალღებისათვის თანამედროვე მსოფლიო პოეტური კულტურის უდიდეს მონაპოვართა დონემდე, მისი თანახმოვანებისათვის ეპოქის სულთან, ჩვენი საუკუნის მაჯისცემასთან, ჩვენი ხალხის სულიერ მისწრაფებებთან. რევოლუციამდელ წლებში პოეტის ეს ნოვატორული გატაცებანი უპირატესად პოეტური ფორმის სფეროში ხორციელდებოდა და მაშინ პაოლო იაშვილმა მართლაც ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული პოეტური მეტყველების გარდაქმნისა და განახლების საქმეში. საბჭოთა ეპოქაში კი ამ მემამბოხე ესთეტიკურმა ძიებებმა მაღალი იდეური აზრი და შინაარსი შეიძინა, იგი რევოლუციური სინამდვილის თემებითა და პრობლემატიკით განაყოფიერდა, ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს დაუკავშირდა. პოეტი ცეცხლის მოწინავე ხაზზე აღმოჩნდა ძველი სამყაროს დასანგრევად, ქვეყნად ყველაზე ჰუმანური, ნათელი და სამართლიანი წყობილების დასამყარებლად გაჩაღებულ ტიტანურ ბრძოლაში და სწორედ ამ დროიდან შექმნა მან თავისი ყველა ის საუკეთესო ნაწარმოები, რომელთა მეოხებითაც საყოველთაო აღიარება და სიყვარული მოიხვეჭა და სამუდამოდ დაიმკვიდრა თვალსაჩინო ადგილი ჩვენი საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში და, მაშასადამე, ხალხის სულიერი ცხოვრების ისტორიაშიც.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების დიადი განახლების პირველსავე დღეებში, როდესაც მძაფრ კლასობრივ ბრძოლებში ძლევამოსილად იბადებოდა საბჭოთა საქართველო, პაოლო იაშვილი, ერთი პირველთაგანი რევოლუციამდელი ქართველი ინტელიგენციის რიგებიდან, შთაგონებული ლექსით მიესალმა საქართველოს ოქტომბერს. ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო მენშევიკური რეჟიმის დასამხობად და საქართველოდან უცხოელ იმპერიალისტთა გასადევნად გაჩაღებული ბრძოლის ქარიშხალი, როდესაც გაისმა პაოლო იაშვილის აღფრთოვანებული სიტყვები:

აზიის კარო, ფერად ბალებით,
ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული!
ხარობს გმირული ბაირალებით
შენი წარსული ლეგენდარული!

ეს იყო ერთ-ერთი პირველი მგზნებარე სიმღერა, რომლითაც შეეგება ქართული პოეზია ჩვენს სამშობლოში ძლევამოსილად აფრიალებულ საბჭოთა დროშას. ამ სიმღერაში მშობლიური ქვეყნის გმირული ისტორიით და მისი დიდებული ბუნებით კანონიერი სიამაყის გრძნობა ორგანულად დაუკავშირდა ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის თავდადებულ საბრძოლო აღფრთოვანებას. პოეტი მიმართავდა ახალ საქართველოს:

შენს ჯვაროსნობას ჩვენც ვეთანხმებით,
შენი გმირობით ვართ ავსებული,
მაშ აუაფეთქეთ ახალ ნაღმებით
ძველი ქვეყანა დახვესებული.

ლექსში მეტყველი ძალით არის აღბეჭდილი იმ დაუვიწყარი დღეების სუნთქვა, საბჭოთა რუსეთთან საქართველოს სამუდამოდ დაძმობილების დიდი სიხარული, ხალხის მზადყოფნა თავდადებული ბრძოლისათვის, მისი ურყევი რწმენა რევოლუციის საქმის სიმართლისა და უძლევლობისა:

მზად არის თოფი! მზად არის ხმალი!
მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით,
დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი
წითელ რუსეთთან დაძმობილებით.

აზიის კარო! ელავს ფერებით
შენი გვირგვინი და სამკაული
მაშ გადიხადე ბედნიერებით
პირველ მაისის ღვთისმშობლი!

ასე იწყებოდა ქართული პოეზიის ახალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება. პაოლო იაშვილის ლექსი „ახალ საქართველოს“ იმის მომასწავებელი იყო, რომ ქართული ლიტერატურის საუკეთესო სასიცოცხლო ძალები გამარჯვებული საბჭოთა ხალხის პოზიციებზე გადმოდრიოდნენ, რომ ხალხის განახლებული ცხოვრება ახალი შინაარსით, თემებისა და იდეების ახალი სამყაროთი ავსებდა და ამდიდრებდა ჩვენს პოეზიას, ხოლო ლექსის ოსტატებისაგან ამ თემებისა და იდეების ღრმად დაუფლებას, ხალხის აზრებისა და გრძობების სამყაროსთან განუყოფლად დაკავშირებას მოითხოვდა.

დიდი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გაბედულებით გამოეხმაურა

პაოლო იაშვილი დროების ამ კეთილშობილურ მოთხოვნას. თუ ლექსში „ახალ საქართველოს“ მან შეძლო ცხოვლად, შთაგონებულად გამოეხატა ხალხის აღფრთოვანებული განცდები და განწყობილებანი, ასეთივე ძალით ასახა პოეტმა ის საყოველთაო სახალხო გლოვისა და მწუხარების გრძნობაც, რომელმაც მოიცვა ჩვენი ქვეყანა და მთელი მშრომელი კაცობრიობა თანამედროვეობის უდიდესი გენიოსის ვ. ი. ლენინის გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღეებში. ამ დიდი სახალხო გულისტკივილის ფითარებაში პაოლო იაშვილის მიერ დაწერილი ლექსი „ლენინ“ კანონიერად მიეკუთვნება საბჭოთა ლირიკული პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს ამ დიად თემაზე. უღრმესი სევდით გამსჭვალულ, დიდი ემოციური ძალით აღბეჭდილ პოეტურ სახეებში ეს ლექსი გამოხატავს უკვდავი ლენინისადმი მთელი მშრომელი კაცობრიობის განუზომელ სიყვარულს, გვიჩვენებს, თუ როგორი წრფელი მწუხარებით მიაცილებდა სამარემდე კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს გენიალურ შემოქმედს მსოფლიოს ყოველი პატრიოსანი აღამიანი:

ვიცი ჩინეთში მებაღური ჩამოხეული,
რომლის ცოლ-შვილი დამშეული ქუჩაში ჰყრია,
ახლა აკრებს თავის ბადეს და სტირის ლენინს!
ესპანეთშიც კი, მჭერა, ამ წუთს აღარ მღერიან,
და აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები.
ამხანაგებო! ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა...

მართლაც გლოვის მარშად ჟღერს ამ ლექსის ყოველი სტრიქონი, სადაც პოეტი მღელვარე აზრისა და გრძნობის მეტი უშუალოებით გამოხატვისათვის განზრახ და ხაზგასმულად უარს ამბობს ლექსის გარეგან სამკაულებზე, თვით რითმაზეც კი, თუმცა იგი ზუსტი და კეთილზმოვანი რითმის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი იყო ახალ ქართულ პოეზიაში.

ლენინის დიადი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თემა საუკეთესო სკოლა იყო ოციანი წლების საბჭოთა პოეზიის იდეურ-შემოქმედებითი ზრდისათვის. როგორც ცნობილია, სწორედ ამ დიად თემაზე მუშაობისას მიაღწია სოციალისტური პოეზიის კლასიკურ სიმაღლეს ჩვენი ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ. პაოლო იაშვილიც, რომელიც მაიაკოვსკის ლექსების ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი იყო საქართველოში და უხვად სარგებლობდა რევოლუციის უდიდესი პოეტის შემოქმედებითი გამოცდილებით, ოციანი წლების მანძილზე არაერთხელ მიმართავდა ლენინის ტიტანური რევოლუციური მოღვაწეობის ამოუწურავ თემას. ლექსში „თივის ურმული“, სადაც პოეტურად მოთხრობილია ოქტომბრის ქარიშხლიანი დღეების ეპოპეა, იმ დღე-

ებისა, როცა ჩვენმა ხალხმა გადაწყვეტი ბრძოლისათვის აღმართა ჩახმახი, პა-
ოლო იაშვილი ამბობდა:

ამ ჩახმახს სწევდა ლენინის ხელი,
ლესავდა მკერდებს ცხრაასი წლიდან,
და მისი სიტყვა, ბასრი და ცხელი,
მეამბოხებს შურისთვის ზრდიდა.

და როცა თმენა საზღვარს მივიდა,
როცა შეხუთეს სული ჩარჩებმა,
ის გამოვიდა ოქროს თივიდან
და ჩააბარა ხალხს გამარჯვება.

თუ გავიხსენებთ ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების
რთულ ვითარებას და ასეთ ფონზე შევადგასებთ პაოლო იაშვილის დასახელე-
ბულ ლექსებს, ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რამდენად მნიშვნელოვან შემო-
ქმედებით წარმატებებს მიაღწია პოეტმა ამ წლების თავის საუკეთესო ლექ-
სებში პოეზიის იდეურობისა და ხალხურობის თვალსაზრისით.

დიდი საზოგადოებრივი იდეები და აქტუალური პოლიტიკური თემები ამ
ლექსებში განსახიერებულა არა პლაკატურად და რიტორიკულად, არამედ
ცოცხალ, კონკრეტულ, ღრმად ემოციურ პოეტურ სახეთა საშუალებით. პოე-
ტური მეტყველების საშუალებათა თავისებურება აქ დაკავშირებულია მათ
სიზუსტესა და სიცხადესთან.

ყოველივე ამის მიღწევა ადვილი როდი იქნებოდა ისეთი შემოქმედები-
თი ბიოგრაფიის პოეტისათვის, როგორც პაოლო იაშვილი იყო. იგი საბჭოთა
პოეზიაში მოვიდა დეკადენტური, ანტირეალისტური ლიტერატურის ბანაკი-
დან, იგი თვითონ იყო ქართველი სიმბოლისტების სკოლის „ცისფერი ყანწე-
ბის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მეთაური. აღმანახ „ცისფერი ყანწების“
რედაქტორი, ევროპული და რუსული მოდერნისტული პოეზიის მიმდევარი და
პროპაგანდისტი საქართველოში. ადრეული სიჭაბუკის წლებში პოეტმა მძლავ-
რად განიცადა უცხოური ლიტერატურული დეკადანსის მაცდუნებელი გავლე-
ნა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებასაც, რომ სრულიად ახალ-
გაზრდა, იდეურად და შემოქმედებითად სავსებით მოუმწიფებელი, იგი პირ-
ველი მსოფლიო ომის დაწყების წინ მოხვდა პარიზში, რომელიც წარმოადგენ-
და ევროპული ბურჟუაზიულ-დეკადენტური პოეზიის სამშობლოს და მთავარ
კერას. უნდა ვიფიქროთ, რომ საკუთარი პოეტური ბიოგრაფია ჰქონდა მხედ-
ველობაში პაოლო იაშვილს, როდესაც უკვე გვიან, ოცდაათიანი წლების დამ-
დეგს, გამოჩენილი ბოლშევიკის ალიოშა ჭაფარიძის ცხოვრებისადმი მიძღვნი-

ლი დაუმთავრებელი პოემის შესავალში მოგვითხრობდა დეკადანსის ჭაობში მოხვედრილი პოეტი-ბავშვის მძიმე ხვედრს:

ყავახანაში, ღუქანში, შხაშში,
კვამლში, რეტიან ქალების წრეში
მოხვდა, ჩაჟარდა, პოეტი — ბავშვი,
ნაზი, ვით დილის გალობა შაშვის,
და ჩქარი, როგორც ზაფხულის თქეში.
... დამყნილი იყო სარდაფის სკამზე
და ლექსებს ღუქნის ტალახში სვრიდა,
და აგინებდა საკუთარ გამზრდელს
ამოგდებული სიმშვიდის წრიდან.
და გატყდა კაცი: არ ჰქონდა სალად
არც ერთი კუნთი საკუთარ ხორცის,
ამ დროს კი გარეთ ისმოდა რაღაც,
რაც ჰგავდა ახალ ცხოვრებებს ქორწილს.

მართლაც „ახალ ცხოვრების ქორწილს“, — დიდი ოქტომბრის თითქმის წინადღეს ქართული ლიტერატურის სარბიელზე გამოვიდა სიმბოლისტ პოეტთა ჯგუფი „ცისფერი ყანწები“, რომელმაც შეგნებულად უარყო ქართული კლასიკური ლიტერატურის დიდი რეალისტური და დემოკრატიული ტრადიციები და ეპიგონური გულმოდგინებით გაჰყვა უცხოური დეკადენტური ხელოვნების მღვრიე მდინარებას. პაოლო იაშვილი ამ პოეტური სკოლის აღიარებული მეთაური იყო. მან დაწერა „ცისფერი ყანწების“ პირველი ალმანახისათვის წამძღვარებული წინათქმა — მანიფესტი, ხოლო ამავე ალმანახში დაბეჭდილი თავისი რვასტრიქონიანი ლექსით ქვეყანას ამცნო, რომ გაბედულად გაემიჯნა დანტეს და უარყო შექსპირი — ე. ი. მსოფლიო რეალისტური ხელოვნების მაგისტრალური გზა.

მაგრამ ამ დეკლარაციის მიღმა, მოდერნისტული მოდით ნაკარნახევი მისი ადრინდელი ლექსებიდანაც ნათლად იგრძნობოდა, რომ პაოლო იაშვილის ნათელი და მზიური ნიჭიერებისათვის, მისი ჯანსაღი ბუნებისა და ვაჟკაცური ტემპერამენტისათვის უცხო იყო სიმბოლისტური პოეზიისათვის დამახასიათებელი მელანქოლია. ავადმყოფური განწყობილებანი, მისტიკა და ფანტასმაგორია.

ქაბუჯი პოეტის ამ დროინდელ ლექსებში მკაფიოდ გამოვლინდა მისი ღრმად თავისებური ნიჭიერება, ნოვატორული მისწრაფებანი, ლირიკული გმირის სულიერი სამყაროს წრფელად, ამალღვლებლად გამოხატვის ძალა.

პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამ პერიოდისათვის ამ მხრივ ფრიალ დამახასიათებელია ლექსი „წერილი დედას“, რომელშიც, მართალია, იმპრესი-

ონისტული მანერით, მაგრამ მძაფრად და შთამბეჭდავად გადმოცემულია ქალაქური ბოჰემისა და სოფლური იდილიის კონტრასტული სურათები, გამსჭვალულნი ღრმა ლირიკული გააზრებით:

დაეტოვე სოფელი —
მყუდრო სამყოფელი
ქვიტორის მარნები
და კატის კნუტები,
სიმინდის ყანა!
პა! კინტოს პროფილი,
საექვო ტარნები
და დაეიუნტები
ქალაქის ქუჩებში მე სალახანა!

კაპიტალისტური ქალაქის ბოჰემურ ჯაბში მოქცეული ლირიკული გმირი ამ ლექსისა მტკივნეულად განიცდის საკუთარ ხვედრს, რომელიც კიდევ უფრო მწვავედ და ხელსახებად იგრძნობა პრიმიტიულად გააზრებული სოფლური ცხოვრების პირველყოფილ უცოდველობასთან დაპირისპირებით:

ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი
და ჩოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

თუ გავიხსენებთ, რომ ამ ლექსს წერდა 22 წლის ახალგაზრდა და გაცილებით აღრე, ვიდრე დაიწერებოდა ანალოგიურ განწყობილებათა გამომხატველი ესენინის ცნობილი ლექსი — „წერილი დედისადმი“, მით უფრო ნათელი გახდება პოეტის მიერ ჭერ კიდევ აღრინდელ შემოქმედებით ნიმუშებში გამოვლენილი ორიგინალური ნიჭიერება, განცდის სიწრფელე, ფორმის სიახლე. ბევრი რამ არის საყურადღებო ამ თვალსაზრისით რემბოს, ვერლენის, ვერჰარნისა და ვალერიან გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილ ლექსებშიც. პოეტის აღრინდელი შემოქმედებითი ცხოვრების შეფასებისათვის საინტერესოა აგრეთვე ელენე დარიანის ფსევდონიმით დაწერილი ლექსების ციკლი. პოეტური „გარდასახვის“ გასაოცარი უნარით ამ ლექსების ლირიკულ გმირად ავტორს გამოყავს გამძაფრებული მგრძნობელობის ახალგაზრდა ქალი, რომელსაც უცდომელი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიჩვენებს სრულიად განსხვავებულ მდგომარეობებში. ეს ლექსები ნათლად მეტყველებენ იმის შესახებ, თუ როგორი გაბედული შედარებებით, მოულოდნელი მეტაფორებით, ზუსტი რითმებით წერდა პოეტი ჭერ კიდევ თავისი შემოქმედებითი ცხოვრე-

ბის ადრეულ საფეხურზე, როგორ მეტყველად ჟღერდა მისი ფრაზა, როგორ თავისუფლად და ბუნებრივად ფლობდა იგი უკვე იმ წლებში მშობლიური ენის სიმდიდრეს, მის ყველა ნიუანსს.

მაგრამ ეს ძვირფასი პოეტური მონაცემები და შესაძლებლობანი მაშინ ისეთი ვიწრო პირადული თემებისა და იდეების ნაჭუჭში იყო მომწყვდეული, რომელთაც არ შეიძლებოდა ფართო სახალხო რეზონანსი და გამომხაურება ეპოვათ. ყოველივე ეს უპირატესად ლიტერატურული წრეების კუთვნილებად რჩებოდა და, გასაგებია, ვერ აღწევდა ხალხის გულამდე.

ხალხის გულში გამოძახილს ვერ პოულობდა ამ წლებში დაწერილი ის ორიოდე ლექსიც, რომლებშიც პოეტი ცდილობდა თავი დაედწია ვიწრო ინტიმური და აბსტრაქტული თემებისაგან და ეპოქის დიდ სოციალურ ძვრებს გამომხაურებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ლექსები „ფარშავანგები ქალაქში“ და „წითელი ხარი“, რომლებშიც სიმბოლიკისა და პოეტური ალეგორიის განზრახ გართულებული ენით გამოთქმულია პოეტის წინათგარძნობა იმ მძაფრი სოციალური ქარტეხილისა, რომელიც ამ ლექსების დაწერის დროისათვის მზადდებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრების წიაღში.

ლექსში „წითელი ფარშავანგები“ დახატულია ღრმა განზოგადებული სურათი ქალაქის მყუდრო ცხოვრების უეცარი აფორიაქებისა:

მოულოდნელად, მდუღარე მზის მთვრალი განგებით,
პაეი აყვავილდა წითელ ფარშავანგებით.
იყო მათი მოვლენა წითელი ქარტეხილი,
იყო მათი ყვირილი მხურვალედ დატეხილი.
ფრთებზე დულდა სპილენძი და კიოდნენ მაღალ ციდან,
თითქოს ახლა ამოცვივდნენ გახურებულ ქვაბებიდან.
რომელშიდაც სჩქეფდა რკინა;
და ფრთებდამწვრებს ვერ ეპოვათ ვერსად ბინა.

ლექსში „წითელი ხარი“ კი კიდევ უფრო მეტყველად და გამძაფრებულად არის განსახიერებული ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისა და განახლების ნათელი პოეტური წინახილვა:

ყვითელი რქებით
წითელი ხარი,
ცხელი და ჩქარი,
ვადიდოთ ქებით.
ცეცხლიან ყვავილებში
მოჩვენება წითელი
ცხელი ცახცახით ელის,
რომ ქვეყნის ამღერება

იქნება მზის ნადიმი, შუადღის მშვენიერება.
...ხარსა ხარი მოსდევს მზესთან,
ვინ დაითვლის წითელ ხარებს?
პაერს ფრთები აუკენესდა.
ყველა მზისკენ, ყველა მზეში!
მიწა ველარ გაგვახარებს!

ეს ლექსები დიდი ოქტომბრის წინაღობებში იწერებოდა და მათში ნაგულისხმევი აზრი სავსებით ნათელია. მაგრამ ეს აზრი იმდენად გაბუნდოვანებულია ორივე ამ ლექსის მეტად ხელოვნური პოეტური აქსესუარებით, რომ ამ უაღრესად საინტერესო და იმ დროისათვის ღრმად აქტუალურმა ქმნილებებმაც ვერ გადალახეს ვიწრო ლიტერატურულ-კამერული წრე და ვერ შეაღწიეს ხალხის სულიერ სამყაროში.

მხოლოდ ჩვენმა დიდმა და ნათელმა დროებამ გამოიყვანა პოეტის შთაგონება და მისი მდიდარი შემოქმედებითი პოტენცია ფართო საზოგადოებრივი ინტერესებისა და დიდი ისტორიული მისწრაფებების სარბიელზე. საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში პაოლო იაშვილის ლექსმა ღრმად პატრიოტული ჟღერა მოიპოვა:

მინდა ავეარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ,
მინდა უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.
ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილა,
თავზე ვადგია, როგორც კანკელი
ცა მოვლვარე და აქლერილი...

ასე გაერთიანდა მის პოეზიაში პატრიოტული გრძნობა, ნათელი სასიხარულო განწყობილება, მშობელი ქვეყნის წარმტაც ბუნებისა და განახლებული ცხოვრების მეტყველი მხატვრობა. ამიერიდან თავის უწმინდეს დანიშნულებად პოეტს სამშობლოს აღორძინება, მისი კიდევ უფრო ნათელი და დიადი მომავლის გამოხატვა, ეპოქის დიდი სიმართლის პოეტურად გააზრება და გამოთქმა მიაჩნია:

სიტყვა მართალი ვთქვათ ერთმანეთში,
მდაბიო თქმაში ხშირად ზანტებმა,
რა შეედრება, როცა სევანეთში
მატარებელი ატორტმანდება.
როცა კახეთის დაზვირთულ ზვარებს
ველარ აუვა ჭურჭელით გლეხი,

როცა გახედავ ლიხვის მხარეს
ნაღდი ნაყოფით დატვირთულ ხეხილს,
სიტყვა მართალი გაჩაღდა ვხედავ
და მღერის ჩემში ხმა უტკბილესი;
რაა ბადალი, როდესაც მცხეთას
მიაბჯენს სახლებს ჩვენი თბილისი!

ასეთი მწყობრი და ჟღერადი ლექსით, ამგვარი „უტკბილესი ხმით“ და მართალი, გულის სიღრმიდან მომდინარე წრფელი სიტყვით ხატავდა და უმღეროდა პოეტი მშობელი ქვეყნის დიად, მარადიულ გაზაფხულს. ახალი ცხოვრების მშენებელი ხალხის დაძაბული შრომის მუსიკას უერთებდა პოეტი თავისი მგზნებარე გულის ძველას, თავის პოეტურ შრომას, თავის ლალსა და ხალისიან სიმღერას:

მიწავ, ახალი დალით დაგტორეს,
მთებო, მოგასკდნენ რკინის ჯარები,
მეც ვუმღერ ველად გაპრილ ტრაქტორებს
და ოქროს მადნებს მივეჩქარები.
მეც, გაზაფხულო, შენის დიდებით
სავეს, ყოველ დღის საქვეს ვეხები,
და მწერლის შრომას მოვეკიდები,
როგორც კიდიან გუთანს გლეხები.

პალო იაშვილმა პირველმა ქართველ პოეტებს შორის წრფელად უმღერა სამგორის გადამწვარი ველის გაცოცხლებისათვის გაჩაღებულ გამირულ შრომას. მან ლექსების დიდ ციკლში ასახა ახალი კოლხიდა, მალარიის შხამით მოცული ჭაობებიდან ციტრუსოვანთა ბაღების აღმოცენება.. თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში იგი დაუცხრომელი პოეტური ენერგიით ეხმაურებოდა ჩვენი სინამდვილისა და საერთაშორისო ვითარების ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას. მისი საუკეთესო ლექსები ცხოველი აზრით, წრფელი გრძნობით იყო აღბეჭდილი. იშვიათად თუ შეხვდებით მის ლექსებში მკრთალ და უფერულ სახეს, ყრუ სტრიქონს, პოეტურ შტამს. მისთვის უცხო იყო კომპრომისი ლექსის ოსტატობის სფეროში. ლექსში „პოეზია“ მან გამოხატა მღელვარე და თავდადებული პოეტური შრომის მთელი დრამატიზმი:

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჰირი, ტყეში ყოფნა მარად თულეზად;
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასწეულება.

... რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგარძნო ყველა!
რამდენი სახე მე თვით უნდა გაეაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

ასე მწვაავად და მძაფრად განიცდიდა პოეტი სიტყვის ხელოვანის მაღალ მოწოდებას, მაგრამ მან იცოდა აგრეთვე შემოქმედების დიდი სიხარულიც, რაც ასე ცხოვლად და დამარწმუნებლად გადმოგვცა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „მაგიდა — ჩემი პარნასი“.

თითქოს უბრალოდ მე ვწერდე წერილს,
გამიადვილდა უეცრად შრომა.
ციდან მოსმენილ შუადღის ჟღერის
მონად გამხდარა ლექსების ზომა.
მარცვლების ძებნას დაიწყებს ცერი,
ავესებს წერილს წუხანდელ ცის დარდი;
და მღერის, მღერის კალამის წვერი,
კალამის წვერი — ბულბულის ნისკარტი.

ლექსებში „ნეტარი მღელვარება“, „დილა“, „არგვეთის ღამეები“, „დაბედაჩაის ღამე“ და სხვ. პაოლო იაშვილმა მოგვცა ლირიკული პეიზაჟების, ბუნების გაცოცხლებულად, ემოციურად ხატვის საუცხოო ნიმუშები.

მისი მახვილი პოეტური თვალისათვის, მისი დიდი ადამიანური გულისათვის მისაწვდომი იყო ცხოვრებისა და ბუნების მთელი მრავალფეროვანება, ყოველი ადამიანური აზრი, გრძნობა და განცდა. დიდი პოლიტიკური თემების გვერდით იგი განასახიერებდა თავის ლექსებში ადამიანის პირადულ განცდებსა და განწყობილებებსაც. თანამედროვე სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს პაოლო იაშვილის ლექსი „ლირიკული მისამართები“, რომელშიაც ასეთი ღრმა აზრითა და მაღალი გრძნობით აღბეჭდილ სტრიქონებს ვკითხულობთ:

ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ჰაღარა —
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია!

პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება მაშინ შეწყდა, როდესაც იგი თავისი მაღალი ნიჭიერებისა და პოტენციის სრულ სიმწიფეში იყო შესული. იგი ისწრაფვოდა გაეფართოებია საკუთარი პოეტური მოღვაწეობის დიაპაზონი, მუშაობას იწყებდა ფართო ეპიკური ტილოების შესაქმნელად, იწყებდა საბავშვო ლექსების წერას, დიდი წარმატებით თარგმნიდა რუსული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს.

მისი დაუმთავრებელი პოემის „გზა მშვიდობისას“ ის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც ჩვენს ხელთ არის, მოწმობს, რომ პოეტს დიდი შემოქმედებითი წარმატებანი მოელოდა ეპიკური პოეზიის დარგში. პუშკინის ლექსების მის მიერ შესრულებული თარგმანები, მიუხედავად ორიგინალიდან ზოგიერთი საგრძნობი დაშორებისა, ჭეშმარიტი შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ნაყოფს წარმოადგენენ.

პაოლო იაშვილს ბევრი დიდი შემოქმედებითი განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ყოველივე ის, რის შექმნაც მან მოასწრო ოცი წლის პოეტური ცხოვრების მანძილზე, სავსებით დამსახურებულად უმკვიდრებს მას ღირსეულ ადგილს მეოცე საუკუნის ქართული ლექსის, საბჭოთა პოეზიის პირველხარისხოვან ოსტატთა შორის.

პაოლო იაშვილი ცოცხლობს ჩვენს ხსოვნაში, როგორც ტიპი საბჭოთა პოეტისა, რომელიც ღრმად იყო დაინტერესებული ჩვენი ქვეყნის ცხოვრებით და არა მარტო ლექსებით ეხმაურებოდა სინამდვილის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, არამედ აქტიურად მონაწილეობდა ცხოვრების პროცესებში. იგი პრაქტიკულად მხარში ედგა ახალი სამგორის, კოლხიდის, რიონჰესის მშენებლებს. საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს არჩევითს ორგანოებში იგი როგორც სამწერლო საზოგადოებრივობის წარმომადგენელი, დაუღალავ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. მუდმივად მონაწილეობდა საკავშირო და რესპუბლიკური სამწერლო ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებში, მწერალთა ყრილობებისა და პლენუმების მუშაობაში, ლიტერატურულ თათბირებსა და დისკუსიებში. მის რაინდულად მომხიბვლელსა და ვაჟკაცურ პიროვნებაში ორგანულად იყო გაერთიანებული ჩვენი დროის მგზნებარე მომღერალი და თანამედროვეობის მაღალი იდეალებით შთაგონებული მოქალაქე.

ამგვარად ცხოვრობდა და იღვწოდა პაოლო იაშვილი და ამგვარადვე იცოცხლებს იგი ჩვენი კულტურის ისტორიაში, ხალხის მეხსიერებაში.

ილო მოსაშვილი

ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება იმდენად დაძაბული და დაუცხრომელი იყო, იმდენად ყოველთვის ახლის აღმოქმედი, ახალი წარმატებებისა და მიღწევების მომასწავებელი, რომ მაშინ, პოეტის სიცოცხლეში აზრადაც არავის მოსვლია შეეჯამებინა ის ძვირფასი წვლილი, რომელიც მან შეიტანა ჩვენი საუკუნის ქართული მხატვრული კულტურის განვითარებაში და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაშიც. რაგინდ მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოც არ უნდა ყოფილიყო პოეტის ცალკეული მხატვრული მიღწევა, მას ჩვენ განვიხილავდით როგორც მიახლოებას იმ უმთავრესთან, რის სათქმელადაც პოეტი მოწოდებული და დაბადებული იყო, და მხოლოდ ახლა, როცა მისი დაუცხრომლად მაძიებელი და შემართებული შემოქმედებითი აზრის მოძრაობა დასრულებულია, იბადება მოთხოვნილება და შესაძლებლობაც გაიჩვენებს და დადგინდეს ის ადგილი, რომელიც თავისი წრფელი და შთაგონებული შრომით ილო მოსაშვილმა სამუდამოდ დაიმკვიდრა ჩვენი საუკუნის ქართული პოეტური კულტურის საუკეთესო ოსტატთა შორის. ეს ადგილი იმდენად თვალსაჩინოა, რომ მას ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლის საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობის პირუთენელი ისტორია.

ჩვენი საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე, მართლაც და „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე“, ილო მოსაშვილი ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მოწინავე ხაზზე იდგა და თავისი პოეტური ქმნილებებით, პიესებით, კინოსცენარებით, მხატვრული ნაკრევებით, საოპერო ლიბრეტოებით, პუბლიცისტური წერილებით და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მრავალგვარი ფორმით ყოველდღიურად ეხმარებოდა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ხალხის სულიერ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობასთან, ხალხის სულიერ ინტერესეთა და მისწრაფებათა სამყაროსთან სისხლხორცეული კავშირურთიერთობა შეადგენდა ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ბუნების, მისი პოეტური ინდივიდუალობის უპირველეს დირსებას. მას არაფერი დაუწერია სინამდვილის მღელვარე მდინარებისაგან გამოთიშულად, თანამედროვეობის სუნთქვისაგან მოწყვეტილად და განყენებულად „უნივერსალური ფასეულობისა“

და „მარადიული უკვდავებისათვის“ განზრახ გამოანგარიშებულად. თავისი შემოქმედებითი აზრის ყველა გამოვლინებით, თავისი მღელვარე პოეტური სულის ყველა გამონათებით ილო მოსაშვილი ჩვენი დიადი და მძაფრი ღროების მხატვარი და მომღერალი იყო. პოეტური შემოქმედება მას ხალხის საბრძოლო და შრომითი ცხოვრების ანარეცლად და გამოძახილად მიაჩნდა. თავისი ეს პოეტური მრწამსი მან ხაზგასმულად და შეუფარავად გამოთქვა კიდევ:

ვთქვათ სიმღერები, ხმალსაც აუანგებს
უქმად ყოფნა და უსიმღერობა!
ვაჟას ლექსი რომ გლეჯდა აბჯანდებს,
იმ ლექსთან ქვეყნის გულიც მღეროდა.
ვთქვათ სიმღერები საქართველოდან,
არც სალალობო, არც ვასართველი,
როგორც ქართველი რთველში მღეროდა,
როგორც იბრძოდა ომში ქართველი.

ეს პოეტური მოწოდება თუ აღსარება ილო მოსაშვილს ღრმად ანათესავებს ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის დიად ტრადიციებთან. ვაჟას ლექსი და მისი განუყოფელი თანაზიარობა ხალხის გულთან ამ შემთხვევაში საერთოდ მთელი ქართული კლასიკური პოეზიის მაღალი ხალხურობის იდეას გამოხატავს. დიდი წინაპრებისა და წინამორბედების მიერ ნაანდერძევი ეს ძვირფასი ტრადიცია, სახელმძღვანელო მემკვიდრეობად მიიღო და თავისი ესთეტიკის ფუძემდებლურ პრინციპად გაიხადა საბჭოთა მწერლობამ. ჩვენი მხატვრული კულტურის ასეთი იდეურ-ესთეტიკური პოზიციის გამომუშავებასა და დამკვიდრებაში გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ილო მოსაშვილსაც. მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა თავისი მშობელი ქვეყნისათვის:

მე შენი წმინდა აკვანი შედგა,
შეკრული ხმატბილ ლერწმის ღეროთი
როცა ვმღეროდი,
რაც უნდა მეთქვა,
სამშობლოვ ჩემო, შენზე ვმღეროდი!

ჩვენი ქვეყნის დიდებული ბუნებისა და გმირული ცხოვრების პოეტურ სურათებში წარმოსახვას, ხალხის უმაღლეს და უწმინდეს გრძნობათა მაღალ-მხატვრულ გამოხატვას შეალია ილო მოსაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭიერება და ხელოვნება. სწორედ ამიტომ უღერს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრების მთელი აზრისა და შინაარსის გამომთქმელ, გულწრფელ ანდერძად სამშობლოსადმი მიძღვნილი მისი სტრიქონები:

რაც გითხარ დღემდე, —
გულმა დაწურა,
თუ რამე დამრჩა, — შვილებს ვასწავლი,
მათ გითხრან საქმით, გითხრან

კაცურად,
რაც მე ჩემს გზაზე ვერ მოვასწარი!

უკვე თქმულით და მიღწეულით დაუქმყოფილებლობა, მუდმივი გრძნობა იმისა, რომ ჯერ კიდევ არ არის მიგნებული და გამოთქმული ჩვენი ხალხის გმირულ საქმეთა ღირსეული სიმღერა, რომ ამ დიადი, სრულყოფილი მხატვრული სიტყვის გამოძერწვა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა და, ეგებ, მომავალ თაობათა ბედნიერი მოვალეობაც — ასეთი განცდა განუყოფლად გასდევს ილო მოსაშვილის პოეტურ ბიოგრაფიას და ამ მხრივაც პოეტი თავისი თაობის, თანამედროვე მწერლობის კეთილშობილურ მოკრძალებას, ხალხისა და ისტორიის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გამახვილებულ გრძნობას გამოხატავდა.

ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი მისი ადრეული სიჭაბუკის წლებს მიეკუთვნება. უკვე მაშინ, თავის ამ პირველ პოეტურ ცდებში, — ბნელი და სუსხიანი საზოგადოებრივი ვითარებისადმი პროტესტისა და შეურიგებლობის გრძნობით, ცხოვრების გარდაქმნასა და განახლებაზე ფრთა-ასხმული ოცნებით, პირველი სატრფიალო გატაცებით შთაგონებულ, ამ ჭაბუკურ სიმღერებში ნათლად გამოჩნდა მისი უტყუარი მხატვრული ნიჭიერება და საიმედო მონაცემები. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა პოეტი ვერ დაიმორჩილა და თავისი მღვრიე მდინარეებში ვერ ჩაიყოლია ანტირეალისტური, დეკადენტური პოეზიის მძლავრმა ნაკადმა, რამაც, როგორც ცნობილია, ფართო გავრცელება ჰპოვა ათიანი წლების ქართულ მწერლობაში. ამ შემთხვევაში, ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჭაბუკი პოეტის შემოქმედებითსა და პირად ნათესაურ კავშირს ვაჟა-ფშაველასთან, რომლისადმი განუზომელი სიყვარულისა და თავყანისცემის გრძნობა არასოდეს არ შენელებულა ილო მოსაშვილის პოეტურს ბიოგრაფიაში. რევოლუციის წინა პერიოდისა და საბჭოთა ეპოქის პირველი წლების ქართული პოეზიის განვითარებაში ილო მოსაშვილის ხვედრითი წონა იმდენად მნიშვნელოვანი და საგრძნობი არ ყოფილა. ჩანს, ამ წლების განმავლობაში ახალგაზრდა პოეტი ძალღონეს იკრებდა, ფრთებს იწრთობდა და ემზადებოდა ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, მშობლიური პოეზიის კაბადონზე ისეთი ძალით აფრენისათვის, როგორც მან შეძლო ოციანი წლების მეორე ნახევარში. არსებითად სწორედ ამ დროიდან მოიპოვა მან თავისი გარკვეული ადგილი თანამედროვე ქართულ პოეტურ კულტურაში. ამ დროიდან გაისმა მისი ღრმად თვითმყოფადი და ორიგინალური ხმა ქართული საბჭოთა პოეზიის მრავალპანგოვან ორკესტრში.

თუ გავიხსენებთ ოციანი წლების მეორე ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრების მძაფრ ატმოსფეროს და ამ დაძაბულ ვითარებაში ჩვენი მწერლობის როლსა და მოწოდებას, მწერლობისა, რომელიც ახალი საგმირო საქმეებისათვის აღმაფრთოვანებელ სიტყვას ეუბნებოდა, წარსულის ბნელი მემკვიდრეობისაგან თავდაღწევის ტკივილებსა და სიძნელეებს უმსუბუქებდა ხალხს, ჩვენთვის ნათელი იქნება, თუ რაოდენ აქტუალური და სახალხო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო პოეტის ლექსი:

მაშინ დღეები გაზაფხულს მიგავს
და გული, ათას ლერწმის ღერებით,
ჩემი დროების ატეხილ გრიგალს
ხვდება ძახილით და სიმღერებით,
და მივიმღერი, რაღას მიქვიან
შემოღამება, შიში, ეპეები,
ვხედავ აბჯანდებს გლეჯავს სტიქია
და მეც მღელვარე ზღვაში ვეშვები.
თან მიმაქვს გული რკინანარევი
და სიტყვა ცეცხლთან ნაალერსები,
ღეე, გრიგალში ოქროს ზარივით
რეკდნენ, კიოდნენ ჩემი ლექსები.

ამ, ასე ვთქვათ, „პოეტურ დეკლარაციაში“ ილო მოსაშვილმა უკვე მიაღწია ხალხის მებრძოლ სულისკვეთებას, ეპოქის გრიგალებს აყოლილი ჩვენი დროის გმირის სულიერი ძალისა და მშვენების გამოხატვის მაღალ ხელოვნებას. ასე მკვიდრდებოდა ჩვენს პოეზიაში ეპოქის დიდი სიმართლისა და თანამედროვეობის გმირის სულიერ ზრახვათა შთამაგონებელი წარმოსახვის მაღალი ტრადიცია. თანამედროვე ქართული ლექსის სხვა საუკეთესო ოსტატებთან ერთად ილო მოსაშვილი ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე გაბედულად შედიოდა საბჭოთა სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა სამყაროში და თანმიმდევრულად ამდიდრებდა და აფართოებდა პოეტური შემოქმედების თემატურ სარბიელს ახალი გმირის „რკინის ხელებით“ შექმნილ და მოპოვებულ ღირებულებათა, ახალი სოციალური და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობის ცხოვრებისეული მასალებით.

უკვე ამ ლექსებში თავი იჩინა ილო მოსაშვილის პოეტური ოსტატობის საუკეთესო თვისებებმა. ყოველგვარი მანერულობისა, ბუნდოვნებისა და განზრახი ხელოვნურობისაგან თავისუფალი მისი ლექსი სადა, ბუნებრივ ჟღერასთან, მომხიბვლელ მელოდირურობასთან ერთად შეიცავს აქტუალური აზრით გამსჭვალული, მკაფიო და კოლორიტული პოეტური მხატვრობის ნიმუშებს. იგი დიდი გულმოდგინებით ამუშავებდა ლექსის ყოველ დეტალს, მის რიტ-

მულ წყობას, კეთილზმონად შერჩეულ რითმებს, გონებამახვილურად მოფიქრებულ მეტაფორებსა და შედარებებს. იგი თავისუფლად ფლობდა მშობლიური ენის სტიქიას და უცდომელი ოსტატობით იმორჩილებდა მის სიმდიდრესა და სიუხვეს პოეტური ჩანაფიქრის შთამბეჭდავად და ამაღლვებლად გამოთქმისათვის, ბუნებისა და ყოფაცხოვრების სურათების გაცოცხლებულად დახატვისათვის.

მისი ლექსები „ზაპეს, შენ გიმღერ“, „სიმღერა ალაზანზე“, „ალაზნის პირას“, „არშაულა“ და მრავალი სხვა, ოცდაათიანი წლების ქართული სამოქალაქო ლირიკის იმ საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებითაც ქართულმა პოეზიამ უქკნობ მხატვრულ სიტყვაში აღბეჭდა და უკვდავყო ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის გენია, ახალი სამყაროს მშენებლობის სწორუპოვარი ეპოპეა.

თავის საუკეთესო ლექსებში ილო მოსაშვილი სამყაროს თავისებური ხედვითა და განცდით, თემის ახლებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განსნითა და გააზრებით, ღრმად ინდივიდუალური მსოფლშეგრძნებით ხასიათდება. რამდენი ლექსი დაიწერა ჩვენი საუკეთესო თანამედროვე პოეტების მიერ კოლხეთის დაქობებული ველის ციტრუსოვანთა აყვავებულ ბაღნარად გადაქცევის თემაზე, მაგრამ ილო მოსაშვილი სრულიად განსხვავებული განცდით და პოეტური გააზრებით შეეხო ამ თემას.

დილაა წყნარი, მზე მიწას აწვიძს,
ღალღა ფშანებში ეძახის ღალღას,
ზღვა მივა ბაღთან და როგორც ყმაწვილს,
გაშლილ მკლავებში ჩაუწვენს ტალღას.
ზღვა ნანას ამბობს, ბავშვს ენანება
ნარინჯის ბაღში დახუქოს თვალი,
ზღვა—აკვანია, ნანა ზმანება
და მზე ტალღებში ჩასული ქალი.

სრულიად განსხვავებული პოეტური გააზრებით შემოდის ილო მოსაშვილის პოეზიაში კოლხეთის ველის გაცოცხლების ანალოგიური თემა — სამგორის აღდგენისა და განახლების თემა.

რამდენჯერ შემხედი, სამგორის ქარო,
ცხელი ხორშაკით, ზარით და თოშით!
მე გისმენთ, სამო ქართველო ქალო,
განა ქარია,
იორთან გალობთ
გაქვავებულნი უხსოვარ დროში.

სამოქალაქო ლირიკის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანი, ილო მოსაშვილი ფლობდა უაღრესად ინტიმურ ადამიანურ გრძნობათა და განცდათა შთაბეჭდავად გამოხატვის ხელოვნებასაც. სანიმუშოდ საკმარისია გავიხსენოთ მისი შესანიშნავი ლექსი „სიყვარული უცებ“, რომელიც პირველი წაკითხვისთანავე წარუშლელად აღიბეჭდება მკითხველის სულიერ სამყაროში.

შემოგიქროლებს, შეგაჟრიალებს,
პელებით ავივსებს მკერდსა და ნეკნებს,
მერე მოშუშავს ყველა იარებს
და სახარებიდან ამოჰყრის ეკლებს,
შემოვა გულში, ააფრენს იმედს,
ჩაჭდება შიგ და აღარ ამოვა
და აწყარუნებს უჩინარ სიმებს;
თეთრი დილაა თუ საღამოა.

ილო მოსაშვილი პოეტური პეიზაჟის ერთი საუკეთესო ოსტატთაგანია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მისი ლექსები „ღამე ტყეში“, „ოცნება ტყეში“, „ღამე გომბორზე“, „ვაჟა მონადირე“ და მრავალი სხვა ქართული პოეტური ფერწერის მკაფიო ნიმუშებს წარმოადგენს.

და არა მარტო მშობლიური ბუნებისა და ყოფის სურათების წარმოსახვაში აღწევდა ილო მოსაშვილი პოეტური ნახატის ასეთ დახვეწილობას და ემოციურ დატვირთულობას. მან ასეთი ძალით დახატული ბელორუსული პეიზაჟებით, მოძმე ბელორუსი ხალხის ღუხტირი წარსულისა და ნათელი დღევანდლობის მეტყველი სურათებით გაამდიდრა ქართული საბჭოთა პოეზია.

და მაინც ილო მოსაშვილის პოეტური ნიჭიერების მთელი სიმდიდრე და სიუხვე პირველყოვლისა იმისათვის იყო მოწოდებული, რომ აღმაფრთოვანებლად გამოეხატა ჩვენი დროის გმირის, ოქტომბრის თაობის ადამიანის შემოქმედებითი ძალა, მისი სულიერი სამყაროს მშვენიება, მისი საქმეების უბადლო სიდიადე. თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „ოქტომბრის თაობას“ პოეტმა ასე მიმართა თანამედროვეობის გმირს:

დგებარ და სადაც მარჯვენას დაჰკრავ,
მზე თავის მადანს ამოალაგებს
და ხელმეორედ მიწაზე ქარგავ
უღაბნოებში წაშლილ ქალაქებს.
აიღებ ქვესკნელს, ამოგაქვს ზღვები,
მდინარეები აპყარე ქვიშას
და შეგცქერიან ბებერი მთები,
თითქოს ელიან დამხობის ნიშნებს.

თითქოს მინდვრებზე მწუობრი ნადვრით
ხნულებს კი არა, აწყობ სტრაქონებს
და წერ კედლებით, რკინით, აგურით
ახალი ქვეყნის ქორონიკონება.

ეს გმირი პროეტმა უტკნობი დიდების შარავანდდით შემოსილი გვიჩვენა დიდი სამამულო ომის ვითარებაშიც, როცა იგი კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ვაჟკაცობითა და ქედუხრელობით იცავდა სამშობლოს სიცოცხლესა და თავისუფლებას.

ილო მოსაშვილის ლექსების ციკლი „მისი ბარათი“ სამამულო ომის პერიოდის ქართული პოეზიის საუკეთესო მონაპოვართაგანია. ამ ციკლის ღირსება ის არის, რომ მასში წარმოსახულია საბჭოთა ადამიანის მორალური მშვენება, მისი გრძნობებისა და განცდების სიწრფელე, დიდი ადამიანური სითბო და სიფაქიზე, რამაც განსაკუთრებული მომხიბვლელობით იჩინა თავი ომის მკაცრსა და მრისხანე ვითარებაში.

სამამულო ომის შემდგომ წლებში ილო მოსაშვილმა არაერთ მკაფიო პოეტურ ნაწარმოებში ამაღლელებლად გამოხატა დიადი გამარჯვებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხის კანონიერი სიამაყე და სიხარული. მაგრამ თავისი შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ილო მოსაშვილის მხატვრული ნიჭიერება უპირატესად დრამატული მწერლობის დარგში გამოვლინდა. ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს მან ზედიზედ შესძინა ოთხი პიესა, რომლებმაც ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვიეს და ღირსეული განსახიერებაც ჰპოვეს საუკეთესო ქართული თეატრების სცენებზე. პირველი მათგანი — „სადგურის უფროსი“ დღემდე რჩება ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნაწარმოებად დიდი სამამულო ომის, კერძოდ კავკასიის გმირული დაცვის თემაზე. პიესაში „ჩაძირული ქვეები“ მწერალმა ამაღლელებლად მოგვითხრო იმ ქედუხრელი ბრძოლის შესახებ, რომელსაც მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილები თავგანწირულად ეწევიან კაპიტალისტური რეაქციის სამყაროში მძვინვარე სოციალური ჩაგვრისა და ეროვნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ. „მისი ვარსკვლავი“ კი ილო მოსაშვილმა მიუძღვნა ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენციის გაბედულ ბრძოლას მეცნიერების სხვადასხვა დარგში დასადგურებულ დოგმატურ ცრურწმენათა დასაძლევადა, ყალბი ავტორიტეტების სამხილებლად, საბჭოთა მეცნიერული აზრის თავისუფალი განვითარებისათვის ახალი, პროგრესული გზებით, ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. თავის უკანასკნელ დრამატულ ქმნილებაში „გზა მომავლისა“ დრამატურგმა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული თანამეგობრობისა და საბრძოლო თანამშრომლობის დიადი ტრადიცია განასახიერა

და ასეთ იდეურ ასპექტში დახატა ჩვენი ეროვნული ისტორიის სახელოვანი გმირის ერეკლე მეორეს მომხიბლავი სცენური სახე.

ილო მოსაშვილის პიესები მწვავე საზოგადოებრივ კონფლიქტებზე აღმოცენებული, მძაფრად დრამატიზირებული სიუჟეტური კომპოზიციებით, ცოცხლად გამოქერწილი ადამიანური სახეებით, მეტყველი სცენური დიალოგებით გამოირჩევიან.

სწორედ ამ ღირსებათა გამო მოიპოვეს მათ საპატიო ადგილი ქართული თეატრის რეპერტუარში და მაყურებელთა ფართო წრეების ყურადღება და მოწონება დაიმსახურეს. უეჭველია, რომ ქართული თეატრი მომავალში არა ერთხელ დაუბრუნდება ილო მოსაშვილის პიესებს, როგორც ჩვენი ეპოქის მკაფიო მხატვრულ დოკუმენტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ილო მოსაშვილის შემოქმედებითი ცხოვრება განუყოფლად იყო დაკავშირებული ჩვენი სინამდვილის ყოველდღიურობასთან. იგი ცხოვლად ეხმაურებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მდინარებას, მის მოთხოვნებსა და მის მიერ წამოჭრილ აქტუალურ ამოცანებს. ცხადია, ასეთი ტიპის მწერლის ყოველი ნაწარმოები როდი უძლევს უამთავლის გამოცდას, მაგრამ თავისი ქვეყნისა და მშობელი ხალხისადმი თავდადებული ერთგულებით შთაგონებული თავისი შემოქმედებითი შრომით ილო მოსაშვილმა მრავალი ისეთი მხატვრული ნაწარმოები შექმნა, რომლებიც არასოდეს არ დაკარგავენ საზოგადოებრივ მნიშვნელობასა და იდეურ-ესთეტიკურ ღირებულებას და სამუდამოდ აღიბეჭდებიან საბჭოთა ეპოქის ქართული კულტურის მატრიანეში.

„სულ შორს... სულ ახლოს“

(ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსების წიგნის შესახებ)

დიდი შემოქმედებითი სიხარული და ჭეშმარიტი ესთეტიკური კმაყოფილება მოუტანა ჩვენს ხალხს ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსების წიგნმა „პალესტინა, პალესტინა!“ („რუსთაველის ნაკვალევზე“). ამ მცირე მოცულობის პოეტური კრებულის შემადგენელი ლექსები თითქმის ორი წლის განმავლობაში დროგამოშვებით იბეჭდებოდა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე და ყოველი მათგანის გამოქვეყნება ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა, მღელვარე გამოძახილს პოულობდა ხალხის გულში. ეს იშვიათი შემთხვევაა, რომ პოეტურ ქმნილებას თანაბარი და ერთსულოვანი მოწონებით ეგებებიან მკითხველთა ფართო წრეებიც, ლიტერატურული საზოგადოებრიობაც, პრესაც, კრიტიკაც. ასეთი საყოველთაო აღიარება ჩვენი ეროვნული პოეზიის მხოლოდ იმ საუკეთესო ქმნილებებს თუ მოუხვეჭიათ, რომლებიც მართლაც და „რუსთაველის ნაკვალევზეა“ აღმოცენებული, დიდი ქართული კლასიკური პოეზიის იმ მაგისტრალურ ხაზზე, რომელსაც მკვიდრი სათავე მისცა ჩვენი ერის უკვდავმა პოეტურმა გენიამ.

აქი რუსთაველმა უანდერძა შთამომავლობას გარდუვალი მოძღვრება, რომ პოეზია „სიბრძნისაა ერთი დარგი“, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, აზროვნებაა, მართალია სპეციფიკური, მხატვრული, სახეობრივი აზროვნება, უშუალოდ მიმართული ადამიანის გრძობათა, განცდათა და განწყობილებათა სამყაროსადმი, მაგრამ აუცილებლად ხალხის უმაღლეს აზრთა, ოცნებათა და მისწრაფებათა გამომხატველი. თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელოვანი ისტორიის მანძილზე ქართული პოეზია ერთგულად მიჰყვება დიდი წინაპრის მარად დაუბერებელ ანდერძს და სწორედ ამ გზაზე აქვს მოპოვებული ყველა ის უდიდესი წარმატება, რომელთა მეოხებითაც ქართულ ლექსს ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ადგილი მიეკუთვნება საკაცობრიო პოეტური კულტურის განვითარებაში. უკვე ახლაც ხედავენ და რაც დრო გავა, მით უფრო მეტად ეჭვმიუტანელი სიცხადით დაინახავენ ჩვენი ეროვნული პოეზიის ასეთ საკაცობრიო მნიშვნელობას და არა მარტო ჩვენი კლასიკური პოეზიისა, არამედ იმისაც, რომელიც ამჟამად იქმნება ჩვენს თვალწინ, ჩვენს საუკუნეში, მსო-

ფლიო ისტორიული მნიშვნელობის უღრმესი ძვრებით, გარდაქმნებით, სიახლეებით აღსავსე ჩვენს დიად ეპოქაში.

ჩერ კიდევ თავის ჭაბუკურ სიმღერებში გამოიჩინა ირაკლი აბაშიძემ ხალხის უწმინდეს აზრთა და გრძნობათა სამყაროსაგან განუყოფელობის, ემოციური, მღელვარე პოეტური მეტყველების ნიჭიერება. მისი მკაფიოდ თვითმყოფადი, სადა, ხატოვანი, კეთილხმოვანი პოეტური ენა უკვე ოცდაათიანი წლების დამდეგიდან შთამბეჭდავად გამოირჩევა ქართული საბჭოთა პოეზიის მრავალპანგოვან ორკესტრში. პოეტის მხატვრული ნიჭიერების ამ ძვირფასმა თვისებებმა შემდგომი განვითარება ჰპოვეს სამამულო ომის მრისხანე წლებში, როცა გმირობისა და ვაჟაკობის სულისკვეთებით გამსჭვალული მისი ლექსები ერთბაშად აიტაცა ხალხმა და თავის საყვარელ სიმღერებად აქცია. ომისშემდეგ წლებში დამკვიდრებული შემოქმედებითი შრომის პათოსით აღბეჭდილ მის ლირიკულ ციკლებში („ყვავის გურია“, „სიმღერა მკის დროს“ და სხვ.) პოეტის მხატვრული ინდივიდუალობის კიდევ ახალმა თვისებებმაც იჩინა თავი — კოლორიტული პოეტური ფერწერის, ლირიკული პორტრეტის, პოეტური მომთხრობელობის საუცხოო ხელოვნებამ.

ირაკლი აბაშიძის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებითი ევოლუცია, განმაპირობებლად არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის ცხოვრების ისტორიული განვითარების პროცესებთან და მათ ნიადაგზე წარმოშობილი საბჭოთა მხატვრული კულტურის ფორმირების გზებთან. ამიტომაც გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფია აცდენოდეს იმ სინძლეებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც აღმოცენდებოდნენ ხალხმე ჩვენი სამშობლოს ისტორიის გარკვეულ პერიოდში და რომლებიც შემზღუდველ და გამაღარიბებელ ზეგავლენას ახდენდნენ საბჭოთა პოეზიაზე, ისე როგორც მთელი ჩვენი ხელოვნების განვითარებაზე. მაგრამ პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ფხიზელი თვითანალიზის გამახვილებული გრძნობით, დაუცხრომლად მაძიებელი შემოქმედებითი აზრის მეოხებით გაბედულად ძლევდა და იცილებდა ამა თუ იმ გარემოებით ნაკარნახევ ცდუნებებს და დიდი შემართებით მიიწევდა წინ სამყაროს უშუალო პოეტური ხილვის, ადამიანის სულიერი ცხოვრების სიღრმეებში ჩაწვდომის მაღალი და მართალი ხელოვნებისაკენ. პოეტის შთაგონების ამგვარ დავაჟაკებებს, მისი ღრმად თავისებური მხატვრული ნიჭიერების სრული მომწიფების შედეგს წარმოადგენს ორი უკანასკნელი ლირიკული ციკლი: „მიახლოვება ნახევარ საუკუნესთან“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“, ხოლო განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელი ციკლის ახალი ლექსები, გაერთიანებულნი კრებულში „პალესტინა, პალესტინა!“

ამ ლექსების მომხიბვლელი სიწრფელე და უშუალობა, მათი რეალიზმი, ცხოვრებისეული სიმართლე, პირველ ყოვლისა, იმით არის გამოწვეული, რომ ისინი პოეტის პირადი ბიოგრაფიის წიაღში აღმოცენდნენ, როგორც მის მიერ ღრმად ნაგრძნობისა და განცდილის ცხოველი ანარეკლი. ეს ლექსები შედგება იმ მძაფრი დაძაბული სულიერი ვითარებისა, იმ კეთილშობილური მღელვარებისა, რომელიც განიცადა პოეტმა პალესტინაში, ქართული ჯვარის მონასტერში, სადაც იგი გამოჩენილ ქართველ ფილოლოგებთან აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად იმყოფებოდა შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლების მასალათა მიკვლევისა და შესწავლის მიზნით. ამ იშვიათი მეცნიერული ექსპედიციის ძვირფასი შედეგები საყოველთაოდ არის ცნობილი. მათი მოპოვებისათვის შთაგონებული შრომა, თავისი სიძნელეებითა და სიტკბოებით ცოცხლად და მეტყველად აღწერა პოეტმა „პალესტინის დღიურში“, რომელიც დიდის ყურადღებით და მადლიერების გრძნობით წაიკითხა მთელმა საქართველომ.

ლექსების ციკლში „პალესტინა, პალესტინა!“ კი პოეტმა უფრო დიდი და ღრმად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანა დაისახა. მან განიზრახა წარმოედგინა და პოეტურ სახეებში წარმოესახა სამშობლოდან გადახვეწილი გენიალური მოხუცის სულიერი სამყარო, მისი ფიქრების, აზრებისა და განცდების სიმდიდრე და სიღრმე. „გულით წყუროდა შენს შორეულ შთამომავალს — მიმართავს პოეტი რუსთაველს თავისი წიგნის ეპიგრაფულად ლაკონურს წინასიტყვაობაში — წარმოედგინა, რას განიცდიდა და ფიქრობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში. მაშ ეს „ხმები“ ისე ჩაუთვალე მას, თითქოს მართლაც გაეგონოს იგი პალესტინის ქართული ჯვარის მონასტერში, შენს უკანასკნელ თავშესაფარში შენი დაკარგვიდან შვიდასი წლის შემდეგ“.

ეს „ხმები“, პოეტის ფანტაზიით მოსმენილი და ლექსად ამეტყველებული მონოლოგები რუსთაველისა, შეადგენდნენ ამ ლირიკული ციკლის ძირითად ნაწილს. ეს „ხმები“ თითქოს მოესმა პოეტს პალესტინის ჯვარის მონასტრის გალავანთან, თვით ჯვარის მონასტერში, ზეთისხილის ბაღში, მონასტრის სამრეკლოსთან, თეთრ სენაკში, კატამონთან, ჯვარის მონასტრის ბინდში. ეს შვიდი ხმა — მონოლოგი, თითქოს მოხუცი რუსთაველის მიერ წარმოთქმული უკანასკნელი აღსარებანი გადმოგვეცემენ იმ ამაღლებულ ფიქრებს და განცდებს, რომლებითაც მგოსანი ეთხოვებოდა ამქვეყნიურ ცხოვრებას და უღრტვინეულად გადადიოდა მარადიულ უკვდავებაში.

ხმა-მონოლოგების ციკლს წინ უქდვის ორი ლექსი, რომელთა მეშვეობითაც შორეული წინაპრის ეს ნათელი სიბრძნით და უმაღლესი ზნეობრივი იდეალებით გამსჭვალული აღსარებანი ორგანულად უკავშირდება თანამედროვე

პოეტის განცდათა და გრძნობათა სამყაროს. უკვე ამ კომპოზიციური ხერხით იწყება ხორცშესხმა მთელი ციკლისათვის ღამანახსიათებელი მისწრაფებისა, რაც შეიძლება მეტად მოგვიახლოვოს შორეული წინაპრის სახე, ჩვენთვის მშობლიური, ახლობელი და მძლავრად ზემომქმედი უღერით იგააცოცხლოს შეიდასი წლის წინათ წარმოთქმული აღსარებანი.

ციკლის პირველ ლექსში „შენ აქ ხარ“ პოეტი განასახიერებს საკუთარ რწმენას, თითქოს მართლაც მიეგნოს თავისი დიდი წინაპრის კვალისათვის, თითქოს რუსთაველის სიცოცხლის უკანასკნელი წლები მართლაც პალესტინის ჯვარის მონასტერში გაეტარებინოს, აქ სამუდამოდ შემწყდარიყოს მისი „მშვიდი ნაბიჯი“, აქ დამწყდარიყოს მისი ცრემლი, „ხმელეთს რომ რეცხდა“, თითქოს ჩვენი დროის პოეტს აქ ეხილოს რუსთაველის უკანასკნელი თავშესაფარი და მისი „ჩამქრალი ცეცხლი“.

გენიალური წინაპრის ცხოვრების დასასრულის საიდუმლოებათა ამოხსნის წყურვილით შეპყრობილი, რუსთაველის გამქრალი კვალის დაუცხრომელად მაძიებელი ჩვენი დროის პოეტი ამ ლექსში ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ოცნებასა და მისწრაფებას განასახიერებს, ხალხისა, რომელიც თავისი სუსხიანი და უმაგალითოდ გმირული ისტორიის მთელს მანძილზე არ კარგავდა იმედს და რწმენას, რომ ოდესმე მიაგნებდა ამ ძვირფას კვალს.

სად,
სად არ გქებნე —
მესხეთს
თუ სამცხეს;
მე გული ჩემი
შენს მონად ვრაცხე,
კვალდაკვალ მოგყევ
კლდეში თუ ღრეში,
მაგრამ ზედ მტკვართან,
მაგრამ ზედ
თმოგვთან
ნავალი შენი
ბილიკიც მოკვდა
და საზღვრის ხაზთან
დავკარგე გეში.

ამ სტირქონებში ფართო პოეტური განზოგადებით არის დახატული ჩვენი ხალხის დაუცხრომელი მაძიებელი სული, რომელსაც ვერ აღუნებდა მადალი მიზნისაკენ მიმავალი გზების სიძნელე, მრავალი ცდის უშედეგობა და აჟაოება. რაკი მშობლიურ მიწა-წყალზე არ მოიძებნა რუსთაველის კვალი, ლექსის ლირიკული გმირი მას მსოფლიო სივრცეებში აღმოსავლეთის უსასრულო გზებზე აედევნა.

ინდთან და განგთან,
ფენჯობს და ლახორს
შორს, სულ შორს,
მაგრამ
ახლოს, სულ ახლოს
შენი ხმა მოწედა
ჩემს მგოსნურ გუმანს,
მეც სმენა ჩემი
დავძაბე უმაღ
და მგოსნის გზნებით
და მღვერის გზნებით,
ვეყე და ვთელე
მალრიბის გზები,
მაგრამ ის გზებიც
სდუმან და სდუმან.

და ასე გრძელდება დაუსრულებლივ, გრძელდება ადამიანის დაუცხრომელი მაძიებელი მისწრაფების ქიდილი გამოუცნობ საიდუმლოებასთან. დღესაც ნეცნიერება ვერ მიწვდომია ამ საიდუმლოს, ადამიანის აზრს ვერ დაუცხვრია საუკუნოვანი „წუხილი მესხთა, ძახილი მესხთა“, მაგრამ პოეტურ ფანტაზიას, მის შინაგან ხილვას, მის იმ „მეექვსე გრძნობას“, რომელსაც პოეტურ ინტუიციას უწოდებენ, სრული საფუძველი ჰქონდა პალესტინის ჯვარის მონასტერი მიეჩნია რუსთაველის უკანასკნელ თავშესაფარად, მისი მარადიული განსვენების საგანედ. და თავის ამ შინაგან ხილვას მინდობილი პოეტი სრული რწმენით ესაუბრება რუსთაველის „თეთრ აჩრდილს“:

აქ შენი მშვიდი
ნაბიჯი შეწყდა,
აქ დაწდა ცრემლი,
ხმელეთს რომ რეცხდა,
ვდგავარ შენს სახლთან,
შენს ჩაშტალ ცეცხლთან,
წუხილი მესხთა,
ძახილი მესხთა.

პოეტს წარმოუდგენია, რომ მის მაძიებელ მუზინებარებას, დიდი წინაპრის კვალის მიგნების სიხარულს თანაუგრძნობს და იზიარებს მთელი საქართველო. არა მარტო ხალხი, არამედ შორეული წარსულის უტყვი ძეგლებიც, საქართველოს ბუნებაც მღელვარე მოლოდინის გრძნობით არის აღძრული. თავისი ასეთი წარმოდგენა განუსახიერებია პოეტს ციკლის მომდევნო ლექსში „ვინ იცის, როგორ მელის ვარძია“, მკითხველის თვალწინ წარმოისახება დიდ ფიქრში და

მწველ დარღში გარინდებული ვარძია, მოლოდინის ჟრუანტელით აქგერებული სამცხის ქედები, ხერთვისი და „უთქმელ ლალადით, უთქმელ ვედრებით“ ამღერებული თმოგვის კედლები. ჩვენი ქვეყნის საამაყო წარსულის მოწმე ამ ძეგლებთან ერთად პოეტის ფანტაზიას საქართველოს ბუნებაც იმავე მოლოდინის განცდით გაუცოცხლებია და გაუსულიერებია:

როგორ მელიან მტკვარზე მერცხლები,
ნამი,
რომელიც ველის ვარდზეა...
ვინ იცის,
როგორ მელის მესხეთი,
ვინ იცის,
როგორ მელის ვარძია.

ციკლის ეს ორი პირველი ლექსი თავისებური უვერტიურაა იმ პოეტური სიმფონიისა, რომელსაც რუსთაველის „ხმების“ გადმომცემი ლირიკული ციკლი წარმოადგენს, თავისებური ექსპოზიციანა, რომელიც ემოციურად გვაზნავს იმისათვის, რომ შევიხედოთ შორეული წინაპრის სწორუპოვრად მდიდარ სულიერ სამყაროში, ვეზიაროთ მის ფიქრთა და განცდათა მოძრაობას. უკვე ამ ლექსებში მომხიბვლელად და მიმზიდველად ჟღერს ირაკლი აბაშიძისათვის დამახასიათებელი ნათელი ფრაზა, გარეგნულად მშვიდი სასაუბრო ინტონაცია, გამსჭვალული დიდი შინაგანი მღელვარებით, ღრმა დრამატიზმით. პოეტური ლექსიკაც, რიტმიც, მეტაფორული ენაც ამ ლექსებისა თითქოს კლასიკური ქართული პოეზიის ტრადიციათა რკალშია მოქცეული, მაგრამ ამასთანავე რაოდენ ახალი, ნოვატორული და თვითმყოფადია არა მარტო პოეტური ჩანაფიქრი, მთელი ამ ციკლის მასულდგმულბედი აზრი, არამედ მხატვრული გამოსახვის საშუალებათა მთელი სისტემაც. „პოეტური ტექნიკის“, ე. წ. გარეგნული ფორმის თვალსაზრისით, თითქოს პოეტი არც კი ისახავს რაიმე ორიგინალობისა და ახალი მიგნებების ამოცანას. ტრადიციულია და მრავალჯერ ნაცადი ამ ლექსების რიტმულ-მეტრული სტრუქტურა, რითმათა განლაგების კანონზომიერება. მაგრამ ლექსების კითხვისას არც ერთხელ არ ვახსენდებათ რაიმე ანალოგია, სხვა რომელიმე ქართული ლექსის მუსიკალური ენის გამოძახილი. ეს იმიტომ, რომ პოეტი საკუთარ სათქმელს, ფართო განზოგადებითი ძალის ღრმად პირადულ გრძნობებს და განცდებს განასახიერებს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და ამიტომაც განუმეორებელი ხმით, ნახატით, ფერთა შეზავებით. მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი ამ ლექსებისა არამც თუ არ არღვევს, პირიქით, ორგანულად ერწყმის თემის ინტიმურად გააზრებისა და გაშუქების ხელოვნებას. სწორედ აქედან წარმოდგება ამ

ციკლის ღრმად ადამიანური, წრფელად ამაღლებელი, ემოციურად მოქმედი ჟღერა. უაღრესად ბუნებრივი და ინტიმური ინტონაცია ამ ლექსებისა შეზავებულია ემოციურად გამძაფრებულსა და რომანტიკულად ამაღლებულ მეტყველებასთან, რომელსაც თვით პოეტური ჩანაფიქრის თავისებურება, თემატიკური მასალის ბუნება წარმოშობს. თუ რამდენად ღრმააზროვანია ამ ლექსების მეტაფორული ენა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია ჩაეწვდეთ თუნდაც ერთი იშვიათად ტევადი პოეტური სახის არსს: „აქ დაწყდა ცრემლი, ხმელეთს რომ რეცხდა“. ეს რუსთაველის ცრემლზეა ნათქვამი — მის უკვდავ პოემაში გამოხატული სიბრძნის, მწუხარებისა და სიხარულის იმ ცრემლთა მდინარეზე, რომელიც „ხმელეთს რეცხდა“ იმ აზრით, რომ წინ უძღოდა კაცობრიობას საშუალოსაუკუნეობრივი წყვილიადისაგან განთავისუფლების გზაზე. წმენდა და რეცხდა ადამიანის სულიერ სამყაროს რელიგიური ფანტიზმისა და სქოლასტიკის მანიერებათა საუკუნოვანი ნალექისაგან.

რუსთაველის გენიის სწორედ ამ გამწმენდ და განმაახლებელ ძალას ხატავს და უმღერის პოეტი ლექსების წიგნში „პალესტინა, პალესტინა!“ თავისი გენიალური ქმნილების სწორედ ამ გარდამქმნელი და განმაახლებელი პათოსით უახლოვდება და ენათესავება ჩვენი უკვდავი წინაპარი ჩვენს თანამედროვეობას. ამიტომაც თავისი შორეული წინამორბედის სულიერი სამყაროს წარმოსახვისას საბჭოთა პოეტის ყურადღებას პირველყოვლისა „ვეფხისტყაოსანში“ განსახიერებელი ის იდეები იპყრობს, რომელთა მეოხებითაც რუსთაველი ამაღლდა თავის ეპოქაზე და ხელი გაუწოდა მომავალ საუკუნეებს, ცოცხლად, ცხოველმყოფელად და დაუბერებლად შემოვიდა ჩვენს ეპოქაში. ჩვენი თანამედროვეობის სიმაღლიდან შესცქერის და აღიქვამს პოეტი წარსულის გენიას, მის აზრთა და გრძნობათა, ფიქრთა და განცდათა სამყაროს, ჩვენი ხალხის დიადი საბრძოლო იდეალების შუქით ანათებს იგი რუსთაველის რელიგიისა და ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის, სოციალური მრწამსის განმსაზღვრელ მოტივებს. ამ მოტივებზეა აგებული, მათ პოეტურ გააზრებასა და განსახიერებას მიეძღვნება ლირიკული ქორალები, რომლებიც რუსთაველის ხმების სახითაა წარმოდგენილი კრებულში. ეს „ხმები“ პოეტის შიშველი ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, ისინი „ვეფხისტყაოსანში“ გამოსახულ იდეათა თვალუწვდენელ სიღრმესა და სიმდიდრეში ციკლის ლირიკული გმირის ჩაწვდომის შედეგად წარმოიშვნენ. მაგრამ ეს წვდომა ჩვენი ეროვნული კულტურის ამ უდიდესი ძეგლის იდეური შინაარსის მარტო შესწავლას, შეცნობას, გონებისმიერ ათვისებას კი არ გულისხმობს. ასე რომ იყოს, მაშინ წრფელი პოეტური შთაგონებით აღბეჭდილი ლექსების ციკლის ნაცვლად ჩვენ მივიღებდით „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპრეტაციას, კიდევ ერთ ტრაქტატს ჩვენი კულტურ-

რის ისტორიის ამ უდიდეს თემაზე. არა! თავისი ლექსების ციკლში ირაკლი აბაშიძე ხატავს საკუთარი გულით ნაგრძნობ სამყაროს რუსთაველის სულიერი ცხოვრებისა. გადმოგვცემს პირველი პოეტური სმენით გაგონილ და უშუალოდ განცდილ გულისძვერას გენიალური მოხუცისა.

თვით რუსთაველი, აღსასრულის ეამს მიღწეული, „აწ გარდასული და სიბერის ჭირით სნეული“ რუსთაველი დგას ჩვენს წინაშე და ღაღადებს იმ ამადლებული აზრებისა და გრძნობების შესახებ, რომლებითაც მან პირველმა რენესანსის უდიდეს პოეტთა და მოაზროვნეთა შორის, გაანათა სქოლასტიკის წყვედიდით მოცული თავისი ეპოქა და ახალი კალაპოტი გაუხსნა კაცობრიობის შემდგომ სულიერ განვითარებას.

უმთავრესი აზრი რენესანსის დიდებული ეპოქისა და მისი პირველი მედროშის რუსთაველის გენიალური ქმნილებებისა იყო სწორუპოვარი შემართებით აღძრული ბრძოლა ადამიანის აზრისა და გრძნობის განთავისუფლებისათვის ფანატიზმისა და სქოლასტიკის ტყვეობისაგან, მრავალსაუკუნოვანი სულიერი მონობისაგან. ადამიანის აღორძინება, მისი გონებისა და გრძნობის შემბოჭველი დახვესებული ბორკილების მსხვერველა შეადგენდა რენესანსის ეპოქის შთამაგონებელ მაღალ ჰუმანისტურ იდეალს და სწორედ ამ იდეალისათვის ამხედრებული აზრის შერკინება მონური თაყვანისმცემლობის ბნელ ტრადიციასთან არის განსახიერებული ლექსში „ხმა ჯვარის მონასტრის გალაგანთან“. გაღვიძებული თავისუფლებისმოყვარეობის გრძნობით შთაგონებული და საკუთარ ღმერთთან გოლიათური ნებისყოფით შეჭიდებული ადამიანი მეტყველებს ამ ლექსში:

მე ჩემს გონებას,
ცნობას ვთვლიდი
ჩემს დიდ საუნჯედ,
რადგან არსთაგან
მე მებოძა
ეს საბოძველი, —
შენ მთხოვდი
თაყვანს,
მხოლოდ თაყვანს,
თაყვანს განუსჯელს,
მე მხოლოდ განსჯის,
მხოლოდ განსჯის
ვიყავ მლოცველი.

ადამიანობის უპირველეს ღირსებად, ყოველ არსთაგან ადამიანის განმასხვავებელ უპირატესობად რუსთაველს გონების ძალა, ცნობის, განსჯის ნიჭიერება მიაჩნია. შუასაუკუნეობრივ სამყაროში განუსჯელი და განუკითხავი

რწმენის მონადქცეულ ადამიანს დაკარგული ჰქონდა მისი ეს უმაღლესი ღირსება და ნიჭიერება. ევროპული რენესანსის უშუალო წინამორბედი, ჰუმანიზმის პირველი მომდერალი შოთა რუსთაველი ძლევამოსილად გამოექომაგა საუკუნეთა მანძილზე შებოჭილსა და დაძაბუნებულ ადამიანობას და მისი ჩახშობილი სულიერი ძალების აღდგენისა და თავისუფალი ამოძრავების დიდებული ჰიმნი მიუძღვნა კაცობრიობას. „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის ეს მემბოხე სულია გადმოცემული ღმერთთან შეჭიდებული ბრძენი მგოსნის სიტყვებში, რომელიც თითქოს გადასულ საუკუნეთა წიაღიდან მოესმა ჩვენი დროის პოეტს:

თუ განმაკაცე,
თუ დამადვი
თვალი სრულმქმნელის,
თუ მომეც ძალი
ხან ფრთაშესხმის,
ხან დაღონების,
მე მწადლა შენგან
სიტკბოც
ცნობის თავისუფლების,
მე მწადლა შენგან
სიხარულიც
განხმულ გონების.
(„ხმა ჯვარის მონასტრის გალავანთან“)

„ცნობის თავისუფლების“ სიტკბოსა და სიხარულის გარეშე წარმოუდგენელია სრულყოფილი ადამიანური არსებობა. ეს არის რუსთაველისეული ჰუმანიზმის ძირითადი აზრი, რომელიც მან გენიალური პოეტური ენით განასახიერა თავის მარად უქცნობ ქმნილებაში. შუასაუკუნეობრივი მსოფლიოსათვის უაღრესად პროგრესული ეს მანათობელი აზრი, უნივერსალური და გარდაუვალი ჭეშმარიტების ძალას ინარჩუნებს და იგი მანამდე არ დაკარგავს აქტუალობას და ცხოველმყოფელობას, ვიდრე ქვეყნად იწარმოებს შეურიგებელი ჭიდილი ნათელსა და ბნელს შორის, პროგრესისა და რეაქციის, მონობისა და თავისუფლების ბანაკთა შორის. ფართო და განზოგადებული გაგებით რუსთაველის მიერ აღვლენილი ეს ჰიმნი „ცნობის თავისუფლების სიტკბობისა“ ყოველგვარი ჭეშმარიტი თავისუფლებისმოყვარეობის ამაღლებულ იდეალს ემსახურება და ამიტომაც ეხმაურება იგი ქვეყნად ყველაზე უფრო თავისუფალი და პარმონიული საზოგადოებრივი წყობილების დამკვიდრებისათვის მებრძოლი ჩვენი ხალხის აზრთა და მისწრაფებათა სამყაროს.

„ცნობის თავისუფლებისათვის“ მებრძოლი აზრის ეს უღრეკი შემართება

სრულიადაც არ გულისხმობს ურწმუნოების აპოლოგიას, ყოველგვარი რწმენისაგან განდგომას. ამ კონფლიქტის მთელი დრამატიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფლებისმოყვარე ადამიანური აზრი ვერ ურიგდება ბრძა თავყვანისმცემლობას იმ ღმერთისადმი, რომელიც მას სწამს და სჯერა.

შენგან განდგომა,
ო, ჭვარცმულო,
მე რად დამბრალდა.
მაღალ მწვერვალთა სალოცავო,
ხატო ნაპრალთა,
ძლეულთ ნუგეშო,
დაერდომილთა თავშესაფარო,
მაშვრალთ იმედო,
ანთებულო ბნელში ლამპარო,
არას მქონეთა
საგანძურო,
დიდო ზაფხულო,
მიზანთ მიზანო უმალღესო,
რწმენით ნახულო.

ასეთად ესახება რუსთაველს თავისი ღმერთი და მაინც მისდამი განუსჯელ, მონურ თავყვანისცემას ეურჩება და ებრძვის მისი გონება. რაც უფრო დიდია რწმენა და ურყევია მისადმი ერთგულება, მით უფრო მეტ სულიერ გმირობას მოასწავებს წყურვილი მონური თავყვანისმცემლობისაგან თავდაღწევისა. ამ აზრს განასახიერებს რუსთაველის მომდევნო მონოლოგი: „ხმა ჭვარის მონასტერში.“

მე შენს დიდ კანონს,
დიდ განგებას
როდის გარდაველ.
როდის დაეკელ
სითბო ლოცვას,
ლოცვას მონებრივს,
მაგრამ თუ ზოგჯერ
ვერ ვუქერდი ფიქრსაც სადავეს, —
რად მომეც ნიქი,
გულისყური,
თვალი გონების.

ასე ლაღადებს პანტოკრატორის წინაშე მუხლმოდრეკილი „უკვე სამარის კარს მიმდგარი, დაღამებული“ ბრძენი მოხუცი. და მკითხველს ხიბლავს არა მარტო ადამიანობის გარდაუვალე უმალღესი იდეალის გამომხატველი ამ ღაღადისის ფილოსოფიური სიღრმე, არა მარტო რუსთაველის სულიერ სამყა-

როში წვდომის ეს ძალა, არამედ ამასთანავე ის დიდი შემოქმედებითი შემართებაც, რომლითაც ექიდება და წარმატებითაც ანხორციელებს ამ ლექსების ავტორი ურთულეს პოეტურ ამოცანას. მართლაც, როდენ დაძაბული, შთაგონებული შრომა იყო საჭირო, როგორი უტყუარი მხატვრული ტაქტი და ზომიერების გრძობა, როგორი „გარდასახვის“ ნიჭიერება, ზუსტი მიხვედრისა და მიგნების უნარი, რომ მკითხველის თვალწინ ასეთი დამაჯერებელი, ცოცხალი, ბუნებრივი ადამიანური სახით წარმომდგარიყო უწმინდესი აზრებისა და ფიქრების მლალადებელი რუსთაველი. როგორი ენით უნდა აემეტყველებინა ჩვენი დროის პოეტს თავისი შორეული წინამორბედი, რომელიც დღემდე რჩება პოეტური მეტყველების სწორუპოვარ, მიუწვდომელ და შეუდარებელ ოსტატად? როგორ უნდა მიეღწია ავტორს ისეთი ილუზიისათვის, რომ მკითხველს მართლაც რუსთაველის ღაღადისად მიეღო და მიეჩნია ეს „ხმები“, დაეჭვებინა, რომ ამ „ხმებით“ მართლაც რუსთაველი, სიტყვიერი ხელოვნების გენიალურადი ჯადოქარი მეტყველებს. აი ეს ურთულესი შემოქმედებითი სიძნელე დაიმორჩილა ირაკლი აბაშიძემ და ეს არის მისი დიდი მხატვრული მონაპოვარი. ლექსების ციკლის კითხვის დროს ერთხელაც არ ირღვევა ჩვენი აზრობრივი და ემოციური კონტაქტი რუსთაველის სულიერ სამყაროსთან, ერთხელაც არ აღგვეძვრის ხელოვნურობისა და შეუსაბამობის შთაბეჭდილება, ერთხელაც ეპვი არ გვეპარება, რომ რუსთაველს შეეძლო სწორედ ამგვარად ეფიქრა და ამგვარად ესაუბრა თავისი მაღალი აზრებისა და განცდების გამო. რა გზით მიადწია პოეტმა ასეთ სრულ მხატვრულ ილუზიას? ეს მისი პოეტური ოსტატობის ისეთი საიდუმლოებაა, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცნებათა ენით ამოხსნასა და განმარტებას. და მაინც ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გარკვევისათვის უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა შეგნებულად და სავსებით მართებულად უკუაგდო რუსთაველური შაირის იმიტაციის იოლი და მაცდუნებელი გზა. ეს გზა, ჭერ ერთი, ხელოვნურობის ჩიშხი მოამწყვდევდა მთელ ციკლს, რადგან წარმოუდგენელია რუსთაველს ცხოვრებაში ესაუბროს იმავე ენობრივ-სტილებრივი ფორმებით, რომლებითაც იგი თავის პოემას წერდა. ამასთანავე რუსთაველური შაირის ფორმა გათიშავდა ამ ლექსებს ჩვენი დროის პოეტური მეტყველებისაგან და, მაშასადამე, დაუკარგავდა მათ თანამედროვე ელერას, თანამედროვე ადამიანის სულიერ ცხოვრებასთან თანახმოვანებას, რაც პოეტის უპირველეს შემოქმედებით განზრახვას წარმოადგენდა.

ლექსების ციკლში ირაკლი აბაშიძე დგას ჩვენი თანამედროვე ეროვნული პოეტური მეტყველების ნიადაგზე, რომელიც შეიცავს კლასიკური ქართული ლექსის საუკეთესო ცოცხალ ტრადიციებსაც და ჩვენი ხალხის დღევანდელი სასაუბრო მეტყველების ნაკადსაც, ესთეტიკურად ათვისებულს და პოეტური

ენის რანგში ამადლებულს. მაგრამ რუსთაველის „ხმების“ გადმოცემები ლექსების ენობრივ ქსოვილში პოეტს დიდი ზომიერებით შეაქვს ცხოვლად საგრძნობი არქაული ელფერი, რუსთაველის პოეტური ლექსიკისა და ფრაზათა სინტაქსური წყობის ელემენტები. — „მარქვი სად ვტყუი, სად ვარ მცდარი, სად ვარ მართალი“ ან „დამამხობელმან მე საწუთრომ დამამხო, თამარი!“ ათქმევინებს პოეტი რუსთაველს. ორიოდე ასეთი ენობრივი შტრიხი ერთბაშად აღადგენს ჩვენს წარმოდგენაში „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვიერი ხელოვნების სურნელებას, მის განუმეორებელ თავისებურ ბუნებას. რუსთაველის სული ცოცხლობს არა მარტო ლექსების ციკლში განსახიერებულ აზრთა და გრძნობათა სამყაროში, არამედ ამ ლექსების ავტორის მდიდარ მეტაფორულ აზროვნებაშიც. და მაინც არსად და არც ერთ შემთხვევაში პოეტი, და მასთან ერთად მკითხველიც, ოდნაედაც არ ჰკარგავს თანამედროვეობის გრძნობას, ჩვენი დროის ყველაზე ახალ პოეტურ ფორმებს. ასე გონებაშახვილურად, ოსტატურად და შემოქმედებითად აახლოებს პოეტი ვრცელი მანძილით დაშორებულ საუკუნეებს. ასე სძლევს და გადალახავს როგორც წარსულის ნაძალადევი მოდერნიზაციის, ისე თანამედროვეობის ხელოვნური არქაიზაციის თანაბრად მანკიერ ცდუნებებსა და საშიშროებებს. ეს თანაბარი ძალით შეეხება როგორც ლექსების ამ ციკლის პოეტური ფორმის მფეროვს, ისე მათში წარმოსახული აზრებისა და გრძნობების სამყაროს.

ლექსში „ზეთისხილის ბაღში“ მოხუცი რუსთაველი თავის მაღალ პატრიოტულ იდეალს უმღერის. იგი აღიარებს, რომ „სხვა რამ არ სწამდა სამშობლოზე წმიდათა წმიდა“, რომ იგი ცხოვრების ყოველ ვითარებასაც და ბუნების ყოველ მოვლენასაც სამშობლოს კეთილდღეობის თვალსაზრისით აღიქვამდა და აფასებდა: „მნათობი შენი, საქართველო, მწამდა მნათობად, თოვდა თუ წვიმდა, მამულისთვის თოვდა და წვიმდა“. განა ყოველი დროის ჰემმარიტი პატრიოტის გრძნობა, სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების მაღალი იდეა არ არის შთამაგონებლად და ამადლეველად განსახიერებელი მის ლაღადისში:

თუ ღირს ვარ მისი,
მისთა სერთა,
მისთა ტყე-ველთა,
მისი სიმაღლის,
მისი სიღრმის,
მისი განწყობის;
გულიც და სუნთქვაც,
ყველა ნიჭი
ჩემის კაცობის
მე წმინდად დავდე
საქართველოს ხაკურთხეველთან.

სამამულო ომის მრისხანე დღეებშიც, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ვითარებებშიც საბჭოთა ხალხმა ქვეყანას უჩვენა სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების, პატრიოტული თავგანწირულების შეუღარებელი მაგალითები. სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ყველაზე სრულყოფილად საბჭოთა პატრიოტიზმის იდეაში სახიერდება. ამიტომაც პოულობს ჩვენს გულში მგზნებარე გამოძახილს სამარის პირად მდგარი რუსთაველის სიტყვები, რომლებითაც იგი მხურვალედ ლოცავს „ჩვენს მართალ მამულს, მის კლდეთა დგმას, მის წყალთა დენას“ და ათას წლებში სიცოცხლესა და ძლიერებას უნატრის „მის უკვდავ მთაბარს, უკვდავ მაჯას, მის უკვდავ ენას“. ციკლის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს, მის ნამდვილ მშვენიერებას წარმოადგენს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი მგზნებარე ჰიმნი, — „ხმა კატამონთან“. შოთა რუსთაველს, რომლის გენიალურ ქმნილებაშიც ყველაზე სრულყოფილი სახით გამოვლინდა ქართული ენის სიმდიდრე და ძალა, და, რომელმაც თავის მხრივ განუზომელად გააფართოვა და გააღრმავა ამ ენის გამომსახველობითი შესაძლებლობანი, სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

ო, ენავ ჩემო,
 დედაო ენავ.
 შენ, ჩვენი ნიპო,
 სარბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალაპო,
 შენ, პირთა ჩვენთა ტკბილო მალაპო,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ქართულ კლასიკურ მწერლობაშიც და თანამედროვე პოეზიაშიც არაერთხელ შთაგონებულად უმღერიათ მშობლიური ენისათვის, არაერთხელ დამარწმუნებლად შეუქციათ ქართული ენის იშვიათი სიმდიდრე, მოქნილობა, სიუხვე, კეთილხმოვანება, მარად დაუბერებელი მისი ბუნება. მაგრამ შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ დღემდე არავის უთქვამს ჩვენი ენის სადიდებელი ასეთი ამაღლევებელი და აღმაფართოვანებელი სიტყვა, როგორიც ირაკლი აბაშიძე მოხუც რუსთაველს ათქმევინა:

ქვესკნელში შპროპო,
 ცაში მჭვრეტელო,
 ხან ფუნჯო ჩემო, ხან საკრეთელო,
 შენ, აკენის ჰიმნო,
 ცრემლო სამარის...
 იბერის ენავ,

ენავ თამარის...
შენ, ნიკო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
ღეღაო ენავ, ღეღაო ენავ.

ენა ხალხის შემოქმედებითი გენიის უძვირფასესი მონაპოვარია, ეროვნების უპირველესი, ყველაზე გამძლე და წარუშლელი ნიშანთვისებაა. მრავალჯერ სისხლის ნიაღვრით დაფარულა საქართველოს მიწა-წყალი, ხანძარს ჩაუნთქავს მისი ყველა სიმდიდრე, გაუცამტვერებიათ მისი ყველა სიმაგრე, მაგრამ ვერავითარ ძალას ვერ მოუკლავს ქართული ენა, ვერ შეუჩერებია მისი მარადიული განვითარება და სრულყოფა, ვერ დაუჩრდილავს მისი ელვარება. ამიტომაც უღერს ჭეშმარიტი წინასწარმეტყველური ძალით რუსთაველის მიერ წარმოთქმული სიტყვები ენის უძლეველობისა და უკვდავების შესახებ.

ყოველ ნერგს იქნებ დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს იქნებ დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უკვნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს.

რუსთაველის ფართო, ყოვლისმომცველი ჰუმანიზმი თანაბარი ძალით წვდება ადამიანის მაღალი საზოგადოებრივი იდეალების სფეროსაც და მისი უაღრესად პირადი გრძნობებისა და განცდების სამყაროსაც. აკი ჩვენი ეროვნული გენია იყო სიყვარულისა და მეგობრობის, გმირობისა და ვაჟკაცობის, სიკეთისა და სინათლის უპირველესი მომღერალი აღორძინების გზაზე დამდგარი ახალი მსოფლიოსათვის. რუსთაველის აზროვნებისა და შემოქმედების ეს მხარე ირაკლი აბაშიძეს ამამაღლებელი სიყვარულის ასპექტში გაუაზრებია და ამიტომაც ლექსების ამ ციკლში სიყვარულის თემისათვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ადგილი დაუთმია: „მე ვიყავ მონა სიყვარულის და ერთმეფობის“ — აღიარებს რუსთაველი და შემდეგ ლექსში: „ხმა თეთრ სენაკში“ იგი ამგვარად გვამცნობს რაინდული სიყვარულის ცეცხლით მოცულ საკუთარ ბუნებას:

თუ ცოცხალ ვიყავ,
თუ რამ ძალა
მწამდა მოწყალის,
თუ მწამდა ლხინი,
მწამდა ცრემლი
ნიაღვარული,
მე სიყვარულით,

სიყვარულით
ვიყავ ცოცხალი,
ჩემს სუნთქვას ერქვა სიყვარული,
გულს — სიყვარული.

გულის სიღრმეებში შემძვრელად ჟღერს გოდება სამარის პირად მდგარ მობუცისა, რომლისთვისაც თამარის მზის ჩასვლა, უთამაროდ, უსიყვარულოდ და, მაშასადამე, უგულოდ არსებობა — სიცოცხლის ყოველგვარი აზრის დაკარგვას, ცხოვრებასთან გამოთხოვებას მოასწავებს. ბოროტზე კეთილის გარდუვალი გამარჯვების ნათელი, ოპტიმისტური იდეალის უკვდავი მომღერალი, ახლა თავისი სატრფიალო ცხოვრების მწვევე ღრამას დასტირის და მისი ძლევა მოსილი სულის ეს მწუხარე ამონაკენისი ისევე ამაღლებელია, როგორც დაკარგული ნესტან-დარეჯანის მაძიებელი გმირის — ტარიელის მხურვალე ცრემლები:

ახლა რაღა ვარ?
ხე დამზრალი
გაბმულ ქარებით,
ვარ კლდე დამლილი,
მე დაცლილი
ვარ საწყაული;
რათა სცემს მაჭა,
რა განგებით,
რა მანქანებით,
რით სუნთქავს სული,
რა ბუნებით,
რა სასწაულით?

ციკლის ღირსეულ ფინალს წარმოადგენს ლექსი „უცნობი მინაწერი პალესტინის ქართულ პერგამენტზე“, რომელშიც რუსთაველის გარდაცვალების სურათია წარმოსახული. ამ ლექსში ავტორი პოეტური ფერწერის შესანიშნავ ოსტატადაც გვევლინება:

ღრმად დათოვლილი ღომის ფაფარი
თეთრ საბურველად პირზე ებურა;
უნმოდ დასტოვა ესე მთა-ბარი,
შებინდების ჟამს მოკვდა მეფურად.

ან კიდევ

არრა ინდომა,
ოდნავ სველი
მილულა თვალი.

ლაწვზე ეფინა
ჩამავალ მზის
ნათელი მკრთალი.

მთელი ციკლის კითხვისას ჩვენ ვიმყოფებით პოეტის მაძიებელი შემოქმედებითი აზრის ნოვატორულ მიგნებათა და აღმოჩენათა შთაბეჭდილების ქვეშ. ამასთანავე ეს წიგნი ღრმა ფესვებითაა დაკავშირებული ქართული კლასიკური პოეზიის დიდ ტრადიციებთან. დავით გურაძისევილთან და ნიკოლოზ ბარათაშვილთან ამ ლექსებს ანათესავებს ცხოვრების მოვლენათა ფილოსოფიური გააზრების მიდრეკილება, ილია ჭავჭავაძესთან მოქალაქეობრივი პათოსი და პატრიოტული მგზნებაა, ხოლო აკაკი წერეთელთან — ყოველივე ამის გარდა — პოეტური მეტყველების სიცხადე და მაღალი სისადავე, ფრაზის ლაღი, თავისუფალი ელერა, მომხიბვლელი მელოდიურობა. ამგვარად ხორციელდება ამ კრებულში ნოვატორობისა და ტრადიციის შემოქმედებითი ურთიერთობის ის კონცეფცია, რომელიც საფუძვლად უდევს მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ პოეზიის განვითარებას.

ირაკლი აბაშიძის ლექსების ამ ახალ წიგნს ღრმა პრინციპული, ერთგვარად პოლემიკური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული პოეზიისათვის. იგი ებრძვის და უპირისპირდება, ერთი მხრივ, უსულგულო რიტორიულობას, მყვირალა დეკლარაციების, პომპეზური პანეგირიკების ყალბ ტენდენციებს და, მეორე მხრივ, უაზრო, თვითმიზნურ ლექსთა მთხზველობის, წვრილმანთემიანობის, პოზიორული „სირთულის“ და ბუნდოვანების იმ ცდუნებებს, რომელთაც ცოტა ზიანი როდი მიაყენეს ჩვენს პოეტურ კულტურას. ამ წიგნის პოეტური ხარისხი, მასში მიღწეული დონე მხატვრული ოსტატობისა უკვე მოუთმენელს ხდის იმ მდარე, უფერულ და უგემოვნო ლექსებს, რომლებიც არცთუ ისე იშვიათად ქვეყნდება ჩვენი პრესის ფურცლებზე და ცალკე წიგნებადაც კი.

„პალესტინა. პალესტინა!“ პოეტური შემოქმედების ინტელექტუალური და ემოციური, გონებისმიერი და გრძნობადი საწყისების ერთიანობის, პოეტური სურათოვნებისა და ამღერების განუყოფლობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. იგი არა მარტო პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი ბრწყინვალე ფურცელია, არამედ მთელი თანამედროვე ქართული პოეზიის, დღევანდელი ჩვენი მხატვრული კულტურის ძვირფასი შენაძენიც.

შეიძლებოდა თუ არა მოგვენახა ლექსების ამ ციკლში რაიმე ცალკეულა ხარვეზები და წვრილმანი შეუსაბამოებანი, რაიმე დარღვევანი ციკლის პოეტური კანონზომიერებისა? რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, თუ ამ ლექსებს ანატომიურად დავშლიდით და ერთმანეთისაგან გამოთიშული მათი კომპონენტების

ანალიზს მოვახდენდით ცივი გონების თვალით. მაგრამ რა ექნებოდა ამას საერთო მხატვრულ კრიტიკასთან, რომელიც ხელოვნების ქმნილების მთლიან იდეურ-ესთეტიკურ განხილვასა და შეფასებას გულისხმობს?

თემატური მასალის ისტორიულობის მიუხედავად ეს წიგნი უაღრესად თანამედროვეა თავისი პრობლემატიკით, იდეური მიზანდასახულებით, პოეტური აზროვნებით. ამ წიგნის დაწერა მხოლოდ ჩვენს დღეებში შეიძლებოდა, იმ ანალ სულიერსა და მორალურ ატმოსფეროში, რომელიც მკვიდრდება ჩვენს სამშობლოში უკანასკნელი წლების ღრმა საზოგადოებრივი ძვრებისა და გარდაქმნების ნიადაგზე. ეს ლექსები ჩვენი მწერლობის ისტორიის ამ ახალი პერიოდისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა და ამიტომაც უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები უკანასკნელი წლების ქართული პოეზიისა.

სულ შორს — შუასაუკუნეობრივი სამყაროს წიაღში აღმოცენებული „ჩემები“ უკვდავი რუსთაველისა პოეტმა სულ ახლოს მოიტანა ჩვენს გულთან, ჩვენი აზრებისა და გრძნობების სამყაროსთან, გამაცოცხლებელი სული ჩაბერა შორეული წინამორბედის აღსარებას და თავის წიგნში ეპოქათა და საუკუნეთა გადაძახილის მომხიბვლელი მუსიკა მოგვასმენინა.

„საგეოლოგიური ჩემო, შენთანაა ჩემი უიქრები“

(კარლო კალაძის ლირიკული პოეზიის შესახებ)

იმ ახალ პოეტურ ნაწარმოებთა შორის, რომლებიც ქართული მწერლობა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ეხმაურება, შემოქმედებითი ჩანაფიქრის სიღრმითა და აქტუალობით, მძაფრი პატრიოტული ელერადობით და სიტყვიერი ხელოვნების ნაწრთობი ოსტატობით გამოირჩევა კარლო კალაძის ლირიკული პოემა „ფიქრები“. მასში ფართო განზოგადების ძალით და მახვილი სოციალური გააზრებით არის წარმოსახული თურქეთში მოგზაურობის შედეგად პოეტის სულიერ სამყაროში აღძრული აზრები და გრძნობები, განცდები და განწყობილებანი.

1968 წლის აპრილში ქართველ და აზერბაიჯანელ მწერალთა დიდმა ჯგუფმა სპეციალიზირებული ტურიზმის ხაზით თურქეთში იმოგზაურა. კარლო კალაძის გარდა ამ ჯგუფში შედიოდნენ ქართველი მწერლები ალექსანდრე გომიაშვილი, იოსებ ნონეშვილი, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ფრიდონ ხალვაში, გივი გოგიჩაიშვილი, გურამ ბათიაშვილი და ამ სტრიქონების ავტორი, ხელოვნებისმცოდნეები გულნარა ჯაფარიძე და ეთერ გუგუშვილი, ქართული ენციკლოპედიის, ჩვენი პრესისა და გამომცემლობათა თანამშრომლები ეთერ კეკეაძე, მედეა ნონეშვილი, ნანული დუმბაძე და მერი პაიჭაძე. ხანმოკლე იყო ჩვენი მოგზაურობა თურქეთის მიწაწყალზე, მაგრამ ტურისტული მარშრუტისათვის გათვალისწინებული შეზღუდული დრო და სივრცე მაინც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ თვალნათლივ დაგვენახა და გვეგრძნო, რომ ჩვენ ვიმყოფებოდით ისეთ ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებული სიცხადით მოჩანს კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი სოციალური წინააღმდეგობანი და კონტრასტები, სადაც ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულ ცივილიზაციათა პლასტები თანაარსებობენ, ქვეყანაში, რომელიც დღესდღეობით ანტიკომუნიზმის ციხე-ბურჯს წარმოადგენს ევროპისა და აზიის კონტინენტების მიჯნაზე.

ყველაფერი ამაღლვებლად საყურადღებო და საინტერესო იყო ჩვენთვის ამ ქვეყანაში, — მისი ბუნებაც, რომელიც ხშირად მოგვაგონებს სამხრეთ

საქართველოს, განსაკუთრებით ჩვენი ზღვისპირეთის მომხიბვლელ ლანდშაფტებს, ისტორიულ ძეგლებსაც; ხალხის ყოფაცხოვრებაც, ხალხისა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვაგვარი რთული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიულ ბედიღბალთან.

დიდად მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო შეხვედრები თურქეთის პროგრესული ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენლებთან, მათთან პირველი კონტაქტების მოსინჯვა. გაცნობა და დაახლოვება, მათი მეშვეობით ქვეყნის მოწინავე ძალების, ხალხის ფართო ფენების მისწრაფებათა და განწყობილების გაგება. ბუნებრივია, რომ ჩვენთვის, ქართველი მწერლებისათვის ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო დაუფიქსარი შეხვედრები თურქეთში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ქართველობასთან. ქართველებს ვხვდებოდით თურქეთში ჩვენი მოგზაურობის გზებზე, ყველგან — ქალაქებსა და სოფლებში, ვხვდებოდით სხვადასხვა სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, სხვადასხვა რელიგიური რწმენის ქართველებს. მაინც განსაკუთრებით დაუფიქსარი იყო ქართველი გლეხობით დასახლებული სოფლების ნახვა, ქართულ სოფლებში გატარებული საათები, შეხვედრები და საუბრები ამ სოფლების მოსახლეობასთან, მათი ქართული მეტყველების, სიმღერების, ცეკვების, ხუმრობა-ოხუნჯობის მოსმენა და ხილვა. ამ შეხვედრებსა და საუბრებში ბევრი იყო სიხარულიც და სევდაც, სერიოზული სჯა-ბაასიც და ოცნებაც. წრფელი ცრემლებიც.

‘მეუძღვებელია’ გულის სიღრმემდე შემძვრელმა ამ შთაბეჭდილებებმა ადრე თუ გვიან რაიმე გამოხატულება არ ჰპოვოს ამ დაუფიქსარი მოგზაურობის მონაწილე ყოველი ქართველი მწერლის შემოქმედებაში. ჯერჯერობით უკვე გამოქვეყნებულა იოსებ ნონეშვილისა და ფრიდონ ხალვაშის ლირიკული ციკლები, რომელთაც დამსახურებულად ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს მკითხველთა ფართო წრეებში. კარლო კალაძის პოემა „ფიქრები“ კი უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა როგორც პოეტის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, ისე მთელი თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარებაში.

როგორც კარლო კალაძის მთელი პოეტური შემოქმედება, პოემა „ფიქრებიც“ მთლიანად და განუყოფლად არის გამსჭვალული თანამედროვეობის სუნთქვით, სიახლის გრძნობით, ჩვენი დროების საბრძოლო და შემოქმედებითი პათოსით. პოემის პირველივე სტრიქონებში ცხოვლად არის გადმოცემული საქართველოს ისტორიული ცხოვრების ახალი ეპოქის, საბჭოთა ეპოქის ნახევარსაუკუნოვანი ეპოპეის მღელვარე განცდა, განათებული მაღალი რწმენით და კანონიერი სიამაყით, პატრიოტული მგზნებარებით.

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აპა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი! —
სხვა, ჩემმა სიტყვამ, უკეთესი რა დაიქადოს...
ისე, ვით მძაფრი გულის ფეთქვა, ვით სისხლის წვეთი,
დიდი სიცოცხლის დიდი სუნთქვა წუთშეუწყვეტი —
მინდა ჩემს წიგნში ხელუხლებლად გადაიხატოს!

ეს სიტყვები შეიძლება ეპიგრაფად წაემძღვაროს კარლო კალაძის პოეტურ ბიოგრაფიას, მისი დაბადების 60 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემულ რჩეული თხზულებების დიდ ორტომეულს, რომელიც შეიცავს ყველაფერს, მართლაც რჩეულს, საუკეთესოსა და დამახასიათებელს, რაც კი პოეტმა თავისი ნახევარსაუკუნოვანი შთაგონებული, დაუღლეი შემოქმედებითი შრომით შესძინა ჩვენი ეროვნული პოეტური კულტურის უმდიდრეს და დაუშრეტელ საგანძურს.

„ხელუხლებლად გადახატული“ — ე. ი. პირუთენელი, ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლით წარმოსახული „დიდი სიცოცხლის დიდი სუნთქვა“ ცოცხლობს კარლო კალაძის ამ ორტომეულში — სწორედ გადახატული, რადგან პოეტური მხატვრობა, სიტყვიერი ფერმწერლობა, სახეთა სკულპტურული გამოკვეთა და გამოძერწვა კარლო კალაძის პოეტური ინდივიდუალობის, მისი მხატვრული ხელწერის საფუძველთა საფუძველს შეადგენს.

ნახევარი საუკუნის წინათ, საბჭოთა საქართველოს ამობრწყინების წინა დღეებში დაიწყო კარლო კალაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. თავისი აღრინდელი პოეტური ცდები, რომლებიც ხმის მოსინჯვის, ოსტატობრივი შევირდობისა და წრთობის, დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის სამზადისის ნიმუშებს წარმოადგენდა, ახლა პოეტს თავის რჩეულ ნაწარმოებთა ტომებში აღარ შეუტანია. სრულიად სამართლიანად პოეტს თავისი ნამდვილი, უკვე თვითმყოფადი, დამოუკიდებელი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისად ოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგი მიუჩნევია, ის წლები, როდესაც იგი, 18-19 წლის ქაბუკი მხარში ამოუდგა ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის დამწყებთა და ფუძემდებელთა სახელოვან პლეადას, რევოლუციამდელი პოეტური თაობის ყველაზე მოწინავე წარმომადგენელთა და თავის უნიჭიერეს თანატოლთა რაზმს.

ეს იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენებისა და ფორმირების წლები, როცა მისი საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითი ტრადიციების შემუშავებისა და დამკვიდრების პროცესი მძაფრი დიფერენციაციის, განსხვავებულ იდეურ და ესთეტიურ პოზიციათა მწვავე ურთიერთდაპირისპირების, კონფლიქტებისა და ბრძოლების, ძიებებისა და აღმოჩენების ვითარებაში მიმ-

დინარეობდა. კარლო კალაძე იმთავითვე გატაცებით ჩაება ამ ბრძოლებისა და ძიებათა ორომტრიალში. იმთავითვე მისი პოეტური ბუნების უპირველეს თავისებურებას სწორედ სიახლის გრძნობა, თავისებური, საკუთარი პოეტური სამყაროს დადგენის მისწრაფება შეადგენდა. და ეს არამარტო თემატიურ-იდეური შინაარსის, არამედ მხატვრული მეტყველების საშუალებათა სფეროშიც. მაგრამ იმდროინდელ მის ასეთ გატაცებებს არაფერი ჰქონდა საერთო ოციანა წლების ჩვენს პოეზიაში გავრცელებულ თვითმიზნურ „ორიგინალობასთან“, იდეურ მიზანმისწრაფებას, აზრობრივ შინაარსს მოკლებულ ფორმალურ ექსპერიმენტებთან. ოციანი წლების მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში კარლო კალაძე პოეზიის მაღალი იდეურობისა და ხალხურობის პოზიციებზე იდგა და მას არასოდეს არაფერი დაუწერია საზოგადოებრივი ფუნქციისაგან, მოქალაქეობრივი დანიშნულებისაგან დაცლილი და გამოფიტული. ამ მხრივ კარლო კალაძე ყოველთვის თანმიმდევრულად ერთგული იყო ჩვენი ეროვნული კლასიკური პოეზიის დიდი დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციისა, მაგრამ ამასთანავე იგი ერთ-ერთი უპირველესი მებრძოლი იყო პოეტური კულტურის იმ ღრმა განახლებისა და გაბედული გარდაქმნებისათვის, რითაც გამსჭვალული იყო ჩვენი იმდროინდელი ლიტერატურული ცხოვრების მთელი ატმოსფერო. კარლო კალაძე მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე შეუთრიაგებელი მტერი და მოწინააღმდეგე იყო ყოველგვარი მიმბაძველობისა, ეპიგონობისა, სხვისი ხმის, სხვის მიერ მიღწეულ პოეტურ ღირებულებათა განმეორებისა და გამოყენებისა. საკუთარის, ახლის ძიება შეადგენდა მისი პოეტური პიროვნების თანდაყოლილ თვისებებს და ეს მთავარი და ძირითადი გატაცება შეინარჩუნა მან დღემდე, მწერლობაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნახევარი საუკუნის მანძილზე. კითხულობთ ახლა პოეტის რჩეულ ნაწარმოებთა ვრცელ ორტომეულს, და მასში თითქოს არაფერია განზრახი „ორიგინალობისათვის“ მოგონილი და შეთხზული, ერთი შეხედვით პოეტი თითქოს ე. წ. „ტრადიციული ლექსის“ ფარგლებში ტრიალებს, მაგრამ მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი ინტონაცია, ლექსის მუსიკალური ნახატის ყოველი ნიუანსი, სახე, შედარება, რიტმული სტრუქტურა, მეტაფორა, — ყველაფერი საკუთარია, კალაძისეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ესოდენ ორგანიული მისი პოეტური და ადამიანური ბუნებისათვის და ამდენადვე ორიგინალური და განუმეორებელი ამ ცნებათა ნამდვილი გაგებითა და მნიშვნელობით.

რა ვრცელია და ყოვლისმომცველი ამ ორტომეულში წარმოდგენილი პოეტური სამყარო, რა თვალუწვდენია პოეტის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ინტერესების პორიზონტი. მკითხველის თვალწინ გადამოლილია მეტყ-

ველი პანორამა ახალი საქართველოსი, მისი მხარად უბერებელი, მრავალ
ნგრევასა და გაპარტახებას გადარჩენილი და დღეს ახალი სამყაროს მშენებ-
ლობის ნათელით გაბრწყინებული დედაქალაქით, მისი ცამდე ატყორცნილი
მთებითა და მართლაც ზურმუხტოვნად მოელვარე მინდორ-ველებით, ჩაისა
და ციტრუსოვანთა პლანტაციებით, ზვრებითა და ხილნარებით, ქარხნებითა და
ელექტრო-სადგურებით — მთელი იმ მრავალმხრივობითა და მრავალფერო-
ვანებით, რასაც შეიცავს საქართველოს სამოთხისებრივი ბუნება, ქართველი
ხალხის აღორძინებული თანამედროვე ცხოვრების მატერიალური საფუძველი
და გარემოცვა. და იშვიათი ფერადოვნებით, სიტყვიერი ფერწერის საუცხოო
ოსტატობით დახატულ ასეთ ფონზე ცხოვრობენ, მოქმედებენ, აზროვნებენ,
იღვწიან, აშენებენ, ხარობენ და ფიქრობენ ადამიანები — ჩვენი უკვდავი წი-
ნამორბედები, ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი — პოეტები და მხატვრები,
ინჟინრები და მასწავლებლები, გუდამაყრელი მწყემსები, კოსმოსურ სივრცე-
ებში გაჭრილი მფრინავები, მხვინელ-მთესველები, ბერიკაცები, მედოქეები
და მექურჭლეები, შოფრები და მალაროელები — რა რანგის, რა ასაკისა და
პროფესიის, რა მდგომარეობისა და გარეგნობის ადამიანებს არ შეხედებით,
გაეცნობით კარლო კალაძის პოეტურ სამყაროში და ყოველი მათგანი წარუ-
შლელად აღიბეჭდება ჩვენს მეხსიერებაში იმიტომ, რომ ისინი დახატული
არიან კოლორიტულად, შიგნიდან განათებულნი თავიანთი სულიერი ცხოვრე-
ბისა და გამომეტყველების განუუმეორებელი თავისებურებით.

რომელ ქართველ პოეტს არ უმღერია თბილისისათვის, რომელ მათგანს
არ გამოუხატავს დედა-შვილური სიყვარულისა და წრფელი აღტაცების
გრძნობები ჩვენი ძველისძველი და მხარად ახალი დედაქალაქისადმი, მისი რა-
ღაც უნიკალური, რაღაც საიდუმლო სილამაზისა და მომხიბვლელობისადმი.
თითქოს ათასჯერ ნამღერი და გადამღერებულია ეს თემა ქართველი, და არა
მარტო ქართველი, პოეტების შემოქმედებაში. და აი, კარლო კალაძის პოეტუ-
რი ხედვით განათებული, მისი მეტყველი კალმით წარმოსახული იგივე სამყა-
რო უკვე სრულიად ახლებურს, თითქოს პირველად ხილულისა და პირველად
განცდილის შთაბეჭდილებას წარმოშობს. პოეტი რაღაც ახალი რაკურსით,
ახალი კუთხით გაანათებს საგნებს, ერთბაშად ქმნის ისრულიად განსხვავებულ
განცდებსა და განწყობილებებს. აბა, რომელი სხვა პოეტის თვალს შეეძლო
ამგვარად დაენახა, რომელი სხვა პოეტის ცნობიერებაში შეიძლებოდა ამგვა-
რად აღბეჭდილიყო და ასეთი პანგით ამღერებულიყო ეს სურათი:

ოცნებით ცამდე ამაღლებული
არის მთაწმინდა დაღამებისას:
გაჩაღებულა მის წინ კრებული

ცისა და მიწის ვარსკვლავებისა.
მთაწმინდის მაღალ კვარცხლბეკზე მდგარი
როცა დასცქერი ანთებულ თბილისს,
დაბლა, ხმალივით ელვარე მტკვარი
ბევს როგორც ხსოვნა ომგადახდილის!

რა არის ეს „რალაც თავისებური რაკურსი“, საკუთარი პოეტური ხედვისა და განუმეორებელი, მხოლოდ ამ ხელოვანისათვის ორგანული ხმა, ჰანგი, ლექსის მუსიკალური სტრუქტურა? ეს არის ის „საიდუმლო მღერისა“, პოეტური ხელოვნების ის მართლაც და „ჯადოქრული“ ძალა, რომელიც არ ექვემდებარება ახსნას და განმარტებას, ლოგიკურ ენაზე „გადათარგმნას“ და მოდელირებას. ასე რომ არ იყოს, პოეტური ხელოვნების ყველა საიდუმლოების ბოლომდე ჩაწვდომა და სრული სიცხადით, მათემატიკური სიზუსტით ახსნა რომ შეიძლებოდეს, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა პოეტური სტანდარტების შემუშავება და მათი მზამზარეული მოდელების დაუსრულებლივ მექანიკურად განმეორება. აკი გვხვდება ხოლმე ჩვენს პოეზიაში და, სამწუხაროდ არცთუ იშვიათად ასეთი სტანდარტიზაციისა და განმეორებათა შემთხვევები, მაგრამ აკი სწორედ აქ მთავრდება პოეზია, კვდება პოეტური შთაგონება, ლექსის ნამდვილი მაგია.

არც ერთ ქართველ პოეტს ისე მდიდრად, მრავალმხრივად და მრავალფეროვნად არ წარმოუსახავს ჩვენი ზღვისპირეთი, ჩვენი აჭარისა და აფხაზეთის წარმტაცი ლანდშაფტები, ამ უმდიდრესი და უმშვენიერესი ბუნების წიაღში ცხოვრების აღორძინებისა და განახლების ღრმა დრამატიზმით აღსავსე ეპოპეა, ის სპეციფიკური ელფერი და ნაირსახეობა, რომლითაც აღბეჭდილია ამ გარემოცვაში ახალი ყოფისა და აღდამიანის ახალი ხასიათის, ახალი ფსიქიკური წყობის პროცესები. კითხულობთ ლექსების ამ ციკლებს და თითქოს გესმით ზღვის ტალღების დაუსრულებელი მიმოქცევის ხმაური, აღიქვამთ უცნაურ ფერთა მონაცვლეობის სიმფონიას. თვითონ ითქვიფებით ბუნების იდუმალ სტიქიაში, მაგრამ პოეტს არასოდეს ხელიდან არ უსხლტება მოვლენათა გააზრების სოციალური ასპექტი, აღდამიანის, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით ნაკარნახევი თვალსაზრისი. რასაც არ უნდა მოიცავდეს მისი შთაგონება — იმერეთის პეიზაჟებს, თუ ფიქრის გორის ეზოებსა და ბაღებს, რევოლუციური რომანტიკის უქრობი შარავანდვით მოსილი „ნაძალადევის“ უბნებს თუ ბალტიისპირეთის მიდამოებს, მირგოროდისა და ზუბოვკის მხარეს თუ უცხოეთის შორეულ სივრცეებს, ეპოქის დიდ სოციალურ ქარტეხილებს თუ აღდამიანის უაღრესად ინტიმურ განცდებს და გრძნობებს, ყველაფერი კარლო კალაძის პოეზიაში განათებულია თანამედროვეობის მოწინავე აღდამიანის მაღალი იდეა-

ლების შუქით. ეს იდეური ასპექტი განუყოფლად და განმსაზღვრელად თან ახლავს პოეტის თვალთახედვას. კარლო კალაძის არაფერი დაუწერია თვით-მიზნური ლექსთამთხველობისათვის, თავისთავადი ესთეტიკური ტკობისა და განცხრომისათვის ნავარაუდები. მოვლენათა ინდიფერენტული ჰერეტიკა, ნეიტრალური, გულგრილი მხატვრობა უცხოა მისი პოეტური ბუნებისათვის. მას ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ისეთი, რომელიც საზოგადოებრივ აზრსა და ფუნქციას, სოციალურ მისამართს იყოს მოკლებული. პოეტი, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, სულგანაბული ყურს უგდებს მშრომელი ქვეყნის მაჯისცემას და ქვეშაირი პატრიოტული მგზნებარებით ეხმაურება მისი ცხოვრების ყოველ მოვლენას მშვიდობიანი შემოქმედებისა თუ ომის მრისხანე წლებში. სამამულო ომის პერიოდის ქართული და მთელი მრავალეროვნული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება კარლო კალაძის ის ლექსები, რომლებშიც კავკასიონის მისადგომებთან გაჩაღებულ უმაგალითო სისხლისმღვრელ ბრძოლებში საბჭოთა მეომრების სწორუპოვარი გმირობის სურათებია აღბეჭდილი. გავიხსენოთ თუნდაც ლექსი „საარტილერიო დუელი“, რომელშიც სასიკვდილო საფრთხის წინაშე გოლიათური ძალღონითა და ქედუხრელობით აღმართული ქართველი ვაჟკაცის სახეა გამოკვეთილი:

მაგრამ სიკვდილზე უფრო მკაცრია
კაცი სიკვდილის პირისპირ მდგარი:
კვამლის ღრუბლები მკლავით გასწია
და ცად ავარდნილ ნამსხვრევთა ქარი.
...ქვემეხთ ესმოდათ მისი ქართული,
იცოდნენ, ომის ჭირშიაც ულხინს,
იდგა ღრუბლებში ხელამართული,
უბასუხებდა ქუხილით ქუხილს!

თავისი პოეტური ბიოგრაფიის პირველსავე საფეხურებზე კარლო კალაძემ გამოიჩინა მიდრეკილება ლირიკული პოეზიის ფარგლების გაფართოებისა, მის შესაძლებლობათა გამდიდრებისა, მასში ეპიკური საწყისების — აღწერილობითი და თხრობითი ფაქტორების დანერგვისა. ახალგაზრდა პოეტის ასეთი ტენდენცია — მისწრაფება აზროვნების ეპიკური ფორმებისაკენ მკაფიოდ გამოვლინდა ჯერ კიდევ პირველ ლირიკულ პოემაში „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელიც 1926 წელს არის დაწერილი. შემდეგ ეს ტენდენცია გაღრმავდა მომდევნო ციკლებში „მთების ეპოსი“ და „ხერთვისის განთიადები“, ხოლო უფრო ცხადად და მკაფიოდ მცირე მოცულობის პოემაში „ამბავი აჭარელ ამხანაგებისა“, სადაც უკვე სიუჟეტი გარკვეულ ფაბულურ კომპოზიციამა მოქ-

ცეული და სადაც მძაფრი სოციალური და ყოფაცხოვრებითი კონფლიქტები ვითარდება და ერთმანეთს უპირისპირდებიან ცოცხლად გამოხატული ადამიანური ხასიათები. ახალგაზრდა პოეტის ამ ცდებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საბჭოთა პოეტური კულტურის ფორმირების პირველი პერიოდისათვის. როგორც ცნობილია, სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში ჩვენში გავრცელებულმა ანტირევოლუციურმა დეკადენტურმა პოეტურმა სკოლებმა პრინციპულად უარყვეს და უქუთაგდეს აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას დიდი ეპიური ტრადიციები, მათ შეგნებულად და თანმიმდევრულად ზურგი შეაქციეს ცხოვრებისეულ ცოცხალ მასალას და შთაგონების ძირითად წყაროდ რეალური სინამდვილისაგან მოწყვეტილი ფანტასტიკური სფეროები მიიჩნიეს. ოციანი წლების დამდეგს ქართულ პოეზიაში მიმდინარე ღრმა იდეური ძვრები ჭერ კიდევ არ იყო განაყოფიერებული და დამკვიდრებული პოეტიკის სფეროში ასეთივე განმაახლებელი მიღწევებით, ლექსში ცოცხალი სინამდვილის კონკრეტული მასალის ფართოდ შეტანით. პროლეტარული პოეზიის უფროსი თაობის შემოქმედება კი, რომელიც ე. წ. „კოსმიური თემატიკით“ განისაზღვრებოდა, ამ მხრივ, რასაკვირველია, არაფერს მოასწავებდა ახალსა და პრინციპულად მნიშვნელოვანს. ცხოვრებაში კი, სოციალურ სინამდვილეში ჭეშმარიტად ეპოქალური მნიშვნელობის უღრმესი ძვრები მიმდინარეობდა და ეს მძაფრი მღელვარე ცხოვრებისეული მასალა დაჟინებით მოითხოვდა პოეტურ გააზრებას, მხატვრულ განზოგადებასა და წარმოსახვას. ასე იბადებოდა მოთხოვნილება ჩვენი პოეზიის ლირიკული ფორმებით ცალმხრივი შეზღუდულობის გადალახვისა, სინამდვილის პოეტური ხილვის ფარგლების განვრცობისა, პოეზიაში ეპიური აზროვნებისა და მეტყველების საშუალებათა აღორძინებისა.

კარლო კალაძის მახვილმა პოეტურმა ალლომ თითქოს ინსტინქტურად იგრძნო დროების ეს მოთხოვნა. მისი ნამდვილი წარმატება და უეჭველი მიღწევა ამ მხრივ იყო პოემა „უჩარდიონი“, რომელიც ოცდაათიანი წლების დამდეგს დაიწერა და უაღრესად ნოვატორულ მოვლენას, პირველ ნამდვილ ეპიკურ ტილოს წარმოადგენდა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. „უჩარდიონი“ თითქოს კლასიკური პოემის ტრადიციული კანონების მიხედვით არის დაწერილი, მაგრამ „დიადი გარდატეხის“ პერიოდის ჩვენი სოციალისტური სინამდვილის უჩვეულოდ დინამიური ცხოვრებისეული მასალა, უკიდურესობამდე დაძაბული საზოგადოებრივი კოლიზიები სრულიად ახლებურ ელერადობას აძლევს ამ ნაწარმოებს და განსაზღვრულ ზეგავლენას ახდენს არა მარტო მის იდეურ-თემატიკურ შინაარსზე, არამედ მის პოეტიკაზეც. ამ პოემასა და მის მიმდევრო ლირიკულ ციკლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოეტის მხატვრული ინდი-

ვიდუალობა, დადგინდა მისი ნიჭიერების სპეციფიკური თავისებურებანი. ეს სპეციფიკა, პირველ ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ კარლო კალაძე უპირატესად ხატავს და მოგვითხრობს. პოეტური აღწერილობანი, სიუჟეტური კომპოზიციები შეადგენენ მისი მხატვრული გამომსახველობის ძირითად ფორმებს არა მარტო პოემებსა და ბალადებში, არამედ ლირიკულ ლექსებშიც. ბუნებისა და სოციალური ყოფიერების ფერწერით სურათებში თუ ფაბულურ კომპოზიციებში განასახიერებს პოეტი თავის ნათელ ესთეტიკურ და მოქალაქეობრივ იდეალებს, ეპოქის მოწინავე ადამიანის აზრებსა და გრძნობებს, მის მისწრაფებათა სამყაროს. რასაკვირველია, პოეტი ჩამწყვედელი როდია რაიმე ერთი მხატვრული კანონზომიერების ფარგლებში. მის რჩეულ ქმნილებათა შორისაც კი გვხვდება სრულიად სხვაგვარი ხასიათის ლექსებიც, გვხვდება წრფელი ამღერების, ზოგჯერ აზრის უშუალოდ, ზოგჯერ პუბლიცისტური მანერით გამოთქმის შემთხვევები. მაგრამ ჩვენ ზემოთ ლაპარაკი გვქონდა კარლო კალაძის პოეტური ინდივიდუალობის მთავარ დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შესახებ, რომლებიც პოეზიის ლირიკულ და ეპიკურ საწყისთა დაახლოებისა და ურთიერთშერწყმის ტენდენციას მოასწავებენ. პოეტი გაურბის ლექსის განზრახ განაზებულ მელოდიურობას და თვითმიზნურ კეთილმზოვანებას, გაურბის ლექსის მამოძრავებელი აზრის წამოტივტივებას მხატვრული ქსოვილის ზედაპირზე. იგი პოეტური ქვეტექსტების ენას ანიჭებს უპირატესობას. თუ მისი მთელი შემოქმედებითი ცხოვრების სულსა და გულს, საფუძველთა საფუძველს პატრიოტიზმის მაღალი და ნათელი გრძნობა შეადგენს, მისი უფრო შთამაგონებელი და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი გამოთქმისათვის პოეტი ენგურისადმი მიმართული ასეთი მომწოდებელი სიტყვებით გვეხმაურება:

იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მთებიდან მოსული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!..

და მკითხველს სრულიადაც არ უძნელდება გაიგოს და ცხოველმყოფელად განიცადოს ამ პოეტური ქარაგმის მსუბუქ საბურველში გახვეული მაღალი პატრიოტული აზრი და მისწრაფება.

კარლო კალაძის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პიესა, რომლებიც თავის დროზე სხვადასხვაგვარი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის სახელობისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში. ამ პიესებზე მუშაობისას შექნილი ოსტატობა გონებამახვილურად მოფიქრებული, მძაფრ კოლიზიებზე აღმოცე-

ნებული სიუჟეტის ჩამოყალიბებისა, პოეტმა გამოიყენა პოემებში „მზე ცეცხლის კვამლში ამოდირდა“ და „მედინადი“.

ახლა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ზღურბლზე კარლო კალაძის პოეტური შემოქმედების ერთობლივი გაცნობისას ჩვენს თვალწინ წარმოდგება:

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აჰა, მთელი საუკუნის ორმოცდაათი,
ხარაჩოებში მოქცეული, როგორც პოემა —
საცაა კიდევ საზეიმოდ აღამს ცად ასწევს,
რომ მთიდან მთაზე ამომავალ მზეებს გადასცეს
სიახლე, რაც კი საქართველოს მოეპოვება.

აი ამ სიახლის მგზნებარე მეზობტე, მხატვარი და მადიდებელია კარლო კალაძე. მხოლოდ ვრცელსა და გულმოდგინე გამოვლევავშია შესაძლებელი სრული და ყოველმხრივი შეფასება და გაზომვა იმ დიდი წვლილისა, რომელიც პოეტს შეაქვს საბჭოთა ეპოქის ქართული პოეტური კულტურის განვითარებაში. ამ წერილის ფარგლებში ჩვენ ასეთ ამოცანას არ ვისახავთ. ამჯერად ჩვენ გვინდა ვესაუბროთ მკითხველს იმ ორი ლირიკული პოემის შესახებ, რომლებიც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახლანდელ პერიოდშია დაწერილი და რომლებშიც ყველაზე მკაფიოდ და ხელსახებად არის გამოვლენილი მისი მხატვრული ინდივიდუალობის უმთავრესი თავისებურებანი.

ლირიკული პოემები „მამა“ და „ფიქრები“ პრინციპული მნიშვნელობის მოვლენებია თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ორივე ამ ნაწარმოებში თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების უაღრესად მწვავე და აქტუალური საკითხებია აღძრული და მხატვრულად გადაწყვეტილი და სწორედ ამით ენათესავენებიან და უახლოვდებიან ისინი ქართული კლასიკური ლირიკული პოემის ისეთ ნიმუშებს, როგორცაა ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ღრმა გარდატეხისა და განახლების პერიოდში, მე-19 საუკუნის ოცდაათიანი წლების მიჯნაზე, როდესაც მოწინავე საქართველოს გონებასა და გულს, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მომავალი ბედ-იღბლის, სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხები, ერეკლე მეორეს მიერ გადადგმული ნაბიჯის შედეგები აღელვებდა. იმდროინდელი საქართველოს უდიდესმა პოეტმა თავის ერთადერთ პოემაში სწორედ ამ საკითხებს გასცა პასუხი, რითაც ახალი გზები და ახლებური პერსპექტივები დაუსახა ქართული საზოგადოებრივი აზრისა და ეროვნული კულ-

ტურული შემოქმედების განვითარებას. სამოციანი წლების გარიჟრაჟზე კი, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის დასაწყისში, ამ მოძრაობის ბელადმა და მედროშემ ილია ჭავჭავაძემ სწორედ ლირიკულ პოემაში „აჩრდილი“ განასახიერა სოციალური პროგრესისა და ეროვნული თავისუფლების ეპოქალური მნიშვნელობის იდეალები, მომაკვდინებლად ამხილა იმდროინდელი სოციალური სინამდვილის სიმახინჯენი და მანკიერებანი და ბრძოლისა და მოქმედების პროგრამა მისცა მთელ ეპოქას. ასეთი იყო ლირიკული პოემის ჟანრის ტრადიცია გასული საუკუნის ქართულ მწერლობაში. სამწუხაროდ, ჩვენს თანამედროვე ლიტერატურაში ხშირად ივიწყებენ და უგულვებელყოფენ ამ ტრადიციას. ლიტერატურულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდება და ცალკე წიგნებადაც გამოდის „ლირიკული პოემები“, რომელთა უმრავლესობა პოეტის ნაფიქრ-ნაგრძნობის თუ ნაოცნებარის, მისი განცდებისა და განწყობილების ზოგჯერ ნიჟიერ, მაგრამ იმდენად ქაოტურსა და მოუწესრიგებელ გადმოცემას წარმოადგენს, იმდენად დაცლილს რაიმე საზოგადოებრივი მიზანდასახულებისა და დანიშნულებისაგან, რომ შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა თუ რა უნდოდა ეთქვა ავტორს ამ ნაწარმოებით, რისთვის, რა იდეალისადმი სამსახურისათვის, რისი დამკვიდრების ან რისი უარყოფისა და აღმოფხვრისათვის წერდა პოეტი ამ პოემას.

ქარლო კალაძის პოემები „მამა“ და „ფიქრები“ გამომწვევი შემართებით უპირისპირდება და ებრძვის ყალბი ნოვატორობის პრეტენზიებით გავრცელებულ ამ მცდარ ლიტერატურულ მოდას და პრინციპული თანამიმდევრობით აღადგენს თანამედროვე პოეზიაში ჟანრის იმ კეთილშობილურ ტრადიციას, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

პოემას „მამა“ საფუძვლად უძევს ორი, ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის თანაბრად აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემა — ერთია პრობლემა ადამიანის თავგანწირული, უანგარო და ურყევი ერთგულებისა ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალისადმი, საბჭოთა ხალხის მაღალი საბრძოლო მრწამსისადმი და მეორეა პრობლემა თაობათა ურთიერთობისა საბჭოთა საზოგადოებაში, საბჭოთა ხალხის ყველა თაობის ადამიანთა განუყოფელი იდეური და სოციალური ერთიანობის იდეა.

საბჭოთა საზოგადოების სამი თაობა ცხოვრობს და მოქმედებს ამ პოემაში. ისინი პერსონიფიცირებულნი არიან თავიანთ ტიპიურ წარმომადგენელთა მხატვრულ სახეებში. მოხუცი მამა, ჰარმაგი შვილი და ჰაბუკი შვილიშვილი არიან ამ პოემის პერსონაჟები. მამა — ეს ძველი რევოლუციონერია, ქართველ ბოლშევიკთა პირველი თაობის, საქართველოში პროლეტარული რევოლუცი-

ური მოძრაობის მესვეურთა პირველი სახელოვანი კოპორტის წარმომადგენელი, რომელსაც თავგანწირულად და შეუდრეკელად უბრძოლია ცარიზმისა და ბურჟუაზიული-მემამულური წყობილების დასამხობად, ვაჟაკურად გადაუტანია ამ ბრძოლის მრავალი სიძნელე და განსაცდელი, მოსწრებია კიდეც ახალი ცხოვრების ამობრწყინებას, უშრომია მისი დამკვიდრებისა და განმტკიცებისათვის და ბოლოს მსხვერპლი გამხდარა იმ უსამართლო, გაუმართლებელი და უკანონო სიმკაცრისა, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში საბჭოთა საზოგადოების განვითარების გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. შვილი საბჭოთა ადამიანების იმ თაობის წარმომადგენელია, რომელმაც სიკბაბუეში განიცადა ცხოვრების რევოლუციურად გარდაქმნისა და განახლების სიხარული, მთელი არსებით შეიყვარა და შეისისხლხორცა ახალი ცხოვრების დიდი სიმართლე და სიკეთე, თავდადებულად იბრძოლა და იშრომა საბჭოთა სამშობლოს დიდებისა და ძლიერებისათვის და ერთგულად აგრძელებს ამ ბრძოლას დღესაც. იგი პოეტია, ჩვენი სინამდვილის კეთილი საწყისებით შთაგონებული, მაღალი რწმენით აღჭურვილი, შემოქმედი და მოაზროვნე. შვილიშვილი კი საბჭოთა ეპოქის ღვიძლი შვილია. ახალი სამყაროს მშენებლობის ატმოსფეროში დაბადებული და აღზრდილი ხელოვანი — ფუნჯისა და საქრეთლის ოსტატი, ტიპური ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტი. ერთი ოჯახის სამი თაობის ადამიანთა ურთიერთობაში პოეტი განასახიერებს საბჭოთა საზოგადოების ყველა თაობისა და ფორმაციის განუყოფელი ერთიანობის იდეას, რაც მთელი ჩვენი ხალხის საბრძოლო და მასულდგმულეხელი მიზნების ერთიანობას ემყარება, და რომელმაც განაპირობა ჩვენი ყველა წარმატება მშვიდობიან მშენებლობაშიც და უმაგალითოდ სასტიკ ბრძოლებშიც.

პოემის ეს სამი პერსონაჟი პოეტის ოჯახია: თვით პოეტი, მისი მამა და მისი შვილი. ამ ოჯახის რეალური თავგადასავალი, მისი ცხოვრების რეალური ისტორია წარმოადგენს პოემაში წარმოსახული და მოთხრობილი სიტუაციის საფუძველს. აქედან წარმოდგება ის დიდი უშუალობა, სიწრფელე და ადამიანური სითბო, რომლითაც ასე ღრმად არის გამსჭვალული ეს ნაწარმოები და რომელიც ამ პოეტური ქმნილების ემოციურ ძალას, მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას განაპირობებს. ეს შემთხვევა კიდეც ერთი დადასტურებაა იმ ჭეშმარიტებისა, რომ პოეზიაში, როგორც საერთოდ ყოველგვარ მხატვრულ შემოქმედებაში, ნამდვილი წარმატების წარმომშობ წყაროს ცხოვრებისეული სიმართლე წარმოადგენს. როცა მხატვრული ფანტაზია, პოეტის შემოქმედებითი ჩანაფიქრი უშუალოდ ნაგრძნობსა და განცდილს ემყარება და რაც უფრო მნიშვნელოვანია და განსაკუთრებული ეს ცხოვრებისეული სიმართლე, რაც უფრო მძაფრია და მწვავე ხელოვანის მიერ ნაგრძნობი და განცდილი სი-

ნამდვილის მოვლენა, მით უფრო ღრმა დრამატიზმით არის აღსავსე მხატვრული ქმნილება, იმ კეთილშობილური დრამატიზმით, რომელიც ბადებს ემოციური ზემოქმედების ძალას ხელოვნებაში.

დედაქალაქის მშფოთვარე ცხოვრების ორომტრიალში გატარებული მთელი დღის შემდეგ შინ დაბრუნებულ პოეტს (თუ ლირიკულ გმირს ამ პოემისა) გვიან ღამით დიდი ხნის წინათ დაღუპული მამის აჩრდილი გამოეცხადება:

უცებ გაწყდა წამი... და შემაკრთო წამმა —
სიბნელეში მშვიდად შემოვიდა მამა.

შემოვიდა ისევ ისე, შუბლგაშლილი,
გაზაფხულით თეთრად გაბარდნილი თითქოს,
მოიკითხა სახლი,

შვილი, შვილიშვილი,
გულს მომხვდება, ვიცი, რაც არ უნდა მკითხოს!

ჩვენ ვიცით გარდაცვლილი მამის აჩრდილის გამოცხადების შემთხვევა მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის გენიალურ ქმნილებაში. და მით უფრო დიდ შემოქმედებით გაბედულებას მოითხოვდა და დიდ რისკთანაც იყო დაკავშირებული ამ მხატვრული ხერხის განმეორება თანამედროვე პოეზიაში. კარლო კალაძის უეჭველ შემოქმედებით მიღწევად უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს თითქოს ზერეალური, თითქოს მისტიკური ხასიათის ეპიზოდი მას იმგვარად დაუმუშავებია, რომ არამც თუ მდგომარეობის რაიმე ხელოვნურობა და სიყალბე არ იგრძნობა, არამედ იქმნება რალაც ინტიმური სიტბოთი აღბეჭდილი ცოცხალი ურთიერთობის შთაბეჭდილება. ამის მისაღწევად პოეტი საოცრად სადა, წრფელი და ბუნებრივი სიტყვებით ალაპარაკებს „წიალიდან მძიმედ წამომდგარ მამას“:

რაო, ჩემო კარგო, რაო, ჩემო ყველაფ?
მეფერება მამა, ისე როგორც ერთ დროს,
არაფერი არ სურს

მე რომ დამაყვედროს,
გაეუჩიდები, ვუსმენ და მით უფრო ვღელავ.

ასე ერთბაშად მყარდება ინტიმური კონტაქტი მამა-შვილს შორის. მოხუცი აგრძელებს შვილისადმი და მისი სახით ახალი ცხოვრების მშენებელი მთელი ხალხის, ჩვენი ნათელი სინამდვილისადმი მშობლიური სიყვარულის გრძნობით გამსჭვალულ საუბარს:

კვლავაც შენ ხარ ჩემი მოშრიალე ტოტი,
ნამეხარი მუხა

არ გეგონოს გახმა,

მიწაშაე მე ამ მოლოდინით ვერთოდი,
ამ სიხარულს, ვფიქრობ, აიტაცებ აღმა!

მოხუცი მამის ამ სიტყვებში საბჭოთა ხალხის ის უტეხი ნებისყოფაა გამოთქმული, მისი ცხოვრების ის ნათელი ოპტიმისტური სული, რომელსაც ვერ ჩაახშობს ვერაფრითაღი პირადი განსაცდელი და ბედის უკუღმართობა. რადგან ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტის მაღალი მოქალაქეობრივი რწმენა და საბრძოლო იდეა მაღლა დგას ყოველგვარი პირადი კეთილდღეობის კრატერიუმზე. რა მძიმე და მკაცრი არ უნდა ყოფილიყო პირადი ხვედრი, იგი ვერ გააბოროტებდა დიდი კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლში გამობრძმედილი ლენინელის გულსა და სულს:

არ გეგონოს, დალილ გულს აღმოხდეს გმინვა,
ავკაცივით, მძვინვარ დრო-ვამს დავდო ბრალი, —
ან ისეთი რა მძულს,

ან ისეთი ვინ ვარ —

რომ დაეტოვო ქვეყნად მძულვარების კვალი!

ლენინური წრთობის მებრძოლთა ამ განუხრელობას, ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალებისადმი რწმენასა და ერთგულებას უმღერის ეს პოემა. ეს პოეტური ქმნილება სწორედ ამ შეუზღალავი ერთგულების პიმნი და საგალობელია.

რამდენი ავკაცი ცხოვრობს თანამედროვე რეაქციულ სამყაროში, რომლებიც თავგამოდებით ცდილობენ ვერაგულად გამოიყენონ საბჭოთა საზოგადოების ყოველი ნაკლოვანება, ხარვეზი, ჩრდილოვანი მხარე, დარღვევა და უკანონობა იმისათვის, რომ ჩრდილი მიაყენონ და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის თვალში სახელი გაუტეხონ ჩვენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, ჩვენს იდეოლოგიას, საბჭოთა ცხოვრების წესს. ჩვენს ლიტერატურაშიც კი იყო მისი ცალკეული ცდები, რომ გარეწართა მიერ ჩადენილი ბოროტი დანაშაულებანი გადაებრალეზინათ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი წყობილებისათვის. ყოველი ჯურის ასეთი ბოროტი ცილისმწამებლობის წინააღმდეგ მეტყველებს რწმენითა და კანონიერი სიამაყის გრძნობით აღსავსე სიტყვები მოხუცი მამისა:

აღისფერი ცაზე წარუშლელი რჩება,
ის დასტოვა ბრძოლამ და სიციცხლემ ჩემმა!
ჯერ არც ერთი ღმერთის

და ხელმწიფის კაცო

არ ყოფილა ჩემზე მედგარი და მკაცრი.
რამდენჯერაც სცადეს და უანდარმის მჯილთ
გადამაგდეს უცხო მთა-გორების იქით —

იმდენჯერმე ბორკილს გამოვსტაცე ძვალი
და ციმბირის ქარბუქს ავუჩრე კვალი.

ასე უდრეკი, ამაყი და პირნათელი დგას თანამედროვეობისა და ისტორიის წინაშე, მომავალ თაობათა სამსჯავროს წინაშე მოხუცი მამის სახეში წარმოდგენილი თაობა რევოლუციის იმ კეთილშობილი რაინდებისა, რომელთაც პირველი გაბედული იერიში მიიტანეს მონობისა და ძალმომრეობის უკუღმართ სამყაროზე და უთვალავი განსაცდელისა და მსხვერპლის საფასურით იხსნეს ჩვენი ქვეყანა საუკუნეობრივი სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან. არავის დღემდე ქართულ პოეზიაში არ შეუშმოსავს ასეთი შარვანდელით ჩვენი მებრძოლი წინამორბედების ეს პლეადა, როგორც ეს კარლო კალაძემ შეძლო თავის იმ მცირე მოკულობის ლირიკულ პოემაში. დიახ, ამ პოემის გმირის, ძველი რევოლუციონერ-ლენინელის სიტყვებით ათასგვარ ჭირსა და განსაცდელში უდრეკად გამოვლილი თაობა მიმართავს თანამედროვეობას და ჩვენს მომავალსაც:

ვიდექ მტკიცედ, მქონდა მისწრაფება წრფელი,
განთიადი იყო ჩემი დროშის ფერი!
და ვინც ფერხით დასცა ხელმწიფე და ღმერთი,
იცი კარგად, მეც ვარ იმ ათასში ერთი!
...ნურც ქადილად ჩათვლი, ნურც მოხუცის კვებნად,
თუ მგონია: ხელთ მაქვს ძველი ნატვრისთვალი,
თუ იმედით ვცოცხლობ,
სანამ თქვენ ხართ ქვეყნად,
სანამ წვდება მერმისს იმ დროშების ალი...

და ხალხი, თანამედროვე თაობა განუზომელი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობებით უპასუხებს ამ ღვაწლმოსილ წინამორბედს:

რა კარგი ხარ, მამაე, შენსას რომ არ იშლი,
ვკოცნი მე შენს თვალებს,
რა მეტყველად სდუმანი
რომ გაბედოს ვინმემ და მოგვიგოს ნიშნი,
შეთქმულივით ვიცი, შეაჩვენებ უმაღლ!

მამა-შვილის ეს დიალოგი, მიუხედავად მათი ხანგრძლივი დაშორების და ხელახალი შეხვედრის სიტუაციის უკიდურესად მძაფრი დრამატიული ხასიათისა, განათებულია დიდი სიხარულის განცდით, წრფელი აღტაცებით და განუზომელი სიყვარულით იმ მარადიული გაზაფხულისადმი, იმ განუყოფელი ნათელისადმი, რომელიც დამკვიდრებულია ჩვენს ქვეყანაში ხალხის საუკეთესო შვილთა ხანგრძლივი უმაგალითოდ გმირული და თავგანწირული ბრძოლების შედეგად:

რა დილაა, რა მზე, რა სიმღერა, დახე —
რა ოცნებით სუნთქავს გაზაფხული ჩვენი,
აჰა, მოხუც მამის
სახელი და სახე,
რა სურათი გინდა უფრო უკვეელი?

არა, ჩვენი ქვეყნის ეს დიდი გაზაფხული ადამიანთა მარტო ერთ-ერთ რომელიმე თაობას როდი ეკუთვნის. ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველ ახალ საფეხურზე აღმდინათა ახალი და ახალი თაობები თავისებურ პირობებსა და ვითარებაში აგრძელებენ, განავითარებენ და განამტკიცებენ წინამორბედი თაობის მონაპოვარს. ამიტომაც მამის შეკითხვაზე; „იმ უიღბლო დღიდან დღემდე პასუხს ველი: რას შესწირე, შვილო, ოცდაშვიდი წელი?“ შვილი სრული უფლებით პასუხობს:

ზეიმა დილის; სიმღერაა თუ მზე,
მეც ამ სურათს ვხატავ, მეც ამ სურათს ვუმზერ!
ყველა საოცრება
და ოცნება ყველა
ხეთა ფოთოლთშლა თუ ხეთა ფოთოლთცვენა,
თესვაა თუ კაფვა, თიბვაა თუ რთველი,
ფერად-ფერად მთების კალთა, მინდორ-ველო,
სულ ამ სურათზეა,
სულ ამ ცის ქვეშ, მამავ,
წარსული და აწმყო, ახალი და ძველი!

როცა ქვეყანა ფაშიზმის სისხლიან ურდოებს იგერიებდა, პოეტი საბრძოლოდ აღმაგზნებელი ლექსით ტრიალებდა ომის ქარცეცხლში:

ლექსს თუ ვწერდი მაშინ, როცა გვსპობდა ომი —
სხვა რა იყო მფეთქავ გულთან მისაწვდომი?
არ მღეროდა განა
იმ ლექსს ყველა წყვილი? —
ჯარისკაცის დედა, ჯარისკაცის შვილი....

ხანგრძლივად ერთმანეთთან დაშორებულ სხვადასხვა თაობის ამ ორ ადამიანს მთავარსა და არსებით საკითხებში ერთნაირი თვალსაზრისი აღმოაჩნდება. თუ შვილი სრული უფლებით მიიჩნევს თავს წარსულისა და აწმყოს. ახალსა და ძველის შემკვიდრედ და ბატონპატრონად, იმავე დროს მან იცის, რომ მისი ასეთი მდგომარეობა მიღწეულია მოხუც მამასთან და ჭაბუკ შვილთან გაუწყოფელი სულიერი თანაზიარობით:

და სიმღერის პირველ სიტყვად რომ არ მწამდე,
მამავ, ხელი როგორ მიმიწვდება ცამდე?!

დრო და ჟამი ნაკლულ გულს ვით ამივსებდა,
მხარს არ მიდგეს მამა, მხარს არ მიდგეს შვილი...
ღიმილივით სადღაც ღვივის ჩემი წვლილიც,
თუმც ღიმილთან ერთად მეც მაქვს ჩემი სევდა.

ხოლო, პოემის მესამე პერსონაჟს — ახალგაზრდა მოქანდაკეს თავისი ნა-
შუშევერებით აუვსია დარბაზი, ახლა ის გამხდარა ოჯახის ბურჯი, ცხოვრების
უპირველესი გმირი, რომელსაც ასევე უყვარს ქვეყნად სიმართლისა და სიკე-
თისათვის ბრძოლა, როგორც მის მამას და პაპას უყვარდათ:

ქვის ხანა ნეტავ, თუ ბრინჯაოს ხანა? —
ჩვენს დარბაზში ახლა ქვის კაცები დგანან,
სადაცაა შოვა

ამ ოჯახის ბურჯი,

- აქ ბატონობს მისი საჭრისი და ფუნჯი!
სადაცაა კიდევ დროა შეთამაშდნენ
ეგ წარბები შუბლის ზღურბლზე განაბული,
მასაც უყვარს ბრძოლა,

ვით მე და შენ, რაჟღენ,

და სიმართლევ უყვარს თვალჩაქრულად თქმული.

ლექსის კონტექსტში ასე ბუნებრივად ჩასმული მამის სახელი — რაჟ-
დენ — უკვე სავსებით რეალურსა და კონკრეტულ ბიოგრაფიულ ხასიათს აძ-
ლევს პოემაში გამოსახულ სიტუაციას და კიდევ მეტად აღრმავებს ნაწარმოე-
ბის ცოცხალ, ინტიმურ ატმოსფეროს. სიმართლისადმი თავდადებული ერთ-
გულება აერთიანებს საბჭოთა საზოგადოების ყველა თაობას, რადგან სიმართ-
ლე და სამართლიანობა არის უპირველესი საფუძველი იმ ახალი წყობილე-
ბისა, რომლის დედამიწაზე განუყოფელი დამკვიდრებისათვის იბრძოდნენ და
დღესაც იბრძვიან ხალხის საუკეთესო შვილთა თაობები. სწორედ ამ სიმართ-
ლემ იხსნა და დაიცვა უსამართლოდ შებღალული ღირსება და სახელი მოხუ-
ცი მამისა, ამ სიმართლემ აღადგინა და წამოაყენა იგი სამარადიანად:

სიმართლეა სიკვდილ-სიცოცხლეზე მძლავრი,
და მან დასდო შენს მკვლელს საბოლოო მსჯავრი
მე კი მინდა, მივსწვდე

კვლავ იმ ღიმილს, იმ ხელს —

გამართლების შემდეგ სიყვარულს რომ მიმხელს.

ეს მოალერსე ღიმილი და კეთილი ხელიც იმ დიდი სიმართლის სიმბოლი-
ური გამოხატულებაა, რომელიც თავის სრულ გამარჯვებას ზეიმობს ჩვენს ქვე-
ყანაში და რომელიც ასეთი სასწაულებრივი ძალით კურნავს და აშუშებს ცხოვ-

რების ბოროტი ძალების მიერ კეთილშობილი გულისათვის მიყენებულ ყველა წყლულსა და ტკივილს.

მამა-შვილის ამ დიალოგს, ეპოქის ყველაზე მთავარი და არსებითი აზრის გარშემო დატრიალებულ მათ საუბარს შემოესწრო ქაბუკი შეილიშვილი. ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს იმ დეტალსაც, რომ ქაბუკის შემოსვლისთანავე ერთბაშად განათდა დარბაზი და ამ სინათლის ფოკუსში ბუნებრივად მოექცნენ პოემის სამივე გმირი:

და დარბაზიც ისე გაანათა ქალმა
განიერი სარკის გამოღმა და გაღმა,
რომ ერთბაშად მოეხვდით
ერთ ჩარჩოში ახლა
ერთ ჩარჩოში ბუხრის და კარადის მალა!

აი, სინათლის ერთ რკალში ამ სამი თაობის ერთობლივი შემოკრების, ერთი ნათელით გაჩაღებულ ჩარჩოში მათი შედუღების იდეა შეადგენს ამ ნაწარმოების მთავარ პათოსს, მის მორალს, მის ფილოსოფიას. აკი სოციალიზმის შეურიგებელი მტრები საერთაშორისო რეაქციის ბანაკიდან თავის ანგარიშს იმ უბადრუკ და უსაფუძვლო იმედზე ამყარებენ, რომ შეიძლება რაიმე ბზარი გაუჩნდეს საბჭოთა საზოგადოების მთლიანობას და მონოლითურობას, შეიძლება ერთმანეთს გაეთიშონ და დაუპირისპირდნენ საბჭოთა ხალხის სხვადასხვა თაობები და ფორმაციები. სამწუხაროდ, ზოგიერთი გონებამოუმიფიფებელი ლიტერატორი არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ქადაგებდა ჩვენს ქვეყანაში თაობათა გათიშვისა და განცალკევების უსუსურ „თეორიებს“, წინა თაობათა მიერ მიღწეულისა და მოპოვებულის ნიჰილისტურ უარყოფელობას. ზოგი მათგანი კუროზულობამდე სასაცილო ზარზეიმით გაპყვიროდა ჩვენი ცხოვრებისა და ლიტერატურის სარბიელზე რაღაც განსაკუთრებული მისიით მოვლენილი ახალი „სამოციანელების“ შესახებ; ამგვარ „მოაზროვნებს“ ვერ გაეგოთ ის ნათელი ჰუმანიტება, რომ ჩვენს სინამდვილეში შეუძლებელია „მამათა და შვილთა“ იმგვარი ბრძოლების განმეორება, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის სამოციანი წლების რუსეთისა და აგრეთვე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. ის მწვავე კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომლებიც წარსულში „მამათა და შვილთა“ ბრძოლების სახელით იყო ცნობილი. არსებითად სხვადასხვა კლასების, სხვადასხვა სოციალური ფენების კონფლიქტს ასახავდა, ურთიერთმოწინააღმდეგე იდეოლოგიურ მიმართულებათა შეჯახებას წარმოადგენდა. ცხადია, ასეთი ანტაგონისტური კონფლიქტები შეუძლებელია აღმოცენდეს მსოფლმხედველობრივი, მორალური და პოლიტიკური მთლიანობით შედუღაბებულ საბჭოთა საზოგადოებაში.

თქვამს, კარლო კალაძემ ეპიგრაფად წაუმძღვარა პოემას „ფიქრები“. და მართლაც სამშობლოსთან განუყრელი თანაზიარობის, მშობელი ქვეყნის ბედ-იღბალთან, მის სასიცოცხლო ინტერესებთან სისხლხორცეული ერთიანობის განცდა და გრძნობა შეადგენს ამ ნაწარმოების ძირითად პათოსს, მის იდეურ საფუძველს. თურქეთის გრძელ გზებზე მოგზაურობისას, ამ ქვეყნის თანამედროვე ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენებისა თუ ისტორიული ძეგლების გაცნობისას, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველობასთან შეხვედრებისას, ყოველთვის და ყველგან პოეტის ცნობიერებას სამშობლოს სახე ეუფლება:

სამშობლოვ ჩემო, შენთანა ჩემი ფიქრები —
სადმე ყვავილის მოსაწყვეტად როცა ვიხრები,
შენს გარდა შენს იმ შთამოჰავალთ ბედს ვინ
არგუნებს?
არა და არა! თავს არ თვლიან მაინც ხიზნებად, —
განშორებულთა ბედნიერი დღე ესიზმრებათ,
ზღვის იქით, ახლაც ღამეებში გადაკარგულბა!

ზღვის იქით, უცხო სამყაროში, სოციალური და ეროვნული ტირანიის წყვედიადში გადაკარგულ თანამომქმეთა ბედს დასტრიალებს თავს პოეტის მღეღვარე ფიქრები, მათდამი სიყვარულითა და თანაგრძნობით, მათ მომავალზე ზრუნვით, მათთან ძმური ურთიერთობის მისწრაფებით არის შთაგონებული და გამთბარი ამ პოემაში ყოველი სტრიქონი.

საუკუნეთა განმავლობაში ისტორიული ბედის უკუღმართობის გამო დედა-სამშობლოსაგან მოწყვეტილი ქართველები სხვადასხვა რაოდენობით ცხოვრობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. სისხლიან დამპყრობელთა მიერ ტყვედ წაყვანილნი თუ მტრების მიერ მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალზე დარჩენილნი, ისინი მოკლებულნი არიან დედა-სამშობლოსთან, მშობელ ხალხთან კავშირ-ურთიერთობის ბედნიერებას. დიდძალი ქართველობა ცხოვრობს ირანში, კერძოდ ფერეიდანში — სპარსეთის მძევლად შეხის — აბას I-ის მიერ მე-17 საუკუნის დამდეგს კახეთიდან ძალდატანებით გარეკილ ქართველობის შთამომავალნი, ხოლო ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი ქართველობა იმყოფება თურქეთში, არა მარტო შავი ზღვის სანაპირო რაიონებში — ლაზისტანში, არამედ თვით სტამბოლშიც. ქალაქების ბურსასა და იზმირის მიდამოებში, თურქეთის სხვა რაიონებში.

რამდენი ქართველი ცხოვრობს თურქეთში? ამ საკითხზე გარკვეულ და ნამდვილ პასუხს, რასაკვირველია, ვერ ამოვიკითხავთ რაიმე ოფიციალურ სტატისტიკურ წყაროებში. თურქეთის მმართველი წრეების ნებისყოფით თურქეთში მცხოვრები ყოველი ადამიანი თურქად ითვლება. ამიტომ მოსახლეობის აღწერი-

სას ამ სახელმწიფოში ეროვნული კუთვნილების კრიტერიუმში სავსებით უგულვებელყოფილი და განორიცილებულია. პირადი გამოკითხვების, იქაურ ქართველებთან გასაუბრებისა და ცოცხალ შთაბეჭდილებათა შედეგად შემუშავებული ჩვენი ვარაუდით თურქეთში მოსახლე ქართველობის რიცხვი, ყოველ შემთხვევაში, მილიონზე ნაკლები არ უნდა იყოს. ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თურქეთის ქართველობა იშვიათი სისწრაფით მრავლდება. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ თუ ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისათვის რაოდენ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს უცხოეთში მცხოვრებ ამ ქართველობასთან კონტაქტების, დედა-სამშობლოსთან მათი კავშირ-ურთიერთობის საკითხს. ბუნებრივია, რომ ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალობაც და პრაქტიკული მნიშვნელობაც მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში მოიპოვა, როცა წარმოიშვა რეალური შესაძლებლობანი წარსულის ყველა ისტორიულ უსამართლობათა და უკუღმართობათა გამოსწორებისა, ყველა იმ წყლულისა და ტკივილის განკურნებისა, რაც წარსულის სისხლიან საუკუნეებს მიუყენებია ამა თუ იმ ხალხისათვის. ცხადია, აქ ლაპარაკია არა ვისთანმე რაიმე ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ, ან სამშობლოს გარეშე მცხოვრები ქართველობის აუცილებლად საქართველოში დაბრუნების შესახებ, არამედ იმ ელემენტარული სურვილისა და მისწრაფების შესახებ, რომ ყოველ პატიოსან, მშრომელ ქართველ კაცს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, თუ გულწრფელად სურს დედასამშობლოსთან კავშირ-ურთიერთობა, ქართული ენისა და ქართული კულტურის ყველა სიმდიდრითა და სიკეთით სარგებლობა — ჰქონდეს ამის უფლება და საშუალება.

თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის კარლო კალაძემ პირველმა გამოიჩინა შემოქმედებითი ინტერესი ამ დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრობლემისადმი. ჯერ კიდევ თავისი პოეტური სიჭაბუკის ხანაში დაწერა მან პოემა „ძახილი აღმოსავლეთს“, რომელმაც ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ოცინი წლების ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში და საზოგადოებრიობის ფართო წრეებშიც. მართალია იმდროინდელი „რაპული“ კრიტიკის ზოგიერთმა ნაფიცმა მესვეურმა ამ ნაწარმოებისათვის პოეტს პატრიოტიზმისა და ეროვნული გრძნობებისაკენ „გადახრა“ უსაყვედურა, მაგრამ პირუთენელი მკითხველისათვის მაშინაც ნათელი იყო და დღეს მით უმეტეს უეჭველია და უდავო ახალგაზრდა პოეტის ამ შემოქმედებითი შემართების დადებითი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

პოემის პირველსავე სტრიქონებში ნათლად იგრძნობა ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის მებრძოლი გატაცება იმ დაძაბული სოციალური კონფლიქტების ვითარებაში, რაც დამახასიათებელი იყო საბჭოთა საქართველოს ისტორიის პირველი ათწლეულისათვის:

კრულ იყოს ორგულ ვაჟაკის მკლავი,
თავისი ნიჟური დროის მგმობელი,
ვინც მტრობის გამო არ შეიყვაროს
მზით ანთებული წუთისოფელი
უფრო მწყურვალი ვსვამთ საუქუნეს,
ჟამი კი ზღვაა დაუშრობელი...
და ახლად ვაგებთ ჩვენს საქართველოს,
ჩვენც გულით გვიყვარს ჩვენი მშობელი.

ასე ორგანულად გაერთიანდა ახალგაზრდა პოეტის ცნობიერებაში მშობელი ქვეყნისადმი სიყვარული და ახალი სამყაროს მშენებლობის მაღალი რწმენა. სწორედ ამ რწმენამ უკარნახა მას დაინტერესებულყოფილი საშობლოდან გადახვეწილ თანამოქმეთა ბედით. პოეტი ეძახის ფერეიდნელ ქართველობას:

სადა ხარ ახლა, უცხო ქვეყნებში
დაგახჩიობთ სევდა გულს ნამალევი
ვინ შემოპკიბოს ვარსკვლავებივით
მშობლიურ ცის ქვეშ თქვენი თვლები?

პოეტს თითქოს მოესმის ცხრა მთასა და ცხრა მინდორს იქით გადაკარგული ძმების კვნესა, მათი გოდება დაკარგული სამშობლოს გამო, მათი ლტოლვა მშობელი ქვეყნისადმი და მღელვარედ ეხმაურება მათ გულისტკივილს.

თითქოს მოგვესმა კვნესა მრავალჯერ,
ერთმანეთი კი ვერ გვიპოვნია,
ცხრა მინდორის და ცხრა მთის გაღალმა
გვინდა გადასწვდეს გზა ფერეიდანს...
და ნუ შეგვერგოს მშობელის ძუძუ,
ოდესღაც ერთად რომ გვიწოვია, —
მკვიდრი ძმა ძალით გადახვეწილი
თუ წელარ ვიძმით ამიერიდან!

უკვე მაშინ თავისი ქვეყნის მომავალს, მის ყოველგვარ სიკეთესა და ბედნიერებას პოეტი ხალხთა ძმობის კეთილშობილურ გრძნობასთან აკავშირებდა და მთელი გულით უმღეროდა ხალხთა ურღვევი მეგობრობის კეთილშობილურ იდეას:

ამიერიდან ჩვენი იმედი
ერთა ძმობაა, ერთა ერთობა! —
სიცოცხლისათვის სხვა გზა არ არის:
ჩვენი სამშობლო ამ გზას ენდობა!

პოეტის ოცნება ის არის, რომ ქვეყნად ამომტყდარა დიადი რევოლუციური ქართველიების ეპოქაში აღმოსავლეთის ჩაგრული ხალხები და მათთან

ერთად ფერეიდანის ქართველობაც კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ:

შაინც ვეძახი მე აღმოსავლეთს,
სურვილი შაინც ერთია, ერთი —
გმირული შრომის დიდ საბრძანებელს
როცა აშენებს მთელი თაობა,
მტრულად თუ ვინმე შემოგვესევა,
უნდა აქ ერთად ავმართოთ მკერდი,
და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე
შეგვრჩეს გმირული გამბედაობა!

ეგებ არც იყოს აუცილებელი იმის განმარტება, რომ 18-19 წლის ახალგაზრდა პოეტის ჯერ კიდევ უწრთობი კალმით დაწერილ ამ სტრიქონებს აქვია მხატვრული სიღრმე, პოეტური ხილვისა და გამოსახვის მაღალი ხელოვნება. აქ ავტორი უფრო დეკლარაციის ენით მეტყველებს, ვიდრე სახეობრივი აზროვნების ისეთი საშუალებებით, რომლებიც ღრმად წვდება ადამიანის გულს და წარუშლელად აღიბეჭდება მის სულიერ სამყაროში.

ამ პოემის დაწერიდან ოთხ ათეულ წელიწადზე მეტმა დრომ განვლო და აი, თავისი შთაგონების სრული მომწიფების ასაკში, პოეტური ოსტატობის რთულ საიდუმლოებას დაუფლებული, მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილებით აღჭურვილი და მოვლენათა სიღრმეში წვდომის უნარით შეიარაღებული იგი კვლავ უბრუნდება უცხოეთში გადახვეწილ თანამომძმეთა თემას, მაგრამ ამჯერად უკვე სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში, სულ სხვაგვარ ცხოვრებისეულ მასალაზე აშუქებს მას. თუ ადრინდელ თავის პოემაში პოეტი უპირატესად განყენებული კატეგორიებით კმაყოფილდებოდა, რადგან მას მხოლოდ შორეული წარმოდგენა ჰქონდა ფერეიდანში მცხოვრებ ქართველობაზე, ახლა მისი შთაგონების წყაროს უკვე პირადად ნახული, უშუალოდ განცდილი და ნაგრძნობი სინამდვილე შეადგენს. ცხადია, ეს გარემოება კონკრეტულ რეალობას, სიცოცხლეს, ადამიანურ სიბოძს ანიჭებს ახალ პოემაში დახატულ სურათებსა და სახეებს, პოეტის მსჯელობებსა და განზოგადებებს.

„ფიქრებში“ პოეტი თურქეთის ქართველობის თემას განცალკევებულად და იზოლირებულად კი არ ამუშავებს, არამედ შთაბეჭდილებათა, განცდათა და განწყობილებათა იმ რთულ კომპლექსთან დაკავშირებით რომელსაც წარმოშობს თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ამ ერთ-ერთ უადრესად თათისებურ ქვეყანასთან პირველი შეხვედრა და გაცნობა. ამ განცდებს და შთაბეჭდილებებს ამძაფრებს და ართულებს თურქეთის თანამედროვე მმართველი წრეების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყო-

ბილებასთან, ჩვენს იდეოლოგიასთან და აგრეთვე ის რთული ისტორიული ურთიერთობანი, რომლითაც ეს ქვეყანა საუკუნეთა მანძილზე იყო დაკავშირებული საქართველოსთან.

უცხოეთის სახელმწიფოთა შორის თურქეთი ერთ-ერთი ისეთი სახელმწიფოა, სადაც ყველაზე ნაკლებად არის განვითარებული კონტაქტები საბჭოთა ქვეყანასთან, იშვიათობას წარმოადგენს დელეგაციათა ურთიერთგაცვლა, ტურისტული მოგზაურობანი, არ არსებობს საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და კულტურული კავშირის საზოგადოება, უკიდურესად შეზღუდულია საბჭოთა პრესისა და ჩვენი ლიტერატურის შედწევა, დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული ყოველგვარი ასეთი კეთილმეზობლური ღონისძიების განხორციელება, რომელიც განსხვავებულ წყობილებათა სახელმწიფოების თანაარსებობის საბჭოთა პოლიტიკას შეესაბამება. ასეთი ვითარებისაგან წარმოდგება დაძაბული სულიერი მდგომარეობა და მღელვარება, რომელსაც მოუცავს საბჭოთა პოეტი თურქეთში გამგზავრებისას და რომელიც თითქოს ლაინერის ფრთებსაც კი გადასდებიან:

ლაინერს თითქოს უკრთის ფრთები და
აენტო ჩვენი ზულისკვეთებით,
უკვე სარკმელთა ჩარჩოებიდან
სურათებივით ჩვენ ვიხედებით.
...ერთი საათი, ორი, მესამე,
ცა და ღრუბელი; ზღვა და ხმელეთი,
ჩანს ვით გაჩენის პირველ დღესავე
ასიათასი მზის სარკმელები.
ერთი საათი, ორი ქარსავით
საით, მაშ ასე გაშლილი ფრთებით?
საით ფიქრებო, საით? არსაით!
სტამბოლი, მიწა ზღვისპირად: ვსხდებით.

ამ ლაკონურ ფრაზეოლოგიაში ექსპრესიული რიტმით, თითქოს მოუწესრიგებელ ქაოტურ, ალოგიურ ფსიქოლოგიურ აღქმათა ცვალებადობით გადმოცემულია შინაგანი მღელვარება პოემის ლირიკული გმირისა, რომელიც პირველად შედის მისთვის ამ იშვიათად უცხო და უჩვეულო სამყაროში — სტამბოლში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ზღურბლზე გადამლილ ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში. აქ ერთბაშად თვალწინ გადაგეშლებათ უცნაური კონტრასტებით აღბეჭდილი სურათი, სადაც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ უკიდურესი სიმდიდრე და სიღატაკე, სილამაზე და სიმახინჯე, ულტრამოდერნული ცივილიზაცია და წარმოუდგენელი ანაქრონიზმი, პირველყოფილი პრიმიტიულობა, ჩამორჩენილობა:

ქველი სტამბოლი, ქველი სტამბოლი,
ბოლაზი ანძებაწვდილ გემებით!
შორი თავდასხმა, შორი ამბოჩი,
აღმოსავლური შემოგებებით...
...ქველი მალლობიც დარჩა მალლობად
და ქველ მეტოქედ არის ცნობილი:
წმინდა სოფიოს ტაძრის მახლობლად
მეჩეთი ლურჯი ქვით აწყობილი.
დრომ არც მსახური არ გამოცვალა
და არც ნაბიჯი ბატონ-კაცური:
მისდევს ფორთოხლით საესე ორთვალა
და ხის ქოშების ტკაცუნ-ტკაცუნი!

„ფიქრები“ მოგზაურობის მხატვრულ რეპორტაჟს როდი წარმოადგენს. მასში ნახული და განცდილი წარმოსახულია არა თანმიმდევრულად განლაგებული, ვრცელი და ნატურალურად „ამომწურავი“ ჩანახატების მეშვეობით, არამედ თავისებური სიმბოლიკური მნიშვნელობის შტრიხებით, პირობითი კონტურებით, ზოგჯერ შორეული ასოციაციებით, რომლებშიც ხელშესახებად არის გადმოცემული მოვლენათა არსი, მათი არა იმდენად გარეგანი გამოსახულება, რამდენადაც ნამდვილი შინაგანი ბუნება და ხასიათი:

თვალს მჭრიდა ქრელი ხალხის ნაკადი,
მაგრამ სხეული გზის გამთიშველი —
აქვე შენობებს ზემოთ ნახატი
თეთრ ღრუბელივით იწვა შიშველი!
შუქით ლეილას იწერდა ქუჩა,
ქრებოდა, ენთო, ისევ ქრებოდა!
ნეტავი თვალი არ დამეხუჭა —
მოსაგონებლად არ მექნებოდა...
ქველი სტამბოლი, ქველი სტამბოლი,
მიკიბ-მოკიბულ სახლების იქით...
სადღაც თუთუნის ბოლით გაბოლილ,
თაღებქვეშ ყავა ყურევიწრო კიქით!

და ამას მისდევს ნახევრად უანრული, ნახევრად გროტესკული პორტრეტი ყავახანის მფლობელი ალი ეფენდისა, რომელიც „უმზეოდ და უზეიმოდ“, ფეხმორთხმული ზის თითქოს სამუზეუმოდ გაწყობილ თავის შუშაბანდში, სადაც

ბნელში ზარმაცი ალიც ანთია,
და ამ დიდ ხუფქვეშ, ამ დიდ შუშაში —
შენი უსიტყვო ლანდი — ნარდია,
შენი ტუჩ-კბილის შუქი — ღუშაში!

ასე წარმოუდგება პოეტს უფერული და უშინაარსო, უსიტყვო და ლანდური ცხოვრება სიმდიდრის მონად ქცეული ადამიანისა, რომლის სახეშიც მახვილი სოციალური გააზრებით არის გამოსატული სრულიადაც არასახარბიელო ბედი ფაქტიურად დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ კოლონიზირებული თურქეთის თანამედროვე გაბატონებული კლასებისა.

ვერსად, მსოფლიოს ვერც ერთ სხვა კუთხეში, ვერც ერთ სხვა ქალაქში ვერ იგრძნობთ ორი კონტინენტის — ევროპისა და აზიის ისეთ უშუალო შეხვედრას, როგორც სტამბოლში. აქ ყოფნისას თითქოს ერთდროულად ცხოვრობთ დასავლეთსა და აღმოსავლეთში, სადაც იმავე ქუჩებში, რომლებზეც ღამით თვალისმომკრელი კომერციული ელექტრო-რეკლამები გაბრმავებდათ, დილით წყლისა და თევზის გამყიდველი ბიჭების შემაზრზენი კივილი გაისმის. ყველგან, ფეხის ყოველ გადადგმაზე ერთობლივად წინ გხვდებით ევროპა და აზია. ამ შენაზავებში ბევრი უცნაურობაა, მაგრამ არის ბევრი თავისებური სილამაზეც და მომხიბვლელობაც:

ეს მართლაც ქვეყნის სილამაზეა
და არა ზღვათა დაუღვერობა:
მიწის ერთ ნაპირს ჰქვიან აზია,
მიწის მეორე ნაპირს — ევროპა!
ბოსფორმა ღელვით გააულო ზღვარი,
საღლაც კი ძველი ცეცხლი ანთია —
ცად ოქროს მთვარე და ოქროს ჭვარი
სტამბოლს ერთბაშად აუმართია!

თურქეთში მოგზაურობისას სულიერად გამდიდრებთ და გზიბლავთ თურქების მიერ დამხობილი ბიზანტიის — ოდესღაც მთელი ქრისტიანული მსოფლიოს ყველაზე მოწინავე და განათლებული ქვეყნის ცივილიზაციის ძეგლთა ნაშთები და კიდევ უფრო ძველი ანტიკური სამყაროს მატერიალური კულტურის ნანგრევები — სახელგანთქმული პერგამი და ეფესი, იპოდრომები და თეატრონები, აბანოები და ბიბლიოთეკები, აკროპოლები და საკურთხევლები, ოლიმპის ღმერთთა ქანდაკებანი და იოანე ნათლისმცემლის საფლავი, სახლი, სადაც გადმოცემით ღეთისმშობელი გარდაცვლილა, ნატაძრალეები, სასახლეებისა და ციხე-დარბაზების ნანგრევები, მუზეუმები. ყოველივე ეს ოდესღაც დამპყრობელთა მახვილით დანგრეული და გაპარტახებული, მიწამიყრილი და დასამარებული, მხოლოდ ახლა ამოდის მიწის წიაღიდან. მხოლოდ უკანასკნელ დროს დაინტერესებულან თურქეთის მმართველი წრეები ამ იშვიათი სიმდიდრით და ისიც კომერციული ანგარიშობით, უცხოელი ტურისტების მისაზიდავად.

აიასოფია — მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქრისტიანული ტაძარი, ძვე-

ლი ქრისტიანული ხელოვნების ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილება დიდ ხანს მეჩეთად ჰქონიათ თურქებს გადაკეთებული და მხოლოდ ქემალ ათათურქს — თურქეთის ცხოვრების ამ სახელოვან განმაახლებელს და რეფორმატორს უქცევია იგი მუზეუმად, რომელსაც აუარებელი უცხოელი დამთვალიერებელი ეტანება ცხოველი ყურადღებითა და ინტერესით.

ქემალ ათათურქის სახელი, რომელთანაც დაკავშირებულია თურქეთში ფეოდალურ-მონარქიული ტირანიის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის პროცესი, დიდი პოპულარობით და სახალხო აღიარებით სარგებლობს. ყველგან და ყოველ ნაბიჯზე გვხვდება მისი ძეგლები, ბიუსტები, პორტრეტები, მაგრამ ამასთანავე თურქეთის თანამედროვე მმართველი წრეები გულმოდგინე თანმიმდევრობით სპობენ ქემალის პროგრესული პოლიტიკის კვალს. ჩვენ ვნახეთ ანკარის ერთ-ერთ თეატრში ცნობილი თურქი მწერლის ხოლდუნ ტანერის პიესა, რომლის მთავარი გმირი—თურქეთის მინისტრი ტრაბახობს, რომ მას შეუძლია ათათურქის ბრინჯაოს ძეგლზე დასავლეთისაგან გაშვერილი ხელი უკუღმა შემოაბრუნოს...

თავისი შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია თურქებს მეჩეთებისა და სულთანთა სასახლეების მშენებლობაში ჩაუქსოვიათ. ახლა ეს სასახლეები მუზეუმებად არის ქცეული და მათი დათვალიერებისას ცხადად თვალწინ წარმოგიდგებათ ამ ქვეყნის ისტორიის დამახასიათებელი რეალები, მისი მრისხანე მბრძანებლები, მათ მიერ გადახდილი დაპყრობითი ომები, ნადავლი სიმდიდრე. ყველაფერი ეს, მრავალი რბევისა და აწიოკების ტანჯვა-წამების, ცრემლის და სისხლის ნიაღვრების, ვნებათა ლელვის მომასწავებელი, ახლა დამცხრალი, უსიცოცხლო დუმილით და ცივი გარინდებით არის მოცული:

აქა დგას სვეტი კვლავ საჭურისივით
დგას, მაგრამ ცივი ქვა თვალს არ გვადევნებს
და თითქოს კურცხალი სცვივით სიცივით
დაბლა თმებჩამომლილ ბალის შადრევნებს.

ასეთია პოეტის უნარი სიტყვიერი მხატვრობისა, მეტაფორულ სურათში მოვლენათა არსის კონდენსირებულად გამოხატვისა.

თურქეთის მრისხანე სულთანთა სასახლეების დათვალიერებისას, გამოფენილი მრავალფეროვანი ექსპონატების გაცნობისას მრავალი მწვავე მოგონება აღეძვრის ქართველ კაცს, ჩვენი მკაცრი და სუსხიანი ისტორიის მრავალი ბედუქულმართობის განცდა ცოცხლდება მის ცნობიერებაში.

შორით რა შევატყო სულთანის გულს მე
ანდა ბნელ ვნებათა ლელვას და ხალისს...

იმ საუკუნეებს როცა კი ვუსმენ
კენესალა მომესმის ქართული ქალის!
კენესალა მომესმის... ო, ასეთ კენესას
რა გული უძლებდა, რა დრო, რა რკინა!
ვგრძნობ: სადღაც გაბზარა წარსული დღესაც
და მამაკაცობა ჩემი გაჰკილა!

ეს გულისმომკვლელი კენესაა სულთნის პარამხანაში ჩამწყვდეული, ტყვედ ან მძევლად წამოყვანილი, ან მონათა ბაზრებზე გაყიდული ქართველი ქალისა, კენესა, რომელშიც პოეტი ჩვენი ხალხის თავზე საუკუნეთა წყვილიაღ-ში დატრიალებულ ყოველგვარ სატანჯველს განასახიერებს.

საბჭოთა პატრიოტის თვალი და გული ამ უცხო სამყაროში ყველაფერს თავისი სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესების, მისი ნათელი თანამედროვე სოციალური იდეალებისა თუ ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით ხედავს და განიცდის. „ფიქრების“ ავტორს ყოველთვის და განუყრელად თვალწინ უდგას თავისი ქვეყანა, მისი დღევანდელი ცხოვრება და საუკუნეთა სიღრმეებში მომავალი ისტორიული ყოფიერება. აი, სტამბოლის ბაზრის მართლაც და ფანტასტიკური სანახაობით განცვიფრებულ პოეტს ჩვენი ეროვნული კულტურის როგორი შორეული წიაღებიდან მომდინარე ანალოგია აღეძვრის:

მე გამახსენდა მულაზანზარი,
უზარმაზარი კარიბჭე ზღვათა, —
დიდი ქარვასლა, დიდი ბაზარი
და საალაფო სხვათა და სხვათა!
მე გამახსენდა: ვახლდი ავთანდილს
და გვიამბობდა ფატმან-ხათუნი,
რომ გულანშარაც დარჩა აქამდის
ზღვის ფსკერზე ასე გადახატული.

პოეტური აღწერილობის ნაწრობი ოსტატობით წარმოსახავს პოეტი სტამბოლის ბაზრის ეგზოტიკურ სურათს, რომელშიაც სანახაობათა ჟანრული, კოლორიტული ჩანახატები განაყოფიერებულა მოვლენათა სოციალური არსისა და მნიშვნელობის ნათელი გააზრებით:

მე ვნახე ფერად შუშაბანდების
და გუმბათების ზღუდე მაღალი,
ჩოჩქოლი ახალ-ახალ ვარდების,
ვარდების ჩუმი აყალ-მაყალი
ვნახე შუადღე და შუა ბაზრის
ყაფანი უკვე ყბადალებული
მაედურის სიტყვის, მაედური აზრის
კოცონი ღიმილ-გაჩაღებული.

პოეტი აგვიწერს აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვალუწვდენი სავაქრო გზებით მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს ბაზარზე შემოზიდულ სიმდიდრესა და სიუხვეს: ფარჩეულისა და ოქროულის, ხილეულისა და ძვირფასი თვლების, ქსოვილებისა და ტყავეულის, ათასგვარი ნივთეულობის დახვავებულ გორებს:

სად იყო მაინც ამდენი დაშნა,
სათოფისწამლე და სატევარი —
რამდენი წვეთი სისხლი დააშრა,
ჰყავდა რამდენი ღამის მთევარი!..
...ახლა: სევადი, ახლა: ზარნიში,
ახლა წკრიალა ხმა საქრეთლების, —
არც არჩევანი, არც ანგარიში...
მზიზღავდა ხელი ოქრომკედლების!

სტამბოლის ბაზრის ესოდენ ცხოვლად და ფერადოვანად დახატული სურათის დამამთავრებელ სტრიქონებში პოეტის ფანტაზია კიდევ ერთხელ შორეული ასოციაციებით აკავშირებს ამ უალრესად სპეციფიკურ სამყაროს ქართველი ხალხის პოეტური გენიის მიერ შექმნილ წარმოდგენებთან:

ამიტომ იყო, სტამბოლის ბაზრის
როცა შევავლე თვალი პირველად —
ვახლდი ავთანდილს და მულაზანზარს
სტამბოლიც ჰგავდა გასაკვირველად!

და ასე ყველგან და ყველაფერში „სამშობლოვ ჩემო, შენთანაა ჩემი ფიქრები!“ განუყრელად სამშობლოსთანაა პოეტის ფიქრები, სამშობლოს სახება განუყრელად თან ახლავს პოეტის აზრთა და გრძნობათა მოძრაობას. ამ უცხო სამყაროში მოგზაურობისას მას ყოველი სანახაობა და შთაბეჭდილება თავის მშობლიურ თბილისსა და ბათუმს გაახსენებს.

ვწერ მოგზაური და ამიტომაც
თბილისის ფანჯრებქრელი ფერდობი
სტამბოლშიც ფიქრობს ცად გადმოდგომას, —
ჩემს ახირებულ თვალს თუ ვენდობი
ვწერ მოგზაური და განსხვავება
ვერ გამოვიცა ცისა და მიწის —
ღამით აავსეს ზღვა ვარსკვლავებმა,
ისევ, როგორც ბათუმმა იცის...

პოეტი მოგზაურობს თურქეთის მიწა-წყალზე და მის თვალწინ გადაიშლება უცნაური სურათები ჟამთასვლით დამხობილი ქრისტიანობის წინა ეპოქების წარმართული ცივილიზაციის ნაშთებისა და ბიზანტიის ქრისტიანული კულტურის მატერიალური ძეგლებისა:

აჰა, წარმართთა ცაღაწვდილ ტაარის
დიდება ნაცარტუტად ქცეული,
სადაც უღაბნოს ქარივით ღაძრწის
სუნთქვა — პერგამის მთას მიღწეული.

ბუნების სტიქიას თუ საუკუნეთა სიღრმეში ხალხთა ურთიერთობებისა და აწიოკების ბოროტ ძალებს, ხანძარსა და სისხლისმღვრელ ომებს უნგრე-ვიათ ეს დიდებული ქმნილებანი კაცობრიობის გენიისა:

ყველა მიწისძვრა, ყველა ლაშქრობა
ამ საკურთხეველს ემუქრებოდა,
როგორ მოასწრო სისხლმა აშრობა,
ხანძარი ხანძრით როგორ ქრებოდა.

და უეცრად შორეული ასოციაციების ძალით პოეტის ცნობიერებაში ცოცხლდება თავისი ქვეყნის გარდასულ საუკუნეთა ცხოვრების დრამატიზმით აღსავსე ეპიზოდები, როცა ასევე იწვოდა და ნადგურდებოდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომის დიდებული ნაყოფი, როცა უცხოელი დამპყრობლები დაუნდობლად ძარცვავდნენ და იტაცებდნენ ანტიკური ეპოქის საქართველოს უთვალავ დოვლათსა და სიმდიდრეს:

ვანის მთა, ვანის ქალაქი იწვის
მდიდარი, მტკიცე და უძლეველი,
ინგრევა ფუძე ცისა და მიწის,
ღმერთების დიდი საკურთხეველი!
იწვის კოლხეთი, იწვის წარსული,
ის, რაც იმედად მე დავისახე —
დაქცეულია და გაძარცული,
მიაქვთ ნავებით პერგამისაყენ!

ასე ერთიანდება პოეტის ფიქრთა სამყაროში ერთმანეთისაგან დაშორებული საუკუნეებისა და გეოგრაფიული სივრცეების განცდა.

კარლო კალაძესთან ერთად ჩვენ დაძაბული ინტერესით ვათვალიერებდით ანკარის ხეთურ მუზეუმს. ეს მუზეუმი, რამდენადაც ვიცი, უნიკალური უნდა იყოს მსოფლიოში. ჩვენთვის, ქართველი მოგზაურებისათვის იგი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თურქეთის ახლანდელ სატახტო ქალაქში — ანკარაში. ამ ქალაქში ცოტა რამ არის განსაკუთრებით საყურადღებო და დასამახსოვრებელი. რასაკვირველია, შთაბეჭდილებას ახდენს ქემალ ათათურქის ვეებერთელა მავზოლეუმი და, მისი მემორიალური მუზეუმი, მაგრამ პირველ ყოვლისა, ინტერესს იწვევს ხეთური მუზეუმი:

ქვათა სიცოცხლე და სიკვდილი ვისაც არ სჯერა, —
აპა, ხეთები! სადარბაზო ტეფერი, წარწერა.
...დგას ლომი ლომთან ტალავარში, დგას ხარი ხართან, —
წარმართი პაპა გამახსენეს და გამიხარდა!

პოეტი მთლიანად შთანქმეულია ამ შორეულ, პრეისტორიულ წინაპართა გარემოცვაში. აქ უკვე მთლიანად წაშლილი და წალეკილია ეპოქათა და სივრცეთა საზღვრები:

მცხეთის მთებიდან, ბაბილონის გავლით, ხეთამდი —
იმით კვალს მრავალ ათასი წლის წინათ ვხედავდი.

მართლაც, რა საოცარი სიციხადით მეტყველებს ანკარის ხეთური მუზეუმის იშვიათი ექსპონატები ქართველი ხალხის ნათესაობაზე თავის ამ შორეულ წინაპრებთან. რამდენი რამე გვსმენია, რამდენი მეცნიერული ჰიპოთეზა, მიხვედრები, ვარაუდები, არგუმენტები წაგვიკითხავს ამ ურთიერთობის შესახებ, მაგრამ სულ სხვაა ამ მუზეუმში წარმოშობილი ცოცხალი შთაბეჭდილებანი:

ჩვენი ნაძერწი კინკილები, ჩვენი ქურები,
ღრეობის შემდეგ ომის ცეცხლით შერუჯულები!
ვაზის მტევნებით მოხატული ღვინის ფიალა —
ლხინს და სიცოცხლეს ცად აწვდილი რომ ეტრფიალა.

ყველაფერი აქ ჩვენი ეროვნული ცივილიზაციის შორეულ ფესვებს მოგვაგონებს და ამიტომაც ასე ბუნებრივად ქლერს პოეტის სიტყვები:

ხეთამ რომ მცხეთა გამახსენოს, ან და კახეთი,
ხეთის, კოლხეთის და მესხეთის გადასახედი —
გასაგებია ჩემი წუთიც ამ გახარების —
ისე, ვით ქვაში მომწყვდეული სუნთქვა ხარების...

პოემის მთავარი თემა მანინც „სხვა საქართველოა“ — თურქეთში მცხოვრები ქართველობა. ზემოთ უკვე იყო თქმული, რომ თურქეთში მოგზაურობისას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდით ქართველობას, სხვადასხვა პროფესიის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის ქართველებს. ბევრი მათგანი მეჭლისის დეპუტატები არიან, ზოგი უმაღლეს სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე მუშაობს. ჩვენ ასეთ ქართველობას არ შევხვედრივართ. ალბათ მათთვის უხერხული და ეგებ სახიფათოც იყო ჩვენთან შეხვედრები და საუბრები. ჩვენ ვხვდებოდით უპირატესად გლეხებს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებს — ერთი სიტყვით, მშრომელ ქართველებს. ისინი მაჰმადიანები არიან, სახელი და გვარიც გამოცვლილი აქვთ, მაგრამ იციან, რომ ქართველები არიან, ამაყობენ კიდევ თავიანთი ქართველობით, გულში უღვივით ეროვნული გრძნობა. „მართალია,

რჯული სხვა გვაქვს, მაგრამ სისხლი და სული თქვენი გვაქვსო“, — გვეუბნებოდნენ ისინი, მწვავედ განიცდიან კიდევ, რომ სამშობლოს (რომელსაც ისინი „მემლექეთს“ ეძახიან) სავსებით მოწყვეტილი და დაშორებული არიან. მართლაც, მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვთ თანამედროვე საქართველოს ცხოვრებაზე, ისიც კი არ გაუგიათ, რომ ჩვენ 1966 წელს რუსთაველს იუბილე გადავუხადეთ. ავტობუსში შემთხვევით შეხვედრილმა ერთმა ქართველმა გვიამბო: წუხელ ბავშვებს მთელი ღამე არ უძინიათ, თურქულ გაზეთში წაიკითხეს, საქართველოში შიმშილობენო და ცსარედ ტიროდნენ, მამა, რაიმე შევადგროვოთ და გავუგზავნოთო. ისინი ხომ ჩვენი ძმები არიანო, ესვეწებოდნენ თურმე ბაღლები. ჩვენ კარლო კალაძეზე მივუთითეთ და ვუთხარით: „აი, შეხედეთ შიმშილისაგან როგორი გამხდრები და გაძვალტყავებული არიან ქართველები“. შემოგვჩიოდნენ, რომ საქართველოდან არაფერი ესმით. — როცა ტრაპეზუნდში ვცხოვრობდით, თქვენი რადიოს ხმა მაინც გვესმოდა, ახლა აქ, სტამბოლში, ისიც ვეღარ აღწევდეს ჩვენამდეო, — გვითხრა ერთმა ქართველმა და გვთხოვა: — ცოტა ხმამალა დაიყვირეთ რადიოშიო — ეგებ გავიგონოთ რამეო და თანაც დასძინა: მაშინაც კი, როცა თბილისიდან რადიო-გადაცემის მოსმენა მოგვიხერხდება, გვიჭირს გაგება — „ძალიან ცქვიტად“ ლაპარაკობთო და გვთხოვა, ცოტა დინჯად ილაპარაკეთ რადიოშიო.

უპირველესი სასიხარულო შთაბეჭდილება, რაც ჩვენ თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრებისაგან მივიღეთ, ის არის, რომ მათი დიდი უმრავლესობა ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე, ქართულ ენაზე ან ლაზურ დიალექტზე. ქართულ სოფლებში წესად აქვთ, რომ ქალიშვილები მხოლოდ ქართველს მიათხოვონ და რძალადაც ოჯახში ქართველი ქალი მოიყვანონ. სწორედ ამ გზით ინარჩუნებენ ისინი ქართულ ენას. უნდა აღინიშნოს, რომ მეზობელ სოფლებში მცხოვრები თურქები პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან ქართველებს, ჩვენთან საუბარში დიდად აქებდნენ მათ ვაჟკაცობას, პატიოსნებას, სტუმართმოყვარეობას, შრომისმოყვარეობას.

ყოველივე ეს ბადებს შთაბეჭდილებას, რომ არსებობს „სხვა საქართველო“:

სხვა საქართველო სად არის — აჰ, ვახედე მთაგორებს —

ხან რომ თან მოგდევს გზადაგზა, ხან რომ სიშორით გაღონებს.

ხედავ? ხეს ვაზი ეხვევა, დგას ოდა-სახლი, ნალია,

და კერის პირად ბავშვების ქართულიც ჩაუშქარლია.

მართლაც, ბურსას მიდამოებში მოსახლე ქართველების სოფლები დიდად წააგავს საქართველოს, კერძოდ აჭარის მთიანი რაიონების სოფლებს. ბევრ მათგანს სახელებიც ქართული აქვთ შერქმეული. ჩვენ ვიყავით სოფელ მაჭახელაში და იქ მისვლისთანავე ნამდვილად „სხვა საქართველო“ წარმოგვიდგა თვალწინ:

არა, ძილშიაც არ გვინატრია —
მოულოდნელი თვალთგახელაა:
სოფელს გაეხედეთ დილაადრიან,
სოფელი თურმე მაქახელაა!
შინ როცა სტუმრად მიგვიპატიუეს,
დაიასახლისიც დაგვეხედა თავაზით:
გარს ესვეოდა ჭგუფად ხატიჩეს
შთამომავლობა ოსმან თავაძის.

ეს ხატიჩე — „ცხრა შვილის დამშვენებელი“ დედაა. ამ სოფელში რვა და შვიდშვილიანი ოჯახი ჩვეულებრივი მოვლენაა. მშობლიურ ენასთან ერთად აქაურ მოსახლეობას ქართული გამომეტყველებაც, ეროვნული თეირიც შეუენარჩუნებია. შეუძლებელია წრფელი სიხარულისა და აღტაცების გარეშე უცქირო ამ ხალხს, განსაკუთრებით ამ მშვენიერ ახალგაზრდობას:

სწორედ მესამე საუკუნეა
ვნატრობ ამ ბიჭის სახეს დიდებულს,
მორცხვად რომ თავი ჩაულუნია
ღედის კალთაზე ხელჩაკიდებულს.
სწორედ მესამე საუკუნეა
ამ გოგონების მზერას დავეძებ
და საგანგებოდ ასე მგონია
აქ დამახვედრა ოსმან თავაძემ.
ლამის მუხლებზე დავეცე მგზავრი,
დავლოცო მინდა ჩემი გზა-კვალი,
ჩემს გულს ხატიჩემ აპყარა ჭავრი —
ველავეც კერის წინ უღვას აკვანი.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ფიქრები“ თურქეთში ჩვენი მოგზაურობის პოეტურ რეპორტაჟს როდი წარმოადგენს. მასში პოეტი ისწრაფვის ამ მოგზაურობისას ხილული და განცდილი მხატვრულ ხარისხში აიყვანოს, განაზოგადოს, პოეტურად გაიზაროს, თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრის შესაბამისად გარდაქმნას და გადაამუშაოს. ბურსის მახლობლად მდებარე ქართულ სოფლებში ჩვენი მოგზაურობისას იყო ერთი ასეთი დაუვიწყარი ეპიზოდი: ერთ პატარა დაბაში ვიდექით და ანკარიდან ბურსისკენ მიმავალ ავტობუსს ველოდებოდით. უეცრად 11—12 წლის მომხიბვლელი გარეგნობის, ნამდვილი ქართული გამომეტყველების ბიჭუნა მოგვიახლოვდა. მას ყური მოეკრა ჩვენი საუბრისათვის, გაეგო, რომ ქართველები ვიყავით და აღტაცებულმა გვითხა: „გურჯები ხართ? მეც გურჯი ვარ“ — შეგვძახოდა და გვეხვეოდა, გვეალერსებოდა, გვეკონიდა. გვეპატიუა კაფე-რესტორანში, სადაც იგი ჰურკლის მრეცხავად მუშაობდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვეუხერხულა, რომ ამ პა-

ტარა ბიჭის დაბატოებით ეცხადებლა. მან მოვიბოდიშა, რომ ქართულს კარგად ვერ ფლობდა. ნენაი მასწავლიდა ქართულს, მაგრამ, როცა ნენაი მოკვდა, მას შემდეგ ქართულს არავინ მასწავლისო, — გულდაწყვეტით შემოგვიჩვენა ბიჭუნამ. ვიდრე ჩვენი ავტობუსი მოვიდოდა, იგი არ მოგვცილებია, გვესაუბრებოდა, გვესიყვარულებოდა, როცა საჭირო ქართული სიტყვის მოძებნა გაუჭირდებოდა, დახმარებისათვის თარჯიმანს მიმართავდა — ჩვენს თანამგზავრ ქართველს, რომელმაც თანაბრად იცოდა ქართულიც და თურქულიც. როდესაც ავტობუსში ავდიოდით, უეცრად ამ ბიჭუნამ ყოველ ჩვენთაგანს თითო პატარა ქილა მაწონი შემოგვაჩენა ხელში, ყველანი სათითაოდ დაგვკოცნა და ასე დაგვემშვიდობა. გულის სიღრმემდე შეგვძრა ამ მოულოდნელმა და უცნაურმა შეხვედრამ. მართლაც რა გრძნობაა ეს ეროვნული გრძნობა. რა ძალა აქვს მას, რატომ ღვივის იგი ამ პატარა ბიჭის უმანკო გულში, რომელსაც თვალთ არ უნახავს თავისი სამშობლო, არც „მამლექეთიდან“ მოსული არავინ შეხვედრია და არც არაფერი წაუყუთხავს საქართველოს ისტორიისა თუ დღევანდელი ცხოვრების შესახებ?! ამ ეპიზოდმა თავისებური ანარეკლი ჰპოვა კარლო კალაძის პოემაში:

შეკრები კაცი, იფიქრებ: მომკლას ამ აღმოჩენამა, —
„ცოტლა სიტყვა მასწავლა სასიყვარულოდ ნენამა...“

ასეთია ცხოვრებისეული მასალის პოეტური დეფორმაციის ხელოვნება. გვიან ღამით ვბრუნდებოდით მაჭახელადან. მთელი სოფელი უინჟილებით, ღვარნებით, სანთლებით მიგვაცილებდა დიდ მანძილზე. წვიმაც წამოგვეწია, მასპინძლებს არ ვეთმობოდით, მაგრამ მეტი იქ დარჩენა აღარ შეგვეძლო. ამ დაუვიწყარი შეხვედრის ფინალიც, ღამის სიბნელეში გზის გაგნების ეს ეპიზოდიც ასახულია „ფიქრებში“:

თუმცა არ მომწონს თქვენი ფერ-წალი,
თქვენს ამ საღამოს არ ვემღერები, —
ვხედავ არ ცვივა წყალს ნაპერწკალი,
არ დაგვნათიან ელნათურები...

თურქეთის ქართველობასთან ყოველი შეხვედრისას ბუნებრივად ვეებადებოდა ოცნება და ნატვრა, რომ ამ ხალხს სწორი ცოდნა და წარმოდგენა ჰქონდეს საქართველოზე, ქართველი ხალხის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაზე, რომ ჩვენ თანამომძიებებს დაანახა ჩვენი ხალხის გმირული შრომით აღორძინებული სამშობლო. სწორედ ეს ოცნებაა გამოხატული პოეტის დიალოგში ჰასან კურტანიძესთან:

ნეტავ განახა, როგორ დაიწყო
ჩვენი ბრწყინვალე ათასწლეული, —
ნეტავ განახა „აქარის წყალი“
განმანათლებელ შუქად ქცეული
ნეტავ განახა მთების გულშეკრდი,
სავსე ნარინჯის ოქროს მედლებით,
ნეტავ განახა, ჩვენს ახალ დღეებს
თუ როგორ სკედენ ჩვენი მშვედლები.

შეუძლებელია უცხოობაში მცხოვრებ თანამოქმედებთან შეხვედრებს' ქართველი საბჭოთა პატრიოტის გულში არ აღეძრას მღელვარე განცდები, სურვილი მოქმედებისა, ცხოვრების ერთფეროვანი მდინარების შეცვლისა, „ამ მაჰახელადან იმ მაჰახელამდე“ სიტყვის გადაწვდენისა, ძმური ურთიერთკავშირის დამყარებისა, ამ ოცნებით და მისწრაფებით არის შთაგონებული „ფიქრების“ ის სტრიქონები, რომლებშიც გადმოცემულია პოეტის საუბარი თურქეთის მაჰახელას სოფლის თავკაც მამედთან:

მაშ კიდევ რამდენი სამასი წელი
ვუცადოთ სვე-ბედი თუ რას გვიპირებს!
სათიბზე აქ ყოველ წელს ელავს ცელი,
სათიბი მაინც ბიბინებს, ბიბინებს...
მაშ თავი არ დავდო? მაშ არ ვღელავდე?
ცად ისე ხალისი რად აღმიტაცებს?!
ამ მაჰახელადან იმ მაჰახელამდე
სიტყვა რად გავუბი ჩემს სახლიკაცებს?!

საბჭოთა ადამიანის ყოველი მაღალი ოცნება და მისწრაფება, მათი ხორც-შესხმის პერსპექტივა დაკავშირებულია ახალი სამყაროს იმ უქრობ ნათელთან, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დიდი ლენინის უკვდავ პიროვნებაშია განსახიერებული. ამიტომაც, „ფიქრების“ საუკეთესო სტრიქონები სწორედ ვ. ი. ლენინის ყოვლისმძლე გენიისადმია მიძღვნილი. ეს მით უფრო ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ პოეტის მოგზაურობა თურქეთში სწორედ აბრისის იმ დღეებს დაემთხვა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების თარიღად არის შესული კაცობრიობის ისტორიაში. ხოლო თვით პოემა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის საუბილყო ვითარებაში იწერებოდა. ყოველ საბჭოთა ადამიანს შეუძლია სრული უფლებით გაიმეოროს ის სიტყვები, რომლებშიც ვ. ი. ლენინის დიად პიროვნებასთან ყოველი ჩვენგანის განუყოფელი ერთიანობის აზრია განსახიერებული:

მისი უქრობი ცეცხლი მეცა ვარ,
მისი ნაპერწყლის მეთასვლი!

ვერც ერთ მწვერვალზე ისე ვერც ავალ,
დღეს რომ არ მქონდეს რწმენა ასეთი.
ჩვენი მარჯვენაც ხალხის მოძაველ .
ბრძოლისთვისაა გადარჩენილი...
მე ვიცი მისი სუნთქვა რომა ვარ —
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს ლენინი!

ეს სტრიქონები ქართული პოეტური ლენინიანის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. და ასეთივე მაღალი იდეური ჟღერის სიტყვებით მიმართავს პოეტი „ფიქრების“ დამამთავრებელ პასაჟში ჩვენი საბჭოთა სამშობლოს დედაქალაქს მოსკოვს, რომლისკენაც რწმენით, იმედით და სასოებით არის მიპყრობილი ჩვენი ეპოქის ყოველი მოწინავე ადამიანის თვალი და გული:

მრავალ მილიონ გულის დატევო,
და ვარსკვლავების დიდო ქალაქო.
მრავალ უძილო ღამის გამთელო,
კვლავაც გვაქვს შენთან სალაპარაკო.
ჩვენი იმედი კვლავაც შენა ხარ, —
ჩვენი ცა სადმე თუ დაიბინდა,
ჩვენი სიცოცხლის გადარჩენა ხარ, —
და შენს მკლავებზე დავეშვათ მინდა.

ლენინი, მოსკოვი, — ახალი, თავისუფალი და დემოკრატიული მსოფლიოს, დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი და ჰუმანური წყობილების გამარჯვების რწმენის განმასახიერებელი ამ სახელებით არის განათებული პოემაში გამობრუნებული რთული, თანაც სასიხარულო და თანაც ნაღვლიანი ფიქრების სამყარო. ეს ამაღელვებელი, გულის სიღრმემდე შემძქრელი პატრიოტული სიმფონია მთავრდება ისევე და ისევე სამშობლოსადმი მიძღვნილი, დედაშვილური სიყვარულისა და ერთგულების გამომთქმელი სტრიქონებით:

თერთმეტი დღის და უვარსკვლავო თორმეტი ღამის,
მუხლმოუყრელი მოგზაური ბურსის, პერგამის,
სტამბოლისა და სასულთანო კარის მნახველი
ყოველთვის, როცა საოცნებო დროს ხელთ ვიპყრობდი,
ჩემო სამშობლოვ, განუყრელად შენზე ვფიქრობდი,
შენა ხარ ჩემი სიხარული, ჩემი ნაღველი.

სიხარულისა და ნაღველის — ამ თითქოს ურთიერთგამომრიცხველი გრძნობებით და განცდებით ვიყავით ჩვენც მოცულნი, როცა ამ ქვეყანას ვემშვიდობებოდით. დიდი სიხარული იყო ჩვენთვის იმის თვალნათლივ ხილვა, რომ სადღაც არის „სხვა საქართველო“, რომ ქვეყნად, საქართველოს გარეთ ცხოვრობს ესოდენ მრავალრიცხოვანი ქართველი მოსახლეობა, რომელსაც

შენარჩუნებული აქვს მშობლიური ენა, ქართული იერი და, რაც მთავარია, — ეროვნული გრძნობაც, პატრიოტული შეგნებაც... და ამასთანავე დიდ ნაღველსა და დაუოკებელ უქმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ ეს ქართველობა ასეთი ყრუ კედლით არის მოწყვეტილი დედა-სამშობლოს, რომ „სხვა საქართველო შორსაა, შორსაა საქართველოდან.“

რადღენ კეთილშობილური მოვალეობა ეკისრება ჩვენს საზოგადოებრიობას, კერძოდ ქართველ ინტელიგენციას! ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიზრუნოთ, ვიზრომოთ და ვიღვაწოთ თურქეთის ქართველობასთან კავშირ-ურთიერთობის გაღრმავებისა და განვითარებისათვის. უფრო ხშირად უნდა მოეწყოს ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლების გამოსვლები თურქეთში. ღღესაც ტკბილ მოგონებად აქვს დარჩენილი თურქეთის ქართველობას ნ. რამიშვილის და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ანსამბლის ეასტროლები თურქეთში — წელში გავიმართეთ, სიამაყე მოგვემატა ამ კონცერტებზე დასწრებისას, — გვეუბნებოდნენ ისინი. უნდა მივალწიოთ ქართველი მწერლების, კულტურის მოღვაწეთა ჯგუფების ხშირ მოგზაურობას თურქეთში. თუ საუკუნეების მანძილზე თურქეთის ქართველობამ შეინარჩუნა ეროვნული სახე და მშობლიური ენა, მით უფრო ჩვენს ნათელ საუკუნეში უფრო აქტიური და ინტენსიური მუშაობა უნდა წარმოებდეს ამ მიმართულებით. ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ თურქეთის ქართველობასთან ისეთივე კავშირ-ურთიერთობა გვქონდეს, როგორც აქვს ჩვენ მოძმე საბჭოთა უკრაინის უცხოეთში მცხოვრებ უკრაინელ მოსახლეობასთან, როგორც აქვს ჩვენს მოძმე სომხეთს უცხოეთის ქვეყნებში გაფანტულ თანამემულებთან.

ჩვენი ოცნება და იდეალი ამ მხრივ ის არის, რომ თურქეთის ქართველობამდე აღწევდეს ქართული მწერლობის ხმა, ქართული კულტურის ნათელი, რომ ამ ქართველობას ხელთ ჰქონდეს ქართული სახელმძღვანელოები და ეგებ ქართული სკოლაც, ქართული გაზეთიც. მე ღრმად მწაჰს, რომ ამ სურვილებში არაფერია ფანტასტიკური და შეუძლებელი. ამასთანავე ისიც აუცილებელია, რომ გაცხოველდეს ჩვენი კონტაქტები თურქეთის ინტელიგენციის პროგრესულ ფენებთან. ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ, რომ არც ეს ყოფილა შეუძლებელი და მიუღწეველი. მართალია, თურქეთში ჩვენი ხანმოკლე ყოფნის განმავლობაში არ მოხერხდა თურქეთის კულტურის მოღვაწეებთან ოფიციალური საჯარო შეხვედრების გამართვა, მაგრამ სტამბოლში ჩასვლის პირველი დღიდანვე მუდმივად გარემოცული ვიყავით პროგრესული თურქი მწერლებისა და ხელოვნების მოღვაწეთა ყურადღებით და ნამდვილი მასპინძლობით. ისინი გვიძღვნიდნენ თავიანთ წიგნებს და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა ალბომებს, გვიწვევდნენ თავიანთ სპექტაკლებზე, გვეპატიუებოდნენ ოჯახებშიც კი. ამ მეგობრული შეხვედრების დროს დაისახა კონკრეტული გეგმები ურთიერთ-

თარგმნისა და გამოცემისა, პრაქტიკულად მომწიფდა აზრი თურქეთში ქართული თეატრის, კერძოდ, რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლების შესახებ. ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს ამ გეგმათა ხორცშესხმის პირველი შედეგები. თურქულ პრესაში გამოქვეყნდა ქართველ თანამედროვე პოეტთა ლექსების თარგმანები, დაიბეჭდა წერილები ქართული მწერლობისა და ხელოვნების საკითხებზე. საქართველოში უკვე გამოიცა თანამედროვე თურქი მწერლების რამდენიმე წიგნი და ამ ინიციატივას საქმით ეხმარებიან ჩვენი მეგობარი მოწინავე თურქი მწერლები. ამას წინათ თბილისში იმყოფებოდნენ თურქეთის თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ჩვენი სასცენო ხელოვნების მიღწევათა გასაცნობად. თურქეთში ქართული თეატრის გასტროლების მოსაგვარებლად. ყოველივე ეს მიღწეულია მხოლოდ პირველი კონტაქტების მოსინჯვის, თურქეთში პირველი მოგზაურობის და ისიც ტურისტული მოგზაურობის შედეგად. ცხადია, ბევრად მეტი და მნიშვნელოვანი მიღწევები: მოსალოდნელი და შესაძლებელი ჩვენი მხრივ უფრო აქტიური და თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელების შედეგად.

აი, რაოდენ აქტუალურსა და დიდი საღვთისო საზოგადოებრივი მნიშვნელობის აზრებსა და გრძნობებს, მისწრაფებებსა და ოცნებებს აღძრავს ჩვენს ცნობიერებაში კარლო კალაძის ორი ლირიკული პოემა „მამა“ და „ფიქრები“. ნამდვილი პოეზიის, ყოველგვარი ქეშმარიტი ხელოვნების უპირველესი დანიშნულებაც ხომ ადამიანის სულიერი აქტივიზაცია, გამდიდრება და ამაღლებაა. ადამიანის შთაგონება და განწყობა კეთილშობილური საქმეებისათვის, მოქმედებისა და ბრძოლისათვის!.. კარლო კალაძის ორივე ამ პოემაში გამოსახული ცხოვრებისეული მასალა პოეტის ბიოგრაფიის, მისი სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. აქედან წარმოდგება ამ ნაწარმოებთა დიდი მხატვრული სიმართლე, მასში განსახიერებულ გრძნობათა სიწრფელე და უშუალობა. აქედან წარმოდგება ამ პოემების ემოციური ძალა, შინაგანი დრამატიზმი, ადამიანური სითბო და მომხიბვლელობა. ყოველივე ეს კი თავის მხრივ წარმოშობს პოეტური მეტყველების ფორმათა სიცხადეს და ბუნებრიობას. პოეტური ხელოვნების საშუალებათა ორგანულობას, ენის ცოცხალ ხატოვანებას.

„მამა“ და „ფიქრები“ კარლო კალაძის საუკეთესო პოეტური ქმნილებებია, დღევანდელი ქართული პოეზიის ფრიალ მნიშვნელოვანი მონაპოვარია.

„მთებია ჩემი სულის პარანაი“ (ალექსანდრე გომიაშვილის პოეზია)

მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მთიან საქართველოს — ჩვენს ხევსა და მთიულეთს, ფშავსა და ზეგსურეთს არ ყოლია ისეთი თავდავიწყებამდე შეყვარებული მხატვარი და აღტაცებული მეხოტბე, როგორც ალექსანდრე გომიაშვილია. მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე ფეხის შემოდგმისთანავე მან თან მოიტანა საკუთარი პოეტური სამყარო, რომელსაც თავს დაჰქატიანებს მარად უღნობი ყინულის ბროლით მოელვარე „ბერი მყინვარი“, სადაც ურყევად დგანან ცამდე აწვდილი ზვიადი კავკასიონის მთები თავისი ქედებით, მწვერვალებითა და თხემებით, ზეავებითა და ნაპრალეებით, გრიგალებითა და ქარიშხლებით, სადაც გაზაფხულის მზიან დღეებში მთის უნაზესი ყვავილები ყვავიან, სადაც ლომები და ვეფხვები, ჯიხვები და ირმები ბინადრობენ, ფრთამედგარი არწივები, ძლიერებისა და ქედუხრელობის, თავისუფლების ამაყი სულის დიდებულ სიმბოლოებად ქცეული არწივები დაქრიან, სადაც ცხოვრობენ სწორუპოვრად რაინდული სულისკვთების ადამიანები, რომლებიც გმირობისა და ვაჟკაცობის, ამაღლებული სიყვარულისა და თავგანწირული მეგობრობის, სპეტაკი მორალური იდეალების ხორცშესხმულ განსახიერებას წარმოადგენენ. ეს ადამიანები — მწყემსები თუ მონადირეები, მხვნელ-მთესველები თუ სამშობლოს ჯარისკაცები თავდადებულად იბრძვიან მშობლიური მთის განახლებისა და მისი ყოფა-ცხოვრების საუკუნოებრივი ადათ-წესების გარდაქმნისათვის, მშობლიური „უთხის კარჩაკეტილობის გადალახვისათვის და მისი დიდ სამყაროსთან დაკავშირებისათვის, მთაში ახალი ეპოქის ნათელის შეჭრისა და დამკვიდრებისათვის. ისინი უდრტივინველად იხოცებიან სამშობლოს სიცოცხლისა და დღეგრძელობისათვის, იხოცებიან გმირი პატარა კახის ლაშქარში, რევოლუციის ბარიკადებზე, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და ყველგან და ყველაფერში უმწიკვლოდ და უანგროდ განასახიერებენ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის უდრეკ მებრძოლ სულსა და შემოქმედებითს ენერჯიას.

რამდენ ზეშთაგონებულ პოეტს უმღერია საქართველოს მთიანეთის მთელი ამ ნივთიერი და სულიერი სიმდიდრისათვის?! ქართულ პოეზიაში პირველად მგონი გრიგოლ ორბელიანმა დაგვანახვა კლდიდან უფსკრულებში ალჰა-სებრ გადმოცვენილი ჩანჩქერების სწორუპოვარი სილამაზე, მოგვასმენინა

თერგის შემზარავი ღრიალი, რომელსაც „კლდენი ბანს ეუბნებიან“. გასული საუკუნის დამდეგის დიადმა რუსულმა მუზამ თერგისა და დარიალის ამ დიდებულ სამყაროში ჰპოვა შთაგონების უშრეტი და ამოუწურავი წყარო. შემდეგ ვაჟა-ფშაველას გენიამ უკვდავ პოეტურ სახეებში აღბეჭდა იგი, ხოლო ალექსანდრე ყაზბეგმა ამ სამყაროში დაატრიალა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის თავდადებული ბრძოლების ის გულის სიღრმემდე შემძვრელი დრამა, რომლის მომჩაადრებელი სურათები დღემდე აღელვებს და აღტაცებას ჰკვრის მკითხველს. ბუნების ზღაპრულ მშვენიერებათა და უმძაფრეს ადამიანურ ვნებათა ამ წიაღში წარმოიშვა გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის უქკნობი შედეგები — „მგზავრის წერილები“ და „განდეგილი“, ხოლო აკაკი წერეთელმა საქართველოს უკვდავებისა და მარადიული არსებობის იდეა კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული გმირთა-გმირის, ღმერთებთან მებრძოლი ამირანის გოლიათურ სახეში გამოხატა.

ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობა ერთგულად მიჰყვება და განავითარებს თავისი უკვდავი წინაპრების ამ ნათელ ტრადიციას. მგონი არც არსებობს ისეთი თანამედროვე ქართველი პოეტი, რომელსაც მთიანი საქართველოს ბუნების სიდიადეში, მისი ისტორიული და დღევანდელი ცხოვრების წიაღში არ ეხილოს მშობელი ქვეყნის აღორძინების, მისი ღიღებისა და უკვდავებისათვის საბრძოლო შემართების უღრმესი ფესვები. მაგრამ ალექსანდრე გომიაშვილის პოეტური ბუნების უპირველესი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მისი მთელი შემოქმედებითი სამყარო, მთელი მისი სულიერი ცხოვრება განუყოფლად, მართლაც და სისხლხორციულად არის დაკავშირებული მშობლიურ მთებთან, მისი ბუნების, მისი ადამიანების, მისი წარსულისა და დღევანდელობის უშუალო განცდასთან და გააზრებასთან.

არა და არა, სილალით სავსე
მხოლოდ მთებია სიმღერის დედა,
და ვით არწივებს, მყინვარის თავზე
ჩემთა წინაპართ აჩრდილებს ვხედავ.
...აქ დაიბადა. აქ აღიზარდა
ჩემი კაცობის სიმღერა ვრცელი
და ვით სამების გუგუნე ზართა
რეკავს ხმა ქვეყნის მალეძებელი.
ანდა სად არის სხვა დარიალი,
ქართული ლექსის ადგილის დედა?
მთებია ჩემი სულის პარნასი
და გამპკრიახი არწივის ხედვა.

ასეთია ალექსანდრე გომიაშვილის პოეტური მრწამსი. მას თავის ყველაზე ახლობელ, ყველაზე მონათესავე წინაპრებად ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი მიაჩნია:

რამ დამავიწყა კაბუჯს ორი მზე
ციხკრის სხივებად ცაზე გაშლილი —
სტეფანწმინდაში — მოჩხუბარიძე,
ჩარგალში — ლუკა რაზიკაშვილი.

რასაკვირველია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს პოეტისათვის ნაკლებად მშობლიური იყოს ჩვენი ეროვნული კლასიკური მწერლობის სხვა მწვერვალები. სრულიადაც არაა. მის ლექსებში ჩაუქრობელი შარვანდელით შემოსილნი ელვარებენ შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის უკვდავი სახელები, რომელთა მიმართ განუზომელი მოკრძალებისა და სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული სტრიქონები ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი გენიისადმი თანამედროვე ადამიანის გარდუვალ მადლიერებას და მოწიწებას განასახიერებს. მაგრამ თუ ჩვენი დიდებული წინაპრებისა და წინამორბედების თანავარსკვლავედში პოეტი განსაკუთრებით გამოყოფს ვაჟა-ფშაველას და ალექსანდრე ყაზბეგს, ეს მხოლოდ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის თავისებურებაზე, მისი პოეტური სამყაროს სპეციფიკურ ხასიათზე მეტყველებს, რაც თავის მხრივ დიდად განაპირობებს მისი პოეტური მეტყველების — მხატვრული სტილის, ლექსიკის, ინტონაციის, და საერთოდ პოეტური გამომსახველობის საშუალებათა ღრმა თავისებურებას.

რაზეც არ უნდა წერდეს პოეტი — მშობლიურ მთებში ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაზე თუ სამოქალაქო ომის რომანტიკულ დღეებზე, თბილისზე თუ მოსკოვზე, ევროპის შუაგულში აღმოცენებულ ფაშისტურ ბარბაროსობაზე თუ დიდი სამამულო ომის სწორუპოვარ ეპოპეაზე, ყოველთვის და ყველაფერში იგრძნობა, რომ მისი შთაგონება წარმოშობილია და ნასაზრდოები მთიანი საქართველოს წიაღებში. მის ლექსში ყოველთვის იგრძნობა ის არწივისებური შემართება, ქარიშხლებისა და გრიგალების გამოძახილი, ნაპრალებისა და წყალვარდნილების სტიქია, რაც თვალთაახელების, სამყაროს პირველი ხილვის დღეებიდანვე შეუთვისებია და შეუსისხლხორცებია პოეტს. მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც არ მოასწავებს მისი პოეტური აზროვნების რაიმე შეზღუდულობას, პოეტის მსოფლმხედველობრივი და მოქალაქეობრივი პოზიციების რაიმე ცალმხრივობას და განსაზღვრულობას. განა ვაჟა-ფშაველა მთის ბუნების გენიალური მხატვრობით, მთის ხალხის ყოფა-ცხოვრებისა თუ მითოლოგიური და ლეგენდარული სიუჟეტების საფუძველზე აღმოცენებული ქმნილებებით ეპოქის ზოგადეროვნუ-

ლსა და ზოგადსაკაცობრიო პატრიოტულ და ჰუმანისტურ იდეებს არ ენმაჯრე-
ბოდა? განა ალექსანდრე ყაზბეგი მთის ხალხის ცხოვრების წარმოსახვისას
ზოგადეროვნულსა და ზოგადსაკაცობრიო გრძნობებს არ უმღეროდა, სამშო-
ბლოსათვის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის თავგახწირული
ბრძოლის ამამღლებელ იდეალს არ განასახიერებდა?

რამდენი მსგავსი მაგალითის მოტანა შეიძლება უცხოური თუ მშობლიუ-
რი ლიტერატურის ისტორიიდან. ჩვენი დიდი წინამორბედების მიერ ნაანდე-
რძევ ამ გზას მიჰყვება ალექსანდრე გომიაშვილიც. მისი ლექსების, ბალადე-
ბის, პოემების ყოველი სტრიქონი მღელვარედ ეხმაურება და აღბეჭდავს ჩვენი
თანამედროვეობის ისტორიულ მოვლენებს, ხალხის თავდადებულ ბრძოლას
დედამიწაზე ყველაზე თავისუფალი, სამართლიანი და ჰუმანური ცხოვრების
დამკვიდრებისათვის, განასახიერებს ჩვენი დროის ყველაზე ნათელ და კეთილ-
შობილურ იდეალებს. ის გარემოება კი, რომ ყოველივე ეს მხატვრულ ხორც-
შესხმას ალ. გომიაშვილის პოეზიაში გარკვეული ლოკალური თემატიკის საფუ-
ძველზე პოულობს, კი არ ანელებს მისი შემოქმედების ფართო იდეურ მიზან-
დასახულობას, არამედ უფრო კონკრეტულს, ხელსახებს, დამაჯარებელსა და
შთამაგონებელს ხდის მას.

თითქოს განზრახ, იმისათვის, რომ ერთბაშად საგრძნობი გაეხადა ჩვენთ-
ვის თავისი პოეტური აზროვნების ვრცლად განზოგადებული, ზოგად-ადამიან-
ური ჰორიზონტები, თავისი რჩეული თხზულებების ახლანდელ გამოცემული
კრებულისათვის პოეტს წაუშმდღვარებია ლექსი „წუთისოფელი“— ჩვენი დღეე-
ბის მედიტაციური პოეზიის — ე. წ. „ფილოსოფიური ლირიკის“ ერთ-ერთი
მკაფიო ნიმუში. ეს ლექსი დაფიქრებაა სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულსა
და ზოგადადამიანურ საკითხებზე, ადამიანის ბედზე სამყაროს დაუსრულებელ
ცვალებადობაში.

მაინც რა არის წუთისოფელი,
სიცოცხლე წუთით ვის მოსწყინდება?!
შენი მზე — სულის მანათობელი
როდესაც ქვეყნად გამობრწყინდება, —
მაშინ გაჩნდება სიბერეც მწველი,
თვალთა გუგებში შუქი ბინდდება,
და ჰაბუკს ქვეყნად არც ჯიცხოვრია,
სული ჩიტივით გავიფრინდება.

მაგრამ ყოველივე ამქვეყნიურის წარმავლობის უღმობელი კანონზომიე-
რების ასეთი სევდიანი განცდა თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში სული-
ერი განიარაღების, დაუძლურებისა და დაცემულობის საშიშროებას კი არ ბა-

დებს, არამედ ცხოვრების გონივრული მოწესრიგების, გააზრებული აქტივობის, შეგნებულ მოქმედების მისწრაფებას.

წუთი რა არის ამ საწუთროში,
რა უნდა იყოს წუთისოფელი?!
მაგრამ რადგანაც დღისით და ღამით
წამი წამწამთა არის მსწრობელი,
უნდა მზესავეთ გაანაწილო
აწმყო, დრო — სული მანათობელი,
რომ შეედავოს საუკუნეებს
შენგან განვლილ წუთისოფელი,

ამგვარად ეხმაურება თანამედროვე პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილის ბრძნულსა და გარდაუვალ ანდერძს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვია, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

„წუთისოფელს“ დიდად ენათესავენა ლექსი „ადგილის დედა“ — ალექსანდრე გომიაშვილის ლირიკული შემოქმედების საუკეთესო ნიმუში და საერთოდ დღევანდელი ქართული ლირიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაპოვარი.

ამ ლექსში, როგორც ფოკუსში თავს იყრის პოეტის მხატვრული ნიჭიერების დამახასიათებელი თავისებურებანი — მთის ბუნების მხატვრობის შესანიშნავი ხელოვნება, მძაფრი ადამიანური გრძნობებით პეიზაჟის გამსჭვალვის უნარი, ყოფიერების არსზე დაფიქრების მისწრაფება და ცხოვრების წარმატლობის განცდით აღძრული სევდიანი განწყობილებისათვის ნათელი ოპტიმისტური აზრის დაპირისპირება.

პოეტის მეხსიერებაში წარმოისახება ბავშვობისა და ყრმობის ნეტარი და უზრუნველი დღეები, რომლებიც სტეფანწმინდაში, მშობლიურ ძველისძველ სახლში გაუტარებია, სადაც დიდებული ბუნების წიაღში მის ყრმობის დღეებს ეალერსებოდა „ტკბილმშობლიური დედის ნანა და მამის ნალარა“.

მყინვარის ქიმზე ანათებს მთვარე,
ნამგალა მთვარე — თეთრი საყურე
და მყინვარწვერიც დარიალის მთებს
პატარძალივით ზედ გადაჰყურებს.
ამ ხეობაში ჰყვოდა მაშინ
ჩემი ბავშვობა სიმღერით სავსე,
და მტკიცა გული, რომ ორბის ფრთაში
სიმღერა იგი ვერ მოვათავსე.
ახლა სად არის ის სიყმაწვილე,
შენ რომ გებარა, ადგილის დედავ?!
დაუკეცნია ფრთები არწივებს
და ძველი სახლის ერდოზე სხედან.

გაქრა ზმანება. დავხუტე კარი.
ძველი სახლიდან წასულა ყველა.
მხოლოდ კერხოში გრიალებს ქარი
და აკვანს არწვეს, ვით საქანელას.

რა კეთილშობილური ადამიანური სევდიტაა აღბეჭდილი ეს სურათი, სამუდამოდ გარდასული ბავშვობის წლების ეს მღელვარე გახსენება, როგორი წრფელი გრძნობით არის გაცოცხლებული აქ მთელი გარემოცვა, რომელშიც პოეტის ცხოვრების ადრეულ წლებს ვაუვლია და რომელიც ასე წარუშლელად აღბეჭდილა მის სულიერ სამყაროში. მაგრამ რაც უნდა მწველი იყოს და ნაღვლიანი ამ გარდასული ნეტარი დღეების გახსენება, მაინც ამ ტკივილს ახშობს და აქარეებს რწმენა, რომ კერა არ ჩამქარალა და არ გაცივებულა, რომ ძველი სახლი კვლავ თავის ადგილზეა „ახლების ბედად“, რომ „ადგილის დედა“ კვლავ სითბოთი და სიკეთით აღსავსე ცოცხლობს მამაპაპეულ კერაზე:

აქ აღარ დადის მოხუცი მამა,
დედაც აკვანთან მხედება აღარა,
აღარ გაისმის ტკბილშობილური
დედის ნანა და მამის ნაღარა.
დგას სიჩუმეში მყინვარის ახლო
ის ძველი სახლი ახლების ბედად
და ლაღარივით კერაზე სახლობს
ჩემი ბავშვობის ადგილის დედა.

ასე შეგვყავართ „რჩეულის“ პირველსავე ლექსებს პოეტის მღელვარე აზრთა და გრძნობათა ვრცელსა და ღრმად სპეციფიკურ სამყაროში. და მომდევნო ლექსებში ჩვენს თვალწინ გადაიშლება მთის ბუნების სურათთა გრანდიოზული პანორამა. აი, ლექსში „ხევის პატარძალი“ პოეტი ხატავს მთების სამფლობელოში განთიადის შემობრძანების ფერადოვან სურათს:

„ფარშევანგია? — კითხლობენ, ვპასუხობ — „არა!“
ეს მყინვარებში მზის სხივები იმტვრევა ახლა
და სპეტაკ თოვლის ქათიბიდან ყვაულითა ღვარად
ცისარტყელების შვიდი ფერი მიიწვეს მალღა.
დგება მყინვარი ცის და ქვეყნის შუა დაკიდულ,
მთების ცისკარი — დიდებულო, ნათელი, მშვიდი.
და ეფინება მალალ კლდეთა გერგეტის კიდურს
სილამაზის და სიყვარულის მშვენება დიდი.

ლექსში „შავი კლდე“ რომელშიც გადმოცემულია ბუნების სტიქიასთან პოეტის განუყოფელი შედუღების განცდა, უკვე მკაფიოდ არის გამოხატული მთების სამყაროს საუკუნეობრივი ცხოვრების გარდაქმნისა და განახლების სიმპტომები.

ახლაც შავ კლდეზე დამდგარა ბავშვი,
ეს მე ვარ, მე ვარ მოხევე მწყემსი
და იმ ყმაწვილის გრძელ სიმღერაში
ჩემი ბავშვობის ტკივილი მესმის.
...და მეც, ამ მთების სიმღერით სავსე,
შავ კლდეზე ვდგავარ მარტო ორბივით
და საქართველოს სამხედრო გზაზე
მღეთისკენ მიჰქრის ავტომობილი.

ერთ თავის საუკეთესო ლექსში („ჯიხვი“) პოეტი ხატავს ახალი ცხოვრების მომასწავებელი ელექტრონათურებით გაბრღლიალებული ხევის სურათს, რომელსაც განცვიფრებული დაჰყურებს მონადირის ტყვიას გადაარჩენილი, მთის ქიმზე ქანდაკებასავით გარინდებული ჯიხვი:

ტყვიას გაექცა, გაღურბინა ტრიალ ქარაუებს
და შედგა ქიმზე ქანდაკივით გარინდებული.
ხედავს: ხეობას ვარსკვლავების გუნდი ანათებს
ცის ვარსკვლავებზე უფრო მნათი და დიდებული.
იალალიდან სადგურამდე არ არის შორი,
შორს არის ზეცა და ზეცაში მხოლოდ ნისლია,—
რამ შეაბრუნა ნეტავ ზეცა! ღელეთა შორის
ჩამოვარდნილი ლაქვარდები ცეცხლებს ისვრიან.

თუ განვიზრახავდით, რომ მთლიანად წარმოგვედგინა, თუ როგორი ცოცხალი და მეტყველი საღებავებით ხატავს ალექსანდრე გომიაშვილი მთის ბუნების წარმტაც პეიზაჟებს და მთის სამყაროში ახალი ცხოვრების ძლევამოსილად დამკვიდრების სურათებს, დაგვკვირდებოდა მთლიანად ამოგვეწერა მისი ისეთი ლექსები, როგორიცაა „აკია არაბული“, „მღეთის აღმართი“, „ამბლამ მთვარე არ ამოვა“ და მრავალი სხვა. მაგრამ თავის ამ მთავარ გატაცებას ხელი არ შეუშლია ალექსანდრე გომიაშვილისათვის დროულად და ცხოვლად გამოხმაურებოდა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ლექსებში „მლაშე ტბები“, „დავითიანი დაღესტანში“, „შენც ჩემო ლექსო, არწივის ფრთაო“ და მრავალი სხვა, პოეტი აფართოებდა თავისი შემოქმედების თემატურ ჰორიზონტს და შთამაგონებლად აღბეჭდავდა ჩვენი სინამდვილის ყველა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოძახილს პოულობდა ხალხის გულში და ყოველ ასეთ შემთხვევაშიც, პოეტი ისწრაფვის საკუთარი კუთხით, საკუთარი თვალთახედვით აღიქვას და წარმოსახოს ეს მოვლენები. ყოველ ასეთ შემთხვევაში ალექსანდრე გომიაშვილის ხმა მკაფიოდ გამოირჩევა თანამედროვე ქართული პოეზიის მრავალჰანგოვან ორკესტრში. აი მაგალითად როგორი თავისებური ჰანგით უმღერა პოეტმა განახლებულ თბილისს, ახალი ქართული პოეზიის შთაგონების ერთ-ერთ შემთავრეს საგანს:

ახლა სხვა არის თბილისი,
თბილისი ხობბის ფერია;
მცხეთას დაკრილი ხობობი
მტკვრის ზვირთებს გადაერია —
ცეცხლი ავარდა მტკვარიდან,
განვლო მთები და სერია...
ელავს ელექტრონისკარტი,
ნისკარტიც ცეცხლის ფერია —
გუნდი და გუნდი ხობბები
თბილისის თავზე მღერია.

ეს სტრიქონები, ისე როგორც ალ. გომიაშვილის ყველა სხვა ქმნილება, ცხადად მეტყველებს პოეტის ღრმა ნათესაობას ხალხური ზეპირსიტყვიერების აუმიღვრევე წყაროებთან. მაგრამ ალ. გომიაშვილი, რომელიც უსაზღვროდ ერთგულია ვაჟა-ფშაველას დიდებული პოეტური ტრადიციისა, შეგნებულად არ გაპყოლია ფშავ-ხევსურული ფოლკლორის ფორმათა უშუალოდ და ხელუხლებლად გამოყენების გზას. ასეთი პოეტიკურ-სტილობრივი საშუალება, რამაც განუმეორებლად თავისებური ელვარება და მშვენება შესძინა ვაჟა-ფშაველას ლექსს, უკვე საბოლოოდ ამოწურული აღმოჩნდა ქართული პოეზიის „მთის არწივის“ მიერ და ამ გზაზე მას შემდეგ მხოლოდ ბრმა მიმბაძველობისა და ეპიგონობის სავალალო ხვედრი იყო მოსალოდნელი. ამიტომაც ალ. გომიაშვილი სულ სხვა გზით წავიდა თავის ენობრივ-სტილისტურ ძიებებში. იგი მეტყველებს თანამედროვე ზოგადეროვნული ქართული სამწერლო ენით, უხვად იყენებს ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან აღმოცენებული ახალი პოეტური კულტურის მონაპოვრებს მხატვრული სტილის სფეროში, მაგრამ დიდი ტაქტიკა და ზომიერების გრძნობით შეაქვს თავის ლექსებში, ბალადებსა და პოემებში სპეციფიკური ლექსიკური მასალა, დიალექტური ნიუანსები, რაც გარკვეულ კოლორიტს, ლოკალურ სურნელს ბადებს მის პოეზიაში.

თანამედროვე ქართული პოეზიის მრავალპანგოვან ორკესტრში მკაფიოდ გამოირჩევა ალ. გომიაშვილის ხმა — მისი ხატოვანი და ჟღერადი ფრაზა, მისი ლექსის მძაფრი, დაძაბული რიტმი, ვაჟკაცური ინტონაცია, ენერგიული, ექსპრესიული მუსიკალური ნახატი. მისი ლექსის სტრუქტურა რთულია და ორიგინალური. იგი ხშირად მიმართავს ექვსი, რვა და ათსტრიქონიან სტროფებს, ზოგჯერ აქა-იქ მთლიანად ჩაურთავს ლექსში ხალხური პოეზიის პოპულარულ ნიმუშებს („შავ კლდესა შავი ფრინველი“, „ტილო დარიალო“ და სხვ.) ზოგჯერ ერთმანეთს უნაცვლებს რვამარცვლიან და შვიდმარცვლიან სტრიქონებს. ზოგჯერ სიტყვას ჩამოაცლის უკანასკნელ ხმოვან მარცვალს და მოხევურად „მოუქცევს“ ფრაზას — ერთი სიტყვით მრავალნაირი ხერხებით და საშუალებ-

ბით აღწევს პოეტური ენის შესაბამისობას ლექსის თემატიკური მასალისადმი, გამოხატულების საგნის სპეციფიკური ბუნებისადმი. ალ. გომიზივილს შესწევს ძალა, რომ გააცოცხლოს „მკვდარი ბუნება“, სული ჩაუდგას მას, აღამიანური მწუხარებისა თუ მრისხანების გრძნობებით შემოსოს იგი:

ეს თერგი არის მქუხარე,
კლდეს ეჭახება წყალი,
კლდე კი დგას...
კლდესაც მდულარე
ცრემლი სდის ნაავდრალი
და ხევს დასცქერის მწუხარე,
დაღუმებული, მწყრალი.

მთის ბუნებისა და მთის ხალხის თანამედროვე ცხოვრების მასალაზე პოეტი დიდი სიმძაფრით ხატავს ჩვენი დროების გარდამქმნელი და განმანათლებელი შინაარსის განმასახიერებელ სურათებს:

ხვესა თქვეს: კლდენი ტიალი,
როგორც ყოველთვის, დაგვენბდის,
ასევე ჰგლეჯენ დგრიალით
გვირაბებს ამონალები...
და მთების კიდობანა ქვას
სჭრიან და სჭრიან ბიჭები.
წივის, გუგუნებს მანქანა
და კიუხებში იჭრების.

მთების შეუვალობის, მათი საუკუნეობრივი განდევილობისა და კარჩაკეტილობის გადალახვისათვის გაჩაღებული შრომითი გმირობის ეს სურათები მეტყველად განასახიერებს იმ დრამატიზმით აღსავსე ორთაბრძოლას, რომლის ვითარებაშიც მიმდინარეობს ჩვენს მღელვარე საუკუნეში ყოველივე ძველისა და დრომოკმულის კვდომა, ყოველივე ახლისა და პროგრესულის ტრიუმფალური წინსვლა:

ეგებ მოგკვეთეს, ფრიალოვ,
ეგებ დაჭრილ მკერდს მალაო, —
სადა ხარ, ოხერ-ტიალო,
ტიალო დარიალაო!
არხოტი როგორ გიწამებს,
როგორ გწირავენ სწორები —
ამტვრევენ კლდეთა ფიწალებს
დამკვრელი კომპრესორები!

აღ. გომიაშვილის „სწავლების სიყვარული“ ქართული საბჭოთა პოეზიის პირველი ნაწარმოები იყო, რომელშიც დაეინახნენ ჯარისკაცის მახარაში გამოწყობილი ახალგაზრდა მთიელი ვაჟკაცის საოცრად ცოცხალი და თბილი, ადამიანური სახე, განათებული წრფელი და კეთილშობილური ტრფიალების ნათელი გრძნობით.

პოეტის მხატვრული აზროვნების აქტუალობის, მისი მებრძოლი მოქალაქეობრივი პოზიციის დამახასიათებელ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს პუბლიცისტური პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“. როგორც კი ევროპის შუაგულში მიხაკისფერი ურჩხული აღმოცენდა და მან ხელთ იგდო მმართველობის სადავეები გერმანიაში, აღ. გომიაშვილი პირველთაგანი მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაში მღელვარედ გამოეხმაურა ამ საბედისწერო მოვლენას და ხსენებულ ნაწარმოებში მომაკვდინებელი ზიზლით და გულისწყრომით ამხილა ფაშისტი ბარბაროსობის მთელი სიმახინჯე და ბოროტება, როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის სისხლიანი მესაფლავისა:

აჰ, დაპებრა ქარიშხალმა, ჩაქრა ვარსკლავი,
ღამის წყვიდადის ნაპრალები ნაპრალებს ზრავენ:
— პიტლერ, ჩაძალდი! დგება ღამე უკანასკნელი,
უკანასკნელი რეჟიციის ვალპურგის ღამე!

ეს ტრიქონები მაშინ იწერებოდა, როდესაც პიტლერული ვანდალიზმი თავის გამარჯვებას ზეიმობდა გერმანიაში. უკვე მაშინ პოეტის გამჭკრიახმა თვალმა განსჭვრიტა ისტორიის ამ ყველაზე ბნელი და ბოროტი ძალის გარდაუვალი სასიკვდილო განწირულება. ასეთია ქვემარტი პოეზიის წინათმხილვევი და წინათმგრძნობელი ძალის საიდუმლოება.

ხოლო როცა საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს გააფთრებული „დამკვირვებელი ბირთვი“ ჩვენს დედა-სამშობლოს დაეჯახა, აღ. გომიაშვილი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა და სამამულო ომის მრისხანე წლებში თავგანწირულად იბრძოდა კალმითაც და სამხედრო საქურველითაც, როგორც სამშობლოს ერთგული ჯარისკაცი და მებრძოლი პოეტი. იმ წლებში დაწერილი მისი, ლექსები და ბალადები: „სამშობლოსათვის“, „მოსკოვი“, „ყირიმი — 1942“, „ქართველო, ხელი ხმალს იკარ“, „დასაწყისი განთიადისა“, „ღარიბის ბალადა“ და სხვ. სამუდამოდ შესული არიან თანამედროვე ქართული პოეზიის ძვირფას მონაპოვართა ფონდში. ლექსში „დასაწყისი განთიადისა“ პოეტმა დახატა სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ძლევამოსილად ამხედრებული საბჭოთა ადამიანის ტიტანური სახე, ადამიანისა, რომელმაც სასიკვდილოდ განგმირა და მიწას დაანარცხა საქულველი შავი ფრინველი — ბოროტებისა და ტირანიის შემზარავი სიმბოლო.

მას არ ეხურა მუზარადი ზარნიშინი,
არ ეცვა ჭაჭვი ტარიელის და ავთანდილის,
ის მოდიოდა ჩვეულებრივ კალთის შრიალით,
როგორც ღრუბლებში გამოჭრილი ნათელი დილის!
და თუ არკანში დალოცვილი ქართელის მარჯვენა
ხმალს აელვებდა და კლდეებში იდგა პირველი, —
ჩვენი აწმყოსა და მომავლის გადსარჩენად
მან დედამიწას დაანარცხა შავი ფრინველი.

ასეთივე ღრმა განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახე გამოძეგრა პოეტმა ლექსში „საბჭოთა ჯარისკაცის ძეგლი ბერლინში“. ეს ძეგლი აქ გააზრებულა, როგორც სიმბოლო ძლევამოსილად ომგადახდილი საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავისი გოლიათური მარჯვენით აფუძნებს დედამიწაზე ახალი ცხოვრების ნათელს, ხალხთა მშვიდობიანი თანამეგობრობის, პროგრესისა და სამართლიანობის იდეალებს:

ახლა დგას მალა რაიხსტაგის ნანგრევთა შორის
ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მისი სახეა
და ვით გუშავი სინათლისა, დღისით და ღამით
ის ბერლინიდან სტალინგრადის ვარსკვლავებს ხედავს.
ხედავს ილიჩის ნათურების ნათელ ციალში
ახალ კაშხალებს გაუშლიათ არწივის ფრთები, —
დგას სტალინგრადი ომგადახდილ ვოლგის სილაში,
რკინის ქებირებს ამაგრებენ გოლიათები.

ალ. გომიაშვილმა შემოიტანა ქართულ საბჭოთა პოეზიაში ბალადის ჟანრი, რომელმაც შემდეგ ფრიად ნაყოფიერი განვითარება ჰპოვა ჩვენში. ამ ჟანრის მის ნაწარმოებებში შთამბეჭდავად არის აღბეჭდილი მღელვარე ეპიზოდები ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური ბრძოლის ისტორიისა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, რომელშიც მოთხრობილია ი. ბ. სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლადო კეცხოველის ვერაგულად მოკვლა მეტეხის ციხეში:

ლადო ციხეში კვდებოდა,
გულში ეკიდა ალი,
ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,
ეხუქებოდა თვალი...
და მკერდზე გადაჰფენოდა
ლენინის „ნაპერწკალი“.

სამოქალაქო ომების მგზნებარე რომანტიკით არის გამსჭვალული „ბალადა გამოსალმებისა“, რომელშიაც გამოკვეთილია სერგო ორჯონიკიძის სახე

და მოთხრობილია, თუ როგორ კვდებოდა კავკასიის მთებში რუსი კომისარი — ჩვენი ხალხების თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის თავგანწირულად მებრძოლი ბუტირინი. ბალადა „ქაჯეთის ციხის აღება“ იმის მკაფიო ნიმუშია, თუ როგორ კეთილმყოფლად იყენებს თანამედროვე ქართული პოეზია უკვდავი რუსთაველის გარდაუვალ მემკვიდრეობას ჩვენი ეპოქის ყველაზე დამახასიათებელი ძვრებისა და კონფლიქტების მაღალპოეტური განსახიერებისათვის. ალექსანდრე გომიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული პოეტური ეპოსის განვითარებაშიც. მისი პოემები „ამბავი სამასი არაგველისა“, „ნანგრევთა შორის“ და „თქმულება ამირანზე“ ბევრ რამეს შეიცავს საყურადღებოს და თავისებურს როგორც მხატვრული ჩანაფიქრის, ისევე პროფესიული ოსტატობის მხრივაც.

მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით და ღვაწლით ალექსანდრე გომიაშვილი თანამედროვე ქართული პოეზიის მოწინავე ხაზზე დგას და განამტკიცებს მის ყველაზე ძვირფას იდეურ-ესთეტიკურ ტრადიციებს. ხალხი, მადლიერი მკითხველი საზოგადოებრიობა კანონიერად მოელის და მოითხოვს მისგან მრავალ ახალ შემოქმედებით სიხარულსა და წარმატებას.

ეპოქის პოეზიური მაგიანა

საქართველოს მწერალთა VII ყრილობა, რომელიც საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს ნათელ დღეებში მიმდინარეობს, დიდად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში და საერთოდ ქართველი ხალხის მთელი სულიერი ცხოვრების ისტორიაში. ეს ყრილობა მართო მწერალთა კავშირის გამგეობის ანგარიშგება როდია მწერლობის წინაშე. არა! დღეს მთელი ქართული მწერლობა აბარებს ანგარიშს თავის ხალხს, ქვეყანას, პარტიას იმის შესახებ, თუ რაოდენად სრულად, თანმიმდევრულად და შთამაგონებლად განახორციელებს იგი იმ ჰუმანიტად ისტორიული მნიშვნელობის ამოცანებს, რომლებიც დაეკისრა ჩვენს ლიტერატურას ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანის სულიერი სამყაროს, მისი ხასიათის, მისი გონების, ზნეობისა და გემოვნების ჩამოყალიბების საქმეში და რომლებიც კიდევ ერთხელ ახალი ძალით და სიღრმით გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დოკუმენტებში, კერძოდ კი აშ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ამ ყრილობაზე, დღეს თანამედროვე ქართული მწერლობა ანგარიშს აბარებს თავის დიდ წინაპრებსა და წინამორბედებს იმის შესახებ, თუ რამდენად სწორად ვითვისებთ, ვაგრძელებთ, ვამდიდრებთ და განვავითარებთ ჩვენ დიდი ქართული კლასიკური ლიტერატურის სახელოვან დემოკრატიულ, პატრიოტულ ჰუმანისტურ და რეალისტურ ტრადიციებს, ანგარიშს ვაბარებთ მომავალ თაობებსაც იმის შესახებ; თუ როგორი გააზრებული ნოვატორული შემართებით, ძიებებით, მიგნებებითა და აღმოჩენებით ვაშუადებთ და ვანოყიერებთ ნიადაგს ჩვენი მწერლობის ხვალისდელი და ზეგინდელი დღისათვის, მისი კიდევ უფრო ნათელი და სრულყოფილი მომავლისათვის.

მე დავალებული მაქვს ჩემს თანამოხსენებაში პასუხი გავცე ამ კითხვებზე ქართული პოეზიის თანამედროვე ვითარების ანალიზისა და მისი განვითარების პერსპექტივების განხილვის საფუძველზე, რამდენადაც ამის საშუალებას ჩემთვის განსაზღვრული რეგლამენტი მომცემს.

თავისი მრავალსაუკუნოვანი, იშვიათად მკაცრი და სუსხიანი, მაგრამ ასევე იშვიათად გმირული და დიდებული ისტორიის მანძილზე ქართველმა ხალხმა გამოიმუშავა მსოფლიოში უნიკალური ეროვნული პოეტური კულტურა, რომელიც დაამშვენებდა ყოველი დიდი ცივილიზებული ერის სულიერ ღირებუ-

ლებათა საუნჯეს. სულიერი შემოქმედების არც ერთ სხვა დარგში ქართველ ხალხს ისეთი სისრულით და ძალით არ გამოუვლენია თავისი ეროვნული სახე, ხასიათის თავისებურებანი, თავისი ყველაზე ნათელი იდეალები, მიზნები და მისწრაფებანი, როგორც პოეზიაში, სულიერი შემოქმედების არც ერთ სხვა დარგს არ შეუსრულებია ისეთი სასიცოცხლოდ აუცილებელი როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც პოეზიას. ქართველი ხალხი კანონიერად ამყობს თავისი დიდი კლასიკური პოეტური ხელოვნებით და მარად ჩაუქრობი განუზომელი მაღლიერებისა და სიყვარულის შარავანდელით მოსავეს მას.

ამ ყრილობის ტრიბუნიდან სრული უფლებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საბჭოთა საქართველომ კი არ დააქვეითა და გააღარიბა ეს დიდი ეროვნული პოეტური ტრადიცია, არამედ, პირიქით, — ახალი სამყაროს იდეებით, თემითა და სახეებით გაამდიდრა და აამაღლა იგი, ადავსო და გაამრავალფეროვნა სამყაროს ხილვისა და წარმოსახვის, პოეტური მეტყველების, მხატვრული გამომსახველობის ახალი საშუალებებით და ფორმებით. როგორც საშუალო საუკუნეების მსოფლიოს არ ყოლია პოეტი, რომელსაც ჩვენი რუსთაველი ვერ შეედრებოდა, როგორც გასული საუკუნის დამდეგს ადამიანის ხელს არ დაუწერია ლექსი, რომელსაც გვერდით ვერ დაუდგებოდეს ნ. ბარათაშვილის გენიალური ლირიკულ-ფილოსოფიური ქმნილება „მერანი“, როგორც მსოფლიო პატრიოტული ლირიკის ნამდვილ თვალმარგალიტს წარმოადგენს აკაკი წერეთლის „განთიადი“, ხოლო ვაჟა-ფშაველა ღირსეულად ამშვენებს ორი საუკუნის მიჯნაზე მსოფლიო ეპიკური პოეზიის უდიდეს ოსტატთა თანავარსკვლავედს, ისე მე-20 საუკუნის მსოფლიოში არ უცხოვრია პოეტს, რომელსაც თავისი მხატვრული ნიჭიერებით. პოეტური აზროვნების სიღრმით და მასშტაბებით, ლექსის მომხიბვლელი მუსიკალობით და ფანტაზიის სიმდიდრით ვერ შეედრებოდეს ჩვენი საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. და გალაკტიონი ხომ ერთადერთი „ცდომილი ვარსკვლავი“ არ ყოფილა. იგი ცხოვრობდა, იღვწოდა და ქმნიდა სხვადასხვა თაობის ლექსის მაღალნიჭიერ ოსტატთა ანსამბლში და გარემოცვაში. მათმა ერთობლივმა შთაგონებულმა შემოქმედებითმა შრომამ ამაღლა თანამედროვე ქართული ლექსი ჩვენი საუკუნის მსოფლიო მოწინავე პოეტური ხელოვნების დონეზე და საპატიო ადგილი დაუმკვიდრა მას ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა პოეზიაში და არა მარტო საბჭოთა ქვეყნის პოეზიაში. პირველად მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ახლა ქართული პოეზია გამოსულია ფართო საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. საბჭოთა კავშირის თითქმის ყოველი ხალხისა და უცხოეთის მრავალი ხალხის

ენებზე გამოიცა ქართული პოეზიის ანთოლოგიები. მგონი ახლა დედამიწაზე არც არსებობს ისეთი ცივილიზებული ერი, რომლის ენაზეც თარგმნილი არ იყოს ქართული კლასიკური თუ თანამედროვე პოეზიის ცალკეული ნიმუშები. დღეს ქართველი პოეტი ჭეშმარიტად კაცობრიობას ესაუბრება, მის ყველაზე კეთილშობილურ აზრთა და გრძნობათა სამყაროს ეხმაურება. ეს ის უდიდესი სიკეთეა, რაც მოუტანა ქართულ პოეზიას, ჩვენს ეროვნულ კულტურას საბჭოთა ეპოქამ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნულმა ეროვნულმა პოლიტიკამ.

„პოეზია ცხოვრების სისხლი და ცეცხლია, იგი თვით ცხოვრებაა, იგი უფრომ მეტადაც არის ცხოვრება, ვიდრე თვით ცხოვრება“. — ამბობდა ბესარიონ ბელინსკი. ეს იმას ნიშნავს, რომ პოეზია ცხოვრების ზედაპირულ გამოვლინებათა ანარეკლს კი არ წარმოადგენს, არამედ სინამდვილის, ადამიანური ყოფიერების სულს, მის შინაგან არსებას, მის უღრმეს აზრს, მის ფილოსოფიას წარმოსახავს და განასახიერებს. ქართული საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ქმნილებებში ჩვენ ვხედავთ, ვგრძნობთ და განვიცდით ქართველი ხალხის ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების ეპოპეას, მისი უსაზღვრო მრავალმხრივობით და ამოუწურავი მრავალფეროვნებით, კონფლიქტებითა და წინააღმდეგობებით, განვითარების ძირითადი ტენდენციებით. სწორედ ამ დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობამ „მერანმა“ გამოსცა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია“, რომელშიც ჩვენი დროის 120 ქართველი პოეტი მონაწილეობს. შეუძლებელია წრფელი მღელვარების გარეშე გადავფურცლოთ ეს დიდი კოლექტიური წიგნი, რომელშიც ფრთხილად განსხვავებული მსოფლშეგრძნების, ნიჭიერების, მხატვრული მიღრეკილებების, პოეტური ხელწერის პოეტები ჰანგებისა და საღებავების თვალუწვდენ მრავალფეროვნებაში აღბეჭდავენ ჩვენი აღორძინებული სამშობლოს სახეს, მის შეუჩერებელ წინსწრაფვასა და აღმავლობას, თანამედროვე ადამიანის სულიერი ზრახვების, ფიქრებისა და გრძნობების უსასრულო სამყაროს. ამ შესანიშნავი წიგნის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ საბჭოთა ეპოქის ქართული პოეტური ხელოვნების განვითარების მაგისტრალური ხაზი, მისი საუკეთესო იდეურ-ესთეტიკური ტრადიციების გამომუშავებისა და დამკვიდრების პროცესი, იმ ტრადიციებისა, რომელთა მეოხებითაც თანამედროვე ქართული ლექსი ცეცხლის მოწინავე ხაზზეა გამოსული საერთაშორისო სარბიელზე გაჩაღებულ ახლანდელ მწვავე იდეოლოგიურ ბრძოლებში და უკომპრომისოდ ემიჯნება და უპირისპირდება თანამედროვე დასავლეთის მოდერნისტული, ანტიხალხური და ანტირეალისტური ხელოვნების ყოველგვარ ნაირსახეობას.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ ქართული პოეზიის დღევანდელი ვითა-

რება და ღრმად გავიაზროთ მისი შემდგომი განვითარების პრობლემები, ეგებ საჭირო იყოს მოკლედ, უკიდურესად ზოგად ხაზებში წარმოვიდგინოთ თანამედროვე ქართული პოეტური ხელოვნების ნახევარსაუკუნოვანი გზა მის თანმიმდევრულ მოძრაობაში ჩვენი სამშობლოს ისტორიის ძირითად ეტაპებთან, ჩვენი ხალხის სულიერი ბიოგრაფიის პროცესებთან დაკავშირებით.

საბჭოთა საქართველოს მზის ამობრწყინებისთანავე საუკუნის უპირველესი პოეტი გალაკტიონ ტაბიძე საგმირო საქმეებისათვის თავგანწირული ბრძოლისათვის აღმაგზნებელი მოწოდებით მიმართავდა საუკუნოვანი სოციალური და ეროვნული მონობისაგან სამუდამოდ თავდაღწეულ ხალხს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ეწირავთ სიცოცხლეს ჩვენ — პოეტები საქართველოსი“. და ზედიზედ ქვეყნდება ეპოქის რევოლუციური გზებით შთაგონებული მისი ლექსების ციკლები „ჯონ რიდი“, „მსოფლიო ორკესტრი“, „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და სხ., რომლებშიც ნატამალიც აღარ არის იმ ნაღვლიანი მსოფლშეგრძნებისა, ირაციონალური ხილვებისა, მისტიკისა და სულიერი ობლობის განცდისა, რაც ასე დამახასიათებელი იყო პოეტის რევოლუციამდელი შემოქმედების მრავალი ნიმუშისათვის. ქართველი სიმბოლისტების სკოლის „ცისფერი ყანწების“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მესვეური პაოლო იაშვილი. იმ დღეებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო დამცხრალი ცხოვრების განახლებისათვის გაჩაღებული უმძაფრესი ბრძოლების ქარიშხალი, აღფრთოვანებული ლექსით მიესალმებოდა „ახალ საქართველოს“ — „აზიის კარო, ელავს ფერებით შენი გვირგვინი და სამკაული, გადაიხადე ბედნიერებით პირველ მაისის დღესასწაული. მზადა გვაქვს თოფი, მზადა გვაქვს ხმალი, მტრებს ჩვენ ვეყოფით მარტო კბილებით, დავაგვირგვინოთ აწ მომავალი წითელ მოსკოვთან დაძმობილებით“. ხოლო ქართული „დემოკრატიული პოეზიის“ ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი გიორგი ქუჩიშვილი იმავე მგზნებარე დღეებში წერდა: „საქართველო აღსდგა მკვდრეთით! გზა მიეცით, ჩამოდექით! გმირთა გმირი ამირანი მიიმღერის გრვენივა-ჭექით! სანეტარო დახსნის ხმები ეფინება ზურმუხტ მდელოს... გაუმარჯოს ბორკილაცარილ, თავისუფალ საქართველოს!“.

ასე იწყებოდა რევოლუციამდელი ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატთა ახალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრება. ამავე დროს მწერლობის სარბიელზე შემოდინოდა ხალხის, კომკავშირული ახალგაზრდობის წიაღიდან გამოსული მაღალნიჭიერი პოეტების ახალი პლეადა, რომელსაც შემოქმონდა მშობლიურ პოეზიაში რევოლუციური სინამდვილის უშუალო სუნთქვა და განცდა. ეს იყვნენ ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე. რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ქართულ პოეზიაში სო-

ციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური პრინციპების დამკვიდრების საქმეში. ოციანი წლების პირველ ნახევარში დაიწერა ქართული პოეტური ლენინიანის პირველი ბრწყინვალე ფურცლები და უნდა აღინიშნოს, რომ ამ უდიდესი და ურთულესი თემის პოეტურად გადაწყვეტის საქმეში, მაშინ 20-21 წლის ჭაბუკი ალიო მირცხულავა დიდის წარმატებით შეეჯიბრა ლექსის ნაცად და უკვე სახელმძღვანელო ოსტატებს: გ. ტაბიძეს, პ. იაშვილს, ვ. გაფრინდაშვილს, ს. შანშიაშვილს და სხვებს. ეს იყო ქართული საბჭოთა პოეზიის პირველი, ღრმა ისტორიული აზრით აღბეჭდილი ნაბიჯები. ოციანი წლების მეორე ნახევარში კი რევოლუციამდელი საქართველოს დიდად პოპულარული პოეტი იოსებ გრიშაშვილი წარფელი გამოსათხოვარი ლექსით ემშვიდობება ძველ თბილისს და მისი სახით საერთოდ ძველ სამყაროს, საკუთარი მსოფლმხედველობისა და პოეტური მრწამსის ინერციას, ხოლო მეორე იმდროინდელი გამოჩენილი პოეტი ალექსანდრე აბაშელი მღელვარე სიხარულით აუწყებს ქვეყანას, რომ „წავა და სადღაც ქალაქის ბოლოს თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე“ — მაშასადამე, დასრულდა ქვეყნად წყვილიადისა და ბნელი საწყისების მეუფება, ქვეყანას „დილა სისხამი“ გაუთენდა. ამ წლებში ქართულ პოეზიაში მძლავრად შემოიჭრება ახალი სოციალური სინამდვილის თემატიკა. მთელმა ქართულმა პოეზიამ უმღერა მაშინ ზაპხესს — საქართველოს ინდუსტრიული განვითარებისა და ელექტროფიკაციის ამ პირველ დიდ კერას. პოეტები ცხოვრებად ეხმაურებიან კოლხეთის ველის გამოცოცხლებისა და აღორძინების ეპოპეას. ტიციან ტაბიძე წერს ლირიკულ პოემას „რიონ-პორტი“, რომელიც თვით პოეტის დამოწმებით წარმოადგენდა ღრმა გარდატეხის დასაწყისის მის შემოქმედებაში, „ცისფერყანწელთა“ მთელი პოეტური სკოლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

ტ. ტაბიძე და პ. იაშვილი ლექსების ციკლებს მიუძღვნიან ახალ კოლხიდას, ქვეყნდება გიორგი ლეონიძის პატრიოტული ლირიკის შედეგები და მისი ყივჩაღური ციკლი. რევოლუციურ თემებზე მუშაობისას არღვევს დეკადენტური პოეზიის არტახებს ყველაზე ორთოდოქსალური სიმბოლისტი პოეტი საქართველოში ვალერიან გაფრინდაშვილი. ახალი შემოქმედებითი ცხოვრების ფართო გზაზე გამოდის ჩვენი დროის ერთ-ერთი უნიჭიერესი ლირიკოსი პოეტი ნიკოლოზ ნადირაძე, და ამ საერთო განახლების ორბიტში ექცევიან სხვა „ცისფერყანწელებიც“ — რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა აფხაიძე.

ფუტურისტულ-ფორმალისტური ექსპერიმენტების ცდუნებათაგან განთავისუფლებული სიმონ ჩიქოვანი წერს „უშველოს კომკავშირს“ და „შემოღამებას ხანმატში“. ამ ლექსებით იწყება ჭეშმარიტი რეალისტური ხელოვნების გზაზე დამკვიდრება ჩვენი დროის ქართული ლექსის ამ ერთ-ერთი საუკეთესო

ოსტატისა. ოცდაათიანი წლების დამდეგიდან ქართულ პოეზიაში მძლავრდება მისწრაფება რევოლუციური სინამდვილის ზოგად-აბსტრაქციული ათვისებისა და პლაკატური დეკლარაციული გამოხატულების შეცვლისა ახალი ყოფის კონკრეტული მასალის პოეტურიზირებით, ცხოვრების ცოცხალი მოვლენების ლირიკული გააზრებით, მათი სახეობრივი განზოგადებით. აქაც პირველი ნოვატორული სიტყვა გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნოდა. ეს იყო მისი წიგნი „რევოლუციური საქართველო“, რომელიც საბჭოთა საქართველოს 10 წლისთავის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნდა. სწორედ ამ ათწლეულის დამდეგს ირაკლი აბაშიძემ ახალი ლირიკული გმირი შემოიყვანა პოეზიაში. ეს იყო საბჭოთა ეპოქაში აღზრდილი ახალგაზრდა ადამიანი თავისი რაინდული შემართებით („გადარჩენის ბალადა“), თავისი ჰუმანისტური მისწრაფებებით, კეთილშობილური ზნეობრივი იდეალებით („ყვავილები ქალაქში“, „პირველი თოვლის სიმღერა“). ეს ლექსები თავისი წრფელი ლირიზმით, გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ემოციური ძალით, ინტონაციური მრავალფეროვნებით, ახალ სიტყვად გაისმა იმ წლების ქართულ პოეზიაში.

თავი იჩინა თანმიმდევრულმა მისწრაფებამ ფართო პლანის პოეტური ტილოებისაკენ. ვიორგი ლეონიძემ დასწერა ეპოპეის „ბავშვობისა და ყრმობის“ პირველი წიგნი, რომელშიც პოეტური ფერწერის იშვიათი ნიჭიერებით წარმოდის ახა ქართული ბუნების, კერძოდ ქართლის ლანდშაფტების ფერადოვანი, მომნიბვლელი სურათები, ღრმა განზოგადებით პოეტურ სახეებში გამოიხატა ჩვენი ეროვნული ისტორიის სული, აღიბეჭდა გასული საუკუნის საქართველოს სოციალური ვითარებისა და ყოფითი ურთიერთობების კოლორიტული, ჟანრული სურათები. პოეზიაში შემოიჭრა ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა: გრიგოლ აბაშიძემ დაწერა პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“. ეს დასაწყისი იყო ლირიკული ლექსის ამ შესანიშნავი ოსტატის დიდი შემოქმედებითი მუშაობისა ქართული კლასიკური პოეტური ეპოსის სახელოვანი ტრადიციების აღორძინებისათვის ქართულ საბჭოთა პოეზიაში. ამგვარ პოეტურ ტენდენციას ამკვიდრებდა ამ პერიოდის ჩვენს პოეზიაში ალიო მირცხულავას პოემა „ენგური“ და ცოტა უფრო ადრე დაწერილი კარლო კალაძის „უჩარდიონი“. ასეთ ეპიურ მისწრაფებებს ეთანხმდებოდა აგრეთვე ირაკლი აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“ ალექსანდრე გომიაშვილის ბალადების ციკლი. რასაკვირველია, ყოველივე ამას როდი ჩაუხშვია იმ წლების ქართულ პოეზიაში მძლავრი ლირიკული ნაკადის ფეთქვა. მკითხველი ცხოველი ინტერესით ეხმაურებოდა ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ლირიკულ ციკლებს, ილო მოსაშვილის მეტყველ პოეტურ პეიზაჟებს, სიმონ ჩიქოვანის ისეთ ბრწყინვალე ციკლებს. როგორიც იყო „სამეგრელოში შთავგონებული საღამოები“, მწერლობაში შემოსული ახალი

პოეტური თაობის ლექსებს, რომელთა შორის მაშინ გამოირჩეოდა გიორგი კაკაბიძის წიგნები, რომლებშიც უბირველესად სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების ტიპიზირებული სურათები იყო დახატული. ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში მეტად თვალსაჩინოა ლექსის შესანიშნავი ოსტატის კონსტანტინე ჭიჭინაძის წვლილი, რომლის „რიონის აპოლოგია“, „საქართველოში ციხეა ორი“ და მრავალი სხვა მარად დარჩებიან ახალი ქართული პოეზიის საანთოლოგო კმნილებებად.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის თითქმის წინაღღეს ქართულ პოეზიაში გამოჩნდა ლექსები, რომლებშიც გამოიხატა ხალხის სულიერი შეიარაღების განცდა, ამ დიდი ისტორიული გამოცდისათვის მისი მზადყოფნის გრძობა, ხალხის მომაკვდინებელი ზიზღი და გულისწყრომა ევროპის შუაგულში აღმოცენებული ფაშისტური ბარბაროსობისადმი. ასეთი იყო ალ. აბაშელის „გერმანიაში“, ალ. გომიაშვილის „ისევ ეძახიან გერმანიას“ და გალაკტონ ტაბიძის „მშობლიურო ჩემო შიწავ“, რომელიც გაისმა სამშობლოსადმი თავგანწირული ერთგულების ვაჟკაცურ ფიცად.

ასეთი დიდი შემოქმედებითი გამოცდილებით და საბრძოლო შემართებით შევიდა ქართული პოეზია დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში. „კალამო, მხოლოდ შემუსვრა მტერთა, გადაივიწყე სხვა ყველაფერი“ — მოუწოდებდა ალ. აბაშელი ომის პირველსავე დღეებში, „ორი სიტყვა, ორი ცნება — სამშობლო და გამარჯვება“ — ეხმაურებოდა ამ მოწოდებას იმავე დღეებში ი. გრიშაშვილი და ერთბაშად მთელი ქართული პოეზია ხმას უწყობდა უეცრად და მოულოდნელად ამომტყდარ ზარბაზნების ქუხილს. იარაღსამულმა ქართველმა ხალხმა სიყვარულით გაიზვირა და ხალხურ სიმღერებად აქცია ამ დაუვიწყარი მღელვარე დღეების სამოქალაქო ლირიკის ისეთი უჭკნობი ნიმუშები, როგორცაა ირაკლი აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე“ და გ. ლეონიძის „არ დაიდარდო დედაო“. გ. ტაბიძემ გამოაქვეყნა მებრძოლი ლირიკის ნიმუშთა რამდენიმე ციკლი. ომის წლების ქართული პოეზიის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება ალიო მირცხულავას „მყინვარი“, „სდგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი“, ბალადა „ძმები“, „სევასტოპოლი“, სიმონ ჩიქოვანის „მამულს ვუთხრათ გამარჯვება“, ილო მოსაშვილის ციკლი „მისი ბარათი“, დავით გაჩეჩილაძის „ძახილი უკვდავებისა“, კარლო კალაძის „საარტილერიო დუელი“, კ. ჭიჭინაძის „კავკასიონი“ და მრავალი სხვა. არ დარჩენილა არც ერთი ქართველი პოეტი, რომელსაც თავისი ნიჭისა და ოსტატობის მთელი მარაგი არ მიეძღვნას ამ დიდი თემისადმი. უფრო გვიან დაიწერა მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ფართო პოეტური ტილოები — გრ. აბაშიძის „ძღვევის ქედი“ და ს. ჩიქოვანის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“. პირველ მათგანში დახატულია

იარაღასხმული საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობისა და სულიერი მშვენიერების წარუშლელი შთაბეჭდილების მომხდენი სურათები. მეორე კი უმღერის საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმობისა და საუკუნოებრივი მეგობრობის იმ წმინდა გრძნობას, რომელმაც ახალი საბრძოლო წრთობა ჰპოვა დიდი სამამულო ომის დღეებში და უზრუნველყო ჩვენი სამშობლოს გამარჯვება ამ დიად ბრძოლაში. ქართულ საბჭოთა პოეზიას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ხალხის მებრძოლი ნებისყოფის წრთობაში და, მაშასადამე, კაცობრიობის უბოროტეს მტერზე — პიტლერულ გერმანიაზე ჩვენი წმინდა და სამართლიანი საბრძოლო საქმის დიად გამარჯვებაში. მაგრამ სამამულო ომის მრისხანე წლებს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია ქართული პოეზიისათვის. სწორედ ამ წლებში ნაადრევად შეწყდა ბრწყინვალე ნიჭისა და მაღალი შთაგონების ახალგაზრდა პოეტის ლადო ასათიანის ცხოვრება, რომლის მხურვალე გულისძვერითა და ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილმა შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენი ეროვნული პოეტური ხელოვნების განვითარებაში. ამავე წლებში წავიდა ჩვენგან მეორე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ალექსანდრე საჯაია, ხოლო ბრძოლის ველზე გმირულად დაეცნენ მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა, რომელთა ფრონტული ლექსებიც, აღსავსენი ვაჟკაცური სულისკვეთებით, სულიერი ძალითა და მშვენიერებით, სამუდამოდ არიან შესული თანამედროვე ქართული პოეზიის საგანძურში.

დიდი სამამულო ომის თითქმის წინა დღეებში დაიწყო თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატის რევაზ მარგიანის შემოქმედებითი ცხოვრება და უკვე მაშინ მისმა გულმართაღმა, უშუალო და წრფელმა პოეტურმა ხმამ საყოველთაო ყურადღება მოიხვეჭა, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი წრთობა მან სწორედ ომის ქარცეცხლში ჰპოვა, ომისა, რომლის უშუალო მონაწილეც იგი იყო. ფრონტული ცხოვრების უშუალო განცდით და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით დაწერილი მისი ლექსების წიგნი „მუმილი მუხასა“ დღემდე რჩება ქართული პოეზიის ერთ-ერთ უძვირფასეს მონაპოვრად სამამულო ომის მარად ამოუწურავ თემაზე. ომის წლებში მომწიფდა და დაუაყვაცდა აგრეთვე იოსებ ნონეშვილის შთაგონებაც და მას შემდეგ იგი გამუდმებულად დგას ქართული პოეზიის მოწინავე ხაზზე გარემოცული იშვიათი პოპულარობით და საყოველთაო აღიარებით საქართველოშიც და მისი საზღვრების მიღმავე. სამამულო ომის დასასრულს და ჩვენი სამშობლოს ისტორიის ომის შემდეგი პერიოდის დამდეგს შემოვიდა ქართულ მწერლობაში ნიჭიერი პოეტების კიდევ ახალი თაობა: მურმან ლებანიძე, ოთარ ჭელიძე, ალექო შენგელია, ხუტა ბერულავა, შალვა ამისულაშვილი, ვახტანგ გორგანელი, ანდრო თევზაძე.

როგორც ცნობილია ეს პოეტები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ნიჭიერების ხარისხით და ხასიათით, თემატიკური და სტილობრივი მიდრეკილებებით, პოეტური აპით და ხელწერით, მაგრამ მათ ანათესავენ შემოქმედებითი ბიოგრაფიის ერთდროული დასაწყისი, დროების ის მკაფიოდ სპეციფიკური ნიშანთვისებანი რასაც არ შეიძლება დასაწილო. გამოხატულება არ ეპოვა მათ პოეზიაში. მაინც რომის შემდეგი პერიოდის დასაწყისის ქართული პოეტური ცხოვრების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მშობლიური პოეზიის სარბიელზე ჩვენი სახელოვანი პოეტი ქალის — ანა კალანდაძის გამოჩენა. იშვიათად თუ ხვდომია წილად რომელიმე ხელოვანს ასეთი საყოველთაო აღიარება და მოწონება შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველსავე საფეხურზე. შეუძლებელია დავიწყება იმ აღმაფრთოვანებელი შთაბეჭდილებისა, რომელიც მოახდინა მთელ ქართულ მწერლობაზე და ლიტერატურის მოყვარულ საზოგადოებრიობაზე ანა კალანდაძის პირველმავე ლექსებმა. ეს აიხსნებოდა არა მარტო პოეტის ბედნიერი ნიჭიერებით, მისი მართლაც და გულთამხილავობით, ადამიანის სულიერი ცხოვრების უღრმეს წიაღებში წვდომის უნარით, მშობლიური ენის სტიქიის თავისებური განცდით. ყოველივე ამის გარდა პოეტი ქალის დიდ წარმატებას სხვა მიზეზიც ასაზრდოებდა. ჭერ კიდევ არ იყო დამცხრალი ჩვენი პოეზიის საომარი ცხოვრების მძაფრი და დაძაბული ატმოსფერო, რომ სიკეთით, კეთილშობილური სიმშვიდით და გამარჯვების სიხარულით, ხალისით და სიცოცხლისმოყვარეობით აღსავსე ლექსები ანა კალანდაძის — ქიაქია მია და თითქოს ბინაში შემოსული თუთის ახლად ამწვანებული ტოტი განუმეორებელი მომხიბვლელობით გვაუწყებდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ახალი გაზაფხულის ამობრწყინებას. სწორედ ამით იყო გამოწვეული ის დიდი სიხარული, რომელიც ანა კალანდაძის პირველმავე ლექსებმა მოგვგვარა.

სამამულო ომის ფრონტიდან გამარჯვებულად დაბრუნებული ქართველი ვაჟკაცის სახე პირველად გრიგოლ აბაშიძის პოემაში „ზარზმის ზმანებაში“ გამოჩნდა, ხოლო ამ დროისათვის ჩვენს ქვეყანაში გამეფებული შემოქმედებითი შრომის დიადი ამაღორძინებელი ძალა ყველაზე მკაფიოდ განსახიერდა ირაკლი აბაშიძის ლირიკულ ციკლებში: „ჰყვავის გურია“ და „სიმღერა მკის დროს“. ფართოდება ქართული პოეზიის თემატიკური სარბიელი, მისი დიაბაზონი მოიცავს უკვე ომის შედეგებით განახლებული მსოფლიოს წიაღში მიმდინარე ახლებურ პროცესებს, ევროპაში აღმოცენებული ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების ცხოვრებას. ასეთი იყო გ. ლეონიძის ლექსების ციკლი „ელიენ სტალინი!“ და ს. ჩიქოვანის ორი ლირიკული რკალი „პოლონეთის გზებზე“ და „გოეთეს ცაცხვები“. ამ წლების ქართული პოეზიის მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე კ. კალაძის „ისევ მშობლიურ სოფელში“,

ი. ნონეშვილის „ყაზახეთის ველზე“ და „ამბავი ერთი ქალიშვილისა“, ხუტა ბერულავას „რუსული გული“, ოთარ ჭელიძის „ქიტესა“.

ამ პერიოდის ქართული პოეზიის გვირგვინს, მის უპირველეს მშვენიერებას და უმაღლეს მონაპოვარს წარმოადგენს გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული შედევრი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც მარადიულად იელღერებს, როგორც დიდებული ჰიმნი ჩვენი გმირული ისტორიისადმი, ჩვენი ხალხის შემოქმედებითი გენიისადმი, და თავისთავადაც, როგორც იშვიათი ნიმუში ურთულესი, სასწაულებრივი პოეტური ხელოვნებისა.

და აი, ჩვენ მივადექით იმ ისტორიულ ზღუდეს, ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მიჯნას, როდესაც ქართულ პოეზიაში მოვიდა ახალი მძლავრი თაობა, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს ახლა ქართული პოეზიის დღევანდელ სახეს და მისი უახლესი მომავლის პერსპექტივებს. უკვე ორი ათეული წელიწადია, რაც ქართული პოეზიის მოყვარულთა ზღრასა და გრძნობას განუწყვეტლივ ამღელვარებს ამ თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედება. ესენი არიან: მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ გურეშიძე, ფრიდონ ხალვაში, ტარიელ ჭანტურია, გივი ჯეგეჭკორი, გივი ძნელაძე, მიხეილ ქელიძე, მედეა კახიძე, ნაზი კილასონია, შორის ფოცხიშვილი, ლადო სულაბერიძე, ოთარ შალამბერიძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, ვახტანგ ჭავჭავაძე, ზაურ ბოლქვაძე, ეშვარ კვიციანიშვილი და სხვები. მე არამც თუ პრეტენზია არა მაქვს სათითაოდ დავახასიათო ეს პოეტები, არამედ ვშიშობ კიდევ, რომ გამოუკლებლივ დავასახელო ამ პოეტური პლეადის შემადგენელი ყველა საინტერესო და საყურადღებო წარმომადგენელი. რამდენი სიახლე, თემებისა, სახეებისა, პოეტური გამომსახველობის საშუალებათა რა ახალი სიმდიდრე მოიტანა ჩვენს პოეზიაში მთელმა ამ თაობამ და თითოეულმა ამ პოეტმა. მაგალითისათვის დავასახელოთ მუხრან მაჭავარიანი — დიდი, ლაღი, თავისუფალი პოეტური სუნთქვის ხელოვანი, რომლის ტემპერამენტი თითქოს ვერ ეტევა ტრადიციულად დადგენილი ლექსთწყობის ჩარჩოებში, გაბედულად მიარღვევს ამგვარ ჭებირებს და ქმნის ახლებურ, საკუთარ პოეტურ კანონზომიერებებს, შესატყვისს მისი მღელვარე და დაძაბული მსოფლმეგრძნებისათვის, მშობელი მიწაწყლისადმი აღტაცებული სიყვარულის გრძნობებისათვის, სისხლჭარბი სიცოცხლისმოყვარეობისათვის. რა ღრმად ეროვნულია, ქართულია მისი პოეზიის სულიც და გამოხატვის გარეგნული ფორმაც. სხვაგვარია ოთარ ჭილაძის პოეტური ბუნება. ლექსის გარეგნული ფორმის მხრივ იგი თითქოს არც კი ისახავს რაიმე განსაკუთრებულ ორიგინალურ ამოცანებს. ამ მხრივ იგი მეოცე საუკუნის მოდერნისტული პოეტური კულტურის მიღწევებით კმაყოფილდება, მაგრამ ამ კალაპოტში ჩაყენებული მისი ლექსი იმ-

დენად თვითმყოფია პოეტური აზრის, განწყობილებათა და ინტონაციის მხრივ, რომ საესებით გამოირიცხულია რაიმე ანალოგიები, ვისმესთან მსგავსება, ვისიმე და რისიმე განმეორება. იგი უპირველესად საკუთარ სულს გამოხატავს მძაფრი ლირიკული ძაბვით, რთული ასოციაციებით, საოცრად შთამბეჭდავი სახეებით, ტევადი და გააზრებული მეტაფორებით. მას აქვს მდიდარი და ვრცელი პოეტური სამყარო, რომელშიც ორგანულად არის შეთავსებული საკუთარი ოჯახის, ჩვენი ქვეყნის, დღევანდელი დღის ინტერესები, სიხარული და ტკივილები და ამასთანავე უნივერსალური მასშტაბები, პრეისტორიულ ეპოქათა მითოლოგიური სიუჟეტები. ოთარ ჭილაძის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული ქართულ პოეზიაში ლირიკული პოემის ახალი ტიპის დადგენა, რომელშიც იმდენივეა საინტერესო და მნიშვნელოვანი, რამდენიც სადისკუსიო და საკამათო. ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსს კი სამყაროს მღელვარედ განცდა და დრამატიზირებული აღქმა უდევს საფუძვლად. იგი ყოველთვის ემოციურად გამძაფრებულია და საზოგადოებრივად აქტუალური. შეიძლებოდა ყოველი თანამედროვე ქართველი პოეტისათვის მიგვეცა ამგვარი ზოგადი, ლაკონიური დახასიათებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ეს სურვილი მიუღწეველი და განუხორციელებელია ჩვენი მეტად მკაცრი რეგლამენტის პირობებში.

ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახლანდელ ეტაპზე ქართულ პოეზიაში უაღრესად საყურადღებო და მნიშვნელოვანი სიახლენი შეინიშნება. პოეზია გამიზნულად და თანმიმდევრულად თავს აღწევს სახობტო განწყობებს, ჭარბ პათეტიკას, გულგრილ რიტორულობას, რომელიც ერთ დროს ესოდენ გავრცელებული იყო ჩვენს პოეზიაში. ახლა ჩვენი პოეზია მოსაწონი პრინციპულობით ისწრაფვის და ხშირ შემთხვევაში აღწევს კიდევ ლირიკული გმირის სულიერი ცხოვრების სრულად და მრავალმხრივად კვლევას, ადამიანის აზრთა და გრძობათა სამყაროს უღრმეს წიაღებში წვდომას. მარტივად რომ ვთქვათ, ქართულ ლექსში თანდათანობით მკვიდრდება მეტი ბუნებრივობა, სიმართლე, სითბო და ამასთანავე აზრობრივი სიღრმე, ფილოსოფიური განზოგადებანი.

ჩვენი პოეზიის ასეთი განახლების მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ირაკლი აბაშიძის პოეტური ციკლები „მიახლოება“ და „რუსთაველის ნაკვალევზე“, განსაკუთრებით კი „პალესტინა, პალესტინა“. ამ ლირიკული ციკლების შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა და ყოველივე ამის გამეორება ახლა საჭირო აღარ არის. ასეთივე პრინციპული მნიშვნელობა აქვს გიორგი ლეონიძის უკანასკნელ პოეტურ ქმნილებებს და სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებითი ბიოგრაფიის დამამთავრებელ ორ ციკლს „განჯის დღიური“ და „შემოდგომის საღამოები აჭარაში“. ჩვენს მხატვრულ პერიოდიკაში დღემდე გრძელდება გ. ტაბიძის გამოუქვეყნე-

ბელი ლექსების პუბლიკაცია, რასაც ყოველთვის მოაქვს ჩვენთვის ახალი შე-
ნოქმედებითი სიხარული.

თუ უშუალოდ საანგარიშო პერიოდის, უკანასკნელი ხუთი წლის ქართული
ლირიკული პოეზიის განვითარებაზე ვილაპარაკებთ, აქ ერთ-ერთ უაღრესად
საყურადღებო და დამახასიათებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ რევ. ზ. მარ-
გიანის წიგნი „გამოღვიძება“, იგი თითქოს ერთგვარი შედეგი და დასრულებული
გამოხატულებაა პოეტის მიერ გავლილი ვრცელი და მდიდარი შემოქმედებითი
გზისა.

კიდევ ერთხელ გაიღვა ჩვენს წინ სევანეთის დიდებულმა პეიზაჟებმა, რომ-
ლებიც წრფელი დედამშვილური გრძნობით არის განათებული, კიდევ ერთხელ
გაცოცხლდა ჩვენს მეხსიერებაში სამამულო ომის დიდებული ეპოპეა. ლექსში
„ჯიხვი“, პატრიოტიზმის ტრადიციული თემა დაუკავშირდა თანამედროვე სა-
ერთაშორისო კონფლიქტების მწვავე პრობლემებს, ხოლო ყოველივე ამს გვერ-
დით კრებულში გვხვდება ღრმად ინტიმური ხასიათის ლექსები, რომლებშიც
თანამედროვეობის გმირის კეთილშობილური მორალური მისწრაფებებია გამო-
ხატული. ეს კრებული პოეტის შთაგონების სრული სიმწიფის მომასწავებელი
დოკუმენტია.

„საანგარიშო პერიოდში“ ე. ი. უკანასკნელი არასრული ხუთი წლის გან-
მავლობაში ქართულ პოეზიაში თავი იჩინა კანონიერმა მისწრაფებამ, რომ დაძ-
ლეულიყო პოეტური კულტურის უანობრივი შეზღუდულობა და ცალმხრივად
მისი მომწყვედევა ლირიკული ლექსის ჩარჩოებში. ოქტომბრის დიდი რევოლუ-
ციის 50 წლისთავისათვის, ე. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის და
საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესათვის მზადების დღეებ-
ში დაიწერა და ზედიზედ გამოქვეყნდა ლირიკული და ეპიკური პოემები: კარლო
კალაძის „ფიქრები“, ოთარ ჭელიძის „ამირანმთა“, მურმან ლებანიძის „ანისის
აღება“, ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“, ლადო სულაბერიძის „შემოდ-
გომის დღის ქრონიკა ლენინგრადში“. ამ პოემების შესახებ საკმაოდ დაიწერა
ჩვენს პრესაში და კრიტიკაში, პირადად მეც მქონდა შემთხვევა გამომეთქვა ჩე-
მი მოწონება და დადებითი შეფასება ამ ნაწარმოებებისა და შეძლებისდაგვარად
დამესაბუთებინა ჩემი ასეთი აზრი. ყოველივე ამის გამეორება ახლა არც საჭი-
როა და არც შესაძლებელი, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ხაზგასმით და გარ-
კვევით აღინიშნოს: ამ პოემების ღრმა აზრობრივი აქტუალობა, მახვილი და მე-
ბრძოლი იდეური მიზანდასახულობა. პოემაში „ფიქრები“, რომელიც ნამდვი-
ლად ამდიდრებს და ამშვენებს პოეტის მთელ ნახევარსაუკუნოვან შემოქმე-
დებით ბიოგრაფიას, კარლო კალაძემ კეთილშობილური პატრიოტული მღელ-
ვარებით დაგვიხატა „სხვა საქართველო“ — თურქეთში მოსახლე მილონიანი

ქართველობის ისტორიული ბედი და დღევანდელი ყოფაცხოვრება. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენად საინტერესოა და ამაღლევებული ეს თემა ქართველი ხალხისათვის, მისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი სასიცოცხლო ინტერესების თვალსაზრისით. ასეთივე ღრმად აქტუალური ეღერა მოიპოვა ჩვენი დღევანდლისათვის შორეული წარსულის მასალაზე დაწერილმა მურმან ლეზანის პოემამ „ანისის ალებამ“. ამ პოემამ გააცოცხლა ჩვენს მეხსიერებაში ქართველ-სომეხთა ძმობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ეპიზოდი. დიახ, ეს მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა, რომ აღარაფერი ვთქვათ პოემის თავისთავად ესთეტიკური ღირებულებისა და პროფესიული პოეტური ღირსებების შესახებ. რაც უფრო სავალალოდ გამოჩნდებიან უღირსი ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან ოდნავ მაინც აამღვრიონ სომეხ-ქართველთა მეგობრობის წმინდა ნაკადები, ჩვენ მით უფრო ვალდებული ვართ დავუპირისპიროთ ამ უბადრუკ ცდებს ამ კეთილშობილური ტრადიციისადმი ჩვენი ურყევი ერთგულების დამადასტურებელი ნაწარმოებნი პოეზიაშიც, ხელოვნებაშიც. მეცნიერებაშიც, პუბლიცისტიკაშიც. ლადო სულაბერიძემ ლენინის ქალაქთან, ოქტომბრის აკვანთან, დიდი სახელმწიფოებრივი ცხოვრების, მისი პროგრესიული კულტურული შემოქმედებისა და სწორუპოვარი რევოლუციური ტრადიციების ამ უპირველეს კერასთან ქართველი ხალხისა და მისი ისტორიული ბედ-იღბლის განუყოფელი კავშირის მრავალმხრივი ასპექტი გამოხატა თავის პოემაში. ჭანსულ ჩარკვიანმა — ჩვენი ყველა წარმატებისა და გამარჯვების საფუძველთა საფუძველს — კაცობრიობის ყველაზე მაღალი და ნათელი იდეალებისადმი ჩვენს ურყევი რწმენას და ერთგულებას უმღერა. ოთარ ჭელიძემ კი — საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წინა დღეებში შთამომავლობის განუზომელი მადლიერების გრძნობით აღადგინა ჩვენს ცნობიერებაში სასწაულებრივი გმირობა და ქედუხრელობა იმ ადამიანებისა, რომელთა რევოლუციური შემართების, მრავალი მსხვერპლისა და სისხლის მეოხებით მოიპოვა და დაიმკვიდრა ჩვენმა სამშობლომ თავისი დიდი სოციალური და ეროვნული თავისუფლება.

უკანასკნელ წლებში ქართულ მწერლობაში თითქმის აღმოიფხვრა თაობათა ურთიერთგათიშვისა და დაპირისპირების მანკიერი ტენდენციები, რაც საკმაოდ გავრცელებული იყო წინა პერიოდის ჩვენს ლიტერატურაში. ამჟამად ქართულ მწერლობაში და, კერძოდ, პოეზიაში თაობათა სრული ჰარმონია სუფევს. თითქოს ახალი შემოქმედებითი ენერჯია და ძალღონე მოიკრიბეს ჩვენი პოეზიის ყველაზე უფროსი თაობის ოსტატებმა: სანდრო შანშიაშვილმა, კოლაუნადირაძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ვასო გორგაძემ, იონა ვაკელმა, ბონდო კეშელავამ, მარიკა ბარათაშვილმა, მაცყალა მრეველიშვილმა, ნიკოლოზ ჩაჩავამ, გრი-

გოლ ცეცხლაძემ, გიორგი კაჭახიძემ, კალე ბობოხიძემ და მათ ჯვერდით უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად გამოდიან ჩვენი მხატვრული პერიოდიკის ფურცლებზე და ცალკე წიგნებით რეზო ამაშუკელი, ლია სტურუა, ბესიკ ხარანაული, ნელი გაბრიჩიძე, დილარ ივარდავა. გაისმა ახალი სახელებიც: ბიძინა მინდაძე, ვანო ჩხიკვაძე, თამარ ერისთავი, გივი ალხაზიშვილი, შურმან ჯგუჭუ-რია, თედო ბექიშვილი და სხვ.

მრავალი ახალი ლირიკული ლექსი გამოქვეყნდა ბოლო წლებში. მათი რიცხვი ალბათ ათასობით განიზომება. ვიმედოვნებ, რომ მე არ მომთხოვთ ახლა ყოველი მათგანის დახასიათებას და აღნუსხვასაც კი. ეს ახლა ნაშვლიად აღემატება ჩემს ძალღონეს. მთელი ამ სიუხვიდან და თვალუწვდენი მრავალფეროვნებიდან მე მინდა მაინც გამოვყო ის პოეტები, რომლებმაც ამ უკანასკნელ წლებში „გაუსწრეს თავის თავს,“ ე. ი. ამაღლდნენ თავისი პოეტური ბიოგრაფიის ახალ დონეზე, ხალხის მეტი ყურადღება, მოწონება და აღიარება მოიპოვეს, ვიდრე წინა წლებში. ესენი არიან მურმან ლებანიძე, ლადო სულაბერიძე, მორის ფოცხიშვილი, ნოდარ გურეშიძე. ბონდო კეშელავამ ახლახან გამოაქვეყნა წიგნი „ცაო მაღალო“, რომელშიაც რაღაც ახლებური შექით გამოანათა მისმა თავისებურმა კეთილშობილურმა ნიჭიერებამ.

ირაკლი აბაშიძემ არ მოისურვა შემოქმედებითი „ანტრაქტი“ და შესვენება. პალესტინის დიდი ციკლის შემდეგ მან ბოლო წლებშიც გამოაქვეყნა მრავალმხრივ საყურადღებო ლექსები: „პოეტის გული“, „პიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე“ და სხვ. მან გააძლიერა მუშაობა პოეტური თარგმანის სფეროში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მუხრან მაჭავარიანმა უკანასკნელ წლებში თავისი შემოქმედებითი ენერჯის უდიდესი ნაწილი მოახმარა ბულგარული პოეზიის ანთოლოგიის შექმნას ქართულ ენაზე. მაღალ შეფასებას იმსახურებს ოთარ ჭილაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა ამ სფეროში — კერძოდ მის მიერ პუშკინის რამოდენიმე ქმნილების თარგმნა.

გრიგოლ აბაშიძე, ბელეტრისტული და დრამატურგიული შემოქმედებით ხანგრძლივი გატაცების შემდეგ კვლავ უბრუნდება თავის „პირველ სიყვარულს“ — პოეტურ მუზას. სულ ახლახან, თავისი აღმოსავლური ლირიკული ციკლის შემდეგ მან გამოაქვეყნა ხალხთა ძმობის ნათელი იდეით შთაგონებული რამდენიმე ლექსი და ეპიკური ჟანრის ცალკეული ფრაგმენტები. რაც საფუძველს გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ ეგებ მან კიდევ მიუძღვნას მშობლიურ ლიტერატურას ახალი ეპიური თუ დრამატული პოემები.

„შფოთიანი თბილისი — პოეტების სამეფო“ — ერთადერთი კერა როდია თანამედროვე ქართული პოეზიისა. შეუძლებელია დღევანდელ ქართულ პოეზიაზე მსჯელობა იმ წვლილის გაუთვალისწინებლად, რომელიც მის განვითარე-

ბაში შეაქვთ შოთა აკობიას, მირიან მირნელს, ხუტა გაგუას და ჩვენს სოხუმელ თანამოძმეებს. იგივე უნდა ითქვას აჭარაში დიდი წარმატებით მოღვაწე ქართველ პოეტებზე — ასეთები არიან ფრიდონ ხალვაში, ნესტორ მალაზონია, გიორგი სალუქვაძე, ნადიდე გვარიშვილი, მამია ვარშანიძე და სხვ. უძველესი და უმდიდრესი პოეტური ტრადიციების ქალაქში — ქუთაისში დღესაც ღვივის პოეტური მემკვიდრეების ცეცხლი — იქ ცხოვრობენ და მოღვაწეობენ დავით კვიციანიძე, გიორგი სამხარაძე, ზურაბ კუხიანიძე, ლილი ნუცუბიძე და სხვ. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ანდრია სინაური, არჩილ გურჯიძე.

ქართულ მწერლობასთან, ჩვენს ეროვნულ პოეზიასთან განუყოფელ შემოქმედებით კავშირურთიერთობაში ვითარდება ჩვენი ღვიძლი ძმის, აფხაზი ხალხის თანამედროვე პოეზია. საქვეყნოდ არის ცნობილი საუკეთესო თანამედროვე აფხაზი პოეტების — ბაგრატ შინკუბას, ივანე თარბას, ა. და ჭ. ჯონუების, კონსტანტინე ლომიას, გიორგი გუბლიას, ნელი თარბას შემოქმედება. იგივე უნდა ითქვას სამხრეთ-ოსეთის გამოჩენილი პოეტების: გაფეზ გაგლოითის, გიორგი ძუგაუთის, ნაფი ძუსოუთის, პაჯიმურატ ძუწათის, რევაზ ასათის, გიორგი ბესტაუთის და სხვათა შესახებ.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა თანამედროვე ქართული პოეზიის ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე, მის გადაუჭრელ პრობლემებზე, ჩვენს უპირველეს საზრუნავსა და საფიქრალზე ამ სფეროში.

უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ვიბრძოლოთ დღევანდელი ქართული პოეზიის მოქალაქეობრივი უღერის გადაჭრით გაძლიერებისათვის, პოლიტიკური ლირიკის, პოეტური პუბლიცისტიკის ხვედრითი წონის გაზარდისათვის ჩვენს პოეზიაში. ამ პოეტური უანრების აშკარა გაღარიბება მე მიმაჩნია ჩვენი დღევანდელი პოეზიის ისეთ ნაკლოვანებად, რომელსაც არ შეიძლება ვურიგდებოდეთ. ამიტომ განმეორებით და ხაზგასმით აღვნიშნავ უეჭველად დადებით მნიშვნელობას ამ პოეტური უანრებისადმი თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვახტანგ გორგანელის და ზოგიერთი სხვა პოეტის პრინციპულ და თანმიმდევრულ ერთგულებას. როგორც თავის დროზე მთელმა ქართულმა პოეზიამ გულითადად უმღერა ზაჰესს, ახალ კოლხეთს, აღორძინებულ სამგორს, ასევე უნდა უმღეროდეს დღევანდელი ქართული ლექსი ფნგურაჰვისის გიგანტურ მშენებლობას, ჩვენი მეფოლადეების, მეჩაჩეების, მეციტრუსეების, მევენანეებისა და სხვათა შემოქმედებით შრომას, რომლებიც დოვლათითა და ბარაქით ამდიდრებენ ჩვენს სამშობლოს და სახელს უთქვამენ ქართველი კაცის შრომისმოყვარეობას, მის გარჯას და ღვაწლს. ამიტომაც მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ ამ თვალსაზრისით ალექო შენგელიას და რევაზ ამაშუკელის შემოქმედებით ინიციატივას. ჩვენი პოეზიისათვის მუდამ მისაბამ მაგალითად უნდა დარჩეს გასული საუკუნის

ორი უდიდესი ლირიკული შედეგის „მერანისა“ და „განთიადის“ აღმოცენების ისტორია სოციალური სინამდვილის რეალური, კონკრეტული ფაქტების ნიადაგზე, პარიზის კომუნარებისა და გარიბალდის ბრძოლებზე დიდი ილია ჭავჭავაძის პოეტური გამოხმაურების გაცვეთილი. ზოგიერთი ჩვენი მაღალნიჭიერი პოეტი ამ ბოლო ხანებში მეტად იშვიათად გამოდის ახალი ლექსებით. ეს შეეხება ალექსანდრე გომიაშვილს, ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს და წარმოდგინეთ — იოსებ ნონეშვილსაც, რომელიც ყოველთვის დიდი შემოქმედებითი აქტივობით და ინტენსიურობით მუშაობდა.

ჩვენ მეტის თანმიმდევრულობით უნდა ვიზრუნოთ ქართული კლასიკური პოეტური ეპოსის დიდი ტრადიციების სრული აღორძინებისათვის. სავსებით გადატაკებული პოეტური სატირის ჟანრის განვითარებისა და დაწინაურებისათვის, გადაჭრით უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გამომცემლობათა ხელმძღვანელების მომთხოვნელობა გამოსაქვეყნებელი პოეტური მასალის იდეურ-ესთეტიკური ხარისხის მიმართ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება და ცალკე წიგნებადაც გამოდის ისეთი მღარე და უგემოვნო ლექსები, რომლებიც სრულიად არაფერს მატებენ ჩვენს პოეზიას, სრულიად არაფერს ეუბნებიან მკითხველის გულსა და გონებას. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ და საზოგადოებრივმა აზრმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს განსაკუთრებულად ჩვენს პოეტურ ახალგაზრდობაში გავრცელებულ მანკიერ ტენდენციებს, როცა ლექსის ნიჭიერ ოსტატთა ძალა და ენერჯია უნაყოფოდ ეწირება წვრილმან, საზოგადოებრივად უმნიშვნელო თემებს და ზოგჯერ უაზრო ვარჯიშობასაც კი.

თანამედროვე ქართული პოეზიის უპირველესი და ყველაზე კეთილშობილური ამოცანაა უკომპრომისო ბრძოლა მშობლიური ენის, ჩვენი დედა-ენის ამაღლებისა, გამდიდრებისა და გამშვენიერებისათვის. პოეტური შემოქმედების მაგალითზე განსაკუთრებული სიცხადით მტკიცდება ის ქემშარიტება, რომ ნამდვილი მხატვრული ღირებულებანი მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე, მშობლიური კულტურის წიაღში შეიძლება აღმოცენდეს. ჩვენ კვლავაც გადაჭრით უნდა შევებრძოლოთ ეროვნული ენებისა და ეროვნულ კულტურათა გათქვეფისა და ნიველირების ყალბ, ვულგარიზატორულ, ანტილენინურ „თეორიებს“ და იმ „ბილინგვისტურ“ მოწოდებებსაც, რაც ამ ბოლო დროს წამოიწყეს. გვირჩევენ, რომ საბჭოთა ხალხების მწერლებმა ორ ენაზე დაიწყონ წერა, რაც იმისათვის არის გამიზნული, რომ ბოლოს და ბოლოს ხელი აიღონ მშობლიურ ენაზე. ზედმეტია პოლემიკა ამ უბადრუკ და მახინჯ გამოგონებასთან. მსოფლიო პოეზიის ისტორიამ არ იცის ასეთი ახირებული „თეორიების“ დამადასტურებელი მაგალითები. საბჭოთა ხალხების ყოველი ეროვნული ლიტერატურა და მათ

შორის ქართული საბჭოთა ლიტერატურაც სწორედ მშობლიური ენის საშუალებით აღწევს იმ დიდ წარმატებებსა და ნამდვილ აყვავებას, რაც კიდევ ერთხელ ასეთი სიცხადითა და სიღრმით იქნა აღნიშნული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე.

ქართული საბჭოთა მწერლობა ახალი დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ეგებება ჩვენს უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, რაც თავის მხრივ ახალი მძლავრა სტიმული იქნება ჩვენი ლიტერატურის შემდგომი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობისათვის.

მაღალი ჩინების პოეზია

კანონიერი სიამაყისა და კმაყოფილების გრძნობით გააცილა ჩვენმა ქვეყანამ გასული 1970 წელი — დიდი ლენინის საიუბილეო წელიწადი. რომლითაც დამთავრდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მეორე ხუთწლიანი დასრულდა ჩვენი სამშობლოს ისტორიის მთელი ათწლეული — მეოცე საუკუნის სამოციანი წლები. ჩვენი სამშობლოს იდეურ ცხოვრებაში გასული წელი აღინიშნა ახალი დიდი წარმატებებით ხალხის სულიერი შეიარაღებას, მისი გონებრივი წრთობისა და ამაღლების, ლენინის დიდი იდეური მემკვიდრეობის უფრო სრულად და ღრმად დაუფლების, ლენინიზმის უძლეველი მოძღვრების უფრო ყოველმხრივად ათვისებისა და გააზრების საქმეში. ახალი ზღუდეები იქნა მიღწეული და დაპყრობილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ყოველი დარგის აღმავლობაში, საბჭოთა ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობებისა და კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესებაში. გასული წლის მანძილზე არაერთხელ განაცვიფრა და აღაფრთოვანა კაცობრიობა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის სასწაულებრივმა მონაპოვრებმა კოსმოსური სივრცეების დაპყრობის, მთვარის ზედაპირის კვლევის, ბუნების ურთულეს საიდუმლოებათა ამოხსნის სფეროში.

ყოველივე ამას, ცხადია, არ შეეძლო თავისი კეთილმყოფელი, გამანაყოფიერებელი ზეგავლენა არ მოეხდინა ხალხის სულიერი შემოქმედების ყოველი დარგის განვითარებაზე, ცხოველი გამოსახულება და ანარეკლი არ ეპოვა ჩვენი მხატვრული კულტურის ყოველ სფეროში, ჩვენს მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში და კერძოდ თანამედროვე ქართულ მწერლობაში. ყოველი დროისა და ყოველი ქვეყნის ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი სინამდვილის პროცესებით საზრდოობს და ცოცხლობს. მაგრამ სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრებასთან განუყოფელი, სისხლხორცეული კავშირ-ურთიერთობა, განსაკუთრებულის ძალით იგრძნობა ჩვენს ლიტერატურაში, რომლის შემოქმედებითი მეთოდისა და ესთეტიკური მრწამსის უპირველეს პრინციპებს სწორედ ცხოვრებისეული სიმართლე, ხალხურობა, იდეურობა, პარტიულობა, უღრმესი და უფართოესი რეალიზმი შეადგენს და განსაზღვრავს.

გასულ წელს, როცა მთელი ქართველი ხალხი საყოველთაო შრომითი ენთუზიაზმით ემზადებოდა იმისათვის, რომ ღირსეულად აღენიშნა დიდი ლენინის იუბილე და ღირსეულად შეხვედროდა ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს — საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, ქართულ მწერლობაშიც დაძაბული შთაგონებული შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო სუფევდა. ზედიზედ გამოქვეყნდა კარლო კალაძის, ლადო სულაბერიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემები: ოთარ ქელიძის, მურმან ლებანიძის, ეპიკური პოეტური ტილოები, მრავალი პოეტური ციკლი და ლირიკული ლექსები; რევაზ ჯაფარიძის, ნოდარ დუმბაძის, გრიგოლ ჩიქოვანის, ედიშერ ყიფიანის, თენგიზ გოგოლაძის, დავით კვიციანიძის, გურამ ფანჯიკიძის, რევაზ ჭეიშვილის ახალი რომანები, კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და რევაზ ინანიშვილის ნოველების ციკლები, სერგო კლდიაშვილისა და დემნა შენგელაიას ახალ ნაწარმოებთა ფრაგმენტები, კონსტანტინე გამსახურდიას ახალი ისტორიული რომანის პირველი თავები, ვალერიან კანდელაკის, თამაზ ჭილაძის, ოტია იოსელიანის, აკაკი გეწაძის, ალექსანდრე ჩხაიძის ახალი პიესები. ქართული პოეტური თარგმანის ხელოვნება გამდიდრდა ირაკლი აბაშიძის, ოთარ ჭილაძის, მუხრან მაჭავარიანის ახალი ნამუშევრებით. რომელთაც ქართულ ენაზე მაღალნიჭიერად აამეტყველეს რუსული და უცხოური პოეზიის ნიმუშები. ქართულ საბავშვო პოეზიას შემოემატა არჩილ სულაძაურის, რევაზ ინანიშვილის, გივი ჭიჭინაძის ახალი წიგნები, რამდენიმე სერიოზული ნაშრომი გამოქვეყნდა ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართული საბჭოთა მწერლობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში იშვიათია წელიწადი, რომელიც ასეთი შემოქმედებითი ინტენსივობით, მხატვრული პროდუქციის ასეთი სიუხვითა და მრავალფეროვნებით აღნიშნულიყოს ლიტერატურული შემოქმედების ყოველ დარგში და მთავარი აქ რაოდენობრივი სიუხვე როდია. მთავარი ის არის რომ დასახელებულ ავტორთა ახალი ნაწარმოებების უდიდესი უმრავლესობა ჩვენი თანამედროვეობის აქტუალური თემებისა და პრობლემებისადმი მიძღვნილი, მათი უმრავლესობა თავისი ესთეტიკური ღირსებებით სიტყვიერი ხელოვნების თანამედროვე კულტურის დონეზე დგას და მხატვრული მეტყველების ახალ საშუალებათა ძიებისა და მიგნების საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

გასული წლის ქართული ლიტერატურული ცხოვრების უპირველესი მონაპოვარი ის არის, რომ გაღრმავდა და გაძლიერდა მწერლობაში თანამედროვეობის გრძნობა, დღევანდლობის სუნთქვა, სისხლხორცეული კავშირითობა ხალხის ზრახვათა და მისწრაფებათა, მისი სასიცოცხლო ინტერესების სამ-

ყაროსთან. ერთი წლის მანძილზე ქართულმა მწერლობამ სეკრძობი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ — იდეური აღმავლობისა და მხატვრული სრულფასოვნების თვალსაზრისით.

განვლილი წლის ქართული ლიტერატურული ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ საქართველოში დიდი წარმატებით ჩატარდა ჩვენი ეროვნული პოეზიის ტრადიციული დღესასწაული „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“. ზეიმი შოთა რუსთაველის მშობელ კუთხეში — მეხუთე-ჯავახეთის მიწა-წყალზე დაიწყო და შემდეგ მოედო მთელს საქართველოს, მის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონებს, ქალაქებსა და სოფლებს მთელი ოქტომბრის განმავლობაში რესპუბლიკის სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, კლუბებსა და კულტურის სახლებში, ქარხნებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ქლერდა ქართული პოეტური სიტყვა, იმართებოდა პოეტების შეხვედრები მკითხველებთან, სჯა-ბაასი და დისკუსიები თანამედროვე ქართული პოეზიის აქტუალურ საკითხებზე. მთელი რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა ფართოდ ესმართებოდა პოეზიის ამ შესანიშნავ დღესასწაულს. „ლიტერატურული საქართველოს“ საგანგებო ნომრებში და გაზეთში „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ გამოქვეყნდა ქართული პოეტების ახალი ლექსები. მგონი არ დარჩენილა ქართული პოეტური სიტყვის ოსტატი, რომელიც ახალი ნაწარმოებით არ შეხვედროდეს პოეზიის ამ დიდ სახალხო ზეიმს. ეს იყო ჩვენი ეროვნულ პოეზიის მაღალი ხალხურობის სახელოვანი ტრადიციის ტრიუმფი, თავისი ეროვნული მწერლობისადმი ქართველი ხალხის სიყვარულის, მადლიერებაა და პატივისცემის მეტყველი დემონსტრაცია.

მხოლოდ ხალხის უფართოეს ფენებთან ღრმა, ცოცხალი და უშუალო სულიერი კონტაქტების პირობებში შეიძლება იზრდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა პოეტური კულტურა. ამ საკითხს ღრმა პრინციპული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პოეზიის განვითარებაში. ანტირეალისტური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლები და მიმდინარეობანი, ჩვენი დღევანდელი დასავლეთელი ოპონენტები და იდეური მოწინააღმდეგენი პოეზიას ლექსის მოყვარულთა და მცოდნეთა, სწობებისა და გურმანების ვიწრო წრეების კუთვნილებად აცხადებენ. ჩვენი საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის გარკვეულ პერიოდში საკმაოდ გავრცელებული იყო პოეზიის ასეთი ანტიდემოკრატიული კონცეფციები, რომლის გადმონაშთები ასეთი თუ ისეთი სახით და სხვადასხვაგვარი ინტენსივობით იჩენენ ხოლმე თავს, რასაც თან სდევს ლექსის

მოქალაქეობრივი უღერადობის შენელება, პოეზიაში კამერული, საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებული თემატიკის გავრცელება, პოეტური ენის ბუნდოვანება, მხატვრული მეტყველების საშუალებათა ისეთი შერჩევა, რაც მხოლოდ „რჩეულთათვის,“ რაფინირებულ „ესტეტთათვის“ არის მისაწვდომი. ასეთი ტენდენციები არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენი ეროვნული კლასიკური პოეზიის დიდ რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებსაც და სოციალისტური ლირიკის მაგისტრალურ გზებსაც.

უკანასკნელი დროის ქართულ პოეზიაში უაღრესად მნიშვნელოვან და ნაყოფიერ ძვრებსა და სიახლეებს აქვს ადგილი. ამ ტენდენციებმა განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი გასული წლის მანძილზე. თანამედროვე ქართული პოეზია მეტი ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლისაკენ, სინამდვილის მოვლენათა წიაღში და ადამიანის სულიერ სამყაროში უფრო ღრმად წვდომისა და მათი მეტი სისრულით და მრავალმხრივობით გადმოცემისაკენ, პოეტური ხელოვნების საშუალებათა მეტი მრავალფეროვნებისა და მაღალი სისადავისაკენ მიისწრაფვის. ამ მისწრაფების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება ისიც არის, რომ ჩვენი პოეზია თანმიმდევრულად თავს აღწევს ჟანრობრივ განსაზღვრულობას და ცალმხრივობას, მისი განვითარების შეზღუდულობას მხოლოდ ლირიკული ლექსის ფარგლებში; როგორც ცნობილია, მას შემდეგ, რაც ქართული პოეზიის სარბიელიდან წავიდნენ ჩვენი ეროვნული პოეზიის გოლიათები აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ქართულ მწერლობაში გარკვეული წლების მანძილზე ფართო გავრცელება პოვეს ანტირეალისტურმა პოეტურმა სკოლებმა, რომლებმაც თავიანთ ბრძოლაში რეალისტური ესთეტიკის ფუძემდებლური პრინციპების წინააღმდეგ შეგნებულად უკუაგდეს დიდი მხატვრული ტილოების, ეპიკური ჟანრების ტრადიცია და პოეზიაში მხოლოდ ლირიკული ლექსის ფორმა გააბატონეს. ქართულმა საბჭოთა პოეზიამ რეალისტური ხელოვნების ღიანდაგზე თავაზ განვითარებაში მოპოვებული უდიდესი წარმატებების მიუხედავად, დღემდე ვერ გადალახა ეს ინერცია და სათანადო ძალით ვერ აღორძინა ჩვენი ეროვნული კლასიკური პოეზიის სახელოვანი ეპიკური ტრადიციები. საბჭოთა ქართულმა პოეზიამ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე მიაღწია ისეთ სიმაღლეებსა და მწვერვალებს, რომლებიც დაამშვენებდა ყოველი დიდი ცივილიზებული ხალხის მხატვრულ კულტურას. მაგრამ მის განვითარებაში მაინც გარკვეული დისპროპორცია და ცალმხრივობა შეინიშნებოდა. ეს იყო ლირიკული ლექსის უპირატესი მდგომარეობა პოემის ჟანრის გაღარიბებისა და დაქვეითების ხარჯზე. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა დღემდე სამართლიანად საყვედურობს თანამედროვე ქართული პოეზიის ასეთ ცალმხრივ განვითარებას. აქ საკითხი შეეხება არა იმას, თუ რომელი ჟანრი — ლირიკული თუ ეპიკური უფ-

რო მნიშვნელოვანი და ძვირფასია რეალისტურ პოეზიაში, არამედ იმას, რომ განვითარებულ დიდ ეროვნულ ლიტერატურაში თანაბრად საჭირო და მნიშვნელოვანია ცხოვრების სიმართლით წარმოსახვის უნარის მქონე ყოველი ფორმა და ენარი და რომელიმე მათგანის გაღარიბება და ქრობა აუცილებლად ზღუდავს საერთოდ მწერლობის მიერ სინამდვილის, ადამიანის სულიერი ცხოვრების პროცესების სრულად ათვისებისა და მთელი სიღრმით წარმოსახვის ძალას და მასშტაბს.

ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცდა ეპიკური ენარის დიდი შემოქმედებითი ტრადიციების აღორძინებისა. ჩვენი დროის თითქმის ყველა საუკეთესო ქართველმა პოეტმა მიუძღვნა თავისი ნიჭიერებისა და ოსტატობის გარკვეული ნაწილი ამ მისწრაფებას. განსაკუთრებული ინტენსივობით და ნაყოფიერებით იღვწოდა ამ სფეროში თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის გარკვეულ პერიოდში გრიგოლ აბაშიძე, რომლის პოემები „შავი ქალაქის გაზაფხული“, „გიორგი მეშვიდე“, „ძღვევის ქედი“ და „ზარზმის ზმანება“ ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველთა ფართო ფენების მიერ ერთსულოვნად იყო აღიარებული თანამედროვე ქართული ეპიკური პოეზიის ძვირფას მონაპოვრად. მაგრამ ომის შემდეგი წლების ქართულ ლიტერატურაში ამ მიმართულებით წარმოებულმა შემოქმედებითმა მუშაობამ, სამწუხაროდ, განვითარება და გაღრმავება ვერ ჰპოვა და ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უკანასკნელი თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ამ სფეროში რაიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. მეტად იშვიათი გამონაკლისის გარდა, აღარაფერი შექმნილა. და აი, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით გასული წლის განმავლობაში ზედიზედ გამოქვეყნდა კარლო კალაძის, ოთარ ჭელიძის, მურმან ლებანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ლადო სულაბერიძის, იონა ვაკელის ახალი პოემები. ამ პოემების ერთდროული გამოქვეყნება მოასწავებს ქართულ პოეზიაში ენარობრივი წონასწორობის დამყარების პერსპექტივას, რაც თავის მხრივ უეჭველად ხელს შეუწყობს ქართული პოეტური ხელოვნების რეალისტურ შესაძლებლობათა გაფართოებას და გაღრმავებას. თანამედროვე ქართული პოემის განვითარება, თუ გასული წლის ნაწარმოებთა მიხედვით ვიმსჯელებთ, ორი პარალელური მიმართულებით მიმდინარეობს. კარლო კალაძის „ფიქრები“, ლადო სულაბერიძის „ლენინგრადად“. შემოდგომის დღის ქრონიკა“ და ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“ — ლირიკული პოემებია, რომლებშიც უპირატესად წარმოსახულია პოეტის ან ლირიკული გმირის განცდები, ფიქრები, განწყობილებები, ადამიანის აზრებისა და გრძნობების სამყარო, რაიმე ერთიანი სიუჟეტური კომპოზიციის, ტიპიურ ადამიანურ სახეთა და ხასიათთა გამოკვეთის, ცხოვრებისეული კონფლიქტების გარეშე, ე. ი.

იხ აუცილებელ ნიშანთვისებათა გარეშე, რაც კლასიკური პოემას ახასიათებს. ოთარ ქელიძის „ამირანმა“, მურმან ლებანიძის „ანისის აღება“ და იონა ვაკე-ლის „თავდადებული“ კი — ტიპიური კლასიკური პოემის — ეპიკური ჟანრის პოეზიის კანონზომიერებათა ფარგლებშია გაშლილი. გასული წლის პოემებში კიდევ ერთი ნაყოფიერი და დადებითი ტენდენცია შეინიშნება: თუ წინა წლებში გამოქვეყნებული ქართველ პოეტთა ლირიკული პოემების უმრავლესობა უპირატესად ადამიანის ვიწრო პირადულ, სუბიექტურ გრძნობებსა და განცდებს გამოხატავდა და მათში თითქმის სრულიად უგულებელყოფილი იყო სოციალური სინამდვილის მოვლენათა წარმოსახვის ამოცანა და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, აქტუალური თემატიკა და პრობლემატიკა, გასული წლის ქართული ლირიკული პოემები სწორედ თემატური აქტუალობით, მახვილი სოციალური მიზანსწრაფვით, გმირის სულიერი ცხოვრების პროცესების საზოგადოებრივი სინამდვილის მოვლენებთან დაკავშირებულად წარმოსახვით ხასიათდება.

კარლო კალაძის პოემა „ფიქრები“ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმია მიძღვნილი:

ორმოცდაათი წელიწადი, წუთი, საათი
და აჰ, მთელი საუკუნის ორმოცდაათი —
სხვა ჩემმა სიტყვამ უკეთესი რა დაიქადოს...
ისე, ვით მძაფრი გულის ფეთქვა, ვით სისხლის წვეთი,
დიდი სიცოცხლის, დიდი სუნთქვა წუთმეუწყვეტი
მინდა ჩემს წიგნში ხელუხლებლად გადაიხატოს!

აი ამ დიდი სიცოცხლის დიდი სუნთქვა, ჩვენი ეპოქის უღრმესი ძვრები და კონფლიქტები, სამყაროს განმაახლებელი ძალა ჩვენი ხალხის საბრძოლო იდეალებისა შეადგენს ამ ნაწარმოების იდეურ-თემატიურ საფუძველს. როგორც პოემის სათაურიდანვე ჩანს, პოეტი საკუთარი ფიქრების, განცდებისა და გრძნობების მეშვეობით ისწრაფვის წარმოსახოს ის სიახლე, რაც კი საქართველოს მოეპოვება. მაგრამ ამ სიახლეთა უფრო მძაფრად განცდისა და გამახვილებულად გამოხატვისათვის პოეტს ამ შთაბეჭდილებათა და განწყობილებათა სამყაროში შეეყვარათ, რომლებიც მას თურქეთში მოგზაურობისას და იქ მცხოვრებ თანამემამულეებთან შეხვედრების დროს აღძვრია:

მე ამ სიახლის გამარჯვებას მით უფრო ვხედავ,
როცა სხვა ქვეყნის მივიწყებულ გზებს გადავკვეთავ,
როცა ჩემს წარსულს გამახსენებს სადმე გზისპირი,
როცა გარშემო ულუ-დაგის ლეგა მთებია, —
სახლისკაცების ნალიები მელანდებიან
და ლეღთა-ხევის ბაღებამდე მომდევს იზმირი.

საბჭოთა პატრიოტის თვალთ შესცქერის პოეტი კაპიტალისტური სამყაროსათვის დამახასიათებელი სოციალური კონტრასტებისა და განუქვრნებელი შინაგანი წინააღმდეგობების, სიმდიდრისა და სიღარიბის გამთიშველ უფსკრულებს, უსამართლო და მანკიერი საზოგადოებრივი წყობილების, ურთიერთ შუღლსა და სიყალბეზე დამყარებულ ადამიანურ ურთიერთობათა, ყოფაცხოვრებრივ სიმახინჯეთა და ზნეობრივი დეგრადაციის სურათებს. და, რაც უფრო შემაზრზენი და შემაშფოთებელია მთელი ეს სინამდვილე, მით უფრო წრფელია და მძლავრი საბჭოთა ეროვნული სიამაყის გრძნობა, ჩვენს დიად სამშობლოსთან, მასში სამუდამოდ და განუყოფლად დამკვიდრებულ დიად ნათელთან სისხლხორცეული კავშირი და მისი ურყევი ერთგულება:

თორმეტი დღის და უვარსკვლავო თორმეტი ღამის,
მუხლმოუყრელი მოგზაური ბურსის, პერგამის, —
სტამბოლისა და სასულთანო კარის მნახველი —
ყოველთვის, როცა საოცნებო დროს ხელთ ვიპყრობდი,
ჩემო სამშობლოვ, განუყრელად შენზე ვფიქრობდი,
შენა ხარ ჩემი სიხარული, ჩემი ნაღველი.

პოეტური ფერწერის ნაწრთობი ხელოვნებით, საღებავთა ზუსტი განლაგებით, მდიდარი მეტაფორული და სახეობრივი მეტყველებით პოეტი ხატავს თურქეთის პეიზაჟებს, მისი თანამედროვე სოციალური სინამდვილის თუ ისტორიული ცხოვრების ტიპიურ სურათებს, სადაც ერთმანეთს ემიჯნება აზიისა და ევროპის კონტინენტები, ერთმანეთისაგან საუკუნეებითა და უვრცესი მანძილებით დაშორებულ ცივილიზაციათა შრეები:

ეს მართლაც ქვეყნის სიღამაზეა
და არა ზღვათა დაუღვერობა:
მიწის ერთ ნაწილს ქვეიან აზია, —
მიწის მეორე ნაპირს — ევროპა!
ბოსფორმა ღელვით გაავლო ზღვარი,
სადაც კი ძველი ცეცხლი ანთია —
სად ოქროს მთვარე და ოქროს ჯვარი
სტამბოლს ერთბაშად აღმართია! —

სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა აღწერდეს პოეტი. აიასოფიის დიდებულ ტაძარს თუ ნატიფი ხელოვნებით ნაშენებ მეჩეთებს, სულთანთა სასახლეებს თუ ძველი ელინური ან ბიზანტიური ცივილიზაციის ძეგლთა ნანგრევებს, სტამბოლის ბაზრის თვალისმომკრელ სიმდიდრეს თუ სტამბოლის ქართულ მონასტერში დაცულ ძველ ძვირფას ხელნაწერებს, ყველაფერს იგი აღიქვამს და გაიაზრებს თანამედროვეობის ღრმა სოციალური კონფლიქტების. დღე-

ვანდელი მსოფლიოს შეურიგებელი წინააღმდეგობების თვალსაზრისით, ახალი სამყაროს მშენებელი საბჭოთა ადამიანის ნათელი მიზნებისა და მისწრაფებათა სიმალლიდან. თუ მაგალითად პოეტი ანკარის ცნობილ ხეთურ მუზეუმს ათვალიერებს, მის ყურადღებას ერთბაშად იპყრობს აქ გამოფენილი ექსპონატების საოცარი მსგავსება საქართველოს ძველთაძველი მატერიალური კულტურის ძეგლებთან:

ხეთამ რომ მცხეთა გამახსენოს, ანდა კახეთი,
ხეთის კოლხეთის და მესხეთის გადასახედი, —
გასაგებია ჩემი წუთიც ამ გახარების —
ისე, ვით ქვაში მომწყვდევული სუნთქვა ხარების.

პოემის ერთ-ერთი მთავარი თემა არის „სხვა საქართველო“ — თურქეთში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ქართველი მოსახლეობა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში გასაოცარი გამძლეობით შეუნარჩუნებია მშობლიური ენა და წრფელი სიყვარული და ერთგულება დედა სამშობლოსადმი.

სხვა საქართველო სად არის! აჰა, ვახედე მთაგორებს —
ხან რომ თან მოგდევს ზზადაგზა, ხან რომ სიშორით გაღონებს.
ხედავ? ხეს ვაზი ეხვევა, დგას ოდა-სახლი, ნალია,
და კერისპირად ბავშვების ქართულიც ჩაუშქრალია,
...ო, ამ სასწაულს, ამ სოფელს გუმანიც აღარ ელოდა...
სხვა საქართველო შორსაა, შორსაა საქართველოდან!

და რაც პირქუშია და სამწუხარო ამ „სხვა საქართველოს“ დღევანდელი ვითარება, მით უფრო დიდია საბჭოთა ადამიანის სიამაყე თავისი აღორძინებულის, სამუდამოდ თავისუფალი, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ჰუმანური და დემოკრატიული წყობილების ნათელით გაბრწყინებული სამშობლოს გამო. ამ სიამაყის გრძნობით შთაგონებული მიმართავს იგი „ზღვის იქით ახლაც დამეგებში გადაკარგულ“ თანამემამულეებს:

ნეტავ განახა, როგორ დაიწყო
ჩვენი ბრწყინვალე ათასწლეული, —
ნეტავ განახა „აქარის წყალი“
განმანათლებელ შუქად ქცეული!
ნეტავ განახა მთების გულმკერდი,
სავსე ნარინჯის ოქროს მედლებით,
ნეტავ განახა, ჩვენს ახალ დღეებს
თუ როგორ სქედენ ჩვენი მჭედლები.

პოემაში აღძრული უპარესად მწვავე საზოგადოებრივი აქტუალობის თემათა და პრობლემათა სამყარო, მასში ასახული სინამდვილის მოვლენათა მთელი

სიუხვე და მრავალფეროვნება, პოეტის მღელვარე ფიქრთა და გრძნობათა მოძრაობა განათებულია ლენინის დიადი მოძღვრებისადმი ურყევე ერთგულების რწმენით. მშრომელი კაცობრიობის უდიდესი ბელადისა და მასწავლებლისადმი მიძღვნილი სტრიქონები ამ პოემისა ქართული პოეტური ლენინიანის უეჭველი შენაძენია:

მისი უქრობი ცეცხლი მეცა ვარ,
მისი ნაპერწყლის მეთასედი!
ვერც ერთ მწვერვალზე ისე ვერც ავალ,
დღეს რომ არ მქონდეს რწმენა ასეთი.
ჩვენი მარჯვენაც ხალხის მომავალ
ბრძოლისთვისაა გადარჩენილი...
მე ვიცი მისი სუნთქვა რომა ვარ —
ჩემი სიცოცხლით ცოცხლობს ლენინი!

და ასეთივე მაღალი იდეური ქღერისა და წრფელი პოეტური აღფრთოვანების გამომხატველი სტრიქონებით მიმართავს პოეტი „ფიქრების“ ფინალურ ნაწილში ჩვენი სამშობლოს დედა-ქალაქს, ახალი სამყაროს გულს, მოსკოვს, რომლისკენაც კეთილი რწმენით, იმედითა და სასოებით არის დღეს მიპყრობილი მსოფლიოს ყოველი თავისუფლებისმოყვარული ხალხის, მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის აზრი და გრძნობა:

მრავალ მილიონ გულთა დამტევო,
და ვარსკვლავების დიდო ქალაქო,
მრავალ უძილო ღამის გამთევო
კვლავაც გვაქვს შენთან სალაპარაკო.
ჩვენი იმედი კვლავაც შენა ხარ, —
ჩვენი ცა სადმე თუ დაიბინდა,
ჩვენი სიცოცხლის გადარჩენა ხარ, —
და შენს მკლავებზე დავეშვა მინდა.

ასე შთამბეჭდავად და შთამაგონებლად არის განსახიერებული კარლო კალაძის ახალ ლირიკულ პოემაში ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი ძმობისა და ერთიანობის წმინდათა წმინდა იდეა.

ეს იდეა — საბჭოთა ხალხების უანგარო და კეთილშობილური მეგობრობის სპეტაკი გრძნობა, კერძოდ, რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობის ამადღელვებელი მატრიანეა სრულიად განსხვავებული და ორიგინალური პოეტური საშუალებებით განსახიერებული ლადო სულაბერიძის პოემაში „ლენინგრადი, შემოდგომის დღის ქრონიკა“. ეს ნაწარმოები იმის მკაფიო მაგალითია, თუ როგორი შემოქმედებითი გზებით ისწრაფვიან ქართველი პოეტები გამონახონ პოემის ქანრის განვითარების ახალი გზები და საშუალებანი, მისი ახა-

ლი ნაირსახეობანი, განავრცონ და გაათავოთვონ ამ ქანრის საშუალებანი ჩვენი დროების მძაფრად დინამიური ცხოვრებისეული მასალის ასათვისებლად.

პოეტი ლენინის ქალაქშია, ლენინგრადში, საიდანაც „ავრორის“ ისტორიულმა გასროლამ პირველად აუწყა კაცობრიობას მსოფლიოს ისტორიის ახალი ეპოქის დაბადება, სადაც დაირწა დიადი ოქტომბრის აკვანი, საიდანაც ლენინის გენით დანთებული ხანძარი რევოლუციური გარდაქმნებისა ძლევამოსილად მოედო ჩვენს მრავალეროვან სამშობლოს და გამომადგინებლად მისწვდა მსოფლიოს ყოველ კონტინენტს, ყოველ ქვეყანას. ერთმანეთისაგან განუყოფელს და გაუთიშველს ვ. ი. ლენინის სახელს და ლენინიზმის მშობელ ქალაქს პოეტი მიუძღვნის ღრმა აზრითა და პოეტური მგზნებარებით გამსჭვალულ სტრიქონებს:

ჩემს კვირტებს ხეთქავს შენი შზის სხივი
და თეთრფრთიანი მხარზე მაზის შენი აპრილი.
ის გაზაფხული უფრო დევიის, სულ უფრო დევიის,
თავისუფლება წინ მიუძღვის ლაგამაყრილი.
ოკეანეებს ატორტმანებს შენი გრიგალი,
გრძელდება ღელვა, განახლების ღელვა გრძელდება,
შორი ჭუნგლის და უდაბნოთა სიგრძე-სიგანის
სული ბობოქრობს, მიწას გლეჯენ ისევე ბელტებად.
გუშინაც მოჰკლეს ზანგი დოქტორი,
მიწას შეეცხო შავი კაცის ნათელი სისხლი,
არ ცხრება ღელვა შენი აზრის, შენი ოქტომბრის,
დედამიწაზე კვლავ ბორკილის ჩხარუნი ისმის...
...შენი სახელი დაეწერა ჩაქუჩს და ნამგალს,
შემართულია ჩაქუჩი და ნამგალი მალა.
გადააწვდინე მკლავი ყველა სათვის და სამკალს
და კონტინენტებს გასწვდა შენი მღელვარე ტალღა.

პოეტი ლენინგრადშია შემოდგომის ნალვლიან საღამოს, წვიმიან და ქარიშხლიან ამინდში. გამძაფრებული მგრძნობელობით აღიქვამს იგი ყველაფერს, რაც დაკავშირებულია ამ დიდებული ქალაქის მდიდარ ისტორიულ და რევოლუციურ ტრადიციებთან, სამამულო ომის უკვდავ ეპოპეასთან, ჩვენი ხალხის დღევანდელი შრომითი გმირობის ყოველდღიურობასთან და ცხოვლად აღბეჭდავს ლექსის თავისუფალ მდინარებაში, ღრმა შინაგანი ექსპრესიით აღბეჭდილ სტროფებში არა მარტო ამ სპეციფიკურ გარემოცვაში აღძრულ განცდებსა და შთაბეჭდილებებს, არამედ შორეულ თუ ახლობელ ასოციაციებს, ისტორიულ პარალელებსა და ანალოგიებს, მოგონებებსა და რემინისცენციებს. პოეტის მღელვარე სულიერ სამყაროში წარმოსახება სმოლნი და ერმიტაჟი, ზამთრის სასახლე და მარსის მოედანი, ხიდებზე გაქვავებული ულაყების ქან-

დაკებანი, „ავრორა“, რომელიც „მშვიდად ილიმება დაღლილი ბრძოლით, შემობურვილი ნევის ცით და იისფერ ბოლით“, ბალტიის ზღვიდან მობერილი მსუსხავი ქარი და მუზეუმებში განსვენებული, გაუქმებული ტახტები, სკიპტრები და გვირგვინები მრისხანე იმპერატორებისა. შეუძლებელიცაა აღნუსხვა ყველაფრისა, რასაც წვდება და მოიცავს პოეტის აზრებისა და ფიქრების უნაპირო თვალსაწიერი. საგნებისა და მოვლენების ამ უხვ კალეიდოსკოპში განსახიერებული მთელი ისტორიული ცხოვრება რუსეთის დიდი სახელმწიფოსი განუყოფლად არის დაკავშირებული ქართველი ხალხის ისტორიულ ბედთან. ოდესღაც, უცხოელ დამპყრობელთაგან სამშობლოდან განდევნილ ბედგამწარებულ ქართველ მეფეებს ამ ქალაქში უძებნიათ ხსნის იმედი და ამ მოლოდინში უწერიათ ლექსები, უთარგმნიათ და უბეჭდავთ წიგნები. აქ ზიარებია გრიგოლ ორბელიანი რუსული დეკაბრიზმის მემამბოხე სულს, აქ გაცნობია პირველად ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის უქცნობ შედეგებს, აქ მიუღია პირველი რევოლუციური ნათლობა „თერგდალეულთა“ სახელოვან პლეადას:

აქედან ჩემი მეცხრამეტე საუკუნეა,
ჰქუხს ჭავჭავაძის, წერეთლის და ფშაველას ბუკით.
შორს, დარიალში ბევრი ღამე თერგს დაუღწავს,
რომ თერგდალეულთ შეეტანათ მამულში შუქი.

შემდეგ იმპერიის რღვევისა და მსხვერვის ბობოქარი დღეები, რომლებიც ისეთი აღმაფრთოვანებელი ძალით განიცადა ჩვენი საუკუნის უდიდესმა ქართველმა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძემ და ამ განცდით შთაგონებული გამოეშურა სამშობლოსაკენ, რომ „მოეტანა საქართველოში სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“.

პოემაში წარმოსახულ საგანთა და მოვლენათა, მასში გამოხატულ ფიქრთა და განწყობილებათა მთელი მრავალფეროვნების გამაერთიანებელ პოეტურ ფოკუსს წარმოადგენს ლენინგრადული შემოდგომის საღამოს გასულიერებული, უცნაურად გაცოცხლებული სახე, რომელიც ხან გულუხვ მასპინძლად ეგებება საქართველოდან ჩასულ პოეტს, ხან მარსის მოედანზე დაკრძალული, რევოლუციის მსხვერპლად დაცემული ქართველი ჭაბუკის კოტე მღებრიშვილის საფლავის ლოდს აფარებს ყვითელ ფოთლებს, ხან ნევის ტალღებზე მიცურავს „ყვითელი ფოთლების ნავით“ და ხანაც „დგას თავდახრილი ყვითელ მანტიით და გაიძახის ლალ მონოლოგს: „ადამიანი“. შემოდგომის საღამოს ამ სიმბოლიური სახე-მეტაფორით იწყება და მთავრდება ეს პოემა, რომელიც მთლიანად შთაგონებულია თანამედროვეობის ნათელი იდეალებისადმი ერთგულების, ლენინიზმის დიადი საქმის უძლეველობის მაღალი რწმენით.

ჩვენი დროების მანათობელი მაღალი რწმენის გულითად საგალობელს წარმოადგენს ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“. ნაწარმოების ძირითადი ნაწილი შესრულებულია ღრმა მოქალაქეობრივი ქლერადობის პოეტური პუბლიცისტიკის იმ საუკეთესო ტრადიციის დონეზე, რომელიც გამოიმუშავეს და დაამკვიდრეს სოციალისტური ლირიკის უპირველესმა კლასიკოსებმა ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და ვალაკტიონ ტაბიძემ. ეს მძლავრი და აქტიური პუბლიცისტური ნაკადი პოემაში გაზავებულია ხან ინტიმური ლირიკის ნაზი, წრფელი და მომზიბვლელი პასაჟებით, ხან ლაჟონიური, მეტყველი პოეტური პეიზაჟებით, ხან ჩვენი ეროვნული კლასიკისა თუ ხალხური პოეზიის მოტივებით, რომლებიც ორგანულად არის გადადნობილი და ღრმად შერწყმული პოემის იდეურ და მხატვრულ მიზანსწრაფვასთან. ამ ნაწარმოების ღრმა აქტუალობა ჩვენი დღეებისათვის იმაში მდგომარეობს, რომ გამძაფრებული იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე ვითარებაში, როცა საერთაშორისო რეაქციის ბნელი ძალები გააფთრებულ ლაშქრობას აწარმოებენ ადამიანის სულიერი განიარაღებისათვის, მისი ყველა ნათელი მისწრაფებისა და რწმენის შერყვევისა და დაკნინებისათვის, „რწმენის კედელი“ ამკვიდრებს და განამტკიცებს რწმენის შეუვალობისა და ურყევობის უპირველეს ადამიანურ ღირსებას. რწმენა, მაღალი კომუნისტური იდეალი, მისდამი შეგნებული, თავდადებული ერთგულება არის ჩვენი დროის გმირის ხასიათის უძვირფასესი თვისება და ჩვენი ხალხის ყველა წარმატებისა და გამარჯვების უპირველესი საფუძველი. ამიტომ უმდერის პოეტი ასეთი შთაგონებით და მღელვარებით ყოფიერების ყოველგვარ წვრილმანებზე, სიძნელებებსა და წინააღმდეგობებზე, ანგარებასა და კონიუქტურაზე მაღლა მდგომ რწმენას, — ადამიანის სულის ამამაღლებელ და გამამშვენიერებელ უპირველეს ძალას.

კედელი, ჩემი რწმენის კედელი,
 ბევრის მნახველი და შორსმხედველი,
 მკლავს შენზე ფიქრი განუწყვეტელი,
 კედელი, ჩემი რწმენის კედელი.
 მტრის თვალებიდან მოწვეთავს წყევლა,
 მაგრამ შენ დგებარ მაინც საჩვენოს,
 ვერ შემირყიოს ვერავინ რწმენა
 და შენი ძილი ვერ დამაჭეროს.

ამ სტრიქონებში გამოთქმულია პოემის ძირითადი თემა, მისი იდეური პათოსი, მისი მოქალაქეობრივი მიზანდასახულობა. ამ მთავარ და ძირითად მოტივთან პოემაში ორგანულად არის შეზრდილი მეორე თემატური პლანი. იგი სოფლიდან ახალგაზრდობის უაზრო და უმიზნო გახიზვნის წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც ერთგული მრჩეველი და მეგობარი, გულის სიღრმემდე ჩამწვ-

დომი მოწოდებით მიმართავს პოეტი თავის ადრესატს — საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობას:

შენ საჭირო ხარ, საჭირო, გესმის?
შენით იწყება ჩვენი მამული.
თორემ უშენოდ ვენახის ფესვი
არის საპყარი და მოყამული.
...შენ გელის კერა, ჩამქრალი კერა,
ზერებით, წარაფით, ხოდაბუნებით,
მე კიდევ მჭერა, მე მაინც მჭერა,
მე მაინც მჭერა, რომ დაბრუნდები.

პოემაში შთამაგონებლად არის განსახიერებული აზრი ჩვენი დროის ახალგაზრდა გმირის პასუხისმგებლობისა ყველაფრისათვის, რაც ჩვენი სამშობლოს ისტორიას, მის აწმყოსა და მომავალს შეადგენს:

პატრონი უნდა კლარჯეთს, ტაოსაც,
პატრონი უნდა ვეფხისტყაოსანს,
პატრონი უნდა მესხეთს, ჭავჭავთს,
ვინც მთაწმინდაზე გუშინ დავმარხეთ,
ყველას, ყველაფერს პატრონი უნდა,
რადგანაც სული შენითლა უდგა...
აბა შენ იცი, აბა შენ იცი,
როგორ მიიტან ყველაფერს გულთან.

მაგრამ საბჭოთა ხალხს ისტორიამ დააკისრა არა მარტო თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლა და ზრუნვა. მისი მაღალი პატრიოტული იდეალი განუყოფელია კაცობრიობის ბედისათვის ბრძოლის ამოცანისაგან.

აღეჭი ფეხზე ამხანაგო და მეგობარო,
სანამ მსოფლიო გადიქცევა აკვარაშუად,
ის დაჭრილია, ის, მსოფლიო, სისხლი მოვბანოთ...
„წყნარად მსოფლიო, წინ მსოფლიო, მსოფლიო ჩუმაღ!“

ასე ბუნებრივად და ორგანულად არის ჩართული პოემის ენობრივ ქსოვილში გალაკტიონ ტაბიძის მგზნებარე მოწოდება კაცობრიობის უბოროტესი მტრების სისხლმოყვარული ინსტინქტების ასალაგმავად. ჩვენი შემტევი, აქტიური ჰუმანიზმი, ჩვენი ხალხის ბრძოლა ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებისათვის შეიცავს და აერთიანებს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს სასიცოცხლო ინტერესებსაც და ადამიანის უკეთილშობილეს პირადულ გრძნობებსაც:

ჩემი თამუნა, ჩემი გოგო, თეთრი გვირილა,
ჩემი მამუკა, ჩემი ბიჭი ტოტი შვინდისა,

ასე ფართოა პოეტის აზრთა და გრძნობათა სარბიელი, ესოდენ აქტუალური და ღრმად მნიშვნელოვანია პოემის იდეურ-თემატური შინაარსი. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ამ მხრივ დიდად ენათესავებიან და უახლოვდებიან ურთმანეთს კარლო კალაძის „ფიქრები“, ლადო სულაბერიძის „ლენინგრადი. შემოდგომის საღამოს ქრონიკა“ და ჯანსულ ჩარკვიანის „რწმენის კედელი“. სამივე ამ ნაწარმოებში თანამედროვეობის მწვავე და აქტუალური, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემებია აღძრული და თითოეულ მათგანში თავისებური პოეტური მეტყველების განსხვავებული გზებით არის გადაწყვეტილი. სწორედ ამიტომ ამ ნაწარმოებებში ჩვენ ვხედავთ გაგრძელებას და განვითარებას ლირიკული პოემის იმ მაღალი თვისებებისას, რომლებითაც ხასიათდება ამ ქანრის კლასიკური ნიმუშები — ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“.

ამ ნაწარმოებთა ფონზე და მათთან დაპირისპირებით ნათელი და უეჭველი ხდება, თუ რაოდენ უნაყოფო და უპერსპექტივოა ლირიკული პოემის ქანრის მეორე საწინააღმდეგო კონცეფცია, რომელიც საკმაოდ გავრცელებული იყო უკანასკნელი წლების ქართულ პოეზიაში. ეს კონცეფცია გულისხმობს ლირიკულ პოემაში მთლიანი იდეური ჩანაფიქრის, პოეტური აზრის სოციალური აქტუალობის უგულვებელყოფას, მხატვრული მეტყველების საშუალებათა განზრახ გართულებას და გაბუნდოვნებას, მათს ალოღიკურობას. სწორედ ამგვარი მცდარი და უნაყოფო კონცეფციის ნიადაგზეა აღმოცენებული გასულ წელს გამოქვეყნებული პოემა ემზარ კვიციანიშვილისა „გახსენება“. ემზარ კვიციანიშვილი ჩვენი ახალი პოეტური თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია, რომელიც კარგად ფლობს პოეტური ოსტატობის რთულსა და ძნელ საიდუმლოებებს, და მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთი მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მეტად უმნიშვნელო და წვრილმან განზრახვებზე იხარჯება. პოემაში „გახსენება“ არამც თუ რაიმე სახალხოდ მნიშვნელოვანი აზრი და გრძნობა არ არის გამოხატული არამედ მასში გამოთქმული ვიწროდ პირადული სატკივარიც ვერ არის გადმოცემული ისე ბუნებრივად, ცოცხლად და ადამიანური ვნებით, რომ ცხოველი გამოძახილი პპოვოს მკითხველის გულში. პოემაში გამოხატული აზრები წვრილმანი და უმნიშვნელოა, პოეტური მეტყველების ფორმა — ხელოვნური და ბუნდოვანი.

უნდა მონახო ფუძე და ძირი,
უნდა იცოდე, რას ეძებ ქალში,
მთის ზურგში თეთრად გამჟღარი კირი

და ტერასებზე დაღვრილა ვალსი,
ერთად გროვდება და ინახება,
მერე ყველაფერს წარსული ჰქვია:
მიცდის არყოფნის ბნელი თაღები,
გავხარ ლულაში გატრუნულ ტყვიას.

როგორც ვხედავთ, პოეტს არაფერი აქვს სერიოზული სათქმელი და საფიქრალი. პირად-სატრფიალო ურთიერთობაა გართულებული. და პერიპეტეიბის თხრობაში უეცრად რატომღაც ჩაერთვის არგონავტების ცნობილი ლეგენდა — მედეას ტრადიკული თავგადასავალი, რომელიც არც ახლებურად არის გააზრებული და არც იმგვარად გაცოცხლებული, რომ რაიმე კონტაქტს ამყარებდეს მკითხველის ცნობიერებასთან. პოეტური სახეებისა და შედარებების შერჩევისას პოეტს თითქოს ერთადერთი საზრუნავი აქვს — რაც შეიძლება მეტად გააკვირვოს და ფანაცვიფროს მკითხველი: „წელში ტყდებოდა გამდნარი ქარვა — მაღალ ჭიქებში დასხმული ლუდი“. კითხულობთ და ვერასგზით ვერ წარმოგიდგენიათ, თუ როგორ ტყდებოდა წელში მაღალ ჭიქებში დასხმული ლუდი? „გარეთ კი ცრიდა და ბრჭყვიალებდა გაუქმებული სადგურის წვიმა“. როგორ გინდათ გაიგოთ და ამიხსნათ თუ რა არის ეს „გაუქმებული სადგურის წვიმა“? პოეტს სიზმარი უნახავს:

თეთრი ლედები ეყარა მოლზე,
პირგაპობილი თეთრი ლედები.
რალაც საოცრად ჰგავდნენ ისინი
ყელზე თავსაფარ წაჭერილ ქალებს,
სახეზე ვნებამოწოლილ ქალებს.

გასაკვირია, რა ფანტაზიამ უნდა წარმოშვას ასეთი უცნაური და წარმოუდგენელი შედარება და, რაც მთავარია, რას ეუბნება მკითხველის გულსა და გონებას პოეტის მიერ ნანახი ეს სიზმარი? რა საჭიროებამ უკარანახა პოეტს ამ სიზმრის ჩვენთვის გაზიარება?

ცხადია, ასეთი ნაწარმოები, პოეტური ტექნიკის როგორ დონეზეც არ უნდა იყოს შესრულებული, გზას ვერ გაიკვლევს მკითხველთა გულისა და გონებისაკენ.

ოთარ ჭელიძის ისტორიულ-რევოლუციური პოემა „ამირანმთა“ მომასწავებელია თანამედროვე ქართულ პოეზიაში საკუთრივ ეპიკური ჟანრის ხვედრითი წონის ზრდისა და დამკვიდრებისა, რისთვისაც მთელი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე თანმიმდევრულად იღვწის და იბრძვის ამ პოემის ავტორი. პოემა მოგვითხრობს ჩვენი საუკუნის გარიყრაუზე საქართველოში მძლავრად გაშლილი პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის შესახებ, იმის შესა-

ხებ, თუ როგორი გმირული თავდადებით და მაღალი რწმენით ირაზმებოდა ქართველი მშრომელი ხალხის მოწინავე ნაწილი ლენინიზმის უძლეველი დროშის გარშემო და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ებმებოდა მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი და ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც ქართველმა ხალხმა შეიტანა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, დიადი ოქტომბრის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. სამწუხაროდ ქართულ მწერლობაში და, განსაკუთრებით პოეზიაში, ჯერ კიდევ არ უპოვნია შესაფერი განსახიერება ამ უაღრესად ძვირფას ცხოვრებისეულ მასალას. ირაკლი აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილი“, გრიგოლ აბაშიძის „შავი ქალაქის გაზაფხული“ და ილო მოსაშვილის „ბაზალეთის ტბა“ მოასწავებდა დასაწყისს ამ თემის მაღალმხატვრული დამუშავებისა ჩვენს პოეზიაში. შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა აღარ გაგრძელებულა. და მით უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია ოთარ ჭელიძის „ამირანმთის“ გამოქვეყნება სწორედ საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილესა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისათვის სამზადისის დღეებში. ეს პოემა თვალსაჩინო მოვლენაა არა მარტო მისი ავტორის შემოქმედებით ცხოვრებაში, არამედ მთელი თანამედროვე ქართული პოეზიის განვითარებაში. ამ ნაწარმოებში ოთარ ჭელიძე გვევლინება პოეტური მომთხრობელობისა და აღწერილობის დახელოვნებულ ოსტატად, რომელსაც უნარი შესწევს ჩამოაყალიბოს გონებამახვილურად მოფიქრებული სიტუაციების შემცველი მიმზიდველი და საინტერესო სიუჟეტი და იგი მწყობრ კომპოზიციურ კალაპოტში მოაქციოს. პოემის ცენტრში დგას ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის ტიპური სახე რიგითი ქართველი რევოლუციონერის ანანია ამბოკაძისა, რომლის ცხოვრების ისტორიაც, მრავალი ხიფათით, სიძნელეებით და დაბრკოლებებით აღსავსე თავგადასავალი შეადგენს პოემის სიუჟეტურ მაგისტრალს.

ჭაბუკი ანანია, რაჭის ერთ-ერთ სოფელში სტუმრობისას შემთხვევით შეხვედრია ახალგაზრდა კობა ჯუღაშვილს, მისგან მიუღია რევოლუციური თავგანწირულობის, გამბედაობისა და უშიშროების პირველი გაკვეთილი და შემდეგ ერთგულად და განუხრელად გაჰყვოლია ქართველი კომუნისტების მეთაურობით გაჩაღებული დიადი კლასობრივი ბრძოლების სახელოვან გზას. ბევრი რამ განუცდია და გადახდენია ამ გზაზე ანანიას — დაპატიმრებანი, საპყრობილენი, შორეულ ციმბირში გადასახლება, კატორღა, იქიდან გამოქცევა და კვლავ არალეგალურ ბრძოლებში ჩაბმა, არა მარტო აშკარა კლასობრივ მტრებთან შეჯახებანი, არამედ სახალხო საქმის გამცემელთა და მოლაღატეთა მხილება და მათზე შურისძიება. ასეთი რთული და დაძაბული ცხოვრე-

ბით უცხოვრია ამბოკაძეს, რომელიც ახლა ხანდაზმული და ვალმოხდილი შეჭხარის ჩვენს ნათელ დღეებს, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისა და აღორძინების ეპოპეას. თავისი ამ გმირის ცხოვრების წარმოსახვით პოეტი ჩვენი ხალხის მიერ სახელოვნად განვლილი გამათავისუფლებელი ბრძოლების ისტორიას განასახიერებს. ოთარ ჭელიძეს გამომუშავებული აქვს პოეტური თხრობის ღრმად ორიგინალური სტილი, ლექსის თავისებური მუსიკალური ნახატი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ინდივიდუალური ინტონაცია, რომელიც განაყოფიერებულია და გამდიდრებული ჩვენი ეროვნული პოეტური ზეპირსიტყვაობიდან მომდინარე ცოცხალი ნაკადებით. და თუ იგი ზოგჯერ ვერ ახერხებს მისი პოემის ყოველი პერსონაჟის ცოცხალ, სისხლხორციტ სავსე ადამიანურ ხასიათად გამოკვეთას, სამაგიეროდ შთამბეჭდავ კოლორიტულობას, სურათის სიზუსტეს და ექვემიუტანელ მხატვრულ სიმართლეს, ღრმა შინაგან ექსპრესიულობას აღწევს სოციალური სინამდვილის უაღრესად გამძაფრებული მოვლენების წარმოსახვაში:

ზეცა გრუხუნებდა პიტურივით,
 ბჰენი ირყეოდა სასახლეთა,
 ციებცხელებიან იმპერიის
 ტახტი დასამხობად ცახცახებდა,
 ვრიგალს შეერთვოდნენ ნაკადები
 ომში დამარცხებულ არმიათა,
 რევოლუციური თავდადებით
 ხალხი ბარიკადად აღიმართა.
 კვამლში ეხვეოდნენ შენობები
 ახალგაღვიძებულ ვულკანებად,
 ცეცხლი — სასწაულთა შემოქმედი —
 ერთო დაცემულთა უკვლავებად.

პოემაში გამოსახულ მოვლენათა მდინარებას გამუდმებულად თავს დაჰყურებს მარად მწვანედ მოელვარე ამირანმთა, როგორც ხალხის სამართლიანი საბრძოლო საქმის უძლეველობის, მისი ქედუხრელობისა და უტეხი ნებისყოფის, მისი სულიერი სიმამლისა და მშვენიების დიდებული სიმბოლო.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეპიკური საწყისების გაძლიერების მეტყველ მაგალითს წარმოადგენს აგრეთვე მურმან ლებანიძის ისტორიული პოემა „ანისის აღება.“ შორეული წარსულის ისტორიულ მასალაზე ააგო პოეტმა თავისი ეს ნაწარმოები, მაგრამ მასში ჩვენი თანამედროვეობის ყველაზე სადღეისო, აქტუალური აზრი და გრძნობა განასახიერა — საბჭოთა ხალხების ურღვევი საბრძოლო თანამეგობრობის, კერძოდ სომეხ და ქართველ ხალხთა საუკუნოვანი ძმობის მაღალი იდეა და ნათელი ტრადიცია. პოეტი აცოცხლებს ჩვენს ცნო-

თვალსაჩინო ადგილი თანამედროვე ქართული ლექსის პირველხარისხოვან ოსტატთა შორის.

იონა ვაკელის პოემა „თავდადებული“ გასული საუკუნის ქართული კლასიკური პოეზიის, კერძოდ კი აკაკი წერეთლის ისტორიული პოემების ტრადიციათა გამოძახილია ჩვენს თანამედროვე პოეზიაში. პოემა მოგვითხრობს იმ უანგარო თავგანწირულებასა და გმირობაზე, რომლითაც ქართველი ხალხი წინააღმდეგობას უწევდა საძულველ უცხოელ დამპყრობლებს, ქედუხრელად იცავდა თავის ღირსებას და თავისუფლებას. პოემის მთავარი გმირები — ქართლის მშვენიერი ასული ლილე და იშვიათი სულიერი ძლიერებით დაჯილდოებული ვაჟკაცი შავლეგო სწორედ ჩვენი ხალხის ამ მაღალ და კეთილშობილურ თვისებებს განასახიერებენ. პოემა მთლიანად გამსჭვალულია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გმირული სულით, ნათელი პატრიოტული გრძნობით.

თემებისა და სახეების, პანგებისა და საღებავების დიდი მრავალფეროვნებით აღინიშნა გასული წელი, ქართული, საკუთრივ ლირიკული პოეზიის, ლირიკული ლექსის სფეროში. მკითხველთა ფართო ფენები გაახარა ჩვენი უხუცესი პოეტის სანდრო შანშიაშვილის ახალი ლექსების ციკლებმა, რომლებიც აზრის სიცხადით, განცდათა სიწრფელით, გრძნობათა კეთილშობილობით არის აღბეჭდილი. ცხოველი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ნიკოლოზ ნადირაძის აღმსარებლობითი ლირიკის ახალმა ნიმუშებმა, რომლებშიც მძლავრი ემოციური ძაბვის მღელვარე გულისძგერა ისმის და რომლებიც ამ გამოჩენილი პოეტის მაღალი ოსტატობრივი კულტურის დონეზეა შესრულებული. ჩვენი ეროვნული პოეზიის ამ ღვაწლმოსილ ოსტატთა გვერდით სულ უფრო ხშირად გაისმოდა მხატვრული პერიოდის ფურცლებიდან ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების თამარ ერისთავის, ვანო ჩხიკვაძის, გივი ალხაზიშვილის, ბიძინა მინდაძის და სხვათა საიმედო ხმები. ლირიკულ პოეზიაში უფრო მკაფიოდ, ვიდრე რომელიმე სხვა ჟანრში იგრძნობა თაობათა ანსამბლის, სხვადასხვა ასაკისა, შემოქმედებითი ბიოგრაფიისა და სტილური პოზიციების ხელოვანთა ერთობლიობა. რამდენიმე ასეული ახალი ლექსი გამოქვეყნდა გასულ წელს და მათი დიდი უმრავლესობა თანამედროვე პოეტური კულტურის დონეზე დგას. მაგრამ ლირიკულ პოეზიაში მთავარი და გადამწყვეტი არ არის არც რაოდენობრივი მაჩვენებლები და არც საშუალო დონე. სამწუხაროდ ჩვენი ლირიკული პოეზიის ამ სიუხვესა და მრავალფეროვნებაში იშვიათია ისეთი პოეტური ქმნილება, რომელიც მკითხველთა სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევდეს, რომელიც რაიმე ახალი თვისებით ამდიდრებდეს ჩვენს პოეზიას ან ცალკეულ ავტორთა შემოქმედებით ბიოგრაფიას.

თუ მოვინდომებთ მანინც ამ სიუხვეში გამოვყოთ და გამოვარჩიოთ შედა-

რებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი, უნდა დავასახელოთ ირაკლი აბაშიძის ახალი ლექსები, რევაზ მარგიანის „ბიბა“ და „ჩემი ერთი უფერული დღის გამო“, ალიო მირცხულავას „ნაკადული“, ხუტა ბერუღავას ახალი ციკლები „ზუგდიდი 1970“, „ვარაზისხევი“, „ძმობის წიგნიდან“, მორის ფოცხიშვილის ლირიკული რვეული „რწმენა“, კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს რეზო ამაშუკელის ლირიკული ციკლი „სიბაღლე“, რომელშიც გაერთიანებულია ენგურაძის მშენებლებისადმი მიძღვნილი წრთელი აღფრთოვანებით და ნამდვილი შთაგონებით აღბეჭდილი ლექსები. ამ ლირიკულ ციკლზე იმიტომ ვამახვილებთ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ზოგიერთი ქართული პოეტი პლაკატური და რიტორული ლექსთა თხზვის მანკიერი ინერციისაგან თავდაღწევის კანონიერმა მისწრაფებამ მეორე, არანაკლებ სახიფათო უკიდურესობამდე მიიყვანა. ისინი ყოვლად გაუმართლებელ გულგრილობას იჩენენ საზოგადოებრივი ცხოვრების მღელვარე მოვლენებისა და სინამდვილის მწვავე პრობლემებისადმი და პირად-ინტიმურ განწყობილებათა თუ ფსევდოფილოსოფიური მჭვრეტელობის ნაჭუჭში ემწყვდევიან. ეს გარემოება ანელებს ჩვენი ლირიკის მოქალაქეობრივ პათოსს და ზღუდავს პოეტური პუბლიცისტიკის ხედრით წონას. გასული წლის ქართული ლირიკული პოეზიის გაცნობისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ თანამედროვეობის მწვავე საზოგადოებრივ თემებზე გამონმაურების ამოცანა რამდენიმე პოეტისათვის — თეიმურაზ ჯანგულაშვილის, ვახტანგ გორგანელის, გიორგი სამხარაძისათვის გადაუკისრებიათ. გასული წლის განმავლობაში თანამედროვე ქართული ლექსის ნიჭიერ ოსტატთა საგრძნობი ნაწილი მეტად მცირე შემოქმედებითი დატვირთვით მუშაობდა. პოეზიაში, რა თქმა უნდა, რაოდენობრივი კრიტიერიუმი გადამწყვეტი არ არის. მაგრამ ჩვენი დროის პოეტს მაინც მოეთხოვება, რომ მეტი ინტენსივობით ეხმაურებოდეს სინამდვილის მოვლენებს, ხალხის აზრებისა და გრძნობების, მისი სასიცოცხლო ინტერესების სამყაროს.

ამასთანავე ჩვენი მხატვრული პერიოდიკის ფურცლებზე არაიშვიათად ქვეყნდება და ზოგჯერ ცალკე წიგნებადაც იბეჭდება ისეთი „ლექსები“, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ჰემარიტ პოეზიასთან და რომლებიც არც მათში გამოხატული აზრებისა და გრძნობების მნიშვნელობით, არც პოეტური მეტყველების ფორმით სრულიად არაფერს ეუბნება მკითხველის გულსა და გონებას. გასულ წელს პრესაში სამართლიანი სიმკაცრით იყო გაკრიტიკებული ჩვენი ფრიად ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის ტარიელ ჭანტურიას ლექსი „სტიუარდესა“. სამწუხაროდ პოეტმა არავითარი დასკვნა არ გამოიტანა ამ კრიტიკისაგან და ზედიზედ გამოაქვეყნა ყოველგვარ პოეტურ ღირებულებას მოკლებული, რაღაც უცნაური და ახირებული „ლექსები“.

როგორც კარნიზი უარყო
რაიტმა —

ჩვენც
ისე
უნდა
უარყოთ
რითმა!

აი, მთელი „ლექსი“! ცხადია, ამ ნაწარმოებში პოეზიის ნატამალიც არ მოიპოვება. ჭერ ერთი — რატომ უნდა უარყოთ რითმა და თუ უნდა უარყოთ, რატომ არის ეს საკითხი პოეზიის თემა ისეთი „ლექსისა“, სადაც სწორედ რითმის გარდა სავსებით უარყოფილი და იგნორირებულია პოეზიის ყოველგვარი ნიშანთვისება!

აი იმავე ტარიელ ჰანტურიას მეორე „ლექსი“:

— ზარს ნუ აწვალუბ ბიჭი!
— ახ, შე ეშმაკო, შე!
ლიაა კარი. კარები
კარი, კარები, კარი.
— ო, ღმერთო, ეს ხომ ბავშვი...
ეს ხომ მთლად ბავშვი არის!
შეწვდა ხოტორა ბიჭი — რეკავს მეზობლის ზარი
ზზზზ — რეკავს და რეკავს!
ზზზზ — რეკავს და რეკავს!
ყველანი სახლში იყვნენ!.. ახლა არავინ არის!

ეგებ ყოველივე ეს რაღაც სალაღობო და რაღაც თავშესაქცევი გართობაა, მაგრამ რას ვერჩით მკითხველს, რატომ ვაწვდით მას ასეთ უაზრო და მდარე ნაცოდვილარს? მეორე ასევე ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ვახტანგ ჭავჭავაძეც ხშირად აქვეყნებს პრესაში ყოველგვარი მნიშვნელოვანი აზრისაგან დაცლილ ნაწარმოებებს და მათ ბაძავს. სამწუხაროდ, ზოგიერთი ახალფეხადგმული პოეტი — გურამ პეტრიაშვილი, თედო ბეჭიშვილი, მურმან ჭგუბურია და სხვები.

ლიტერატურული კრიტიკისა და სამწერლო საზოგადოებრიობის წაყრუებით ზოგიერთი ნაცადი პოეტი იფიწყებს პოეტური ოსტატობის ხარისხისათვის. პასუხისმგებლობას. აი, მაგალითად, როგორ „გამიშვლებულად“, ყოველგვარი პოეტური ხორცშესხმულობის გარეშე გვთავაზობს თავის აზრებს ზაქარია შერეზადაშვილი ლექსში „მიეც ნამი“:

სისხლისმსმელი ჰე, ვინ არი,
დე რისხავდეს ცა, ბუნება,
თეირანელს — თეირანი,

ფერიდნელს — დაბრუნება!
ჩვენ ჩვენს ხალხთან გავათენოთ,
ცაო, შეგთხოვთ სასოებით,
ქართულს უხმობს საქართველო,
სომეხს უხმობს სასომხეთი!

ვგონებ არ დაგვეჭირდება იმის მტკიცება, რომ ამ სტრიქონებში არავითარი პოეზია არ არის, რომ ასეთი მარტივი და პრიმიტიული ლექსი არ შეეფერება ჩვენი მხატვრული კულტურის დღევანდელ დონეს. ან რა პოეზიაა, მაგალითად, აკაკი გელოვანის ასეთ სტრიქონებში:

მე თანამგზავრი მჭირდება
მზის და სიცოცხლის მხარეში,
ერთი დღე ველარ ვიცოცხლებ
მე სიყვარულის გარეშე.
ეგ არის ჩემი სისუსტე
და ჩემი ძალაც ეგ არის;
უსიყვარულოდ ვერ გავძლებ
ლალი და დაუღვეარი.

აკაკი გელოვანი დიდ ლიტერატურულ მუშაობას ეწევა ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა სფეროში, იგი ბევრს თარგმნის, წერს მოთხრობებს, დოკუმენტური პროზის ნიმუშებს. მაგრამ ყოველივე ეს კი არ ანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან თავის ნაწარმოებთა მხატვრული ღირებულებისათვის, არამედ პირიქით, ზრდის და აძლიერებს ამ პასუხისმგებლობას.

ჩვენი ლიტერატურული უურნალ-გაზეთების რედაქციებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა გამოსაქვეყნებელი მასალის მიმართ. პარტია გვასწავლის და მოგვიწოდებს თანმიმდევრულად ვიბრძოლოთ საბჭოთა ლიტერატურის იდეური სიწმინდისა და ესთეტიკური სრულფასოვნებისათვის. ამას მოითხოვს ჩვენი მწერლობის განვითარების ინტერესები, ჩვენი ხალხის სულიერი წრთობის და იდეური შეიარაღების ამოცანები.

პოეზია ხუმრელის მხარდახმარ

ქართული პოეზიის ტრადიციული დღესასწაული — „პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ ჩვენი ეროვნული პოეტური კულტურის არა მარტო დიდი სახალხო ზეიშია, არამედ ამასთანავე მისი შემოქმედებითი მიღწევებისა და მონაპოვართა ყოველწლიური დათვალიერება, მისი მაღალი ხალხურობის საჯარო შემოწმება, იმისი გასინჯვა და გარკვევაა, თუ რა მოხდა ახალი ჩვენი პოეზიის ცხოვრებაში განვლილი წლის მანძილზე.

თუ ამ თვალსაზრისით გადავხედავთ განვლილი წლის ქართული პოეტური ცხოვრების მთლიან სურათს, ნათლად დავინახავთ, რომ თანმიმდევრულად ღრმავდება პოეტური ხელოვნების სისლხორცეული კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, მისი შრომისა და ბრძოლის ყოველდღიურობასთან, თანამედროვეობის ცოცხალ სინამდვილესთან. ახლა უფრო მეტად ვიდრე წინა წლებში ქართველ პოეტთა შემოქმედებაში იგრძნობა სუნთქვა ჩვენი მგზნებარე დღეებისა, ხალხის ვაჟკაცური შემართებისა, იმ მძაფრი და უკომპრომისო ბრძოლისა, რომელიც გაჩაღებულია ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა შეგნებაში, ჩვენი საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში და სახელმწიფოებრივ მმართველობაში წლების მანძილზე დაგროვილ ყველგვარ მანკიერებათა და სიმახინჯეთა სრული აღმოფხვრისათვის, მეცხრე ხუთწლედის დიადი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ყოველი დარგის ახალი მძაფრი აღმავლობის იმ ქეშმარიტად გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიული დადგენილება.

ყოველივე ეს ახლა ნატვრა და ოცნება კი აღარ არის, არამედ რეალური, კონკრეტული საბრძოლო გეგმა და სამუშაო პროგრამაა, რომლის განაღდება მთელი ხალხის ფიზიკური და სულიერი ძალ-ღონის სრულ მობილიზებას და ამოძრავებას, საყოველთაო სახალხო შრომის ენთუზიაზმს მოითხოვს. დიდი შემოქმედებითი აღფრთოვანებით ჩაება ჩვენი ხალხი — საქართველოს გმირი მუშათა კლასი, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მაღალნიჭიერი ქართველი ინტელიგენცია, ჩვენი საამაყო ახალგაზრდობა ამ გმირული შრომის ფერხულში.

მთელი ქართული ლიტერატურა ამ დიდი სახალხო მოძრაობის პათოსით არის მოცული და შთაგონებული, განსაკუთრებით პოეზია, რადგან თავისი უანრობრივი სპეციფიკის მეოხებით მას მეტი შესაძლებლობანი მოეპოვება დროულად, ოპერატიულად გამოეხმაუროს ცხოვრების სადღეისო მოთხოვნას, „რევოლუციის მიერ მობილიზებულნი და გაწვეული“ ერთბაშად აღმოჩნდეს საბრძოლო ბარიკადებზე. ქართული პოეზიის დღევანდელი ასეთი საბრძოლო შემართება ზუსტად გამოხატა თანამედროვე ქართული ლექსის ერთ-ერთმა საუკეთესო ოსტატმა შოთა ნიშნიანიძემ ლექსში „სიტყვა თანამედროვეს“.

რადგან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც —
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ —
ბარიკადაზე დგახარ.
ბარიკადაზე, ბარიკადაზე!
სიტყვას ავარდეს ბოლი,
ჩვენთვის დაცემულ მრავალ ათასებს
შეეხმიანე ბრძოლით,
მათი სიზმრები დუღდეს ფოლადად,
მათი ფიქრები თესე,
დაახვავებზე ხიდებს, ხომალდებს,
ბრძმედებს, კაშხალებს, ჰესებს,

დროების ასეთი მოწოდება უჩვეულო და მოულოდნელი როდი აღმოჩნდა ქართული პოეზიისათვის. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე ჩვენი ეროვნული ლიტერატურის საუკეთესო და უძვირფასესი ტრადიცია ის იყო, რომ თავისი მოწინავე ოსტატების სახით იგი ყოველთვის განუყოფლად იყო დაკავშირებული ხალხის ბრძოლასთან სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის, გამოდიოდა ამ ბრძოლის მედროშედ და მესვეურად. შთაგონებულად უმღერდა ამ ბრძოლას. მარადიული შარავანდებით მოსავდა და მაღალბოეტურ სახეებში უკვდავყოფდა მის გმირებს, ასეთი იყო საუკუნეთა მანძილზე მაგისტრალური გზა დიდი ქართული ლიტერატურისა.

მაღალი საზოგადოებრივი იდეალებისაგან განზრახ და შეგნებულად განდგომილი ლიტერატურული მიმდინარეობანი განსაკუთრებით მომძლავრდა ქართულ მწერლობაში 1905 წლის რევოლუციის. დამარცხების მომდევნო წლებში. ამ მიმდინარეობათა ინერციის წინააღმდეგ ბრძოლაში მიიკვლევდა გზას და აყალიბებდა თავის საუკეთესო იდეურ-შემოქმედებითს ტრადიციებს

ახლავაზრდა საბჭოთა ლიტერატურა ჩვენი საუკუნის ოციან წლებში. ეს ორთაბრძოლა, როგორც ცნობილია, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების დიდი წარმატებით დამთავრდა ოციანი წლების დამლევისა და ოცდაათიანი წლების დამდეგისათვის. ქართული ლიტერატურის ყოველ ქანრში, და კერძოდ პოეზიაში, ოცდაათიანი წლები მძლავრი იდეურ-ესთეტიკური აღმავლობით აღინიშნა. ამ წარმატებებით აღჭურვილი შევიდა ჩვენი პოეზია დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში და ჩვენი სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ ამ უმძიმეს ვითარებაში ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ისტორიული მისია სამშობლოს წინაშე.

ამიტომაც დიდ კმაყოფილებას იწვევს ის გარემოება, რომ ქართული მწერლობა და კერძოდ პოეზია ერთსულოვანი შემოქმედებითი მგზნებარებით ეხმაურება ახლა ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებულ დიდ საყოველთაო შრომით აღფრთოვანებას. ჩვენი პოეტური პრესისა თუ ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან ყველა თაობისა და ლიტერატურული ბიოგრაფიის, სხვადასხვაგვარი ესთეტიკური პოზიციების პოეტები შთამაგონებელი მხატვრული სიტყვით მიმართავენ ხალხს. უმღერიან და ადიდებენ მის შრომით გმირობას და ვაჟკაცობას, ხატავენ ამ მაღალი შემართების ადამიანთა მომზიბლავ სახეებს. როგორც თავის დროზე ზაჰესის, რიონჰესისა და ხრამჰესის მშენებლობაში, კოლხეთისა და სამგორის ველებზე გაჩაღებულმა დიდმა გარდამქმნელმა და ამალორძინებელმა შრომამ ღრმა და მრავალფეროვანი გამოძახილი ჰპოვა ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართულ პოეზიაში, რამაც გაამდიდრა ჩვენი ეროვნული მწერლობა, ფასდაუდებელი როლი შეასრულა ჩვენი საუკუნის ქართული კულტურის განვითარებაში, ახლაც ასეთივე ძალით შემოდის ქართული პოეზიის სამყაროში ჩვენი დღევანდელი სოციალური სინამდვილის ცოცხალი თემატიკა, ეუფლება პოეტის შთაგონებას, ამდიდრებს და ამალლებს მას, ავსებს მას სიახლის გრძნობით, დღევანდლობის სუნთქვით, ხალხის მაჭისცემასთან განუყოფელი ერთიანობის სიხარულით.

ამ პროცესის მომასწავებელია წიგნების სერია „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხადამხარ“, რომელიც გამომცემლობა „მერამა“ წამოიწყო. ამ სერიის დღემდე გამოქვეყნებული 17 წიგნიდან 12 პოეტურ კრებულს წარმოადგენს და ისინი ჩვენი მოწინავე პოეტების გრიგოლ აბაშიძის, კარლო კალაძის, რევაზ მარგიანის, შოთა ნიშნიანიძის, ხუტა ბერულავას, ჯანსუღ ჩარკვიანის, მორის ფოცხიშვილის, ალექო შენგელიას, ოთარ ჭელძის, ლადო სულაბერიძის, ნოდარ გურაშვილის, ოთარ მამფორიას, ვახტანგ ჯავახიძის კლამს ეკუთვნის.

ჩვენ შორსა ვართ ისეთი პრეტენზიისაგან, რომ ამ წერილის ფარგლებში, ამ კრებულებში მოთავსებული უხვი და მრავალფეროვანი მასალის კრიტიკული მიმოხილვა და ღირსეული ანალიზი წარმოვადგინოთ, ჩვენ გვინდა მხოლოდ რამდენიმე დამაბასიათებელი მაგალითის მიხედვით წარმოდგენა შევუქმნათ მკითხველს იმაზე, თუ რა აზრებითა და გრძნობებით ცოცხლობს დღევანდელი ქართული პოეზია, რა არის მისი უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი, მისი შთაგონების უპირველესი წყარო და საფუძველი.

ამ სერიის ინიციატორი და რედაქტორია კარლო კალაძე, იმ პოეტთაგანი, რომლებიც ოციანი წლების გარიჟრაჟზე საფუძველს უყრიდნენ ქართულ საბჭოთა ლიტერატურას და მას შემდეგ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველ ეტაპზე თანამიმდევრულად იბრძოდნენ ჩვენს მწერლობაში თანამედროვეობის თემატიკისა და ჩვენი დროების ნათელი იდეალების დამკვიდრებისათვის: ბუნებრივია, რომ ახლაც ცხოვრების უმთავრეს მოვლენათა სამყაროში პოეზიის აქტიური შექრის დღევანდელ პროცესში იგი ერთი პირველთაგანი აღმოჩნდა. ლექსში „ჩვენი დღე დადგა“ პოეტი წერს:

ჩვენ ვართ მკვდლები და ჩვენს ხელთაა
კვლავაც რუსთავის რკინა და რუალი,
ჩვენს წინ სინათლით სავსე მცხეთაა
და არა ზვირთებდამშრალი მტკვარი.
ნაომარ გულს არ გაუძნელდება
ძვერდეს თანაბრად, ისე ვით ძვერდა,
დე, აღამზეონ დრო ხუთწლეულებმა —
სიმძლავრე მათი ძმობაა ერთა!

ამგვარად შეჰხარის ჩვენი დღეების მაღალ რომანტიკას „ნაომარი გული“, ე. ი. ადამიანთა ის თაობა, რომელმაც ააშენა ჩვენი განახლებული სამშობლო და უმავალითო სისხლისმღვრელ ომში დაიცვა იგი კაცობრიობის უბოროტესი მტრისაგან. ახლა ამ თაობის ადამიანი, ლექსის ლირიკული გმირი მთელის არსებით ისწრაფვის, რომ დიდი საბჭოეთის ახლანდელ შრომით გმირობაშიც თავდადებით ჩაერთოს თავისი უძვირღასესი ეროვნული იერიით და ტრადიციებით:

მაშ თუ ამ დღისთვის დაბადებულხარ,
გულო ქვეყანას უნდა ახარო, —
რომ გვერდში გიდგას ყველა ცხრა-მუხა,
ყველა ცხრა-ძმა და ყველა ცხრა-წყარო,
მაშ, ამ დროს შენი სიმღერაც კექლეს,
ისმოდეს სუნთქვა მკერდგანიერი —
და წარუშლელად თან ახლდეს შენს დღეს
შენი ქართული სიტყვის იერი!

არათფერი ისე არ ესაჭიროება ახლა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას, როგორც იმის რწმენა, რომ შრომაა ადამიანობის ყველაზე მაღალი გამოვლინება, ყველა ბედნიერებისა და სიკეთის უპირველესი წყარო. შრომისადმი სიყვარულის, შრომის ხალისის, შემოქმედებითი ენთუზიაზმის გაღვივება ხალხში, ყოველი ადამიანის ცნობიერებაში შეადგენს ახლა ჩვენი მწერლობის ყველაზე კეთილშობილურ დანიშნულებას და სწორედ ამ იდეას განასახიერებს გრიგოლ აბაშიძე ლექსში „ჰიმნი სამშობლოს“. ჩვენი პატრიოტობა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა სწორედ შრომით, საქმით, მოღვაწეობით უნდა გამოხატოს ყოველმა ჩვენგანმა, რადგან:

მწვერვალებს იპყრობს წინსვლის წადილი,
და შენც დარწმუნდი, ვით სხვა მრავალი,
რომ შრომაშია მხოლოდ ნამდვილი
ბედნიერება და მომავალი.
რომ გზა იოლი არა ღირს ქვეყნად
შუქს მოსაჩვენარს გააქრობს ბინდი,
და არ არსებობს, არ არის ქვეყნად
ბედნიერება შრომაზე დიდი.

განვრცობილ ლექსში თუ მცირე მოცულობის პოემაში „ფიქრები ენგურის ხეობაში“ გრიგოლ აბაშიძემ დახატა ფართო განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრული სახე ენგურჰესის სახელოვანი გვირაბგამყვანის შუქრი აბაქელიასი, რომელიც თავისი სასწაულებრივად გმირული საქმეებით ხალხის საუკუნოვანი ფანტაზიით შეთხზულ ლეგენდარულ გმირებს უთანაბრდება:

და შენ ყოველდღე კლდის სანგრევედ
ისხამ იარაღს.
ქვესკენელს ჩადიხარ აბრსკილივით,
ცაზე ოცნებით,
რომ კიდევ მეტად გაანათო
ზეცა კრიალა
და მთის მდინარე
გააჭიბრო მზეს საოცრებით.
შენ იქ ჰკვიანი მანქანების
ნებას განაგებ,
მათ ჟანსად გუგუნს,
რთულ მუსიკას, არა მოსაწყენს,
და დაშლილ ქანებს,
დაცემულებს, როგორც ქაღაგებს,
მიექანები შავეთიდან სამზეოსაკენ.

ამ სერიის თავის კრებულში გრიგოლ აბაშიძემ ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა დიდ რუს ხალხთან ქართველი ხალხის საუკუნოვანი ძმობისა და ურღვევი მეგობრობის ამალღებულ გრძნობას, რომელიც ორგანულად ერწყმის და აუცილებლად გულისხმობს ყოველი ერის თვითმყოფობის განმტკიცებას, მისი ეროვნული ენისა და კულტურის აღმავლობისა და დაუბრკოლებრივი განვითარების იდეას.

ხალხთა ძმობისა და მეგობრობის უწმინდესი გრძნობა მრავალმხრივად არის განსახიერებელი რევანშ მარგიანის ლექსთა კრებულში. თანაბრად წრფელი გრძნობით, კეთილშობილური ინტერნაციონალური შეგნებით არის განათებული მისი ლექსები, რომლებიც მიძღვნილია რუსი პოეტის მიხეილ ლუკონინისადმი, ბალყარელი და დაღესტნელი თანამემამულეების ყაისინ ყულიევისა და რასულ გამზათოვისადმი, სომეხი ხალხის დიდი შვილის ავეტიკ ისააკიანისადმი, აფხაზი ბაგრატ შინკუბასადმი, მსოფლიოს ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაცემული დიდი ჩილეელი პოეტის პაბლო ნერუდას ხსოვნისადმი. ასე ფართოდ მოიცავს საბჭოთა პოეტის გული თანამედროვეობის მართალი და პროგრესული აზრის მქადაგებელი და დამამკვიდრებელი პოეზიის მთელ მრავალენოვან და მრავალეროვან ერთიანობას. პოეტმა იცის, რომ ყოველი შემოქმედებითი წარმატება და ნამდვილი ბედნიერება მხოლოდ ჩვენს მღელვარე დღეებთან ხალხის გმირულ საქმეებთან განუყოფელ ერთიანობაშია:

ნუ ჩამორჩები საქართველოს ამ ამღვრებას,
ტალღებს ფაფარში ჩაეჭიდე, მიჰყევ დინებას
ამ ლამაზ ჩქერთა ქუხილშია ბედნიერება
და იმ მომავალ სტრასქონების გამობრწყინება.

დიდ რუს ხალხთან ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიდ ერთიან ოჯახთან განუყოფელი თანაზიარობის ნათელი აზრი, ახალი კაცობრიობის გულის — მოსკოვისადმი ყოველი საბჭოთა პატრიოტის მშობლიური გრძნობაა განსახიერებელი ხუტა ბერულავას ლექსში „მაიაკოვსკი“.

როცა უამიყამ ძალიან მიმძიმს
და მწარე ტკივილს შევიგრძნობ უცებ,
ვიგონებ შენთა ვარსკვლავთა ციმციმს
და შენს ბობოქარ საყვარელ ქუჩებს.
როცა ჩემს გულში სიხარულია,
და მზად ვარ მთები ხელით აეწიო,
მე მხოლოდ შენი ხილვა მწყურია,
რომ აღტაცება გავინაწილო!

ახლახან ხუტა ბერულავამ გამოაქვეყნა ახალი თავები პოემისა „რუსული გული“, რომელიც ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი საბრძოლო და შრომითი თანამეგობრობის თემაზე.

ახალგაზრდობას, ჩვენი ქვეყნის ჭკვიან, ჯანმგარ და შრომისმოყვარე ვაჟებსა და ქალიშვილებს ესაუბრება ჯანსულ ჩარკვიანი თავისი საბრძოლოდ შემაიარაღებელი, კლასობრივი სიფხიზლის, ყოველი ჭურის ანტიპოდებისადმი შეუერიგებლობის გრძნობით აღმაგზნებელ ლექსებში:

შენ ყველაფერი უნდა შეოგაძნო,
და ჩაიქედო გულის არეში
მამულისათვის უნდა შეიძლო
ყოფნა ქარში და სიმწუხარეში.
შენ ყველაფერი უნდა გესმოჯეს,
მტერი უნდაო, მტერი ურცხვია,
ვლადიმერ ლუნინს მაშინ ესროლეს,
როცა მზე მისცა რევოლუციას.

ქართველი პოეტი გააზრებულად და თანამიმდევრულად მიჰყვება რევოლუციის უდიდესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის მიერ გაკვალულ დიდ გზას ხალხისადმი, სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურისა. ვ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი ამბობს:

მე ვარ მსახური, ვარ სიმართლის მქმნელი
მსაჯული,
მე საქართველოს სახრეში ვარ გამოყვანილი,
მეც სიტყვას ვხედნი, მეც შენსაფით...
სიტყვას ვარჩულვებ,
ჩემი მამულის, ჩემი მიწის, ჩემი ყაშირის.

თავის პუბლიცისტურ პოემებში ჯანსულ ჩარკვიანი ისწრაფვის აალორძინოს, დაამკვიდროს დღევანდელ ქართულ პოეზიაში ჟანრი, რომლის კლასიკურ ნიმუშსაც გასული საუკუნის დიდ ქართულ ლიტერატურაში წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“. ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში და მკითხველთა წრეებში მოწონება ჰპოვა ამ ჟანრის მისმა პოემამ, მიძღვნილმა სამამულო რუმში გმირულად დაღუპული შესანიშნავი ქართველი პოეტის მირზა გელოვანისადმი, რამდენიმე კოლორიტული პასაჟია აგრეთვე მოცემული ახალი კოლხეთისათვის გაჩაღებული ბრძოლის ამსახველ მის პუბლიცისტურ პოემაში.

ჩვენი დღეების აზრსა და შინაარსს, მის მორალსა და ფილოსოფიას პოეტური აღქმით გადმოგვცემს მორის ფოცხიშვილი ლექსში „დროა“.

თრთოლა აფრების, ჩვენი აფრების —
დღე აზვირთების, დრო აღმაფრენის!
მზის მგზნებარების, ზღვის გამძაფრების
სისხლის დუდილის, ფიქრის ქუხილის,
წვდომის წყურვილის, ნატურის, სურვილის,
გარდასახვების და განახლების,
ძვრისა და ძლევის, წვისა თუ წვევის,
ძველის და ახლის, ახლის თუ ძველის,
არხების ჭრის და აკვნების რწვევის
ღიადი დღე და ლამაზი წამი, —
დრო აღსარების და აღთქმის ჟამი.

მორის ფოცხიშვილის კრებული იხსნება ლექსით „ძახილი“, რომელიც თითქოს უვერტიჟურად მიუძღვის არა მარტო ამ ერთი პოეტის, არამედ მთელი დღევანდელი ქართული პოეზიის მრავალხმოვან მომწოდებელ, ბრძოლისა და შრომისათვის აღმაგზნებელ სიმფონიას: „გამოდით, ახალ საქართველოს შენება უნდა!“ „გამოდით — ახალ ცისარტყელებს აზიდვა უნდა!“. „გამოდით — ახალ აღმაფრენას აფრენა უნდა!!!“ ასეთი ფრთაასხმული რეფრენითაა შეკრული ლექსის ყოველი სტროფი, ლექსისა, რომელიც მთლიანად მომწოდებელ ზარის გუგუნად ყლერს.

ჩვენ შეგვეძლო არაერთი ანალოგიური მაგალითი მოგვეტანა ხსენებულ სერიაში გამოცემული რევაზ მარგიანის, ნოდარ გურუშიძის, ლადო სულაბერიძის და ოთარ მამფორიას ლექსთა კრებულებიდანაც, მაგრამ ყველაფერი რაც ზევით ითქვა, საკმაოდ ცხადად ახასიათებს თანამედროვე ქართული ლექსის საერთო მიზანსწრაფვას, მისი იდეების, თემებისა და სახეების სამყაროს, მის მოქალაქეობრივ ყლერადობას, მის ერთსულოვან თანამედროვეობას ჩვენი დღეების მღელვარე რიტმთა, დაძაბულ შემოქმედებითს პათოსთან. ზედმეტია დაწვრილებითი ლაპარაკი იმის საარგუმენტაციოდ, რომ სოციალური იდეალის, იდეურ-თემატური შინაარსის ერთიანობის მიუხედავად ამ კრებულებში ადგილი არა აქვს პოეტური გამომსახველობის საშუალებათა ერთსახეობას, საღებავთა ერთფეროვნებას, ლექსის მუსიკის ერთჰანგოვანებას. ჩვენ მიერ ციტირებული სტრიქონები სხვადასხვა პოეტებისა ნათლად მეტყველებენ ასეთი პოლიფონიურობისა და მრავალჰანგოვანების შესახებ.

რასაკვირველია, „მერანის“ მიერ გამოცემული ამ კრებულებით სრულიად არ განისაზღვრება თანამედროვე ქართული პოეზიის მთელი სიმდიდრე და მრავალფეროვნება. მკითხველი მოელის, რომ ეს სერია გაგრძელდება, რომ მალე ვიხილავთ ირაკლი აბაშიძის ახალ ლირიკულ ციკლს „ჰიმნი სიცოცხლეს“, რომლის შემადგენელი ლექსები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს ლიტერატურ-

რულ პერიოდიკაში. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ხუთწლედის მღელვარე რომანტიკით შთაგონებული ახალი წიგნით მალე გაახარებს მკითხველებს იოსებ ნონეშვილი, რომლის ლექსი „კომუნიზმის ხარაჩოები“ — პირველი ნიშანი იყო ამ შემობრუნებისა ქართული საბჭოთა პოეზიის განვითარებაში. არ შეიძლება ახალ პოეტურ ქმნილებათა ამ ანსამბლში თავისებურ მკაფიოდ და სასიხარულო სიტყვად არ გაისმას მურმან ლებანიძის ლექსების ახალი წიგნი, იმ პოეტისა რომელიც ახლახან სამშობლომ ღირსეულად დააჯილდოვა თავისი უმაღლესი ეროვნული ჯილდოთი—რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიით. უეჭველია, რომ ხუთწლედის მგზნებარე დღეების მაცოცხლებელი სუნთქვა უფრო მეტის ძალით დაეუფლება თანამედროვე ქართული ლექსის საყოველთაოდ აღიარებული მაღალნიჭიერი ოსტატების ანა კალანდაძის, მუხრან მაქავარიანის, ოთარ ჭილაძის სულიერ სამყაროს.

როცა ქართული პოეზიის განვითარებაში ბოლო დროს დასახული ღრმა შემობრუნების პროცესებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ყველაფერი, რითაც ჩვენი პოეზია ამჟამად ჩვენი დღეების მწვავე და აქტუალურ თემებს ეხმაურება, როდი დგას პოეტური ხელოვნების მაღალ დონეზე და თავისი ესთეტიკური ღირსებით, მხატვრული ოსტატობით როდი აკმაყოფილებს ხალხის გაზრდილ სულიერ მოთხოვნებს. ამაში არაფერია საგანგაშო და შემამფოთებელი. ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ასეთი გარდატეხისა და შემობრუნების პირველ ეტაპზე ყოველთვის მოსალოდნელია ცალკეული ცდუნებანი, ხარვეზები და ნაკლოვანებანი. მთავარი ის არის, რომ აღებულება ჩვენი პოეტური კულტურის განვითარების სწორი კურსი, მონახულია ჯანსაღი ორიენტირი. რაც დრო გავა, ამ მიმართულებით სულ უფრო მეტი მხატვრული ფასეულობები იქნება მოპოვებული, რადგან უდავო ქვეშაირიტებაა, რომ ხელოვნებაში ნამდვილი გამარჯვებისა და წარმატების საწინდარი მხატვრულ ნიჭიერებასა და პროფესიულ ოსტატობასთან ერთად ხალხის ცხოვრებასთან, სინამდვილის ცოცხალ მოვლენებთან სისხორცეულ კავშირურობითობაში მდგომარეობს.

სსოპრება. თეატრი. ღრამაგურგინა

(ქართული ღრამაგურგინის ნახევისასაუწუნოვანი მზა)

საბჭოთა საქართველო თავის ნახევისასაუწუნოვან იუბილეს ზეიმობს. ქართველი ხალხი თავის ამ უდიდეს დღესასწაულს ქეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის მიღწევებით და წარმატებებით ეგებება მატერიალური და სულიერი კულტურის ყოველ დარგში და, კერძოდ, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მიერ მოპოვებულ ამ წარმატებათა შორის განსაკუთრებით თვალსაჩინოა და მნიშვნელოვანი ქართული დრამატული მწერლობის განუხრელი აღმავლობა და განვითარება საბჭოთა ეპოქაში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს, ჩვენი ეროვნული კულტურის მრავალსაუწუნოვანი ისტორიის მანძილზე ორიგინალურ დრამატურგიას ისეთი ხვედრითი წონა არ ჰქონია ქართულ მწერლობაში და ისეთი განმსაზღვრელი როლი ქართული თეატრის ცხოვრებაში, როგორც ამ ნახევი საუკუნის განმავლობაში.

ქართულ კლასიკურ მწერლობაში დრამატულ ქანრს შედარებით ნაკლები და ღარიბი ტრადიციები ჰქონდა, ვიდრე პოეზიას და მხატვრულ პროზას. რევოლუციამდელი ქართული თეატრი კი უპირატესად უცხოურიდან თარგმნილი თუ გადმოკეთებული პიესებით საზრდოობდა.

ქართული დრამატული მწერლობის წარმოშობა უშუალოდ არის დაკავშირებული ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისა და განახლების ისტორიასთან გასული საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. გიორგი ერისთავი იღვა როგორც ახალი ქართული თეატრის, ისე ქართული დრამატურგიის სათავეებთან. მისმა კომედიებმა დიდი ისტორიული როლი შეასრულა როგორც ჩვენი ეროვნული თეატრისა და დრამატურგიის, ისე საერთოდ ქართული კლასიკური მწერლობის განვითარებაში. გიორგი ერისთავის დრამატურგიულ შემოქმედებაში იჩინა პირველად თავი ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა, რომელმაც შემდეგ კლასიკური სრულყოფილებას მიადწია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, გასული საუკუნის მეორე ნახევრის სხვა ჩვენი დიდი კლასიკოსების შემოქმედებაში. დღემდე ინარჩუნებენ საპატიო ადგილს ქართული

თეატრის რეპერტუარში ზურაბ ანტონოვისა და ავქსენტი ცაგარელის საუკეთესო კომედიები. პიესებს სწერდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და დავით კლდიაშვილი. ჩვენი კლასიკური ლიტერატურის ეს უკვდავი კოორდინატები დიდად აფასებდნენ თეატრალური ხელოვნების მნიშვნელობას ხალხის სულიერი აღზრდისა და შეიარაღების საქმეში, კერძოდ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამიტომაც გულმხურვალედ ზრუნავდნენ ეროვნული თეატრის განვითარებისათვის. ამგვარი მზრუნველობის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა მათი დრამატურგიული შემოქმედება. მაგრამ რაგინდ ძვირფასიც არ უნდა იყოს ჩვენთვის ჩვენი ამ უკვდავი წინაპრების დრამატურგიული მემკვიდრეობა, იგი თავისი მხატვრული სიღრმით და იდეურ-ესთეტიკური ღირებულებით მაინც ვერ შეედრება იგასული საუკუნის დიდებული ქართული პოეზიისა და მხატვრული პროზის უჭკნობ შედევრებს.

სწორედ ამიტომ გასული საუკუნის ქართული თეატრი უპირატესად უცხოურიდან თარგმნილსა თუ გადმოკეთებულ პიესებს ეყრდნობოდა და ეს მდგომარეობა გრძელდებოდა ჩვენი საუკუნის დაძვდავამდე, იმის მიუხედავად რომ ამ პერიოდში, სოციალისტური რევოლუციის წინა წლებში, ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდნენ დრამატურგიის ქანრში შალვა დადიანი, იოსებ გედევანიშვილი, ტრიფონ რამიშვილი, პოლიო ირეთელი, ვალერიან შალიკაშვილი, ნიკო შიუკაშვილი და სხვები.

ქართული საბჭოთა თეატრიც თავისი აღმოცენების პირველ წლებში, მისი დიდი იდეური და ესთეტიკური განზრახვებისათვის, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით განახლებული, სოციალური სინამდვილით ნაკარნახევი ახალი შემოქმედებითი ამოცანებისათვის შესაფერისი რეპერტუარის უქონლობის გამო იძულებული იყო უცხოური და რუსული დრამატურგიისათვის მიემართა. ეს იყო „ცხვრის წყარო“, „ჰამლეტი“, გერმანელ ექსპრესიონისტთა პიესები და უმთავრესად კი რუსული საბჭოთა დრამატურგიის პირველი, ფუძემდებლური მიღწევები.

მაგრამ ის დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმი, ახალი ცხოვრების მასულდგმულებელი იდეების მხატვრული განსახიერების, ახალი სამყაროს მშენებლობის ცოცხალ პროცესებთან სისხლხორცეული შემოქმედებითი კავშირითიერთობის წყურვილი, რომელიც მოიტანა ქართულ თეატრში მისმა დიდმა განმაახლებელმა, ქართული საბჭოთა თეატრის გენიალურმა ფუძემდებელმა კოტე მარჯანიშვილმა, დაყინებით მოითხოვდა ეროვნული დრამატურგიის განვითარებას, როგორც ახალი ეროვნული თეატრის აღმავლობის აუცილებელ პი-

რობას. და სწორედ დროების ამ კანონზომიერი მოთხოვნილების საპასუხოდ გამოჩნდა ქართული საბჭოთა თეატრის პირველი წლების რეპერტუარში ქართული საბჭოთა დრამატურგიის პირველი ნიმუშები — სანდრო შანშიაშვილის, შალვა დადიანის, ნატალია აზიანის და ნიკო შიუქაშვილის პიესები, რომლებსაც საბჭოთა საზოგადოების განვითარების მომდევნო პერიოდებში მოჰყვა მწერალთა ახალი და ახალი თაობების მოღვაწეობა დრამატული მწერლობის ქანრში. ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველი ახალი პერიოდი თავისებურ ახალ ამოცანებს აყენებდა მთელი მხატვრული კულტურისა და კერძოდ თეატრალური ხელოვნების წინაშე. ეს გარემოება კი თავის მხრივ ახალი თემებისა და იდეების სამყაროსაკენ მოუწოდებდა ეროვნულ დრამატურგიას, რომელიც უკვე თვითონ მოითხოვდა თეატრალური განსახიერების ახალ საშუალებებს და თავისი საუკეთესო მიღწევებით განაპირობებდა სცენური ხელოვნების ამაღლებასა და გამდიდრებას. ასეთს განუყოფელ კავშირურთიერთობაში, ურთიერთგამდიდრებისა და განუწყვეტელი განახლების პირობებში იზრდებოდა ქართული თეატრი და ქართული დრამატული მწერლობა საბჭოთა ეპოქის მთელს ნახევარსაუკუნოვან მანძილზე და ეს პროცესი გრძელდება დღესაც — ჩვენი სამშობლოს ისტორიისა და, მაშასადამე, ჩვენი სოციალისტური მხატვრული კულტურის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ამიტომაც თუ მოვიხილოთ მთლიანობაში წარმოვიდგინოთ ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების ნახევარსაუკუნოვანი გზა, ჩვენს თვალწინ გადაიშლება იდეების, თემებისა და სახეების ის საოცრად მდიდარი, ვრცელი, და მრავალფეროვანი სამყარო, რომელიც ასაზრდოებდა ამ ხნის განმავლობაში არა მარტო ჩვენს დრამატულ მწერლობას, არამედ მთლიანად ჩვენს ლიტერატურას, თეატრს, საბჭოთა ეპოქის მთელ ქართულ მხატვრულ კულტურას.

დრამატული მწერლობის ამ ნახევარსაუკუნოვანი განვითარების უპირველესი შედეგი ის არის, რომ ამჟამად ქართული დრამატურგია ჩვენი ეროვნული მწერლობის განუყოფელ, ღირსეულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და თავისი იდეურ-თემატური დიაპაზონით და ესთეტიკური ღირებულებით ღირსეულად გვერდით უდგას ისეთი დიდი და მდიდარი ტრადიციების ლიტერატურულ ქანრებს, როგორცაა ქართული პოეზია და მხატვრული პროზა. ამასთანავე ორიგინალურ დრამატურგიას ამჟამად განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს თანამედროვე ქართული თეატრის რეპერტუარში და იგი ძირითადად განაპირობებს ქართული თეატრალური ხელოვნების ეროვნულ ხასიათსაც, მის განუყოფელ ურთიერთობასაც დროების სუნთქვასთან, ეპოქის ნათელ იდეალებთან, ხალხის ცხოვრების ცოცხალ სინამდვილესთან.

„სრული შერწყმა დიდი იდეური სიღრმისა, შეგნებული ისტორიული აზ-

რისა, რასაც თქვენ უსაფუძვლოდ როდი მიაწერთ გერმანულ დრამას, — შექსპირისებურ სიცხოველესთან და მოქმედებითობასთან, მიღწეული იქნება, ალბათ, მხოლოდ მომავალში და, ალბათ, არა გერმანელების მიერ. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ამ შეარწყმამში ვხედავ მე დრამის მომავალს“, — სწერდა ენგელსი ფერდინანდ ლასალს 1859 წელს.

ამ სიტყვებში იშვიათი სიღრმითა და სისწორით არის განპყვრტილი ის შემოქმედებითი გზა, რომლითაც ვითარდება სოციალისტური ეპოქის მხატვრული მწერლობა და, კერძოდ, დრამატურგია. შეთანხმება რეალიზმისა და რომანტიზმისა, რომლებიც მხატვრული კულტურის ისტორიის მრავალი საუკუნის მანძილზე უპირდაპირდებოდნენ ერთმანეთს, შესაძლებელი ხდება მხოლოდ საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდის, — სოციალისტური რეალიზმის ნიადაგზე.

სოციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებელი მაქსიმ გორკი სწორედ რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის სინთეზში ხედავდა სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ ძირითად თავისებურებასა და უპირატესობას. თვით მაქსიმ გორკის მხატვრული მემკვიდრეობა ამ ორი შემოქმედებითი პრინციპის შედეგების შესანიშნავ ნიმუშებს შეიცავს.

საბჭოთა მწერლობის და ხელოვნების დანიშნულება, უპირველეს ყოვლისა, ის არის, რომ მხატვრულად განასახიეროს ჩვენი ეპოქის დიადი იდეები, კომუნიზმის ძლევამოსილი იდეები, რათა ხელი შეუწყოს მილიონების აღზრდას ამ იდეების სულისკვეთებით. მაგრამ ხელოვნებას და ლიტერატურას მხოლოდ ცოცხალი სინამდვილის მოვლენათა ასახვის გზით, ტიპიურ ადამიანთა სახეების მეშვეობით შეუძლია სრულყოფილად, დამაჯერებლად და შთამაგონებლად გამოხატოს ესა თუ ის იდეა, ესა თუ ის საბრძოლო აზრი და რწმენა. არასოდეს, კულტურის ისტორიის არც ერთ ეპოქაში ისე ღრმად და ორგანულად არ შეერთებულა ხელოვნების ტენდენციურობისა და ცხოვრების სიმართლით ასახვის ამოცანები, როგორც სოციალისტური ეპოქის ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ცნობილია, რომ საბჭოთა მწერლობა უაღრესად ტენდენციურია ამ სიტყვის უფართოესი და უღრმესი მნიშვნელობით, ამ ცნების იმ გაგებით, რომლითაც მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები ტენდენციურობას მიაწერდნენ ტრაგედიის მამას — ესქილეს და კომედიის მამას — არისტოფანეს, დანტეს, სერვანტესს, შილერს და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის მრავალ სხვა კორიფეებს. ჩვენი მწერლობა და ხელოვნება კლასობრივია და პარტიული ამ ცნებათა ისეთი გაგებით, როგორიც მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის კლასიკურ ნაშრომში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

მაგრამ, ეს ტენდენციურობა ამასთანავე გულისხმობს ცხოვრების, სინამდვილის ისე ღრმად და შეუზღუდველად, ისეთი სიმართლით და სისრულით გაგებასა და გამოხატვას, როგორც შეუძლებელი და მიუწვდომელი იქნებოდა წარსულის ყოველი ხელოვნისათვის, რაგინდ გენიალურიც არ უნდა ყოფილიყო იგი, რაგინდ მახვილი რეალისტური ალლოთი და ხედვით, რაგინდ პროგრესული იდეებითაც არ უნდა ყოფილიყო იგი შეიარღობული.

მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების ხელოვანს შეუძლია სრული სიმართლით, ყოველგვარი ცალმხრივობისა, შეზღუდულობისა და გაყალბების გარეშე დაინახოს და ასახოს ცოცხალი სინამდვილე, რადგან მხოლოდ სოციალისტური კლასის მსოფლმხედველობა არის დამყარებული და აღმოცენებული ცხოვრების ნამდვილი კანონზომიერების ღრმა და ზუსტი, მეცნიერული შესწავლის ნიადაგზე, რადგან ამ კლასის სასარგებლოდ მუშაობს ისტორია, — ცხოვრების განვითარების მდინარეება და პერსპექტივები. კომუნისმის იდეების ძლევამოსილების საფუძველი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ცხოვრების განვითარების ნამდვილ შინაარსს გამოხატავენ, ამიტომაც ამ იდეებით შთაგონებული მწერლობისა და ხელოვნების ცხოველმყოფელობა, მათი ზემოქმედებითი ძალა საფესვით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად, ღრმად და სიმართლით არის მათში აღბეჭდილი ცოცხალი სინამდვილის მოვლენები, ცხოვრების განვითარების პროცესები, ცხოვრების მამოძრავებელ საზოგადოებრივ ძალთა გამომხატველ ტიპიურ ადამიანთა სახეები.

როგორც მიუღებელია სოციალისტური რეალიზმის მწერლობისა და ხელოვნებისათვის ცხოვრების მოვლენათა პასიური ამსახველობის გზა, სინამდვილის ემპირიული, ზედაპირული, უიდეო ფიქსაციის პრინციპი, ისევე უცხოა და მიუღებელი ჩვენთვის ისეთი ხელოვნება, სადაც ცოცხალი სინამდვილის მოვლენები ნაძალადევად და ხელოვნურად არის დაქვემდებარებული წინათ განზრახული ტენდენციისადმი, სადაც ადამიანები მხოლოდ იდეების რუპორებად, უსიცოცხლო სქემებად გამოიყურებიან.

დიდი იდეური სიღრმე, დაკავშირებული სოციალური სინამდვილის მოვლენათა უაღრესად მართალ და დამაჯერებელ ასახვასთან, ტიპიური ადამიანური ხასიათების ცოცხალ და ხორცუმესხმულ მხატვრობასთან — ასეთ მოთხოვნებს აყენებს სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდი ხელოვნებისა და მწერლობის ყოველ დარგში და განსაკუთრებით — დრამატურგიაში.

დრამატურგია მხატვრული ლიტერატურის ურთულესი ჟანრია. ბესარიონ ბელინსკიმ დრამატულ პოეზიას ხელოვნების გვირგვინი უწოდა. დრამა აერთიანებს ლირიკისა და ეპოსის თვისებებს — იგი გვიხატავს ადამიანის ინდივიდუალური სულიერი ცხოვრების სამყაროსაც და საზოგადოებრივი ვითარე-

ბის სურათებსაც. ამრიგად დრამა გულისმობს მხატვრული ლიტერატურის ყველა თვისებისა და შესაძლებლობის კონდენსირებულ შეთავსებას ერთ ქანრში. მაგრამ დრამა ვერ თავსდება მარტო სიტყვის ხელოვნების ფარგლებში. იგი იმავე დროს არის უპირველესი და განმსაზღვრელი კომპონენტი თეატრისა, — სანახაობითი, მოქმედებითი ხელოვნებისა. დრამატული მწერლობის ამ ორმაგ ბუნებაში, იმაში, რომ იგი თანაბრად ეკუთვნის ხელოვნების ორ სხვადასხვა სფეროს — მწერლობას და თეატრს, — მდგომარეობს ამ ლიტერატურული ქანრის განსაკუთრებული სირთულეც და უპირატესობაც. ახლა ჩვენს დროში დრამატული მწერლობის მოქმედების საბიძგიელი უსაზღვროდ ფართოვდება — იგი უკვე მოიცავს ხმოვან კინემატოგრაფიასაც და ტელევიზიასაც — ჩვენი დღეების ყველაზე მასობრივ ხელოვნებას.

ყველა, ვისაც კი დრამატურგაჲს სპეციფიური ბუნების შესახებ უწერია, ერთხმად აღნიშნავს ამ ქანრის განსაკუთრებულ სირთულეს.

რეალისტური დრამის თეორიის შემქმნელი დიდრო, — რომელიც დრამის უპირველეს დანიშნულებას კეთილმყოფელი ადამიანის სახის გამოკვეთაში, ადამიანის მოვალეობის მკაფიოდ გამოხატვაში ხედავდა, გვაძლევს დრამატული პოეტის შემდგენიარ დახასიათებას: „მაგრამ ვინ დახატავს მკაფიოდ ადამიანის მოვალეობას? როგორი თვისებები უნდა ჰქონდეს პოეტს, რომელიც ასეთ ამოცანას დაიხასიათებს? დაე ის იყოს ფილოსოფოსი... დაე, ჩაინხედოს მან თავის არსებაში და დაინახოს იქ ადამიანის ბუნება, დაე დრამად შეისწავლოს მან საზოგადოებრივი წოდებანი, მათი ფუნქციები, მნიშვნელობა, ნაკლოვანებანი და უპირატესობანი“.

ასეთივე აზრს ანვითარებს რეალისტური დრამის მეორე დიდი თეორეტიკოსი ლესინგი და ფრიად დამახასიათებელია, რომ საუესებით ანალოგიურად აყენებს საკითხს ქართული კლასიკური რეალიზმის დიდი მედროშე და ფუძემდებელი, — ილია ჭავჭავაძე. თავის შესანიშნავ წერილში „ახალი დრამების გამო“, იგი სწერს: „ერთობ დრამის შექმნა მეტად ძნელი რამ არის, იმიტომ, რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაზე, სულისა და გულის დიდ ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტი მჭრელი, მეტისმეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტისმეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რამ მოჰფინოს ამ საოცარს, ამ უცნაურ საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია ან და რომელიც იმდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლო მივალთ. ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი, თუნდ ნიჭიერიც, — ვერ ჰბედავს ხელი შემართოს“.

ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში იშვიათი როდია შემთხვე-

ვა, როცა დავიწყებას ეძლევა ეს უდავო ჭეშმარიტება დრამატული ეანრის განსაკუთრებული სირთულისა და სიძნელის შესახებ, როცა ამ უაღრესად საძნელო ს:წმეს „ხელს შეჰმართავენ“ ხოლმე პოეტური შემოქმედების თვალსაზრისით უძლეური ავტორები, როდესაც იმავე ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ოღონდ თხზულება მონოლოგებით და დიალოგებით იყოს დაწერილი, სცენებ:ად და მოქმედებად დაყოფილი, შიგ ორიოდე ალაგას ქალისა და კაცის სიკვდილიც ჩაკერებულ იქნას და ავტორს არ უჭირდება სთქვას: „დრამა არისო“. ცოტა ზიანი როდი მიაყენა ჩვენი დრამატურგიის განვითარებას ერთ დროს საკმაროდ ფეხმოკიდებულმა ყალბმა ფორმალისტურმა „თეორიამ“, რომელიც პრესას განიხილავდა არა როგორც დასრულებულ მხატვრულ ქმნილებას თავისი საკუთარი დამოუკიდებელი შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულებით, არამედ როგორც მხოლოდ „ნედლ მასალას“ სცენიური ხელოვნებისათვის, როგორც „სცენარს-სპექტაკლისათვის“.

ახლა თითქოს მას აღარავინ იზიარებს და თითქოს საყოველთაოდ აღიარებულია დრამატული თხზულების წამყვანი როლი და მნიშვნელობა თეატრისათვის, მაგრამ ამ „თეორიის“ რეციდივები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის პრაქტიკაში. ახლაც იშვიათად როდი გაიგონებთ ხოლმე მტკიცებას, რომ პიესა თეატრში უნდა იწერებოდეს, მის შექმნაში უშუალოდ უნდა მონაწილეობდნენ რეჟისორები და მსახიობები, თეატრების ლიტერატურული ნაწილების ხელმძღვანელები. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ თუ რამდენად ყალბი და მცდარია ასეთი თვალსაზრისი. დრამატურგია, პირველ ყოვლისა — მწერლობაა, მართალია სცენიური განსახიერებისათვის გათვალისწინებული, მაგრამ მაინც მწერლობა, როგორც უკვე ვთქვით, მწერლობის ყველაზე რთული და საძნელო ეანრია და ამიტომ მისი ავტორი მხოლოდ მხატვრული სიტყვის ჭეშმარიტი ხელოვანი უნდა იყოს. თეატრის ყველა მოღვაწენი — რეჟისორები, მსახიობები და სხვ. დრამატული ნაწარმოების სცენური სრულყოფის მიზნით შეიძლება მონაწილეობდნენ პიესის საბოლოო რედაქციის დამუშავებაში მხოლოდ როგორც მრჩეველები, პროფესიონალი კონსულტანტები.

ქართული, ისევე როგორც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა დრამატურგია, თავისი ისტორიის მანძილზე, სხვადასხვაგვარ სიძნელეთა და დაბრკოლებათა, შემადგერხებელ წინააღმეგობათა, მცდარ და ყალბ „თეორიათა“ გადალახვის გზით მოიკაფავდა თავისი განვითარების გზას. ხან „პიესა-სცენარის“ ფორმალისტური კონცეფცია, ხან უკონფლიქტობის მავნე „თეორია“, ხან ცალმხრივი „კრიტიციზმის“ ცდუნებანი, რაც დრამატურგიაში ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა გაზვიადებულად გამოხატვას და მამასადამე, ცხოვრების გლა-

რიბებულად დამახინჯებულად წარმოსახვას გულისხმობდა, ხან დასავლეთის მოდური, მოდერნისტული დრამისა და „ანტიდრამის“ გავლენებით გულუბრყვილო გატაცებანი, ყოველივე ეს წინ ელობებოდა და აფერხებდა საბჭოთა დრამატული მწერლობის განვითარებას.

მაგრამ ქართული საბჭოთა დრამატურგიის ნამდვილ ისტორიას შეადგენდა და ამოძრავებდა არა ეს ყალბი და ვულგარინატიორული „თეორიები“ და ცდუნებანი, არამედ მათი გადალახვისა და უკუგდების გზით შექმნილი ნამდვილი მხატვრული ღირებულებანი.

ახლა, როცა საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს საზეიმო დღეებში ჩვენი დრამატული მწერლობის ამ საუკეთესო ნაწარმოებებს ვიხსენებთ, ნათლად ვხედავთ, თუ როგორ აისახებოდა და მხატვრულ განხორციელებას პოვებდა ამ პიესებში და მათი მეშვეობით ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში საბჭოთა სინამდვილის დამახასიათებელი პროცესები, ჩვენი ეპოქის მამოძრავებელი და მასულღვმულელებელი იდეები, თანამედროვეობის გმირის კეთილშობილური სულიერი სამყაროს, ჩვენი ხალხის ხასიათის საუკეთესო ტიპიური ნიშანთვისებანი.

საბჭოთა ეპოქის ქართული დრამატურგია თემატური მრავალმხრივობით და მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქართველი ხალხის სახელოვანი მრავალსაუკუნოვანი წარსული, მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლები მონობისა და ჩაგვრის სამყაროს დასამხობად, შესანიშნავ ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრება და მოღვაწეობა უხვ და მდიდარ თემატურ მასალას იძლევა დრამატურგიული შემოქმედებისათვის.

მაგრამ თანამედროვე ქართული დრამატურგიის მასაზრდოებელი თემების და იდეების ძირითად წყაროს ჩვენი თანამედროვეობა, საბჭოთა ხალხის ცხოვრება, მისი შრომისა და ბრძოლის სინამდვილე შეადგენს. თანამედროვე დრამატურგიის ისტორიული დანიშნულება უპირველეს ყოვლისა ჩვენი ეპოქის და მისი მოწინავე ადამიანების მხატვრულ განსახიერებაში მდგომარეობს.

ამ პირველხარისხოვანი ამოცანის განხორციელებისათვის წარმოებული შემოქმედებითი ბრძოლა შეადგენს ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების ძირითად პროცესს. თანამედროვეობის თემებზე მუშაობით აიდგა ფენი ახალმა ქართულმა დრამატურგიამ და ამ თემებზე დაწერილ პიესებში გამოჩნდა ყველაზე მკაფიოდ მისი მთავარი ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეების სოციალური ვითარების ასახვა სცადა დრამატურგმა ქალმა ნატალია აზიანმა თავის კომედიაში — „დეზერტირკა“. ეს იყო პირველი ქართული პიესა, რომელ-

საც ახალი, რევოლუციური ეპოქის მოვლენებისადმი შემოქმედებითი გამო-
ხმაურების პრეტენზია ჰქონდა. ნატალია აზიანს თავისი რევოლუციამდელი კო-
მედიებით მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი გადა-
გვარებული თავადაზნაურობის, ჩარჩ-ვაჭრებისა და ლიბერალური ინტელიგენ-
ციის მამხილებელი მძაფრი კომედიური სცენებისა და ამ სოციალური ფენე-
ბის ტიპაჟის მხატვრობის სფეროში.

„დღეხერტიკაში“ — დრამატურგმა უხვად და ნიჭიერად გამოიყენა ეს
შემოქმედებითი გამოცდილება. მან გვიჩვენა პროლეტარული რევოლუციის
გამარჯვებით დამფრთხალი, სოციალური ცხოვრების ფსკერისაკენ განწირულად
დაქანებული რეაქციური კლასების სულიერი განწყობილება, დახატა თავზარ-
დაცემული ჩარჩ-ვაჭრებისა, თავადებისა, ძველი მოხელეების და ბურჟუაზიულ-
ნაციონალისტური ინტელიგენციის უბადრუკი და სასაცილო სახეების მთელი
გალერეა, მათი ცხოველური შიში და ძრწოლა გამარჯვებული რევოლუციის
წინაშე, მათი გოდება „დაკარგულ სამოთხეზე“, მათი ფუჭი ილუზიები რეაქ-
ციული კლასების ბატონობის რესტავრაციის შესახებ.

თვით რევოლუციური კლასი კი, თავისი პოზიტიური მიზნებითა და მისწ-
რაფებებით ამ ნაწარმოებში არ მოსჩანს. აქ ჯერ კიდევ არავითარი გამოსატუ-
ლება არ უპოვია ახალ, რევოლუციურ სინამდვილეს, საბჭოთა ადამიანებს. დაა-
ხლოებით ასეთივე ხასიათისა იყო ნიკო შიუკაშვილის კომედიებიც („ამერ-
კელი ძია“ და სხვ.) რომლებიც ერთ დროს განსახიერებას პოულობდნენ რუს-
თაველის თეატრის სცენაზე და გარკვეულ საზოგადოებრივ გამოხმაურებასაც იმ-
სახურებდნენ.

უფრო ახლოს მივიდა რევოლუციური თანამედროვეობის თემატიკასთან
შალვა დადიანი თავისი კომედიით „კაკალ გულში“. ეს იყო პირველი ნაწარმოე-
ბი, რომლითაც საბჭოთა დრამატურგიაში ნაყოფიერი და მრავალფეროვანი შე-
მოქმედებითი მუშაობა დაიწყო მე-20 საუკუნის ქართული მწერლობის, თეა-
ტრისა და დრამატურგიის ამ ერთ-ერთმა უპირველესმა მოღვაწემ. ჯერ კიდევ
თვითმპყრობელური რეაქციის მიჰინვარების წლებში, ჩვენს იწერლობაში გა-
ვრცელებული უიმედობისა და დაცემულობის ხანაში, შალვა დადიანის პიესები
გამოირჩეოდნენ სალი სოციალური თემატიკით, რეაქციული კლასებისადმი
მძაფრი მამხილებელი მიმართებით, სოციალური სინამდვილის სურათების
ცხოველი გადმოცემით და ტიპაჟის ცოცხალი, კოლორიტული მხატვრობით.

მისი პიესები „მღვიმეში“, „როს ნადირობდნენ“, „გეგეჰკორი“, „ვარაში“ ა
„შენი ჰირიმი“ და განსაკუთრებით კი „გუშინდელნი“ რევოლუციამდელ ქარ-
თული დრამატურგიის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნებიან. ამ
პიესებში მკაფიოდ იჩინა თავი დრამატურგის სიახლოემ და ნათესაობამ სო-

ციალისტური ლიტერატურის დიდი ფუძემდებლის მაქსიმ გორკის იდეებთან.

კომედია „კაკალ გულში“ მკვეთრი მამხილებელი ძალის ნაწარმოებია, რომლის მახვილიც პირდაპირ მიმართულია საბჭოთა სინამდვილეში ჩარჩენილი წარსულის რეაქციული გადმონაშთების წინააღმდეგ. მწერალმა მზის სინათლეზე გამოიყვანა საბჭოთა სახელმწიფო აპარატში მოკალათებული ბიუროკრატების, მიტმასნილი ელემენტების, მოლაყბების, ფუქსავატი და ყოყოჩა ადამიანების ჰოელი ხროვა, გვიჩვენა ეს ხალხი დაწესებულებაშიც, ოჯახურ-ყოველცხოვრებით გარემოცვაშიც და მკაცრად, დაუნდობლად დასცინა მათ.

ამ კომედიაში მკაფიოდ გამოვლინდა შალვა დადიანის ხალისიანი და მგზნებარე ტემპერამენტი, სცენური დიალოგის შესანიშნავი ოსტატობა და, რაც მთავარია, ტიპაჟის, ხასიათების გამოკვეთის იშვიათი ძალა და უნარი.

და თუ ეს კომედია, მიუხედავად აღნიშნული ღირსებებისა ხანგრძლივად ვერ შერჩა საბჭოთა თეატრის რეპერტუარს, ეს სწორედ იმით უნდა აიხსნას, რომ მასში საბჭოთა აპარატის ცალკეული ნაკლოვანებანი მეტისმეტად გაზვიადებულად არის გამოხატული და პიესა სწორად ვერ ასახავს ძველისა და ახლის დადებითისა და უარყოფითის, მომაკვდავისა და აღმავლის ურთიერთშეფარდებას საბჭოთა აპარატის საქმიანობაში და საერთო საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში. მართალია, ამ კომედიის „გმირებს“ გამუდმებულად ზვერავს ახალი ცხოვრების მშენებელი ძალა — კომკავშირელთა „მსუბუქი კავალერიის“ სახით, მართალია, კომედიის ფინალურ სცენაში ყოველი მათგანი მხილებულია და დასჯილიც; მაგრამ ამ კომედიაში მოთხრობილი ისტორიის ასეთი დასასრული მოვლენათა ლოგიკური განვითარებიდან არ გამომდინარეობს. პიესის ფინალი და კომკავშირელთა გამოსვლის ეპიზოდები მექანიკურად არის ჩართული კომედიაში და თვით ჭაღარაც — ეს ერთადერთი დადებითი პერსონაჟი ამ ნაწარმოებისა, კომედიაში გაშლილი მოქმედების გარეშეა დაყენებული. იგი მხოლოდ კომედიის ფინალში გამოჩნდება, რათა გაჰკიცხოს და ამხილოს კომედიის „გმირთა“ საქმეები.

ამრიგად, ამ ნაწარმოებშიაც რევოლუციური სინამდვილის პოზიტიურ მხარეს, ახალი ცხოვრების ადამიანებს ისევ პერიფერიული მდგომარეობა ეჭირათ, რაც უკვე არ შეესაბამებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრების რეალურ ვითარებას, ჰოციალური სინამდვილის ძალთა რეალურ ურთიერთობას ოციანი წლების დამლევისათვის, როცა ეს პიესა დაიწერა და დაიდგა. ამ ცალმხრივობის მიუხედავად კოტე მარჯანიშვილი გაიტაცა და აღაფრთოვანა პიესის მკაფიო მამხილებელმა პათოსმა. რეჟისორმა შექმნა იშვიათად ხალისიანი, ღრმა აზრით და ორიგინალური სცენური ფორმით აღბეჭდილი სპექტაკლი, გამსჭვალული

მგზნებარე რიტმით, მუსიკალობით, გადაზღვები ხალისიანობით, იშვიათი გონება-
მახვილური სცენური გამომგონებლობით. ეს ფერადოვანი და მომხიბვლელი
სპექტაკლი ნამდვილად ამშვენებს ოციანი წლების ქართული თეატრის ისტორიას.

მეტად ორიგინალურ და თავისებურ მოვლენად გამოჩნდა ქართულ დრამატურგიაში პოლიკარპე კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. ამ კომედიის დაწერამდე პ. კაკაბაძე უკვე რამდენიმე პიესის ავტორი იყო, მაგრამ პირველად „ყვარყვარე თუთაბერში“ მიაგნო მან თავისი ნიჭიერების სპეციფიკას, თავის ნამდვილ მოწოდებას, თავისი მხატვრული ბუნებისათვის ორგანულ ენარსა და ფორმას. მწერალმა მეტად გონივრულად გამოიყენა ქართული ფოლკლორის საგანძურიდან აღებული ნიღაბი ნაცარქექიასი და მისი აქტიური შემოქმედებითი გარდაქმნისა და გადაამუშავების საფუძველზე შექმნა მკაფიო, მრავალმხრივად საყურადღებო სახე ყვარყვარე თუთაბერისა.

ბრმა შემთხვევამ წამოატივტივა ყვარყვარე თუთაბერი ცხოვრების ზედაპირზე. თვითმპყრობელური წყობილების უკანასკნელ დღეებში იგი შეცდომით დააბატონრეს დევნილი რევოლუციონერის სევასტის მაგივრად. თებერვლს რევოლუციისა და მენშევიკური დიქტატურის წლებში ყვარყვარე მოხერხებულად სარგებლობს თავისი მდგომარეობით, იგი თავს დამსახურებულ რევოლუციონერად ასაღებს, ხელისუფლების სათავეში მოექცევა და სწრაფად მიტოვებს მალლა — კარიერიზმისა და პატივმოყვარეობის კიბეზე.

მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით გაჯანსაღებულ საზოგადოებრივ ატმოსფეროში გამოეცალა ყოველგვარი ნიადაგი სახელმწიფო მოღვაწის ნიღაბში შემალული ამ უბადრუკი ნაცარქექიას თავაშვებულ თარეშს. როგორც კი ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები ხალხის ხელში გადავიდა, ნაცარქექიებმა დაკარგეს ყოველგვარი წონა და ფასი.

ყვარყვარე თუთაბერის თავგადასავალი მკაცრი კრიტიკაა თვითმპყრობელური და მენშევიკური რეჟიმებისა და ამავე დროს მეტყველი მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ გააჯანსაღა პროლეტარულმა რევოლუციამ სოციალური ატმოსფერო.

ეს პიესა ქართული საბჭოთა დრამატურგიის შემოქმედებითი ზრდის მომასწავებელი ნაწარმოები იყო. აქ პირველად მიღწეული იყო მძაფრი კომედიური სიტუაციების, სიტყვიერი მასალის მაღალი მხატვრული ხარისხისა და მოქმედთა ხასიათების მკვეთრი, რელიეფური ხატვის მთლიანობა. კომედია მოფიქრებული და შესრულებულია ერთი მთლიანი მხატვრული კომპოზიციის პლანში, რომლის მამოძრავებელ ცენტრსაც ყვარყვარე თუთაბერის სახე წარმოადგენს.

სწორედ ამ ღირსებათა გამო ეს კომედია არ ჩამოდის ქართული საბჭოთა თეატრის სცენიდან, ხოლო მისი მთავარი გმირის სახელი გადავიდა ხალხში, როგორც ფუჭი ქედმაღლობის, გაიძვერობისა და ფუქსავატი პატივმოყვარეობის გამომხატველი საზოგადო სახელი. ასეთი წარმატება კი იშვიათად თუ ხვდომია წალად რომელიმე პიესას საბჭოთა დრამატურგიაში.

მაგრამ, აქაც, როგორც ვხედავთ, რევოლუციური სინამდვილის თემატიკას უწერალი უარყოფითი ტიპის მეშვეობით ეხმაურება. აქაც ნეგატიური გზით გვიჩვენებს ავტორი ახალი საზოგადოებრივი ვითარების ღირსებებს. კომედიაში გამოყვანილი დადებითი პერსონაჟები — სევასტი, გულთაშზე, რევეკომის თავმჯდომარე და სხვ. არავითარ კვალს არ ტოვებენ ჩვენს მეხსიერებაში და დაყენებული არიან უარყოფითი გმირების ჩრდილში.

თავისი განვითარების ამ პერიოდში ახალ ქართულ დრამატურგიას ჯერ კიდევ არა აქვს მონახული შემოქმედებითი გასაღები ახალი რევოლუციური სინამდვილის თემებისა და ახალი ადამიანის მხატვრული განსახიერებისათვის. ამიტომ იგი უმთავრესად კომედიის ჟანრით ეხმაურება ახალ თემატიკას და მისი ყურადღების ცენტრში უარყოფითი ტიპი დგას. ასეთივეა იონა ვაკელის „აბრაკუნე ჭიმიქელი“ და ამ პერიოდის სხვა ქართული კომედიები.

პირველი პიესა, სადაც ძველი, დრომოკმული ადათ-წესების წინააღმდეგ ამხედრებული ახალი ადამიანი, დადებითი გმირი გამოჩნდა მოქმედების ცენტრში — ეს იყო კარლო კალაძის დრამა „ხატიჯე“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოების სიუჟეტი მარტივია და გულუბრყვილო, ხოლო მოქმედი პირები სქემატურად არიან დახატულნი, მაინც ეს დრამა მოასწავებდა ჩვენი მწერლობის ბუნებრივ შემოქმედებით სწრაფვას გამოეხატა სინამდვილის დადებითი მოვლენები. ამას მოჰყვა ალიო მირცხულავას „განგაში“, რომლითაც ქართული დრამატურგია პირველად შეეხო სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის თემას, საკოლმეურნეო წყობილების ზრდა-განმტკიცების პროცესს. ამ პიესის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირველად დავინახეთ ახალი სოფლის მოწინავე ადამიანების მხატვრული სახეები, თუმცა პოეტის ეს პირველი ცდა დრამატურგიის დარგში სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა სიუჟეტური კომპოზიციის მთლიანობისა და ტიპაჟის ცოცხლად, დამაჯერებლად შესრულების თვალსაზრისით.

ახალი, სოციალისტური ცხოვრების გამანადგურებელი იერიში მომაკვდავი რეაქციული სამყაროს წინააღმდეგ შეადგენს შალვა დადიანის ტრაგედიის „თეთნულდის“ შინაარსს.

კონფლიქტის მეტი სიმძაფრისათვის მწერალმა მოქმედება გაშალა სვანეთის ფონზე, სადაც საშუალო საუკუნეობრივი პატრიარქალური ყოფა-ცხოვრე-

ბის რღვევა აღმავალ სოციალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე მართლაც უფრო ნაყოფიერ მასალას იძლეოდა დაძაბული, დრამატიზმით აღბეჭდილი სიუჟეტის ჩამოყალიბებისათვის.

ამ ნაწარმოებში შალვა დადიანმა პირველმა მოახდინა მეტად საყურადღებო ცდა კლასიკური ტრაგედიის ფორმის გაცოცხლებისა და მისი გამოყენებისა ჩვენი ეპოქის დიადი სოციალური ძვრების ასახვის საქმეში. უფრო გვიან გამოჩენილმა რუსმა საბჭოთა დრამატურგმა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ დაწერა „ოპტიმისტური ტრაგედია“, რომელიც სამოქალაქო ომის ეპოქისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია მთელ საბჭოთა დრამატურგიაში.

„თეთნულდი“ დაწერილია ამადღებული პათეტური სტილით, დაძაბული რიტმით, რაც ორგანული და ბუნებრივია მასში გამოხატულ დიდ ვნებათა და გრძნობათა ჭიდილისათვის. ამ პიესაში ახალი ეპოქის ადამიანები უკვე ორგანულად მოქცეული არიან სიუჟეტური განვითარების ორბიტში, ისინი თავიანთი მორალით, აზრებით და მოქმედებით განასახიერებენ სოციალისტური ცხოვრების ძლევაშის წინმსვლელობას, მის გამარჯვებას ძველი სამყაროს ნაშთებთან ბრძოლაში. მაგრამ აქაც დადებითი გმირები შედარებით მკრთალად არიან დახატულნი. ძველი სამყაროს, პატრიარქალური ადათ-წესების გამომზატველი სახე — არგიუდი გაცილებით უფრო მკვეთრ და დასრულებულ მხატვრულ სახედ გამოიყურება პიესაში, ვიდრე გელახსანი და ლაპილი, რომლებიც მხოლოდ სიმბოლურ ნიშნებად გვევლინებიან იმ დიადი ძალისა, რომელიც ძლევაშისად ანგრევს წარსულის ცრუმორწმუნეობათა კერაებს, იპყრობს თეთნულდს და ანადგურებს არგიუდების სამყაროს. ჯერ კიდევ ქართულ საბჭოთა დრამატურგიას ვერ მიეღწია სოციალისტური ეპოქის ადამიანთა ხორც-შესხმული გამოხატვის ხელოვნებისათვის.

უფრო გვიან, როდესაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების რეალიზაციამ მთელს საბჭოთა ლიტერატურაში და ხელოვნებაში ახალი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია, ქართველი დრამატურგებიც უფრო აქტიურად იწყებენ მუშაობას სოციალისტური თანამედროვეობის თემატიკაზე, უფრო მკაფიოდ და გაბედულად გამოჰყავთ მათ დრამატურგიაში საბჭოთა ადამიანი, მისთვის დამახასიათებელი მეტროპოლიტებისყოფით, კეთილშობილური აზრებითა და მისწრაფებებით.

ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში დაიწერა მთელი რიგი პიესები, შთაგონებულნი და გამსჭვალულნი საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით, რევოლუციური სიფხიზლის იდეით. სერგო კლდიაშვილის დრამა „გმირთა თაობა“ მოგვითხრობდა იმ დიდი დაძაბული შემოქმედებითი შრომის შესახებ, რომელიც გაშალა საბჭოთა ხალხმა კოლხეთის ველზე დაქაობებული მიდამოების გადა-

ქცევისათვის ნარინჯოვანთა აყვავებულ ბღნარად. ამასთანავე მწერალმა გვიჩვენა თუ როგორი სიძნელებისა და დაბრკოლებათა გადალახვის გზით განახორციელებდნენ ეპოქის მოწინავე ადამიანები თავიანთ დიდ პატრიოტულ მიზნებს და მისწრაფებებს. მწერალმა მთელი სიმძაფრითა და იშვიათი მამხილებელი ძალით გამოხატა საბჭოთა სინამდვილის ჩრდილოვანი მხარეები, მანკიერი ადამიანები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ ჩვენი სამშობლოს წინმსვლელობას სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამ მანკიერ ადამიანებს, რუტინიორებსა და კონსერვატორებს გაბოროტებული იერიში მიჰქონდათ პირველ ყოვლისა სოციალიზმის საქმისათვის თავდადებულ ადამიანებზე, საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილებზე. და აი, სერგო კლდიაშვილის დასახელებულ პიესაში ჩვენ ვხედავთ, თუ რა ბოროტი ცილისწამებისა, ჭორებისა და ინტრიგის ქსელი დახლართეს ასეთმა ბნელმა ადამიანებმა თავდადებული საბჭოთა პატრიოტის, მშენებლობის უფროსის დიმიტრი გეგელიას გარშემო. საბჭოთა ხალხმა დაძლია და გადალახა მათი წინააღმდეგობა და ამ ბრძოლაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა მოწინავე საბჭოთა ადამიანების მაღალი ღირსებანი: თავდადებული ერთგულება და სიყვარული თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, მტკიცე და გაუტეხელი ნებისყოფა, რევოლუციური სიფხიზლისა და ყოველგვარი ჩამორჩენილობისა და რეაქციულისადმი შეუტირებლობის მგზნებარე გრძნობა. ამ თვისებების განსახიერებას წარმოადგენს „გმირთა თაობის“ მთავარი გმირი დიმიტრი გეგელია. ავტორმა შექმნა ღრმა ემოციური ძალის, დიდი დრამატული დაძაბულობის სიუჟეტი, რომლის განვითარების მთელი ლოგიკა სწორედ იქითკენ არის მიმართული, რომ მკვეთრად და დამაჯერებლად გამოხატოს საბჭოთა ადამიანის ახალი მორალური თვისებანი, მისი საქმეებისა და მისწრაფებების სიმართლე, მისი გამარჯვების სრული კანონზომიერება ძველი სამყაროს გაღმონათებთან ბრძოლაში.

ანალოგიურ იდეურ-თემატურ მასალაზეა აგებული იონა ვაკელის პიესა „შური“. მისი მთავარი გმირი არის ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტი ჯემალ ვარშანიძე, რომელიც დიდის გატაცებით ეწევა დაძაბულ მეცნიერულ მუშაობას ჩვენი სოციალისტური სახალხო მეურნეობის აყვავებისათვის, ჩვენი სამშობლოს სამეურნეო ძლიერების განმტკიცებისათვის. პირადი შურის ნიშნად ადავზე თუ უღარდულობისა და პოლიტიკური სიბეცის შედეგად გაბოროტებული ადამიანების ხროვა დაუნდობლად ებრძვის ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერს, რათა სახელი გაუტეხოს მას და მის საქმეს, ჩაშალოს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევითი სამეცნიერო მუშაობა.

ისინი არ ერიდებიან ბრძოლის არავითარ საშუალებას, ცილისწამებას და ქურდულ კომბინაციებს, ტერორსა და ავანზაკურ აქტებს. მაგრამ საბჭოთა ადამიან-

ნების იდეური და მორალური ძალა, მათი შემტვევი რევოლუციური სიფხიზლე და შეურყეველი ერთგულება სოციალიზმის საქმისადმი ანადგურებს ყოველგვარ წინააღმდეგობას, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს და რა ფორმაშიც არ უნდა ვლინდებოდეს იგი.

ამ რწმენას განამტკიცებს იონა ვაკელის პიესაში ასახული თავდადებული ტიპიური მოწინავე საბჭოთა ადამიანის ჭემალ ვარშანიძისა. მართალია, ამ პიესაში გაშლილი სიუჟეტური დრამა შეიცავს მთელ რიგ ნაძალადევად შეთხზულ და ხელოვნურ სიტუაციებს, სამაგიეროდ ავტორმა ცოცხლად და დამაჯერებლად დახატა მოქმედ გმირთა სახეები. უპირველეს ყოვლისა ეს შეეხება პიესის დადებით პერსონაჟებს: თვით ჭემალ ვარშანიძეს, ახალგაზრდა აქარელ სპეციალისტ ქალს — აიშეს, საცდელი სადგურის პარტორგს ნადიას.

საბჭოთა პატრიოტიზმის უმაღლეს და უწმინდეს იდეას მიუძღვნა გიორგი მდივანმა თავისი პიესა „სამშობლო“. ამ პიესის მთავარ პათოსს იმ აზრს განსახიერება წარმოადგენს, რომ საბჭოთა ხალხის შეგნებაში სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა უძლიერესია ყოველ სხვა გრძნობასა და მისწრაფებაზე. პიესის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი თავისი ხელით შეუბრალებლად ჰკლავს საკუთარ შვილს, რომელიც უცხოეთიდან მავნებლური განზრახვით შემოიპარა ჩვენს ქვეყანაში, ამხელს და გამოამჟღავნებს თავის უახლოეს და უსაყვარლეს სიყრმის მეგობარს, რომელიც თურმე დალატობდა ჩვენი სამშობლოს ინტერესებს.

როგორც ვხედავთ, ავტორმა მეტად რთული და აქტუალური შემოქმედებითი განზრახვა დაუდო საფუძვლად თავის პიესას. სამწუხაროდ, პიესა ვერ აღმოჩნდა ასეთი ღრმა და რთული იდეური მიზანდასახულობის სიმალლეზე. სცენური ეფექტებით და მომგებბიანი სიუჟეტური სიტუაციებით ზედმეტად გატაცებულმა ავტორმა დაივიწყა ზომიერების გრძნობაც, პიესის გმირთა საქციელის ფსიქოლოგიური ბუნების გახსნისა და გარკვევის მოთხოვნებიც.

გიორგი მდივანი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ადრინდელ პერიოდში წერდა ამ პიესას. ავტორის უაღრესად ღრმა, ნამდვილ ტრაგედიულ ასპექტში მოფიქრებული შემოქმედებითი განზრახვა კი ნაწართობ და დაოსტატებულ დრამატულ ხელოვნებას მოითხოვდა. ამიტომაც მხატვრული სრულფასოვნების თვალსაზრისით პიესას სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებანი აღმოაჩნდა. ამის მიუხედავად ეს ნაწარმოები ითარგმნა რუსულ ენაზე და წარმატებით დაიდგა რუსეთისა და სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მთელ რიგ მოწინავე თეატრებში. ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომლითაც დაიწყო გიორგი მდივანის პიესათა ფართო დამკვიდრება მრავალეროვნული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

შესაფერი სიღრმით ვერ იქნა განხორციელებული ის შემოქმედებითი განზრახვაც, რომელიც დაისახა სანდრო შანშიაშვილმა პიესაში „ფოლადაური“. როგორც პიესის სათაურიდანაც ჩანს, პიესის მთავარი აზრი ავტორის განზრახვით იმაში მდგომარეობდა, რომ ეჩვენებინა ფოლადაურის, — საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანის, პარტიული ხელმძღვანელის, გიორგის სახე, რომელსაც თავისი ურყევი ფოლადისებური ნებისყოფით უნდა საქმით გაემართლებინა მისთვის შერქმეული ასეთი დიდმნიშვნელოვანი სახელი. ერთი სიტყვით, ეს უნდა ყოფილიყო პიესა სოციალისტური სოფლის საუკეთესო ადამიანებზე, მათი დაუცხრომელი შრომისა და ბრძოლის დღეებზე.

ვერ ვიტყვით, რომ ეს ფრიალ საპატიო შემოქმედებითი განზრახვა პიესაში ღირსეულად განხორციელებულიყოს. მართალია, მასში ცოცხლად და კოლორიტულად არის ასახული მოქმედების ფონი, გამოხატულია კოლექტიური შრომის პათოსი და ენთუზიაზმი, საკოლმეურნეო ახალგაზრდობის ხალისიანი ცხოვრების ატმოსფერო, მაგრამ ამ ფონზე გაშლილი სიუჟეტის განვითარება ვერ გვაძლევს საკოლმეურნეო სოფელში შექმნილ ძალთა შეფარდების სწორ და მართალ გამოხატულებას. საქმე ის არის, რომ პიესის უარყოფითი პერსონაჟი, კერძომესაკუთრული ინსტიტუტებით შეპყრობილი კოლმეურნეობის ბუღალტერი ხარიტონი ამ პიესაში გაცილებით უფრო აქტიურია, „ჭკვიანი“ და მოქმედი, ვიდრე საბჭოთა ადამიანები, საკოლმეურნეო სოფლის ხელმძღვანელები და მესვეურები.

ხარიტონი ახერხებს თავის ბნელ კომბინაციებში ჩაითრიოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეც კი, პროპაგანდა გასწიოს საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ, უნდობლობის ატმოსფერო შექმნას სოფლად და კოლმეურნეობა დაშლის საფრთხის წინაშე დააყენოს. ხოლო ამავე დროს საკოლმეურნეო სოფლის მესვეურები (და მათ შორის ფოლადაურად წოდებული პარტორგი გიორგიც) მხოლოდ ფრაზიორობენ, მდგომარეობის უკიდურესი გამწვავების დროსაც კი ვერ ხედავენ მოწინააღმდეგეთა ბნელ საქმეებს და მამსადამე. ვერც მოქმედებენ მათ წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანების ცხოვრება ამ პიესაში უმთავრესად პარადული აქტებით, საზეიმო კრებებით, დაჯილდოებებით, ცეკვა-თამაშისა და მასიური გართობა-მხიარულების სურათებით არის წარმოდგენილი. თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნებისარი კი სრულიად არ მოქმედებს პიესაში. პიესის დასაწყისში იგი ქალაქს მიემგზავრება, ხოლო პიესის დასასრულს ქალაქიდან ბრუნდება, რათა მონაწილეობა მიიღოს მოსავლის აღებასთან დაკავშირებულ ზეიმში. ასეთ ვითარებაში სავსებით გაუგებარი და დაუსაბუთებელი ხდება ის დიდი წარმატებანი და გამარჯვებანი, ის ტრიუმფი საკოლმეურნეო წყობილებისა, რომელსაც ამ პიესის ფინალში ვხედავთ.

საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების უფრო მართალი გამოხატულება მოგვცა პოლიკარპე კაკაბაძემ თავის კომედიის „კოლმეურნის ქორწინება“, რომელიც თანამედროვე ქართული კომედიოგრაფიის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამ ნაწარმოების უმთავრესი ღირსება და მისი წარმატების საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების ცენტრში აქ დაყენებულია დადებითი გმირი — ახალგაზრდა გლეხი ქალი, გვირისტინე, რომელსაც, სიღარიბესა და უმეცრებაში გამოზრდილს, საკოლმეურნეო წყობილების პირობებში დიდი შრომითი წარმატებისათვის მიუღწევია და საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია, როგორც ახალი სოფლის მოწინავე ადამიანს. ეს გარემოება — კომედიურ სიტუაციათა ცენტრში დადებითი გმირის მოქცევა, ახალ გაშუქებას აძლევს საბჭოთა კომედიის პრობლემას და სახავს ამ ეპოქაში ახალ შემოქმედებით შესაძლებლობებს.

როგორც „ყვარყვარე თუთაბერში“, თავის ამ ახალ კომედიის პოლიკარპე კაკაბაძე მძაფრ კომედიურ მდგომარეობასთან და ტიპების კოლორიტულ მხატვრობასთან ერთად აღწევს სიტყვიერი მასალის, დიალოგის იშვიათ დახვეწილობას და მთელი რიგ სცენებში ნამდვილ პოეტურ დონეს.

ჩვენი დრამატურგიის განვითარების ამავე პერიოდში დაიწერა მთელი რიგი პიესები საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებიდან. სიმონ მთვარაძემ თავის პიესაში „მთავრეხილზე“ სცადა ეჩვენებინა საბჭოთა მეცნიერების როლი, საბჭოთა ინტელიგენციის ადგილი და მნიშვნელობა სოციალისტური აღმშენებლობის დიად საქმეში. როგორც სხვა თავის დრამატურგიულ ნაწარმოებში, ამ დრამაშიაც ს. მთვარაძე მგზნებარე სცენური სახეების, დაძაბულ და გამძაფრებულ მდგომარეობათა საშუალებით, ამაღლებული, პათეტიკური სტილით მოგვითხრობდა ჩვენი ეპოქის დიადი საქმეების, საბჭოთა ხალხის მაღალი მისწრაფებების შესახებ.

საბჭოთა ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრების მასალაზეა აგებული ვიქტორ გაბესკირიას პიესა „მათი ამბავი“. თავისი ამ პირველივე დრამატურგიული ნაწარმოებით ავტორი წარმოსდგა ჩვენს წინაშე, როგორც საკუთარი, თავისებური შემოქმედებითი პოზიციის მხატვარი. იგი ლირიკული დრამის ეპოქაში მუშაობდა და უფრო გმირის ხასიათის, მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობის გადმოცემით იყო გატაცებული, ვიდრე დრამატული მოქმედების დინამიკით. ეფექტური სიუჟეტური კომპოზიციებით. მან განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პოეტური სიტყვის ხვედრით წონას თანამედროვე დრამაში და თუმცა მისი პიესა ლექსად არ არის დაწერილი, მაინც მისი მონოლოგები და დიალოგები პოეტური განცდით არიან გამსჭვალულნი. ვიქტორ გაბესკირიას უფრო დადებითი

გმირის სახე იტაცებდა და მათი გამოხატვისათვის იგი უფრო წრფელ და მკაფიო საღებავებს ჰოულობდა. ამასთან ამ მწერლის მეტად საყურადღებო და დასაფასებელი თავისებურება. „მათი ამბავის“ პერსონაჟებიდან ყველაზე ცხოვლად და ადამიანურად დახატული გმირები არიან ბოლშევიკი შალვა და კეთილშობილი, საქმისათვის თავდადებული საბჭოთა სპეციალისტი — დავითი. ავტორმა ეს სახეები დახატა ისეთი სიყვარულით, რომელსაც უშუალოდ გრძნობს და უერთდება მაყურებელი, თუმცა ამ ადამიანების ბიოგრაფიის საუკეთესო და დამახასიათებელმა ეპიზოდებმა ამ დრამაში ნაჩვენები მოქმედების ორბიტის გარეშე გაიარეს და მათ შესახებ ჩვენ მხოლოდ გვიამბობენ პიესაში.

წარმატებით იდგმებოდა ოცდაათიანი წლების ქართული თეატრის სცენაზე გერცელ ბაზოვის პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“. ეს იყო პირველი ნაწარმოები ქართულ დრამატურგიაში და საერთოდ ქართულ მწერლობასა და თეატრში, რომელიც ასახავდა საქართველოში მცხოვრები მრავალრიცხოვანი ებრაელი მოსახლეობის სპეციფიკურ ყოფა-ცხოვრებას და გვიჩვენებდა იმ ღრმა დიფერენციაციას, რომელიც შეიტანა ქართველი ებრაელობის ფართო ფენებში საბჭოთა სინამდვილემ, ახალი სამყაროს იდეების ზეგავლენამ. პიესაში წრფელი და მართალი საღებავებით არის წარმოსახული მშრომელი ებრაელობის უღარიბესი ფენების გამოფხიზლება საუკუნეობრივი რელიგიური ცრუმორწმუნეობისაგან, მისი თავდაღწევა მონური ფსიქოლოგიისაგან, მისი მრისხანე ამხედრება ჩარჩ-ვაჭრობით გამდიდრებული თავისი „თანამოქმედების“ წინააღმდეგ, მშრომელი ებრაელობის მასიური გადასვლა შემოქმედებითი შრომის, საკოლმეურნეო ცხოვრების ღიანდაგზე. პიესის ღრმად დრამატიზირებული სიუჟეტი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ნიადაგზეა აგებული. ურთიერთ მოწინააღმდეგე ორივე ბანაკი პიესაში ცოცხალი ადამიანური ხასიათებით არის წარმოდგენილი. ეს ადამიანები, მათი სოციალური და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი პიესაში გამოხატულია ღრმა ცხოვრებისეული და მხატვრული სიმართლით, გმირთა სულიერი სამყაროს ხატვის უეჭველი ოსტატობით.

ამ პიესით პირველად გამოჩნდა ქართული თეატრის სცენაზე ეს ნიჭიერი დრამატურგი, რომელმაც შემდეგ არა ერთი მკაფიო დრამატული ქმნილება შექატა ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს.

ოცდაათიანი წლების ქართული თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა გიორგი მდივნის პიესა „ალკაზარი“. ეს იყო პეროიკული დრამა, რომელიც მიეძღვნა ესპანელი ხალხის გმირულ, რევოლუციურ ბრძოლას ფაშისტური რეაქციის ბოროტი ძალების წინააღმდეგ, ქვეყნად თავისუფლებისა და სამართლიანობის გამარჯვებისათვის. პიესაში მგზნებარე გამოხატულება ჰპოვა ჩვენი საუკუნის საკაცობრიო ისტორიის ამ ერთ-ერთ-

თმა ყველაზე ტრაგიკულმა ეპიზოდმა. ეს პიესა მოვლენათა კვალდაკვალ იწერებოდა, მასში მძლავრად იგრძნობოდა ცოცხალი სინამდვილის სუნთქვა. აქედან წარმოდგებოდა ნაწარმოების დიდი შთამბეჭდავი ძალა, მძლავრი ემოციური ზემოქმედების უნარი. რუსთაველის თეატრში ამ პიესამ ღირსეული განსახიერება ჰპოვა, იგი მოასწავებდა ქართული თეატრისა და დრამატურგიის თემატური დიპაზონის ზრდასა და გაფართოებას. გ. მდივნის ეს პიესაც ითარგმნა რუსულ ენაზე, ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და წარმატებით დაიდგა საბჭოთა ქვეყნის მთელ რიგ თეატრებში.

საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ საბჭოების შერვე საგანგებო ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ი. ზ. სტალინი ამბობდა:

„სასიამოვნოა და სასიხარულო ვიცოდეთ, თუ რისთვის იბრძოდა ჩვენი ხალხი და როგორ მიადწია მან მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნოა და სასიხარულო ვიცოდეთ, რომ ჩვენი ხალხის მიერ უხვად დღევრდულ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან მოგვცა თავისი შედეგი“.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამყობს თავისი გვირუკი წარსულით, იგი დიდი სიყვარულით და გატაცებით სწავლობს თვითმპყრობელობის დასაპყრობად, შეშამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობის მოსაპყრობად წარმოებული თავისი ხანგრძლივი და ძლევამოსილი ბრძოლის სახელოვან ისტორიას და, სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, დრამატურგიაში ამ გვირუკი ეპოპეის ასახვას თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი. ქართული საბჭოთა დრამატურგია თავისი განვითარების ყველა საფეხურზე უხვად ამუშავებდა და ამუშავებს ისტორიულ-რევოლუციურ თემატიკას.

სწორედ ამ სფეროში ჰპოვა თავისი სტიქია ჩვენი დროის სახელოვანმა პოეტმა და დრამატურგმა სანდრო შანშიაშვილმა. ხალხის გვირუკი რევოლუციური ბრძოლების მგზნებარე ეპიზოდების ამსახველი მისი დრამები აღბეჭდილია გვირუკი რომანტიკით, მებრძოლი ტემპერამენტით. ხალხის უძლეველობის მტკიცე რწმენის ნიადაგზე აღმოცენებული ნათელი სოციალური ოპტიმიზმით.

სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიაში პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს სწორედ ხალხის დიდი საბრძოლო ამოძრავების სურათები. მწერალი მძაფრი სოციალური კონფლიქტების ასახვით არის გატაცებული. მას ნაკლებად იზიდავს ყოფაცხოვრებითი სცენები, გვირუკის შინაგან ბუნებაში აღძრული კონფლიქტები, დეტალები და ნიუანსები. იგი ისწრაფვის შექმნას მებრძოლი მასების გაქანებისა და გვირუკის განმსახიერებელი მონუმენტური სახეები, ხოლო დრამატურგიული კოლიზიების საფუძველს იგი მოწინააღმდეგე სოციალური ძალების უკითხვარობაში ეძიებს.

მწერლის ასეთი თავისებურებანი მკაფიოდ გამოვლინდა მის პირველსავე დრამაში, რომლითაც სანდრო შანშიაშვილმა, უკუაგლო რა მისი რევოლუცი-ამდელი დრამატურგიის მისტიკურ-სიმბოლისტური ტენდენციები, ფეხი შე-მოდგა განახლებული საბჭოთა ქართული თეატრის სცენაზე.

ეს იყო პიესა „ჭერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“), რომელშიაც მწერალმა ასახა ქართველი გლეხობის სტიქიური პროტესტი ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებში ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ცალკე ეპიზოდების დეტალურ დამუშავებას, ყოველი პერსონაჟის ხასიათის ღრმად გახსნის ამოცანას. მწერლის მთელი ყურადღება მიპყრობილია პიესა-ში ასახული სოციალური კოლიზიების მეტი სიმძაფრით გამოხატვისაკენ, მა-სების საბრძოლო განწყობილების მკაფიოდ და ემოციური ძალით გადმოცე-მისაკენ.

ასეთივე პლანშია შესრულებული მისი შემდეგი პიესებიც ამავე ქანრისა „სპარტაკი“, „ამბოკარი“ და სხვ. განსაკუთრებული როლი შეასრულა ქართული საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში სანდრო შანშიაშვილის პიესამ „ანზორ“. ეს არ არის ორიგინალური და დამოუკიდებელი ნაწარმოები ამ ავტორისა. იგი გადმოკეთებულია ვსევოლოდ ივანოვის პიესიდან „ჯავშნოსანი 14-69“. მაგრამ იმდენად ღრმად გადაამუშავა სანდრო შანშიაშვილმა ეს ნაწა-რმოები, იმდენად განსხვავებული კოლორიტი მისცა მოქმედების გეოგრაფი-ული ლოკალის შეცვლით, მთავარი გმირების ხასიათების გარდაქმნით, ნაწარ-მოებში სრულიად სხვაგვარი რიტმისა და ტემპერამენტის ჩაქსოვით, რომ პიე-სამ სრულიად განსხვავებული, შეიძლება ითქვას, ორიგინალური ქლერა მოი-პოვა. და შეიძლება ამ გარდაქმნის შედეგად პიესის ზოგიერთმა ეპიზოდმა და სიუჟეტურმა სიტუაციამ დაპყარა კიდევც ორგანულობა, სამაგიეროდ ნაწარმო-ები მთლიანად ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს როგორც რევოლუციური ჰერო-იკით გამსჭვალული ქმნილება.

ყველაზე უფრო მძლავრად და დასრულებულად სანდრო შანშიაშვილის დრამატურგიული სტილის თავისებურებანი გამოვლინდა მის „არსენაში“, რომელიც საქართველოს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გლეხური რევო-ლუციური მოძრაობის თემაზეა აგებული. მწერალმა საფუძვლიანად გადაამუ-შავა ხალხური ეპოსის ნახევრადლეგენდარული გმირის არსენას სახე და იგი დახატა, როგორც ფეოდალური ტირანიის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხო-ბის მრისხანე გულისწყრომის განსახიერება. ეს უკვე ის არსენა კი აღარ არის, რომლის შესახებაც ხალხური ეპოსი ამბობს: „კაცის სისხლი არ აძევსაო“. არა, შანშიაშვილის დრამის გმირი — სოციალური პროტესტისა და შურისძიების გრძნობით შთაგონებული მებრძოლია, გლეხური აჯანყების მეთაური და სულთს-ჩამდგმელი.

მწერალმა გაშალა ფართო სოციალური პანორამა, რომელზეც ასახულია ეპოქის ყველა სოციალური ძალა: დაბეჩავებული და გაქვალტყავებული მშრომელი გლეხკაცობა, ფეოდალური არისტოკრატია, თვითმპყრობელური აპარატის მონღოლები. ამ პიესამ ისე, როგორც ს. შანშიაშვილის მთელმა დრამატურგიულმა შემოქმედებამ ღრმად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი დროის საუკეთესო ქართული თეატრის — რუსთაველის სახელობის თეატრის მკაფიოდ სპეციფიკური შემოქმედებითი სჯილის გამომუშავება-დამკვიდრების საქმეში.

ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის ერთ-ერთი უმძაფრესი ეპოქა ასახა სანდრო შანშიაშვილმა თავის ისტორიულ დრამაში „გიორგი სააკაძე“. აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა შორის ს. შანშიაშვილმა პირველმა გაიხადა თავისი შთაგონების საგნად ჩვენი ეროვნული ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გმირის, გიორგი სააკაძის ღრმა ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. ჭერ კიდევ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის აღრინდელ პერიოდში დაწერა ს. შანშიაშვილმა ისტორიული დრამა „უგვირგვინო მეფენი“, რომელშიაც გამოხატულია გიორგი სააკაძის მღელვარე ცხოვრება. შემდეგ დრამატურგი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას. ახლა უკვე საბჭოთა მწერლის თვალთ, საბჭოთა ხალხის მსოფლმხედველობის სიპაღლიდან შეხედა ამ ისტორიულ პერსონაჟს და მის გარემოცვას. ცხადია, აქ უფრო მეტი სოციალური სიმახვილით და აზრობრივი სიღრმით არის გაშუქებული აღებული ისტორიული ეპოქა.

ისტორიულ თემატიკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იონა ვაკელის დრამატურგბაში. მისი ისტორიული დრამა „შამილი“ მხურვალედ მიიღო მაყურებელმა, რადგან მასში მთელი რიგი სცენები მართლაც დაძაბული დრამატიზმით იყო გამსჭვალული და ემოციური ზემოქმედების ძალით აღბეჭდილი. მაგრამ მთლიანად შამილის მრავალმხრივად რთული და მდიდარი პიროვნება, მისი მეთაურობით წარმოებული ბრძოლის ისტორიული შინაარსი ამ დრამაში შესაფერი სიღრმით გამოხატული ვერ არის. ავტორმა ვერ შეძლო მთლიან სიუჟეტურ მოძრაობაში გაეერთიანებინა ამ დიდი ისტორიული ბრძოლეს სოციალური შინაარსის გადმომცემი ეპიზოდებიც და პირად-ოჯახური დრამის ამსახველი სურათებიც.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს დრამა ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია იონა ვაკელისა დრამატურგიულ ქანრში, რომ იგი, ასე ვთქვათ. ერთბაშად შეეჭიდა ისეთ უაღრესად რთულსა და ძნელ შემოქმედებით ამოცანას, როგორცაა შამილის სცენური სახის შექმნა.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „შამილი“ ისტორიული ქანრის

ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები იყო ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. მაშინ კიდევ არ იყო დაგროვილი ის მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილება ისტორიული წარსულის გაშუქებისა საბჭოთა ადამიანის სულიერ ზრახვათა შესაბამისად, რომელიც დღეს გააჩნია ჩვენს დრამატულ მწერლობას. ამიტომაც გასაკვირი არ არის ის ცალკეული ნაკლოვანებანი, რომლებიც ახლავს „შაშილს“ — ამ უეჭველად ნიჭიერად დაწერილ ისტორიულ დრამას.

გაცილებით მეტი ძალა და უნარი ისტორიული პიროვნების მხატვრული სახის შექმნისა გამოიჩინა იონა ვაკელმა ისტორიულ დრამაში „გიორგი სააკაძე“. ეს პიესა ისტორიული ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში. მწერალს ღრმად აქვს გაგებული და განცდილი ჩვენი ეროვნული ისტორიის მრისხანე და სუსხიანი ხანა. მე-17 საუკუნის დამდეგი, როდესაც თავისი უბოროტესი მტრების — ირანის და თურქეთის სისხლიანი აგრესიით უზომოდ გატანჯული საქართველოს შინაგანი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ფეოდალური პარტიკულარიზმის ქაოსით იყო მოცული. პიესაში ნათლად არის გამოხატული, თუ როგორი იმედითა და რწმენით შესცქეროდნენ ქართველი ხალხის უერთგულესი და უჭკვიანესი მესვეურები თავისი ქვეყნის ამ საბედისწერო ვითარებაში ერთადერთ საიმედო მეზობელს, ჩრდილოეთით მზარდ ერთმორწმუნე რუსეთს.

სწორი ისტორიული თვალსაზრისით არის გააზრებული და წარმოსახული პიესაში ეპოქის სოციალური ვითარების სურათი და ამ ფონზე მკვეთრად არის გამოხატული გიორგი სააკაძის სახე, როგორც პატრიოტული თავგანწირულების, რაინდული კეთილშობილებისა და სახელმწიფოებრივი გონიერების, გმირობისა და ვაჟკაცობის ცოცხალი განსახიერება. დრამატული კონფლიქტი პიესაში ძირითადად ემყარება იმ შეურიგებელ ბრძოლას, რომელიც სწარმოებდა, ერთი მხრივ, სამშობლოს გაერთიანებისა და თავისუფლების მაღალი იდეებით მთავონებულ სააკაძესა და, მეორე მხრივ, პირადი ანგარიშებითა და პატივმოყვარეობით შეპყრობილ დიდგვაროვან ფეოდალთა მძლავრ ბანაკს შორის.

პიესა არ მოიცავს დიდი მოუზრავის მთელი ცხოვრების ისტორიას. მასში არ არის ნაჩვენები სააკაძის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული. პირიქით, პიესა სააკაძის გმირული ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი და ბედნიერი ეპიზოდით მთავრდება. მაინც თავისი მთავარი გმირის სახე დრამატურგმა იმგვარად დახატა, რომ მასში მკაფიოდ არის გამოხატული მთელი ერის მძიმე ხვედრით გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში. არა მარტო გიორგი სააკაძის სახე, არამედ პიესის ისეთი პერსონაჟებიც, როგორიც არიან ლუარსაბ მეორე და თეკლე, სააკაძის უახლოესი მეგობრები და თანამებრძოლები, თავიანთი პირადი ხვე-

დრით განზოგადებულად განასახიერებენ ეპოქის მძაფრსა და პირქუშ ვითარებას, როდესაც ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ამხედრებული ყოველი ძალა განწირული იყო დასალუბავად გაცილებით მძლავრსა და მრავალრიცხოვან გარეშე მტრებთან თუ შინაგან რეაქციასთან შეჯახებაში. აქედან გამომდინარეობს პიესის მძაფრი დრამატიზმი, რომელიც მთელ რიგ სურათებში ნამდვილად ტრაგიკულ ჟღერას აღწევს.

თავის უხვსა და შრავალფეროვან დრამატურგიულ შემოქმედებაში შალვა დადიანი ცხოველ ინტერესს იჩენდა ჩვენი ხალხის გმირული და სახელოვანი წარსულისადმი. ჭერ კიდევ მთელ რიგ თავის რევოლუციამდელ პიესებში მან დახატა თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ხალხის თავდადებული ბრძოლის ამადლელებელი სურათები. ასეთია მისი „ვარამი“, „გეგეკუორი“ და სხვ.

მაგრამ შალვა დადიანის დრამატურგიის განსაკუთრებულ მიღწევას მისი ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწყლიდან“ წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ „ნაპერწყლიდან“ ერთი პირველი ნაწარმოებთაგანი იყო საბჭოთა დრამატურგიაში, მიძღვნილი მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადის — ლენინისა და მისი ერთგული მოწაფის და თანამებრძოლის სტალინის მხატვრული სახეების შექმნის უაღრესად წარმატადი, მაგრამ ამდენადვე რთული და საპასუხისმგებლო ამოცანისადმი. ამ მხრივ ჩვენს დრამატურგიას ჭერ კიდევ არ ჰქონდა არავითარი ტრადიცია და გამოცდილება. საჭირო იყო დიდი შემოქმედებითი გამბედაობა, ინიციატივა და ალღო ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის და, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ „ნაპერწყლიდან“ ერთი საუკეთესო პიესათაგანია საბჭოთა დრამატურგიის მიერ ანალოგიურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის. აქ დიდი ტაქტით და ზომიერების გრძნობით, დიდი სიყვარულითა და შთაგონებით არის დახატული პიესის მთავარ გმირთა სახეები და ამასთანავე ერთად მოცემულია მრავალფეროვანი გაღერება ცოცხლად შესრულებული ტიპებისა, რომელთა მეშვეობითაც მწერალმა თვალწინ გადაგვიშალა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟის სოციალური ვითარების სრული და ფართოდ მოხაზული სურათი.

ერთი მხრივ ისტორიული პიროვნებანი და ისტორიული მოვლენები, მეორე მხრივ სოციალური განზოგადების ტიპური სახეები და გამოგონილი დრამატურგიული სიტუაციები — ეს ორი ხაზი ავსებს და ამდიდრებს ერთმანეთს ამ ნაწარმოებში. რასაკვირველია, ამ ერთ-ერთ პირველ ცდას ასეთი პირველხარისხოვანი აქტუალობისა და მნიშვნელობის თემაზე დრამატული ეპოპეის შექმნისა, თავისი სუსტი მხარეებიც და ნაკლოვანებებიც ახლავს. მასალის სიმდიდრე და სიუხვე აქ ერთგვარ წინააღმდეგობაშია დრამატურგიულ

ჩარჩოების მტკიცედ შეკვრისა და მოქმედების მკაფიოდ გარკვეულ სიუჟეტურ კალაპოტში ჩაყენების ამოცანისადმი. აქ ვერ არის მონახული და მიღწეული სტილობრივი კონტაქტი ისტორიული ქრონიკის ხასიათის ეპიზოდებსა და გამოგონილ დრამატულ სიტუაციათა შორის.

ამის მიუხედავად პიესას თავის უდავო შემეცნებითი ღირებულებასთან ერთად ღრმა ისტორიული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა დრამატურგიის განვითარების თვალსაზრისით.

პიესაში ცხოვრობენ და მოქმედებენ დიდი განზოგადებითი მნიშვნელობის აღამიანური სახეები, რომლებიც ჩვენი საუკუნის დამდეგის საქართველოს ცხოვრებაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ სოციალურ ძალებს განასახიერებენ. ასეთებია ერთი მხრივ მუშა-რევოლუციონერის ელიშუქისა და მისი მეუღლის ცაბუს სახეები. ისინი პიესის მსვლელობაში, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლების ვითარებაში იწრთობიან და მდიდრდებიან ხასიათის ისეთი ახალი და ახალი თვისებებით, რომლებიც ამ პერსონაჟებს ქართველი მუშათა კლასის მებრძოლი სულის, უდრეკი თავისუფლებისმოყვარეობის, მორალური სისპეტაკის ცოცხალ განსახიერებად ხდის, მეორე მხრივ ასეთივე მხატვრული სიმართლით და ტიპაჟის მხატვრობის სამაგალითო ხელოვნებით არის პიესაში გამოხატული მეფის ბიუროკრატიული აპარატის მოხელეთა, ბურჟუაზიული და თავადაზნაურული რეაქციის ბანაკი, რომლის ცენტრშიც დგას ფიზიკური და მორალური დეგენერაციის მოლიპულ გზაზე დაქანებული ჩინოვნიკის ზიკოვის ოჯახი.

შალვა დადიანის ამ პიესასთან ბევრი რამ აქვს საერთო თემატური თვალსაზრისით გერცელ ბაზოვის ისტორიულ-რევოლუციურ დრამას „იკვა რიჟინაშვილი“, ამ ნაწარმოებშიც ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოში მძლავრად გაშლილი პროლეტარული რევოლუციური ბრძოლის ეპოპეა მოთხრობილი, წარმოსახულია 1905—1907 წლების რევოლუციის მგზნებარე ეპიზოდები. დახატულია რევოლუციის მამოძრავებელი მთავარი ძალის — ქართველი რევოლუციური მუშათა კლასის წარმომადგენელთა, ქართველი ბოლშევიკების პირველი პლეადის მეთაურთა ტიპური სახეები. ვრცელია პიესის მოქმედების სარბიელი. ძირითადი ნაწილი პიესაში ასახული მოქმედებისა ქუთაისში წარმოებს. პიესაში მკვეთრად არის აღდგენილი და გაცოცხლებული საქართველოში პროლეტარული რევოლუციური მოძრაობის ამ ერთ-ერთი ძირითადი ცენტრის მგზნებარე ცხოვრების სურათები — რევოლუციისა და რეაქციის ძალთა სისხლისმღვრელი შეჯახებანი ქუჩებში, ბარიკადებზე, მოსწავლეთა მღელვარებანი ქუთაისის გიმნაზიებში, ხალხის უერთგულეს შვილებზე გააფთრებული შურისძიება მეფის დაქირავებულ მოხელეთა მიერ.

მწერლის დიდ შემოქმედებით წარმატებას ქართველ ლენინელთა პირველი თაობის თვალსაჩინო წევრის, ცნობილი ებრაელი რევოლუციონერი-ბოლშევიკის იცკა რიჟინაშვილის სახე წარმოადგენს. პიესის ეს მთავარი გმირი ნაჩვენებია მისი იდეური წრთობისა და გონებრივი განვითარების პროცესშიც, თავის თანამებრძოლთა გარემოცვაშიც, მასობრივი რევოლუციური გამოსვლების ატმოსფეროშიც, საბარაკადო ბრძოლებშიც და ოჯახური ურთიერთობის ვითარებაშიც, და ყველგან და ყველგან იგი თანაბარი ძალით გამოავლენს თავის მოქმედებაში, აზრებსა და მეტყველებაში ეპოქის მოწინავე ადამიანის ამაღლებულ თვისებებს — სახალხო საქმისადმი, პარტიისადმი, რევოლუციური რწმენისადმი უდრეკ ერთგულებას, ურყევ პრინციპულობას, ზნეობრივ სისაბეჯეკს, იშვიათ გულითადობას და კაცთმოყვარეობას. ასეთ მაღალ ადამიანურ თვისებათა გამო ამ გმირის ცხოვრების ისტორიას მღელვარე სიყვარულით განიცდის პიესის მკითხველი თუ სპექტაკლის მაყურებელი, რომელსაც მწვავე გულისტკივილს გვრის იცკა რიჟინაშვილის მუხანათური მკვლევობა მეფის პოლიციის საძულველი მსახურის მიერ. პიესის ფინალი, რომელშიც გმირის დაღუპვის ეპიზოდი განათებულია რევოლუციის საქმის მომავალი გამარჯვების ოპტიმისტური წინაღხილვით, დაწერილია ღრმა ემოციური დაძაბულობით.

ქართველი საბჭოთა დრამატურგების მიერ ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის თემებზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვ. დარასელის პიესა „კიკვიძე“. მასში წრფელი პოეტური მგზნებარებით, მხატვრული სიმართლით არის დახატული სამოქალაქო ომის ერთ-ერთი სახელოვანი გმირის, ქართველი ხალხის ღირსეული შვილის ვასილ კიკვიძის სახე. პიესა სამხედრო კომუნიზმის ქარიშხლიანი დღეების გმირული რომანტიკის სულით არის გამსჭვალული. იგი შეტყვევად აცოცხლებს ჩვენს მეხსიერებაში ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლაში რაინდულად დაღუპული „ქართველი ჩაპაევის“ საგმირო საქმეებს, მის კეთილშობილურ ბუნებას.

თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ჩვენი ხალხის მიერ წარმოებულ ბრძოლათა მართალი სურათები აღბეჭდილია აგრეთვე თანამედროვე ქართველ დრამატურგთა სხვა პიესებში.

პიესაში „სვავების ზემი“ („თევრად“) სიმონ მთვარაძემ დახატა თვითმპყრობელობის სატრაპებისა და ფაშა-ბეგების ვერაგული პოლიტიკის ბრწყინვალეებში განაწამები აჭარელი ხალხის არაადამიანური ცხოვრების შემზარავი სურათები და გვიჩვენა ხალხის მღელვარე პროტესტი და გულისწყრომა თავისი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მენშევიზმის ბატონობის წლებში უცხოეთის იმპერიალიზმის სათარეშო სარბიელად ქცეული საქართველოს მძიმე სოციალური ბედის შესახებ მოგვითხრო დემნა შენგელაიამ პიესაში „თეთრები“. ეს იყო, ერთადერთი ცდა ჩვენი დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ბელეტრისტიკისა დრამატურგიის დარგში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული დრამატურგიული თვალსაზრისით პიესას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს, იგი მაინც აღწევს ავტორის მიერ განზრახულ მხატვრულ ეფექტს და შეიცავს ისეთ ღირსებებს, რომლებიც სრულ საფუძველს აძლევდა მწერალს განეგრძო მუშაობა დრამატურგიაში.

1905 წლის გმირულ ეპოპეის ერთ-ერთი ეპიზოდი აღბეჭდა კარლო კალაძემ თავის პირველ დრამატურგიულ ნაწარმოებში, ისტორიულ-რევოლუციურ დრამაში „როგორ“. ამ პიესამ გარკვეული ისტორიული როლი შეასრულა საბჭოთა ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაში. მისი წარმატება თავის დროზე მნიშვნელოვან იმპულსად გადაიქცა ქართულ დრამატურგიაში ახალი შემოქმედებითი ძალების მოსვლისათვის.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ეპიზოდები ასახეს თავიანთ პიესებში გ. ნახუცრიშვილმა („ცეცხლის ხაზზე“) და გ. ბერძენიშვილმა („ცეცხლი“). ეს პიესები თავისუფალი არ არიან სქემატიზმისაგან, სინამდვილის მოვლენებისა და პერსონაჟების „ლუბოკური“ ხატვის მანერისაგან. მეტი მხატვრული სიმართლით და სიღრმით ხასიათდება გ. ნახუცრიშვილის ნაწარმოებში საბავშვო თეატრისათვის „კომბლე“, „აჩაკუნე“, „ნაცარქექია“ და სხვ. ამ ქანრის მისი ზოგიერთი პიესა გასცდა საქართველოს საზღვრებს და წარმატებით განსახიერდა რუსულსა და სხვა მოძმე ხალხების საბავშვო თეატრებში.

ჩვენი ხალხის წარსულის მხატვრული განსახიერებისათვის ქართული საბჭოთა დრამატურგია ხშირად მიმართავს ქართული მწერლობის კლასიკოსთა ნაწარმოებების ინსცენირებას. პრინციპულად ამაში არაფერია მიუღებელი, მაგრამ ინსცენირებებით და მონტაჟებით ზედმეტი გატაცება უეჭველად იწვევს დრამატურგთა შემოქმედებითი ინიციატივის შესუსტებას და გარკვეულ საშიშროებად იქცევა. ამასთანავე ყურადღებას იქცევს ამ დარგში აღმოცენებული ერთი თავისებურად არასწორი ტენდენცია. ჩვენი დრამატურგები ზოგჯერ ცდილობენ მონტაჟის სახით ერთ პიესაში თავი მოუყარონ ამა თუ იმ კლასიკოსის მთელ შემოქმედებას: ამ პრინციპზეა აგებული შალვა დადიანის „ნინოშვილის გურია“ და „ჩატეხილი ხიდი“, სერგო კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“. ამ პიესებმა უეჭველად შეასრულეს გარკვეული როლი ჩვენი მწერლობის კლასიკოსების მხატვრული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის თვალსა-

ზრისით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ხსენებული პიესები არ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ და სრულფასოვან დრამატურგიულ ნაწარმოებებად. ერთ პიესაში ამა თუ იმ კლასიკოსის სხვადასხვა ნაწარმოებთა მრავალფეროვანი პერსონაჟებისა და სრულიად განსხვავებული სიუჟეტების თავმოყრა ბუნებრივად უკარგავს სიღრმეს და მხატვრულ დამაჯერებლობას კლასიკოსთა მიერ შექმნილ სახეებს და მათ მიერ დახატული სოციალური სინამდვილის სურათებს.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ქართული საბჭოთა დრამატურგია, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველი დარგი, როგორც მთელი ჩვენი ხელოვნება და მწერლობა, თავისი იდეებისა და თემების სამყაროთი ვერაგ მტერზე ჩვენი სამშობლოს გამარჯვების დიადი საქმისადმი იყო დაქვემდებარებული.

იარაღასხმული საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტულ აღფრთოვანებას ქართული საბჭოთა დრამატურგია გამოეხმაურა ისტორიული პიესებით, რომლებიც აცოცხლებდნენ ხალხის მეხსიერებაში ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულს და ამით აღვივებდნენ ნაციონალური სიამაყის გრძნობას და განამტკიცებდნენ საბრძოლო სულისკვეთებას, გამარჯვების რწმენას.

სამამულო ომის პერიოდის ამგვარ დრამატულ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სანდრო შანშიაშვილის ისტორიული დრამა „კრწანისის გმირები“. ეს პიესა იმ მძაფრ ისტორიულ ვითარებაში იწერებოდა, როდესაც ჰიტლერის ჯოჯონეთური საომარი მანქანა კავკასიონის კალთებს მოადგა და საბედისწერო საფრთხე უშუალოდ დაემუქრა საქართველოს მიწა-წყალს. მტერი გააფრთხილებით მოიწვედა საქართველოსაკენ, თბილისისაკენ, კავკასიონის მისადგომებთან სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენი ძლევამოსილი არმია მთელი ხალხის უშუალო მხარდაჭერით და თანამშრომლობით გზას უღობავდა მიხაკისფერ ურჩხულს და ამზადებდა იმ გამანადგურებელ დარტყმას, რომელიც ჰიტლერის ურდოებმა იგემეს კავკასიონის კალთებზე და რომელმაც დასაწყისი მისცა ფაშისტ დამპყრობელთა უკუქცევის, საბჭოთა მიწა-წყლიდან მათი საბოლოოდ განდევნისა და განადგურების დიდებულ ეპოპეას.

ასეთ მძაფრსა და დაძაბულ ვითარებაში „კრწანისის გმირები“ აღადგენდა ჩვენს მეხსიერებაში თბილისისათვის ქართველი ხალხის მიერ გადახდილი ერთ-ერთი ყველაზე თავგანწირული ბრძოლის სურათს, გვიჩვენებდა თუ როგორი პატრიოტული და ვაჟკაცური ნებისყოფით გადაუტანია ჩვენს ხალხს მის თავზე დატრიალებული ყოველი უმძიმესი განსაცდელი და თავისი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება, სახელი და ღირსება შეუბღალავად მოუტანია ჩვენს ნათელ სოციალისტურ ეპოქამდე.

პიესა ღრმად არის გამსჭვალული ჩვენი ხალხის სახელოვანი საბრძოლო ტრადიციების პათოსით, პატრიოტიზმისა და ვაჟკაცობის სულით. პიესის უმთავრესი ღირსება ის არის, რომ მასში მკვეთრად არის დახატული ჩვენი ეროვნული ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გმირის ერეკლე მეორეს სახე. ამ სახეში მთავოვანებულად არის გამოხატული ქართველი ხალხის საუკეთესო საბრძოლო და სახელმწიფოებრივი ტრადიციები, და რაც განსაკუთრებულად საყურადღებოა, — ჩვენი ხალხის და მისი უჭკვიანესი მესვეურების მტკიცე მისწრაფება დიდ რუს ხალხთან საბრძოლო თანამეგობრობისაკენ. საგულისხმოა, რომ სწორედ იმ დღეებში, როდესაც დიდი რუსი ხალხის დახმარების მეოხებით ამიერკავკასიის ხალხები ძლევამოსილად იგერიებდნენ კავკასიონის ქედს მობჯენილ ჰიტლერელთა ურდოებს, დრამატურგმა გვიჩვენა, რომ წარსულშიც, ჩვენი სამშობლოს უაღრესად საბედისწერო წუთებში საქართველოს და მის შორსმკვერთელ წინამძღოლებს სწორედ რუსეთთან საბრძოლო თანამეგობრობაში უპოვიათ ყველაზე საიმედო გზა შემდგომი ისტორიული ცხოვრებისა და წინმსვლელობისათვის. ეს მოტივი განსაკუთრებულ აქტუალობას აძლევდა ს. შახშიაშვილის პიესას სამამულო ომისა და კერძოდ კავკასიის დაცვის მრისხანე დღეებში.

ჩვენმა სალიტერატურო და თეატრალურმა კრიტიკამ თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა „კარწანისის გმირების“ ზოგიერთი ნაკლოვანება. პიესაში მეტისმეტად გაზვიადებულია ერეკლე მეორეს შინაურ-ოჯახურ ურთიერთობათა როლი ისტორიულ მოვლენათა განვითარებაში და ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. მაგრამ ეს ვერ ანელებს ამ ნაწარმოების პატრიოტულ ელერას და მის აქტუალობას.

ბუნებრივია, რომ ომის მრისხანე დღეებში, როდესაც დიდი რუსი ხალხი სათავეში ჩაუდგა ჩვენი სამშობლოს ხალხებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბრძოლას ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ, განსაკუთრებული აქტუალობა მოიპოვა რუს ხალხთან ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის გრძნობამ. ამ თანამეგობრობის სახელოვანი ტრადიციის ასახვას მიუძღვნა ალექსანდრე საშსონიამ პიესა „ბაგრატიონი“. ბოროდინოს განთქმული გმირის გენერალ ბაგრატიონის სახე ამ პიესაში დახატულია იმ ძლევამოსილად დაგვირგვინებული ბრძოლის ფონზე, რომლითაც რუსმა ხალხმა გამანადგურებელი მახვილი ჩასცა ნაპოლეონის აგრესიას და ერთხელ კიდევ თავისი სისხლით მონობისაგან იხსნა ევროპის მრავალი ერი და სახელმწიფო. პიესაში გაცოცხლებულია რუსეთის პირველი სამამულო ომის ამადლეგებელი ეპიზოდები და დახატულია ამ დიადი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ბრძოლის

მესვეურთა და რიგით მონაწილეთა შთამბეჭდავი სახეები. ავტორის განსაკუთრებულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ამ პიესაში კუტუზოვის სახის შექმნა.

სამწუხაროდ, თვით ბაგრატიონის პიროვნების დახასიათებისას დრამატურგი ვერ ასცდა ძველ რუსულ მწერლობაში და ისტორიოგრაფიაში გავრცელებულ ტრაფარეტულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც გენერალი ბაგრატიონი ფასდებოდა, როგორც მამაცი, მგზნებარე, ფიცხელი ტემპერამენტის სარდალი, ხოლო სრულიად უგულვებელყოფილი იყო მისი ენტელექტუალური ღირსებანი, სტრატეგიული ალღო, გონიერება, განათლება. ამაში მდგომარეობს ალ. სამსონიას მიერ დახატული სახის მნიშვნელოვანი ხარვეზი.

ისტორიული წარსულის თემაზე სამამულო ომის წლებში დაწერილ ქართულ პიესათა შორის უდავო წარმატება ხვდა წილად მიხეილ ჭაფარიძის „ქამთაბერის ასულს“. ქანრის მხრივ ეს არ შეიძლება საკუთრივ ისტორიულ პიესად ჩაითვალოს, რამდენადაც მასში მოქმედებენ არა კონკრეტული, რეალურად არსებული ისტორიული პიროვნებანი, არამედ ავტორის ნსატვრული ფანტაზიით შეთხზული ტიპიური პერსონაჟები. ამასთანავე პიესის სიტყვით რეალურ ისტორიულ მოვლენებს კი არ ემყარება, არამედ აგრეთვე დრამატურგის მიერ „გამოგონილ“ სიტუაციებს. პიესა გეშლილია მე-18 საუკუნის იმერეთის ფონზე და უმთავრესად გვიხატავს იმერეთის მეფის საახლისა და მის გარშემო მოქმედ მაღალგვაროვან მემამულეთა ცხოვრებას.

„ქამთაბერის ასული“ პირველი ნაწარმოები იყო, რომლითაც მიხ. ჭაფარიძე, მანამდე მცირე ფორმების ავტორად ცნობილი მწერალი, შემოვიდა სენს დრამატურგიაში. პროფესიული დრამატურგიული თვალსაზრისით პიესას მთელი რიგი უეჭველი ღირსება ახასიათებს. ავტორს ეხერხება ცოცხლად და კოლორიტულად აღადგინოს შორეული წარსულის ყოფაცხოვრებითი სურათები და მათ ფონზე გამოკვეთოს მკაფიოდ ინდივიდუალური ადამიანური ხასიათები. პიესის ყოველი პერსონაჟი, მთავარია იგი, თუ მეორეხარისხოვანი — დასრულებულ ხასიათს წარმოადგენს, რომელიც ამავე დროს აღებული ისტორიული ეპოქისა და გარკვეული სოციალური წრის განმასახიერებელ ტიპურ სახედ გვევლინება.

პიესა მძაფრ კომედიურ სიტუაციებს შეიცავს. სიუჟეტური კომპოზიციის მხრივაც პიესა ოსტატურად არის შეკრული. „ქამთაბერის ასულის“ ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება სცენური დიალოგის და საერთოდ სიტყვიერი ქაოვილის მაღალ მხატვრობაში მდგომარეობს. ყოველი ფრაზა აქ ვონებამასვილურად არის გამართული. მწერალი კომედიური მეტყველების იშვიათ ნიჭიერებას იჩენს. სწორედ ამ პროფესიული ღირსების გამო „ქამთაბერის ასულმა“ თავის დროზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია და თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ქართულ საბჭოთა თეატრის რეპერტუარში.

არა მარტო ისტორიული პიესებით ეხმაურებოდა ქართული დრამატურგია სამამულო ომის ქარცეცხლში გახვეული საბჭოთა ხალხის საბრძოლო სულისკვეთებას. დაიწერა მთელი რიგი დრამატული ნაწარმოებნი, რომლებიც, მართალია არასათანადო სიღრმით, მაგრამ მაინც წრფელი პატრიოტული მღელვარებით ასახავდა საბჭოთა ადამიანების, მთელი საბჭოთა ხალხის უმაგალითო გამიროპასა და თავდადებას ფაშისტ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

სამამულო ომის პირველსავე თვეებში საბჭოთა თეატრის სცენაზე განსახიერება ჰპოვა გიორგი მდივნის პიესამ „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ ამას მოჰყვა იმავე ავტორის პიესები „მოსკოვის ცის ქვეშ“ და „პარტიზანები“. ამ პიესაში დრამატურგი მოგვითხრობდა ფრონტისა და ზურგის საბრძოლო ვითარების შესახებ, ხატავდა საბჭოთა ხალხის ერთსულოვანი პატრიოტული აღფრთოვანების სცენურ სურათებს, რომლებიც ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმის გარდაუვალი გამარჯვების რწმენით იყო გამსჭვალული. ეს პიესები მოკლებული იყო მკვეთრ სიუჟეტურ კომპოზიციას და ღრმა განზოგადოებითი ძალის სახეებიც მათში შეცვლილი იყო ესკიზურად მოხატული, ზოგჯერ პლაკატური მანერით წარმოსახული პერსონაჟებით. სწორედ ამიტომაც ეს ნაწარმოებნი ხანგრძლივად ვერ დამკვიდრდნენ საბჭოთა თეატრის რეპერტუარში, თუმცა სამამულო ომის პირველი პერიოდის ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში გ. მდივნის ამ პიესებმა უდავოდ დადებითი როლი შეასრულა.

კავკასიის გმირული დაცვის სახელოვანი ეპოპეა ქართულ დრამატურგიაში პირველად სერგო კლდიაშვილის პიესით „ირმის ხევით“ იქნა ასახული. პიესის მძაფრად დრამატიზირებული სიუჟეტი გაშლილია იმ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლის ფონზე, რომელიც 1942 წლის ზაფხულისა და შემოდგომის დღეებში სწარმოებდა კავკასიონის კარიბჭესთან. პიესის მთავარი გმირი — ქართველი ოფიცერი შალვა საბჭოთა პატრიოტიზმის, გმირული თავგანწირულების, ჩვენი ხალხის სულიერი რაინდობისა და მორალური კეთილშობილების ხორცშესხმულ განსახიერებას წარმოადგენს. საბჭოთა სარდლობამ შალვა უაღრესად მძიმე და პასუხსაგები დავალებით წარგზავნა მტრის მიერ დროებით დაპყრობილ საბჭოთა სოფელში — ირმის ხევში. შალვას დავალებული ჰქონდა თავის გარშემო დაერაზმა ოკუპირებული საბჭოთა რაიონის მოსახლეობა და ირმის ხევში, ამ ფრიად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტში მოეწყო ზურგიდან დარტყმა მტრის ურდოებისათვის, უკან დასახვევი გზა გადაეჭრა მათთვის. მეტად რთულ ვითარებაში ანხორციელებდა საბჭოთა ოფიცერი ამ უაღრესად მნიშვნელოვან დავალებას. მრავალი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების გადალახვა მოუხდა მას. უკანასკნელად იგი ოკუპანტებს ჩაუვარდა ხელში. საბჭო-

თა ოფიცერმა ვაჟკაცურად გაუძლო ყოველგვარ ძალდატანებას, შეურაცხყოფას, ტანჯვა-წამებას და ბოლომდე ურყევად ერთგული დარჩა თავისი სოციალისტური სამშობლოსი. საბჭოთა ადამიანის ეს უმაღლესი ღირსება — თავგანწირული, ურყევი და უნაგარო ერთგულება თავისი ხალხისა და სოციალიზმის საქმისადმი მკაფიოდ არის გამოხატული „ირმის ხევში“ არა მარტო შალვას, არამედ სხვა ისეთ პერსონაჟთა მეშვეობით, როგორც არიან ახალგაზრდა მთიელი ქალიშვილი — ასმათი, მოხუცი ოსი დოღვათ ფარნიონი.

როგორც პიესაში ასახული სიუჟეტური დრამა, ისე მოქმედ პირთა ურთიერთობანი დრამატურგის მიერ სწორად არის მოფიქრებული და ნიჟიერად დამუშავებული, მაგრამ მოქმედების ფონი, ყოფაცხოვრებითი გარემოცვა პიესაში სქემატურად, უსიცოცხლოდ არის წარმოსახული. საქმე ის არის, რომ პიესაში ასახული მოქმედება ჩრდილოეთ ოსეთის ერთ-ერთ სოფელში მიმდინარეობს და, როგორც სჩანს, დრამატურგი ნაკლებად იცნობს იმ გარემოცვას, რომელსაც ხატავს, იმ ხალხის ყოფას, რომლის ცხოვრების ფონზე შლის თავის ნაწარმოებს. ამიტომაც პიესაში მიუღწეველია „ტიპიური გარემოცვის“ ცოცხლად წარმოსახვა, რაც აუცილებელია ყოველი კემშარიტად რეალისტური ნაწარმოებისათვის.

პირველი ქართული დრამატული ნაწარმოები, რომელშიაც სამამულო ომის ქარცეცხლიდან გამოსული, ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებული, ომგადახდილი საბჭოთა ადამიანის სახე გამოჩნდა, — ეს იყო გიორგი შატბერაშვილის პიესა „ფიქრის გორა“. ეს პიესა სამამულო ომის დამთავრების პერიოდში იწერებოდა და მძაფრად ეხმაურებოდა ამ დროისათვის უღარესად აქტუალურ საკითხს, ომგადახდილი ვაჟკაცის ბედისა და მდგომარეობის საკითხს საბჭოთა საზოგადოებაში, ოჯახში. პიესის მთავარი გმირი ახალგაზრდა ოფიცერი შოთა, რომელმაც მრავალი წელი გაატარა საბჭოთა არმიის რიგებში და სამამულო ომის ფრონტებზე, მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა დავაჟკაცებული, ათას განსაცდელში და საგმირო საქმეებში გამობრძმედილი, მაგრამ ამასთანავე გარეგნულად დიდად გამოცვლილი: მას თმა გაქალარავებოდა, მარჯვენა ხელი ბრძოლაში დაკარგოდა, სახე წყლულებითა და იარებით დაფარვოდა. იგი ვერც კი ბედავდა ასეთი სახით ჩვენებოდა საკუთარ დედას და განსაკუთრებით თავის საცოლეს — თამარს, რომელსაც მთელი ამ წლების განმავლობაში სპეტაკად შეუწახავს და გულის სიღრმეში უტარებია შოთასადმი წრფელი სიყვარული. დიდი ხნით უნახავ მშობლებთან და სატრფოსთან შეხვედრის წყურვილით შეპყრობილი შოთა „შენიღბულად“, სახე შეცვლილად მოევლინა საკუთარ ოჯახს, თითქოს იგი შოთას ფრონტელი მეგობარი ყოფილიყოს. მაგრამ შოთა მალე დარწმუნდა თავისი ეჭვისა და შიშის უსაფუძვლობაში, იგი ასეთი

შეცვლილი და ვარგენტულად დასახიჩრებელი სახითაც ისეთივე თანაგრძნობით და სიყვარულით გარემოცული აღმოჩნდა, როგორსაც ახალგაზრდობაში, ბრძოლის ველზე წასვლამდე იმსახურებდა. პიესა გამოხატავს საბჭოთა ხალხის განუზომელ მადლიერებას და სიყვარულს თავისი იმ ღირსეული შეილებისადმი, რომელთაც მრავალი მძიმე მსხვერპლის საფასურით დაიცვეს ჩვენი სამშობლოს ღირსება და თავისუფლება.

თავის ამ პირველ დრამატულ ნაწარმოებში გ. შატბერაშვილმა გამოიჩინა ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სიუჟეტის ჩამოყალიბების, მკვეთრი ადამიანური ხასიათების დახატვისა და სცენური მეტყველების ჭეშმარიტად პოეტურ დონეზე დამუშავების ნიჭიერება. ამიტომაც პიესას აღმოაჩნდა ემოციური ზემოქმედების ძალა და ცხოველი გამოძახილიც პოვა მყარებელთა ფართო წრეებში, მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დრამატურგი ისეთ გადაჭარბებულ პირობითობაზე ამყარებდა სიუჟეტის უმთავრეს სიტუაციებს, რაც ზღუდავს პიესაში ასახული მოვლენების დამაჯერებლობას და რეალიზმის გრძნობას.

დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრებამ და ჩვენი სამშობლოს გადასვლამ მშვიდობიანი მშენებლობის ლიანდაგზე დასაბამი მისცა ახალ პერიოდს საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში და, მაშასადამე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. საბჭოთა ხალხი შეუდგა ჭეშმარიტად ტიტანურ შრომას ჩვენი ჭვეყნისათვის ომით მიყენებულ ჭრილობათა მოსაშუშებლად, ომით დანგრეული ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. შესაბამისად ახალი ამოცანები დაისახა ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის, საბჭოთა მხატვრული კულტურის, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე. ეს ახალი ამოცანები და მათი განხორციელების გზები და საშუალებანი ნათლად ჩამოყალიბებული და ღრმად დასაბუთებული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში იდეოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც 1946—1948 წლებში იქნა მიღებული. კერძოდ საბჭოთა თეატრალური ხელოვნებისა და დრამატული მწერლობის განვითარებას, მათ წინაშე ახალი ისტორიული ვითარების მიერ დასახული ახლებური იდეურ-შემოქმედებითი ამოცანების საკითხებს მიეძღვნა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დრამატული თეატრების რეპერტუარისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ ისტორიულმა დოკუმენტმა, როგორც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სხვა დადგენილებებმა იდეოლოგიის საკითხებზე ახალი შემოქმედე-

ბითი აღმავლობის პროგრამა დაუსახა მთელ იდეოლოგიურ ფრონტს და კერძოდ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. დრამატული თეატრების რეპერტუარისა და დრამატურგიული შემოქმედების დარგში პარტიამ ამხილა და დაგმო გადაჭარბებული გატაცება ისტორიული სიუჟეტებით — თანამედროვეობის თემებისადმი ყურადღების შენელების ხარჯზე. ამასთანავე მხილებულ იქნა საბჭოთა სინამდვილისა და საბჭოთა ადამიანების ყალბად, გალარიბებულად გამოხატვის შემთხვევები თანამედროვეობის თემებზე დაწერილ მთელ რიგ პიესებში. პარტიამ უსაყვედურა ჩვენს დრამატურგებს, რომ ისინი ხშირად მეტ ინტერესს იჩენენ უარყოფითი ტიპებისადმი და მეტი მხატვრული ენერგიით ხატავენ ასეთ პერსონაჟებს, ვიდრე ახალი ცხოვრების მშენებელ დადებით საბჭოთა ადამიანთა სახეებს.

საბჭოთა თეატრისა და დრამატურგიის წინაშე პარტიამ დააყენა საკვებით გარკვეული ამოცანა — საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების, მისი განუწყვეტელი წინსვლელობის, საბჭოთა ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს სიმართლით ამსახველ მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნა.

ამ ისტორიული დადგენილების შემდეგ ქართველმა დრამატურგებმა დაწერეს პიესები, რომლებშიაც სამამულო ომის გმირული ეპოპეა უფრო მეტი მხატვრული ძალით არის ასახული, ვიდრე ამას ჩვენი დრამატურგია ახერხებდა სამამულო ომის დღეებში. ასეთ პიესათა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“.

ეს პიესა გულმხურვალედ მიიღო მაცურებელმა, რადგან მასში სიმართლით და ემოციური ზემოქმედების ძალით არის გამოხატული საბჭოთა ადამიანის ის მორალური ღირსებანი, რომელთა მეოხებითაც ჩვენმა ხალხმა ვაჟკაცურად გადაიტანა მის თავზე დატრიალებული უდიდესი განააცდელი და გამანადგურებელი დარტყმით უპასუხა ფაშისტ-დამპყრობელთა სისხლიან აგრესიას.

პიესის მთავარი გმირი — ძველი რკინიგზელი, საბჭოთა პატრიოტი ლევან ჩადუნელი ჩრდილო-კავკასიის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტის დროებითი ევაკუაციის დროს მტრის მიერ დაპყრობილ რაიონში იქნა დატოვებული სპეციალური, უაღრესად მნიშვნელოვანი დავალებებით. მას დაეკისრა თავი მოეჩვენებინა გერმანელი ოკუპანტებისათვის მათდამი ერთგულ ადამიანად, დაემსახურებინა დამპყრობლების ნდობა და კავშირი დაემყარებინა ტყეში გახიზნულ საბჭოთა პარტიზანებთან, მიეწოდებია მათთვის საჭირო ინფორმაცია.

ძნელი იყო საბჭოთა პატრიოტისათვის საქულველ დამპყრობელთა გვე-

რდით ცხოვრება და იმ ჯოჯოხეთურ საშინელებათა ცქერა, რაც ჰიტლერელმა ავაზაკებმა ღროებით დაპყრობილ საბჭოთა რაიონში დაატრიალეს. ჩადუნელის თვალწინ ვერაგი ოკუპანტები დაუზოგავად აწამებდნენ საბჭოთა ადამიანებს. ლევანი მოწამე გახდა საკუთარი ერთადერთი შვილის მარინეს საშინელი ტანჯვა-წამებისა დამპყრობელთა მიერ. ხალხმა, ოკუპირებული სოფლების მოსახლეობამ საზიზღარ მოღალატედ მიიჩნია ჩადუნელი და თავისი გუშინდელი უახლოესი მეგობრებიც კი სასიკვდილოდ აღარ ინდობდნენ მას. ბოლოს გერმანელებმაც ეკვი შეიტანეს მის ერთგულებაში და აუტანელ სატანჯველს მისცეს იგი. ყოველივე ამას გაუძლო სადგურის უფროსმა, იგი ბოლომდე სპეტაკ და ურყევ საბჭოთა პატრიოტად დარჩა და მიაღწია კიდევ ჩვენი სამშობლოს დიადი გამარჯვების დღემდე.

საბჭოთა ადამიანის ამ უტეხ სულს, მის პატრიოტულ თავგანწირულებას, გამარჯვებისადმი მის ურყევ რწმენას და ნებისყოფას გამოხატავდა და უმღეროდა ილო მოსაშვილი თავის ამ პიესაში. მართალია, პიესის ზოგიერთი ეპიზოდი ხელოვნურია და ნაკლებ დამაჯერებელი, სამაგიეროდ მთავარ მოქმედ პირთა სახეები რელიეფურად და ტიპიური დამაჯერებლობით არის შესრულებული. გარდა ჩადუნელისა, ასეთებია: რაიკომის მდივანი სერგეი პეტროვიჩი. რკინიგზელი მუშა, მოხუცი კუზმიჩი, საბჭოთა ქალიშვილი მარინე.

დიდად უახლოვდება და ენათესავება ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსს“ გიორგი შატბერაშვილის პიესა „რკინის პერანგი“. აქაც მოქმედება სწარმოებს იმ მრისხანე დღეებში, როდესაც ბრძოლის ველი უშუალოდ კავკასიონის უღელტეხილებს მოეზვინა და აქ, კავკასიონის კარიბჭესთან წყდებოდა არა მარტო ამიერკავკასიის ხალხთა და კერძოდ, ქართველი ხალხის სიკვდილსიცოცხლის საკითხი, არამედ მთელი სამამულო ომის შემდგომი მიმდინარეობის საკითხიც.

ამ პიესის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მძაფრად დრამატიზირებულ თხრობაში გვიჩვენებს, თუ რამდენი მსხვერპლის საფასურით, როგორი ფოლადისებური ნებისყოფის, მორალური სიძლიერისა და მაღალი პატრიოტული შეგნებულების მეოხებით მოიპოვა ჩვენმა ხალხმა დიადი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება.

როგორც თავის პირველ დრამატურგიულ ქმნილებაში „ფიქრის გორაში“, „რკინის პერანგშიც“ გიორგი შატბერაშვილი მიმართავდა ისეთ გადაჭარბებულ პირობითობას, რაც ერთგვარად ანელებდა ნაწარმოების რეალისტურ ყდერას და ზოგიერთ შემთხვევაში ზიანს აყენებდა კიდევ ისტორიული მოქმედების დამაჯერებლობასა და, მაშასადამე, ემოციური ზემოქმედების ძალასაც. მაგალითად,

„რკინის პერანგში“ მოთხრობილი ამბავი მიმდინარეობს ჰიტლერული ურდო-ების მიერ დროებით ოკუპირებულ ქართულ სოფელში. ასეთი ვითარება კი ცხოვრებისეულ სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან არც ერთ ქართულ სო-ფელს თუ ქალაქს, საერთოდ საქართველოს მიწა-წყალს, საბედნიეროდ ფა-შისტ დამპყრობელთა სისხლიანი თარეში უშუალოდ არ განუცდია.

როგორც ცნობილია, ქართველმა ხალხმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო დი-დი სამამულო ომის წლებში და მრავალზე მრავალი თავისი საუკეთესო შეი-ლის სისხლის საფასურით შეიტანა ძვირფასი წვლილი ჩვენი სამშობლოს სი-ცოცხლისა და თავისუფლების და მთელი საკაცობრიო ცივილიზაციის გადარ-ჩენაში ფაშისტური ბარბაროსობისაგან. ამ მხრივ პროპორციულად ქართველი ხალხი, რასაკვირველია. ოდნავადაც არ ჩამორჩენია არც ერთ მოძმე საბჭოთა ხალხს. პირიქით, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს სიკვდილ-სიცოცხლის გადამ-წყვეტ ვითარებაში საოცარი ძალით და ცხოველმყოფელობით აღორძინდა ჩვე-ნი დიდებული ეროვნული საბრძოლო ტრადიციები, რამაც კიდევ ერთხელ სა-მარაღისოდ ჩაუქრობელი შარავანდედით შემოსა ქართველი ხალხის გმირო-ბისა და ვაჟკაცობის მრავალსაუკუნოვანი რეპუტაცია. მაგრამ ამ უმაგალითოდ სისხლის მღვრელი ომის მძვინვარება საქართველოს მიწა-წყალს უშუალოდ არ შეხებია.

საკითხავია — რად დასჭირდა ჩვენს მაღალნიჭიერ მწერალს ცხოვრებისე-ული სიმართლის ასეთი უგულვებელყოფა და ესოდენ უკიდურესი პირობითო-ბის დაშვება თავის პიესაში? უნდა ვიფიქროთ, რომ ეს იყო ერთგვარი რეაქ-ცია ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ერთ დროს საკმაოდ გავრცე-ლებულ ისეთ მცდარ ტენდენციაზე, რომელიც ნატურალისტური დაკნინებითა და გაღარიბებით ემუქრებოდა სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის უპირ-ველეს მოთხოვნას — ცხოვრებისეული სიმართლისა და ტიპიურობის პრინცი-პებს. ამ ძალადი პრინციპების ვულგარიზაციისა და პრიმიტიულად გაგების შედეგად ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში საგრძნობლად თავს იჩენდა მოსაწყენი ერთფეროვნების, ემპირიული „მიწიერების“ საფრთხე. ასეთი მან-კიერი ტენდენცია კი ბუნებრივად ბადებდა მოთხოვნილებას ფართო გზა გახ-სნოდა მწერლის ფანტაზიას, მხატვრულ გამომგონებლობას, ვიწრო „ვაქტო-ლოგიური“ სინამდვილისაგან ამალღებას, ცხოვრების ესთეტიკური აღქმისა და განსახიერების ნაირფეროვანი ფხუბისა და საშუალებების ძიებას. ასეთი ძიებე-ბის პროცესში ყოველთვის როდი ხერხდებოდა ზომიერების დაცვა, ადგილი ჰქონდა ხოლმე ცალკეულ უკიდურესობებს, მხატვრული სიმართლის კანონები-საგან სავალალო გადახვევებს. ასეთი შემთხვევები შეინიშნებოდა კერძოდ გ. შატბერაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებაშიც. მაგრამ მწერლის ამგვარი

მისწრაფება მოასწავებდა მის აქტიურ მონაწილეობას ჩვენი მხატვრული კულტურის გამდიდრებისა და ამალღებისათვის ბრძოლაში.

ომის შემდეგი პერიოდის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ფრიად აქტუალურ პრობლემას მიუძღვნა გ. შატბერაშვილმა თავისი უკანასკნელი პიესა „უცნობი ქალი“. პიესაში ასახულია პროგრესული, ნოვატორული მეცნიერული აზრის ბრძოლა რუტინიორობისა და კონსერვატორული დოგმების, ყალბი ავტორიტეტების წინააღმდეგ. ნაწარმოების ცენტრში დგას ახალგაზრდა მეცნიერი-სპეციალისტი ნინო მინდიაშვილი, რომელსაც განუზრახავს გადალახოს თვალის სწეულებათა მკურნალობაში დიდი ხნით გაბატონებული შაბლონური ზღუდეები და სინათლე დაუბრუნოს ისეთ ავადმყოფებს, რომლებსაც მეცნიერება ყოვლად უნუგეშოდ მიიჩნევდა. ახალგაზრდა მეცნიერის ამ ნოვატორულ შემართებას წინ აღუდგა პროფესორი ნასიძე, რომელიც აუცილებელ ავტორიტეტად არის აღიარებული და თავისი დიდი გავლენით აფერხებს მოწინავე მეცნიერული აზრის განვითარებას. ამ რუტინიორის გავლენაში უნუგეშოდ არის მოქცეული ინსტიტუტის დირექტორი, ნინო მინდიაშვილის მეუღლე ლევანიც კი, რომელიც იმის შიშით, რომ ცოლისადმი მიკერძოება არ დასწამონ, გადაჭრით გზას უღობავს ნინოს კეთილშობილურ ექსპერიმენტებს. მრავალი რთული სიძნელისა და წინააღმდეგობის გადალახვა დაჭირდა ნინო მინდიაშვილს, დიდი მღვლეარება, მძაფრი განცდა და ზოგჯერ სასოწარკვეთილებამდე მიმყვანი დაბრკოლებები ეღობებოდა მას წინ, მაგრამ ნათელმა ჰუმანისტურმა იდეალმა, სიმართლის რწმენამ, მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ დასძლია ყველა ეს წინააღმდეგობა. პიესა მთავრდება პროგრესული მეცნიერული აზრის სრული გამარჯვებით. ნინო მინდიაშვილმა მხედველობა დაუბრუნა ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვარს სულხანიშვილს, რომელიც ყველა სპეციალისტს და კერძოდ პროფესორ ნასიძეს განუკურნებლად დაბრმავებული ეგონა. პიესაში დასახული ამ ძირითადი კოლოზიის განვითარებაში მოხერხებულად არის ჩაქსოვილი პირად-ინტიმურ ურთიერთობათა მოტივები, რაც კიდევ მეტად ამძაფრებს და მიმზიდველს ხდის სცენურ მოქმედებას.

ასეთი პიესის გამოჩენა ქართულ დრამატურგიაში და ჩვენი თეატრის სცენაზე თავისთავად მომასწავებელი იყო ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების კეთილშობილური მისწრაფებისა გამომხაურებოდა იმ ახლებურ პროცესებს, რომლებიც იბადებოდა საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში ჩვენი სამშობლოს ისტორიის ახალ საფეხურზე. სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერსპექტივები ახალ ამოცანებს აყენებდა საბჭოთა მეცნიერების ყოველი დარგის წინაშე; ბრძოლა ყოველივე დრომოკმულისა და კონსერვატორულ ცრურწმენათა წინააღმდეგ ასეთ ვითარებაში უკვე სასიცოცხლოდ

აუცილებელ პრაქტიკულ მნიშვნელობას იქნდა. ეს გარემოება განსაზღვრავდა გ. შატბერაშვილის ხსენებული პიესის მნიშვნელობას, თუმცა იგი დაზღვეული როდი იყო ცალკეული პროფესიული ნაკლოვანებებისაგან, რაზეც თავის დროზე მიუთითებდა ჩვენი ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა.

ანალოგიურ თემაზე ცოტა უფრო ადრე ილო მოსაშვილმა დაწერა იმ წლებისათვის საკმაოდ განხმაურებული პიესა „მისი ვარსკვლავი“. ამ პიესაშიც დრამატული კონფლიქტის საფუძველს შეადგენს მძაფრი შეჯახება ნოვატორული მეცნიერული აზრისა კონსერვატორულ დოგმებსა და რუტინიორულ ავტორიტეტებთან. ახალგაზრდა სპეციალისტი-გამომგონებელი გიგაური ნამდვილი შთაგონებით და გატაცებით იღვწის ცხვრის ახალი გაუმჯობესებული ჯიშის გამოყვანისათვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა უნდა ექნეს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის. მაგრამ ნიჭიერი ნოვატორის დიდ მუშაობას გააფთრებით ეწინააღმდეგება ოდესღაც შეთვისებული და გარდუვალ ქვეშაობებულ მიჩნეული მეცნიერული ნორმების გაჯიუტებული დამცველი პროფესორი ზანდუკელი. ამ ორი სოციალური ტიპისა და ადამიანური ხასიათის, ამ ორი მეცნიერული პოზიციის მწვავე დაპირისპირების პერიპეტეები პიესაში გართულებული და გამძაფრებულია სხვადასხვაგვარი შემავალი სიტუაციებით, რომლებიც ხან საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფეროს მოიცავენ, ხან პირად-ოჯახურ დამოკიდებულებათა რკალს.

ეს პიესა მაშინ იწერებოდა, როცა საბჭოთა მეცნიერების სხვადასხვა დარგში და, კერძოდ, ბიოლოგიურ მეცნიერებაშიც მწვავე დისკუსიები მიმდინარეობდა მეცნიერული აზრის ახალი აღმავლობისათვის, ყოველივე პროგრესულისა და ნოვატორულის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ნიშნის ქვეშ. ამგვარ მეცნიერულ დისკუსიათა ატმოსფერო ილო მოსაშვილმა უშუალოდ, როგორც იტყვიან, მოვლენათა „ცხელ კვალზე“ გადმოიტანა თავის პიესაში, „სახელდახელოდ“ გადათარგმნა დრამატურგიულ ენაზე, რამაც ერთგვარი ილუსტრატორული ხასიათი მისცა მის ნაწარმოებს და მიუღწეველი გახადა მაშინ ფართო მხატვრული განზოგადებანი. მაინც ამ პიესამ და მის საფუძველზე შექმნილმა სპექტაკლებმა თავის დროზე ცხოველი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია.

მხურვალედ გამოეხმაურა მათ მთელი ფართო წრეები აგრეთვე ილო მოსაშვილის პიესას „ჩაძირულ ქვებს“. ჩვენი დროის ამ ერთ-ერთი საუკეთესო პოეტის დრამატურგიული ნიჭიერების უპირველესი თვისება ის იყო, რომ იგი ყოველთვის ისწრაფვოდა გამონხმაურებოდა საზოგადოებრივად უაღრესად აქტუალურ მოვლენებს, ისეთ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებდა ხალხის აზრსა და გრძნობას. ყველა თავის დრამატულ ნაწარმოებში იგი აღწევდა მკითხველისა და მსმელის სულიერ სამყაროში ღრმად წვდომის,

ამაღელვებლად 'შელწევის ძალას. დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრებისას ილო მოსაშვილმა დაწერა ღრმა პატრიოტული მგზნებარებით აღბეჭდილი პიესა „ჩაძირული ქვეები“. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს იყო პირველი ნაწარმოები, რომელშიც გამოხატულება ჰპოვა თურქეთში მოსახლე ქართველობის დუხჭირმა ყოფა-ცხოვრებამ, პიესაში შთაბეჭდვად არის წარმოსახული ის გასაოცარი, მართლაც სასწაულმოქმედი სულიერი მხნეობა და გამძლეობა, რომლის მეოხებითაც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შეუწარმუნებიათ მშობლიური ენა, ეროვნული გრძნობა, დაუცხრომელი სიყვარული დედა-სამშობლოსი.

„ჩაძირულ ქვეებს“ ილო მოსაშვილი წერდა იმგვარად, რომ პირადად ნახული, უშუალოდ შესწავლილი და განცდილი არ ჰქონდა ის ცხოვრებისეული მასალა, რომელსაც პიესა ემყარება. ამიტომ ნაწარმოებში უფრო მწერლის მხატვრული ალღო, მისი შემოქმედებითი აზრი, პოეტური ფანტაზია მოქმედებს, ვიდრე რეალური სინამდვილის დაწვრილებითი ცოდნა და ცოცხალი ცხოვრებისეული მოვლენების განზოგადების ხელოვნება. და მით უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის იდეურ-მხატვრული ეფექტი, რომელსაც დრამატურგმა ამ თავის ნაწარმოებით მიიღწია. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ პიესის დადგმა რუსთაველის სახელობის თეატრის სკენაზე ორმოციანი წლების მეორე ნახევრის ქართული თეატრალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, თუ მხატვრული ნაწარმოების შეფასების უპირველეს კრიტერიუმად ხალხის სულიერ ცხოვრებაზე კეთილმყოფელი ზემოქმედების ძალას მივიჩნევთ. მწერალი ამ პიესაში შეეხო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე და მტკივნეულ, მოუშუშებელ წყლულს, ერთ-ერთ ყველაზე ბოროტ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენმა მკაცრმა და სუსხიანმა ისტორიამ დაგვიტოვა და, რომელსაც ვერასოდეს ვერ შეურიგდება ქართველი ხალხის აზრი და გული. უნდა ითქვას, რომ ეს პიესა წრფელი შთაგონებით და გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ხელოვნებით განასახიერა რუსთაველის სახელობის თეატრმა.

ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების განვითარების სრულიად საწინააღმდეგო პროცესი ასახა ილო მოსაშვილმა თავის უკანასკნელ დრამატულ ნაწარმოებში „გზა მომავლისა“. პიესაში წარმოსახულია ქართველი ხალხის ცხოვრება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოთა დაუსრულებელი დამპყრობლური თავდასხმების შედეგად სისხლისაგან დაკლილი საქართველო დაეინებით ეძიებდა თავისი ფიზიკური გადარჩენის, შემდგომი ეროვნული და სახელმწიფოებრივი არსებობის გზას. საქართველოს საუკეთესო მესვეურებსა და უჭკვიანეს ხელმძღვანელებს უკვე დიდი ხნის წინათ

ჰქონდათ აღებული კურსი ჩრდილოელ დიდ ერთმორწმუნე სახელმწიფოსთან კავშირისა და მეგობრობის დამყარებაზე. და აი, ამგვარი ორიენტაციის საბოლოოდ ჩამოყალიბება და განხორციელება არგუნა წილად ისტორიამ დიდ ქართველ მხედართმთავარსა და გამჰკრაახ სახელმწიფო მოღვაწეს ერეკლე მეორეს. საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთი უპირველესი გმირის საბრძოლო ცხოვრებას და ღვაწლს მისუძღვნა ილო მოსაშვილმა ხსენებული პიესა. დრამატული კონფლიქტის საფუძვლად მწერალმა აირჩია სწორედ ის მძაფრი წინააღმდეგობანი და მწვავე ბრძოლები, რომლებიც იმდროინდელ საქართველოში ქვეყნის მმართველ და ხელმძღვანელ წრეებში მიმდინარეობდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხთა გარშემო. როგორც ცნობილია, ვერავითარმა წინააღმდეგობამ, ვერც ირანის შაჰისა და თურქეთის სულთანის მუქარამ. ვერც მრისხანე შაჰ-აბასის სისხლიანმა შემოსევამ, ვერც ზოგიერთი თავისი უახლოესი თანამოღვაწის განდგომამ და დალატმა, — ვერაფერმა ვერ შეაცვლევინა ერეკლეს თავისი მტკიცე გადაწყვეტილება ქართველი ხალხის მომავალი ბედის უზრუნველყოფის საკითხში. მის დიდებულ სახელთან არის დაკავშირებული ისეთი ღრმა შემობრუნება საქართველოს ისტორიული ცხოვრების გზისა, როგორც იყო რუსეთთან ჩვენი ქვეყნის სამუდამო დამეგობრება და დაკავშირება. რასაკვირველია, ადვილი არ იყო საქართველოსათვის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე ხელის აღება და შემდეგაც, თვითმპყრობელური რუსეთის ველურმა კოლონიზატორულმა პოლიტიკამ არა ერთი მწვავე ტკივილი და განსაცდელი აწვნია ქართველ ხალხს. ამიტომაც სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც ერეკლე მეორე გაზუღმებულად იდგა ერისა და შთამომავლობის სამსჯავროს წინაშე. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის საქართველოს უდიდესი შვილები, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის მედროშეები ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები მხურვალედ მხარს უჭერდნენ და ამართლებდნენ ერეკლეს ორიენტაციას, ქართლის ბედის ერეკლესეულ გარდაწყვეტას. და აი, ილო მოსაშვილმა კიდევ ერთხელ თავის პიესაში აღძრა ეს დიდი ისტორიული პრობლემა, განაგრძო და განავითარა, ახალი ძალით მხატვრულად დაასაბუთა ჩვენი კლასიკური მწერლობის მიერ შემუშავებული და დადგენილი ტრადიცია ამ საკითხში.

„ჩაძირული ქვეები“ და „გზა მომავლისა“ — ამ ორი პიესით ილო მოსაშვილმა თვალნათლივ გვიჩვენა თუ როგორი ბედი მოელოდა ქართველ ხალხს, მთლიანად საქართველოს, რომ ერეკლე მეორეს მედგარ მკლავსა და გამჰკრაახ გონებას დროულად და ბრძნულად არ განეჭვრიტა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ისტორიული განვითარების ერთადერთი შესაძლებელი და საიმედო გზა. ილო

მოსაშვილი ვეღარ მოესწრო ამ პიესის დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ილო მოსაშვილმა სულ რაღაც 4—5 წლის განმავლობაში შესძინა ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარს ოთხი პიესა: — „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მომავლისა“, ჩვენთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორი ინტენსივობით მუშაობდა იგი თავისი ცხოვრების ბოლო წლებში დრამატურაგიულ ქანრში და როგორი დანაკლისი განიცადა ქართულმა თეატრმა და დრამატურაგიამ ამ მაღალნიჭიერი მწერლის მოულოდნელი და ნაადრევი გარდაცვალებით.

ილო მოსაშვილის ისტორიული დრამის გამოჩენა არმოცდაათიანი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში იმის მომასწავებელიც იყო, რომ ჩვენი დრამატურაგიის მკვეთრ შემობრუნებას თანამედროვე თემატიკისაკენ სრულიადაც არ ჩაუხშვია ჩვენი მწერლებისა და თეატრის შემოქმედებითი ყურადღება და ინტერესი ქართველი ხალხის იშვიათად გმირული და საამაყო ისტორიისადმი. რავინდ დიდიც არ უნდა იყოს კანონიერი მისწრაფება ჩვენი ხალხის თანამედროვე ცხოვრების სრული და მართალი წარმოსახვისა მხატვრულ შემოქმედებაში, მაინც ქართული მწერლობა და ხელოვნება ვერასოდეს ვერ იქნება გულგრილი ჩვენი სამშობლოს იშვიათად ტრაგიკული, მაგრამ ისევე იშვიათად გმირული წარსულისადმი. ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ ისტორიული თემატიკა არ ჩრდილავდეს თანამედროვე მხატვრული კულტურის მასაზრდოებელ უპირველეს წყაროს — ჩვენს თანამედროვეობას, მის აქტუალურ თემებსა და პრიბლემატიკას, თანამედროვეობის გმირის სულიერი ცხოვრების მხატვრულად კვლევის და გამოხატვის ამოცანებს. „დისტანციის პათოსის“ თეორია და პრაქტიკა დიდი ხანია დაძლეული და გადალახულია საბჭოთა მხატვრულ აზროვნებაში. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამჟამად სიახლის გრძნობა, დღევანდელი დღის სუნთქვა, განუყოფელად ბატონობს ჩვენს მხატვრულ კულტურაში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თანამედროვე აღმზიანის სულიერი ინტერესების სფეროდან სავსებით გამოთიშული და იგნორირებული იყოს ახლობელი და შორეული ისტორიული წარსულის განცდა. ბუნებრივია, რომ ქართული მწერლობა და ხელოვნება ვერასოდეს გვერდს ვერ აუვლიან ხალხის ამ ბუნებრივსა და კანონიერ მოთხოვნას. დამახასიათებელია, რომ სწორედ ისტორიული წარსულის თემაზე დაწერილი პიესით შემოდგა ფეხი ქართულ დრამატულ მწერლობაში და ქართულ საბჭოთა თეატრის სცენაზე მიხეილ მრეველიშვილმა, რომელმაც უადრესად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ქართული თეატრისა და დრამატურაგიის განვითარებაში.

მიხეილ მრევლიშვილის პირველი პიესა — ისტორიულ-ბიოგრაფიული დრამა „ნ. ბარათაშვილი“ დიდი წარმატებით იდგმებოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე ორმოციანი წლების დამლევისა და ორმოცდაათიანი წლების დამდეგის თეატრალურ სეზონებში. გენიალური ქართველი პოეტის ცხოვრების ისტორია, აღსაყვამად ღრმად დრამატული სიტუაციებით, უმწვავესი განცდებით, უაღრესად რთული საზოგადოებრივ და პირადულ ურთიერთობათა პერიპეტეიებით, გამოხატულია იმ ვითარების ფონზე, როდესაც საქართველოში რუსული თვითმპყრობელური რეჟიმის დამკვიდრება და მისი სასტიკი კოლონიატორული პოლიტიკა შეურიგებელ პროტესტსა და გულისწყრომას იწვევდა ხალხის ფართო ფენებში და განსაკუთრებით ინტელიგენციის პროგრესულ წრეებში. მაგრამ ამავე დროს საფუძველი ეყრებოდა რუსული და ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეთა წრეულ სულიერ ნათესაობასა და თანამეგობრობას, რაც უაღრესად კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე და ამზადებდა იდეურ-მორალურ ატმოსფეროს ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმოცენება-გაღრმავებისათვის. ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი ცხოვრების ისტორიაში, მის აზროვნებასა და მოღვაწეობაში და, უპირველეს ყოვლისა, მის პოეტურ შემოქმედებაში, როგორც ფოკუსში, აისახა ამ ურთულესი ისტორიული ეპოქის დამახასიათებელი პროცესები და სწორედ ამ ასპექტით არის დახატული და გაშუქებული პოეტის სულიერი სამყარო მ. მრევლიშვილის პიესაში. დრამატურგი მეტად რთული შემოქმედებითი ამოცანის წინაშე აღმოჩნდა. მართლაც ძნელი იყო და ეგებ შეუძლებელიც სცენური მოქმედების პლასტიკურ ფორმებში გამოხატვა მთელი იმ ფილოსოფიური სიღრმისა, აზრთა, გრძნობათა და განწყობილებათა იმ იშვიათი სიმდიდრისა და მრავალმხრიობისა, რითაც ბარათაშვილის პიროვნება, მისი უჭკნობი პოეტური მემკვიდრეობა ხასიათდება. ამიტომაც მწერალმა პიესის სიუჟეტური განვითარების ცენტრში ეკატერინე ჭავჭავაძისადმი პოეტის უბედურად დამთავრებული სატრფიალო ურთიერთობა დააყენა. ეს ურთიერთობა მართლაც შეიცავდა დრამატული სცენური სიტუაციებისათვის საკმარის მასალას, მაგრამ ამ პირადულ-ინტიმურ მოტივს არ შეიძლებოდა დაეისარებოდა პოეტის სულიერი ევოლუციის, მისი მსოფლმხედველობისა და შემოქმედებითი ბუნების განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობა. ამ გარემოებას რასაკვირველია, არ შეეძლო თავისი დადი არ დაეჩნია პიესისა და სპექტაკლისათვის. მაგრამ ამან ვერ ჩაახშო მ. მრევლიშვილის ნაწარმოებისა და რუსთაველის თეატრის წარმოდგენის პატრიოტული ძეგრა, მათი ლირიკული პათოსი, დრამატული მგზნებარება. პიესა და სპექტაკლი აღსაყვამად ლირიკით, პოეზიით, მაღალი აზრობრივი და ზნეობრივი შინაარსით, რითაც „ნ. ბარათაშვილი“

წლების განმავლობაში იზიდავდა და ხიბლავდა ფართო თეატრალურ აუდიტორიას. სპექტაკლის უპირველეს მხატვრულ მიღწევას, რასაკვირველია, გიორგი გეგეჭკორის მიერ შექმნილი პოეტის წარმტაცი სახე წარმოადგენდა, რომელიც არა მარტო ამ გამოჩენილი მსახიობის, არამედ საერთოდ ქართული საბჭოთა აქტიორული სკოლის თვალსაჩინო მონაპოვარი იყო.

ასე „იღბლიანად“ დაიწყო მიხეილ მრევლიშვილის მოღვაწეობა დრამატული მწერლობის დარგში. მალე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა მისი მეორე პიესა — „ხარატანთ კერა“. ეს იყო სცენური რედაქცია ამავე სახელწოდების მისი მოთხრობისა, რომელიც თავის დროზე ომის შემდეგი პერიოდის დასაწყისის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ თვალსაჩინო შენაძენად იყო აღიარებული. პიესაში ასახულია ქართული საკოლმეურნეო სოფლის დაძაბული და მრავალმხრივად გართულებული ცხოვრება სამამულო ომის წლებში. პიესის ძირითადი პათოსი და მიზანდასახულობა იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს სულიერი ძალა, სიმტკიცე და მორალური კეთილშობილება საბჭოთა ადამიანისა, რომელმაც უდრეკი ნებისყოფით გადაიტანა ყოველგვარი განსაცდელი და შეუბღალა შეინარჩუნა ადამიანური ღირსება და მორალური სახე. პიესის მთავარ გმირს ახალგაზრდა კოლმეურნე ქალს ნატო ხარატელს მრავალი სხვადასხვაგვარი სიძნელე და განსაცდელი დაატეხა თავს ცხოვრებამ. ბრძოლის ველზე წასული მისი საყვარელი მეუღლისაგან აღარაფერი ისმოდა და იგი დაღუპულად თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნია სოფელმა. ახალგაზრდა ქალს გაუორკეცდა ოჯახის მოვლის, საკოლმეურნეო სოფლის შრომით ცხოვრებაში მონაწილეობის ტვირთი. ამას ისიც დაერთო, რომ უქმროდ დარჩენილ ლამაზ ახალგაზრდა ქალს მაცდუნებლად შეტრფოდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საყოველთაო პატივისცემით გარემოსილი სოფლის თავკაცი აკმია ხუცურაული. ეს გარემოება აბრაზებდა ნატოს მამამთილს, პატრიარქალური ადამიანებით გონება დაბნეულ ზურია ხარატელს, რომელიც ეჭვებით შეპყრობილი, გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რძლის მონაწილეობას საკოლმეურნეო შრომაში და ცდილობდა ქალის ოჯახში ჩაკეტვით დაეცვა შინმოუსვლელი ერთადერთი ვაჟის სახელი და ღირსება. ყოველივე ამას ის დიდი უბედურებაც დაერთო, რომ ნატოს მძიმედ ავად გაუხდა ერთადერთი პირმშო და დედის თავგანწირული ბრძოლა ამო აღმოჩნდა. ბავშვი დაიღუპა. ყოველივე ამან, ცხადია, უმწვავესი ტკივილები აწვინა ნატო ხარატელს, მრავალი მწუხარება და განუკურნებელი წყალული მიაყენა მის სულიერ სამყაროს, მაგრამ ვერ გატეხა, ვერ დასცა, ვერ დააძაბუნა იგი, ვერ შებღალა და დაამახინჯა მისი მორალური სახე. და როდესაც ყველასათვის მოულოდნელად, სამუდამოდ დაკარგულად მიჩნეული მეუღლე ნატო ხა-

რატელისა დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, ქალი პირნათლად შეეგება ბრძოლის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად დაბრუნებულ, მძიმე კრილობებისაგან განკურნებულ ვაჟაკს. ნატო ხარატელს ერთი წუთითაც არ უღალატნია თავისი მაღალი ადამიანური მოვალეობისათვის ხალხისა და კოლმეურნეობის, ქმარ-შვილისა და ოჯახის, საკუთარი სინდისისა და მოქალაქეობრივი შეგნების წინაშე. ეს პიესა და მის საფუძველზე ჩვენი მაღალნიჭიერი რეჟისორის არჩილ ჩხარტიშვილის მიერ შექმნილი სპექტაკლი ჟღერდა, როგორც შთავონებული ჰიმნი საბჭოთა ადამიანის სულიერი ძლიერებისა და მშვენიერებისა, რომელთა მეოხებითაც მოიპოვა ჩვენმა სამშობლომ დიდი ისტორიული გამარჯვება საუკუნის უბოროტეს ძალაზე — ფაშისტურ გერმანიაზე. ამ სპექტაკლმა ერთსულოვანი მოწონება ჰპოვა როგორც მაყურებელთა ფართო წრეებში, ისე პრესასა და თეატრალურ კრიტიკაში.

მაგრამ მიხეილ მრეველიშვილის ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას დრამატურგიის დარგში წარმოადგენს პიესა „ზვავი“, რომელიც ომის შემდეგი ჩვენნი ეროვნული დრამატული მწერლობის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს პიესა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის უახლესი ეტაპის — სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდის გარიჟრაჟზე იწერებოდა, როცა კაპიტალისტური წარსულის ბნელი გადმონაშთებისაგან საბჭოთა ხალხის სულიერი სამყაროს საბოლოოდ გაწმენდის ამოცანას მძაფრი აქტუალობა და სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობა მიენიჭა. „ზვავში“ მომაკვდინებელი მძულვარებით და დიდი მაჰხილებელი ძალით არის ნაჩვენები მავნებელი და საბჭოთა საზოგადოების განვითარების შემფერხებელი მნიშვნელობა ძველ, დროშაქმულ ცრურწმენათა ტყვეობაში მყოფი, ბნელი, კერძომესაკუთრული მორალისა და ფსიქოლოგიის მახინჯი თვისებების მატარებელი მანკიერი ადამიანებისა და ამასთანავე დამარწმუნებლად არის ნაჩვენები ასეთი ადამიანების გარდაუვალი სასიკვდილო განწირულება თანამედროვეობის ნათელ ტენდენციებთან და ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანებთან შეჯახებისას. პიესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მთათუშეთის ერთ-ერთი სოფლის — მუხათხევის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის გამგე თინიბეგ უთურგაული. იგი ცოცხალი და მეტყველი განსახიერებაა ცხოველური ეგოიზმისა და ზოოლოგიური ინდივიდუალიზმის. ავადმყოფური პატივმოყვარეობის, კარიერიზმის, თვითგანდიდებისა და მომხვეჭელობის მახინჯი გრძნობებისა, რომლებიც ჯერ კიდევ აქა-იქ ჩარჩენილა საბჭოთა საზოგადოების ჩამორჩენილ ფენათა სულიერ სამყაროში და მით უფრო მოუღმენელი და საძულველი ხდებიან, რაც უფრო მეტის წარმატებით უახლოვდება ჩვენი ხალხი თავის ნათელ საბოლოო მიზანს. თინიბეგი მძლავრი ფიზიკური ძალა-

წის, გამჭრიახი გონების, გაქნილი, მოხერხებული, მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი, ამასთანავე ვერაგი, მუხანათი და დაუნდობელი ადამიანია. მას უნდა გამოეთიშოს და დაუპირისპირდეს საკოლმეურნეო სოფლის საერთო ინტერესებსა და კოლექტიურ ნებისყოფას, თანასოფლელებსა და მეზობლებზე მაღლა დადგეს, გაბატონდეს მათზე, ხელთ იგდოს გავლენა და ძალაუფლება და თავის სურვილებსა და ნებისყოფას დაუქვემდებაროს სოფლის მთელი ცხოვრება. იგი ცდილობს ცბიერების, გაიძვერობისა და თვალთმაქცობის გზით გადაიბიროს ხალხი, მოტყუების, ცილისწამებისა და ინსინუაციების საშუალებით გზიდან ჩაპოცილოს ყველა პატიოსანი, სახალხო საქმისადმი ერთგული ადამიანი და ხელთ იგდოს სოფლის მეთაურობის სადავეები. ცხადია, მის ასეთ მისწრაფებას გააფთრებული ეგოიზმისა და ხარბი კარიერიზმის ინსტინქტები ასულდგმულებს. მისთვის უცხოა, გაუგებარი და მიუღებელი საკოლმეურნეო გლეხობის მამოძრავებელი ნათელი იდეალები, ახალი ყოფაცხოვრების დამამკვიდრებელი ყოველგვარი მოწინავე ცოცხალი და პროგრესული ძალა. ამ ნიადაგზე მომაკვდინებლად გადამტერებია იგი სოფლის მოწინავე ადამიანებს, ჯერ ნიჭიერ და ენერგიულ ახალგაზრდა ნოვატორ ზოოტექნიკოსს მინდია თურმანაულს, ხოლო შემდეგ მოსკოვიდან მშობლიურ სოფელში სამუშაოდ დაბრუნებულს, განსწავლულ სპეციალისტს ამირან რაინაულს. თინიბეგი არ ერიდება არავითარ მუხანათურ საშუალებას იმისათვის, რომ სახელი გაუტეხოს, ხალხის ნდობა და პატივისცემა გამოაცალოს და სასიკვდილოდაც არ დაინდოს ეს ვულმართალი და უანგარო მესვეურები, სოფლის განახლებული და აღორძინებული ცხოვრებისა. მაგრამ საბჭოთა სინამდვილის, ახალი სოფლის ყოფაცხოვრების, საკოლმეურნეო გლეხობის იდეური და მორალური აღმავლობის მთელი ლოგიკა დაუნდობლად აქარწყლებს თინიბეგის ვერაგულ ზრახვებს. მისი ბნელი მაქინაციების მსხვერპლად იღუპება მისი ორივე ვაჟი, თვითონ კი იგი ბოროტმოქმედებრივ და დანაშაულებრივ საქმიანობაში მხილებული და გამომქდავენებული სავსებით ნიღაბახდილი, მორალურად განიარაღებული და განადგურებული დგას ხალხის მრისხანე სამსჯავროს წინაშე, ყველას მიერ — საკუთარი მეუღლის მიერაც კი შეზიზღებული და ზურგშექცეული. ეს მკვეთრი მხატვრული სახე, ღრმად გააზრებული სოციალური ტიპი და მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური ადამიანური ხასიათი დრამატურგის მიერ დახატულია „ადამიანთმცოდნეობის“ მაღალი რეალისტური ხელოვნებით. გმირის სკულპტურულად გამოკვეთილ გარეგნულ პორტრეტს, მისი ადამიანური ხასიათის თავისებურებას სავსებით შეესაბამება მისი სულიერი ცხოვრების მოძრაობის ყოველი ნიუანსი, მისი ქცევის ყოველი დეტალი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არამც თუ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში, არამედ მთელ

თანამედროვე ქართულ მწერლობაში იშვიათად თუ დახატულა ესოდენ მაღალი და დასრულებული, სოციალურად გააზრებული და მხატვრულად ხორცშესმული ადამიანური სახე. საბედნიეროდ ამ სცენურ სახეს ქართულ თეატრში გამოუჩნდა ბრწყინვალე შემსრულებელი ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობის სერგო ზაქარიაძის სახით. ამ როლის განსახიერებისას სერგო ზაქარიაძის მიერ გამოჩენილი მაღალი, რთული, საოცრად ორიგინალური აქტიორული ოსტატობა იმის ღირსია, რომ მასზე სპეციალური გამოკვლევები დაიწეროს. ჩვენმა თეატრალურმა კრიტიკამ მისცა კიდევ ღირსეულად მაღალი შეფასება ქართული თანამედროვე სასცენო ხელოვნების ამ ძვირფას მონაპოვარს. ამიტომაც ახლა არც საჭიროა და არც შესაძლებელი ყოველივე ამის განმეორება. ვიტყვი მხოლოდ, რომ სერგო ზაქარიაძის თინიბეგი საბჭოთა ეპოქის ქართული აქტიორული ხელოვნების ერთ-ერთი ნამდვილი მწვერვალია, ხოლო ქართული საბჭოთა დრამატურგიის როლებს შორის ამ სცენურ სახეს მხოლოდ უშანგი ჩხეიძის ყვარყვარე თუთაბერი, შალვა ღამბაშიძის ანთიმოზი (ვ. გაბესკირიას „უფსკრულთან“), ვასო გოდიაშვილის ლუარსაბ თათქარიძე, გიორგი შავგულიძის ხარიტონი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“) თუ შეედრება. თუ სერგო ზაქარიაძის ბრწყინვალე აქტიორულმა ხელოვნებამ დაუვიწყრად აღბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში თინიბეგის სახე, თავის მხრივაც ამ ლიტერატურულმა სახემ წარუშლელი კვალი დატოვა დიდი მსახიობის შემოქმედებით ბიოგრაფიაში. მართო ეს ერთი დასრულებული მხატვრული სახეც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „ზვავი“ სამუდამოდ დამკვიდრებულიყო ქართული საბჭოთა დრამატული მწერლობის საუკეთესო მიღწევათა ფონდში, თუმცა სამწუხაროდ პიესაში ასევე მაღალ დონეზე როდია დამუშავებული ყველა სხვა პერსონაჟის სახე, განსაკუთრებით იმ პერსონაჟებისა, რომელთაც დაკისრებული აქვთ ჩვენი ეპოქის ნათელი იდეალების ძლიერებისა და მშვენიერების განსახიერების ფუნქცია.

რატომღაც ქართული თეატრის სცენაზე განსახიერება არ უპოვია მ. მრევლიშვილის პიესას „მგზნებარე მეოცნებეს“, რომელიც დიდი რუსი მწერლის, რუსულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა და საერთოდ ამ ორი ხალხის სულიერი ნათესაობის დიდებული ტრადიციის ფუძემდებლის ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდისადმი მიძღვნილი. ეს ის პერიოდია, როცა ა. გრიბოედოვი დაუმეგობრდა საქართველოს იმდროინდელ მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, მგზნებარედ შეიყვარა ალექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიერი ასული ნინო, ცოლად შეირთო იგი და მალე, დიდი სახელმწიფოებრივი დავალებებით რუსეთის მთავრობის მიერ ირანს მივლინებული, ვერაგულად იქნა მოკლული თეირანში სპარსეთის რეაქციულ-ფანატიკური წრე-

ებისაგან წაქეზებული ბნელი ძალების მიერ. პიესის ძირითადი ნაწილი გაშლილია გასული საუკუნის ოციანი წლების თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე და მასში წარმოსახულია უმნიშვნელოვანესი მოვლენები იმ მრავალმხრივად რთული ისტორიული ვითარებისა, რომელიც შეიქმნა ჩვენს ქვეყანაში საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო. თემატიკურად და ჟანრობრივად, აგრეთვე დრამატურგიული სტილისა და კომპოზიციური პრინციპის მხრივაც ეს ნაწარმოები დიდად უახლოვდება და ენათესაება მ. მრევლიშვილის ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის დრამას „ნ. ბარათაშვილს“, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

შემდეგ მ. მრევლიშვილმა პიესად გარდაქმნა ქართული სასულიერო მწერლობის უძველესი ძეგლი — იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისა“, რომელიც მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა ჩვენი საუკუნის დიდი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძისა და ვასო გოძიაშვილის მონაწილეობით. როგორც არ უნდა იყოს ჩვენი პრეტენზიები ამ პიესისა და სპექტაკლის მიმართ, თავისთავად ამ პიესის დადგმა ქართული საბჭოთა თეატრის სცენაზე უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მოვლენაა. იგი მოასწავებს ერთი მხრივ ჩვენი ეროვნული მწერლობის უძველეს ტრადიციათა გასათვალისწინებლობას და სიცოცხლისუნარიანობას და მეორე მხრივ ჩვენს კანონიერ მისწრაფებას, რომ თანამედროვეობის თანხმოდანი ყდერა მიენიჭოს ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილ უჭკნობ სულიერ ღირებულებებს.

ომის შემდეგი პერიოდის ქართული თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მარია ბარათაშვილის კომედია „მარინე“ („ჭრიჭინა“). ამ პიესით დაიწყო ნიჭიერი პოეტი ქალის ნაყოფიერი მოღვაწეობა დრამატული მწერლობის დარგში. შრომა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულება, პატიოსანი შრომის ამბალღებელი და გამაკეთილშობილებელი გავლენა პიროვნების ბედზე ყოველთვის შეადგენდა სოციალისტური ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად თემას. მაგრამ ამ თემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა იმ წლებში, როდესაც სამამულო ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული საბჭოთა ხალხი უმაგალითო შრომითი შემართებით შეუდგა ომით დანგრეული ჩვენი სახალხო შეურნეობის აღდგენას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და კულტურული ძლევამოსილების ახალი აღმავლობისათვის ბრძოლას. მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ყოველ ჟანრში გაჩნდა ახალი თვალსაჩინო ნაწარმოებნი, რომლებიც ხალხის შრომით გმირობას, მშრომელი ადამიანის ხასიათის ამბალღებელ თვისებებს ხატავდნენ და უმღეროდნენ. მა-

რეკა ბარათაშვილმა სრულიად ორიგინალური გასაღები მოუხაზა ამ თემას. მან შექმნა ომის შემდეგი წლებზე საკულმენტურ-საფელში დამკვიდრებული ხალისიანი შრომითი ცხოვრების ამსახველი მხიარული ლირიკული კომედია, რომლის მთავარ გმირად გამოიყვანა ლამაზი სოფელი გოგონა მარინე ფერაძე. უზრუნველად აღზრდილი, თავისი სილამაზით განებივრებული ქალიშვილი გამუდმებულად ცეკვა-სიმღერასა და გართობა-მხიარულებაში ატარებდა დროს. ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ გარდაქმნა საბჭოთა სოფელში დამკვიდრებულმა შრომითი ენთუზიაზმის ატმოსფერომ ეს გონებამხიარული გოგონა და აქცია იგი მოწინავე მშრომელ ახალგაზრდად, შეადგენს პიესის სიუჟეტურ საფუძველს. პიესაში მოქმედებენ სხვადასხვაგვარი ხასიათის, მაგრამ თანაბრად კეთილი, პატიოსანი, რიგითი მშრომელი ადამიანები, რომელთა ურთიერთობაში მკაფიოდ გამოიხატება საბჭოთა სოფელში დამკვიდრებული ახალი ყოფა-ცხოვრების, ახალი მორალისა და საერთო-სახალხო მისწრაფებათა ნიადაგზე აღმოცენებულ ახლებურ ადამიანულებათა ტრადიციები. პიესაში ყველაფერი სუნთქავს ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობისა და სიყვარულის გრძობათა სითბოთი და სინათლით. პიესის მთავარი გმირის თავგადასავალი მოთხრობილია სამაგალითოდ გონებამახვილურად მოფიქრებული სიტუაციების მეშვეობით. მარინე-ჭრიჭინას როლის პირველმა შემსრულებელმა ქართულ სცენაზე — ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა მედეა ჯაფარიძემ შექმნა კოლმენტურე ქალიშვილის ღრმად კოლორიტული, მომნიბვლელი სახე, რომელიც სამუდამოდ არის შესული თანამედროვე ქართული თეატრის საუკეთესო სცენურ სახეთა გალერეაში.

მარეკა ბარათაშვილის ეს პიესა ითარგმნა რუსულად და პირველად დიდი წარმატებით დაიდგა მოსკოვში, საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში. შემდეგ იგი თარგმნეს ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და განასახიერეს თითქმის ყველა საბჭოთა ეროვნულ თეატრში. პიესის რეჟონანსი გაცდა ჩვენი მრავალეროვნული სამშობლოს საზღვრებს და დაიბეჭდა თუ დაიდგა საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში. რუსული საბჭოთა თეატრის სცენაზე გამოჩენისთანავე პიესას ვრცელი წერილით გამოეხმაურა ვაზეთ „პრავდას“ ფურცლებზე გამოჩენილი რუსი დრამატურგი ნიკოლოზ პოგოდინი, რომელმაც სამართლიანად მაღალი შეფასება მოსცა ქართველი დრამატურგის ნაწარმოებს და მის ღირსეულ განსახიერებას რუსულ თეატრში. შეიძლება სრული რწმენით ითქვას, რომ ასეთი ფართო გავრცელება დღემდე არ ღირსებია არც ერთ ქართულ პიესას. და ეს წარმატება არ შეიძლება რაიმე შემთხვევითობას მიეწეროს. ეს იყო მწერლის დროული, ჰკვიანური და ნიჭიერი გამოხმაურება აქტუალურ ცხოვრებისეულ პრობლემაზე, ხალხის სულიერ მოთხოვნილებაზე და წარმატებაც ბუნებრივი და კანონზომიერი აღმოჩნდა.

„ქრიკინას“ შემდეგ მარკა ბარათაშვილმა კიდევ შესძინა ქართულ თეატრის რეპერტუარს რამდენიმე პიესა, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გარკვეული წარმატებით განსახიერებული „ჩემი ყვავილეთი“. ეს პიესაც ავტორმა თანამედროვე ქართული სინამდვილის აქტუალურ თემას მიუძღვნა. პიესაში ფერადოვნად და პოეტიზირებულად არის წარმოსახული ქართული საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე შრომითი ცხოვრებისა და ყოფითი ურთიერთობის სურათები და ამ ფონზე მოთხრობილია მთავარი გმირის დავითის თავგადასავალი. იგი, ახალგაზრდა ნიჭიერი ინჟინერი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანავე დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს კეთილშობილური განზრახვით, რომ თავისი ცოდნა და ძალ-ღონე საკოლმეურნეო ცხოვრების ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში გამოეყენებია. მაგრამ ამ გზაზე იგი სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდა. დავითის ახალგაზრდა ლამაზი მეუღლე ნინო—გონებაშეზრთული და ზედმეტად განებივრებული ქალი და მისი დედა — ობივატელური ჩასიათისა და ინტერესების ადამიანი ვერ ურიგდებიან სოფლური ცხოვრების „პროზას“ და დაჟინებით ცდილობენ ჩამოაცილონ დავითი თავის საყვარელ საქმეს, გაიყოლიონ იგი ქალაქში და ჩაფლან უაზრო ფუქსავატური ცხოვრების ჭაობში. ამგვარ წინააღმდეგობებში გახლართული ახალგაზრდა სპეციალისტი არა ერთხელ სერიოზულად შეძრკა და შეეყოყმანდა კიდევ. მან გადადგა კიდევ სახიფათო ნაბიჯი თავისი კეთილშობილური იდეალის საწინააღმდეგო მაცდუნებელ გზაზე. მაგრამ საბჭოთა სოფელში დამკვიდრებულმა შემოქმედებითი შრომის ჯანსაღმა ატმოსფერომ საბოლოოდ თავისკენ გადმოიბირა გულმართალი და პატიოსანი ახალგაზრდა ინჟინერი და ჩააბა იგი სოფლად ახალი ცხოვრების მშენებლობის ორომტრიალში. როგორც ვხედავთ, დრამატურგის მხატვრული ჩანაფიქრი შეიცავდა ყველა მონაცემს იმისათვის, რომ პიესაში მძაფრი დრამატული კონფლიქტები განვითარებულიყო. მაგრამ სამწუხაროდ მწერალმა ვერ გამოიხატა საკმაოდ მკვეთრი და ეფექტური საღებავები თავისი მთავარი გმირის მკაფიოდ გამოხატვისათვის და, რაც მთავარია, დავითის საქმიანობის ის ეპიზოდები, რომლებშიც შეიძლებოდა გამოხატულიყო მისი ადამიანური ბუნების საუკეთესო თვისებანი, მწერალმა კულისებში გადაიტანა და არსებითად მაყურებლის თვალწყურს დაუშალა. ამიტომაც მაყურებელი ვერ ახერხებს შეიყვაროს პიესის გმირი, განიცადოს და გულთ გაიზიაროს ამ პერსონაჟის ავტორისეული დახასიათება. მაინც ამ ნაწარმოებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა და დადებითი შეფასებაც ჰპოვა პრესასა და თეატრალურ კრიტიკაში. იგი აშკარად გამოირჩეოდა იმ მკრთალი, უფერული და უსიცო-

ცხლო პიესების ფონზე, რომლებიც მომრავლდა ქართული თეატრის რეპერტუარში ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მიჯნაზე.

როგორც ცნობილია, ამ წლების საბჭოთა ლიტერატურისა და განსაკუთრებით დრამატურგიის განვითარებას სერიოზული ზიანი მიაყენა ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ზოგიერთ წრეებში გავრცელებულმა „უკონფლიქტობის“ თეორიამ და პრაქტიკამ. ამ „თეორიის“ აღმომჩენნი და მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ რაკი საბჭოთა საზოგადოებაში აღარ არსებობენ ანტიგონისტური კლასები, მაშ ჩვენს სოციალურ სინამდვილეში მოსპობილია საფუძვლები კონფლიქტებისა და კოლიზიების არსებობისათვის. ხოლო რაკი ჩვენი მწერლობა და ხელოვნება საზოგადოებრივი სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს, მხატვრულ შემოქმედებაშიც აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი ცხოვრების უარყოფითი მოვლენების, ბნელი მანკიერი ადამიანების გამოხატვას. ამ „თეორიის“ ადეპტები ქადაგებდნენ, რომ როგორც საბჭოთა სინამდვილეში, ისე სოციალისტურ მხატვრულ კულტურაშიც ახლა მხოლოდ კარგი და უკეთესი შეიძლება უპირისპირდებოდნენ და ებრძოდნენ ერთმანეთს. ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რაოდენ მცდარი და ყალბი პოსტულატებიდან გამომდინარეობდა ეს ახირებული თვალსაზრისი. იგი უგულებელყოფდა ცხოვრებისეულ სიმართლეს — საბჭოთა სინამდვილეში ჩრდილოვანი მხარეების, ნაკლოვანებების, უარყოფითი, მანკიერი ადამიანების არსებობას, რომლებიც აბრკოლებენ და აფერხებენ ჩვენს წინსვლას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე. ამ მცდარი თვალსაზრისის მიხედვით დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები არა მარტო მოკლებული იყვნენ მხატვრული სიმართლის ძალას და რეალისტურ ჭედას, არამედ ამასთანავე აღუნებდნენ ხალხის სიფხიზლეს და ბრძოლისუნარიანობას, მის შეურიგებლობას ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეებისადმი, მის სულიერ შეიარაღებას და აქტივობას ყოველგვარ დაბრკოლებათა და სიძნელეთა გადალახვაში. „უკონფლიქტობის“ თეორიის ერთ-ერთი მავნე გავლენა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ იგი აფერხებდა საბჭოთა მწერლობასა და ხელოვნებაში გმირული ადამიანური ხასიათების გამოკვეთას. თუ მხატვრულ ნაწარმოებში არ იქნებოდა ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებისა და ადამიანური ხასიათების შეჭახება, თუ ნაწარმოების პერსონაჟს არაფერი და არავინ გადაეღობებოდა წინ, თუ იგი არაფერს და არავის შეებრძოლებოდა და დაძლედა, ცხადია იგი ვერაფერში გამოავლენდა ხასიათის გმირულ ნიშანთვისებებს. ამ მცდარი გატაცებით აიხსნება ის გარემოება, რომ ორმოციანი და ორმოცდაათიანი წლების მიჯნაზე საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში მომრავლდნენ უფერული და უსახო ადამიანური სახეები, რომლებიც არაფერს აკეთებდნენ მნიშვნელოვანს და საყურადღებოს, მოკლებულ-

ნი იყენენ დიდი გრძნობებისა და ვნებების მღელვარებას და ამიტომაც ვერ ამღელვარებდნენ ხალხის აზრსა და გულს, ვერ აღაფრთოვანებდნენ აღამიანებს კეთილშობილური საგმირო საქმეებისათვის. გასაგებია, რომ ასეთი „თეორია“ განსაკუთრებულ ზიანს აყენებდა დრამატულ მწერლობას, რადგან დრამათავისი ჟანრობრივი ბუნებით სწორედ ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა დაპირისპირებასა და შეჯახებას გულისხმობს, კონფლიქტებსა და კოლოზიებს, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია სრულფასოვანი დრამატული ხელოვნება. „უკონფლიქტობის“ თეორიამ უარყოფითი გავლენა იქონია ქართული დრამატული მწერლობისა და სცენური ხელოვნების განვითარებაზეც. ჩვენი თეატრების რეპერტუარშიც გამოჩნდა პიესები, რომლებშიც არც გმირები ცხოვრობდნენ და არც არაფერი ხდებოდა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი და საინტერესო. საკმარისია დავასახელოთ გენო ქელბაქიანის „შესაფერი ჯილო“, გრიგოლ ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ“, კიტა ბუაჩიძის „ვარდი ასფურცლოვანი“, ვასო პატარაიას „სანაპიროზე“ და სხვ. ამ ტენდენციას ხარკი გადაუხადეს აგრეთვე სანდრო შანშიაშვილმა („ძველი ფუძე“) და პოლიკარპე კაჯაბაძემაც კი („ბუდნიერების სამჭედლო“).

1952 წლის 7 აპრილს გაზეთმა „ბრავდამ“ გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია „დავძლიოთ დრამატურგიის ჩამორჩენილობა“, რომელშიც ნათლად და უკომპრომისოდ იყო მხილებული „უკონფლიქტობის“ თეორიისა და პრაქტიკის სიყალბე და მანკიერება, მათი დამაკნინებელი ზეგავლენა საბჭოთა მხატვრული კულტურის, განსაკუთრებით კი თეორიისა და დრამატურგიის განვითარებაზე, მალე ამის შემდეგ პარტიამ თავისი XIX ყრილობის ტრიბუნიდან მოუწოდა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს გადაჭრით გაეძლიერებინათ სოციალისტური მხატვრული კულტურის მამხილებელი პათოსი, დაუნდობლად გამოეტანათ მზის სინათლეზე და მომაკვდინებლად გაეკიცხათ სინამდვილის უარყოფითი მოვლენები და მანკიერი აღამიანები, ახლებურად აეღორძინებინათ ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებაში გოგოლისა და შჩედრინის მგზნებარედ მამხილებელი ხელოვნების ტრადიციები. 1954 წელს, საბჭოთა მწერლების 11 საკავშირო ყრილობისადმი მისალმებაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმა თანმიმდევრულობით ჩამოაყალიბა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მოთხოვნები სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის ამ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხში. ეს პარტიული დოკუმენტები დიდად დაეხმარნენ ჩვენს მხატვრულ ინტელიგენციას „უკონფლიქტობის“ ყალბი თეორიის დაძლევაში, მთელ მრავალუროვნულ და კერძოდ ქართულ თეატრსა და დრამატულ მწერლობაში საგრძნობი შემოქმედებითი გამოცოცხლება აღინიშნა.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრის დამდეგს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობამ უკომპრომისოდ გააკრიტიკა ჩვენს ქვეყანაში გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში გაბატონებული პიროვნების კულტი და ამხილა მისი მავნე შედეგები. ყრილობამ შეიმუშავა სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების გრანდიოზული გეგმა. ამ ისტორიულმა მოვლენებმა უღრმესი ძვრები გამოიწვია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მატერიალური და სულიერი კულტურის ყოველ დარგში და, კერძოდ, საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაშიც. დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი, ჰუმანური და დემოკრატიული წყობილების — სრული კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში მწერლობისა და ხელოვნების უდიდესი როლი და მნიშვნელობა მრავალმხრივად და ღრმად იქნა გაშუქებული ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში, რომელიც მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ჩვენი ეპოქის „კომუნისტურ მანიფესტად“ აღიარა.

დაიწყო ახალი პერიოდი საბჭოთა საზოგადოების განვითარებაში და, მასასადამე, მრავალეროვნული სოციალისტური მხატვრული კულტურის ისტორიაშიც — ეს არის სრული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდი, საბჭოთა მწერლობისა და ხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპი.

როდესაც ქართული დრამატული მწერლობის განვითარების თანამედროვე ეტაპის შესახებ ვმსჯელობთ, პირველ ყოვლისა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებითი მოღვაწეობა უკანასკნელი წლების მანძილზე. ამ წლების ქართული თეატრისა და დრამატურგიის ცხოვრებაში ერთ-ერთ პირველხარისხოვან მოვლენას წარმოადგენდა პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალის“ დადგმა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. ამ შესანიშნავი კომედიის პირველი რედაქცია დრამატურგმა ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დამდეგს დაწერა, მაგრამ ქართული თეატრის სცენაზე მას დიდხანს არ ეღირსა განსახიერება. ამ პიესას თავის დროზე გაეცნენ და მისი დადგმის საკითხს განიხილავდნენ საუკეთესო ჩვენი რეჟისორები, — დიდი კოტე მარჯანიშვილიც კი. ჩვენი მწერლობა და საზოგადოებრიობა დაჟინებით მოითხოვდნენ მის დადგმას, მაგრამ დრამატულ თეატრშიც, საოპერო თეატრშიც, კინემატოგრაფიაშიც არაერთხელ წამოწყებული მუშაობა ბოლომდე ვერ იქნა დამთავრებული. შეიქმნა კიდევ შეხედულება, თითქოს ეს შესანიშნავი კომედია მოკლებული იყოს სცენური განსახიერებისათვის აუცილებელ სპეციფიკურ თვისებებს. რეჟისორ გიორგი ლორთქიფანიძის გაბედულობა და ნიჭიერმა შემოქმედებითმა შემართებამ უერთბაშად გაფანტა ეს „ცრურწმენა“ და დაგვანახა,

რომ „კახაბერის ხმალი“ ბრწყინვალე ლიტერატურულ ღირსებებთან ერთად 'შეიცავს ისეთ მდიდარ შესაძლებლობებს თეატრალური სანახაობის შესაქმნელად. რომელთა სრული რეალიზაციისათვის ეგებ საკმარისი არც იყოს სცენას მოღვაწეთა ერთი თაობის უნარი და ძალ-ღონე. კომედია აგებულია შორეული წარსულის მასალაზე. მასში ასახულია ქართველი ხალხის ცხოვრება იმ მრისხანე საუკუნეებში, როდესაც საქართველო საძულველ დამპყრობელთა სათარეშო სარბიელს წარმოადგენდა და უკიდურესი ეროვნული და სოციალური ჩაგვრა არა მარტო ანადგურებდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და ეკონომიურ ძალ-ღონეს, არამედ აკნინებდა და ამახინჯებდა ხალხის სულიერ სამყაროს, მის ზნეობრივ სახეს — გზას უხსნიდა მოღალატეობის, მლიქვნელობის, სიხარბისა და გაუტანლობის, ვერაგობისა და მცონარეობის საძულველ ინსტინქტებს, მართალია, პიესაში წარმოსახული ვითარება გარკვეული ისტორიული ეპოქის სინამდვილეს გულისხმობს, მაგრამ მისი იდეურ-მორალური კონცეფცია თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება დროული ლოკალის ფარგლებს და შეიძლება ითქვას, გარდაუვალ და ზოგად ღირებულებას იძენს, როგორც ეს დამახასიათებელია ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებისათვის. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი სწორუპოვარი შემოქმედებითი ენთუზიაზმით მიისწრაფვის თავისი ნათელი საბოლოო მიზნისაკენ, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის მაღალი მორალური კოდექსის სრულად განხორციელებისაკენ, განსაკუთრებულად მოუთმენელი ხდება ადამიანური სულმდაბლობისა და ზნეობრივი სიმახინჯის ყოველგვარი გამოვლინებანი. ამიტომაც აღმოჩნდა ესოდენ ახლობელი და თანახმოვანი საბჭოთა ადამიანის სულიერი ინტერესების სამყაროსათვის „კახაბერის ხმალის“ მძაფრი მამხილებელი პათოსი, რომელიც სწორედ ამ დაუზოგავი და მომაკვდინებელი მხილებლის საშუალებით ქადაგებს და ამკვიდრებს სიმართლისა და სიკეთის ნათელ ადამიანურ იდეალებს. აქი პიესაში წარმოსახვა შემზარავად უკულმართ და მახინჯ ყოფიერებას გამუდმებულად თავს დასტრიალებს ხალხის სიმართლისა და ძლევაგამოსილების იდეა, ხორცუმესხმული კახაბერის ხმალის მხატვრულ მეტაფორაში.

გიორგი ლორთქიფანიძემ და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა შექმნეს ღრმად გააზრებული, იუმორით, მოქმედებით, მუსიკით, პლასტიკური ფერადონებით აღსავსე სპექტაკლი, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით, მიუხედავად თავისი თვალსაჩინო პროფესიული ღირსებებისა „კახაბერის ხმალის“ სცენური ისტორიის მხოლოდ დასაწყისს წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ვერ ჰპოვა ღირსეული სცენური განსახიერება პ. კაკაბაძის კომედია „ცხოვრების ჯარა“, რომლითაც დრამატურგი ჩვენი ქვეყნის საზოგად-

დოვბრავი ცხოვრების უკანასკნელი წლების მოვლენებს გამოეხმაურა. იგი თითქმის ერთდროულად დაიდგა მარჯანიშვილის სახელობისა და სხვა რამდენიმე ქართულ თეატრში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ მძაფრად აქტუალური, საინტერესო კომედიის ორგანული თეატრალური გასაღები ჯერ კიდევ მიგნებული არ არის. ამაში არაფერია მოულოდნელი და განსაკუთრებული თუ პ. კაკაბაძის პიესების სცენურ ისტორიას გავიხსენებთ. ცნობილია, რომ როდესაც „ყვარყვარე თუთაბერი“ პირველად წაუკითხეს ქუთაისში კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ ახალი დრამატული თეატრის კოლექტივს, დასი გულგრილად შეხვდა ჩვენი საუკუნის ქართული დრამატურგის ამ ნამდვილ თვალმარგალიტს და არავითარი ხალისი და სურვილი არ გამოიჩინა მისი დადგმისა. მხოლოდ კოტე მარჯანიშვილის მახვილმა მხატვრულმა ალლომ გაუხსნა გზა ამ შესანიშნავ ქმნილებას ქართული თეატრის სცენაზე, ხოლო უშანგი ჩხეიძის განუმეორებელმა ნიჭიერებამ და ჯადოქრულმა ოსტატობამ წარუშლელად აღბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში ყვარყვარე თუთაბერის იშვიათად ორიგინალური და მომხიბლავი სცენური სახე. დიდი სიძნელებები გადაეღობა წინ თავის დროზე „კოლმეურნის ქორწინების“ დადგმას მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. და, აი, უკვე ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში „ყვარყვარე თუთაბერისა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ ხელახალი დადგმის ვერც ერთი ცდა ვერ დამთავრდა ისეთი წარმატებით, რომ ამ პიესების პირვანდელ წარმოდგენებს შეედრებოდეს. პ. კაკაბაძის დრამატურგია ღრმა ქვეტექსტებით და რთული სცენური სახეებით ხასიათდება. მათი ამოხსნა და სცენური ხორცშესხმა ჩვენს თეატრებს უფრო მეტად უძნელდებათ, ვიდრე არა მარტო შაბლონურ, ტრაფარეტულ სიუჟეტებზე აგებული პიესებისა და პრიმიტიული ვოდევილების, არამედ მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის შედეგების დადგმა.

ახლა ჩვენი სახელოვანი დრამატურგი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალ საფეხურზე იმყოფება. მან ზედიზედ გამოაქვეყნა ისტორიული ტრაგედიის ციკლი: ვახტანგ გორგასალის ბრძოლებისა და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ტრილოგიის „მეფე ვახტანგ პირველის“ პირველი ნაწილი „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ და ფრაგმენტები მეფე დიმიტრი თავდადებულის ტრაგიკული ცხოვრებისა და მისი მოღვაწეობის მრისხანე საუკუნის ამსახველი დრამატული ქმნილებისა. როგორც ვხედავთ, ახლა დრამატურგს კომედიის ქანრიდან ტრაგედიის სფეროში გადააქვს თავისი შემოქმედებითი ინტერესების ცენტრი და შთაგონების ძირითად წყაროს ჩვენი სამშობლოს ისტორიის შორეულ საუკუნეებში ეძიებს. ჩვენ არ შეგუდგებით ახლა ამგვარი „გადანაცვლების“ გამომწვევი ფაქტორების კვლევას და რაიმე კანონზომიერების დადგენას

ამ საკითხში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პიესებმა ახალი შუქით გაანათა ჩვენთვის პ. კაკაბაძის შემოქმედებითი სამყარო და დაგვანახა მისი დრამატურგიული ნიჭიერების დღემდე უცნობი ასპექტები. კიდევ მეტიც — ეგებ ამ პიესებით ახალი ეტაპიც იწყებოდეს ისტორიული სიუჟეტებით ესოდენ მდიდარ ქართულ მწერლობაში და, კერძოდ, დრამატურგიაში. ამ საკითხებზე საბოლოო პასუხის გაცემა, ამ ისტორიული ქანრის ტრაგედიების ღირსეული განხილვა და შეფასება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა დრამატურგი ბოლომდე განახორციელებს თავის იმ ახალ შემოქმედებით ჩანაფიქრს და როცა ეს პიესები აქლერდებიან ჩვენი თეატრების სცენაზე.

დიდი ხანია ელოდება სცენურ განსახიერებას იონა ვაკელის ისტორიული დრამა „რუსთაველი“. ძრავალი წლის განმავლობაში მწერალი ნაცადი ხელოვნებით, ნამდვილი შთაგონებით და უღრმესი პასუხისმგებლობის გრძნობით ამუშავებს ამ რთულსა და ძნელად დასაძლევ თემას, ძერწავს უკვდავი რუსთაველისა და თამარ მეფის, მათი თანამედროვეებისა და თანამოღვაწეების სახეებს, ხატავს ძველი საქართველოს „ოქროს საუკუნის“ საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სულიერი და ყოფაცხოვრებითი ვითარების დამახასიათებელ სურათებს. გარკვევით უნდა ითქვას, რომ ეს დრამა-ტრაგედია ამ თემაზე დღემდე ქართულ დრამატურგიაში დაწერილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მეტად უახლოვდება იმ სრულფასოვნებას, რასაც ჩვენი ეროვნული ისტორიის ამ დიადი ეპოქისა და მისი ასევე დიადი პიროვნების სცენური გაცოცხლებისა და ხორცშესხმის ამოცანა გულისხმობს. ჭერჯერობით მხოლოდ ერთ სახალხო თეატრს (ტყიბულში) აღმოაჩნდა შემოქმედებითი გამბედაობა დაედგა ეს პიესა. რომლის განსახიერება მართლაც ურთულეს სიძინელებთან არის დაკავშირებული. იონა ვაკელის დრამატურგიული შემოქმედების ფართო თემატური და ქანრობრივი დიაპაზონის მომასწავებელია ის გარემოება, რომ მან უკანასკნელ წლებში ზედიზედ დაწერა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ადამიანთა შრომითი ცხოვრებისადმი მიძღვნილი დრამა „რვალი“, საკოლმეურნეო სოფლის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი კომედია „საქმის კაცი“ („ქიმიკიმელი“) და საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის დღევანდელი შემოქმედებითი ცხოვრების მასალაზე აგებული პიესა „ხელაშვილების ოჯახი“. ამ ნაწარმოებთაგან ყველაზე მეტი წარმატება წილად ხვდა „ქიმიკიმელს“. იგი ჭერ რუსთაველის თეატრმა დადგა, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის სხვა თეატრებმა და ყველგან მისი სცენური განსახიერება მაყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევს. ჩვენმა გამოჩენილმა მსახიობმა ეროსი მანჯგალაძემ ამ პიესის მთავარი როლის შესრულებისას შექმნა მძაფრი მამხილებელი ძალის მხატვრული სახე კოლმეურნეობის ისეთი მანკიერი ხელმძღვანელისა, რომელიც მხოლოდ ფუჭი პატივმო-

ყვარეობის გრძნობებით სულდგმულობს და ყოველად დაუმსახურებელი განდიდების მისწრაფებით არის შეპყრობილი და არაფრად მიაჩნია საკოლმეურნეო გლეხობის საერთო ინტერესები და კანონიერი მოთხოვნები. ჭიმჭიმელს უკვე აუგია პოსტამენტი საკუთარი ძეგლისათვის და დიდი კმაყოფილებით და განცხრომით მოელის, თუ რაოდის აღიმართება მისი ბიუსტი სოფლის შუაგულ მოედანზე. მართალია, ეს პიესა ახალი, საფუძვლიანად გადამუშავებული რედაქციაა ჭერ კიდევ ოცდაათიან წლებში დაწერილი და თავის დროზე მარჯანიშვილის თეატრში დადგმული კომედიის „აპრაკუნე ჭიმჭიმელისა“, მაინც პიესამ სავსებით ახლებური უღერა მოიპოვა, ეფექტურად გამოხატა ჩვენი ხალხის შეურთიგებლობა კარიერიზმის, ფუჭი ქედმაღლობის, ეგოიზმისა და თაღლითობის გამოვლინებათა მიმართ ჩვენს სინამდვილეში, თუმცა პიესაში ვხედავთ ზოგიერთ ცალკეულ ამკარად შეუსაბამო გადაჭარბებას.

ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აქტიურად და ნაყოფიერად მოღვაწეობდა დრამატურგიის ქანრში ჩვენი მაღალნიჭიერი პოეტი ვიქტორ გაბესკირია. მისი პიესები: „მათი ამბავი“, „მარტოხელა“, „გაზაფხულის დილა“, „გურიის მთებში“, „უფსკრულთან“, „ახალწლის ღამე“ და სხვ. ამკვიდრებენ თანამედროვე ქართულ მწერლობასა და თეატრში ლირიკული დრამის ქანრს. ეს პიესები უპირატესად ორიგინალური ხელწერით, სინამდვილის თავისებური აღქმით მგზნებარე პუმანისტური მიზანშისწრაფებით არის აღბეჭდილი. მწერლის სიცოცხლეშივე ცალკე წიგნად გამოაცემულმა ამ პიესებმა მთელი სოლიდური ტომი შეადგინა და ეს წიგნი ყოველთვის დარჩება თანამედროვე ქართული დრამატული მწერლობის ერთერთ საყურადღებო მონაპოვრად. კაცთმოყვარეობის გამახვილებული გრძნობით დასტრიალებდა თავს ვიქტორ გაბესკირია „უბრალო“ რიგითი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას. დიდი სიყვარულით და ღრმა თანაგრძნობით ხატავდა მათი სულიერი ცხოვრების სურათებს, მოგვითხრობდა მათი „პატარა“, მაგრამ წრფელი და სასარგებლო საქმიანობის შესახებ და დაუნდობელი ზიზღით და გულისწყრომით კიცხავდა თავის პიესებში იმ უხეიო, გაიძვერა და გახრწნილ ადამიანებს, რომლებიც თავის პირუტყვულ ინსტინქტებს აყოლილნი, სიცოცხლეს უწამლავენ პატიოსან მშრომელ ადამიანებს. დრამატურგის ამგვარი იდეურ-შემოქმედებითი პოზიცია განსაკუთრებულად მკაფიოდ გამოიხატა მის უკანასკნელ ლირიკულ დრამებში „უფსკრულთან“ და „ახალწლის ღამე“, რომლებიც დადგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა და გულმხურვალედ მიიღო მაყურებელმა. ქართული ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა ყოველთვის აღნიშნავდა ვიქტორ გაბესკირიას პიესების კეთილშობილურ იდეურ-მორალურ პათოსს, მათს სიწრფელეს და მაღალ ლიტერატურულ ღირსებებს,

თუმცა სამართლიანად უსაყვედურებდა ავტორს, რომ მის ნაწარმოებებში დადებითი საბჭოთა ადამიანები მეტად უმწეო და უმოქმედო მსხვერპლის მდგომარეობაში არიან ჩაყენებული, მათ ძალა არ შესწევთ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიონ ბოროტებას, რომელიც შეუნიღბავად, აღვირახსნილად და დაუსჯელად პარაპშობს ცხოვრების ზედაპირზე. ვიქტორ გაბესკირიას ხსენებულ პიესებში შესრულებულმა როლებმა დიდად გაამდიდრა ჩვენი დროის ქართული აქტიორული სკოლის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლების შემოქმედებითი ბიოგრაფია, როგორცაა სესილია თაყაიშვილი, როგორც იყვნენ შალვა ლამბაშიძე, პიერ კობახიძე, აკაცი კვანტალიანი.

არაერთი მნიშვნელოვანი დრამატული ქმნილება შესძინეს ქართული თეატრის რეპერტუარს მხატვრული სიტყვის ნაცადმა ოსტატებმა ლევან გოთუამ, გიორგი ნახუცრიშვილმა, ოთარ ჩხეიძემ. ლევან გოთუას ისტორიული დრამები „ერეკლე მეორე“ და „დავით აღმაშენებელი“, რომლებიც მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა, ამდღევანდელ ეთანახმოვანებოდა ჩვენი ხალხის იმ მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას, რამაც განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი სამშულო ომის მრისხანე დღეებში და რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი სამშობლოს მიერ მიხაკისფერი ურჩხულის განადგურების საქმეში. ამ უმაგალითოდ გმირულ ბრძოლაში საბჭოთა ადამიანების მიერ გამოჩენილმა ქედუხრელობამ და სწორუპოვარმა ვაჟაკობამ ღირსეული გამოხატულება პპოვა ლევან გოთუას პიესაში „უძლეველი“. ეს პიესა ქართული დრამატურგიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. დიდი სამამულო ომის თემებზე. პიესაში „სამსახიობო რაინდისა“ ლ. გოთუამ მოგვცა ფრიად საყურადღებოდ გაბედული ცდა ძველი ქართული სანახაობრივი ხელოვნების ტრადიციათა აღდგენისა. ბევრი რამ არის ორიგინალური და საინტერესო აგრეთვე მის კომედიიაში „თუთის პატარძალი“.

გარდა იმ შესანიშნავი პიესებისა, რომლებიც გიორგი ნახუცრიშვილმა ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრს დაუწერა და რომელთა შორისაც ზოგიერთმა საკავშირო რეზონანსი მოიპოვა, ამ მწერლის კალამს ეკუთვნის ისტორიულ-ბიოგრაფიული ქანრის პიესები „წიწამური“ და „ფიროსმანი“. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას იმსახურებს გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკული ცხოვრებისადმი მიძღვნილი, კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სურათებით აღსავსე, მძაფრი სიუჟეტური სიტუაციების შემცველი და ამდღევანდელი ემოციური განცდებით გამსჭვალული პიესა. ეს ნაწარმოები საუკეთესო და უმნიშვნელოვანესია იმ მხატვრულ ქმნილებათა შორის, რომლებიც დღემდე ქართულ მწერლობას მიუძღვნია ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების თემისადმი. გარკვეული როლი

შეასრულა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში გ. ნახუცრი-
შვილის ზღაპრულ-ალეგორიული ხასიათის პიესამ „ჭინჭრაქა“.

უკანასკნელ წლებში ენერგიული და ნაყოფიერი მოღვაწეობა დაიწყო დრამატურგიის უანრში გამოჩენილმა ბელეტრისტმა ოთარ ჩხეიძემ. მისი იშვიათი გონებამახვილობით და უექველი კომედიური ნიჭიერებით აღბეჭდილი პიესა „ვისია ვისი“ დიდი წარმატებით დაიდგა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და მაყურებელთა ერთსულოვანი მოწონებით სარგებლობდა. რესპუბლიკის სხვა თეატრებში აგრეთვე წარმატებით იდგმება მისი პიესები „თევდორე“, „ძველო რომანსები“ და სხვ. რატომღაც ამ პიესებისადმი გულგრილი აღმოჩნდა ჩვენი დედაქალაქის თეატრები, რომლებიც გაუთავებლად საყვედურობენ ორიგინალური დრამატურგიის სიღარიბეს და ხშირად ყოვლად უზადრუკ პიესებსაც დგამენ ხოლმე ვითომდა თავიანთი რეპერტუარის შესავსებად თანამედროვე თემატიკის ორიგინალური პიესებით.

ვალერიან კანდელაკის პირველმა ცდებმა დრამატული მწერლობის დარგში განსახიერება ჰპოვეს ბათუმის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. შემდეგ დედაქალაქის თეატრებში ზედიზედ დაიდგა მისი პიესები „სარეველა“, „მაია წყნეთელი“, „ერთხელ დახოცილები“, „ქართლის ჩირალდნები“. ამ პიესებით მწერალმა თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა მოწინავე ქართველ დრამატურგთა რიგებში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მის ისტორიულ პიესას „მაია წყნეთელი“, რომელიც ჩვენი სამშობლოს გმირული ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდს ასახავს და გამოხატავს ერის კანონიერ სიყვარულსა და მადლიერების გრძნობას ხალხის წიაღიდან გამოსული გმირი-ქალის მაია წყნეთლისადმი. პიესის ძირითადი პათოსი იმაში მდგომარეობს, რომ განსახიეროს მშრომელი ხალხის უპირველესი და განმსაზღვრელი როლი ჩვენი უმაგალითოდ მრისხანე, მაგრამ ასევე გმირული და დიდებული ისტორიული ცხოვრების მოძრაობაში. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძე თავის დროზე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ხალხის ეს როლი ღირსეულად არ იყო ასახული ჩვენს ისტორიულ წყაროებსა და მწერლობაშიც. ამიტომაც ასეთი პიესის გამოჩენამ ქართული თეატრის რეპერტუარში დამსახურებულად გამოიწვია მაყურებელთა ფართო წრეების ინტერესი და მოწონება. ამ პიესაში ვასო გოძიაშვილის მიერ შექმნილი ერეკლე მეორის სახე და ელენე ყიფშიძის მიერ შესრულებული მაია წყნეთლის როლი ჩვენი დროის ქართული აქტიორული ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. ვალერიან კანდელაკის ახალი პიესა „დრო — 24 საათი“ უაღრესად აქტუალურ თემაზეა დაწერილი და ლიტერატურული საზოგადოებრიობის მოწონება დაიმსახურა.

თანამედროვე ქართული დრამატურგიის მდგომარეობის სრული სურათის

გასათვალისწინებლად უნდა მოვიხსენიოთ სერგო კლდიაშვილის „დაბრუნება“, მიხეილ ჭაფარიძის „ჩვენებურები“, გენო ქეღობაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“, კიტა ბუაჩიძის „უზოში ავი ძაღლია“, რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, ვასო პატარაიას „უჩა უჩარდია“, რომლებიც რუსთაველისა და შარჯანიშვილის თეატრების სცენაზე დაიდგა და თავის დროზე გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია. სახელოვანმა და ღვაწლმოსილმა ჩვენმა ბელეტრისტმა სერგო კლდიაშვილმა „დაბრუნებაში“ თანამედროვე, ახალი სამყაროს მშენებელი ადამიანის მორალური სახის საკითხები აღძრა და თავისებურად გააშუქა. პიესა დაწერილია სცენური მეტყველების ბრწყინვალე ოსტატობით, ცოცხალი ადამიანური სახეების ხატვის მაღალი ოსტატობით. მიხეილ ჭაფარიძის „ჩვენებურებში“ ასახულია სამამულო ომის წლების ქართული საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება. პიესა ხატავს და უმღერის იმ მაღალ ადამიანურ ღირსებებს, იმ სიკეთეს, სულიერ მშვენიერებასა და ზნეობრივ სისპეტაკეს საბჭოთა ადამიანებისა, რაც არა მარტო ვერ შებღალა და ვერ დაამახინჯა ომის მრისხანე ვითარებამ, არამედ ყველა ამ ღირსებამ ახალი შუქი და ელვარება შეიძინა იმ მძიმე განსაცდელის ფონზე, რაც ომმა თავს დაატეხა ჩვენს ხალხს. სცენური მეტყველების ტექნიკურად პოეტური დონე ამ პიესაში ორგანულად არის დაკავშირებული სიტყვიერი ქსოვილის იშვიათ ბუნებრიობასთან და სისადავესთან. მართალია, პიესა ვერ გამოხატავს ომის დროინდელ საკოლმეურნეო სოფლის მეზობლ სულისკვეთებას და მასში ასახული არ არის პერსონაჟთა შორის რაიმე ღრმა კოლიზიები და წინააღმდეგობანი, მაგრამ იგი ერთ დიდსა და უმძაფრეს კონფლიქტს განასახიერებს — ჩვენი ხალხის ნათელი ჰუმანისტური შეგნებისა და სიკეთითა და სიმართლით განათებული სულიერი სამყაროს შეურიგებლობას ფაშისტური ბარბაროსობის სიმახინჯესა და ჯოჯოხეთურ სისასტიკესთან. ამ პიესის დადგმას რეჟისორ აკაკი დვალისშვილის მიერ გარკვეული პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ისტორიაში. სპექტაკლის სადა, ბუნებრივი ელერა, ადამიანური სიწრაფე და უშუალობა ერთგვარი რეაქცია იყო ამ თეატრის გმირულ-რომანტიკული ტრადიციების ვულგარიზაციისა და დოგმატურად დაკნინების წინააღმდეგ, რაც აშკარად იგრძნობოდა ქართული თეატრის ცხოვრებაში ორმოცდაათიანი წლების დამდევსათვის. გენო ქეღობაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელი“ და რევაზ თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“ შეიცავდა საყურადღებო ძიებებსა და ცდებს შეექმნათ ჩვენს თეატრში დადებითი გმირის, საბჭოთა მოწინავე ადამიანის მხატვრული სახეები. ვასო პატარაიას „უჩა უჩარდია“ და კიტა ბუაჩიძის „უზოში ავი ძაღლია“ კი დროულად ეხმაურებოდა საბჭოთა მაყურებლის კანონზომიერ მოთხოვნებს განსაღ სიცილზე, სოციალურად გააზრებულ კომედიურ სანახაობაზე.

ჩვენს თეატრსა და დრამატურგიაში კომედიური ჟანრის დამკვიდრების თვალსაზრისით უეჭველად დადებით შეფასებას იმსახურებს ოთარ ჩიჯავაძის პიესები „თხუნელა“ და „ილბლიანი ხელმოცარული“. ამ პიესების უპირველესი ღირსება ის არის, რომ მათში ჩვენი სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა: მკაცრი მხილება და უარყოფით ადამიანთა გაიციხვა იმგვარად არის მიღწეული, რომ ნათლად იგრძნობა საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ძალა და სიმართლე, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ ახალ საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა ჯანსაღი ატმოსფერო. სამწუხაროდ თბილისის ქართულმა თეატრებმა ამ პიესების მიმართაც ყოველად გაუმართლებელი გულგრილობა გამოიჩინეს.

თანამედროვე ეტაპზე ქართული თეატრისა და დრამატურგიის განვითარების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენა ის არის, რომ დრამატულ მწერლობაში მოვიდა ნიჭიერ ოსტატთა მთელი ახალი თაობა: აკაკი გეწაძე, გიორგი ხუხაშვილი, ოტია იოსელიანი, თამაზ ჭილაძე. აკაკი გეწაძის პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“, რომელიც პირველად მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დაიდგა და შემდეგ განხორციელება ჰპოვა რესპუბლიკის მთელ რიგ სხვა თეატრებში და გასცდა კიდევ საქართველოს ფარგლებს, უკანასკნელი წლების ქართული დრამატურგიის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვარს წარმოადგენს. პიესა სამამულო ომის, კერძოდ, კავკასიის დაცვის გმირულ ეპოპეას ეძღვნება და მასში გაშლილი მოქმედება ამ ომის ფრონტზე მიმდინარეობს. ავტორის მხატვრული ჩანაფიქრის ორიგინალობა ის არის, რომ პიესაში არც ერთი ბატალური სურათი არ არის ნაჩვენები და მაინც მიღწეულია ომის მრისხანე დაძაბული ატმოსფეროს განცდა, ცხოვლად იგრძნობა თავისი წმინდა და სამართლიანი საქმისათვის თავგანწირულად მებრძოლი საბჭოთა ხალხის გმირული ბუნება, მისი ვაჟაკობა და ქედუხრელობა, მისი აუცილებელი გამარჯვების რწმენა. საბჭოთა ნებრძოლები აქ გამოხატული არიან, როგორც სპეტაკი ზნეობის, იშვიათი სულიერი მშვენიების, უშიშროებისა და ქედუხრელობის ცოცხალი განსახიერებანი. კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითოდ სისხლისმღვრელი ომის ჯოჯოხეთურ ვითარებაში ამ ადამიანებმა არა მარტო შეინარჩუნეს სულიერი სისპეტაკე და მშვენიება, არამედ ახლებური წრთობა შემატეს თავისი ხასიათის ამალღებულ კეთილშობილურ თვისებებს. პიესა დაწერილია მეტყველი და ხატოვანი ენით. ავტორის დრამატურგიული ნიჭიერება უპირველეს ყოვლისა სისხლბორცით სავსე ცოცხალი ადამიანური ხასიათების ხატვაში გამოვლინდა. სამწუხაროდ ასეთივე მაღალ დონეზე ვერ არის დამუშავებული სამამულო ომის თემაზე დაწერილი მისი მეორე პიესა „პაემანი ცაში“ და მით უფრო შეუფერებელია აკაკი გეწაძის ნიჭიერებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობებისათვის პიესა „რაჭ-

ველები“. ეს ნაწარმოები ავტორის გაუმართლებელი ხარკია მსუბუქი სცენური ეფექტებისა და იოლი „წარმატების“ ცდუნებისადმი.

ნიჭიერად და საიმედოდ დაიწყო გიორგი ხუხაშვილის ცხოვრება თეატრსა და დრამატურგიაში. მისი პირველი პიესა „ზღვის შვილები“, რომელიც თანამედროვე თეატრალური ხელოვნების მაღალ დონეზე განახორციელა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა რუსთაველის სახელობის თეატრში, მართლაც „იღბლიანი“ დებიუტი აღმოჩნდა ავტორისათვის. პიესა განასახიერებს საბჭოთა ადამიანების სხვადასხვა თაობათა განუყოფელი ერთიანობის იდეას, იმ ისტორიულ კვამარტებას, რომ საბჭოთა საზოგადოება თავის განვითარებაში თაობათა მემკვიდრეობრივი კავშირურთიერთობის კანონზომიერებას ემყარება, სადაც შეუბღალავად იცავენ მამა-პაპეულ სიცოცხლისუნარიან ტრადიციებს, აგრძელებენ, ამდიდრებენ და ამალეებენ მათ ახალ თაობათა ნოვატორული შემართებით, მათი დაუსრულებელი მისწრაფებით სიახლისაკენ, განვითარების ახალი და ახალი ჰორიზონტებისაკენ. თუ „ზღვის შვილებში“ ეს იდეა მწერალმა მეზღვაურთა შრომითი ცხოვრების მასალაზე განასახიერა, იგივე აზრი უფრო ღრმად და შთამბეჭდავად არის ხორცშესხმული პიესაში „ცხოვრება კაცისა“, რომელიც სახელოვანი ქართველი მუშათა კლასის საბრძოლო რევოლუციურ ტრადიციასა და თანამედროვე გმირული შემოქმედებითი შრომის შესახებ მოგვითხრობს. გ. ხუხაშვილის ეს ორი პიესა მკვიდრად არის შესული თანამედროვე ქართული დრამატურგიის ძირითად ფონდში. სამწუხაროდ, მწერალი ყოველთვის ვერ ინარჩუნებს ამ ნაწარმოებებში მიღწეულ იდეურ-ესთეტიკურ დონეს. ზოგჯერ ისიც მიდის გაუმართლებელ კომპრომისებზე, საკმარისია დავასახელოთ მისი „მთაწმინდის მთვარე“.

ოტია იოსელიანმა, რომელმაც უკვე თავისი „ვარსკვლავცენით“ მოიხვეჭა ჩვენი ახალი თაობის პროზაიკოსთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის რეპუტაცია, ექანასკნელ წლებში ზედიზედ დაწერა რამდენიმე პიესა, რომელთა შორის თავისი პროფესიული ღირსებებით გამოირჩევა „ადამიანი ვადება ერთხელ“ და „სანამ ურემი გადაბრუნდება“, პირველ მათგანში გულის სიღრმემდე შემძვრელი ძალით არის გამოხატული ის მწვავე ტკივილები, რაც საბჭოთა სოფელს, ჩვენს ადამიანებს აწვნია მეორე მსოფლიო ომის საშინელებებმა, მეორეში კი — ნაჩვენებია საკოლმეურნეო სოფლიდან ახალგაზრდობის უაზრო მასობრივი გახიზვნის სავალალო შედეგები. ორივე ეს პიესა რუსთაველის თეატრის სცენაზე იქნა განასახიერებული და მათ წილად ხვდათ ისეთი ბედნიერება, რომ მათი მთავარი როლი ჩვენი საუკუნის ერთმა საუკეთესო მსახიობმა სერგო ზაქარაიძემ განასახიერა. ოტია იოსელიანის მადლიანი კალმით დახატული სახე მოხუცი კოლმეურნის აგაბოსი დამაგვირგვინებელი აკორდი აღ-

მოჩნდა სერგო ზაქარიასის დიდებულ შემოქმედებით ბიოგრაფიაში. პიესამ „სანამ ურემი გადაბრუნდება“ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს გარეთაც. საფულისხმოა, რომ უკანასკნელ წლებში დრამატურგიული ქანისადმი აქტიურ შემოქმედებით ინტერესს იჩენენ ჩვენი მხატვრული პროზის ახალი თაობის საუკეთესო ოსტატები. და ეს გარემოება, რასაკვირველია, გამამდიდრებელ გავლენას ახდენს ჩვენი თეატრისა და დრამატურგიის განვითარებაზე. ამის ერთ-ერთ მკაფიო მაგალითს წარმოადგენს თამაზ ჭილაძის პიესა „მკვლელობა“ („სურათები საოჯახო დღიურიდან“). თუ თ. ჭილაძის პირველ პიესაში „აკვარიუმი“ ავტორის საინტერესო კეთილშობილურ ჩანაფიქრს ვერ შეესაბამებოდა დრამატული მწერლობის სპეციფიკური ოსტატობის დონე, უკანასკნელ თავის პიესაში მწერალმა უმძაფრესად აქტუალური თემის დაუფლების, მწვავე დრამატული კონფლიქტის გამოხატვის და ტიპიურ ადამიანურ სახეთა ცოცხლად გამოკვეთის კუთხით ხელოვნება გვიჩვენა... ეს პიესა სრულ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თამაზ ჭილაძისაგან ბევრ ახალ სრულფასოვან ნაწარმოებს უნდა მოელოდეს ქართული თეატრი, თუ იგი სათანადოდ გულისხმიერი აღმოჩნდება ამ საინტერესო და საიმედო ავტორის მიმართ. დამსახურებულად მოიპოვა პოპულარობა ალექსანდრე ჩხაიძის პუბლიცისტურმა კომედია „ზიდმა“, რომელიც წარმატებით დაიდგა და იდგმება არა მარტო ქართული თეატრების სცენაზე.

უკანასკნელი წლების ქართული თეატრის რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა კლასიკური თუ თანამედროვე ქართული მხატვრული მწერლობის ნაწარმოებთა ინსცენირებამ. უდავოა, რომ ინსცენირების გზას არ შეიძლება მთავარი ადგილი დაეთმოს თეატრის პრაქტიკაში. არ შეიძლება ინსცენირებებით შევცვალოთ ცოცხალი დრამატურგიული შემოქმედება, მაგრამ სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ამგვარმა მუშაობამ არაერთი თვალსაჩინო წარმატება მოუტანა ქართულ საბჭოთა თეატრს. ეს ითქმის ჩვენი დიდად ნიჭიერი პოეტის დავით გაჩეჩილაძის მიერ ვაჟა-ფშაველას პოემის „ბახტრიონის“ საფუძველზე დაწერილი ამავე სახელწოდების პიესის შესახებ, რომლის დადგმაც ჩვენი სახელგანთქმული რეჟისორის დიმიტრი ალექსიძის ერთ-ერთ პირველხარისხოვან შემოქმედებით მიღწევად არის სამართლიანად აღიარებული. დადებითი შეფასება ჰპოვა შაყურებელთა ფართო ფენებში, პრესაში და თეატრალურ კრიტიკაში კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარის“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივის“, მერაბ ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეების“, არჩილ სულაკაურის „წყალდიდობის“ ინსცენირებათა საფუძველზე შექმნილმა სპექტაკლებმა. მაგრამ განსაკუთრებით დიდი კეთილმყოფელი და გამანაყოფიერებელი გავლენა იქონია თანამედროვე ქარ-

თული თეატრის განვითარებაზე ნოდარ დუმბაძის იშვიათად პოპულარულმა, საყოველთაოდ აღიარებულმა ნაწარმოებებმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „მზიანი ღამე“ და „ნუ გეშინია, დედა“. დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა ამ რომანების გასცენირების საქმეში მწერლის შემოქმედებითი თანამშრომლობა რეჟისორ გიორგი ლორთქიფანიძესთან. ამ ნაწარმოებებმა არა მარტო გაამდიდრეს ქართული თეატრისა და კინემატოგრაფიის რეპერტუარი, არამედ ზოგიერთი მათგანი წარმატებით დაიდგა რუსეთის მოწინავე თეატრებში. მათ ერთგვარი გამოძახილი ჰპოვეს უცხოეთშიც.

ჩვენს მიმოხილვაში არამც თუ განხილული, არამედ დასახელებულიც კი არ არის ყველა ის დრამატული ნაწარმოები, რომლებიც დაიწერა და ქართული თეატრის სცენაზე განსახიერდა ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ მცირე მოცულობის ნარკვევს, ცხადია, ასეთი ყოვლისმომცველი პრეტენზია არც შეიძლება ჰქონდეს. ჩვენ მხოლოდ იმ პიესებს შევხებით, რომელთაც შედარებით თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული თეატრისა და დრამატული მწერლობის განვითარებაში. ამ მიმოხილვისაგან ის უპირველესი დასკვნა გამოდინარეობს, რომ საბჭოთა ეპოქის ნახევარსაუკუნოვან მანძილზე ქართული დრამატული მწერლობა იყო ჩვენი ეროვნული თეატრის რეპერტუარის ძირითადი. მასაზრდოებელი წყარო და სწორედ ორიგინალური პიესების მეშვეობით ეხმაურებოდა უპირველეს ყოვლისა ქართული თეატრი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებსა და პრობლემებს, საბჭოთა ხალხის სულიერ მოთხოვნათა სამყაროს. ქართულმა დრამატულმა მწერლობამ უდიდესი გამამდიდრებელი გავლენა მოახდინა ჩვენი ეროვნული თეატრის განვითარებაზე, ხოლო თავის მხრივ ქართული საბჭოთა თეატრიც თავისი აღმავლობის საუკეთესო პერიოდებში იწვევდა შემოქმედებით გამოცოცხლებას დრამატურგიის დარგში, რაც ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა მთლიანად ჩვენი მწერლობის წინმსვლელობის საქმეს.

თეატრი და დრამატურგია ურთიერთ განუყოფელ კავშირით ერთობაში იზრდება და მათი ერთმანეთისაგან იზოლირებულად განვითარება შეუძლებელი და წარმოუდგენელია. უდავო ფაქტია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ქართული მწერლობა ვერ აწვდის ჩვენს თეატრს საკმარისი რაოდენობის სრულფასოვან დრამატულ ნაწარმოებებს და ამით გარკვეულად აფერხებს არა მარტო თეატრის, არამედ კინემატოგრაფიისა და ტელეხედვის ნორმალურ განვითარებასაც. დღევანდელი ქართული მწერლობა თავს ვერ დააღწევს პასუხისმგებლობას ასეთი მდგომარეობისათვის. მაგრამ თავის მხრივ ქართული თეატრის დღევანდელი მდგომარეობაც შემაფერხებლად მოქმედებს დრამატული

მწერლობის განვითარებაზე. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენი თეატრები არავითარ ხალისს და მისწრაფებას არ იჩენენ, რომ ქართველ დრამატურგთა მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე დაგროვილი სიმდიდრიდან დროდადრო შეარჩიონ საუკეთესო პიესები, ახლებურად წაიკითხონ ისინი, ახლებურად გაიანზრონ და განახორციელონ. ამ მრავალი წლის განმავლობაში თეატრში მოვიდა მაცურებელთა ახალი თაობები, რომელთაც არ უნახავს ეს პიესები. განა დანაშაულებრივი შეცდომა არ არის ჩვენი თეატრების მხრივ თანამედროვე რეპერტუარისათვის ასეთი მდიდარი რეზერვის უგულვებელყოფა? ამ მიმონილვაში არაერთხელ მოგვიხდა აღგვენიშნა, რომ ქართულმა საბჭოთა თეატრმა გულგრილობა გამოიჩინა არაერთი ისეთი დრამატული ნაწარმოებისადმი, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა ღირსეული ადგილი დაეკავებინა ჩვენი თეატრების რეპერტუარში. ხომ უდავო ფაქტია, რომ ჩვენი თეატრები თავს ვერ ართმევენ და ღირსეულად ვერ პატრონობენ შესანიშნავი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებას?! დანაშაულებრივი უყურადღებობა გამოიჩინა ქართულმა თეატრმა ჩვენი თანამედროვე მწერლობის ისეთი აღიარებული ოსტატის მიმართ, როგორიცაა გრიგოლ აბაშიძე. მან ზედიზედ დაწერა ორი ფრიად საყურადღებო დრამატული ნაწარმოები — ღრმა ფილოსოფიური აზრით შთაგონებული პიესა „მოგზაურობა სამ დროში“ და მძაფრი პატრიოტული ქღერის დრამატული პოემა „დედა“. რომ ქართული თეატრი ჭეროვანი ყურადღებით მოპყრობოდა მწერლის ამ უეჭველად საინტერესო ნაშუშევრებს, უეჭველია, იგი კიდევ არაერთი საყურადღებო ნაწარმოებით გაამდიდრებდა ჩვენი თეატრების თანამედროვე რეპერტუარს. როგორც ყოველი სხვა თეატრის, ისე ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების უპირველესი პერსპექტივა ჩვენს თანამედროვე ეროვნულ მწერლობასთან მჭიდრო და ყოველდღიურ შემოქმედებით კონტაქტს უნდა ემყარებოდეს — ამ უდავო და თითქოს ყველასათვის ცნობილი ჰეშმარიტების შეგნება აკლია დღევანდელ ქართულ თეატრს და ეს არის მისი ყველა ნაყოფანების მთავარი მიზეზი.

როგორც ცნობილია, ამ 7—8 წლის წინათ რუსთაველის სახელობის თეატრში სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული თეატრის კოლექტივში თაობათა ურთიერთობის, ტრადიციებისა და ნოვატორობის, თეატრის შემოქმედებითი მეთოდის საკითხებში. ამ გარემოებამ საგრძნობლად დააქვეითა და გააღარიბა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება. სხვაგვარი ხასიათის, მაგრამ ასევე სავალალო შეცდომები იქნა დაშვებული მარჯანიშვილის სახელობის თეატრშიც. თუ რუსთაველის თეატრში კოლექტივის შედარებით ახალგაზრდა თაობამ ჩამოიცილა უფროსი თაობის ბრწყინვალე პლეადა, მარჯანიშვილის თეატრში საპირისპირო რამ მოხდა — უფროსი თაობის მსახიობებმა თეატრს ჩამოაცილეს

დიდად ნიჭიერ ახალგაზრდა შემოქმედთა ბირთვი. ორი საუკეთესო თანამედროვე ქართული თეატრის ასეთ დაუძღურებას არ შეეძლო შემაფერხებელი, მომადუნებელი გავლენა არ მოეხდინა დრამატული მწერლობის განვითარებაზე. ახლა მარჯანიშვილის თეატრს სათავეში ჩაუდგა სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი უპირველესი ოსტატი დიმიტრი ალექსიძე. მისი პირველივე დადგმები ამ თეატრში — შილერის „დონ კარლოსი“ და ა. კორნეიჩუკის „ხსოვნა გულისა“ საფუძველს გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ ამ თეატრში აღორძინებას იწყებს მისი სახელოვანი შემოქმედებითი ტრადიციები. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა ეს თეატრი ასეთივე გზებით, გემოვნებით, ოსტატობით განაახლიეროს თანამედროვე თემატიკის ახალი ქართული პიესები. ახალი შემოქმედებითი აღმავლობის საიმედო გეგმებს ისახავს აგრეთვე რუსთაველის თეატრის განახლებული ხელმძღვანელობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ მოწმე ვიქნებით ქართული თეატრის — ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის ახალი, მძლავრი დაწინაურებისა. ეს კი ბუნებრივად გამოიწვევს შემოქმედებითი ცხოვრების ახალ გამოცოცხლებას დრამატული მწერლობის დარგში, რაც თავის მხრივ ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა თეატრალური ხელოვნების შემდგომი შეუფერხებელი წინმსვლელობისა.

ბოლოსიტუაციის მაგიერ

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, მიმოხილვები, კრიტიკული ნარკვევები, ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიები სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში ქართულ და რუსულ ენებზე. ბევრი მათგანი გამოქვეყნებულია სხვა მომე ხალხთა ენებზე, ხოლო ზოგიერთი — უცხოეთის ხალხთა ენებზეც. მთელი ამ მასალის უდიდესი ნაწილი ამჟამად ძნელად ხელმისაწვდომია დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეებისათვის. მე ვეკრძალებოდა ჩემი ნაწერების შეკრებასა და ცალკე წიგნებად გამოცემას. ამის შედეგად დიდად ძნელდება ჩემი ნაშრომების გამოყენება სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, მათი გათვალისწინება საბჭოთა ეპოქის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესებისა და მისი ისტორიის საკვანძო პრობლემების შესწავლისა და დამუშავებისათვის. ამ გარემოებამ მაფიქრებინა შევარჩიო ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე წლების განმავლობაში გამოქვეყნებული ჩემი ისეთი ნაშრომები, რომელთაც, ჩემის ფიქრით, დღემდე არ დაუქარგავთ გარკვეული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობა. შევკრიბო ისინი და გამოვეცე კრებულებად საერთო სათაურით „მწერლობა და თანამედროვეობა“. ასეთი სახელწოდება ჩემი კრებულების სერიისათვის იმიტომ შევარჩიე, რომ ყოველთვის, რომელ ლიტერატურულ პრობლემებსაც, მწერლობის განვითარების რომელ პროცესსაც ან ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმებსაც არ უნდა შევხებოდი მე, ჩემი მსჯელობისა და ანალიზის, იდეურ-ესთეტიკური შეფასების ძირითად კრიტერიუმს მუდამ წარმოადგენდა და წარმოადგენს ლიტერატურულ მოვლენათა შეთანაბრება თანამედროვეობის მოთხოვნებთან, ცოცხალი სინამდვილის მოვლენებთან, ჩვენი დროის იდეურ მოძრაობასთან, ახალ-სამყაროს მშენებელი ხალხის სასი-ცოცხლო ინტერესებთან და მისწრაფებებთან.

წინამდებარე კრებული ამ სერიის პირველი წიგნია. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს წიგნი არ წარმოადგენს ლიტერატურის ისტორიის რაიმე სისტემატურ კურსს, რომ მასში მასალა შერჩეული და განლაგებული არ არის რაიმე ერთიანი ქრონოლოგიური, ან ჟანრობრივი ან პრობლემური თანმიმდევრობის მიხედვით. ვცდილობდი კრებულში წარმოადგენილი ყოფილიყო თანამედროვე ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედების ძირითადი სახეობანი — ჟანრობრივი, ქრონოლოგიური თუ პრობლემური მიმოხილვები, ცალკეული ლიტერატურული მოვლენებისადმი მიძღვნილი კრიტიკული წერილები, ლიტერატურული პორტრეტები და მონოგრაფიული ნარკვევები. ამავე ხასიათის იქნება კრებულის მომდევნო წიგნები, რომლებშიც გარდა ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებისა განხილული იქნება დიდი ქართველი კლასიკოსების მემკვიდრეობის პრობლემები მათი თანამოგონების თვალსაზრისით ჩვენი თანამედროვეობის სულთან და აგრეთვე მომე ხალხების ის მწერლები, რომელთაც რაიმე კავშირ-ურთიერთობა ჰქონიათ ქართველ ხალხთან, ქართულ მწერლობასთან.

მევიათია ისეთი ქართველი საბჭოთა მწერალი, რომლის შესახებაც მე არაფერი დამეწეროს ჩემი ლიტერატურულ-კრიტიკული მუშაობის ნახევარი საუკუნის მანძილზე (გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენენ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი მწერლობის სარბიელზე გა-

მოსული ფრიად ნიჟიერი ახალი ლიტერატურული თაობა. მშობლიური მწერლობის საგანძურში ამ თაობის მიერ შეტანილი წვლილს ღირსეული შეფასება მე ჩემს საპატიო და სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია. მაგრამ ჭერჭერობით, სამწუხაროდ, ეს ვერ მოვახერხებ. ვსაუბრობი, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა მთელი იმ მასალის მოთავსება კრებულის წინამდებარე პირველ წიგნში. ამიტომ იძულებული ვაყვები მეორე წიგნში მოსათავსებლად გადაამდგო ლიტერატურული პორტრეტები, მონოგრაფიული ნარკვევები თუ ცალკეულ ნაწარმოებთა განხილვა, მიძღვნილი ჩვენი დროის ისეთი გამოჩენილი ქართველი მწერლებისადმი, როგორც არიან შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე, სერგო კლდიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ალექსანდრე ქუთათელი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მირცხულავა, გრიგოლ აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე, რევან მარგინი, იოსებ ნონეშვილი, რევან ჭაფარიძე, ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე, თინა დონეაშვილი, მურმან ლებანიძე, მუხრან მაკევაიანი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოტია იოსელიანი და სხვ. ამათთან ერთად ჩემი ნაწერების კრებულში ღირსეული ადგილი დაეთმოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის ყველა თვალსაჩინო მოღვაწეს. კრებულის მომდევნო წიგნი იმგვარად იქნება შედგენილი, რომ მთლიანად სერიამ ასახოს ის შეფასება, რომელიც მე მიმიცია თანამედროვე ქართული მხატვრული სიტყვის სხვადასხვა თაობისა და ენარის ყველა თვალსაჩინო ოსტატის შემოქმედებისათვის. დაუმსახურებელ პრეტენზიად არ უნდა ჩამეთვალოს ვერაუდი, რომ ასეთი გეგმით შედგენილი კრებულები ჩემი ნაწერებისა ინტერესს მოკლებული არ იქნება ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველთა წრეებისათვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. რაკი კრებულში მოთავსებული წერილებს არსებით რედაქტირებას და გამომუშავებას ვანზრახ და შეგნებულად თავი ავარიდე, წიგნში აქა-იქ გვხვდება ზოგიერთი დებულებისა და შეფასების გამეორება. მკითხველი იმასაც შეამჩნევს, რომ ჩემს წერილებში გამოთქმულია არაერთი ისეთი მოსაზრება, რომელიც ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული და გავრცელებულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ასეთი დებულებანი და შეფასებანი თავის დროზე ჩემი უშუალო მონაწილეობით იყო შემუშავებული და შემდეგ იქნა საყოველთაოდ გაზიარებული და აღიარებული. ამიტომაც ასეთ შემთხვევებში მე არ უნდა დამბრალდეს სხვა რომელიმე ავტორის თვალსაზრისის მითვისება და გამეორება.

როგორც ყოველ ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომში, ჩემს წერილებშიც მკითხველი შეხვდება რაიმე სადავოს, სადისკუსიოს და მისი თვალსაზრისით მიუღებელ და მცდარ მოსაზრებებს. აკი ლიტერატურული აზროვნება არ შეიძლება შემოიზღუდოს საყოველთაოდ სავალდებულო და სამუდამოდ რეგლამენტირებული უცილობელი ქეშმარიტებებით. მე არა მაქვს და არც არასოდეს მქონია ასეთ ხელუხლებელ ქეშმარიტებათა დადგენის პრეტენზია. მაგრამ ობიექტური მკითხველი ერთ რამეში კი უნდა დამეთანხმოს: ჩემი ყოველი წერილი გამსჭვალულია ჩვენი მწერლობის მაღალი იდეურობისა და ზალხურობისათვის, მისი მხატვრული სრულყოფილებისათვის ბრძოლის პათოსით, იმ გულწრფელი მისწრაფებით, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა ღირსეულად აგრძელებდეს ჩვენი დიდი ეროვნული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე პატრიოტულ და ჰუმანისტურ ტრადიციებს, ყოველთვის იღვეს თანამედროვე საკაცობრიო ესთეტიკური კულტურის დონეზე და თანმიმდევრულად განახორციელებდეს იმ ისტორიულ მოვალეობას, რომელსაც ჩვენი პარტია, სახელმწიფო კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი აკისრებს თავის ლიტერატურასა და ხელოვნებას.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

1. ოქტომბერი და ქართული მწერლობა — დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1967 წ. № 11. შემოკლებით წაითხული იქნა მოხსენებად თბილისში, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავს და აგრეთვე მოსკოვში გორაკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ამავე თარიღს მიეძღვნა.
2. ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე პრობლემები — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 1969 წ. № 11. წაკითხული იქნა მოხსენებად საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.
3. თემათა ერთობლივი ძალოვნით — შესავალი სიტყვა მოსკოვში ჟურნალ „დრუება ნაროდოვის“ რედაქციაში გამართული „მრავალი მაგილისათვის“, რომელიც ქართული მხატვრული პროზის განვითარების საკითხებს მიეძღვნა. დაიბეჭდა „დრუება ნაროდოვში“, 1970 წ., № 11; „ლიტერატურულ საქართველოში“, 1971 წ. 22 იანვარს.
4. ჩვენი დღეების მატთანე — დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“, 1962 წ. 2 მარტს.
5. თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე — დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“ 1964 წ. 31 ივლისს.
6. მხატვრული თხრობის დიდებული ოსტატი — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ გაზეთში“, 1962 წ. 19 იანვარს.
7. ნიკო ლორთქიფანიძე — გამოიცა ცალკე წიგნად. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1972 წ.
8. კონსტანტინე გამსახურდია — გამოიცა ქართულ ენაზე. თბილისი, „ნაკადული“, 1964 წ., რუსულ ენაზე — თბილისი, „მერანი“ 1969 წ.
9. ლოკიაჩელი — დაიბეჭდა „მნათობში“, 1948 წ. №№ 11—12.
10. დემეტრე შენგელია — დაიბეჭდა „მნათობში“, 1960 წ. № 3.
11. აკაკი ბელიაშვილი — დაიბეჭდა „მნათობში“, 1964 წ. № 5.
12. რაქდენ გვერტაძე — დაიბეჭდა „მნათობში“, 1947 წ. № 10.
13. ვალაკტიონ ტაბიძე — დაიბეჭდა „მნათობში“, 1943 წ. № 10, წაკითხული იქნა მოხსენებად პოეტის საიუბილეო საღამოზე თბილისის საოპერო თეატრში 1943 წ. 29 ნოემბერს.
14. ალექსანდრე აბაშელი — დაიბეჭდა „მნათობში“, 1947 წ. № 3.
15. „სამშობლოს ჩუქურთმის მკრელი“ — დაიბეჭდა „მნათობში“, 1969 წ. № 12.
16. „მაშ გამარჯვება, ტყბილო სიცოცხლე“ — დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“, 1968 წ. 9 ივნისს.
17. პოეზიის მგზნებარე რაინდი — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 1964 წ. 12 ივნისს.
18. ილო მისაშვილი — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1964 წ. 25 სექტემბერს.
19. „სოლ შორს, სულ ახლოს“ — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1963 წ. 9 დეკემბერს.
20. „სამშობლო ჩემო, შინთანა ჩემი ფიქრები“ — დაიბეჭდა „მნათობში“ 1970 წ. № 10.
21. „მთებია ჩემი სულის პარანასი“ — დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1971 წ. 24 სექტემბერს.
22. ეპოქის პოეტური მატთანე — დაიბეჭდა გაზ. „ზარია ვოსტოკაში“, 1971 წ. 11 სექტემბერს.
23. მალალი რწმინო! პოეზია — დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტში“, 1971 წ. 13 მარტს.
24. პოეზია ხუთწლეულის მხარდამხარ — დაიბეჭდა გაზ. „პოეზიის დღეში“, თბილისი, 1974 წ.
25. ცხოვრება, თეატრი, დრამატურგია — დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1971, №№ 5, 10.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ოქტომბერი და ქართული მწერლობა.	5
ვ. ი. ლენინის იდეური მემკვიდრეობა და ქართული ლიტერატურის განვითარების თანამედროვე პრობლემები	66

ვ რ ო ზ ა

თაობათა ერთობლივი ძალღონით	91
ჩვენი დღეების მატთანე	104
თანამედროვეობის მოთხოვნათა დონეზე	121
მხატვრული თხრობის დიდებული ოსტატი (მიხეილ ჭავჭავაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა)	138
ნიკო ლორთქიფანიძე	152
კონსტანტინე გამსახურდია	213
ლეო ქიაჩელი	301
დემნა შენგელაია	348
აკაკი ბელიაშვილი	389
რაჟდენ გვეტაძე	427

ვ ო მ ზ ი ა

გალაქტიონ ტაბიძე	459
ალექსანდრე აბაშელი	496
სამშობლოს ჩუქურთმების მკრელი (გიორგი ლეონიძის ლიტერა- ტურული პორტრეტისათვის)	525
„მამ ვამარჯვება, ტყბილო სიცოცხლე“ (ტიციან ტაბიძის ლირიკა)	550
პოეზიის მგზნებარე რეინდი (პაოლო იაშვილის პოეზია).	562
ილო მოსაშვილი	573
„სულ შორს... სულ ახლოს“ (ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლის „პალესტინა პალესტინას“ შესახებ)	581
„სამშობლოვ ჩემო, შენთანაა ჩემი ფიქრები (ყარლო კალაძის ახალი პოემები)	598
„მთებია ჩემი სულის პარნასი“ (ალ. გომიაშვილის პოეზია)..	636
ეპოქის პოეტური მართანე	648
მალალი რწმუნის პოეზია	665
პოეზია ხუთწლედის მხარდამხარ	687

ფ რ ა მ ა ტ უ რ გ ი ა

ცხოვრება, თეატრი, დრამატურგია	699
ბოლოსიტყვაობის მაგიერ	763
ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	765

რედაქტორი ე. ქარელიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. თურმანიძე
მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ს.პ. ცინცაძე
ტექნიკური რედაქტორი თ. ნათიშვილი
კორექტორები: გ. წერეთელი, ლ. არაბიძე მ. სანადირაძე
გამომშვები ნ. რაჭმაძე

გადაეცა წარმოებას 12/VIII-74 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/XI-75 წ.
ქალაქის ზომა 70X90¹/₁₆. საბეჭდი № 1
ნაბეჭდი თაბახი 56,16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 43,24.
უე 00310 ტირაჟი 15000, შეკვ. № 41.

ფასი 2 მან. 21 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42
თბილისი, 1976